საქართველოს ისტორია

უძველესი ხანიდან ჩვენს დრომდე

სახელმწიფო გამომცემლობა
სასწ.-პედაგოგიური სექტორი
თბილისი
1940

წინამდებარე წიგნი შედგენილია ავტორთა კოლექტიის მიერ. უძველესი ხანიდან ვიდრე მე-10 საუკუნის დამლევამდე (გვ. 5 — 115) დასწერა პროფ. ს. ჯანაშიამ, მე-10 საუკუნის დამლეგიდან ვიდრე მე-16 საუკუნის დამდეგამდე (გვ. 116 — 284) — აკადემიკოსმა იუანე ჯავახიშვილმა. მე-16 საუკუნის დამდეგიდან მე-19 საუკუნის დამდეგამდე (გვ. 285 — 414) — პროფ. ნ. ბერძენიშვილიმა. მე-19 საუკუნის დამდეგიდან ვიდრე ჩვენს დრომდე (გვ. 415 — 486) — პროფ. გ. ხაჭაპურიძემ.

საქართველო და ქართველი ტომები უძველეს ხანაში

სამშობლო ისტორია. ჩვენს სამშობლოში, საბჭოთა კავშირში. მრავალი სხვადასხვა ხალხი ცხოვრობს.

საბჭოთა კავშირის ხალხებმა დიდი ლენინისა და დიდი სტალინის ხელმძღვანელობით და ძმური საერთო ბრძოლით განადგურეს რუსეთის მეფე, ყველა მტარვალი და მუქთამჭამელა და ახალი თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრება გაიჩალეს.

ბოლშევიკების, კომუნისტური პარტიის მეთაურობით, დიდი სტალინის ბელადობით, საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებმა ააშენეს სოციალიზმი.

ჩვენი ქვეყანა პირველი და ერთადერთია დედამიწის ზურგზე, სადაც ადამიანები სოციალისტური წესით ცხოვრობენ და მუშაობენ.

საბჭოთა კავშირი მოწინავეა ყველა სხვა ქვეყანას შორის და უცხოეთის ხალხებს გზას უნათებს.

როგორ მიაღწიეს საბჭოთა კავშირის ხალხებმა თავის დღევანდელ მდგომარეობას. აი. რა უნდა მოგვითხროს სამშობლო ისტორიამ.

სამშობლო ისტორიამ უნდა გვიამბოს, როგორ ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები ძველად, როგორ ებრძოდნენ ისინი გარემო ბუნებასა და ბოროტ ადამიანებს, რომელთაც მათი დამონება უნდოდათ, რა შესძინეს მათ საკაცობრიო კულტურას.

ჩვენ საქართველოს მიწაწყალზე დავიბადეთ, მისი ჰაერით ვსუნთქავთ. აქ ვცხოვრობთ და ვმუშაობთ. საქართველო ჩვენი უშუალო სამშობლოა.

მაგრამ საქართველოც ჩვენი დიდი სახელმწიფოს. საბჭოთა კავშირის. განუყრელი ნაწილია, ერთი თორმეტ მოკავშირე რესპუბლიკათაგანი.

საქართველოს ისტორიაც საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის ნაწილია.

ჩვენ ვსწავლობთ საბჭოთა კავშირის ისტორიასაც მთლიანად და საქართველოს ისტორიასაც კერძოდ.

დიდი სტალინი გვეუბნება: ვისწავლოთ, კარგად შევისწავლოთ სამშობლო ისტორია. შევიყვაროთ იგი!

საქართველოს ბუნება და მოსახლეობა

საქართველოს ისტორია. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, თავისი ავტონომიური ერთეულებით—აფხაზეთით, აჭარითა და სამხრეთ-ოსეთით—ამიერ-კავკასიაში. კავკასიონის ქე-

დის სამხრეთით, მდებარეობს. საქართველოს ტერიტორია, რომელიც 70 ათას კვადრატულ კილომეტრსა და 3.5 მილიონ მცხოვრებს შეიცავს. გადაჭიმულია შავი ზღვიდან ალაზნის შესართავამდე, კავკასიონიდან ჭოროხამდე.

ყოველთვის ასეთი იყო თუ არა საქართველოს საზღვრები?

მდიდარი და მრავალფეროვანია საქართველოს ბუნება. ზღვისპირა დაბლობები, სადაც ჩაი, ლიმონი და ფორთობალი ხარობს, ნოყიერი ხეობები. სადაც საუკეთესო ყურძენი მწიფდება, ულამაზესი მთები ცაში აწვდილი მარადთოვლიანი მწვერვალებით, ჩქარი მდინარეები და ხშირი ტყეები ამკობს ჩვენს ქვეყანას. ათასნაირი ცხოველი და მცენარე გეხვდება საქართველოში.

ხომ არ გამოიცვალა ჩვენი ქვეყნის ბუნება მას შემდეგ, რაც აქ ადამიანი ცხოვრობს?

ქართველებს გარდა ბევრი სხვა ხალხიც ცხოვრობს ეხლა საქართველოში: სომხები და აზერბაიჯანელები, აფხაზები და ოსები, რუსები, უკრაინელები, ბერძნები და სხვები.

ყოველთვის ასეთი იყო თუ არა საქართველოს მოსახლეობა? როგორ მოიყარა თავი ამდენმა ხალხმა ამ მიწა-წყალზე?

საქართველოში ისე ფეხს ვერ გასდგამ, რომ ძველი ნაშენები არ შეგხვდეს. ისტორიულ ცხე-დარბაზების, ხიდების, ტაძრების ნაშთებითაა მოფენილი ჩვენი ქალაქები და სოფლები. ხალხი ამ ნაშთებს ველის და ინახავს. როგორც წარსულის უტყუარ მოწმეებს, თვითონ კი ახალ ცხოვრებას აშენებს. ჩვენს მინდვრებში ეხლა კოლმეურნეობის მხიარული ტრაქტორი გუგუნებს. იქ, სადაც მტკვარს არაგვი უერთდება, მოგზაური ხედავს რომ მშვენიერი ძველი ძეგლების გვერდით საბჭოთა ხალხს დიდი მდინარის ენერგია რკინა-ბეტონით შეუბოჭავს და სინათლის ქალაქი აუშენებია — ზაჰესი. ზაჰესის ძალით მძიმე მატარებლები სურამის ქედს ადვილად გადადიან, დიდი ქარხნები დაუღალავად მუშაობენ. ჩვენი დედა-ქალაქი გაჩირაღდნებულია.

ვინ ააგო, ან რისთვის ეს ძველი შენობები, როგორ გაიარა საქართველოს ხალხმა ეს გრძელი გზა ჭრაჭიდან და სახნისიდან ზაჰესამდე და კოლექტიურ შეურნეობამდე?

აი, ამგვარ კითხვებზე უნდა გვიპასუხოს ჩვენ საქართველოს ისტორიამ.

ერცელია საქართველოს ისტორია, იმიტომ რომ გრძელია და მდიდარი ჩვენი ხალხის წარსული. ამბობ. კალინინმა სთქვა: „ქართველი ხალხი კულტურის მხრივ ერთერთი უძველესი ხალხია ჩვენს ქვეყანაში. ქართველი ხალხის კულტურა ჩაისახა ჯერ კიდევ ქრისტიანობის წინა ხანაში. იგი ეთანადებოდა მსოფლიოს უძველეს და უახლეს კულტურებთან ურთიერთმოქმედებაში. ეგონებ, ჩვენს ქვეყანაში არც ერთ კულტურას არა აქვს ისეთი ხანგრძლივი ისტორია, როგორც ქართულ კულტურას". საჭიროა ამიტომ გულმოდგინედ შევისწავლოთ საქართველოს ისტორია.

კავკასია და საქართველო უძველეს გეოლოგიურ ხანებში. პალეოლითი საქართველოში

მილიონი წლების წინათ მთელი კავკასია ზღვით იყო დაფარული. ნელ-ნელ და მძიმედ, უთვალავი საუკუნეების სიერცეზე, წყალმა ხმელეთს დაუთმო ადგილი. ჯერ კავკასიონის მთავარმა ქედმა ამოიწია ზღვიდან. შემდეგ თაეი ამოჰყვეს სხვა მთაგრეხილებმაც. კასპიის ზღვა მოსწყდა შავს და მათ შორის კავკასიის ყელი გაჩნდა. მაღალი ქედების წარმოშობას შემდეგში გამყინვარება მიჰყვა. ერთ დროს მყინვარები ბარშიაც ჩამოდიოდა, კავკასიონის ძირობაზე. ბოლოს ისინი მწვერვალებს-ღა შემორჩნენ. მას შემდეგ რაც კავკასიაში გაჩნდა მცენარეულობა და ცხოველები. მათი შემადგენლობაც იცვლებოდა ხოლმე.

გაჩნდა ადამიანიც. საქართველოში რამდენიმე ადგილას არის ნაპოვნი ამ პირველყოფილი ადამიანის კვალი: ზემო-იმერეთში (გამოქვაბული „გვარჯილას კლდე" სოფ. რგანში, გამოქვაბული „დევის-ხვრელი". ხარაგოულის მახლობლად და სხვ.), ქვემო-იმერეთში (მოწამეთის გამოქვაბული, მდ. წყალ-წითელას ხეობაში და სხვ.), სამეგრელოში, აფხაზეთში (სოფ. ეშთუხაში და სხვაგან) ნაპოვნია პირველყოფილი ადამიანის ისეთი სადგომები, რომლებიც ყველაზე ძველია მთელს საბჭოთა კავშირში. ამ უძველესი ადამიანის ნაშთებს ხშირად გამოქვაბულებში პოულობენ. მაშინდელს ადამიანს ჯერ კიდევ უჭირდა ხელოვნური ბინის აგება და სიცივე-ავდრისაგან თუ საშიში მხეცებისაგან იგი თავს გამოქვაბულში იცავდა.

ეს იყო 80—30 ათასი წლის წინათ. მაშინდელი ბუნება განირჩეოდა ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ბუნებისაგან. ჰაეა იყო უფრო ცივი. ტყეები იყო ბევრად უფრო მეტი და ხშირი. მდინარეებიც უფრო წყალ-მრავალი. მცენარეებშიაც და ცხოველებშიაც მას შემდეგ ბევრი რამე გამოიცვალა. ასე. მაგ.. მაშინ ჩვენში იყო გამოქვაბულის დათვი, რომელიც ეხლა უკვე აღარ გვხვდება. გადაშენდა მას აქეთ გარეული ხარიც. სამაგიეროდ, გაჩნდა ახალი ცხოველებიცა და მცენარეებიც.

ძალიან უმწეო და განუვითარებელი იყო იმდროინდელი ადამიანი. მას არც მიწის დამუშავება შეეძლო, არც შინაური ცხოველი ჰყავდა. თავს ირჩენდა მხოლოდ ტყის ნაყოფითა და ნადირის ხორცით. იარაღიც ისეთი ჰქონდა, რომ ბუნებასთან ბრძოლაში ბევრს ვერაფერს გახდებოდა — კაჟისა და ობსიდიანის (მუქი შუშისმაგვარი მინერალია) ნამტვრევები, წვეტიანი ძვალი, ხის კომბალი. იარაღის დამუშავების ტექნიკა მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ქვასა და ძვალს ადამიანი ტკეცავდა და ჩორკნიდა ისეე ქვით, მოსახმარ ფორმას აძლევდა მათ და ასე ამზადებდა საჭრისებს, საფხეკებს, სახვრეტებს. ქვის დამაგრებით ხის ტარზე ცულსაც აკეთებდა. ასეთი იარაღის ნაშთები ბლომად არის ნაპოვნი დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით გამოქვაბულებში, მაგალითად — „დევის-ხვრელში", ხარაგოულის მახლობლად.

ცხოვრობდნენ მაშინ პატარ-პატარა ჯგუფებად, რომლებიც 15—20 კაცისაგან შესდგებოდა. ეს ჯგუფები ერთად მიდიოდნენ სანადიროდ,

რაკი იარაღი ისეთი სუსტი ჰქონდათ, რომ მარტოხელა კაცი ვერაფერზით დიდ ნადირს ვერ მოერეოდა.

ტანისამოსისათვის თავს არ იწუხებდნენ. რაც ძალიან ცოდა, ნადირის ტყავს ხმარობდნენ ტანის დასაფარავად.

თიხის ჭურჭლის გაკეთება კერ არ იცოდნენ. იმდროინდელი ადამიანის ენაც სრულიად განუვითარებელი იყო. ამიტომაცაა რომ იმდროინდელ ადამიანზე ჩვენ ვერ ვიტყვით, იგი ამათუიმ ტომს ეკუთვნოდაო. ტომები გაჩნდნენ ბევრად უფრო გვიან.

ამ ხანას „ძველი ქვის" ანუ „პალეოლითის" ხანას ეძახიან. შემდეგში ადამიანმა გააუმჯობესა თავისი ტექნიკა. თავისი მეურნეობა. კულტურა ახალ საფეხურზე ავიდა. ეს იყო უკვე „ახალი ქვის" ანუ „ნეოლითის" ხანა.

ნეოლითი საქართველოში

მრავალმა ათასმა წელმა გაიარა, ვიდრე ადამიანი პალეოლითისაგან ნეოლითზე გადავიდა. ნელი-ნელ ადამიანმა ისწავლა ქვის ხერხვა, ხვრეტა. ხეხვა და გაკრიალება. კაჟზე უფრო რბილი. რიყის ქვისაგან ის ეხლა აკოპიტებდა მშვენიერს დიდ ცულებს. გაბერეტილი ყურით ხის ტარისათვის, აკეთებდა აგრეთვე საცეხებს, ხერხებსა და ბევრს სხვა იარაღს. გამოიგონეს მშვილდ-ისარიც. ისარს უკეთებდნენ მაგარს წვერს, მეტწილად კაჟიდან, აგრეთვე ძვლიდან. მშვილდით გატყორცნილს ამგვარ ისარს ისეთი ძალა ჰქონდა. რომ ცხოველის ძვალსაც კი ხვრეტდა.

გაჩნდნენ იარაღის ოსტატები და მათი სახელოსნოები. რადგანაც ნეოლითური იარაღის გაკეთებისათვის კარგი დაოსტატება იყო საჭირო. ამგვარი ნეოლითური სახელოსნოს ნაშთი აღმოჩენილია სამეგრელოში. სოფ. ოდიშში.

ქვის ცულით. ხერხითა და საცეხით ადამიანი უფრო კარგად ამუშავებდა ხესაც. ხისას აკეთებდნენ შინაურ ჭურჭელს. მარხილებს. ნავებს, ძელურს (ჯარგვალა) სახლებს.

ადამიანმა ნეოლითის ხანაში ისწავლა კალათების წვნა. ჭოვილების ჭოჭა, თიხის ჭურჭლის კეთება.

ეხლა ადამიანი უფრო ძლიერი იყო ბუნებასთან ბრძოლაში. ვიდრე პალეოლითის დროს; ის ნადირსაც უფრო ადვილად ერეოდა და უსულო ბუნებასაც — ხე-ტყეს, საერთოდ მცენარეულობას. მდინარესა და ჭაობს.

მონადირეობის წყალობით ადამიანმა თანდათან მოაშინაურა ცხოველები. უველაზე ადრე — ძაღლი, შემდეგ — ხარი და ირემი, თხა და ცხვარი, ღორი. შინაურ საჭონელს ადამიანი ხმარობდა თაუდაპირველად შესაბმელად (ძაღლი. ირემი, ხარი) და ხორცად. შემდეგში წველაც ისწავლეს.

თანდათან შეითვისა ადამიანმა მიწისმოქმედებაც. ეს იყო მებოსტნეობა უკვ და შემდეგ — მემინდვრეობა. წვეტიანი ჯოხისა და სადა თოხის სა-

შეალებით ამუშაებდნენ მიწას და სთესდნენ ქერს. ფეტვს, ხორბალს. ქოლხეთის დაბლობში, ღრმად მიწაში, არქეოლოგებმა იპოვნეს ფეტვისა და ხორბლის ნაშთები. ეს მცენარეები საქართველოში ამ 4-5 ათასი წლის წინათ უშენებიათ.

ნეოლითური იარაღები ნაპოვნია იმერეთში, სამეგრელოში. რაჭა-ლეჩხუმში.

ნეოლითური ხანის მეურნეობის წყალობით ადამიანი უფრო ადვილად იკვებაედა თავს და უფრო ადვილადაც მრაველდებოდა. მოსახლეობა გახშირდა და ერთ ადგილას დაბინაედა. ხალხი ეხლა სოფლებად ცხოვრობდა. ჩამოყალიბდნენ ტომები. თვითეულ ტომს საკუთარი ენა ჰქონდა. ბევრი ეხლანდელი ენა იმდროინდელი ენების განვითარებით წარმოიშვა.

ტომები ცალკე გვარებისაგან შესდგებოდა. გვარში მხოლოდ ნათესავები შედიოდნენ. ერთ, გვარს ერთი სოფელი ეპირა ჩვეულებრივად. გვარის მეთაური გვარის უფროსი ქალი იყო, დიასახლისი. გვარის ქონება საერთო იყო, მუშაობდნენ აგრეთვე ერთად. მოწეულ მოსავალს, ნადირეს, სხვა შენაძენ საქონელსაც მეტნაკლებად თანასწორად იყოფდნენ.

ასეთ წყობილებას ჩვენ პირველყოფილ-თემურ წყობილებას ვეძახით.

ასეთი იყო მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში ამ 10—5 ათასი წლის წინათ.

საქართველოს უძველესი მოსახლეობა და ლითონის ხანა

ნეოლითის ხანაში საქართველოს მიწაწყალზე სხვა მოსახლეობა იყდა. ეს მოსახლეობა დიდი ხნის განმავლობაში ქვის იარაღს ხმარობდა. შემდეგში საქართველოს ამ ძველმა მოსახლეობამ ლითონის იარაღიც შემოიღო. ჯერ სპილენძის. შემდეგ ბრინჯაოსი. მაგრამ ბრინჯაოს იარაღის განვითარება მას ალარ დასცალდა. მის ცხოვრებაში დიდი ცვლილებები მოხდა. რადგანაც მას სამხრეთიდან ახალი ხალხები მოაწვნენ. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მოსულმა ხალხებმა დამხდური ტომების მიწაწყალი დაიჭირეს. მოსულნი უმთავრესად ქართულ მოდგმას ეკუთვნოდნენ. ქართველობამ ძველი მოსახლეობა ნაწილობრივ შეიერთა, ნაწილობრივ უფრო ჩრდილოეთისაკენ გადასწია.

ქართველტბა

ქართველი ერი სხვადასხვა მოძმე ტომისაგან შესდგა. ძირითადი მათ შორის იყვნენ: ქართები. მეგრელ-ჭანები და სვანები. არსებობდნენ სხვა ქართველი ტომებიც. რომლებიც ადრე გაქრნენ ისტორიული სარბიელიდან, რადგანაც ისტორიული პირობების უკუღმართობას ვერ გაუძლეს. ქართები, მეგრელ-ჭანები და სვანებიც ძველად ცალკე თემებად იყოფოდნენ. ქართების თემები იყვნენ ქართლელები. კახელები, ფშაე-ხევსურები. მთიულ-მოხევეები. იმერლები. გურულები. რაჭველები. ლეჩხუმელები და სხვები. ამ დაყოფის ნაშთები დღემდე არის შენახული. მაგ-

რამ ისინი თანდათან ქრებიან. მთელი ქართველობა ეხლა საერთო სამეურნეო და კულტურულ საქმიანობაშია ჩაბმული. საერთო ლიტერატურული ენა სწრაფად ვრცელდება და კუთხური კილოკავების ადგილს იჭერს. ქრება აგრეთვე ძველი კუთხური დრომოჭმული ზნე-ჩვეულება, რომელსაც ადგილს უთმობს ახალი, სოციალისტური ყოფა-ცხოვრება.

ასეთი ცვლილებები გამოიარეს ჩვენმა ტომებმა თავის დღევანდელ ტერიტორიაზე. მაგრამ ხანგრძლივი ისტორია ჰქონდათ ქართველ ტომებს მათს ძველ სამშობლოშიაც.

წინა-აზია უძველეს ხანაში. სუმერი

ქართველები და მათი მონათესავე კავკასიელი ტომები — ქისტები (ჩაჩან-ინგუშები), დაღისტნელები, აფხაზ-ჩერქეზები წარმოშობით წინა-აზიის უძველეს, მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნიან.

წინა-აზიას აზიის იმ ნაწილს ეძახიან, რომელიც მომწყვდეულია ოთხ ზღვას შუა — კასპიის, შავს, ხმელთაშუა ზღვებსა და სპარსეთის ყურეს შორის. მთელს ამ უზარმაზარ მიწაწყალზე, ზღვიდან ზღვამდე, ძველთაძველ დროში, ამ ექვსი ათასი წლის წინათ, ერთი მოდგმის ხალხები ცხოვრობდნენ. ამ მოდგმას მეცნიერები სხვადასხვანაირად ეძახიან — ზოგი ალაროდიელს, ზოგი იაფეტურს, ზოგი აზიანურს. ამ მოდგმის ხალხებმა შექმნეს ყველაზე ძველი კულტურული ცენტრები მსოფლიოში. კაცობრიობის კულტურისა და ცივილიზაციის აკვანი წინა-აზიაში დაირწა.

წინა-აზიის ამ უძველესი, მკვიდრი მოსახლეობის ერთი პირველი სახელმწიფოთაგანი იყო ს უ მ ე რ ი. სუმერს მესოპოტამიის სამხრეთი ნაწილი ეჭირა და უკვე მე-4 ათასეულში, ძველი წელთაღრიცხვით, იგი დაწინაურებული ქვეყანა იყო მთელი რიგი ისეთი დიდი ქალაქებით, როგორიცაა ური, ურუკი, ერიდუ, ლარსი, ნიპური, ლაგაში და სხვები. სუმერებმა გამოიგონეს ლურსმული წერა, რაც შემდეგში მათგან სხვა ხალხებმაც შეითვისეს. სუმერებმა შექმნეს მდიდარი ლიტერატურა. ცნობილია შესანიშნავი სუმერული ეპოსი გილგამეშის შესახებ. სუმერული თქმულებები წარღვნისა და სიცოცხლის ხის შესახებ გავრცელდა მთელ მსოფლიოში. დიდ სიმაღლეს მიაღწია სუმერულმა არქიტექტურამ და ხელოვნებამ. საყურადღებო შედეგებს მიაღწიეს სუმერებმა ბუნების შესწავლაშიაც, მაგალითად — ვარსკვლავთ-მრიცხველობაში.

სუმერის სახელმწიფო დაემხო მე-3 ათასეულის დამლევს, ძვ. წ., უცხო ხალხების შემოსევების გამო.

უკვე მე-4 ათასეულის დამლევიდან, ძვ. წ., წინა-აზიაში დრო-და-დრო იჭრებიან უცხო, ველური ტომები, რომელთაც აქეთკენ მკვიდრი მოსახლეობის სიმდიდრე იზიდავს. შემოსეულთა შორის განსაკუთრებით მრავალ-რიცხოვანი და ძლიერი იყვნენ სემიტები, რომელნიც არაბეთის ნახევარ-კუნძულიდან გადმოვიდნენ აქ. სემიტმა ტომებმა თანდათან დაიპყრეს ქვემო და შუა მესოპოტამია და აქ ორი სახელმწიფო შექმნეს — ბაბილონეთი და ასურეთი.

ბაბილონელებმა და ასურელებმა მთლიანად შეითვისეს ძველი სუმერული კულტურა და შემდეგში სხვა ხალხებსაც გადასცეს იგი.

ბაბილონ-ასურელების ენა ანუ, როგორც მას ეძახიან, აკადური სემიტური ენაა. არაბულსა და ებრაულს ენათესაებრა.

ჰარის ქვეყნები. მითანისა და ხეთას სახელმწიფოები

მას შემდეგ, რაც ქვემო და შუა მესოპოტამიაში სემიტები გაბატონდნენ. წინა-აზიის ძველი, მკვიდრი მოსახლეობის პოლიტიკურმა და კულტურულმა ცენტრებმა უფრო ჩრდილოეთისაკენ გადაინაცვლა, ჩრდილო-დასავლეთ მესოპოტამიასა და მცირე-აზიაში. ამ დიდს ტერიტორიას და მასთან ერთად ვანის ტბის მიდამოებსაც იმ ხანაში ჰარის ეძახდნენ. უძველეს ქართულს ხალხურ თქმულებაში დაცულია ხსოვნა იმის შესახებ რომ მცხეთის სამეფოს დამაარსებელი ქართველი ტომები აღ ჰარის ქვეყნიდან არიან გამოსულნი. ამ გადმოცემით, არიან-ქართლის (ე. ი. ჰარი-ქართლის) მეფის შვილმა აზომ წამოიყვანა თავის სამშობლოდან არიან-ქართველების 18 სახლი ანუ საგვარეულო, დაასახლა ისინი მტკვრის ხეობაში, თვითონ რეზიდენციად ძველი მცხეთა აირჩია და ამრიგად მცხეთა-არმაზის ანუ ქართლის (კავკასიური ქართლის) სამეფო დააარსა. ეს გარდმოცემა შეტანილია უძველეს ქართულ საისტორიო თხზულებაში, „ქართლის მოქცევაში".

ჰარის ქვეყნებიდან უველაზე მეტად დაწინაურდა მითანის სახელმწიფო, რომელიც ასურეთის ჩრდილო-დასაელეთით მდებარეობდა. მეორე ათასეულის პირველ ნახევარში მითანი იყო წინააზიის უველაზე ძლიერი და უველაზე კულტურული სახელმწიფო. მითანიმ დაიპყრო ასურეთი და რამდენიმე საუკუნე იგი მორჩილებაში ჰყავდა. ჰარიული კულტურა, განსაკუთრებით ხელოვნება, რომლის კერა სწორედ მითანის სახელმწიფოში იყო, მთელ წინააზიაში გაბატონდა.

მითანელების მონათესავე ხალხებმა ჯერ კიდევ მე-3 ათასეულში მცირე აზიაშიაც შეაქშნეს თავისი კულტურული ცენტრი და სახელმწიფო. ეს იყო ხათი ანუ ხეთა. მეორე ათასეულის პირველი ნახევრიდან ხეთას მოსახლეობა რამდენადმე გამოიცვალა, მაგრამ გაბატონებული მაინც ძველი, ადგილობრივი კულტურა დარჩა. მეორე ათასეულში ხეთაც ძლიერი სამეფო იყო.

მალე ატყდა ბრძოლა პირველობისათვის ხეთასა და მითანის შორის, რამაც ხელი შეუწყო ჯერ მითანისა და შემდეგ ხეთას დასუსტებას. ამით ისარგებლა ასურეთმა და მე-15 საუკუნეში, ძვ. წ., თავი გაითავისუფლა მითანის ბატონობისაგან. მე-13 საუკუნისათვის ასურეთის სამეფომ თავისი ძლიერების მწვერვალს მიაღწია და მეზობლებს შეუტია. თანდათან დასუსტდნენ და ბოლოს დაემხვნენ კიდეეც მითანისა და ხეთას სამეფოები.

ჰარი-ქვეყნების, კერძოდ — მითანის, მოსახლეობა სუბარებად იწოდებოდა. მათი ენა კიდევ — სუბარულად. სუბარების ქვეყანას ასუ-

რელები ს უ ბ ა რ თ უ-საც ეძახდნენ, რაც ს უ ბ ა რ ე თ-ს ნიშნავს. ასურელების წარმოდგენით, მთელი მსოფლიო ოთხ ნაწილად იყოფოდა: აკადი (ე. ი. ბაბილონ-ასურეთი), ელამი (ასურეთისაგან აღმოსავლეთით მდებარე ქვეყანა), ამურუ (ასურეთისაგან დასავლეთით მდებარე ქვეყანა) და სუბართუ (ასურეთიდან ჩრდილოეთით). აქედან ჩანს თუ როგორი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სუბარეთს. სუბარების დაბარსებულია ასურის სახელ-განთქმული დედა-ქალაქიც.

მითანის და ხეთას ტერიტორიაზე მრავალი ისტორიული ნაშთია დღემდეც შემონახული. ისინი მოწმობენ ამ ქვეყნების მაღალ კულტურას. მითანელებმა და ხეთელებმა საკუთარი მდიდარი ლიტერატურაც შეიქმნეს. ეს ხალხებიც მეტ-წილად ლერსმულ დამწერლობას ხმარობდნენ, ზოგიერთ რაიონებში-კი — ხატოვანსაც. ამ მწერლობის ძეგლები ჯერ ბოლომდის ამოკითხული არ არის.

თაბალები და მუსკები

მას შემდეგ, რაც მითანის სახელმწიფო დაეცა, მისი მოსახლეობაც დაიშალა უფრო წვრილ ტომებად. ამ სუბარული ტომებიდან, ევფრატის დასავლეთით მდებარე რაიონში, მეორე ათასეულის დამლევისა და პირველი ათასეულის დამდეგისათვის, ისევ გაძლიერდა ორი ხალხი — თაბალები და მუსკები, როგორც მათ ასურელები ეძახდნენ. მუსკები მერმინდელი მესხები არიან, სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის წინაპარნი. თაბალი იგივე სუბარია. თაბალ-სუბარისაგან წარმოსდგა მერმინდელი ჰ ი ბ ე რ ი ანუ ი ბ ე რ ი, აღმოსავლეთ საქართველოს, ქართლის სამეფოს, მოსახლეობის სახელი. ამ სახელს სხვადასხვა ენასა და ეპოქაზე სხვადასხვანაირად გამოსთქვამდნენ ძველ დროში: იაბალი, იუბალი, თიბარენი და სხვა. თაბალ-სუბარები ქართველების ეშეალო წინაპრები არიან. მუსკებს ასურელები უკვე მე-11 ს. დამდეგიდან ებრძვიან. მაშინ მუსკები იმდენად ძლიერნი ყოფილან, რომ ზოგჯერ თვითონ იპყრობდნენ ასურეთის მიწა-წყალს და დაემორჩილებელ ხალხად თვლებოდნენ. მუსკები მისდევდნენ მაშინ მევენახეობასა და მესაქონლეობას და აგრეთვე ლითონის დამუშავებას. მუსკების მეფე მიტა ანუ მიდასი განთქმული იყო ძველ დროში.

უკვე მე-11 საუკუნეშივე იხსენიებენ ასურელები აგრეთვე სუბარების ქვეყანას ანუ სუბართის და „მისს ამაყსა და ურჩ ხალხს“ მაგრამ განსაკუთრებით მრავლდება ცნობები სუბარ-თაბალების შესახებ მე-9 საუკუნიდან. ამ დროიდან მოყოლებული, ჩვენ ვხედავთ რომ სუბარ-თაბალებს რამდენიმე სამეფო-საერთაშორისო მოეპოვებათ.

ევფრატის დასავლეთით მდებარე თაბალი დიდი ქვეყანა იყო. ასურელების ცნობებით, რომლებიც ლერსმულ წარწერებშია შენახული, თაბალი 24 სამეფოსაგან შესდგებოდა. თაბალების ამ 24 სამეფოსა თუ სამთავროს განუწყვეტლივ ებრძოლნენ ასურელები. 836 წელს ასურეთის მეფე სალმანასარ მე-3 მე-22-ჯერ გადასულა მდინარე ევფრატს.

თაბალის ქვეყანას შესევია და იქაური 24 მეფისაგან ძღვენი მიუღია.. 827 წელს სალმანასარს დაულაშქრავს როგორც დასავლეთის თაბალი, ისე ჩრდილოელი სუბარების ოლქები — ჰუბუშკია, მუსასირი, ურარტუ, მანა, ანდია და სხვები. რომელთაც ეანისა და ურმიის ტბების მიდამოები, ევფრატის სათავეები, არაქსისა და მტკვრის ხეობები ეკირათ. ჩრდილოელი სუბარებისაგან ასურელებს ძღვნად უღელს შეჩვეული ცხენები, ცხვარი და სხვა შინაური საქონელი მიუღიათ.

დასავლეთის თაბალებს ებრძოლა ასურეთის მეფე ტიგლათ-პილესარ მესამეც (745—727). ერთს თავის წარწერაში ის იკვეხის: თაბალის მეფე ვასურმე ასურეთს არაფრად აგდებდა და არც მე შეპეებოდათ. მის სამეფო ტახტზე მე სხვა დაესვი და ძღვენიც მივიღე—10 ტალანტი ოქრო. 1000 ტალანტი ვერცხლი, 2.000 ცხენიო და სხვა. ერთი მთავარი მათი ქალაქთაგანი იყო მილითი. მილითის ოლქის დედა-ქალაქი, შემდეგში ცნობილი მელიტენა. სხვა ქალაქებიც ბევრი ჰქონდათ.

დასაელელი თაბალების ქვეყანა მთა-გორიანი იყო. აქ ხალხი ფართოდ მისდევდა მესაქონლეობას. განსაკუთრებით განთქმული იყვნენ თაბალები თავისი საუკეთესო ჯიშის მაღალი ცხენებით. გარდა ამისა, თაბალები დახელოვნებული მეტალურგები იყვნენ და ვერცხლის ცნობილი მაღაროები ჰქონდათ.

ცნობები მუსკებისა და თაბალების შესახებ „დაბადება“-ში. ქართველების უძველესი კულტურა

ებრაელების განთქმული წიგნი „დაბადება“ ანუ „ბიბლია“ შეიცავს კაცობრიობის ყველაზე ძველს საისტორიო თხზულებებს. ამ თხზულებათა ავტორები ცდილობდნენ, რამდენადაც შეეძლოთ, აეხსნათ მათთვის ცნობილი ხალხების წარმოშობა და მონათესაობა, და მათი ისტორიული მდგომარეობის შესახებაც ხსოვნა შეენახათ შთამომავლობისათვის. „ბიბლიის“ წიგნები იხსენიებენ მუსკებს მეშეხ-ების სახელით და თაბალებსაც, სხვადასხვა სახელით. ამ წიგნების შემდგენელნი, ჩანს, თაბალების სამ დიდ ჯგუფს იცნობდნენ: იაბალებს, იუბალებს და თუბალებს ანუ თუბალ-კაინებს. იაბალის შესახებ „დაბადებაში“ ნათქვამია: „ესე იყო შამაი მკვიდრთა კარვებისათა, საცხოვარისა მზდელთა“-ო. ეს ნიშნავს რომ თაბალების ეს ტომი განთქმული იყო თავისი მესაქონლეობით. იუბალის შესახებ ნათქვამია, რომ ის „იყო გამომაჩინებელ საფსალმუნისა და ებნისა“-ო. ე. ი. თაბალების ეს მეორე ტომი თავისი ხალხური მუსიკით იყო განთქმული. მესამე ჯგუფი კი, თუბალი ანუ თუბალ-კაინი, მეტალურგიული ხელოვნებით ყოფილა განთქმული: „ესე იყო კვერით ხუროი, მჭედელი რვალისა და რკინისა“-ო, ე. ი. აქ მჭედლობა. „კვერით ხუროობა“, ყოფილა გავრცელებული და ამუშაებდნენ სპილენძსა და რკინას. „კაინ“-იც ამიტომ შეერქვა ამ ჯგუფს („კაინ“ სემიტურად „მჭედელს“ ნიშნავს).

მართლაც, ქართველი ტომები, ძველთაძველი დროიდან მოყოლებული, ცნობილი იყვნენ დანარჩენი ხალხებისათვისაც თავიანთი მაღალი ჯიშის

შინაური საქონლით — ცხენით, ძროხით, ცხვარით. კულტურული მცენარეების გაშენებაშიაც ქართველ ტომებს დიდი ღვაწლი მიუძღვით კაცობრიობის წინაშე — ქართველები იყვნენ ერთი პირველი ხალხთაგანი, ვინც ყველაზე ადრე მოაშინაურა პურეული მცენარეები და კაზი. მეტალურგიაც ქართველებში იმდენად იყო განვითარებული, რომ ზოგიერთი მადნის სახელი სხვა ხალხებს ქართველებისაგან აქვთ შეთვისებული. ბერძნული სიტყვა „ხალიფს“, რაც „ფოლადს“ ნიშნავს, ხალიბების ტომის სახელისგან არის ნაწარმოები. ევროპული ტერმინი „ბრონზა“, „ბრინჯაო“ სუბარების მადანს ნიშნავს.

ჩრდილოეთის სუბარები. შარატუ. მანა

ჩრდილოეთისაკენ იმ ხანაში სუბარული ტომები უკვე კავკასიონამდე ვრცელდებოდნენ. აქ მათ რამდენიმე სამეფო-სამთავრო ჰქონდათ, რომელთაგანაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყვნენ ბიაინასა და მანას სამეფოები. ბიაინას უმთავრესად მდ. ზაბის სათავეები და ევფრატის მიდამოები ეკირა, მანა-კი მის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობდა. ეს სამეფო-სამთავროები ებრძოდნენ ერთმანეთს პირველობისათვის. მე-9 საუკუნის დამლევისათვის უპირატესობა ბიაინას დარჩა. განსაკუთრებით გაძლიერდა ბიაინა მეფეების შენუასა და მისი შვილის არგიშტის დროს (მე-8 საუკუნის პირველი ნახევარი). არგიშტის დაემორჩილნენ ყველა სუბარული სამთავრო და მცირე-აზიელი ხეთებიც. არგიშტის მრავალრიცხოვანი ლაშქრობანი ასურეთის წინააღმდეგ აგრეთვე ყოველთვის გამარჯვებით მთავრდებოდა. ამ ამბავს დიდს, გაერთიანებულ სახელმწიფოს მეზობელი ხალხები, კერძოდ — ასურელები ურარტუს ეძახდნენ. მე-8 საუკუნის დამლევიდან იწყება ურარტუს დაქვეითება შუღმივი ბრძოლის შედეგად როგორც შიგნით, ცალკე სამთავროებს შორის, ისე გარეშე მტრებთანაც — ასურელებთან და კიმერიელებთან. კიმერიელების ანუ გიმირის ტომი მე-8 საუკუნის დამლევს შემოესია წინა-აზიას და დიდი ცვლილებები მოახდინა აქ. დიდი ენება მიაყენეს კიმერიელებმა, კერძოდ, ურარტუს ხალხებს.

მე-8 საუკუნის დამლევიდან კვლავ დამოუკიდებელი ხდება მანას სამეფო, რომელსაც ადგილობრივ ს უ ბ ი-საც (-ოვიე სუბარი) ეძახდნენ.

ურარტუ. საერთოდ, და განსაკუთრებით კი მანა-სუბი მაღალ-კულტურიანი ქვეყნები იყო. ურარტუელები ანუ ხალდები (ზოგი მეცნიერი ფიქრობს რომ ურარტუელები თავიანთ თავს ხალდებს ეძახდნენო) კარგი მეტალურგები იყვნენ. რკინის დამუშავებაში მათ სხვა ხალხებსაც-კი წაკლეს. რკინის იარაღით ურარტუელები კლდეში საუცხოო ციხე-დარბაზებსა და მთელ ქალაქებსაც ჰკვეთდნენ. ამ ხელოვნების ნიმუშია საქართველოში ქალაქი უფლის-ციხე. ურარტუელებმა იცოდნენ აგრეთვე დიდი შენობების აგება უდელაბოდ. ასეთი ნაგებობანიც გვხვედებიან ჩვენ საქართველოში. ურარტუელები არხების გაყვანის ოსტატებიც

იყენენ: მრავალრიცხოვანი არხებით რწყავდნენ ისინი თავიანთ მინდვრებს.

ასეთივე იყო მანნა-სუბის სამეფოს კულტურაც საერთოდ. მაგრამ სოფლის მეურნეობა მანნაში კიდევ უფრო განვითარებული იყო. 714 წ., ძვ. წ.. ასურეთის მბრძანებელმა სარგონმა თავისი ლაშქრით გაიარა მანნას ქვეყნის უდიდესი ნაწილი. სარგონი გაკვირვებული დარჩა ოქაური ხალხის კულტუროსნობითა და დოვლათიანობით. მანნაველების მდგომარეობას ჩვენც შეიძლება გაეცნოთ სარგონის აღწერილობის საშუალებით. მანნას ქვეყანა დაფარული ყოფილა დიდი და პატარა არხებით, რომელნიც რწყავდნენ ნოყიერ მინდვრებს. ალმართებში არხებიდან წყალი აჰყავდათ. როგორც ჩანს. ბორბლებით. რომლებსაც აქლემები ატრიალებდნენ. ხორბალი. ქერი და სხვა პურეული იმდენი მოჰყავდათ, რომ ძველი მოსაველით ბეღლები გატენილი ჰქონდათ. მარცვლად და ფქვილად. სთესდნენ სპეციალურ ბალახებსაც კი. ცხენების საკვებს. აშენებდნენ გულდაგულ ტყეებს, მაგ. ჰალრის ხეებისას, და რგავდნენ დეკორატიულ მცენარეებს. მაგ.. კიპაროზებს. მთელი მანნა მოფენილი იყო ხეხილის ბაღებითა და ვენახებით. რომლებიც. სარგონის თქმით „წვიმასაით უხვ ხილსა და ყურძენს" ისხამდნენ. სარგონის ჯარისკაცებს გული უკერებიათ კეთილი ღვინით მანნას მარნებში, რომლებიც საესე ყოფილა ღვინიანი გუდებით. მრავლად ჰყოლიათ მანნა-სუბიელებს შინაური საქონელი — მსხვილი რქოსანი პირუტყვი. ცხვარი. ცხენი. განსაკუთრებით განთქმული ყოფილან სუბიელები თავისი მეცხენეობით, აქაურ მცხოვრებთ მეცხენეობა-ცხენოსნობაში მეტოქე არა ჰყავთ მთელ ურარტუშიო, ამბობს სარგონი. ცხენებს აშენებდნენ როგორც ველზე გაშვებულ ჯოგებად, ისე თავლაში დაბმითაც. ცხენებს მანნა-სუბიელები ხედნიდნენ უმთავრესად ეტლებში შესაბმელად (აქ უფრო სათმარი ეტლები იგულისხმება). ამ მხრივ სუბიელების ოსტატობა აოცებდა ასურელებს: ისე ჰყავთ სუბიელებს ცხენები გაწვრთნილი, რომ არას დროს არ გასტეხენ ეტლის უღელსო. ურარტუს სამეფო ჯარს აქედან მისდიოდა ცხენები. მოსახლეობა ძალიან მჭიდრო ყოფილა: აქაური ციხე-ქალაქები ურიცხვია, როგორც ვარსკვლავნი ცისანიო, ამბობს სარგონი. თვითონ შენობებიც ხელოვნურად და მტკიცედ ყოფილა ნაგები, ქვისა და აგურის კედლებით და დიდი კიპაროზის თავხეებით (კოპებით). ქალაქები გარსშემორტყმული ყოფილა მეტად განიერი, მაგარი კედლებით, ბურჯებითა და ღრმა თხრილებით.

თავის შრომას ხალხი თურმე „მხიარული სიმღერებით" ახალისებდა, როგორც ამბობს სარგონი, მაგრამ ასურელებმა მათ ცეკვა და მახვილი მოუტანეს. ხალხი მტერს არც ერთ მტკაველს არ უთმობდა უბრძოლველად. სუბიელებს მთის მწვერვალებზე სვეტები ჰქონიათ აღმართული. რომლებზედაც ასურელების მიახლოებისას ცეკვას ანთებდნენ და შორეულ თემებს ატყობინებდნენ: გაფრთხილდით და მოემზადეთ, მტერი შემოგვესიაო. სამხედრო სიგნალიზაციის ასეთი წესი აქვს აღწერილი რუსთაელს, როცა ამბობს: „კეთილსა შეიქმენ ლაშქარნი"-ო. გაითვრე-

ბელი ბრძოლა გაუმართეს ასურელებს მანნაველებმა, მაგრამ მტერი ბევრად უფრო მრაელრიცხოვანი იყო და გამარჯვებაც მას დარჩა. ქვეყანა აოხრდა, ხალხი-კი ზოგიერთი თემებიდან მთლიანად აიყარა და ჩრდილოეთისაკენ გადაიხვეწა. ასე ხდებოდა ხოლმე ხშირად მოსახლეობის გადასელა ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში.

აი, როგორ ასწერს თვითონ სარგონი თავის მოქმედებას მანნას ერთერთ თემში „ასურის ჯარებით მე კალიასაით დავფარე მათი ქალაქები... მე დავწვი მათი მშვენიერი სადგომები... ქერისა და ხორბლის უშველებელი ხვავები, რომელსაც ისინი მრავალი დღის განმავლობაში აწყობდნენ თავიანთ ბეღლებში ქვეყნისა და ხალხის შესანახავად, მე დავატვირთინე ჩემს ჯარებს ცხენებსა, ჯორებსა, აქლემებსა და ვირებზე და დავაწყობინე ჩემს ბანაკში, როგორც მთები. ჩემს კაცებს უხვი საჭმელი ვაჭამე, რამდენიც შეეძლოთ. მათ შეაგროვეს სანოვაგის უხვი მარაგი უკან ასურეთში წასაღებადაც. მე აეჩეხე მათი დიდებული ხეხილის ბაღები და მათი ურიცხვი ვენახები, მე ბოლო მოვუღე მთელს მათ სასმელს. მე აეჩეხე მათი დიდი ტყეები, რომლებიც ლელიანივით ხშირი იყო, უდაბნოდ ვაქციე ეს ქვეყანა და დავწვი მოჩრილი ხეები... 146 ქალაქი მათს მიდამოში მე დავწვი, როგორც ბუჩქნარი, და, როგორც გრიგალმა, კვამლით დავფარე პირი ზეცისა“-ო. ასე იქცეხის ეს ბარბაროსი.

ქართველი ტომების დაცვიდრება ამიერ-კავკასიაში

იმ ხანაში, რომელსაც ეკუთვნის ცნობები თაბალ-სუბარების, მუსკებისა და ურარტუელების შესახებ, ქართველი ტომები უკვე ამიერ-კავკასიაშიაც, კერძოდ — საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზედაც სხედან. ქართველი ტომები ყველანი ერთად არ შემოსულან ამიერ-კავკასიაში. სხვებზე ადრე აქ სვანები მოვიდნენ, სვანებს მეგრელ-ჭანები მოჰყვნენ, ყველაზე გვიან-კი აქ ქართები დამკვიდრდნენ.

ქართველ ტომთა მოძრაობას ის დიდი ცვლილებები იწვევდა, რომლებიც წინა-აზიის ცხოვრებაში ხდებოდა. ასეთი იყო, მაგ., მითანის სახელმწიფოს დაშლა მეორე ათასეულის შუაში და შემდეგ ასურეთის გაძლიერება იმავე ათასეულის დამლევისათვის. სამხრეთიდან მოწოლილმა მძლავრმა და დაუნდობელმა მტერმა ქართველი ტომების ერთი ნაწილი დასავლეთისაკენ გადასწია, მეორე ნაწილი-კი — ჩრდილოეთისაკენ. მეორე ათასეულის დასასრულისათვის, ძვ. წ., ქართველ ტომებს უკვე მთელი საქართველოს ტერიტორია უჭირავთ.

ქართველ ტოტთა უძველესი კულტურული წრეები საქართველოში

ქართველების უძველესი კულტურული წრეების შესახებ საქართველოში ჩვენ არქეოლოგიური მასალის საშუალებით ვმსჯელობთ. ჩვენი ნიადაგი ჯერ კიდევ კარგად შესწავლილი არ არის. მხოლოდ საბჭოთა მთავრობის დახმარებით მოახერხეს არქეოლოგებმა ფართო და წესიერი

გათხრების მოწყობა საქართველოში. დიდმა გათხრებმა მცხეთა-სამთავროში, კოლხეთის დაბლობში, წალკაზე ჩვენ უმდიდრესი მასალა შეგვძინა. ნივთიერი კულტურის ეს ნაშთები წარსულის უტყუარი მოწმეა.

ქართველმა ტომებმა ამიერ-კავკასიაში განვითარებული ბრინჯაოს კულტურა მოიტანეს. შემდეგში ეს კულტურა ვითარდებოდა უკვე ადგილობრივ. მაგრამ წინა-აზიის მონათესავე კულტურასთან კავშირში. მეორე და პირველი ათასეულების მიჯნაზე (ძვ. წ.) საქართველოში უკვე ორი მაღალი კულტურის კერა არსებობდა — დასავლური და აღმოსავლური. ეს ბრინჯაოს კულტურები იყო — იარაღის მასალად აქ უპირატესად ბრინჯაო იხმარებოდა. ეს ორი კულტურული წრე ქართველი ტომების ორს გაერთიანებას შეესაბამება — დასავლურ ქართულსა და აღმოსავლურ ქართულს.

ძველი კოლხური ბრინჯაოს კულტურა

დასავლური კულტურული წრე შეიცავდა მთელს დასავლეთ საქართველოს, ჩრდილოეთ-კავკასიის მთიანეთს მდ. თერგის დასავლეთით, მდინარე ჭოროხის ხეობასა და შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს (ამ კულტურის ძეგლები ნაპოვნია ოსმალეთის ქალაქ ორდუშიაც). ეს ის ტერიტორიაა, რომელიც შემდეგში კ ო ლ ხ ე თ ა დ იწოდებოდა. ეს უძველესი კოლხური ბრინჯაოს კულტურა განვითარების მაღალ დონეზე იდგა. ბლომად არის ნაპოვნი იმდროინდელი სასოფლო-სამეურნეო იარაღი — თოხი, ბარი, წალდი (ისეთი, დღესაც რომ დასავლეთ საქართველოში ხმარობენ). ბევრია აღმოჩენილი იმდროინდელი საბრძოლო იარაღი, ხანჯალი, შუბი, განსაკუთრებით—სატმარი ცული. ეს ძველი კოლხური სატმარი ცული ძალიან ნიშანდობლივია ამ კულტურისათვის. კოლხური ბრინჯაო უმთავრესად იმ სპილენძისაგან კეთდებოდა, რომლის მადნები დღესაც არსებობს ჭოროხის ხეობაში.

აღმოსავლურ-ქართული ბრინჯაოს კულტურა

აღმოსავლურ-ქართული კულტურის წრე შეიცავდა მთელს აღმოსავლეთ საქართველოს ალაზნის გალმა მხარით, სევანის ტბის მიდამოებსა და არაქსის ხეობას. თუ რამდენად შორს ვრცელდებოდა სამხრეთისაკენ ეს კულტურა, ჯერ გამორკვეული არ არის, რადგანაც იქ არ უწარმოებიათ გათხრები.

დღევანდელი ქართლი, ჩანს, მაშინაც ისეთი ცენტრალური თემი იყო, სადაც ერთმანეთს ხვდებოდა და თავის კულტურულ გამოცდილებას უზიარებდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა. აქ პოულობენ ხოლმე როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური კულტურის ძეგლებს.

ამ აღმოსავლური კულტურისათვის ნიშანდობლივია ბოლოკვეთილი მახვილები, ჩუგლუგები ნახევრად მრგვალი პირით, პრტყელი ისრის წვერები, გრძელი შუბის წვერები. იმდროინდელი საომარი საჭურველიდან

გვხვდება აგრეთვე ფარი. იმდროინდელი მშვილდი კაცზე უფრო მალალი ყოფილა.

ნაპოვნია აქ აგრეთვე სამეურნეო იარაღი: ცული, სხვადასხვანაირი ცული, ნამგალი, დანა, ნემსი, სადგისი და სხვა საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების ნივთებში ყურადღებას იქცევს კვირისთაევში, სარტყელები, ღილები.

დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი ჭურჭლეულობაც, უძველეს ხანაში მეტწილად თიხისა და ნაწილობრივ — ბრინჯაოსი, ვერცხლისა, ოქროსი.

როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ამ ძველს, ბრინჯაოს ხანის სამარხებში დიდი რაოდენობით გვხვდება სხვადასხვა სამკაულები: ბეჭდები, რაც ჩვენს წინაპრებს განსაკუთრებით ჰყვარებიათ. საყურეები, სამაჯურები, ათასნაირი მძივები. სარტყლები თავისი ბალთებითა და ამბზინდებით.

მუსიკალური ინსტრუმენტებიდან სამთავროში იპოვნეს ძვლის სალამური.

აღმოსავლეთ საქართველოს ეს ბრინჯაოს კულტურა იმავე სუბარებს ეკუთვნის, რომლებსაც ბერძნები მე-6—მე-5 საუკუნეებში საბერებს ეძახდნენ, მე-4 საუკუნიდან კი—იბერებს. ე. ი. ქართველი ტომების აღმოსაველური შტოს წინაპრებს.

ქართველ ტომთა განვითარების ხანა ბრინჯაოს ხანაში

იმ ხანაში. რომლის ნივთიერი ნაშთები ჩვენ ზემოთ გაეცანით, საქართველოს მოსახლეობა უკვე ძირითადად მიწისმოქმედებას მისდევდა. მოჰყვადათ სხვადასხვა პერეულები—ხორბალი. ქერი, ფეტვი. იმდროინდელი ხორბლეულის ნაშთები ნაპოვნია ჩვენს ნიადაგში.

მისდევდნენ შეევნახეობასაც — განათხარ მასალებში ყურძნის კურკაც არის აღმოჩენილი.

ფართოდ იყო განვითარებული, ჩანს, მესაქონლეობაც. შინაური პირუტყვიდან ჰყავდათ ცხვარი, ძროხა, ღორი, ცხენი, ძაღლი და სხვა.

მაღალ დონეზე იდგა ხელოსნური წარმოება. ჩანს, უკვე იყვნენ კარგად გაწაფული ოსტატები, რომელნიც აკეთებდნენ მშვენიერს თიხის ჭურჭელს, ზოგჯერ საეცხოდ მოხატულს, საუკეთესო ბრინჯაოს იარაღს, ლამაზი ორნამენტით შემკულს, მატყლისა და ხელის ქსოვილებს. რომლებიც საზღვარ-გარეთაც იყო ცნობილი. ასურელები, მაგალითად, იხსენიებენ თავის წარწერებში „კილხურ“ მატყლისა და ხელის ქსოვილებს. „კილხი“-ს კი ასურელები კოლხეთს ეძახდნენ.

დამახასიათებელია ბრინჯაოს ხანის ქართველების ყოფა-ცხოვრებისათვის ცხენის ეტლი, რომელსაც უმთავრესად ბრძოლაში ხმარობდნენ. კაკასიელი სუბარების მიერ გაკეთებული ეტლები ეგვიპტეშიაც კი გაჰქონდათ თურმე.

დიდად განვითარებული ყოფილა იმდროინდელ საქართველოში ხელოვნება. თიხების უველა ნივთს, განსაკუთრებით-კი — სამკაულებს. ჭურჭ-

ლეულობას, იარაღს. საყოფაცხოვრებო საჭიროების საგნებს (მაგ. სარტყლის ბალთებს) ალამაზებდნენ, რთავდნენ ჩუქურთმით. ადამიანის, შინაური და გარეული ცხოველების, მცენარეების, ნივთების გამოსახულებით. ნივთების ეს გარეგანი მორთულობა და მოხატულობა მოწმობს იმდროინდელ ხელოვანთა დაოსტატებისა და გემოვნების მაღალ დონეს. ამასვე ამჟღავნებს თვით ნივთების ნაკეთობაც. საუცხოო ნიმუშები იმდროინდელი ხელოვნებისა აღმოჩენილ იქნა წალკაზე 1936—1939 წლებში. ეს ნივთები, საქართველოშივე ნაპოვნ იმავე ხანის ზოგ სხვა საგნებთან ერთად, მსოფლიო ღირებულების ძეგლებია.

ხუროთმოძღვრების (არქიტექტურის) ყველაზე ძველი ძეგლები ჩვენს ქვეყანაში ეგრეთ-წოდებული მ ე გ ა ლ ი თ ე ბ ი ა. „მეგალითი" ბერძნული სიტყვაა და „დიდ ქვას" ნიშნავს. ეს ძეგლები დიდი ლოდებისაგან არის აგებული. მაგრამ უკიროდ და უდუღაბოდ. საქართველოში. განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, ბლომად მოიპოვება მეგალითური ხასიათის ციხედარბაზები, ნაქალაქარები. დოლმენები (ჩვეულებრივად ხუთი ლოდისაგან გაკეთებული ბინაა, მეტწილად — მიცვალებულისათვის). მენჰირები (მიწაში ჩასმული მაღალი ქვის სვეტები) და „ვეშაპები" (მიწაში ჩასმული უზარმაზარი სალოცავი თევზის გამოსახულებანი).

მეგალითურ ძეგლებს ც ი კ ლ ო პ უ რ ს ა ც ეძახიან, როგორც ვითომც ზღაპრული არსებების, ციკლოპების, მიერ აშენებულთ. ჩვენში-კი ხალხი მათ გ მ ი რ თ-ნ ა კ ე თ ე ბ ს, დ ე ვ თ ა-ნ ა ს ა ხ ლ ა რ ე ბ ს, ქ ე ა-კ ა ც ე ბ ს და სხვა ამნაირ სახელებს უწოდებს.

ეს მეგალითები ბრინჯაოს ხანის ძეგლები უნდა იყოს. თუმცა ზოგ მეცნიერს ისინი უფრო ძველად მიაჩნია.

უკვე ბრინჯაოს ხანაში ჩვენს წინაპრებს ალებ-მიცემა უწარმოებიათ საკმაოდ შორეულ მხარეებთან — ხმელთაშუა ზღვის. მცირე-აზიის, მესოპოტამიის ქვეყნებთან და ეგვიპტესთანაც. ფულად ბრინჯაოს რგოლებიც გამოუყენებიათ.

უკვე იმ დროს ბარის მოსახლეობაში მდიდარი ხალხი განირჩეოდა ღარიბებისაგან. საზოგადოებრიეი უთანასწორობაც უკვე გაჩენილი იყო. ჰყავდათ მონებიც. არსებობდნენ უკვე მთავრებიცა და, იქნებ, მეფეებიც. წალკაზე ნაპოვნია ამ ხანის სამთავრო თუ სამეფო სამარხები.

მაგრამ სიმდიდრე და სიღარიბე. დიდკაცობა და სიბეჩავე-უუფლებობა განსაკუთრებით გაძლიერდა და გაერცელდა მას შემდეგ. რაც რკინა გაჩნდა.

რკინის ხანის დასაწყისი საქართველოში

ჩვენში რკინა ჯერ კიდევ პირველი ათასეულის დამდეგს შემოვიდა. ჩვ. წ., მაგრამ ბრინჯაოს იარაღი მას შემდეგაც კარგა ხანს იხმარებოდა. რკინის იარაღის კეთებაზე ნელ-ნელა გადადიოდნენ. თავდაპირველად რკინა ძნელი საშოვარიც იყო. ამიტომ ხმარობდნენ მას მაშინ სამკაულე-

ბის მასალად. შემდეგ, როცა რკინის იარაღი გავრცელდა, შრომის ნაყოფიერებაც დიდად გაიზარდა. ამან დააჩქარა ქვეყნის განვითარება.

რკინის დამუშავების საქმეში კავკასია-ურარტუს დიდი ღვაწლი მიუძღვის კაცობრიობის წინაშე. მეცნიერება ჩვენს ქვეყანას რკინის მეტალურგიის ერთერთს უძველეს ცენტრად სთვლის.

რკინასთან ერთად ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო.. გაფართოვდა ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან. გაჩნდა ლიტერატურული ცნობებიც კავკასიისა და საქართველოს შესახებ.

საქართველოს უძველესი ქალაქური და სამოქალაქო ცენტრები

რადგანაც ჩვენ ბრინჯაოს ხანის საქართველოს შესახებ წერილობითი ცნობები არ მოგვეპოვება, ამიტომ იძულებული ვართ არქეოლოგიური მასალის მიხედვით ვიმსჯელოთ ძველი ცენტრების შესახებ. წალკის გათხრები გვაფიქრებინებს რომ ერთერთი ასეთი ცენტრთაგანი შესაძლებელია სწორედ იქ ყოფილიყო. მაგრამ განსაკუთრებით თვალსაჩინოა რომ ქართლის მერმინდელი დედა-ქალაქი. მცხეთა-არმაზი, უკვე ბრინჯაოს ხანაშიაც ერთი მთავარი და დიდი ქალაქთაგანი უნდა ყოფილიყო. ამის მოწმეა იმდროინდელი სასაფლაოები, რომლებიც მცხეთა-არმაზს ყოველი მხრიდან გარს არტყია. განსაკუთრებით დიდი და მნიშვნელოვანია მათ შორის სამთავროს სასაფლაო. სამთავროს სასაფლაოზე მცხეთელებს თავიანთი მიცვალებულების დამარხვა უკვე ბრინჯაოს ხანაში (მეორე და პირველი ათასეულების მოკნაზე) დაუწყიათ. მაშინ მკვდარს ღრმა ორმოს ფსკერზე, პირდაპირ მიწაზე სდებდნენ და გარშემო რიყის ქვით ამაგრებდნენ საფლავს. ხუთი-ექვსი საუკუნის შემდეგ. რკინის ხანაში, თანდათან ახალი დამარხვის წესი შემოსულა. მიცვალებულებს ეხლა მეტწილად ქვევრებში სდებდნენ. ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგისათვის-კი მიცვალებულები უკვე ქვა-ყუთებსა და კრამიტით ამოყვანილ საფლავებში უმარხავთ. მცხეთაში მაშინ იმდენად მრავალრიცხოვანი ყოფილა მოსახლეობა, რომ სამთავროს სასაფლაოს დიდი ტერიტორიაც მისთვის საკმარისი არ აღმოჩენილა. სხვადასხვა დროს საფლავები ერთმანეთის თავზე უკეთებიათ. ასე გაირჩევა სამთავროში საფლავების სამი სართული ანუ ფენა.

სამთავროს სამარხები უმდიდრეს მასალას შეიცავენ, რომლის საშუალებითაც ჩვენ შეგვიძლია შევისწავლოთ ჩვენი წინაპრების ცხოვრების ყველა მხარე დიდი ხნის განმავლობაში. თხუთმეტი საუკუნის სიგრძეზე.

ქართველი ტომების უძველესი სარწმუნოება

ქართველების ძველთაძველი რწმენით, მთელი ბუნება განსულიერებული და განპირობებული იყო. ბუნების სხვადასხვა მოვლენებს, მცენარეებს, ცხოველებს შეგნებული არსების, ადამიანის თვისებებს მიაწერდნენ. ფიქრობდნენ რომ ამ ბუნების ძალებსა და მოვლენებს შეეძლოთ

თაეის ნებაზე ადამიანებისათვის კეთილიც ეჭნათ და ავიც. საჭიროა ამიტომ თაყვანი-ვცე მათ, მსხვერპლი და ძღვენი მივართვა და ლოცვა შევსწირო, რომ ჩემკენ კარგი თვალით მოიხედონო, ასე ეგონათ მაშინ.

ამნაირად წარმოიშვა ჩვენი წინაპრების ღმერთები. ძველ ქართველებს გალმერთებული ჰყავდათ ცის მნათობები — მზე, მთვარე და სხვა ცთომილები. მზე ქალ-ღმერთი იყო, მთვარე-კი—ვაჟი. შვიდი მნათობის სახელები კვირის დღეებსაც შეარქვეს. ამგვარი დღის სახელები დღესაც არის შენახული დასავლურ ქართველურ ენებში — ჭანურ-მეგრულში და სვანურში. მეგრულად, მაგალითად, კვირას „ბჟაშხა" ანუ მზის დღე ჰქვიან, ორშაბათს — „თუთაშხა" ანუ მთვარის დღე. სამშაბათს მეგრულად ჰქვიან „თახაშხა", ჭანურად—„ტიკინაჩხა". ეს მარსის დღეს ნიშნავს, მარსი კი ომიანობის ღვთაებად ითვლებოდა. მართლაც, ხეთელები ომიანობის ღმერთს „ტარკუ"-ს ანუ „ტარხონ"-ს ეძახდნენ.

ერთი ღვთაება უფროსად იყო მიჩნეული და მას „ღმერთს" უწოდებდნენ (მეგრულად — ღორონთი, ჭანურად — ღორმოთი, სვანურად — ღერბეთ). შემდეგ მოდიოდნენ სხვა მსხვილი და წვრილი ღვთაებები. წვრილ ღვთაებებს „ღვთის შვილებს" ეძახდნენ — ღმერთებსაც ისეთსავე ურთიერთობას მიაწერდნენ, როგორც ადამიანებს ჰქონდათ. იყვნენ, მაშასადამე, მამა-ღმერთებიც და დედა-ღმერთებიც.

შემდეგში ქართველ ტომებში სხვა რელიგიები გავრცელდა. ამ რელიგიების წყალობით ძველი ქართული სარწმუნოების სახე ძალიან შეიცვალა, აქა-იქ კიდეც სავსებით წაშალა. მხოლოდ ხალხმა, განსაკუთრებით — მივარდნილ მთიან ადგილებში, შეინახა ახალ დრომდე ნაწილობრივ ეს ძველი რწმენები გარდმონაშთის სახით. ჩვენ ვსწავლობთ ამ გარდმონაშთებს ძველი ქართული წარმართობის სურათის აღსადგენად.

ასე, მაგ., აკად. ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია, რომ წმინდა გიორგის დღობა მთვარის თაყვანისცემის ნაშთია. დოც. ე. ბარდაველიძემ გამოიკვლია რომ წმ. ბარბალე, რომელსაც ხალხში თაყვანს სცემდნენ, ძველი მზის ღვთაებაა. სუმერულად მზეს ბარბარა ჰქვიან. თაყვანს სცემდნენ ისეთ წვრილ ღვთაებებს, როგორიც იყო „ადგილის დედა", „ფუძის ანგელოზი" და სხვა. სწამდათ აგრეთვე სხვადასხვა „ავი სულის" არსებობა.

ქართული სიტყვა „ტაროსი", რაც დარს ნიშნავს. დარისა და ავდარის ძველი ღმერთის სახელია. ასეთი ღმერთი ჰყავდა ყველა სუბარულ ტომს. ხეთელი ხეთები მას სწორედ ტ ა რ ო-ს ეძახდნენ.

ჩვენი მთიელები თაყვანს სცემდნენ კ ო პ ა ლ ა ს ა და კ ვ ი რ ი ა ს. პირველი მცირე-აზიური ღვთაება კ უ ბ ე ლ ე ს მოგვაგონებს, მეორე — ბერძნულ კ უ რ ი ო ს ს („უფალს" ნიშნავს).

ძველი ქართული წარმართული რწმენები წინა-აზიური წარმოშობისაა.

თვითონ სიტყვა „ღმერთი"-ც იმდენად ყოფილა ძველად გავრცელებული. რომ მცირე-აზიაში იგი ბერძნებსაც შეუთვისებიათ „ჰერმეს"-ის სახით. ჰერმესს ბერძნები ვაჭრობის, მეცნიერებისა და მისელა-მოსელის საშუალებათა ღვთაებად სთვლიდნენ.

რელიგიურ რწმენებთან სარწმუნოებრივი თქმულებები იყო დაკავშირებული. ქართველ ხალხში მრავალი ამგვარი თქმულება იყო გავრცელებული. ასეთია, მაგალითად, შესანიშნავი თქმულება ამირანის შესახებ, რომელიც შემდეგში ბერძნულ პრომეთეს მითოსად იქცა, სვანური თქმულება კლდის ღმერთის დალის შესახებ, რომლის სახელი ეხლაც ისმის ქართულ-სომეხურებში, დელი-დელა-დილას სახით და მრავალი სხვა.

ეს ძალიან ძველი თქმულებებია. სვანეთში დარჩენილა ძველი დღეობა-საგალობლები, რომლებიც ღვთაება მ ე ლ ი ა ს ტ ე ლ ე ფ ი ა ს წასვლასა და მოსელასთან არის დაკავშირებული.

როგორც აკადემიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა შენიშნა, ეს ორივე ძველი ხეთური თქმულებაა ნაყოფიერების ღმერთის ტ ე ლ ე ფ ი ნ უ ს შესახებ, რომელიც მოკვდა ბუნებასთან ერთად ზამთარში, რომელსაც ეძებდნენ მორწმუნეები და რომელიც დაბრუნდა გაზაფხულზე.

საქართველო მონათმფლობელობის ხანაში

საქართველოს მეზობელი ქვეყნები მე-7 და მე-6 ს-ში ძვ. წ.

მე-7 — მე-6 საუკუნეებში საქართველოს მეზობელ ქვეყნებში დიდი ცვლილებები მოხდა. მოიშალა და დაემხო ძველი სახელმწიფოები, ხოლო მათ ადგილას აღმოცენდა ახალი. ბევრმა ტომმა გამოიცვალა თავისი ადგილსამყოფელი. ახალი მიწა-წყალი დაიპყრო და დაპყრობილი ტერიტორიის მოსახლეობა ან გააძევა, ან შეიერთა, ან მოსპო. მოსულებისა და დამხდურების შეერთებით საფუძველი ჩაეყარა ახალ ხალხებსაც.

ურარტუს სამეფო მე-7 საუკუნის დამდეგისათვის საკმაოდ დასუსტებული იყო გამუდმებული ბრძოლის გამო ასურეთთან და კიმერიელებთან. კიმერიელებს მოჰყვნენ სკვითები. მიდიელები და სპარსელები. ურარტუს სამეფოს სწორედ მიდიელებმა მოუღეს ბოლო მეექვსე საუკუნის დამლევს.

მიდიელებმა შემუსრეს აგრეთვე ასურეთი, რომელიც მეშვიდე საუკუნეში წინა-აზიის ყველაზე ძლიერი სახელმწიფო იყო. მიდიელების წინამძღოლმა კიაქსარმა 612 წელს აიღო ასურეთის დედაქალაქი ნინევია.

მაგრამ არც მიდიელების ბატონობა გამოდგა ხანგრძლივი. მალე პირველობა სპარსელების ხელში გადავიდა. სპარსელების მეფემ კიროსმა 550 წელს დაატყვევა მიდიელების მეფე ასტიაგი და მიდიის სამეფოც დაიპყრო. კიროსი ამ გამარჯვებას არ დასჯერებია. მან ჯერ ლიდია შემოიერთა და ამით ხმელთაშუა ზღვისაკენ გაიკაფა გზა. შემდეგ ბაბილონი დაიმორჩილა. ასე წარმოიშვა სპარსეთის უზარმაზარი სახელმწიფო, რომელსაც აქემენიდების სამეფოსაც ეძახიან, იმიტომ რომ კიროსი და მისი მემკვიდრეები აქემენიდების საგვარეულოს ეკუთვნოდნენ.

მეშვიდე-მეექვსე საუკუნეში მცირე აზიაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ ლიდიას, სატახტო ქალაქით სარდით, და ზღვისპირა ბერძნულ სახელმწიფო-ქალაქებს. ბერძენი ტომები აქ საბერძნეთიდან მოვიდნენ, დიდი ხნის წინათ. და ეგეოსის ზღვისპირას დამკვიდრდნენ, ძველ მცხოვრებლებთან ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ. ბერძენ ტომთაგან აქ განსაკუთრებით ძლიერი იყვნენ იონიელები, რომლებმაც მთელი რიგი

ქალაქები დააარსეს. იონიელების აქაურ ქალაქთა შორის ყველაზე დიდი და მდიდარი იყო მილეთი. მცირეაზიელი ბერძნები, განსაკუთრებით იონიელები, მარჯვე ვაჭრები და ხელოვანი მეზღვაურები იყვნენ და შორეულ ქვეყნებში დადიოდნენ ალებმიცემისათვის. ძალიან ადრე ისინი კავკასიასა და საქართველოშიაც მოვიდნენ და აქაურ ხალხებთან კავშირი დაამყარეს. ამიტომაა რომ ძველი ქართველები ბერძნებს ზოგჯერ „იონებს“ ეძახდნენ — ჩვენი წინაპრები რომ ბერძნებს ხვდებოდნენ, ისინი უფრო ხშირად იონიელები იყვნენ.

მეშვიდე საუკუნეში ბერძნებს დიდი ზიანი მიაყენეს თრაკიიდან შემოსეულმა კიმერიელებმა. ხოლო როცა სპარსელები გაძლიერდნენ, მათ მცირეაზიაც ხელში ჩაიგდეს. 546 წ. ლიდია დამორჩილდა კიროს აქემენიდს, ცოტა ხნის შემდეგ კი ბერძნებმაც სპარსელების ბატონობა ალიარეს.

კავკასიონისა და შავი ზღვის ჩრდილოეთით მეშვიდე-მეექვსე საუკუნეში სკვითები და სავრომატები ანუ სარმატები პირველობდნენ. სკვითებს ევჩრით ტერიტორია მდ. დუნაიდან მდ. დონამდე. დონიდან აღმოსავლეთით კი უკვე სარმატების მიწა-წყალი იწყებოდა. „სკვითია“ და „სარმატია“ კრებითი მნიშვნელობის სახელი იყო და მრავალს სხვადასხვა მოდგმის ტომს ალნიშნავდა. სარმატებად სთვლიდნენ, მაგალითად, ქართველების მონათესავე კავკასიელ ტომებსაც — ჩერქეზებს, ქისტებსა და ხევსებს.

მეშვიდე-მეექვსე საუკუნეებში განსაკუთრებით ძლიერი იყვნენ სკვითები. სპარსელების მეფემ დარიოსმა, რომელიც დარწმუნებული იყო, დედამიწის ზურგზე ჩემი სწორი არავინ არისო, სკვითების დამორჩილება სცადა. 514—513 წ. წ. დარიოსი უზარმაზარი ლაშქრით შეესია სკვითეთს, მაგრამ მწარე დამარცხება იწვნია.

ბერძნული კოლონიზაცია შავი ზღვის სანაპიროზე და უძველესი ბერძნული ცნობები საქართველო-კავკასიის შესახებ

მეშვიდე საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე მეხუთე საუკუნის დამდეგამდე ძველ წელთაღრიცხვით, ბერძნებმა დასახლება იწყეს შავი ზღვის ჩრდილოეთსა და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. ეს, მეტწილად, მცირე აზიის იონიელები იყვნენ.

ძველთაძველი დროიდანვე კავკასია-საქართველოს ხალხებს საკმაოდ ურთიერთობა ჰქონდათ ეგეოსის ზღვის ხალხებთან. ამ გაკვალულ გზებს შემდეგში ბერძნებიც მიჰყვნენ. მეშვიდე საუკუნისათვის ეს ძველი საერთო ურთიერთობა იმდენად ფართო და ცხოველი გახდა, რომ ბერძნებმა საჭიროდ დაინახეს შავი ზღვის სანაპიროზე მუდმივი ბინა გაეჩინათ. ჯერ მათ ფეხი მარმარილოს ზღვაზე ანუ პროპონტიდაზე მოიკიდეს. შემდეგ თითონ შავ ზღვაზედაც შეუდგნენ ახალშენების დაარსებას.

ყველაზე მეტი ახალშენი შავი ზღვის სანაპიროზე მილეთმა გაიჩინა. მილეთი ამ დროს წინააზიის უდიდესი საეკრო ქალაქი იყო. მილეთის ნავთსადგურში თავდებოდა ძველი ქვეყნის ყველაზე დიდი საეკრო გზა, რომელიც გადიოდა ლიდიის დედაქალაქ სარდზე, მდ. ლალისზე. მდ. ევფრატზე, ირანზე და შემდეგ შუა აზია-ინდოეთისაკენ მიემართებოდა. მილეთი იმავე დროს დიდი კულტურული ცენტრიც იყო. როცა ბერძნები პირველად მოვიდნენ მცირეაზიაში. აქ ჯერ კიდევ ძლიერი იყო ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლეობის — სუმერების, ხეთების, ჰარების ანუ ჰურების — კულტურა, კაცობრიობის უძველესი კულტურა. ბერძნებმა შეითვისეს ეს კულტურა და საფუძვლად დაუდეს იგი თავის ეროვნულ ცივილიზაციას. ამიტომაა რომ ბერძნულ კულტურის აკვანი სწორედ აქ დაირწა, მცირე აზიაში. აქაურ ქალაქებში ჩაისახა და განვითარდა ბერძნული სამეცნიერო და პოეტური მწერლობა, ბერძნული ხელოვნება. მეშვიდე-მეექვსე საუკუნეებში ამ მხრივაც პირველი ადგილი მილეთს ეჭირა.

საქართველოში ყველაზე ძველი ბერძნული ახალშენები იყო ფაზისი ანუ ფასიდი. დიოსკურია, პიტიუნტი. ეს იყო სანავთსადგურო ქალაქები. ფაზისი დღევანდელი ფოთის ადგილას იდო, დიოსკურია—სოხუმის ადგილას ან მის მახლობლად, პიტიუნტი, რომელსაც ძველი ქართველები ბიჭვინტას ეძახდნენ, მდინარე ბზიფის შესართავთან მდებარეობდა, აფხაზეთში.

ბერძნებს აქ ყველაზე მეტად ვაჭრობა აინტერესებდათ. ჩვენს ქვეყანაში და, საერთოდ, კავკასიაში ბერძნებს ბევრი თაეისთვის საჭირო საქონელი ეგულებოდათ. მეორე საუკუნის. ძვ. წ.. ბერძენი მწერალი პოლიბიოსი, ამბობს: „პონტოში ბევრი რამ არის. სხვა ხალხების ცხოვრებისათვის სასარგებლო... პონტოს გარშემო მდებარე ქვეყნები გვაწვდიან, აუცილებელი საარსებო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. პირუტყვს და უეჭველად საუკეთესო მონებს უდიდესი რაოდენობით, ფუფუნების საგნებიდან კი უხვად გვაძლევენ თაფლს, ცვილს (თაფლის სანთელს) და დამარილებულ თევზს. ხოლო იმ ნაწარმოებიდან, რითაც მდიდარია ჩვენი ქვეყნები, ღებენ ზეთსა და ყოველგვარ ღვინოს. პურითაც ალებმიცემობენ ჩვენთან, ხან გვაწვდიან საჭიროების დროს, ხან ღებენ". გარდა ამისა, ბერძნებს გაჰქონდათ სელი და სელის ქსოვილები. ბეწვეული, ტყავები, ძვირფასი ხის. მაგ. ბზის, მასალა. საშენებელი ხეტყე, ოქრო და სხვა ლითონები. შემოჰქონდათ კიდევ თავიანთი ხელოსნების ნაწარმოები: ქსოვილები. იარაღი, ჭურჭლეულობა და სხვა.

„პონტოს" ბერძნულად ნიშნავს „ზღვას". ასე ეძახდნენ ბერძნები. შემოკლებით, შავ ზღვას, სრულად კი მას „პონტოს ექსინოსს" ანუ „სტუმართმოყვარე ზღვას" უწოდებდნენ.

პონტოს ნაპირებზე დამკვიდრებამ და აქაურმა პრაქტიკულმა ინტერესებმა ბერძნებს ცნობისმოყვარეობა გაუცხოველა — რა ხალხები ცხოვრობენ „სტუმართმოყვარე ზღვის" სანაპიროზე. როგორია მათი ზნე-ჩვეულება, მეურნეობა, გზები, საზოგადოებრივი წყობილება და ისტო-

რია, როგორია აქაური ბუნებაო. ამგვარ ცნობებს ყველა ეაჩრები, მეზღვაურები და სამხედრო პირები ჰკრეფდნენ. შემდეგ-კი იმდროინდელი მეცნიერები ამუშავებდნენ და აფართოებდნენ.

საქართველოს შესახებაც უძველესი ლიტერატურული ცნობები ბერძნულმა წყაროებმა შემოგვინახეს. მათ შორის ყველაზე ძველი და მნიშვნელოვანი ცნობები დაგვიტოვეს გეოგრაფებმა და ისტორიკოსებმა: ჰეკატე მილეთელმა (VI ს.), ჰეროდოტემ (V ს.), ჰიპოკრატემ (V ს.), ქსენოფონტემ (V ს. დამლევი და მეოთხე საუკუნის დამდეგი), პოეტებმა: ჰესიოდემ (VIII ს.), პინდარმა (V ს.), ესქილემ (V ს.) და სხვებმა.

ძველი ბერძენი მწერლების წყალობით ჩვენ ბევრი რამ შეგვიძლია შევიტყოთ ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი მდგომარეობის შესახებ.

უძველესი სახელმწიფოები საქართველოს ტერიტორიაზე. კოლხეთი

ყველაზე ძველი სახელმწიფო დღევანდელ საქართველოს ტერიტორიაზე კოლხეთი იყო. კოლხეთის სამეფო ჯერ-ჯერობით არის წარმოშობილი. თუ მისი უძველესი მდგომარეობის შესახებ არქეოლოგიური ნაშთები მოგვითხრობენ, შეექვსე საუკუნიდან მოყოლებული. ძველი წელთაღრიცხვით, ბერძენი მწერლები გვაწვდიან ცნობებს. ძველი კოლხეთის სამეფო ერცელ მიწა-წყალს შეიცავდა. აფხაზეთიდან მოყოლებული შორს სამხრეთისაკენ შავი ზღვის გასწვრივ. ბერძენი კოლონისტების სახელგანთქმული ქალაქები ტრაპეზუნტი და კერასუნტი კოლხეთში მდებარეობდა, ისევე როგორც ფაზისი, დიოსკურია და პიტიუნტი. კოლხეთის დედაქალაქი იყო ა ი ა, რომელიც მდ. ფაზისზე მდებარეობდა. ფაზისს ეძახდნენ მაშინ რიონს მდ. ყვირილას შესართავამდე და ამის ზემოთ თვით ყვირილასაც.

დაწინაურებული, მდიდარი ქვეყანა იყო იმდროინდელი კოლხეთი. ტყუილად კი არ გააშენეს ბერძნებმა ამდენი ქალაქი კოლხეთის სანაპიროზე. ბერძნული ახალშენების მკვიდრნი ეაჭრობდნენ კოლხებთან და დიდ სარგებელსაც იღებდნენ. გაიზარდა და გამდიდრდა ეს ქალაქები. მარმარილოსაგან ნაკეთები საუცხოო შენობებით, კარგი ნაეთსადგურებით. არხებითა და წყალსადენებით. მტკიცე ქალაქის კედლებით შეიმკო და გამაგრდა პიტიუნტი და დიოსკურია. ფაზისი და ტრაპეზუნტი.

ყოველი მხრიდან მოდიოდნენ თაეიანთი ფულით ეაჭრები კოლხეთში, რომ აქაური ძვირფასი საქონელი შეეძინათ. ამ უცხოელი ეაჭრებისაგან დარჩენილს სხვადასხვა ქვეყნის ფულს დღესაც პოულობენ დას. საქართველოს ნიადაგში.

ეს ეაჭრობა სასარგებლო იყო კოლხებისათვისაც. ერთმანეთშიაც კოლხებმა ისეთი ალებმიცემა გაიჩალეს, რომ მათ უკვე უცხოეთიდან შემოტანილი ფული აღარ ჰყოფნიდათ. მეხუთე საუკუნიდან კოლხეთის მეფეებმა საკუთარი ფულის ჭრა დაიწყეს. ეს ეერცხლის ფული იყო, რომელზედაც, ჩვეულებრივ, ერთ მხარეს ხარისთავი იყო გამოსახული, მე-

ორე მხარეს კი — კოლხების ქალ-ღმერთი. ფულს სხვადასხვა ზომისას სჭრიდნენ. კოლხურ ფულს ეხლაც ბლომად პოულობენ დას. საქართველოში. სამკაულები იცოდნენ ოქროსი, ვერცხლისა, ბრინჯაოსი — სამკურე, ბეჭედი, ქინძისთაევები, სხვადასხვა ცხოველის გამოსახულებანი. უყვარდათ ბრინჯაოს ფართო ქამრის თავები ანუ ბალთები, რომლებზედაც გამოსახული იყო სხვადასხვა ცხოველი. უყვარდათ სხვადასხვა მძივისაგან გაკეთებული ყელსაბამებიც. კოლხებმა კარგი თიხის ჭურჭლის კეთებაც იცოდნენ. თიხისაგან კუბოსაც აკეთებდნენ. ზოგჯერ კიდევ მიცვალებულს ქვევრში ასაფლავებდნენ.

მკვდრებს სამარეში, ფულის გარდა, ყოველგვარ იარაღს, ჭურჭლეულობასა და სამკაულებსაც აყოლებდნენ, ვისაც შეძლება ხელს როგორ მისცემდა. მიცვალებულის ჭირისუფალი დარწმუნებული იყო, სიკვდილს შემდეგაც ეს ნივთები ისევე საჭიროა, როგორც სიცოცხლეშიო.

როცა იმდროინდელი კოლხების საფლავებს ესხნავთ, ხედავთ რომ ზოგ სამარეში მდიდარი კაცია დამარხული, ზოგში-კი — ღარიბი. ზოგისთვის ბევრი ოქრო-ვერცხლი, იარაღი და ფული გაუტანებიათ საიქიოს, სხვებისთვის — ცოტა. აშკარაა, კოლხებში ქონებრივი უთანასწორობა იმ დროს მტკიცედ იყო ფეხგადგმული. უფრო იშვიათად ისეთი სამარხებიც გეხვდება რომ საფიქრებელია, აქ მეფე ან ვინმე მთავარი უნდა იყოს დაკრძალულიო.

ძველი ბერძნული თქმულებები კოლხების შესახებ

უცხოელებს აკვირვებდა კოლხეთის ბუნების სიუხვე. ხალხის ნიჭიერება და დაწინაურება. კოლხეთიდან სამშობლოში დაბრუნებული ბერძნები ბევრ საკვირველ ამბავს მოეთხრობდნენ კოლხეთის შესახებ თანამემამულეებს. შემდეგში ეს ამბები თქმულებებად გადაიქცა, უველა კულტურულ ხალხში გავრცელდა და. ამრიგად. კოლხეთის სახელოვანი ისტორია მთელ მსოფლიოს მოედო. ლენინმა აბალგაზრდა სტალინს „მგზნებარე კოლხიდელი" უწოდა, როცა პირველად გაიცნო. ამით ლენინს უნდოდა ეთქვა რომ ამხანაგი სტალინი ქართველია, ამ დიდი და ძველი კულტურის მქონე ქვეყნის შვილი. და იმავე დროს ახალი კაცობრიობის ბედნიერებისათვის მგზნებარე მებრძოლი.

განსაკუთრებით ცნობილია თქმულებები პრომეთესა და არგონავტების შესახებ. პრომეთე ესიგივე ქართული ამირანია, რომლის შესახებ თქმულება ბერძნებმა აქ გაიგონეს და შემდეგ თავის სამშობლოში გაავრცელეს. პრომეთეს თქმულება ხიბლავდა როგორც ძველ ბერძენ პოეტებს, ისე ახალი დროის მწერლებსაც, იმიტომ რომ ამ თქმულებაში გამოხატული იყო თავისუფლებისმოყვარე და ამაყი ადამიანების ტიტანური ბრძოლა ბუნებისა და საზოგადოების ბნელ ძალებთან და კაცობრიობის პირველი, მნიშვნელოვანი ნაბიჯი ცივილიზაციის გზაზე. ბევრმა პოეტმა გამოიყენა ამიტომ პრომეთეს თქმულება თავისი ნაწარმოების არაკად. ბერძენ მწერალთა შორის ამ მხრივ პირველნი იყვნენ ჰესიოდე (VIII ს.)

და ესქილე (V ს.). ესქილეს ეკუთვნის სახელგანთქმული ტრაგედია „მიჯაჭული პრომეთე“.

თქმულების შინაარსი ასეთია. ტიტანების შთამომავალმა, პრომეთე იაპეტის ძემ, მოსტაცა ზეციდან ღმერთების მეუფეს, ზევსს, ცეცხლი და მოუტანა იგი ადამიანებს. ცეცხლის საშუალებით ადამიანებმა თავი დააღწიეს ცხოველურ მდგომარეობას. აზროვნების უნარი შეითვისეს და ყოველგვარი ხელოვნება გამოიგონეს. ცეცხლის საშუალებით შესძლეს მათ ლითონის დამუშავებაც. განრისხებულმა ზევსმა მძიმე ჯაჭვით შებორკა კაცობრიობის განმანათლებელი, გმირი პრომეთე და დააბა იგი კავკასიონის ქედზე, რომლის მწვერვალები ვარსკვლავებს სწვდება. ზევსისავე ბრძანებით ფრთაგრძელი ორბი უკორტნის პრომეთეს უკვდავ ღვიძლს, რომელიც ღამ-ღამობით კვლავ მთელდება. „მოკვდავნი“ კი. ე. ი. ადამიანები, პრომეთეს მხარეზე არიან: კოლხეთის ასულნიც, რომელნიც ომში უშიშარნი არიან, კავკასიონის მახლობლად აღმართული მაღალი ციხის მცხოვრებთა მრისხანე ლაშქარიც, რომელიც წვერწამახულ შუბებით ხმაურობს, და სკვითების მრავალრიცხოვანი ტომები, ყველანი თანაუგრძნობენ პრომეთეს ტანჯვას. თვით პრომეთე უდრეკია და ამაყი. იგი მზადაა აიტანოს ყოველგვარი ტანჯვა, ოღონდ ზევსს არაფერი დაუთმოს. პრომეთე თავისთავს ზევსზე უფრო ძლიერ არსებადაც კი ჰგრძნობს, იმიტომ რომ პრომეთემ იცის საიდუმლოება, რომელიც დაფარულია ყველა სხვისაგან, თვით ზევსისაგან. ეს არის საიდუმლოება იმ მიზეზის შესახებ, რომელიც ოდესმე დაამხობს ზევსსა და მის ძალაუფლებას. ბოლოს გმირი ჰერაკლე მართლაც მოჰკლავს მტარვალ ორბსა და გაათავისუფლებს პრომეთეს.

არა ნაკლებ ცნობილია მეორე ბერძნული თქმულება არგონავტების შესახებ. კოლხეთში მეფობს აეტი, ჰელიოს-მზის შვილი. აეტს ჰყავს ასული, მშვენიერი მედეა. ყოველგვარ სხვა სიმდიდრის გარდა, აეტი მფლობელია „ო ქ რ ო ს ს ა წ მ ი ს ი ს ა ც“, ე. ი. ვერძის ოქროს ტყავისა. ამ ვერძით ოდესღაც ფრიქსმა და ჰელამ, რომელნიც ავ დედინაცვალს გაქცეოდნენ, გადაიარეს ჰელესპონტი და შავი ზღვა და თავი შეაფარეს კოლხების ქვეყანას. აქ ფრიქსმა ვერძი მსხვერპლად მიიტანა და ვერძის ოქროს ტყავიც ზევსს შესწირა. თქმულებამ რომ კოლხეთში „ოქროს საწმისია“ დაცული, სურვილი აღუძრა საბერძნეთის გმირებს, იასონის მეთაურობით, წასულიყვნენ კოლხეთში ამ ძვირფასი განძის მოსაპოვებლად. იასონმა და მისმა რაზმმა პირველად შეასრულეს ისტორიაში ასეთი შორეული საზღვაო მგზავრობა. მათს ხომალდს სახელად ერქვა „არგო“, და ამიტომ იასონსა და მის მხლებლებსაც „არგონავტები“ ეწოდათ.

არგონავტები მოვიდნენ კოლხეთში და მდინარე ფაზისით ავიდნენ კოლხეთის დედაქალაქ აიაში, რომელიც ამავე ფაზისის ნაპირზე იდო. სიმდიდრით და სილამაზით ბრწყინავდა მტკიცედ შემოზღუდული სამეფო ზაჯდომში: მაღალი სასახლეები, ფართო კარები და სვეტების მწყობრი რიგი კედლების გარშემო, სპილენძით გამაგრებული ბურჯები, ფოთოლმწვანე, მდიდრულად დაბურული ვაზები, დაუშრობელი წყაროები, რო-

მელთაც რძე, ღვინო, სურნელოვანი ზეთი და წყალი სდიოდათ. აქ ცხოვრობდა კოლხეთის მეფე, საშინელი ხმისა და უზარმაზარი ღონის მქონე, აეტი. იასონი წარუდგა აეტს და სთხოვა მას ოქროს საწმისი, სამაგიეროდ შენი მტრების, სარმატების, წინააღმდეგ დაგეხმარებით. აეტი პირობას უდებს იასონს, მოგცემ საწმისს, თუ ჩემისთანა საგმირო საქმეს შეასრულებო.

კოლხეთის მეფემ მოიყვანა სპილენძისჩლიქებიანი ხარები, რომელთაც სპილენძისავე პირიდან ცეცხლი ამოსდიოდათ, მარტომ დაადგა ხარებს უღელი და შეაბა ისინი მაგარი ფოლადისგან გაჭედილს, შეუმუსვრელ გუთანში. თავისი გუთნით სწორე კელები გააელო აეტმა და ერთი მხარის სილრმეზე მოხნა მიწა, ხარები კი სპილენძის ჩლიქებით აფშენეედნენ ბელტებს.

იასონი ეერასოდეს ეერ შეასრულებდა ამ საქმეს, მაგრამ მას დაეხმარა კოლხეთის მეფის ასული, რომელსაც შეუყვარდა ბერძენი ეაქაკიმედეა გრძნეული იყო და პრომეთეს წამლის კეთება იცოდა. როდესაც ხარმა ორმა კავკასიონის კალთებზე წამებული პრომეთეს სქელი სისხლი დალვარა, მაშინ ამოვიდა უცხო ყვავილი, რომლის წვენისგანაც დაყენა მედეამ თავისი წამალი, ვინც ამ წამალს ტანზე დაიცხებდა, მას ვერაფერს აკლებდა ხმალი და ცეცხლი და ძალ-ღონეც ემატებოდა. ეს წამალი გადასცა იასონს მედეამ ჰეკატეს ტაძარში, სადაც კოლხების მეფის ასული სწრაფად მაეალი ეტლით მივიდა. იასონმა შეასრულა, ამ გზით, აეტის პირობა. შემდეგ იასონმა, ისევ მედეას დახმარებით, მოჰკლა უშეელებელი გველეშაპი, რომელიც კავკასის მიწისგან იყო ნაშობი და რომელიც სდარაჯობდა არეოსის ტყეში მუხის წვერზე დაკიდულს ოქროს საწმისს. არგონავტებმა დაისაკუთრეს ეს ძვირფასი განძი, მოიტაცეს თვით მედეაც და მალულად გაეშურნენ შინისაკენ. გაძარცულმა აეტმა მდევარი გამოუყენა არგონავტებს, მაგრამ კოლხების ცდამ ფუჭად ჩაიარა, ხოლო აეტის ვაჟი, აფსირტი, დაიღუპა ამ დევნაში.

არგონავტების თქმულებაც ბევრმა პოეტმა გალექსა, მათ შორის ძველმა ბერძენმა პოეტებმა — პინდარმა (V ს., ძვ. წ.) და აპოლონი როდოსელმა (III ს., ძვ. წ.).

კიდევ ბევრი სხვა თქმულება და ამბავი დადიოდა ბერძნებში კოლხეთის შესახებ. ბერძნები ამტკიცებდნენ, მაგალითად, რომ კოლხების ქვეყანაში გველეშაპის დათესილი კბილებიდან ეაქაკები იზრდებიან, რომელნიც ჯაჭვით შემოსილნი და მტრისათვის უძლეველნი არიანო.

ეს ლამაზი თქმულებები კოლხეთის ნამდვილი ცხოვრებისა და ბუნების ანარეკლზე იყო აშენებული. ჰეშმარიტება აქ პოეტებისა და მერმინდელ თაობათა მიერ იყო შეფერადებული.

უკვე ძველი ბერძენი მეცნიერები ფიქრობდნენ, არგონავტების თქმულება დაკავშირებულია კოლხეთში ოქროს მოპოეებასთანო. განთქმული სტრაბონი (I ს.), მაგ., მოგვითხრობს რომ კოლხებისა და სვანების ქვეყანაში „წყლის ნაკადებს ჩამოაქვთ ოქრო და ბარბაროსები აგროვებენ

ჭას დაჭრეტილი რიყეებისა და ბანჯგვლიანი ტყავების საშუალებით. ამბობენ, რომ აქედან წარმოიშვა ზღაპარი ოქროს საწმისის შესახებაო". მეორე მწერალი, ხარაქს პერგამელი-კი (II ს., ახ. წ.) ამტკიცებს რომ „ოქროს საწმისი არის მხოლოდ ოქროს მოპოვების წესი, რომელიც დაწერილი იყო ტყავებზე. ამ ღირსშესანიშნავი წესის გულისათვის იყო სწორედ ლაშქრობა მოწყობილი ხომალდ არგოთი“-ო.

მართლაც, ოქრო ნამდვილად არის დას. საქართველოს მდინარეებში და ეხლა მისი მოპოვებაც წარმოებს.

ოქროს ვერძის ლეგენდა შესაძლებელია მიუთითებდეს აგრეთვე კოლხური ცხვრის ჯიშზე, რომელიც თავისი მაღალი ღირსების მატყლით იყო განთქმული.

ფოლადის გუთანი, პილენძის ჩლიქებიანი ხარი, ღრმა და სწორე ხნული — არგონავტების თქმულებაში, — იმის გამომხატველია რომ, ბერძნების ცნობით, ძველი კოლხები ხელოვანი მიწისმოქმედნი იყვნენ და ლითონის გაუმჯობესებული იარაღით სარგებლობდნენ.

მედეას გრძნეული წამალი ხალხური სამკურნალო საქმის განვითარებაზე მიუთითებს. ქართველ ხალხში ეხლაც ბევრი საუცხოო და სასარგებლო წამლის დამზადება იციან.

გველეშაპის კბილებიდან გაზრდილი ვაჟკაცების თქმულება იმის მომასწავებელია, რომ ქართველი ხალხი, რომელიც გაკაჟებული იყო უთვალავ მტრებთან ბრძოლაში, დაღუპული ვაჟკაცების ადგილას ახალ-ახალს, გულუშიშარს და უდრეკ გმირებს წარმოშობდა, რომელნიც გაალმასებით იცავდნენ მშობელი ქვეყნის თავისუფლებას.

ტყავზე დაწერილი წესი ოქროს მოპოვებისა დამწერლობის არსებობას გულისხმობს. ძველ კოლხურ ჭურჭელზე ამოჭრილია ნიშნები, რომლებიც ძალიან ჰგავს ძველ ქართულ ასოებს.

მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ კარგად არ ვიცით, როდის შემოვიდა დას. საქართველოში პირველად დამწერლობა. ეს კია რომ უკვე მესამე საუკუნის (ძველი წელთაღრიცხვით) ბერძენი მწერლები ამასაც ამტკიცებდნენ: კოლხებს ეხლაც შენახული აქვთ ფიცრები, რომლებზედაც მათი მამა-პაპის მიერ წარწერებია გაკეთებული და მოგზაურებისათვის ნაჩვენებია ყველა გზა და წყლისა და ხმელეთის საზღვრებიო. ასეთი ფიცრები გეოგრაფიული რუკები უნდა ყოფილიყო.

ქართველი ტომები და აქემენიდების სამეფო

კოლხეთის სამეფოს პირველი დიდი ზიანი, ჩანს, სპარსელებმა მიაყენეს.

როცა ჯერ კიროსმა, ხოლო შემდეგ დარიოსმა თავისი უზარმაზარი სახელმწიფო შეჰქმნეს, მათ ნაწილობრივ ქართველი ტომების დამორჩილებაც მოახერხეს. სხვებზე ადრე ის ტომები იქნენ დაპყრობილნი, რომელნიც ეხლანდელ ამიერ-კავკასიაზე სამხრეთით ცხოვრობდნენ. მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში, ძე. წ., სპარსეთის იმპერიის ორი ჩრდი-

ლოეთით მდებარე ოლქი ანუ სატრაპია ამ დამორჩილებული ქართველი ტომებისაგან შესდგებოდა მეტნაწილად. მე-18 სატრაპიაში, რომელიც მდ. არაქსის ხეობასა, მდ. ევფრატის სათავეებსა და ვანის ტბის გარშემო იდო, შედიოდნენ მატიენები, სასპერები და ალაროდიები, ძველი ხეთა-ჰურიელებისა და ურარტუელების შთამომავალნი. სპარსეთის მეფეს ისინი ხარკად 200 ტალანტს ანუ ქანქარს აძლევდნენ. მე-19 ოლქში-კი, რომელიც შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს ემხრობოდა, შედიოდნენ მოსხები ანუ მერმინდელი მესხები, ტიბარენები, მაკრონები, მოსინიკები და მარები. ეს სატრაპია ხარკად 300 ქანქარს იხდიდა.

შემდეგ სპარსელებმა თანდათან თავიანთი გაეულენა კავკასიონის ქედამდე გაავრცელეს. თუმცა დღევანდელი ამიერ-კავკასიის სრული დაპყრობა მათ. ჩანს, ვერ მოუხერხებიათ. კოლხებმა და მათმა მეზობლებმა სპარსეთის მეფის სასარგებლოდ ძღვენი იკისრეს, რომ სპარსელების შემოსევებისაგან თავი დაეხსნათ. ოთხ წელიწადში ერთხელ ისინი სპარსელებს ას ბიჭსა და ას გოგოს უგზავნიდნენ.

ხარკზე არა ნაკლებ სამძიმო ქართველი ტომებისათვის იყო ის მოვალეობა, რომ მათ მონაწილეობა უნდა მიეღოთ სპარსელების ყველა ლაშქრობაში, თუ კი ამას მეფე მოითხოვდა. როცა, მაგ., სპარსეთის მეფემ ქსერქსემ საბერძნეთზე გაილაშქრა, მის ჯარში იყვნენ კოლხების, ტიბარენების, მესხების, მოსინიკების, მაკრონების, ალაროდიებისა და სასპერების რაზმები.

ამავე დროს სპარსელებმა, ჩანს, მოსწყვიტეს კოლხეთს მისი სამხრეთი ნაწილი, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე რომ იდო, და იგი უშუალოდ თავიანთ სამეფოს შეუერთეს. სპარსელების ძალმომრეობისა და ხშირი ომიანობის გამო სამხრეთი კოლხეთი რამდენადმე დაქვეითებულა და დაქსაქსულა მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში.

სამხრეთი კოლხეთი მეხუთე საუკუნის მიწურულში

401 წ., ძვ. წ., სამხრეთ კოლხეთში გაიარა თავისი რაზმით ბერძენმა სარდალმა და მწერალმა ქსენოფონტემ. ქსენოფონტემ დაწვრილებით აღწერა აქაური ტომების ყოფა-ცხოვრება.

სამხრეთ კოლხეთში, — ე. ი. შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, სადაც ქალაქები ტრაპეზუნტი და კერასუნტი მდებარეობდა, და მდ. ჭოროხის ხეობაში, — ამ დროს ბევრი სხვადასხვა ტომი ცხოვრობდა.

ზღვის პირას და მის განწვრივ, უფრო ღრმად, ქვეყნის შეაგულისაკენ ცხოვრობდნენ ტიბარენები, ხალიბები, მოსინიკები, კოლხები, მაკრონები, სკვითინები, ტაოხები, ქალდები და კარდუხები. მეხუთე საუკუნის მიწურულში ესენი უკვე სპარსეთის მეფეს აღარ ემორჩილებოდნენ, მაგრამ ჩრდილოეთ კოლხეთისგანაც ჩამოშორებული იყვნენ და ერთმანეთშიაც მათ ერთობა აღარ ჰქონდათ. პირიქით, ისინი ამ დროს ხშირად მტრობდნენ თურმე ერთმანეთს. მაინც ბერძნები ამ მხარეს, განსაკუთრებით მის ცენტრალურ ნაწილს, სადაც მდებარეობდა ქალაქები ტრაპეზუნტი და

კერასუნტი და სადაც გაბმული კოლხური მოსახლეობა იყო, ჯერ კიდევ კოლხიდას ეძახდნენ. კოლხები უფრო აღმოსავლეთითაც ცხოვრობდნენ, მთიან ადგილებში.

ის ოლქი კი, რომელიც მდ. არაქსის სათავეებში იდო და სადაც ფასიანები და ესპერიტები, ძველი სასპირები, მოსახლეობდნენ, სპარსეთის სამეფოში შედიოდა. ოლქს სპარსეთის მეფის მიერ დანიშნული მმართველი განაგებდა.

მიუხედავად იმისა რომ, აბეჯდობის წყალობით, ეს ტომები იმხანად დასუსტებული იყვნენ, ბერძნები მათ სოფლებში ყველგან დიდ სანოვაგეს და საქონელსაც ბლომად პოულობდნენ. შინაური პირუტყვიდან აქ ბევრი ჯოლიათ ცხვარი, თხა, ძროხა, ცხენი, ეირი, ქათამი; პურეულიდან მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, და ზოგგან ისეთი რაოდენობითაც რომ წინა წლის პურიდან ახალ მოსავლამდე კიდევ დიდი მარაგი რჩებოდათ. მისდევდნენ მებოსტნეობასაც და ყოველგვარი მწვანილი მოჰყავდათ. გარდა ამისა, ბევრს ხმარობდნენ კაკალსა და წაბლს. ღვინოსაც ჭარბად იყენებდნენ და მიწაში ჩათხრილ ქვევრებში ინახავდნენ. ქერისგან ლუდს აკეთებდნენ. აშენებდნენ ფუტკარსაც და სკები ედგათ. ზღვისპირელები კიდევ დერგებში ინახავდნენ დამარილებულს ზღვის ღორის ხორცსა და ქონს.

ვაჭრობა ამ ტომებში გავრცელებული ყოფილა და მათ საკუთარი, ადგილობრივი ქალაქებიც ჰქონიათ. ასე, სკვითინებისა და მაკრონების მხარეში, ზღვისპირასგან დაშორებით, იდო გუმბიადი, დიდი, მდიდარი და დასახლებული ქალაქი. რაკი ბერძნებთან კარგი განწყობილება ჰქონდათ, ეს ტომები მათ თაეიანთ ბაზრებს უხსნიდნენ და ცხოველ ალებმიცემასაც აწარმოებდნენ. ამიტომ გაჩნდა სწორედ სამხრეთ კოლხეთშიაც დიდი ზღვისპირა ბერძნული ქალაქები ტრაპეზუნტი, კერასუნტი და კოტორა, რომლებიც მცირეაზიის ქალაქ სინოპის კოლონიები იყო.

ამ ტომების შეიარაღებას ჩვეულებრივად შეადგენდა სხვადასხვანაირი, გრძელი და მოკლე, მსუბუქი და ძალიან მძიმე, აგრეთვე სატყორცნი შუბები, დაწნული და ხარის ტყავგადაკრული ფარები, სარტყელზე დაკიდული ხანჯლები და რკინის საომარი ცულები. თავს იცავდნენ მეტწილად ხის ან ტყავის მუზარადით, ტანს-კი — სელის ჯავშანით. ატარებდნენ აგრეთვე ნაბდებს. ეტყობა, ვინც ზღვაზე დაშორებით ცხოვრობდა, იმათ ლითონი ჰკლებიათ, ზღვისპირელები ლითონის დამუშავებას სპეციალურად მისდევდნენ. მაგალითად, ტრაპეზუნტის სამხრეთით მცხოვრებ ხალიბების უმრაველესობა თავს მხოლოდ ლითონით ირჩენდა. ზოგიც, როგორც მაგ., მოსინიკები, ზღვაოსნობაში ყოფილან გაწაფულნი.

ქონებრივი უთანასწორობა აქ უკვე არსებობდა. მდიდარი მშობლების ბავშვები ძალიან გამოირჩეოდნენ ღარიბებისგან, რადგანაც ისინი თურმე განსაკუთრებულად აზრდებოდნენ და იკვებებოდნენ. ჰყავდათ თაეიანთი მთავრები, რომლებსაც ბერძნები მეფეებს ეძახდნენ. ეს მთავრები განსაკუთრებულ კოშკებში ისხდნენ, მკლელებით გარსშემორტყმულნი, და თაეიანთ ქვეშევრდომების ხარჯზე ცხოვრობდნენ.

სამხრეთ კოლხეთის იმ ტომებს, რომელნიც სპარსეთის მეფეს არ ემორჩილებოდნენ, ბერძნები მეტად საშიშარ ტომებად სთვლიდნენ. მართლაც, ეს ხალხი გულადი. ამაყი და დამოუკიდებლობის მოყვარული იყო. თავისუფლების დაკარგვას მათ სიკვდილი ერჩიათ. ქსენოფონტე გაკვირვებით გვიამბობს მათი გმირობისა და თავისუფლების სიყვარულის ამბებს. როცა ქსენოფონტე და მისი ბერძენი მეომრები ტაოხების ქვეყანას მიადგნენ ზღვისკენ მიმავალი გზისა და სანოვაგის ძებნაში, ტაოხებმა მათ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს: მთელი ხალხი, ქალი და კაცი, ციხე-სიმაგრეებში ჩაიკეტა და ისე ებრძოდა ბერძნებს. როცა ბერძნებმა დიდი გაჭირვებით სძლიეს ტაოხებს და მათ სიმაგრეებში შეიჭრნენ, მათ საშინელი სურათი წარმოუდგათ თვალწინ: ქალები ჯერ თავიანთ ბავშვებს ისროდნენ კლდეებიდან და შემდეგ თვითონაც ცვიოდნენ უფსკრულში, ასევე იქცეოდნენ მამაკაცებიც — ტაოხებს არ სურდათ ბერძნებს ცოცხლად ხელში ჩავარდნოდნენ, მონობას ისევ სიკვდილი სჯობიათ. ერთი ბერძენი დახარბდა ერთი ტაოხის ლამაზ ტანისამოსს და უნდოდა ხელი შეეშალა ტაოხისათვის, როცა იგი უფსკრულში გადავარდნას აპირებდა. მაგრამ ტაოხმა აჯობა, ბერძენიც თან გადაიყოლა და ორივენი დაიღუპნენ.

მოსინიკებშიაც ასე მოხდა. როცა ბერძნებმა მოსინიკები დაამარცხეს, ისინი დაემუქრნენ მოსინიკების მთავრებს, გამოდით თქვენი კოშკებიდან, თორემ დაგწვავთო. მთავრებმა დამამცირებელ ტყვეობას ცეცხლში ცოცხლად სიკვდილი ირჩიეს, ბერძნებს შორჩილებაზე უარი უთხრეს და დაიღუპნენ კიდეც.

სასპერები ანუ საბერები, იბერების წინაპარნი

კოლხეთი შეიცავდა ქართველი ტომების დასაველურ შტოს. აღმოსავლური შტო, საკუთრივ ქართველები, მეოთხე საუკუნიდან მოყოლებული, ძველი წელთაღრიცხვით, იწოდებოდნენ ჯერ „იბერებად“, ხოლო შემდეგში (პირველი საუკუნიდან) — „ივერებად“. აქედან არის აღმოსავლეთ საქართველოს ძველი ბერძნულ-რომაული სახელი „იბერია“ ანუ „ივერია“. მეხუთე საუკუნეში, ძვ. წ., ბერძნები იბერებს „სასპერებს“ ანუ „საბერებს“ ეძახდნენ. ამ დროს საბერები დიდ ხალხად ითვლებოდნენ. სახელგანთქმული ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე ამბობს: „სპარსები ცხოვრობენ ვიდრე სამხრეთის ზღვამდე, რომელიც „წითლად“ იწოდება (დღევანდელი სპარსეთის ყურე); მათ ზემოთ ჩრდილოეთისაკენ ცხოვრობენ მიდიელები; მიდიელების ზემოთ სასპერები, სასპერებს ზემოთ — კოლხები ვიდრე ჩრდილოეთის ზღვამდე, რომელსაც ერთვის მდინარე ფაზისი. ეს ოთხი ხალხი ცხოვრობს ზღვიდან ზღვამდე“-ო. ამრიგად, წინააზიის ოთხი დიდი ხალხიდან ორი ქართულ მოდგმას ეკუთვნოდა, ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნის დამდეგს, ძვ. წ. მაშინ საბერებს ეჭირათ ვრცელი მიწა-წყალი — მდინარე არაქსისა და მდინარე მტკვრის აუზების უდიდესი ნაწილი. თავის თანამოძმე მატიენებსა და ალაროდიებ-

თან ერთად, რომელნიც ამ დროს საბერებზე უფრო სუსტები იყვნენ. საბერები ერთს საერთო ოლქს შეადგენდნენ აქემენიდების სახელმწიფოში.

ჰეროდოტეს ცნობით, კოლხებს, საბერებსა და ალაროდიებს ერთნაირი შეიარაღება ჰქონდათ, რაც ამ ტომების საერთო კულტურას მოწმობს.

მეხუთე საუკუნის დამლევისათვის სპარსელებს, ჩანს, უფრო დაუსუსტებიათ საბერები. ამის შემდეგ, აღმოსავლელი ქართველი ტომების სახელმწიფოებრივი ცენტრი საბოლოოდ გადაეიდა მტკვრის აუზში, მცხეთის რაიონში.

ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოშობა

ძველი გადმოცემა ამტკიცებს, რომ ალექსანდრე მაკედონელმა სხვა ქვეყნებთან ერთად აღმოსავლეთი საქართველოც დაიპყრო, აქ მცხოვრები სხვა ტომები გააძევა და მიწა-წყალი თავის ერთ სარდალს, აზოს, მისცა. აზო იყო არიან-ქართლის მეფის შვილი. აზო დაბრუნდა თავის სამშობლოში, არიან-ქართლში, და წამოიყვანა იქიდან კავკასიის ქართლში 18 საგვარეულო. არიან-ქართველების ამ 18 გვარიდან გამრავლდნენ შემდეგში ქართველები აქ, მცხეთის მხარეში. მათი პირველი მეფე იყო ეს აზო, რომელმაც სატახტო ქალაქად მცხეთა აირჩია.

ეს თქმულება მხოლოდ ნაწილობრივ არის მართალი. ქართველები მართლაც მოსულნი არიან, როგორც ვიცით, თავის ეხლანდელ სამშობლოში სამხრეთიდან, მაგრამ ალექსანდრე მაკედონელი აქ არაფერ შუაშია. ქართლის სამეფო შეიძლება მართლაც მეოთხე საუკუნეში იყოს ჩამოყალიბებული, მაგრამ მისი უძველესი დედაქალაქი არმაზი იყო, მტკვრის მარჯვენა ნაპირას, მცხეთასთან, სადაც ეხლა რკინიგზის სადგურია. მცხეთაში დედაქალაქი უფრო გვიან გადაიტანეს.

არმაზ-მცხეთის სამეფო, რომელსაც ბერძნები „იბერიას" ეძახდნენ, ადგილობრივ-კი „ქართლი" ერქვა, იმავე სახელმწიფო იყო.

ქართლის მეფეები ფარნავაზიანთა საგვარეულოს ეკუთვნოდნენ. შესაძლებელია რომ ფარნავაზიანთა დინასტიის დამაარსებელი მცხეთა-არმაზში მართლაც აზო ყოფილიყოს.

საქართველო და მისი მეზობლები ელინისტურ ხანაში

აქემენიდების სამეფომ მხოლოდ ორი საუკუნე გასძლო. მეოთხე საუკუნის დამლევს მას ბოლო მოუღეს ბერძნებმა ალექსანდრე მაკედონელის წინამძღოლობით.

ალექსანდრეს მამა, ფილიპე, მეფობდა მაკედონიაში, მთიან ქვეყანაში ბალკანეთის ნახევარ კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში. ფილიპე მაკედონელმა მოხერხებული და ფრთხილი პოლიტიკით თავის გაელენას დაუმორჩილა თითქმის მთელი საბერძნეთი, რომლის საკავშირო ჯარის სარდლად ფილიპე ალიარეს., ფილიპემ ჩააგონა ბერძნებს დაეწყოთ საერთო ძალებით დიდი ომი მათი ძველი მტრის, სპარსელების წინააღმდეგ. 336

წელს ფილიპემ მართლაც დაიწყო ეს ომი, მაგრამ ბევრი ალარ დასცალდა. იმავე წელს ფილიპე მოჰკლეს. ფილიპეს საქმე განაგრძო მისმა შვილმა, 20 წლის ალექსანდრემ, რომელიც ალბრდილი იყო სახელგანთქმული ბერძენი ფილოსოფოსის არისტოტელეს მიერ.

სპარსეთი ამ დროს მეტად დასუსტებული იყო, მაკედონელებს კი ჰყავდათ საუკეთესო ჯარი. ამიტომ ბერძნებმა ადვილად სძლიეს სპარსელებს. სამი დიდი დამარცხება აწვნეევინა ალექსანდრემ თავის მტერს ამ უზარმაზარი ლაშქრობის დროს აზიაში: გრანიკთან 334 წელს, ისესთან 333 წ. და გავგამელასთან 331 წ. და წინა აზიის უდიდესი ქალაქებიც, ბაბილონი და სუზა, ხელთ იგდო. სუზა საზამთრო და საგაზაფხულო საჯდომი იყო სპარსეთის მეფეებისა, მათი ნამდვილი სატახტო ქალაქი კი იყო პერსეპოლი. მალე ალექსანდრემ აიღო პერსეპოლიც, ხოლო 330 წ. ქალაქი ეკბატანაც, სპარსელების მეფის საზაფხულო რეზიდენცია.

სპარსეთის სამეფოს დაპყრობა დამთავრებული იყო. მაგრამ თვითონ ალექსანდრე მაკედონელის ახალი უზარმაზარი სახელმწიფო კიდევ უფრო დღემოკლე აღმოჩნდა. 323 წ. ალექსანდრე გარდაიცვალა. მალე მაკედონელთა მსოფლიო მონარქია დაიშალა რამდენიმე დამოუკიდებელ სამეფოდ. ალექსანდრეს სარდლებმა, რომელთაც, როგორც მეფის ნაცვლებს, საგამგეოდ ჩაბარებული ჰქონდათ სხვადასხვა პროვინცია, 306 წლიდან უკვე თავიანთი თავი მეფედ გამოაცხადეს.

ალექსანდრეს სახელმწიფოდან გამოყოფილ სამეფოებში ყველაზე დიდი მნიშვნელობა, აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიისათვის, ჰქონდათ ლიზიმახის მიერ დაარსებულ სამეფოს თრაკიაში, პტოლომეს მიერ დაარსებულ სამეფოს ეგვიპტეში და, განსაკუთრებით-კი, სელევკის მიერ დაარსებულ სამეფოს აზიაში. თუმცა თავდაპირველად სელევკის სამეფო თითქმის მთელ წინა აზიას შეიკავდა, მაგრამ თანდათანობით მისი ცენტრი სირიაში გადაიდგა, და ამიტომ იგი სირიის სამეფოდაც იწოდება. თავის სატახტო ქალაქად სელევკიდებმა, როგორც ეძახიან სელევკის შთამომავლობას, აირჩიეს ანტიოქია (სირიაში), რომელიც აგრეთვე სელევკის მიერ იყო დაარსებული.

მალე სელევკიდების ანუ სირიის სამეფოს ახალი სამეფოები გამოეყო. მესამე საუკუნის შუაწლებში სელევკიდებს გადაუდგა და დამოუკიდებელ სამეფოებად ჩამოყალიბდა ბაქტრია და პართია. ბაქტრია კასპიის გალმა მხარეში მდებარეობდა, მდ. ამუ-დარიას (ოქსის) შუა და ზემო წელზე, პართიას კი ეჭირა კასპიის ზღვის სამხრეთით და სამხრეთ დასავლეთით მდებარე ქვეყნები. პართიაში გაბატონებულს სამეფო დინასტიას არშაკიდებს ანუ არშაკუნიანებს უწოდებენ, ამ სამეფოს დამაარსებელის, არშაკის, სახელის მიხედვით. პართიის ანუ არშაკიდების სამეფომ, რომელმაც თითქმის ხუთი საუკუნე გასძლო (250 წლიდან, ძვ. წ., — 226 წლამდე, ახ. წ.), შემდეგში დიდი როლი ითამაშა ამიერ-კავკასიის ქვეყნების ისტორიაში.

ადრევე გამოეყო სელევკიდების სამეფოს პონტო, რომელმაც ასეთი სახელწოდება მიიღო იმიტომ რომ შავი ზღვის ანუ პონტოს სამხრეთ სა-

ნაპირთან მდებარეობდა. პონტოს სამეფოში, რომელიც მითრიდატ კეთისტესმა დააარსა, შეიძლებ უმთავრესად ის ქართველი ტომები, რომელთაც სამხრეთ კოლხეთის ტერიტორია ეჭირათ.

მიუხედავად იმისა რომ, ამრიგად, ალექსანდრეს დიდი სახელმწიფო დაშალა თითქმის მაშინვე, ალექსანდრე მაკედონელის საქმემ დიდი კვალი დასტოვა მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში. დიდი გავრცელება მოიპოვა არა მარტო წინა აზიაში, არამედ შუა აზიაშიც, ბერძნულმა ანუ ელინურმა კულტურამ. ამ კულტურის ცენტრებად გადაიქცა, როგორც ძველი, ისე ახალი, თვით ალექსანდრეს და მისი მემკვიდრეების მიერ დაარსებული მრავალრიცხოვანი ქალაქები, რომლებსაც ერთმანეთში ცხოველი სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ. ბერძნულმა ენამ და ელინურმა კულტურამ უპირატესობა მოიპოვეს ისეთს აღმოსავლეთის სამეფოებში, როგორიც იყო ბაქტრია და პართია, თუმცა ამ ქვეყნების მოსახლეობის უმრავლესობა შესდგებოდა ადგილობრივი ტომებისგან, რომლებიც ენით და ზნე-ჩვეულებით ძალიან განსხვავდებოდნენ ბერძნებისაგან. პართიის მეფეები, მაგ., თავიანთ ფულებზე ბერძნულ წარწერებს აკეთებდნენ და თავიანთ თავს „ელინოფილებს", ე. ი., „ბერძენთა მოყვარეებს" უწოდებდნენ.

ბერძნული ანუ ელინური კულტურის ასეთი გავრცელების გამო აღმოსავლეთში. ალექსანდრე მაკედონელისა და მისი მემკვიდრეების ანუ დიადოხების, როგორც მათ ეძახიან, სამეფოების ხანას (მეოთხე საუკუნის დამლევიდან პირველ საუკუნემდე ძვ. წ.) ელინისტური ხანას. ელინიზმის ხანას ეძახიან.

ელინიზმმა გავლენა მოახდინა საქართველოზედაც, თუმცა ალექსანდრე მაკედონელი აქ არ ყოფილა. როცა ალექსანდრე კასპიის გალმა მხარეში იყო, იქ იგი აწარმოებდა მოლაპარაკებას ხორაზმელების მეფე ფარსმანთან. ფარსმანმა უთხრა ალექსანდრეს, მე კოლხებისა და ამაზონელების მეზობელი ვარ, და თუ გსურს შავი ზღვის პირას მცხოვრები ზალხების დამორჩილება, გზას გირჩევნებ და სურასთანაც მოგაწვდიო. ალექსანდრემ კაეშირი შეჰკრა ფარსმანთან. ინდოეთს რომ დაეპყრობ. შემდეგ შავი ზღვისკენ გაეემართებიო, მაგრამ განზრახვის შესრულება არ დასცალდა. ვერც დიადოხებმა მოახერხეს თავიანთი პოლიტიკური გავლენის გავრცელება საქართველოზე. ელინიზმის გავლენა აქ მხოლოდ ეკონომიური და კულტურული ხასიათისა იყო. საქართველოს აღებმიცემამ გარეშე ქვეყნებთან ეხლა უფრო ფართო გახდა. ეკონომიას კიდევ თან სდევდა კულტურულ მონაპოვართა და გამოცდილების გაზიარება.

საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობა ძველის ხანაში

ქართველი ხალხის უახლოესი მეზობლები მრავალი საუკუნის მანძილზე ჰყვანან და დღესაც არიან სომხები.

სომხები, რომლებსაც „სომეხს" მხოლოდ ქართველები უწოდებენ, ხოლო თავიანთ თავს „ჰაი"-ს ეძახიან. ისინი მე-5 — მე-3 საუკუნეში

თანდათანობით მოდიან სამხრეთიდან ძველი ურარტუს სამეფოს ტერიტორიაზე. მე-6 საუკუნეში ურარტუს მიდიელები და სპარსელები უკვე „არმინას“ ეძახდნენ. შემდეგ ახალმა სახელწოდებამ „არმენიამ“ მთლიანად შესცვალა ძველი სახელი „ურარტუ“. სამხრეთიდან მოსული ჰაიები ნელ-ნელა მოიწვევდნენ წინ, ურარტუ-არმენიის ტერიტორიაზე. ურარტუელები მათ ძლიერს წინააღმდეგობას უწევდნენ. მაგრამ ბოლოს მაინც მოსულებმა გაიმარჯვეს. ბინადარი მოსახლეობა ჰაიებმა ან გაძევეს, ან გასწყვიტეს, ან შეიერთეს. მკვიდრ მოსახლეობასთან შერევის გამო. ჰაიების ენა ძალიან შეიცვალა და კავკასიურ ენებს, განსაკუთრებით-კი — ქართველურ ენებს დაუახლოვდა.

მეექვსე საუკუნის დამლევიდან სომხებიც სპარსეთის მეფეს დაემორჩილნენ. შემდეგ, როცა ალექსანდრემ დაიპყრო სპარსეთის სახელმწიფო, სომხები მაკედონელთა საბრძანებელში მოჰყვნენ. ალექსანდრეს სამეფოს დარღვევის შემდეგ, სომხები, მესამე საუკუნის განმავლობაში, სირიის ანუ სელევკიდების სამეფოს ქვეშევრდომები იყვნენ. მაგრამ როცა მაგნეზიასთან 190 წ., ძვ. წ., სირიის მეფემ ანტიოქე დიდმა სასტიკი დამარცხება განიცადა რომაელებისაგან, მას მაშინვე გადაუდგნენ მისი სატრაპები (მმართველები) სომხეთში, არტაშესი და ზარიადრე. არტაშესმა დაიარსა სამეფო მდ. არაქსის ხეობაში, ზარიადრემ-კი — უფრო სამხრეთით, მდ. ტიგროსზე.

ამ დროს ქართული სახელმწიფოებიდან განსაკუთრებით ძლიერი იყო ქართლი ანუ იბერია. ძველი ბერძნები ამტკიცებდნენ, რომ იბერიელები არასოდეს არ ემორჩილებოდნენ არც მიდიელებს, არც სპარსელებს და მაკედონელთა ბატონობაც მათ თავიდან აიცილესო.

არტაშესმა და ზარიადრემ, რომლებმაც ძალიან გააფართოეს სომხეთის ტერიტორია, ქართველ ტომებსაც წაართვეს მიწა-წყლის ნაწილი. ასე, იბერიისათვის მათ ჩამოუცლიათ პარიადრის მთის კალთები, ქორძენე და გოგარენე, ხოლო ხალიბებისა და მოსინიკებისათვის — კარინითი და ქსერქსენე, სულ ოთხი ოლქი და ერთი მთიანი რაიონი.

ამის შემდეგ იბერიისა და სომხეთის საზღვრად მდ. არაქსი დაწესდა.

კოლხეთი და პონტო

მეორე საუკუნეში, უფრო ამ საუკუნის დამლევისათვის, კოლხეთი კიდევ უფრო დასუსტებულა. ამ დროს სამეფო დანაწილებული ყოფილა ცალკე საგამგეო ოლქებად, რომელნიც, როგორც ჩანს, ნაკლებად ემორჩილებოდნენ კოლხეთის მეფეს. ამით უსარგებლნია პონტოს, სადაც ამ დროს მეფობდა მითრიდატ ევპატორი. მითრიდატი მხნე და მამაცი კაცი იყო. მან ძალიან გააფართოვა თავისი სამეფოს ფარგლები და თვით რომაელებსაც შიშის ზარსა ჰგვრიდა. იმის გამო, რომ მითრიდატის სამეფოში მრავალი სხვადასხვა ტომი ცხოვრობდა, მითრიდატმა ბევრი ენა შეისწავლა. მითრიდატმა მოახერხა და თავის სამეფოს შეუერთა კოლხეთიცა და ყირიმის ნახევარკუნძულზე მდებარე ბოსფორის სამეფოც. თავ-

დაპირველად მითრიდატს კოლხეთში თავისი საკუთარი შვილი, სახელად აგრეთვე მითრიდატი, დაუნიშნაეს. მაგრამ ახალგაზრდა მითრიდატი, როგორც ჩანს, მოხიბლული იყო კოლხეთის ძველი სახელოვანი ისტორიით და სურდა კოლხეთის დამოუკიდებელი მეფე გამხდარიყო. ამიტომ მამამ იგი სიკვდილით დასაჯა. შემდეგ მითრიდატი მმართველად და მეფის ნაცვლად კოლხეთში ერთერთს თავის მეგობარ დიდებულთაგანს ნიშნავდა ხოლმე. კოლხეთიდან იღებდა მითრიდატი უმნიშვნელოვანეს შეშენობას თავის საზღვაო ძალებისათვის, ხომალდების საშენ ხე-ტყესა და თვით მეზღვაურებსაც. კოლხეთში მითრიდატის ბატონობას არ შეპრიგებიან. 83 წლის მახლობლად, ძვ. წ., ისინი, ბოსფორელებთან ერთად აჯანყებულან და ომი გაუმართავთ მითრიდატისათვის.

რომის გაძლიერება მცირე აზიაში

მაგრამ არც მითრიდატს დაჰკრია დიდხანს ხელი, მას ბოლო რომაელებმა მოუღეს.

მესამე საუკუნის დამლევიდან, ძვ. წ., რომი იწყებს მსოფლიო პოლიტიკის წარმოებას, ხოლო მეორე საუკუნის დასაწყისიდან იგი აზიაშიც იჭრება. 190 წ. ძვ. წ., რომაელებმა მაგნეზიასთან საშინელი დამარცხება მიაყენეს ანტიოქე სელევკიდს, რითაც შეასუსტეს სირიის სამეფოს ძლიერება, თუითონ კი დიდი გავლენა შეიძინეს მცირე აზიაში, თუმცა აქაური მიწა-წყლიდან ჯერ კიდევ არც ერთი მტკაველი არ დაესაკუთრებინათ. ტერიტორიული საკუთრება მცირე აზიაში რომაელებმა მოიპოვეს 133 წ., ძვ. წ., როცა პერგამის მომაკვდავმა მეფემ, ატალმა, თავისი სამფლობელო რომს უანდერძა. პერგამის სამეფო რომაელებმა თავის პროვინციად აქციეს და სახელად ამ პროვინციას „აზია" უწოდეს. მალე რომაელებმა გააფართოეს „აზიის" პროვინცია. რომის მიერ აქ დამყარებული წესები, დიდძალი გადასახადები, რომაელი მოხელეების ძალმომრეობა. გაბუქიობა რომის სახელმწიფოს უზენაესი ორგანოების მხრივ, სულსა ხდიდა რომის ქვეშევრდომებს და წინააღმდეგობის ცეცხლს აღვივებდა მათში. ამ განწყობილებით ისარგებლა მითრიდატ პონტოელმა, რომელსაც არადრად ეპიტნავებოდა რომის ასეთი გაძლიერება თავის მახლობლად, და რომს ომი აუტეხა. ომი პონტოელებსა და რომს შორის ორ წელზე მეტს გაგრძელდა (88—65 წ. წ., ძვ. წ.). ამ ომში უპირატესობა ჯერ მითრიდატის მხარეზე იყო და მან დიდად შეაშფოთა რომაელები, რომელნიც შინაური უთანხმოებითა და ბრძოლით იყვნენ დასუსტებულნი. მაგრამ შემდეგ უკვე ომის ბედი რომის მხარეს გადავიდა. რომაელებმა რიგრიგობით დაამარცხეს მითრიდატი და მისი მოკავშირეები.

რომაელები ამიერ-კავკასიაში

პონტოს მეფის მოკავშირეები უკანასკნელ ომში რომაელების წინააღმდეგ იყვნენ არმენიის, ალბანიისა და იბერიის მეფეები.

არმენია, შერმინდელი სომხეთი, პირველი საუკუნის პირველ ნახევარში, ძვ. წ., დიდი და ძლიერი სახელმწიფო იყო. სომხეთის მეფეს, ტიგრან

მეორეს, „დიდად" წოდებულს, მითრიდატ ევპატორთან მოყვრობაც აკავშირებდა: ტიგრანს ცოლად ჰყავდა მითრიდატის ასული.

ალბანია თანამედროვე საბჭოთა აზერბაიჯანის ძველი სახელწოდებაა. უძველეს ხანაში ალბანიის ტერიტორიაზე ბევრი სხვადასხვა ტომი ცხოვრობდა — კასპიები, ეტიები, გარგარეები და სხვები, რომელნიც კავკასიურ მოდგმას ეკუთვნოდნენ და დალისტნის ტომებს ენათესაებოდნენ. მათი შთამომავალნი არიან დღევანდელი უდები. იმ ხანაში, რომელზედაც ჩვენ ეხლა ვსაუბრობთ, ეს ტომები გაერთიანდნენ და სამეფო დაარსეს, ალბანიის სახელწოდებით. შემდეგ, თანდათანობით, ძველს ალბანელებს შემოერიენენ თურქული მოდგმის ტომები და ასე წარმოსდგნენ ჩვენი თანამედროვე მეზობლები, აზერბაიჯანლები.

66 წ., ძვ. წ., რომაელების ახალმა სარდალმა, პომპეუსმა, სასტიკად დაამარცხა მითრიდატ პონტოელი დასტეირასთან. მითრიდატმა თავს გაქცევით უშველა. იგი ჯერ კოლხეთში გადაიხვეწა, სადაც ის ზამთარი შალ. დიოსკურიაში გაატარა, ხოლო აქედან ბოსფორში (ყირიმში) გადაიცდა, ახალი ჯარის შესაგროვებლად.

პომპეუსი ამის შემდეგ მითრიდატის მოკავშირეებს მისდგა. ჯერ სომხეთში შეიჭრა და ტიგრანი დაიმორჩილა, რომელიც სასტიკად დასაჯა. შემდეგ რომაელებმა ალბანიისა და იბერიისაკენ გაილაშქრეს. ალბანელებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ დამარცხდნენ და იძულებული გახდნენ ზავი ეთხოვათ რომაელებისათვის, რომელნიც ეხლა უკვე ქართველების წინააღმდეგ ემზადებოდნენ.

ქართლი და რომაელები

ქართლში ამ დროს მეფედ არტაგი იყო. ქართლის მოსახლეობა, რომაელების ცნობით, რიცხვით ალბანელებს არ ჩამოუვარდებოდა, მეომრობით კი მათ წააკლებდა კიდეეც. ბრძოლით დახვდნენ ქართველები რომაელებსაც. არტაგმა რომაელებისათვის თვალის ახვევა სცადა: ზავის შესახებ მათთან მოლაპარაკება გამართა, ფარულად-კი სამხედრო სამზადისს აწარმოებდა. რომაელებმა ეშმაკობა გაუგეს და თითონ დაესხნენ თავს. ქართლის ანუ იბერიის სატახტო ქალაქი ამ დროს არმაზი ანუ არმაზ-ციხე იყო.

არმაზი რომაელებმა ადვილად ჩაიგდეს ხელში, რადგანაც მოულოდნელად დაესხნენ მას თავზე. არტაგი მტკვრის გალმა გაეიდა და ხიდი დასწვა, რომელიც მაშინ მტკვარზე იდო თრიმე მცხეთასთან. შემდეგ არტაგმა კიდევ უფრო შორს გაიწია, მდ. პელორის მეორე მხარეს, სადაც აგრეთვე ხიდი დასწვა. რომაელები მას ფეხდაფეხ მისდევდნენ სასტიკი ბრძოლით.

ხალხი სამშობლოს ადვილად არ სთმობდა. ქართველი ჯარი თავგამეტებით განაგრძობდა ომს, თუმცა მეფე მტერთან მოლაპარაკებას აწარმოებდა. ქართველი მეომრები, ვინც წინა ბრძოლაში გადარჩა, გაიროშემო მდებარე ტყეებში დაიფანტნენ, მაღალ ხეებზე ავიდნენ და იქიდან

უშენდნენ რამდენიმე დღე რომაელებს ისრებს. რომაელები იძულებული გახდნენ ხეები მოეჭრათ და ცეცხლი წაეკიდებინათ ტყისათვის,-- გმირი მებრძოლები ერთიანად დაიღუპნენ, მტერს კი მაინც არ დანებდნენ. ამ ბრძოლებში ქართველებმა ძალიან დიდი მსხვერპლი გაიღეს: ცხრა ათასი ქართველი მოკვდა ბრძოლის ველზე, რომაელთა ცნობით. სხვა დანაკლისიც დიდი იყო.

ბოლოს არტაგი შეურიგდა თავის მარცხს და პომპეუსთან ზავი დასდო. არტაგმა რომაელებს მძეელად თავისი შვილები მისცა, პომპეუსს კი მდიდარი ძღვენი მიართვა: ოქროს ტახტი, ოქროს სარეცელი და ოქროსაღე მაგიდა.

ეს ამბავი მოხდა 65 წელს, ძვ. წ.

რომაელები კოლხეთში

ქართლიდან პომპეუსი თავისი ჯარით კოლხეთში გადაიდა. რადგანაც მითრიდატს მისდევდა კვალდაკვალ. კოლხეთს ამ დროს ვინმე ოლთაკი მართავდა. კოლხებს, ჩანს, რომაელებისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. რადგანაც პონტოელებისაგან სასარგებლო არაფერი უნახავთ და მითრიდატისათვის თავის დადებას არ აპირებდნენ. პომპეუსმა ოლთაკი ტყვედ წაიყვანა და კოლხეთიც რომაელების მიერ დამორჩილებულ ქვეყნებს მიაკვალა.

რომაელებმა კოლხეთში თავისი მმართველი დააყენეს. ერთი ასეთი მმართველთაგანი იმ ხანებში ყოფილა ვინმე არისტარხი, რომლისგანაც ხუთლია დარჩენილი. ამ ფულს წარწერა აქვს ბერძნულად: „კოლხეთის მმართველის, არისტარხისა“.

ახალი ცნობების გაჩენა საქართველოს შესახებ დასავლეთის მწერლობაში

პომპეუსის ჯარში იყვნენ ისეთი ბერძნებიც, რომელნიც მწერლობას მისდევდნენ. ისინი სწერდნენ პომპეუსის ლაშქრობის ისტორიას და თან იმ ქვეყნებსაც ასწერდნენ ხოლმე, სადაც პომპეუსი გაივლიდა. ამ მწერლებმა საქართველოც ასწერეს.

მათი აღწერილობა, უფრო ძველი ბერძენი მწერლების ცნობებთან ერთად, შეკრიბა და გამოაქვეყნა განთქმულმა ბერძენმა გეოგრაფმა სტრაბონმა, რომელიც პირველ საუკუნეში ცხოვრობდა.

პომპეუსის თანამგზავრთა ცნობებიდან ჩვენ ვიტყობთ, თუ როგორი იყო საქართველოს ვითარება პირველი საუკუნის დამდეგს ძველი წელთაღრიცხვით.

საერთაშორისო მდგომარეობა

იმ დროს საქართველოს სხვადასხვა კუთხე ერთმანეთში განსხვავდებოდა თავისი მეურნეობით. განსხვავება დიდი იყო მთასა და ბარს შორის. ხალხი და მისი კულტურა ბარში უფრო სწრაფად ვითარდებოდა, ვიდ-

რე მთაში. ბარში მისვლა-მოსვლა უფრო ადვილი იყო კარგი გზების გამო და ბუნებაც უფრო ემორჩილებოდა ადამიანს. რაც უფრო მაღლა მდებარეობდა მთაში ადამიანთა საცხოვრისი, მით უფრო მკაცრი იყო ბუნება და მით უფრო ძნელი იყო ცალკე სოფლების დაკავშირება ერთმანეთთანაც და ბარის დაწინაურებულ თემებთანაც. ბარში ჩვეულებრივი სახმელეთო მიმოსვლის გარდა ფართოდ იყო განვითარებული ნაოსნობა. ნაცები დადიოდნენ რიონზე, ყვირილაზე შორაპნამდის, მტკვარზე. ალაზანზე. ბლომად და კარგად უშენებიათ ჩვენს წინაპრებს ხიდებიც. რომ მიმოსვლა არ შეფერხებულიყო. მარტო მდ. ფაზისზე შორაპანს ზემოთ. სადაც ნაცები ველარ დადიოდნენ. 120 ხიდი ყოფილა აგებული. ხიდები იყო მტკვარზე, მაგ., მცხეთასთან, სადაც მტკვარი საკმაოდ განიერია. და სხვა მდინარეებზედაც. მთიელები კი ასე ადვილად ვერ მოძრაობდნენ. ვინც კავკასიონის მაღალ ზონაში ცხოვრობდა, მაგ.. სვანები, ისინი ზამთარში მთლად მოწყვეტილი იყვნენ გარეშე ქვეყანას; ზაფხულობითაც წრიაპებით დადიოდნენ, დაღმართებში კიდევ ვითომც ტყავზე დამსხდარნი სცურაედნენ თავიანთი ბარგით, როგორც ბერძნები ამბობდნენ.

ამიტომ ვინც ყველაზე მაღლა ცხოვრობდა, ყველაზე ღარიბიც იყო. სვანები და მათი მეზობლები თავს თურმე უფრო ნადირობითა დ მესაქონლეობით ირჩენდნენ. უფრო დაბლა, მთის კალთებზე, მოსახლენი უკვე მიწასაც ხნავდნენ და პურს იწევდნენ, მაგრამ უმთავრესად მესაქონლეობას მისდევდნენ და ჯოგებს აშენებდნენ.

სულ სხვა იყო ბარში. აქ მთავარი მნიშვნელობა მიწისმოქმედებას ჰქონდა. კოლხეთი განთქმული იყო თავისი ხილით, სელით. კანაფით. ცვილით (თაფლის სანთელით), ფისით, ხომალდების საშენებელი ხეტყით. ასევე იყო ქართლშიაც. მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ფეტვი და სხვა პურეული, ძველთაგანვე აშენებდნენ ვაზსა და აყენებდნენ ღვინოს. ბლომად ჰყავდათ შინაური პირუტყვი. იცოდნენ სხვადასხვანაირი ხელოსნობა. განსაკუთრებით კარგი ოსტატები იყვნენ მეჭურჭლეობაში. ვაჭრობაც განვითარებული ყოფილა. კავკასიონის ყველაზე მაღალ ადგილებში მცხოვრებნიც იძულებული იყვნენ ბარში ჩამოსულიყვნენ, მაგალითად, მარილის საყიდლად. თვითონ ბარელები ხომ უფრო მეტს ვაჭრობდნენ. საშინაო ვაჭრობის გარდა, იმდროინდელ საქართველოს საგარეო ვაჭრობაც შორს ჰქონია გაბმული. ინდოეთიდან, მაგალითად, საქონელი მიჰქონდათ კასპიის ზღვამდე. შემდეგ კასპიის ზღვაზე გამოატარებდნენ და მტკვარზე ნაცით ამოიტანდნენ ქართლში. აქედან, სადაც უკვე ნაოსნობა ალარ შეიძლებოდა, ხმელეთის გზით გადაჰქონდათ ყვირილას ხეობაში, შორაპნამდე. შორაპნიდან-კი ისევ ნაცებით ჩაჰქონდათ შავ ზღვამდე ქალ. ფაზისში, საიდანაც საქონელი უკვე ზღვით იგზავნებოდა დასავლეთისაკენ. სტრაბონი ამბობს იმდროინდელ საქართველოზე: ...იგი მდიდარი ქვეყანაა, რომელსაც შეუძლია ძალიან ბევრი მოსახლეობა ჰყავდეს. და მართლაც, იბერია მშვენიერადაა დასახლებული მეტწილად ქალაქებითა და დაბებით, ისე რომ აქ გეხვედება კრამიტის სახურავებიც

და არქიტექტურული ხელოვნების წესების თანახმად აშენებული ბინები, და საბაზრო ადგილები და სხვა საზოგადოებრივი შენობები".

ერთი ასეთი საზოგადოებრივი შენობა ეხლა აღმოჩენილია არმაზში. ეს არის დიდი აბანო, რომელშიაც წყალი და ორთქლი მილებით იყო გაყვანილი ცალკე საბანაო ოთახებში. იმდროინდელი უმთავრესი ქალაქები იყო: ფაზისი, დიოსკურია, პიტიუნტი და შორაპანი კოლხეთში, არმაზი და მცხეთა — ქართლში.

საზოგადოებრივი წყობილება

როგორიც იყო მეურნეობა და ცხოვრების წესი, საარსებო სახსრის მოპოვების წესი, იმდროინდელ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ისეთივე იყო ამ კუთხეში საზოგადოებრივი წყობილება.

მთიელებს უფრო ჩამორჩენილი საზოგადოებრივი წყობა ჰქონდათ. მთაში ბუნება ძალიან მკაცრი იყო; მიწის დამუშავება იქ ძნელი ხდებოდა, რაკი შრომის იარაღებიც პრიმიტიული იყო. სიმდიდრის დაგროვებაც იქ ძნელი იყო. საარსებო სახსრის მოსაპოვებლად ბალხს ერთად უნდა ებრძოლა გარემო ბუნების წინააღმდეგ. ამიტომ ერთი გვარისა და თემის შვილები მეტნაკლებად თანასწორი იყვნენ, როგორც ქონებრივად, ისე უფლებრივად.

სვანებს, მაგალითად, თემსა მთავარი ჰყავდათ, რომელსაც ბერძნები სვანთა „მეფეს" ეძახდნენ, მაგრამ ის თავის ნებაზე კი ვერ მართავდა ხალხს. ხალხის სათავეში საბჭო იდგა, 300 კაცისაგან შემდგარი. ეს 300 კაცი ცალკე სვანური გვარების თუ თემების წარმომადგენლები იყვნენ. მათ საბჭოში ყველას თანასწორი ხმა ჰქონდათ. ცალკე გამოყოფილი, ჯარი სვანებს არ ჰყავდათ — როცა სვანებს საომრად გასაჭირი დაადგებოდა, მთავარი და საბჭო ჭედზე კაცს დაუძახებდნენ. ყველა ბალიშით გადიოდა ბრძოლის ველზე, რადგანაც ყველა საერთო სახალხო საქმისათვის იბრძოდა. ხალხი და ჯარი ერთი იყო. იარაღიც თითქმის ყველას ერთნაირი ჰქონდა. ასეთივე წყობა ჰქონდათ იმ დროს სხვა ქართველ ტომებსაც, ვინც სვანებსავით მაღლა მთაში ცხოვრობდა.

ასეთ წყობილებას პირველყოფილ-თემური ჰქვიან, როგორც ვიცით. ყველა ხალხის ისტორია ასეთი წყობილებით იწყება. ძველთაძველ დროს ყველა ქართველი ტომის საზოგადოებრივი წყობილება პირველყოფილ-თემური იყო.

იმ დროს ქართველებს, ისე როგორც სხვა ტომებსაც, განუვითარებელი შრომის იარაღები ჰქონდათ, ქვისა, ძელისა, ხისა. ამგვარი მდგომარეობის ნაკვალევია ქართულ ენაში შენახული სიტყვა „მარგველა". „მარგველა" „მარგილით" მუშაობას ნიშნავს, „მარგილი" კიდევ წვერწამახულ, წაწვეტებულ ხის ნაჭერს ჰქვიან. ასეთს წვეტიან ხეს ხმარობდნენ მიწის დამუშავებისათვის ძალიან ძველად, ეხლა კი „მარგველას" სიმინდის პირველ გათოხნას ეძახიან, როცა უკანას ზედმეტ სიმინდსა და ბალახ-ბულახს აცლიან. ძველი სიტყვა ეხლა ახალ შინაარსს გამოხატავს.

ქართველი ტომები მაშინ ჯერ კიდევ ისე დაშორებული არ იყვნენ ერთმანეთს. ქართული, მეგრულ-ჭანური და სვანური ენები ერთმანეთისაგან ჯერ კიდევ არ იყო გათიშული.

ცხოვრობდნენ მაშინ ქართველები ცალკე „სახლებად". „სახლი" (ქართულ-მეგრულად „ოხორი", სვანურად „ლახორ" ანუ „ლალხორ") ერთი დიდი ოჯახი იყო, რომელიც მხოლოდ ნათესავებისაგან შესდგებოდა და ერთს ჭერ ქვეშ, ერთს სახლში ცხოვრობდა. სახლების კრებული შეადგენდა ცალკე თემს, თემთა კრებული-კი – „ნათესავს" ანუ ტომს. სახლის სათაეში ჯერ უფროსი ქალი იდგა, რომელიც „დიასახლისად" იწოდებოდა. დიასახლისი განაგებდა სახლის ყველა საქმეს. შემდეგ უპირატესობა მამაკაცების ხელში გადაეიდა და დიასახლისის ადგილი „მამასახლისმა" დაიჭირა. ტომსაც ჰყავდა ამორჩეული მმართველები, სატომო საბჭო, ტომის წინამძღოლები — ცალკე სამხედრო საქმისათვის, ცალკე — სამოქალაქოსათვის, და სხვები.

პირველყოფილ-თემური წყობილების დროს არ არსებობდა კერძო საკუთრება. მიწა საზოგადო საკუთრებას შეადგენდა და მას საზოგადო ძალით ამუშავებდნენ.

ცალკე ჯარი მაშინ არ არსებობდა. თვითონ ხალხი იყო ჯარი. ამიტომაა რომ მაშინ სიტყვა „ერი" ხალხსაც ნიშნავდა და ჯარსაც.

ერისშვილები საქმეებით თანასწორი იყვნენ და მათ ერთმანეთშიაც დიდი ერთობა ჰქონდათ.

მაგრამ თანდათან გამოიცვალა ჩვენი წინაპრების ცხოვრება. შემოვიდა ლითონის იარაღი, ჯერ სპილენძის, შემდეგ — ბრინჯაოსი და, დაბოლოს, ჩაინისაც. ქართველმა ტომებმა ძალიან ადრე ისწავლეს ლითონის დამუშავება, ზოგი ლითონი ხომ ქართველი ტომების მიერ არის აღმოჩენილი. ამიტომ ქართველ ტომების ისტორიაში ლითონის იარაღის გაჩენა უფრო ადრე გამოჩნდა.

ლითონის იარაღმა ადამიანის შრომა უფრო ნაყოფიერი გახადა. ვისაც ხელში ლითონის იარაღი ეჭირა, ის ბუნებასთან ბრძოლაშიაც უფრო ღონიერი იყო, ვიდრე ძველად ქვისა და ხის იარაღების დროს. ამიტომ ხალხი უფრო შემძლებელი და მდიდარი გახდა და უფრო ადვილადაც მრაველდებოდა.

თანდათან გაჩნდა კერძო საკუთრებაც. ყველაზე ადრე, კერძო საკუთრების საგნად იარაღი იქცა. იარაღს ადამიანი ამიტომ იჩემებდა ძველად, რომ უფრო ხშირად თვითონ აკეთებდა მას, თვითონ ხმარობდა და ზოგჯერ თანაც დაჰკრძალა მეულმე.

იარაღს ძველ ქართულად „ჭურჭელი" ერქვა. ძველი ქართველის კერძო ქონება და სიმდიდრე სწორედ „ჭურჭელი" იყო. ამიტომ იყო რომ შემდეგშიაც „საჭურჭლეს" ეძახდნენ იმ საგანძურსა და ბაზინას, სადაც კერძო პირები და მეფეები თავიანთ სიმდიდრეს ინახავდნენ ხოლმე.

ლითონის იარაღის გაკეთება ყველას არ შეეძლო. ზოგი გულდაგულ სწავლობდა მჭედლობას და შემდეგ თავს ამ ხელობით ირჩენდა. ვისაც იარაღი სჭირდა, მაგრამ მისი გაკეთება არ შეეძლო, ის მჭედელთან მი-

დილა, იარალსა სთხოვდა და სამაგიეროდ რამეს აძლევდა, რაც თვითონ ეპადა, შინაურ პირუტყვს, ჭირნახულს ან სხვა რამე საგანს. გარდა ამისა, გაჩნდა ბევრი სხვა ხელობაც. ზოგი წისქვილის ქვის კეთებაში დაოსტატდა, ზოგი — თიხის ჭურჭლისაში, ზოგი — რაში. მერმე კიდევ სხვადასხვა კეთებაში სხვადასხვანაირი ბუნება იყო და ამ ბუნებასთან შეგუებით—. საქმიანობაც სხვადასხვანაირი. ზოგგან ლითონის მადანს სთხრიდნენ, ზოგგან ქვის მარილს იღებდნენ. ერთგან მესაქონლეობა უფრო ხელსაყრელი იყო. კარგი საძოვრების წყალობით, მეორეგან მიწისმოქმედებას უფრო ადვილად უძღვებოდნენ, ნოყიერი ნიადაგის გამო. მაგრამ მეკოგეს პური დასჭირდებოდა ხოლმე, ლითონი იქაც სჭიროდათ, სადაც მისი მადნიერები არ მოიპოვებოდა; უმარილოდ ხომ ხალხს გაძლება არ შეეძლო. ამიტომ ესენიც ერთმანეთში გაცვლა-გამოცვლას აწარმოებდნენ. ასე გაჩნდა ალებ-მიცემა და ვაჭრობა. უკვე ძველთაძველ დროში ქართველ ტომებს ვაჭრობა ჰქონდათ ძალიან შორეულ ქვეყნებთან.

ვაჭრობდნენ ჯერ უბრალო გაცვლის საბით. შემდეგ გაჩნდა ფულიც. ფული სხვადასხვანაირი იყო. ასე, მაგალითად, ფულად ხმარობდნენ ძველად შინაურ რქოსან პირუტყვს, ხარს. გამოითვლიდნენ რამდენ „ზროხას" უღირდა ორიე გასაცვლელი საგანი და ისე სცვლიდნენ. თუ ერთ მხარეს სათვალავში აკლდებოდა „ხარის" ძვლევდა, ამდენსადაამდენს „ზროხას" უმატებდა თავის საქონელს. ძროხებით ანგარიშობდნენ ხევსურები ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ. ჯოგი ამიტომ დიდ სიმდიდრედ ითვლებოდა და ისიც კერძო ქონების საცავად გადაიქცა.

რაკი ვაჭრობას სარგებელი მოჰქონდა, ამიტომ ვისაც შეეძლო ცდილობდა მეტი საქონელი დაემზადებინა გასასყიდად, მაგალითად, მეტი სპილენძის მადანი და ქვა-მარილი ამოეღო, ან მეტი პური მოეყვანა. ბევრი საქონლის დამზადებას მეტი მუშა სჭიროდა. თუ სახლში ბევრი მუშახელი იყო, ხომ კარგი, თუ არა და იგი სადმე სხვაგან უნდა ეშოვნათ. შეიძლებოდა, ძალა დაეტანებინათ და მუქთად ემუშაებინათ უკეთო კაცი. თუ კი ომი ხელში მოხვდებოდათ. ასეთი უცხო კაცი იყო ტყვე.

მაშინ ომიანობა ხშირი იყო. მეზობელი ტომები თავს ესხმოდნენ ერთმანეთს სხვადასხვა მიზეზით, უფრო ხშირად კი სიმდიდრის მოტაცების გულისათვის. ასეთს მოტაცებულ სიმდიდრეს ძველ-ქართულად „ნატყვევნავს" ეძახდნენ. ნატყვევნავში „ტყვეც" შედიოდა, ე. ი., ცოცხალი ადამიანი. ვისაც სახლში ზედმეტი საქმე ჰქონდა გასაკეთებელი, ის ამ ტყვეს ამუშაებდა პირუტყვსავით. ამგვარ მუშა ტყვეს „მონა" დაერქვა. ასე გაჩნდა მონობა.

მონობას მოჰყვა უთანასწორობა ადამიანებს შორის. მონების პატრონი ესე იგი. მონათმფლობელი მონას უყურებდა როგორც პირუტყვს, თუ მოისურვებდა, გაჰყიდდა მონას, ან მოჰკლავდა კიდეცაც. პასუხს კი არავის აძლევდა. მონათმფლობელის მეზობლებიც, ვისაც მონები არა ჰყავდა და არც სიმდიდრე ჰქონდა დაგროვებული, მონათმფლობელებთან შედარებით დაჩიავდნენ და დაუძლურდნენ. თანდათან მონობა მოელო ტომის თავისუფალ წევრებსაც, ერისშვილებს. ღარიბი მდიდრისგან სეს-

ხად პურს აილებდა და თავდებობისათვის დროებით მონად დაუდგებოდა. ასეთს დროებით მონას მანამ უნდა ემუშავნა მასესხებელის სასარგებლოდ, სანამ თავის ვალს არ გაისტუმრებდა. ხშირად ხდებოდა, რომ დროებითი მონა ვალიდან ველარ ამოდიოდა და სამუდამო მონად იქცეოდა.

მდიდრებმა თანდათან ჯოგები, ცალკე მიწის ნაკვეთები და სხვა საქონელიც დაისაკუთრეს, იარაღსა და მონებს გარდა. გაჩნდა მტრობა და სიძულვილი მონათმფლობელებსა და მონებს შორის, მდიდრებსა და ღარიბებს შორის. მონათმფლობელებისა და მდიდრების უსამართლობა და სისასტიკე მწველი ხასიათი იყო და ხალხი მათ ხშირად შავ დღეს აყენებდა ხოლმე. მონებიც ყოველთვის თავისუფლებაზე ფიქრობდნენ და თავი გაკვეთისაკენ ეკვირათ. ამიტომ მდიდარი მონათმფლობელები ერთმანეთში შეკავშირდნენ, თვითონაც კარგად შეიარაღდნენ და ცალკე შეიარაღებული რაზმებიც გაიჩინეს, რომ ურჩობა ველარავის გაებედნა და მონებსაც წინააღმდეგობა ველარ გაეწიათ. ასეთი კარგად შეიარაღებული, გაწვრთნილი ჯარი საჭირო იყო გარს შემოხვეული მრავალრიცხოვანი მტრების წინააღმდეგაც, საკუთარი მიწა-წყლისა და სარჩო-საბადებლის დასაცავად. ასე გაჩნდა სახელმწიფო. უძველესი სახელმწიფოები მონათმფლობელური სახელმწიფოები იყო, სადაც მონათმფლობელები იყვნენ გაბატონებულნი.

კოლხეთი და იბერიაც (ქართლი) მონათმფლობელური სახელმწიფოები იყო. თუმცა ამ სახელმწიფოების მთიან რაიონებში პირველყოფილი თემები ჯერ კიდევ გებედებოდა, როგორიც იყო, მაგალითად, სვანეთი კოლხეთში, მაგრამ ბარში აქ უკვე საზოგადოებრივი თანასწორობა ალარ არსებობდა. ალარ არსებობდა საზოგადო საკუთრებაც. ან რა ტოლები იქნებოდნენ მდიდრები და ღარიბები, თავისუფალი და არათავისუფალი ადამიანები, მონათმფლობელები და მონები. სტრაბონი მოგვითხრობს, იბერიაში ხალხი ოთხ წოდებად იყოფაო. პირველი წრიდან მეფეები გამოდიოდნენ. როცა მეფე გარდაიცვლებოდა, ვინც მისი ყველაზე ახლო ნათესავი და ყველაზე უფროსი იყო, ის ადიოდა ტახტზე, ხოლო მომდევნო მთავარმსაჯული იყო და მთავარსარდალი. ამ საგვარეულოს „სეფე" ეწოდებოდა, მის წევრებს „სეფე-წულები", ხოლო მეთაურს — „მეფე". მეორე წოდებას ქურუმები შეადგენდნენ, რომლებიც წარმართულ ტაძრებს ემსახურებოდნენ და ამავე დროს მეზობელ ხალხებთან სადაო საკითხებსაც განაგებდნენ. ტაძრებს იმ დროს ქართლში დიდი მამულები და განძები ჰქონდათ. მესხეთში, მაგ., იყო ლეკოთეას ტაძარი, ისეთი მდიდარი, რომ მეზობელი ქვეყნების მეფეები მას გასაძარცვად თავს ესხმოდნენ ხოლმე. მესამე წოდებაში მთელი დანარჩენი თავისუფალი ხალხი შედიოდა, ისინი მიწასაც ამუშავებდნენ და ომშიაც გადიოდნენ, როცა მეფე დაუძახებდა. ამ წოდებას ძველებურად „ერი" ერქვა, მაგრამ ეხლა უკვე ამ ერს ის ძალა ალარ ჰქონდა, რაც პირველყოფილ-თემური წყობილების დროს. მეოთხე წოდებაში მდაბიო ხალხი შედიოდა. ისინი სეფე-სახლს ანუ სამეფო საგვარეულოს ემსახურებოდნენ და უმზადებ-

დნენ ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვის არის საჭირო. ქართულად მათ „გლეხებს“ ეძახდნენ.

ეს ოთხი წოდება შეადგენდა იმდროინდელ ქართლის საზოგადოებას. ბლომად ჰყავდათ მაშინ საქართველოში მონებიც, მაგრამ მონებს საზოგადოების წევრებად არ სთვლიდნენ. მონები ჰყავდა მეფის საგვარეულოს, ჭირუმებს. სხვა მდიდარ ხალხსაც. მონებს სხვადასხვა საქმეზე ამუშაებდნენ, საშენებელ ქვას ათლეინებდნენ, თიხას აზელინებდნენ და სხვა. მონებს ხშირობდნენ აგრეთვე როგორც მენიჩბეებს მდინარეებში ნაოსნობის დროს.

ასეთივე მონათმფლობელური ხასიათისა იყო საზოგადოებრივი წყობილება კოლხეთის ბარშიაც.

ბარში რომ მონათმფლობელობა იყო გაბატონებული, მთაში, როგორც ვთქვით, თემურ წყობილებას ჯერ კიდევ ფესვები მაგრად ჰქონდა გადგმული. მაგრამ თემური წყობილების ნაშთები ბარშიაც ხვდებოდა კაცს, მდაბიო ხალხში. ეს არც გასაკვირველია. ძველად განვითარება ნელა ხდებოდა ძალიან, ახალი წესწყობილება და ზნეჩვეულება გაჭირვებით იკვლევდა გზას, ძველი ადათი და ჩვეულება-კი მაგრად ებღაუჭებოდა ცხოვრებას.

ამიტომაა რომ თემური წყობილების ნაშთებმა ჩვენს მთიელებში მე-19—მე-20 საუკუნემდისაც მოაღწია. დიდმა ქართველმა მწერლებმა ვაჟა-ფშაველამ და ყაზბეგმა მხატვრულად აგვიწერეს ხევსურული, ფშაური, მოხეური თემი. სისხლის აღება, უფროს-უმცროსობა, სტუმარ-მასპინძლობა და ბევრი სხვა რამე, რასაც ჩვენ გვიხატავენ ვაჟა და ყაზბეგი, სწორედ თემური წყობილების ნაშთებია.

სვანეთშიაც, ე. წ. თაისუფალ ანუ უბატონო სვანეთში, რომელსაც მდ. ინგურის სათავეები ეკუთვნის, თემური წყობილების ნაშთები კარგად იყო შემონახული წარსული საუკუნის დამლევამდე. რამდენიმე სოფლის კავშირი შეადგენდა თემს. თემს სათემო კრებულობა ანუ, სვანურად, „ლეზარ“, „ლებარ“ განაგებდა. სათემო კრებულობას შეადგენდა თემის ყველა მამაკაცი, ვისაც ოცი წელი ჰქონდა შესრულებული. თუ კომლში სრულწლოვანი ვაჟკაცი არ იყო, მაშინ სათემო კრებულობაში კომლის სახელით ქალი მონაწილეობდა. სათემო კრებულობა განაგებდა თემის ყველა საქმეს და თავისი მოქმედებისათვის ანგარიშს არავის აძლევდა. სამართალიც მის ხელში იყო. სათემო კრებულობა ირჩევდა ისეთ საქმეებს, როგორიც იყო: მეზობელ ტომებთან ზავის დადება თუ ომის დაწყება, კავშირის შეკვრა სხვა თემებთან, სასჯელი ჭირდობისათვის და მამა-პაპური ადათების დარღვევისათვის, კომლებზე გადასახადების გაწერა, როცა ტყვედ ჩავარდნილი თემის შვილი იყო დასახსნელი, ანდა თემის წევრის შიერ მოკლული მტრის სისხლი უნდა ეხდათ. დანაშაულისათვის სათემო კრებულობას შეეძლო ერთი ან რამდენიმე კომლი აეყარა თავისი ადგილიდან, ამოეწვა მათი კარ-მიდამო, გაეძევებინა საზოგადოებიდან მავნე პირები და სიკვდილითაც-კი დაესაჯნა ისინი. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად ითვლებოდა „ქვეყნის ღალატი“—ე. ი., თუ ვინმე ეცდებოდა

რომ თავისი თემი მეზობელი თავადისათვის დაემორჩილებინა. და, აგრეთვე, ღვთის გმობა. სიკვდილით თემი მაინც იშვიათად სჯიდა. უდიდესი სასჯელი თემის ფარგლებიდან გაძევება იყო, — ასეთი გაძევებული ადამიანი მიუსაფარი იყო, მას მოსარჩლე აღარავინა ჰყავდა. სამაგიეროდ, ბორტმოქმედებაც იშვიათად ხდებოდა თემში, წესრიგის შეგნება და სათანადო ადათები ხალხს ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი.

თემის სათავეში „მახვში“ იდგა, რაც სვანურად უფროსს ნიშნავს. მახვში იყო სათემო ყრილობის თავმჯდომარე და თემის უმაღლესი მოხელე. მახვშის უვადოდ ირჩევდნენ და თუ ის ღირსეული აღმოჩნდებოდა, ღრმა მოხუცებამდე უძღვებოდა თავის თანამდებობას, თუ არა და — ხალხს შეეძლო მახვში ყოველ წუთას გადაეყენებინა. მახვშის თანამდებობაზე ირჩევდნენ ხანში შესულს, გამოცდილს, გულადს, გონიერს, პატრონასსა და თემის ერთგულ კაცს. მახვშის არჩევნებში მონაწილეობდა თემის ყველა სრულწლოვანი წევრი, მათ შორის — ქალებიც. როგორც არჩევნებისათვის, ისე თემის ყრილობისათვის საზოგადოდ ერთი მოედანი იყო განკუთვნილი. ხალხს ყრილობაზე გრძელი სპილენძის ბუკის ძახილით ჰკრეფდნენ. მახვში ყრილობის დაუკითხავად არაფერს აკეთებდა. მაგრამ დიდი გაელენა და პატივისცემა ჰქონდა მოხვეჭილი. მახვშის ყველა საქმე ექვემდებარებოდა. ვიდრე ყრილობაში საქმეს გამოიტანდა, მახვში ჯერ გამოცდილსა და სანდო პირებს დაეთათბირებოდა. ყრილობას შეეძლო მახვშის აზრი მიეღო ან არ მიეღო, როგორც საჭიროდ დაინახავდა.

მახვშის გარდა თემს მოსამართლეებიც, „მორვარები“, ჰყავდა არჩეული. სასამართლოშიაც მთავარი როლი მახვშის ჰქონდა დაკისრებული. სასამართლოს განაჩენს მომჩივანიც და მოპასუხეც სიტყვის შეუბრუნებლად ემორჩილებოდნენ.

თემის კავშირი შეადგენდა „ხევს“ ანუ „ხეობას“. ძველად მას სვანეთში „სვანეთის ერთობილ ხევს“ ან „სვანეთის ბედნიერ ხევს“ ეძახდნენ. ხევსაც ჰქონდა თავისი ყრილობა. ხევის თავყრილობა ცალკე თემების მახვშებისა და „ჩენილებისაგან“ ანუ დეპუტატებისაგან შესდგებოდა. განსაკუთრებულ შემთხვევებში-კი თემის თავყრილობას ყველა კომლის წარმომადგენელი ესწრებოდა. ასე მოხდა 1875 წ., როცა სვანებმა აჯანყების დროშა ააფრიალეს რუსეთის მეფის მთავრობის წინააღმდეგ.

საერთო წესწყობილებას შეეფარდებოდა თემის წევრების უფლება-მოვალეობაც. თითოეული სვანი მოვალე იყო თავისი თემის სახელი და ღირსება დაეცვა და საერთო მტრისათვის პასუხი გაეცა. სამაგიეროდ, თვითონაც თემისაგან ყოველნაირ შემწეობას ილებდა. გადამწვარს, მაგ., თემი ეხმარებოდა, თითოეული მოსახლე მას თავისი მოსავლის ნაწილს უთმობდა. სახლის შენებისას საშენებელი მასალა მოჰქონდათ და სხვა მხრივაც ეშველებოდნენ. უპატრონო მოხუცებს, ავადმყოფებსა და ღატაკებს თემი უვლიდა. გაჰპრეებული კაცის სათხოვარს თემი მაშინაც თანაგრძნობით ეკიდებოდა, როცა ეს კაცი სხვისი თემისა იყო. ხოლო თავის

თემის კაცს უცხოს წინააღმდეგ თემის კაცი მაშინაც უნდა დახმარებოდა, რაც ამათ შორის მტრობა იყო.

მაგრამ სვანების ამ თემებში უკვე იყო კერძო საკუთრება შემოპარული. მიწა აქ უკვე კერძო საკუთრების საგნად იყო გადაქცეული, თუმცა ეს საკუთრება ჯერ კიდევ რამდენადმე შეზღუდული იყო თემის მიერ.

სათემო წესწყობილება ყველგან ირღვეოდა და მის ადგილს უფრო მოწინავე წყობილება იკვლევდა. მთაში ის მხოლოდ უფრო გვიან დაემხო.

თემის კაცის, თავისუფალი სოფლის მეურნის ნათქვამია ეს ხალხური ლექსი:

არც არაფის ცხა ვყოფილვარ,
არც არავინ ყმად მყოლია,
ძველი პური, ძველი ღვინო
წლით-წლობამდე გამყოლია.

ქართველებისა და რომაელების ურთიერთობა

კოლხეთსა და ქართლს რომაელები სხვადასხვანაირად მოეკიდნენ. კოლხეთში მათ, როგორც ვიცით, თავისი მმართველი დააყენეს, იმიტომ რომ ამ ქვეყანას მიეთრიდატის, თავისი მთავარი მტრის, სამფლობელოს ნაწილად სთვლიდნენ. ქართლში კი რომაელებს მეფისათვის ხელი არ უხლიათ. ქართლს მათ რომის „მეგობრობა" დააკისრეს. შემდეგშიაც რომაელები იბერებს კეისრისა (იმპერატორის) და რომის „მეგობრებად", „ფილოკეისარებად" და „ფილორომეებად" აცხადებდნენ, მაგრამ ქართლისათვის ეს „მეგობრობა" არც სასურველი ყოფილა და არც სასიამოვნო. რომაელები იძულებული ყოფილან დროდადრო ახალ-ახალი ჯარებით გამოცხადებულიყვნენ ქართლში და შერყეული „მეგობრობა" ალედგინათ. 36 წელს, ძვ. წ., მეორე რომაელ სარდალს, კანიდი კრასს, კვლავ გაულაშქრია ქართლში და ქართლის მეფე ფარნავაზი ომში დაუმარცხებია. დამარცხების შედეგი ის ყოფილა მხოლოდ რომ ფარნავაზს კვლავ უკისრნია რომაელების „კავშირი" და კრასთან ერთად ალბანეთს შესეულა, რომელიც მოკავშირეებს აგრეთვე დაუმორჩილებიათ. 15 წ., ძვ. წ., იბერიაში ისევ ამბოხება ყოფილა, მაგრამ, ჩანს, რომაელებს „კავშირი" და „მეგობრობა" კვლავ ალუდგენიათ.

რას მოითხოვდნენ რომაელები ქართველებისაგან?

— ყველაზე ადრე ან თითქმის მხოლოდ სამხედრო დახმარებას. „მეგობრობა", რომელსაც ისინი ქართველების მხრივ ეძებდნენ, „სიმაჭია" იყო, ე. ი., სამხედრო კავშირი. რომაელებს ამ დროს ხშირი ომები ჰქონდათ აღმოსავლეთში და მამაცი კავკასიელი ხალხების ჯარი მათთვის ძალიან გამოსადეგი იყო. განსაკუთრებით რომაელებს სურდათ ადგილობრივი ხალხების საშუალებით გაემაგრებინათ კავკასიონის უღელტეხილები, ან სხვაგვარი გასასვლელები, სადაც ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გზები გადმოდიოდა. ასეთ გასასვლელებს ძველად ყველაზე „კარებს" ეძახდნენ: სპარსულად — „დარ", სომხურად — „დურნ", ბერძნულად — „პილაი" და სხვა. ჩვენი წინაპრებიც მათ „კარს" ან „კა-

რებს“ უწოდებდნენ. როცა ეს „კარები“ ზღვის პირას იყო, მაშინ „ზღვის კარს“ ეტყოდნენ, როცა მთებში, მაშინ „ზეკარსაც“ ამბობდნენ. კავკასიონის ქედზე რამდენიმე ასეთი გადასასვლელი იყო. კავკასიონის ყველაზე მოხერხებული საუღელტეხილო გზები საქართველოს ტერიტორიაზე მოდიოდა. ასეთი იყო, დასავლეთიდან რომ დავიწყოთ, ქლუხორის უღელტეხილი აფხაზეთში, მამისონისა რაჭაში და სხვები, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა დარიალას. დარიალა ანუ, უფრო სწორედ, დარიალანი, სპარსული სახელია და „ალანების კარს“ ნიშნავს. ძველ-ქართულად მას „არაგვის კარი“ ანუ „ოვსთა კარი“ ერქვა. ბერძენ-რომაელები კიდევ „კასპიის“ ან „კავკასიის“ კარებს ეძახდნენ. დარიალის გზა მდინარე არაგვს მიჰყვებოდა მისი სათავეებისაკენ და შემდეგ მდინარე თერგის (ძვ. ლომეკის ანუ პირიქითა არაგვის) ხეობაში გადადიოდა. მდ. თერგის ხეობა საქართველოს რესპუბლიკის დღევანდელ საზღვართან, რომელიც კავკასიონის დიდი ქედის გადალმა მდებარეობს, მეტად ვიწროა და ამიტომ ადვილად ჩასაკეტი. სწორედ ამ ვიწრო, ღრმა ხეობას ეწოდება დარიალა. როცა რომაელები პირველად მოვიდნენ საქართველოში, მათ უკვე დარიალა იბერიის სამეფოს ხელში დახვდათ. ქართველებს ეს ხეობა მიუდგომელი კედლით ჰქონიათ გამაგრებული. თუ რა მიზანი ჰქონდა ამ სიმაგრეს, გვიამბობს ცნობილი რომაელი მწერალი, პლინიუს სეკუნდი (გარდაიცვალა 79 წ., ახ. წ.): „კავკასიის კარები... უზარმაზარი ქმნილებაა ბუნებისა, მთების უეცარი გაპობის შედეგი. თვით გასასვლელი მოზღუდულია რკინით შემოჭედილ დირეებით. მათ ქვეშ მიედინება მყრალი მდინარე, ხოლო გამოღმა აგებულია კუმანიად წოდებული სიმაგრე. აშენებული იმ მიზნით რათა დაებრკოლონ მრავალრიცხოვანი ტომების გადმოსვლა“.

ჩრდილოეთ კავკასიის ტრიალ მინდვრებზე ძველთაძველი დროიდანვე მოყოლებული მართლაც მრავალსა და მრავალრიცხოვან ტომებს უცხოვრია. სკვითურ-სარმატულ სხვადასხვა ტომს გარდა, ალანები ანუ ოვსები, ჰუნები, ხაზარები, პაჭანიგები და ბევრი სხვა ტომი ყოფილა აქ. ეს იყო მეკოგე ტომები, რომელნიც გადადიოდნენ ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში თავისი ჯოგებისათვის საკვების საძებრად. ჩრდილოეთ კავკასიის ველებზე და კავკასიის მთებში მშვენიერი საზამთრო და საზაფხულო საძოვრები იყო და აქ ეს ტომები დიდხანს ჩერდებოდნენ, ვიდრე სხვა, უფრო ძლიერი, მეკოგეები მათ ადგილიდან არ დასძრავდნენ.

მესაქონლეობის გარდა ეს ტომები ხშირ ომიანობასაც მისდევდნენ და მძარცველობასაც ხელს არ აკლებდნენ, როცა საამისო პირობა ჰქონდათ. თუ კავკასიონის კარები ღია ხვდებოდათ, ეს ტომები თავს ესხმოდნენ სამხრეთის კულტურულ ქვეყნებს ნადავლისა და საშოვარისათვის. არა ერთხელ შემოჭრილან ეს ტომები ამიერკავკასიაში, შემდეგ აქედან გადასულან სპარსეთში, მცირეაზიაში და იქაურობა აუოხრებიათ. ვისაც თავისი კარები მაგრად დაკეტილი ჰქონდა, ხოლო განძი და ფული საკ-

მაინც ებადა, იმას შეეძლო ჩრდილოეთის მოხეტიალე ტომები დაექირავებინა და თავის მტრებისათვის მიესია. არა ერთხელ დაუქირავებიათ სამხრეთის სახელმწიფოებს ალანები, ჰუნები და სხვები. ეს მეომრები, რომელნიც კარგი ცხენოსნები და გულადი მეომრები იყვნენ, ქირის გულისთვის ხალისით მიდიოდნენ ომში ყველა მხარეს.

ამიტომ იყო საჭირო კავკასიონის კარების გამაგრება, საქართველოში-კი—განსაკუთრებით დარიალისა.

ეისაც ეს გზები ხელში ეჭირა, იმას მათი სავაჭროდ გამოყენებაც შეეძლო. უძველესი დროიდანვე სამხრეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნებს შორის ალებმიცემა არსებობდა, რომელსაც კარგი სარგებელიც მოჰქონდა.

რომაელებს ბევრი სხვადასხვა საქონელი ჰქონდათ სასყიდი და გასასყიდი, მაგრამ ყველაფერზე მეტად მათ მონები აინტერესებდათ. იმიტომ რომ რომი მონათმფლობელური ქვეყანა იყო. რომაელებისთვის საჭირო იყო მონების ან ძალიან იაფად ყიდვა, ან მეტად შეძენა ომში. ტყვეების სახით. კავკასიაში-კი, განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიაში. ბევრი ტყვე და მონა იშოვებოდა. აქაური ტომები ერთი ერთმანეთის თავს ესხმოდნენ, დიდძალ ხალხს ატყვევებდნენ და შემდეგ ამ ტყვეებს ჰყიდდნენ ან ცვლიდნენ მათთვის საჭირო საგნებში—ტანისამოსში, ღვინოში და სხვა ამგვარ საქონელში, რომელსაც უფრო დაწინაურებული ქვეყნები აწარმოებდნენ. ტყვის მოსატაცებლად ჩრდილოეთ კავკასიაში სამხრეთიდან, კერძოდ — საქართველოდანაც, გადადიოდნენ.

აი, რა აინტერესებდათ რომაელებს საქართველოსა და კავკასიაში. ქართლის შეფეს რომაელებმა ამიტომ დააკისრეს დარიალისა და სხვა საცულტებილო გზების გამაგრება და დაცვა. გარდა ამისა რომაელებს აინტერესებდათ ეს დიდი სავაჭრო გზაც, რომელიც ძველთაგანვე რიონის და მტკვრის ხეობით საქართველოზე გადიოდა და დასავლეთის ქვეყნებს აკავშირებდა აღმოსავლეთთან. ეს გზა ქალ. ფაზისში იწყებოდა და კასპიის ზღვამდე უწევდა.

საქართველოს მეზობელ ალბანიაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დარუბანდის გასასვლელს, დარუბანდის „ზღვის კარს“, იმ ადგილს, სადაც კავკასიონის ქედსა და კასპიის ზღვას შორის ეიწრო ზოლია დარჩენილი. ამ კარებს ძველი ქართველები და სომხები „ჩორ“-საც ეძახდნენ. ალბანიის შეფეს რომაელებმა ჩორის კარის დაცვა დააკისრეს.

საქართველოს შემომტკიცება რომაელებს იმისთვისაც სჭირდებათ, რომ სომხეთში თავი უშიშრად ეგრძნოთ. სომხეთის გამო ისინი განუწყვეტელ ბრძოლას აწარმოებდნენ პართველებთან.

რომაელების ძალმოსვრეობა კოლხეთში.

ბრძოლა რომაელების წინააღმდეგ. ანიკეტის აჯანყება

იქ, სადაც რომაელებს ხელი კარგად მიუწვდებოდათ, ისინი არაფის ინდობდნენ. დასახმარი იყო მათთვის ზღვისპირა მდებარე კოლხეთიც. რომელსაც ისინი ხომალდებით ადვილად უკაეშირდებოდნენ. ამიტომ

ძალადობას და შეურაწყოებას რომაელებისგან ხალხი დას. საქართველოში უფრო განიცდიდა. რომაელი მოხელეები, სარდლები და დიდებულები საშუალებას არა ზოგავდნენ რომ დამორჩილებული ქვეყნების მოსახლეობისგან რაც შეიძლება მეტი ქონება დაეცინცლათ. ცხოვრება გამწარებული ჰქონდა ხალხს ტყეის მტაცებელთაგან, რომელთაც მონათმფლობელი რომაელები მფარველობდნენ. ასეთი მეკობრეები თავიანთი ნაცებით დღედაღამე დაძრწოდნენ სანაპიროზე, მოხერხებულ დროს ხალხს თაეს ესხმოდნენ და ადამიანებს ტყეედ იტაცებდნენ. შემდეგ ნათესავებს შეუთვლიდნენ, თქვენი კაცი დაიხსენითო. მაგრამ ყველა ვერ ახერხებდა თავის ტყეედ წაყვანილი ნათესავის გამოხსნას, რადგანაც ყაჩაღები დიდ საფასურს მოითხოვდნენ. ზოგი იმის გაგებასაც ვერ ახერხებდა, თუ სად იყო მათი ტყვე გადაკარგული, თავდაუხსნელი ტყეები ამ მეკობრეებს მახლობელ რომაულ ქალაქებში მიჰყავდათ, მაგალითად, ყირიმის ქალაქებში, და იქ ჰყიდდნენ რომაელებზე.

ხალხი არასოდეს არ შეჰრიგებია ამ მტარვალებს და მხნედ იცავდა თავს. რომაელ მოძალადეებს ხალხი იარაღით უმასპინძლდებოდა. განსაკუთრებით დიდი აჯანყება რომაელების წინააღმდეგ მოხდა იმპერატორ ვესპასიანეს (69 - 79 წ. წ., ახ. წ.) მეფობაში. ერთმა „ბარბაროსმა", როგორც ეძახდნენ ბერძენ-რომაელები ყველა უცხოელს, ე. ი. ადგილობრივმა მკვიდრმა, სახელად ანიკეტმა, შეაკავშირა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ანუ ძველ კოლხეთში მცხოვრები ტომები. ანიკეტი ყოფილი მონა იყო და მან მონაც ბევრი გადაიყვანა თავის მხარეზე. მონები პირად თავისუფლებას ეძებდნენ, ტომები-კი — საბალხო დამოუკიდებლობას. ანიკეტმა აიღო ქალ. ტრაპეზუნტი და აქ მდგომი რომაული რაზმი ამოწყვიტა. შემდეგ ანიკეტის ჯარმა დაწვა რომაული ფლოტი, თავისთვის კი ხომალდები აიშენა, რომლებითაც ზღვაზე სწრაფად მიდი-მოდიოდა. იმპერატორმა ახალი ჯარები გამოგზავნა და რომაელებმა ბოლოსდაბოლოს დაამარცხეს აჯანყებულები. ანიკეტმა და მისმა მიმდევრებმა თავი შეაფარეს თავიანთი ხომალდებით მდ. ხობს, დღევანდელ სამეგრელოში, სადაც მათ მოკავშირედ ჰყავდათ ადგილობრივი მეფე. ეს მეფე ჯერ ეხმარებოდა ანიკეტს. მაგრამ შემდეგ, რომაელების შიშით და თავისი პირადი ინტერესის გულისათვის, მან ულალატა ანიკეტს და ვასცა იგი.

მიუხედავად ანიკეტის დალუპვისა, კოლხეთის ხალხი შემდეგშიაც მედგრად განაგრძობდა ბრძოლას.

ქართლის (იბერიის) სამეფო და რომაელები

ქართლის მიმართ რომაელები სულ სხვა პოლიტიკას აწარმოებდნენ. ქართლი თავისთავადაც ძლიერი სამეფო იყო და, რომის ტერიტორიიდანაც დაშორებული, უკიდურეს ჩრდილოეთ საზღვარზე მდებარეობდა. ამიტომ აქ რომაელებს ისეთი დიდი გასაქანი არ ჰქონდათ და მათი მოთხოვნილებაც მცირე იყო. ოღონდ ქართლს სამხედრო კავშირზე უარი

არ ეთქვა და რომის მთავრობა მზად იყო, ქართლის მეფეების გულის მოსალბობად, დიდი ძღვენი და საჩუქრები გაეღო და იბერიის სამეფოს ზრდისათვისაც ხელი შეეწყო. განსაკუთრებით სჭიროდათ ქართველების დახმარება რომაელებს პართელების წინააღმდეგ.

ამიტომ იყო, რომ რომაელები შემდეგშიაც სულ იბერიასთან „მეგობრობაზე" ლაპარაკობდნენ. იმპერატორი ავგუსტი თავის განთქმულ ანკირის წარწერაში, რომელიც I საუკუნის დასაწყისს ეკუთვნის, ახალი წელთაღრიცხვით, სხვათა შორის ამბობს: „ჩვენს მეგობრობას თხოულობდნენ, ელჩობის პირით,... ალბანელების, იბერებისა და მიდიელების (ე. ი. პართელების) მეფეები"-ო. ეს ჩვეულებრივი დიპლომატიური ენაა. ნამდვილად ამ ხალხების მეგობრობას თვითონ რომის მთავრობა ეძებდა.

35 წელს, ახალი წელთაღრიცხვით, სომხეთს პართელების მეფე არტაბანი შეესია და სომხეთის მეფედ თავისი უფროსი შვილი, არშაკი, დასვა. სომხეთს ძალიან აფასებდნენ არა მარტო პართელები, არამედ რომაელებიც. იმათმად რომაელებს ძალა არ ჰყოფნიდათ მარტო გამკლავებოდნენ პართელებს. ამიტომ იმპერატორმა ტიბერიმ გადასწყვიტა, სომხეთის საქმეებისათვის ქართველების საშუალებით მოევლო, მან ქართლის მეფეს ფარსმანს შეარიგა მისი ძმა მითრიდატი, რომელიც ფარსმანთან მანამდის მტრობაში იყო, და ურჩია ორივეს, სომხეთს შესიეთ, მეც დახმარებას გაგიწევთ და სომხეთის მეფედ მითრიდატი დაჯდესო. მართლაც, ქართველები შეესივნენ სომხეთს დიდი ჯარებით და სომხეთის დედაქალაქი არტაშატი, რომელიც მდ. არაქსის ნაპირზე მდებარეობდა, დაიპყრეს. პართელების მეფემ მაშინ სომხეთში თავისი შვილი ოროდი გამოგზავნა ახალი ლაშქრით, და გარდა ამისა კაცები აფრინა ქირის ჯარის შესაკრებად. მაგრამ ქართლის მეფემ ფარსმანმა დაასწრო: დარიალის კარი, რაკი მის ხელთ იყო, გააღო და ჩრდილოეთიდან სარმატების ჯარი გადმოიყვანა, თანაც ალბანელები მოიშველია. პართელებმა-კი ვერავინ იშოვეს, რადგანაც კავკასიონის სხვა სხვადასხვა გზები ქართველებს მაგრად ჰქონდათ ჩაკეტილი, ხოლო დარუბანდის კარი ზამთრობით გაუვალი იყო. ფარსმანი თვითონ დაესხა თავს ოროდს და პართელები ომში ჩაითრია. პართელების ძალა მხედრობაში მდგომარეობდა, მათი ცხენოსანი ჯარი მთელ მსოფლიოში იყო განთქმული. ქართველებს-კი მხედრობაც ჰყავდათ და ქვეითი ჯარითაც ძლიერნი იყვნენ. რომაელები ამბობდნენ, იბერები და ალბანელები მთის ხალხებია და უფრო შეჩვეული არიან მკაცრ ცხოვრებასა და ამტანობასო. ასეთს მთიელ ვაჟკაცს აქებს ხალხური ლექსი:

> მთაში გაზრდილო ვაჟკაცო,
> ხმალს რომდის მოგიშორდება,
> ომში შეხვალ და გამოხვალ,
> გული არ შეგიშინდება!

ასე ამხნევებდა ფარსმან მეფე ქართველებს ამ დიდი ომის წინ (პართელები ხომ ძალიან საშიშარნი იყვნენ, მათი სახელმწიფო იმ დროს ერთი უძლიერესთაგანი იყო მთელ მსოფლიოში): ქართველები ამდენ

ხან თავისუფალი ეიყავით პართელების ბატონობისაგან, ეხლა რაც უფრო მეტს მოვინდომებთ, მით უფრო დიდ სახელს მოეიხვეჭთ, და თუ მტერს ზურგს ეუჩვენებთ, მით უფრო შევირცხვენთ თავსა და ხიფათსაც გავიმრავლებთო. დახედეთ ჩვენების მრისხანე წყობას და პართელების ოქროთი მოკაზმულ ურდოს, აქ ვაჟკაცები არიან და იქ დაელა-ალაფო!

საშინელ ომში, როცა ქართველები და ალბანელები უკვე სჯობნიდნენ პართელებს, ფარსმანმა და ოროდმა, რომელნიც თაეისიანებს ამხნევებდნენ, ერთმანეთი იცნეს სამეფო ტანისამოსით და შეიტაკნენ. ფარსმანი უფრო ფიცხი იყო, პართელების მეფის შვილს ხმლით მუზარადი გაუპო და მძიმედ დასჭრა. ამ ამბავმა საბოლოოდ გასტეხა პართელები და მათ ბრძოლის ველი ქართველებს დაუთმეს.

პართელების მეფემ ეხლა მთელი თავისი ჯარით გამოილაშქრა. მაგრამ ქართველები აქაურ ადგილებს უფრო კარგად იცნობდნენ და მაინც სჯობნიდნენ. ბოლოსდაბოლოს, პართელებმა სომხეთი ქართველებს დაანებეს. სომხეთის სამეფო ტახტზე მითრიდატი დაჯდა.

მითრიდატი, ჩანს, რომეალებს არაფრად აგდებდა. ამიტომ რომაელებმა იგი შეიტყუეს და დააპატიმრეს. მაგრამ შემდეგ რომის მთავრობა ისეე იძულებული გახდა გაეთავისუფლებინა მითრიდატი და დახმარებოდა კიდეეც მას სომხეთის ტახტის დაბრუნებაში.

მითრიდატმა თითქმის თხუთმეტი წელი იმეფა სომხეთში, მაგრამ 51 წ. დაიღუპა თავისიეე ძმის, ქართლის მეფის, ფარსმანის, ეერაგობის წყალობით. ფარსმანს ერთი შეილი ჰყავდა, სახელად რადამისტი, ტანადი, არაჩეეულებრიეი ღონის მქონე, ეროვნულ ვარჯიშობაში დახელოვნებული და დიდად სახელგანთქმული მეზობლებში. რადამისტი თურმე ხშირად და მკეახედ ლაპარაკობდა, მამაჩემი დაბერდა და ქართლის სამეფოს განდიდებას ხელს ეერ უმართავსო. ფარსმანი შეშინდა. ამ ჩემმა უფლებისმოყვარე შვილმა, რომელიც ხალხს უყვარს, ტახტიდან არ ჩამომაგდოსო, და რადამისტს ჩაგონა, წადი სომხეთში. ბიძაშენს ტახტი წაართვი და თითონ გამეფდიო. მართლაც. რადამისტმა ფარულად სომეხი დიდებულები თავის მხარეს გადმოიბირა და შემდეგ მამა-შვილმა მითრიდატს ომი აუტეხეს. ომისათეის ეს მოიმიზეზეს: ჩვენ რომ ალბანელების წინააღმდეგ რომაელებს დახმარებას ეთხოვდით, ხელი შენ შეგეშალეო. ამ ომში მითრიდატის საქმე კუდად წაეიდა. ბოლოს რადამისტმა და ფარსმანმა ღალატით საზარლად ამოხოცეს მითრიდატი და მთელი მისი ოჯახი. სომხეთში რადამისტი გამეფდა.

ასეთი მდგომარეობა არც პართელებს მოსწონდათ და არარც რომაელებს. თეითონ რადამისტიც მეტად სასტიკი მმართველი გამოდგა. სომხებმა მოთმინება დაჰკარგეს და რადამისტი თავის სამეფოდან გააძეეეს.

ფარსმან, ქართლის მეფე, ამის შემდეგაც განაგრძობდა ბრძოლას სომხების წინააღმდეგ. 58 წ. მან სომხეთს მესხები შეუერთა.

შემდეგ ფარსმანმა რომაელებს დიდი დახმარება გაუწია მარდების ბლიერი ტომის წინააღმდეგ. ამის გამო რომაელებმა სომხეთს რამდენიმე ოლქი ჩამოაჭრეს და ფარსმანს მისცეს ისინი.

პირველი საუკუნის მეორე ნახევარშიაც რომაელები კვლავინდებურად ცდილობდნენ ქართლის მეფისა და ხალხის გულის მოპოვებას. 75 წ. იმპერატორ ვესპასიანეს ომაზის გალავანი გაუმაგრებია და წარწერაც ამოუკრეფინებია. ეს წარწერა ჩვენ დრომდე არის შენახული და შიგ ნათქვამია რომ იმპერატორმა და რომის მთავრობამ „ფარსმან მეფის ძეს. იბერთა მეფეს მითრიდატს,... კეისრისა და რომაელების მეგობარს. და ხალხს ეს ცხე გაუმაგრეს“-ო.

მეორე საუკუნეში ქართლი კიდევ უფრო ძლიერი სამეფო იყო და ქართლის მეფეებს თავი უფრო დამოუკიდებლად ეჭირათ. რომაელები ქართლის მიმართ ეხლაც მხოლოდ იმას ცდილობდნენ რომ ეს სამეფო მოკავშირედ ჰყოლოდათ. ამისათვის ისინი ძღვენსა და საჩუქრებს არა ზოგავდნენ ტრაიანე კეისარს (98 – 117 წ.წ.) განუახლებია ხელშეკრულებანი იბერებთან. ალბანელებთან და კოლხებთან. განსაკუთრებით მეგობრული განწყობილება ჰქონია ტრაიანეს ქართველებსა და ალბანელებთან და უხვ საჩუქრებს უგზავნიდა თურმე მათ. ტრაიანეს მემკვიდრე ადრიანე კეისარიც (117 — 138) ასევე იქცეოდა: რომაელი ისტორიკოსები გვიმბობენ რომ ადრიანეს „უდიდესი მეგობრობა ჰქონდა იბერებსა და ალბანელებთან... იგი იძულებული იყო სიტყვითა და საჩუქრებით მოელბო მათი მეფეების გული, რადგან მათ ზიზღით უარი სთქვეს მასთან მისვლაზე“. მაინც არც ერთს მეფეს არ უგზავნიდა ადრიანე თურმე იმდენ საჩუქრებს. რამდენსაც ქართლის მეფეს ფარსმანს. რადგან, კეისრის მიწვევით. რომში ჩასულა მეფე ფარსმანი თავისი ცოლ-შვილითა და დიდი ამალით. ფარსმანს იმპერატორისათვის ძვირფასი ძღვენი ჩაუტანია, სხვათა შორის, ოქროთი შემკული წამოსასხამებიც. სამაგიეროდ, მას კეისრისაგან კიდევ უფრო მდიდარი საჩუქრები მიუღია. მათ შორის—სპილო და 500 მეომარი. გარდა ამისა, კეისარმა ახალი მიწაწყალი ბოძა ფარსმანს და ნება მისცა მას რომის ტაძარ კაპიტოლიში მხედრული შეეწირა, რაც დიდ პატივისცემად ითვლებოდა. ფარსმან მეფემ, მისმა შვილმა და სხვა წარჩინებულმა ქართველებმა უჩვენეს რომაელებს ეროვნული სამხედრო ვარჯიშობა ცხენზე მძიმე აბჯარში, რითაც მასპინძლებს ძალიან თავი მოაწონეს. იმპერატორის ბრძანებით, ცხენზე მჯდომარე ქართველი მეფის ჭანდაკება გააკეთეს და მარსის მოედანზე დადგეს რომში. ფარსმან მეფეს მეგობრობა ჰქონია აგრეთვე ადრიანეს მემკვიდრესთან, ანტონინე კეისართანაც და მასაც სწვეევია სტუმრად რომში.

კოლხეთი პირველსა და მეორე საუკუნეში, ახ. წ.

კოლხეთი უფრო მჭიდრო დამოკიდებულებაში იმყოფებოდა რომისაგან თავდაპირველად, როგორც ვიცით. რომის მთავრობას აქ თავისი მშვიდობიანი ჰყავდა დაყენებული. მაგრამ კოლხეთის ხალხი შეუნელებელ ბრძოლას აწარმოებდა რომაელების წინააღმდეგ. ამ ბრძოლამ პირველ საუკუნეში, ახ. წ., ეკვე ის ნაყოფი მოიტანა რომ ძველი კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე რამდენიმე უფრო წვრილი სამთავრო წარ-

მოიშვა. ძველი კოლხეთის საშეფო სუსტდებოდა მონათმფლობელური წყობილების დაცემასთან ერთად. ბოლო პას პონტოელებმა და რომაელებმა მოუღეს. ახალი სახელმწიფოს მშენებლობა კოლხეთის ტომებმა უკვე ახალ საფუძველზე დაიწყეს. იმდროინდელ გარემოებაში გაერთიანებისათვის ჯერ კიდევ პირობები არ არსებობდა და კოლხეთის ტომები ჯერ ცალ-ცალკე, განკერძოებით დარაზმულან. პირველი საუკუნის სიგრძეზე, ახ. წ., მათ წარმატებისათვის მიულწევიათ ამ მხრით. პირველი საუკუნის დამლევსა და მეორე საუკუნის დამდეგს აქ ასეთი მდგომარეობა ყოფილა. ტრაპეზუნტის მახლობლად მცხოვრებლებს ჯერ კიდევ შერჩენილი ჰქონიათ ძველი სახელი, კოლხები. მათი უფრო შორეული მეზობლები კი უკვე სხვა სახელებით იყვნენ ცნობილნი. კოლხებს შემდეგ ყველაზე ახლოს იყვნენ სანები ანუ ჭანები, რომელნიც ძალიან მეომარი ხალხი იყვნენ, გამაგრებულ ადგილებში ცხოვრობდნენ და შედმივ მტრობდნენ ტრაპეზუნტის მოქალაქეებს, რომის ქვეშევრდომებს. სანებს წინათ ხარკი ედოთ რომის სასარგებლოდ, მაგრამ ეხლა უკვე ამ მოვალეობას აბუჩად იგდებდნენ. სანებს მთაურები არ ჰყავდათ, მათ თემური წყობილება ჰქონდათ. სანების მეზობლად, აღმოსავლეთისაკენ, ერთ სამთავროს შეადგენდა ორი ტომი — მაკრონები და ჰენიოხები. ამათი მეზობლები იყვნენ, აღმოსავლეთისაკენ, ზიდრიტები, რომელთაც თავიანთი მთავარი ჰყავდათ. ეს ხუთი ტომი, საკუთრივ კოლხები, სანები ანუ ჭანები, მაკრონები, ჰენიოხები და ზიდრიტები სამხრეთ კოლხეთში ცხოვრობდნენ, შდ. ჭოროხის სამხრეთით. ჩრდილოეთ კოლხეთში კი ამ დროს მოსახლეობდნენ ზანები ანუ ლაზები, რიონისა და ენგურის ხეობაში, აფშილები, ლაზების ჩრდილოეთით, და შემდეგ, კიდევ უფრო ჩრდილოეთით, აბასგები და სანიგები. ამათ ყველას თავ-თავიანთი მთავრები ჰყავდათ, რომელთაც რომაელები მეფეებს უწოდებდნენ და რომელთაც კეისრისაგან ჰქონდათ ეს მეფობა დამტკიცებული. ზღვისპირა ქალაქებში, ტრაპეზუნტში, ისაში, აფსარში (შდ. ჭოროხის შესართავთან), ფაზისში და სებასტოპოლისში რომაელებს თავიანთი ცხის ჯარი ჰყავდათ ჩაყენებული. სებასტოპოლისი ამ დროს ძველ დიოსკურიას ეწოდებოდა, რომელიც რამდენიმე ხნის წინათ მეზობელი ტომების მიერ იყო დანგრეული. ეს გამაგრებული ქალაქები იყო რომაელების მთავარი იმედი. კოლხეთის შუაგულ ადგილებში კი რომაელებს ალარავინ ეპუებოდა.

ახალი სპარსული სახელმწიფოს წარმოშობა. ბრძოლა რომაელებსა და სპარსელებს შორის

224—226 წელს პართიაში დიდი ცვლილებები მოხდა. ძველი არშაკიდების დინასტია დაემხო და მისი ადგილი ახალმა, სპარსულმა საგვარეულომ, სასანიანებმა ანუ სასანიდებმა, დაიჭირა. თუ არშაკიდები ელინოფილები იყვნენ და ამიტომ მათს სამეფოს ეროვნული კულტურული ელფერი ნაკლებად ედო, სასანიანებმა სულ სხვა პოლიტიკა გამართეს. მათ აღადგინეს ზარათუშტრას ძველი სპარსული სარწმუნოება, მაზდე-

იანობა, რომელიც გარეგნულად ცეცხლის მსახურებაში გამოიხატებოდა, და ყოველნაირად ცდილობდნენ ამ სარწმუნოების გავრცელებას. სასანიანთა სამეფო უფრო ძლიერი იყო როგორც პოლიტიკურად, ისე სამხედრო თვალსაზრისითაც, და ამიტომ უფრო საშიშარი მეტოქეც გამოდგა რომისათვის.

ბრძოლა რომსა და ერანს შორის, რომელიც პართელების დროს ორ საუკუნეზე მეტი გაგრძელდა, ეხლა უფრო სასტიკი სახით მიმდინარეობდა. რომისა და სპარსეთის ბრძოლის მთავარი ასპარეზი სომხეთი იყო, მაგრამ ეს სახელმწიფოები არ აკლებდნენ თავიანთ ყურადღებას ამიერ-კავკასიის სხვა ქვეყნებსაც. სპარსეთისათვის, ისევე როგორც რომისათვის, აქ კვლავ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიონის კარებს. ამ კარების გამაგრებას ცდილობდნენ ისინი ყოველნაირად რომ ჩრდილოეთიდან მოწოლილი მომთაბარე ტომებისათვის გზა დაეხშოთ. ამის გულისათვის ისინი ზოგჯერ ერთმანეთის მტრობასაც ივიწყებდნენ და ერთად იცავდნენ კავკასიონის გზებს. გარდა ამისა, საქართველო და ალბანეთი თავისთავადაც აინტერესებდათ რომსა და სპარსეთს, როგორც მდიდარი და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქვეყნები.

რომისა და სპარსეთის ბრძოლას ყველაზე დიდი ენება სომხეთისათვის მოჰქონდა, სომხეთი უფრო მისაწვდომი იყო მათთვის. ყველაზე უფრო დაცული იყო ქართლი, რომელმაც, ჩანს, მესამე საუკუნის განმავლობაშიაც შეინარჩუნა ძველი მდგომარეობა. ვიდრე რომი და სპარსეთი ერთმანეთს ასუსტებდნენ გაუთავებელი ომიანობით, ქართლი მშვიდობიანად ვითარდებოდა და იზრდებოდა. ამრიგად, თუმცა 298 წელს ქალ. ნიზიბინში დადებული ზავის პირობით რომი და სპარსეთი შეთანხმდნენ, რომ ქართლის მეფემ სამეფო ნიშნები რომაელებისაგან უნდა მიიღოსო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ ამ დროისათვის ქართლის მეფეები რომის იმპერატორების ვასალებად იყვნენ უკვე გადაქცეულნი. საამისო ძალა რომაელებს აღმოსავლეთში არ გააჩნდათ. თუ ტრაიანეს კვისრობაში, რომა რომის გაელენამ აღმოსაელეთში თავის მწვერვალს მიიღწია. რომაელები ქართლის მეგობრობას ეძებდნენ მხოლოდ, მას შემდეგ აქ ეერაფერი გამოიცვლებოდა რომის სასარგებლოდ. ამიტომ ნიზიბინის შეთანხმება მხოლოდ იმას გულისხმობდა, რომ ქართლი ძველებურად „კაეშირში" იმყოფებოდა რომთან.

საქართველო ადრინდელ-ფეოდალურ ხანაში

ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობა საქართველოში

განვლილი ხნის განმავლობაში, I — III სს., საქართველოში ჩაისახა ფეოდალური ურთიერთობა, რომელიც შემდეგში თანდათანობით სცვლიდა მონათმფლობელურს. ფეოდალური საზოგადოებრივი წყობილება უფრო შეეფერებოდა საქართველოს საწარმოო ძალთა განვითარების ახალ

დონეს ამ ხანაში. რკინის დამუშავება, რომელიც დიდი ხნით ადრე შემოვიდა ქართველ ტომებში, თანდათან უმჯობესდებოდა. ეხლა რკინისაგან აკეთებდნენ უფრო კარგსა და უფრო რთულს სასოფლო-სამეურნეო და საომარ იარაღს. გაუმჯობესდა და გავრცელდა რკინის გუთანი, რასაც თან მოჰყვა მიწისმოქმედების შემდგომი განვითარება. ეხლა უფრო მეტი და უფრო კარგი პურეული მოჰყავდათ. გარდა ამისა, განვითარდა მებოსტნეობა და მებაღეობა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მევენახეობის შემდგომ განვითარებას საქართველოში. ეაზის გაშენება და ღვინის დაყენება ძველთაგანვე იცოდნენ ქართველებმა. ეს საქმეც თანდათან უმჯობესდებოდა. ეხლა უფრო მეტ ღვინოსაც აყენებდნენ. იმიტომ რომ ღვინოს ბევრი მყიდველი ჰყავდა შიგნითაც და მეზობელ ქვეყნებშიაც. ვითარდებოდა აგრეთვე ხელოსნობაც.

ასეთ პირობებში, ვისაც დამატებითი მუშა-ხელი სჭიროდა თავის მეურნეობაში, ის ამჩნევდა რომ მონა ალარ არის გამოსადეგი. მონა ძალიან უგულოდ ეკიდებოდა თავის საქმეს, არ იყო დაინტერესებული მეტი გაეკეთებინა, რადგანაც მას სულ ერთია თავის ნაშრომ-ნაამაგარიდან არაფერი ხვდებოდა. მონა ამტვრევდა და აფუჭებდა შრომის იარაღს. საჭირო იყო ისეთი მუშა, რომელიც უფრო გულით მოეკიდებოდა შრომას. უფრო ნაყოფიერად იმუშავებდა და საკუთარ თავისუფლებასაც გამოიჩენდა. მონასთან შედარებით ასეთი მუშა იყო ყმა-გლეხი. ყმა-გლეხს თავისი საკუთარი ოჯახი ჰყავდა და საკუთარი კარ-მიდამო ჰქონდა. ყმა-გლეხს ჰქონდა საკუთარი გუთანი, თოხი, ბარი და სხვა იარაღი. ჰყავდა საკუთარი საქონელი. მართალია, ისიც დამოკიდებული იყო ბატონზე, მაგრამ მაინც უფრო თავისუფალი იყო, ვიდრე მონა. თუ ყმა-გლეხი ბატონის მიწაზე მოსავალს მოიწევდა, ამ მოსავალს ბატონი მას მთლად ყი არ ართმევდა, არამედ ნაწილს მასვე უტოვებდა. რა თქმა უნდა. ბატონიც ყველფდა ყმა-გლეხს, როგორც მონათმფლობელი მონას. მაგრამ ეხლა ეს უკვე ისეთი სასტიკი სახით არ ხდებოდა. ამ ყველფის გამო ეხლა ყმა-გლეხი ებრძოდა ბატონს, როგორც წინათ მონა მონათმფლობელს.

როცა მეურნეობა ამგვარად გამოიცვალა. თანდათან გამოიცვალა თვითონ საზოგადოებაც. ქართლში, მაგალითად. როგორც ჩვენ ვიცით, ძველად მონათმფლობელები, ჭურუმები და მეფის გვარი, ბატონობდნენ. სხვა თავისუფალი ხალხი, ქართლის მოსახლეობის უმრავლესობა, „ერად" იწოდებოდა. მიწის დამუშავებას მისდევდა და ომში გამოდიოდა. როცა მეფე მოითხოვდა. ძველად ერისშვილები მეტ-ნაკლებად თანასწორი იყვნენ ქონებრივადაც და უფლებრივადაც. მაგრამ თანდათანობით მდგომარეობა შეიცვალა. ერის ზოგი ოჯახი გამდიდრდა ეკონომიის საშუალებით. ასეთ ოჯახებს უფრო მეტი და კარგი მიწები ეჭირათ და უფრო ვრცელი მეურნეობა ჰქონდათ. დიდ მეურნეობაში მეტი მუშახელი იყო საჭირო. ამიტომ ასეთს მეურნეობაში მისი პატრონი თავდაპირველად მონებს ამუშავებდა, შემდეგ-კი თანდათანობით ყმა-გლეხის შრომის გამოყენებაზე გადაიდა. შეიძლებოდა მონაც გადაქცეულიყო

ყმა-გლეხად. მონათმფლობელი ეტყოდა თავის მონებს: აი, თქვენ ეს მიწის ნაკვეთები, შეიძლება აქ ქოხები აიშენოთ და ცოლ-შვილიც გაიჩინოთ, ეს მიწა მოხნათ და დათესოთ, რასაც მოიწევთ, ერთი წილი თქვენ და დანარჩენი მე. მონისათვის ასეთი ყოფა უფრო სარფიანი იყო და ეხლა უფრო ხალისით მუშაობდა. შეიძლებოდა ტყვე-ყმაც დაესაათ მიწაზე და ყმად ექციათ. ბოლოს, ერის შვილებიც. წინათ რომ თავისუფალი იყვნენ შეიძლებოდა ყმა გამხდარიყვნენ, გაღარიბების, ვალში ჩავარდნის, უსახსრობისა და მიმძლავრების წყალობით.

მდიდარ ხალხს ის უპირატესობაც ჰქონდა, რომ საუკეთესო იარაღის შეძენა შეეძლო. მას შემდეგ, რაც ლითონის იარაღი შემოვიდა, ის ძვირი გახდა. რაც უფრო გულდაგული და კარგად იყო, მაგ., რკინის იარაღი გაკეთებული. ვთქვათ — გუთანი. ის მით უფრო ძვირი იყო, ცხადია. ღარიბებს ასეთ იარაღზე ხელი არ მიუწვდებოდათ. მდიდრები კი მათ იძენდნენ და თავის მეურნეობას ამით კიდევ უფრო აძლიერებდნენ.

თანდათან გაძვირდა სათმარი იარაღიც. როცა კაჟისწვერიან ისარსა და შუბს ხმარობდნენ, მაშინ ყველას ერთნაირი იარაღი ჰქონდა. ეხლა კი იარაღს უკვე მთლიანად ლითონისგან აკეთებდნენ, განსაკუთრებით — რკინისაგან. გარდა ამისა, შემოიღეს ლითონის საბურავი და ჩასაცმელი - - მუზარადი, ჯაჭვის ან ლითონის ფირფიტების პერანგი, სამხრეები და სამარკულები. ლითონის სამოსი კარგად იცავდა ადამიანს მტრის ხმლისა და ისრისაგან. მაგრამ ასეთი ლითონის აბჯარი — იარაღი და სამოსი — ძალიან ძვირი იყო, მისი ყიდვა მხოლოდ მდიდრებს შეეძლოთ. ვინც განსაკუთრებით მდიდარი იყო. ის თავის ცხენსაც ჯავშანს აცმევდა. შეჯავშნული მხედარი შეჯავშნულ ცხენზე ისევე სჯობნიდა ძველებური მშვილდ-ისრით შეიარაღებულ მეომარს, როგორც თანამედროვე ტანკი უბრალო ქვეითობას. რაკი მდიდრებმა ასეთი იარაღი ხელში ჩაიგდეს, ისინი კიდევ უფრო გაძლიერდნენ. საზოგადოებაში ისინი ეხლა განსაკუთრებულ ადგილს იჭერდნენ. მეტ უფლებას მოითხოვდნენ. მათი ღარიბი და სუსტი მეზობლები ამ ადგილს უნებლიეთ უთმობდნენ კიდევაც მდიდრებს. ასე გაჩნდა თავისუფალ ერის შვილებს შორის წ ა რ ჩ ი ნ ე ბ უ ლ ი ხალხი.

წ ა რ ჩ ი ნ ე ბ უ ლ ნ ი მეფისთვისაც უფრო სანდო და ახლობელი იყვნენ. როცა მეფეს უნდოდა თემებში თავისი მოხელე დაენიშნა, ის ამ მოხელეს წარჩინებულთა წრეში ირჩევდა.

წარჩინებულთაგან ნიშნავდა მეფე თავის სარდლებსაც. ეს იმიტომ რომ ამ მდიდარ ხალხს, რომელსაც საუკეთესო იარაღი ჰქონდა და რომელიც მიწას თვითონ კი არ ამუშავებდა, არამედ სხვას ამუშაებინებდა, შეეძლო თავისი დრო მთლად სამხედრო საქმისათვის მოენდომებინა — ესწავლა კარგი იარაღის ხმარება, კარგი ცხენზე ჯდომა. ასე გაჩნდნენ ე რ ი ს თ ა ვ ე ბ ი, ე რ ი ს თ ა ვ ი-კ ა ც ე ბ ი, ე ფ რ ო ს ე ბ ი. ისინი თუმცა მართავდნენ ეხლა, მეფის სახელით, და სათემო ჯარსაც სარდლობდნენ, როცა მეფე მოითხოვდა. ვინც არც წარჩინებული იყო და არც ერისთავი, იმათ ეხლა მდიდარი და ძლიერი ხალხი ნამდვილ

ერად უკვე აღარ სთვლიდა, მათ ეხლა უკვე წ ე რ ი ლ ე რ ს ეძახდნენ. ესე იგი — წვრილფეხა ხალხს.

წარჩინებულები, რომელნიც მეფის სამსახურში დაწინაურდებოდნენ, ერისთაებად იქცეოდნენ, ამით კიდევ უფრო ძლიერდებოდნენ, მდიდრდებოდნენ. მეფე ამნაირ ხალხს სამსახურისათვის მამულს და ქონებას უწყალობებდა.

ასეთ მეზობლობაში, როცა, ერთი მხრით, მდიდარი, კარგად შეიარაღებული, სამხედრო საქმეში გართული, მეფესთან გამოსული კაცი ცხოვრობდა, ხოლო, მეორე მხრით,—უცნობი, ღარიბი მიწის-მუშა, რომელიც დღე-ნიადაგ მიწას ჩაჰკირკიტებდა, ღარიბებს აბა რა ხეირი დაეკრებოდათ. წარჩინებულნი სულ უფროდაუფრო მეტ სიმდიდრესა და გავლენას იხვეჭდნენ. მას შემდეგ, რაც წარჩინებული კაცი სამეფო სამსახურში დაწინაურდებოდა, ის ამ ახალ შეძენილ ძალასაც თავისი სუსტი მეზობლების წინააღმდეგ ხმარობდა.

რადგანაც ამ დროს კერძო საკუთრება უკვე გარენილი იყო, წარჩინებული ხალხი ცდილობდა საშეილიშვილოდ შეენახა და სამემკვიდრეოდ გადაეცა შეძენილი სიმდიდრე და გავლენა. მართლაც გაჩნდა ისეთი ოჯახები, რომლებშიაც სიმდიდრე და წარჩინებულება თაობიდან თაობაში გადადიოდა და თანდათან იზრდებოა კიდევაც.

თუ ამნაირს ერისშვილებს ჯერ წარჩინებულებს ეძახდნენ, შემდეგ მათ ა ზ ნ ა უ რ ე ბ ი შეერქვათ. „აზნაური“ თავდაპირველად „თავისუფალს“ ნიშნავდა, „უაზნო“ — „არათავისუფალს“. შემდეგში აზნაური ეწოდებოდა ისეთს თავისუფალ კაცს, რომელსაც თავისთვის დამჭმებული მამული ჰქონდა და რომელიც ამ მიწას ყმების საშუალებით ამუშავებდა, თვითონ-კი მეტწილად ომობდა, თარეშობდა, ნადირობდა.

ასეთი წარჩინებულნი იყვნენ სწორედ ის პირები, რომლებიც, ფარსმან მეფესთან ერთად, რომაელებს თავიანთ ეროვნულს სამხედრო ვარჯიშობას უჩვენებდნენ. ამგვარი ეროვნული სამხედრო ვარჯიშობით რომაელებს უფრო ადრე რადამისტ ბატონიშვილიც აკვირვებდა. სწორედ ამნაირი წარჩინებული ხალხი გაბატონდა კოლხეთის ახალ ტომობრივ სამთავროებშიაც.

ქრისტიანობის გამოცხადება სახელმწიფო სარწმუნოებად ქართლში

მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში ქართლში მეფობდა მირიანი. მირიან მეფემ უარჰყო ქართველების ძველი სარწმუნოება და მიიღო ქრისტიანობა, რომელიც ამ დროს რომში უკვე სახელმწიფო სარწმუნოებად იყო გამოცხადებული.

მირიანი ფიქრობდა რომ ქრისტიანობის საშუალებით ის უფრო კარგად შეინარჩუნებდა თავის მეფობასა და დამოუკიდებლობას. ჩვენ ვიცით თუ როგორი იყო ქართლის კავშირი რომთან პირველს, მეორესა და მესამე საუკუნეებში. ქართლის მეფეები თანდათან და სულ უფროდა-

უფრო ამ კავშირს თავის სასარგებლოდ იყენებდენ. სპეანაირი მდგომარეობა მოქონდათ სპარსელებს, რომელთაც მესამე საუკუნიდან, როგორც ვიცით, ძალიან გაძლიერდნენ. სპარსელების ახალი ძლიერების სურვილი მალე სწვდება ამიერ-კავკასიის ქვეყნებსაც. პირველ რიგში სომხეთს. უკვე სასანიანთა დინასტიის დამაარსებლის, არდაშირის, შვილმა, შაბურ პირველმა (241 — 272), დიდად განაერკო თავისი გაელენა ალმოსავლეთში: 260 წ. მან ტყვედ იგდო რომის იმპერატორი ვალერიანე მისი ჯარით, დაიპყრო ანტიოქია. შეიერთა სომხეთი და მესოპოტამია. სასანიანები უფრო ცენტრალისტური პოლიტიკის გამტარებელნი იყვნენ, ვიდრე არშაკუნიანები. სასანიანები ცდილობდნენ მოესპოთ ადგილობრივ მეფეების ხელისუფლება და მათ ადგილას თავისი მოხელეები დაეყენებინათ. ამიტომ, ცხადია, ამ ქვეყნებში სასანიანებს მეტი წინააღმდეგობა ხვდებოდათ. ამიტომაც, როცა მესამე საუკუნის დამლევს რომაელებმა კვლავ დაიბრუნეს ალმოსავლეთში დაკარგული გაელენა და მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარშიაც შეინარჩუნეს იგი. სომხეთის მმართველები რომს უფრო მეტი ნდობით მოეპყრნენ.

სომხეთის მაგალითი თვალ-წინ ედგათ ქართლსა და ალბანეთში. კერძოდ, ქართლის მეფემ მირიანმა გადასწყვიტა, ისევ რომაელებთან ძველებური „კავშირი" სჯობს სპარსელების ძალადობასო. ამ დროს რომის სახელმწიფოში ქრისტიანობა უკვე გაბატონებული სარწმუნოება იყო, და მირიანმაც, რომაელებთან კავშირის შესანარჩუნებლად, ამ სარწმუნოების მიღება არჩია.

ქრისტიანობა იმიტომაც გამოსადეგი იყო მეფისათვის, რომ მას უთანხმოება ჰქონდა ქურუმებთან. წარმართულ ტაძრებს დიდი მამულები ჰქონდათ და ამ მიწებს თუ ემატებოდა, თორემ არ აკლდებოდა. სარგებელი ამ მამულებიდან ტაძრების მსახურებს, ქურუმებს, მისდიოდათ. ქურუმები ამ მამულებში მონებს ამუშაებდნენ. მეფეს შურდა ტაძრებისა და ქურუმების ეს სიმდიდრე. მეფის საგვარეულოს, სეფე-სახლსაც, ჰქონდა დიდი მამულები. მაგრამ სეფე-სახლის ეს მამულები თანდათან ილეოდა, იმიტომ რომ მეფე ერისთავებსა და სხვა მოხელეებს სამსახურისათვის მიწას აძლევდა ხოლმე. ამიტომ მეფეს უნდოდა წაერთმია ტაძრებისა და ქურუმებისათვის მათი მამულები და სხვა სიმდიდრეც, და ამიტომაც იყო რომ მეფე ქურუმების ძველი სარწმუნოების მაგიერ ახალ სარწმუნოებას უჭერდა მხარს. ახალი სარწმუნოება მეფის მორჩილებას ნიადაგებდა.

ქრისტიანობას მიემხრნენ აგრეთვე წარჩინებულნი, აზნაურები. აზნაურებიც ქურუმებს მტრობდნენ და მათთვისაც ახალი რელიგია ხელსაყრელი იყო. ქრისტიანობა აზნაურობის სასარგებლოდაც ბევრ რასმე ამბობდა. ლარიბ-ლატაკნი და დაჩაგრულნი ნეგეში საქიროში იპოვნით, აქ-კი წესრიგი არ დაარღვიოთ. უფროსებსა და წარჩინებულებს დაემორჩილეთო.

თქმულებით, ერთმა ტყვე-ქალმა, სახელად ნინომ, ჯერ მირიანის ცოლს, ნანა დედოფალს, გააცნო და მოაწონა ქრისტიანობა. შემდეგ ახა-

ლი სარწმუნოება თვითონ მეფემ მიიღო, და მცხეთას, რომელიც ამ დროს უკვე სატახტო ქალაქი იყო, ხალხსაც მიაღებინა.

შემდეგ მეფემ თავის სამეფოში მქადაგებლები გაგზავნა და თან ერისთაებიც გაატარა, რადგანაც ეშინოდა, ხალხი ახალ სარწმუნოებას არ მიიღებსო. მართლაც წერილი ერი, სოფლის მუშა-ხალხი, ახალი რელიგიის ქადაგებას მტრულად შეხვდა. მთის ხალხს ხომ გაგონებაც არ უნდოდა ქრისტიანობისა. ძველი მემატიანე ამბობს, რომ როცა ნინომ ქსნისა და არაგვის ხეობის მთიულებს ქრისტიანობა უქადაგა, მათ კბილთა ღრჭენა დაიწყეს და ზურგი შეაქციესო — „პირნი გარე მიიქცეონეს და ღრჭენდეს კბილთა მათთა წმიდისა ნინოსთვისო". ერისთაემა მაშინ მახვილი დაატრიალა, რომ ურჩებისათვის ჰკუა ესწავლებინა. მემატიანე ამბობს, მთიულებმა,რომლებსაც ნამდვილი ომი გაუმართეს, „შებმა უყვეს", ბოლოსდაბოლოს, ვერარ გაუძლეს მეფის ჯარს და „შიშით მოსცნეს კერპნი მათნი დალეწად"-ო. ასე, ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ ქრისტიანობას ხალხში. მაგრამ შემდეგშიაც, დიდხანს, იყო ისეთი კუთხეები ჩვენში, სადაც ქრისტიანობას გარეგნულადაც კი არ ალიარებდნენ.

მირიან მეფის მონათლა და ქართლის მოქცევა, ესე იგი, გაქრისტიანება, მოხდა მეოთხე საუკუნის მეორე მეოთხედში.

ქრისტიანობა ემსახურებოდა ჩვენში ფეოდალიზმის განმტკიცებას. იმავე დროს ქრისტიანობა აკავშირებდა საქართველოს დასაელეთის კულტურულ ქვეყნებთან, სადაც ესეიგე სარწმუნოება იყო გაბატონებული. ამიტომ, შეიძლება ვთქვათ, რომ ერთი პირობა, დასაწყისში, ქრისტიანობამ ხელი შეუწყო ქართული ფეოდალიზმის განვითარებას. მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქრისტიანობამ მოსპო ძველი ქართული წარმართული კულტურა. შემდეგ, როცა ფეოდალიზმი ჩვენში მომწიფდა, ქრისტიანობა ხელს უშლიდა და აფერხებდა გონებრივ წინსვლასა და მეცნიერულ აზროვნებას.

ქრისტიანულ ორგანიზაციას, ქრისტიანების კრებულს, ბერძნული სიტყვით, „ეკლესიით", ალნიშნავდნენ. შემდეგში ქართულად „ეკლესია" დაერქვა იმ შენობას. სადაც ქრისტიანების კრებული თავს იყრიდა ლოცვისათვის. რაკი ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფოებრივ სარწმუნოებად გადაიქცა. ქართლის ეკლესიამაც ისეთივე წყობილება მიიღო, როგორიც ჰქონდა თვითონ ქართლის სამეფოს. ასე ხდებოდა სხვა ქვეყნებშიაც. ცალკე საერისთაოების საეკლესიო საქმეებს განაგებდნენ ეპისკოპოსები, რომელნიც ემორჩილებოდნენ ქართლის ანუ მცხეთის მთავარეპისკოპოსს. ეპისკოპოსებს ეკვემდებარებოდნენ ხუცესები ანუ მღვდლები. მალე ქრისტიანული სამღვდელოება ქართლში მრავალრიცხოვანი გახდა და ისეთე გამდიდრდა, როგორც ძველი ქურუმები. ქრისტიანულ ტაძრებიც დიდ მამულებს იძენდნენ, ზოგჯერ — შემოწირულების მიღებით, ზოგჯერ—ყიდვით და სხვა გზით. ამ მამულებს მთავარეპისკოპოსი და ეპისკოპოსები განაგებდნენ. ეპისკოპოსებს ემორჩილებოდა ის ხალხიც, რომელიც ტაძრების მამულებს ამუშავებდა. ქრისტიანულმა ეკლესიამ ქართლშიაც ადრევე მიიღო ფეოდალური ორგანიზაციის ხასიათი.

ძართული მწიგნობრობა

მწიგნობრობა გულისხმობს ანბანს ანუ დამწერლობას და მწერლობას. ქართული ანბანი ანუ დამწერლობა უფრო ძველია, ვიდრე ქართული მწერლობა. ეს იმიტომ რომ ქართული მწერლობის უველაზე ძველი, ჩვენ დრომდე მოღწეული, ძეგლები ქრისტიანულ ხანას ეკუთვნის და საეკლესიო ხასიათისაა, ქართული ანბანი კი ქრისტიანობაზე ადრეც არსებობდა. როცა ქრისტიანობა ჩვენში გაბატონდა, მან ძველი ქართული წარმართული მწერლობა მოსპო, მაგრამ ძველი ქართული ანბანი მიიღო და თავისი საჭიროებისათვის გამოიყენა.

ქართველებს ორი ანბანი აქვთ: ერთი — უფრო ძველი, ხ უ ც უ რ ი, მეორე—უფრო ახალი, მ ხ ე დ რ უ ლ ი. ასე ამ ანბანებს იმიტომ ჰქვიან, რომ როცა ახალი ანბანი გაჩნდა, მას ერისკაცები, „მხედრობა". ხმარობდნენ საერო წიგნებისათვის, ძველი ანბანი კი ეკლესიამ შეინარჩუნა, მას სამღვდელოება, „ხუცესები". ხმარობდა თავის საჭიროებისათვის. ხუცური და მხედრული იმდენად განსხვავდება ერთმანეთში, რომ ხუცურს ცალკე შესწავლა სჭირდება. მაგრამ მხედრული ხუცურისგან წარმოიშვა და განვითარდა თანდათან დღევანდელ ქართულ დამწერლობამდე. თვითონ ხუცურსაც სხვადასხვა ხანაში სხვადასხვა სახე ჰქონდა. დამწერლობა ასე იცვლებოდა ცხოვრების განვითარების გამო. ცხოვრების პრაქტიკულმა საჭიროებამ დაბადა საერთოდ მწიგნობრობა. ეს საჭიროება-კი თანდათან ფართოვდებოდა. მეტი ხალხი ხმარობდა დამწერლობას ყოველდღიურ საქმიანობაში თუ საერო მწერლობაში. ამიტომ ახალ დროს უფრო სწრაფი და მარჯვე წერა სჭიროდა. საწერი მასალაც (ჩვეულებრივად ტყავი) მაშინ ძალიან ძვირი იყო და რაკი მას ეხლა მეტს ხმარობდნენ, ამიტომ ადგილის დაზოგვასა და მომჭირნეობას ცდილობდნენ. ასე იცვლებოდა ანბანიც.

ხუცურ დამწერლობათა შორის უველაზე ძველია ა ს ო მ თ ა ვ რ უ ლ ი. ასომთავრული ანბანი ქართველებს შეთვისებული აქვთ უძველეს ხანაში, ქრისტიანულ წელთაღრიცხვის დამდეგამდე. უველაზე ძველი ქართული ასომთავრული წარწერა აღმოჩნდა 1937 წ. ბოლნისის ტაძარზე. ეს წარწერა ამოკვრილია 479 წლის ახლო. ასომთავრულიც დროთა მსელელობაში იცვლებოდა. დაახლოებით VII — VIII საუკუნიდან, ახ. წ.. შემოვიდა ნ უ ს ხ ა ხ უ ც უ რ ი. ნუსხური იგივე ასომთავრულია, მხოლოდ გაკრული ხელით დაწერილი და ასოების წაგრძელებული კიდურებით — თაეებითა და კუდებით. ნუსხა ხუცური უფრო სწრაფი დამწერლობა იყო და ნაკლებ საწერ მასალას მოითხოვდა, ვიდრე ასომთავრული. მაგრამ შემდეგ საჭირო გახდა კიდევ უფრო სწრაფი წერა. ნუსხურის კუთხოვანი ასოები მომრგვალდა და ერთმანეთს გადაება, რომ წერის დროს ხელი ბაზს ხშირად არ მოსცილებოდა. ასე გაჩნდა მდივან-მწიგნობრული ნუსხური. რომელიც იხმარებოდა ჩვენში XI — XII საუკუნეებში, განსაკუთრებით მეფის კანცელარიაში და კერძო პირების შორის. რუსთაველის ხანიდან მდივან-მწიგნობრული ნუსხური უკვე თვალ-

საჩინოდ უახლოვდებოდა მხედრულს. რომელიც XIV საუკუნისათვის უკვე ჩამოყალიბებულია და რომელსაც ჩვენ დღესაც ეხმარობთ, თუმცა ზოგი ასო რამდენადმე შეცვლილია. ასეთია ქართული ანბანისა და დაწერლობის ისტორია.

ეგრისის ანუ ლაზიკის სამეფოს ნარმოშობა

კოლხეთის ტომებმაც მეორე-მესამე საუკუნეების განმავლობაში უფრო თავისუფალ ცხოვრებას მიაღწიეს. შეუნელებელი ბრძოლით მათ რომაული ჯარები თანდათან გააძევეს თავიანთი ტერიტორიიდან და მხოლოდ სამხედრო-ვასალური დამოკიდებულება შეინარჩუნეს რომის მიმართ. კოლხეთის სატომო საზოგადოებს შორის ყველაზე ძლიერი ზანების ანუ ლაზების, დღევანდელი მეგრელების წინაპრების. სამთავრო იყო. ამ სამთავროს ეკუთვნოდა რიონის დაბლობი, რომელიც ყველაზე მდიდარი რაიონი იყო კოლხეთში და რომელსაც მუხურს ეძახდნენ. მუხურს ქართულად სამოქალაქო ეწოდებოდა, იმიტომ რომ აქ ბევრი ქალაქი იყო, მათ შორის განთქმული ვარდციხე ანუ როდოპოლისი. მუხურს უკავშირდებოდა აგრეთვე ქალაქი ფოთი, ძველი ფაზისი, მნიშვნელოვანი ნავთსადგური.

ლაზების ანუ ზანების მთავარმა მეოთხე საუკუნეში ძალიან გააფართოვა თავისი სამფლობელო. აფშილების, აბაზგებისა და სხვა წერილი ტომების მთავრები ეხლა ლაზების მთავრის ვასალებად გადაიქცნენ. მეოთხე საუკუნის დამლევს ლაზების მთავარმა სვანების მთავარიც დაიმორჩილა. ასე წარმოიშვა ახალი სამეფო. რომელსაც რომაელები ლაზიკას ეძახდნენ. ლაზების სახელის მიხედვით, ქართულად კი მას ეგრისი ეწოდებოდა. ეგრისიდან წარმოიშვა სახელწოდება მეგრელიც.

ეგრისის სამეფო იწყებოდა კავკასიონის ქედიდან და მდ. ბზიფის ხეობიდან (აფხაზეთში) და ვრცელდებოდა აჭარამდე — სამხრეთით. აღმოსავლეთით, ეგრისის სამეფოს საზღვარი გადიოდა შორაპანსა და სკანდაზე. რომლებიც ეგრისის ციხე-ქალაქები იყო. შორაპანსა და სკანდას აღმოსავლეთით უკვე ქართლი იწყებოდა.

ეგრისის დედა-ქალაქი იყო ციხე-გოჯი, რომელსაც ბერძენ-რომაელები არქეოპოლისს ანუ „ძველ ქალაქს“ ეძახდნენ. იგი მდ. ტეხურის პირას მდებარეობდა და მისი გრანდიოზული ნანგრევები დღემდე არის შენახული. ამ ადგილს ეხლა „ნაქალაქევს“ უწოდებენ.

ეგრისი ანუ ლაზიკა საკმაოდ დიდი და ძლიერი სამეფო იყო და რომაელებთან მას თავი ღირსეულად ეჭირა. ეგრისის მეფე მხოლოდ ისეთსავე სამსახურს უწევდა რომის იმპერატორს, როგორც ძველი ქართლის მეფე—იგი კავკასიონის საფლეტებილო გზებს ამაგრებდა. სამაგიეროდ. ლაზები რომაელებთან თავისთვის საჭირო და სასარგებლო ვაჭრობას ეწეოდნენ. იმდროინდელი რომაელი ისტორიკოსი, პროკოპი კესარიელი. ამბობს, რომ ლაზები „არც ხარკს იხდიდნენ, არც სხვა რაშეში ემორჩილებოდნენ რომაელებს, გარდა იმისა, რომ როდესაც მათ მეფე მოუკვდებოდა, რომაელთა მეფე უგზავნიდა სამეფო ტახტის მემკვიდრეს ძა-

ლა-უფლების სიმბოლოს. ის ზედმიწევნით იცავდა თავის ქვეშევრდომებთან ერთად ამ ქვეყნის საზღვრებს, რათა მტრულად განწყობილი ჰუნები, მათი მოსაზღვრე კავკასიის მთიდან ლაზიკაზე გამოვლით, რომაელთა მიწა-წყალში არ შემოჭრილიყვნენ. ისინი მტკიცედ იცავდნენ იმათ, ისე რო არც ფულს ღებულობდნენ რომაელებისაგან, არც ჯარს, და არც ლაშქრობდნენ რომაელებთან ერთად, — რა სახითაც არ უნდა ყოფილიყო ეს, — და მუდამ აწარმოებდნენ პონტოში მცხოვრებ რომაელებთან ვაჭრობას". მეორე რომაელი ისტორიკოსიც, აგათია, ამბობს ლაზების შესახებ: „იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება, არც ერთი სხვა, ესოდენ სახელგანთქმული და მორჭმული, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მიწაწყლის სიჭარბითა და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიცქვიტით. იმ დროს, როდესაც წინანდელ მცხოვრებლებს ამ მხარისას სრულიად არ სცოდნიათ ზღვის დადებითი თვისებები, წარმოიდგინეთ—მათ არც-კი გაეგონათ ხომალდის სახელი მანამდე, სანამ მათთან არგოს ნავი მოვიდოდა, ეხლანდელი მცხოვრებლები დასცურავენ კიდევაც ნავებით, რამდენადაც შესაძლებელია, და ვაჭრობაშიაც ნახულობენ დიდ სარგებლობას. ისინი უკვე არც ბარბაროსები არიან, არც ბარბაროსულ ცხოვრებას ეწევიან, არამედ, რომაელებთან კავშირის წყალობით, თავიანთი ცხოვრებისათვის სახელმწიფოებრივი და კანონითი სახე მიუციათ"-ო. რა თქმა უნდა, სხვა ქვეყნებთან კავშირს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლაზების, ისე როგორც სხვა ხალხების, დაწინაურებისათვის, მაგრამ აქ აგათია, ცხადია, ტრაბახობს როცა ლაზების პროგრესის მიზეზად მხოლოდ რომაელებსა სთვლის.

ამრიგად, ეგრისის სამეფოც მეოთხე-მეხუთე საუკუნეებში რომთან კავშირში იმყოფებოდა მხოლოდ. როცა რომაელები თავისთავს ზედმეტ ნებას მისცემდნენ, ისინი ლაზების მხრივ სასტიკ წინააღმდეგობას ხვდებოდნენ. ასე, მეხუთე საუკუნის შუაწლებში რომაელებსა და ლაზებს შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა, რომელიც მალე ომადაც გადაქცეულა. ეგრისელები ამ ომს დიდი მოხერხებით აწარმოებდნენ. ასე. მაგ., ისინი სთხრიდნენ თურმე ღრმა ორმოებს და შიგ სარებს არჭობდნენ. ზემოდან ამ ორმოებს ჩელტებს აფარებდნენ, მიწას აყრიდნენ და ბუერს სთესდნენ. შემოტყუებული მტერი ორმოებში ცვიოდა და იღუპებოდა. ასე გაუქცევიათ ლაზებს რომაელები 456 წ. რომაელების ჯარი კვლავ მოვიდა ეგრისში, მაგრამ ისევ ისე დამარცხდა. მაშინ რომის მთავრობამ გადასწყვიტა, მოეკრიბა მთელი თავისი ძალები და თანდიდხანს იმაზე თათბირობდა, რა გზით სჯობს რომ ლაზიკაში შეეჭრათო. რომაელებს ლაზები თურმე იმდენად საშიშ მტრად მიაჩნდათ, რომ სპარსეთის მეფეს მიმართეს დახმარებისათვის. ლაზებმაც ასეთივე წინადადებით მიმართეს სპარსელებს, მაგრამ სპარსელები მაშინ ჰუნებთან ომში იყვნენ გართულნი და აქაური ამბებისათვის არ ეცალათ. ბოლოს მაინც რომაელები და ლაზები ერთმანეთში მორიგდნენ. ეგრისის მეფემ გუბაზმა სამეფო ტახტი თავის შვილს დაუთმო, თვითონ 465 წ.

კონსტანტინეპოლში წავიდა და იქ კეისარი და მისი კარისკაცები თავისი ლაპარაკით სრულიად მოხიბლა.

ქართლი და სპარსეთი მეოთხე საუკუნის დამლევსა და მეხუთე საუკუნის დამდეგს

ამიერ-კავკასიის ხალხების მოლოდინი გამართლდა. მეოთხე საუკუნეში ერანის მბრძანებლები სულ უფრო და უფრო მეტი დაჟინებით მოითხოვდნენ ამიერ-კავკასიის ქვეყნების ხელში ჩასაგდებად, რომაელები კი ალმოსავლეთში სულ უფრო და უფრო სუსტდებოდნენ და სპარსელებს წინააღმდეგობას ვეღარ უწევდნენ. ალმოსავლეთში რომაელები თავის იმედებს უმთავრესად ქართველებსა და სომხებზე ამყარებდნენ, როგორც გადმოგვცემს იმდროინდელი რომაელი მწერალი თემისტია, მაგრამ ეს ხალხები კი თავის საკუთარ ინტერესებზე ფიქრობდნენ. მეორე რომაელი ისტორიკოსი, ამიანე მარკელინი, გვიამბობს რომ 361 წ., როცა რომაელებს ძალიან გაუჭირდათ, მათ სცადეს ბრწყინვალე სამოსლებითა და მრავალფეროვანი საჩუქრებით მოექრთამათ ქართლის მეფე მირიანი და სომხეთის მეფე არშაკი, რადგანაც მათ შეეძლოთ დიდი ვნება მიეყენებინათ რომაელებისათვის, სპარსელების მხარეზე რომ გადასულიყვნენო.

368 წ. სპარსეთის მეფე შაბური შეესია ქართლს. მეფე საურმაგი, რომელსაც რომაელების მხარე ეჭირა, განდევნა და ქართლის მეფედ საურმაგის ნათესავი, ვარაზ-ბაკური, დასვა. გაქცეულმა საურმაგმა რომაელების ჯარი მოიყვანა. ბოლოსდაბოლოს საურმაგი და ვარაზ-ბაკური შეთანხმდნენ და ქართლი შუაში გაიყვეს: მტკვრის მარცხენა მდებარე ნაწილში საურმაგი მეფობდა, მტკვრის მარჯვენა მდებარე ნაწილში კი— ვარაზ-ბაკური.

მეოთხე საუკუნის მიწურულში და მეხუთე საუკუნის დასაწყისში რომაელები და სპარსელები ისევ ებრძოდნენ ერთმანეთს იმისათვის, თუ ვის მხარეს უნდა ყოფილიყო ქართლის სამეფო. თვითონ ქართლის მეფეები კი თავის საქმეზე ფიქრობდნენ და ხან რომაელებს ებრძოდნენ, ხან სპარსელებს. მეხუთე საუკუნის პირველ წლებში ქართლის მეფემ ფარსმანმა რომის სახელმწიფოს თურმე ჰუნები შეუსია. სხვანაირად მოიქცა ფარსმანის მემდეგო მეფე ბუზმარი: როცა სპარსელებმა მას თავი მოაბეზრეს თხოვნით, შენი ვაჟი მძევლად გამოგვიგზავნეო. ბუზმარმა შვილი ჯერ მთაში დამალა, შემდეგ-კი იმპერატორს გაუგზავნა, რომელიც ქართლის მეფეს ამრეთვე მძევალს სთხოვდა ერთგულების ნიშნად. ქართველი ბატონიშვილი კონსტანტინეპოლში იზრდებოდა მეფურად და სახელგანთქმული მოღვაწე გახდა — პეტრე იბერი.

ამის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა და სპარსეთმა მაინც მოახერხა ქართლი თავისი გავლენის ქვეშ მოექცია. ეხლა ქართლის მეფე უკვე სპარსეთის მეფის ვასალად იყო გამოცხადებული. ამას გარდა, რომ გული უფრო მშვიდად ჰქონოდა, სპარსეთის მეფემ ქართლში თავისი მოხელე გამოგზავნა. ამ მოხელეს პიტიახშის თანამდებობა ეჭირა.

პიტიახში სპარსული სიტყვაა. „ქვეყნის უფროსს" ნიშნავს და, დაახლოებით, ქართულ „ერისთავს" უდრის. პიტიახშებს უნდა ქართლის მეფეებისათვის თვალყური ედევნებინათ. თუ ქართლის მეფის რეზიდენცია ამ დროს მცხეთა იყო, პიტიახშის საჯდომად სპარსელებმა თ ბ ი ლ ი ს ი აირჩიეს. თბილისზე გადიოდა დიდი გზა, რომელიც ქართლს სპარსეთთან აკავშირებდა. თბილისის გამაგრებაც ადვილი იყო, იმიტომ რომ თბილისის შემოსავალი კარები ვიწრო ხეობაში მდებარეობდა, ამ ხეობას კიდევ გარშემო მთები უდარაჯებდა. თბილისიდან პიტიახშს კარგად შეეძლო მცხეთისათვის ყური ეგდო.

თბილისი

თბილისში ძველი დროიდანვე იყო მოსახლეობა. თბილისის ზრდას ხელი შეუწყო მისმა მდებარეობამ. აქ მნიშვნელოვანი გზები გადიოდა. თვითონ თბილისში იყო ძველთაგანვე ხიდი მტკვარზე იმ ადგილას, სადაც ეხლა მეტების ანუ აველაბრის ხიდია. აქ მტკვრის კალაპოტი ძალიან ვიწროა და მთლიანად კლდოვანი. ამის გამო ხიდის აშენება აქ ადვილი იყო. მეოთხე და მეხუთე საუკუნეში თბილისი ქართლის უკვე მნიშვნელოვანი ცენტრი უნდა ყოფილიყო. მეექვსე საუკუნეში კი თბილისმა საბოლოოდ წაართვა პირველობა მცხეთას და ქართლის დედაქალაქად იქცა.

ძველი თბილისი იმ ადგილას მდებარეობდა, რომელსაც ეხლა „აბანოს უბანს" ეძახიან და სადაც თბილი გოგირდის წყაროები ამოდის. სახელიც ქალაქმა სწორედ ამ თ ბ ი ლ ი წყაროებისაგან მიიღო. ძველად თბილისის მაგიერ „ტფილისს" ამბობდნენ, იმიტომ რომ „თბილის" ნაცვლად „ტფილი" ითქმოდა.

სპარსელების გაძლიერება ქართლში

მეხუთე საუკუნეში სპარსელები კიდევ უფრო გაძლიერდნენ ამიერკავკასიაში. უველაზე ადრე სპარსელებმა ფეხი სომხეთში მოიკიდეს, — 428 წ. მათ აქ მეფობაც მოსპეს. სომხეთის შემდეგ სპარსელებმა ალბანეთსა და ქართლს მოუკირეს ხელი. ეხლა უკვე სპარსელებმა ამ ქვეყნების მოსახლეობას ხარკიც დააკისრეს. ეს პირველი შემთხვევა იყო ისტორიაში რომ ქართლი მტერს ხარკს აძლევდა. ქართლის მეფესაც სპარსელები ეხლა უფრო ავიწროებდნენ. მაგრამ განსაკუთრებით იტანჯებოდა ხალხი — ხარკის გადამხდელი ის იყო. წარჩინებულებთან, აზნაურებთან, კი სპარსელებმა საერთო ენა მონახეს.

მეხუთე საუკუნის ქართლი სულ არ ჰგავდა პირველი საუკუნისას, როცა ქართლში პირველად მოვიდნენ რომაელები. ამ ხუთასი წლის განმავლობაში ბევრმა კოცა წყალმა ჩაიარა, ბევრი ახალი ამბავი დატრიალდა. ხალხის ცხოვრებაც გამოიცვალა და თვითონ საზოგადოებაც. ეხლა უველაზე ძლიერი აზნაურები იყვნენ. აზნაურები გამრავლდნენ და გამდიდრდნენ, მაგრამ აზნაური აზნაურს არა ჰგავდა, ზოგი უფრო მდიდა-

რი და ძლიერი იყო, ზოგი — ნაკლებ. გაჩნდნენ დიდი აზნაურები და მცირენიც. დიდ-დიდ აზნაურთაგან ზოგი მთავარი გახდა — მთავარს აზნაურობის გარდა რამე დიდი თანამდებობაც ეჭირა, ხშირად — მემკვიდრეობით. ძალიან გამრავლდნენ აგრეთვე სეფე-წულები, სეფე-სახლის ანუ სამეფო გვარის წევრები. უმეტესობა მთავრები სწორედ სეფე-წულები იყვნენ შთამომავლობით. აზნაურის ოჯახის შვილებს ციდევ ზეპურებს ეძახდნენ. აზნაურებს ქვემოთ წვრილი ერი იდგა, წვრილ ერს ქვემოთ უაზნოები მოდიოდნენ, ყველაზე ბეჩაი და უუფლებო ხონები და მხევლები, ე. ი. მონა-ქალები, იყვნენ. ცალკე იყვნენ კიდევ მსახურნი, ის ხალხი, რომელიც მეფესა და დიდ აზნაურებს ემსახურებოდა. ძალიან გაღრმავდა ხალხში უთანასწორობა. აზნაურები უაზნოებს არაფრად აგდებდნენ, მთა და ბარს რა გაასწორებსო. იძახდნენ. დიდი აზნაურები-კი, განსაკუთრებით — მთავრები, მეფესაც ალარ ეპუებოდნენ.

ქართლში მეფობა ხომ ძველ დროს გაჩნდა, როცა აქ მონათმფლობელობა იყო. თანდათან აქ მეფობა განმტკიცდა. ძველი ქართლის მეფე თვითმპყრობელობას ჩემულობდა, სრულ მორჩილებას მოითხოვდა, მე ღვთისაგან ვარ დანიშნულიო. როცა ქართლში წარჩინებულები ანუ აზნაურები მომძლავრდნენ, მეფემ ისინი დაიახლოვა, როგორც ვიცით, ჯარში და ქვეყნის მართვა-გამგეობაში აზნაურები მეფეს ძალიან სჭირდებოდნენ. ყველაზე წარჩინებული აზნაურები და ერისთავები მეფემ კიდევ უფრო ახლოს შეითვისა — ისინი მეფის პალატბანაკს შეადგენდნენ, ხშირად იყვნენ მეფის სასახლეში და თანაც მისდევდნენ, თუ მეფე სადმე გაემგზავრებოდა. შეთანხმებით მოქმედებდნენ, როგორც ვიცით, მეფე და აზნაურები ჯვრუმების წინააღმდეგ, როცა ქრისტიანობა შემოიქონდათ ქართლში. შემდეგ მეფესა და დიდ აზნაურებს შორის შაება კატამ გაიარა. როცა ზოგი აზნაური გამდიდრდა და გაძლიერდა, მას უკვე მეფის მორჩილება ალარ სურდა. გარდა ამისა, აზნაურებს მეფისაგან მამულები ჰქონდათ მიღებული სამსახურის პირობით. მეფე ამ მამულებს თავის საკუთრებად სთვლიდა, აზნაურებს კი მათი დათმობა ენანებოდათ და საბოლოოდ მიჩემება სურდათ. გაჩაღდა ბრძოლა მეფესა და დიდ აზნაურ-მთავრებს შორის. ამით ისარგებლეს სპარსელებმა, მეფის უკმაყოფილო აზნაურებთან კავშირი გააბეს და ისინი თავის მხარეზე გადაიბირეს.

სპარსეთის მბრძანებელნი, სასანიანი შაჰები, დაპყრობილი ქვეყნების შემოსამტკიცებლად, სარწმუნოების გამოყენებასაც ცდილობდნენ, ერთმორწმუნეობას მეტი ერთგულებაც მოსდევსო. შაჰების ნატვრა და წადილი ის იყო, დამორჩილებულ ხალხებში როგორმე თავიანთი ეროვნული სარწმუნოება, ცეცხლის-მსახურება ანუ მაზდეანობა. ჩაენერგათ და ამის გულისათვის საშუალებას არა ზოგავდნენ. ამასთან ერთად, სპარსეთის მეფეებმა ქრისტიანობის დევნაც დაიწყეს, იმიტომ რომ მეოთხე საუკუნიდან, როგორც ვიცით, ქრისტიანობა რომის სახელმწიფო სარწმუნოებად იქცა და რომაელებიც ამ რელიგიას თავის პოლიტიკური მიზნე-

ბისათვის იყენებდნენ. შაჰმა იეზდიგერდმა (438 — 457) ქართლიდან, სომხეთიდან და ალბანეთიდან ყველაზე გავლენიანი აზნაურის გვარების თავი-კაცები დაიბარა და გამოუცხადა: ან ქრისტიანობას თავი დაანებეთ და მაზდეიანობა მიიღეთ, ან არა და დედა-ბუდიანად მოგსპობთო. კავკასიელმა აზნაურებმა ცოტა იყოყმანეს, მაგრამ შემდეგ შაჰის ნებას დაჰყვნენ. სიმტკიცისათვის იეზდიგერდმა ზოგი ამათგანი თავისთან დაიტოვა. მათ შორის ქართლის პიტიახშად არშუშა, სხვებს კი შინ მოგვები (მაზდეიანობის ჭურუმები) გააყოლა ცეცხლის-მსახურების გასავრცელებლად.

ქრისტიანობა ამ დროს ამიერ-კავკასიაში დიდი ხნის შეთვისებული იყო და მისი ასე ადვილად ამოგდება არ შეიძლებოდა. იმ აზნაურებიაც-კი, რომელნიც მზად იყვნენ თავისი ქვეყნისათვის ელალატნათ და სპარსელების მხარეზე გადასულიყვნენ, ბევრი ჯიუტობდა და ქრისტიანობას თავს არ ანებებდა. მხოლოდ ზოგ კუთხეში, რომელიც უფრო დასამხრობი იყო სპარსელებისათვის და ამათგან უფრო დამოკიდებულიც, ახერხებდნენ მოგვები თავისი მიმდევრების შოვნას. ასეთი იყო ქართლში. მაგ., ს ა პ ი ტ ი ა ხ შ ო.

თავდაპირველად ერანის შაჰები ქართლში პიტიახშებად სპარსელებს გზავნიდნენ. შემდეგ, როცა სპარსეთის მთავრობამ ქართლის დიდ აზნაურებში მოხმრეები გაიჩინა, შაჰები ქართლის პიტიახშად უკვე ქართველს ნიშნავდნენ. ვინმეს დიდ აზნაურთაგანს. ბოლოს, პიტიახშობა შთამომავლობით დაიმკვიდრეს ქვემო ქართლის მთავრებმა იმ არშუშას სახლიდან, იეზდიგერდმა რომ მაზდეიანობა მიალებინა და თავის კარზე დაიტოვა მძევლად. ასე ჩამოყალიბდა ქ ა რ თ ლ ი ს ს ა პ ი ტ ი ა ხ შ ო, რომელიც ვრცელი სამთავრო იყო, თრიალეთიდან სომხეთამდე გადაჭიმული. ქართლის საპიტიახშო ქართლის სამეფოში შედიოდა. მაგრამ პიტიახშები სპარსელების წაქეზებით ქართლის მეფეს ეურჩებოდნენ. მეხუთე საუკუნეში საპიტიახშო სპარსელების ბუდე გახდა ქართლში.

რაკი ქრისტიანობის მოსპობა და მაზდეიანობის საყოველთაოდ გავრცელება სპარსელებმა ვერ მოახერხეს, მათ პოლიტიკა გამოიცვალეს.

იმ დროს ქრისტიანები სხვადასხვა მიმართულებად იყვნენ დაყოფილნი, რომელნიც ერთმანეთს ებრძოდნენ. ეს ბრძოლა სოციალურსა და ეროვნულ ნიადაგზე იყო წარმომდგარი, მაგრამ გარეგნულად იგი წარმოებდა სარწმუნოებრივი საკითხების გამო. დიოფიზიტები ანუ ორბუნებიანები ქრისტეში ღვთაებრივ ბუნებასაც ხედავდნენ და ადამიანურსაც, მონოფიზიტები-კი (ერთბუნებიანები) ქრისტეში მხოლოდ ღვთაებრივ ბუნებას აღიარებდნენ. იყო აგრეთვე სხვა მიმართულებებიც, მაგ., ნესტორიანობა და არიანობა.

რაკი რომის მთავრობას ქრისტიანობა იმისათვის სჭირდებოდა რომ თავისი უფლება განემტკიცებინა და უზარმაზარი სახელმწიფოს მთლიანობა დაეცვა, ამიტომ იგი, ცხადია, ებრძოდა ერეტიკოსებს ანუ მწვალებლებს, როგორც ეძახდნენ მაშინ ყველას, ვინც გაბატონებულ საეკლესიო შეხედულებას ე. წ. „მართლმადიდებლობას" არ იზიარებდა. მას შემდეგ, რაც რომის სახელმწიფო გაიყო ორად, აღმოსავლეთ ნაწილში თანდათან დი-

ოფიზიტობამ გაიმარჯვა. 451 წ. ქალკედონის კრებაზე აღმოსავლეთ რომის ეკლესიამ დიოფიზიტობა მიიღო, როგორც ერთადერთი სწორი აღსარება. ამის გამო, დიოფიზიტებს ქალკედონიტებსაც ეძახიან.

ამ გარემოებას ჩაებღაუჭა ეხლა სპარსეთის მთავრობა, რომელსაც უნდოდა ესარგებლნა ამ შეხლა-შემოხლით და ბრძოლით, ქრისტიანებს შორის, თავისი საკუთარი ინტერესებისათვის. ეხლა სპარსეთის მთავრობა მხარს უჭერდა ისეთს ქრისტიანობას, რომელსაც ებრძოდა სპარსეთის მტერი — რომის მთავრობა. თუ ქრისტიანობის დათმობა არა გსურთ, მაშინ ისეთი ქრისტიანობა მაინც უნდა მიიღოთ, რომელიც რომის მეფის სარწმუნოებისგან განსხვავდებაო, — ასე მოითხოვდა ეხლა სპარსეთის შაჰი თავისი ქრისტიანი ქვეშევრდომებისაგან.

ამ გზით სპარსელებმა თავის მხარეზე გადაიყვანეს უმაღლესი სამღვდელოება და დიდი აზნაურები სომხეთში, ქართლში და ალბანეთში. ეპისკოპოსებად ამ დროს უკვე წარჩინებულ ხალხს, აზნაურებს, ეხედავთ. მათ ადგილობრივი მეფე მოიძულეს ისევე, როგორც მათმა თანამოძმეებმა, მთავრებმა და ერისთავებმა. ქრისტიანულ ეკლესიას მეხუთე საუკუნეში უკვე დიდი მამულები ჰქონდა შეძენილი. ამ მამულების გამო ქართლის მეფესა და სამღვდელოებას შორის ისეთივე ბრძოლა გაჩაღდა, როგორიც მეფესა და სხვა დიდ აზნაურებს შორის. ამიტომ დაუახლოვდნენ ერთმანეთს სპარსელები და ქართლის სამღვდელოება. თანდათან ქართლის მთავარ-ეპისკოპოსი და ეპისკოპოსების უმრავლესობა სპარსელების მხარეს გადავიდა. სამაგიეროდ, სპარსელები თავის მომხრე ეპისკოპოსებს უხვად აჯილდოვებდნენ. იყო ისეთი შემთხვევაც, როცა ქართლის მთავარ-ეპისკოპოსი ერისთავადაც კი იყო დანიშნული სპარსელების მიერ.

ასე დაიწყო ქართლის მთავრებისა და ეპისკოპოსების ბრძოლა, სპარსელებთან ხელისხელ ჩაკიდებით, ქართლის მეფის წინააღმდეგ.

ვახტანგ გორგასალი. მეფობის მოსპობა ქართლში

მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში ქართლში ვახტანგ გორგასალი მეფობდა. ვახტანგი გოლიათური ტანის პატრონი, ძლიერი, თავისუფლების მოყვარე და გულადი კაცი იყო. სპარსელებმა ვახტანგს „გორგასალი" დაარქვეს (სპარსულად „გორგ" მგელსა ნიშნავს, „სარ" — თავს): ვახტანგს, რომელიც ომში მტერს ზარსა სცემდა, თავზე მუზარადი ეხურა, რომელზედაც მგელი იყო გამოსახული. მან თავის ქვეყნიდან სპარსელების გაძევება მოიწადინა. ხალხს ამ დროს თავი მობეზრებული ჰქონდა სპარსელების ძალადობისა და მეხარკეობისაგან. გამწარებული ჰქონდათ ცხოვრება სპარსელებისაგან სომხებსაც. 451 წ. სომხეთში დიდი აჯანყება მოხდა სპარსელების წინააღმდეგ. მაგრამ ეს აჯანყება დამარცხდა. მიუხედავად ამისა, სომხეთში სპარსელების სიძულვილის ცეცხლი მაინც ღვიოდა. ამიტომ ვახტანგმა დაიწყო ფარულად სპარსელების საწინააღმდეგო ძალების კრება არა მარტო თავის სამეფოში, არამედ მეზობელ სომხეთშიაც.

ქართლში ვახტანგს უმთავრესად ხალხის იმედი ჰქონდა. ხალხი, ერთი მხრით, სპარსელებისაგან იტანჯებოდა, მეორე მხრით — სპარსელების მოკავშირე ქართველი მთავრებისა და ერისთავებისაგან. ეს მთავრები და ერისთავები, რომელნიც სპარსელების დახმარებით ქართლის მეფეს ებრძოდნენ, იმავე დროს ხალხის, „წერილი ერის", გაძარცვასა და დამონებას სცდილობდნენ. ამიტომ ხალხი ვახტანგს უყურებდა როგორც თავის მხსნელს გარეშე და შინაური მტრისაგან. ამიტომეა რომ ხალხმა დღემდე შეინახა განსაკუთრებული სიმღერა, რომელშიაც ვახტანგი შექებული და განდიდებულია:

ვახტანგ მეფე ლმერთს ეყვარდა,
ცოდან ჩამოესმა რჯა.
ალბეზზე ფები შესდგა,
დიდმა მთებმა შეჰხეს დრეკა.

თუ ხალხი ვახტანგის მხარეს იყო ამ ბრძოლაში, სამაგიეროდ ეპისკოპოსები და მთავრები მას ხელს უშლიდნენ, ან პირდაპირ ღალატობდნენ კიდეეც. ერთხელ, როცა ვახტანგი ეკლესიაში ყოფილა. მიქაელ მთავარეპისკოპოსს, რომელსაც გაგებული ჰქონია, ვახტანგი სპარსელების წინააღმდეგ აჯანყებას ამზადებსო, დიდი შეურაცხყოფა მიუყენებია მეფისათვის — ფეხი ჩაუცია მისთვის. ვახტანგმა განდევნა მიქაელი და კათალიკოსობა დაუწესა, ე. ი. ქართლის ეკლესიის სათავეში მთავარ-ეპისკოპოსის მაგიერ კათალიკოსი დააყენა. პირველ კათალიკოსად ვახტანგმა რომაელი, დიოფიზიტობის მომხრე პირი დანიშნა და ამით „სპარსელ" ქრისტიანობას, მონოფიზიტობას, აშკარა ბრძოლა გამოუცხადა.

სპარსეთის მოშორე აზნაურების მეთაური მაშინ ქართლში ვარსქენ პიტიახში იყო, იმ არშუშა პიტიახშის შვილი, რომელმაც სპარსეთის მეფის შაბურის მოთხოვნით, ქრისტიანობას თავი დაანება და მაზდეიანობა მიიღო. ვარსქენიც, პეროზ სპარსეთის მეფის გულის მოსაგებად, ქრისტიანობას გადაუდგა. მართლაც, პეროზმა ვარსქენი დააჯილდოვა და ცოლად მას თავისი ქალიშვილი მიათხოვა. ქართლში დაბრუნებულმა პიტიახშმა გამაზდეიანება დაუპირა თავის პირველ ცოლს, შუშანიკსაც, რადგანაც შუშანიკი ქრისტიანობას არ დაჰყრია, იგი ვარსქენმა აწამა. ეს ამბავი აღწერილი აქვს იაკობ ცურტაველს.

შუშანიკის წამება მოიმიზეზა ვახტანგმა და ვარსქენი მოაკვლევინა 484 წ. ნამდვილად, ვახტანგს სურდა სპარსეთის მომხრე მთავრების განადგურება. იმავე წელს მართლაც დაიწყო, ვახტანგის მეთაურობით, ქართველებისა და სომხების ომი სპარსელების წინააღმდეგ. მაგრამ ომის დროს ისევ მოღალატეები გამოჩნდნენ, განსაკუთრებით სომეხი აზნაურების წრიდან, ისინი მტრის მხარეს გადავიდნენ და თავისიანების დამარცხებას ხელი შეუწყვეს. ვახტანგი დროებით ეგრისში გაიხიზნა.

შემდეგ ვახტანგი დაბრუნდა ქართლში და განაახლა სპარსელების წინააღმდეგ მოქმედება. ერთ-ერთ ბრძოლაში ვახტანგი დაიღუპა, ისევ ღალატის წყალობით: მისმა ყოფილმა მოხამ მიპარვით ისარი ჩასცა მოხერხებულ ადგილას მებრძოლ მეფეს. მკვლელი იმავე შუშანათი აზნაუ-

რების მოსყიდული უნდა ყოფილიყო. ვახტანგი გარდაიცვალა ცხე-ჭალაქ უჯარმაში, რომელიც იმ დროს კახეთის ცენტრი იყო.

ვახტანგ გორგასლის სიკვდილის შემდეგ ქართლის სამეფოს საქმე უკან წავიდა. 523 წ. ქართლში ისევ აჯანყება მოხდა სპარსელების წინააღმდეგ, რადგანაც სპარსელებს ახალი ბრძანება გამოეცათ — ყველამ მაზდეანური წესები უნდა შეასრულოს, კერძოდ — მიცვალებული მიწაში არ უნდა დამარხოსო. ქართლის მეფე გურგენი, რომელსაც კავშირი ჰქონდა გაბმული იუსტინე კეისართან და კეისრისაგან ჯარსაც ელოდა, სპარსელებს გადაუდგა. მაგრამ რომაელების მაშველი ჯარი რიცხვმცირე გამოდგა, გურგენი სპარსელებს ველარ გაუმკლავდა და იძულებული შეიქნა მთელი ოჯახითა და თავისი მომხრე დარბაისლებით ეგრისს შეჰფარებოდა. ქართლში მეფობა მოისპო და სპარსელების მმართველობა დამყარდა.

ქართლი სპარსელების ბატონობის ქვეშ

იმდროინდელი რომაელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი გვიამბობს რომ გურგენ მეფის აჯანყების შემდეგ „არც სპარსელები აძლევდნენ ქართველებს ნებას თავისი მეფე ჰყოლოდათ, არც ქართველები არ ემორჩილებოდნენ სპარსელებს ნებაყოფლობით. სპარსელები და ქართველები დიდი ეჭვითა და უნდობლობით უყურებდნენ ერთმანეთს“-ო. ეს ნათქვამი, ცხადია, ქართველ ხალხს ეხება, რომელიც იძულებული გახდა დროებით დამორჩილებოდა უბეშ ძალას, მაგრამ იმავე დროს გულის სიღრმეში შეურიგებელ სიძულვილს ატარებდა დამპყრობელებისადმი და ელოდა ხელსაყრელ დროს, რომ ქედიდან მონობის უღელი გადაეგდო.

ქართლის მთავრები და ერისთავები-კი, ვინც შთამომავლობითაც სეფე-წულები და დიდი აზნაურები იყვნენ, თავს კარგად გრძნობდნენ. მეფობის მოსპობა ქართლში ხომ უმთავრესად ამ მთავრებისა და ერისთავების საქმე იყო. რაკი მეფობა მოსპეს, ეს დიდი აზნაურები ეხლა თავს ლალად გრძნობდნენ. ძველი ქართველი მემატიანე მოგვითხრობს: „ვინათგან მოაკლდა მეფობა შვილთა გორგასლისათა, მით ჟამითგან ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთა“-ო, ესე იგი, მას შემდეგ რაც ვახტანგის შთამომავლობას მეფობის უფლება წაართვეს, ქართლში უკვე აზნაურები გაბატონდნენო. ეს დიდი აზნაურები ადვილად შეუხმატკბილდნენ სპარსელებს და ეხმარებოდნენ მათ ქართლის მართვა-გამგეობაში. სამაგიეროდ, სპარსელებიც მათ თავის წყალობას არ აკლებდნენ, მსხვილ თანამდებობებსა და ჯილდოებს ურიგებდნენ და ზოგჯერ მემკვიდრეობითაც უმტკიცებდნენ მიცემულ მოხელეობას.

იმ თანამდებობათაგან, რომლებიც ქართლში სპარსელებმა ადგილობრივ აზნაურებს დაუმტკიცეს, ყველაზე დიდი იყო „ქართლის მამასახლისის“ და „ქართლის პიტიახშის“ თანამდებობანი. ამ მთავრებს გარდა იყვნენ ოგრეთვე ცალკე თემების ერისთავებიც. ქართლის კათალიკოსიც კარგად იყო განწყობილი სპარსელებთან.

ქართლის სათავეში სპარსელებს თავისი მოხელე ეყენათ, რომელიც „მარზპანის“ წოდებას ატარებდა. „მარზპანი“ სპარსული სიტყვაა და „ოლქის მმართველს“ ნიშნავს. (სიტყვა „მარზ“-ისაგან წარმოსდგება დღევანდელი „მაზრა“). მარზპანს დიდი უფლებები ჰქონდა. მას შეეძლო ქართლის ყოველი მცხოვრების გასამართლება და სიკვდილით დასჯაც. მარზპანიღე ჰკრეფდა ხარკს ქართველი მთავრებისა და ერისთავების საშუალებით.

ქართლის დიდი ქალაქების, მაგ., თბილისისა და მცხეთის, ციხეებში სპარსელების ჯარი იდგა. ამ მეკობრენე რაზმების უფროსებად აგრეთვე სპარსელი „ციხისთავები“ ითვლებოდნენ, რომელნიც იმავე მარზპანს ემორჩილებოდნენ.

ქართლის მოსახლეობას სპარსელებმა, ხარკის გარდა, სამხედრო სამსახურიც დააკისრეს. ეს სპარსული ხარკი, ბეგარა, ძალმომრეობა და უსამართლობა სულ უფროდაუფრო იზრდებოდა და თანდათან აღივებდა უკმაყოფილებას და სიძულვილს დამპყრობელებისადმი, ვიდრე ოცი დიდ ხანძრად არ გადაიქცა. ქართველი ხალხის წინააღმდეგობის გამო სპარსელებმა დიდხანს ველარ იბოგინეს ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ სანამ აქ იყვნენ, სპარსელებმა დიდი ენება მიაყენეს არა მარტო აღმოსავლეთს, არამედ დასავლეთ საქართველოსაც.

ეგრისი მეექვსე საუკუნის დამდეგს.

ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადება ეგრისში

როცა სპარსელებმა ქართლი მთლიანად დაიმორჩილეს, აღმოსავლეთ რომის იმპერიის მთავრობა, რომელიც კონსტანტინოპოლში იჯდა, საგონებელში ჩავარდა, ვაი თუ სპარსელები ეგრისაც გადმოსწვდენო. სპარსელები არც ჰმალავდნენ თავისს ასეთ განზრახვას, მით უმეტეს რომ ეგრისის მეფე და დიდებულები თვითონაც ცდილობდნენ სპარსელები გამოეყენებინათ რომაელების წინააღმდეგ. ერანის მთავრობის ნამდვილი წადილი ის იყო, რომ ეგრისის ხელში ჩაგდებით გული საგულეს ჰქონოდა ქართლშიაც. ქართლსა და ეგრისს შორის მჭიდრო კავშირი არსებობდა ძველთაგანვე, არა ერთხელ დახმარებიან ისინი ერთმანეთს გაჭირვებაში, და თავშესაფარიც არა ერთხელ უშოვნიათ ეგრისში ქართლიდან გახიზნულ სახელმწიფო მოღვაწეებს. ის კი არა და, სპარსელების მტარვალობისაგან გამოქცეული სომხებიც სახიზარა ეგრისში ჰპოულობდნენ. ამიტომ უნდოდათ სპარსელებს მოეშალათ ეს ბუდე, სადაც ერანის ურჩი ქვეშევრდომები ახალ ძალებს აგროვებდნენ და თავიანთი ქვეყნების განთავისუფლების გეგმებს ამუშავებდნენ. გარდა ამისა, ეგრისში დამკვიდრებით სპარსელებს უნდოდათ შავი ზღვისკენ გზა გაეკაფათ, რომ თავისი მოსისხლე მტრისათვის, რომაელებისათვის, ზღვიდანაც დაეკრათ.

ამ მოსაზრებით, სპარსელებმა ჯერ დიპლომატიის საშუალებით მოსთხოვეს რომაელებს ეგრისზე ხელის აღება: 518 — 523 წლებში ერანის ელჩი უმტკიცებდა რომაელების წარმომადგენლებს, რომ „კოლხიდა, რომელსაც ეხლა ლაზიკა ეწოდება, ძველთაგანვე სპარსელთა ქვეშევრდომი იყო და იგი რომაელებს ძალით უჭირავთ, უსამართლოდ“-ო. რომაელები აღშფოთებული იყვნენ სპარსელების მოთხოვნის გამო. 523 წ., როცა გურგენ ქართლის მეფემ ეგრისს შეაფარა თავი, მისმა მდევარმა სპარსულმა რაზმებმა ეგრისის საზღვრებს მიაღწიეს. მაგრამ აქაურ ეიწრობებში ჩასაფრებული ქართლელები თავს მარჯვედ იგერიებდნენ და სპარსელებმა მათ ვერაფერი დააკლეს. შემდეგ-კი სხვა ამბები დატრიალდა.

ქართლის საზღვარზე ეგრისს ორი ძლიერი ციხე-სიმაგრე ჰქონდა — შორაპანი და სკანდა. ძველთაგანვე ამ ციხეებს თვითონ ეგრისელები იცავდნენ და კარგადაც იცავდნენ, მათ ბოლომდე შეინარჩუნეს ორივე. მაგრამ ეხლა ეგრისელებმა შეატყვეს, რომაელებს თვითონ უნდათ ჩვენი ქვეყანა ხელთ ჩაიგდონო და გული აიყარეს — ხალხს საკუთარი ქვეყანა და მისი დაცვა თავისთვის უნდოდა და არა სხვებისათვის.

ამიტომ იყო რომ რომაელები სჩიოდნენ, — ლაზებს არ ჰსურთ თავისი მიწა-წყლის ჩვენთან ერთად დაცვაო. კეისარმა გადასწყვიტა ჯარის გაგზავნა ეგრისში. დიდი ხანი იყო უკვე გასული რაც რომაელების ჯარები ეგრისში არ მდგარიყო და მათი გამოჩენა ხალხმა ძალიან იოცხოვა. რომაელებმა გამოიყვანეს შორაპნისა და სკანდას ციხეებიდან ადგილობრივი მეციხოვნენი და მათ მაგიერ თვითონ ჩადგნენ შიგ. სკანდასა და შორაპანში რომაელებმა დიდ ხანს ვერ გასძლეს. სურსათის ამოტანა რომაელებს აქ თვითონ არ შეეძლოთ, ეს მათ ლაზებს დააეალეს. ლაზებმა ანუ ეგრისელებმა ერთი პირობა კი უზიდეს რომაელებს სურსათ-სანოვაგე. მაგრამ შემდეგ ამ სამსახურზე უარი სთქვეს. რომაელები იძულებული გახდნენ ციხეები დაეცალათ და სკანდა-შორაპანი სპარსელებმა ჩაიგდეს ხელში სულ გაურჯელად.

ეხლა კონსტანტინოპოლის მთავრობა კიდევ უფრო შეფიქრიანდა და ეგრისის გამაგრებისათვის მეტ ზრუნვას მიეცა. რაკი ქვეყნის შიგნით მდებარე ციხეების დაცვა მათ არ შეეძლოთ, ამიტომ რომაელებმა ზღვისა და დიდი მდინარეების ნაპირების მაგრება დაიწყეს. უფრო ხელმისაწვდომ ადგილებში რომაული გარნიზონები ჩადგნენ.

გარდა ამისა, კეისარმა საჭიროდ იცნო სხვაშრივაც შემოემტკიცებინა ეგრისის მმართველები. ეგრისში ამ დროს ის-ის იყო მეფე გარდაცვლილიყო და მისი მემკვიდრე, წათე, ტახტზე ასვლას აპირებდა. კეისარმა წათე კონსტანტინოპოლში დაიბარა და პირობა დაუდო, თუ ეგრისის მეფობა გსურს, ქრისტიანობა უნდა მიიღოო. იმდროინდელ გარემოებაში წათეს სხვა რაღა ჩარა ჰქონდა, თვითონაც მოინათლა და თავისი შეილიც მონათლა. ამის შემდეგ კეისარმა წათე ეგრისის მეფედ დაამტკიცა და დიდი დიდებით სამშობლოში გაისტუმრა. ეს ამბავი მოხდა 523 წელს.

ეგრისში ქრისტიანობა დიდი ხნიდანვე იყო შემოსული. ზღვისპირა ქალაქებში უკვე მეოთხე საუკუნის დამდეგს ეპისკოპოსები ისხდნენ. მაგრამ ეგრისის მეფეებს არ ჰსურდათ რომაელების სარწმუნოების მიღება, რადგანაც რომაელები არაფრად ეპიტნავებოდათ და იმასაც კი ცდილობდნენ რომ რომაელებისათვის სპარსელები დაეპირისპირებინათ. როცა რომაელებს თავს გაუდიოდათ ხოლმე. ეხლა, როცა რომაელებმა სამხედრო მუხრუჭი მოუპირეს დასავლეთ საქართველოს, ეგრისის მეფე იძულებული გახდა სარწმუნოების საკითხში დაეთმო რომაელებისათვის. ასე გადაიქცა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად ეგრისში.

„საუკუნო ზავი" და მისი შედეგები

წათეს ამბავი სპარსელებს ელდად ეცათ და შაჰმა კეისარი საყვედურით აავსო. კეისრის ცბიერი პასუხი საკმაო არ აღმოჩნდა სპარსელების დასამშვიდებლად და 528 წ. ისინი ეგრისს შეესივნენ. მეფე წათემ, რომაელების დახმარებით, სპარსელები თავის საბეფოდან განდევნა. სპარსელები ისევ-ისე შორაპანსა და სკანდაში დარჩნენ მხოლოდ. 532 წელს რომაელებმა და სპარსელებმა ერთმანეთში ზავი დასდეს, რომელსაც „საუკუნო" უწოდეს, ვითომც იგი არასოდეს არ უნდა დარღვეულიყო. „საუკუნო ზავის" პირობით, რომაელებმა და სპარსელებმა ერთმანეთს დაპყრობილი ადგილები გაუცვალეს. სპარსელებმა, კერძოდ, სკანდა და შორაპანი დასთმეს. გარდა ამისა, სპარსელებმა პირობა დასდეს, რომ სამშობლოში დაბრუნების ნებას მისცემდნენ ყველას, ვინც ჭართლიდან გაიქცა გურგენ მეფის აჯანყების დროს. ამ ზავს უნდობლობა და ეჭვი შაინც არ მოუსპია; ორივე მხარე მერმისზე ფიქრობდა და ყოველი შემთხვევისათვის ემზადებოდა.

აღმოსავლეთ რომის იმპერიაში ამ დროს იუსტინიანე იყო კეისრად (527—565), ირანში-კი შაჰი ხოსრო ანუშირვანი მბრძანებლობდა (531—579). ორივემ მთელი თავისი ხანგრძლივი მეფობა მუდმივს ომიანობაში და ერთმანეთის მტრობაში გაატარეს. გარდა იმისა, რომ სპარსელები და რომაელები ერთმანეთს ებრძოდნენ, მათ ამ დროს სხვა მტრებიც ბლომად ჰყავდათ. სპარსელებს სიცოცხლე გაუმწარეს ჰუნებმა, რომელნიც მეოთხე-მეხუთე საუკუნიდან დაბუდებული იყვნენ კასპიის გალმა მხარეში და ჩრდილოეთ-კავკასიაში. ამიტომ სპარსელები მეექვსე საუკუნეში დიდ მუშაობას აწარმოებდნენ რომ ჰუნების წინააღმდეგ სანაპირო ხაზი გაემაგრებინათ. ასე, სპარსელებმა ციხე-კოშკებითა და გალავნებით გაამაგრეს კავკასიონის ყველა ზეკარი, მათ შორის — დარიალა, და დარუბანდის ზღვის კარიც გაამაგრეს სპარსელებმა ჭართლ-ეგრისის სანაპირო ხაზიც.

ძლევე იქცეოდა იუსტინიანეც. ეგრისშიაც იუსტინიანემ ბევრი ძალა და სიმდიდრე მოახმარა საზღვრების გამაგრებას, კერძოდ — ციწრო ხეობებს, რომლებზედაც გზები გადიოდა და რომლებსაც ბერძნულად „კლისურას" ეძახდნენ. ამ სახელის ნაშთია დღევანდელი „კელასური" ანუხა-

ზეთში, სადაც ძველი დიდი გალავანი ეხლაც არის ნაწილობრივ შენახული. იუსტინიანემ გააშენებინა რომაული ჯარებიც ეგრისში. რომაული მეცხოვნე ჯარები ამ დროს ეგრისის ზღვისპირა ქალაქებში იდგა უმთავრესად — ფოთში ანუ ძველ ფაზისში, ცხუმში ანუ სებასტოპოლისში (ძე. დიოსკურია), ბიჭვინტაში ანუ პიტიუნტში. ამ სიმაგრეებისათვის ადგილი იყო ზღვით მიწოდება როგორც სურსათის, ისე დამხმარე სამხედრო ძალისაც. გამაგრებულ იქნა ზოგიერთი შიგნით მდებარე ციხეც და, მათ შორის, ეგრისის დედაქალაქი ციხე-გოჯი ანუ არქეოპოლისი, ეგრისის სამხრეთ საზღვარზე, ქობულეთსა და ციხისძირს შუა, სადაც ეგრისის სამხრეთი გზა ვიწრო ზღვისპირა კარებში გადიოდა, იუსტინიანეს ბრძანებით აშენებულ იქნა ახალი ციხე-ქალაქი, სახელად პეტრა. პეტრას შიდა-ციხე, რომელიც აშენებული იყო თვალუწვდენელ კლდეზე, ნაწილობრივ ეხლაც არის შენახული (ციხისძირში). ქალაქ პეტრაში დაიყენა იუსტინიანემ რომაელების მთავარი გარნიზონი. აქვე იჯდა სტრატეგოსიც. სტრატეგოსი ეწოდებოდა იმ სარდალს, რომელსაც ემორჩილებოდნენ ეგრისში მდგარი რომაული რაზმები. ამავე დროს სტრატეგოსს კეისრისაგან ფართოდ დავალებული ჰქონდა თვალ-ყური ედევნებინა ეგრისის მეფისათვის.

რომაელი მეცხოვნეების გაჩენა ეგრისელებს თავისთავადაც არაფრად ეპრიანათ. მაგრამ ამას ზედ წაერთო ეგრისში ჩამომდგარი რომაელი მოხელეების ბოროტმოქმედება. იმდროინდელი რომაელი მოხელეები საერთოდ ცნობილი იყვნენ თავისი ანგარებითა თვალთმაქცობითა და თვითნებობით. ისინი არავითარ საშუალებას არა ზოგავდნენ, რომ რაც შეიძლება მეტი დაეკონკლათ ქვეშევრდომებისაგან. ასეთი ყოფილა, მაგალითად, კეისრის მიერ სომხეთის მმართველად დანიშნული ვინმე აკაკი. მოთმინებიდან გამოსულმა სომხებმა მოჰკლეს აკაკი და სპარსელეთის მხარეს გადავიდნენ.

ასეთივე მოხელეები იყვნენ გამოგზავნილი ეგრისშიაც. უკვე პირველ სტრატეგოსს პეტრეს ძალიან შეუწუხებია ეგრისელები თავისი უდიერი ჩვეულებით და ვერაგობისმოყვარეობით. მაგრამ პეტრეს ბევრად წაალა მისმა მოადგილემ, იოანემ, რომელსაც მეტსახელად ციბეს ეძახდნენ. იოანე-ციბეს შესახებ თვითონ რომაელები ამბობდნენ: მან სტრატეგოსობას მიაღწია მხოლოდ იმით, „რომ ყველაზე უფრო საზიზღარი იყო და ყველაზე უფრო მოხერხებული ფულის საშოვნელად უსამართლო საშუალებათა გამოგონებაში. ის იყო რომ რომაელთა და ლაზთა ყველა საქმე გააფუჭა და არიე-დარია“-ო. ციბეს ჩრდილოეთ ააშენა იუსტინიანემ ციხე-ქალაქი პეტრა.

დიდი ომის დაწყება ეგრისში. ომის მიზეზები

ეგრისშიაც ციბემ ძარცვა-გლეჯას მიჰყო ხელი. განსაკუთრებით შეაწუხებია ციბემ ხალხი იმით რომ მან ეგრისში თავისუფალი ვაჭრობა მოსპო. ვაჭრებს ნება არ ჰქონდათ თვითონ შეეტანათ ეგრისში საქონელი, არც ეგრისელებს ჰქონდათ უფლება თავის ნებაზე გაეყიდათ საქო-

ნელი. როგორც შემოსატანს. ისე გასატან საქონელს ჯერ ციბეს ხელში უნდა გაევლო და ფასებსაც მათ თვითონ ციბე უწესებდა. ლაზებს იძულებულს ხდიდნენ ისეთი საგნებიც ეყიდნათ, რომლებიც მათ სრულებით არ სჭიროდათ. ხშირად კიდევ რომაელები ფულს არ აძლევდნენ იმ საგნებში, რასაც მათგან ყიდულობდნენ.

ეგრისი ამ დროს ფართო ვაჭრობას აწარმოებდა. ბლომად გაჰქონდათ ეგრისიდან ტყავეულობა, ბეწვეული და სხვა ნედლეული, ბევრი გაჰყავდათ მონებიც. სამაგიეროდ, ეგრისელებს დიდი რაოდენობით შემოქონდათ მარილი. რომელიც ადგილობრივ არ იპოვებოდა. მეფე და წარჩინებული ხალხი, ამას გარდა, ადგილობრივ პურსა და ღვინოზე მეტად უცხოურს ეტანებოდა. შემოჰქონდათ ძვირფასი ქსოვილები და იარაღიც, იმავე წარჩინებული ხალხისათვის.

ამ ვაჭრობას ეგრისელები უმთავრესად შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქვეყნებთან აწარმოებდნენ, პირველ რიგში — პონტოსა და ყირიმთან, — რომელნიც ამ დროს აგრეთვე რომაელებს ექვემდებარებოდნენ. საქონელსაც ამიტომ ხომალდებით ჰზიდავდნენ და თვითონ ეგრისელებიც დახელოვნებული მეზღვაურები იყვნენ.

გარდა იმისა, რომ ზოგიერთი საგნის, მაგ., მარილის, შემოტანა აუცილებელი იყო, რადგანაც უმისოდ ხალხს გაძლება არ შეეძლო, — ამ ვაჭრობას დიდი სარგებლობა მოჰქონდა მისი მიმდევრებისათვის ეგრისში. ვაჭრობას უმთავრესად თვითონ მეფე და წარჩინებულები აწარმოებდნენ, ისინი ყიდულობდნენ საზღვარგარეთულ ძვირფას საქონელს და ისინივე იძლეოდნენ სამაგიერო საგნებსაც. მონების გამყიდველიც მეფე და წარჩინებულნი იყვნენ. აქ მონებად მეტწილად ტყვეები იგულისხმებიან: თავს დაესხმოდნენ მეზობელ ტომებს — ჩვეულებრივად ჩრდილოეთ კავკასიაში, მოიტაცებდნენ იქიდან ხალხს და შემდეგ რომაელებზე ჰყიდდნენ. ზოგიერთი უფრო სასტიკი მთავრები-კი, როგორც მაგალითად, აბაზგების მთავრები. საკუთარი ქვეშევრდომების გაყიდვასაც არ თაკილობდნენ. ტყვის ყიდვა წარჩინებული ხალხის ხელობად იყო გადაქცეული.

ამიტომ ციბეს მიერ შემოღებულმა სავაჭრო მონოპოლიამ ძალიან წეაიწროვა ეგრისის მეფე და დიდებულები. რაკი, ამასთან ერთად, რომაელებმა სხვა მხრივაც შეაიწროვეს ეგრისელები, ამიტომ ეგრისის მეფემ და დიდებულებმა გადასწყვიტეს რომაელების თავისი ქვეყნიდან განდევნა. დახმარებისათვის, არჩიეს, სპარსელებისათვის მიემართნათ.

ეგრისში ამ დროს მეფედ იყო გუბაზი, რომელიც ცდილობდა მოზღვავებულ უცხო, მტრულ ძალებს შორის როგორმე დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინა.

გუბაზმა ერანის მბრძანებელს, ხოსრო ანუშირვანს, ელჩები გაუგზავნა ფარულად. ეგრისის წარმომადგენლებმა ხოსროს უთხრეს: „საჭიროა უთქვათ ზოგიერთი ბოროტების შესახებ, რაც ჩვენს წინაალმდეგ წყეულმა რომაელებმა ჩაიდინეს. ჩვენს მეფეს ხომ მეფობის მხოლოდ გარეგნული ნიშნები დაუტოვეს, ძალაუფლება საქმეებში-კი თვითონ მიითვისეს.

მეფეც მოსამსახურის ბედში იმყოფება და განკარგულებელი სტრატეგოსისა ეშინია. აუარებელი ჯარიც ჩაგვიყენეს, მაგრამ იმისთვის კი არა რომ დაიცვან ჩვენი ქვეყანა შემწუხებლებისაგან, მოსაზღვრე ხალხებისგან ჩვენ ხომ სხვა არავინ გვაწუხებდა, რომაელების გარდა; არამედ იმისთვის, რათა დავემწყვდიეთ ჩვენ როგორც ციხეში და რათა ჩვენს ქონებას დაპატრონებოდნენ"-ო. ელჩებმა სთხოვეს ხოსროს დახმარებოდა ჯარით ეგრისს რომაელების განდევნაში და სამაგიეროდ ეასალობა ოლთქვეს. ელჩები უუბნებოდნენ ხოსროს: „იმ სარგებლობის შესახებ, რომელიც გექნებათ თქვენ ლაზებისგან, თუ მათს თხოვნას შეიწყნარებთ, ეხლავე მოგახსენებთ. სპარსელების ძალას თქვენ გაზრდით უძველესი სამეფოთი (ე. ი. ეგრისით) და მისი საშუალებით განდიდდება თქვენი ხელმწიფების ღირსებაც. ჩვენი ქვეყნის ზღვით კი რომაელების ზღვას დაუკავშირდებით. აქ თუ ხომალდებს ააშენებ, მეფეც, სრულებით ალარ იქნება ძნელი ბიზანტიონის (ე. ი. კონსტანტინოპოლის) სასახლეს მიალწიო. გზაზე ხომ არაეითარი წინააღმდეგობა არ შეგხვდება. ამას უნდა დაუმატოთ ერთიც: თქვენზე იქნება დამოკიდებული რომ მოსაზღვრე ბარბაროსებმა ყოველ წელიწადს არბიონ რომაელების მიწა-წყალი... თქვენ ალბათ იცით რომ ლაზების ქვეყანა დღემდე კავკასიის მთების წინააღმდეგ საფარს წარმოადგენდა"-ო.

ხოსრო ძალიან გაახარა ამ ამბავმა. იმდროინდელი ისტორიკოსები ასე ასწერენ ხოსროს გულისნადებსაც: „ხოსროს ღირშესანიშნაე მონაპოვრად მიაჩნდა კოლხიდის მტკიცედ დასაკუთრება, რადგან მისი აზრით, ერანის ძალაუფლებას ეს დიდ სარგებლობას მოუტანდა. იბერიაც ხომ მთავალში საესებით მორჩილი იქნებოდა, რადგან იბერებს ალარ ეყოლებოდათ ის ხალხი, ვისთანაც ისინი, განდგომის შემთხვევაში, თავს გადაირჩენდნენ... აგრეთვე ლაზიკის მეზობლად მოსახლე ჰუნებიც სპარსელების სახელმწიფოს ვერასოდეს ვეღარ დაარბევდნენ. თვითონ ხოსრო-კი ამ ჰუნებს გაცილებით უფრო ადვილად მიუსევდა რომაელების სახელმწიფოს, როცა ეს მისთვის სასურველი იქნებოდა: კავკასიაში მოსახლე ბარბაროსების წინააღმდეგ მხოლოდ ლაზიკა არის ზღუდე... ლაზიკიდან შეტევით სპარსელები ადვილად შესძლებდნენ თავდასხმას, ხმელეთითაც და ზღვითაც, ეგრეთწოდებულ ევქსინის პონტოს ნაპირებზე... და მოულოდნელად დაიპყრობდნენ ბიზანტიელებს... ამიტომ უნდოდა ხოსროს ლაზიკის შემოერთება"-ო. ამავე დროს ხოსრომ კარგად იცოდა, რომ ეგრისელები თავის ქვეყანას სათარეშოდ არავის დაუთმობდნენ და ამიტომ იგი „არ ენდობოდა ლაზებს", ისე როგორც არ ენდობოდა ქართლელებსაც. ამიტომვე იყო რომ ხოსროს გადაწყვეტილი ჰქონდა ეგრისის მთლად მოსპობა, მაგრამ ყურყურობით ეს განზრახვა გულში ღრმად ჰქონდა ჩამარხული. ეგრისის ელჩებს ხოსრომ ცბიერი თანხმობა მისცა, ვითომც მხოლოდ დახმარებას უპირებდა.

542 წელს ხოსრო უზარმაზარი ჯარით მოვიდა ქართლში და აქედან უეცრად გადავიდა ეგრისში. რითაც დაარღვია „საუკუნო ზავი". სპარსელების მეგზურები თვითონ ლაზები იყვნენ. ეგრისის საზღვრები ულა-

ნი ტყეებით იყო დაფარული და სპარსელები იძულებული იყვნენ გზა საბელდახელოდ გაეკაფათ. გუბაზ მეფე შეხვდა ხოსროს შუა კოლხეთში და ეგრისის ჯარებით სპარსელებს შეუერთდა. რადგანაც რომაელების მთავარი ძალა პეტრაში იყო დაბანაკებული, ამიტომ მოკავშირეები პირველად პეტრას ეცნენ. სისხლის მღვრელი ბრძოლის შემდეგ პეტრა აღებულ იქნა და შიგ სპარსელების გარნიზონი ჩადგა. პეტრას ბრძოლაში მოკლულ იქნა სტრატეგოსი ჰოანე-ციბეც.

სამაგიეროს გადასახდელად რომაელები ერანს შეესივნენ. ამიტომ თეითონ ხოსრო იძულებული შეიქნა შინ დაბრუნებულიყო. 545-6 წელს სპარსელებმა და რომაელებმა დროებითი ზავი შეკრეს ხუთი წლის ვადით. ამ ზავის დროს ეგრისში ახალი ამბები დატრიალდა.

სპარსელების ნაწილი განზრახვის გამოაშკარავება. ეგრისის მეფე და დიდებულები იხევ რომაელების მხარეს გადადიან

ხოსროს ფარული განზრახვა ის იყო რომ მთლიანად აეყარა ეგრისის მოსახლეობა და მის მიწა-წყალზე სპარსელები და სხვა სანდო ხალხები დაესახლებინა. ეხლა ხოსრო იმასაც ატყობდა რომ ეგრისელები სპარსელების მაღლიერი სრულებით არ დარჩენილან. სპარსელების ლაზიკაში დამკვიდრებამ შესწყვიტა ლაზების ვაჭრობა რომაელებთან, რის გამოც ეგრისის მეფე და წარჩინებული ხალხი ძალიან ზარალობდნენ. გარდა ამისა, სპარსელები არც ქცევით სჯობდნენ რომაელებს. ეგრისის მეფე და დიდებულები უკმაყოფილო იყვნენ.

ხოსრომ გადასწყვიტა, დროებითი ზავი შესაფერისი დროა, რომ ჩემი გეგმა შეეასრულებო. მან თავის სარდალს ფაბრიზს დაავალა მოეკლა გუბაზ მეფე. ფაბრიზმა თავისი მხრით ეს საქმე ერთს წარჩინებულ ლაზს, ფარსანს, დააკისრა, რომელსაც გუბაზ მეფესთან მტრობა ჰქონდა. ამ დროს ეგრისშიაც აზნაურობა ისეთ ფეხ-მოკიდებული იყო, როგორც ქართლში. დიდ-დიდი აზნაურები თავ-კერძობით სხვადასხვა მხარეს იწევდნენ, როგორც ეს საერთოდ ფეოდალებს სჩვევიათ ხოლმე. თუმცა ეგრისში მეფესა და აზნაურებს ისეთი მტრობა არ ჰქონიათ, როგორც ქართლში, მაგრამ მეფის უკმაყოფილო ხალხი აქ მაინც იყო, წარჩინებულთა შორის. მათ რიცხვს ეკუთვნოდა ფარსანსიც.

მაგრამ ამ წარჩინებულ ლაზს იმდენი ნამუსი მაინც ალმოაჩნდა, რომ ასეთს მუხანათურ საქმეში ხელი არ გაესვარა. მან, პირიქით, ყველაფერი გუბაზ მეფეს შეატყობინა. სპარსელების ეერაგობით აღშფოთებულმა გუბაზმა კელაე იუსტინიანე კეისარს მიმართა, თავისი წინანდელი საქციელი მოინანია და შესთავაზა — ისევ რომაელების მხარეზე გადმოვალთ, ოღონდ სპარსელები გადაგვარეკინეთო. იუსტინიანეს ეს ამბავი ძლიან ეამა და ეგრისში ახალი ჯარები გამოგზავნა.

ეხლა ომი ეგრისში ახალი სიძლიერით ატყდა და გაგრძელდა სამოცი-ანი წლების დასაწყისამდე. ასეთი დიდი და გამანადგურებელი ომიანობა იშვიათად ყოფილა დას. საქართველოს მიწა-წყალზე. საკუთარ ძალებს გარდა, ორიენ მზარე ქირის ჯარებსაც იყენებდა ჩრდილოეთ კავკასიი-დან, ჰუნებისა და ალანების ტომებიდან. უცხოელები, რომელნიც ეგ-რისის მიწა-წყალზე დათარეშობდნენ და ერთადერთ მიზნად ამ ქვეყნის დაპყრობას ისახავდნენ, არავითარ საშუალებას არ თაკილობდნენ — არც მოსყიდვას, არც შერჩენილ კაცისმკვლელებს, არც ორპირობასა და ღალატს. ქვეყანასაც ისინი დაუნდობლად აოხრებდნენ.

გამარჯვების სასწორი მაინც რომაელებისა და ეგრისელებისაკენ იხრე-ბოდა. ამაში მთავარი დამსახურება, რათქმაუნდა, ლაზებს მიუძღოდა, რომელნიც ჩინებული მეომრებიც იყვნენ, ადგილობრივ პირობებს უვე-ლაზე უკეთ იცნობდნენ და სამშობლოსათვის გაალმასებით იბრძოდნენ. უფრო ადრეც გააძევებდნენ სპარსელებს ეგრისიდან, რომ იმთავითვე ლაზებსა და რომაელებს შორის უთანხმოება არ ყოფილიყო — ეგრისე-ლები თავის ქვეყნის დასაკავებად თავს არ ზოგავდნენ, რომაელი სარდ-ლები კი, რომელთაც პირადი ინტერესის გარდა სხვა არაფერი ამოძრა-ვებდათ, გულგრილობასა და უთაობას იჩენდნენ, და არც დიდი სიმამა-ცისა და ნიჭის პატრონები იყვნენ. ეს ახელებდა ეგრისელებს რომაელე-ბის წინააღმდეგ.

როცა ხოსრომ ეგრისის ამბები შეიტყო, ძალიან შეწუხდა და ახალი დიდი ლაშქარი გამოგზავნა ეგრისში მერშეროეს მეთაურობით. სპარსე-ლებმა სასტიკი დამარცხება იწვნიეს რიონის პირებში, მაგრამ პეტრა მაინც შეინარჩუნეს (549 წ.).

550 წელს ხოსრომ ეგრისში სარდალი ხორიანე გამოგზავნა უზარმა-ზარი ჯარით. ხორიანეს ლაშქარი მუხურის თემში დაბანაკდა, მდინარე ცხენის წყლის ნაპირას. მტრის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ ამხედრდნენ მეფე გუბაზი და რომაელების სარდალი დაგისთე. სამხედრო თათბირის შემდეგ გადასწყვიტეს უეცარი იერიში მიეტანათ ხორიანეზე. მაგრამ აქ თავი იჩინა უთანხმოებამ მოკავშირეთა შორის. იმდროინდელი რომაელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი გვიამბობს: „ლაზები ვერ სთვლიდნენ შესაძლებლად რომაელებთან ერთად შერაზმულიყვნენ, ისინი ამტკი-ცებდნენ რომ რომაელები ბრძოლაში წასულით არც საშობლოსთვის იღებენ თავს. საფრთხეში, არც ნათესავებისათვის, მათ კი, ლაზებს, საფრთხე მოელით შვილებისთვის, ცოლებისთვის და სამშობლო ქვეყ-ნისთვის. ასე რომ ლაზებს თავიანთი ცოლებისა უნდა შერცხვეთ, თუ მოწინააღმდეგეებისაგან დამარცხებული იქნებიან... ლაზებს ძალიან უნდოდათ რომ პირველნი სძგერებოდნენ მარტონი მტერს, რათა მათ-თვის საქმეში ხელი არ შეეშალათ რომაელებს, რომელნიც ლაზებსავით არ იყვნენ აღფრთოვანებულნი სახიფათო ბრძოლაში. ლაზები რომ ასე აღფრთოვანებით ლაპარაკობდნენ, გუბაზს ძალიან გაეხარდა. მოუხმო

მათ რომაელებისაგან ცოტა მოშორებით და ასე მიმართა: „მე არ ვიცი, ვაფიცებთ, საჭიროა თუ არა კიდევ რჩევა-დარიგებით მომართვა თქვენდამი თქვენ ალსაფრთოვანებლად... არავითარი მოწოდება აღარ ესაჭიროება იმათ, ვინც გარემოებათა საჭიროებითაა უკვე ალფრთოვანებული, რასაც ჩვენთან ამჟამად აქვს ადგილი. საფრთხე მოელის ხომ ცოლშვილს, სამშობლო ქვეყანას და, ერთი სიტყვით, ყველაფერს, რის გამოც სპარსელებმა ჩვენზე იერიში მოიტანეს. არავინ არ დაუთმობს იმას, ვინც რასმე ართმევს მას ძალით მისი ქონებიდან, ვინაიდან ბუნება აიძულებს მას იბრძოლოს თავისი საკუთრებისათვის... თუ სპარსელები ამ ომში გაიმარჯვებენ, ისინი მარტო იმას არ იკმარებენ რომ დაგვიმარჩილონ ან ხარკი დაგვადონ ან სხვა რამე დაისაკუთრონ—ნუ დაივიწყებთ რაც ამას წინათ ხოსრომ ჩაიდინა ჩვენ მომართ... ნუ გაქრება ლაზების სახელი! ძნელი არ არის, ვაფიცებთ, სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენთვის, რომელთაც ხშირად გაგვიმარჯვნია მათზე ხელჩართულ ომში...“

მართლაც. ეგრისის ცხენოსანი ჯარი პირველი ეძგერა მტერს. ატყდა ფიცხელი ომი. ომი სპარსელების სასტიკი დამარცხებით დამთავრდა. ხორიანემ და მისი მეომრების უმრავლესობამ ბრძოლის ველზე დალიეს სული. დარჩენილებმა სამშობლოში გაქცევით თავს უშველეს, მოკავშირეებმა კი სპარსელების მთელი ბანაკი ხელში ჩაიგდეს. ამის შემდეგ სპარსელების ჯარი მხოლოდ პეტრაში იყო დარჩენილი. ლაზები მოითხოვდნენ პეტრასაც ეხლავე თავს დავესხათო, მაგრამ რომაელების სარდალი დაგისთე ამას ეწინააღმდეგებოდა. მაშინ ლაზებმა დაგისთეს კეისართან უჩიველეს, შეიძლება ეს კაცი სპარსელების მოსყიდულიც იყოს, ისე იქცევაო. იუსტინიანემ დაგისთე სატუსალოში ჩასვა და მის მაგიერ სხვა სარდალი, ბესა, გაამოგზავნა. სპარსელებიც ეგრისში ახალი ჯარით შემოიჭრნენ. ამ ჯარის სარდალმა ნაბედმა ახალი ტაქტიკით დაიწყო მოქმედება. ნაბედმა საჭიროდ სცნო ეგრისის ჩრდილოეთ ნაწილში, ეხლანდელ აფხაზეთში, გამაგრებულიყო.

მდგომარეობა აფხაზეთში

დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, როგორც ვიცით, მაშინ სხვადასხვა ტომები ცხოვრობდნენ. მეოთხე საუკუნეში, ახ. წ., ეს ტომები ეგრისის სამეფოში შევიდნენ. მაგრამ შემდეგ აქ ისევ ცვლილებები მოხდა. აფშილები ისევ ეგრისის მეფის ქვეშევრდომები დარჩნენ, აბაზგები კი, რომელნიც აფშილებზე ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ, გადაუდგნენ ეგრისის მეფეს და მეექვსე საუკუნის დამდეგიდან უშუალოდ კეისრის ვასალებად ითვლებოდნენ.

აბაზგებს ძველთაგანვე ორი მთავარი ჰყვანდათ, ერთი აბაზგის დასავლეთ ნაწილში, მეორე-კი — ალმოსაულეთისაში. აბაზგები ძალიან შეწუხებული იყვნენ თავიანთი მთავრების მტარვალობისა და ვერცხლისმოყვარეობის გამო. როცა ეს მთავრები თავის ქვეშევრდომებში ლაშაზ

ბავშვებს დაინახავდნენ, წაართმევდნენ მათ მშობლებს და საჭურისებად (ევნუხებად) ჰყიდდნენ რომაელებზე, ბავშვების მამებს კი ხოცავდნენ, შერი არ იძირნო. აბაზგებმა ველარ აიტანეს ეს უსამართლობა და ორივე მთავარი მოსპეს.

ამასთან ერთად, იუსტინიანეს მოთხოვნით, აბაზგებმა ქრისტიანობა მიიღეს. სარწმუნოების საშუალებით იუსტინიანეს აბაზგების შემოერთება ჰსურდა. ქრისტიანობის გარდა, კეისრის ძალაუფლებას აფხაზეთში ამაგრებდნენ რომაელი მეციხოვნეებიც, რომელნიც ბიჭვინტაში და ცხუმში (სევასტოპოლისში) იდგნენ. როდესაც ხოსრო პირველად შეიჭრა ეგრისში, ამ პუნქტებ-ს რომაელმა გარნიზონებმა ძირამდე დაანგრიეს დასახელებული ციხეები, რადგანაც ეშინოდათ რომ სპარსელებს ვერ გაუმკლავდებოდნენ. სპარსელებმა მაშინ აბაზგიაში მაინც ფეხი ვერ მოიკიდეს.

მაგრამ შემდეგ სხვა ამბები მოხდა. რომაელმა მოხელეებმა და ჯარისკაცებმა. რომელნიც კვლავ გაჩნდნენ აქ, მოინდომეს აბაზგების სრული დაპყრობა და ისე შეაწუხეს ისინი თავისი ძალადობით, რომ აბაზგები გადაუდგნენ რომაელებს. რომაელიეე ისტორიკოსი გამოტეხით ამბობს, აბაზგებს „ეშინოდათ რომ ამიერიდან რომაელების მონები არ გამხდარიყვნენო", ე. ი., ისევე, როგორც სხვაგან საქართველოში, ხალხი აქაც გააფთრებით იცავდა თავის თავისუფლებას. აბაზგებმა ახალი მთავრები დაიყენეს და ფარულად სპარსელებს მიმართეს დახმარებისათვის. მაგრამ რომაელებმა დაასწრეს სპარსელებს და დიდი ჯარით მიადგნენ აბაზგებს როგორც ხმელეთიდან, ისე ზღვიდან. აბაზგები გამაგრდნენ ერთს მიუვალ ციხეში, რომელსაც მაშინ ბერძენ-რომაელები ტრაქეას ეძახდნენ, ეხლა კი გაგრა ჰქვიან. რომაელებმა ტრაქეას ყოველი მხრიდან ალყა შემოარტყეს. ატყდა დაუნდობელი ომი. როდესაც რომაელების რიცხობრიემა სიჭარბემ სძლია და ისინი შიგ ციხე-ქალაქში შეიჭრნენ, დაინახეს რომ აბაზგები თავიანთი ცოლ-შვილით სახლებში ჩამაფრებულიყვნენ. მტერმა მათ სხვა ვერაფერი მოუხერხა და ხის სახლებს ცეცხლი წაუკიდა. მხოლოდ მთავარმა ოფსიტემ მოახერხა რამდენიმე კაცით ციხიდან გასელა, „დანარჩენები კი ან ფერფლად იქცნენ გადამწვარ სახლებთან ერთად, ან მტრის ხელში ჩაცვივდნენ. რომაელებმა დაატყვევეს მთავართა ცოლები მთელი მათი შთამომაელობითურთ, ციხის გალავანი კი მიწასთან გაასწორეს და მთელი მიწა-წყალი უდაბნოდ აქციეს"-ო, მოგვითხრობს იგივე რომაელი ისტორიკოსი, პროკოპი კესარიელი. ცხადია, აბაზგებს რომაელები ეხლა თვალით არ დაენახვებოდათ, და როცა ნაბედმა, სპარსელების სარდალმა, მათ ჭეყანას მიაშურა, აბაზგები სპარსელების მხარეს გადავიდნენ. ნაბედმა იცოდა რომ აბაზგებს არც სპარსელები ეხატათ გულზე და სიმტკიცისათვის მათ სამოცი ბავშვი გამოართვა მძევლად, წარჩინებულთა გვარებიდან.

ამავე დროს არეულობა მოხდა აფშილეთშიაც, რომელიც აგრეთვე ძველთაგანვე ეგრისის მეფის ქვეშევრდომი იყო. ეგრისის მეფის ერთმა დიდმა მოხელემ, მაგისტროსმა ტერდეტემ, რომელიც აგრეთვე გუბაზის

უმაყოფილო აზნაურების რიცხვს ეკუთვნოდა, ღალატით გადასცა სპარსელებს აფშილების მეტად მაგარი ციხე წ ი ბ ი ლ ი ანუ ეხლანდელი წ ე ბ ე ლ დ ა. მაგრამ სპარსელების სარდალმა შეურაცხყოფა მიაყენა ციხისთავის ცოლს, ტომით აფშილს. ქალის ღირსებას ჩვენი ხალხი ძვირად აფასებდა და აფშილებმა ამოჟლიტეს წიბილის ციხეში შესული სპარსელები.

ამრიგად, აფშილეთში სპარსელები ვერ გამაგრდნენ. მათი მთავარი სიმაგრე მაინც პეტრა იყო. ამიტომ ლაზებს და რომაელებს გულისყური პეტრასკენ ჰქონდათ მიპყრობილი.

პეტრას აღება მოკავშირეების მიერ. გუბაზ მეფის მოკვლა

550 წელს რომაელებმა კვლავ ალყა შემოარტყეს პეტრას. ხოსროს პეტრა ძალიან გამაგრებული ჰქონდა, ხუთი წლის სამყოფი სანოვაგე, პური. შაშხი და სხვა ჰქონდა ციხეში მომარაგებული და სამმაგი მილით სამყოფი წყალიც გამოყვანილი შორიდან. მეციხოვნეებადაც ერანის მბრძანებელს აქ თავისი საუკეთესო მეომრები ჩაეყენებინა. სამი ათას კაცამდე. რომაელები ორჯერ მეტი იყვნენ. მაგრამ სპარსელებმა დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინეს. გააფთრებით იცავდნენ ციხეს და მეტი-წილი დაიღუპნენ კიდევაც. რომაელებმა აიღეს ციხე და დიდი სიმდიდრე ჩაიგდეს ხელში. მაგრამ რომაელების სარდალმა ბესამ პეტრას ზღუდე მიწასთან გაასწორა, — როგორც ჩანს. ამ ციხის დაცვასა და შენარჩუნებაზე ზრუნვა არ უნდოდა.

ბესამ არჩია რომის ქვეშევრდომები ეყვლიფა პონტოსა და სომხეთში. რომაელების დაუდევრობით ისარგებლა სპარსელების მთავარსარდალმა მერმეროემ, რომელიც თავისი ჯარით ქართლიდან ეგრისში გადმოვიდა და ღელა-ქალაქს ციხე-გოჯს (არქეოპოლისს) მიადგა. მაგრამ ციხე-გოჯის გარნიზონი მეხივით დაეცა თავს სპარსელებს და დიდი ზარალი მიაყენა მათ. მერმეროემ დაიხია უკან. მუხურის თემში. შეაკეთა ქ უ თ ა თ ი ს ი ს. ეხლანდელი ქუთაისის. ძველი ციხე და აქ დაიდო სადგური. ამით მერმეროემ გზა მოუჭრა ეგრისს მის თემებთან—ლეჩხუმთან და სვანეთთან და აგრეთვე მნიშვნელოვან ციხესთან — უ ქ ი მ ე რ ი ო ნ თ ა ნ, რომელშიაც ეგრისის გარნიზონი იდგა.

552 წელს რომაელებმა და სპარსელებმა ისევ შეკრეს ხუთწლიანი ზავი, რომლითაც სპარსელებმა კარგად ისარგებლეს თავისი მდგომარეობის განსამტკიცებლად ეგრისში. ამავე დროს. ეგრისის აზნაურებში ისევ გაიზარდა მიდრეკილება სპარსელებისადმი. იგივე პროკოპი კეისარიელი გვიამბობს, რომ თუმცა გუბაზ მეფე რომაელების მხარე ეჭირა. „დანარჩენი ლაზები, რომელნიც რომაელი ჯარისკაცებისაგან საშინლად იყვნენ შეწუხებულნი. განსაკუთრებით კი ჯარის სარდლებისაგან იყვნენ შევიწროებულნი, მეტწილად სპარსელების მომხრეობას იჩენდნენ. არა იმიტომ რომ სპარსელობა მოსწონდათ, არამედ რომაელების ბატონობისაგან თავის დაღწევა სურდათ"-ო. მართლაც-და, ეგრისის ხალხი მხოლოდ თავისუფლებას ეძებდა.

ერთმა ეგრისელმა აზნაურმა. სპარსელების მომხრემ. ქუმერიონის ციხე სპარსელებს გადასცა. ეს ციხე სვანეთის გზაზე ბატონობდა და ამ-რიგად სპარსელებმა ეხლა სვანეთ-ლეჩხუმის თემები უფრო კარგად და-მორჩილეს. გარდა ამისა მერმერიემ შორაპნის ციხეც გაიმაგრა. გუბაზ მეფე და რომაელები ძალიან შეიწროებულ მდგომარეობაში ჩაცვიე-ლნენ. მაგრამ გუბაზს სპარსელებთან შერიგება მაინც არ ჰსურდა და წერილ-წერილი თაედასხმებით მათ მოსვენებას არ აძლევდა. 553 წელს გუბაზს რამდენიმე ბრძოლა ჰქონდა სპარსელებთან. ამ ბრძოლებში რო-მაელები სრულ უდარდელობასა და სილაჩრეს იჩენდნენ. გუბაზ მეფე მათზე ძალიან გაგულისებული იყო და საჯაროდ ლანძღებოდა. რო-მაელი სარდლები უქმად. უქნარა და მშიშარა ხალხიათ. ამიტომ 554 წელს რომაელმა სარდლებმა შეტყუებით მოჰკლეს გუბაზი. ეთნომც სპარსელებთან კაეშირის გამო.

ხახალხო კრება ეგრისში და გბოლა ოქრიენტასიის საკითხის შესახებ

იმდროინდელი რომაელი ისტორიკოსი აგათია გადმოგვცემს რომ გუ-ბაზის ეერაგულად მოკლამ ათელვა ლაზების მთელი ჯარი. ლაზები ისე იყვნენ აღშფოთებულნი რომ გადასწყვიტეს ალარ შეერთებოდნენ რომაელებს და ალარ ეომნათ მათთან ერთად. როცა ლაზებმა გუბაზი დაასაფლავეს თავისი ჩვეულების თანახმად, მათ ალარ მიიღეს მონაწი-ლეობა ბრძოლებში. რადგანაც თავს უკიდურესად შეურაცხყოფილად გრძნობდნენ და ფიქრობდნენ. ჩვენმა სამშობლომ დაკარგა თავისი სა-ხელი და დიდებაო".

თუ რას ნიშნავდა ლაზების ჯარის დახმარება. ეს რომაელებმა მალე დაინახეს ონოგურის ბრძოლაში. აქ სამი ათასმა სპარსელმა სამარ-ცხვინოდ დაამარცხა 50.000 რომაელი. რომელთაც ეგრისელები არ ეხმა-რებოდნენ.

თეთონ ლაზები ამ დროს თავისი ქვეყნის შემდგომ ბედზე ფიქრობ-დნენ. ხალხის თავ-კაცებმა ერთს ხეობაში დიდი საერო კრება მოიწვიეს. აქ ბევრი სხვადასხვანაირი აზრი გამოითქვა იმის შესახებ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ შემდეგში. კრების მეთაური აზნაურები ორ ჯგუფად გაიყვნენ. ერთი ჯგუფის სათაეში აიეტი იდგა, რომაელების ძველი მტერი და სპარსელების მომხრე. აიეტი ამტკიცებდა, გუბაზის მოკვლა მხოლოდ დასაწყისია და რომაელებს ჩვენი მოსპობა აქვთ განზრახული. სპარსელები კი უფრო სანდონი არიანო. „გაქრა კოლხების ძველი ღირ-სება,—ამბობდა აიეტი.—და დღეიდან უკვე ჩვენ სხვებზე ველარ ვიბატო-ნებთ... ჩვენ რომ ეს ბორტმოქმედება უყურადღებოდ დავტოვოთ, რო-მაელები ალარ დაგვეხსნებიან და კიდევ უფრო მეტად გაგვაბახებენ ჩვე-ნი უმოქმედობის წყალობით. რათქმაუნდა. რომაელები იმათ კიდევ უფ-რო თავხედურად ეპყრობიან. ვინც მათ ემორჩილება. და, ჩვეულებრივად. ზევიდან ქვევით უყურებენ იმათ. ვინც მათ ემსახურება... მე მინდა რომ

კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონდეს თავისი წინანდელი ძლიერება, რომ მას არ სჭიროდეს უცხოელების დახმარება გარედან, რომ როგორც ომის, ისე მშვიდობის დროს იგი მხოლოდ თავის-თავს ეყუდოს. მაგრამ როცა ჩვენ ჟამთა ვითარების გამო ან ბედის უკუღმართობის წყალობით ანდა ორივე მიზეზით ისე დაეუძლურდით, რომ სხვისი ხელ-ქვეითი გაეხდით, ისევ სჯობია იმის ხელში ვიყოთ, ვინც უფრო კეთილისმსურველია, ვინც დაურღვეველად იცავს კეთილ განწყობილებას თავისიანებთან და მოკავშირეებთან"-ო. აიეტის სიტყვამ ისე აანთო სალხი რომ ერთხმად იგრიალეს, სპარსელებს მივემხროთო. მაგრამ მოწინააღმდეგე პარტიის მეთაურმა, ფარტაძმა, რომელსაც დიდი პატივისცემა და გავლენა ჰქონდა კოლხებში მოხვეჭილი, შეაჩერა ხალხი. ფარტაძი ურჩევდა, საქვეყნო საქმის გულისათვის დაეივიწყოთ ეს მწუხარება და წყენა და გონების ძალით საუკეთესო გზა ავირჩიოთო. გუბაზის მოკლა რომაელი სტრატეგოსების საქმეა და კეისარი აქ არაფერ შუაშიაო, რომაელები მაინც უფრო მისაღებნი არიან, რადგანაც სპარსელები ვერასოდეს ვერ შეურიგდებიან ჩვენ რომ სხვადასხვა სარწმუნოება გვაქვსო. „სასოწარკვეთილებასა და გრძნობათა ღელვას, კი არ უნდა ავყვეთ და მონებივით კი არ უნდა გაეიქცეთ. არამედ უნდა გავიმსჭვალოთ კოლხის თავისუფლების შეგნებით, ვაქტიურად უნდა გადავიტანოთ უბედურება და არ ჩაეიდინოთ არაფერი უღირსი და მამა-პაპური წესების შემბღალველი". შევატყობინოთ კეისარს, რაც მოხდა და ვნახოთ, რა პასუხს მოგვცემს. თუ ჩვენი სამართლიანი მოთხოვნილება უარუოფილი იქნება, მაშინ ეიფიქროთ სპარსელებთან კავშირზეო.

ფარტაძის აზრმა გაიმარჯვა. ჯერ-ერთი, სპარსელების სიაქარგე ბევრს ჰქონდა გამოცდილი. შემდეგ კიდევ, როგორც ეიცით, ეგრისის აზნაურებს რომაელებთან კავშირი ქონებრივად ინტერესებდათ. ამიტომ შეატყობინეს იუსტინიანე კეისარს მომხდარი ამბავი, მოითხოვეს მკვლელების დასჯა და სთხოვეს ეგრისის მეფედ გუბაზის ძმის, წათეს დამტკიცება. რომელიც ამ დროს კონსტანტინეპოლში იმყოფებოდა. იუსტინიანეს კარგად ჰქონდა აწონილ-დაწონილი ლაზების მნიშვნელობა იმდროინდელ გარემოებაში და რომ ეგრისის ხალხი მას არ გადასდგომოდა. სასწრაფოდ შეასრულა ლაზების ყველა მოთხოვნა. მკვლელები დასაჯნენ, ხოლო მეფედ ნაკურთხი წათე II დიდი ზეიმითა და დიდებით ჩამოიყვანეს სამშობლოში. წათე შეუდგა ეგრისის მართვას მამა-პაპური წესების თანახმად.

მისიმიელების აჯანყება. სპარსელების საბოლოო დამარცხება ეგრისში

მისიმიელები აფშილებს ზემოთ ცხოვრობდნენ, მდ. კოდორის სათაეებში. ისინი ეგრისის მეფის ქვეშევრდომები იყვნენ, თუმცა თავისი საკუთარი ენა და ადათები ჰქონდათ. 555 წელს მათს ქვეყანაში მოვიდა რომაელი მოხელე, სოტერიხი, რათა ყოველწლიური ხარკი გადაეცა

ალანებისათვის. რომელნიც მაშინ დღეანდელი ყარაჩაის მიწა-წყალზე ცხოვრობდნენ და რომაელების მოკავშირეები იყვნენ. სოტერიხის ქცევა მისიმიელებს არ მოეწონა და ეჭვიც გაუჩნდა, ჩვენი ციხის გადაცემა ხომ არ უნდა ალანებისათვისო. ამიტომ მისიმიელებმა სოტერიხს მოციქულები მიუგზავნეს და ასე შეუთვალეს: „უსამართლობას გვიპირებ. როგორც ჩანს, სტრატეგო. შენ არც სხვას უნდა მისცე ნება რომ ჩვენი საკუთრება წაილოს, არც თვითონ უნდა მოისურვო ასეთი რამ. თუ რომ მართლაც ამგვარი რამე გულში არ გიძევს, წაბარგდი ეხლავე აქედან, სხვაგან დადექ და სამყოფ სასმელ-საჭმელს ჩვენ მოგიტანთო“. სოტერიხმა ისეთი სიბრიყვე ჩაიდინა, რომ ელჩები ჯოხით აცემინა. მთიელის აზრით ცემა ისეთი შეურაცხყოფაა, რომელიც სისხლით უნდა მოირეცხოს. აქ კიდევ ხალხის ღირსება იყო გაჭედილი, რაკი მის წარმომადგენლებს მოეპყრნენ ეგრე უდიერად. ამიტომ იმავე ღამეს მისიმიელები თავს დაესხნენ რომაელებს და მუსრი გაავლეს. თვითონ კი სპარსელების მხარეს გადაიდნენ. როცა რომაელები კელავ მოვიდნენ აქ, ისეთი გამხეცებულნი იყვნენ, რომ ბავშვებსაც არ ინდობდნენ—ზოგს კლდიდან ძირს ისროდნენ, ზოგს კი შუბის წვერზე აცმევდნენ. მაგრამ თავისუფლების სიყვარულმა იმდენი ქნა რომ ამ პატარა ტომმა სამარცხვინოდ გააქცია თავიპირ დალეწილი რომაელები. ბოლოს საქმე შერიგებით გათავდა: მისიმიელებმა რომაელებს ზარალი აუნაზღაურეს. სამაგიეროდ თანხმობა მიიღეს ეცხოვრათ თავის ნებაზე ძველებურად, მამა-პაპური ადათების მიხედვით.

ამავე 555 წელს სპარსელმა სარდალმა ნახორაგანმა სამოც-ათასიანი ჯარით იერიში მიიტანა რომაელებზე ციხე-გოჯის მიდამოებში. რომაელების საქმე შეიძლებოდა ცუდად წასულიყო. მაგრამ ისინი ერთი ლაზის გმირობამ გადაარჩინა. ეს კაცი სპარსელებს დაეჭირათ. გზა გვიჩვენო. მეგზურმა იმდენი მოახერხა რომ რომაელებს შეატყობინა მტრის მოძრაობა და სპარსელები ხაფანგში შეიტყუეს. რომაელებისა და მათი მოკავშირეების უეცარი თავდასხმის გამო სპარსელები შეძრწუნენ და გაიქცნენ დიდად დაზარალებულნი. ამის შემდეგ ნახორაგანმა ქალ. ფაზისზე გაილაშქრა, მაგრამ აქ კიდევ უფრო საშინელი დამარცხება განიცადა. სპარსელებმა 12.000 კაცამდე დაჰკარგეს და სასწრაფოდ უკან დაიხიეს. თვითონ ნახორაგანი ქართლში გადავიდა. აქედან იგი ხოსრომ სპარსეთში დაიბარა და ფითთან დამარცხების გამო ცოცხალს ტყავი გააძრო.

ამის შემდეგ შაჰმა, ჩანს, ეგრისში თავისი საქმე წაგებულად ჩასთვალა და ჯერ დროებითი ზავი შესთავაზა რომაელებს. შემდეგ კი 562 წელს, ქალაქ დარაში, უფრო ხანგრძლივი ხელშეკრულებაც დაუდო.

562 წლის ზავი. სვანეთის საკითხი

ქალაქ დარაში დადებული ზავის პირობით სპარსელები უარს ამბობდნენ ეგრისზე, მაგრამ სადაოდ მიაჩნდათ სვანეთი. ეგ კუთხე ჩვენი იყო და ჩვენ უნდა დაგვრჩესო.

სვანებიც ძველთაგანვე ეგრისის მეფის ვასალები იყვნენ. ეგრისის მეფე ამტკიცებდა სვანეთის მთავარს თვით სვანების წრიდანვე. გარდა ამისა, ეგრისის მეფე სვანებისგან ძღვნად იღებდა თაფლს, ცვილს, ტყავებს და სხვა ამგვარ საგნებს, თვითონ სამაგიეროდ პურს უგზავნიდა, რომელიც სვანებს აკლდათ. სპარსელებთან ომის დროს კი მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდა. სვანები იმასაც აბრალებდნენ ეგრისელებს, რომ პური აღარ მოგვაწოდესო. ამიტომ სვანებიც ერთი პირობა სპარსელების მხარეს გადასულან. უეჭველია, რომ სვანებიც, ისევე როგორც საქართველოს სხვა ტომებიც, ამ შემთხვევაში თავის სახალხო თავისუფლებაზე ფიქრობდნენ და იმას არჩევდნენ, ვინც იმ არეულსა და შფოთიან დროში ნაკლებად საბიფათო მოკავშირე ჩანდა. ეხლა კი სპარსელები სვანეთიდან დაძვრას აღარ აპირებდნენ. მართლაც, სვანეთის საულელტეხილო გზებს მათთვის მნიშვნელობა ჰქონდა. შემდეგ, თუ ისინი სვანეთში გამაგრებას მოახერხებდნენ, ეგრისი მუდამ საფრთხის ქვეშ იქნებოდა. ამიტომ არც რომაელები სთმობდნენ სვანეთს. ეს დავა დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე 575 წლის მახლობლად რომაელები სვანეთში არ შეიჭრნენ და სვანეთის მთავარი ტყვედ არ წაიყვანეს. ამის შემდეგ სპარსელების გავლენა დას. საქართველოში ძირიანად ამოვარდა.

ქართლი მეექვსე საუკუნის მეორე ნახევარში. ქართლის საერისმთავროს დაარსება

როგორც ვიცით, ქართლის ხალხი და სპარსელები თავიდანვე ეჭვითა და უნდობლად უყურებდნენ ერთმანეთს. ჯერ კიდევ მეექვსე საუკუნის შუაწლებში წერდა პროკოპი კესარიელი რომ „იბერები ნებაყოფლობით არ ემორჩილებიან სპარსელებს... ცხადია, რომ იბერებს ილაჯი გაწყვეტილი აქვთ და ისინი აპირებენ აჯანყებას უახლოეს მომავალში, თუ მოხერხებულ დროს შეურჩევენ“-ო. ეს, ცხადია, ხალხზეა ნათქვამი. ხალხი იყო რომ ყველაზე მეტად იტანჯებოდა სპარსელების ხარკის, სამხედრო ბეგრისა და მოხელეების თავგასულობა-უსამართლობისაგან. მთავრები და დიდი აზნაურები, როგორც ვიცით, პირველად კავშირში იმყოფებოდნენ სპარსელებთან. მაგრამ თანდათან სპარსელებს აზნაურებიც გადაუდგნენ: ჯერ ერთი, სპარსული ულლის სიმძიმე ნელ-ნელა აზნაურობასაც სწვდებოდა. შემდეგ კიდევ, როცა დიდი სახალხო მოძრაობა დაიწყო სპარსელების წინააღმდეგ, აზნაურები და მთავრები შეშინდნენ, ჩვენ მთლად განზე არ გავირიყოთო, თვითონაც ამ ბრძოლაში გაერივნენ და მის მეთაურობასაც კი ჩემულობდნენ. წარჩინებულებს უნდოდათ ეს მოძრაობა თავისთვის გამოეყენებინათ და მოახერხეს კიდევაც.

სპარსელების განდევნა ქართლიდან მეექვსე საუკუნის სამოციანი წლების დამლევიდან იწყება. ამ დროს სპარსელების საქმე უკან იყო წასული მარტო ეგრისში კი არა, სხვაგანაც. ქართლში კიდევ ძალა და შეძლება სპარსელებთან საბრძოლველად ბლომად მოიპოვებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ სპარსელების ბატონობა აფერხებდა ქვეყნის განვითარებას, ქართლი მაინც სულ უფროდაუფრო იზრდებოდა და

ძლიერდებოდა. ამ დროს ქართლი მდიდარ ქვეყნად ითვლებოდა. იმდროინდელი რომაელი ისტორიკოსი მენანდრე გვიამბობს რომ, როცა 576-7 წელს საზავო მოლაპარაკება წარმოებდა სპარსელებსა და რომაელებს შორის, „კეისარი მზად იყო დაეთმო სპარსელებისათვის პერს-არმენია და იბერია, რადგანაც კარგად იცოდა რომ სპარსელები არაერთარ შემთხვევაში უარს არ იტყვიან ამ ქვეყანაზე, თუნდაც სპარსელების საქმეები მთლად აწეწილიყო და დალუპულიყო... სპარსეთის მეფე კი მოხარული იყო, რომ რომაელები უარს ამბობდნენ პერს-არმენიასა და იბერიაზე... ეს ქვეყნები ხომ ძალიან ნაყოფიერი იყო და დიდ შემოსავალსაც იძლეოდა“-ო. მართლაც, ქართლში ამ დროს კარგად განვითარებული იყო მიწისმოქმედება და, კერძოდ, მევენახეობაც. პურს იმდენს იწევდნენ, რომ საზღვარგარეთაც კი გაჰქონდათ. პროკოპი კესარიელი ამბობს, მაგალითად, მესტების შესახებ, რომ „ისინი ძველთაგანვე იბერების ქვეშევრდომები არიან და მთებში ცხოვრობენ. მესხეთის მთები მწირი და უნაყოფო კი არ არის, არამედ საკმაო ყოველგვარი სიკეთით, იმიტომ რომ მესხები დახელოვნებული მიწისმოქმედნი არიან და მათ ვენახებიც აქვთ“-ო. მიწისმოქმედებაში დახელოვნებას, ესე იგი ხანგრძლივს სახალხო სამეურნეო გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეურნეობის განვითარებისათვის. ქართლის ბარის თემები ხომ უფრო დაწინაურებული იყო ამ დროს, ვიდრე მესხეთის მთები. მიწის დამუშავების საჭიროებისათვის ბარში დიდსა და გრძელ არხებსაც აკეთებდნენ უწყლო საყანეების მოსარწყავად. იმ დროს ეკუთვნის, მაგალითად, რუსთავის არხი, თბილისს ქვემოთ.

განვითარებული იყო ქართლში ამ დროს ხელოსნობა, ვაჭრობა და ქალაქები. ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქები ქართლში, მეექვსე საუკუნეში, იყო ტფილისი, უჯარმა, ბოლნისი, მანგლისი, რუსთავი. ვაჭრობას ქართლი აწარმოებდა სომხეთთან, სპარსეთთან, სირიასთან, დასავლეთის ქვეყნებთან, ეგვიპტესთან და სხვებთან.

ქვეყნის კიდევ უფრო სწრაფ ზრდას ბოჭავდა სპარსელების ბატონობა, რომლის მოცილება ეხლა ხალხის მთავარი ნატერა და სურვილი იყო. 572 წელს სპარსელების წინააღმდეგ აჯანყებამ ერთდროულად იფეთქა ქართლსა და სომხეთში. ქართველების წინამძღოლი ამ დროს გურგენი ყოფილა. აჯანყებას მოჰყვა რომაელ-სპარსელების ომი, რომელიც, ხანგამოშვებით თითქმის ოცი წელიწადი გაგრძელდა. ამ ომში გამოირკვა, რომ სპარსელები განსაკუთრებით საძულველი იყვნენ ამიერ-კავკასიის ხალხებისათვის. სპარსელების მიერ დაკავებულ ადგილებიდან მოსახლეობა მთლიანად გარბოდა. საყურადღებოა ისიც, რომ საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ეს ხალხები ერთად იყვნენ და ერთმანეთს ეხმარებოდნენ. 573 წელს, მაგალითად, სპარსელების წინააღმდეგ აჯანყებულ სომხებს ეხმარებოდნენ ეგრისელები და აბაზგები.

576-7 წელს დაიწყო საზავო მოლაპარაკება რომაელებსა და სპარსელებს შორის. სპარსელები დაჟინებით მოითხოვდნენ, რათა რომაელებს დაეცალათ პერს-არმენია და იბერია და აქაური ლტოლვილები, რომელ-

ნიც რომაელთა სამფლობელოში იყვნენ შეხიზნულნი, გაეცათ. იუსტინიანე კეისარი მზად იყო, როგორც ვიცით, დაეკმაყოფილებინა პირველი მოთხოვნილება, რადგანაც კარგად იცოდა თუ რა მნიშვნელობას აძლევდნენ სპარსელები ქართლსა და სომხეთს, ამ ქვეყნების სიმდიდრის გამო, მეორე მოთხოვნის შესრულებაზე კი უარს ამბობდა. მაშინ მოხუცებულმა შაჰმა ხოსრომ მისცა თანხმობა კეისარს, რომ ის ქართველები და სომხები, რომელნიც არ მოისურვებდნენ სამშობლოში დაბრუნებას, დარჩენილიყვნენ აღმოსავლეთ რომის იმპერიის მიწა-წყალზე. იმდროინდელი რომაელი ისტორიკოსი მენანდრე ამტკიცებს: შაჰი ასე მოიქცა; რადგანაც იცოდა „რომ მცირეოდენ მმართველი პირების გარდა, რომელნიც ხელმძღვანელობდნენ აჯანყებას. არც ერთი პერს-არმენიელი და იბერი არ წავიდოდა უცხო ქვეყანაში სამშობლოსადმი სიყვარულის გამო, რომელიც ჩანერგილია ადამიანებში“. ესე იგი, ხალხს იმდენად უყვარდა თავისი მშობლიური მიწა-წყალი, რომ მისი სამუდამოდ მიტოვება არ შეეძლო.

საბოლოოდ მაინც შაჰი და კეისარი ვერ შეთანხმდნენ. ასევე უნაყოფო გამოდგა 579 და 580 წლების საზავო მოლაპარაკებანი. ამავე დროს სპარსელების გაელენა ამიერკავკასიაში სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა, რასაც ხელს უწყობდა შინაური შფოთი სპარსეთის სამეფოში. სარდალმა ბაჰრამ ჩუბინმა მოჰკლა შაჰი. რის გამოც სპარსეთის ტახტს მემკვიდრე. ხოსრო ფარვიზი. კეისართან გაიქცა, დახმარების სათხოვნელად. კეისარმა მაურიკემ მართლაც უშველა ხოსრო ფარვიზს მამისეული ტახტის დაბრუნებაში. რისთვისაც საზღაურად სპარსეთის ახალი მეფისაგან მიიღო სომხეთის უმეტესი ნაწილი და ქართლი თბილისამდე. ეს მოხდა 591 წელს. ეს შეთანხმება მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ სპარსეთი უარს ამბობდა თავის მოთხოვნილებებზე ამ ქვეყნების მიმართ. ნამდვილად, ქართლის დიდმა ნაწილმა მეექვსე საუკუნის დამლეისათვის უკვე გადაიგდო სპარსელების ბატონობის უღელი და არც რომაელებს ეშორჩილებოდა. სპარსელები ჯერ კიდევ მხოლოდ თბილისის ციხეში იდგნენ.

განთავისუფლებული ქართლი, სადაც სპარსელები აჯანყებულმა ხალხმა გააძევა, ეხლა თავისი საკუთარი მართვა-გამგეობის წესზე ეწყობოდა. უძველესი ქართული მატიანე, „მოქცევაი ქართლისაი“, ამბობს ამ დროის შესახებ: „ნელად-რე შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გუარამ“-ი. ქართლის მმართველობის სათავეში ერისმთავარი დაიყენეს. ეს ერისმთავარი თვითონაც დიდი აზნაური იყო და დიდი აზნაურების, სეფე-წულებისა და მთავრების, წარმომადგენელიც, რომელთაც იგი აირჩიეს ქვეყნის მმართველად. თუმცა თავისუფლება ხალხმა მოიპოვა. მაგრამ მისი ნაყოფი წარჩინებულებმა ჩაიგდეს ხელში. მალე ქართლის ერისმთავრის ძალა-უფლება გაიზარდა და გაძლიერდა. ასე წარმოიშვა ქართლში ფეოდალური მართვა-გამგეობის ორგანიზაცია, ფეოდალური სახელმწიფო, რომელმაც ძველი მონათმფლობელური სახელმწიფოს ადგილი დაიჭირა. ქართლის ერისმთავრებმა მალე საკუთა-

რი ფულის მოკრაც დაიწყეს ქართული წარწერით. ასეთი მონეტა-ფული სახელმწიფოს დამახასიათებელი თვისებაა.

საქართველოს კულტურა და იდეოლოგია V — VI საუკუნეებში

ისე როგორც სხვაგან, საქართველოშიაც თავდაპირველად კულტურა და იდეოლოგია უპირატესად სარწმუნოების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ეს გასაგებია, რადგანაც რაც უფრო უძლური იყო ადამიანი გარემო ბუნებასთან ბრძოლაში ტექნიკისა და მეცნიერების სუსტი განვითარების გამო, მით უფრო ცრუ-მორწმუნე იყო იგი.

მას შემდეგ, რაც ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად იქცა, კულტურასა და იდეოლოგიასაც საეკლესიო-ქრისტიანული ელფერი ედო მეტ-ნაკლებად. ასეთი იყო, მაგ., მწერლობა. ქრისტიანობამ ძველი ქართული წარმართული მწერლობა მოსპო, თვითონ-კი თარგმანებით დაიწყო. როგორც სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში, საქართველოშიაც უძველესი ნათარგმნი საქრისტიანო წიგნები სახარება და დაბადება იყო. ითარგმნიდნენ ბერძნული, სირიული და სომხური ენებიდან. მალე ორიგინალური მწერლობაც გაჩნდა, ჰაგიოგრაფიული ხასიათისა. ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებში მოთხრობილი იყო ისეთი პირების ცხოვრება, რომლებმაც ღვაწლი დასდეს ქრისტიანობას. ან თავიც კი შესწირეს მას. უძველესი ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულება „შუშანიკის მარტვილობა“ ანუ წამება, დაწერილი იაკობ ცურტაველის მიერ მეხუთე საუკუნის სამოცდაათიან წლებში. აქ აღწერილია თუ როგორ აწამა ვარსქენ ქართლის პიტიახშმა თავისი ცოლი შუშანიკი იმის გამო, რომ შუშანიკმა არ შეასრულა ვარსქენის მოთხოვნა და ცეცხლისმსახურება არ მიიღო. დაწერილია ეს ძეგლი მოკრძალებული, მომჭირნე, მდიდარი მხატვრული ენით. იგი ამავე დროს ძვირფასია, როგორც ისტორიული წყარო. იმიტომ რომ მასში კარგად არის ასახული ქართლის საზოგადოება და მისი ყოფა-ცხოვრება მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში. ასეთივე კარგი ისტორიული წყაროა „ესტატე მცხეთელის წამება“, რომელიც უცნობ ავტორს დაუწერია მეექვსე საუკუნის შუაწლებში და რომელშიაც აწერილია ქართლის ვითარება მარზპანობის დროს.

საეკლესიო მიზნების გარდა, მწერლობა მაშინ სხვა მიზნებსაც ემსახურებოდა, როგორც, მაგალითად, სახელმწიფოებრიულსა და კერძო სამოქალაქო საქმისწარმოებას. წარწერებს აკეთებდნენ ფულებზედაც. შენახულია ერთი წარწერა, ახალციხის მხარის სოფ. წყისეში ნაპოვნი. ეს წარწერა მეექვსე საუკუნის დამლევს თუ მეშვიდე საუკუნის დამდეგს ამოუკრეფინებია ქვის კედარზე ვინმე კონსტანტის იმის ნიშნად, რომ მიწა, სადაც ალმართული იყო ეს ქვაკედარი, ნაყიდი მამული იყო.

მწერლობას ხმარობდნენ აგრეთვე უკვე სახელმწიფოებთან ურთიერთობის დროს. ეგვრისის სამეფო არქივში ძალიან ძველი დოკუმენტებიც ჰქონდათ დაცული. ასევე იყო, რათქმაუნდა, ქართლშიაც.

უფრო სუსტი იყო. საეკლესიოსთან შედარებით, პოეტური და ფილოსოფიური მწერლობა, თუმცა ამ დარგის უკეთო ლიტერატურას კარგად იცნობდნენ. მეოთხე საუკუნეში ეგრისელებს თურმე არა ერთგზის უსახელებიათ თავი მჭევრმეტყველებით ბერძნების სადღესასწაულო კრებებზე, ბერძნები კი ამ საქმის უდიდესი ოსტატები იყვნენ. ეს ფაქტი იმის ნიშანია რომ კოლხეთში გავრცელებული იყო ბერძნული განათლება, ძველი ბერძნული ფილოსოფიისა და პოეზიის ცოდნა. როგორც ქართლში, ისე ეგრისში, ჩანს, იცნობდნენ სპარსულ მწერლობასაც.

მწერლობა გამოყენებული იყო საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ ბრძოლაშიაც. როცა სპარსელები იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ მაზდეანობის გავრცელებაზე ამიერკავკასიაში და, სამაგიეროდ მონოფიზიტურ ქრისტიანობის მფარველებად იქცნენ, მათ საეკლესიო მწერლობას დაავალეს, მონოფიზიტური იდეები და სპარსეთთან განუყრელი კავშირის აუცილებლობა ექადაგა. ამ მიზნით სპარსეთის მეფის აგენტებმა შეთხზეს ლეგენდები, ვითომც ქრისტიანობა სომხეთსა, ქართლსა და ალბანეთში ერთი პირის მიერ არის დანერგული, ვითომც ქართული, სომხური და ალბანური ანბანები ყველა ერთი პირის მიერ არის გამოგონებული და რომ ეს „განმანათლებელნი“ იმავე დროს სპარსეთთან იყვნენ დაკავშირებულნი. მონოფიზიტები შეუბრალებლად სპობდნენ დიოფიზიტების ანუ ქალკედონიტების მწერლობას. დროგამოშვებით გავლენას იხვეჭდნენ სხვა მიმართულებებიც, მაგალითად, მანიქეველობა. რომელიც სპარსული მიდრეკილებისა იყო. სპარსეთის მთავრობა ყველთვე სხვა საშუალებებსაც მიმართავდა ამ იდეოლოგიური კავშირის განსამტკიცებლად. მას სურდა, მაგალითად, სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის ეკლესიების გაერთიანება, რომ უფრო ადვილი ყოფილიყო მათი მართვა სპარსული მოხელეებისათვის. ამიტომ, მოჰკლეს თუ არა ვახტანგ გორგასალი, სპარსელების მთავარი მტერი და მოწინააღმდეგე ამიერკავკასიაში, მაშინვე, 506 წელს, სპარსელებმა სომხეთის დედაქალაქ დვინში მოიწვიეს სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის ეკლესიების საერთო კრება. ამ კრებამ, სპარსელებისავე კარნახით, შეაჩვენა ქალკედონის კრება და ერთადერთ ჭეშმარიტ ქრისტიანობად მონოფიზიტური სარწმუნოება აღიარა. ამის შემდეგ ეკლესია სპარსელების მთავარი დასაყრდენი გახდა.

მაგრამ, როგორც კი სპარსელების გავლენამ შესუსტება იწყო, მაშინვე თავი წამოჰყვეს ქალკედონიტებმა. მათ უკვე 574 წელს. გურგენის აჯანყებისთანავე, ძალა ჰქონიათ მოპოვებული ქართლში. მეექვსე საუკუნის დამლევისათვის კი მონოფიზიტები აქ საბოლოოდ დამარცხებული იყვნენ. რადგანაც სომხეთში. რომელიც სპარსეთთან უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული, მონოფიზიტებმა მეტ ხანს გაძლეს, ამიტომ სომხეთის და ქართლის ეკლესიებს შორის განხეთქილება მოხდა (607 წ.). ეხლა ქალკედონიტებმა დაუწყეს მონოფიზიტებსა და მათს მწერლობას უწყალო დევნა. ამიტომ არის ძველი ქართული მწერლობა ასეთი დაზიანებული სახით ჩვენ დრომდე მოღწეული.

სულიერი კულტურის სფეროში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ამ დროს ქართლისა და ეგრისის თანდათანი დაახლოება. არც მეგრულ, არც სვანურ, არც აფხაზურ ენაზე მწერლობა არ ყოფილა. როცა ქრისტიანობა შემოვიდა ეგრისში, იგი აქ ბერძნულ მწერლობას ხმარობდა. მაგრამ ბერძნული ენა გაუგებარი იყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ამავე დროს არგვეთიდან (დღევანდელი ზემო-იმერეთი), რომელიც ყოველთვის ქართლის სამეფოს საზღვრებში შედიოდა, ეგრისში ადვილად ვრცელდებოდა ქართული ენა, რომელიც უფრო ადვილად შესათვისებელი იყო მოძმე ქართველ ტომებისათვის. ქართულ ენასთან ერთად ვრცელდებოდა ძველი და მდიდარი ქართული მწერლობაც. ქართულმა მწიგნობრობამ ადრე დაიჭირა ეგრისში ბერძნულის ადგილი. ქართული კულტურის ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ცენტრთაგანი დასავლეთ საქართველოში იყო ქალ. ქუთათისი (ქუთაისი). კულტურულ დაახლოებას თან მოსდევდა მოძმე ტომთა ერთობის შეგნების ზრდა.

ნივთიერი კულტურის სფეროშიაც ამ ხანიდან მრავალი ძვირფასი ძეგლია შემონახული. უმეტეს წილად გადარჩენილია საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლები, უფრო მცირე რაოდენობით მოღწეულია საერო არქიტექტურის ნაშთებიც. უკანასკნელს ეკუთვნის, მაგ., უკარმის ციხე.

იმდროინდელი საეკლესიო არქიტექტურა ორი მთავარი რიგისაა. უფრო ძველი შენობები მონათმფლობელური ხანის არქიტექტურას უახლოვდება და ეგრეთწოდებულ „ბაზილიკა“-ს ანუ უგუმბათო ნაგებობას წარმოადგენს. ასეთია მეხუთე საუკუნის დიდებული ძეგლები— ბოლნისისა და ურბნისის ტაძრები და სხვები.

მეექვსე საუკუნიდან უკვე სხვა რიგის ეკლესიებს აშენებდნენ. ეს იყო ჯვრის ტიპის გუმბათიანი ნაგებობა. რომელიც უფრო შეეფერებოდა ფეოდალურ ხანასა და გემოვნებას. ჯვრის ტიპის ტაძარია მცხეთის ჯვარის საყდარი. რომელიც არაგვის წესართაველთან მაღალ კლდეზეა აგებული მეექვსე-მეშვიდე საუკუნეების მიჯნაზე. ეს შენობა ხუროთმოძღვრების გენიალური ნაწარმოებია.

V—VI საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების შესწავლა ამტკიცებს, რომ საამშენებლო ხელოვნება იმდროინდელ საქართველოში მაღალ საფეხურზე იდგა.

საქართველოს მეზობლები და არაბები VII საუკუნეში

საქართველოს გარშემო მდებარე ქვეყნებში განვლილ პერიოდში დიდი ცვლილებები მოხდა. გამოიცვალა მოსახლეობა, საზოგადოებრივი ყოფა, სახელმწიფო წყობილება. ისტორიის სარბიელიდან ჩამოვიდა ბევრი ძველი ტომი, მათ ადგილას კი ახალი ხალხები მოვიდნენ.

დიდი ცვლილება გამოიარა რომის სახელმწიფომ. 395 წელს მომაკვდავმა კეისარმა თეოდოსიმ რომის იმპერია თავის ორ ვაჟს გაუყო. აღმოსავლეთი ნაწილის დედაქალაქად უკვე მეოთხე საუკუნის დამდეგიდან

კონსტანტინოპოლი იყო. დასაელეთი ნაწილის დამოუკიდებლობა შეწყდა მეხუთე საუკუნის დამლევს.

აღმოსაელეთ რომის იმპერია ამის შემდეგ მარტო განაგრძობს არსებობას. მეშვიდე საუკუნიდან ჩვენ მას ბიზანტიას ეუწოდებთ. თუ ძველი რომი მონათმფლობელური სახელმწიფო იყო, ბიზანტია უკვე ფეოდალური ქვეყანაა. გარდა ამისა, ბიზანტიაში ბერძნულმა ენამ საბოლოოდ განდევნა ლათინური ენა მწერლობიდან, ეკლესიიდან და სამეფო კანცელარიიდან. კულტურულადაც, მაშასადამე, ბიზანტია თვალსაჩინოდ განსხვავდება რომისაგან.

ჩრდილოეთ კავკასიაშიაც ბევრი ახალი ამბავი მოხდა. მეოთხე საუკუნიდან აქ ჰუნები ბატონობენ, რომელნიც განსაკუთრებით V—VI საუკუნეებში მძლავრობენ. ჰუნები მრავალ სხვადასხვა ტომად იყოფოდნენ. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ერთერთი ჰუნური ტომი მეექვსე საუკუნის დამლევიდან ხაზარების სახელით გახდა ცნობილი. მართლაც, ხაზარებმა მეექვსე საუკუნის დამლევიდან მოიპოვეს გაბატონება ჩრდილოეთ-კავკასიაში. მალე აქ მათ მეტად ძლიერი სამეფო შეუქმნეს, რომელიც მდ. ვოლგიდან აზოვის ზღვამდე იყო გადაჭიმული. ხაზარის სამეფოს მეთაური ხაკანის ტიტულს ატარებდა. მისი სატახტო ქალაქი შემდგომ საუკუნეებში იყო სარილ-შარი ანუ იტილი, დღევანდელ ასტრახანის მახლობლად.

მაგრამ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნისათვის არაბების გამოჩენას მსოფლიო ისტორიის ასპარეზზე.

არაბები სემიტურ მოდგმას ეკუთვნიან, ისევე, როგორც ებრაელები, არამეველები, ასურელები და სხვები. მათი სამშობლო არაბეთის ნახევარკუნძულია. არაბეთის ნახევარკუნძული შემდეგ მთავარ რაიონებად იყოფა: 1) ნეჯდი, შუა რაიონი. 2) ჰიჯაზი, მეწამული ზღვის ნაპირზე მდებარე ზოლი და 3) იამანი, რომელსაც ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასაელეთი სანაპირო უჭირავს. ჰიჯაზში და იამანში უძველესი დროიდანვე განვითარდა მიწისმოქმედება და ვაჭრობა. ჰიჯაზში იყო მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქები—მაკა და იასრიბი. ჰიჯაზისა და იამანის არაბები ბინადარ ცხოვრებას ეწეოდნენ, მიწისმოქმედებისა და ვაჭრობის წყალობით. შინაგანი რაიონები კი ბედუინების სახელით ცნობილ მომთაბარე არაბებს ეჭირათ. მეექვსე საუკუნეში ცალკეული არაბი ტომები საკმაოდ დიდ როლს თამაშობდნენ აღმოსაელეთ რომის იმპერიისა და ირანის ცხოვრებაში. რომელთა მეზობლებიც ისინი იყვნენ. მაგრამ განსაკუთრებით გაიზარდა მათი მნიშვნელობა მეშვიდე საუკუნის პირველი ნახევრიდან, როცა მოხდა არაბთა ყველა ტომის გაერთიანება. არაბთა გამაერთიანებელი იყო მუჰამადი, რომელიც მაქელი იყო. კურეიშის თემის ჰიშამის გვარის შვილი. მუჰამადმა ამავე დროს არაბებში ახალი სარწმუნოებაც გაავრცელა.

მანამდე თითოეული არაბი ტომი საკუთარ ღმერთებს სცემდა თაყვანს. ეს ხელს უშლიდა არაბთა გაერთიანებასა და დაკავშირებას, კერძოდ — საერთო ურთიერთობის განვითარებას მათში. მუჰამადმა ერთი

ალაჰის ანუ ღმერთის სარწმუნოება წამოაყენა, რომელსაც მან „ისლამი“ უწოდა, რაც „მინდობას“ ნიშნავს. ისლამის მიმდევარს „მუსლიმს“ ანუ „მინდობილს“ ეძახიან. აქედან არის წარმომდგარი დამახინჯებული „მუსლიმანი“ ანუ „მუსულმანი“. მუსლიმებს მაჰმადიანებსაც ეძახიან, მუჰამადის ანუ მაჰმადის სახელის მიხედვით.

თავისი სარწმუნოების ქადაგება მუჰამადმა მაქაში დაიწყო. რადგანაც თავდაპირველად იგი მონებსა და ღარიბებს მიმართავდა, ამიტომ მდიდრებმა და მონათმფლობელებმა მას ბრძოლა გამოუცხადეს. მუჰამადი იძულებული გახდა გაქცეულიყო ქალ. იასრიბში, რომელმაც შემდეგში „მადინას“ (ე. ი. „ქალაქის“) სახელწოდება მიიღო. ეს გაქცევა ანუ არაბულად „ჰიჯრა“ (აქედან — „მუჰაჯირი“. რაც „გაქცეულს“ ნიშნავს) მოხდა 622 წლის ივლისის 16-ს. ამ „ჰიჯრიდან“ იწარმოებენ მაჰმადიანი ხალხები თავიანთ წელთაღრიცხვას, რომელიც მთვარის წელიწადზეა დამყარებული (უნდა ვიცოდეთ რომ მთვარის წელიწადი ჩვენს, მზის წელიწადთან შედარებით უფრო მოკლეა). 630 წელს მუჰამადმა აიღო მაქა და თანდათანობით მოახერხა არა მარტო შეერიგება თავის მტრებთან, არამედ მათთან მჭიდრო კავშირის დამყარებაც. ისლამი არაბი მდიდარი მონათმფლობელების სარწმუნოებად გადაიქცა. მუჰამადის ქადაგებანი შემდეგში ჩაწერეს ცალკე წიგნში, რომელიც „ყურანის“ (არაბულად ნიშნავს „საკითხავს“) სახელით არის ცნობილი.

ამრიგად, საფუძველი ჩაეყარა ახალ არაბულ სახელმწიფოს. ამ სახელმწიფოს მეთაური შემდეგში იწოდება ხალიფად, რაც ნიშნავს „მოადგილეს“. ამიტომ ამ სახელმწიფოსაც ხალიფატს ანუ სახალიფოს ეძახიან. ხალიფები იყენენ არა მარტო სახელმწიფოს მეთაურები, არამედ სარწმუნოებისაც. ამიტომ ისინი ატარებდნენ „ბალიფას“ გარდა „ამირალ-მუმინინას“ ანუ „მართლმორწმუნეთა მბრძანებლის“ ტიტულსაც.

ხალიფები იმთავითვე ძალიან ენერგიულად შეუდგნენ სხვა ქვეყნების დაპყრობას. უკვე მეორე ხალიფას, ომარის, დროს (634 — 644) არაბებმა დაიპყრეს სირია, პალესტინა და ერანი. ერანის შემდეგ ამიერკავკასიის ქვეყნების ჯერი იყო. დაპყრობითს ომებში არაბები მიზნად ისახავდნენ მხოლოდ დაელასა და ხარკს, და არა ახალი სარწმუნოების გავრცელებას.

არაბებს ძველ ქართულ მწერლობაში, ამ სახელწოდების გარდა, კიდევ სარკინოზებს, ისმაიტელებსა და აგარიანებს უძახიან.

საქართველო მეშვიდე საუკუნის პირველ ნახევარში

მართალია, მეშვიდე საუკუნის დასაწყისში სპარსელებს კიდევ ერთხელ გაულიმა სამხედრო ბედმა და ისინი ლრმად შეიჭრნენ ბიზანტიის ტერიტორიაში (606— 619 წ.წ.), მაგრამ სამაგიერო მათ მალე და ხუთკეცად

გადაუხადა ჰერაკლე კეისარმა. ჰერაკლემ სამი დიდი ლაშქრობა ჩაატარა სპარსელების წინააღმდეგ 622 — 629 წლებში. მეორე და მესამე ლაშქრობის დროს (624—628 წ. წ.) ჰერაკლეს ბაზა ამიერ-კავკასია იყო. მისკენ ძვირფასი მოკავშირეები და თანამოლაშქრეები იყვნენ ქართლელები, ეგრისელები და აბაზგები. ქართველ მოკავშირეებს მაინც თუ დამოუკიდებლად ეპირათ. ისინი თვითონ უკარნახებდნენ კეისარს ბრძოლის გეგმას და როცა ჰერაკლე ამ გეგმას არ ეთანხმებოდა, საერთოდ უარს ამბობდნენ ლაშქრობაზე.

626 წელს ჰერაკლემ კავშირი გააბა ხაზარებთანაც. რომლებმაც დიდი ჯარი მისცეს ბიზანტიის მფლობელს.

ამ დროს ქართლში ერთი ნაწილი, უმთავრესად—საპიტიახშო, ჯერ კიდევ იმყოფებოდა სპარსელების გავლენის ქვეშ. თბილისშიც სპარსელების გარნიზონი იდგა. ბიზანტიელებმა და ხაზარებმა თბილისს ალყა შემოარტყეს. ბევრი ძალაც შეალიეს, მაგრამ ვერას გახდნენ. მკვიდრ ქართველებმა და სპარსელებმა ჰერაკლე კეისარი და ხაზარების ხაკანი მასხრად აიგდეს: ციხის გალავანზე გადმოდგებოდნენ ხოლმე და ბიზანტიელებს მისძახოდნენ — თქვენს მეფეს თხის წვერი ასხია და ვაკის კისერი აქვსო, ხაზარებს კი დიდ ყვახს უჩენებდნენ, რომელზედაც ადამიანის სახე დაკერვით იყო გამოსახული და უყვიროდნენ, აი, თქვენი ჯიბლუ ხაკანიო. კეისარი და ხაზარები მძვინვარებდნენ ამ შეურაცხყოფის გამო. მაგრამ თბილისელებს მაინც ვერაფერი უყვეს და იძულებული შეიქნენ გასცლოდნენ ქართლის დედაქალაქს. მხოლოდ მეორე წელს, როცა კეისარმა სპარსელებს ერანში ახალი დამარცხება მიაყენა, ხაზარებმა კვლავ ალყა შემოარტყეს თბილისს და ორი თვის სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ ძლივს აიღეს იგი (627 წ.). ხაზარებმა ქალაქი აოხრეს, მცხოვრებნი შეუბრალებლად გაჟლიტეს და თვითონ კი უთვალავი სიმდიდრე ჩაიგდეს ხელში. ძველი ალბანელი ისტორიკოსი მოსე კალანკატუელი გვიამბობს, რომ როცა ხაზარებმა აიღეს „ნებიერი, მოვაჭრე, სახელოვანი დიდი ქალაქი თბილისი", „მათ ხელი მიჰყვეს საგანძურებს. მეომართა მთელი სიმრავლე მიდიოდა თავის ბატონთან შძიმედ დატვირთული და თან მიჰქონდა ნადავლის ზვინები და ხვაევები. იმდენი მოჰყარეს იგი რომ თვალს წყალი ელეოდა ოქროსა და ვერცხლის ქანჩრების უთვალავი რაოდენობის ცქერაში. ენით უთქმელია თვალ-მარგალიტით მოოქვილი საეკლესიო სამკაულ-სამსახურებელის ამბავი, რომელიც ხაზარებმა წაიღეს". შემდეგშიაც ალბანელი აზნაურები ხედავდნენ ხაზარების ნადიმებზე თბილისიდან წაღებულს ძვირფასს. მოოქროვილს ვერცხლის თასებსა და სხვაგვარ სასმისებსო.

როგორც ვხედავთ, მეშვიდე საუკუნის დამდეგს თბილისი ძალიან მდიდარი და დიდი სავაჭრო ქალაქი იყო.

ამ დროიდან მოყოლებული საკმაო ხნით (თითქმის ნახევარი საუკუნით), ამიერ-კავკასიაში ბიზანტიის გავლენა დამყარდა. ბიზანტიის მთავრობამ სპარსელებისაგან განსხვავებული პოლიტიკა შეითვისა. როცა სპარსელებმა ამიერ-კავკასიის ქვეყნები დაიმორჩილეს, მათ აქ თით-

მპყრობელი მეფეები დახვდათ, დამოუკიდებელი ძალაუფლების მქონენი. სპარსელებმა თანდათანობით შეზღუდეს ამ მეფეების ხელისუფლება და ბოლოს მოსპეს კიდეეაც. ასევე მოიქცნენ ბიზანტიელები ეგრისში. რომელსაც ბიზანტიის მთავრობამ აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაშიაც ფეხი მოიკიდა. ის შეუდგა ეგრისის მეფის დამოუკიდებლობის შემდგომ შეკვეცას და მეშვიდე საუკუნის დამლევისათვის მოსპო კიდევაც იგი. მეშვიდე საუკუნის დამლევს უკვე „ლაზიკის მეფის" მაგიერ „ლაზიკის პატრიკიოზი" იხსენიება. „პატრიკიოზი" (ლათინური „პატრიციუსი") დიდი წოდებულება და პატივი იყო კეისრის კარზე. მაგრამ „მეფის" „პატრიკიოზად" გადაქცევა, რათქმაუნდა, ჩამომცრობას ნიშნავდა.

სულ სხვა მდგომარეობა იყო. მეშვიდე საუკუნის დამდეგს, ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებში. ქართლში. მაგალითად, ამ დროს ერისმთავარი იყდა. რომელიც აზნაურების არჩეული მთავარი იყო. და არა დამოკიდებელი მფლობელი. კეისარმა ძალა მისცა ამ ერისმთავრებს რომ აზნაურებისაგან უფრო დამოუკიდებელი გამხდარიყუნენ. რაც. კეისრის აზრით, ამტკიცებდა ერისმთავრების დამოკიდებულებას ბიზანტიისაგან. კეისარი ერისმთავრებისაგან მხოლოდ ერთგულებასა და სამხედრო სამსახურს მოითხოვდა, მათ შინაურ საქმეებში-კი არ ერეოდა. ასეთი ვასალური დამოკიდებულების გარეგანი ფორმა იყო ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულები — იგივე „პატრიკიოზი", „იპატოსი". შემდეგში განსაკუთრებით — „კუროპალატი" და სხვები. ახალი მდგომარეობა ერისმთავრისათვის უკვე გაძლიერებას მოასწავებდა. ასევე მოიქცნენ ბიზანტიელები სომხეთსა და ალბანეთშიაც.

პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლას თან მოჰყვა ცვლილებები საეკლესიო-სარწმუნოებრივ სფეროშიაც. უკვე მეშვიდე საუკუნის პირველ წლებში, როგორც ვიცით. ქართლში დიოფიზიტები ანუ ქალკედონიტები ბატონობდნენ. ჰერაკლე კეისარმა. თბილისის ალების შემდეგ. დიოფიზიტები კიდევ უფრო გააძლიერა და ყველა „მწვალებელსა" და ცეცხლის მსახურს მესრი გაუკეტა. უძველესი ქართული მატიანე. „მოქცევაი ქართლისაი". ამის შესახებ ამბობს: „ამან ჰერაკლე ტფილისს და მცხეთას და უჯარმას განაელინნა ქადაგნი. რათა ყოველნი ქრისტიანენი, ჭალაჭთა შინა, ეკლესიათა შინა შემოკრბენ და ყოველნი მოგვნი და ცეცხლისა მსახურნი ანუ მოინათლნენ ანუ მოისრნენ. ხოლო მათ ნათლისღებაი არა ინებეს. ზაკეით თანა ალურინეს ქრისტეანეთა. ვიდრემდის ყოველთა ზედა წარმართა მახვილი და ეკლესიათა შინა მდინარენი სისხლისანი დიოდეს"-ო. მაშასადამე. ქართლის უდიდესი ქალაქების. თბილისის, მცხეთისა და უჯარმის ეკლესიებში ჰერაკლეს სისხლი დაუდენია. ცხადია. რომ ეკლესიებში იმდენად ცეცხლის მსახურნი არ იყუნენ შეფარებულნი, რამდენად ქრისტიანები. მხოლოდ სხვა (შინოფიზიტური) ალსარებისა. და მართლაც მატიანე ამტკიცებს, რომ ჰერაკლემ „განწმიდა შჯული ქრისტესი და წარეიდა"-ო. ადამიანების მოსპობის გარდა შეუდგნენ მათი კულტურული ნამოღვაწარის. კერძოდ — მწერლობის განადგურებასაც და აქაც ბევრი „განწმიდეს".

მეშვიდე საუკუნეში გაძლიერდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ტომების დაახლოება. მჭიდრო ურთიერთობას ეხლა ხელს არ უშლიდა არც პოლიტიკური და არც საეკლესიო-სარწმუნოებრივი ზღუდეები. მეშვიდე საუკუნეში ქართულმა ენამ და მწერლობამ შემდგომი გავრცელება მოიპოვა დასავლეთ საქართველოში.

არაბების შეჭრა ქართლში

მას შემდეგ რაც არაბებმა ერანის მეტი ნაწილი დაიპყრეს, მათ გზა გახსნილი ჰქონდათ ამიერ-კავკასიისაკენაც. მართლაც, პირველი არაბული რაზმი სომხეთში უკვე 640 წელს გაჩნდა. მაგრამ ეს უფრო მარბიელი ჯარის თარეში იყო, ვიდრე ქვეყნის დაპყრობა.

ქართლსაც არაბები პირველად 642-3 წელს მოსდგომიან, მაგრამ ქართლელებს ისინი დაუმარცხებიათ და თავისი საზღვრებიდან გაუდევნიათ. სხვათა შორის, აქაურ ბუნებასთან შეგუებაც უჭირდათ არაბებს—ცხელი ქვეყნის შვილები, ისინი სომხეთსა და ქართლში მხოლოდ გაზაფხულ-ზაფხულ-შემოდგომით მოქმედებდნენ თავისუფლად, ზამთრობით ლაშქრობას კი თავს არიდებდნენ. მაგრამ თანდათანობით მაინც არაბები მომაგრდნენ. 653 წლის ზამთარში არაბები სომხეთის დედაქალაქ დვინიდან ქართლს მახვილით ემუქრებოდნენ ურჩობისათვის, მაგრამ უნაყოფოდ. 654 წლის დამდეგისათვის არაბებს უკვე მთელი სომხეთი ჰქონდათ დაპყრობილი, ისევე როგორც ეასპურაკანი, სივნიეთი და ალბანეთიც. იმავე წელს არაბებმა აიღეს ქალ. თეოდოსიოპოლი, დღევანდელი ერზერუმი. ბიზანტიელების მთავარი სიმაგრე ამიერ-კავკასიაში და, დასასრულ, ქართლისკენ გაემართნენ. ქართლის პატრიკიოზს, ე. ი. ერისმთავარს, გადაუწყვეტია, არაბებთან ბრძოლა ალარ ღირსო, მათთვის თავისი ელჩი შეუგებებია საჩუქრებით და ზავი და მშვიდობა უთხოვნია. არაბთა სარდალს ჰაბიბს მოუწონა ქართლის ერისმთავრის საქციელი და მისცა მას ეგრეთწოდებული „დაკვის სიგელი", რომელშიაც არაბ-ქართველთა ურთიერთობა იყო განსაზღვრული. სიგელის მთავარი მუხლები ასეთი იყო: 1) არაბები ქართლის მოსახლეობის სარწმუნოებას ხელს არ ახლებდნენ, ხოლო თუ ვინმე ნებაყოფლობით ისლამს მიიღებდა, ის არაბების ძმად ჩაითვლებოდა, ესე იგი, ხარკს ალარ გადაიხდიდა; 2) ქართველები იხდიდნენ არაბების სასარგებლოდ ჯიზიათს, პირად გადასახადს, თითო დინარს ანუ დრაჰკანს (ოქროს ფული იყო, წონით ერთ მისხლამდე, რაც დაახლოებით ხუთ მანეთს. ულრის ოქროთი) კომლის თავზე; 3) ქართველებს არ უნდა შეერთებინათ კომლები, გადასახადის შესამცირებლად, არაბებს კიდევ არ უნდა დაეყოთ კომლები, გადასახადის გასადიდებლად; 4) ქართველებს ევალებოდათ არაბთა ჯარისა და, საერთოდ, მუსლიმებისათვის დახმარება; 5) სამაგიეროდ, არაბები უშიშროებას ჰპირდებოდნენ ქართლის მოსახლეობას.

მაგრამ ამ ხანად ქართლში არაბებმა სულ ორიოდე წელიწადი თუ გასძლეს. ხალიფატში დიდი შინაური შფოთი იყო (657—661 წ. წ.) და

არაბებს ამიერ-კავკასიისათვის არ ეცალათ. შემდეგშიაც ქართლში მდგომარეობა ცვალებადი იყო. თუ არაბები გამოჩნდებოდნენ ხოლმე, მხოლოდ მოკლე ხნით. ხანდახან ბიზანტიაც თავს წამოჰყოფდა ხოლმე და თავის წილს მოითხოვდა. 686 წელს კეისარსა და ხალიფას ზავი შეუკრავთ, კვიპროსის კუნძულის, სომხეთის და ქართლის ქვეყნებიდან შემოსული ხარკი შუაში გაეყოთთო. მაგრამ ეს ცოცხალი დათვის გატყავებას ჰგავდა. ამიერ-კავკასიის ხალხები ერთხმაირი შეუპოვრობით იბრძოდნენ თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად, როგორც არაბების, ისე ბიზანტიელების წინააღმდეგ. ამავე ხანებში ქართლის ერისმთავარს ნ ე რ ს ე ს სასტიკად დაუმარცხებია სომხეთში მდგარი არაბთა სარდალი ზ ა რ ა ბ ა, მისი ჯარი გაუფანტავს და გაუქცევია. მეორე მხრივ, ჩვენი ხალხები არც ბიზანტიელებს უბრიდნენ ქედს: იმავე 686 წელს კეისარს ლაშქარი გაუგზავნია სომხეთ-ქართლ-ალბანეთის დასამორჩილებლად, მაგრამ, ჩანს, ბევრს ვერაფერს გამხდარა. მესამე მტერი, ხაზარების სახით, ჩრდილოეთიდან იყო მომდგარი. შიოთხა, თარეშებსა და ძარცვა-გლეჯაში ბაზარებსაც თავისი წვლილი შეჰქონდათ. 689 წელს ბაზარებს დაურბევიათ სომხეთი და ქართლისა და ალბანეთის მთავრები დაუბოკნიათ.

სამი მხრით ხმლის ქნევამ ხალხი, ცხადია, დაასუსტა, რითაც უველაზე მეტად არაბებმა ისარგებლეს. მეშვიდე საუკუნის მიწურულში არაბებს ქართლში, ჩანს, ფეხი შედარებით უფრო მკვიდრად ედგათ. იმავე დროს დასავლეთ საქართველოშიაც ძველი ამბავი დატრიალდა: ერთი, უფრო საშიში და თავზე დამდგარი, მტრის წინააღმდეგ მეორე, ნაკლებ საშიში და უფრო შორეული მტრის გამოყენება სცადეს. 697 წელს ეგრისის პატრიკიოზი სერგი ბიზანტიელების წინააღმდეგ აჯანყებულა და თავისი ქვეყანა არაბებისათვის გადაუცია. მერვე საუკუნის დამდეგსაც არაბების მეკიხოვნე ჯარი მდგარა ეგრისის დედაქალაქ ციხე-გოჯში და მდინარე კოდორის ხეობის ზოგიერთ ციხე-სიმაგრეშიაც. გაგულისებული კეისარი-კი ცდილობდა მოექრთამა ალანები, რათა ისინი შესეოდნენ აფხაზეთს, ეგრისსა და ქართლს და ბიზანტიის მიმართ ურჩობის გამო ეს ქვეყნები აეოხრებინათ.

ქართველებს არც ბიზანტიელები ეხატნენ გულზე და არც არაბები. საჭიროების და მიხედვით და ხელსაყრელ პირობებში ხალხი პირველთაც ებრძოდა და მეორეთაც. მერვე საუკუნის დამდეგიდან გაძლიერდა ბრძოლა არაბების წინააღმდეგ, რადგანაც არაბები სულ უფრო და უფრო აეიწროებდნენ დაპყრობილ ქვეყნებს. ამიტომ იყო რომ ქართლში აჯანყებას აჯანყება მოსდევდა და არაბები იძულებული იყვნენ ქართველების ურჩობის გასატეხად სულ ახალ-ახალი ჯარები ეგზავნათ აქეთკენ. 724-5 წლებში ქართლში მოსულა არაბთა სარდალი ჯ ა რ ა ჰ ი დიდი ჯარით. ჯარაჰს განუახლებია ის პირობა, რომელიც ქართლის მმართველებს ნახევარი საუკუნის წინათ ჰქონდათ დადებული ჰაბიბთან. მაგრამ როცა ქართლიდან ხაზარეთში გადასული ჯარაჰი მთელი თავისი ლაშქრით ომში დაიღუპა, ქართველებს კვლავ უარი უთქვამთ მორჩილებაზე.

728-9 წ. ქართლს არაბთა ახალი ჯარი შემოესია. მასლამას მეთაურობით, რომელსაც მცხოვრებთა ერთი ნაწილი გაუჟლეტია. მაგრამ ქართველების მოსატეხად არც ეს გამომდგარა საკმარისი და მასლამას მეორეჯერ დაულაშქრავს ქართლი 731-2 წელს. ვერც ეხლა მიუღწევიათ არაბებს თავისი გულის წადილისათვის: ქართლის ხალხი განაგრძობდა დამპყრობელების წინააღმდეგ ბრძოლას და არაბები აქ ფეხს ვერ იკიდებდნენ. ეხლა კი არაბების რისხვას საზღვარი აღარ ჰქონდა, როგორ თუ ამ პატარა ქვეყანას ვერ მოვერიეთ, როცა მთელი მსოფლიო დაპყრობილი გვაქვსო, და ქართველ ხალხს სასტიკი სასჯელი გადაუწყვიტეს. მართლაც, იშვიათად დასტყდომია საქართველოს თავზე ისეთი უბედურება, როგორიც 736-8 წლებში აქ არაბთა სარდალმა მურვანმა დაატრიალა. მურვანი ისედაც სასტიკი და გულქვა ადამიანი იყო. რის გამოც მას ქართველმა ხალხმა „ყრუ" შეარქვა. ეხლა კიდევ მას ქართველების სამაგალითოდ დასჯა ჰსურდა. კარგად აქვს აღწერილი მურვან ყრუს შემოსვლა იმდროინდელ ქართველ მემატიანეს. როცა ეს ჯალათი კავკასიაში შემოვიდა, „ყოველნი მთავარნი, პატიახშნი, ნათესავნი ერისთავთანი და წარჩინებულთანი შემოიხვეწნეს კავკასიად (ე. ი. კავკასიონის მთებში) და დაიმალნეს კლდეთა და ღრეთა. და მოვლო ყრუმან ყოველი კავკასია და დაიპყრა კარი დარიალისა და დარუბანდისა. და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა. და ვითარ ცნა რამეთუ მეფენი ქართლისანი და ყოველნი ნათესავნი მათნი წარვიდეს ეგრისად და... აფხაზეთად, შეუდგა კვალსა მათსა და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ეგრისისანიცა. და ციხე-ცა იგი სამ-ზღუდე შემუსრა რომელ არს ციხე-გოჯი. შემუსრა და შევლო ზღუდე იგი საზღვარი კლისურისა... შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი და მოადგა ციხესა ანაკოფიისასა... და ვერავინ შემძლებელ იყო წყობად ყრუსა, რამეთუ იყვნეს სპანი მისნი უფროს და უმრავლეს ქალაქთა ეგრისისათა"... შემდეგ ავტორი დასძენს: „იქმნა მას ჟამსა ჳაჴრყვნილ ქვეყანა ქართლისა, სომხითისა და რანისა, რამეთუ არღარა იპოვებოდა ნაშენები, არცა საჭმადი კაცთა და პირუტყვთა ყოვლადვე"-ო. მურვანმა მთელი კავკასია დაიპყრო, დარუბანდიდან აფხაზეთამდე. მაგრამ ეს არ იკმარა. არამედ უმრავლესობა ქალაქები და ციხეები დაანგრია, მათ შორის ეგრისის სამ-გალავნიანი დედაქალაქი ციხე-გოჯი (ნაქალაქევი), აფხაზეთის დედაქალაქი ცხუმი (სოხუმი) და სხვებიო. განსაკუთრებით მაინც აღმოსავლეთი ამიერ-კავკასია აოხრებულა — ქართლი, სომხეთი და ალბანეთი: აქ არც ნაშენები რამე დარჩა და არც კაცისა და პირუტყვის საჭმელიო. ქართლში მურვანმა დაანგრია ძველი დედაქალაქი არმაზი.

დას. საქართველოში არაბები მაინც ვერ გამაგრდნენ, ქართლი კი მურვანის შემოსევამ კარგა ხნით წელში გასტეხა. ამ დროიდან იწყება არაბების ნამდვილი ბატონობა ქართლში.

არაბები ქართლში

არაბებმა ქვეყნის სათავეში თავიანთი მოხელე დააყენეს, რომელიც ამირას წოდებულებას ატარებდა. ქართლის ამირა თბილისში იჯდა. ის სარდალიც იყო. ქვეყნის მმართველიცა და უზენაესი მსაჯულიც. არაბთა მთავარი რაზმი თბილისში იდგა. დანარჩენები – სხვა მნიშვნელოვან ციხე-სიმაგრეებში.

ერისმთავრობა ქართლში არაბებს არ მოუსპიათ. მხოლოდ ერისმთავარი ამირას დაუმორჩილეს. ერისმთავარი ვალდებული იყო მოეკრიფა საარაბო ხარკი და ჯარი გამოეყვანა, როცა არაბები ამას მოითხოვდნენ. არაბებს ხარკი და სამხედრო სამსახური აინტერესებდათ მხოლოდ.

მერვე საუკუნეში ქართლის მოსახლეობა არაბებს უხდიდა არა მარტო ჯიზიათს, პირად გადასახადს, არამედ ხარაჯასაც. ხარაჯა სამიწათმოქმედო გადასახადი იყო, რომელიც შეეფარდებოდა მხოლოდ სიერცეს მიწისას. და არა მის ავკარგიანობას, ნაყოფიერებას. ორივე გადასახადს ფულად ახდეინებდნენ. თანდათან არაბული ხარკი სულ უფრო და უფრო მძიმე ხდებოდა. ეს იმიტომ, რომ ხალიფების სამფლობელო მეტისმეტად გაიზარდა და მის მართვა-გამგეობას დიდი შემოსავალი სჭირდება. ეხლა დაპყრობით ომებს ეს შემოსავალი უკვე აღარ მოჰქონდათ, რადგანაც რისი დაპყრობაც შეეძლოთ, არაბებს უკვე დაპყრობილი ჰქონდათ. ხალიფების დაცარიელებული ხაზინა მათსავე ქვეშევრდომებს უნდა შეევსოთ. ხარკისა და გადასახადის გადიდებას ქვეშევრდომების ურჩობა და ბრძოლა მოსდევდა. ამ ურჩობის დასათრგუნავად კიდევ დამატებითი ჯარები და ახალი მოხელეები იყო საჭირო, რაც აგრეთვე ახალ სახსრებს მოითხოვდა. განსაკუთრებით მძიმე შეიქნა არაბთა ბატონობა დაპყრობილ ქვეყნებში ხალიფების ახალი დინასტიის, აბასიდების, დროს, რომლებმაც ხელისუფლება მიიღეს 749 წელს.

ქართლშიაც არაბების მტარვალობა და მყვლეფელობა მერვე საუკუნის მეორე ნახევარში იყო განსაკუთრებით საგრძნობი. ამ საუკუნის დამლევის ქართველი მწერალი, იოანე საბანისძე, წერს არაბთა წესწყობილების შესახებ ქართლში: „ვართ მორწმუნენი მძლავრებასა ქვეშე დამონებულ და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა ჩვენითა, ხარკსა ქვეშე მათსა გვემულნი და ქენჯნილნი, ძვირ-ძვირად ზღვეულნი“-ო, ე. ი. ჩვენ, ქართველები, არაბთა მძლავრობის ქვეშ მოქცეულნი, სილარიბითა და შეუძლებლობით ისე ვართ შეკრულნი, როგორც ჩვენით, რადგანაც საარაბო ხარკისაგან დატანჯულნი და დარბეულნი ვართ.

გასაგებია ამიტომ, რომ სულ უფრო და უფრო იზრდებოდა ხალხის გულისწყრომა და სიძულვილი უცხოელი დამპყრობელების წინააღმდეგ. საბალხო ბრძოლის მრისხანე ზვირთები თანდათან აეწეოებოდა გათავხედებულ მტერს და მართლაც მეცხრე საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართლი არსებითად განთავისუფლდა არაბთა ბატონობისაგან.

ბრძოლა ხანგრძლივი და მსხვერპლით სავსე იყო, თუმცა ქართველებს ზოგი გარემოება ხელს უწყობდა. ჯერ-ერთი, არაბების ძალაუფლება

უფრო ცენტრალურ თემებზე ვრცელდებოდა და მთიან რაიონებს ეგრე რიგად ვერა სწვდებოდა. ამით სარგებლობდა ხალხი, ხეობებსა და მთიანეთს თავს აფარებდა და იქიდან თავს ესხმოდა მტერსა. სიცოცხლეს უმწარებდნენ არაბებს ხაზარებიც. ხაზარები ხშირად კავკასიონის სამხრეთითაც შემოჰრას ახერხებდნენ და აოხრებდნენ არაბთა სამფლობელოს. 764 წელს ხაზარებს მოკლე ხნით თბილისიც დაუპერიათ. ძველი ქართველი მემატიანე გვიამბობს: ქართლის ერისმთავარს ჯუანშერს მყავდა და, შუშანი, სილამაზით განთქმული. ხაზართა ხაკანმა სთხოვა ჯუანშერს, შენი და ცოლად მომეც და არაბების წინააღმდეგ გიშველიო. ჯუანშერს ეს აზრი, ჩანს, ჰკუაში დაუჯდა, მაგრამ შუშანი და მისი დედა უარზე იდგნენ, წარმართის ცოლობა შეგინებად მიაჩნდათ. გაგულისებულმა ხაკანმა დაალაშქრინა ქართლი და შუშანი და ჯუანშერი ტყვედ წააყვანინა, მაგრამ გულის წადილს მაინც ვერ ეწია: შუშანს ბეჭდის თელის ქვეშ საწამლავი ჰქონოდა, მოსწოვა ის და თავი მოიკლაო. დიდი მეფის არასასურველ ცოლობას ქართველმა ქალმა სიკვდილი არჩია. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე პროვინციელი არაბი ამირების ურჩობას ხალიფების მიმართ, რაც მეცხრე საუკუნის დამდეგიდან იწყება. ბრძოლა ხალიფასა და ამირებს შორის ძალიან ხელს უწყობდა არაბების შინაგან დასუსტებას, რითაც დაპყრობილი ხალხები კარგად სარგებლობდნენ.

ახალი დიდი აჯანყების ცეცხლი, არაბების წინააღმდეგ, უფრო ადრე სომხეთში დაინთო, იმიტომ რომ სომხეთში ხალხი კიდევ უფრო გაწამებული იყო. ქართველები ეხმარებოდნენ სომხებს. დამარცხებული სომეხი მთავრები ქართლსა და ეგრისში პოულობდნენ თავშესაფარს. ეს გარემოებაც ალიზიანებდა არაბებს, რომელნიც ლტოლვილების გაცემას მოითხოვდნენ და მათს მასპინძლებს სასტიკი სასჯელით უმასპინძლდებოდნენ ხოლმე. იქნებ ასეთი მიზეზით დაისაჯა ქართლის ერისმთავარი ნერსე, რომელიც 772-3 წელს ხალიფა მანსურს თავის სატახტო ქალაქში, ბაღდადში, დაუბარებია და „ბოროტ კაცთა შესმენით" საპყრობილეში ჩაუსვამს. ნერსე სამი წელიწადი მჯდარა ბაღდადის საპატიმროში, სანამ იგი ახალ ხალიფას, მაჰდის, არ გაუთავისუფლებია. ნერსე ისევ ერისმთავრად დაბრუნებულა ქართლში, მაგრამ, ჩანს, არაბებთან შეგუება მისთვის ძნელი იყო. იოანე საბანისძე ამბობს, „კეთილად იყო განრისხებაი ხელმწიფეთა მათ სარკინოზთაი ნერსე ერისთავსა ზედა"-ო, კვლავ გაუწყრნენ არაბი მფლობელებიო. ნერსე იძულებული შეიქნა თავისი ოჯახი და ქონება აფხაზეთში გაეგზავნა, თვითონ კი დიდი ამალით გადავიდა ჯერ ხაზარეთში და შემდეგ აგრეთვე აფხაზეთში. ეს ამბები მერვე საუკუნის ოთხმოციანი წლების დამდეგს მოხდა.

ამ დროიდან მოყოლებული ქართლი, სომხეთი და ალბანეთი უკვე გამუდმებით აჯანყების ალსა და კვამლში იყო გახვეული. ამბოხებული იყო მთელი ხალხი. მთავრები, სეფეწულები და დიდი აზნაურებიც, რომელთაც ერთი ხანობა, თავში, არაბებთან თითქოს საერთო ენა ჰქონდათ გამონახული, ეხლა ცდილობდნენ ხალხს არ ჩამორჩენოდნენ მტრის წი-

ნაალმდეგ ბრძოლაში. ხალიფები ჯარს ჯარზე გზავნიდნენ, ერთიმეორეზე უფრო სასტიკ ამირების მეთაურობით, და შეუბრალებლად უსწორდებოდნენ აჯანყებულებს, მაგრამ მოძრაობა სულ უფროდაუფრო ძლიერდებოდა.

ამ დიდ სახალხო მოძრაობას ქართლში თავისი მომღერალი და აგიტატორი გამოუჩნდა. ეს იყო მერვე საუკუნის მწერალი იოანე საბანისძე. საბანისძემ აღწერა ერთი ჭაბუკი არაბის, ა ბ ო ს, ცხოვრება. აბო ქართლის ერისმთავრის ნერსეს მსახური იყო. მან ისლამს თავი დაანება და ქრისტიანობა მიიღო. 786 წლის 6 იანვარს ქართლის ამირამ აბო სიკვდილით დასაჯა, რადგანაც აბომ უარი სთქვა ისევ ისლამს დაბრუნებოდა, რასაც მისგან არაბები მოითხოვდნენ.

საბანისძემ გამოიყენა აბოს წამების ამბავი, რათა თავის თანამემამულეებში ეროვნული სიამაყის შეგნება გაეღვივებინა: აი, როგორია ჩვენი რჯული, ჩვენი წესი და ქვეყანა, რომ გაბატონებული ხალხის შვილი ჩვენსკენ გადმოდის და თავსაც კი სდებს ახალი სამშობლოსათვისო. საბანისძე მიზნად ისახავდა გაემხნევებინა მერყევნი და სუსტნი, რომელნიც „შიშითა განილეევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა", არაბების ძალმომრეობის გამო. საბანისძეს სურდა, კვლავ მშობლიურ კერას დაუბრუნებოდნენ ისინი, ვინც არაბებმა უკვე „შეაცთუნეს და გარდადრიკნეს გზისაგან სიმართლისა" დაშინებით, ვერაგობითა და მოსყიდვით, „სასტიკებისაგან და სივერაგისა მანქანებითა მით საცთურებისაითა ზედამდგომელთა ამათ ჩვენთა, მფლობელთა ამის ჟამისათა", „რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკვარებით და სხვანი" კიდევ მათი სიღარიბისა და უძლურების გამო. ლამის ჩვენი საკუთარი სახე დაგვეკარგოს და უცხო ხალხში გავითქვიფოთო, მრისხანე გულისწყრომით მოსთქვამდა საბანისძე: „აღვერიენით ერსა უცხოსა... ნათესავსა (ე. ი. ტომს) საწუთროისა ამის მოყვარესა... სარწმუნოებისა ჩვენისა მაგინებელთა"-ო.

იოანე საბანისძისა და მისი მსგავსი მქადაგებლების მოწოდება ამტკიცებდა სახალხო თვითშეგნებას, აკაჟებდა მებრძოლთა სულისკვეთებას ეროვნული განთავისუფლებისათვის.

განსაკუთრებით გამწვავდა ბრძოლა დამპყრობელებსა და დაპყრობილებს შორის მერვე საუკუნის მიწურულსა და მეცხრე საუკუნის დამდეგს. ყველაზე დაუნდობელი იყო ბრძოლა ქართლის შუა-გულ თემებში და, საერთოდ, ბარის ცენტრალურ რაიონებში. მეცხრე საუკუნის დამდეგს აქ არაბებმა მოსპეს ქართლის ერისმთავრის ხელისუფლება და ძველი ქართველი არისტოკრატია. სეფეწულები და დიდ-დიდი აზნაურები თითქმის მთლიანად გაწყვიტეს. ამ რაიონებში, განსაკუთრებით მტკვრის ჯაყოლიება, საერთოდ მოსახლეობა ძალიან დაზარალდა. მაგრამ ბრძოლა მაინც გრძელდებოდა განაპირა თემებში, სადაც ქართველები, — როგორც ადგილობრივი მკვიდრნი, ისე სხვა კუთხეებიდან შემოხიზნულნი,— ჩვეულებრივად მწარედ ამარცხებდნენ უცხოელ მოძალადეებს.

ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის

ახალი ფეოდალური სამთავროების ჩამოყალიბება საქართველოში

ამრიგად არაბებმა საბოლოოდ მოსპეს ერისმთავრობა, რომელმაც ორი საუკუნე იარსება. მაგრამ ხალხმა მაინც მოახერხა თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნება ქართლის განაპირა თემებში. მათ შორის ყველაზე ადრე გაძლიერდა კახეთი, რომელიც არაგვიდან იწყებოდა. კახეთში სხვადასხვა ტომები მოსახლეობდნენ — კახნი ანუ კახელები, რომელთა შორის გარდაბანელი კახები გამოირჩეოდნენ, თუშები, წანარები და სხვები. იერისა და ალაზნის ნაყოფიერ ხეობებში, განსაკუთრებით ამ ხეობების ზემოთა ნაწილში, ხალხი თავს უფრო გულ-მშვიდად გრძნობდა, თავისუფლად ცხოვრობდა და შრომობდა. მერვე საუკუნის მეორე ნახევრისათვის ხალხი ძალიან მომრავლებული და მდიდარი იყო. მისდევდნენ კახელები მიწისმოქმედებას, კერძოდ — მევენახეობას და მესაქონლეობას ფართოდ. კახელები საუცხოო ცხენსა და ცხვარს აშენებდნენ და მრავალრიცხოვანი ჯოგ-ფარების პატრონები იყვნენ. ხარბ დამპყრობელებს კახელების სიმდიდრე ძალიან იზიდავდა ხოლმე, მაგრამ საკმარისი იყო კახეთის ხეობებში არაბები გამოჩენილიყვნენ რომ უშიშარი და ამაყი მთიელები მათ თავს ესხმოდნენ და მუსრს ავლებდნენ. მერვე საუკუნის შუა-წლებიდან კახეთი აინუნშიაც არ აგდებდა არაბებს. კახეთში ამ დროს წანართა ტომი მეთაურობდა და ამიტომ არაბებმაც კახეთს სანარია, ე. ი. წანართი უწოდეს. არაბულიდან ცნობებით, ეს წანარები ანუ კახელები ამ დროს უველაზე საშიში მტერი იყვნენ არაბებისათვის ამიერ-კავკასიაში. ხალიფა აბუ-ჯაფარის (754—775 წ. წ.) მიერ ქართლის მმართველად დანიშნულმა ალ-ჰასანმა ომი აუტეხა კახელებს, მაგრამ ვერაფერი დააკლო. ეს რომ ხალიფამ შეიტყო, ოცი ათასი ახალი მეომარი გამოუგზავნა ალ-ჰასანს. ეხლა ომი რამდენიმე დღე გაგრძელდა და კახელების დამარცხებით გათავდა. არაბები ამტკიცებდნენ, თექვსმეტი ათასი კახელი დავხოცეთ და ბევრიც ტყვედ წავიყვანეთო. მაგრამ კახელები მორჩილებას მაინც არ აპირებდნენ. ამის გამო გაცოფებულმა არაბთა სარდალმა საზარელი საქციელი ჩაიდინა და ტყვე კახელები ამოჟლიტა. მეორე მმართველმა ხუზაიმამ, ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის დროს (786—809 წ. წ.). რომელმაც პატრიკოზებსა და სეფე-წულებს თავები დასჭრა, ლაშქარი შეუსია კახეთსაც, მაგრამ კახელებმა მუსრი გაავლეს არაბებს. ასევე უმასპინძლებიდნენ კახელები მოძალადეებს შემდეგშიაც. მერვე საუკუნის დამლევისათვის კახელებმა უკვე საკუთარი მთავარიც გაიჩინეს და საკუთარი მართვა-გამგეობა მოაწყვეს.

დიდი ცვლილებები მოხდა ამ დროისათვის დასავლეთ საქართველოშიაც. როგორც ვიცით, მეექვსე საუკუნის დამდეგიდან აბაზგების სამთავრო ეგრისის სამეფოდან გამოყოფილი იყო და ბიზანტიის კეისარს

ემორჩილებოდა უშეალოდ. ეს მთავრები შემდეგში კეისრებმა თავის ერისთავებად აქციეს აფხაზეთში. მაგრამ მერვე საუკუნეში აფხაზთა ერისთავები საკმაოდ დიდი ძალის პატრონები იყვნენ, იმიტომ რომ თვითონ აფხაზეთი ამ დროს მჭიდროდ დასახლებული, ლონიერი და მშვიდობიანობით მოსარგებლე ქვეყანა იყო. ასეთი დახვდა აფხაზეთი არაბებისაგან ლტოლვილს ქართლის ერისმთავარს ნერსესა და მის ამალას.

მერვე საუკუნის დამლევს ბიზანტიაში დიდი შინაური შფოთი და არეულ-დარეული იყო. ამით ისარგებლა აფხაზთა ერისთავმა ლეონ მეორემ, მოირთო ძალა ხაზართა მეფისაგან. რომლის ასულის შვილიც იგი იყო, და თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა. ლეონმა „ერისთავის" მაგიერ „აფხაზთა მეფის" წოდებულება მიიღო. ამ დროს ძველი ეგრისის სამეფო დაუძლურებული იყო. ჯერ ბიზანტიამ გააცალა ეგრისს ძალ-ღონე და მეფობაც მოსპო აქ, როგორც ვიცით. შემდეგ მურვან ყრუს შემოსევასაც უნდა თავისი დალი დაეშინია ეგრისისათვის. ამიტომ აფხაზთა მეფეებმა ადვილად დაიპყრეს ეგრისი და არგვეთი და მეცხრე საუკუნის დამდეგისათვის ლიხის მთის აღმოსავლეთითაც გადმოაბიჯეს. აფხაზთა მეფეებმა თავის სატახტო ქალაქად ქ უ თ ა თ ი ს ი, დღევანდელი ქუთაისი, აირჩიეს: აფხაზთა სამეფოს ვრცელ ტერიტორიას ცენტრად ქუთაისი უფრო შეეფერებოდა, ვიდრე ძველი ცხე-გოჯი. გარდა ამისა, ქუთაისი მნიშვნელოვან გზებზე მდებარეობდა.

ქვეყანაზე გვიან ახალი ქართული ფეოდალური სამთავრო სამხრეთ საქართველოში ჩამოყალიბდა. მისი დამაარსებელი აშოტ ბაგრატიონი იყო. ბაგრატიონების განთქმული საგვარეულო წარმოშობით ქ ა ნ ე თ ი დ ა ნ იყო, ს პ ე რ ი ს პროვინციიდან.

თავისი წინდახედული, მოქნილი მოქმედებით ბაგრატიონებმა დიდი გავლენა მოიპოვეს მეექვსე-მეცხრე საუკუნეებში. ერთი მათი შტო სომხეთში დაწინაურდა, მეორე — ქართლში. ორივეგან ბაგრატიონებმა მთავრობას და მეფობას მიაღწიეს, ხოლო საქართველოში სამეფო ხელისუფლება შეინარჩუნეს მეცხრამეტე საუკუნის დამდეგამდე.

ქართლის ბაგრატიონთა წარმომადგენელი, აშოტი, არაბთა სამსახურში ყოფილა თბილისში მეცხრე საუკუნის დამდეგს. მაგრამ აშოტი ვერ შესწყობია არაბებს და თავისი ოჯახითა და ამალით ჯორიხის ხეობაში, შავშეთისა და კლარჯეთის თემებში. გადასულა. რადგანაც ეს ხეობა მაშინ ბიზანტიის საზღვრებში ითვლებოდა, ამიტომ აშოტმა თავისი თავი კეისრის ვასალად აღიარა. კ უ რ ო პ ა ლ ა ტ ი ს ტიტული მიიღო და სამთავროს ორგანიზაციას შეუდგა. თავის მთავარ საყდრად აშოტმა ძველი ცხე-ქალაქი ა რ ტ ა ნ უ ჯ ი აირჩია. რომელიც თვითონვე გაანაახლა. აშოტის მიერ დაარსებულ სამთავროს ტ ა ო-კ ლ ა რ ჯ ე თ ი ს ს ა მ თ ა ვ რ ო ს ეძახიან, იმიტომ რომ მის ძირითად ოლქებს ტ ა ო და კ ლ ა რ ჯ ე თ ი შეადგენდნენ.

აშოტ კუროპალატი მოკვდა 826 წელს.

თბილისის ამირას განდგომა ხალიფასაგან და თბილისის საამიროს დაკნინება

მეცხრე საუკუნის დამდეგისათვის თბილისის ამირებმა, ისევე რო-გორც სახალიფოს სხვა ადგილობრივმა მმართველებმა განაპირა ქვეყნებში, ხალიფების ურჩობა და განზე წყვეა დაიწყეს. ეს შედეგი იყო ხალიფატის პოლიტიკური დასუსტებისა. ცენტრალური მთავრობა ვეღარ ახერხებდა პროვინციების საჭიროებათა დაკმაყოფილებას. ხალიფას ხაზინაც სულ უფრო და უფრო ღარიბი ხდებოდა. ადგილობრივი არაბი ამირები და სარდლები იძულებული იყვნენ თვითონ ეძებნათ სახსრები თავიანთი ხარჯების დასაფარავად. გარდა ამისა, ამ პროვინციების შემდგომი განვითარებისათვის მეტი თავისუფლება და გასაქანი იყო საჭირო. გადასახადების გაუთავებელი გადიდება, ამის გამო მოსახლეობის წინააღმდეგობა და საპასუხოდ ხალიფასაგან გამოგზავნილი დამსჯელი რაზმების თარეში ანიავებდა ქვეყანას და უფრო აქვეითებდა გადასახადების გადახდის უნარს. ამას ხედავდნენ ადგილობრივი არაბი მმართველები, რომელთაც უნდოდათ დაპყრობილი ხალხების ყველაფა უფრო საიმედო სახით მოეწყოთ. ამიტომ ეს ამირები ყურს ალარ ათბოვებენ ცენტრალური მთავრობის განკარგულებას და ქვეყნიდან მოკრეფილ ხარკს ცენტრში კი არ გზავნიან, არამედ თვითონ ითვისებენ.

ასეთივე მიდრეკილება გაუჩნდათ თბილისის ამირებსაც. უკვე მეცხრე საუკუნის ოციან წლებში გადასდგომია ხალიფას თბილისის ამირა მუჰამადი, რომელსაც მოკავშირეებად კახელები ჰყოლია. მუჰამადმა მის წინააღმდეგ გამოგზავნილი ხალიფას ერთი სარდალი გააქცია და მხოლოდ მეორეს, უფრო ძლიერს, დაემორჩილა. მალე ხალიფას თბილისის ახალი ამირაც, საჰაკი, გადაუდგა. საჰაკთან ომში მოკედა ხალიფას გამოგზავნილი სარდალი, ხალიდი. საჰაკმა დაამარცხა ხალიფას მეორე ჯარიც, რომელსაც ხალიდის შვილი, მოჰმედი. სარდლობდა. თბილისის ამირას ისევ ისე კახელები უმაგრებდნენ ზურგს. საჰაკის ურჩობა თითქმის თხუთმეტ წლამდე გაგრძელდა. გაგულისებულმა ხალიფამ საქართველოში 853 წ. დიდი ჯარი გამოგზავნა, ბუღა თურქის მეთაურობით. ბუღამ, ზოგი ადგილობრივი მთავრის დახმარებით, დაამარცხა საჰაკი და მისი მოყავშირეები, 5 აგვისტოს აიღო თბილისი, ცეცხლით დასწვა იგი და მცხოვრებნი გაყლიტა. სიკვდილით დასჯილ იქნა საჰაკიც. არაბული ცნობებით, ამ ამბების დროს თბილისში 50.000 კაცი დალუპულა. აქედან ჩანს, თუ რამდენად დიდი ქალაქი ყოფილა მაშინ თბილისი.

ამის მიუხედავად, თბილისის ამირები მეცხრე საუკუნის დამლევიდან უკვე ფაქტიურად ალარ ემორჩილებიან ხალიფას. მორჩილება გარეგნულად მხოლოდ იმაში გამოიხატება. რომ ერთი ხანობა თბილისის ამირები ფულს ხალიფას სახელით სჭრიან, მეათე საუკუნის ორმოციან წლებიდან-კი ისინი ფორმალურადაც თავიანთ თავს დამოუკიდებლად აცხადებენ.

უკანასკნელად ამიერ-კავკასიის დამორჩილება ხალიფამ მეათე საუკუნის დამდეგს სცადა. 914 წელს აქ მოვიდა დიდი ჯარით ხალიფას სარ-

დალი აბულ-კასიმ აბუსაჯის-ძე. მან ჯერ სომხეთი მოაოხრა და სომეხთა მეფე სუმბატი მოჰკლა, ხოლო შემდეგ საქართველო დალაშქრა. იმავე 914 წელს აიღო კახეთის ციხეები უჯარმა და ბოჭორმა და მოაოხრა სამცხე და ჯავახეთი. აქ, მესხეთში, მან აიღო ყველისციხე და აწამა ციხის ერთი მცველი მეომართაგანი, გობრონი. მიზანი ამ შემოსევისა იგივე იყო: ურჩების დამორჩილება, ძველი და ახალი ხარკის მოკრეფა, ანუ, როგორც ამბობს იმდროინდელი მწერალი სტეფანე მტბევარი: „ესე არს ჩვეულებაი მათი: პირველად ხარკნი იგი თანანადებნი ძებნნეს, ძღუენი და ნიჭნი კაეტთა მათთათვის. რამეთუ მოხარკე მისსა იყვნეს. შერმე წინა ვამისა ბეგარანი სთხოვნეს“-ო. მაგრამ ვერც ამ ლაშქრობამ უშველა ხალიფებს და მათი გაელენა ამიერ-კავკასიაში მეათე საუკუნიდან სრულიად მოისპო. დარჩნენ მხოლოდ ადგილობრივი ამირები, როგორც, მაგალითად, თბილისის ამირა, რომელნიც ეხლა უკვე მკვიდრი მთავრების მსგავს ფეოდალებად იყვნენ გადაქცეულნი.

თბილისის საამიროც ამ დროს მეტად შემცირებულა. თბილისის ამირას გავლენა ქვემო ქართლის ფარგლებს არ სცილდება. საამიროს საზღვრები ეიწროვდებოდა ქართული სამთავროების — კახეთის, ტაოკლარჯეთისა და აფხაზეთის — შემოტევის წყალობით. მეათე საუკუნის დამლევს ქვემო ქართლის სამხრეთ ნაწილში წარმოიშვა ტაშირის სომხური სამთავრო, რომელიც აგრეთვე სამხრეთიდან აწვება თბილისის საამიროს.

საზოგადოებრივი კლასები და მათი ბრძოლა VII—IX საუკუნეებში

მეშვიდე, მერვე და მეცხრე საუკუნეების სიგრძეზე საქართველოს საზოგადოებრივმა წყობილებამ კიდევ უფრო მკაფიო წოდებრივ-ფეოდალური სახე მიიღო. ამ დროისათვის უკვე საესებით გაბატონდა აზნაურთა წოდება. აზნაურები სხვადასხვანაირი იყვნენ. იმ პირებს, ვისაც აზნაურობა შთამომაელობით, მამა-პაპით ჰქონდათ მიღებული, „სათესავით აზნაურებს“ ეძახდნენ. მაგრამ აზნაურობა შეიძლებოდა ზოგჯერ მეფის სამსახურითაც მოეპოვებინათ. ასეთი მსახურეული აზნაურები იწოდებოდნენ „მეფის აზნაურებად“. ყველაზე მდიდარსა და ძლიერ აზნაურებს დიდებული აზნაურები ერქვათ. აზნაურებზე დაბლა მსახურნი იდგნენ. ეს ისეთი თავისუფალი ადამიანები იყვნენ, რომელნიც მეფეების ან დიდი აზნაურების სამსახურში იმყოფებოდნენ. მეფის მსახურებს ტაძრეულებსაც ეძახდნენ.

ზოგი აზნაური სხვა უფრო ძლიერ აზნაურზე იყო დამოკიდებული და „წინაშემდგომელად“ ან „საკუთარად“ იწოდებოდა.

მოსახლეობის უმრავლესობას სოფლის მიწის მუშები შეადგენდნენ, რომელნიც „მსოფლიო ერისკაცი“-ს, „კაცი მდაბიო“-სა და „მდაბიორი“-ს სახელით იყვნენ ცნობილნი. ისინი ჩვეულებრივად ამათუიმ მთა-

ეარსა და დიდ აზნაურს ემორჩილებოდნენ. ასეთი მთაეარი და დიდი აზნაური „მდაბიორების“ „ე ფ ა ლ ი“ იყო. ამ უფალს ეკუთვნოდა ის დ ა ბ ა, ე. ი., სოფელი. მთელი თაეისი მიწა-წყლით, სადაც ალიშნული მ დ ა ბ ი უ რ ნ ი ცხოვრობდნენ. მდაბიურებზე უფრო დაბალ გ ლ ე ხ ე ბ ი იდგნენ, რომელნიც თაეიანთ უფალთა სრულ საკუთრებას შეადგენდნენ.

მეათე საუკუნის დამდეგისათეის საქართველოს მოწინაეე თემებში მიწების უდიდესი ნაწილი უკეე მთაერებსა და აზნაურებს ჰქონდათ დაჩემებული. მაგრამ ხალხის მიწა-წყლის მითეისება, სათემო და კერძო მამულების ფეოდალურ მამულებად გადაქცეეა უბრძოლეელად არ მომხდარა. ხალხი თაეის საკუთრებას გააფთრებით იცაედა როგორც გარეშე, ისე შინაური მტრების წინააღმდეგ.

როცა მეექვსე საუკუნეში საქართველოში ფეოდალური სახელმწიფო ჩამოყალიბდა, ე. ი. როცა მთაერებმა და აზნაურებმა მთელი მართეგამგეობა ხელში ჩაიგდეს, მათ ეს ძალა იმისთეის გამოიყენეს, რომ ხალხისათეის ადგილ-მამული წაერთმიათ და თაეის საკუთრებად გადაექცათ. განსაკუთრებით მწეაეე იყო ეს ბრძოლა მერეე და მეცხრე საუკუნეებში. ხალხი მედგრად იცაედა თაეის უფლებებს და მამა-პაპეულ მიწა-წყალს უსისხლოდ არაეის უთმობდა. მაგრამ უპირატესობა აზნაურების მხარეზე იყო. ისინი უკეთ იყენებ შეიარაღებულნი და დარაზმულნი. ამიტომ ხალხმა თანდათანობით დაკარგა თაეისი სათემო თუ კერძო-სამფლობელო ადგილ-მამული. აზნაურებმა ხალხს ჯერ სახნაე-სათესი მიწები წაართეეს, რომლებსაც ყეელაზე მეტი შემოსაეალი მოჰქონდა, შემდეგ— სათიბ-საძოერები და, დაბოლოს, ტყის მოჩემებაც მოინდომეს.

ფეოდალურ ხანაში სიმდიდრის მთაეარი წყარო სწორედ მიწა იყო. ვისაც ყეელაზე დიდი მამული ჰქონდა, ყეელაზე მდიდარი და ძლიერიც ის იყო. ამიტომ მიწის გულისათეის თეითონ აზნაურებიც ებრძოლებენ ერთმანეთს.

ბრძოლა წარმოებდა მთაერებსა და ეკლესიას შორისაც მამულების გულისათეის. ამ დროისათეის ქრისტიანულმა ეკლესიამაც დიდძალი ადგილ-მამული შეაგროეა. მეშეიდე საუკუნის დამდეგს ქართლის ერისთაერებმა სცადეს წაერთმიათ ეკლესია-მონასტრებისათეის მათი მამულების ნაწილი, რასაც მწეაეე ბრძოლა მოჰყეა.

დასასრულ, მას შემდეგ, რაც მერეე საუკუნის დასასრულსა და მეცხრე საუკუნის დამდეგს საქართველოში ახალი ფეოდალური სამთაეროები ალმოცენდა, ბრძოლა დაიწყეს ერთმანეთს ქართველმა მთაერებმაც. თითოეული მთაეარი ცდილობდა საკუთარი ტერიტორიის, სამფლობელოს გაფართოებას მეზობელი მთაერის ხარჯზე. ეს ბრძოლა გაგრძელდა მთელი მეცხრე საუკუნე და მეათე საუკუნის მეტი ხანი და საქართველოს გაერთიანებით დამთაერდა. საქართველოს გაერთიანება უკეე მთელი ქეეყნის განვითარების საჭიროებას უპასუხებდა. და არა მარტო ცალკე მთაერების ინტერესებს.

საქართველოს ზაერთიანების ეკონომიური აუცილებლობა

მეცხრე-მეათე საუკუნეებში ჩვენი ქვეყანა გაიზარდა და გაძლიერდა ეკონომიურად. მართალია, არაბთა შემოსევებმა მერვე საუკუნის პირველ ნახევარში, განსაკუთრებით მურვან ყრუს ლაშქრობამ, შეამცირა მოსახლეობა და გაანადგურა მისი მეურნეობა ბარის ზოგიერთ რაიონში, მაგრამ ორასი წლის განმავლობაში ხალხმა აქაც მოახერხა ხელახალი დამკვიდრება და მეურნეობის გაჩენა. არაბებისაგან უფრო დაცული გაიპირა რაიონები კი წინ მიდიოდა უფრო სწრაფი ნაბიჯით. სიცოცხლისა და თავისუფლების სიყვარული, შრომისმოყვარეობა და ძველისძველი კულტურული ტრადიციები და გამოცდილება იყო იმის მიზეზი, რომ ხალხი ამ განაპირა თემებში ფართოდ შლიდა თავის მეურნეობას, აჩაღებდა სამოქალაქო ცხოვრებასა და თავსაც მარჯვედ იცავდა ხანდახან კარზე მომდგარი მტრისაგან. ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ მეცხრე-მეათე საუკუნეებში, განსაკუთრებით მეცხრე საუკუნის მეორე ნახევრიდან, დიდი ომები, როგორიც იყო, მაგალითად, ბულა თურქის შემოსევა, იშვიათი გახდა. ჩვეულებრივად იმდროინდელი ომები პატარა ცხენოსანი რაზმების ერთი შეტაკებით თავდებოდა ხოლმე. ამგვარი შეტაკება იშვიათად თუ გაგრძელდებოდა ერთ დღეზე დიდხანს. ანაზღაურებად შემოსეული მტერი ასევე ჩრებოდა. რადგანაც ყოველთვის მაშინ ხალხის შეუდრეკელ წინააღმდეგობას აწყდებოდა. ამიტომ იყო, რომ მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში და მეათე საუკუნეში ეს ომები ეგრერიგად ველარ აბრკოლებდნენ მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასა და მშენებლობას.

ამრიგად, კახეთი, ტაო-კლარჯეთი, აფხაზეთი გაიზარდნენ და გაშენდნენ მეათე საუკუნისათვის. არაბი ისტორიკოსი იაკუბი მოგვითხრობს, რომ როცა მეცხრე საუკუნის ოცდაათ წლებში, არაბთა სარდალმა ხალიდმა ზავი დასდო კახელებთან, კახელებმა არაბების მოთხოვნით იკისრეს მიეცათ მათთვის სამი ათასი ფაშატი ცხენი და ოცი ათასი ცხვარი. ეს მოწმობს თუ როგორი დიდი რაოდენობით აშენებდნენ კახელები იმ დროს საჭონელს. საყურადღებოა, რომ არაბები სწორედ ფაშატ (დედალ) ცხენებს თხოულობდნენ: ცხადია რომ ეს ცხენები მათ საჯიშედ უნდოდათ, მოსაშენებლად. არაბები კი საუკეთო ცხენის მცოდნეები იყვნენ და არაბული ცხენიც ხომ საუკეთესო ჯიშისა იყო. შემდეგშიაც კახეთი განთქმული იყო თავისი ცხენებითა და თავისი ცხვრით. კახური ჯიშია ერდანდელი საყოველთაოდ ცნობილი თუშური ცხვარი. კახეთის იმდროინდელი სიმდიდრის უტყუარ ნაშთია ხუროთმოძღვრების ძვირფასი ძეგლები, რომლებითაც მოფენილია კახეთის მიწა-წყალი.

მეცხრე-მეათე საუკუნეებში აფხაზეთი ყველაზე მუდმივად დაცული სამთავრო იყო. ხალხის გამრავლებასა და მის ცხოვრებას გარეშე მტერი ხელს არ უშლიდა. იმდროინდელი მატერიალური კულტურის ნაშთია მ ა რ ტ ვ ი ლ ი ს შესანიშნავი ტაძარი კ ყ ო ნ დ ი დ შ ი, აშენებული აფხაზთა მეფის გ ი ო რ გ ი ს მიერ მეათე საუკუნის პირველ ნახევარ-

ში, მოქვის დიდებული ტაძარი, აშენებული აფხაზთა მეფის ლეონის მიერ მეათე საუკუნის შუა წლებში, და სხვა ძეგლები.

აფხაზეთს წააცილებდა თავისი სიმდიდრით ტაო-კლარჯეთი. აქაური ქართველი ტომი, მესხების სახელით ცნობილი, როგორც ვიცით, უძველეს დროშიაც განთქმული იყო თავისი სამიწისმოქმედო ხელოვნებით. პური, მაგალითად, მესხებს იმდენი მოჰყავდათ, რომ საზღვარგარეთაც გაჰქონდათ. მისდევდნენ მესხები მეცენაბეობა-მეღვინეობასაც და ბლომად აშენებდნენ აგრეთვე შინაური საჭონელს. იმდროინდელი ტაო-კლარჯეთის ქონებრივი შეძლებისა და კულტურული განვითარების ცოცხალი მოწმეა ისეთი შესანიშნავი ძეგლები არქიტექტურისა, როგორიცაა ოშკის, იშხანის, შატბერდის, ბანას, ხახულის ტაძრები. რამდენი სახსარი სჭირდება ასეთი ტაძრების აშენებას, ეს კარგად ჩანს ოშკის ტაძრის წარწერიდან, რომელიც ეკუთვნის მეათე საუკუნის პირველ ნახევარს. ამ წარწერაში ნათქვამია, რომ კალატოზების, მუშებისა და მუშა-საქონლის ქირა ყოველწლიურად უდრიდა ოცი ათას დრამას. დრამა ვერცხლის ფული იყო და უდრის დაახლოებით 20—25 კაპეიკს ოქროთი. 20.000 დრამა 4.000 მანეთზე მეტია ოქროთი. ამასთან უნდა გვახსოვდეს რომ იმ დროს ფული ბევრად უფრო ძვირი იყო, ვიდრე ახალ ხანაში. გარდა ამ ფულისა, ღვინო დაუბარჯაეთ ყოველწლიურად ხუთი ათასი სანყალი, ხორბალი 250 გრიკი და რკინა 50 ლიტრა (დაახლოებით, 20 კილოგრამი). შემდეგ წარწერა გვაუწყებს რომ ტაძრის მშენებლობაზე მუდმივად მუშაობდაო 70 კალატოზი. ხურო და მჭედელი, ქვისმთლელი ხარი — 30, ჯორი და სხვა საკიდარი საქონელი — 30 და სხვა მრავალი.

მოსახლეობის გამრავლება და მისი მეურნეობის გაფართოება იწვევდა სხვადასხვა კუთხეების დაახლოების საჭიროებას. ერთი კუთხე ერთი საქონლით იყო მდიდარი, მეორე — სხვა რამით. ზოგან საუკეთესო ჯურჯველს აკეთებდნენ, მეორე ადგილას კარგ შალის ქსოვილებს ქსოვდნენ, მესამეგან—მადანს სთხრიდნენ და იარაღს სჭედდნენ. სხვები კიდევ საშენ მასალას ამზადებდნენ, წისქვილის ქვებს სთლიდნენ და მრავალ სხვა ხელობას მისდევდნენ. განვითარდა ხელოსნური წარმოება. მთიელები ბარში ჩადიოდნენ პურისა და ღვინისათვის და სამაგიეროდ მათ თავისი მეურნეობის ნაყოფი ჩაჰქონდათ. მესაქონლეობაც ხელს უწყობდა მოძრაობას: ჯოგებს საზაფხულო საძოვრები ერთ ადგილას ჰქონდათ, საზამთრო კი—მეორეგან. „ნინოს ცხოვრებაში“, რომელიც ამ დროს არის დაწერილი, აღწერილია თუ როგორ აძოვებენ კაკაბეთში თავიანთ ჯოგებს არაგველი მწყემსები. ყოველივე ეს იწვევდა საქართველოს სხვადასხვა თემების ურთიერთობას, შინაგან გაცვლა-გამოცვლასა და ალებმიცემას.

ფართოდ იყო იმ დროს განვითარებული საგარეო ვაჭრობაც. ქართულ სამთავროებს მაშინ სავაჭრო კავშირი ჰქონდათ მრავალ უცხო ქვეყანასთან. ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, მაგალითად, მეათე საუკუნის პირველ ნახევარში, კლარჯეთის დედაქალაქი ართანუჯი ძალიან ძლიერი სიმაგრე და დიდი ქალაქი იყო.

აქ მოაქვთ საქონელი ტრაპეზუნტიდან, იბერიიდან, აბაზგიიდან, მთელი სომხეთიდან და სირიიდანო. არტანუჯი მეტად ფართო ვაჭრობას აწარმოებს ამ საქონლით; თვითონ კლარჯეთიც დიდი და უხვი ქვეყანაა დაგასალებია იბერიისა, აბაზგიისა და მესხეთისათვისო.

იმდროინდელ საქართველოს შორეულ სავაჭრო კავშირებს ადასტურებს ისეთი ფაქტი, რომ ქართული ფული, ტაო-კლარჯეთში მოჭრილი მეათე საუკუნეში, ნაპოვნია რუსეთის ჩრდილოეთ რაიონებში და ბალტიკის ზღვის ნაპირებზე.

ასეთი გაცხოველებული საშინაო და საგარეო ურთიერთობისათვის დიდი დაბრკოლება იყო მრავალი სამთავროს არსებობა საქართველოში.. ყოველ სამთავროს საკუთარი საზღვრები ჰქონდა, ყოველ მთავარს — თავისი საკუთარი საბაჟო. ამიტომ ვაჭრებს ბაჟი რამდენიმე ადგილას უნდა გადაეხადნათ, ისევე როგორც ხელოსნებს და სოფლის მეურნეებს, რომლებსაც საქონელი, სხვისი თუ საკუთარი ნაწარმოები, ერთი კუთხიდან მეორეში გადაჰქონდათ. მეჯოგეებიც კი, რომელნიც საქართველოს ერთი თემიდან მეორეში გადადიოდნენ საზაფხულო თუ საზამთრო საძოვრების გულისათვის, ასეთსავე მდგომარეობაში იყვნენ.

ამიტომ იყო რომ მრავალი სამთავროს არსებობა ხელს უშლიდა ჩვენი ქვეყნის განვითარებას და უკმაყოფილებას იწვევდა მოსახლეობაში. აუცილებელი იყო ერთიანი სახელმწიფოს შექმნა, რომელიც უფრო კარგად დაიცავდა ქვეყანას გარეშე მტრისაგან, მოსპობდა დაქსაქსულობას და მეტ წესრიგს დაამყარებდა.

სამთავროების ბრძოლა პირველობისათვის

სამთავროების ბრძოლა უკვე მეცხრე საუკუნის დამდეგიდანვე დაიწყო. ამ ბრძოლაში საკუთრივ ქართველ მთავრებს გარდა ახლო მონაწილეობას იღებდა თბილისის ამირა და ხშირად ერეოდნენ შიგ აგრეთვე სომეხი მთავრებიც. ჩვეულებრივად, მთავრები ჯგუფ-ჯგუფად ირაზმებოდნენ ხოლმე, მაგრამ გუშინდელი მოკავშირე შესაძლებელია ხვალ მტრად გადაქცეულიყო და პირ-უკუ.

დაიწყო ბრძოლა კახეთის მთავარმა გ რ ი გ ო ლ მ ა, რომელმაც მეცხრე საუკუნის დამდეგს ქართლის ერთი ნაწილი დაიპყრო. გრიგოლის მოკავშირე თბილისის ამირა იყო. მაგრამ კლარჯეთის მფლობელმა აშოტ კურაპალატმა, აფხაზთა მეფის თეოდოსის დახმარებით, გააქცია გრიგოლი და ქართლიც თვითონ დაიჩემა. აშოტის სიკვდილის შემდეგ მისი მცირეწლოვანი შვილები არაბებმა დაჩაგრეს, ქართლიც წაართვეს მათ და კლარჯეთიც დაარბიეს. მდგომარეობა გამოასწორა აშოტის მემკვიდრემ, ბაგრატ კურაპალატმა (826—876 წ. წ.), რომელიც დაეხმარა ხალიფას სარდლებს მოშურნე და ბუღა თურქს გამდგარი თბილისის ამირა საჰაკის წინააღმდეგ. საჰაკს, თავის მხრივ, კახელები და აფხაზები შველოდნენ. ამ დახმარებისათვის არაბებმა ბაგრატს კვლავ მისცეს ქართლი. მარჯვედ იქცეოდა ბაგრატ კურაპალატის უმცროსი ძმა გ ვ ა-

რამიც, რომელიც მამფალის ტიტულს ატარებდა და რომელსაც დაუპყრია ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი და არტაანი.

აშოტ კურაპალატის სიკვდილის შემდეგ აშოტის სამფლობელო ერთმანეთში გაიყვეს მისმა შვილებმა. მართალია, კლარჯეთის ბაგრატიონთა საგვარეულოს ერთი წარმომადგენელი გვარის უფროსად ითვლებოდა და კურაპალატის წოდებულებას ატარებდა, მაგრამ სხვა შტოებიც საერთო უფლებებით იყვნენ აღჭურვილნი და სათანადო ტიტულებითაც შემკობილნი. ზოგი მამფლად იწოდებოდა, ზოგი ერისთავთ-ერისთავად, ზოგი მაგისტროსად. მეცხრე საუკუნის დამლევს აშოტის შთამომავლობაშიაც შინაური ბრძოლა გაიშალა ადგილ-მამულისა და ძალა-უფლებისათვის. თავდაპირველად ბრძოლა ატყდა თრიალეთის გამო. მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში თრიალეთში ჩამოსახლდა ერთი დიდი აზნაური, ლიპარიტი, ბაღვაშთა საგვარეულოს წარმომადგენელი, რომელსაც მამული ჰქონდა არგვეთში, კაცხში. ლიპარიტმა თრიალეთის ქედის უღელტეხილზე, სადაც ქართლიდან ჯავახეთისკენ მნიშვნელოვანი გზა გადადიოდა კლდეში გაჭრილ კარებში, ე. წ., კლდე-კარში, ააშენა მაგარი ციხე და დაარსა შემდეგში კარგად ცნობილი კლდე-კარის საერისთავო. ლიპარიტმა თავის პატრონად გამოაცხადა მაგრატ კურაპალატის შვილი, დავით კურაპალატი. ეს იწყინეს გვარამ მამფლის შვილებმა, რომელნიც თრიალეთს თავის მამულად სთვლიდნენ და დავით კურაპალატი 881 წელს მოჰკლეს. ამ შფოთსა და არეულობაში, რომელმაც დაასუსტა კლარჯეთის სამთავრო სახლი, ამოწყდა გვარამ მამფლის შთამომავლობა. ბაგრატიონების მოუძლურებით ისარგებლეს აფხაზთა მეფეებმა და ქართლი ჩაიგდეს ხელში. მაგრამ აფხაზთა მეფეების წინასვლას ეღობებოდა წინააღმდეგობა აგრეთვე სომეხთა მთავრებისა, რომელნიც სპეებთან ერთად ჩარეული იყვნენ საქართველოს მთავრების ბრძოლაში მეცხრე საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან. მეცხრე საუკუნის დამლევისათვის სომხებისა და დავით კურაპალატის მემკვიდრეების კავშირის წყალობით საქართველოში ერთგვარი წონასწორობა დამყარდა. გვარამ მამფლის მამულიც ამ მოკავშირეებმა გაიყვეს. ალსანიშნავია აგრეთვე, რომ 888 წელს მოკლული დავით კურაპალატის შვილმა ადარნასემ ქართველთა მეფის წოდებულება მიიღო.

ქართლისათვის ბრძოლა განახლდა მეათე საუკუნის დამდეგს. ქართლი ამიერ-კავკასიის შუაგული იყო და ამიერ-კავკასიაში გაბატონების მოსურნენი ყველაზე ადრე სწორედ ქართლს უმიზნებდნენ. მეათე საუკუნის პირველ წლებში ქართლი ჯერ აფხაზთა მეფემ კონსტანტინემ დაიპირა. მას ბრძოლა აუტეხეს ადარნასე ქართველთა მეფემ და სომეხთა მეფემ სუმბატ ტაოზერაკალმა. სუმბატმა უფლისციხეც კი დაიპირა, რომელიც იმ დროს ქართლის ცენტრის როლს ასრულებდა. ბოლოს მაინც კონსტანტინე და სუმბატი დაზავდნენ და აფხაზთა მეფემ ქართლი უკან დაიბრუნა.

თუმცა არაბების 914 წლის შემოსევამ აბულ-კასიმის მეთაურობით კონსტანტინეს უკან დაახევინა მცირე ხნით. მაგრამ მალე იგი კვლავ შეუდგა ახალი ადგილების დაპყრობას. ეხლა კონსტანტინე კახეთის მთავრებს დაუკავშირდა, რომელნიც ამ დროს უკვე ქორეპისკოპოსის ტიტულს ატარებდნენ. კონსტანტინემ და კვირიკე ქორეპისკოპოსმა ჰერეთი დაიპყრეს და გაინაწილეს, ისე რომ ორი წილი კონსტანტინეს ერგო და ერთი წილი კვირიკეს. ჰერეთს ქართველები ძველი ალბანეთის დასაწყისს ეძახდნენ.

განსაკუთრებით გაძლიერდა აფსაზთა სამეფო კონსტანტინეს შვილის გიორგის დროს. გიორგიმ აფხაზთა სამეფოს გაუერთა კახეთის ნაწილზედაც განაერცო. ჩრდილო-დასავლეთით კიდევ აფხაზთა მეფეს ჯიქეთი ეკუთვნოდა. რომელიც შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა. გიორგის თაოსნობით მიიღეს ქრისტიანობა ალანებმა. ამით გიორგი მეფეს თავისი გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაშიც გადაჰქონდა. ასევე ძლიერი იყო აფხაზთა სამეფო გიორგის შვილის ლეონის დროსაც. ლეონ მეფის გავლენა უკვე ჯავახეთსაც მოიცავდა და ქვემო ქართლში სამშვილდემდის აღწევდა. მაგრამ ლეონის სიკვდილის შემდეგ მის შვილებს შორის დიდი უთანხმოება და შფოთი ჩამოვარდა. აფხაზთა სამეფო ეხლა ადგილს ტაო-კლარჯეთს უთმობს.

ტაო-კლარჯეთი მეათე საუკუნეში. მეფე დავით კურაპალატი

როგორც ვნახეთ. ტაო-კლარჯეთის მფლობელები უკვე მეცხრე საუკუნის შუა წლებიდან იყვნენ აფხაზთა მეფეების მთავარი მეტოქეები. მაგრამ განსაკუთრებით გაძლიერდა ტაო-კლარჯეთი მეათე საუკუნეში. ამ საუკუნის პირველ ნახევარში ტაო-კლარჯეთის სამხრეთი საზღვარი ერცელდებოდა მდ. არაქსის ზემო წელამდე. სადაც იგი ბიზანტიას ესაზღვრებოდა. თუმცა ამ დროსაც ტაო-კლარჯეთის მფლობელები ღებულობდნენ კურაპალატისა და მაგისტროსის ტიტულებს ბიზანტიის იმპერატორებისაგან. მაგრამ ფაქტიურად ისინი სრულიად დამოუკიდებელნი იყვნენ. ასე, მაგალითად, როცა ერთ-ერთმა ბაგრატიონმა. თავისი ნათესავების მტრობით. მეათე საუკუნის ოცან წლებში ფარულად გადასცა ციხე არტანუჯი კეისარს და კეისრის მოხელემ არტანუჯის კედელზე ბიზანტიის დროშა აღმართა. ამან დიდი აღშფოთება გამოიწვია დანარჩენ ბაგრატიონებში, რომელნიც ციხეს თავიანთ საგვარეულო საკუთრებად სთვლიდნენ. კეისარმა მაშინვე გადათქვა თავისი მონაწილეობა ამ საქმეში, ყველაფერი ჩემი ბრიყვი მოხელის ბრალიათ და საჩქაროდ გაიყვანა თავისი რაზმი ციხიდან. ტაო-კლარჯეთის ქართველები ამ დროს დიდ როლს თამაშობენ თვითონ ბიზანტიის იმპერიაშიაც. ცნობილი გერმანელი ისტორიკოსი გელცერი ამბობს რომ უკვე მეათე საუკუნის პირველ ნახევარში ქართველები და სომხები „მსოფლიო-ისტორიული ვითარების ბატონ-პატრონები იყვნენ. ამ ერების მამაცმა და ჭკვიანმა შვილებმა მიაღწიეს ხელმძღვანელ მდგომარეობას აღმოსავლეთ-რომის

იმპერიის როგორც სარდლობაში, ისე მთავრობაში და ღირსეულადაც ეჭირათ იგი“-ო. მეათე საუკუნის მეორე ნახევარში, იმავე გელცერის მტკიცებით, ბიზანტიის იმპერიაში „ყველა უმნიშვნელოვანესი სამხედრო თანამდებობა გამოუკლებლივ სომხებსა და ქართველებს ეჭირათ“-ო. მართლაც ამ დროს, დავით კურაპალატის მეფობაში, ტაო-კლარჯეთი დიდი და ძლიერი სამეფო გახდა.

დავითი (გარდაიცვალა 1001 წელს) ჭკვიანი და მხნე კაცი იყო. მას დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი მთელ აღმოსავლეთში. დავითის თანამედროვე სომეხი მემატიანე სტეფანოს ტარონელი წერს: „დიდი კურაპალატი დავით ჩვენი დროის ყველა ხელმწიფეს აღემატებოდა თავისი ლმობიერებითა და მშვიდობისმოყვარე გულით. დავითმა დაამყარა მშვიდობა და კეთილწესიერება ყველა აღმოსავლეთის ქვეყანაში, განსაკუთრებით კი — სომხეთსა და საქართველოში. მან შესწყვიტა ომები, რომლებიც გამუდმებით ჩნდებოდა ყოველი მხრიდან, და გაიმარჯვა ყველა გარშემო მცხოვრებ ხალხზე, ასე რომ ყველა ხელმწიფე ნებაყოფლობით დაემორჩილა დავითსა“-ო.

979 წელს დავითმა დიდი დახმარება გაუწია ბიზანტიის იმპერატორს ბასილს, რომელსაც სარდალი ბარდა სკლიაროსი აუჯანყდა. სკლიაროსმა რამდენიმეჯერ დაამარცხა კეისარი და ტახტიდან ჩამოგდებასაც უპირებდა მას. დავითმა სასომიხდილ ბასილს, მისი თხოვნით, ჯარი მიაშველა. თორმეტი ათასმა რჩეულმა ქართველმა ცხენოსანმა თორნიკე ერისთავის, რომელიც იმ დროს უკვე ბერად იყო შემდგარი, და ჯოჯიკის შეთაურობით გაანადგურა სკლიაროსი და მისი ლაშქარი და იმპერატორს მისი სამფლობელო დაუბრუნა. მადლერმა ბასილმა ამ დახმარების სანაცვლოდ დავითს დიდი მიწა-წყალი აჩუქა: კარინის ანუ ერზერუმის ოლქი, მეზობელ ბასიანის ოლქი. შემდეგ სომხური ოლქები ჰარქი, აბაჰუნიქი და სხვები. ოთხმოციან წლებში დავითმა თავისი ვასალი ქართველი ფეოდალები დასვა უფრო სამხრეთით მდებარე სომხურ ოლქებში, ტარონსა და დერჯანში, დაიპყრო ქალ. მანაზკერტი ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთით და აიღო იგი თავისი ყმებით, სომხებითა და ქართველებით. 997 წელს დავითმა ალყა შემოარტყა ცნობილ სავაჭრო ქალაქს ხლათს, რომელიც ვანის ტბის ნაპირზე მდებარეობდა. დავითის ასეთი გაძლიერებით დაშინებულმა აზერბაიჯანის ამირამ ომი აუტეხა მას. იმავე სომეხი მემატიანის ცნობით, მაქმადიანების ლაშქარი ასი ათასი მეომრისაგან შესდგებოდა, მაგრამ დავითმა მწარედ დაამარცხა მტერი და შორს განსდევნა იგი.

დავითის ომები სამხრეთში ათავისუფლებდა ქართველსა და სომეხ მოსახლეობას არაბი მოძალადეებისაგან და მშვიდობიანობას ამყარებდა ამ ქვეყნებში. ამიტომაა რომ დავითს დიდი ქებით იხსენიებს ყველა ძველი სომეხი ისტორიკოსი.

ამრიგად, მეათე საუკუნის მეორე ნახევარში ტაო-კლარჯეთის სამეფო შეიცავდა უზარმაზარ ტერიტორიას, რომლის სამხრეთი საზღვარი ვანის-

ტბასა და ქალ. ერზინკანამდე აღწევდა. იმავე დროს დავით თაოს გავლენას ავრცელებდა ჩრდილოეთითაც საქართველოში. სამოცდაათიან წლებში, როცა აფხაზთა სამეფო ტახტზე უძლური თეოდოსი იჯდა, ძმის ვერაგობით თვალ-დაშვებარი, დაეითმა ისარგებლა აფხაზეთის შინაგანი აშლილობით და თავისი შვილობილი ბაგრატ ბაგრატიონი, თეოდოსის დისწული, ჯერ ქართლში გაამეფა (975 წ.) და შემდეგ აფხაზეთშიაც (978 წ.).

ამით საძირკველი ჩაეყარა საქართველოს გაერთიანებას.

საქართველოს კულტურული ვითარება VIII—X ს. ს.

ყველაზე ადრე აღსანიშნავია რომ მერვე-მეათე საუკუნეებში ქართული ენის მნიშვნელობა შეუჩერებლად იზრდებოდა. უკვე მეცხრე საუკუნეში როგორც ტაო-კლარჯეთში, ისე კახეთში, ქართლში და აფხაზეთში ქართული ენა იყო მწერლობის, სახელმწიფო მართვა-გამგეობისა და სამოქალაქო ურთიერთობის, ეკლესიის ერთადერთი ენა. ქრისტიანობის საშუალებით ქართული ენა გადავიდა ჩრდილოეთ კავკასიაშიაც პირველ რიგში—ჩერქეზებსა და ალანებში. ქართულის ასეთმა გავრცელებამ და ქართული მწერლობის აყვავებამ იმდროინდელ ქართველს კულტურულ მოღვაწეებს ჩაუნერგა დედა-ენის დიდი ლირებულებისა და ლირსების შეგნება. მეათე საუკუნის მწერალმა იოანე ზოსიმემ სპეციალური შესხმა, ოდა უძღვნა ქართულ ენას — „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი". ამ ჰიმნში ავტორი ქართულ ენას განსაკუთრებულ როლს აკისრებს მსოფლიოს ენათა შორის.

მეცხრე-მეათე საუკუნეებშია დაწერილი ისეთი შესანიშნავი თხზულებები, როგორიცაა „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება" ბასილი ზარზმელისა, გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" და სხვები. ეს ბიოგრაფიული თხზულებები დიდმნიშვნელოვანი ისტორიული წყაროებია. მათი საშუალებით ჩვენ ვსწავლობთ იმდროინდელ საქართველოს ყოფა-ცხოვრებას, მეურნეობას, საზოგადოებრივ წყობასა და კულტურის დონეს. ამავე დროს ამ ძეგლებში მაღალ განვითარებას მიაღწია ქართულმა სალიტერატურო ენამ. ამ მხრივ პირველ ადგილას დგას მერჩულის ბრწყინვალე ლიტერატურული ნაწარმოები, დაწერილი 951 წელს.

იმდროინდელი ქართული ორიგინალური მწერლობიდან ცალკე აღსანიშნავია სასულიერო პოეზია ანუ ჰიმნოგრაფია, რომლის მთავარი წარმომადგენლები არიან მიქაელ მოდრეკილი, იოანე მინჩხი, იოანე მტბევარი და იოანე ზოსიმე. ეს მწერლები თავიანთ ლექსებს სწერდნენ იამბიკოსა და შაირის საზომებით. შაირის საზომი, როგორც ცნობილია, შემდეგში მწვერვალამდე აიყვანა რუსთაველმა. საყურადღებოა ისიც რომ ამ სასულიერო ლექსებს ზოგჯერ თან ახლავს მუსიკალური ნიშნები ანუ ნოტები.

ორიგინალური მწერლობის გვერდით ვითარდებოდა თარგმნილიც. ამ ხანაში სთარგმნიან უკვე არაბული ენიდანაც.

თარგმნილი მწერლობა მეტად მრავალფეროვანი იყო თავისი შინაარსით. მთარგმნელობის განვითარებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ქართველებს ამ დროს თავისი საკუთარი საზღვარგარეთული კულტურული ცენტრები ჰქონდათ. უკვე მეექვსე საუკუნეში ქართული ეკლესიები არსებობდა პალესტინაში, საბაწმინდის განთქმულ ლავრაში. ბევრი იყო ქართველი იმავე საუკუნეში შაე მთაზედაც, ანტიოქიის მახლობლად. მეათე საუკუნეში დაარსდა განთქმული ქართული მონასტერი ათონის მთაზე, საბერძნეთში. თვითონ საქართველოშიაც სამონასტრო მოძრაობა დაიწყო მეექვსე საუკუნეში, მაგრამ განსაკუთრებით გაიშალა იგი მერვე საუკუნის დამლევიდან. კერძოდ, ტაო-კლარჯეთში ამ ხანიდან ჩნდება ისეთი მნიშვნელოვანი საეკლესიო-კულტურული ცენტრები, როგორიც იყო: ხანძთა. შატბერდი. ოპიზა. იშხანი. ოშკი, წყაროსთავი. ბანა და სხვები. შინაურ ცენტრებს ცხოველი ურთიერთობა ჰქონდათ საზღვარგარეთულ ცენტრებთან.

თარგმნილ მწერლობაში ალსანიშნავია მეცნიერულ-ფილოსოფიური თხზულებები. როგორც, მაგალითად, ბასილი კესარიელის „კაცისა შესაქმისათვის", რომელიც მოთავსებულია განთქმულს შატბერდის კრებულში მეათე საუკუნისა. ფილოსოფიის ცოდნა იმ დროს უკვე საყოველდებულოდ ითვლებოდა განათლებული კაცისათვის. გრიგოლ ხანძთელს, მაგალითად, რომელიც ცნობილი ნერსე ქართლის ერისთავის კარზე იზრდებოდა მერვე საუკუნის სამოცდაათიან წლებში, ასეთი განათლება მიუღია: „მსწრაფლ ხოლო დაისწავლა დავითი და ხმითა სასწაველსა სწავლაი საეკლესიოი. სამოძღვროი ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა და მწიგნობრობაიცა ისწავა მრავალთა ენათაი და სალმთონი წიგნი ზეპირით მოიწვართნა. ხოლო სიბრძნეიცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაი ისწავა კეთილად"-ო, ამბობს მერჩული. მაშასადამე, გრიგოლს ჯერ ზეპირი გზით შეუთვისებია („ხმითა სასწაველსა", „ზეპირით მოიწვართნა") ცოდნა. შემდეგ ქართულის გარდა, მრავალ სხვა ენაზედაც უსწავლია მწიგნობრობა და ამრიგად შეუძენია როგორც საეკლესიო, ისე საერო, კერძოდ, ფილოსოფიური, განათლება.

იმდროინდელი მწერლებიც, დროის შესაფერისად, დიდად განათლებული არიან. მოცემულ ხანაში წარმოიშვა ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისეთი შესანიშნავი ნაწარმოები, როგორიცაა „სიბრძნე ბალავარისა". „ბალავარის სიბრძნე" არის ქართველი მწერლის მიერ დამუშავებული აღმოსავლური თქმულებები ბუდას შესახებ. ქართული „ბალავარის სიბრძნე" თავისი ღრმა აზრებისა და წარმტაცი მხატვრული თხრობის წყალობით ცნობილი გახდა მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის. განთქმულმა ქართველმა მოღვაწემ ეფთიმე ათონელმა მე-11 საუკუნეში ეს ნაწარმოები ბერძნულად გადათარგმნა, ხოლო ბერძნული ენიდან იგი იმავე მე-11 საუკუნის პირველსავე ნახევარში გადათარგმნილ იქნა ლათინურადაც და მთელ ევროპას მოედო.

ამავე დროს, საქართველოში, ჩანს, არსებობდა საერო მხატვრული მწერლობაც, კერძოდ — თარგმნილი პოეტური ძეგლები, მაგრამ მათგან მხოლოდ პატარა ნაწყვეტებია დარჩენილი. ძნელი თვალსაჩინოა ამ საერო მწერლობის გაელენა საისტორიო და საეკლესიო მწერლობაზე.

შესანიშნავ განვითარებას მიაღწია ამ ხანაში ქართულმა ხელოვნებამაც, კერძოდ — არქიტექტურამ. იმდროინდელი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები, როგორიცაა ოშკი, იშხანი, ბანა, ხახული და მრავალი სხვა ეხლაც აკვირვებს მნახველს თავისი ფორმების სიდიადით და სილამაზით.

საქართველოს საშინაო პოლიტიკური და კულტურული გაძლიერების ხანა

ბაგრატ III (976, 980 — 1014) და საქართველოს საბოლოო გაერთიანება

ქართველთა სამეფოებს შორის X-ე ს. განმავლობაში მიმდინარე ბრძოლა ეგრეთწოდებულ აფხაზთა მეფის, დასავლეთ საქართველოს მფლობელის, გამარჯვებით დამთავრდა: მან აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს, ჭართლის თემის, უდიდესი ნაწილის ხელში ჩაგდებაც შეძლო. მაგრამ მხოლოდ უსინათლო თევდოსის მეფობაში, პოლიტიკური საქმეების სრული არეცოდინების გამო, დიდგვაროვან აზნაურებმაც კი შეიგნეს, რომ სუსტი მმართველი ქვეყანას, უბედურების მეტს, არაფერს უქადდა. ამიტომ, იოანე მარუშის ძის თაოსნობით, მათ მიმართეს ტაოს მბრძანებელს დავით დიდ კურაპალატს თხოვნით, რომ, ან მას საქართველოს მართვა-გამგეობა თითონ ეკისრა, ან არა და აფხაზთა და ქართველთა სამეფოს ტახტზე თავის მახლობელი ნათესავი, შვილობილი ბაგრატ მესამე, დაესვა.

დავით დიდი კურაპალატი დათანხმდა, რომ სამეფო ტახტზე ბაგრატ III-ე დაესვა, რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოს გააერთიანებდა. 974—975 წელს ქართლში მოვიდა და თან ბაგრატ III-ც მოიყვანა. ხოლო, რადგან ის იმ დროს ჯერ კიდევ სრული წლოვანი არ იყო. მზრუნველად მისივე მამა გურგენი დაუნიშნა.

იოანე მარუშის ძის პოლიტიკური გეგმა იმაზე იყო დამყარებული, რომ ბაგრატ III-ე მამით ქართველთა მეფის შთამომავალი იყო, დედის მხრით-კი ის „აფხაზთა მეფეების“ მემკვიდრედ ითვლებოდა. რაკი უსინათლო მეფე თევდოსის შთამომავლობა არ ჰყავდა, კანონითაც აღმოსავლეთისა და დასავლეთი საქართველოს სამეფოების გაერთიანებაც მხოლოდ ბაგრატ მესამეს შეეძლო.

თვით ბაგრატის, მისი დედისა და მამის საჯდომ ქალაქად იმ დროს უფლისციხე იყო. უსინათლო თევდოსის მეფობაში ქვეყანა იმდენად აირია, რომ დასავლეთ საქართველოს დიდგვაროვან აზნაურებმა სთხოვეს ბაგრატ III-ეს, აფხაზეთში გადასულიყო და აქაური საქმეების მოწესრიგებაც მასვე ეკისრა. 978 წ. მართლაც ის დასავლეთ საქართველოში მივიდა, უსინათლო ბიძა თევდოსი თავის პაპა დავით კურაპალატთან გაგზავნა, დედა-კი უფლისციხეში დასტოვა აღმოსავლეთ საქართველოს საქმეების განსაგებლად. მაგრამ მხოლოდ 980 წლის შემდეგ, შემდე

სრულწლოვანს. მას საშუალება ჰქონდა მთლიანად მეფური მოვალეობის აღსრულებას შესდგომოდა.

სანამ ქვეყანაში უწესოება მძვინვარებდა. დიდგვაროვანი აზნაურები მოწადინებული იყვნენ. რომ ძლიერ ხელისუფლებას საქართველოში წესრიგი დაემყარებინა. მაგრამ, რაკი ბაგრატი შეუდგა მათ თვითნებურ მოქმედების აღაგმვას, დიდგვაროვან აზნაურთ თავიანთი მოქმედების წინანდელი თავისუფლება ისევ მოენატრათ. ამის გამო, როდესაც ბაგრატ III-ემ საქმეების მოსაწესრიგებლად აღმოსავლეთ საქართველოში მოინდომა გადმოსვლა, ქართლის საზღვარზე დაუხვდნენ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში აღარ გადმოეშვათ.

ბაგრატი მაშინვე დიდგვაროვან აზნაურებს შეებრძოლა, დაამარცხა. ქართლში გადმოვიდა, ქალაქ უფლისციხიდან თავისი დედა გამოიყვანა და ქვეყნის მართვა-გამგეობას ქართლშიც უკვე თითონ შეუდგა. ამრიგად დასავლეთ საქართველოს და აღმოსავლეთ საქართველოს შეაგულის. ქართლის, მართვა-გამგეობის გაერთიანება ამიერითგან განხორციელებული იყო.

მხოლოდ ქართლში იყო კლდე-კარის ერისთავი-ერისთავი დარჩენილი. რომლის სამფლობელო თრიალეთიდან მანგლისის ხეობამდე იყო გადაჭიმული. როცა მან ბაგრატ III-ისაგან მოსალოდნელი განსაცდელი იგრძნო, დავით დიდ კურაპალატს ჩააგონა, ვითომც ბაგრატ III-ე მასთან საბრძოლველად ემზადებოდა. დავით კურაპალატმა ეს ამბავი დაიჯერა და თითონაც ჯარშეყრილი ბაგრატის წინააღმდეგ დაიძრა იმ დროს, როდესაც ბაგრატი კლდე-კარის ერისთავის დასამორჩილებლად მიდიოდა. შესაძლებელი იყო. ნაშვილიშვილებსა და პაპას შორის შეტაკება მომხდარიყო, მაგრამ ბაგრატმა სისხლის ღვრა თავიდან აიცილა: ის მარტო-მარტო წარუდგა დავით კურაპალატს და თავისი შეიარაღების მიზეზი მოახსენა. დავით დიდ კურაპალატმა შვილობილს დაუჯერა და უკან მოხევლეზე მიანება. ამგვარად 989 წელს ბაგრატ III-ემ კლდე-კარის ერისთავთ-ერისთავის დამორჩილებაც შესძლო.

1001 წელს დავით კურაპალატი გარდაიცვალა. დავით დიდ კურაპალატს ეგონა. რომ მისი სიკვდილის შემდგომ ეს მისი საბრძანებელიც საქართველოს შეუერთდებოდა: ბაგრატ III-ე, ვითარცა მისი შვილობილი. მისი მფლობელი გახდებოდა. მაგრამ ბიზანტიის კეისარი ბასილ ბულგართ-მმუსვრელი დავით კურაპალატის სიკვდილისთანავე მრავალრიცხოვანი ჯარითურთ ტაოსაკენ წამოვიდა. ბაგრატი და მისი მამა გურგენ მეფეც ტაოსაკენ გაეშურნენ. მათ იმედი ჰქონდათ, რომ დავით კურაპალატის მემკვიდრეობას მიიღებდნენ, ამიტომაც ბიზანტიის კეისარს საზღვარზე დახვდნენ და მიესალმენ.

თუმცა ბასილმა ორივენი პატივისცემით მიიღო, მაგრამ ბაგრატს კურაპალატობის წოდებულობა მიანიჭა. მის მამას გურგენ მეფეს-კი. მამა-შვილს შორის ურთიერთების ჩამოსაგდებად, ბიზანტიის უფრო დაბალი საკარისკაცო წოდებულება. მაგისტროსობა მისცა. ბიზანტიის კეისარს უნდოდა თავის სამფლობელოებისათვის საქართველოს თემებიც შეერთე-

ბინა. რაკი საქართველოს და ბიზანტიის პოლიტიკური მისწრაფებანი ერთი-ერთმანეთს ძირითადად ეწინააღმდეგებოდნენ, თუ არა შებრძოლებით, ამ უთანხმოების მოგვარება არ შეიძლებოდა. ამიტომაც ამ მეკვიდრეობის გამო საქართველოსა და ბიზანტიას შორის ხანგრძლივ ომიანობა იყო ბრძოლა.

1008 წელს ბაგრატ III-ის მამა, გურგენ მეფე, რომ გარდაიცვალა, მის უშუალო გამგებლობაში მყოფი შავშეთ-კლარჯეთი, სამცხე და ჯავახეთი ამიერიდან ბაგრატ III-ის საბრძანებელს შემოუერთდა. ახლა მხოლოდ კახეთ-ჰერეთი-ღა წარმოადგენდა ცალკე სამეფოს. ბაგრატი 1010 წლის ახლო ხანში კახეთს შეესია. მისი მეფე დაიჭირა, აფხაზეთში წაიყვანა, თვით კახეთ-ჰერეთში-კი თავისი მოხელე აზნაურები ჩააყენა. ამგვარად, კახეთ-ჰერეთიც უკვე შემოერთებული იყო.

1011-12 წწ. ბაგრატმა „კლარჯთა ხელმწიფენი" სუმბატ და გურგენი, ძენი ბაგრატ არტანუჯელისანი, ფანასკერტის ციხეში მიიწვია, დააჭერინა. ორივე ციხეში ჰყავდა დამწყვდეული, სამფლობელო-კი ჩამოართვა.

საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების გეგმის უდიდესი ნაწილი ამ გვარად უკვე განხორციელებული იყო. მაგრამ განძის ამირა ფადლონი არ აძლევდა საქართველოს მოსვენებას: დრო-გამოშვებით ის კახეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს შემოესეოდა და აოხრებდა ხოლმე. ამიტომ ბაგრატ III-ემ მისი სამაგალითო დასჯა გადასწყვიტა: 1011-12 წწ. ბაგრატი და გაგიკი სომეხთა მეფე შეერთებული ძალით ფადლონის სამფლობელოს, რანს, შეესივნენ, შანჭორს მიადგნენ, ქალაქი აიღეს და თვით ფადლონი ისეთ მდგომარეობაში ჩაგდეს, რომ იძულებული იყო დაჰმორჩილებოდა და ზავი ეთხოვა. ბაგრატ III-ემ, თავის სამხედრო სახჯოს თანხმობით, ფადლონთან ზავი შეკრა, რომელმაც სრული მორჩილება და კოველწლიური ხარკის ძღვენა იკისრა.

ამ რიგად, არამც თუ ბაგრატ III-ემ მთელი საქართველოს გაერთიანება მოახერხა ტფილისის საამიროს გარდა, არამედ განძის ამირას ყმადნაფიცადაც ქცევაც შესძლო. თუმცა ტფილისის საამირო ჯერ დაპყრობილი არ იყო, მაგრამ, მტრით გარშემორტყმული ციხის მსგავსად, მისი საბოლოო ბედიც უკვე განწირული იყო.

36 წლის მეფობის შემდეგ, საქართველოს ამ ენერგიულმა პირველმა გამაერთიანებელმა ბაგრატ III-ემ 1014 წელს თავისი დღენი ფანასკერტის ციხეში დალია. მისმა ერთგულმა თანამებრძოლმა, განთქმულმა სარდალმა ზეიად ერისთავმა ბაგრატ მესამის ნეშთი ბაგრატისგანვე აგებულს ბედიის ტაძარში მიაბარა მიწას.

გიორგი I (1014 — 1027)

შინაური და საგარეო ბრძოლა საქართველოსა და ბიზანტიის შორის დავით კურაპალატის სამფლობელოს გამო

გიორგი I გამეფებისას მცირეწლოვანი იყო. გაერთიანებული საქართველოს მეფის ხელისუფლებისთვის ის შესაფერისად მომზადებული ვერ

იქნებოდა. ქართლ-კახეთის აზნაურებმა ამ გარემოებით ისარგებლეს: კახეთიდან გააძევეს ბაგრატ III-ის დაყენებული მოხელეები და თავიანთი წინანდელი მმართველი მიიწვიეს. ამ გვარად კახეთ-ჰერეთი გაერთიანებულ საქართველოს ისევ ჩამოჰშორდა.

ასეთ გარემოებაში გიორგი I-მა გადაწყვიტა, რომ ის, რაც მის მამას, ბაგრატს, გაუერთიანებელი დარჩა, იმისი დასაკუთრება მაინც მოეხერხებინა. მან ისარგებლა შემთხვევით, რომ ბიზანტიის კეისარი ბასილი II 1014 წ. — 1016 წლამდე ბულგარელებს ეომებოდა, და, დავით დიდი კურაპალატის ყოფილი სამფლობელოს საქართველოსთან შემოსაერთებლად. ბიზანტიის საზღვარი გადალახა და ტაო დაიპყრო.

ბასილი II ბულგარელთა წინააღმდეგ მოწყობილი ლაშქრობიდან ძლევამოსილი დაბრუნდა თუ არა, გიორგი I-ს შემოუთვალა, დაპყრობილი ქვეყანა დაეტოვებინა და იმ სამფლობელოთი დაკმაყოფილებულიყო, რომელიც მას ეკუთვნოდა. გიორგი I-მა არამც თუ ეს წინადადება უარყო. არამედ მაჰმადიან მფლობელ ალ-ჰაქიმთან სალდობლო მოლაპარაკებაც დაიწყო. რომ შეერთებული ძალით ბიზანტიის წინააღმდეგ გაელაშქრათ. ბასილ II კეისარს ეს არ გამოჰპარვია, ამიტომ 1021 წელს მან საპასუხო ლაშქრობა მოაწყო, ისე კი, რომ გიორგი I-ს ეშვიც კი არ აღუძრა, რომ სწორედ საქართველოში შემოსასევად ემზადებოდა. მრავალრიცხოვანი ჯარითურთ ის უეცრად დაიძრა. გიორგი I-ც იძულებული იყო, საჩქაროდ მის წინააღმდეგ ამხელრებულიყო. ბრძოლა ბასიანში უნდა მომხდარიყო. მაგრამ ქართველებმა უბრძოლველად უკან დაიხიეს ჯერ ოლთისში. ხოლო იქიდან კოლას. ბიზანტიის კეისრის ჯარი უკან მისდევდა, სოფელ შირიმნში დიდი ბრძოლა მოხდა, რომელშიც ბევრნი დაიხოცნენ. მათ შორის ქართველთა გამოჩენილი სარდლები რატი ძე ლიპარიტისა და ხურსიც. ქართველები დამარცხდნენ.

გიორგი I-მა აქედანაც დაიხია. ჯერ არტაანში მივიდა. შემდეგ სამცხეში. ბასილი II ჯავახეთის გზით ცდილობდა დასწეოდა და გზადაგზა გაელილ ქვეყანას აოხრებდა. გიორგი იძულებული იყო უკვე თრიალეთში გადასულიყო, სადაც წანართა და შაქელთა მეშველი ჯარი დახვდა. ეხლა-კი ბრძოლის განახლება შეეძლო, მაგრამ მაშინ უკვე ბიზანტიის კეისარმა უკან დახევა და შინ დაბრუნება გადაწყვიტა. საზამთროდ იგი თავის სამფლობელოში ხალდიაში გადავიდა, ქ. ტრაპიზონის მახლობლად დაიბანაკა და აფხაზეთში შესასევად ხომალდებს ამზადებდა.

გიორგი I-მა გადაწყვიტა საზაფხო მოლაპარაკება განეახლებინა და კეისარს ზავის პირობების გამოსარკვევად მოციქული მიეგზავნა კიდეც მაგრამ, რაკი ბიზანტიის კეისრის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო, გიორგი I-მა აჯანყებულ ჭიოფსა და ფოკასთან მოლაპარაკება გაბა, ბიზანტიის კეისარს-კი ზავზე უარი შეუთვალა. მაგრამ ბასილ II-მ აჯანყების ჩაქრობა მოახერხა და გიორგი I-ლს დამარცხებული ფოკას მოკრული თავი გამოუგზავნა, რითაც აგრძნობინა, რომ მისი ყველა საიდუმლოება კარგად იცოდა. თანაც შემოუთვალა. დაპყრობილი ქვეყანა უკან დაებრუნებია.

გიორგი I-მა ბიზანტიელებთან მოსალაპარაკებლად ზვიად ერისთავი წარგზავნა, მაგრამ ცდილობდა, მოლაპარაკება როგორმე გაეჭიანურებინა. მაშინ კეისარმა დაასწრო და კვლავ ომი ატყდა, რომელშიც ქართველები დამარცხდნენ. 1023 წელს გიორგი I-ლი იძულებული იყო მეტად მძიმე ზავის პირობებს დასთანხმებოდა: მას უნდა დავით კურაპალატის მთელი ქვეყანა ტაოს, კოლა-არტაანსა და ჯავახეთში დაებრუნებინა, ამას გარდა თავისი მცირეწლოვანი შვილი ბაგრატიც ზავის დაურღვევლობის საწინდრად სამი წლით მძევლად მიეცა.

ბასილ II-ემ მცირეწლოვანი ბაგრატი თან წაიყვანა, სამი წლის შემდგომ-კი 1025 წელს, მართლაც მამას უკან დაუბრუნა. გიორგი I-ლი 1027 წელს გარდაიცვალა და მის მაგიერ სამეფო ტახტზე მცირე-წლოვანი ბაგრატი იქნა აყვანილი.

ბაგრატ IV (1027-1072)

ბრძოლა საქართველოს გაერთიანების დასამთავრებლად და გარეშე მტრისა და დიდგვარიანი აზნაურების წინააღმდეგ

ბაგრატს დამარცხებული ქვეყანა და შინაურობაში აწეწილ-დაწეწილი საქმეები ერგო მემკვიდრეობად. ამის მოსაწესრიგებლად ძლიერი მართველი იყო საჭირო. მცირეწლოვანი ბაგრატი-კი ასეთი მოვალეობის ასრულებას ვერ შესძლებდა: საქართველოს მაშინდელ მეფეს საქმეს დიდგვარიან აზნაურთა ორპირული და ვერაგული მოქმედება ურთულებდა. ტაოელი აზნაურნი განდგომილებასაც კი არ უკადრისობდნენ. 1027 წელს ისინი ბიზანტიელთა მხარეზე გადავიდნენ და მათ ხელში მყოფი ყველა ციხეები გადასცეს.

1028 წელს საქართველოს ბიზანტიის სარდალი შემოესია და ქვეყნის აოხრება დაიწყო. ასეთი განსაცდელის დროსაც აზნაურებმა თავიანთი ორპირული ქცევით ბიზანტიელებს საქმე გაუადვილეს. ამით ქვეყანა და ბაგრატ IV დიდ განსაცდელში იყო ჩავარდნილი და მხოლოდ საბა მტბევარის თავგამოდებულმა მოღვაწეობამ და შავშეთის ენერგიულმა დაცვამ გადაარჩინა მთელი ეს კუთხე ბერძენთა მძლავრობისაგან: მან თავისი საეპისკოპოსოს მცხოვრებლებისაგან ჯარი შეჰქმნა, ბიზანტიელთა და მოღალატე აზნაურთა სამხედრო ძალას თავისი სამშობლოს ერთგული, ქართველი ხალხის სამხედრო ძალა დაუპირისპირა და ბაგრატ IV-ს ბრძოლა გაუადვილა. მაშინ ბიზანტიის მთავრობამ მდაბიო ხალხის შესაცდენად დემეტრე უფლისწული შემოიყვანა საქართველოში: ბიზანტიის მთავრობას უნდოდა ამით ხალხისათვის მოეჩვენებინა, ვითომცა მას დამპყრობილობითი მიზანი-კი არ ჰქონდა დასახული, არამედ მხოლოდ ქართველი უფლისწულის გამეფება სწადდა.

კონსტანტინე კეისრის 1028 წ. გარდაცვალებამ საქართველოს საშუალება მისცა ოდნავ დამშვიდებულიყო. ბაგრატ IV-ს დედამ, მარიამ დედოფალმა, ამით ისარგებლა: 1030—1031 წ. ბიზანტიაში გაემგზავრა და

ბიზანტიის კეისართან ბერძენთა და ქართველთა შორის მშვიდობიანობისა და ზავის ჩამოგდებაზე დაიწყო მოლაპარაკება. დასახულ მიზანს მიაღწია კიდეც. მშვიდობიანი ურთიერთობის განსამტკიცებლად მან ბიზანტიის კეისარს ბაგრატისათვის საცოლოდ ბერძენთა უფლისწული ელენე სთხოვა, რაზედაც თანხმობა მიიღო კიდეც. კეისარმა ბაგრატ IV-ეს კურაპალატობაც მისცა. ამ დაზავებამ და დამოყვრებამ ბიზანტიასა და საქართველოს შორის მშვიდობიანი ურთიერთობა დაამყარა.

მაგრამ ელენე დედოფალი მალევე გარდაიცვალა. მისი გარდაცვალება და ბიზანტიის აქტიური პოლიტიკის განახლება თითქმის ერთდროულად იყო. 1032 წელს ბიზანტიელები შეუჩნდნენ ბაგრატის ნახევარძმას დემეტრეს ასაკანყებლად: ისიც კეისართან გაიქცა და ანაკოფიის ციხე აფხაზეთში ბერძნებს გადასცა. ბიზანტიელებს ამ დროიდან საქართველოსთვის ჩრდილოეთიდანაც ალყის შემორტყმის საშუალება მოეცათ. ბაგრატს უფლება არ ჰქონდა, ამისათვის პასუხი არ გაეცა, მაგრამ იმ დროს მას ტფილისის ამირას ჯაფარის წინააღმდეგ ჰქონდა ბრძოლა დაწყებული და მას საამისოდ მაშინ არ ეცალა.

1032 წელს ლიპარიტმა და ივანე აბასაისძემ ტფილისის ამირა ჯაფარის ხელში ჩაგდება და ბირთვისის წართმევა მოახერხეს. მაგრამ ლიპარიტის მოწინააღმდეგე დიდგვაროვანი აზნაურები ბაგრატ IV-ს შეუჩნდნენ და ამის წყალობით მცირეწლოვანმა ბაგრატ IV-ემ ამირა გაანთავისუფლა. ქართველთაგან ხელში ჩაგდებული დედაქალაქი ისევ ტფილისის ამირას შერჩა.

1037 წ. ტფილისის დაპყრობა კვლავ საზრუნავი გახდა. ბაგრატ IV-ისა და კახთა მეფის მაშველ ჯარს ტფილისისათვის ალყა ჰქონდა ორი წლის განმავლობაში შემორტყმული, რის გამოც ისეთი შიმშილობა მძვინვარებდა ქალაქში, რომ ტფილისის ამირამ უკვე გადაწყვიტა, ან დაჰზავებოდა, ან გაქცეულიყო. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ბაგრატმა მოულოდნელად, ლიპარიტისათვის შეუტყობინებლივ, 1039-40 წ. ზავი დასდო ამირასთან, რამაც ლიპარიტის უკმაყოფილება გამოიწვია მით უმეტეს, რომ ბაგრატ IV-ის საკუთარი ლიპარიტის მოწინააღმდეგე დიდგვაროვან აზნაურთა ჯგუფის ინიციატივის შედეგი იყო.

დამოკიდებულება ბაგრატ IV-ესა და ლიპარიტს შორის იმდენად გამწვავდა, რომ, თუმცა ამის შემდეგ ბაგრატმა კახეთში ძლევამოსილი ომი გადაიხადა, მაგრამ, შინაური მტრის შიშით, ბაგრატი იძულებული გახდა კახეთიდან უკან დაეხია: სწორედ ამ 1044-5 წ. ბაგრატ-ლიპარიტს შორის დაუნდობელი ბრძოლა ატყდა.

ლიპარიტ ამირა, როგორც ძლიერი პიროვნება და საქართველოს განთქმული სარდალი, კარგად იყო ცნობილი მთელს მახლობელ აღმოსავლეთში: ბიზანტიელებიც და მაჰმადიანი მმართველებიც მას დიდის პატივისცემით ეპყრობოდნენ. ბიზანტიის მთავრობა ცდილობდა, რომ ის საქართველოს მეფის წინააღმდეგ გამოეყენებინა. ლიპარიტსა და ბაგრატს შორის ატეხილ ბრძოლაში ბიზანტიელები ლიპარიტის მხარეზე იყვნენ.

ბიზანტიელებთან შეთანხმებით. ლიპარიტმა ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ ბიზანტიიდან დემეტრე უფლისწულიც კი გამოიყვანა გასამეფებლად.

ბაგრატმა გადასწყვიტა, ლიპარიტს შეჰრიგებოდა და ამ გზით მშვიდობიანობა დაემყარებინა: შეურიგდა კიდეც და ქართლის ერისთავად დანიშნა. ამ დროიდან მცირე ხნით მაინც ნორმალური ურთიერთობა დამყარდა.

1045 წელს ქ. ანისის „ბერებმა" (მოჭალაქეთა უფროსებმა) ბაგრატსა და მის დედას, სომეხთა მეფის ასულს, ანისი და ცხრა ციხე შესთავაზეს. ბაგრატი დაიძრა თავის ჯარითურთ, სომხეთის სამეფოს ყოფილი დედაქალაქი ცხრა ციხითურთ ჩაიბარა და ანისში თავისი ხელისუფლები მეციხოვნე ჯარითურთ ჩააყენა.

ბაგრატმა გადასწყვიტა რომ. ამის შემდეგ ბიზანტიისათვის ანაკოფიის ციხის წართმევაც შეეძლო. 1046 წელს ანაკოფიის ციხეს ალყა შემოარტყა კიდეც, მაგრამ სწორედ ამ დროს ტფილისის ამირა გარდაიცვალა და ქალაქ ტფილისის წარმომადგენლებმა ბაგრატს მოსკენული მოუგზავნეს, რომ საქართველოს დედა-ქალაქი ჩაებარებინა. ბაგრატ IV-მ ანაკოფიის ციხეს დროებით თავი მიანება და უმალ ტფილისისაკენ გამოეშურა. ამგვარად ტფილისი საქართველოს შემოუერთდა. ესოდენ ღვაწლმოსილებულს ბაგრატ IV-ს კახთა მეფე გაგიკი-კი ეწვია სადარბაზოდ. მაგრამ ლიპარიტი ბაგრატ IV-ს კვლავ აუჯანყდა: მან ბაგრატის მიერ ანისის მართველად დანიშნული ერისთავი აბუსერიძე, ბიზანტიელთა წაქეზებით შეიპყრო. ლიპარიტის ამ მოღალატურმა მოქმედებამ საქართველოს ანისიც დააკარგვინა და ტფილისიც ხელიდან გამოაცალა.

მეფესა და ლიპარიტს შორის გაჩაღდა დაუნდობელი ბრძოლა, რომელიც კახეთისა და ქართლის დიდგვაროვანი აზნაურობისა და დიდი სამღვდელო პირების მხურვალე მონაწილეობით მთელი 1046—1047 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. რაკი ლიპარიტს ბიზანტიის მთავრობა უჭერდა მხარს, ბაგრატს ბრძოლა გაუჭირდა. ამიტომაც ბაგრატმა სცადა. თავის ძლიერ ქვეშევრდომს შეჰრიგებოდა. მაგრამ ლიპარიტმა ეს წინადადება უარყო, და მეფე დაამარცხა.

ლიპარიტმა გამარჯვება უმთავრესად ბიზანტიის მძლავრი დახმარების წყალობით შესძლო. ლიპარიტმა სამაგიეროდ ბიზანტიელებთან ერთად თურქების წინააღმდეგ ლაშქრობა იკისრა. ერთს ასეთ ლაშქრობაში ლიპარიტი თურქებმა 1048 წელს დაატყვევეს და საქართველომ ბაგრატ IV-ის დაუძინებელი მტრის თაებელური ჩქეიძისაგან ოდნავ მოისვენა. ბაგრატ IV-ს ამ ტყვეობამ საშუალება მისცა, ძალა მოეკრიფა და შინაურობაში წესიერების დამყარებას შეხდგომოდა.

საქართველოს მეფის ისეთ გაძლიერების გამო, ტფილისელებმა საქართველოს დედა-ქალაქი კვლავ ბაგრატს შემოსთავაზეს, რომელიც ბაგრატმა შემოიერთა კიდეც. ამრიგად, საქართველოს სრულიადი გაერთიანება თითქმის უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ 1051 წელს, ბიზანტიის მთავრობის გულმოდგინე ცდით, ლიპარიტი თურქთა ტყვეობიდან განთავისუფლდა და მის მოსვლისთანავე ბაგრატმა ტფილისი

მიატოვა. დაბრუნებული ლიპარიტი კვლავ გაძლიერდა, ბაგრატ მეფე-კი იძულებული იყო ბიზანტიაში წასულიყო და ბიზანტიის მთავრობასთან მოლაპარაკების გზით თავისი და ლიპარიტის გაშწვაებული ურთიერთობის მოწესრიგება ეცადნა.

1054 წელს ბაგრატ IV-ე ბიზანტიაში გაემგზავრა, მაგრამ ბიზანტიის მთავრობას ცხადად ლიპარიტის მხარე ეჭირა. მაინც კონსტანტინოპოლში როგორც იყო, ბიზანტიის კეისრის უშუალო მონაწილეობით, დაზაევება მოხერხდა: ლიპარიტმა სცნო ბაგრატის მეფობა მთელ საქართველოში, ლიპარიტი-კი, სანამ ცოცხალი იქნებოდა, უნდა მესხეთის ნახევრის მთავარი ყოფილიყო. კეისრის პოლიტიკურ ზრახვათა ერთგული განმახორციელებელი ბიზანტიის მთავრობის წყალობით ასე უბედ იქნა დაჯილდოებული.

ბაგრატ IV ჯერ კიდევ ბიზანტიაში იმყოფებოდა, რომ ლიპარიტი მცირეწლოვანი გიორგი უფლისწულის ალმზრდელად იქცა. გიორგი უფლისწული მეფედაც-კი აკურთხეს, ლიპარიტი-კი მის მზრუნველად დანიშნეს. საქართველოს სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობა მთლიანად ლიპარიტს ჩაუვარდა ხელში.

ბაგრატ მეფეს საშუალება ჰქონდა 1057 წელს საქართველოში დაბრუნებულიყო. ამ დროიდან მოყოლებული ბაგრატ-ლიპარიტის ურთიერთობა გარეგნულად მაინც მოწესრიგებული ჩანდა, მაგრამ ბოლოს ლიპარიტის ბატონობას მისი მედიდური ქცევით მობეზრებულმა თვით დიდებულმა აზნაურებმა დაუდეს საზღვარი: უკმაყოფილოთა მეთაურმა სულა კალმახელმა ლიპარიტ ამირა შეიპყრო. ბაგრატი მივიდა და დატყვევებული ლიპარიტი ჩაიბარა. მაგრამ ლიპარიტის ერთგული მეკიბოენი, რომლებიც მის სამფლობელოში იმყოფებოდნენ, მანამდე უწევდნენ წინააღმდეგობას, ვიდრე მეფესაგან ლიპარიტის უვნებლად გაშვების ალთქმა არ მიიღეს: მხოლოდ ამის შემდეგ გადასცეს მათ კლდეკარის ციხე.

ბაგრატის ტყვეობაში მყოფმა ლიპარიტმა ალთქმა დასდო, რომ საქართველოდან წავიდოდა და ბერად შედგებოდა. მართლაც ათონის ქართველთა მონასტერში შევიდა და იქ ანტონად სახელდებული ბერად აღკვეცა.

რაკი ბაგრატს ასეთი უძლიერესი მოწინააღმდეგე ჩამოცილდა, მას შეეძლო პოლიტიკური გეგმის განხორციელებას უკვე თავისუფლად შესდგომოდა. მართლაც 1060 წელს მან კახეთის დაპყრობაც მოახერხა და ბიზანტიის კეისრისაგან სევასტოსის წოდებულება და პატივიც მიიღო, ეს ბაგრატის საგარეო ურთიერთობაშიც გაძლიერების გარეგნული ნიშანი იყო.

მაგრამ ეხლა განსაკუთრებული ჭეშეანას უკვე სხვა მხრიდან მოადგა: 1065 წელს ალფარსლან სულტანი საქართველოს შემოესია, აოხრება დაიწყო, ჯავახეთის ახალქალაქი აიღო, გაკარკვა და დიდძალი ხალხი ამოხოცა. საქართველო უნდა შემოსეულ მტერს დაეზაეებოდა.

ბაგრატ IV-ეს შეეძლო საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლა

კვლავ განეახლებინა და 1068 წელს კახეთს შეესია კიდეც. მაგრამ გარეშე პოლიტიკურმა გარემოებამ ბაგრატ IV ისევ განსაცდელში ჩააგდო: სულტანი კვლავ საქართველოს შემოესია, კახთ ბატონი მტერს მიემხრო და ბაგრატს კახეთიდან უკან დახევა მოუხდა. 1068 წელს სულტანმა კვლავ ქართლი აიოხრა, შემდეგ არგვეთიც. აოხრების გამო საქართველოში შიმშილობა ჩამოვარდა. მხოლოდ ზამთრის სიფიცხემ აიძულა სულტანი ზაფის დაუდებლივ საქართველოდან წასულიყო, მაგრამ წასვლის წინ ტფილისი და რუსთავი მან განძის პატრონს ფადლონს მისცა. გათამამებული ფადლონ საქართველოს მოსვენებას არ აძლევდა. ამიტომ ბაგრატმა ტფილისის სანახებში მოთარეშე ფადლონს ჯარი მოუსია და დაამარცხა. გაქცეული ფადლონი ქალეთის მახლობლად იქნა შეპყრობილი.

ამის შემდეგ ბაგრატ IV ტფილისს მიადგა. აილო, საამიროს ციხეებიც ჩამოართვა, მაგრამ იმის მაგიერ, რომ ტფილისი მთლიანად შემოერთებინა, მან ქალაქი და საამირო გადასცა ტფილისის ამირების ერთ შეძლებულ ოჯახს იმ პირობით, რომ როგორც ყმადნაფიცს წლიურად 44000 დრაჰკანი გადაეხადა.

ბაგრატ IV-მ დაჭერილი ფადლონი, დიდი ხვეწნისა და სულტნის შუამდგომლობის შემდეგ, განთავისუფლა, სამაგიეროდ გაგიკეთი და გაგიც მიიღო. მაგრამ, ტყვეობითგან თავის დახსნის უმალ, ფადლონმა დადებული ფიცი გასტეხა. ამის საპასუხოდ ბაგრატმა განძა აოხრა.

ასეთ გართულებულ პოლიტიკურ მდგომარეობაში ერანის სულტანი სთხოვდა ბაგრატ IV-ეს, რომ საქართველოს ყოველწლიურად ხარკის გადახდა ეკისრა. ამის მაგიერ შეფე ყოველ წლივ ძღვენს უგზავნიდა, ხარკის დადებაზე-კი უარს ამბობდა. ასეთი დიპლომატიური ხერხით ბაგრატი საქმეს აჭიანურებდა. საქართველოზე ხარკის დადება სულტანმა ვერ მოახერხა და ასეთი მონობის იურიდიულად დაკანონება, რასაკვირველია, არც ბაგრატმა მოისურვა.

ორმოცდაბეთი წლის განმავლობაში მღელვარებითა და ბრძოლით საცსე მეფობის შემდეგ, ბაგრატი 1072 წელს გარდაიცვალა. თუმცა ბაგრატ IV-ის დროს საქართველოს გარეშე მტრებისაგანაც არ ჰქონდა მოსვენება, მაგრამ საქართველოს მაშინდელი სისუსტის მთავარ მიზეზს მაინც ის შინაური ბრძოლა წარმოადგენდა, რომელიც იმ ხანაში საქართველოში დიდგვაროვან აზნაურთა წყალობით სწარმოებდა.

გიორგი II (1072—1089)

ბაგრატ IV-ის მაგიერ 1072 წელს ჰაბუკი ეახშეილი გიორგი II გამეფდა. ის რჩეულ ცხენოსან-შეილდოსნად ითვლებოდა, უბე მწყალობელადაც იყო ცნობილი, მაგრამ სუსტი ნებისყოფის ადამიანი იყო და სახელმწიფო მესაჭედაც არ ეარგოდა: მას უფრო გართობა და ნადირობა იტაცებდა, ვიდრე სახელმწიფო საქმეებზე ზრუნვა. ამავე დროს საქართველოში ფრიად მნიშვნელოვანი საგარეო და საშინაო ამბები მოხდა, რომელთათვის სწორედ კარგი სახელმწიფო მოღვაწე იყო საჭირო.

გიორგი II-ის ხასიათის სისუსტით უპირველესად საქართველოს დიდგვარიანმა აზნაურებმა ისარგებლეს, რომელთა ალაგმვა მან ვერ მოახერხა. უკვე 1073 წელს ნიანია ქვაბულის-ძე, ივანე ძე ლიპარიტისა და ვარდან სვანთა ერისთავი განუდგნენ მეფეს და ქვეყანა არიეს. ნიანიამ ხომ იმდენი კადნიერება გამოიჩინა, რომ ქუთაისიც კი დაიპყრო და სახელმწიფო საჭურჭლე ჩაიგდო ხელში. ვარდანმა სვანები ააჯანყა, მათთან ერთად საეგროს შეესია და დარბევას შეუდგა. თუმცა გიორგი II-ემ აჯანყებულნი დაიმორჩილა, მაგრამ იმის მაგიერ, რომ სამაგალითოდ დაესაჯა, მან ყველანი წყალობით დატოვა: თითეულს მათგანს სამფლობელო გაუდიდა.

ასეთ პირობებში დიდგვარიან აზნაურ მოხელეებს ადვილად შეეძლოთ დაესკვნათ, რომ ერჩობა უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე მორჩილება. მართლაც ივანე ძე ლიპარიტისა გიორგი მეფეს ისევ აუჯანყდა. თუმცა გიორგი II-ემ ივანე მეორეჯერაც დაამარცხა, მაგრამ საჭმის გათავება მაინც შეთანხმება-შერიგებით ირჩია. ამავე ივანე ლიპარიტის-ძემ შემდეგ გიორგი მეფის ცხოვანნიც კი მოატყუა, გაგის ციხე ხელში ჩაიგდო და საქართველოს დაუძინებელ მტერს, განძის პატრონს ფადლონს, მიჰყიდა. ასეთი კადნიერებისათვის, ცხადია, ის უღმობელად უნდა ყოფილიყო დასჯილი, მაგრამ გიორგი II-ემ ვერც ამ შემთხვევაში გამოიჩინა გამბედაობა.

სულტან მელიქ-შაჰი რომ 1073 წელს საქართველოსაკენ გამოემგზავრა, იმავე ივანემ თავისი შვილი ლიპარიტი მიაგება. ამგვარად საქართველოს ერთი უძლიერესი ფეოდალთაგანი მოსისხლე მტერს მიემხრო. ივანე ლიპარიტის-ძემ მელიქ-შაჰთან დიდხანს მაინც ვერ შესძლო დარჩენა და იქიდან გამოიპარა. ამის საპასუხოდ მელიქ-შაჰმა გამოილაშქრა, სამშვილდე წაართვა, მთელი ეს მხარე აოხრა და უკან გაბრუნდა.

1073-74 წ. უკვე მელიქ-შაჰის სარდალი შემოიჭრა, მაგრამ ფარკხისთან მომხდარ ბრძოლაში საქართველოს ჯარმა გაიმარჯვა.

ამის შემდეგ გიორგი მეფე ტაოში გადავიდა. აქ მას ბიზანტიის სახელმწიფოს აღმოსავლეთის, ანუ ანატოლიის მხედართ-მთავარი და ერისთავთ-ერისთავი გრიგოლ ბაკურიანის-ძე ესტუმრა. იგი საქართველოს ისტორიაშიც განთქმულია იმ თავისი ღვაწლით, რომელიც მას ქართული ფილოსოფიური აზროვნების კერისა და იოანე პეტრიწის სავანის, პეტრიწონის ქართველთა მონასტრის, დაარსებით მოუძღვის. გიორგი მეფეს გრიგოლ ბაკურიანის ძემ მის განკარგულებაში მყოფი კარის (ყარსის) ციხე გადასცა ყველა მისი მიმდგომი ქვეყნებით. გიორგი II-ემ გადმოცემული ტერიტორია სიხარულით მიიღო და კარის ციხე-ქალაქში შავშელ აზნაურთა მეციხოვნე ჯარი ჩააყენა.

ამ ხანაში მახლობელ აღმოსავლეთში დაიწყო თურქების დიდი გაძლიერება და ის ბრძოლა, რომელიც უკვე კარგა ხანია ბიზანტიასა და თურქებს შორის მიმდინარეობდა, 1074 წელს ბიზანტიასა და თურქებს შორის დადებული ხელშეკრულებით დამთავრდა. ამ შეთანხმების ძალით

ბიზანტიელებმა აღმოსავლეთის ქვეყნის უდიდესი ნაწილი, რომელიც მათ მფლობელობაში იმყოფებოდა, დასთმეს. თუმცა ეს უპირველესად ბიზანტიის დაუძლურების მაჩვენებელი იყო. მაგრამ ამავე დროს საქართველოსთვისაც სამწუხარო მოვლენა იყო, რადგან სამხრეთ-დასავლეთითაც მოსაზღვრედ უკვე თურქთა სამფლობელო აღმოჩნდა.

ამ პოლიტიკური ცვლილებების შედეგი საქართველოსათვის მალევე საგრძნობი გახდა: თურქებმა კარის ციხე-ქალაქი ჩაიგდეს ხელში, რომელიც საქართველოს გრიგოლ ბაკურიანის-ძისაგან ჰქონდა მიღებული. ასეთ განსაცდელის ჟამს, ზოგ დიდგვარიან აზნაურთა შინათამცემლობით სხვა თურქმა ტომებმა დასავლეთ საქართველოშიც შესძლეს შეჭრა და ყველის ციხეში მდგომ გიორგი II-ს თავს დაესხნენ. მტრის ეს შემოსევა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ თურქებმა ადვილად გაიმარჯვეს. მათ დიდძალი ქონება ჩაუვარდათ ხელში, მათ შორის ოქროს და ვერცხლის საუცხოო ჭურჭელიც, რომელიც ჯერ კიდევ ბაგრატ III-ის დროს იყო გაკეთებული. დამარცხებული გიორგი II იძულებული იყო აქარიდან აფხაზეთში გადასულიყო.

თურქების გათამამებას უკვე ალარაფითარი საზღვარი არ ჰქონდა და 1080 წელს მათი დიდი შემოსევა დაიწყო, რომელსაც ქართულს საისტორიო წყაროებში „დიდი თურქობა" ეწოდება. ამ დროს კლარჯეთი, შავშეთი, აქარა აგრეთვე სამოქალაქო, არგვეთი და თვით ქართლიც კი დარბეული და აოხრებული იყო. მტერთან ბრძოლაში დიდძალი ხალხი დაიხოცა, სოფლები და ქალაქები განადგურებული იყო. მტრის თარეშისაგან სასოფლო-სამეურნეო მუშაობაც შეუძლებელი შეიქმნა. ხალხი უკიდურეს განსაცდელში იყო ჩაყარდნილი. გიორგი II-ეს არც ნებისყოფა და არც გამბედაობა არ აღმოაჩნდა, რომ გათამამებული მტრისათვის წინააღმდეგობა გაეწია, და მან გადასწყვიტა, რომ, დამორჩილების გარდა ალარაფითარი გამოსავალი არ ჰქონდა. დიდგვარიან აზნაურებთან ბჭობის შემდგომ, მეფე მელიქ-შაჰთან წავიდა და მასთან დაზავებაზე დაიწყო მოლაპარაკება.

თუმცა მელიქ-შაჰმა გიორგი II დიდი პატივისცემით მიიღო, მაგრამ უველაფერი თავისი მიზნის მისაღწევად გამოიყენა: გიორგი II-ს კახეთი და ჰერეთი შეაძლია, რომელნიც მის სამფლობელოს არ შეადგენდნენ და რომელთა მიცემაც მას არც შეეძლო, მაგრამ მელიქ-შაჰს ეს ხერხი პოლიტიკური ვერაგობით ჰქონდა გამოყენებული, რომ ერთი მხრით ამგვარი საქართველოში უთანხმოება და მტრობა ჩამოეგდო, მეორე მხრით კი ასეთი უხვი „საჩუქრით" გიორგი II-ე ყოველწლიური ხარკის გადახდაზე დაეთანხმებინა. სიბეცით გიორგი II-ეს მოეჩვენა, რომ კახეთ-ჰერეთის ასე გადმოცემა ხელსაყრელი იყო.

მელიქ-შაჰმა ჰერეთისა და კახეთის საქართველოსთან შესაერთებლად თავისი ჯარი გამოაყოლა. გიორგი II-ეს ეგონა, რომ ამით მართლაც მიზანი მიღწეული იქნებოდა. მტრის და ქართველთა შეერთებული ჯარი კახეთის და ჰერეთის სამეფოს შეესია და გიორგი II-მ ვეფხვის ციხის გარემოცვა დაიწყო, მაგრამ ციხის აღება მაინც ვერ მოახერხა. ამავე დროს

უკვე დაზამთრდა. თოვლიც მოვიდა, დადგა ნადირობის ხანა და გატაცებულმა მონადირემ გიორგი II-ემ სახელმწიფო საქმეს თავი მიანება და სანადიროდ გაეშურა. ექვთიმე გარემოცვის დამთავრება-კი სამხედრო პირებს მიანდო.

ამ ცხადი პოლიტიკური ქარაფშუტობის წყალობით, კახთა მეფეს ალსართანს სრული საშუალება ჰქონდა გიორგი II-ის უსუსური ზრახვა გაექარწყლებინა იმავე გზით, რომლითაც გიორგი II-მ თავისი პოლიტიკური გეგმის განხორციელება მოისურვა: მელიქ-შაჰთან წავიდა და შეეცდება. კახთა სამეფო კვლავ მის ხელში დაეტოვებინა. ეს მელიქ-შაჰისათვის ფრიად ხელსაყრელი იყო, რადგან ამ შემთხვევაშიც პირობის დამდები ის უნდა ყოფილიყო: თუ გიორგი II-ეს მან ყოველწლიური ხარკის გადახდა მოსთხოვა, ალსართანს ამის საფასურად წინასწარ პირობად დაუდო. გამაჰმადიანებულიყო. ალსართანი გამაჰმადიანდა და იმავე სულტან მელიქ-შაჰის დასტურითა და ბრძანებით გაძლიერებული ისევ თავის სამფლობელოში დაბრუნდა და გიორგი II-ის გულუბრყვილო პოლიტიკური გეგმა მთლიანად ჩაიშალა.

შინაურ უმწეო პოლიტიკურ მდგომარეობას ზედ სტიქიური უბედურებაც დაერთო: 1088 წელს საქართველოში კატასტროფული მიწისძვრა დაიწყო, რომელიც მთელი წლის განმავლობაში გრძელდებოდა და რომელმაც დიდძალი ცხე-ქალაქები და სოფლები იმსხვერპლა. მთლიანად დაინგრა განთქმული ქ. თმოგვი ციხითურთ, მრავალი ხალხიც დაიღუპა და ესახლკარიდ დარჩა. ამას მკაცრი ზამთარი, გაზაფხულზე-კი საშინელი წყალდიდობა მოჰყვა, რომელმაც ქვეყანას აგრეთვე დიდი ზიანი მიაყენა. ყველა ამ თავზე დამტყდარი უბედურების ზეგავლენით, გიორგი II-ემ შეფობას თავი დაანება და 1089 წელს საქართველოს სამეფო ტახტზე მისი ჰაბუკი ვაჟიშვილი დავითი, შემდეგ აღმაშენებლად წოდებული, ავიდა.

საქართველოს სოციალური და პოლიტიკური მიმართება XI — XII საუკუნეში

ბაგრატ III-ემ საქართველოს სახელმწიფოებრივობას მტკიცე საფუძველი ჩაუყარა. ბაგრატ III-მ პირველმა შეიგნო ის სახელმწიფოებრივი ამოცანა, რომლის გადაუჭრელადაც საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა შეუძლებელი იყო. მან თითქმის მთელი საქართველო გააერთიანა. ტფილისის საამიროს გარდა. მაგრამ მის მომდევნო მეფეებმა გიორგი I-მა, ბაგრატ IV-მ და გიორგი II-მ ამ საქმის ბოლომდის მიყვანა ვერ შეახერხეს და არამც თუ საქართველოს მთლიანობა სრულად ვერ აღადგინეს, არამედ ისიც-კი ვერ შეინარჩუნეს, რაც ბაგრატ III-ემ საქართველოს შესძინა.

იმ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას, რომელსაც ბაგრატ III-ე აწარმოებდა, ღირსეული განმაგრძელებელი საქართველოში ველარ აღმოუჩნდა.

მაშინდელი საქართველოს სისუსტის მთავარი მიზეზი პატრონ-

ყმობაზე დამყარებული სოციალური წესწყობილება იყო (ფეოდალიზმი). მთელი საქართველო პატრონებად და ყმებად იყო დაყოფილი. პატრონი ერთსადაიმავე დროს მწარმოებლისაც და მფლობელისაც კერძო მესაკუთრესაც, ნიშნავდა. მაგრამ ამასთანავე პატრონი მეფესაც ეწოდებოდა, ხოლო მის ქვეშევრდომებს ყმები ერქვათ, თუნდაც კი ისინი ძლიერებითა და ქონებრივი სახსრით უხვად აღჭურვილი დიდგვარიანი აზნაურები ყოფილიყვნენ.

მეფის ამ დიდგვარიან აზნაურ ყმებსაც თავიანთი ყმები ჰყავდათ, რომელთათვის ისინი პატრონნი იყვნენ. ყმები მათგან უფლებრივად და ქონებრივად იყვნენ დამოკიდებულნი. ამ ყმებსაც თავიანთ მხრით შესაძლებელია ჰყოლოდათ და ჩვეულებრივ ჰყავდათ კიდეც ყმები, რომელთათვის ისინი პატრონები იყვნენ. ამრიგად მთელი ქვეყანა თითქოს პატრონყმობის უღელში იყო შებმული. ეს სოციალური მოვლენა როგორც კერძო ურთიერთობაში, ისევე მაშინდელი სახელმწიფოებრიობისათვისაც იყო დამახასიათებელი.

ყმობა და პატრონყმობა სხვადასხვა ნიადაგზე იყო აღმოცენებული. მაგ. ტყვედ ჩავარდნილი პირი შესაძლებელია ყმად გამხდარიყო. მისი მდგომარეობა უფლებრივადაც და ქონებრივადაც სხვა ყმებზე უარესი იყო. ნასყიდ ყმათა კატეგორიაც არსებობდა. ყმათა ერთს ჯგუფს ისინი შეადგენდნენ, რომელნიც, როგორც შეუძლებელნი მოვალენი, სასამართლოსგან ვალის გადახდამდე იყვნენ ყმად მიცემულნი. მათი მდგომარეობაც მძიმე იყო. მაგრამ იყვნენ ყმები, რომელთა პატრონყმური ურთიერთობა „ნებაყოფლობითს" შეთანხმებაზე იყო დამყარებული. ასეთ ყმას ნებიერი ყმა ეწოდებოდა. ასეთი ყმობის მიზანს გავლენიანი და ძლიერი მფარველ-დამცველის მოპოვება შეადგენდა. როდესაც ასეთი ნებაყოფლობითი შეთანხმება წერილობითი საბუთითაც იყო აღბეჭდილი, რომელსაც მაშინ სიგელი ეწოდებოდა, ყმას სიგლოსანი ერქვა. ისეთი ყმებიც იყვნენ, რომელნიც ამათუიმ პატრონის თავიანთს ყმობაზე ხალხის აღწერის დავთარის შედგენის დროს განაცხადებდნენ და ჩააწერინებდნენ. ასეთ ყმას თავდაწერილი ეწოდებოდა.

ნებაყოფლობით ყმობაზე დამყარებული ურთიერთობა გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე სხვა კატეგორიის ყმებისა. ამ შემთხვევაში პატრონყმური ურთიერთობა მოწესრიგებული იყო, ან ზნე-ჩვეულებაზე დამყარებული პირობებით, ან და წერილობით საბუთში საგანგებოდ აღნიშნული პირობებით. ასეთი უპირატესი მდგომარეობა სიგლოსნებსა ჰქონდათ, ხოლო ნებიერთა და თავდაწერილთა პატრონყმური დამოკიდებულება შეთანხმებასა და ზნე-ჩვეულებას ემყარებოდა. სიგლოსნებსა და ნებიერთ გარკვეულ პირობებში პატრონისაგან წასვლის უფლება ჰქონდათ.

ყმას თავისი მიწა, ფუძე, ჰქონდა, რომელზედაც ის იჯდა და რომელიც მის საკუთრებას შეადგენდა. მაგრამ იყვნენ ისეთი ყმებიც, რომელთაც მიწა პატრონისაგან ჰქონდათ მიღებული. თავისუფალი გლეხებიც

იყვნენ, რომელნიც არაეის ყმად არ ითელებოდნენ და უშუალოდ სახელმწიფო დაწესებულებებს ექვემდებარებოდნენ.

პატრონი ვალდებული იყო თავისი ყმა და საყმო პირადადაც და ქონებრიადაც დაეცვა ყველგან და ყოველთვის, სადაც და რიდესაც-კი მისი დახმარება საჭირო იყო. ყმის მოვალეობას პატრონის ერთგული სამსახური, მასთან ერთად საბრძოლველად გასვლა, საპატრონყმო გადასახადების გამოღება და სამეშაოდ გამოსვლა შეადგენდა. თითოეული ამ მოვალეობათაგანის სიდიდე და რაოდენობა ყმობის პირობაზე იყო დამოკიდებული. ყმათა სხვადასხვა კატეგორიების ქონებრივი მდგომარეობაც ამისდა მიხედვით განსხვავდებოდა. ყველაზე უკეთესად ისინი გრძნობდნენ თავს, რომელთაც შ ე უ ე ა ლ ო ბ ა ანუ იმუნიტეტი ჰქონდათ მინიჭებული, ე. ი. რომელნიც გადასახად-ბეგრისაგან განთავისუფლებული იყვნენ.

ყმები მეფესაც ჰყავდა, რომელთაც სამეფო ანუ სახელმწიფო ყმები ეწოდებოდათ, აზნაურებსა და სხვა წოდების წევრებსაც, — დასასრულ საეკლესიო ყმებიც არსებობდნენ, რომელნიც მონასტრებისა და ეკლესია-საეპისკოპოზო საყდრების ყმებად ითელებოდნენ და უმეტეს შემთხვევაში, მეფე-დიდებულთაგან გადაცემულნი, ნ ა წ ყ ა ლ ო ბ ე ვ ი. ანდა შ ე წ ი რ უ ლ ე ბ ი იყვნენ ხოლმე იმ პირობით, რომ შემწირველის სულის მოსახსენებლად ასეთ ყმებს მონასტრისა, თუ ეკლესიისათვის ყოველწლიურად სანთელ-საკმელი და სანოვაგე უნდა მიეცათ.

საქართველოს მოსახლეობა წ ო დ ე ბ რ ი ე ფ ე ნ ე ბ ა დ ა ც იყო დაყოფილი. უმაღლეს წოდების წევრს ა ზ ნ ა უ რ ი ეწოდებოდა. ა ზ ნ ა უ რ ნ ი იყვნენ ან მ ე მ ა მ უ ლ ე ნ ი, ე. ი. მემკვიდრეობით მქონებელნი, ანდა მ ო ს ა კ ა რ გ ე ვ ნ ი, რომელთაც ეს წოდება სამსახურით ჰქონდათ მოპოვებული, — ც ი ხ ი ა ნ ნ ი და უ ც ი ხ ო ნ ნ ი ც, რომელთაგან პირველნი აზნაურთა უფრო გაელენიანსა და ძლიერ ჯგუფს წარმოადგენდნენ.

მეორე წოდებრივი ფენა ე ა კ რ ე ბ ი ს ა გ ა ნ შესდგებოდა.

მესამე ფენას მ ს ა ხ უ რ ნ ი წარმოადგენდნენ. მეოთხე ფენა სოფლის მოსახლეობას, გ ლ ე ხ ო ბ ა ს შეიცავდა.

აზნაურთა წოდება შთამომავლობისა, სამსახურისა და ქონებრივი სახსრისდა მიხედვით რამდენიმე ჯგუფად იყოფებოდა. რაკი სამსახურს მაშინ დ ი დ ე ბ ა ერქვა, რომელ აზნაურსაც სამსახური ჰქონდა, დ ი დ ე ბ უ ლ ი ა ზ ნ ა უ რ ი ეწოდებოდა. ისინი ერთდაიმაე დროს წოდებრივი უპირატესობის მქონებელნიც იყვნენ და სამსახურებრივი უპირატესობითაც მოსილნიც.

მაგრამ წოდებრიობა საქართველოში მკაცრად განკერძოებულ დახშულ სოციალურ ერთეულს არ წარმოადგენდა, არამედ შესაძლებელი იყო ადამიანი დაბალი წოდებიდანაც აღზევებულიყო, ისევე როგორც მაღალი წოდების წრიდან ჩამომცრობილიყო. ა ღ ზ ე ვ ე ბ ა ორგვარი გზით იყო შესაძლებელი: ან მეფის წყალობით, ან პირადი ღირსებითა და სამსახურით შეეძლო ადამიანს აღზევების უფლება დაემსახურებინა.

ყოველი წოდებრივი ფენისათვის შესაფერისი ეკონომიური საფუძველიც იყო საჭირო: ყოველ წოდებას სახელმწიფოს წინაშე მოვალეობა ჰქონდა სამხედრო ბეგარის სახით, რისთვისაც გარკვეული ქონებრივი სახსარი უნდა ჰქონოდა. ამიტომ, თუ ამათუიმ წოდების წარმომადგენელს სამი თაობის განმავლობაში თავისი წოდების მოვალეობის პირნათლად ასრულების ძალა ალარ ჰქონდა, ის უფრო დაბალ წოდებრივ ფენაში გადადიოდა. ვერავითარი ძალა მას იმ წოდებრივ ღირსებას, რომელიც მის საგვარეულოს ქონდა, ველარ შეუნარჩუნებდა. ამგვარადვე, თუ ერთხელ ალზევებულის მემკვიდრენი სამი თაობის განმავლობაში ამ აღზევებით მოპოვებულს ღირსებას შეინარჩუნებდნენ, ისინი წინანდელ თავის წოდებიდან გამოდიოდნენ და უფრო ზემდგომ წოდებაში გადადიოდნენ ხოლმე.

ჯერ კიდევ IX საუკუნეში ისეთი მდგომარეობა იყო საქართველოში, რომ წოდებათა შორის არსებული განსხვავება ცხოვრების ყველა სფეროში არ ჩანდა. მაგ., ამ ხანაში სამონასტრო ძმობაში დიდგვაროვანი აზნაურების გვარიშვილები და გლეხობიდან გამოსული პირები თანასწორუფლებიან წევრებად ითვლებოდნენ: უბრალო მეცხვარე, მონასტერში შესელის, სათანადო განათლებისა და განსწავლის შემდგომ, შესაძლებელი იყო მალალი თანამდებობის პირი გამხდარიყო, — მონასტრის უფროსადაც ყოფილიყო დადგენილი და ეპისკოპოსადაც-კი აერჩიათ.

მაგრამ IX საუკუნის შემდეგ მდგომარეობა თანდათანობით შეიცვალა და აზნაურთა წოდებამ ყველა სხვა წოდებებთან შედარებით განსაკუთრებული უპირატესობა მოიპოვა. X საუკუნეში იგი იმდენად გაბატონდა, რომ მონასტრებშიც-კი თითქმის არავის შეეძლო შესულიყო ბერად, თუ რომ ის აზნაურთა წოდებას არ ეკუთვნოდა. ისეთი გამონაკლისი-კი, როდესაც დაბალი წოდებიდან გამოსული პირები მონასტრებში ძმებად იყვნენ ხოლმე მიღებული, უმთავრესად საქართველოს გარეშე მდებარე მონასტრებში გვხვდება.

ასეთ ცვლილებას მთელ სახელმწიფოსთვისაც ჰქონდა მნიშვნელობა, რადგან ეპისკოპოსად შესაძლებელი იყო მხოლოდ ისეთი პირი კურთხეულიყო, რომელთაც სამონასტრო ცხოვრების ყველა საფეხური ჰქონდა გავლილი. აზნაურთა წოდებიდან გამოსულთაგან გაეპისკოპოსების გამო, ქართველ ეკლესიის მესაჭეობაც დიდგვაროვან აზნაურთა წოდებას ჩაეყარდა მთლიანად ხელში. აზნაურთა წრიდან გამოსული ეპისკოპოსები თავიანთ წრის წევრებსვე აძლევდნენ მღვდლობას. რაკი ერისკაცობაში დიდგვაროვანი აზნაურობა იყო გაბატონებული, ეკლესიის მღვდელთმსახურნი და ერისკაცობის მალალი ფენა წოდებრივად უმჭიდროესად იყვნენ დაკავშირებულნი. საქართველოში ძლიერი სახელმწიფოებრიობის შექმნა-კი შეუძლებელი იყო, თუ რომ დიდგვაროვან აზნაურთა წოდებრივი ეს უპირატესობა მოსპობილი და თვითნებობა აღაგზნული არ იქნებოდა.

საქართველოს მეფეთაგან პირველად ბაგრატ III-ემ შეიგნო, და მან დიდგვაროვან აზნაურთა ყოველ ურჩობასა და თვითნებობას მკაცრი

წინააღმდეგობა გაუწია: უჯრ და მოწინააღმდეგე მოხელე აზნაურებს უყოყმანოდ გადააყენებდა ხოლმე და მათ მაგიერ თავის ბრძანებათა მორჩილ აღმასრულებლებს ნიშნავდა. ბაგრატ III-ს საქართველოს ასე სწრაფად გაერთიანება და მტკიცე სახელმწიფოებრიობის შექმნა სწორედ ამან შეაძლებინა.

მისი შვილი გიორგი I ამ მხრივ სრულებით უმწეო პიროვნება გამოდგა.

ბაგრატ IV უფრო ძლიერი აღმოჩნდა, მაგრამ მის მეფობაში საგარეო პოლიტიკური ვითარება გაცილებით უფრო რთული იყო, ვიდრე ბაგრატ III-ის დროს და, როგორც სახელმწიფო მოღვაწეს, ბაგრატ IV თავის პაპას ღირსებითაც ჩამოუვარდებოდა.

ბაგრატ IV-ის მეფობის უდიდესი ძალა და დროც აგრეთვე თვითნება დიდგვაროვან აზნაურებთან ბრძოლას შეეწირა: დაუნდობელი ბრძოლის წარმოება მას ჯერ ლიპარიტთან უხდებოდა. შემდეგ ხუთ ძმა აბაზასძეებთან, რომელთაგან ერთი ქართლის ერისთავთ-ერისთავი იყო, სხვებსაც ან დიდი ხელისუფლება, ანდა მაღალი სოციალური მდგომარეობა ჰქონდათ. მათ ბაგრატ IV-ის შეპყრობაც კი ჰსურდათ.

ბაგრატ IV-ემ გადასწყვიტა საქართველოში ათონიდან განთქმული ქართველი მოღვაწე გიორგი მთაწმიდელი მოეწვია საქართველოში მშვიდობიანობის დამყარებისა და კულტურული წარმატებისათვის ხელის შესაწყობად.

საერთოდ საზღვარგარეთ მყოფ ქართველთა სავანეების კულტურული მნიშვნელობა ფრიად დიდი იყო, იმიტომ რომ სწავლა-განათლების ქერა საშუალო საუკუნეებში ყველგან სამონასტრო დაწესებულებებში იყო მოთავსებული. იმ დიდ კულტურულ მემკვიდრეობის გარდა, რომელიც საქართველოს წარსული საუკუნეების განმავლობაში დაუნჯებული ჰქონდა, უცხოეთში მყოფი მონასტრების წყალობით საქართველოს შეეძლო მაშინდელი განათლებული ქვეყნების კულტურული განვითარების ყოველი წარმატებისათვისაც თვალყური ედევნებინა. ყველაფერი მნიშვნელოვანი, რაც-კი იქ რომელსამე დარგში ითხზებოდა, ან ითარგმნებოდა, ანდა გადმოქართულებული იყო ხოლმე.

უცხოეთის ქართულს სავანეებს შორის ყველაზე დიდი ღვაწლი ამ ხანაში იოანე და ეფთვიმე მთაწმიდელების მიერ დაარსებულს ათონის მონასტერს მიუძღვის, რომელშიც 300 ქართველი ბერი იყო თავმოყრილი. X საუკუნის დამლევითგან მოყოლებული იოანე მთაწმიდელისაგან დასახულ მიზნის თანახმად ეს სავანე ქართული კულტურის ცენტრად უნდა ქცეულიყო: რაც-კი ქართულ მწერლობას, მშობლიურ ლიტერატურასთან შედარებით, აკლდა, აქ უნდა ყოფილიყო შეესებული. ამისათვის მან თავისი ვაჟიშვილი ეფთვიმე საგანგებოდ განსწავლა და მანაც ისე ზედმიწევნით შეითვისა ბერძნული, რომ ბერძნულადაც თავისუფლად შეეძლო წერა. მის კალამს მრავალი ქართულად დაწერილი ნაშრომი ეკუთვნის და ბერძნულადაც რამდენიმე მოეპოვება. ეფთვიმეს ღვაწლია, რომ აღმოსავლეთში გაჩენილი ვარლაამისა და იოდასაფის

თქმულება, ეფთვიმეს მიერ ქართულად „სიბრძნე ბალავარისა“-ად სახელდებული, ბერძნულად შეთხზვით ბერძნებსაც გააცნო. ამით დასავლეთ ევროპის საზოგადოებრიობასაც საშუალება მიეცა მას ხარბად დასწაფებოდა. მის კალამსვე ეკუთვნის „აბუკურა“, რომელიც ქართულიდან აგრეთვე მანეე გადაიღო ბერძნულად.

ეფთვიმე მთაწმიდელი შესანიშნავი იყო აგრეთვე, როგორც სოციალურ პრობლემებზე მოაზროვნე პიროვნება და როგორც სამართლის თეორიის გამოჩენილი მკვლევარი.

ათონის ქართველთა საკანის სამონასტრო წესწყობილება მას დამყარებული ჰქონდა ორ ძირითად პრინციპზე: საეანეში შემავალთათვის წოდებრიობა და კერძო საკუთრება მკაცრად იყო უარყოფილი. ტანისამოსი და საკვალიტკი არ შეიძლებოდა, რომ ვისმე თავის საკუთრებად მიეჩნია და ყველაფერი საერთო უნდა ყოფილიყო. ამგვარადვე ყველანი ვალდებულნი იყვნენ სამონასტრო ფიზიკურს სამუშაოში მონაწილეობა მიეღოთ.

ძველ დროითგან მოყოლებული სამონასტრო წესწყობილება საქართველოში მონარქიულს პრინციპზე იყო დამყარებული: მონასტრის მამასახლისი სამონასტრო დაწესებულებებში ყველა მოხელეებს თითონ ნიშნავდა, თითონ იგივე სიკვდილის წინ ასახელებდა იმ პირსაც, რომელიც მის გარდაცვალების შემდეგ მონასტრის მამასახლისად უნდა გამხდარიყო.

ათონის ქართველთა მონასტრის მერმინდელ მამასახლისთა შორის ერთი, შავ-გიორგად წოდებული, ბიზანტიის კეისრის სასახლეშიც გავლენიანი პირი იყო. მას კეისრის წინააღმდეგ მოწყობილ საკარისკაცო პოლიტიკურ შეთქმულებაში გარეულობა დაჰბრალდა და ოგი დასჯილ იქმნა. მაგრამ მასთან ერთად ქართველთა მონასტერიც განსაცდელში ჩავარდა: მონასტერი სამკვირ გაჩხრეკილი და გაძარცული იყო. ბერძენ ბერებს ქართველების ათონიდან გაძევებაც კი ჰქონდათ განზრახული, რომ ეს დიდი და მდიდარი სავანე მთლიანად ჩაეგდოთ ხელში.

ათონელი ქართველები დარწმუნდენ, რომ სავანეზე თავსდამტკიცებული განსაკუთრებული წესწყობილების იმ დებულების შედეგი იყო, რომლითაც ძმობას საშუალება ჰქონდა მოსპობილი მამასახლისობისათვის შესაფერისი პირი შეერჩია და რომელიც მონასტრის უფროსობას მემკვიდრეობით დანიშნულ პირს უგდებდა ხელში. ძმობა იმ აზრს დაადგა, რომ სავანეს ხედ-იღბალი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა უზრუნველყოფილი, თუ დანიშვნაზე დამყარებული მონარქიული წესის მაგიერ მთელი ძმობის ნებაზე დამყარებული არჩევანის წესწყობილება იქნებოდა შემოღებული. მართლაც ათონის ქართველთა მონასტერში 1031 წლისათვის, უცხოეთში მყოფი ყველა ქართველთა სავანეების წარმომადგენელებთან შეთანხმებით, თანამდებობის პირად დადგენისათვის არჩევანზე დამყარებული წესი იქმნა შემოღებული. სამ დასახელებულ კანდიდატიდან მამასახლისად ის პირი ითვლებოდა ხოლმე არჩეულად, რომელსაც ამ სამთაგანს წილგდებით ერგებოდა.

ამგვარად ძველად არსებული მონარჩენილი წესწყობილების მაგიერ, ქართველთა ჯერ უცხოეთში მყოფსა და შემდეგ თვით საქართველოს მონასტრებშიც რესპუბლიკური წესწყობილება დამყარდა. ამას მარტო საქართველოს ეკლესიისათვის-კი არ ჰქონდა მნიშვნელობა, არამედ ქართული სახელმწიფო წესწყობილებისათვისაც.

ასეთს სოციალურ-ეკონომიურ მოძღვრებათა სფეროში იყო აღზრდილი გიორგი მთაწმიდელი, რომელიც ეფთვიმე მთაწმიდელის მოღვაწეობის გამგრძელებელი იყო, როგორც სალიტერატურო, ისევე სამონასტრო ასპარეზზეც.

1060 წელს საქართველოში ჩამოსულს გიორგი მთაწმიდელს თვით ბაგრატიცა და მისი ყველა ხელისუფლებიც დიდი ამბით დახვდნენ. საზეიმო დახვედრისდა მიუხედავად, გიორგი მთაწმიდელის ფხიზელ გონებას საშუალება ჰქონდა საქართველოს მაშინდელი მდგომარეობის უარყოფითი მხარეებიც დაენახა. სწორედ ამ ხანაში საქართველოში შიმშილობა მძვინვარებდა, შინაური ბრძოლაც იმ დროისათვის მხოლოდ ოდნავ ჩანდა მინელებული.

გიორგი მთაწმიდელი თანდათან რწმუნდებოდა, რომ ის თანამდებობის პირნი, რომელნიც მოვალენი იყვნენ გაჭირვებულ ხალხზე ეზრუნათ, ამ სტიქიურსა და შინაური უწესოებით გამოწვეულ უბედურებას სრულებით გულგრილად ეკიდებოდნენ: საქართველოში ისეთი საშინელი შიმშილობა მძვინვარებდა, რომ მშობლებიც-კი თავიანთ შვილებს უპატრონოდ სტოვებდნენ, რაკი გამოკვების საშუალება არ ჰქონდათ, და ასე მიტოვებული, ან ობლად დარჩენილი ბავშვებისა და მოზრდილების დამხმარეც-კი არავინ სჩანდა.

მაშინ გიორგი მთაწმიდელმა 80-მდე ასეთი სხვადასხვა ასაკის, უმთავრესად მცირეწლოვანნი გაჭირვებული და შიმშილისაგან განსაცდელში ჩავარდნილი მოკრიფა თავის გარშემო და მათს გამოკვებასა და მათთან მუშაობასაც-კი შეუდგა.

გიორგი მთაწმიდელი აღშფოთებული იყო იმ გულქვაობით, რომელსაც ზოგი მღვდელმთავარ-ეპისკოპოსთაგანი ადამიანებისადმი იჩენდნენ იმ დროს, როდესაც თავიანთი პატივმოყვარეობისა და სახელის მოხვეჭის გულისათვის არაფერს არ იკლებდნენ.

გიორგი მთაწმიდელმა ამ 80 სულის განსწავლისა და სამღვდელმსახური სამსახურისათვის მომზადების შემდგომ, ასაკად მოსულნი და საკმაოდ განსწავლულნი, სოციალურ წარმოშობისდა მიუხედავად, მღვდლებად აკურთხა. იმ დროისათვის საქართველოში ეს სრულებით გაუგონარი ნაბიჯი იყო, რადგან, როგორც ვიცით, უკვე X საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ეკლესიაშიც წოდებრიობა იყო გაბატონებული და ეპისკოპოსებიც ხუცესებად მხოლოდ აზნაურთა წოდებიდან გამოსულ გვარიშვილებს აყენებდნენ. გიორგი მთაწმიდელმა-კი გუშინდელი ყმები და გლეხთა წოდებიდან გამოსულნი, განსწავლის შემდგომ, ხუცესებად აკურთხა. ეს მაშინდელი პატრონყმურ-წოდებრივი რწმენის ცხადსა და კადნიერს შებღალვას წარმოადგენდა და ამიტომაც

საქართველოში მალალ წრეში დიდი განცვიფრებაც და უკმაყოფილებაც გამოიწვია.

გიორგი მთაწმიდელი იმდენად მძიმე მდგომარეობაში ჩაეარდა, რომ თუმცა ის საქართველოში საბოლოოდ იყო ჩამოსული და თავისი შემდეგი მოღვაწეობა უნდა სამშობლოში განეგრძო, მაგრამ 1065 წელს საქართველოდან ისევ წავიდა.

თუმცა გიორგი მთაწმიდელი თავის სამშობლოში მხოლოდ ხუთი წლის განმავლობაში იყო, მაგრამ ასეთი მკრეხე ხნის განმავლობაშიც მან ბრწყინვალე ისტორიული პრობლემის წამოყენება მოახერხა. მისი უკვდავი ღვაწლია, რომ დემოკრატიული პრინციპი და პირადი ღირსების უპირატესობა საგვარეულო და წოდებრივ უპირატესობასთან შედარებით პირველად მან წამოაყენა საქართველოში.

XI საუკუნის განმავლობაში, როგორც თვით საქართველოში, ისევე უცხოეთში მყოფ ქართულ ცენტრებშიც დიდი კულტურული მუშაობა მიმდინარეობდა. ამ დროისათვის მომწიფდა ქართველთა ეროვნული თვითშეგნებაც. უცხოეთში მყოფს ქართველებს მრავალჯერ ჰქონდათ საშუალება დარწმუნებულიყვნენ, რომ სარწმუნოება და ეროვნება ერთიდაიგივე არ იყო, როგორც მათ წინათ ეგონათ. მაშინდელი წარმოდგენით ქრისტიანი მართლმადიდებელი თავის თავს მართლმადიდებლად სთვლიდა, ეროვნება მას თითქოს დავიწყებული ჰქონდა ხოლმე. სხვა სარწმუნოების წარმომადგენელი-კი, მეტადრე მაჰმადიანი თავის მტრად მიაჩნდა, ან არადა, ყოველ შემთხვევაში, მოწინააღმდეგედ. საბერძნეთში ყოფნამ ქართველები დაარწმუნა, რომ, თუმცა ისინიც და ბერძნებიც მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ პოლიტიკურსა და ეკონომიურ ნიადაგზე აღმოცენებული მეტოქეობა მათ შორის იმაზე მაინც ნაკლები არ იყო, ვიდრე ე. წ. „ურწმუნო" და უცხო თესლთა და ქართველებს შორის არსებობდა.

საქართველოს პოლიტიკურმა და ეკონომიურმა გაძლიერებამ ქართული ეკლესიის დაპატრონება იმდენად ხელსაყრელ და მიმზიდველ ამოცანად აქცია, რომ ანტიოქიის საპატრიარქომ გამოქექა დიდი ხანია სრულებით მივიწყებული ცნობა ქართული ეკლესიის ანტიოქიის საპატრიარქოსაგან დამოკიდებულების შესახებ და მოისურვა, რომ საქართველოს ეკლესია წინანდებურად ანტიოქიის საპატრიარქოსაგან ყოფილიყო დამოკიდებული.

ანტიოქიის საპატრიარქოს აქ უმთავრესად ეკონომიური გამორჩენის იმედი ალაპარაკებდა: საქართველოს ეკლესია რომ მას დაჰმორჩილებოდა, საქართველოს ანტიოქიის საპატრიარქოსათვის უნდა ყოველწლიურად გარკვეული გადასახადი ეძლია და ბუნებრივია, რომ ამ მომხიბლავი მიზნით გატაცებული ყოფილიყო.

ანტიოქიის საპატრიარქოს გაბატონების შესაძლებლობა საქართველოსათვის უსიამოვნო იყო, ერთი მხრით როგორც ქართული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის სახიფათო და თავმოყვარეობის შემლახველი გარემოება, მეორე მხრით როგორც ეკონომიურად საზიანო.

ბრძოლა ამის წინააღმდეგ მხოლოდ იმ ნიადაგზე იყო შესაძლებელი, რომელზედაც მაშინდელი მსოფლმხედველობისა და მოძღვრების მიხედვით უნდა ყოფილიყო დამყარებული. ამ ისტორიული ამოცანის გამორკვევა მაშინდელმა გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერებმა იდვეს თავს: პირველად ეფთვიმე მთაწმიდელმა, ხოლო შემდეგ გიორგი მთაწმიდელმა დაასაბუთა, რომელმაც ცხადჰყო, რომ, თუ უფლებებზე მიდგებოდა საქმე, უფრო ანტიოქიას ჰმართებდა დამორჩილება, ვიდრე საქართველოს.

საბერძნეთისა და მახლობელ აღმოსავლეთის განათლების მნიშვნელოვან ცენტრებში სავანეების ქონებამ საქართველოს საშუალება მისცა ყველაფერი სცოდნოდა, რაც-კი რამ საუკეთესო იყო მაშინდელს მსოფლიოში და ამ გარემოებამ შეაძლებინა თავისი კულტურული წარმატება სწრაფად და შეუჩერებლივ განევითარებინა. თვით საქართველოშიც და საქართველოს გარეშე მდებარე ცენტრებშიც ამ ხანაში ბევრი სხვადასხვა თხზულება დაიწერა. ქართული ამდროინდელი კულტურის აყვავებისათვის ყველაზე დამახასიათებელი ქართული საისტორიო მწერლობის დიდი წარმატებაა. ამ ხანაში არა ერთი ისეთი საისტორიო საუცხოვო თხზულება იყო დაწერილი, რომელნიც ყოველი ერის საუკეთესო საისტორიო თხზულებათა კრებულს დაამშვენებდნენ. მათ შორის გიორგი მთაწმიდელის საისტორიო ნაშრომია აღსანიშნავი, რომელიც ათონის სავანის დაარსებისა და საქმიანობის ისტორიას მოგვითხრობს, აგრეთვე თვით გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფის გიორგის ხუცეს-მონაზონის მიერ დაწერილი თხზულება და ამავე ხანითგან გადარჩენილია საერო საისტორიო „მატიანე ქართლისაი".

იმდროინდელს ქართველ ისტორიკოსებს თავიანთს თხზულებებში, პოლიტიკურ ამბებს გარდა, რომელთა შესახებაც იმ ხანის მემატიანეებსა და ისტორიკოსებს ჩვეულებრივ ჰქონდათ ბოლომე საუბარი, სოციალური, ეკონომიური და კულტურული პრობლემების გაშუქებისათვისა და ისტორიისათვისაც აქვთ უბრალ დათმობილი ადგილი.

მაშინდელი ქართული მეცნიერების დიდი წარმატების დამამტკიცებელია ეფთვიმე მთაწმიდელის ფილოლოგიური ნაშრომებიც, მეტადრე-კი მისი მოღვაწეობა სამართლის თეორიის სფეროში. მას ეკუთვნის „მცირე სჯულის კანონი", რომელიც საეკლესიო, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობის ერთგვარს ენციკლოპედიას წარმოადგენს. ბოლოში იქ ეფთვიმე მთაწმიდელს ზოგადი მოძღვრება აქვს დართული ბორკილმოჭმედების შესახებ, კერძოდ მკვლელობის სხვადასხვა სახეობის კვალიფიკაცია და ზოგადი ცნებების განმარტება მოეპოვება. ეს საყურადღებო ძეგლი ქართული იმდროინდელი იურიდიული აზროვნების მაღალი დონისა და თვით ეფთვიმეს შემოქმედებითი დიდი ნიჭის ცხადი დამამტკიცებელია.

ქართული ხელოვნების სხვა დარგებშიც იმ ხანაში კულტურის დიდი წარმატება შეინიშნება: იმდროინდელმა ხელოსნობამ მშვენიერი ძეგლები დაგვიტოვა, რომელთაგან შესაძლებელია ბაგრატ III-ის მიერ აგებული ჭუთაისის დიდებული ტაძარი, ბედია და სხვაც მრავალი იყოს

დასახელებული. ქუთაისის ტაძარი ქართული ხუროთმოძღვრული ხელოვნების იმდენად მოხიბლავს ძეგლს წარმოადგენდა, რომ ამის შეგნებით თვით ბაგრატმაც მის კურთხევაზე ყველა მეზობელი სახელმწიფოების წარმომადგენლები მოიწვია და დიდი ზეიმით აკურთხა.

ამრიგად იმ შინაგანი და გარეშე მტერთან ბრძოლისდა მიუხედავად, რომელიც საქართველოში სწარმოებდა, წინა საუკუნეებში დაწყებული კულტურული მუშაობა მაინც შეუჩერებლივ მიმდინარეობდა და საქართველო წარმატების გზაზე მტკიცედ იდგა. ამიტომაც მისი ნაყოფი უფრო მეტად მომდევნო ხანაში გახდა საგრძნობი, როდესაც ამ კულტურის სრული გაფურჩქნისა და აყვავებისათვის პოლიტიკური პირობებიც შესაფერისი შეიქმნა.

ხაძართველო, ვითარცა მახლობელი აღმოსავლეთის ფონინავე და უძლიერესი სახელმწიფო

დავით II აღმაშენებელი (1089-1125).

16 წლის დავით II-ე, შემდეგში აღმაშენებლად წოდებული, რომ გამეფდა, საქართველო საშინელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მტრის გა)ლმებული თაედასხმისაგან აღმოსავლეთი საქართველო იმდენად იყო ახრებული, რომ ქართლის შუაგული ტყით დაბურულ ქვეყნად და :ეცხოეო სანადირო ადგილადაც-კი იქცა. ამ შუაგულ ქართლში ნა-ირობაც-კი საშიში ყოფილა, თუ რომ წინასწარ არ დარწმუნდებოდნენ, ოომ, ნადირს გარდა, იქ მოთარეშე მტერიც არ იყო დამალული.

დავითის გამეფებამ ცხადჰყო, რომ მძიმე პირობებშიც შესაძლებელი ყოფილა ბევრი რამის გაკეთება, ქვეყანას რომ ღირსეული მესაჭე ჰყოლოდა.

დავით აღმაშენებელმა სცადა უპირველესად, დაშინებული გაბნეული ხალხი დაემშვიდებინა,—ზოგის გამხნევებით, ზოგის დარტყვენით მან გაჭცეულ-გაფანტული ხალხის დაბრუნება მოახერხა. საბედნიეროდ ამავე დროს თვით თურქთა ძლიერების შესუსტებაც ცხადად გამომჟღავნდა: 1092 წელს რომ სულტანი მელიქ-შაჰი გარდაიცვალა, თურქთა დიდს საბრძანებელში აღმოცენებულმა ბრძოლამ მათი ხელისუფლება დაამცირა.

მაგრამ დავით აღმაშენებლის ღვაწლს უფრო ის შეადგენს, რომ დიდგვარიან აზნაურებს მალე აგრძნობინა, რომ წინანდელი უსუსური ხელისუფლის მაგიერ სამეფო ტახტზე უკვე ძლიერი პიროვნება იყო, რომელიც არც ერთს მათგანს თვითნებობას და უკრძობას არ აპატიებდა. როცა 1093 წ. ლიპარიტ ამირა, მაგ., თავისთ მამაპაპისეულ გზას დაადგა და დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობას შეუდგა, ამბის გაგებისთანავე დავითი თავს დაეცა, შეიპყრო და ციხეში დააწყვედევინა.

ხვეწნა-ვედრების შემდგომ დავითმა აპატია, ლიპარიტი ციხიდან გამოუშვა და თანამდებობაც აკი დაუბრუნა. მაგრამ ლიპარიტმა მაინც თავი დიდხანს ვერ შეიკავა და კვლავ წინანდელი ზრახვის განხორციელებას შეუდგა. შეიტყო თუ არა ეს, დავით აღმაშენებელმა 1094—1095 წწ. ლიპარიტი ისევ დაიჭირა და ეხლა უკვე ორი წლის განმავლობაში ციხეში დაპატიმრებული ჰყავდა. შემდეგ, 1097 წელს, მეფემ გადაწყვიტა, რომ ლიპარიტის გამოსწორება შეუძლებელი იყო, ამიტომ სამუდამოდ გააძევა საქართველოდან და მთელი ქონებაც ჩამოართვა.

1097 წელს ჯვაროსნებმა იერუსალიმის აღება შესძლეს, რამაც მაჰმადიანთა უძლეველობას სახელი გაუტეხა. რამდენადაც საქართველოსაც მაშინ უმთავრესად ამ მაჰმადიან სახელმწიფოებთან და სხვა პოლიტიკურ ერთეულებთან უხდებოდა ბრძოლა, მისთვის ეს გარემოება ფრიად ხელსაყრელი იყო. დავით აღმაშენებელმაც სწორედ ამის შემდგომ სელჩუკიან სულტნებისათვის ხარკის ძღვნა შეწყვიტა და ამით საქართველოს სრული დამოუკიდებლობა აღადგინა.

მაგრამ საქართველოს აღდგენილს დამოუკიდებლობას განმტკიცება სჭირდებოდა: მტერს ჯერ კიდევ ბევრი რამ ეკავა საქართველოში. მისი მამის დროიდან მოყოლებული, საქართველოს მიწა-წყლის არაერთი მნიშვნელოვანი ადგილი მტერს ჰქონდა შენარჩუნებული და ვიდრე ეს ადგილები განთავისუფლებული არ იქნებოდა, მანამდის საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა ძნელი იყო. ამიტომ დავით აღმაშენებლის უპირველეს მიზანს საქართველოს გარეშე მტრის ნაშთებისაგან განთავისუფლება შეადგენდა.

მისი მოქმედების გეზი და ტაქტიკის დამახასიათებელი თვისება მტერზე მოულოდნელი და სწრაფი თავდასხმა იყო. რაკი საქართველოს ჯერ კიდევ მცირე სამხედრო ძალა მოეპოვებოდა, მხოლოდ ამგვარი მოულოდნელი თავდასხმით შეეძლო მრავალრიცხოვან მტერს, რომელიც თვით საქართველოში იყო შემოჭრილი, შედარებით უფრო ნაკლები მსხვერპლითა და იმედიანად გამკლავებოდა. ჩვეულებრივ, როდესაც ის გალაშქრებას აპირებდა, წინასწარ სულ სხვა მიმართულებით მიჰქონდა ხოლმე, რომ მტრის ჯაშუშებს საშუალება არ ჰქონოდათ თავიანთ მბრძანებლებისათვის სწორე ცნობა მიეტანათ.

მთავარს ამოცანას, რასაკვირველია, ბაგრატ III-ის შემდეგ გაუარესებული პოლიტიკური მდგომარეობის გამოსწორება შეადგენდა: საქართველოს უნდა დაებრუნებინა აღმოსავლეთით მდებარე ისეთი მნიშვნელოვანი თემი, როგორიც იყო კახეთი. კახეთის მნიშვნელოვანი სიმაგრე დასავლეთით ზედაზნის ციხე იყო, რომელიც კახთა მეფეებს ეკუთვნოდათ. 1101 წელს დავით აღმაშენებელმა ეს ზედაზნის ციხე კახთა მეფეს წაართვა, ხოლო 1102 წელს, კვირიკე კახთა მეფე რომ გარდაიცვალა და მის მაგიერ სამეფო ტახტზე მისი უნიჭო დისწული აღსართანი იქნა აყვანილი, კახეთის დამოუკიდებელ არსებობასაც აღსასრული მოეახლოვდა. მაინც ამ შემთხვევაში დავით აღმაშენებელი არ აჩქარებულა, რამდენადაც ამის მოგვარება მაინც-და-მაინც დიდ სიძნელეს უკვე აღარ

წარმოადგენდა, სამაგიეროდ იმ შემთხვევითი და განცალკევებული ბრძოლის მაგიერ, რომელსაც მისი წინამორბედი საქართველოს მეფეები, თუნდაც ისეთი ძლიერი პიროვნება, როგორც ბაგრატ III-ე და ბაგრატ IV-ეც, აწარმოებდნენ, დავით აღმაშენებელმა გეგმიანი პოლიტიკა დაიწყო. დავით აღმაშენებელმა შეიგნო, რომ მთავარი ამოცანის გადაწყვეტა მხოლოდ კარგად მოფიქრებული, მიზანშეწონილი, ზოგადი პოლიტიკის წარმოებით შეიძლებოდა. მან გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საქართველოს მტრების წინააღმდეგ ლაშქრობაში მეფის ჯართან ერთად დიდგვარიან აზნაურთა საპატრონყმო ჯარის მონაწილეობა მხოლოდ მათ პირად ერთგულებაზე იყო დამოკიდებული: თუ ესათუის დიდგვარიანი აზნაური მეფეს განუდგებოდა, მისი ჯარიც არამც-თუ მეფესთან ერთად საბრძოლველად არ გამოვიდოდა, არამედ შესაძლებელი იყო, რომ მეფის მოწინააღმდეგეთა ბანაკშიც აღმოჩენილიყო და მეფეს შეჰბრძოლებოდა.

მაინც მთავარ უბედურებას ის შეადგენდა, რომ დიდგვარიან აზნაურებს ზურგს ისეთი ძლიერი ორგანიზაცია უმაგრებდა, როგორიც მაშინ ეკლესია იყო, რომლის მესვეურნი და ეპისკოპოსები ყველანი დიდგვარიან აზნაურთა წრის შვილნი და წარმომადგენლები იყვნენ. ყოველი უთანხმოების დროს, რომელიც დიდგვარიან აზნაურებსა და მეფის ხელისუფლებას შორის ჩამოვარდებოდა, ეკლესიის მეთაურნი, ვითარცა წოდებრივი შთამომაელობით დიდგვარიან აზნაურებთან დაკავშირებულნი, თავიანთი წოდებრივი სულისკვეთებით უფრო იყვნენ გამსჭვალულნი, ვიდრე სახელმწიფო ინტერესებით. ამიტომაც ზოგიერთი მათგანნი მეფე-აზნაურთა შორის ამტყდარი უთანხმოების დროს საიდუმლოდ, თუ დაუფარავად, სწორედ ამ ურჩ და მოღალატე დიდგვარიან აზნაურ ხელისუფლებს უჭერდნენ მხარს. დავით აღმაშენებელმა გადასწყვიტა, რომ სანამ ეკლესიის შესაჭეობა და თანამდებობის მიღება პირად ღირსებაზე-კი არა, არამედ წოდებრივ შთამომაელობაზე იქნებოდა დამყარებული, მანამდე შესაძლებელი იყო, რომ ეკლესია დიდგვარიან აზნაურთა მოკავშირე და სახელმწიფოს მეთაურის მოწინააღმდეგე აღმოჩენილიყო.

დავით აღმაშენებელმა გადასწყვიტა ასეთ შესაძლებლობისათვის ბოლო მოეღო, ამისთვის-კი დიდგვარიან აზნაურთა წრიდან მხოლოდ მაღალ შთამომაელობის გამო ეკლესიის მესვეურებად ქცეულთა შეცვლა იყო საჭირო. ამის განხორციელება მეფეს პირადად არ შეეძლო, რადგან ქართულ ეკლესიას შინაგან წესწყობილებაში დამოუკიდებლობა ჰქონდა და მეფე მის საქმეებში ვერ ჩაერეოდა. ეკლესიის წესწყობილების შეცვლა მხოლოდ საეკლესიო კრებას შეეძლო. ნიადაგი ამისთვის ნაწილობრივ გიორგი მთაწმიდელის მიერ საქართველოში 1060—1065 წლ. გაწეული ქადაგებითა და პრაქტიკული საქმიანობით იყო მომზადებული. მაგრამ ის, რაც გიორგი მთაწმიდელმა გააკეთა, მხოლოდ პირველ ცდას წარმოადგენდა. დავით აღმაშენებელს გიორგი მთაწმიდელის კურთხეთაოსნობა და მაგალითი უნდა მთელს საქართველოში გამოეყენებინა და ქართულ ეკლესიის სრული დემოკრატიზაცია განეხორციელებინა.

დავით ალმაშენებელმა 1103 წელს რუის-ურბნისის საეკლესიო კრება მოიწვია და მის განსახილველ საკითხების პირველ მუხლად სწორედ ეს ამოცანა წამოაყენა, რომ ეპისკოპოსნი, რომელნიც „მამულობით“ (ე. ი. მემკვიდრეობით) უფრო, ვიდრე ღირსებით საეკლესიო თანამდებობის მფლობელად იქცნენ, რომელთაც თავიანთი ეპისკოპოსობა მალალი წოდებრივი მთამომაველობის წყალობით ჰქონდათ მიღებული და არა პირადი ღირსებისა და დამსახურების გამო, რომ ყველა ასეთი პირები გადაყენებული ყოფილიყვნენ და მათ მაგიერ, მთამომაველობისდა მიუხედავად, პირადი თვისებებით ღირსნი და განსწავლულნი აერჩიათ.

ხანგრძლივი კამათისა და მოწინააღმდეგეთა დაუნდობელი ბრძოლის შემდგომ, დიდგვარიან აზნაურთა წრიდან გამოსული ეპისკოპოსნი გადაყენებულ იქმნენ და მათ მაგიერ, მთამომაველობისდა მიუხედაეად, შესაფერისად განსწავლულნი და განათლებულნი აირჩიეს.

ამ რიგად ქართული ეკლესიის დემოკრატიული წესწყობილება უკვე დამყარებული იყო. ამან დავით ალმაშენებელს საშუალება მისცა დიდგვარიან აზნაურთათვის ისეთი ძლიერი მოკავშირე ჩამოეშორებია, როგორიც მაშინდელი ეკლესია იყო.

დავით ალმაშენებელს თავისი შემდგომი პოლიტიკური და სოციალური პროგრამის განხორციელება უკვე გაბედულად შეეძლო განეგრძო. ეხლა უკვე კახეთის შემოერთებაც შეიძლებოდა. ერთი წლის შემდგომ, 1104 წელს ჰერეთის დიდმა საგვარეულოებმა არიშიანების მეთაურობით ალსართან მეფე შეიპყრეს და დავითს გადასცეს. ჰერეთ-კახეთი ამრიგად შემოერთებული იყო. მაგრამ განძის ათაბაგმა ეს თავის სამტრო ნაბიჯად მიიჩნია. ამიტომ 1104-1105 წ. განძის ათაბაგსა და დავით ალმაშენებელს შორის ბრძოლა სწარმოებდა, რომელიც განძის ათაბაგის დამარცხებით დამთავრდა.

შემდეგ დავით ალმაშენებელი ქართულ კულტურის და განათლების ცენტრის შექმნას შეუდგა: გელათის მონასტრის აგება დაიწყო, რომელშიც მისი გეგმით საქართველოში და საქართველოს გარეშე მყოფი ყველა გამოჩენილი მეცნიერნი უნდა ყოფილიყვნენ თავმოყრილნი. 1106 წელს მან მართლაც გელათის მონასტერი აავო, გამოჩენილი ქართველი ფილოლოგოსები. ფილოსოფოსები და მეცნიერი ბერები შემოიკრიბა, უზრუნველჰყო ისინი ქონებრივად და ისეთი პირობები შეუქმნა, რომ გელათი, ისტორიკოსის სიტყვით, მეორე ათინად ქცეულიყო. ამგვარად გელათში ქართული განათლებისა და მეცნიერების დიდი კერა, პირველი აკადემია. შეიქმნა.

დავით ალმაშენებელი მარტო იმ ცვლილებით, რომელიც მან ეკლესიაში მოახდინა, არ დაკმაყოფილდა. დავით ალმაშენებელის პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად საჭირო იყო, რომ ეკლესია სახელმწიფოს დაჰმორჩილებოდა, რომ, ეკლესიის შინაგანი ავტონომიისდა მიუხედავად, სახელმწიფოს საშუალება ჰქონდა თვალყური ედევნებინა ყველაფრისათვის, რაც ეკლესიაში ხდებოდა. ამ მიზნის მიღწევა პირდაპირი

ჩარევით არ შეიძლებოდა, მაგრამ დავით ალმაშენებელმა ამას შემდეგი მარჯვე საშუალებით მიაღწია:

სახელმწიფო მართვა-გაბგეობის სათაეებში და მეფის შემდგომ პირველ მოხელე საქართველოში, ძველი დროიდანვე მოყოლებული, მწიგნობართ-უხუცესი იყო, მაგრამ ეს მეფის მოადგილე დავით ალმაშენებლამდე და დავით ალმაშენებელის დროსაც ერის-კაცი იყო. რაკი ამ ერისკაც-ხელისუფალს საშუალება არ ჰქონდა, ეკლესიისათვის თვალყური ედევნებინა, დავით ალმაშენებელმა წესად შემოიღო და ჟამთმიდლობა მწიგნობართ-უხუცესის კუთვნილებად აქცია. მწიგნობართ-უხუცესს, როგორც ვაზირთა საბჭოს თავმჯდომარეს და სახელმწიფო საქმეებით დატვირთულს, სად შეეძლო საეპისკოპოსო მოვალეობის ასრულებისათვის მოეცალა. მაგრამ ეს დავით ალმაშენებელს არც აინტერესებდა. მას უნდოდა ცხოლოდ, რომ მწიგნობართ-უხუცესს საეკლესიო საქმეებში მონაწილეობის მიღებისა და ჩარევის კანონიერი უფლება და საშუალება ჰქონოდა. როგორც ეკლესიის წევრს, მას ეკუთვნებოდა რაც-კი ეკლესიაში ხდებოდა. ყველა საეკლესიო საკითხები, რომელიც მთავრობასა და მეფეს უნდა მოეხსენებოდა, სწორედ მწიგნობართ-უხუცესის პირით უნდა ყოფილიყო მოგვარებული. ხოლო, რაკი მწიგნობართ-უხუცესი უპირველესად საერთო ხელისუფალი და იმავე დროს მეფის მოადგილე იყო, ამ გარემოების მარჯვედ გამოყენებით, დავით ალმაშენებელმა ეკლესიის დამორჩილება უმტკივნეულოდ მოახერხა.

ეხლა უკვე დავით ალმაშენებელი თავისი პოლიტიკური და სამხედრო გეგმის განხორციელებასაც გაბედულად შეუდგა. საქართველოს მაშინდელი მდგომარეობა ქვეყნის მმართველს ალმოსავლეთისა და სამხრეთის საზღვრების გამაგრებას უკარნახებდა: საქართველოს ალმოსავლეთის საზღვარი ბუნებრივად დაცული არ არის, მტრის შემოსევის შესაფერხებლად ისეთი დაბრკოლება და ისეთი ბუნებრივი ზღუდე, როგორიც საქართველოს ჩრდილოეთით და სამხრეთ-დასავლეთით მოეპოვება, არ არსებობს. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ყველა დიდი შემოსევა საქართველოში, ან ალმოსავლეთის, ანდა სამხრეთ-ალმოსავლეთის გზით ყოფილა. ამასთანავე X და XI საუკუნეებში საქართველოს ალმოსავლეთით მდებარე წინანდელი ალბანეთის ტერიტორია თურქ ტომების მიერ იყო წალეკილი და, ოდინდელი ქრისტიანული ალბანეთის მაგიერ, აქ უკვე მაჰმადიანთა სამფლობელოები გაჩნდა. რითაც საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა საგრძნობლად გართულდა და გაუარესდა.

დავით ალმაშენებელს მიზნად ჰქონდა დასახული, რომ საქართველო მომავლისათვის მტრის ყოველგვარი შემოსევისაგან უზრუნველეყო. ამ დროს-კი საქართველოს დაცვა ალმოსავლეთით თუნდაც იმიტომაც იყო გაძნელებული, რომ უმნიშვნელოვანესი ცხუე-ქალაქები ჯერ კიდევ მტერს ჩამორთმეული არ ჰქონდა. ამიტომ 1110 წელს მეფემ გაილაშქრა და სამშვილდის ციხეს მიადგა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც მოელვალად მიჩნეულ ციხეს, მაგრამ აგრეთვე, როგორც საეპარხო გზაზე მდებარე ქალაქსა და ეკონომიურ ცენტრსაც. დავით ალ-

მაშენებელმა სამშვილდის აღება მოახერხა და ეს უკვე იმდენად დიდ გამარჯვებას და ამაღე დროს თურქ ტომთათვის იმდენად დიდ დამარცხებას წარმოადგენდა, რომ ამით შეშინებულმა თურქებმა სომხეთის ციხეები თითონვე მიატოვეს და გაიქცნენ. დავით აღმაშენებელს მხოლოდ მათი დაპყრობა-ღა დარჩენოდა.

თაეის სამხედრო ტაქტიკის წყალობით, მტერზე უეცარი თავდასხმით. მოკლე ხნის განმავლობაში დავითმა შეუჩერებლივ წინსვლა და ახალ-ახალი ადგილების დაპყრობა მოახერხა. 1115 წელს დავითმა თურქებს ტფილისის აღმოსავლეთით მდებარე ქ. რუსთავი წაართვა, რომლის შეწოერთებაც საქართველოსათვის ყოველმხრივ დიდი შენაძენი იყო.

1116 წელს დავით აღმაშენებელმა უკვე შავი ზღვის სანაპიროზე მოთარეშე თურქ ტომების ასალაგმავად გაილაშქრა და იქაც იმავე სამხედრო ხერხის საშუალებით ძლეეამოსილება მოიპოვა.

1117 წელს მეფეს სამხედრო მოქმედება ისევ აღმოსავლეთ საქართველოში გადმოაქეს: ამ დროს ციხე გიშის აღება მოახერხა. 1118 წელს დავით აღმაშენებელმა საქართველოს და სომხეთის საზღვარზე მდებარე ეძლიერესი სიმაგრე ლორეს ციხე და ავგარანი აიღო. ლორის ციხის აღებას იმ მხრივ ჰქონდა მნიშვნელობა, რომ სამხრეთიდან მომავალი მტრისათვის გზის შეკვრა უკვე გაადვილებული იყო.

დავით აღმაშენებელმა ამაზე უფრო ფართო გეგმა დაისახა, რომლის განხორციელებისათვის შესაფერისი სამხედრო ორგანიზაციის შექმნა იყო საჭირო. საქართველოს მეფეთა შორის პირველმა დავით აღმაშენებელმა მიაქცია ყურადღება იმ არანორმალურ მდგომარეობას, რომელშიც მეფე იმყოფებოდა: მის განკარგულებაში მხოლოდ ბატონყმობის წესწყობილებაზე დამყარებული ჯარი და მხედრობა იყო. მართალია, მასაც თავისი საკუთარი სამფლობელო ჰქონდა. მაგრამ თითოეულ დიდგვარიან აზნაურს ასეთივე საპატრონყმო სამფლობელო გააჩნდა და მისი საპატრონყმოს ყველა ყმა მოლაშქრენიც მასთან ერთად გამოდიოდნენ საბრძოლველად. სანამ მეფის ქვეშევრდომში ძლიერი ყმა ერთგული იყო, მისი მონაწილეობა ლაშქრობაში საქართველოს მეფეს უზრუნველყოფილი ჰქონდა, მაგრამ საკმარისი იყო მეფესა და დიდგვარიან აზნაურს შორის რაიმე უთანხმოება ჩამოეარდნილიყო, რომ მას ამ ჯარის ერთგულების იმედი უნდა გადაეწყვიტა: შესაძლებელი იყო ის მოწინააღმდეგესაკენ მიჰხრობოდა. ასეთ მდგომარეობაში შეუძლებელი იყო, რომ საქართველოს მეფის შინაური პოლიტიკა დიდგვარიან აზნაურთა ნება-სურვილისაგან მთლად დამოუკიდებელი ყოფილიყო. საგარეო პოლიტიკის ყველა ამოცანების განსახორციელებლად ხომ მუდამ მზად მყოფი სანდო სამხედრო ძალა უნდა ჰყოლოდა თაეის განკარგულებაში.

დავით აღმაშენებელმა ეს გარემოება კარგად შეიგნო და დიდგვარიან აზნაურთა თვითნებობის ასალაგმავად და სახელმწიფოებრივი გეგმების განსახორციელებლად საქართველოს გარეშე მტრის შემოსეეისაგანაც საშუალამოდ უზრუნველყოფისათვის, თაეის მწიგნობართუხუცესსა და ვაზირთა უპირველეს გიორგი ჭყონდიდელთან შეთანხმებით, გადასწყვე-

ტა, დიდგვარიან აზნაურთა საპატრონყმო ჯარის გარდა, დამოუკიდებელი, მხოლოდ მის განკარგულების ქვეშ მყოფი საქართველოს სახელმწიფო მუდმივი ჯარი შეექმნა.

დასახული მიზნისათვის ნაჭირავები ჯარი არ ეარგოდა: მის განსახორციელებლად საჭირო იყო ისეთი მოსახლეობა, რომელიც დიდგვარიან აზნაურებთან პატრონყმური ურთიერთობით არ იქმნებოდა დაკავშირებული. მან გადასწყვიტა, რომ ჩრდილო კავკასიიდან ყივჩალთა ტომები გადმოესახლებინა, რომელთაც წინათაც ნაჭირავებ ჯარად საქართველოში არა ერთხელ უმსახურიათ და მათი მეთაურის ასულიც თვით დავით აღმაშენებელს ჰყავდა თანამცხედრედ (ე. ი. მეუღლედ) მოყვანილი. ეს გარემოება მას აიმედებდა, რომ, საქართველოში გადმოსახლებისას, ყივჩაყები მასთან უფრო იქნებოდნენ დაკავშირებული, ვიდრე დიდგვარიან აზნაურებთან, რომელთანაც მათ არც ნათესაური და არც ტომობრივი ურთიერთობა არ ჰქონდათ.

ამასთანავე ყივჩაყები კარგ სამხედრო მებრძოლ ძალას წარმოადგენდნენ.

დავით აღმაშენებელს დიდი ჯარის შექმნა ჰქონდა განზრახული: 40 ათასი მარტო ცხენოსანი ჯარის კაცი უნდა ჰყოლოდა და 5 ათასი მონასპად წოდებული პირადი მცველი. 40 ათასი მხედარი რომ მარტოდ-მარტო გადმოსულიყო, მათ საქართველოში ცხოვრება გაუძნელდებოდათ და ისინი მკვიდრ მოსახლეობადაც ვერ იქცეოდნენ, ამიტომაც დავით აღმაშენებელმა ყივჩაყნი თავიანთ ოჯახებითურთ გადმოასახლა. დავით აღმაშენებელს მარტო სამხედრო მიზანი არ ჰქონდა დასახული. ყივჩაყთა დასასახლებლად მან შუაგული ქართლი შეარჩია, რომელიც, როგორც აღნიშნული გვქონდა, ბაგრატ IV-ისა და გიორგი II-ის დროს თურქთა მრავალგზისი შემოსევის გამო საშინლად იყო აოხრებული. ყივჩალთა ოჯახების გადმოსახლება და იქ დამკვიდრება ქართლის შეთხელებული მოსახლეობის გამრავლებასაც შეუწყობდა ხელს. მაშასადამე, ეს საშუალება პოლიტიკური ამოცანის, საახალშენო პოლიტიკის განხორციელებაც იყო.

1118 წელს დავით აღმაშენებელი ჩრდილო კავკასიისაკენ გაემგზავრა. ყივჩაყები საქართველოს მოსაზღვრენი არ იყვნენ, არამედ საქართველოსა და ყივჩაყეთს შუა მდებარე ქვეყანაში ოსები ცხოვრობდნენ. ოსებსა და ყივჩაყებს შორის კი მტრობა იყო ჩამოვარდნილი და ოსებს არ ჰსურდათ, რომ ისინი საქართველოში გადმოეშვათ.

დავით აღმაშენებლის ჩრდილო კავკასიის საზღვარზე გამოჩენისთანავე, მასთან ოსთა ყველა სამფლობელოების უფროსები მიეიდნენ მორჩილებისა და ერთგულების გამოსაცხადებლად. მეფემ მათ ყივჩაყებთან ფიცისა და ზავის წიგნი დაადებინა და სიტყვა ჩამოართვა, რომ ყივჩაყებს საქართველოში გადმოსასახლებლად მშვიდობით გამოატარებდნენ. ამ ხელშეკრულების ასრულების უზრუნველსაყოფად, მან ოსთა მთავრებს მოსთხოვა, რომ გზაზე მდებარე ყველა მნიშვნელოვანი ციხეები საქართველოსათვის გადმოეცათ. ეს პირობა მათ ასრულეს და დავით

აღმაშენებელმა ყველა ამ ციხეებში საქართველოს მეციხოვნე ჯარი ჩააყენა.

ამ გვარი სიფრთხილით მოწყობილი გეგმის საშუალებით დავით აღმაშენებელმა საქართველოში 45 ათასი ყივჩაყთა ოჯახი გადმოასახლა, რომელთაც 45 ათასი ჯარის კაცი უნდა გამოეყვანათ. დასახლებისას მათ მიწა ჰქონდათ მიჩენილი და ყველაფერი, რაც სამხედრო სამსახურისათვის სჭირდებოდათ, ცხენები და იარაღიც მიეცათ.

დავით აღმაშენებელი ამ ყივჩაყთა ჯარის გაწვრთნასა და ორგანიზაციას შეუდგა. ამ საქმეს მთელი თავისი ენერგია მოანდომა და უკვე ორი წლის შემდეგ საქართველოს საუკეთესოდ გაწვრთნილი პირველხარისხოვანი, 45 ათასი ცხენოსანი ჯარისკაცის შემცველი, ლაშქარი მოეპოებოდა.

რაკი შინაურობაში დავით აღმაშენებელმა სრული მშვიდობიანობა დაამყარა და თავისი ხელისუფლება განამტკიცა, თავისუფლად შეეძლო უკვე იმ დიდი საგარეო პოლიტიკური ამოცანის განხორციელებასაც შესდგომოდა, რომელიც მას დასახული ჰქონდა. მეფეს ესმოდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება და მტრის შემოსევისა და თარეშისაგან უზრუნველყოფა შეუძლებელი იქნებოდა, სანამ საქართველოს მთავრობას საქართველოსაკენ მომავალი ყველა მნიშვნელოვანი გზების შეკვრის საშუალება არ ექნებოდა. ამიტომაც დავით აღმაშენებელმა გადასწყვიტა, რომ ისეთი ადგილები დაეპყრო, საიდანაც საქართველოს მუდამ საფრთხე მოელოდა ხოლმე.

უკვე 1120 წელს დავითმა შირვანში გაილაშქრა და ქ. კაბალა აიღო. ამ გამარჯვებამ მახლობელი აღმოსავლეთიც შეაძრწუნა და თვით საქართველოში მყოფი მაჰმადიანებიც, რომელთაც საქართველოს პოლიტიკური გაძლიერება თავიანთვის საზიანოდ მიიჩნიეს. განჯა-ტფილის-დმანელი ვაჭრები, რომელთა ხელშიც ამიერ-კავკასიისა და აღმოსავლეთ საქართველოს მსხვილი ვაჭრობა იყო, მახლობელი აღმოსავლეთის ყველაზე უფრო ძლიერ სულტნებთან და მთავრებთან გაემგზავრნენ და სთხოვეს, რომ შეერთებული ძალით მათ საქართველოს ძლევამოსილი წინსვლისათვის წინააღმდეგობა გაეწიათ და მისი პოლიტიკური გაძლიერება შეეჩერებინათ.

მახლობელ აღმოსავლეთის მაჰმადიან სულტან-მთავრებმა და ათაბეგებმა ეს თხოვნა შეისმინეს და 1121 წელს 300 ათასი მეომრისაგან შემდგარი ჯარითურთ საქართველოს წინააღმდეგ გამოილაშქრეს. ამ ბრძოლამ დაამტკიცა, რომ მუდმივი ჯარი და საპატრონყმო ლაშქრობის შეერთებული გაწვრთნილი სამხედრო ძალა ამაოდ არ იყო დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილი: მან ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ყველა მახლობელ აღმოსავლეთის მფლობელებს ამ გამარჯვების შემდგომ შეეძლოთ დარწმუნებულიყვნენ, რომ ამ დროიდან მოყოლებული ყოველი მათი შემოსევისათვის საქართველოში უმალ ღირსეულ პასუხს მიიღებდნენ.

დავით აღმაშენებელმა გადასწყვიტა, რომ, ესოდენ ბრწყინვალე გამარჯვების შემდგომ შესაძლებელი იყო საქართველოს დედაქალაქიც საბოლოოდ შემოერთებული ყოფილიყო: 1122 წელს ის ტფილისს მიადგა და ალყა შემოარტყა. ტფილისში მყოფმა მაჰმადიანებმა მედგარი წინააღმდეგობის გაწევა სცადეს, მაგრამ მაინც ვერას გახდნენ: დავით აღმაშენებელმა ტფილისი ძალით აიღო. წინააღმდეგობით გაჯავრებულ გულზე მეფემ პირველ დღეს მოწინააღმდეგენი სასტიკად დასაჯა, მაგრამ შემდეგ ხალეცე თავისი მრისხანება წყალობად შესცვალა და ბრძანება გასცა, რომ ტფილისის მცხოვრებნი, ეროვნებისა და სარწმუნოებისდა მიუხედავად, ისეთ მდგომარეობაში ყოფილიყვნენ ჩაყენებული, რომ არც ერთი მათგანის ეროვნული და სარწმუნოებრივი გრძნობა შელახული არ ყოფილიყო.

ამიერიდან დავით აღმაშენებელმა საქართველოს სახელმწიფოს ცენტრი ჭუთაისიდან ტფილისში გადმოიტანა და დედაქალაქად აქცია. 400 წლის განმავლობაში უცხოელთა ხელში მყოფი საქართველოს დედაქალაქი ქართველობას დაუბრუნდა. ამ გამარჯვებას, ცხადია, თვით საქართველოსათვის უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა და მთელს მახლობელ აღმოსავლეთშიც ამან დიდი სახელგანთქმულობა მოუპოვა.

ტფილისის დაკარგვა მახლობელ აღმოსავლეთის მაჰმადიანებისათვის ადვილი ასატანი მარცხი არ იყო. ამიტომაც მათ სცადეს საპასუხო ლაშქრობა მოეწყოთ. მართლაც 1123 წელს სელტანი შირვანში შეიჭრა, შირვანშაჰი შეიპყრო, შამახია აიღო და დავით აღმაშენებელს მუქარით ალსავსე წერილი გამოუგზავნა, შენ დაბურულ ტყიან ქვეყანაში იმალები და, თუ გინდა, გამოდი შემებრძოლეო. დავით აღმაშენებელი მაშინვე თავის ჯარით დაიძრა. გაიგო, თუ არა, ეს ამბავი სელტანმა, მთელი თავისი ჯარითურთ გაიქცა. დავით აღმაშენებელმა შამახიაც აიღო და შირვანიც დაიპყრო. ამას გარდა დარუბანდის მმართველსაც ქალაქი მაბეურანი წაართვა.

1123 წელს დავით აღმაშენებელს უკვე შეეძლო სომხეთის მრავალი ციხე-ქალაქიც ჩაეგდო ხელში, ხოლო ამის შემდეგ ამავე წელს ფოლადბასიანის თურქების წინააღმდეგ გალაშქრებასაც შესდგომოდა. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის ამ თემებშიაც თურქები განადგურებული იყვნენ.

ჯერ უკვე ციხე-ქალაქ ანისზეც მიდგა. ქალაქი ანისი მანუჩეს შთამომავალ შედადიანთა გვარის წარმომადგენელს ახულ-სუვარს ეპყრა. მართალია, ის საქართველოს ყმადნაფიცად ითელებოდა, მაგრამ მის ქცევას არ შეიძლება აღშფოთება არ გამოეწვია ანისის სომეხთა მოსახლეობაშიაც და სხვა ქრისტიანებშიც: მან გადასწყვიტა, ანისი კარის ამირასთვის 60 ათას დინარად (ოქროს ფულია) მიეყიდა, ხოლო განთქმული ანისის ეკლესია მიზგითად გადაეკეთა. ახულ-სუვარის ასეთი საქციელით აღშფოთებულმა ანისის ქალაქის მესვეურებმა დავით აღმაშენებელს შეუთვალეს, რომ მათთვის დახმარება გაეწია და ანისი მაჰმადიან ფლიზელებისაგან განთავისუფლებინა.

მართლაც 1123 წელს 20 აგვისტოს დავით აღმაშენებელი 60 ათასი ჯარისკაცითურთ ქალაქს მიადგა და, სამი დღის მედგარი ბრძოლის შემდეგ, ანისი აიღო. ამ გამარჯვებას საქართველოსათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ ერთი რომ ანისი ერთ უძლიერეს ციხეთაგანს წარმოადგენდა, რომლის მფლობელობა საქართველოს საშუალებას აძლევდა სამხრეთითგან მომავალ მტრებისათვის გზა შეეკრა. ამას გარდა ანისი სამხრეთის სავაჭრო გზაზე მდებარე მდიდარი ქალაქიც იყო, ამიტომაც მისი საქართველოსთან შემოერთება ეკონომიური თვალსაზრისითაც იყო ხელსაყრელი. სომხებისათვისაც ეს ფრიად სასიხარულო ამბავი იყო, რადგან ანისის მცხოვრებთა უმრავლესობას სომხები შეადგენდნენ, — ანისი ხომ წინანდელი სომხეთის სამეფოს დედაქალაქი იყო, — ანისის საქართველოსთან შემოერთება სომხების მაჰმადიანთა მონობისაგან განთავისუფლების დასაწყისი იყო და სომხებს საშუალება ეძლეოდათ მშვიდობიანს ცხოვრებას შესდგომოდნენ და ყოველმხრივი წარმატება დაეწყოთ. დავით აღმაშენებელმა ანისის მართვა-გამგეობას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია: ანისი მან უშუალოდ სახელმწიფო დარბაზს დაუმორჩილა, ხოლო ანისის გამგედ აბულეთი და მისი შვილი ივანე დანიშნა, მეცხოვნე ჯარად-კი იქ მესხი აზნაურები და მესხეთის თემის ლაშქარი ჩააყენა.

ასევე მოიქცა ის იმავე 1123 წელს, როდესაც შირვანი დაიპყრო: შირვანში მან ქვეყნის მცველად ჰერეთ-კახეთის მოლაშქრენი დასტოვა. ამ ქვეყნის გამგებლად-კი საქართველოს სამეფოს მთავრობის თავმჯდომარე, მწიგნობართ-ხუცესი ჭყონდიდელი, გიორგი ჭყონდიდელის ძმა, დანიშნა.

დავით აღმაშენებელი ზემოალნიშნულითაც არ დაკმაყოფილებულა: მას უკვე ამაზე ფართო პოლიტიკური ამოცანა ჰქონდა შედგენილი და 1123 წლიდან მოყოლებული ამ გეგმის მზადებაში იყო, რომ 1125 წელს 24 იანვარს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდგომ, ტფილისში გარდაიცვალა.

დავითი ფართო და მრავალმხრივი განათლების პატრონი იყო: ქართულ მწერლობას გარდა, რომლის ღრმა ცოდნა მას მთელი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში კარგად ეტყობოდა, მან აგრეთვე მეზობელთა ერების ენები, არაბული და სპარსულიც, საფუძვლიანად იცოდა: ის ურთულეს საკითხებზე თავისუფლად ეკამათებოდა სპარსელ და არაბ მეცნიერებსა და ღვთისმეტყველებს. დავით აღმაშენებლის ცნობისმოყვარეობას ვარსკვლავთმრიცხველობაც-კი იზიდავდა.

დავით აღმაშენებლის საყვარელი დარგი ისტორიული მწერლობა იყო. ვითარცა მწერლობის ძეგლებით გატაცებულ მკითხველს, მას გზაში და ლაშქრობაში სატარებელი „ისათანაო“ წიგნთსაცავიც მოეპოვებოდა, რომელიც ყველგან თან მისდევდა. ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ დავით აღმაშენებლის სახელმწიფო პოლიტიკაც სწორედ ამ საისტორიო თხზულებათა შინაარსის ღრმა ცოდნაზე იყო დამყარებული. სწორედ ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ცოდნამ დაარწმუნა მეფე, რომ დიდ-

გვარიან აზნაურთა ურჩობა და მოღალატური ქცევა საქართველოს მეფეების წინააღმდეგ შემთხვევითი მოვლენა არ იყო, და ამანვე შეაგნებინა, რომ ამის მოსპობა მხოლოდ შესაფერისი სამხედრო ძალის შექმნით შეიწყლებოდა.

რასაკვირველია, დავით აღმაშენებელი, უპირველესად თავისი ქვეყნის კულტურულ აღორძინებაზე ზრუნავდა. ამიტომ იყო რომ გელათი აგო, რომელიც უნდოდა მეორე ათინად და აკადემიად ექცია, მაგრამ ამავე დროს ის საჭიროდ სცნობდა, რომ მფარველობა უცხო ქვეყნის მაჰმადიან პოეტებისა, სუფიებისა და მეცნიერებისათვისაც გაეწია. გამოჩენილ მაჰმადიან პოეტებისა და მეცნიერებისათვის ტფილისში მან თავშესაფარი დაარსა, სადაც ისინი ყოველმხრივ იყვნენ უზრუნველყოფილნი.

დავით აღმაშენებელის ღვაწლია, რომ მან საქართველოს სოციალური და სახელმწიფო წესწყობილების შეცვლის აუცილებლობა შეიგნო და ქართული ეკლესიის დემოკრატიზაცია განახორციელა, მუდმივი ჯარი დააწესა და კოლეგიურ წესზე აგებული, სამი მსაჯულისაგან შემდგარი, საქართველოს უზენაესი სასამართლო დაარსა. ეს სასამართლო ყველა იმ საკითხებს არჩევდა და სწყვეტდა, რომელნიც წინათ მომჩივართა მიერ აჯა-მოხსენების სახით მეფისათვის იყო ხოლმე წარდგენილი.

როგორც დავით აღმაშენებელის ფართო განათლებასა და მსოფლმხედველობას შეეფერებოდა, ის სარწმუნოებრივი და ეროვნული საკითხის სფეროშიც ფართო პოლიტიკის მიმდევარი იყო: ყოველთვის ცდილობდა ქვეყანასათვის დაენახვებია, რომ ის ყველა სარწმუნოების და ეროვნების წარმომადგენელს თანაბრად ეპყრობოდა. ზოგიერთი ქრისტიანული გარდმოცემებისადმი მისი სკეპტიკური დამოკიდებულებაც ცხადად მტკიცდება, მაგალითად მას საეკვოდ მიაჩნდა გადმოცემა სვეტი ცხოველში უფლის კვართის დაკრულობის შესახებ.

ასეთი ბრძნული წინდახედული პოლიტიკით დავით აღმაშენებელმა საერთო პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა, როგორც საქართველოში, ისევე აგრეთვე მაჰმადიან, სპარსელ, თურქ და სომეხთა მოსახლეობაშიც. არაბულ საისტორიო წყაროებში აღნიშნულია, რომ მაჰმადიანთა არც ერთს საბრძანებელში მაჰმადიანები ისე კარგად არ გრძნობდნენ თავს, როგორც საქართველოში დავით აღმაშენებლის დროს.

დავით აღმაშენებელი ქვეყნის კეთილდღეობისათვის მზრუნველი მმართველიც იყო. ამიტომაც ყოველნაირად ეცადა, რომ გზები და ხიდები საქართველოში შესაფერისად ყოფილიყო მოწყობილი. იქ, სადაც მანამდე მგზავრობა გაძნელებულ იყო, მან გზები შეაკეთებინა და ქვაფენილყუნა. ე. ი. ქვებით მოაფენინა, ხოლო გიქმაე ჩქარ მდინარეებზე ხიდები ააგებინა, გზებზე ფუნდუკები, ანუ სასტუმროები ააშენებინა. ეკონომიურ-აღებმიცემობისათვისაც მეფემ ყოველნაირად ხელშემწყობი პირობები შექმნა.

დავით აღმაშენებელმა მოსახლეობის ჯანმრთელობასაც მიაქცია ყურადღება. ამისათვის მან საგანგებოდ ჭუანონი ააგებინა, უზრუნველჰყო ექიმებით და სხვადასხვა სნეულებით შეპყრობილი ავადმყოფები მოა-

თაესებინა. დროდადრო მეფე პირადად ამოწმებდა, თუ რამდენად პირნათლად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას ის თანამდებობის პირნი, რომელთაც ამ აეადმყოფებზე მზრუნველობა და მათი მოვლა ჰქონდათ დავალებული.

დავით ალმაშენებლის მოსიყვარულე გული ხელოვნების დარგშიც სჩანდა: მხატვრული მწერლობა იყო ის, თუ სამეცნიერო, პოეზია, თუ მუსიკა, თითოეული დარგი მას აინტერესებდა და ყველგან ცდილობდა, რომ ახალ-ახალი ნაწარმოები შექმნილიყო.

დასასრულ. ქართული საალმშენებლო ხელოვნების ძეგლური სიდიადეც კარგად არის ალბეჭდილი მისი დროის ნაგებობაში: საკმარისია თუნდაც დასახელებული იყოს ქართული ხუროთმოძღვრული ხელოვნების ისეთი ჭეშმარიტი ძეგლი, როგორიც გელათის მონასტერია.

ქართული იმდროინდელი კულტურის არცერთი დარგი არ იყო, რომელშიც დავით ალმაშენებელს თავისი მზრუნველობა არ გამოეჩინოს და რომლისათვისაც თავისი ძლიერი გამამხნევებელი მფარველობა არ გაეწიოს. დავით ალმაშენებელს ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის, როგორც ქართული სახელმწიფოებრიობისა და სოციალური წესწყობილების, ისევე კულტურული აღორძინების წინაშე.

დემეტრე I (1188-1155)

დემეტრე I, უკვე თავისი მამის დავით ალმაშენებელის დროსვე იყო პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსული. შირვანში სალაშქროდ გაგზავნილმა მან დაამტკიცა, რომ ის კარგი მეომარი იყო. წინდახედული და ბრძენი პოლიტიკოსის თვისებებიც ჰქონდა, მაგრამ მაშინდელი საქართველო იმდენად დიდ სახელმწიფოდ იქცა და ისეთი რთული ამოცანები გაუჩნდა, რომ მათი გადაჭრა მხოლოდ დავით ალმაშენებლივით დიდი ნიჭითა და სახელმწიფოებრივი უნარით დაჯილდოებულ ადამიანს შეეძლო.

დავით ალმაშენებლის დროს საქართველოს განმაცვიფრებელი სისწრაფით დიდ სახელმწიფოდ ქცევამა და მრავალი ქვეყნების შემოერთებამ, მათი პოლიტიკური მომტაცებლობა და მართვა-გამგეობის ამა-თუ-იმ წესით შოწყობა გადაუდებელ ამოცანად გახადა. დავით ალმაშენებელს არ დასცალდა, რომ ეს ამოცანა თითონვე გადაეწყვიტა, ეს მოვალეობა მემკვიდრეობით დემეტრე I-ს უნდა ეკისრა.

დავით ალმაშენებლის სიკვდილის შემდეგ მახლობელი აღმოსავლეთის მაჰმადიანმა მმართველებმა გადასწყვიტეს, ყოველნაირი ღონისძიება გამოეყენებინათ, რომ დაკარგული სამფლობელოები და ქვეყნები ისევ მაჰმადიანთა საბრძანებლად ექცათ. უპირველესად ბრძოლა ანისის წინააღმდეგ დაიწყო: იერიში იერიშს მოსდევდა და ქალაქის ხელში ჩასაგდებად გააფრთებული ბრძოლა სწარმოებდა. ანისის ყოფილ ამირას აბულსუვარის ხორასანში გაქცეული ერთი შვილთაგანი ცდილობდა, რომ ანისი კვლავ საბრძანებლად მიეღო. დემეტრე I მტრის იერიშს წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ ბოლოს მაინც იძულებული იყო ხანგრძლივი

ბრძოლით შექმნილი დაძაბული მდგომარეობა მშვიდობიანი შეთანხმებით დაეცხრო: აბულ-სუვარის შვილს ჭ. ანისი დაუბრუნა, მაგრამ მხოლოდ როგორც საქართველოს ყმადნაფიცს.

დემეტრე I-ის ასეთი უფრო მოგერიებითი, ვიდრე აქტიური, პოლიტიკის წარმოების წესი მთლიანად ნებაყოფლობითი არ იყო. ასეთი მოქმედება იმ გამწვავებული შინაგანი მდგომარეობით იყო გამოწვეული, რომელიც მთელი მის მეფობის განმავლობაში ასე საგრძნობია: უკვე 1130 წელს დემეტრე I-ლის უფროსმა ვაჟიშვილმა, დავით უფლისწულმა, და ივანე აბულეთის ძემ დემეტრე I-ისა და მისი უმცროსი ვაჟიშვილის გიორგის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყეს. ამგვარად მეფე ისეთ მდგომარეობაში ჩაეყარდა, რომ ის თავის საკუთარ შვილსაც-კი უნდა შებრძოლებოდა. ივანეს მაშამ, მოხუცებულმა აბულეთმა, ამ შეთქმულების ამბავი დემეტრე I-ლს აცნობა. დემეტრემ დავით უფლისწული და ივანე აბულეთის ძე დმანისის ციხეში შეაპყრობია, მაგრამ შემდეგში, 1131 წელს მეფემ ივანე აბულეთის ძე გაანთავისუფლა და საშუალება მისცა მას თავისი დანაშაული სამხედრო მოქმედებით გამოესწორებინა. მართლაც მან ამავე წელს გაილაშქრა და გარისი აიღო.

1130 წელს გამოჭედებული ამ შეთქმულების ანარეკლი მაინც დემეტრე I-ს მეფობის მთელს განმავლობაში ჩანდა და ეს დემეტრე I-ს მტრების წინააღმდეგ ბრძოლას უძნელებდა.

1138 წელს დემეტრემ განძაში გაილაშქრა, განძა აიღო, მისი ქალაქის კარები გამარჯვების ნიშნად საქართველოში ჩამოიტანა და გელათის მონასტერს შესწირა, სადაც შესაფერისი ქართული წარწერითურთ ის დღემდე დაცულია.

დავით უფლისწულის პირველი შეთქმულება უკანასკნელი არ იყო. ლმობიერება, რომელიც მამამ თავის შვილისადმი გამოიჩინა, ამაო გამოდგა და მის გამოსწორებას არაფერი უჩანდა. 1145 წელს დავითმა თავის მამისა და ძმის წინააღმდეგ კვლავ შეთქმულების მოწყობა დაიწყო. ამ შემთხვევაშიც შეთქმულებაში მხურვალე მონაწილეობას იგივე ივანე აბულეთის-ძე იღებდა. დემეტრე I-მა ივანე აბულეთის-ძე შეიპყრო და სასტიკადაც დასაჯა, თავისი უმადური შვილი-კი ამ შემთხვევაშიც დაინდო.

გასაკვირველი არაფერია, რომ დემეტრე I-ლს, დავით უფლისწულის ასეთი მოლალატური მოქმედების შემდეგ, უპირატესობა თავისი მეორე ვაჟიშვილის გიორგისათვის მიენიჭებია. დავითს-კი არაფერშიც დათმობა არ სურდა და მესამეჯერაც კვლავ სცადა, სახელმწიფო ხელისუფლება ჩაეგდო ხელში. მაგრამ ეს მესამე შეთქმულებაც გამოამჟღავნდა და შეთქმულების მონაწილე მოღალატე დიდებულებიც სასტიკად დაისაჯნენ.

საქართველოს მეფის სახლში მძვინვარე განხეთქილების ამბავი შეუძლებელია, მეზობლებს არ სცოდნოდათ და ამ გართულებული მდგომარეობით არ ესარგებლათ. მართლაც, 1153-54 წ. არზრუმის ამირა სალდუნი, ანუ სალიხმა ანისზე იერიში მიიტანა. მაგრამ ის დამარცხდა და დატყვევებულ იქნა. ასეთი გამარჯვებისდა მიუხედავად, დემეტრე I-ლმა

არჩრუმის ამირა განთავისუფლა და შინ გაუშვა. ასეთი მშვიდობიანი პოლიტიკა ამ შემთხვევაშიც, ან შინაური გართულებული მდგომარეობით იყო გამოწვეული, ან მისი შესაძლებლობის შიშით იყო ნაკარნახევი.

დემეტრე I-ლმა 1154-55 წ. მეფობას თავი დაანება და ბერად შედგა, და სამეფო ტახტზე დავით მესამედ წოდებული მისი მოსუსენარი შვილი ავიდა. დავითის პირველივე განკარგულება მისი ერთგული დასჯილი მოშბრის, იოანე აბულეთის ძის, შვილის თირქაშის განთავისუფლება და ამირსპასალარად დანიშვნა იყო. მაგრამ ექვს თვეზე მეტი მეფობა მას არ დასცალდა. თავისით გარდაიცვალა, თუ არა დავითი, გამორკვეული არ არის, მაგრამ მამაცკაი ევედრებოდა ღვთაებას, მისი უმადური და ულირსი შვილისათვის სიცოცხლე შეემოკლებინა. და დემეტრე I-ის ასეთი მოქმედება ამქვეყნებს იმ ტრაღიკულ მდგომარეობას, რომელშიც საქართველოს სამეფო სახლი მაშინ იმყოფებოდა.

გარდაიცვალა თუ არა დავით III, დემეტრე კვლავ მონასტრიდან გამოვიდა, თითონაც კვლავ გამეფდა და თავისი შვილი გიორგი III-ეც 1156 წელს თითონვე აიყვანა სამეფო ტახტზე.

ამ რიგად დემეტრე I-ს, პირადი მამაცობისა და მხნეობისდა მიუხედავად, მის ოჯახშივე ჩამოყარდნილი უთანხმოების გამო, უნდა უეჭველად სიფრთხილე გამოეჩინა, რომ ამ შინაური ბრძოლით გარეშე მტერს არ ესარგებლა და საქართველოსათვის ზიანი არ მოეყენებინა. ასეთ პირობებში მისი მოქმედების გეზად, აქტიური პოლიტიკის მაგიერ, რომელსაც მისი მამა აწარმოებდა, უნებლიეთ მოგერიებითი უნდა ყოფილიყო. მას ის მაინც უნდა შეენარჩუნებინა, რაც საქართველოს დავით ალმაშენებელმა შესძინა. მაგრამ დემეტრე I-მა ამის მთლიანად განხორციელებაც კი ვერ მოახერხა.

გიორგი III (1156—1184)

დემეტრე I-ის უმცროს ვაჟიშვილს უპირველესად უნდა მამის 30 წლის მეფობის განმავლობაში და ძმის ხანმოკლე ბატონობის დროს საქართველოს მოდუნებული ძლიერების კვლავ აღდგენაზე ეზრუნა. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, თუ შინაურობაში მშვიდობიანობა დამყარდებოდა და ქართული სახელმწიფოებრიობა კვლავ განმტკიცდებოდა. დავით III-ს სიკვდილმა საქართველოსაც და გიორგისაც საშუალება მისცა, რომ მყუდროება დაემყარებინა.

გიორგი III-ე ისეთივე აქტიური საგარეო პოლიტიკის მიმდევარი გამოდგა, როგორისაც მისი პაპა იყო. რაკი გარეშე მტრებს იერიში საქართველოს წინააღმდეგ ჩვეულებრივ აღმოსავლეთითა და სამხრეთიდან მოექონდათ ხოლმე, ამიტომ გიორგი III დროსაც საქართველოს მთავრობას თავის უპირველეს ამოცანად უნდა სახელმწიფოს საზღვრის უშიშროება მიეჩნია, და სწორედ ამ ორი მხრით უზრუნველეყო.

ისევე, როგორც თავის დროზე დავით ალმაშენებელმა განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ანისის ცხე-ქალაქის ხელში ჩაგდებას მიაქცია,

ეხლა, ყველაზე უწინარეს, უნდა დემეტრე I-ის მეფობაში მომხდარი მარცხი ყოფილიყო გამოსწორებული. ამიტომ გიორგი III-ემ თავისი პირველი ლაშქრობა ანისისაკენ მიმართა. 1161 წელს ზაფხულში 3.000 ცხენოსან ჯარისკაცითურთ ის ანისის მაშინდელი მმართველის ყმადნაფიცი ფადლონ შედადიანის შესაპყრობად და ანისის შემოსაერთებლად მოულოდნელად ანისისაკენ გაემართა. ფადლონმა გაქცევა მოასწრო. გიორგი III-მ ანისი აიღო და საქართველოს ჯარის მხედართმთავარს ამირასპასალარ იოანე ორბელს ჩააბარა. მის თანაშემწედ სარგის მხარგრძელი და საქართველოს სხვა თემის დიდებული მოხელეები დანიშნა და ანისის ციხეში 2.000 რჩეული მეცხოვნე ქართველი ჯარისკაცი დასტოვა, თვით ქალაქი და ანისის სანახები-კი უშუალოდ სამეფო ტახტს დაუმორჩილა.

ქართველთაგან ანისის კელავ დაპყრობამ ყველა მახლობელ მაჰმადიან მმართველებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. შაჰ-არმენად წოდებული ხლათის მფლობელები იბრაჰიმ ნასირ-ადდინ-სულთან II, დიარბეკირის მმრთველი კუტადადდინ ილ-ღაზი არდოხის-ძე და არზრუმის მთავარი ალმელიქ სალტუხი, ანუ სალიკი, ურთიერთთან შეთანხმების შემდგომ, იმავე წელს მრავალრიცხოვანი შეერთებული ლაშქრითურთ ანისს მიადგნენ ამ უმნიშვნელოვანესი იცხე-ქალაქის ისევ საქართველოს ხელიდან გამოსაგლეჯად. მაგრამ ანისთან მომხდარ ბრძოლაში საქართველოს ჯარმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა, 2000 მოლაშქრე ტყვედ ჩაიგდო, რომელთა შორის 6 მთავარი და 150 ამირა იყო. რაკი გიორგი III-ს მაჰმადიანთა შეერთებულ სამხედრო ძალასთან მოუხდა ბრძოლა, ამ ბრძოლამ ერთხელ კიდევ საქართველოს ძლეულებისილება გამოამჟღავნა.

ამ ბრწყინვალე გამარჯვების აღსანიშნავად გიორგი III-ემ ანისის მცხოვრებლებს, ეროვნებისა და სარწმუნოებისდა განურჩეველად 40.000 დრაჰკანიც (ოქროს ფული) უწყალობა და ანისიდან წინად ტყვედ წაყვანილი ქრისტიანი და მაჰმადიანი მცხოვრებიც ტყვეობიდან გაათავისუფლა.

შემდეგ ჯერი უფრო სამხრეთით მდებარე მეორე ფრიად მნიშვნელოვან ქალაქ დვინზე მიდგა, რომელიც სომხეთისა და ერანის აზერბაიჯანის მაშინდელ საზღვარზე იყო და მდიდარ საკომერციო ცენტრად ითვლებოდა. გიორგი III-ის მეთაურობით 30 ათას საქართველოს მხედრობასა და დვინის მფლობელის ლაშქარს შორის 1162 წელს ბრძოლა ქალაქის წინ დაწყო. საქართველოს ჯარმა გაიმარჯვა, ქართველმა ჯარმა ქალაქის კარებამდე მიაღწია, დამარცხებული მტრის ჯარს ქალაქშიც კვალდაკვალ შეჰყვა და დვინი აიღო.

ამის საპასუხოდ ილდიგუზ ათაბაგმა და სულთან არსლანმა თავიანთი შეერთებული მრავალრიცხოვანი ლაშქრითურთ 1163 წელს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი გადმოლახეს, გაგი აიღეს და მთელი სანახები აოხრეს. სანამ გიორგი III ლაშქრითურთ იქამდის მიაღწევდა, შემოსეული მტერი ნაძარცვითა და ტყვეებითურთ უკან გაეშურა. ქართველებს ეს შემოსევა უბრალო თარეში ეგონათ და მტერს ალარ დასდევნებიან, მაგრამ არც ამის შემდგომ მოპყრობიან ამ საქმეს სათანადო სიფ-

ხიზლით. მტრის ერთმა მოკავშირეთაგანმა-კი, ხლათის სულტანმა, გიორგი III-ის შესაცდენად თავისი ელჩი აახლა. ვითომდა მშვიდობიანობაზე მოსალაპარაკებლად, ნამდვილად-კი, როგორც შემდეგში გამოირკვა, ეს ელჩი საჯაშუშოდ იყო წარმოვლენილი. გიორგი მეფე-კი სრულებით უდარდელად იდგა სანადიროდ გამზადებული. რაკი მტრები დარწმუნდნენ, რომ გიორგი III-ეს ჯარი შეყრილი არ ჰყავდა, მათ, მოლალატეებთან წინასწარი შეთანხმებით, ისე უეცრად მოახერხეს საქართველოში შემოჭრა, რომ სანადიროდ მდგომმა გიორგიმ III-მ და მისმა ამალამ გასწრება და ტყეებიდან თავის დაღწევა ძლივს მოახერხეს. ამ დროიდან მოყოლებული მაჰმადიან მმართველთა შეერთებული სამხედრო ძალა გამუდმებით ბრძოლას აწარმოებდა ანისის უკან დასაბრუნებლად. ბოლოს, როდესაც ამ ბრძოლით ორივე მხარე საკმაოდ მოიღალა, ელდიგუზ ათაბაგი და გიორგი III-ის და, რუსუდანი, სულტანის ცოლ-ყოფილი ქერივი, მოწინააღმდეგეთა შორის შუამავლად გამოვიდნენ და 1165 წელს გიორგი III-მე შეთანხმებაზე დაიყოლიეს: მან ანისის წინანდელი მფლობელის მემკვიდრე, არსლანი, საქართველოს ყმადნაფიცად შეიწყნარა და ანისი გადასცა. მაგრამ გიორგი III-ისაგან გადადგმული ეს ნაბიჯი მხოლოდ მოზღვაებულ მტერთან ბრძოლით მოჭანცული ქვეყნის დასასვენებლად გამოყენებული დროებითი საშუალება იყო.

ანისის საკითხის მშვიდობიანი შეთანხმებით მოგვარებამ, დიდგვარიან აზნაურ მხედართმთავრებს საშუალება მისცა, რომ გიორგი მეფისაგან სხვა მიმართულებით სამხედრო მოქმედების წარმოება მოეთხოვათ. 1166 წელს დაწყებულ ომში უმთავრესი ყურადღება ალმოსავლეთის საზღვარს ჰქონდა მიპყრობილი და მნიშვნელოვანი სამხედრო მოქმედება სწორედ რანში იყო. საქართველოს ჯარი ამ ქვეყანაში შეიჭრა და განძამდის მიაღწია.

ჩრდილოეთ კავკასიაში მყოფს მაჰმადიან მფლობელებს დარუბანდის გზით იერიში მოჰქონდათ შირვან-შაჰზე, რომელიც საქართველოს ყმადნაფიცი იყო. შირვან-შაჰად ამ დროს გიორგი III დისწული აღსართანი იყო, რომელსაც მანუჩაჰრ ახისტან (= ქართულს აღსართანს) ბენ-კესრანი ეწოდებოდა სახელად. საქართველო ვალდებული იყო, ვითარცა შირვანის მფარველი, გაჭირვებაში მყოფი მისი ყმადნაფიცი შირვან-შაჰისათვის დახმარება გაეწია და გიორგი III-მაც 1167 წ. თავის ჯარითურთ იქითკენ გაილაშქრა, ქ. შაბურანი და დარუბანდი აიღო და შირვან-შაჰის სამფლობელო ჩრდილოეთის მტრის საშიშროებისაგან უზრუნველჰყო. დარუბანდი მან საქართველოს ყმადნაფიცს თავის დისწულს შირვან-შაჰს გადასცა.

ეხლა უკვე გიორგი III-ს ანისის ბედისწერის საბოლოოდ გამოსწორებაც შეეძლო. მან 1173 წელს ანისში მყოფი ამირა საქართველოში წამოიყვანა და ანისი საქართველოს შემოუერთა.

ამის შემდეგ, მაჰმადიანი მფლობელნიც საპასუხოდ დაირაზმნენ. მათ წინანდელი მდგომარეობის აღდგენა სწადდათ, მაგრამ მათი ყოველი ცდა ამაო გამოდგა. ამ გვარად სამხრეთით მდებარე ეს უაღრესად მნიშვნე-

ლოვანი ციხე-ქალაქი კვლავ საქართველოს სახელმწიფოს უცილობელ კუთვნილებად იქცა.

მოსალოდნელი იყო, რომ ეხლა მაინც საქართველოში სრული სიწყნარე და მშვიდობიანობა უნდა დამყარებულიყო, მაგრამ 1177 წელს მოულოდნელად შინაური ბრძოლა ატყდა. საქართველოს ჯარის ამირსპასალარმა იოანე ორბელმა აჯანყება დაიწყო. მიზნად მას გიორგი მეფის დატყვევება და მის მაგიერ საქართველოს სამეფო ტახტზე გიორგი III-ის უფროსი ძმის დავითის ვაჟიშვილის, დემნა უფლისწულის, აყვანა ჰქონდა დასახული. დემნა იოანე ორბელის სიძე იყო.

იოანე ორბელს დიდგვარიან-აზნაურ-ხელისუფალთაგან ბევრნი მიემხრნენ ისე, რომ მეამბოხეთ 30.000 მებრძოლი შეუგროვდათ.

გიორგი III-ე უმალ ტფილისში მივიდა, მონასპების უფროსი, ნაყივჩაყარი ყუბასარი, დაიბარა თავისთან და სამხედრო ძალის მოკრებას შეუდგა. ამ გარემოებამ მეამბოხეთა ბანაკში მყოფ დიდგვარიან აზნაურ ხელისუფალთაგან ბევრნი გამოაფხიზლა. პირველმა გამრეკელმა-თორელმა მიატოვა დემნა უფლისწული და იოანე ორბელი და მორჩილების მოსახსენებლად გიორგი მეფესთან გამოცხადდა. მას სხვებმაც მიჰბაძეს. მათ შორის მხარგრძელებმაც. იოანე ორბელმა და მეამბოხეებმა მეზობელ მაჰმადიანთა სამფლობელოებში თავიანთი თანამოაზრე დიდგვარიანი აზნაურები გიორგი მეფის საწინაალმდეგოდ მეშველი ჯარის სათხოვნელად აფრინეს. მაგრამ საბედნიეროდ მეამბოხეთა ეს მოღალატური ცდელობა ამაო გამოდგა.

გიორგი მეფე ლორეს ველს მიადგა, ლორეს ციხე გარემოიცვა და აჯანყებულთა ზრახვების გასაქარწყლებლად ბრძოლა დაიწყო. დემნა უფლისწულმა ვეღარ აიტანა, ციხიდან საბლით ჩამოეშვა და თავის ბიძას წარუდგა, პატიების მთხოვნელი. შემდეგ თვით ამ აჯანყების მომწყობი იოანე ორბელიც იძულებული იყო მეფეს დაჰმორჩილებოდა. ამ გვარად აჯანყება ჩაქრობილ იქმნა. გიორგი III-ემ დამნაშავენი სასტიკად დასაჯევინა: იოანე ორბელი და აჯანყების სხვა მეთაურნი სიკვდილით იქნენ დასჯილნი. დაისაჯა დემნა უფლისწულიც, რომელმაც კანონით განკუთვნილი სასჯელი ვერ აიტანა და გარდაიცვალა.

ამ აჯანყებამ გიორგი III დაარწმუნა, რომ დიდგვარიან აზნაურთა გულის მოგება ვერაფრით ვერ მოხერხდებოდა და მათს ურჩობასა და მოღალატურს ქცევას ვერაფერი შეაჩერებდა, ამიტომ გადასწყვიტა, მარჯვე შემთხვევით ესარგებლა და შეთქმულებაში გარეული ყველა დიდგვარიანი მოხელეები გადაეყენებინა, დასჯილთა და გადაყენებულ დიდგვარიან აზნაურთა მაგიერ-კი, პირადი ღირსებით დაწინაურებული ხელისუფლები დაენიშნა. ასეც მოიქცა: ამირსპასალარ იოანე ორბელის მაგივრად საქართველოს ჯარის მხედართმთავრად ნაყივჩაყარი ყუბასარი დანიშნა, რომელმაც გიორგი III-ს იოანე ორბელის და დემნას აჯანყების დროს თავისი ერთგულებითა და სწრაფი მოქმედებით განსაკუთრებული სამსახური გაუწია. ამ გვარადვე მან აზნაურთა ყმობიდან აღზევებული მისგანვე აღზრდილი აფრიდონიც დააწინაურა და მსახურთუხუცესის თა-

ნამდებობა მისცა. ჭიაბერიც, რომელიც ამ აჯანყების დროს აგრეთვე მისი ერთგული აღმოჩნდა, ასევე დაწინაურებულ იქნა. გამრეკელი-თორელიც ამგვარადვე მაღალი ხელისუფლების მინიჭებით დააჯილდოვა. ასევე და ამავე დროს ჩანს ყუთლუ-არსლანიც დაწინაურებული.

ამ რიგად, გიორგი მესამემ სახელმწიფო აპარატის იმგვარივე რეფორმა განახორციელა, როგორიც თავის დროზე დავით აღმაშენებელმა, რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების საშუალებით, ეკლესიაში შესძლო: როგორც მაშინ ქართული ეკლესიის მღვდელმსახურთა დემოკრატიზაცია მოხდა, ისევე ეხლაც საქართველოს დარბაზის კარსა მდგომ მოხელეთა დემოკრატიზაცია იქმნა განხორციელებული. პირად ღირსებას ამ შემთხვევაშიც წოდებრიობის წინაშე უპირატესობა მიანიჭა.

თავიანთი უპირატესობის დაკარგვას დიდგვაროვან აზნაურთა წოდების წარმომადგენლები, რასაკვირველია, ასე ადვილად ვერ შეურიგდებოდნენ, მაგრამ ძლეულმოსილი და გამარჯვებული გიორგი III საკმაოდ ღონიერად გრძნობდა მაშინ თავის თავს, რომ ასეთი წინააღმდეგობისა არ შეჰშინებოდა.

როდესაც აჯანყების ჩამქრობი მეფე საქართველოს დედაქალაქში დაბრუნდა, აქ მას მოულოდნელად საეკლესიო კრება დახვდა. რომლის დადგენილებაც ამ კრების მესვეურებმა წარუდგინეს. თუმცა საეკლესიო კრება მეფეს მტრებზე გამარჯვებას ულოცავდა, მაგრამ იმავე დროს თხოულობდა, რომ საეკლესიო ჭირნებაზე და მამულებზე დაწესებული სახელმწიფო გადასახადები მოსპობილი ყოფილიყო და მეფეს ეკლესიის შეუვალობა აღედგინა, როგორც წინათ იყო. მოლოკვასთან დართული მოთხოვნა გიორგი III-თვის, უეჭველია, არაფერს სასიამოვნოს არ წარმოადგენდა, მაგრამ, ასეთი განსაცდელისა და აჯანყების თავიდან აცილების შემდგომ, მას არ შეეძლო ამგვარი საკითხის გამო ეკლესიასთანაც უთანხმოება ჩამოეგდო და გიორგი III-ც დათანხმდა.

დემნა უფლისწულის სიკვდილის შემდე საქართველოში სამეფო გვარის მამრობითი შთამომავალი ალარავინ დარჩა: გიორგი III-ეს, ქალიშვილის თამარის მეტი, არავინ არ ჰყოლია. აჯანყებამ ცხადი-ყო, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობა შინაგანი ბრძოლისაგან უზრუნველყოფილი არ იქნებოდა, თუ რომ ტახტის მემკვიდრეობის საკითხი გიორგი III-ის სიცოცხლის დროშივე არ გადაწყვეტილიყო.

სამეფო ტახტზე საქართველოში ქალი არას დროს არ მჯდარა, მახლობელ აღმოსავლეთისათვისაც ასეთი მოვლენა უცნობი იყო, ამიტომ ამ საკითხის გადაწყვეტას დიდი სამზადისი სჭირდებოდა. 1178 წ., წინასწარ ნიადაგის შემზადების შემდგომ, გიორგი III-მ სახელმწიფო დარბაზი მოიწვია და შეეკითხა, შესაძლებელი იყო, თუ არა, რომ თამარი მას თავის თანამოსაყდრედ დაესვა.

ქალიშვილის თანამოსაყდრედ დასმაზე გიორგი III-ისათვის სახელმწიფო დარბაზისაგან დასტურის მიღება ადვილი საქმე არ იყო, რადგან ეს ერთი მხრით ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის საკითხზე იყო დაკავშირებული, ხოლო მეორე მხრით იმაზეც, თუ რამდენად შესა-

ძლებელი იყო, რომ ყმაწვილ ქალს ისეთი დიდი სახელმწიფოს ბედიღბალი ჩაებარებოდა ხელში, როგორიც მაშინ საქართველო იყო.

ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხი ქართული მწერლობისათვის წინათაც მთლად უცნობი საკითხი არ იყო. მაგრამ მაშინ ეს პრაქტიკული საკითხი არ იყო, ეხლა-კი იგი უკვე უალრესად პასუხსაგებ სახელმწიფოებრივ ამოცანას წარმოადგენდა.

მეფედ კურთხევის საკითხი მაშინ ორი თვალსაზრისით სწყდებოდა: ერთი სახელმწიფო თვალსაზრისი იყო, მეორე საეკლესიო-სარწმუნოებრივი. მეფის კურთხევაც ორგვარი, — სახელმწიფო-საეროა და საეკლესიო, — კურთხევის წესიც არსებობდა. პირველისათვის დარბაზის დასტური იყო საჭირო, მეორეს, რასაკვირველია, ეკლესიის თანხმობა სჭირდებოდა.

ვიდრე ეს საკითხი საჯაროდ იქნებოდა გატანილი, გიორგი III-ეს ის, რასაკვირველია, უნდა კერძო მოლაპარაკებისა და დათანხმების გზით მოეხერხებინა. ამ დროს საქართველოს ეკლესიის საჭეთ-მპყრობელად ნიკოლოზ გულაბერის-ძე იყო, პროგრესიული მიმართულების წარმომადგენელი, ცნობილი ქართველი მწერალი და ფილოსოფოსი, რომლის მომხრეობა ამ შემთხვევაში სრულებით უზრუნველყოფილი იქნებოდა, მაგრამ, რომელსაც კონსერვატორთა წრეებში გაელენა არ ჰქონდა. ამ წრეების მეთაური მიქელ მირიანის-ძე იყო და გიორგი III-ს, მისი გავლენიანობის გამო, სწორედ მასთან მოუხდა მოლაპარაკება. 1178 წელს გიორგი III-ემ თამარის თანამოსაყდრედ დასმისათვის ეკლესიისაგან დასტური მიიღო. ამავე დროს საქართველოს ეკლესიაში ცვლილება მოხდა: ნიკოლოზ გულაბერის-ძე კათალიკოსობიდგან გადადგა და მის მაგიერ კათალიკოსად მიქელ მირიანის-ძე იყო დასმული. ეს ეკლესიის კონსერვატორულ წრეებში თამარის თანამოსაყდრეობის საკითხის უმტკივნეულოდ მოგვარებისათვის მილებული ჯილდო იყო. ამნაირად თამარი თავისი მამის თანამოსაყდრედ იქცა და 1178 წლიდან მოყოლებული მას საშუალება ჰქონდა სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობის წესები შეეთვისებია და ქვეყნის მესაჭეობის ხელოვნებაში გაწრთვნილიყო.

1184 წელს მარტში რომ გიორგი III გარდაიცვალა, თავის ნორჩ ქალიშვილს მან მრავალრიცხოვანი მოსახლეობისა და სხვა და სხვა ეროვნების წარმომადგენელთა შემცველი სამეფო დაუტოვა. მას საქართველოს ისტორიამაც დიდი და უალრესი პასუხსაგები ამოკანები და მოვალეობაც დააკისრა.

თამარ მეფე (1184—1918)

ამ ხანის პოლიტიკური და სოციალური მოძრაობანი. საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების შეცვლა. შინაური და საგარეო პოლიტიკა და საქართველოს მახლობელი აღმოსავლეთის მოწინავე სახელმწიფოდ ქცევა.

მამის სიკვდილის შემდეგ, თამარი სახელმწიფო საქმეების მმართველობას არ შესდგომია, ის ამისათვის საქართველოს სახელმწიფო დარ-

ბაზის სათანადო დასტურს უცდიდა. ამ დროს ქვეყნის მესაჭეობა თამარის მამიდის, რუსუდანის, ხელში იყო. დარბაზის წევრთა შორის საკილობლად იყო ქცეული თამარის საქართველოს ერთადერთი მეფედ დასმის მიზანშეწონილობა. ამიტომ ისევ იმავე საკითხის გარჩევას შეუდგნენ, რომელზედაც ჯერ კიდევ მისი შამის გიორგის სიკვდილის დროს ჰქონდათ მსჯელობა.

ცხადია, რომ მოწინააღმდეგე ჯგუფი ამ შემთხვევაში გაცილებით უფრო ძლიერი იქნებოდა, ვიდრე თამარის მამის სიკვდილის დროს. ამიტომ თამარისათვის სამეფო ტახტზე ასვლისა და გამეფებისათვის დასტურის მისაღებადაც წინანდელზე გაცილებით მეტად სჭირდებოდა ნიადაგის მოსამზადებლად მუშაობა. ამ შემთხვევაშიც, გადამწყვეტი მნიშვნელობა წინასწარს საიდუმლო მოლაპარაკებას ჰქონდა, რისთვისაც გაელენიანი შუამავლები იყვნენ საჭირო. ასეთ შუამავლად ამ შემთხვევაშიც გიორგი III-ის მეფობის უკანასკნელ წლებში კათალიკოსად ქცეული მიქელ მირიანის-ძე გამოსულა და დარბაზმა მსჯელობის შემდეგ თამარს დასტური მისცა.

ისევე, როგორც თანამოსაყდრედ დასმისათვის დასტურის მისაღებად ამ საქმის მომგვარებლის დაჯილდოება გახდა აუცილებელი, ამ შემთხვევაშიც მიქელ მირიანის ძე მწიგნობართ-უხუცესად და ვაზირთა უპირველესად იქცა და სწორედ ეს იყო ნაკისრი საქმის მოგვარებისათვის მიღებული ჯილდო, რომელიც თამარის მამიდას, რუსუდანს მიქელმა დასტურა.

ამრიგად მიქელი ერთსადაიმავე დროს ქართული ეკლესიის მესაჭეც იყო და ვაზირთა უპირველესად და მწიგნობართ-უხუცესადაც იქცა. ეს საქართველოს ისტორიაში სრულებით გაუგონარი ამბავი იყო. იმით არამცთუ დაეთმო ალმაშენებლის მიერ განხორციელებული რეფორმა, რომლითაც მან ქართული ეკლესიის სახელმწიფო ხელისუფლებისათვის დამორჩილება მოახერხა, გაბათილებულ იქმნა, არამედ მიქელ კათალიკოსმა ამ საქმის სრული მოტრიალებაც-კი შესძლო. ამიერიდგან ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელს საშუალება მიეცა იმავე დროს საქართველოს მეფის თანაშემწე და მოადგილეც ყოფილიყო.

საეკლესიო წრეებთან ამ საკითხის მოგვარების შემდგომ და სახელმწიფო დარბაზის დასტურის მიღების უმალ, თამარი საქართველოს მეფეთ-მეფედ იქნა კურთხეული და როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის მესაჭე სამეფო ტახტზე ავიდა. ის ცვლილება, რომელიც სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაში მწიგნობართ-უხუცესის ხელისუფლების კათალიკოსისგან მიტაცების წყალობით მოხდა, ვერაფრად ესიამოვნა. ამიტომაც თამარი პირველად სწორედ ამ მარცხის გამოსწორებისათვის ზრუნვას შეუდგა. პატივმოყვარე მიქელ კათალიკოსის წინააღმდეგ წამოყენებულ იქმნა მხოლოდ საეკლესიო ბრალდება, რომელიც, უკეთუ დამტკიცდებოდა, პას საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელობას დააკარგვინებდა და ამის შემდგომ, რასაკვირველია, ის ვეღარც მწიგნობართუხუცესისა და ვაზირთა ყოველთა უპირველესის ხელისუფლებას შეინარჩუნებდა. ასე მოფიქრებული გეგმის განსახორციელებლად საეკლესიო კრების

მოწვევა იყო საჭირო, რადგან ეკლესიის საჭეთმპყრობელის გადაყენება მხოლოდ საეკლესიო კრებას შეეძლო.

კათალიკოსის გადასაყენებლად საეკლესიო კრებისაგან დასტურის მიღება ადვილი არ იყო, რამდენადაც მიქელ კათალიკოსს მრავალრიცხოვანი მომხრენი ჰყვანდნენ. თამარ მეფესაც უნდა თავის სახელმწიფოებრივ პოლიტიკის მომხრენი დაერაზმა, ამიტომაც მან უკუღმეთიდან ყველა გამოჩენილი საეკლესიო-სამონასტრო მოღვაწენი დაიბარა, მათ შორის პალესტინიდან მიქელ კათალიკოსის უწინარეს ქართული ეკლესიის მესაჭედ ნამყოფი ნიკოლოზ გულაბერის ძეც. ლიხთიმერეთიდან ამავე მიზნით გადმოიყვანა ანტონ სალირის ძე. როცა პროგრესიულად განწყობილი და მოაზროვნე ყველა მოღვაწენი ჩამოვიდნენ, თამარ მეფემ საეკლესიო კრება მოიწვია, რომელიც თითონვე გახსნა და რომელსაც სთხოვა მიქელ კათალიკოსის საეკლესიო მოღვაწეობის კანონიერება გაერჩია.

საეკლესიო კრებამ მიქელის გადაყენების დასტური თამარსა და მთავრობას არ მისცა. ახალგაზრდა მეფისათვის, რომლის პირველივე ნაბიჯი ასეთი მარცხით დამთავრდა, მეტად უსიამოვნო გარემოება იყო.

რაკი მიქელ კათალიკოსის წინააღმდეგ საეკლესიო ხასიათის ბრალდება ვერ დადასტურდა და მისი ამ გზითა და ამ საშუალებით გადაყენება ვერ მოხერხდა, თავისდათავად უკვე უხერხული იყო, რომ თამარს მისთვის მწიგნობართუხუცესობა წაერთმია, რადგან ეს თანამდებობა მას მისივე მამიდასაგან სწორედ სამეფო ტახტზე მის ასაყვანად ხელის შეწყობისათვის ჰქონდა ჯილდოდ მიღებული. ამ რიგად საქმე ისე დატრიალდა, რომ მეფესა და კათალიკოს-პატრიარქს-მწიგნობართუხუცესს შორის სრული უსიამოვნება უნდა დამყარებულიყო, მისი გადაყენება-კი შეუძლებელი შეიქნა.

ამ მარცხმა, რომელიც იმავე დროს ეკლესიის კონსერვატორთა წრეების გამარჯვებას წარმოადგენდა, დიდგვარიანი აზნაურის მოხელეებიც გაათამამა. რომელთაც თანამდებობა დარბაზის კარსა მყოფსა და უმაღლეს სხვა დაწესებულებებში ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდათ. ის ცვლილება, რომელიც გიორგი III-მ იოანე ორბელ-დემნას აჯანყების ჩაქრობის შემდგომ სახელმწიფო მართვა-გამგეობის სფეროში მოახდინა, როდესაც მან დიდგვარიან აზნაურ მოხელეებს ვაზირობა და მათი თანაშემწეობა წაართვა და მათ მაგიერ პირადი ღირსებითა და სამსახურით დაწინაურებულ-აღზევებული უგვარონი დანიშნა, მაშინაც დიდგვარიან აზნაურთა წრეში აღშფოთება გამოიწვია, მაგრამ დამარცხებულთ თავიანთი ბრაზი და ბოღმა უნდა უნებლიეთ გულში ჩაეკლათ. ეხლა-კი, როდესაც სამეფო ტახტზე უკვე ნორჩი ქალიშვილი იჯდა, რომელსაც კათალიკოზ-პატრიარქთან შებრძოლების დროს მარცხი მოუვიდა, დიდგვარიან აზნაურ ხელისუფლებმა გადასწყვიტეს, რომ მათ უკვე წინანდელი უპირატესობის დასაბრუნებლად სრული საშუალება მიეცათ. ეს მოხელეები გაიფიცნენ და თამარ მეფეს კოლექტიური განცხადება წარუდგინეს, რომელშიც აცხადებდნენ, რომ ამიერიდგან ისინი უგვარო ხელისუფლების ბრძანებას აღარ დაემორჩილებოდნენ. ამასთანავე გარკვეული

პირებიც დაასახელეს, რომელთა დაუყოვნებლივ გადაყენებასაც გადაჰკრით მოითხოვდნენ.

გადასაყენებლად დასახელებულთა შორის პირველი ამირსპასალარი უბასარი აღმოჩნდა, შემდეგ მსახურთუხუცესი აფრიდონი და სხვებიც.

თავიანთი მოქმედებისა და მოთხოვნილებისათვის გარეგნული კანონიერების მისანიჭებლად, უბასარის წინააღმდეგ ის მოსაზრება იყო წამოყენებული, რომ მას ფილენჯად წოდებული სნეულებისაგან დრო-გამოშვებით მოძრაობისა და მეტყველების უნარი ეკარგებოდა ხოლმე, მაგრამ აფრიდონის წინააღმდეგ მათ ასეთი ბრალდება ვერ მოსძებნეს და მის შესახებ მხოლოდ იმის თქმა შეეძლოთ, რომ ის აზნაურის ყმობისაგან მეფის წყალობით მსახურთუხუცესობამდე იყო აღზევებული.

თამარს ადვილად შეეძლო მიმხვდარიყო, რომ უბასარს ისინი მხოლოდ იმიტომ ებრძოდნენ, რომ მათთვის ის, რაზეც იოანე ორბელ-დემნას აჯანყების ჩაქრობის პირველი მეთაური, ყველაზე საძულველი პიროვნება იყო, აფრიდონიც ნიშანში ამოსაღებ მხეცად იმიტომ იქცა, რომ ის დაბალი წოდებიდან, აზნაურთა ყმობიდან, გამოსული და აღზევებული იყო, პიროვნება, რომელიც მათ, როგორც დიდგვაროვან აზნაურებს, დამორჩილებული უნდა ჰყოლოდათ, მათ ეხლა ბატონად ჰყავდათ დასმული.

საქართველოს ჯერედ გამოუბრძმედელ ქალიშვილს მმართველზე ამ გაუგონარმა ამბავმა თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა. უმწეო მდგომარეობაში ჩაყარდნილმა თამარმა გადასწყვიტა, რომ, დათმობის გარდა, სხვა არავითარი საშუალება უკვე ალარ არსებობდა. მაგრამ იმავე დროს მას არ ჰსურდა, რომ მისი მამისა და სახელმწიფოს ისეთი ერთგული მოხელე, როგორიც უბასარი იყო, გაეწირა. რაკი უბასარი ამ დროს მართლაც ავადმყოფობდა, მან გადასწყვიტა ეს მონათხოვნი დაეკმაყოფილებინა და ამირსპასალარის თანამდებობიდან განთავისუფლებინა, გაფიცული დიდგვაროვანი აზნაურების მოთხოვნის მეორე ნაწილზე-კი, რომ უბასარს მთელი ჭონებაც ჩამორთმეოდა, უარი განუცხადა: ამირსპასალარობასთან დაკავშირებულს სამოხელეო სამფლობელოს გარდა, მთელი დანარჩენი ჭონება შეუნარჩუნა და მას სიკვდილამდე დიდი პატივისცემითა და მზრუნველობით ეპყრობოდა. აფრიდონიც ამ გვარადვე დაემხო და თანამდებობაც დაკარგა. ამ რიგად, ორი ისეთი მნიშვნელოვანი ხელისუფლება, როგორიც სრულიად საქართველოს მთელი ჯარის მეთაურობა, ამირსპასალარობა, და მსახურთუხუცესობა იყო, ეგვართა ხელითგან იყო გამოგლეჯილი.

ეს საქართველოს ახალგაზრდა მეფის მეორე დიდი მარცხი იყო. ის მარტო თამარის მარცხი-კი არ წარმოადგენდა, არამედ მამის გიორგის დროს მოპოებული გამარჯვების გაქარწყლებასაც უდრიდა.

რამდენადაც ბრძოლის მოსაგებად წარმოებული იერიში თანხმობრივ იყო მოწყობილი, იმდენად გამარჯვებით მოპოებული დაულის განაწილებისას ატყდა გაფიცულ დიდგვაროვან აზნაურთა შორის გაჩენილი ბრძოლა. თითოეულს მათგანს უნდოდა, რომ ამირსპასალარობა, ანდა მსახურთუხუცესობა სწორედ თითონ მიეღო და სხვას არ ჰკუებოდა.

გაფიცულ დიდგვარიან აზნაურთა შორის ატეხილ ამ ბრძოლით მეჭურჭლეთუხუცესმა ყუთლუ-არსლანმა ისარგებლა, რომელსაც პოლიტიკური გეგმის თანამგრძნობთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი აღმოაჩნდა. ისინი ერთად შეიყარნენ და ფიცის წიგნი დასდეს, რომ თამარ მეფეს მონათხოვნი წარუდგინონ და მის ასრულებისათვის ერთსულოვნად იბრძოლონ.

თამარისათვის წარმოდგენილი მონათხოვნი შემდეგს პოლიტიკურ დებულებას შეიცავდა: ისანში, სამეფო სასახლის მახლობლად უნდა დადგმული ყოფილიყო „კარავი“, რომელშიც თავისუფლად მხდომარენი მოხსენებას მიიღებდნენ და ბრძანებას გასცემდნენ, წყალობის ღირსთ წყალობას მიჰფენდნენ, დასასჯელს-კი რისხვას მიაგებდნენ. ეს ჩვენი დადგენილება მეფეთ-მეფესა და დედოფალს თამარს მოხსენდეს ხოლმე და სრულ იქმნეს ხოლმე განგებული ჩვენით.

ისანში საქართველოს მეფეთ-მეფის სასახლე იყო მოთავსებული და საქართველოს უმაღლესი დაწესებულება, სახელმწიფო დარბაზი. დარბაზის მოწვევა მხოლოდამხოლოდ მეფის ნებაყოფლობასა და სურვილზე იყო დამოკიდებული. ეხლა ყუთლუ-არსლანის დასი თხოულობდა, რომ სასახლის გვერდით კარავი ყოფილიყო დადგმული და იქ მეფისაგან დამოუკიდებლივ და მეფის დაუსწრებლივ სახელმწიფოს მართვა-გამგეობასა და უზენაეს მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საქმეები განეხილათ. აქ „კარავი“ ჩვეულებრივი მნიშვნელობით-კი არ არის ნახმარი, არამედ დარბაზის მსგავს დაწესებულებად. ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის გეგმით მეფეს კანონმდებლობით ხელისუფლება უნდა ჩამორთმეოდა და მთლიანად ამ ახალ დაწესებულებას უნდა გადასცემოდა. მეფეს ისინი მხოლოდ აღმასრულებელ ხელისუფლებას უტოვებდნენ.

თუ გაფიცულ დიდგვარიან აზნაურ მოხელეების წადილს წინანდელი წოდებრივი უპირატესობის დაბრუნება შეადგენდა, ყუთლუ-არსლანის დასს მიზნად დასახული ჰქონდა, სახელმწიფო წესწყობილების იმნაირად შეცვლა, რომ ქვეყნის მართვა-გამგეობა და მართლმსაჯულება მარტო მეფის სურვილზე არ ყოფილიყო დამოკიდებული.

ყუთლუ-არსლანის დასის მონათხოვნი, რა თქმა უნდა, დიდგვარიან აზნაურ მოხელეთა მონათხოვზე უფრო მოულოდნელი იყო. თამარი უმალ მიხვდა, რომ მისი ასრულება მეფის ხელისუფლების თითქმის მოსპობას უდრიდა. სახელმწიფოს იმდროინდელ მესვეურთა რჩევით, თამარმა ამ პოლიტიკური დასის მეთაური დააჭერინა. თამარის მრჩეველთ ეგონათ, რომ მეთაურის დაჭერა ამ მოძრაობას ჩააქრობდა და დასიც თავისთავად დაიშლებოდა. მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა.

ყუთლუ-არსლანის დაჭერის უმალ, მისი თანამოაზრენი კვლავ შეიკრიბნენ და ხელმეორედ ფიცის წიგნი დასდეს, რომ მეფეს თავიანთი მეთაურის, ყუთლუ-არსლანის, უვნებლობა და განთავისუფლებაც მოითხოვონ და იმ პოლიტიკური მონათხოვნის ასრულებაც, რომელიც წინად ჰქონდათ წარდგენილი. ხოლო, თუ ყველა ეს შეწყნარებული არ იქნებოდა, გადასწყვიტეს, სასახლის წინააღმდეგ გალაშქრების წინაშეც არ შეჩე-

რებულიყვნენ, და ამ გადაწყვეტილების განხორციელებისათვის მზადებასაცა შეუდგნენ.

ამრიგად საქმე სამხედრო ძალას უნდა გადაეწყვიტა. ესოდენ პასუხისაგებ დროს თამარმა ბრძნული წინდახედულობა გამოიჩინა და, თავის ჩვეულებრივ მრჩეველებს, ორი გამოჩენილი ქართველი მანდილოსანი ამკობინა, რომელნიც სიბრძნითა და გაელენიანობით იყვნენ ცნობილნი მაშინდელ საქართველოში. ყუთლუ-არსლანის აუკანყებელ პოლიტიკურ დასს მოსალაპარაკებლად თამარმა კრავაი ჯაყელი და ხუაშაქ ცოქალი მიუგზავნა. ამ ორმა მანდილოსანმა უალრესად პასუხსაგები პოლიტიკური დავალებისა და კონფლიქტის მოგვარება მოახერხეს. შეთანხმება ურთიერთ დათმობით გახდა შესაძლებელი. თამარმა შეუთვალა, რომ, ყუთლუ-არსლანს გარდა, დატრიალებული ამბის პასუხს ის არავის მოსთხოვდა. ამასთანავე თამარი დათანხმდა, რომ ამიერიდან მას საქართველოს დიდებულთა თანადგომითა და ერთნებობით მიღებული გადაწყვეტილება წარსდგენოდა ხოლმე დასამტკიცებლად. დასის წარმომადგენლებმა თავიანთ მხრივ აღიარეს, რომ ისინი თამარ მეფეს ერთგულებას გამუდმებდნენ, და მის ხელისუფლებას დაემორჩილებიან.

ამგვარად თამარ მეფემ დარბაზის თანადგომის, ე. ი. სახელმწიფოს საქმეების განხილვა-გადაწყვეტაში მონაწილეობის უფლება აღიარა, მაგრამ თავისთვის მან დამტკიცების უფლება შეინარჩუნა. მართლაც, ამ დროიდან მოყოლებული, ქართულ საისტორიო წყაროებში ყოველ ცნობას დიდი თანამდებობის პირთა დანიშვნის შესახებ ისეთი გამონათქვამები ახლავს, რომელთა კვალი, წინანდელ საისტორიო ძეგლებში არსად ჩანს: „თანადგომითა და ერთნებობითა დიდებულთა შეიდთავე სამეფოთა" თამარმა დაამტკიცა ესადა ეს პირნი.

თამარის დროს ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკურ მოძრაობის შედეგად საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებაში მომხდარი ცვლილება იმავე მოძღვრებისა და იმავე პროგრამის ანარეკლს წარმოადგენს, რომელთაც XI საუკუნეში ქართული მონასტრების მონარქიული წესწყობილება რესპუბლიკურ წესწყობილებად შესცვალეს და მონასტრებში ძმობის ყველა წევრთა „თანადგომითა და ერთნებობით" მოწყობილი არჩევნები შემოაღებინეს.

ამგვარად ამიერიდან საქართველოს მეფეთ-მეფის ხელისუფლება სახელმწიფო დარბაზის თანადგომითა და ერთნებობით იყო შეზღუდული. საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებაში მომხდარი ეს ფრიად მნიშვნელოვანი ცვლილება იმ ცვლილების საფუძველსმო და წინამორბედ ანალოგიურ მოვლენას წარმოადგენს, რომელიც XIII საუკ. დამდეგს ინგლისში მოხდა და „მაგნა ხარტა ლიბერტატუმ"-ის შექმნითა და ინგლისის მეფის ხელისუფლების შეზღუდვით დამთავრდა.

ამ შეთანხმებამ საქართველოს ხანგრძლივი პოლიტიკური მყუდროება შეიტანა. მართალია, დიდგვაროვანი აზნაურები შემდეგშიც რამდენჯერმე შეეცდნენ მდგომარეობა თავიანთ სასარგებლოდ გამოესწორებინათ, მაგ-

რამ მათი ყოველი ასეთი მცდელობა ამაო გამოდგა და პოლიტიკური მყუდროება საგრძნობლად აღარ შერყეულა.

შეთანხმების შემდეგ, ახლად შემოღებული წესის თანახმად, თამარ მეფემ ისეთი პირები დაამტკიცა ვაზირებად და მათ თანაშემწეებად, რომელნიც თამარის მამის, გიორგი III-ის, გაზრდილნი, ანდა შეზრდილნი იყვნენ, და რომელთა ერთგულებაც იოანე ორბელ-დემნას აჯანყების დროს გამომჟღავნდა.

ამის შემდეგ საქართველოს სახელმწიფოს მესვეურთა საზრუნავს თამარისათვის ქმრის მოძებნა წარმოადგენდა, რადგანაც მას, როგორც ქალს არ შეეძლო საქართველოს ჯარის მთავარსარდლობა ეკისრა, როგორც ამას ჩვეულებრივ მეფეები ასრულებდნენ. იმ დროს-კი მეფის პირად მონაწილეობას ომში ფრიად დიდი გამამხნევებელი მნიშვნელობა ჰქონდა. 1185-86 წ. სახელმწიფო დარბაზის წევრთა გადაწყვეტილებით, რუსეთიდან ჩამოყვანილი იყო უფლისწული გიორგი რუსი, რომელთანაც ქორწინება მოხდა. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც მისი პიროვნების უარყოფითი თვისებები გამომჟღავნდა, ის საქართველოდან გააძევეს. მას ნება დართეს კონსტანტინეპოლში გამგზავრებულიყო.

1189 წელს თამარისათვის საქმროდ ოსთა მეფის შთამომავალი, დედით ქართველ მეფეთა ბაგრატიონიანთა ასულის შვილი, დავით უფლისწული იყო დასახელებული. ის თამარის მამიდასთან, რუსუდანთან, იზრდებოდა და მისი სიმამაცე და განსწავლულობაც ყველასათვის კარგად იყო ცნობილი. ამიტომაც ეს არჩევანი დარბაზის ერმაცა და თვით თამარმაც მოიწონეს.

1190-91 წ. გიორგი რუსმა, დიდგვარიან აზნაურებთან წინასწარი შეთანხმებით, დაკარგული ხელისუფლებისა და საქართველოს მეფეთ-მეფის ქმრობის კვლავ დაბრუნება სცადა. გიორგი რუსს ისეთი დიდი პოლიტიკური მოღვაწენი მიემხრნენ, როგორიც გუზანი, კლარჯეთისა და შავშეთის ერისთავთ-ერისთავი, ბოცო სამცხის სპასალარი, ციხისჯვარელ-ჯაყელი და მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი იყვნენ.

გიორგი რუსი ჯერ მესხეთის თემში შემოიჭრა, შემდეგ-კი იქიდან დასავლეთ საქართველოში გადაიყვანეს და გეგუთში მეფედ დასვეს. ეს გეგმა მთლიანად წინანდელი პოლიტიკური უპირატესობის დასაბრუნებლად მოწყობილს დიდგვარიან აზნაურთა მცდელობას წარმოადგენდა. მათ იმედი ჰქონდათ, რომ გიორგი რუსს თავიანთ სათამაშო ბურთად აქცევდნენ.

ამ ამბით შეშფოთებულმა თამარმა აღმოსავლეთ საქართველოს ყველა დიდი ხელისუფლები მოიწვია. ყველამ განდგომილებაში გაურევლობა და მისი ერთგულება შეჰფიცეს. თამარმა სცადა, დიდგვარიან აზნაურთა ჯგუფის ეს უგუნური საქციელი მშვიდობიანი მოლაპარაკებით შეეჩერებინა, რომელიც მხათა შორის სისხლის ღვრით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ მისი ცდა ამაო გამოდგა. გიორგი რუსის მომხრენი ორ ჯგუფად გაიყვნენ: ერთი თავის ლაშქრითურთ აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლში, გადმოვიდა და ამ თემის აოხრება დაიწყო, მე-

ორე კიდევ ცხინვალის გზით სამცხეში გადავიდა და ქალაქი ოძრხე გადასწვა.

თამარის ერთგულმა აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებმაც ჯარს თავი მოუყარეს და ჯაყელთში გაემგზავრნენ საბრძოლველად, სადაც აჯანყებულთა მთავარი ძალა იმყოფებოდა. თმოგვსა და ერუშეთს შუა, მეამბოხეთა და საქართველოს მთავრობის ჯარს შორის დიდი ბრძოლა მოხდა. აჯანყებულები დამარცხდნენ და გაიფანტნენ. როდესაც ქართლში მყოფმა მეამბოხეებმა ჯაყელთის ჯგუფის დამარცხების ამბავი გაიგეს, უბრძოლველად გაიქცნენ. გიორგი რუსის მომხრეთა რიცხვი ეხლა ეკვე შემცირდა და მათ ბრძოლა აღარ შეეძლოთ. ამიტომ ამ დიდგვაროვანმა აზნაურებმა თამარს შეამდგომლები მიუგზავნეს, რომ თავიანთთვის უვნებლობის ფიცი მიეღოთ, მაშინ ჰპირდებოდენ, რომ გიორგი რუსს დაჭერილს მიჰგვრიდნენ. თამარმაც უვნებლობა უწყალობა. აჯანყებულები გადმოვიდნენ და გიორგი რუსიც მოჰგვარეს. თამარმა გიორგი რუსი კვლავ გაათავა, აჯანყებაში გარეულ ყველა მომხრეებსაკი თანამდებობა ჩამოართვა და მათ მაგიერ თავისი ერთგული ხელისუფლები დანიშნა.

1192-93 წ. თამარის პირველი ეკატერინილი გიორგი-ლაშა დაიბადა, ამის აღსანიშნავად ლაშქრობა იყო მოწყობილი ერთი მხრით არზრუმის, კარნუ-ქალაქის, მიმართულებით და მეორე მხრით არეზის სანაპიროებისაკენ.

1193 წელს გიორგი რუსმა ხელმეორედ სცადა თავისი ბედი ისევ წალმა მოეტრიალებინა: კონსტანტინეპოლიდან რანში მოვიდა ათაბაგთან და იქიდან კამბეჩოვანში, ე. ი. ჭიზიყში, შეიჭრა. მაგრამ ეს მეორე მცდელობა პირველზე უარესად დამთავრდა: ის უმალ დამარცხებულ იქმნა და უკვალოდ გაქრა.

როდესაც გიორგი III გარდაიცვალა და სამეფო ტახტზე ნორჩი ქალიშვილი თამარი ავიდა, ყველა მეზობლებს ეგონათ, რომ ეხლა-კი სამაგიეროს გადახდის დრო დაუდგათ, მაგრამ ეს იმედი არ გაუმართლდათ: საქართველოს სამხედრო ძლიერება ოდნავადაც არ შესუსტებულა, იმისდა მიუხედავად, რომ საქართველოს სამეფო ტახტზე მამაკაცის მაგიერ ქალი ოდა. თამარს ხასიათის დიდი სიმტკიცე და მამაცური ნებისყოფა ჰქონდა. ქვეყნის მესაჭეობასაც კარგად ახერხებდა.

მეზობელი მაჰმადიანი მმართველები დროგამოშვებით ცდილობდნენ, რომ აქ-თუ-იქ, ამათუიმ მხრიდან იერიში მოეტანათ და საქართველოსაგან შემოერთებული ადგილები ისევ უკან დაებრუნებინათ. ერანის აზერბაიჯანის ამირა-ამირას ყიზილ-არსლანის ათაბაგის შვილი აბუბეკრ ათაბაგი 1192 წელს შირვანს შეესია. ამ დროს შირვანში საშინელი მიწისძვრა მოხდა: შამახიის ზღუდეები დაინგრა, აღსართან შირვან-შაჰმა და მისმა სიძემ ამირ მირმანმა აბუბეკრ ათაბაგის შემოსევას წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და საქართველოს მთავრობას და თამარს სთხოვეს, აბუბეკრის ძალმომრეობისაგან დაეცვათ. რაკი ის საქართველოს ყმად-ნაფიცი იყო, საქართველოს მთავრობამაც თავისი მოვალეობის ასრულება ალუთქვა და სამხედრო სამზადისს შეუდგა.

1195 წელს საქართველოს მრავალრიცხოვანი ჯარი დაიძრა და შანჯართან დიდი ბრძოლა მოხდა, რომლის დროსაც მტერი საშინლად დამარცხდა. ათაბაგმა თავისთავი ლტოლვით გადაარჩინა მხოლოდ. ძლევამოსილ ქართველთა ჯარს თვით მაჰმადიანთა ხალიფისაგან უძლეველობის მოსანიჭებლად გამოგზავნილი ლაზო-დროშა ჩაუვარდა ხელში და დიდძალი დალაც ერგო. მაშინვე შანჯარიდან მცხოვრებნი გამოეგებნენ, ქალაქის კლიტე-გასაღები მოართვეს და მეფე დავითსა და ქართველთა ჯარის მხედართ-მთავრებს შიგ შებრძანება სთხოვეს.

კვლავ დაპყრობილი შანჯარი და მისი სანახები საქართველოს მთავრობას თავის უშუალო მფლობელობად არ უჭერია, არამედ ამირ შირანს გადასცა, ვითარცა ყმადნაფიცს. შერმე ქართველმა მხედრობამ განძაზეც გაილაშქრა, მაგრამ განძასთან მიახლოებისთანავე, განძელებმა თავიანთი წარმომადგენლები მოაგებეს და უბრძოლველად დამორჩილება მოახსენეს. საქართველოს ჯარის მთავარსარდლობა ჯარითურთ განძაში შეიდა და, მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების აღსანიშნავად, განძის მმართველის სასახლეში დიდი დარბაზობა გადაიხადა.

საქართველოს სამხედრო ძლიერება ამ დროიდან მოყოლებული თანდათან სულ უფრო და უფრო მატულობს. მისი სამხედრო მოქმედების ასპარეზად საქართველოს სამხრეთით და დასავლეთით მდებარე სანაპიროები იქცნენ. 1196 წ. გელაჭუნი და ამბერდი იყო ალებული. 1201 წელს ბიჯნისი იქნა შემოერთებული. რაკი აბუბეკრ ათაბაგი მაინც წინანდებურად არ ისვენებდა, მის დასასჯელად კვლავ იყო ლაშქარი გაგზავნილი და 1203—1204 წ. სამხედრო მოქმედება დვინამდის და მის სანაბამდის სწარმოებდა.

ამავე ხანაში დასავლეთის თურქობამ დაიწყო იერიშის მოტანა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის თემების წინააღმდეგ. ამიტომ მათ ასალაგმავად და გასანადგურებლადაც საქართველოდან გაგზავნილი იყო ჯარი, რომელმაც გაიარა პალაკაცო, არტაანი, და სხვა თემები, დაიპყრო ხაბული, ოშკი და ბანა.

1204 წელს თამარი იძულებული გახდა საქართველოს ჯარის მოქმედება უფრო შორეულ მანძილზეც-კი გადაეტანა. უცხოეთიდან ჩამოსულ ქართული სავანეების წარმომადგენლებს თამარ მეფემ 1204 წელს დიდი ქონებრივი შეწირულება გადასცა, მაგრამ დაბრუნებისას ამ მონასტრების წარმომადგენლებს ბიზანტიის კეისარმა ეს ფული ჩამოართვა და დაისაკუთრა. ასეთი გაუგონარი საქციელისა და კადნიერების დასასჯელად, თამარმა საქართველოს მხედრობა ბიზანტიის სახელმწიფოს იმ სანაპიროს შეუსია, რომელიც საქართველოს მოსაზღვრე იყო და რომელშიც ქართველთა მონათესავე ლაზებისა და ჭანების ტომები ცხოვრობდნენ. ამ ლაშქრობის დროს საქართველოს ჯარმა ლაზიკა დაიპყრო. ტრაპიზონი, სამისონი, სინოპი, კერასუნტი, კოტიორა აიღო და ერაკლიამდის მიაღწია. მთელი ეს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო საქართველოს მთავრობამ ბიზანტიას ჩამოართვა და ცალკე საკეისრო შექმნა, რომელშიც თამარმა შთამომავლობით ბერ-

ძენი უფლისწული დედის მხრით ქართველ მეფეთა ბაგრატიონიანთა მონათესავე და საქართველოში ნამყოფი ალექსი კომნენოსი გაამეფა.

ამნაირად საქართველოს მეზობლად ამ დროიდან მოყოლებული თვით საქართველოს წყალობითვე შექმნილი საკეისრო გაჩნდა, რომელიც ქართველთა მონათესავე ტომითაც იყო დასახლებული და პოლიტიკურადაც საქართველოს სახელმწიფოსთან იყო უმჭიდროესად დაკავშირებული: ტრაპიზონის საკეისროში საქართველოს ჰეგემონია სუფევდა.

ბიზანტიის საკეისროს დაარსების შემდეგაც, ქართული ჯარი იქიდან მთლად არ წაბრუნებულა, რადგან თამარისა და საქართველოს მთავრობის ზემოალნიშნული მოქმედება მხოლოდ დასაწყისი იყო შაი. ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართ დასახული პოლიტიკის, რომლის ანარეკლი შემდეგშიც ჩანდა და რომლის გარშემო ბრძოლაც ბიზანტიასა და საქართველოს შორის მთელი XIII და XIV საუკუნის განმავლობაში სწარმოებდა.

1204-5 წ. საქართველოს ჯარმა ჯერ ხლათი და შემდეგ მანასკერტი და არჭეში აქცია თავის მოქმედების ასპარეზად. 1205 წელს-კი საქართველოს მთავრობამ გადასწყვიტა დაეპყრო ის ვრთადერთი სამ უმნიშვნელოვანეს ციხე-ქალაქთაგანიც, რომელიც ჯერ კიდევ შემოერთებული არ ჰქონდა და რომლის ფლობა მას სამხრეთიდან მომავალი მტრისაგან უზრუნველყოფდა: თამარმა თავისი ჯარი კარის (ყარსის) ციხე-ქალაქის ასაღებად წარგზავნა. კარის ამირა ხლათის მმართველს შაჰ-არმენს ემორჩილებოდა. გარემოცვა კარგა ხანს გაგრძელდა, მაგრამ მაინც საქართველოს ჯარის სრული გამარჯვებით დამთავრდა. ამ რიგად სამხედრო თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობის მქონებელი ეს ციხე-ქალაქი კარიც საქართველოს საზღვრებში მოექცა. თამარ მეფემ, კარის მცხოვრებთა თხოვნის თანახმად, კარის ციხე-ქალაქი უშუალოდ სახელმწიფო ტახტს დაუმორჩილა.

როგორადაც კარის ციხის აღებას საქართველოს ძლევამოსილობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ისევე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ამბავმა მთელს მახლობელ აღმოსავლეთშიც. საქართველოს ამ გამარჯვებით ყველაზე მეტად რუმის სულტანი რუკნადინი იყო აღშფოთებული, რომელმაც კარის აღების უმალ შეზობელ ყველა მაჰმადიან სამფლობელოების უფროსებთან გააბა მოლაპარაკება, რომ შეერთებულ ძალით საქართველოს წინააღმდეგ გამოელაშქრათ და, არამცთუ კარის ციხე-ქალაქი უკან დაებრუნებინათ, არამედ საქართველო-კი გაენადგურებინათ.

მოკავშირეებმა, რომ 400 ათასი ჯარისკაცისაგან შემდგარ ლაშქარს მოუყარეს თავი, რუკნადინმა თამარ მეფეს მუქარითა და უკმეხი გამონათქვამებით სავსე ეპისტოლე გამოუგზავნა, რომელშიც წინადადებას აძლევდა, უბრძოლველად დაჰმორჩილებოდა. თამარმა 1206 წელს ბრძანება გასცა, რომ საქართველოს მხედრობას თავი მოეყარა. ეს განკარგულება სისწრაფით იქნნა ასრულებული, და უკან მიმავალი რუკნადინის ელჩს საქართველოს მთელი ლაშქარი კვალდაკვალ დაედევნა.

საქართველოს მხედრობამ რუკნადინთან ბრძოლა მოულოდნელი თავ-

დასხმით დაიწყო და რეკნადინის ჯარი ასტიკს ბრძოლაში ისე დამარცხდა, რომ თვით რეკნადინი და მისი მოკავშირე, აბულესტანის მფლობელი მელიქ-ედინ-ტოღრილ-შაჰი, ტყვეობას ძლივს გადურჩნენ. მათ დროშები, მთელი მათი ქონება, რაც-კი თან ჰქონდათ, საქართველოს ძლევამოსილ ლაშქარს ჩაეარდა ხელში.

ამ გამარჯვებამ საქართველოს სამხედრო ძალის უძლეველობა კიდევ გამოამჟღავნა.

1207 წელს თამარის მეუღლე დავითი გარდაიცვალა და თამარმა სამეფო ტახტზე თანამოსაყდრედ თავისი თორმეტი წლის ვაჟიშვილი გიორგი ლაშა აიყვანა. დავითის სიკვდილის მიუხედავად, საქართველოს სამხედრო ძლიერება მომდევნო წლებში არამცთუ არ შესუსტებულა, არამედ გამარჯვებას გამარჯვება მოსდევდა. 1208 და 1209 წელს არჭეში იქნა ალებული. მართალია, 1208 წელსვე მოულოდნელად საქართველოს ერანიდან არდაველის სულტანი შემოესია. მან იმ გარემოებით ისარგებლა, რომ ალდგომა დღეს ქრისტიანთა წესით ქალაქის კარები დიდა ადრიან იღებოდა ხოლმე და ყველა მორწმუნენი ეკლესიებში იყვნენ სალოცავად. საიდუმლო მზადების შემდგომ, ანისს ლამიანად თავს დაესხა და იმ დროს, როდესაც რიერაქზე ქალაქის კარები გაღებული იყო, შეესია, ეკლესიებში მყოფი ხალხი ამოხოცა და ისევე სწრაფად, როგორც შემოიჭრა, ერანში დაბრუნდა. მაგრამ მოახსენეს, თუ არა, თამარს ამ კადნიერი შემოსევის ამბავი, საპასუხო დამსჯელი ლაშქრობის მოწყობა უმალვე გადაწყდა. იმ დროს, როდესაც მაჰმადიანთა დიდი დღესასწაული იყო, როცა მაჰმადიანებმაც დასვენება-განცხრომა იციან ხოლმე, ასევე სასწრაფოდ საქართველოს მხედრობაც არდაველის სულტანისა და მისი მოსახლეობის დასასჯელად არდაველში გაეშურა. იმავე წესით, როგორც ანისი იყო დარბეულ-დაწიოკებული, დარბეულ და დაწიოკებულ იქნა არდაველიც, ხოლო არდაველის სულტანი სიკვდილით დასაჯეს.

ერანში გალაშქრებამ ქართველ მხედართმთავრებს ერანის სრული პოლიტიკური უმწეობის სურათი გადაუშალა. ისინი დარწმუნდნენ, რომ ერანის დაპყრობა ძნელი საქმე ალარ იყო, ხოლო, რაკი ერანის სხვა და სხვა ცალკეული ამირებისა და მფლობელების მეკობრული, ყაჩალური თავდასხმისაგან საქართველოს მუდმივობა არღვეოდა ხოლმე, ამიტომ 1210 წელს საქართველოს ჯარის მხედართმთავარმა, ამირსპასალარმა, ზაქარია მხარგრძელმა და სხვა მალალმა ხელისუფლებმა თამარს გეგმა წარუდგინეს, რომ ერანში დიდი ლაშქრობა მოწყობილიყო. ამ საკითხის გადაწყვეტა თამარმა სახელმწიფო დარბაზს გადასცა, რომელმაც დასტური მისცა და თამარ მეფემაც ეს გადაწყვეტილება დაამტკიცა.

საქართველოს მრავალრიცხოვანი მხედრობა ერანისაკენ გაემართა. პირველად მარანდი იყო ალებული. მარანდის ალებამ თავრეჟზე (უდრის ახლანდელ თავრიზს) ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ თავრეჟელებმა უბრძოლველად დამორჩილება მოახსენეს. ქალაქი მიანაც ასევე მოიქცა. შემდეგ უჟანი და ზენგანიც (უდრის ახლანდელ ზენჯანს) იყო ალე-

ბული. ზენგანმა საქართველოს ჯარს წინააღმდეგობა გაუწია და მისი დამორჩილება მხოლოდ ბრძოლის შემდგომ გახდა შესაძლებელი. ძლევამოსილმა ქართულმა მხედრობამ ყაზვინიც დაიპყრო. დაელით დატირთულმა ლაშქარმა რომ-გურსაც-კი მიაღწია და აქ უკვე იმდენად დიდი დალა დაგროვდა, რომ ლაშქრობის გაგრძელება შეუძლებელიღა შეიქმნა: ძლევამოსილი ჯარი უკან უნდა დაბრუნებულიყო. არას დროს საქართველოს ჯარს ესოდენ შორეული ლაშქრობა არ ჰქონია.

ამ გვარად ერანის ჩრდილოეთი ნაწილი, ე. წ. ერანის აზერბაიჯანი საქართველოს უმადნაფიცად იქცა: მან ყოველწლიური ხარკის ძღვენი იკისრა. ასეთი ბრწყინვალე გამარჯვების აღსანიშნავად, დიდი დარბაზობა იყო მოწვეული, რომლის დროსაც თამარ მეფეს ერანიდან დაბრუნებული მხედრობა წარუდგა და თან მოტანილი დალა მიართვეს. ეს თამარის მეფობის უკანასკნელი დიდი ლაშქრობა იყო და ამის შემდგომ საქართველოს მშვიდობიანობა გარეშე მტრისაგან დარღვეული აღარ ყოფილა.

1212 წელს გარდაიცვალა ზაქარია ამირსპასალარი და მის მაგიერ მისი ძმა იოანე ათაბაგი იყო დანიშნული.

1213 წელს ავადმყოფობის შემდგომ თვით თამარ მეფეც გარდაიცვალა. თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში ბრძნული საგეთმპყრობელობითა და შორსგამჭვრეტელი პოლიტიკით, თამარმა ბრწყინვალედ დააგვირგვინა საქართველოს სახელმწიფოს აღმშენებლობის ის დიადი საქმე, რომელიც მისი სახელოვანი წინაპრის, დავით აღმაშენებლის, მიერ იყო დაწყებული. მამაკაცის დაუღალავი ენერგიით, დიდი ჭკუით, მხნეობითა და სამაგალითო მამაცობით დაფუძნებული ეს ხელთუქმნელი ნაგებობა, ქალის სიბრძნითა და ნებისყოფით იყო დამთავრებული.

საქართველოს კულტურული ვითარება მეთორმეტე საუკუნეში

სახელმწიფოებრივი და სოციალური პროგლემები. მეცნიერება. მწერლობა. ხელოვნება

XII-ე საუკუნის განმავლობაში მოწინავე პროგრესიული მოღვაწეებისა და მთელი მშრომელი ქართველი ხალხის გამუდმებული მუშაობით, წარმატებისათვის დაუცხრომელი ზრუნვითა და სოციალური და სახელმწიფოებრივი იდეალებისათვის ბრძოლით, საქართველო მახლობელი აღმოსავლეთის პირველხარისხოვან პოლიტიკურ ძალად იქცა. მისი გაელენა მაშინდელი მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობაში კარგად იყო საგრძნობი. ამ ხანაში, ასეთს სწრაფ ზრდასთან დაკავშირებით, მას არაერთი ფრიად მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტაც მოუხდა.

პირველი ამოცანა, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისათვის უნდა გადაწყვეტილი ყოფილიყო, წოდებრიობისა და

პირადი ღირსების ურთიერთობის პრობლემა იყო. საშუალო საუკუნეებში, ფეოდალურ წესწყობილებაში განმტკიცებული მსოფლმხედველობაცა და რწმენაც უპირატესობას შთამომავლობასა და წოდებრიობას აკუთვნებდა. ეს ურყევ ჭეშმარიტებად მიჩნეული მაშინდელი რწმენა დავით აღმაშენებლის ხანაში საქართველოში დაარღვია და ადამიანის პირად ღირსებას, წოდებრივ შთამომავლობასთან შედარებით, უპირატესობა მიანიჭა. მოწინავე მოაზროვნე საზოგადოებაშიცა და სახელმწიფო მართვა-გამგეობის სფეროშიც საქმიანობა სწორედ ამ ძირითად ახალ მოძღვრებაზე იყო დამყარებული.

ამავე ხანაში სახელმწიფო წესწყობილების ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანაც გადაწყდა, როგორიც მეფისა და დიდგვარიან აზნაურთა ხელისუფლების ურთიერთობის პრობლემაა. საუკუნეთა განმავლობაში მიმდინარე ბრძოლა, რომელიც მეფესა და დიდგვარიან აზნაურებს შორის ყველ მხოლოდ წოდებრივი უპირატესობის შესანარჩუნებლად სწარმოებდა, როცა მეფის ხელისუფლება ამ უპირატესობის შეზღუდვა-მოსპობას ცდილობდა და ახერხებდა კიდეც, თამარის დროს, ყუთლუ-არსლანის მეთაურობით მომქმედი პოლიტიკური დასისაგან წამოყენებული მოძღვრებისა და მონათხოვნის წყალობით, სახელმწიფო დარბაზის წევრთაგან მეფის ხელისუფლების შეზღუდვით დამთავრდა: ამ ხანიდან მოყოლებული დარბაზის-ერთა „თანადგომა და ერთნებობა“ მეფის ბრძანების სიმტკიცისათვის საჭირო გახდა.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის სინამდვილემ ქართველ მოწინავე მოაზროვნე საზოგადოებას საშუალო საუკუნეებისათვის ისეთი რთული საკითხიც გადააწყვეტინა, როგორიც ქალის ხელისუფლების პრობლემაა. მაშინდელმა საქართველომ ეს საკითხიც ქალის სასარგებლოდ გადაწყვიტა: სამეფო ტახტზე აყვანილ იქნა ქალი, მაგრამ ისე-კი არა, როგორც ჩვეულებრივ იყო ხოლმე, მხოლოდ ვითარცა დედოფალი, არამედ, როგორც ქვეყნისა და სახელმწიფოს სრულუფლებიანი პატრონ-ბატონი და მეფეთ-მეფე, მისი მეულლე-კი მხოლოდ მისი თანამეცხედრედ იყო ცნობილი და ქმრობით მას არც მეფეთ-მეფობა და არც მესაქეობა არ მიჰნიჭებია. მეთორმეტე საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის გაელენა სხვაფრივადაც მოჩანს.

ქართულ სახელმწიფოებრიობას გადასაწყვეტი გაუხდა უცხო ეროვნებათა წარმომადგენლებისა და სხვა რწმენის ალმასრულებელთადმი დამოკიდებულებისა და პოლიტიკის პრობლემაც. მართლმადიდებელ ქრისტიანთა გარდა, საქართველოს სახელმწიფოში იყვნენ მონოფიზიტი სომხებიც და მაჰმადიანნიც-სპარსნი, თურქნი და არაბებიც, რომელთადმი დამოკიდებულების გარკვეული გეზი უნდა ჰქონოდა სახელმწიფო ხელისუფლებს. საქართველოს მთავრობა დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული თავისს სახელმწიფოებრივ პოლიტიკაში თანასწორობას იცავდა: ეროვნული უფლება-შეზღუდვილობა იმდროინდელ საქართველოში არ არსებობდა.

ეროვნულ-სარწმუნოებრივი განსხვავებისდა მიუხედავად, ქვეშევრდომ-

თა სრული თანასწორობის პრინციპი, რომელსაც საქართველოს მთავრობა იცავდა, იმ საგანგებო სასამართლოს შემადგენლობითაც მტკიცდება, რომელიც საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მწიგნობართ-უხუცესისა და ვაზირთა უპირველესის განკარგულებით სომეხთა ორის ეკლესიისა და სავანეს შორის ძვირფასი ოქროს ჯვრის გამო ატეხილი დავის გასარჩევად იყო მოწვეული: იქ წევრებად მოწვეულნი იყვნენ, როგორც სომეხთა ეკლესიის მღვდელთმთავარნი, ისევე ქართული ეკლესიის მესვეურნი. ესეც უკვე თავისდათავად გასაგონარი ამბავი იყო, რამდენადაც საკითხი სომეხთა ეკლესიას ეხებოდა მხოლოდ, მაგრამ ამაზე უფრო განმაცვიფრებელი და საყურადღებო ის არის, რომ ამავე სასამართლოს სრულუფლებიან მსაჯულ წევრებად მოწვეული იყვნენ ტფილისისა და განძის განთქმული ყადიები და მაჰმადიანთა სჯულის მეცნიერნიც, რაც მაშინდელ მახლობელ აღმოსავლეთისა და დასავლეთ ევროპაშიც სრულებით წარმოუდგენელი რამე იყო.

ადვილი მისახვედრია, თუ რა უკმაყოფილება უნდა გამოეწვია ქრისტიანეთა ეკლესიების მღვდელმსახურთა წრეში სასამართლოს შემადგენლობის ამნაირს შერჩევას, მაგრამ ამ სასამართლოს შემადგენლობა ნათლად ამჟღავნებს იმ თანასწორობის გეზსაც, რომლის დაცვასაც საქართველოს მაშინდელი მთავრობა ყოველ ასეთ შემთხვევაში ცდილობდა და იმ პირუთვნელობასაც, რომლის მიხედვითაც საჭიროდ სთვლიდა, რომ სახელმწიფო საკითხები, სარწმუნოებრივი და ეროვნულ გამწვავების მიუხედავად, გადაწყვეტილი ყოფილიყო. ამიტომაც არის, რომ საქართველოში მყოფი მაჰმადიანები თვით არაბულ-სპარსული იმდროინდელი ისტორიული წყაროების ცნობებითაც, თავიანთ თავს ბევრ მუსულმან სახელმწიფოს ქვეშევრდომებზე უკეთესადაც გრძნობდნენ და უკეთეს მდგომარეობაშიც იმყოფებოდნენ.

არაქართველ მოსახლეობის შიგნა-წყლის შემოერთებასთან ერთად, უნდა აგრეთვე მათი სახელმწიფოებრივი მოწყობის წესიც გადაწყვეტილი ყოფილიყო. ამ მხრივ საქართველოში ორგვარი პოლიტიკის გეზი არსებობდა: ან უშუალო შემოერთება და სახელმწიფოს საზღვრებში მოქცევა, ანდა ყმადნაფიცობისა და ვასალური დამოკიდებულების დამყარება. ჩრდილოეთ კავკასიაში მყოფი პოლიტიკური ერთეულები სწორედ ამ უკანასკნელი წესით იყვნენ საქართველოსთან დაკავშირებულნი და საქართველოს სახელმწიფოს ყმადნაფიცები გახდნენ. თუმცა შირვანი და რანი თავდაპირველად უშუალოდ შემოერთებულ იქმნენ, მაგრამ შემდეგ ეს ქვეყნებიც ყმადნაფიცობის წესზედ იყვნენ მოწყობილნი. სამხრეთით მდებარე მაჰმადიანთა სამფლობელოებიც აგრეთვე საქართველოს ყმადნაფიცებად იყვნენ ქცეულნი, ყოფილი სომხეთის სამეფოს სომეხთა მიერ დასახლებული ტერიტორია-კი საქართველოს სახელმწიფოს უშუალო მფლობელობას და კუთვნილებას წარმოადგენდა.

სომხურ თემებში დამყარებული წესის განსხვავება იმით აიხსნება, რომ, როდესაც იქ საქართველოს სახელმწიფოებრიობა შედიოდა, თითქმის მთელი საუკუნით უწინარეს იქ სომხური ხელისუფლება უკვე მოსპობი-

ლი იყო, და საქართველო ამ ტერიტორიას მაჰმადიან მმართველებს არ თმევდა. ადგილობრივი სომხური ხელისუფლება, რომელთანაც ყმადნაფიცობის წესით პოლიტიკური დამოკიდებულების დამყარება შესაძლებელი უფიქრიათ, არ არსებობდა. საქართველოს მთავრობა, მეტადრე თამარის ხანაში, მაინც აქაც გარკვეულ პოლიტიკას დაადგა და ამის წყალობით სომეხთა მიერ დასახლებული ტერიტორიის თანდათანი შემოკრება და მისი გაერთიანებაც ხდებოდა შესაძლებელი. მათ სხვადასხვა თემს თავთავიანთი დანიშნული მმართველები ჰყავდათ, მაგრამ თავიანთი ეროვნული მოთხოვნილების დაკმაყოფილების სრული საშუალება ჰქონდათ ხოლო პოლიტიკურად მათი არსებობა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ფარგლებში იყო გათვალისწინებული და განხორციელებული.

საერთაშორისო და სახელმწიფოთაშორისო დამოკიდებულებაში საქართველოს მთავრობა, მეტადრე თამარის ხანიდან მოყოლებული, მეზობელთა შორის წონასწორობისა და ხელშეუხებლობის პრინციპს მისდევდა: ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, როდესაც ვინმე სხვის სამფლობელოში შეჭრას გაბედავდა, საქართველო თავის თავს მოვალედ სთვლიდა, რომ ჩარეულიყო და შელახული უფლებები აღედგინა. ყველა ამ გარემოებათა გამო, საქართველომ თავისი პოლიტიკური ძლიერების განმტკიცებასთან ერთად. საერთაშორისო დამოკიდებულებაშიც დიდი გავლენის მოპოვება მოახერხა.

საქართველოს ესოდენი ზრდა და სახელგანთქმულობა, რომლის ანარეკლმა ისეთ შორეულ ქვეყნებამდისაც კი მიაღწია, როგორიც მაშინდელი საქართველოსათვის დასავლეთი ევროპა იყო, იმ დიდ კულტურულ მუშაობაზე იყო დამყარებული, რომელსაც ძველი მარაგის საფუძველზე მთელი ამ საუკუნის განმავლობაში გამოჩენილი ქართველი მწერლები, მეცნიერნი და ხელოვანნი აწარმოებდნენ. ქართული სამეცნიერო ფილოლოგიური და ფილოსოფიური მწერლობა უაღრესად დაწინაურდა. გამოჩენილი ქართველი მთარგმნელები და ფილოლოგოსები ურთულეს სამეცნიერო საკითხებს დასტრიალებდნენ და არკვევდნენ. საქართველოს მაშინ ისეთი გამოჩენილი ფილოსოფოსები ჰყავდა, როგორც ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი. არსენ იყალთოელი და ტარიჩის ძე იყვნენ. თითოეულს მათგანს ფილოსოფიური და სამეცნიერო კვლევა-ძიების თავისუფლებისათვის მოუხდა ბრძოლა, მეტადრე იოანე პეტრიწს, რომლის მოღვაწეობა ჯერ ბიზანტიის სახელმწიფოში მყოფ პეტრიწონის ქართველთა მონასტერში დაიწყო, შემდეგ ბიზანტიის დედაქალაქ კონსტანტინეპოლში მიმდინარეობდა, სულ ბოლოს-კი საქართველოში იყო გადმოტანილი. ერმა კოლნაზე დამყარებული სამაგალითო ზედმიწევნითი თარგმანების გვერდით, მათ საკუთარი საკუთარი კომენტარები და ზოგადი მოძღვრების შემცველი დებულებებიც შეჰქმნეს და დაუტოვეს შთამომავლობას.

უხვად გაიფურჩქნა ამ ხანაში აგრეთვე ქართული საისტორიო მწერლობაც. ამ დროს დაწერილი იყო ისეთი შესანიშნავი საისტორიო ნაშრომები, როგორიც ძველ წყაროებზე დამყარებული ეფრემ მცირის გამოკლე-

ვაა, დავით ალმაშენებლის ისტორიკოსის ბრწყინვალე თხზულება და თამარ მეფის სამი ისტორიკოსის ფრიად საყურადღებო ნაწარმოებია. სახელმწიფო და პოლიტიკურ ამბებს გარდა, ამ ავტორებს სოციალური პრობლემებიცა და კულტურული ყოფაცხოვრების ამბებიც არ ავიწყდებოდათ. ამ თხზულებათა შინაარსის მრავალფეროვანება და თვით საისტორიო წერის მაღალი ტექნიკა ამ ნაშრომებს პირველხარისხოვან საისტორიო ძეგლებად ხდის.

საქართველოს, ძველი ქართული კულტურის გარდა, ამ ხანაში ელინური კულტურის მემკვიდრეობაც საკმაოდ ჰქონდა შეთვისებული, რამდენადაც, რასაკვირველია, ბიზანტიაში გადარჩენილ თხზულებათა საშუალებით ამის შესწავლა შეიძლებოდა. ბერძნულის საფუძვლიანმა ცოდნამ ქართველ მეცნიერებს საშუალება მისცათ ბერძნული თხზულებები ბერძნულადვე წაეკითხათ. ამგვარად ელინიზმის აყვავებისათვის მათ შესაფერისი მომზადებაც მოეპოვებოდათ და თვით საქართველოშიც ამისათვის ხელშემწყობი პირობებიც ჰქონდათ.

ქართული კულტურის თავისებურებას, დასავლეთის იმდროინდელ კულტურასთან შედარებით, მაინც ის წარმოადგენს, რომ, ვითარცა აღმოსავლეთისა და დასავლეთის მოკიდნაზე მდებარე ქვეყანას, საქართველოს საშუალება ჰქონდა, ქრისტიანულ კულტურას გარდა, ისლამობის ნიადაგზე შექმნილს ახალს ფრიად თავისებურსა და მრავალფეროვან არაბულ-სპარსულ კულტურასაც დასწაფებოდა. იმ დროს, როდესაც ამ ხანაში დასავლეთ ევროპასა და ბიზანტიას, ასურელებს და სომხებსაც მხოლოდ საეკლესიო მწერლობა ჰქონდათ, საერო-კი ჯერ არ მოეპოვებოდათ, მაჰმადიანობამ და არაბ-სპარსულმა კულტურამ უკვე მდიდარი, მშვენიერი საერო მწერლობის შექმნა შესძლო. საქართველო და ქართველი ერი სარწმუნოებრივად მისთვის ამ დაშორებულსა და თითქოს უცხო კულტურას, როგორც ცხოველმყოფელ წყაროს, დაეწაფა, შეითვისა და თითონაც ასეთივე ხელოვნების უნარი გამოიჩინა.

ქართველ ხალხს უძველეს დროიდან თავისი მდიდარი ხალხური პოეზია და მრავალფეროვანი ხმიერი და საკრაველური მუსიკა ჰქონდა, ისევე, როგორც სახიობაც. მკაცრი ქრისტიანული და ასკეტიკური მოძღვრების მიერ ხალხური შემოქმედების ამ წინათ დევნილმა დარგმა თანდათანობით თავისი ძალის კვლავ მოკრეფა შესძლო და უკვე X-ე საუკუნისათვის ქართული საერო მწერლობის განახლების დასაწყისი მკაფიოდ საგრძნობი გახდა.

XI და XII საუკუნეში ამ საერო მწერლობის, როგორც მნიშვნელობა და გავლენა, ისევე შემოქმედებითი ღონეობა სწრაფად იზრდება. პირველ ხანებში მაჰმადიანთა საერო მწერლობის ჰანგებმა მიმბაძველობით შეფერადებული, თანდათანობით ის დამოუკიდებელ შემოქმედების გზას ადგება. ამ მხრივ ქართული „ვისრამიანია" საყურადღებო, რომელიც არც ღირსებით, არც დედააზრით ფახრედინ გურგანელის მიერ ლექსად დაწერილ საუცხოო სპარსულ რომანს არაფრით ჩამოუვარდება, იმისდა მიუხედავად, რომ ქართველ ავტორს თავისი თხზულება პროზად აქვს და-

წერილი. იოანე შავთელის „აბდულ მესია“ და ჩახრუხაძის ხოტბანი ხომ მაშინდელი საქართველოს მაღალხარისხოვანი კულტურის საუცხოო გამომჟღავნებელია: ასეთ თხზულებათა შინაარსის გაგება მხოლოდ ფართო და ღრმა განათლების მქონებელს საზოგადოებას შეეძლო და იმავე დროს ლექსთა-წყობის ხელოვნებაში იმ მაღალ დონემდე მიღწევაც, რომლის მაგალითებიც მათ ნაწარმოების ყოველ სტრიქონში განმაცვიფრებელი ოსტატობით არის გულუხვად გაბნეული, მხოლოდ უაღრესად დახელოვნებულ მგოსანს ძალუძდა.

მარტო შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილება „ვეფხის ტყაოსანიც“, სხვაც რომ არაფერი გვქონოდა შერჩენილი, მაშინდელი ქართული მხატვრული მწერლობის განვითარების მაღალი დონის ცხადსაყოფელად კმარა. შოთას „ვეფხის ტყაოსანი“ არაჩვეულებრივი მოვლენაა იმდროინდელი, როგორც აღმოსავლეთისა, ისევე დასავლეთის მწერლობისათვის. პირველი სტრიქონიდან მოყოლებული დასრულებამდე ეს ქმნილება მომჯადოებელ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველებზე, მარტო იმიტომ კი არა, რომ მისი ლექსი უზადოა, რომ მისი რითმა სიმდიდრითა და მუსიკალობით სწორუპოვარია, რომ მისი შედარებანი ისეთივე მარჯვე, მოხდენილი და ლამაზია, როგორიც თვით საქართველოს ბუნება, არამედ იმითაც, რომ თავიდან ბოლომდე, მთელი ნაწარმოები მარტო სიყვარულის გრძნობით-კი არ არის გამსჭვალული, როგორც ეს ჩვეულებრივ რომანებში და პოემებში იყო ხოლმე, არამედ იქ თვით მგოსანიცა და მისი გმირებიც დიდ საზოგადოებრივსა და სოციალურ პრობლემებსაც დასტრიალებენ.

შოთას მოქმედი პირები მხოლოდ ეგოისტური გრძნობით გატაცებული და მარტო თავიანთ ბედნიერებაზე მზრუნველი ჩვეულებრივი არსებანი არ არიან, ჩვენი მგოსნის ქალებიც-კი ერთგული და საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნებით დაჯილდოებულ გმირებს წარმოადგენენ: მათი მოქმედება მარტო პირადი ბედნიერების წადილით არ არის ნაკარნახევი, არამედ უკიდურეს განსაცდელის დროსაც-კი მათ თავიანთი სამშობლოს ბედნიერება არ ავიწყდებათ, რაზედაც ზრუნვა მათ პირად ბედნიერებაზე მეტად აწუხებდათ. ამ მხრივ იმდროინდელ მხატვრულ მწერლობაში შოთას ქმნილება ობოლ მარგალიტს წარმოადგენს.

სწორედ საზოგადოებრივი და სოციალური პანგებით, ადამიანის ბუნების ფსიქიკის იშვიათი ცოდნითა და ფილოსოფიური სიბრძნით უხვად დაყურსვილობა ანიჭებს „ვეფხის ტყაოსანს“ არაჩვეულებრივს მომხიბვლელობას. ეს უკვდავი პოემა სამი ძირითადი პრობლემის გასაშუქებლად არის დაწერილი: ქალისადმი რაინდული სიყვარული, გმირული თავგანწირულების მშვენიერება და ეროვნებისა და სარწმუნოებისადა მიუხედავად ძმად-ნაფიცობის მომხიბლავი სილამაზე. ყველა ამან „ვეფხის ტყაოსანი“ შოთას თანამედროვეთათვისაც უებრო თხზულებად აქცია და ქართულ მწერლობისათვის დღევანდლამდისაც იგი სწორუპოვარ მაგალითად დარჩა: ვერც ხნიერებამ, ვერც მსოფლმხედველობის თვალსაჩინოდ შეცვლამ შოთა რუსთაველსა და მის ქმნილებას გენიალობისა და უკვდავების შა-

რავანდედი ვერ დაუჩრდილა. იგი ისევე წინანდებურად ბრწყინავს და მომხიბვლელია.

ქართულ მხატვრულ მწერლობას გვერდს ხელოვნების სხვა დარგებიც უმშვენებდნენ. ხელოვნების არც ერთი დარგი არ მოიპოვება, რომელშიც ამ ხანაში საუცხოო ძეგლები არ ყოფილიყოს შექმნილი: ხუროთმოძღვრებამაც, მონუმენტური კედლის მხატვრობამაცა და ხელნაწერების შესამკობად განკუთვნილმა მინიატურებმა, ჭედვითმა ხელოვნებამ, თუ მინანქრებმა, მუსიკამაც-კი ბევრი პირველხარისხოვანი ნაწარმოები და ქმნილება შესძინა საქართველოს.

საკმარისია დასახელებული იყოს ისეთი დიდებული ძეგლები, როგორიც არის უბისის, ყინწვისის, გელათის კედლის მხატვრობა და მოზაიკა, ანდა, როგორიც ჯრუჭის ოთხთავია, წყაროს თავისა და ტბეთის სახარებათა, ხახულისა და ანჩისხატების მოჭედილობაა, ისევე, როგორც ბექა და ბეშქენ ოპიზარების განმაცვიფრებელი ოქრომქანდაკებლობის ხელოვნების სხვა ქმნილებანიც.

აღსანიშნავია აგრეთვე ქართული მუსიკის ამავე ხანაში დიდი დაწინაურებაც: მრავალხმიანობის გაჩენასა და განვითარებასთან ერთად, საკომპოზიციო ხელოვნება ცალკე დარგად გამოეყო ისე, რომ ამ დროს საგალობლების სიტყვებისა და ჰანგის შემთხზველნი საქართველოში სხვა და სხვა პირები იყვნენ. მაშინდელი ქართველი კომპოზიტორებისაგან შეთხზული ჰანგები საგალობო ნიშნებით შემკულს ფოლიანტებში იყო დაცული, რომელთაგან დღევანდლამდის ზოგი გადარჩენილია.

ხუროთმოძღვრების ძეგლთა შორის იმდენად ბევრი ნაგებობა არსებობდა იმ დროს, რომელთა მშვენიერება ადამიანის ყურადღებას უნებლიეთ იპყრობს, რომ ყველას ჩამოთვლა შეუძლებელიც-კია: იკორთის, სამთავროს, ბერთუბნის, ბეთანიისა და სხვა ტაძრები ამ დიდი ხელოვნების მრავალმეტყველი მოწმენი არიან, იმისდა მიუხედავად, რომ თითოეული მათგანი საუკუნეთა განმავლობაში ძალზე დაზიანდა და წინანდელ ბრწყინვალებიდან ბევრი რამ უკვე დაკარგული აქვთ. მაგრამ იმ მაღალი დონის გასათვალისწინებლად, რომელსაც ამ დროს ქართულმა ხუროთმოძღვრებამ მიაღწია, კიდევ ერთის დასახელებაც საკმარისია: მარტო მთლად კლდეში გამოკვეთილი ვარძიის მონასტერიც, მრავალი სენაკებითა და საუცხოოდ მოხატული ეკლესიითურთ, დაანახვებს ადამიანს, თუ რამდენად ძლიერი იყო ხელოვნების ეს დარგი მაშინდელს საქართველოში.

ამ რიგად ქართველი ხალხის კულტურის განვითარებისა და დიდი წარმატების ის საფეხური, რომელიც მან მეთორმეტე საუკუნეში განვლო, თანასწორი სიძლიერით არის განსახიერებული ცხოვრებისა და შემოქმედების ყოველ სფეროში, პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი წყობილება იყო, თუ სოციალური პრობლემების ძიება-გადაჭრა, ეკონომიკა იყო, თუ გონებრივი და მატერიალური კულტურა.

მაშინდელი საქართველოს ძლიერების მთავარ საფუძველს სწორედ ეს თანასწორი განვითარება და წარმატება წარმოადგენდა: ამან შეძლე-

ბინა ქართველ ხალხს მომდევნო საუკუნეებში დატრიალებული დიდი პოლიტიკური და ყოველგვარი სხვადასხვა თავსდამტყდარი უბედურება და განსაცდელი ისე აეტანა, რომ სამი საუკუნის განმავლობაში მრავალგვარი დაბრკოლებისა და მრავალგვარი ხიფათისდა მიუხედავად საქართველომ მაინც სახელმწიფოებრიობა და მთლიანობა შეინარჩუნა.

მაშინდელს საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა ეკონომიურ პრობლემებსაც მიპყრობილი. უკვე დავით აღმაშენებელი მიმოსვლისა და სავაჭრო გზების გაუმჯობესებაზე ზრუნავდა: ძველად სავალი გზები გაასწორებინა და ქვაფენილჰყენა, მდინარეებზეც სათანადო ადგილას ხიდები ააგო. ერთი ასეთი ნაგებობის ნაშთი, ბასილეთის ხიდი, დღევანდლამდისაც დაცულია.

თამარის ჯავახეთისა და მთელი მესხეთის საქართველოს შეუგულთან, დედაქალაქ ტფილისთან, მჭიდროდ დასაკავშირებლად, რაკი მესხეთი საქართველოსთვის მარცვლეულის მარაგის ნამდვილს ბელელს წარმოადგენდა და მესაქონლეობისათვისაც აუცილებელი საუკეთო საზაფხულო საძოვრების მჭონებელი იყო, პირდაპირი უმოკლესი გზა გააყვანინა თრიალეთზე. ამასთანავე გადმოსავლის იქ-აქეთ საქარავნო ფუნდუკები (სასტუმროები) ააშენებინა, რომ ქარბუქსა და ზამთარში თოვლის ნამქერის დროს მგზავრებსა და ქარავნებს იქ თავის შეფარება და საჭმელ-სასმელისა და პირუტყვისათვის საკვების შოვნა შესძლებოდათ.

XII საუკუნეში საქართველოში მოსახლეობის სწრაფ ზრდასთან დაკავშირებით და მეურნეობის გაინტენსიერების მიზნით, საქართველოს მთავრობამ, თამარის ბრძანებით, ორი დიდი სარწყავი არხი გაიყვანა: ერთ მათგანს, ალაზნის არხს, 119 კილომეტრის სიგრძე ჰქონდა და 53000 ჰექტარ მიწას რწყავდა, მეორეს, სამგორის არხს, 20 კილომეტრი ჰქონდა სიგრძე. ამაზე ხანაში წყალსადენების გაყვანასაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. მაგ., 1202 წ. ანტონ მწიგნობართუხუცესმა შიომღვიმის უდაბნოს სხალტბიდან, 7 კილომეტრის სიშორეზე, ქედს იქიდან წყალსადენი გაუყვანა, რომელიც ამ სავანეს დღეღამეში 243000 ლიტრს წყაროს წყალს აწვდიდა. როგორც არხები, ისევე წყალსადენი მაშინდელი ქართული ჰიდროტექნიკური ცოდნის მაღალი დონის დამამტკიცებელია.

დაწინაურებულს სასოფლო მეურნეობასა და მესაქონლეობასთან ერთად, საქართველოს ამ ხანაში ალებმიცემობაც, როგორც შიგნითი, ისევე საგარეოც განვითარებული ჰქონდა. ქართველ სოვდაგრებს მაშინ ისეთ შორეულ ქვეყნებთან ჰქონდათ საეაჭრო ურთიერთობა, როგორიც ეგვიპტე იყო სამხრეთით და რუსეთი ჩრდილოეთით. საექსპორტო ვაჭრობა ფართოდ იყო გავრცელებული. ეგვიპტიდან, ალექსანდრიიდან, მაგ., საუკეთესო ლორსების მატყლი მოჰქონდათ. თვით საქართველოდან ბამბა, მაღალმარბოლი ცხენები და ჯორები, საუკეთესო ხარისხის მატყლი, აბრეშუმი, ტანისამოსი, ხალიჩები, ქერქები, სინდიყი (ვერცხლის წყალი) და სხ. გაჰქონდათ. საქართველოს საექსპორტო ვაჭრობის ერთერთ საგანთაგანს საუკეთესო ოქროქსოვილებიც შეადგენდა., ნაუთიკარი მიჰქონდათ აქლემებითა და გემებით საქართველოს სახელმწიფოდან.

საქართველო, თავისი ინტენსიური მეურნეობისა და ფართო ალებმიცემობის წყალობით, ფინანსურად მდიდარი ქვეყანა იყო. საკუთრივ საქართველოს (უყმადნაფიცო ქვეყნებიდ) ყოველწლიური სახელმწიფო სალაროს ფულადი შემოსავალი 3.750.000 ოქროს მანეთს უდრიდა. ამავე ხანაში-კი მცირე აზიის შემოსავალიც-კი 2.475.000 მან., არაბეთის ერაყის 2.250.000 მან. და ფარსის 2.153.460 მან. შეადგენდა მხოლოდ. დას. ევროპის ქვეყნებიდანაც ინგლისის მეფის შემოსავალი 1300 წელს 4 000 000 ოქროს ფრანკს, ხოლო საფრანგეთის 1311 წელს 3 000 000 ფრანკს არ აღემატებოდა. საქართველოს შემოსავლის ზემოაღნიშნული თანხა მხოლოდ ფულადი შემოსავლის ოდენობაა, ამას გარდა მას სრულადად დაწესებული გადასახადების შემოსავალიც ჰქონდა. სწორეთ ასეთმა ეკონომიურმა კეთილდღეობამ მისცა საშუალება საქართველოს და ხალხს აეტანა ის საშინელი პოლიტიკური და ეკონომიური განსაცდელი, რომელიც მას XIII საუკუნეში დაატყდა თავს, მეტადრე მონღოლთა ბატონობის ხანიდან მოყოლებული.

გიორგი IV ლაშა (1318 — 1322)

მონღოლთა პირველი გაძარცვა

20 წლის იყო გიორგი-ლაშა, როდესაც მისი სახელოვანი დედა გარდაიცვალა და ბედმა ამ ჰაბეას მეფეს საქართველოს საქვეშკრომელობა არგუნა.

თამარის შემკვიდრეს ფრიად პასუხსაგები მოვალეობა დააკისრა ისტორიამ: თენდაც მრავალ ახალ შემოერთებულ ქვეყანას მოემტკიცე და სახელმწიფოებრივი მოწყობა სჭირდებოდა. ეს მხოლოდ მიზანშეწონილი კეთილ-მოსურნე სახელმწიფოებრივი მოღვაწეობითა და შორსგამჭვრეტელი სოციალური პოლიტიკით იყო შესაძლებელი. საბედნიეროდ, გიორგი-ლაშას რაინდული სულისკვეთების, სიმამაცისა და თავისუფალი აზროვნების მიუხედავად, ვითარცა დედისერთა განებივრებულს შვილს, ვინიანი ადამიანის ხასიათი ჰქონდა და მისს აჩქარებულ ხასიათს ქვეყანა არაერთხელ ცუდ მდგომარეობაში ჩაუგდია.

რაკი სამეფო ტახტზე ჰაბეას მეფე ალმოჩნდა, მეზობლებმა გადასწყვიტეს, რომ დადგა დრო, როდესაც მათ საქართველოს ყმადნაფიცობისაგან განთავისუფლების საშუალება მიეცემოდათ. პირველად საქართველოს განძის ათაბაგი განუდგა. გიორგი-ლაშამ საქართველოს მთავრობასთან ერთად გადასწყვიტა, რომ ასეთი მცდელობისათვის დაუყოვნებლივ წინააღმდეგობა გაეწია, რომ სხვებსაც ამ მაგალითისათვის არ მიებაძათ და ჯარითურთ იოანე ათაბაგის მეთაურობით გიორგი-ლაშაც განძის ათაბაგის წინააღმდეგ გაემგზავრა.

ამ ამბის გაგებისთანავე ათაბაგმა ეშმაკოლეულად ქ. განძამდე დაიხია და წინააღმდეგობის გაწევა მხოლოდ ქალაქში გადასწყვიტა. საქართველოს მთავარსარდალმა არჩია, რომ პირდაპირი იერიშის მიტანის მაგიე-

რად; განძის ათაბაგი გარემოცვით აიძულებინა, რომ დამორჩილებული-ყო. გარემოცვის წესით განძის აღებისათვის, უფრო ხანგრძლივი დრო იყო საჭირო. გიორგი-ლაშას იმპულსიური ხასიათი-კი ასეთი ბრძოლის წესს ძნელად უთავგდებოდა და, როდესაც მთავარსარდლის დაყოლიება მან ვერ მოახერხა, განძის გარშემოსაველელად და პირდაპირი იერიშით საქმის გადასაწყვეტად, მთავარსარდლის დაუკითხავად და უცნობელადაც-კი, თავისი ჯარის ნაწილიდან ოთხი ათასი მებრძოლი წაიყვანა.

მეფისაგან ასეთი მკირერიცხოვანი ნაწილითურთ სამხედრო მოქმედების დაწყება განძის ათაბაგს არ გამოპარვია და იმ დროს, როდესაც გიორგი-ლაშა თავის ჯარითურთ უკვე ქალაქს უკან იყო მოქცეული, მოულოდნელად განძის ზღუდიდან მოლაშქრეთა საკმაოდ დიდი ნაწილი გამოიჭრა და ცხარე ბრძოლა ატყდა. აუცილებელი უბედურების თავიდან აშორება მხოლოდ გიორგი ლაშასი და მის თანამებრძოლ სამხედრო მეთაურთა პირადი მამაცობის წყალობით შეიქნა შესაძლებელი. ამ ბრძოლას ორივე მხრიდან დიდძალი მსხვერპლი შეეწირა. განძელები ასეთს მედგარს წინააღმდეგობას არ მოელოდნენ, ამიტომაც შედრკნენ და უკან დაიხიეს. მაგრამ გიორგი-ლაშას რაზმიც უკვე იმდენად შეთხელებული იყო, რომ მას დადევნება ალარ შეეძლო და განძაში შეჭრა ვერ მოახერხა. ამ რიგად ჰაბუკ მეფის მიერ დასახული ამოცანა მიუღწეველი დარჩა.

საქართველოს ჯარის მხედართმთავარი ივანე ათაბაგი შეშფოთდა, როდესაც გაიგო, რომ მეფე ოთხი ათასი ჯარისკაცითურთ უცნობელად სამშრად წასულიყო. მოსალოდნელ განსაცდელის თავიდან ასაცილებლად, ივანე ათაბაგი საქართველოს ჯარითურთ მისაშველებლად დაიძრა და იმ დროს, როდესაც უკვე შუა გზაზე იყო, უკან მომავალი გიორგი ლაშა და მისი ძალზე შეთხელებული რაზმი შეხვდა. ათაბაგმა მეფეს ცხარე საყვედური გამოუცხადა, რომ ქართული სამხედრო სამართლის დარღვევით, მან, მთავარსარდლის უცნობელად, ბრძოლა დაიწყო. ივანე ათაბაგმა და სხვა მხედართმთავრებმა მეფეს განუცხადეს, რომ თუ მოშაეალში კიდევ ასეთი რამ მოხდებოდა, ისინი სამსახურსაც თავს დაანებებენ და სამეფო დარბაზსაც ჩამოშორდებიან. მეფე გულწრფელად შეწუხდა, ცხენიდან ჩამოხტა და მთავარსარდლის წინაშე ბოდიში მოიხადა.

მთავარსარდლობის მიერ არჩეული წესი უფრო სამართლიანი გახდა. გარემოცვამ განძელები ქალაქში ისეთ განსაცდელში ჩააგდო, რომ განძის ათაბაგი იძულებული გახდა, საქართველოს მთავრობისათვის შენდობა ეთხოვა. დიდძალი ძღვენის მირთმევის შემდგომ, ყმადნაფიცობის ალთქმის დადების შემდეგ და ყოველწლიური ხარკის ხვედრის გადაცემის უმალ, საქმე მოგვარებულად იყო მიჩნეული და საქართველოს ჯარი შინ დაბრუნდა.

ეს ყმადნაფიცთა ურჩობის მხოლოდ პირველი შემთხვევა იყო: საქართველოს სამხრეთის და სამხრეთ დასავლეთის მეზობლებმაც სცადეს ყმადნაფიცობისაგან განთავისუფლება. ამიტომ 1219 წელს საქართვე-

ლოს მხედრობას სამხრეთითა და სამხრეთ-დასავლეთის სანაპიროებისაკენ ნახჭავანამდის გალაშქრებაც მოუხდა, ოროტნისა და სხვა იმ ციხეების ასაღებად, რომელთა დამორჩილება მოხერხდა კიდეც. შემდეგ ბლათის სულტნის უმაღნაფიცობის აღდგენაც საჭირო გახდა და კორნუჭალაქიც წინანდებურად მომტკიცებულ იქმნა.

ამ რიგად, საქართველოს, როგორც აღმოსავლეთით, ისე სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ყველა უმაღნაფიცმა სამფლობელოებმა იგრძნეს, რომ, მეფის სიჯაბუკისდა მიუხედავად, საქართველოს მოპოებული სამფლობელოს დაცვის უნარი მაინც შენარჩუნებული ჰქონოდა.

მშვიდობიანობა რომ დამყარდა, სწორედ ამ დროს დასავლეთ ევროპიდან გიორგი ლაშას რომის პაპის ჰონორიუსის ეპისტოლე მოუვიდა, რომლითაც ის სთხოვდა, რომ მისი მეთაურობით ევროპელ ქრისტიან სახელმწიფოთაგან განზრახულს ჯვაროსანთა ომში საქართველოსაც მიეღო მონაწილეობა. რომის პაპს უნდოდა, რომ საქართველოს სახელმწიფოს ჯარს თავისი მონაწილეობით ევროპელ ჯვაროსანთათვის მაშველიანთა წინააღმდეგ პალესტინაში სამხედრო მოქმედება გაეადვილებინა.

გიორგის რაინდულს სულისკვეთებას ასეთი გეგმა კარგა ეგუებოდა და მანაც სიამოვნებით განაცხადა თანხმობა. ის საშზადისსაც შეუდგა, მაგრამ მოულოდნელად მთელი ეს გეგმა ჩაეშალა: თვით საქართველოს საზღვარზე გამოჩნდა ახალი, მანამდე სრულებით უცნობი მტერი, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა დასჭირდა. ეს მტერი მონღოლები იყვნენ.

მონღოლები მთელი მახლობელი აღმოსავლეთისათვისაც სრულებით უცნობ ეროვნებას წარმოადგენდნენ. ისინი პირველად ჩინგისხანმა გააერთიანა, ფართო საისტორიო და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოიყვანა. ხვარაზმშაჰ მუჰამედის წინააღმდეგ ომის გამო, მონღოლები დამარცხებულს მუჰამედსა და მის შვილს ჯალალედინს დაედევნენ. ლტოლვილი მუჰამედი რომ მოკვდა, შემდგომ მონღოლები ბრძოლას უკვე მისი ვაჟიშვილის ჯალალედინის წინააღმდეგ შეუდგნენ. რამდენჯერმე დამარცხების შემდეგ, ჯალალედინმა სცადა, ერანში ფეხი მოეკიდა და თავისი დაუძინებელი მტრებისათვის იქიდან გაეწია წინააღმდეგობა. ჩინგისხანმა მის კვალდაკვალ დასადევნებლად თავისი ოთხი სარდალი მოწვინავე ლაშქრითურთ წარმოგზავნა, რომელთაც ამას გარდა ადგილობრივი პირობების დაზვერვაც დაავალა.

მონღოლთა ჯარმა საქართველოს საზღვრებს მოადწია. ჩინგისხანის დავალებით ცნობების შეგროვების შემდგომ, მას უნდა პირი ისევ თავის სამშობლოსაკენ ებრუნებინა. ერანიდან მომავალთ, მათ უნდა დარუბანდის გზით კავკასიონის ქედი გადაელახათ. ასე და ამგვარად მონღოლები 20 ათასი ჯარისკაცითურთ საქართველოს საზღვარს მოადგნენ, უმთავრესად საჭირო საძოვრების საძებნელად. ამ ჯარს ცხენი და სუბუდაი მეთაურობდნენ. ეს ისეთი სისწრაფით მოხდა, რომ საქართველოს სანაპირო ჯარმა მხოლოდ მომავალი მოწინააღმდეგის უკან დადევნება მოასწრო.

გიორგი ლაშა მაშინვე შეუდგა ლაშქრის შეყრას, მაგრამ, როდესაც

ბრძოლაზე მიდგა საქმე, მონღოლებმა ჩინგისხანის მიერ შემოღებული ბრძოლის ხერხი გამოიყენეს: მათი ჯარი ჩვეულებრივ ორ ნაწილად იყოფებოდა ხოლმე, ერთი მოწინააღმდეგეს პირისპირ ებრძოდა, მეორე წინასწარ გარკვეულ ადგილას ჩასაფრებული ჰყავდათ. ბრძოლის დაწყების შემდგომ, გარკვეულ დროს რაზმი განზრახ უკან იხევდა და ეითომც მირბოდა იმ ადგილამდე, სადაც ჯარი იყო ჩასაფრებული, როდესაც ისინი ამ ადგილს გასცილდებოდნენ, მონღოლთა ჩასაფრებული რაზმი უნდა უეცრად ამოცვენულიყო. განზრახ უკან დამხევი მონღოლთა რაზმიც მაშინვე შეჩერდებოდა და ორმხრივ მოქცეულ მოწინააღმდეგეს ბრძოლას აუტეხდა. ამგვარ სამხედრო მოქმედების მოულოდნელობა შუაში მოხვედრილ მოწინააღმდეგეზე თავზარდამცემ შთაბეჭდილებას ახდენდა და მონღოლები ამის წყალობით ადვილად იმარჯვებდნენ ხოლმე.

ამ შემთხვევაშიც საქმე ასევე დატრიალდა: საქართველოს ჯარიც დამარცხდა. მაგრამ მონღოლები მაინც საქართველოს მხედრობას არ დასდევნებიან, არამედ ისევ თავიანთთვის შესაფერისი საძოვრების საძებნელად გაბრუნდნენ.

ერთი წლის შემდგომ მონღოლები მოვიდნენ, მაგრამ ამ დროისათვის საქართველოს უკვე საკმაო სამხედრო ძალა ჰყავდა თავმოყრილი და, როდესაც მონღოლებმა ქართველთა ჯარის მზაობა გაიგეს, საქართველოს უბრძოლველად გაეცალნენ, მთები გადალახეს და თავიანთ ქვეყანაში დაბრუნდნენ.

საქართველოს მთავრობას ეს ბრძოლა შემთხვევითი მოვლენა ეგონა და იმდენადაც კი არ მიუქცევია მისთვის ყურადღება, რომ მემატიანეს, რომელსაც ეს ამბავი აქვს მოთხრობილი, საქართველოში შემოსეული ამ ხალხის სახელი არც კი აქვს ალნიშნული. შემდეგშიც, მონღოლთა მეორედ გამოჩენამდე მცდარი წარმოდგენა ჰქონდათ ამ ახალ მტერზე და ეჭვი არ შეპარვიათ, რომ მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიაში მრავალგვარი განსაცდელითა და უბედურებით სავსე ხანა იწყებოდა.

გიორგი ლაშა, მონღოლების გაცლის შემდგომ, თავისი დის რუსუდანის გათხოვების საკითხით იყო გართული. 1222 წელს ის მოვიდა შირვან-შაჰზე თავისი დის დასანიშნავად, და აქ ის მოულოდნელად ავად გახდა და ამავე წელს 18 იანვარს გარდაიცვალა.

გიორგი ლაშა თავისუფალი აზროვნობისა და დამოუკიდებელი შეხედულების და ქცევის მიმდევარი ადამიანი იყო, გასართობის მოყვარული, სუფიების მოძღვრების თაყვანის მცემელი, მას ცოლი არ შეურთავს. უყვარდა ერთი ველისკაცის მანდილოსანი, რომელიც სხვაზე იყო გათხოვილი და რომლისგანაც მას შვილი შეეძინა, დავითად წოდებული.

გიორგი ლაშამ უდარდელობა გამოიჩინა, როდესაც სახელმწიფოებრივი მისი მოვალეობა დაბადებულ მოღვაწეობასა და ქვეყნის კეთილდღეობაზე მზრუნველობას თხოულობდა. მარტო ის გარემოება კი არ იყო

გამაფრთხილებელი, რომ საქართველოს საზღვარზე მანამდე სრულებით უცნობი ახალი მტერი გამოჩნდა, არამედ ამ დროისათვის უკვე 1218 წელს საგრძნობი შეიქმნა ეკონომიური კრიზისის დასაწყისიც: ფასები გაზრდილა და ცხოვრება გაძნელებულა. სამხრეთის სანახებში, კერძოდ ქ. ანისში ისეთი გაჭირვება ყოფილა, რომ ამის შესახებ იმდროინდელს ძეგლშიც გვაქვს ცნობები დაცული.

ფასების ზრდასა და ცხოვრების გაძვირებასთან დაკავშირებით, ანისის მართლმადიდებელ სამღვდელოებას ქართველ და სომეხ ქალკედონიან მრევლისათვის წესების ასრულებისათვის განკუთვნილი გასამრჯელო იმდენად გაუდიდებია, რომ ამ ნიადაგზე მრევლსა და სამღვდელოებას შორის დიდი უთანხმოება ჩამოვარდნილა. მრევლს უარი განუცხადებია ასეთი დიდი გასამრჯელოს მიცემაზე, ხოლო სამღვდელოებას ამის საპასუხოდ წესების ასრულებაზე უთქვამს უარი. მრევლსაც ეკლესიაში სამრევლისათვის თავი დაუნებებია. ატეხილი შუღლი იმდენად გამწვავებულა, რომ ამ საქმის მოსაწესრიგებლად თითონ ქართული ეკლესიის საქვეთმპყრობელის კათალიკოს-პატრიარქის ჩარევა გახდა აუცილებელი.

1218 წელს ეტეიფანე ქართლისა კათალიკოსი, იმის მომიზეზებით, რომ ანისში ახლად აგებული ეკლესია უნდა ყოფილიყო ნაკურთხი, ანისში ჩავიდა და ეს საქმე გაარჩია. კათალიკოსმა მრევლს მხარი დაუჭირა და გასამრჯელოს გადიდება მოჭარბებულად სცნო. იმდროინდელი ეკონომიური პირობებისდა მიხედვით, მან შესაძლებლად დაინახა, რომ ის ნიშნი, რომლის შემოღებასაც ანისის ქართული სამღვდელოება მოითხოვდა, ერთ მესამედამდე შემცირებულიყო. ამ რიგად აქ მრევლსა და სამღვდელოებას შორის ეკონომიურ ნიადაგზე აღმოცენებული ბრძოლის სერათი გვაქვს, მაგრამ 1218 წელს ამ ბრძოლის მხოლოდ დასაწყისი იყო.

რუსუდან მეფე (1222 — 1245)

ჯალალედინის შემოსევა საქართველოში და ფრანგთა ბატონობის დამყარება

1222 წელს რომ გიორგი ლაშა გარდაიცვალა, საქართველოს სამეფო ტახტზე ასაყვანი პიროვნების საკითხი კვლავ ქალის უფლებამოსილობასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ამ შემთხვევაში საქმე უფრო იმის გამო იყო გართულებული, რომ ლაშა გიორგის ვაჟიშვილი დარჩა, დაუოთად წოდებული. ქართული სახელმწიფო სამართალის ძალით, უკანონო შვილს თავის მამის მემკვიდრეობის უფლება არ ჰქონდა. ამიტომაც დავით საქართველოს მემკვიდრედ არც თითონ გიორგი ლაშას ჰყოლია სიკვდილის წინ მიჩნეული, არც სხვას ვისმე მოსელია ფიქრად, რომ რუსუდანის მაგიერ ის შეიძლებოდა ყოფილიყო აყვანილი.

თამარის შემდგომ სამეფო ტახტზე ქალის მეფობის შესაძლებლობა არავის გაუკვირვებია. მაგრამ, სამწუხაროდ, რუსუდანი თამარი არ იყო. ის იმდროინდელი რთული პოლიტიკური საგარეო და შინაური მდგომარეობისათვის შესაფერისი მმართველი ვერ გამოდგა.

1222 წელს რუსუდანის მეფედ დასმის შემდეგ, საქართველოს სამეფოს მესვეურებმა გადასწყვიტეს, რომ რუსუდანისათვის 1223 წელს არზრუმის მფლობელის შვილი მუღის-ედინი მოეყვანათ. რომელსაც, პირად სილამაზესთან ერთად, საქართველოს მთავრობის თვალსაზრისით ის ღირსებაც ალმოაჩნდა, რომ მან გაჭრისტიანება იკისრა, ოლონდ-კი საქართველოს მეფის რუსუდანის ქმრობის ღირსი გამხდარიყო. მისგან რუსუდანს უფროსი ქალიშვილი თამარი და შემდეგ ეაჟიშვილი დავითი შეეძინა, რომელსაც მერმე დავით ნარინი ეწოდა.

1222 წლიდან მოყოლებული 1225 წლამდის საქართველო წერილ-წერილ ომებში იყო გართული. საქართველოს მთავრობის მაშინდელ მესვეურებს იოანე ათაბაგის მეთაურობით, იმდროინდელი საერთაშორისო მდგომარეობის სერიოზულობა სრულებით შეგნებული არ ჰქონდათ: ის, რაც ხვარაზმშაჰ მუჰამედს დაემართა, მათთვის გამაფრთხილებელ გარემოებად ვერ გამოდგა. მუჰამედმაც-კი ჯერ კიდევ თავის სიცოცხლის დროსვე განიზრახა, ერანის აზერბაიჯანი თავისი გავლენის ქვეშ მოექცია და მისი დაცვა თაეის მოვალეობად დაესახა, მუჰამედის ამ მოქმედებამ საქართველოს მთავრობის პოლიტიკური სიფხიზლე ვერ გააძლიერა.

როდესაც მამის სიკვდილის შემდგომ მუჰამედის შვილმა ჯალალედინმა ერანში გამაგრება სცადა და მაჰმადიანთა მფარველობა იკისრა, მან რუსუდანს და საქართველოს მთავრობას მუქარითაც და ქადილითაც სავსე წერილი გამოუგზავნა და ნებაყოფლობით დამორჩილება მოსთხოვა. მახლობელ აღმოსავლეთში მდებარე მაჰმადიანთა სამფლობელოების უფროსებს-კი მან შეუთვალა: დადგა დრო, როდესაც ქართველთა მძლავრობას ბოლო მოეღება და მაჰმადიანობა წინანდებურად გამარჯვებული იქნებაო. ჩემს მიზანს მხოლოდ ეს შეადგენს, რომ, როცა საქართველოს ქედს მოვაბრევინებ და მაჰმადიანობის გამარჯვებას უზრუნველვყოფ, ვეთილ-მეზობლურ დამოკიდებულება დავამყარო ყველასთანაო. ამ მფლობელებს გულუბრყვილოდ ეგონათ, რომ ეს მართლაც მისი გულწრფელი განზრახვა იყო.

ჯალალედინის მუქარამ საქართველოს მმართველ წრეებში მეტისტური დამოკიდებულება გამოიწვია და მას დამცინავი პასუხი გაუგზავნეს: მამა შენი შენზე უფრო ძლიერი იყო, მაგრამ რაც მონღოლებისაგან მას დაემართა, ეს შენც კარგად გეცოდინება, იგივე მონღოლები საქართველოს საზღვრებს მოადგნენ, მაგრამ იძულებულნი იყვნენ უკან დაეხიათო. ამ პასუხიდან ჩანს, რომ საქართველოს მთავრობის მესვეურთ პოლიტიკურ საქმეთა იმდროინდელ მიმდინარეობაზე სრულებით მცდარი წარმოდგენა ჰქონდათ. ასეთ პირობებში საქართველოს მთავრობის სათავეში მდგომი სამხედრო პირები ჯეროვანი სიფხიზლით ვერ მოეკიდებოდნენ იმ საშიშროებას, რომელიც ქვეყანას მოელოდა, როგორც ჯალალედინის, ისევე მეტადრე მონღოლთა შემოსევისაგან.

საქართველოს მთავრობა მაინც ნელნელა სამხედრო მზადებას შეუდგა. ჯალალედინმა დასწრება ამჯობინა და ამიტომ, სანამ საქართველო სამ-

ზელრო სამზადისს დაამთავრებდა. 1225 წელს შემოდგომას, დიდძალი ჯარითურთ საქართველოს საზღვრები გადმოლახა და დვინის სანახების აოხრება დაიწყო. ჯალალედინი ისეთი სისწრაფით მოქმედებდა, რომ ჯერ კიდევ ჯარის შესაფერისი რაოდენობა მოყრილი არ იყო საქართველოში, რომ ის დვინის სანახებიდან ჩრდილოეთის მიმართულებით დაიძრა და ცნობილს ციხე-ქალაქს, შალალ კლდეზე მდებარე გარნისს მიადგა.

გარნისის თაეზე მას საქართველოს ჯარი დახვდა. ქვეით ჯალალედინი იდგა თავისი ლაშქრითურთ, მწვერვალზე საქართველოს ჯარი იმყოფებოდა. ქართველები მეშველი ჯარის მოლოდინში ბრძოლის დაწყებას არ აპირებდნენ, მაგრამ ხვარაზმაშაჰმა თითონ დაიწყო და თავგანწირული ბრძოლის შემდეგ, ჯალალედინმა გაიმარჯვა.

რაკი ჯალალედინს დვინი ჯერ კიდევ დაპყრობილი არ ჰქონდა, ამიტომ გარნისთან ლაშქრის სათანადო რაოდენობის დატოვების შემდგომ, დვინის ასალებად წავიდა. დვინი აიღო კიდეც და ქალაქი თავის ლაშქარს გააძარცვინა. შემდგომ მან სამხედრო მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ ორი მიმართულებით დაიწყო.

ჯალალედინი რომ ჩრდილოეთისაკენ დაიძრა, რუსუდანი დასავლეთ საქართველოში. ქუთაისში გადავიდა, ხოლო ტფილისის დაცვა ტფილისის ციხისთავს მიანდო.

1225 წელს დეკემბერში ჯალალედინი ტფილისს მოადგა. საქართველოს მთავარსარდალობას სრული დაბნეულობა ეტყობოდა: ამირსპასალარის ხელმძღვანელობა არსად არა ჩანდა. ამავე დროს ჯალალედინი მარტო სამხედრო საშუალებით-კი არ მოქმედებდა, არამედ ჯაშუშებისა და მოსყიდულთა საშუალებითაც: 1226 წელს 9 მარტს. ტფილისის მაჰმადიანთა მოღალატური მოქმედების წყალობით, ჯალალედინის ჯარმა ქალაქ ტფილისში შეკრა მოახერხა და ქალაქი დაიპყრო.

საქართველოს დედაქალაქში ეელური ძარცვა-გლეჯა და ხალხის საზარელი ქლეტა ატყდა: დაუნდობლად ხოცავდნენ სქესისა, წლოვანებისა და ეროვნებისდა განურჩევლად. თითონ მაჰმადიანთაც ამ დაწოკების დროს სანანურად გაუხდათ, რომ ჯალალედინისაგან ასე ბრიყვულად მოტყუებულნი დარჩნენ. დამახასიათებელია, რომ მოღალატეთა შორის ტფილისში თითონ რუსუდანის ჭმარ-ყოფილი, არზრუმის მფლობელის შვილი მეღის-ედინიც-კი აღმოჩნდა, რომელიც ძლეამოსილ შტერს მიემხრო.

ქალაქ ტფილისის აღების შემდგომაც. მდგომარეობა სრულებით ისეთი უიმედო არ იყო, როგორც საქართველოს დაბნეულ მთავარსარდალს სჩვენებია: ისნის ციხე ჯალალედინს და მის ჯარს მამაცურად უწევდა წინააღმდეგობას. ამავე დროს ძალიან მკაცრი ზამთარი იდგა და ზამთრის სუსხი და ყინვა სამხრეთიდან მოსულ ხვარაზმელთა ლაშქარს დიდად აწუხებდა. მთავარსარდალობამ მაინც გადასწყვიტა, ეითმც ისნის ციხიდან წინააღმდეგობის გაწევას აღარაეითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონო-

დეს, ამიტომ ისნის ციხისთავს ბრძანება მოუვიდა, რომ ციხე დაეცალა და მტრისთვის გადაეცა.

თუმცა ტფილისის ციხისთავი და მეკობრეუხუცესი ამ განკარგულებას წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ მთავრობის ბრძანების უარჰყოფა ვერ გაბედეს და მიღებული განკარგულებისა და დადებული შეთანხმების თანახმად, ისნის ციხეც ჯალალედინის ხელში გადავიდა. საქართველოს დედაქალაქიც მტერს უკვე მთლიანად ჩაუვარდა ხელში.

ტფილისის დაპყრობა ჯალალედინისათვის დიდი გამარჯვება იყო, ამავე დროს საქართველოსათვის ეს დიდ მარცხს წარმოადგენდა, რომლის ანარეკლი მთელს მახლობელ აღმოსავლეთში საგრძნობი უნდა გამხდარიყო: საქართველოს ჯარის უძლეველობის სახელს უკვე დიდი ჩრდილი ჰქონდა მიყენებული.

საქართველოს სხვადასხვა თემში დამარხეველი ლაშქრის გასვლის შემდგომ, ბრძოლა ჯალალედინმა 1226 წ. განაახლა. ამ დროსაც საქართველოს მთავარ სარდლობას იქანე ათაბაგის მეთაურობით სრული დაჩაგრულობა ეტყობოდა: შეერთებული სამხედრო ძალით წინააღმდეგობის გაწევის შაგიერ, ცალკეული დიდი სამხედრო თანამდებობის პირნი საზოგადოდ ციხე-სიმაგრეებში ზოგი ანისში, ზოგი კარში ჩაიკეტნენ და მტრისთვის წინააღმდეგობის გაწევას იქ ლამობდნენ. გამაგრების ასეთი ცდა ჯალალედინს უადვილებდა ბრძოლას. ჯალალედინმა თავისი ჯარი ორ ნაწილად გაჰყო და ამ ორი ციხის გარემოცვა დაიწყო. ასეთ პირობებშიც-კი მან მაინც ვერც ანისისა და ვერც კარის აღება ვერ მოახერხა. რაკი ამ მხრივ მიზანი მიუღწეველი დაურჩა, სამხედრო ცბიერებით, ტფილისში დაბრუნება ირჩია, გულში-კი ხლათის წინააღმდეგ გალაშქრება ჰქონდა გადაწყვეტილი. ხლათი საქართველოს ყმადნაფიც სამფლობელოს წარმოადგენდა და ხლათელები საქართველოს უჭერდნენ მხარს ჯალალედინის წინააღმდეგ. თავისი მოქმედება რომ გაეადვილებინა, ჯალალედინმა განზრახ არია გზები. ტფილისიდან სწრაფად აიყარა და მოკლე გზით ხლათის წინააღმდეგ გალაშქრა. მაგრამ ქართველებმა ხლათელებს მოსალოდნელი განსაცდელის ამბავი დროულად აცნობეს. ამის წყალობით მათ საშუალება ჰქონდათ ბეგარაზმშაჰის ლაშქარს მოემზადებული დახვედროდნენ. მას შემდეგ, რაც მათ გაგონილი ჰქონდათ, რა დაემართა საქართველოს ყმადნაფიცს სხვა სამფლობელოებსა და თითონ ტფილისში მყოფ ქრისტიანებს და მაჰმადიანებსაც-კი, ხლათელებმა გადაწყვიტეს ჯალალედინისათვის თავგანწირული წინააღმდეგობა გაეწიათ. ჯალალედინმა ხლათის ხელში ჩაგდება მართლაც ვერასგზით ვერ მოახერხა.

ბეგარაზმშაჰისა და მისი ლაშქრის თავაშვებულობამ და ერთი წლის ბატონობამ ტფილისელებსაც აუხდილა თვალი. ამ მტარვალის მბრძანებლობა ტფილისელ მაჰმადიანებისათვისაც აუტანელი შეიქმნა. ამიტომ თავიანთი წინანდელი საქციელი მათ სანანურად გაეხადათ და საქართველოს მთავრობას საიდუმლოდ მოციქულები გაუგზავნეს, რომ ტფილისი ჯალალედინის ბატონობისაგან გაეთავისუფლებინა. გონს მოვიდა აგრეთ-

ეე ჩქარუდანის ჭმარუოფილი მელისუედინიც. ისიც ხვარაზმშაჰს გამოეპარა და საქართველოს მთავრობას ტფილისის მდგომარეობისა და იქ დაბანაკებული ხვარზმშაჰის ლაშქრის შესახებ სანდომლო ცნობები მიუტანა.

საქართველოს მთავრობამაც გადასწყვიტა ტფილისის ასაღებად ყოველივე ღონისძიება ეხმარა და 1226 წელს წარგზავნილმა ქართულმა ჯარმა ტფილისი კელავ დაიპყრო.

ამავე დროს საქართველოს მთავრობა უმწეო მდგომარეობაში ჩაყარდნილს აღმოსავლეთით მდებარე თაეის ყმადნაფიცს სამფლობელოებსაც მიეშველა. შაქში და კაბალში მყოფმა ხვარაზმშაჰის მეცხოვნე რაზმებმა საქართველოს ჯარის მოახლოვების ამბავი გაიგეს თუ არა, მაშინვე უბრძოლველად გაიქცნენ და ორივე ციხე-ქალაქი დასტოვეს.

ჯალალედინი დარწმუნდა, რომ მისი ჩოველივე ცდა ხლათის ასაღებად უნაყოფო იყო. ხლათელებმა მისი ჯარის დამარცხება და უკუგდებაც-კი შესძლეს. ამავე დროს ტფილისი ხელიდან წაუვიდა, შაჰი და კაბალაც განთავისუფლებული იყო. ამიტომ მან გადაწყვიტა: ხლათისათვის თავი დაენებებინა და ისევ ტფილისში დაბრუნებულიყო. მართლაც ჯალალედინი ტფილისისაკენ გამოემგზავრა. საქართველოს მთავარსარდლობამ გადაწყვიტა წინააღმდეგობა არ გაეწია და 1227 წლის დამლევს. მთავრობის განკარგულებით, ტფილისი საქართველოს მეცხოვნე ჯარმა დასცალა, ხოლო ქალაქი რომ ჯალალედინს ისევ ხელში არ ჩაეარდნოდა, გადასწვეს.

ამ დროისათვის საქართველოს ყველა მეზობელს მაჰმადიან სამფლობელოებშიც ჯალალედინისადმი დამოკიდებულება სრულებით შეცვალა: ყველა დარწმუნდა, რომ ხვარაზმშაჰის საზეიმო დაპირება და ალთქმა, ვითომც ის მხოლოდ მაჰმადიანობის გასავრცელებლად და გასაბატონებლად იბრძოდა, თვალის ასახვევად გამოყენებული ორიები იყო. თითეულ მათგანს საშუალება ჰქონდა დარწმუნებულიყო, რომ ხვარაზმშაჰის მმართველობა და მისი ჯარის მოქმედება ჩვეულებრივ ძარცვა-ალაფვის გარდა, არაფერს უქადდა. ამიტომ რუმის, შამის და ხლათის მფლობელი, შაჰარმენი, შეერთდნენ და საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკება დაიწყეს, ჯალალედინის წინააღმდეგ გაერთიანებული ძალით ბრძოლის მოსაწყობად. სამზადისიც დაიწყო, მაგრამ ჯალალედინს ჯაშუშებმა მოსალოდნელი განსაცდელი დროზე აცნობეს. მან გადაწყვიტა ამ შემთხვევაშიც საქართველოსა და მისი მოკავშირეებისათვის დაესწრო.

1227-28 წ. წ. მოკნაზე ხვარაზმშაჰი მთელი თავისი ლაშქრითურთ საქართველოს შემოესია და ბოლნისთან დიდი ბრძოლა ისურთ დროს მოხდა. რომელსაც ჯერ კიდევ მოკავშირეთა მეშველი ჯარის მოსვლა და მოხმარება შეეძლებელი იყო. დასწრებამ ჯალალედინს არგო და გამარჯვება მას დარჩა. ამ გარემოებამ მას საშუალება მისცა საქართველოს ერთ-ერთი მოკავშირის წინააღმდეგ, ხლათის მმართველის სამფლობელოს დასაპყრობად სამხრეთის მიმართულებით ბრძოლა განეახლებინა, იმ ხლათისა, რომლის აღებაც მან ორი წლის წინათ ვერაფერით ვერ მოახერხა. თუმცა ნაწირული წინააღმდეგობის მიუხედავად, ჯალალედინმა ხლათის აღება მა-

ინც მოახერხა. მაგრამ ეს მისი უკანასკნელი გამარჯვება-ლა იყო: 1230 წელს მას ცნობა მოუტანეს, რომ მისი დაუძინებელი მტრები მონღოლები, უკვე ერანის აზერბაიჯანში შესასევად იყვნენ მომზადებულნი. ამ ამბის გაგება და ჯალალედინის გაქცევა ერთი იყო. ის ჩამოცილდა საქართველოსაც და 1231 წელს ერთი ქურთი მონის მიერ მოკლულ იქნა.

საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთი განთავისუფლდნენ ამ ნიჭიერი სარდლისა და სრულებით ბეცი პოლიტიკოსის თარეშისაგან, რომელმაც თავისი უგუნური მოქმედებით თავის დაუძინებელ მტრებს, მონღოლებს, მახლობელ აღმოსავლეთში გასაბატონებლად თვითეე მოუმზადა ნიადაგი.

დასავლეთ საქართველოში ყოფნის დროს, რუსუდან მეფემ 1230 წელს თავისი ხუთი წლის ვაჟიშვილი დავითი სამეფო ტახტზე დასვა თანამოსაყდრედ. მაშინდელ სამხედრო და პოლიტიკური მიზეზების გამო, აღმოსავლეთ საქართველოს დიდებულნი და დარბაზის წარმომადგენელნი მის თანამოსაყდრედ დასმას ვერ დაესწრნენ. ჯალალედინის საქართველოდან გაქცევამ რუსუდანს და საქართველოს მთავრობას საშუალება მისცა წინანდებურად გაერთიანებული სამეფოს საქმეების მმართველობას შესდგომოდნენ. მაგრამ ჯერ კიდევ ქვეყანა ხეირიანად მოშშვიდებული და წესიერებაც აღდგენილი არ იყო, რომ მონღოლები გამოჩნდნენ, ეხლა-კი უკვე სრულებით გარკვეული პოლიტიკური მიზნით.

მონღოლთა მთავარი ძალა აღმოსავლეთიდან მოემართებოდა. პირველად მათ ქ. ბარდაკი აიღეს, შემდეგ ქ. განძას მიადგნენ, რომელნიც საქართველოს ყმადნაფიცს სამფლობელოებს წარმოადგენდნენ. მონღოლებმა განძელებს წინადადება მისცეს, უბრძოლველად დაჰმორჩილებოდნენ, მაგრამ განძის მცხოვრებლები მონღოლთა ამ წინადადებამ ისე აღელვა, რომ განრისხებულმა ხალხმა მონღოლთა ელჩები იქვე დახოცა. ამის საპასუხოდ მონღოლელებმა განძა აიღეს და მთლიანად გაანადგურეს.

აქედან მონღოლთა ლაშქარი ქ. შანქორისაკენ გაემართა. შანქორი ამ დროს უშუალოდ საქართველოს ეკუთვნოდა. ის საქართველოს სანაპირო ქვეყნის მმართველს ვარამ გაგელს ემორჩილებოდა. ვარამ გაგელი, არც თითონ მიეშველა და არც თავის შვილისათვის მიუცია უფლება, რომ შანქორელებისათვის ხელმძღვანელობა გაეწია.

მაინც შანქორელები მტერს მედგრად შეებრძოლნენ, მაგრამ ხელმძღვანელობას მოკლებულ ქალაქის მცხოვრებლებს მონღოლთა ჯარის უკუქცევა. რასაკვირველია, არ შეეძლოთ. მონღოლებმა ქალაქი აიღეს, გაძარცვეს და გადასწვეს. მონღოლები ასე ქალაქ გარდაბანამდე მივიდნენ. გარდაბანელებსაც ხელმძღვანელი არ ჰყავდათ და, რაკი მათ უკვე გაგონილი ჰქონდათ, რაც შანქორელებს და განძელებს დაემართათ, ამიტომ ძლევამოსილ მტერს უბრძოლველად დაჰმორჩილდნენ.

გონებადაბნეულობა, რომელიც საქართველოს სამხედრო ხელისუფლებასა და მთავრობას ჯერ კიდევ ჯალალედინის შემოსევის დროს დაეტყო, მონღოლთა შემოსევის დროსაც ისევე სუფევდა. სანაპირო ქვეყნების

მმართველნი, ხელმძღვანელობის მაგიერ, მხოლოდ თავიანთი თავის დაცვაზე ფიქრობდნენ. მთავრობაც, მონღოლთა მოახლოვების ამბების გაგებისთანავე, ტფილისიდან ისევ ქუთაისში გადავიდა, ხოლო საქართველოს დედაქალაქის დაცვა ტფილისის ციხისთავს ჩაჰბარდა. მთავარსარდალი და საქართველოს ჯარის უმთავრესი ნაწილი არსად სჩანდა.

რუსუდანმა სამხედრო ხელისუფლების რჩევით ტფილისის ციხისთავს, შუახას ძეს, ბრძანება დაუტოვა, რომ, რა წამს თათრები, ანუ მონღოლები დმანისამდე მივიდოდნენ, დედაქალაქი დაეცალა და გაკცლოდა. მონღოლები ბრძოლას ფრთხილად აწარმოებდნენ: თუ აქამდე მხოლოდ ალმოსაველეთიდან მოდიოდნენ, ახლა სამხრეთიდანაც შემოუარეს და ლორეს ციხეს მიადგნენ. რომელიც მანდატურთ-უხუცესის შანშეს ხელში იყო. შანშე მხარგრძელიც ისეთსავე უმოქმედობას და დაბნეულობას იჩენდა, როგორც დანარჩენი მმართველები. ამიტომაც მონღოლებმა ამ ძლიერი ციხის ხელში ჩაგდება მოახერხეს. შემდეგ ასევე დმანისიც იქნა აღებული. აქაც მონღოლებს დიდი წინააღმდეგობა არ უნახავთ, რადგან მანდატურთ-უხუცესი შანშე, რომლის მოვალეობასაც სწორედ ამ მთელი თემის დაცვა შეადგენდა, თავის გადასარჩენად აჭარაში გაიქცა.

დმანისის შემდეგ მონღოლებს არც სამშვილდესთან უნახავთ დაბრკოლება. ამ რიგად ტფილისისაკენ გზა მათ უკვე გახსნილი ჰქონდათ. დედაქალაქიც, განკარგულების თანახმად, მათ დაცლილი დახვდათ.

საქართველოს მთავრობას შემდეგშიც არც თავდაცვის თაოსნობა და არც ხალისი არ გამოუჩენია: საქეყნოდ გამრიგე მოხელენი თითქოს ერთმანეთს ეცილებოდნენ, რომელი მათგანი თავის გადასარჩენად უფრო შორს წავიდოდა. თვით საქართველოს ჯარის მთავარსარდალიც, რომელსაც მონღოლების წინააღმდეგ ბრძოლისათვის ხელმძღვანელობა უნდა გაეწია, ავად სპასალარიც, ამნაირადვე მოიქცა: იმანაც თავისი მოვალეობა დაივიწყა და კაენის ციხეში შევიდა, სადაც მას მონღოლებისათვის ეითომ წინააღმდეგობა უნდა გაეწია. ამრიგად განმეორდა იგივე, რაც ჯალალედინის დროს მოხდა, საქართველოს ჯარის მხედართმთავრებმა მტერს სამხედრო მოქმედების წარმოება თითონვე გაუადვილეს: ცალცალკე ციხეებში ჩაიკეტნენ და ვითომდა იქიდან აპირებდნენ მტრისათვის წინააღმდეგობის გაწევას. შეერთებული ძალის მაგიერ, მათ დაჭსაქსული პატარ-პატარა რაზმები-ღა ჰყავდათ.

მონღოლებმა ზემოაღნიშნული ვითარებით კარგად ისარგებლეს და უპირველესად კაენის ციხეს მიადგნენ, სადაც საქართველოს ჯარის მთავარსარდალმა, ამირსპასალარმა, თავი შეაფარა. მეორე მხრით მათ თავიანთი ჯარი ციხე-ქალაქ ანისის ასაღებად გაგზავნეს, რომლის სამხედრო თვალსაზრისით უაღრესი მნიშვნელობა კარგად იყო მაშინ ცნობილი, რაც არც მონღოლებისათვის უნდა ყოფილიყო უცნობი.

მონღოლებმა ანისის მცხოვრებლებს წინადადება მისცეს, უბრძოლველად დამორჩილებულიყვნენ, მაგრამ ანელებმა მტრის წინაშე ქედის მოხრა ისევ იუკადრისეს. როგორც განძელებმა და შანქორელებმა,

ელჩებიც-კი დახოცეს. გაბრაზებულმა მონღოლებმა ანისი აიღეს და მცხოვრებლები ამ დანაშაულისათვის ულმობელად გაწყვიტეს.

ყაენი ეხლა თვით მთაყარსარდალ აყაგ მხარგრძელზე მიდგა, რომელიც ყაენის ციხეში იყო შეხიზნული. თავისივე უგუნური საქციელით ყაენში შემწყნედეულმა აყაგ მხარგრძელმა გადაწყვიტა, რომ მისთვის უფრო უკეთესი იყო მონღოლებს ნებაყოფლობით დაჰმორჩილებოდა, ვიდრე ხრძოლა განეგრძო. მეფისა და მთაყრობის დაუკითხავად მან მონღოლთა სარდალს ჩორმაღან ნოინს მოციქული მიუგზავნა და დამორჩილებას პირდებოდა, თუ საგამგეო ქონებას შეუნარჩუნებდნენ და მისი საპატრონყმო ქვეყნისა და საგამგეო ოლქის წინაალმდეგაც სამხედრო მოქმედებას შეაჩერებდნენ. მონღოლები ამ პირობას სიამოვნებით დათანხმდნენ.

მონღოლები აყაგ მხარგრძელივით გულუბრყვილოდ არ მოქცეულან: მათ, მართალია, სამხედრო მოქმედება შესწყვიტეს, მაგრამ აყაგ მხარგრძელის საგამგეო და საპატრონყმო ქვეყნის ყველა მნიშვნელოვან ციხეებში თავიანთი ყარი ჩააყენეს.

პირველი საყუგო ნაბიჯის მეორე მიმბაძველიც იმავე მხარგრძელის მონათესავე მოხელე შანშე მანდატურთ-უხუცესი აღმოჩნდა. მანაც იმავე პირობით მოისურვა შეთანხმება. მონღოლები და შანშე იმავე პირობით დაზავდნენ. ამის შემდგომ მონღოლებს ეარამ გაგელიც შეუთანხმდა. მანაც თავისი საგამგეო ქვეყანა მიიღო და დაბრუნდა.

რაკი მონღოლებთან უკვე ასეთი გზით კერძო შეთანხმება დაიწყო, შერვან-ყახეთის, ქართლისა და ყაენახეთის ერისთავთ-ერისთავებიც მონღოლებს ამავე პირობით დაემორჩილნენ. ივანე-ყუარყარე ყაენელი-ციხის ყმარელი ერთადერთი საქვეყნოდ გამრიგე აღმოჩნდა, რომელმაც თავისი მოვალეობის სრული შეგნება შეინარჩუნა და მტერთან მოლაპარაკების დაწყება არ იკადრა. ამის გამო მონღოლებმა მთელი თავიანთი ყაური იმაზე იყარეს და სამცხის თემი მონღოლთა სათარეშოდ იქცა. საქართველოს ერთ პატარა თემს მრავალრიცხოვანი მტრისათვის დიდხანს წინააღმდეგობის გაწევა. როდესაც გარშემო ყველა უკვე მათ მხარეზე იყო გადასული, არ შეეძლო. ამიტომ ყაყელმა რუსუდან მეფეს მიმართა თხოვნით, მისათვის ნება დაერთო მონღოლებს შესთანხმებოდა და დაჰმორჩილებოდა. რუსუდანმაც ნება დართო და ამ გვარად მთელი აღმოსავლეთი საქართველო მონღოლთა ხელში გადაეიდა.

თითონ რუსუდანი შეთანხმების გზას არ დაადგომია. მას მაინც იმედი დაკარგული არ ჰქონდა, რომ მტრისათვის წინააღმდეგობის გაწევა კიდევ იქნებოდა შესაძლებელი. ასეთ განსაცდელის ჟამს საქართველოს მთავრობას მოაგონდა, რომ გიორგი ლაშას რომის პაპმა მომართა თხოვნით, დასავლეთის ქრისტიანი ყვაროსნებისათვის მაჰმადიან მშართველთან ბრძოლის გასაადვილებლად სამხედრო დახმარება გაეწია. საქართველოს მთავრობამ გადასწყვიტა, რომ ეხლა, როდესაც განსაცდელში თითონ საქართველო ჩავარდა, დასავლეთის ქრისტიან სახელმწიფოებისათვის ასეთივე დახმარების თხოვნით მიემართა.

რუსუდან მეფემ 1229 წლის ახლო ხანებში რომის პაპს გრიგოლ

IX-ეს სწორედ ამ მიზნით ეპისტოლე გაუგზავნა. რომის პაპის გულის მოსაგებად და სათხოვრის ასრულების უფრო გასაადვილებლად. ეპისტოლეში დამატებული იყო, რომ საქართველო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიების გაერთიანების მოწადინებულ-მონატრული იყო. ამ წერილმა რომის პაპის საყდრამდე საკმაოდ დაგვიანებით მიაღწია. 1240 წ. დაწერილი საპასუხო ეპისტოლით გრიგოლ IX-ემ რუსუდანს აცნობა, რომ დასავლეთ ევროპას საქართველოსათვის არ შეეძლო დახმარების აღმოჩენა.

ამგვარად ის უკანასკნელი იმედიც, რომელიც საქართველოს მთავრობას შონღოლთა ძალმომრეობის თავიდან მოსაშორებლად ჯერ კიდევ ჰქონდა, ვაუკრუვდა. ამიტომ საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, მონღოლებთან მოლაპარაკება დაეწყო.

მაგრამ რუსუდან მეფე მარტო მონღოლთა ადგილობრივ სამხედრო ხელისუფლებას ვერ ენდო და ამიტომ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, ხელშეკრულებისა და ზავის პირობების გამოსარკვევად, მოლაპარაკება უშუალოდ მონღოლთა ყაან ბათუსთან ამჯობინა. ამ დავალებით მან საქართველოს უმაღლესი ხელისუფალი მწიგნობართ-უხუცესი და ვაზირთა ყოველთა უპირველესი წარვზავნა ბათო ყაანის ურდოში. იქიდან მწიგნობართუხუცესის დაბრუნების შემდგომ, რუსუდანი თავისი შვილით დაეთხოვრა 1242-43 წ. აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა.

მონღოლთა და საქართველოს შორის შეთანხმება შემდეგნაირად მოხერხდა: საქართველო მონღოლთა ყაანის უზენაესობას სცნობდა. მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოში, ვითარცა მონღოლთაგან ძალით დაპყრობილ ქვეყანაში, საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად მონღოლთა ყაანის უმაღლესი მოხელეების წარმომადგენლები და ჯარიც იქნებოდა, დასავლეთ საქართველო-კი, რომელიც მონღოლებს დაპყრობილი არ ჰქონდათ, წინანდელ მდგომარეობაში დარჩებოდა, მხოლოდ მონღოლთა ყაანისათვის ხარკის სანაცვლოდ საქართველო ყოველწლიურად 50.000 ოქროს პერპერას გადაიხდიდა. მონღოლთა ყაანი თავის მხრივ დაეთ IV რუსუდანის ძეს სრულიად საქართველოს მეფეთ-მეფედ დაამტკიცებდა.

რუსუდანი და მისი ვაჟიშვილი დაეთ IV რომ ამ შეთანხმების ძალით აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდნენ, გამოირკვა, რომ მონღოლთა ადგილობრივს ხელისუფლებას არ შეეძლო დაეთ IV თითონ სრულიად საქართველოს მეფედ დაემტკიცებინა. ამიტომ მონღოლური წესის თანახმად დაეთ IV რუსუდანის ძე, ქართველთა დიდი ხელისუფლების თანხლებით, მონღოლთა ურდოში იყო წარგზავნილი, ჯერ ბათო ყაანთან, შემდეგ უკვე მონღოლთა მთელი სახელმწიფოს სათავეში მდგომ დიდ ყაანის ურდოშიც. დაეთ IV რუსუდანის ძეს იქ ორი წლის განმავლობაში მოუწვიათ. ბათო ყაანმა რომ ის მანგუ დიდ ყაანის ურდოში გაგზავნა. მას შემდგომ იმის ცნობებიც-კი არ ჰქონდათ საქართველოში, ცოცხალი იყო ის, თუ არა.

შვილის შესახებ ამბის უქონლობითა და თავისი სოციალის განმაკლობაში მრავალგვარი პოლიტიკური და პირადი უსიამოვნების გამო დაავადებული რუსუდანი 1245 წელს გარდაიცვალა. რაკი რუსუდანი მკვდარი იყო, მისი ვაჟიშვილი დავით IV შესახებ-კი არავითარი ცნობები ალარ მოიპოვებოდა, საქართველო უმეფო ქვეყნად და უპატრონო სახელმწიფოდ იქცა.

მონღოლთა გაბატონება საქართველოში, ბრძოლა მათ წინააღმდეგ, მათი ბატონობის ანარეკლი საქართველოს სახელმწიფოს წესწყობილებაში და მათი გავლენის შედეგი სოციალ-ეკონომიურ სფეროში

მონღოლები ორ მთავარ ჯგუფად იყოფებოდნენ: მონღოლებად და თათრებად. ისინი შთამომავლობითაც და ენითაც, თურქებთან ერთად, ერთი მოდგმის ჯგუფს ეკუთვნოდნენ. მათი ფიზიკური თვისებებიც და გარეგნობაც ერთნაირი იყო. ყველაზე მკაფიოდ სხვა მოდგმის ხალხთაგან განსხვავება მათ სახეზე ემჩნეოდათ. საკმაო დიდი თავი ჰქონდათ, შორი შორის ირიბად. ღრმად ჩამჯდარი თვალებითურთ, დაბალი ცხვირი განიერი ნესტოებითურთ, ძალზე გამოწეული ღაწვები. კანის მუქი შეფერადება, ძუის მსგავსად უხეში თმა-წვერ-ულვაში. ყველა ამით ისინი სხვა მოდგმის ხალხთაგან განირჩეოდნენ. მათი თავდაპირველი სამშობლო ციმბირი იყო.

მონღოლები უბინადრო ცოფაცხოვრების მიმდევარი ხალხი იყო: ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ საკვებისა და სხვა საცხოვრებელი საბმარის შემოლევის შემდგომ. ტყეში მობინადრე მონღოლთა ტომები ურმთავრესად მონადირეობითა და მეთევზეობით ცხოვრობდნენ. ველად მოსახლე მონღოლები მხოლოდ მესაქონლეობას მისდევდნენ, რომელიც მოშთაბარეობის პრინციპზე იყო დამყარებული: ზაფხულად ისინი მთაში ადიოდნენ, ზამთრად-კი ბარად ჩამოდიოდნენ. მიწათმოქმედება მათ არ ჰქონდათ, ხეხილეულს არ მისდევდნენ. მათი არსებობის მთავარი წყარო მესაქონლეობა იყო. რომლის მთავარ დარგად მეცხენეობა ითვლებოდა, რადგან ცხენი მათთვის ძვირფასი იყო, როგორც საწველი ცხოველიც: ისინი ცხენის რძესა სვამდნენ და ამის გარდა, სხვა ხორცზე მეტად, უმთავრესად ცხენის ხორცით იკვებებოდნენ. მარტო მესაქონლეობა მათ არსებობისათვის საკმარის სახსარს ვერ აწვდიდა, ამიტომ დანაკლისის შევსება მათ მონადირეობით უხდებოდათ. მაგრამ არც ეს იყო საკმარისი და მათი არსებობის მესამე. არაუმნიშვნელო წყაროს მეკობრობა და ყაჩაღური მტაცებლობა შეადგენდა: მეზობლებზე თავდასხმა და მათი ქონების მოტაცება მათი კეთილდღეობის ერთი მნიშვნელოვან წყაროთაგანი იყო.

მონღოლები გვაროვნული წესწყობილების მქონებელი ხალხი იყო, მაგრამ იმ დროისათვის, როდესაც ჩინგისხანმა მონღოლთა სხვადასხვა ტომების გაერთიანება მოახერხა, გვაროვნული წესწყობილება უკვე საკ-

მეტად შერყეული იყო: არსებობდა პატრონყმური დამოკიდებულება, ფეოდალური წესწყობილება, სხვა ქვეყნების ცნობილი ფეოდალური წესწყობილებისაგან იმ არსებითი განსხვავებით, რომ, მუდმივი ბინადრობის უქონლობის გამო, მათი საპატრონყმო ერთეულის განკარგულებაში მყოფი ფართობიც ცვალებადი იყო ხოლმე, იმისდა მიხედვით, თუ მათი ბინადრობის ადგილმდებარეობა როგორი იცვლებოდა.

ამ მონღოლური წესის გარდა, ჩინგისხანმა სამხედრო ორგანიზაციაც შემოიღო, რომელიც მთელი მონღოლური მოსახლეობის ათეულებად, ასეულებად, ათასეულებად და ათიათასეულებად, ანუ ბევრეულებად დანაწილებაზე იყო დამყარებული. ათეულის ერთეული შედგებოდა იმდენი ოჯახისაგან, რამდენსაც ბრძოლის ველზე ათი შეიარაღებული მოლაშქრე უნდა გამოეყვანა. ასეულს, ათასეულს, ათიათასეულს, ანუ ბევრეულსაც, რომელსაც მონღოლურად თუმენი ეწოდება, ასევე, როდესაც-კი სალაშქროდ გამგზავრება იყო საჭირო, ასი, ათასი და ათიათასი მოლაშქრე უნდა მიეცა.

ამრიგად, მონღოლური წესწყობილება უმთავრესად სამხედრო ორგანიზაციის წესზე იყო დამყარებული. მთელ მათ ყოფაცხოვრებასაც სამხედრო ხელისუფლება განაგებდა.

საქართველოში პირიქით სამხედრო ხელისუფლება სამოქალაქოს ემორჩილებოდა. სახელმწიფოს სათავეში მწიგნობართუხუცესი და ვაზირთა უპირველესი იდგა, რომელსაც თვით ამირსპასალარიც-კი ემორჩილებოდა. ამასთანავე საქართველო ინტენსიური მეურნეობის მქონებელსა და მაღალი კულტურული დონის პატრონ სახელმწიფოს წარმოადგენდა.

საქართველოში დამკვიდრების შემდგომ, მონღოლები საქართველოს იმავე წესით მოწყობას შეუდგნენ, როგორიც თითონ მათ ჰქონდათ, ე. ი. საქართველო დ უ მ ნ ე ბ ა დ დაჰყვეს და მთელი საქართველოს სახელმწიფო რვა ათიათასეულად, ან ბევრეულად იყო დანაწილებული. მაგრამ დუმნებად დანაწილებას საქართველოში დიდხანს ვერ უძლვინნია და ასეთი დანაწილება მალე მოისპო.

სამხედრო ხელისუფლების უპირატესობაზე დამყარებულს მონღოლთა მართვაგამგეობის წესის გავლენითვე უმეფობის ხანაში, საქართველოს მაღალ ხელისუფალთა შორის ყველაზე მეტი მნიშვნელობა წინანდებურად მწიგნობართ-უხუცესს-კი არა ჰქონდა, რომელსაც ქართული სახელმწიფო სამართლის ძალით ქვეყნის მესაჭეობა ეკუთვნოდა, არამედ საქვეყნოდ გამრიგე მოხელესა და მხედართმთავარს ეგარსლან ბაკურციხელს ჩაუვარდა ხელთ.

ეგარსლან ბაკურციხელი ნიჭიერი და მჭერმეტყველი ადამიანი იყო. ამ ორი თვისებით უხვად დაჯილდოვებულობის გამო და მონღოლებთან დაახლოვების წყალობით, მის სიტყვას საქართველოში ყველანი ემორჩილებოდნენ. მაგრამ ამ გზით მოპოვებულმა დიდმა ძალამ და ხელისუფლებამ მას ზომიერება დააკარგვინა და წადილი აღუძრა, რომ საქართველოს მთელი ხელისუფლებაც ჩაეგდო ხელში. როდესაც მისი

ასეთი წადილი უველასათვის ცხადი შეიქმნა, მაშინ-კი დიდ მოხელეთა შორის მის საწინააღმდეგოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი დაირაზმა, რომელთაც არავითარი სურვილი არ ჰქონდათ, თავისი თანასწორი უფროსად გაეხადათ. მათ საქართველოს სახელმწიფო ტახტის კანონიერი მემკვიდრის გამოძებნა და სამეფო ტახტზე დასმა გადასწყვიტეს.

რაკი რუსუდანი ცოცხალი აღარ იყო, მისი ვაჟიშვილის დავით IV შესახებაც საქართველოში აღარაფითარი ცნობები არ ჰქონდათ, ამიტომ აგარსლან ბაკურციხელის მოწინააღმდეგე ჯგუფმა საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრედ ლაშა გიორგის უკანონო შვილი დავითი წამოაყენა. მონღოლთა ხელისუფლებასთან შეთანხმებით რომის რუმის სასულტანოდან 1245-46 წ. წ. მოიყვანეს, მონღოლთა მხედართმთავარმა ეს დავით V, გიორგი ლაშას ძეც მონღოლთა ყაანის ურდოში გაგზავნა დასამტკიცებლად.

როდესაც დავითი გიორგი ლაშას ძე თავის ამალითურთ მანგუ ყაანის ურდოში მივიდა, იქ გამოირკვა, რომ დავით IV, რუსუდანის ძე, ცოცხალი იყო. ამ რიგად საქართველოში სახელმწიფო ტახტის ერთი მემკვიდრის მაგიერ მოულოდნელად ორი მემკვიდრე აღმოჩნდა. გაჩაღდა ბრძოლა ორ ბანაკად გაყოფილ საქართველოს დიდ ხელისუფალთა შორის. არც ერთს მათგანს არ სურდა რომ ორივე ყოფილიყო გამეფებული, არამედ თითოეული ჯგუფი ფიქრობდა, რომ საქართველოს ერთად-ერთ საჭედმპყრობელად სწორედ მისი კანდიდატი უნდა გამხდარიყო.

რაკი შეთანხმება შეუძლებელი შეიქმნა, საკილობლად ქცეული ეს საკითხი უნდა მონღოლთა დიდ ყაანს გადაეწყვიტა. ბრძოლა სხვადასხვა საბუთების წამოყენებით სწარმოებდა, მაგრამ ბოლოს-და-ბოლოს მთავარი მნიშვნელობა იმ საკითხს მიენიჭა, ჰქონდა, თუ არა, უფლება ქალს შთამომავალს მიეღო მეფობა იმ შემთხვევაში, როდესაც მამრობითი სქესის შთამომავალი არსებობდა, თუნდაც „უკანონო“ შვილის სახით.

როდესაც მანგუ ყაანს საქართველოს საკილობელი საკითხი უნდა გადაეწყვიტა, მან ისევე განსაჯა, როგორც თვითონ იყო მიჩვეული. დავით V გიორგი ლაშას ძემ, და მისმა მომხრე ჯგუფმაც, რაკი მათ იმედი არ ჰქონდათ, რომ ქართული სახელმწიფო სამართლის წესით გაბარკვევებას მოიპოვებდნენ, მანგუ ყაანს სთხოვეს, რომ ეს საკითხი მას მონღოლური სამართლის წესით გადაეწყვიტა. ეს ნაბიჯი სრულ პოლიტიკურ შეუნებლობას წარმოადგენდა და ქართული სახელმწიფოებრივობის ღალატად უნდა ყოფილიყო მიჩნეული, რამდენადაც ამით მონღოლებს თითონ ქართველებმა უჩვენებდნენ იმ გზას, რომლითაც მათ შეეძლოთ ქართული სახელმწიფო სამართალი დაერღვიათ. მონღოლთა ყაანისათვის ეს თხოვნა ფრიად სასიამოვნოც იყო და სასარგებლოც. მან სწორედ ასევე გადასწყვიტა. მეფობა დავით V-ს, გიორგი ლაშას ძეს, როგორც უფროსს, მისცა, მაგრამ მის მომხრეთა ჯგუფისა და თითონ დავით V-ის იმედები მაინც მთლად ვერ გამართლდა: ყაანმა გადასწყვიტა, რომ მეფედ ორივე დაემტკიცებინა, ერთი მათგანი უფროსად იქნებოდა, მეორე უმცროს მეფედ. ისევე, როგორც მათ სა-

ყაენოში ერთი დიდი ყაანი იყო, ხოლო დანარჩენი სამნი ჩვეულებრივ ყაანებად ითვლებოდნენ. ამრიგად საქმე ისე დატრიალდა, რომ ერთი მეფის მაგიერ საქართველოში ორი დამტკიცებული მეფე აღმოჩნდა. ეს საკითხი მანგუ ყაანმა 1247 წელს გადასწყვიტა.

ორთა მეფობა საქართველოში. დავით V, გიორგი ლაშას ძე, ულუ-დავითად წოდებული, და დავით IV, რუსუდანის ძე, ნარინ-დავითად სახელდებული

ორსავე დავითსა და მათ მომხრე ჯგუფებს რომ საქართველო ისევე ორ სამეფოდ გაეყოთ, როგორც მონღოლებს თავიანთი საბრძანებელი ყაანებს შორის ჰქონდათ გაყოფილი, ეს საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის დარღვევა იქნებოდა, მაგრამ უკანასკნელ ეამს დავით V-საც და დავით IV-საც, მათ მომხრე პოლიტიკურ ჯგუფებსაც, საკმაო ერთიანული შეგნება აღმოაჩნდათ, რომ ასეთი უგუნური ნაბიჯი არ გადაედგათ და ქვეყანა თავისივე ხელით განსაცდელში არ ჩაეგდოთ: საქართველოს დედაქალაქ ტფილისში მოიყვანეს და ერთად დაიწყეს მეფობა.

თუმცა ამ ორ მეფეს სახელიც ერთნაირი ჰქონდათ, ორივეს ხომ დავითი ეწოდებოდა, — ისე რომ, მათ განსასხვავებლად რაიმე დანართის სახელის მიმატება იყო საჭირო, და, მართლაც შემდეგში დავით V-ს, გიორგი ლაშას ძეს, დავით-ულუ (უფროსი) ეწოდა, ხოლო დავით IV-ს, რუსუდანის ძეს, დავით-ნარინი (უმცროსი, მონღოლური სახელებია) დაარქვეს, მაგრამ ამ სახელების მსგავსების გარდა, მათ საერთო თითქმის არაფერი ჰქონდათ.

საქართველოს მდგომარეობა მონღოლთა ბატონობის ხანაში

როდესაც მონღოლები ფართო სახელმწიფო ასპარეზზე გამოვიდნენ, ისინი წერა-კითხვის უკიდურესი უცოდინარნი იყვნენ. მონღოლებმა უიღურებისაგან უიღურული ანბანი შეითვისეს და ჩინგისხანმა საგანგებო ზომები მიიღო, რომ წერა-კითხვა და მწიგნობრიობის ცოდნა მონღოლთა შორის გაევრცელებინა, მაგრამ მის ცდას, ან არავითარი შედეგი არ მოუტანია, ან ძალიან მცირე. ამის გამო მათ სახელმწიფო მართვა-გამგეობისთვის გამოსადეგი მოხელეები ცოტანი ჰყავდათ.

თითონ მონღოლები უმთავრესად სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ, სამოქალაქო ხელისუფლებისათვის, მათ ზემოაღნიშნული უცოდინარობის გამო, სხვა ეროვნების მოხელეთა გამოყენება უხდებოდათ. რაკი ამასთანავე, თავიანთი დედა-ენის გარდა, მონღოლებმა სხვა უცხო ენები არ იცოდნენ, ამიტომ მოენეების დახმარების გარეშე, მათ დაპყრობილი მრავალრიცხოვანი ქვეყნებისა და ერების მოსახლეობასთან კავშირის დამყარება არ შეეძლოთ. მონღოლური ენის ცოდნა-კი მხოლოდ იმ ეაჭრებს მოეპოებოდათ, რომელნიც მონღოლეთში სავაჭროდ

წინადაც დადიოდნენ. ამრიგად, მონღოლთა ხელისუფალნი მთლიანად ამ უცხო წარმოშობისა და ეაჭრული წრიდან გამოსული მოხელე მოენების სეინდისიერებაზე იყვნენ დამოკიდებულნი. თარჯიმანს იმ დროს უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა: მას შეეძლო ანგარებით ბრალდებულიც დაეღუპა და ხელისუფალიც შეეცდინა.

ასეთ პირობებში ანგარებისაგან თავის დაცვა ძალიან ძნელი იყო. ბოროტმოქმედება საფინანსო სამმართველოში და გადასახადების აკრეფის დროს ძალმომრეობა და ცარცვა-გლეჯა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ამას ზედ მონღოლთ ბატონიშვილებისა და დიდი სამხედრო ხელისუფლების თავაშვებული თვითნებობაც დაერთო.

მონღოლთა ყაანს უნდოდა გაეგო, რამდენი ჯარის გამოყვანა შეეძლო თავის სამფლობელოდან გაჭირვების დროს და რამდენი გადასახადი უნდა შემოსულიყო მას მრავალრიცხოვანი ქვეშევრდომებისა და ყმადნაფიცებისაგან. ამ მიზნით 1254 წელს მთელ მონღოლთა სამბრძანებელში ხალხის აღწერა დაიწყო. სხვათა შორის ასეთი ხალხის აღწერა საქართველოშიც მოახდინეს. რაკი ხალხის აღწერას სამხედრო და ფინანსიური მიზანი ჰქონდა დასახული, ამიტომაც აღწერის დაეთარში ერთი მხრით მოსახლეობის შესახებ შეჰქონდათ ცნობები, მეორე მხრით ქონებრივი მდგომარეობის შესახებ. პირუტყვი, ყოველგვარი უძრავი ქონება, ყანა, ვენახი, წალკოტი, ბოსტანი, ყველაფერი ეს აღნუსხული იყო.

ხალხის აღწერის დამთავრების მიხედვით, მონღოლთა ხელისუფლებას საშუალება ჰქონდა გამოერკვია, რომ ყოველწლიურად საქართველოს უნდა მიეცა 90 ათასი მოლაშქრე. მაშინდელ საქართველოს სამეფოში სულ 5 მილიონამდე მცხოვრები მაინც უნდა ყოფილიყო. ამ რიცხვში, რასაკვირველია, მარტო ქართველები არ შედიოდნენ, არამედ სხვა ეროვნების ის წარმომადგენლებიც, რომელნიც საქართველოს სახელმწიფოს ექვთვნოდნენ. ამ ცნობებიდანაც მაინც ჩანს, თუ რამდენად მჭიდრო მოსახლეობა იყო მაშინდელ საქართველოში, იმისდა მიუხედავად, რომ მას უკვე ჯალალედინისა და ჩინგისხანის ორი შემოსევის საშინელება ჰქონდა გამოვლილი.

ხალხის აღწერის დამთავრების შედეგის შემდგომ მონღოლთა ხელისუფლებამ გადასახადების სისტემის მოწესრიგებაც სცადა. მონღოლებს ფართოდ ჰქონდათ საგადასახადო დაბეგვრა მოწყობილი: მეურნეობის თითქმის არც ერთი დარგი არ არსებობდა, რომლის დაბეგვრა მათ არ გაენზრახათ. სასოფლო მეურნეობაზე დადებული საყაანო გადასახადს მ ა ლ ი ეწოდებოდა. მალს გარდა, არსებობდა მაშინ ყ ა ფ ჩ ე რ ი, ანუ ყ უ ფ ჩ უ რ ი, რომელიც ქართულ ტერმინს ს ა ბ ა ლ ა ხ ე ს უდრის. ასეულ საქონელზე ერთი სული უნდა გამოეყვანათ და მონღოლებისათვის მიეცათ. შემდეგ ხანაში ეს საბალახე ფულად გადასახადად გახადეს და შეძლებისდა გვარად იყო განსაზღვრული.

მონღოლებს საეკლესიო გადასახადიც ჰქონდათ, რომელსაც დ ა მ ღ ა ს უწოდებდნენ: ასი თეთრის ღირებულების ნასყიდობაზე ერთი თეთრი, ვერცხლის ფული, ანუ 3%, საყაანო დამღად უნდა გამოერთმიათ.

სამხედრო სარგოდ განკუთვნილი გადასახადებიც არსებობდა. რომელთაც უღუფა ეწოდებოდა. მონღოლთა ათასეულის უფროსის, ანუ ათასეულის ნოინისათვის ყოველ სოფელს უნდა ერთი კრავი და ერთი დრაქანი (ოქროს ფული) მიეცა უღუფად. ხოლო ათიათასეულის უფროსისათვის. რომელსაც დ უ მ ე ნ ნ ო ი ნ ი ეწოდებოდა. ერთი ცხვარი და ორი დრაქანი უნდა მიერთმიათ უღუფად.

დასასრულ, მონღოლთა საყაანოში ბ ე გ ა რ ა ც არსებობდა: ერთი სამხედრო ბეგარა იყო. რომელსაც მონღოლურად თავდაპირველად ყ ა ლ ა ნ ი ეწოდებოდა, ქართულად მას ს ა ლ ა შ ქ რ ო ს ეძახდნენ. მეორე ბეგარას ს ა ი ა მ ე ერქვა. მონღოლებს ყველა შარაგზებზე. ერთიერთმანეთისაგან გარკვეული მანძილის დაშორებით. სადგურები ჰქონდათ აგებული. რომელსაც იამი ეწოდებოდა. ამ სადგურებზე მოსახლეობას ყაანებისა. ელჩებისა, მოციქულებისა და მოხელეებისათვის. ბატონიშვილებისათვისაც ცხენები უნდა ჰყოლოდათ დამზადებული და კვებაც უნდა დაეხეიდრებინა, სადგომიც უნდა მიეცათ იმ სოფლებს, რომელთაც ჰქონდათ ასეთი იამების მომსახურეობა დავალებული. სხვა გადასახადები არა ედოთ რა, მაგრამ ამ ბეგარის მოხდა ისეთ საშინელ ტვირთს წარმოადგენდა, რომ სოფლებიდან ხალხი გარბოდა, ღორნდ საიამე ბეგარისაგან როგორმე თავი დაეღწია.

ზემომოყვანილიდანაც ჩანს. თუ რამდენად მძიმედ იყო მონღოლთა გადასახადგამოსაღებელ ბეგრით დატვირთული მოსახლეობა საქართველოში. ეს ყველა გადასახადები კანონიერადაც რომ ჰქონოდათ აკრეფილი და ბეგარაც რომ წესიერად გადაეხდევინებინათ, მაინც მისი ატანა ძნელი იყო. მაგრამ ხარჯის ამკრეფი მოხელეები და თუით შალალი თანამდებობის პირებიც-კი არასდროს კანონით განსაზღვრული გადასახადების ოდენობით არ კმაყოფილდებოდნენ, არამედ მიჰქონდათ ყველაფერი, რის წაღებაც შეეძლოთ. ამრიგად, გადასახადების აკრეფა უფრო ყაჩალთა ბრბოს თარეშს მიაგავდა, ვიდრე სახელმწიფო მოხელეების საქმიანობას. ამის გამო XIII საუკუნის განმავლობაში მონღოლთა საყაანოს სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც. არა ერთხელ მოშხდარა აჯანყება.

მონღოლთ სახელმწიფოს შემქმნელს მიზნად ორი ამოცანა ჰქონდა დასახული: რაც შეიძლება მეტი ქვეყნების დაპყრობა და რაც შეიძლება მეტი ნადაელისა და ქონების დაგროვება. ამიტომაც, ყოველი ახალი დაპყრობილი ქვეყნის ქონებრივი სახსრის ამოწურვის შემდგომ, მათ დაუცხრომელი წადილი უჩნდებოდათ. რომ სხვა კიდეე დაუმორჩილებელ ქვეყანაშიაც შეჭრა და დაპყრობა მოეხერხებინათ: მოლაშქრეობა და ომიანობა მათ სტიქიურ მოთხოვნილებას წარმოადგენდა.

სამხედრო მოქმედება ყველაზე უფრო ხელსაყრელი ხელობა იყო მონღოლებისათვის და შემოსაელის წყაროს წარმოადგენდა. სანამდის მათ ძლევამოსილი ლაშქრობის საშუალება ჰქონდათ, ყოველი ახალი ქვეყნის დაპყრობა და გამარჯვება მათ დიდძალ ქონებას უგდებდა ხელში და მდიდარი. მჭიდროდ დასახლებული, კულტურული ქვეყნის გაძარცვის

სრულ საშუალებას უქმნიდა. რაკი მონღოლური წესით ყველა ყმადნაფიცი სამეფოები და სამთავროები ვალდებულნი იყვნენ მათთან ერთად სალაშქროდ გასულიყვნენ, ამიტომაც დაპყრობილი ქვეყნის ქონება და სიმდიდრე ასეთ ლაშქრობაში მონაწილე სხვა ეროვნების ჯარისკაცებსაც უვარდებოდა ხელში. ასეთ ქონებას ნასისხლი ეწოდებოდა, რადგან მისი შეძენა მხოლოდ სისხლის დაღვრით შეიძლებოდა.

ზემოთ აღნიშნული გზით ქონების დაგროვება მონღოლებთან ერთად მებრძოლ სხვა ხალხების წარმომადგენლებისათვისაც იმდენად მიმზიდველი შეიქმნა, რომ ისინიც ამგვარი სახსრით ცხოვრებას მიეჩვივნენ. მაგრამ ცხადია, რომ ასეთი გზით გამდიდრება უმთავრესად მალალი საჭხედრო პირების ხვედრს წარმოადგენდა. ჩვეულებრივ მოლაშქრეს, რასაკვირველია, იმ ნადავლიდან მხოლოდ მცირე ნაწილი თუ ჩაუვარდებოდა.

რაც უფრო დრო მიდიოდა და მაბლობელი აღმოსავლეთის სხვადასხვა ერები წინააღმდეგობის გაწევას ეჩვეოდნენ, თანდათანობით მონღოლებისათვის ძლევამოსილი ომის წარმოების შესაძლებლობაც სულ უფრო და უფრო შემცირდა. შემოსავლის ეს წყაროც, ან მთლიანად დაიკლია, ან არა და მეტისმეტად მცირე შეიქმნა. ამავე დროს ყოველი ასეთი ლაშქრობა ქვეყნის მოსახლეობისათვის ორგვარი თვალსაზრისით იყო საზიანო: ჯანსაღი შრომისუნარიანი მამაკაცი ნაყოფიერ მუშაობას სცილდებოდა თავის ქვეყანაში და ბევრი მათგანი თავის სამშობლოში ხომ ვეღარც ბრუნდებოდა, არამედ თავისი სიცოცხლეც უცხო ქვეყანაშუნდა განეწირა. ამგვარად, იმას გარდა, რომ ქვეყანას ინტენსიური შრომის გაგრძელების საშუალება აღარ ჰქონდა, დაწინაურებული მეურნეობა და კულტურაც უნდა დაქვეითებულიყო, მცხოვრებთა რიცხვიც ხომ ამ მოუპარებული მოლაშქრეობის წყალობით საგრძნობლად შემცირდა.

მაშინდელი საქართველოს სამხედრო ბეგრითა და მოლაშქრეობით დატვირთულობა იქიდანაც ჩანს, რომ 1249 წლიდან მოყოლებული 7 წლის განმავლობაში მუპლიდების წინააღმდეგ მიმდინარეობდა ომი, რომელიც 1256 წელს ალამუტის ციხის დაპყრობით დასრულდა. მაგრამ ამას მოჰყვა ომი ხალიფასთან, რომლის დროსაც 1258 წელს მონღოლებმა ქალაქ ბაღდადი აიღეს და მთლიანად გაძარცვეს, ხოლო ხალიფა სიკვდილით დასაჯეს. უკვე 1259 წელს ერანის ილხანი თავისი და ყმადნაფიცი ქვეყნების ლაშქრითურთ ეგვიპტის სულტნის წინააღმდეგ ამხედრდა. ყველა ამ ომებში, მონღოლთა სხვა ყმადნაფიც ქვეყნებთან ერთად, საქართველოს ჯარიც იღებდა უნებლიედ მონაწილეობას და თითქმის ამ ლაშქრობას ბევრ ქართველ მეომართა სიცოცხლეც შეეწირა.

საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების შერყევა მონღოლთა ბატონობისა და ურთა მეფობის ხანაში. მესტუმრე ჯიქურის აღზევება და დამხობა

მონღოლთა წესით, სახელმწიფო საქმეების მოსაგვარებლად, საქართველოს მეფეებს ისევე, როგორც სხვა ყმადნაფიცს სამფლობელოების გამგეებსაც, მონღოლთა ყაენის ურდოში გამგზავრებაცა და იქ ხანგრ-

ძლივ ყოფნაც ხშირად უბდებოდათ. რაკი მათი წესით ყოველ მათ ლაშქრობაში საქართველოს ჯარი თითონ მეფის უშუალო მეთაურობით უნდა გასულიყო, ამიტომაც საქართველოს მეფეებს საშუალება ალარ ჰქონდათ, რომ თავიანთ ქვეყანაში დარჩენილიყვნენ და თავიანთი ენერგია ქვეყნის მართვა-გამგეობისათვის მოენდომებინათ, და მეფე იძულებული იყო, რომ ქვეყნის მართვა-გამგეობა ვისთვისმე ჩაებარებინა.

ქართული სახელმწიფო სამართლის ძალით, მეფის უშუალო თანაშემწე მწიგნობართ-უხუცესი და ეაზირთა უპირველესი იყო, მაგრამ მონღოლთა ბატონობის ხანაში ეს ძველი პრინციპი უკვე საკმაოდ შეირყა: იმდენად კანონს ალარ ჰქონდა მნიშვნელობა, რამდენადაც პირად ნდობას.

ბათო ყაანმა რომ დავით V ულუ თავის ურდოში დაიბარა, გამგზავრების წინ თავის მოადგილედ დედოფალი ჯიგდა-ხათუნი და მესტუმრე ჯიქური დანიშნა. ქართული სახელმწიფო სამართლით, დედოფალი სახელმწიფო საქმეებში არ ერეოდა. ამაზე უფრო კანონის გაუგონარ შელახვას ქვეყნის სათავეში ჯიქურის დატოვება წარმოადგენდა, რადგან ჯიგდა-ხათუნს, როგორც მონღოლთა ბატონიშვილს, საქართველოს მდგომარეობის შესახებ მცირე წარმოდგენა უნდა ჰქონოდა და ყველაფერი მესტუმრე ჯიქურზე უნდა ყოფილიყო დამყარებული, რომელიც ამიერიდან ქვეყნის ნამდვილი მესაკე გახდა.

მესტუმრე მანდატურთ-უხუცესის მეოთხედსაუკუნოვანი ხელქვეშეთი მოხელე იყო. ცხადია, რომ ასეთი დაბალი თანამდებობის პირისათვის ქვეყნის მართვა-გამგეობის გადაცემა იმას ნიშნავდა, რომ ყველა ვაზირები, მათ შორის მწიგნობართ-უხუცესიც და მისი უშუალო უფროსი მანდატურთ-უხუცესიც-კი უნდა მას დამოკიდებოდნენ. ასეთ საქციელს, შეუძლებელია, დარბაზის კარსა მყოფ დიდ ხელისუფალთა და მთავრობის სათავეში მოქცეულს ჯიქურს შორის უთანხმოება და შუღლი არ ჩამოეგდოთ.

პირადად მესტუმრე ჯიქური ენერგიული პიროვნება გამოდგა. დავით V რომ ბათო ყაანთან მიემგზავრებოდა, მან საქვეყნოდ გამრიგეთა შორისაც ზოგი ისეთი პირი ამოარჩია, რომელნიც მან განსაკუთრებული ნდობით აღჭურა და გარკვეული თემების მართვა-გამგეობა მათ მიანდო. ამგვარივე წესით კახეთი თორღვა პანკელს ჰქონდა მინდობილი, მაგრამ საქვეყნოდ გამრიგე ყველა ასეთი მოხელეებიც უნდა ჯიგდა-ხათუნსა და ჯიქურს დაჰმორჩილებოდნენ. ესეც გაუგონარი ამბავი იყო, რამდენადაც ქართული სამოხელო უფროს-უმცროსობის წესი აქ სრულებით დარღვეული იყო.

ჯიქური მზრუნველი მმართველი აღმოჩნდა. საქართველოში სრული უშიშროების დასამყარებლად მან მკაცრი ღონისძიებით ჭურდ-ავაზაკების ალაგმვაცა და თვით ამ ბოროტმოქმედების მოსპობაც მოახერხა. ურჩ საქვეყნოდ გამრიგეთა დამორჩილებასაც ცდილობდა შეუნელებლივ. ქვეყნის ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაშიც-კი, მას აღმშენებლობისა-

თვის საჭირო სახსრები უშოვნია. დასასრულ, მისი გული ღარიბ-ლატაკებზე და ქვრივ-ობლებზე მზრუნველობითაც სავსე ყოფილა.

როგორც არაერთხელ მომხდარა, დავით V ულუსაც ბათო ყაენის კარზე საკმაოდ ხანგრძლივ მოუგვიანდა. კახეთის მმართველმა თორღვა პანკელმა გადასწყვიტა, რომ მეფე აღარც დაბრუნდებოდა. მას არაეთარი სურვილი არ ჰქონდა, ჯიგდა-ხათუნს და ვილაც მესტუმრე ჯიქურს დაჰმორჩილებოდა. თორღვამ კახეთის დასაკუთრება მოინდომა. მაგრამ პანკელის მოლოდინი არ გამართლდა: დავით V დაბრუნდა. დავით V რომ მომხდარი ამბავი გაიგო, თორღვა პანკელს შეუთვალა, მასთან გამოცხადებულიყო. მაგრამ მას იმდენი გამბედაობა არ ჰქონდა, რომ მეფის წინაშე წამდგარიყო. მაშინ ჯიქურმა თორღვა პანკელს ხორხაბუკელი მიუგზავნა და უენებლობის ფიცის მიცემით თორღვა პანკელი მოიყვანა, მაგრამ დედოფლის ჯიგდა-ხათუნის ჩაგონებით, ფიცმონდომილი თორღვა პანკელი შეპყრობილ იქნა და, მეფის დაუკითხავად, კლდე-კარის ციხიდან გადააგდეს. ამდენად თავიანთ თავს საქართველოს ბატონ-პატრონად სთვლიდნენ ჯიგდა-ხათუნი და ჯიქური მაშინაც-კი, როდესაც მეფე თავის სამეფოში იმყოფებოდა და მართვა-გამგეობაში პირადად და უშუალოდ მონაწილეობის სრული საშუალება ჰქონდა.

მაგრამ ისევე, როგორც მესტუმრე ჯიქური ქვეყნის სათავეში მეფის პირადმა ნდობამ მოაქცია, იმგვარადვე მისი ბედი უკუღმა დატრიალდა. რა წამს წინანდელი ძლიერი მფარველი მას უკვე აღარ იცავდა. როცა ჯიგდა-ხათუნი გარდაიცვალა და დავით V ულუმ რაჭის ერისთავთ-ერისთავის კახაბერიძის ასული გვანცა შეირთო ცოლად და დედოფლად დასვა, ჯიქურსა და დედოფალს შორის მტრული განწყობილება დამყარდა.

უკმაყოფილო დიდ ხელისუფალთა ჯგუფმა ამ მარჯვე შემთხვევით ისარგებლა და სუმბათ ორბელმა ჯიქურს დასწამა, ვითომც ის ერანის ილხანს, ჰულაგუ ყაანსა, დავით V სიმდიდრეზე საიდუმლო ცნობებს აწვდიდა. ეს პოლიტიკური დასმენა მალემრწმენ მეფემ სრულ ჭეშმარიტებად მიიჩნია. დავით V-ეს საქმე არც-კი გამოუძიებია და გაუსამართლებლივ მისი სიკვდილად დასჯის განკარგულება გასცა.

ჯიქურს მემკვიდრეები არ ჰყავდა და მეფის მრისხანებით წუთისოფელს გამოსალმებულს მზრუნველიც აღარავინ არ აღმოსჩენია, რომ მისი გვამი მაინც დასაფლავებული ყოფილიყო. ამ დროს სწორედ ღარიბ-ლატაკნი და ქვრივ-ობლები, რომელნიც მრავალჯერ მისი მზრუნველობით იყვნენ დავალებულნი, შეიყარნენ და დავით V-ე ულუს ვედრებით წარუდგნენ, რომ მათთვის ჯიქურის დასაფლავების ნება დაერთო. მალემრწმენი დავით V როგორც ეტყობა იმ დროისათვის უკვე დარწმუნებული, რომ მისი მსჯავრი აჩქარებით იყო დადებული, და ღარიბ-ლატაკებსა და ქვრივ-ობლებსა თხოვნა აუსრულა. მათაც შეერთებული ძალით დამარხეს.

ამრიგად მესტუმრე ჯიქური ქართველ სახელმწიფო სამართლისა და მოხელეთა უფროს-უცროსობის წესის დარღვევით გამოწვეული შფოთისა და სოციალური ბრძოლის მსხვერპლი შეიქმნა.

საქართველოს მძიმე ეკონომიური მდგომარეობა მონღოლთა ულილქვეშ

საქართველო უკვე ჯალალედინის შემოსევა-თარეშისა და მონღოლებისაგან დაპყრობისათვის ბრძოლის დროს ძალზე დაზარალდა. მონღოლთა მძიმე ხარკ-ბეგარებმა, მეტადრე-კი მათ მოხელეთა ბოროტმოქმედებამ ხომ ხალხი უკიდურეს გასაჭირში ჩააგდო: ცხოვრება აუტანელი შეიქმნა. ჰულაგუ ყაანმა კიდევ აბალი გადასახადი შემოიღო, რომელსაც თ ღ ა რ ი ეწოდებოდა.

მთელი ეს ხარკ-ბეგარა-გამოსაღებლების ტვირთის უდიდეს ნაწილს მალალი წრეები მშრომელ მოსახლეობას გადაადებდნენ ხოლმე და ამიტომაც მონღოლთა ბატონობის დროს ხალხის ეკონომიური მდგომარეობა საზარელი გახდა.

ამას ზედ დიდგვაროვან მოხელეთა თვითნებობაც დაერთო, რომელნიც, გაჭირვებაშიც, ვითარცა ფუფუნებით სავსე ცხოვრებას მიჩვეულნი, თავიანთი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ისევ თავიანთი ყმებისა და ხელქვეშეთი მოსახლეობის დაბეგვრით ცდილობდნენ. ხალხის ყელფა ამგვარად ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მოსახლეობის ასეთი მდგომარეობა იმდენად საერთო მოვლენა იყო, რომ გაჭირვებული ეკლესიის მსახურიც-კი თავიანთი შეთხელებული შემოსავლის გადიდებას უკანონო გზით ცდილობდნენ.

ისევე, როგორც თავის დროზე, 1218 წელს, ანისის ხუცესნი, მაშინდელი ეკონომიური გაჭირვების შემსუბუქებას თავიანთი გასამრჯელოს გადიდებით ლამობდნენ, ამ შემთხვევაშიც დმანისის სამღვდელოებასაც უკანონო საშუალება გამოუყენებია. გვირგვინთა კურთხევისათვის კუთვნილი გასამრჯელო თავის დამატებით წყაროდ უქცევია. ქორწინების ნებართვისათვის თურმე დამატებითს ფულს სთხოვდა და სანამ ამ ფულს არ მისცემდნენ, კვაცს არ სწერდა.

მონღოლთა ბატონობის დროს ეკლესიებს გარდა, რომელთაც მონღოლები განსაკუთრებულ მფარველობას უწევდნენ, მოსახლეობის ყველა ფენა გაჭირვებაში იყო ჩაცარდნილი. მაგრამ მაინც ეკლესიების შემდეგ ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში სწორედ ეკლესია იმყოფებოდა: ეკლესიას შეუვალობის შეღავათი ჰქონდა, ბევრგვარი გადასახადებისაგან ის განთავისუფლებული იყო. ხოლო ყველა ფენაზე მძიმე პირობებში გლეხები იმყოფებოდნენ, რომელთა მდგომარეობა ამ ხანაში უკიდურესი შეიქმნა.

თვით საქართველოს მეფეც-კი გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილა იმის გამო, რომ მონღოლთა მოხელეები სამზარეულოსათვის შეძენილი ყოველ მასალისათვისაც-კი ბაჟს ართმევდნენ. ცხადია, თუ რადენი უკმაყოფილება უნდა ყოფილიყო საქართველოში ასეთი მდგომარეობის გამო.

მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყება საქართველოში

აუტანელი ეკონომიური გაჭირვების ნიადაგზე საქართველოში აჯანყებამ იფეთქა, რომლის მეთაურობა დავით IV ნარინმა იკისრა. დავით V

ულუ ამ საქმეში არ გარეულა: როგორც მონღოლთა წყალობით გამეფებულს, მას ერთგულების დამტკიცებაც მართებდა. ამ გარემოებას აჯანყების მიზანშეწონილობა უნდა სათუოდ გაეხადა, მაგრამ ხალხის აღშფოთება იმდენად დიდი იყო, რომ ასეთმა არახელსაყრელმა მდგომარეობამაც აჯანყებულთა სურვილი ვერ შეაჩერა.

ეს აჯანყება 1259 წელს დაიწყო და მონღოლთა ჯართან ბრძოლა მოხდა. რასაკვირველია, მონღოლთა ბანაკში დავით V ულუს მეთაურობით მონღოლთა ერთგულად დარჩენილი აღმოსავლეთი საქართველოს ჯარიც უნდა ყოფილიყო. ამნაირად უნებლიეთ ძმათა შორის სისხლის ღვრაც მოხდებოდა. ბრძოლამ დიდძალი მსხვერპლი შეიწირა. ორთავე მხრით გულადად იბრძოდნენ, მაგრამ გამარჯვება მაინც ვერც ერთმა მხარემ ვერ მოიპოვა.

არღუნ ნოინი, რომლის მეთაურობითაც ჰულაგუ ყაენის ლაშქარი იბრძოდა, იძულებული იყო თავის მბრძანებელთან დაბრუნებულიყო მეშველე ჯარის სათხოვნელად. ყაენმა ბრძანება გასცა, არღუნ ნოინისათვის 20 ათასი საუკეთესო მეშველე ჯარი გაეტანებინათ. ამავე დროს ჰულაგუ ყაენმა დავით V-საც ბრძანება გამოუგზავნა, რომ ის მონღოლებთან ერთად ეგვიპტის სულტანზე გასალაშქრებლად მომზადებულიყო.

დავით V თავისი მეუღლე, გვანცა დედოფალი, და უფლისწული დემეტრე ბიჯნისში გაგზავნა, თვითონ-კი ჯარითურთ სამცხეში მივიდა იმ მიზნით, რომ იქიდან ეგვიპტისაკენ ებრუნებინა პირი. სამცხეში დავით V-ემ სამხედრო თათბირი მოიწვია, რომელზედაც მონღოლებთან ერთად ეგვიპტის სულტნის წინააღმდეგ გალაშქრებაზე უარი განაცხადა. ეს მონღოლების წინააღმდეგ აჯანყებას უდრიდა. დავით V დამსწრეთ შეეკითხა, რას ურჩევდნენ, თანაც დაუმატა, რომ ის ყველას თავისუფლებას აძლევს, ისე მოიქცეს, როგორც სვინიდისი უკარნახებს. ეს საქმის თავიდანვე ჩაშლას უდრიდა.

სამხედრო თათბირზე დიდ მოხელეთა უმრავლესობა აჯანყების მოწინააღმდეგე გამოდგა: ასეთ პირობებში აჯანყების კვლავ დაწყება უეჭველად დამარცხებით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ დავით V-ემ არც ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება და ეგვიპტის სულტანის წინააღმდეგ ლაშქრობაში მონღოლებს არ წაჰყვა.

საქართველოში მომავალს არღუნ ნოინს ეგონა, რომ ბრძოლა მოუხდებოდა დავით IV ნარინის მეთაურობით აჯანყებულებთან, მაგრამ დავით IV გადასწყვიტა, რომ ბრძოლის გაგრძელება მიზანშეწონილი არ იყო. ამიტომ მან აჯანყებულთა ლაშქარი თვითონვე დაშალა, ლიხთ იმერეთში გადავიდა და იქ გამაგრდა. არღუნ ნოინმა იქ დადევნება ვერ გაბედა. მაინც ეს აჯანყება თავის თავად მოისპო, მაგრამ სწორედ ამ დროს 1260 წელს დავით V აღმოჩნდა აჯანყებული და არღუნიც მის წინააღმდეგ უნდა შესდგომოდა ბრძოლას.

დავით V-ეს ძალიან ცოტა-ღა მომხრე შერჩა: მის მთავარ საყრდნობს

სამცხის სპასალარის საგამგეოვე წარმოადგენდა. სარგის ჯაყელს და დავით V. გიორგი ლაშას ძეს. 8 ათასზე მეტი მეომარი არ ალმოაჩნდა.

არღუნ ნოინმა რომ დავით V-ის აჯანყების ამბავი გაიგო, მაშინვე მისი თანამეცხედრე, გვანცა დედოფალი, თავის მცირეწლოვანი შვილითურთ დაიჭირა და მონღოლთა ყაანის ურდოში გაგზავნა, ოთხთან-კი აჯანყებულებთან ბრძოლის სამზადისს შეუდგა.

სარგის ჯაყელს და დავით V სამხედრო თვალსაზრისით ხელსაყრელი პირობები ჰქონდათ. რამდენადაც ისინი სამცხეში იმყოფებოდნენ, მათ შეეძლოთ სამცხის თემში შესაყალ ეიწროებთან გამაგრებულიყუნენ. სარგის ჯაყელს და დავით V სამხედრო თვალსაზრისით დიდი შეცდომა მოუვიდათ, რომ თავიანთი მცირერიცხოვანი ლაშქარი ეიწროებიდან გამოიყვანეს და თავისზე გაცილებით უფრო მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეს ახალდაბასთან შეებრძოლნენ. როგორც მოსალოდნელიც იყო, სარგის ჯაყელი და დავით V დამარცხდნენ. მაინც მონღოლთა ჯარის მეთაური არღუნ ნოინი დამარცხებულებს სიფრთხილით ალარ დაედევნა. მონღოლთა ლაშქარსაც საკმაოდ დიდი ზიანი მოუვიდა.

ამრიგად, მოპოვებული გამარჯვების მიუხედავად, არღუნმა, აჯანყებული დავით V ხელში ჩაგდება ვერ მოახერხა.

1261 წელს მაისში ჰულაგუ ყაანმა არღუნი თავისი ჯარითურთ იმავე ამოცანის ასასრულებლად კვლავ სამცხეში გამოგზავნა, მაგრამ ამ დროისათვის მესხეთში ცვლილება მოხდა: მოსახლეობაში მონღოლების წინააღმდეგ განმარტოებული ბრძოლის მომხრე ბევრი ალარ ალმოჩნდა. დიდგვაროვან აზნაურთაგან ზოგი მონღოლებს მიეგება კიდეც. 20 დღის განმავლობაში არღუნ ნოინის მეთაურობით მოთარეშე ლაშქარი სამცხეს ეხრებდა, ქვეყანას დიდი ზიანიც მიაყენა, მაგრამ მანც ჯაყელთა საკდომი ადგილის, ციხისჯვრის, აღება ვერ შესძლო, დავით V-ეც ვერას გზით ხელში ვერ ჩაიგდო. ამიტომ 1261 წელს ივნისში არღუნი იძულებული გახდა კვლავ უკან დაებრუნა.

მიზანის მიუღწეველობით გაბრაზებულმა მონღოლთა ყაანმა ჯავრი დავით V თანამეცხედრე გვანცაზე იყარა, რომელიც მოაკვლევინა. ამგვარადვე მოკლულ იქნა ამირსპასალარი ზაქარია შანშეს ძე, რომელსაც თავის ცოლთან. სარგის ჯაყელის ასულთან, საიდუმლო მიწერ-მოწერა დაჰბრალდა, სიკვდილადვე დასჯილი იქმნა, დადებული ხარკის გადაუხდელობის გამო, ხაჩენის (გაჩიანის) მმართველი ჰასან-ჯალალიც.

საქართველოს პატარა თემს, სამცხეს იმ დროს, როდესაც ალმოსავლეთ საქართველოს უმრავლესობა მონღოლთა ხელში იმყოფებოდა და ნებაყოფლობით თუ უნებლიეთ მასთან ერთად იბრძოდა, მარტო დიდხანს წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო და ამას, ქვეყნის აოხრების გარდა, სხვა არაეითარი შედეგი არ შეიძლება მოჰყოლოდა. ამიტომ სარგის ჯაყელმა დავით V მოახსენა, რომ ბრძოლის გაგრძელებას აზრი ალარ ჰქონდა და ურჩია, რომ ისიც ლიხთ-იმერეთში გადასულიყო.

სხვა გზა ალარ იყო, ეს რჩევა დავით V უნდა მიეღო, მით უმეტეს,

რომ თითონაც კარგად ხედავდა, რომ მესხეთში დარჩენა მისთვის უკვე ძნელებლია სახიფათოც-კი შექმნილიყო. დავით V ლიხთ-იმერეთში გადავიდა, სადაც მისი მამიდაშვილი დავით IV რუსუდანის ძე სიხარულით დახვდა.

ორივე დავით მეფის დასავლეთ საქართველოში გადასვლით შექმნილი მდგომარეობა

მონღოლების წინააღმდეგ ცალ-ცალკე მოწყობილი აჯანყება და ფაქსაქმული ბრძოლის შედეგი საქართველოსათვის, რასაკვირველია, საზიანო გამოდგა, ამის გამო ხეირიც ამას არავითარი არ შეიძლებოდა დაეყოლოდა. მართალია, მონღოლებმა ვერც ერთი აჯანყებული მეფეთაგანი ხელში ვერ ჩაიგდეს, ვერც დასახული მიზნის მიღწევა მოახერხეს, დასავლეთ საქართველოში გადასვლა ვერ გაბედეს და ლიხთ-იმერეთი ამიგად ჩამოშორდათ, მაგრამ სამაგიეროდ აღმოსავლეთი საქართველო ბრძოლის ასპარეზად იქცა, აოხრდა და დავით IV და დავით V მიერ აჯანყებით დასახული მიზანიც აგრეთვე განუხორციელებელი აღმოჩნდა, მსხვერპლი-კი მეტად დიდი იყო განწირული.

თუ სრულიადი საქართველოსათვის ორი მეფის სახელმწიფო ტახტზე ჯდომა უცილობლად ზედმეტად უნდა ყოფილიყო ცნობილი, მით უფრო უცნაური მდგომარეობა შეიქმნა, როდესაც ლიხთ-იმერეთში, საქართველოს დასავლეთ ნაწილში, ორი მეფე აღმოჩნდა. დიდებულთა და სამეფოს მესვეურთა შორის კამათი და დაჯგუფება ატყდა. ერთი ნაწილი დავით IV ემხრობოდა, მეორე დავით V.

ამ საკითხის წამოყენების თაოსნობა დავით V მომხრე ამალას ეკუთვნის, მაგრამ დასავლეთ საქართველოს დიდებულთა შორისაც აღმოჩდნენ ისეთი პირები, რომელნიც დავით V ემხრობოდნენ.

დავით V მომხრე ლიხთ-იმერეთის დიდებულ მოხელეთა ჯგუფს რაჭის ერისთავთ-ერისთავი კახაბერ კახაბერის ძე ეკუთვნოდა, რომლის საგვარეულოდანაც დავით V თანამეცხედრე გვანცა დედოფალი იყო. შემდეგ ქვაბულისძენნი და ფარაჯანიანნი. მაგრამ ლიხთ-იმერეთის ყველაზე გავლენიანი დიდი ხელისუფალი ბედიანი ჯუანშერის ძე დავით IV იყავდა და სწორედ მისმა გავლენამ ჩაშალა დავით V მომხრეების გეგმა.

ამავე დროს აღმოსავლეთ საქართველოდან ძალიან დამაფიქრებელი ცნობები მოდიოდა: მონღოლებმა ამერეთში მეთვალყურედ ვინმე სომეხი შადინი დასვეს და მას მმართველად დანიშვნასაც უპირებდნენ. ეს რომ განხორციელებულიყო, ეს მონღოლების მიერ აღმოსავლეთ საქართველოს სრულ დაპყრობას უდრიდა. საქართველოს პოლიტიკური და ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით, ეს ისეთ საშიშროებას წარმოადგენდა, რომ ამას არ შეიძლება საქართველოს მაშინდელი მესვეურნი არ დაეფიქრებინა. ამავე დავით V-ემ გადასწყვიტა, რომ, მონღოლებთან შეთან-

ზმების გარდა, სხვა გამოსავალი აღარ იყო რა და მოციქულები გაგზავნა პირობების გასაგებად. გამამხნევებელი ცნობის მიღების შემდგომ, დავით V დასავლეთ საქართველოდან ჯერ ტფილისში გადმოვიდა, ხოლო შემდეგ მონღოლთა ყაანის ჰულაგუს ურდოშიც გაემგზავრა.

დავით V-ის მონღოლებთან შეთანხმება და აღმოსავლეთ საქართველოში დამკვიდრება

1264 წელს დავით V და სარგის ჯაყელი ურდოში გაემგზავრნენ. იქ დაკითხვას თვითონ ჰულაგუ ყაანი აწარმოებდა. დავით V უმწეო მდგომარეობაში ჩავარდა: პასუხის გაცემას ვერ ახერხებდა. მაშინ ჯაყელმა ბრალდება თავის თავზე მიიღო და ჰულაგუ ყაანს მომხდარი აჯანყების მიზეზისა და დასახული მიზნების განსამარტავად წარუდგა. ყაანს ქართულიდან მონღოლურად სადუნ მანკაბერდელი უთარგმნიდა, რომელიც ენაწყლიანი, ნიჭიერი ადამიანი იყო და მოხდენილი თარგმანით უამბობდა იმას, რასაც სარგის ჯაყელი მოუთხრობდა.

სარგის ჯაყელი აჯანყებას ასე ასაბუთებდა: აჯანყება მონღოლთა მოხელეების, მეტადრე-კი გადასახადების ამკრეფ ხელისუფლების აუწერელი ბოროტმოქმედებით იყო გამოწვეული, რომელნიც ხალხს სძარცვამდნენ და რომელთა თვითნებობისა და ძალმომრეობისაგან დაცვის არავითარი საშუალება არ არსებობდა. ამ დიდი მოხელეების წინააღმდეგ თვით მონღოლთა ყაანის კარზეც არაფრის გაწყობა არ შეიძლებოდა. მონღოლთა ყაანის კარზე მყოფ ამალის მოსყიდულობის გამო, ასეთ პირობებში, აჯანყების გარდა სხვა არავითარი საშუალება აღარ იყო, რომ თქვენ საქართველოს უმწეო მდგომარეობისათვის ყურადღება მიგექციათ. ამიტომაც ამ გზას დავადექითო.

იმ დროს, როდესაც ეს საქმე ჰულაგუ ყაანის კარზე ირჩეოდა, მას სასწრაფო ცნობა მოუვიდა, რომ ოქროს ანუ ჩრდილოეთის ულუსის საყაანოს დიდძალი ლაშქარი, თვით ბერქა ყაანის მეთაურობით, დაიძრა და ერანის ილხანის სამფლობელოში შესაჭრელად დარუბანდისაკენ მოემართებოდა. ჰულაგუ ყაანი უმალ სამხედრო სამზადისს უნდა შესდგომოდა. ასეთ პირობებში მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ესოდენი განსაცდელის ჟამს საქართველო ერანის ილხანების მოწინააღმდეგეს არ მიემხრობოდა. ამის გამო გამოძიება შეწყდა. ჰულაგუ ყაანმა დავით V მაშინვე საქართველოში დააბრუნა იმ დავალებით, რომ უმალ აღმოსავლეთ საქართველოს მთელი ლაშქრითურთ გამოცხადებულიყვნენ.

მართლაც 1264 წელს ერანის ილხანის მრავალრიცხოვანი ლაშქარი და საქართველოს ჯარი ბერქას წინააღმდეგ დაიძრა. პირველს დიდ ბრძოლაში ბერქას ჯარი დამარცხდა. ის იძულებული იყო უკან დაეხია. გამარჯვებით გათამამებული ერანის ილხანის ლაშქარი ჰულაგუ ყაანის შვილის, აბაღას, მეთაურობით კვალდაკვალ მისდევდა. ბერქას ლაშქარი უკვე ქედს იქით იყო გადასული, მაგრამ მოწინააღმდეგე ჯარის ძარცვაგლეჯით გართულს ერანის ლაშქარს ბერქას ჯარი 1265 წელს მოულო-

დნელად თავს დაესხა და ისე საშინლად დაამარცხა, რომ აბაღა უფლისწულმაც-კი ძლივს მოასწრო გამოქცევა. მისმა ლაშქარმა ხომ სულ მთლად დაკარგა ბრძოლის უნარი და გამარჯვებული მტრის წინაშე უწესრიგოთ იხევდა უკან.

ჰულაგუ ყაანმაც ველარაფერი გააწყო: ის იძულებული იყო უბრძოლველად დაბრუნებულიყო ერანში. თავრიზში მან ჯავრი ბერქა ყაანის ქვეშევრდომ ვაჭრებზე იყარა, რომელნიც თავრიზში ბლომად იყვნენ: მთელი მოძრავ-უძრავი ქონება ჩამოართვა და თავი გააგდებინა. შეიტყო თუ არა ეს ბერქა ყაანმა, ასეთივე წესით მის საბრძანებელში მყოფ ერანის ყველა ვაჭრებს მთელი ქონება ჩამოართვა და ყველანი დაახოცინა.

ბერქა ყაანი ხელმეორე შემოსევისათვის და ჰულაგუ ყაანის წინააღმდეგ გამოსალაშქრებლად ემზადებოდა, ამიტომაც 1263 წლიდან მოყოლებული ჰულაგუ ყაანმა თეთრ წყალთან სანგრების გაკეთება დაიწყო, რომელსაც ისინი სიბას უწოდებდნენ, რომ იქ თავისი მოსაზღვრე ლაშქარი ჩაეყენებინა ჩრდილოეთიდან შემოსეული მტრის შესაკავებლად. საქართველოდან ყოველწლივ ჯარი უნდა გასულიყო და შემოდგომიდან ზაფხულის დამდეგამდის იქ მდგარიყო.

ეკონომიური კრიზისის უკიდურესად გაძლიერება საქართველოში. მისი შენელებისათვის მთავრობისაგან ნახმარი ღონისძიება და მის გამო ატეხილი ბრძოლა ეკლესიასა და მთავრობას შორის

მრავალნაირი ხარკ-ბეგარა-გამოსაღებლებითა და გამუდმებული მოლაშქრეობით გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ ხალხს საქართველოში ცხოვრება ისე გაუძნელდა და უძრავი ქონება და მიწა ისე დაიტვირთა, რომ შეწერილ გადასახადებს თითქმის ეღარც-კი აძლიოდა. მიწის დამუშავება ასეთ პირობებში ხელსაყრელი აღარ იყო: გადასახადების შესატანად ფული არ ჰქონდათ. მიწა რომ ხელიდან არ წასვლოდათ, პირველ ხანებში, იმ იმედით, რომ მომავალში მდგომარეობა გამოსწორდებოდა, საკრედიტო ამხანაგობათა წევრებისაგან, რომელთაც ურტაღები ეწოდებოდათ, სესხს იღებდნენ. აღებული სესხის დაბრუნების ვადა რომ დადგებოდა ხოლმე, ვალის დაბრუნება აღარ შეეძლოთ და ამის გამო მათ მიწა ან ეყიდებოდათ, ან სხვა გზით მისდიოდათ ხელიდან.

მიწის მფლობელმა და მიწის მომქმედებმა ამრიგად თავისი მარჩენალი მიწა დაკარგა და ამ გარემოებამ საქართველოში დიდი ეკონომიური კრიზისი დაატრიალა. მიწის დაუმუშავებლობის გამო, სიმშილობის ჭირდილი აიტუზა. მეორე მხრივ სახელმწიფო ხაზინასაც თანდათანობით შემოსავალი სწრაფად უმცირდებოდა. ასეთ მდგომარეობაში სახელმწიფოს სათავეში მდგომ პირებს ეკონომიური კრიზისის შენელებისათვის რაიმე უნდა ეღონათ.

აღმოსავლეთ საქართველოში ამ დროს შწიგნობართ-უხუცესად ბასილი უკარმელი იყო და მან გადასწყვიტა, რომ ეშიწაწყლოთ დარჩენილი მოსახლეობისათვის მიწის დასარიგებლად წინანდელ მეფეთაგან ეკლესიისათვის შეწირული მიწები ყოფილიყო გამოყენებული. საქართველოს მთავრობამ ამ საშუალებით სცადა ეკონომიური კრიზისი შეენელებინა.

ამგვარმა ღონისძიებამ ეკლესია აღაშფოთა და მთავრობას მიმართა თხოვნით, რომ ეკლესიისათვის შეწირული მიწების დარიგებისათვის თავი დაენებებინა. მთავრობამ ამ შუამდგომლობას ყურადღება არ მიაქცია. მაშინ ეკლესიის მესვეურებმა ბრძოლა იმ პირების წინააღმდეგ დაიწყეს, რომელნიც მთავრობისაგან ეკლესიის წართმეულ მიწებს იღებდნენ. სასჯელის დადებით ისეთ მდგომარეობაში ჩაყენებას უპირებდნენ, რომ მიღებულ მიწებზე თითონ შათვე ეთქვათ უარი.

მაგრამ სასჯელ-დადებულებმა სთხოვეს მთავრობას ამ საქმეში ჩარეულიყო. საქართველოს მთავრობამ თითონაც იცოდა, რითაც იყო ასეთ შემთხვევაში სასჯელი ნაკარნახევი, ამიტომაც განკარგულებას აძლევდა, რომ უკანონოდ დადებული სასჯელი გაუქმებული ყოფილიყო. ამრიგად ეკლესიის შელახული უფლებების აღდგენა ამ საშუალებითაც ვერ მოხერხდა.

საქართველოს ეკლესიის მესვეურებმა ამის შემდეგ 1263 წელს საეკლესიო კრება მოიწვიეს, რომელმაც საქართველოს მთავრობას ულტიმატუმში წარუდგინა, რომ ეკლესიისათვის შეწირული მიწების გაცემა შეჩერებული ყოფილიყო და ყველა დარიგებული მიწაც უკან დაებრუნებინათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაეთ V-ეს უთელიდნენ, რომ საეკლესიო კრება იძულებული იქნება უკიდურეს საშუალებას მიჰმართოს: საქართველოს ყველა ეკლესიები დაკეტოს, ყოველგვარი მღვდელმსახურება აკრძალოს და ნათელა, ზიარება, ქორწინება, მიცვალებულის დასაფლავება შეაჩეროს. ასეთი მუქარისდა მიუხედავად, საქართველოს მთავრობას ეს თხოვნა არ შეუწყნარებია და არც ის შეუსრულებია, რასაც თხოულობდა საეკლესიო კრება. ამგვარად ეკლესიამ ბრძოლა წააგო.

რაკი ეკლესიის წინააღმდეგ გამოყენებული საშუალება ბასილ უკარმელ-ჰყონდიდელის მიერ იყო წარდგენილი, ამიტომ ეკლესიის მესვეურთა მთელი სიძულვილი მას დაატყდა თავზე. დაიწყო მითქმა-მოთქმა: საზოგადოებაში ალაპარაკდნენ იმის გამო, რომ ბასილმა ჩოხა, ე. ი. სამღვდელო ტანისამოსი, რომელიც მას, ეითარცა ჰყონდიდელ ეპისკოპოსს ეცვა, გაიხადა. ამას გარდა დავით V-ეს ამბავი მიუტანეს და ბასილ უკარმელს ცილი დასწამეს. დავით V-ემ ამ შემთხვევაშიც საქმის გამოუძიებლივ ბრძანება გასცა, რომ ბასილ უკარმელ-ჰყონდიდელი ჩამოეხრჩოთ. ამრიგად განუსაზღვრელი ნდობით მოსილი ეაზირთა უპირველესი ბასილ უკარმელი თავისი გაბედული სოციალ-ფინანსიურ გეგმის მსხვერპლი შეიქმნა და დაიღუპა.

დავით V-ის მალემარწმუნობისა და უმადურობის პოლიტიკური შედეგი: მესხეთის ულუსიანად ქცევა

დავით V-ის მალემრწმუნობას ვერც მესხეთის მთავარი სარგის ჯაყელი გადაურჩა. ამ შემთხვევაში შედეგი იმდენად სამცხის სპასალარისათვის არ აღმოჩნდა საბედისწერო, რამდენადაც საქართველოსათვის.

1266 წელს შემოდგომაზე სიბაზე წასასვლელად ტფილისში ჩამოსული სარგის ჯაყელი დავით V-ემ, რომელიც უკეთურმა მესაიდუმლეებმა დაარწმუნეს, ეითომც მესხეთის მთავარს განდგომილება დაეპირებინოს, სასახლეში დაიბარა და დააპერინა. სარგის ჯაყელის ამალამ მაშინვე ყაანთან კაცი აფრინა, ამ გარემოების საცნობებლად: ისინი ემუდარებოდნენ მონღოლთა ყაანს, სარგისი თავისთან დაებარებინა.

ერანის ილხანმა აბაღა ყაანმა ეს თხოვნა სიამოვნებით შეასრულა და საქართველოში წარმოგზავნილი ელჩის პირით დავით V-ს შემოუთვალა, რომ მას სარგის ჯაყელი მასთან წარსადგომად განეთავისუფლებინა. დავით V-ესაც უნდა აესრულებინა უნიებლიეთ.

თავისი თავი რომ მომავალშიც დავით V-ის შურისძიებისაგან უზრუნველყო, სარგის ჯაყელმა აბაღა ყაანს სთხოვა. რომ მისი სამფლობელო საქართველოს სამეფოდან გამოეყო და უშუალოდ თავის საგამგეოსათვის დაემორჩილებინა. ე. ი. როგორც მონღოლები უწოდებდნენ, ხასინჯად ექცია. ქართველები მას ულუსიანად ქცევას ეძახდნენ. ასეთ პირს და ასეთ სამფლობელოს ვერავინ შეეხებოდა, თვით მონღოლთა ყაანის გარეშე, არავის უფლება არ ჰქონდა. რომ მის საქმეებში ჩარეულიყო.

მართალია, დავით V-ემ უმადურობა გამოიჩინა, მაგრამ საქართველოს პოლიტიკური და ეროვნული თვალსაზრისით სარგის ჯაყელის საქციელიც სრულებით შეუწყნარებელ ნაბიჯს წარმოადგენდა და ქვეყნის ღალატს უდრიდა. თუმცა იურიდიულად საქართველო არ იყო გაყოფილი, მაგრამ სინამდვილე მას მაინც ორ ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულად ხდიდა. ეხლა, სარგის ჯაყელის ნაბიჯის შემდგომ, საქართველოს მესამე ნაწილიც გამოეყო, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით, უკვე მთლიანად მონღოლთა ყაანს ექვემდებარებოდა. ამრიგად სარგის ჯაყელმა თავისი უვნებლობა საქართველოს მთლიანობის დარღვევის საფასურით მოიპოვა.

ბრძოლის განახლება ოქროს ულუსსა და ერანის ილხანს შორის და მისი ანარეკლი საქართველოში

1265 წელს რომ ჰულაგუს მაგიერ მონღოლთა ყაანად მისი ვაჟიშვილი აბაღა გახდა, ბერქა ყაანმა ისევ ერანის ილხანების წინააღმდეგ გალაშქრება გადასწყვიტა. მას ძალიან ფართო მიზანი ჰქონდა დასახული და სამასი ათასი მოლაშქრე ჰყავდა თავმოყრილი. შეიტყო თუ არა ეს ამბავი, აბაღაც ჯარის შეყრას შეუდგა, დავით V-ეც დაიბარა. რაკი ბერქა ყაანს ასეთი მრავალრიცხოვანი ლაშქარი ჰყავდა, მთელი თავისი სამხედრო ძა-

ლითურთ მტკვარ გამოლმა გამაგრდა და ყველა ხიდები მტკვარზე ააყრევინა. წყალდიდობის გამო, ბერქა ყაანს საშუალება არ ჰქონდა, აზვირთებული მდინარე გადმოელახა. ამიტომ იძულებული გახდა ტფილისისაკენ გამომგზავრებულიყო, რომ ტფილისში ხიდზე გადმოსულიყო და მოწინააღმდეგეს ზურგიდან დასცემოდა.

ესოდენ მრავალრიცხოვანი ლაშქრის ყოფნამ, რასაკვირველია მტკვრის, ალაზნისა და იორის სანაპიროები იმდენად აოხრა, რომ იმ დროიდან მოყოლებული მრავალი ხნის განმავლობაში მოსახლეობა აქ აშომწყდარი იყო. საბედნიეროდ 1265 წელს ტფილისზე მომავალი ბერქა ყაანი მოულოდნელად გარდაიცვალა და აბაღა ყაანიც და ალმოსაელეთი საქართველოც განსაცდელს გადაურჩნენ.

მომხდარი ამბით შეშინებული აბაღა ყაანი, საზღვრის დასაცავად ყოველწლიურ ჯარს სიბაზე გზავნიდა და ამ გამაგრებული ჯებირის დაცვის ტვირთის უდიდესი ნაწილიც, სწორედ საქართველოს სამხედრო ძალას აწვებოდა: წლითი-წლობამდე საქართველო იძულებული იყო თავისი ქვეყნიდან ხალხი გაეყვანა, ნაყოფიერი შრომისათვის მოეშორებინა და მრავალრიცხოვანი სამხედრო ძალა ამ სანაპიროზე მონღოლთა სახელმწიფოს დასაცავად მდგარიყო.

ჯარის ერთად შეკვეთების შედეგად, როგორც მრავალჯერ მომხდარა, მუცლის მოარულმა იჩინა თავი. ეს სნეულება იმდენად მოერია ლაშქარს, რომ 1266 წელს თვით დავით V-ს უფროსი ვაჟიშვილი, გიორგიც ავად გახდა. შემდეგ მისი მდგომარეობა გამოკეთდა. მაგრამ 1267 წელს ამავე ავადმყოფობით თვით მეფე დავით V-ეც დასნეულდა. იმავე წელს ეს ავადმყოფობა გიორგი უფლისწულსაც ხელმეორედ შეეყარა. რომელმაც 1268 წელს იმსხვერპლა კიდეც. დავით V-ს-კი ეს ავადმყოფობა ქრონიკულ დაავადებად ვადაექცა. ხოლო 1270 წელს ისიც ამ ავადმყოფობის მსხვერპლი შეიქნა.

თუ სამეფო ოჯახი, რომელიც განსაკუთრებულ პირობებში იმყოფებოდა ხოლმე, ამ ავადმყოფობას შეეწირა, ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში უნდა ჩავარდნილიყო მოსახლეობის დანარჩენი. უფრო დაბლა მდგომი. ფენები. ამგვარად მოლაშქრეობით გამოწვეულ მსხვერპლს ის მსხვერპლიც მიემატა. რომელიც ჩვენს ქვეყანაში შემოტანილი გადამდები სნეულებით იყო გამოწვეული.

დავით IV, რუსუდანის ძე, და მისი პოლიტიკა დასავლეთ საქართველოში

დავით IV დასავლეთ საქართველოში გადასვლა-დამკვიდრებით შეწყდა მონღოლებთან ხელშეკრულებით დამყარებული დამოკიდებულება. ამ დროიდან მოყოლებული დასავლეთი საქართველო მონღოლთა ბატონობისაგან სრულებით დამოუკიდებელი გახდა.

დავით IV, როგორც შარისგამჭრეტელს პოლიტიკოსს, გათვალისწინებული ჰქონდა, რომ მომავლისათვისაც უნდა დასავლეთ საქართველოს

პოლიტიკური გაძლიერებისათვის ეზრუნა. დავით IV გადასწყვიტა. რომ ერანის ილხანებისაგან საქართველოს დასაცავად, უნდა იმ სახელმწიფოებთან შეეკრა კავშირი, რომელნიც ერანის, ან მტრები იყვნენ, ან მეტოქენი.

გარკვეული დროიდან ერანის ილხანებსა და ეგვიპტის სულტანებს შორის უალრესად მტრული დამოკიდებულება არსებობდა. ჩრდილოეთის ანუ ოქროს ულუსის ყაანებიც. რომელნიც აგრეთვე ერანის ილხანების მოქიშპენი იყვნენ, ყოველნაირად ცდილობდნენ, ეგვიპტის სულტნებს დაახლოებოდნენ. ამაზე პოლიტიკას დაადგა დავით IV-ეც: 1264-65 წ. მან ეგვიპტის სულტანს ბეიბარს საჩუქრებით დატვირთული დესპანები გაუგზავნა. 1268 წელსაც საქართველოს მეფემ ამგვარადვე ეგვიპტის მბრძანებელს დესპანები აახლა. დასავლეთ საქართველოს მბრძანებლებისათვის ეგვიპტის სულტანი გამოსადეგი იყო როგორც ერანის ილხანების მოწინააღმდეგე და მომავალი მოკავშირე. დავით IV-ეს მეორე მხრით თითონ ოქროს ულუსთანაც ჰქონდა მჭიდრო კავშირი, რომელიც იმ ხანში ერანის ილხანების ძლიერი მოწინააღმდეგე იყო.

დავით IV, რასაკვირველია, კარგად ესმოდა, რომ მარტო ამ მეორეულ მოწინააღმდეგეებთან კავშირის დამყარებით, თავისი თავის უზრუნველყოფა არ შეიძლებოდა. ამიტომ მან ამას გარდა მიზნად ერანის ილხანების სამფლობელოში შინაური ბრძოლისათვის ხელის შეწყობაც დაისახა და დახმარებას უწევდა ყოველ ხელისუფალს, რომელიც-კი ერანის მბრძანებელს, მონღოლთა ყაანს, აუჯანყდებოდა. მაგალითად როდესაც ერანის ილხანის წინააღმდეგ მოწყობილი თეგუდარ ბატონიშვილის შეთქმულება გამომჟღავნდა და თეგუდარი თავის მონღოლ მეტომეებითურთ დასავლეთ საქართველოში გამოიქცა და ჭუთაისში დავით IV-ესთან მივიდა, მან, როგორც მოკავშირეს, უხვი მასპინძლობა გაუმართა, თუმცა ეს მასპინძლობა დასავლეთ საქართველოს ძვირად უჯდებოდა, რადგან თეგუდარს გარდა, მისი ჯარი და მათი ოჯახებიც უნდა შეენახა.

თეგუდარი უნდა ჭედს იქით გადასულიყო და ოქროს ულუსს შეერთებოდა, მაგრამ მან გადასწყვიტა, რომ ჯერ აბაღა ყაანზე ეყარა ჯავრი. რაკი ისევ ერანში შესვლა სახიფათო იყო, მან ამჯობინა ერანის ყაანის იმ საბრძანებელს შეჰსეოდა, რომელიც მეზობლად მდებარეობდა. ამიტომ ის ალმოსავლეთ საქართველოში გადადიოდა და თავს ესხმოდა ხოლმე იქ მდგომ მონღოლთა ლაშქარს. მაგრამ ყოველი ასეთი შეჭრისა და თავდასხმის დროს, მარტო მონღოლთა ლაშქარი-კი არ ზარალდებოდა, არამედ ზიანი ლიხთამერეთის მოსახლეობასაც მოსდიოდა.

თუმცა ის შინაური ბრძოლა, რომელიც მონღოლებს შორის იყო ატეხილი, ქართველებისათვის ხელსაყრელი იყო, მაგრამ რამდენადაც ეს ბრძოლა საქართველოს მიწა-წყალზე მიმდინარეობდა, მათთვის ზარალის მეტს არაფერს წარმოადგენდა. ამ გარემოების გამო ქართველები უნებლიეთ აბაღა ყაანის მოკავშირენი და თანამგრძნობნი უნდა გამხდარიყვნენ და იმ ბრძოლაშიც, რომელსაც მისი ლაშქარი თეგუდარის წინააღმდეგ აწარმოებდა, უნდა მხარი დაეჭირათ. აბაღა ყაანის სამხედრო ხელი-

სუფლებამ მაინც ვერ მოახერხა თეგუდარის ხელში ჩაგდება, რადგან ყოველთვის, როდესაც მას გაუჭირდებოდა ხოლმე და განსაცდელი მოელოდა, უკან დასახევი გზა ჰქონდა და შეეძლო უმალ დასავლეთ საქართველოში შეეფარებინა თავი.

აბაღა ყაენი დარწმუნდა, რომ სანამ დავით IV თეგუდარს ზურგს ემაგრებდა მანამდე თეგუდარის დაჭერა და მისი თარეშისაგან განთავისუფლება შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ ყაენმა დავით IV-ეს საჩუქრებით ხახად დატვირთული ელჩები მიუგზავნა და სთხოვა, რომ, არამც თუ თეგუდარისათვის დახმარების გაწევა შეეწყვიტა. არამედ გარკვეული დროისათვის უკან დასახევი გზაც შეეკრა.

სხვა პირობებში დავით IV, უეჭველია, ამაზე ერანის ილხანს უარს ეტყოდა, მაგრამ ამ დროისათვის გამომწყვდეულიყო, რომ, თურმე თეგუდარი დასავლეთ საქართველოს ხელში ჩასაგდებადაც შეთქმულებას აწყობდა. როდესაც ეს დავით IV გაიგო, აბაღა ყაენს სიხარულით მაშინვე თანხმობა განუცხადა. ამ შეთანხმების არცოდნე თეგუდარი 1269 წელს ისევ აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა და თავისი ჩვეულებრივი თარეში დაიწყო. აბაღა ყაენის ლაშქრისაგან გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილი თეგუდარი რომ დასავლეთ საქართველოში დაბრუნებას აპირებდა, გზები შეკრული დახვდა. ამის წყალობით თეგუდარი აბაღა ყაენის სამხედრო ძალამ ტყვედ ჩაიგდო და მონღოლთა ყაენს მიჰგვარა.

დავით IV-ეს თავისი პოლიტიკური გეზისათვის არც შემდეგში ულაღატნია და. როდესაც აბაღა ყაენს ერანში ვინმე ღალღური აეჯანყდა. დავით IV-ემ ის თავის საბრძანებელში შეიფარა. ეს ღალღურიც თეგუდარივით უმადური გამოდგა. დასავლეთ საქართველოში ყოფნის დროს. ის და კახაბერ კახაბერის ძე, რომელიც ჯერ კიდევ დავით V-ის დასავლეთ საქართველოში ყოფნის დროს დავით IV-ის ტახტიდან ჩამოსაგდებად იბრძოდა, ერთიერთმანეთს შეუთანხმდნენ და გადაწყვიტეს, რომ ერანში ილხანთან წასულიყვნენ.

თავიანთი განზრახვის ასასრულებლად, მათ ერანის მბრძანებელს, აბაღა ყაენს. თავიანთი დახმარება შესთავაზეს დავით IV-ს დასაჭერად. აბაღა ყაენისათვის ეს ამბავი მეტად სასიხარულო იყო: ამიტომაც აბაღა ყაენმა ღალღურს სიამოვნებით აპატია დანაშაულება და დასავლეთ საქართველოში შესასევად და შეპირებული გეგმის განსახორციელებლად 30 ათასი მონღოლთა ლაშქარი მისცა.

ამ სამხედრო ძალითურთ ღალღურ და კახაბერ კახაბერის ძე მოულოდნელად დასავლეთ საქართველოში შეიჭრნენ. მათ ჭეთაისში იმდენად სწრაფად მოახერხეს მისვლა, რომ აბანოში მყოფმა დავით IV-მ აბანოდან გამოსვლა და გაქცევა ძლივს მოასწრო. ღალღურმა და კახაბერ კახაბერის ძემ მეფის ხელში ჩაგდება ვერ მოახერხეს და უნდა უკან დაეხიათ. მათ ჯავრი იყარეს და ყველა ის ადგილები აოხრეს, სადაც გაელა უბდებოდათ.

აბაღა ყაენის დავალებით ღალღური და კახაბერის ძე ამავე მიზნით დასავლეთ საქართველოში წამოვიდნენ, მაგრამ მათი მეორე ცდაც წინა-

ნდელზე უფრო ამაო გამოდგა. რაკი ისინი მეორეჯერაც აბალა ყაანს ხელქარიელნი დაუბრუნდნენ, კახაბერ კახაბერის ძე ერანის ილხანისათვის რალა საჭირო იყო. ეს გარემოება რაჭის ერისთავთ-ერისთაემაც კარგად იგრძნო და ერანიდან ისევე საქართველოში დაბრუნება ამჯობინა. მაგრამ, რადგან თავის სამშობლოში გადასვლა არ შეეძლო, ის ატენის ხეობაში დასახლდა ყველასგან მოძულებული.

ატენიდან კახაბერ კახაბერის ძე დავით IV-ს ელდრებას ელდრებაზე უგზავნიდა, რომ დანაშაულება ეპატიებია და თავის სამშობლოში დაბრუნების უფლება მიეცა. დავით IV-ემ აპატია და დაბრუნების ნება დართო. მაგრამ შემდეგ გამომჟღავნდა, რომ მას აღმოსავლეთ საქართველოში მდგომ აბალა ყაანის ნოინ ალინაკთან საიდუმლო მიწერ-მოწერა ჰქონდა, ამისთვის-კი დავით IV-ემ სასტიკად დასაჯა თვალთ დაბრმავებითა და ერთი ფეხისა და ხელის მოკვეთით. მისი შვილი, რომელიც, ამ შეთქმულებაში აგრეთვე გარეული ყოფილა, სამუდამოდ იქმნა გაძევებული საქართველოდან და კონსტანტინეპოლში ექსორია ჰყვეს.

დავით IV-ის ღონისძიება ტრაპიზონის საკეისროში საქართველოს პოლიტიკური ინტერესების დასაცავად

მონღოლთა პოლიტიკურმა ბატონობამ ტრაპიზონის საზღვრამდე მიაღწია. თვით საქართველო ხომ იმაზე უწინარეს უკვე მონღოლთა ყმადნაფიც სამეფოდ იქცა. ამის გამო საქართველოს პოლიტიკური გავლენა ტრაპიზონის საკეისროში, რასაკვირველია, ძალზე უნდა შემცირებულიყო. ტრაპიზონის კეისარი მანუილ II უკვე 1244 წლის შემდეგ მონღოლთა მოხარკედ იყო ქცეული. ქართველთა პოლიტიკური ძლიერების შესუსტებით ადვილად შეეძლო ბიზანტიის მბრძანებელს ესარგებლა, რომელსაც არასოდეს არ ჰქონია იმედი დაკარგული, რომ ტრაპიზონის საკეისროს იაევ ხელში ჩაიგდებდა.

რამდენადაც ტრაპიზონის საკეისრო ქართველთა სამხედრო ძალითა და თამარის თაოსნობით იყო დაარსებული და უმთავრესად ქართველთა თანამოძმე ტომის, ჭანების, მოსახლეობას შეიცავდა, საქართველო ამ თავისი მეზობლად მდებარე სახელმწიფოს ბედისწერით, რომელიც ამასთანავე მისი გავლენის უცილობელ სფეროს წარმოადგენდა, უაღრესად იყო დაინტერესებული. საქართველოს პოლიტიკური დასუსტების გამო, ქართველთა მომხრე პოლიტიკური დასიც დიდ გაჭირვებაში ჩავარდა: თანდათანობით მათი გადაყენება დაიწყეს და ბიზანტიის მომხრეთა დასის წარმომადგენლები დაწინაურდნენ.

ბიზანტიის მთავრობას უნდოდა ტრაპიზონის საკეისრო მთლიანად თავის სამფლობელოდ ექცია და ამიტომ ბიზანტიის მბრძანებელმა სცადა, გეისრისათვის თავისი ქალიშვილი შეერთვინებინა, რომ ამ გზით პოლიტიკური დამოკიდებულება და გავლენა ბიზანტიის ტრაპიზონის საკეისროში უფრო გაძლიერებულიყო. მანამდის ტრაპიზონის კეისრები უმეტეს ნაწილად თანამეცხედრეებად საქართველოს სამეფო საგვარეულოს

ქალიშვილებს ირთავდნენ ხოლმე. მათ ოჯახშიც ქართული გაველენა იყო გაბატონებული, მათი უფლისწულების სახელებიც უმთავრესად ქართულ სახელებთან იყო დაკავშირებული.

ტრაპიზონის მმართველი წრეები და თვით კეისრის სახლობა ბიზანტიის გაველენას გაურბოდა. იმისდა მიუხედავად, რომ თვითონ ისინი შთამომაველობით ბერძნები იყვნენ, თანამოძმეებისადმი ასეთი დამოკიდებულება ბიზანტიის პოლიტიკური ზრახვითა და მათი კეისრების ტრაპიზონის კეისრებისადმი მედიდური დამოკიდებულებით აიხსნებოდა.

ტრაპიზონის კეისარს მანუელს ბიზანტიის მბრძანებელმა თავისი ქალიშვილი შესთავაზა, მაგრამ ეს მისი წადილი ვერ ასრულდა: მანუელის თანაჰეცხედრე რუსუდანი იყო, რომლის ქართული სახელი მის სადაურობას ცხადად ამჟღავნებს. საქართველოს მომხრე პოლიტიკური დასი შემდეგაც ყოველნაირად ცდილობდა, რომ კონსტანტინეპოლის პრეტენზიებისათვის წინააღმდეგობა გაეწია.

როდესაც 1266 წელს იოანე ძე-II კეისრად დაჯდა, ბიზანტიის მთავრობამ ყოველი ღონე იხმარა, რომ ის თავის ხელისუფლებისათვის დაემორჩილებინა. ამ მიზნით მან ჯერ დიპლომატიური გზა სცადა, მაგრამ ვერას გახდა. შემდეგ ბიზანტიის კეისარს უნდოდა, იგივე თავისი ქალიშვილის იოანე ძე-II-ზე მითხოვებით მოეხერხებინა. ამიტომ იოანე მე-II-ეს ბიზანტიის კეისარი თავის დედაქალაქში ჰპატიჟობდა. ტრაპიზონის საკეისროს დიდებული მოხელეები ყველანი კონსტანტინეპოლში წასელის წინააღმდეგნი იყვნენ.. იოანე II-ემ ბოლოს მაინც გადასწყვიტა, რომ ამ შემთხვევაში ბიზანტიის მთავრობის განცხადება სრულებით გულწრფელი იყო. იოანე II გაემგზავრა. მაგრამ გზაშივე მას საშუალება ჰქონდა დარწმუნებულიყო, თუ რამდენად ვერაგები აღმოჩნდნენ ბიზანტიელთა მთავრობის წარმომადგენლები: ყველა სამეფო ნიშნები, რომელიც მას ჰქონდა, გზაშივე ჩამოართვეს, ხოლო კონსტანტინეპოლში მისვლისთანავე, ისეთ მდგომარეობაში იქნა ჩაყენებული, რომ იძულებული იყო ყველაფერი აესრულებინა, რასაც კი ბიზანტიელთა კეისარი და მისი დაახლოებული პირები უბრძანებდნენ. იოანე II-ემ ბიზანტიის კეისრის ქალიშვილი შეირთო, მაგრამ უკან დაბრუნება ისე მალე, როგორც ჰპირდებოდნენ და ისე ადვილად, როგორც მას ეგონა, ვეღარ მოახერხა.

საქართველოს მთავრობას არ შეეძლო გულხელდაკრეფილს ეყურა ასეთი ბრძოლისათვის, რომელსაც უნდა საქართველოსთვის მისი გაველენის უკანასკნელი სფერო გამოეცალა ხელიდან. 1282 წელს დავით IV-ე რუსუდანის ძეც თავისი ჯარითურთ ტრაპიზონის საკეისროს შეესია და, თუმცა თითონ ტრაპიზონის აღება ვერ მოახერხა, მაგრამ საკეისროს დიდი ნაწილი მაინც დაპყრობილი ჰქონდა.

იოანე II-ს ასეთი განსაკდელის ჟამსაც კი არ შეეძლო თავის სამფლობელოში დაბრუნებულიყო, ხოლო, როცა 1284 წელს იოანე II ტრაპიზონის საკეისროში დაბრუნდა, საქართველოში გათხოვილი იოანე II-ის და, თეოდორა, ტრაპიზონის საკეისროს შეესია ჯარითურთ და კეისრად დაჯდა. ასეთი გაბედული პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა და დასახული

მიზნის მიღწევა თეოდორას მხოლოდ-და-მხოლოდ საქართველოს სამხედრო ძალის უშუალო მონაწილეობით შეეძლო. ამიერიდან ტრაპიზონის საკეისროში საქართველოს პოლიტიკური გავლენა კვლავ უნდა გაძლიერებულიყო. მაგრამ ბრძოლა არც ბიზანტიელების მხრით შეჩერებულა: შემდეგში ცვლილება მოხდა და იოანე მე-II-ემ ხელისუფლება დაიბრუნა.

დემეტრე II თავდადებული (1272-1289 წ.)

დავით მე-V სიკვდილის შემდგომ აღმოსავლეთ საქართველოში სამეფო ტახტზე დემეტრე უფლისწული 11—12 წლის ყმაწვილი იყო. ყაენმაც დემეტრე საქართველოს მეფეთ-მეფედ დაამტკიცა.

აღმოსავლეთით საქართველოს მაშინდელი საზღვარი თეთრი წყალი, ანუ მონღოლურად ჩალანუსუნის, თურქულად აღსუს გასწვრივ იყო. ანისი და კარი მათი სანახებებითურთ კვლავინდებურად საქართველოს ეკუთვნოდა, მაგრამ ხლათი, ეალაშკერტი და ალატალი უკვე საქართველოს ყმადნაფიცი აღარ იყო. ლიხთ-იმერეთი, რასაკვირველია, დემეტრე II-ს აღარ ემორჩილებოდა: თუმცა სამეფო იურიდიულად გაყოფილი არ იყო, მაგრამ, პოლიტიკური პირობების გამო, მისი მთლიანობა უკვე დარღვეული იყო.

დემეტრე II-ეს, მცირეწლოვანობის გამო, საქართველოს სამეფოს მესვეობა არ შეეძლო და მას უნდა მზრუნველი და მეურვე ჰყოლოდა დანიშნული. ყაენმა აბაღამ ასეთ მზრუნველად სადუნ მანკაბერდელი დაუნიშნა, მონღოლთა ბატონობის ხანისათვის ეს ფრიად დამახასიათებელი პიროვნება.

ჯერ კიდევ 1272 წელსვე დემეტრე რომ მონღოლთა ყაენის კარზე იმყოფებოდა, მან სადუნ მანკაბერდელს ათაბაგობა მისცა, რაც უეჭველია მონღოლთა ყაენ აბაღასაგან უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი.

მედროვეობის ხანა აღმოსავლეთ საქართველოში და სადუნ მანკაბერდელი

მონღოლთა მმართველი წრეების მოუმზადებლობისა და გაუნათლებლობისა გამო, მათ ხელქვეშეთ მყოფ სამეფოებისა და სამფლობელოების მართვა-გამგეობისათვის სხვა ეროვნების სათანადოდ განსწავლული მოხელეები სჭირდებოდათ. ორი პირობა იყო ასეთ შემთხვევაში საჭირო, რომ ადამიანს მაღალი თანამდებობა მიეღო და მონღოლთა ნებასურვილის აღმასრულებელი გამხდარიყო: მას უპირველესად უნდა მონღოლური სცოდნოდა, მეორე მხრით ის უნდა უაღრესი ნდობით ყოფილიყო აღჭურვილი. ამ რიგად მოენეობას ძალიან დიდი მნიშვნელობა მიენიჭა. მონღოლთა ხელქვეშეთ მყოფი ხალხის ბედიღბალიც და სასამართლოში შესული საქმეების მთელი მიმდინარეობაც ამ თარჯიმანი მოხელეების ხელში იყო. მოჩივან-მოდავეთა მოგება-წაგების შესაძლებლობა მათ ენაწყლიანობასა, სინდისიერებასა, თუ ანგარებაზე იყო დამოკიდებული. აქ

გზით მოენები მეღვინეებად იქცნენ და მათი აღზევება ზღაპრული სისწრაფით სწარმოებდა, თუ რომ თითოეულს მათგანს შესაფერისი შეგუების ნიჭი აღმოაჩნდებოდა და ჰკუას გამოიჩენდა.

სადუნ მანკაბერდელი ერთი ასეთი პირთაგანი იყო. ჯერ კიდევ თამარის ხანაში ასპარეზზე გამოსული გასაოცებელი ჭკუთის შთამომავალი, სომხური, ქართული სპარსული და მონღოლური ენების კარგი მცოდნე. სწორედ ასეთი ხანისა და ასეთი პირობებისათვის დაბადებული ადამიანი იყო. ის ჯერ ავაგ ათაბაგისა და გვანცას ასულის ხუაშაქის ეჯიბი იყო. ხუაშაქის ყაანის პირველ ვაზირ საჰიბ დიუანზე, ხოჯა შემსედინ ჯოუეინიზე, გათხოვების შემდგომ, ის აღზევდა, რადგან ამიერიდან, აღმოსაველეთ საქართველოს საკითხების განხილვის დროს, სადუნ მანკაბერდელი მონღოლთა ყაანის ურდოში პირველ მრჩეველად იქცა. ამბავი ყაანმაც სადუნ მანკაბერდელს საქართველოს ლაშქართა მთელი საქმე გადასცა, ხოლო მცირეწლოვანი მეფის მეურვეობამ მას აღმოსაველეთ საქართველოს მართვა-გამგებლობაც ჩაუგდო ხელში. ამგვარად სადუნ მანკაბერდელი საქართველოს სათავეში მოექცა.

სადუნი მარტო პოლიტიკურ აღზევებაზე ალარ ზრუნავდა, არამედ ყოველნაირი საშუალებით ცდილობდა, თავისი ქონებრივი შეძლებაც გაედიდებინა და გაეფართოებინა: 1278 წელს დემეტრე II-გან მან თელავი, ბელაქანი და ბევრი სხვა ადგილებიც ჩაიგდო ხელში. როდესაც შემდეგ დემეტრე II ურდოში იმყოფებოდა და მონღოლებმა მას იმდენად დიდი თანხის გადახდა მოსთხოვეს, რომლის გამოღება მეფეს იმ დროს არ შეეძლო, ამ თანხის გადახდა სადუნ მანკაბერდელმა იკისრა, მაგრამ სამაგიეროდ თავისთვის ისეთი მნიშვნელოვანი ადგილი მოითხოვა, როგორც დმანისი და მისი სანახები იყო. დემეტრე II-ს დათმობა არ უნდოდა, მაგრამ სადუნ მანკაბერდელის გაუმაძღარი მადა უნებლიედ უნდა დაეკმაყოფილებინა. დემეტრე II-ეს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის ისეთი მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქის გადაცემაც სთხოვა, როგორიც კარი იყო, ეხლანდელი ყარსი, რომელიც მილებისთანავე თავის საჯდომად აქცია.

დიდი სიმდიდრის და უძლავი ქონების აზვინებამ სადუნს ზღაპრული მოძრავი ქონებაც შესძინა: ოქრო-ვერცხლის, ძვირფასი ქვების, საქონლის ჯოგების სიმრავლე მის ხელში განმაკვირვებელი სისწრაფით იზრდებოდა. ფულის საშუალებით, მას თავისუფლად შეეძლო ყოველი დასახელი მიზანი განეხორციელებინა. სადუნ მანკაბერდელმა მრავალი ქვეყანაც იყიდა. მისთვის სასურველი ადგილის და ქვეყნის ხელში ჩაგდება მან დამოყვრებითაც ისწრა ხოლმე. ამ გვარად, მაგალითად, კარის მიმდგომი სანახები ჩაიგდო ხელში: ახალციხის ასული ითხოვა ცოლად და მისგან კარის მახლობლად მდებარე ქვეყანა მიიღო.

სადუნ მანკაბერდელი მონღოლს მონღოლად ეჩვენებოდა, ქართველთან ქართველი, სომეხთან სომეხი იყო, მაგრამ ყველაზე მეტად ის მონღოლთა ზნე-ჩვეულებას შეეგუა. მონღოლთა წახალისით მან სამი ცოლი შეირთო.

სადუნ მანკაბერდელის ყოფა-ქცევა, მისი მრავალცოლიანობა, რომელიც საქართველოში მანამდე გაუგონარს ამბავს წარმოადგენდა, ბუნებრივად იწვევდა აღშფოთებას, მეტადრე საეკლესიო წრეებში. საქართველოს ეკლესიის მოხუცი საჭეთმპყრობელი ნიკოლოზ კათალიკოსი ბევრს ეცადა როგორმე მრავალცოლიანობა დაეშლევინებინა და ერთი ცოლით დაკმაყოფილებულიყო, მაგრამ ვერაფერს გახდა. ეს იმითაც აიხსნება, რომ სადუნ მანკაბერდელს როგორც მოხერხებულ ადამიანს კარგად ესმოდა, რომ მარტო მმართველთა წრეების ნდობისა და ყურადღების დამსახურება არ კმაროდა, რომ წონასწორობის დასაცავად ამასთანავე მოსახლეობის გულის მოგებაც იყო საჭირო. სწორედ ამიტომ ის ცდილობდა, ეკლესიის ყურადღებაც და კეთილი განწყობილებაც დაემსახურებინა. ამას კარგად ახერხებდა კიდეც: თუმცა მას ყველა საეკლესიო წესები, მათ შორის მრავალცოლიანობითაც, ჰქონდა დარღვეული, მაგრამ სამაგიეროდ მას ეკლესიისათვის შეწირულებაც მიჰქონდა და ცდილობდა მაშინდელი გავლენიანი სამონასტრო დაწესებულებებიც განეთაისუფლებინა მონღოლთა გადასახადებისაგან. ხალხის ყურადღებაც ჰქონდა დამსახურებული, რადგან ეითარცა მონღოლთა დაახლოებულ პირს, მონღოლების დიდ ნოინთა და მათი ელჩების თავაშვებული თვითნებობის ალაგმვა სხვებზე მეტად შეეძლო. ეკლესიისათვის მისი უხვი შეწირულება და გადასახადებისაგან განთაისუფლებისათვის მზრუნველობა მისდამი კეთილ განწყობილებას ჰქმნიდა. ასეთ პირობებში სადუნ მანკაბერდელისათვის ეკლესიის საჭეთმპყრობელის წყევლა-კრულვაც არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდა.

სამაგიეროდ, სადუნ მანკაბერდელს ერისკაცთა, მეტადრე ქართველ და სომეხ დიდებულთა შორის ბევრი მოწინააღმდეგე და მტერი ჰყავდა, რომელთაც მისი ასეთი სწრაფი აღზევება არაფრად ეპატიკებოდათ. მაგრამ სადუნ მანკაბერდელის წინააღმდეგ ბრძოლა ადვილი საქმე არ იყო: მონღოლებთან უალრესი დაახლოებულობა სადუნ მანკაბერდელს საშიშარ მტრად ხდიდა.

დემეტრე II-ეს არავითარი საბუთი არ ჰქონდა სადუნ მანკაბერდელის ემაყოფილი ყოფილიყო: მისი გაუმაძღარი მადიანობა, გაბატონებულ მონღოლთა ხელისუფლების მისი დაუფარავი მომხრეობა, მისი პარპაში, სადუნ მანკაბერდელს მეფისათვის უსიამოვნო პიროვნებად ხდიდა. საქართველოს მმართველი წრეები ორ ჯგუფად იყვნენ გაყოფილნი: ერთ მხარეზე ქართველი და სომეხი დარბაზის-ერნი იყვნენ, რომელნიც მეფეს მხარს უჭერდნენ, მეორე მხრით სადუნ მანკაბერდელი თავისი ფეხის-ხმის-აყოლ მცირერიცხოვან პირებითურთ.

სადუნ მანკაბერდელი რომ 1281 წელს გარდაიცვალა, დემეტრე II-მ ათაბაგობა მის შვილს ხუტლუ-ბუღას-კი არ მისცა. არამედ ტარსაიჭ ორბელს უწყალობა, ხუტლუ-ბუღას-კი ამირსპასალარობა აჩუქა.

რასაკვირველია, სადუნ მანკაბერდელის აღზევება მხარგრძელთა საგვარეულოსათვის, რომელთა ეკუთვნოდა თავდაპირველად სადუნ მანკაბერდელი

იყო და რომელიც ათაბაგად ქცეული თაეზეც-კი დაესკუპლათ, ესია-მოვნო გარემოებას წარმოადგენდა. მაგრამ მხარგრძელებისათვის ამაზე არანაკლებ ესამოვნო გარემოებას ორბელის აღზევება წარმოადგენდა, რადგან მხარგრძელთა საგვარეულომ დაწინაურება მას შემდგომ შეძლო, როდესაც გიორგი III-ემ საქართველოში ამ საგვარეულოს არსებობას ბოლო მოუღო. ამგვარად ტარსაიჭ ორბელის გათამბაგება მხარგრძელთაც შეეძლოთ თავიანთი უფლებების შელახვად მიეჩნიათ.

ზემოაღნიშნულის გამო იმ ბრძოლას, რომელიც მაშინდელ საქართველოში სწარმოებდა, დიდ საგვარეულოთა შორის დიდი ხელისუფლების გამო ატეხილი ჭიშკობაც დაერთო.

ხუტლუბუღას თავის მამისგან კარგად ჰქონდა უარყოფითი თვისებები დამკვიდრებული, მისი ნიჭისა და სხვა თვისებების შესახებ-კი, რომლითაც მისი მამა სადუნ მანკაბერდელი იყო დაჯილდოვებული, ცნობები არ მოგვეპოვება, შეიძლება შეიძლებლობით ის თავის ყოველად ძლიერ მშობელს არ ჩამოუვარდებოდა.

ალფოსავლით საქართველოს მდგომარეობა დემეტრე II-ის მეფობაში

იმისდა მიუხედავად, რომ საქართველოს მეფე მკირეწლოვანი იყო, დემეტრე II-საც მონღოლთა ამ ხანის ყოველ ლაშქრობაში უხდებოდა მონაწილეობის მიღება. 1278 წლისათვის რომ სრულწლოვანი შეიქმნა, დემეტრე II უკვე სახელმწიფოს მმართველ-გამგეობას შეუდგა. მაგრამ მონღოლთა მძლავრობისა და ხშირი მოლაშქრეობის წყალობით, მასაც საშუალება არ ჰქონდა, რომ საქართველოს სახელმწიფო საქმეებისათვის მოეცალა და საქართველოში ყოფილიყო.

ამ ხანაში მონღოლები ეგვიპტის სულტანს ებრძოდნენ. რამდენადაც ეგვიპტის სულტანები მონღოლთა ბატონობის მტრები იყვნენ, საქართველო მათი ბუნებრივი მოკავშირე უნდა ყოფილიყო. აკი დასავლეთი საქართველო სწორედ ასეც იქცეოდა: დავით IV, როგორც ვიცით, ამ პოლიტიკურ გეზს ადგა კიდეც, მაგრამ, დემეტრე II-ს სხვა გზა არ ჰქონდა, უნდა მონღოლებთან ერთად მონაწილეობა მიეღო და ლაშქრობაში გასულიყო.

თუ წინად მონღოლთა ლაშქრობა ძლევამოსილი იყო ხოლმე და, ვინც ამ სამხედრო მოქმედებას გადურჩებოდა და შინ დაბრუნდებოდა, საშუალება ჰქონდა თან ნადავლი მაინც მოეტანა და ამით სამშობლოში თავისი შეთხელებული ქონებრივი მდგომარეობა ცოტათი მაინც გამოესწორებია, ეხლა, რაკი სამხედრო ძლევამოსილება მონღოლთა მოჭარბებული ლაშქრობის არც თუ ისეთი ხშირი ხვედრი გახდა, ესეც სახიფათო შეიქმნა. მაგალითად, 1277 წელს ერანის ილხანის შეერთებული ლაშქრობა საშინლად დამარცხდა და უკუქცეულ იქნა. ამ ომში ქართველთაგან ბევრმა შესწირა თავისი სიცოცხლე. 3.000 მებრძოლიდან ცოტა-

და დაბრუნდა საქართველოში. საგრძნობი დამარცხებით დამთავრდა მონღოლთა მბრძანებლის მანგუთემურის ლაშქრობაც 1280 წელსაც, რომელიც ასურეთში ეგვიპტის სულტნების საბრძანებელ მიწა-წყალზე სწარმოებდა. ამ ლაშქრობაში 50 ათასი მონღოლი და 30 ათასი ქართველი, სომეხი და ბერძენი მეომარი იყო ჩაბმული. ამ ომშიც ქართველთა უმრავლესი ნაწილი დაიღუპა.

1281 წელს ქალაქ ამასიის მახლობლად ერანის მონღოლები დამარცხდნენ და ამ ბრძოლაშიც დიდძალი ხალხი დაიღუპა, მათ შორის ქართველთა ლაშქრის უმრავლესობაც. თვით დემეტრე II ძლივს გადაურჩა სიკვდილს.

სამხედრო ექსპედიციების ასეთ ხშირ მარცხს საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენა დიდ ქონებრივ გაჭირვებაში უნდა ჩაეგდო. ის სიღატაკე, რომელიც საქართველოში წინათაც იყო საგრძნობი, დემეტრე II-ის დროს აღმოსავლეთ საქართველოში წინანდელზე მეტად სჩანდა. ეს უპირველესად ქალაქებში, მაგალითად ტფილისში, იყო საგრძნობი: იქ მათხოვარ-დავრდომილებსა და ობლებს დახმარების სათხოვნელად ქუჩაში უხდებოდათ გამოსვლა. დემეტრე II-ე თურმე შუაღამისას გამოდიოდა და ეხმარებოდა ხოლმე ამ ცხოვრებითა და ქონებრივი გაჭირვებით გაუბედურებულებს. სიღატაკე იმდენად მძლავრად იყო მოდებული, რომ თვით მაღალი წრეების წარმომადგენელნიც-კი თავიანთ უმწეო მდგომარეობის საჯაროდ აღიარებას აღარ თაკილობდნენ. ეს გარემოება შეუფერადებლივ არის კედლის წარწერებში აღნიშნული, რომლებშიც დიდ „იწროებას“ და „ნაკლულოვანებას სახმართა“-ს ყველანი უჩივიან. დაწყებული შენობების დამთავრება აღარ შეეძლოთ, დაძველებულ და დანგრეულ ნაგებობათა შეკეთების საშუალება აღარ ჰქონდათ, ახლის აგებისათვის ხომ მით უმეტეს სახსარი ძნელად თუ მოიძებნებოდა, პატარა ნაგებობის აგებისათვისაც-კი საკმაო ქონება არ ჰქონიათ.

ამ ეკონომიურ გაჭირვებას ზედ დიდი კატასტროფული მიწისძვრაც დაერთო, როდესაც მიწა ისე საშინლად შეინძრა, რომ მრავალი საყდარი, მონასტერი, ეკლესია, ციხეები, სახლები და ყოველგვარი ნაგებობა დაიქცა, თვით მთანი და ბორცვნიც-კი ჩამოიშალნენ, კლდეებიც-კი მტერის მგზავსად ჩამოიფშხვნა, მიწა განიპო და ნაპრალებიდან კუპრისებრი შავი სითხე გამოვიდა.

ეს საშინელი მიწისძვრა მთელი ერთი თვის განმავლობაში გრძელდებოდა, დიდძალი ხალხიც დაიღუპა და უსახლკაროდ, უსახსროდაც დარჩა. მიწისძვრის მთავარი ცენტრი სამცხეში იყო, მაგრამ მისი ანარეკლი ქართლშიც იმდენად ძლიერი იყო, რომ მცხეთის საყდარიც კი დაიქცა.

საქართველოს სავალალო ეკონომიური მდგომარეობის გარემოება მონღოლთა ყაენისათვისაც საიდუმლოებას აღარ შეადგენდა. აბაღა ყაენს უნდოდა გამოერკვია, მართლაც გაღარიბების და აოხრების შედეგი იყო ეს, თუ არა, და, სახელდობრ, რომელი ქვეყანა უფრო აოხრდა, და რომელი ვითომც უნდა აშენებულიყო. XIII საუკუნის 80-ან წლების დამ-

ლევს მან ამ მიზნით ხალხის ალწერა მოახდენინა და ამ ალწერამ გამოარკვია, რომ მისი სამფლობელოების უმეტესი ნაწილი აოხრებული ყოფილა, მათ შორის საქართველოც, ხოლო საქართველოში ყველაზე მეტად კახეთი, ჰერეთი და კამბეჩიანის ეპარქია იყო გაპარტახებული, ბერქა ყაანსა და ერანის ილხანებს შორის ბრძოლის შედეგად.

ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩაეარდნილ მოსახლეობას მშვიდობიანად ყოფნა აღარ შეეძლო და, თუ სოციალური ბრძოლა და აგრარული მოძრაობა წინათაც იყო საგრძნობი, მით უმეტეს უნდა ამ ხანში გაძლიერებულიყო. მართლაც დემეტრე II-ის მეფობაში ბრძოლა სწარმოებდა, როგორც ერთი-ერთმანეთში, მიმძლავრებით, თვითნებობითა და ძალმომრეობით, ისევე აგრეთვე საყდრებისა და მონასტრებისათვის შეწირული უძრავი ქონების მიტაცებითაც: ეკლესიისაგან სოფლებს და აგარაკებს იბრუნებდნენ. ეს მოძრაობა თავდაპირველად ქართლ-კახეთში დაიწყო, მესხეთს, რომელიც ალმოსაველეთ საქართველოსაგან ადმინისტრაციულად გამოყოფილი იყო, მაშინ არ შეჰხებია. ამ ხანაში-კი მესხეთსაც მოსდებია.

საერთო ეკონომიურ გაჭირვებას თავისი ძლიერი დალი ყველა წოდებაზე, მათ შორის სასულიერო წოდებაზედაც ჰქონდა დასმული: ამდროინდელ ისტორიკოსსაც არ შეეძლო დაეშალა, რომ მაშინ „მღვდელმთავარი და მღვდელი“ ამპარტავანი, ანგარი და ბოროტის მუოფელი იყო. ალმოსაველეთ საქართველოში მეფეები და დიდებულები არც კათალიკოსის, არც სხვა გამოჩენილ საეკლესიო მოღვაწეთა ქადაგებას ყურადღებას ალარ აქცევდნენ: ისევე, როგორც სადუნ მანკაბერდელს სამი ცოლი ჰყავდა, დემეტრე II-მაც სამი ცოლი შეირთო. კათალიკოზი მრავალჯერ ამხელდა, მაგრამ ეერას გზით მეფე ეერ დაარწმუნა, ერთი ცოლით დაკმაყოფილებულიყო და თავის ქვეშევრდომთათვის უწესოების მაგალითი არ მიეცა. რაკი თავისი რჩევა-დარიგებათა და ვდერებით ვერაფერს გახდა, მოხუცებულმა ნიკოლოზ კათალიკოზმა თანამდებობას თავი დაანება და გადადგა. თუ მას ეგონა, რომ ამ ნაბიჯით რაიმე შთაბეჭდილებას მოახდენდა, ეს იმედიც გაუცრუვდა.

ერანის მონღოლთა მმართველი წრეების შინაური ბრძოლა, მისი ანარეკლი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და დემეტრე II-ის ბედის ტრაგიკული დახასრული

მონღოლთა ულუსებს შორის ნათესაური გრძნობის შესუსტებასთან ერთად, ინტერესთა წინააღმდეგობის გამო, მეტოქეობა და მტრობა ალმოცენდა. ჩრდილოეთისა და სამხრეთის ულუსებს შორის ბრძოლაც-კი ატყდა. უთანხმოება და შუღლი თვით ერანშიც ჩაზოვარდა და საყანაზოში შეთქმულება შეთქმულებას მოსდევდა. იშვიათი შემთხვევა იყო, რომ მონღოლთა ამ ხნის მბრძანებელებს თავიანთი სიცოცხლე ბუნებრივი სიკვდილით დაეშთაერებინოთ, მონღოლთა მართველი წრეების პოლიტიკური დაჯგუფება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

1282 წელს აბაღა ყაანი რომ გარდაიცვალა, მონღოლთა ნოინებმა მისი ძმა აჰმადი დასვეს ყაანად, მაგრამ ის ტუნიჭოც აღმოჩნდა და მაჰმადიანობაც ჰქონდა მიღებული, რაც მონღოლთა შორის უკმაყოფილებას იწვევდა. მისმა ძმამ, რუმის მმართველმა ყონღურადაიმ, შეთქმულება გაანიზრახა და განახორციელა კიდეც. ეს შეთქმულება ჩაქრობილ იქნა 1284 წელს.

ისეთი ვითარება დამყარდა, რომ ალმოსავლეთ საქართველოს მეფე შებრძოლთა, ან ერთ მხარეზე უნდა ყოფილიყო, ან მეორეზე. ეს გარემოება ერანის ილხანების საბრძანებელში გაჩაღებულ შფოთში საქართველოსაც რევდა უნებლიეთ. აჰმად ყაანმა თავის თანამემამულეთა ისეთი უკმაყოფილება და სიძულვილი დაიმსახურა, რომ ბოლოს ის აჯანყების მსხვერპლი შეიქმნა: მას ნოინებიც აუჯანყდნენ და მის მაგიერ აბაღას შვილი არღუნი გააყაანეს.

აჰმადი მაინც ნებაყოფლობით ყაანობისათვის თავის დანებებას სრულებითაც არ აპირებდა. მან ჯარი შეაგროვა და საქართველოდანაც დემეტრე II დაიბარა სამხედრო ძალითურთ. იმისდა მიუხედავად, რომ 1284 წელს აჰმადმა გაყაანებული არღუნი თავისი და საქართველოს შეერთებული ლაშქრითურთ დაამარცხა, იგი, უნებლობის ფიცის ჩამორთმევის შემდეგ, კვლავ განთავისუფლა. მხოლოდ აჰმადმა ის მაინც თავის სარდალს ალინაყს ჩააბარა, რომ შემდეგში მას არღუნი მოეკლა.

დემეტრე II საქართველოს ჯარითურთ სამშობლოში გაემგზავრა, მაგრამ აჰმადის ძლევამოსილება მალევე გაქარწყლდა: ნოინები თავისას არ იშლიდნენ და ჯერ აჰმადის სარდალს თავს დაესხნენ კარაეში და მოკლეს, ხოლო შემდეგ მეორე დიდითვე არღუნი გააყაანეს. ამავე დროს დემეტრე II-ს საქართველოში შეუთვალეს, რომ დახმარება აღარ გაეწია აჰმადისათვის, მისი მოწოდებისათვის არაეითარი ყურადღება არ მიექცა და საქართველოდან არ დაძრულიყო. ეს თხოვნა მეფემ შეასრულა. უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი აჰმადი, 1284 წელს ნოინების მიერ შეპყრობილი, მონღოლური წესით დახრჩობილ იქნა.

არღუნი მთელი ერანის ყაანად იქცა. არღუნი, რომ გაყაანდა, დემეტრე უკეთეს პირობებში ჩავარდა, პირველ ხანებში მაინც. მისი მდგომარეობა განმტკიცდა: ერანის ილხანის უმთავრესი მრჩეველი ბელა საქართველოს მეფესთან დაახლოებული პირი იყო და ის მას მხარს უჭერდა ხოლმე.

იმისდა მიუხედავად, რომ არღუნი სახელმწიფო ტახტზე თვით ნოინების მიერ იყო აყვანილი, მაინც ხანგრძლივად თავისი ხელისუფლების შენარჩუნება ვერც მან შესძლო: უკმაყოფილება 1288 წ. არღუნ ყაანსა და მის პირველ ვაზირს ბუღას შორისაც ჩამოვარდა, რომელიც დემეტრე II-ის მფარველი და მოკავშირე იყო. არღუნ ყაანის წინააღმდეგაც შეთქმულების მზადებას შეუდგნენ. მისი თაოსნობა არღუნის პირველ ვაზირს ბუღას დაებრალდა, რომელიც ყაანის განუსაზღვრელი ნდობით იყო მოსილი. მას 1286 წელს მონღოლური უმაღლესი მოხელეობა ჩინგსანობაც-

ჟი ჰქონდა ნაწყალობევი. მაგრამ საკმარისი იყო შეთქმულების ამბავი გამომჟღავნებულიყო, რომ 1289 წელს ბუღა შეპყრობილი და სიკვდილად დასჯილი ყოფილიყო. მისი შვილი და ყველა ნათესავები ამგვარადვე სასტიკად დაისაჯნენ. ყველა მის მომხრეებსაც იგივე ბედი ეწიათ.

დემეტრე მეორის მდგომარეობა ამის შემდგომ მეტად სახიფათო შეიქმნა. უკვე ის გარემოებაც, რომ საქართველოს მეფე შეთქმულების მეთაურთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, ბედის უკეთესი დატრიალებისათვის სრულებით საკმარისი იყო. ამიტომ არღუნ ყაანმა თავისი საგანგებო რწმუნებული გამოგზავნა საქართველოში და დემეტრე ერანში დაიბარა. ცხადი იყო, რომ დემეტრეს იგივე მოელოდა, რაც შეთქმულების მეთაურად მიჩნეულს, მის ყველა ნათესავებსა და მომხრეებსა გადაჰხდოდა. დემეტრე II-ეს წინაშე წამოიჭრა საკითხი, როგორ მოქცეულიყო: წასულიყო, თუ მთებში გახიზვნით თავისი თავისთვის ეშველა. ამ განსაცდელის ჟამს მან სახელმწიფო დარბაზი მოიწვია და შეეკითხა, თუ რას ურჩევდნენ.

პირადად მას მონღოლთა ყაანთან წასვლა თავის აუცილებელ მოვალეობად მიაჩნდა, რადგან დანამდვილებით იცოდა, რომ, თუ ის არ გამოცხადდებოდა, ერანის ილხანი შურის საძიებლად უეჭველად საქართველოს დააწიოკებდა: ქვეყანასაც აოხრებდა და ხალხსაც გასწყვეტდა. მას თავის გულისათვის უდანაშაულო ხალხის დაზარალება არ ჰსურდა. დარბაზის წევრები ფიქრობდნენ, რომ მასაც შეეძლო თავისი თავი ისევე გადაერჩინა, როგორც სხვებმაც, თვით მისმა მამამაც, გარეშე მტრის მრისხანებისაგან არაერთხელ გადაირჩინეს და ურჩევდნენ, საქართველოში დარჩენილიყო, მაგრამ დემეტრე II-მ ეს წინადადება უარჰყო. მართლაც მან თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახი, ცოლები და შვილები. სხვადასხვა ალაგას დამალა და შემდეგ გზას გაუდგა. გზაშივე დემეტრე მეფეს ყაანის საგანგებო მოხელე დაჰხვდა, რომელმაც მეფეს მთელი ქონება ჩამოართვა, თითონ ის შეიპყრო და ასე წარუდგინა ყაანს.

ყაანს გადაწყვეტილი არ ჰქონდა, დემიტრე მეორე ისევე მკაცრად დაესაჯა, როგორც ბუღა და მისი მომხრენი, თუ უფრო ლმობიერად მოჰპყრობოდა. მაგრამ ხუტლუ-ბუღა, რომელიც დემეტრე II ემდურებოდა, იმის გამო, რომ მისი მამის სიკვდილის შემდეგაც ათაბაგობა მასკი ჰარა, არამედ ტარსაიქ ორბელს უწყალობა, არღუნს წარუდგა და მოახსენა: აფხაზთა მეფის დავითის შვილს ვახტანგს გადმოეცყვან, მას მიეცი მეფობა და ამრიგად საქართველოს ორივე სამეფო შენს ხელში იქნებაო. არღუნ ყაანს ეს პოლიტიკური გეგმა მოეწონა და ამ გარემოებამ დემეტრე II-ის ბედიც გადასწყვიტა საბოლოოდ.

სიკვდილად დასჯის წინ, დემეტრე მეფეს წინადადება ძძისკეს, თითონვე დაესახლებინა, სად და რა სიმდიდრე ჰქონდა კიდევ. ამ ცნობის თანახმად, მას მთელი ქონება ჩამოართვეს, ხოლო ამის შემდეგ არღუნ ყაანის განკარგულებით 1289 წელს 12 მარტს მოაკანში, მდინარე

მტკვრის პირას სიკვდილად დასაჯეს. იგივე ბედი დემეტრეს უფროს ვაჟიშვილს დავითსაც მოელოდა, მაგრამ ნოინებმა დაარწმუნეს ყაენი, რომ მცირეწლოვანი ბავშვის სიკვდილად დასჯა მას არავითარ სახელს არ მოუხვეჭდა და დავით უფლისწული სიკვდილს გადაურჩა.

დემეტრე II თავდადებულის ზოგადი დახასიათება

დემეტრე II რთული ბუნების პატრონი იყო. ერთი მხრით მან თავგანწირულების სულისკვეთება გამოიჩინა: პირადი განსაცდელის ჟამსაც ის იმდენად თავის თავზე არ ფიქრობდა, რამდენადაც ხალხზე და საქართველოს განადგურებისაგან გადარჩენაზე.

დემეტრე II-ს არც ეკლესიის, არც მისი მწყემსმთავრების, არც საეკლესიო მოძღვრებისა და დოგმატიკის მაინც-და-მაინც დიდი პატივისცემა არ ჰქონია. ამ თავისი თვისებებით ის გიორგი-ლაშას მოგვაგონებს, ვიდრე სხვა რომელსამე პირს. თავის სახელმწიფო და აგრარულ პოლიტიკაშიც ის იმავე გზას და იმავე გეზს მისდევდა, რა გზითაც მოქმედებდა და რა პოლიტიკითაც ხელმძღვანელობდა დავით V-ე და ბასილი უკარმელ-ჰყონდიდელი: საეკლესიო მიწების გაცემა მისი მეფობის დროსაც შეუჩერებლივ სწარმოებდა.

დემეტრე II-ის სოციალური პოლიტიკის ასეთი გეზი საქართველოს იმ დროისათვის ნაკარნახევი, რომელშიც ის იმყოფებოდა: გაჭირვება, წინანდელთან შედარებით, არამც თუ არ შემცირებულა, არამედ გაჭირვებით უფრო მეტადაც მძვინვარებდა. რაკი საქართველოს მთავრობას ამ შემდგომ სხვა არავითარი ახალი წყარო არ გასჩენია, თუ არ იმავე საშუალებით, რომელიც დავით V-ის დროს ეკონომიური კრიზისის შესანელებლად იყო გამოყენებული, დასახული სახელმწიფოებრივი მიზნის მიღწევა სხვით არავითარით შეიძლებოდა.

თუმცა დემეტრე II პირადად გულადი და თავდაუზოგავი მებრძოლი იყო, მაგრამ, მაშინდელი პირობების გამო, მას თავისი მამაცობა და სამხედრო ნიჭი მხოლოდ მონღოლთა ინტერესებისათვის ბრძოლის დროს შეეძლო გამოეჩინა: მას საშუალება არ ჰქონდა თავისი ნიჭი და გამჭრიახობა საქართველოს საკეთებისათვის მოენდომებინა. უმეტეს შემთხვევაში მასაც საქართველოს გაურეშე უხდებოდა ყოფნა. ამ პირობებშიც დემეტრე II-ს თავისი სახელმწიფოებრივი გეგმა ჰქონდა და შინაური პოლიტიკის გარკვეულ გეზს ადგა: მას დიდგვაროვანი მოხელეების ალაგმა უნდოდა, მაგრამ დასახული მიზნის განხორციელების საშუალება მას მოსპობილი ჰქონდა: ურჩი მოხელეების მონღოლთაგან მფარველობა გადაულახავ დაბრკოლებას ჰქმნიდა. მაშინდელი ეკონომიური კრიზისიდა შიუხედავად, დემეტრე ცდილობდა აოხრებული ქვეყანა განეახლებინა, ამოწყვეტილი მოსახლეობის მაგიერ სხვები მოეყვანა, მიწაზე დაესვა და ქვეყანა მოეშენებინა.

დემეტრე II-ეს აღმშენებლობაზეც უზრუნვია. იმდროინდელი ეკონომიური გაჭირვების პირობებში, მეფეს „პალატსა შინა“ დიდი ტაძრის

აგება, შემკობა და სოფლებითა და ზერებით უზრუნველყოფა მოუხერხებია.

დემეტრე II-ის მიერ აშენებული ნაგებობა, დღემდეა დაცული და ამჟამად „მეტების ხელოვნების მუზეუმს" ეკუთვნის. ამ ძეგლს ეხლა ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს, როგორც მე-XIII საუკუნის ქართული ხელოვნების მაღალხარისხოვანი განვითარების დამამტკიცებელ ძეგლს. მდიდარი ჩუქურთმით შემკული და მშვენიერი ხელოვნებით ასრულებული მისი კარიბჭე და სხვა გადარჩენილი ნაწილები ცხადყოფს, რომ იმ დიდი ეკონომიური გაჭირვებისა და კულტურული დაქვეითების მიუხედავად, რომელიც მონღოლთა ბატონობის ხანაში საქართველოს თავს დაატყდა, ქართულ ხელოვნებას მაინც შემოქმედების ნიჭი დაშრეტილი არ ჰქონია და ხელოვნების მაღალი დონეც ჯერ კიდევ კარგად ყოფილა შერჩენილი.

დემეტრე II გულშემატკივარი ადამიანი იყო: მას არც ლარიბ-ლატაკნი ავიწყდებოდნენ, რომელთა დახმარება მის ჩვეულებად იყო თურმე ქცეული. მაგრამ დემეტრე II არც თავის თავს ივიწყებდა: მას საკმაოდ დიდი უნარი ჰქონია, რომ იმ გაჭირვებულ ხანაშიც თავის პირად კეთილდღეობაზე ეზრუნა. ისევე, როგორც მისმა მამამ, დავით V, დიდი ქონების დაგროვება შესძლო, დემეტრე II-საც ასევე გამდიდრება მოუხერხებია: როდესაც დემეტრე II სიკვდილად იყო დასჯილი, ჩამორთმეული ქონების სიდიდემ, ვითომც თვით მონღოლთა ყაანიც-კი გაეოცებინოს. ეს გარემოება ცოტა არ იყოს უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს და მაშინაც, როგორც ეტყობა, ყველანი არ უნდა ყოფილიყვნენ მისი ვმაყოფილნი.

იმ ორმაგი ბუნებისდა მიუხედავად, რომელიც მას ცხადად ემჩნევა, მაინც მისი ძირითადი ზნეობრივი თვისება უკოლობლად ეკანასკნელი განსაცდელის დროს გამომჟღავნდა. მას შეეძლო ისევე მოქცეულიყო, როგორც მისი მამა დავითი V მოიქცა, რომელიც გაიხიზნა და ამგვარად თავისი თავი განსაცდელს გადაარჩინა. მას შეეძლო ოგივე ჩაედინა, რაც, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, მისმა შვილმა იკადრა, რომელმაც თავისი სიცოცხლის გადასარჩენად მთიულეთში შეხიზნა ირჩია და წლების განმავლობაში საქართველო მონღოლთა ყაანის მრისხანების ასპარეზად აქცია. დემეტრე II-ის გმირულმა გამბედაობამ ცხადყო, რომ მას ადამიანის ზნეობრივი მოვალეობა კარგად ჰქონდა შეგნებული და ამიტომაა, რომ მისმა ამ ნაბიჯმა თანამედროვეთა შორისაც აღტაცება გამოიწვია და ის უარყოფითი მხარეებიც აპატიებინა, რომელიც მას ჰქონდა. შთამომავლობამაც და ისტორიამაც საქართველოს მეფეთაგან თავდადებულის წოდებელებაც მხოლოდ მას მიაკუთვნა, რადგან საქართველო და ხალხი თავისი სიცოცხლის განწირვით მონღოლთა ყაანის არლუნის მრისხანებისა და აოხრებისაგან მართლაც იხსნა.

სრულიად საქართველოს მთლიანობის აღდგენა
ვახტანგ II დავით ნარინის-ძე (1280 — 1292 წ.)

დემეტრეს სიკვდილად დასჯის შემდეგ, დემეტრე II-ის არც ერთს შვილს, იმ ბრალდების გამო, რომელიც მათ მამას დააწვა, რასაკვირველია, არ შეიძლება იმედი ჰქონოდა, რომ საქართველოს სამეფო ტახტს ელირსებოდა. ხუტლუ-ბუღას მიერ ყაანისათვის წარდგენილი გეგმა მეტად ვიმეზიდეული იყო, რომ მონღოლთა ვბრძანებელს მისი განხორციელება არ ეცადა. ამიტომ არღუნ-ყაანმა ხუტლუ-ბუღას დაავალა, რომ თაისი დაპირება აესრულებინა და დასავლეთ საქართველოდან დავით IV-ის უფროსი ვაჟიშვილი, ვახტანგ II გადმოეყვანა.

ეს პოლიტიკური გეგმა ერანის ილხანისათვის ფრიად ხელსაყრელი იყო: ჯერ ერთი იგი საშუალებას მისცემდა თავისი საბრძანებელი დავით IV ნარინის ერანისადმი მტრობით გამსჭვალული პოლიტიკისაგან უზრუნველეყო. მეორე მხრით მისი ვაჟიშვილის აღმოსავლეთ საქართველოში სამეფო ტახტზე დასმით, საქართველოს გაერთიანებაც ხერხდებოდა. ამით მონღოლთა მბრძანებელს საშუალება ეძლეოდა მთელი საქართველო მონღოლთა ხელმწიფეების მონა-მორჩილად ექცია. რაკი დავით IV-ის სიკვდილის შემდეგ დასავლეთ საქართველოში მის მემკვიდრედ უეჭველად ვახტანგ მეორეკე გაბლებოდა, იმერ-ამიერეთიც ბუნებრივად გაერთიანდებოდა. პოლიტიკურ მნიშვნელობას გარდა, ეს მონღოლთა ყაანს ხარკის რაოდენობასაც გაუდიდებდა. საქართველოსათვის-კი ეს მხოლოდ იმდენად იყო ხელსაყრელი, რამდენადაც წინანდელი ორად გაყოფილობის მაგიერ სრულიად საქართველოს მთლიანობის აღდგენა შესაძლებელი ხდებოდა.

ხუტლუ-ბუღამ ვახტანგ II აღმოსავლეთ საქართველოში გადმოიყვანა, რომელსაც თან მისი მამა დავით-ნარინიც გადმოჰყვა: მას უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ მისი უფროსი ვაჟიშვილის გამეფებას საქართველოს ყველა დიდებულები იყვნენ მოწადინებულები. თაისი დასარწმუნებლად, რომ ვახტანგ II-ის წინააღმდეგ მტრული მოქმედება არ დაიწყებოდა, მან დიდებულებს ფიცი ჩამოართვა და ისევ ქუთაისში დაბრუნდა.

ხუტლუ-ბუღამ ვახტანგ უფლისწული არღუნ ყაანთან წაიყვანა დასამტკიცებლად. არღუნმა ვახტანგს მეფობაც უწყალობა და ცოლადაც ოლჯათი შერთო. ამ გზითაც ის უფრო მტკიცედ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული მონღოლთა მბრძანებელთან.

საქართველოში დაბრუნებულს მას საეკლესიო კურთხევის წესი აესრულებინა. ამით მისი სრულიად საქართველოს მეფობაც უკანონებელი ხდებოდა და ერანის ილხანების ბატონობაც სრულიად საქართველოზე დაკანონებული იყო. საქართველოსათვისაც ეს ამბავი სასიხარულო მოვლენას წარმოადგენდა, რამდენადაც მაშინდელ პოლიტიკოსებს ეს სრულიად საქართველოს აღდგენა ეგონათ ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. ნამდვილად, რასაკვირველია, ასე არ იყო: რადგან სამცხე უკვე საქართვე-

ლოს მეფეთ-მეფის ხელისუფლებას ალარ ემორჩილებოდა, დარუბანდზე ხომ ლაპარაკიც-კი ზედმეტი იყო.

ვახტანგ II დინჯი და მკლდნე მმართველი აღმოჩნდა. თავის მოღვაწეობაში მან თავდაბლობა და ქვეშევრდომთადმი მოწყალე და გულუბვი ადამიანის თვისებები გამოიჩინა. მართლმსაჯულებაშიც მან სამართლიანობითა და პირუთვნელობით გაითქვა სახელი.

ხუტლუ-ბუღას თაოსნობით გამეფებულმა ვახტანგ II-მ ყოველდღე შემძლებელ მოხელეს ათაბაგობა უწყალობა. ხუტლუ-ბუღას ამის შემდეგ იმედი უნდა მისცემოდა, რომ ის ისეთივე ბატონ-პატრონი გახდებოდა, როგორიც თავის დროზე მისი მამა სადუნ მანკაბერდელი იყო.

მაინც ხუტლუ-ბუღასათვის, ეტყობა, თვით ვახტანგ მეფესთანაც სათნო ადამიანთანაც კი ხანგრძლივი შეთანხმება ადვილი არ იყო. ორი წლის შემდგომ მათ შორის უკვე მტრობა გაჩაღდა. ხუტლუ-ბუღა დარწმუნდა, ვახტანგს თავის სათამაშო ბურთად ვერ გახდიდა: მას თავისი პოლიტიკური გეზიც ჰქონდა და სახელმწიფოებრივი ამოცანების შეგნებაც. რაკი ხუტლუ-ბუღას საშუალება ალარ ჰქონდა ისე თვითნებურად ემოქმედნა, როგორც მას უნდოდა, მაშინვე გადასწყვიტა, ვახტანგი საქართველოს სამეფო ტახტიდან ჩამოეგდო და მის მაგიერ დემეტრე II-ის ვაჟიშვილი დავითი აეყვანა. მისთვის ეს თუნდაც იმიტომ იყო ხელსაყრელი, რომ დავითი მცირეწლოვანი იყო და, მაშასადამე, მთელი საქართველოს მართვა-გამგეობა უეჭველად მას ჩაუვარდებოდა ხელში.

ხუტლუ-ბუღამ მონღოლთა ნოინებთან ამ საგანზე მოლაპარაკება გაბა, მაგრამ მაინც ვახტანგ II-ის გადაყენება ვერ მოახერხა. მან მხოლოდ ვახტანგი ისეთ მდგომარეობაში ჩააყენებინა. რომ მისი საქმე სასამართლომდე მიიყვანა, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა, თუ ვის იმ ორ პირთაგანს, ვახტანგ II-ეს, თუ დავითს, უფრო მეტი უფლება ჰქონდა, რომ საქართველოს სამეფო ტახტზე მჯდარიყო. ეს მით უფრო გამაცვიფრებელი იყო, რომ ვახტანგის მეფობა სრულიად საქართველოში უკვე ორი წლის წინათ თვით ყაანისაგან იყო გადაწყვეტილი. მაგრამ ხუტლუ-ბუღამ დასტური ვერც სასამართლოსაგან მიიღო. სასამართლო იმ გარემოებითაც ხელმძღვანელობდა, რომ ყველა გაველენიანი მოხელეები საქართველოში ვახტანგ II-ის მეფობის მომხრენი აღმოჩნდნენ. საქართველოს სამეფოს მესვეურთ კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ ხუტლუ-ბუღას საქართველოს მართვა-გამგეობის ხელში ჩაგდება და მეფის სათამაშო ბურთად ქცევა სწადდა.

თუმცა ხუტლუ-ბუღას ყოველივე ცდა ამაო გამოდგა, მაგრამ მას მაინც ნატერა აუსრულდა: ბედმა ვახტანგ II-ეს ხანმოკლე მეფობა არგუნა. მცირე ხნის ავადმყოფობის შემდეგ, ის გარდაიცვალა. სამი წლის განმავლობაში მეფობაზე მეტი, მას სრულიად საქართველოში მართვა-გამგეობა არ დასცალდა. ასეთი ხანმოკლე დროისდა მიუხედავად ვახტანგმა ყველას პატივისცემა დაიმსახურა. მისი ნაადრევი სიკვდილი თვით მის მოწინააღმდეგეს, დავით დემეტრეს-ძესაც-კი, დაჰნანებია. ერ-

თად-ერთი პირი, რომელსაც შესაძლებელია, ეს ამბავი გამხარებოდა, შეურისძიებელი ხუტლუ-ბუღა იყო.

თავისი ვაჟიშვილის ნაადრევი სიკვდილით თავზარდაცემული დავით IV ცოტა ხნის შემდგომ თვითონაც გარდაიცვალა.

სრულიად საქართველოს მთლიანობის კვლავ ჩაშლა. დავით VI-ე, დიმიტრის ძე, და კონსტანტინე დავით-ნარინის ძე

ვახტანგის ნაადრევმა სიკვდილმა, როგორც სრულიადი საქართველოს მთლიანობა, ისევე აგრეთვე ყველა ის იმედებიც ჩაშალა, რომელიც მის გამეფებაზე იყო დამყარებული. ვახტანგის შემდგომ ხუტლუ-ბუღას გულენით მეფედ დავითი იყო განზრახული, მაგრამ ქელათუ ყაანი მის დამტკიცებას არ ჩქარობდა, რადგან გართულებულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ ამის საშუალება არ მისცა.

როდესაც 1293 წელს დავით IV გარდაიცვალა, მისი სამი შვილიდან მეფობა პირმშო ვაჟიშვილს კონსტანტინეს ერგო, მაგრამ მას უმცროსი ძმა აუჯანყდა და რაჭა და არგვეთის თემები დაიპყრო. ამის შემდგომ დასავლეთ საქართველოში შუღლი და მტრობა ჩამოვარდა. დროგამოშვებით მდგომარეობა თითქოს გაუმჯობესდებოდა ხოლმე და მტრობა შენელდებოდა. შემდეგ ძმები კვლავ აიშლებოდნენ და ბრძოლა და სისხლის ღვრა ისევ იწყებოდა ხოლმე. ამ გვარად, წინად მშვიდობიანად მყოფი დასავლეთი საქართველოც შინაური ბრძოლის ასპარეზად იქცა.

ქელათუ ყაანს იმთავითვე საკუთარ სამფლობელოში აჯანყების ჩაქრობა მოუხდა და ამ ბრძოლაში მონაწილეობისათვის მან დავით უფლისწული წაიყვანა. მას უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ დავითი ისეთს ერთგულებას გამოიჩენდა, რომელიც მას უფლებას მისცემდა, შეთქმულებაში გარეული მამის ამ შვილს მიჰნდობოდა.

1293 წელს ქელათუმ დავით უფლისწული საბერძნეთში გაგზავნა აჯანყებულთა წინააღმდეგ საბრძოლველად და მხოლოდ მას შემდგომ, როცა ამ ლაშქრობაში მან მონაწილეობა მიიღო, უკან დაბრუნებისას მეფობა დაუმტკიცა. მეფობის დამტკიცებისთანავე, საქართველოში დააბრუნა და თან ქართველი დიდებულები. მათ შორის, რასაკვირველია, ხუტლუ-ბუღაც გამოაყოლა.

· დავით VI-ს მხოლოდ აღმოსავლეთი საქართველო ჰქონდა ხელთ, ამასთანავე მთელი მესხეთის გამოკლებით. როდესაც ის საქართველოში დაბრუნდა, მან გადაწყვიტა, მესხეთი თავის ხელქვეშეთ საბრძანებლად ექცია. მაგრამ სარგის ჯაყელის ძემ, ბექამ, დავით VI-ესთან მისვლა არ მოისურვა, რადგან თავის თავს იმდენად განდიდებულად სთვლიდა, რომ ყაანთან წასვლასაც აღარ კადრულობდა. მან მხოლოდ თავისი ვაჟიშვილი, სამცხის სპასალარი, სარგისი აახლა, რომლის ხელითაც დემეტრე თავდადებულისაგან მიბარებული ქონება მიართვა.

იმ დროს, როდესაც დავით VI-ე ჯერ კიდევ დამტკიცებული არ იყო, ჩრდილოეთ კავკასიიდან ოსებმა დაიწყეს საქართველოში შემოსევა. მათ

გორის ხელში ჩაგდებაც-კი მოახერხეს. მათ ძარცვა-გლეჯას საზღვარს მხოლოდ ქართლის ერისთავთ-ერისთავი ბეგა სურამელის ძე უდებდა. მაგრამ ოსთა გათამამების ასალაგმავად მონღოლთა მთავრობის დახმარებაც იყო საჭირო. მონღოლები-კი პირიქით მხარს სწორედ ოსებს უჭერდნენ. ამ დროიდან მოყოლებული, ოსთა თარეში შუა-გულ ქართლში იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენდა და ეს გარემოება დამახასიათებელია მაშინდელი აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ძლიერების უკიდურესი დასუსტებისათვის: მთავრობას უკვე აღარ შესწევდა ძალა სამეფოს მოსახლეობის მშვიდობიანი ცხოვრება და მეურნეობა უზრუნველეყო.

ერანის ილხანების ნოინებსა და ქელათუს შორის ჩამოვარდნილი მტრობის წყალობით, ერანში ისევ არეულობა დაიწყო. საქართველოში 1295 წელს თუქალ ნოინი იქნა გამოგზავნილი. თუქალი არარატის მთებში დადგა და, რაკი ერანის ილხანის წინააღმდეგ მას სრულებით გარკვეული მტრული ზრახვები ჰქონდა, მან დავით VI-თან მოლაპარაკება დაიწყო, დაუახლოვდა მას და უნდოდა, რომ დავით VI-თან, ზემოაღნიშნული პოლიტიკური ზრახვით ნაკარნახევი, ფიცსა და სიყვარულზე დამყარებული ურთიერთობა მოეხერხებინა. დავით IV-ეს გული რომ მოეგო, თუქალმა მას ღმანისი მისცა, ის ღმანისი, რომელიც თავის დროზე, როგორც ვიცით, დემეტრე II-ე იძულებული იყო ხუტლუ-ბუღას მამის სადუნ მანკაბერდელისათვის დაეთმო. თუქალ ნოინს უნდოდა, რომ ბაიდუს გაყაანებისათვის ნიადაგი მოემზადებინა და მის მომხრეთა ძლიერი ჯგუფი შეექმნა. მას იმედი ჰქონდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მეფე თავის ჯარითურთ ამ დასახულ მიზნის განხორციელებას გაუადვილებდა.

საქართველოში შეგროვილი ლაშქრითურთ თუქალი 1295 წელს ქელათუს წინააღმდეგ გაემგზავრა. ამ ამბის გაგებისთანავე ერანში ქელათუ ყაანი შეიპყრეს და 1295 წელსვე მოკლეს. უმალვე ბაიდუ იქნა გაყაანებული. მაგრამ შვიდი თვის და 10 დღის შემდეგ, ბაიდუც ყაზანმა მოაკვლევინა და თითონ გაყაანდა. მონღოლური წესით ყაზანმა ყველა მისი მომხრეების დასჯა გადასწყვიტა და ამის განხორციელება დაიწყო კიდეც. რამდენადაც დავით VI ბაიდუს მომხრე თუქალთან ხელშეკრულებით იყო დაკავშირებული, მისი მდგომარეობა მეტად გაუარესდა, მაგრამ ამ განსაცდელს თავი დააღწია· თუქალმა ერანიდან გამოქცევა მოახერხა. ბექასთან მოვიდა სამცხეში, რომელმაც თუქალი შეიფარა.

ყაზან ყაანმა მაშინვე თავისი ელჩი გამოუგზავნა აღმოსავლეთ საქართველოს მთავრობასაც და ბექასაც მოსთხოვა, რომ თუქალი და მისი შვილი, რომელიც დავით VI-ესთან იყო შემოხიზნული, გაეცათ. არცერთ მათგანს ამ მოთხოვნის ასრულება არ სურდა, — თავშეფარებული პირის გაცემა არ შეიძლებოდა, — ამიტომ მათ ყაანის წინაშე შუამდგომლობა დაიწყეს, თუქალისათვის უვნებლობის ფიცი მიეცა და, თუ პატიებას აღუთქვამდა, მაშინ გამოუშვებდნენ და დაანებებდნენ. ყაზან ყაანმა ასეთი პირობა მისცა და თუქალი და მისი შვილი მართლაც

ერანში გაგზავნეს. ცხადია, რომ უაზანი ამის გამო დაეით მეფის კმაყოფილი ვერ იქნებოდა, მაგრამ თითონ დაეით VI-საც კარგად ესმოდა, რომ მონღოლებს მისი მტრული განწყობილება ისე ადვილად არ დაავიწყდებოდათ, ამიტომ უაზან ყაანთან წასვლა მან ვერ გაბედა.

უაზან ყაანის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა თავის საბრძანებელში

1295 წელს ყაანად ქცეული უაზანი მხოლოდ ოცი წლის ჭაბუკი იყო, მას მაჰმადიანობა ჰქონდა მიღებული და, როგორც მაჰმადიანმა, გულხოლგინეობა გამოიჩინა და ქრისტიანეთა დევნა დაიწყო. ქრისტიანეთა დევნისდა მიუხედავად, უაზანი ქვეყნის კარგი მმართველი გამოდგა: სამართლიანობისა და წესიერების დამყარებას ცდილობდა, ქვეყნის კეთილდღეობის აღდგენას დიდ ყურადღებას აქცევდა. ხოლო საშართალი იმდენად უყვარდა, რომ ისტორიკოსის ცნობით, მის დროს უსამართლობა არც დიდსა და არც მცირეს არ შეჰხრჩენია. უაზანმა სახელმწიფო მართვა-გამგეობის ყველა დარგში ცვლილება მოახდინა, მიაქცია ყურადღება იმ ბოროტმოქმედებასაც, რომელიც მონღოლთა საყაანოში გადასახადების აკრეფის დროს ჩვეულებრივ სწარმოებდა. ხალხის ხელახალი აღწერის შემდგომ, მან განსაზღვრა, თითოეულ მეკომურს რამდენი გადასახადი უნდა გადაეხადა. „ხარკის კანონი" შეადგინა და დედნიდან გადაღებული და ბეჭდით შემოწმებული პირი დაურიგა მებეგრეებს, რომ თითოეულ მათგანს სცოდნოდა, თავის წილად საყაანოს სალაროში რამდენი გადასახადი უნდა შეეტანა. ასეთი გადასახადების ნორმები მან ქვებზედაც კი ამოაკვეთინა და მოედნებზე და მიზგითებში ამ შინაარსის წარწერები გააკეთებინა.

მიწის გადასახადებით მეტად დატვირთულობისა და მევახშეობის გამო, მიწის დამუშავება ერანის საყაანოში ხელსაყრელი არ იყო. გლეხები თავიანთ მიწას სტოვებდნენ და გარბოდნენ. ქვეყანას გაოხრება მოელოდა. უაზან ყაანმა ასეთ მდგომარეობას ყურადღება მიაქცია და, გაუკაცრიელებული ქვეყანა რომ კვლავ აღდგენილი ყოფილიყო და მოსახლეობისათვის მიწის დამუშავების ხალისი დაებრუნებინა, დააკანონა, რომ ყოველი მეკომური, რომელიც გაპარტახებულ მიწას დაამუშავებდა და კორდს გასტეხდა, პირველ წელიწადს უნდა გადასახადისაგან განთავისუფლებული ყოფილიყო, მეორე წელიწადს გადასახადის მხოლოდ ერთ მესამედს გამოართმევდნენ, მესამე წელიწად-კი ნახევარს. გაუკაცრიელებულ მიწებში ხალხის დასასახლებლად, მან საგანგებო დაწესებულებაც-კი შექმნა. მაგრამ მაინც მარტო ამ საშუალებით ძალზე გატყავებული გლეხკაცობის ზიზილეა ვერ მოხერხდა: ხალხი მაინც გარბოდა. ამიტომ მიწის მუშისათვის რომ მიწის დამუშავება ხელსაყრელი გაეხადა, მან გამოაქვეყნა კანონი, რომლის მიხედვითაც მიტოვებული მიწის დამუშავება, ვისიც არ უნდა ყოფილიყო იგი, ყველას, მესაკუთრის დაუკითხავადაც, შეეძლო.

თუნდაც რომ შემდეგში პატრონი გამოსჩენოდა, მათ კორდგატეხილი მორწის წართმევის უფლება არ ჰქონდათ.

ყველა ასეთმა ღონისძიებამ მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობა ცოტათი მაინც გააუმჯობესა. მაგრამ ვერც ეს აღმოჩნდა საკმარისი. ამიტომ მოსახლეობის აყრის შესაჩერებლად და სოფლებიდან სხვაგან გადასახლების მოსასპობად ყაზანმა სოფლის მოსახლეობას თვითნებურად სხვაგან სადმე გადასვლა აუკრძალა. ამ რიგად სოფლის მოსახლეობა მიწაზე იყო მიმაგრებული და მისი დამუშავება მის აუცილებელ მოვალეობად იქცა.

ბრძოლა დავით VI-ისა და ყაზან ყაანს შორის და ამის შედეგი

1297 წელს ყაზან ყაანმა დავით VI-ე თავისთან დაიბარა, მეფე თითქოს აპირებდა კიდეც წასვლას, მაგრამ შემდეგ, როდესაც წასვლის დრო დადგა, მან კახეთში ყოფნის დროს, დარბაზის კარს მყოფ ყველა უმაღლეს მოხელეებს ჰკითხა, წასულიყო ურდოში, თუ არა. იმ კავშირის გამო, რომელიც მას წინათ თუკალთან ჰქონდა, დავით VI-ეს ყაზან ყაანის შურისძიების ეშინოდა. ყველა ეაზირებმა წასვლა ურჩიეს, მაგრამ მეფემ ამ რჩევისათვის ყურისგდება არ მოისურვა და, ერანში წასვლის მაგიერ, მთებისაკენ იბრუნა პირი და ქინვაში გამაგრდა. ქინვასთან მან სიბა შეკრა (ე. ი. საურები გააკეთა) და შიგ თავისი ჯარი ჩააყენა. ამავე დროს დავით VI-ემ ჩრდილოეთ კავკასიის გზით ოქროს ულუსის ყაანს თავისი უმცროსი ძმა ვახტანგი გაუგზავნა მოციქულად და შეუთვალა, რომ მას ერანში შესასვლელად გზას მისცემდა. მას უნდოდა, ჩრდილოეთისა და ერანის ურდოები ერთიერთმანეთისათვის წაეკიდებინა და ამით განსაცდელისათვის თავი დაეღწია.

ჩრდილოეთის ულუსიის ყაანმა ელჩები, რასაკვირველია, სიამოვნებით მიიღო და ეს წინადადებაც სიხარულით მოისმინა. სამაგიეროდ ერანის ილხანისათვის ჩრდილოეთ ილხანის და აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური კავშირის ასეთი შესაძლებლობა დიდ საშიშროებას წარმოადგენდა, რადგან უმოკლესი გზა, დარიალის კარი, რომელიც ჩრდილოეთის ულუსს საშუალებას მისცემდა ერანის ილხანების სამფლობელოს შეესევოდა, სწორედ აღმოსავლეთ საქართველოში იყო. ამიტომაც ყაზან ყაანმა გადასწყვიტა, როგორმე დავით VI-თან შეთანხმება მოეხერხებინა, და შემოუთვალა, რომ მასთან ზავს დასდებდა, თუ-კი ის ყაზან ყაანს შეპირებდა, რომ მისი ერთგული იქნებოდა და მის მტრებთან (რასაკვირველია, ჩრდილოეთის ულუსის ყაანები იგულისხმებოდნენ) კავშირს შესწყვეტდა.

ამ დროიდან მოყოლებული დავით VI-ე სიტყვიერად წლითიწლობამდე ასეთ პირობაზე თანხმდებოდა, მძევლებსაც აძლევდა, მაგრამ ყაზან ყაანთან მისვლას და მინდობას მაინც ვერ ბედავდა.

როდესაც ყაზან ყაანი დარწმუნდა, რომ დავით VI-ე თავის სიტყვის პატრონი არ იყო და, ერთგულების ფიცის მიუხედავად, მაინც

ჩრდილოეთის, ანუ ოქროს ურდოს ყაან თოხთასთან მოლაპარაკებას გაბა-
გრძობდა, განრისხებულმა 1299 წელს გადაწყვიტა, აღმოსავლეთ საქარ-
თველოში დავით VI-ის მაგიერ სხვა ვინმე გაემეფებინა. მისი არჩევანი სა-
ხელდობრ დავით VI-ის უმცროს ძმა გიორგიზე შეჩერდა. ის, მართალია,
ამ დროისათვის ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო, და მესხეთის მთავარს
ბექა ჯაყელთან იზრდებოდა, მაგრამ ყაზან ყაანმა მაინც მისი მოყვანა
გადაწყვიტა. გიორგი უფლისწული ჩამოეყვანილ იქნა და ის გაამე-
ფეს კიდევაც. რაკი, მეფობა ნამდვილად მას არ შეეძლო და ის ტფი-
ლისში იჯდა, ამიტომაც მას ტფილისის მეფე ეწოდებოდა.

ქართლი, მთიულეთი, მთელი ჩრდილო მთიანეთი და საერთოდ მთელი
საქართველოს ჩრდილოეთი ნაწილი დავით მეფის ხელში იყო. დავით
VI-ე მონღოლთა ყაანის ლაშქარს ენერგიულად ებრძოდა და დიდ ზიანსაც
აყენებდა მას. ვერას გზით მონღოლთა ყაანის მოხელეებმა მისი ხელში
ჩაგდება ვერ მოახერხეს, მაგრამ ქვეყანას მონღოლთა ჯარის დგომითაც
და ლაშქრობითაც მაინც დიდი ზიანი მოსდიოდა: ქართლი აოხრებული
იყო, მთიულეთის ის ნაწილი, რომელშიც მათ შესვლა შეეძლოთ, ასეთივე
მდგომარეობაში იყო ჩაყრდნილი.

1301 წელს გაზაფხულზე რომ ყაზან ყაანის ნოინი ყუთლუ-შაჰი მო-
ვიდა დიდი ლაშქრითურთ, ტფილისამდე მოაღწია მთიულეთში შე-
სასვლად. ამდენი ხნის განმავლობაში განსაცდელში მყოფ მოსახლე-
ობას სისხლის ღვრისა და ქვეყნის აოხრების საშიშროებამ დავით
VI-დმი გული და დამოკიდებულება შეუცვალა. მონღოლთა წინააღმდეგ
ბრძოლას ყოველგვარი მნიშვნელობა ეკარგებოდა, რადგან რამდენადაც
დავით VI-ე მთიანეთში იყო მოშწყვდეული, მას მეფობის საშუალება
აღარ ჰქონდა და აღმოსავლეთ საქართველოს მთელი შეაგული ნაწი-
ლიც სულ მთლად აოხრებულ ქვეყნად იქცა. ამიტომაც ამერეთის დი-
დებულებამ მეფეს სთხოვეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ წინასწარ ერანის
ილბანისაგან უვნებლობის ფიცს მიიღებდა, ყაზან ყაანთან წასულიყო. ისიც
დათანხმდა და ყაანთან თითქოს წასვლასაც აპირებდა, მიიღო კიდეც ყა-
ზან ყაანისაგან უვნებლობის ფიცი. ყველა დარწმუნებული იყო, რომ
დავით VI-ე ამ თაეის უკანასკნელ შეპირებას მაინც ასრულებდა, მაგრამ,
როდესაც წასვლის დრო დადგა, მეფემ ისევ წასვლა აღარ მოისურვა და
წინანდებურად მთიულეთში გამაგრდა. ყველას საშუალება ჰქონდა და-
რწმუნებულიყო, თუ რა დიდი განსხვავება იყო მის მამას დემეტრე II-ეს,
თაედადებულად წოდებულსა, და მის შვილს დავით VI-ეს შორის, რომე-
ლიც თაეის თაეის გადასარჩენად ამდენი ხნის განმავლობაში მონღოლებს
ქვეყანას აოხრებინებდა.

მაშინ დიდებულთა უმრავლესობა მეფისაგან ნებართვის მიღების შემ-
დგომ, ერანის ილბანს დაემორჩილა. ყაზან ყაანის მთავარსარდლისათვის
ეს გარემოება ფრიად სასიხარულო უნდა ყოფილიყო. საქართველოსათ-
ვის-კი ეს სახელმწიფოებრიობის სრული დაშლის მომასწავებელი იყო:
დავით VI-ე მეფედ ითვლებოდა, მაგრამ მას თითქმის სამეფო უკვე აღარ
ჰქონდა. იმის მაგიერ, რომ მონღოლთა ლაშქართან ეომნა, რისაც მოსახ-

ლეობის იმ ნაწილს აოხრებდა, რომელიც მონღოლთა ხელისუფლებასთან ერთად იყო. ამრიგად ერთსადაიმავე დროს ქვეყანა მონღოლთა ლაშქრის თარეშისაგანაც, სამხედრო მოქმედებისაგანაცა და თვით დავით VI-ის ხელითაც ოხრდებოდა.

რაკი ასეთი გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფს დავით VI მომხრეთა უმრავლესობა შემოეფანტა, მას უკვე ყველას წინააღმდეგ ეპარებოდა ეჭვი. თვით საკუთარი ძმის ნდობაც-კი მას დაკარგული ჰქონდა: ვახტანგ ბატონიშვილი ქინვანის ციხეში დააპატიმრა. მაგრამ მან მაინც გამოპარვა მოახერხა და იქანე ბურსელთან მივიდა. ხანმოკლე დროით შერიგების შემდეგ, ძმებს შორის კვლავ უთანხმოება ჩამოვარდა და ვახტანგ ბატონიშვილი იძულებული გახდა დავით VI-ე მიეტოვებინა. ეხლა-კი ის უკვე ერანის ილხანის ურდოში გაემგზავრა.

რაკი ყაზან ყაანმა დავით VI-თან ვერც შერიგება მოაბერხა, ვერც მისი დაჭერა შესძლო. ამიტომ, დავით VI-ის მაგიერ, სამეფო ტახტზე მისი ძმის ვახტანგის დასმა გადასწყვიტა. ვახტანგ III-ესთან ერთად მოსულმა მონღოლებმა მისი გამეფების გასაადვილებლად სამცხის პატრონის ჯარი და სომხეთის თემების მოლაშქრეებიც შეზოიერთეს. ეხლა-კი დავით VI-ე დარწმუნდა, რომ მის მეფობას მართლაც განსაცდელი მოელოდდა, ამიტომ გადასწყვიტა, რომ შეთანხმება სჯობდა. ერანის ილხანისათვის იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ საქართველოს პოლიტიკური კავშირი ჩრდილოეთ ულუსთან როგორმე შეენარჩუნებინა, რომ, ამდენი უპირობის მაგალითის შემდგომაც, ერთხელ კიდევ სცადა დავით VI-სათვის დაეთმო და უენებლობის ფიცი მისცა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც დავითმა თავის შეპირება დაარღვია. დავით VI-ეს ბედი ეხლა-კი უკვე საბოლოოდ გადაწყდა და მონღოლებმა მეფობა ვახტანგ III-ეს დაუმტკიცეს. დავით VI-ეს ალარაფერი დარჩენოდა, იმაც უნდა მთიულეთში დაბრუნებულიყო.

ამ რიგად დავით VI-ე საკმაოდ მარკვე გამოდგა, რომ მონღოლთა ნებრძანებელს ხელში არ ჩავარდნოდა, მან აგრეთვე მთიულეთისა და მთიანეთის გამაგრებაც იმდენად მოახერხა, რომ მონღოლებმა მათ განკარგულებაში მყოფი საკმაოდ დიდი სამხედრო ძალისდა მიუხედავად, მაინც შიგ მთიულეთში შესვლა ვერ შესძლეს. ცხადია, ამ გარემოებამ მონღოლთა ძლევამოსილებას ჩრდილი მიაყენა: ყველას შეეძლო დარწმუნებულიყო, რომ მონღოლთა ილხანებისათვის ასეთი პატარა მოწინააღმდეგის დაძლევაც-კი უკვე ადვილი საქმე ალარ იყო. მაგრამ თუ ერანის მბრძანებლის ლაშქარს ზარალი მოსდიოდა, თვით აღმოსავლეთი საქართველო. რომელიც ხუთი წლის განმავლობაში თითქმის განუწყვეტელი სამხედრო ბრძოლის ასპარეზად იქცა, უფრო უარეს მდგომარეობაში იმყოფებოდა: აოხრდა მთლიანად ყველა თეში, სადაც ბრძოლა სწარმოებდა ხოლმე. სხვაგანაც-კი, სადაც მონღოლთა ჯარი მხოლოდ დაბანაკებული იყო, ხვნა-თესვა და სასოფლო სამეურნეო სამუშაოები შეუძლებელი ხდებოდა. მიწა დაუმუშავებელი დარჩა და ამის გამო აღმოსავლეთ საქართველოში შიმშილობა გაჩნდა, რომელმაც ისედაც გაჭირვებულ ხალხს მეხრი გააელო. დამშეულნი მირბოდნენ მესხეთში, სადაც, ბეჭა მანდატურთ-

უხუცესის მეუღლის გულშემატკივრობის წყალობით. გაჭირვებულებს ყოველნაირ დახმარებას უწევდნენ. ამან ოდნავ შეანელა ის უბედურება, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს დაეცა VI-ის პოლიტიკის წყალობით თავს დაატყდა.

მესხეთი და მისი მმართველნი: სარგის სამცხისა სასახლარი და მანდატურთ უხუცესი ბეჭა-ჯაყელი ციხისჯვარელი

სარგის ჯაყელმა რომ თავისი თავი ულუსიანად გახადა და თაეისი საგამგეო საქართველოს მეფის ხელისუფლებისაგან გამოაყოფინა. მას საქართველოს საკმაოდ დიდი ტერიტორია ერგო: მისი საბრძანებელი ტაშისკარიდან მოყოლებული კორნუ ჭალაქამდე იყო გადაჭიმული. ის უშეალოდ ყაანის საკუთარ ქონებათა სამართველოს ემორჩილებოდა, ხასინჯუს უწყებაში იმყოფებოდა. მაგრამ გამოყოფის შემდგომაც. სარგისმა ის წოდებულება შეინარჩუნა, რომელიც მას ჰქონდა. და წინანდებურად სამცხის სასახლარად იწოდებოდა. მისი ვაეიშვილიც. შემდეგ მისი შემკვიდრე და სამფლობელოს გამგე, ბექაც. მანდატურთუხუცესად იწოდება. თვით სარგის ჯაყელი დემეტრე II-ის დროს დაწინაურდა და მეჰურჭლეთ უხუცესობაც მიიღო. ეს გარემოება ცხადყოფს. რომ საქართველოსა და მესხეთს შორის პოლიტიკური კავშირი მთლიანად შეწყვეტილი არ ყოფილა და დამოკიდებულებაც ამა თუ იმ სახით უეჭველად უნდა ყოფილიყო.

სარგის ჯაყელმა რომ თაეისი სამფლობელო ულუსიანად აქცია. მისი მოვალეობა იმ ვალდებულებით განისაზღვრებოდა, რომელიც ჩვეულებრივ ყაანის საკუთარ ქონებათა სამართველოში იყო დაწესებული. მაგრამ შემდეგში. როდესაც მესხეთის მთავრების ხელისუფლება განმტკიცდა, დამოკიდებულება მესხეთსა და ერანის ყაანს შორის ისეთივე ჩანს. როგორიც დანარჩენ ყველა ყმადნაფიც სამფლობელოებსა და ერანის ილბანს შორის არსებობდა: ბექა ციხისჯვარელი ხარაჯას იხდიდა და მონღოლებს ლაშქრით ეწეოდა. როდესაც ამას მოითხოვდნენ ხოლმე.

ბექა მანდატურთუხუცესი ენერგიით სავსე, მარჯვე ქვეყნის მმართველი იყო. მან გარეშე მტრის მოგერიებაც და თავის სამფლობელოში სრული მშვიდობიანობის დამყარებაც მოახერხა.

მისი მთავრობის დროს რუმის თურქმანთა შემოსევა დაიწყო მესხეთში. მათ თაეიანთ ჩვეულებრივს საქმიანობას, ძარცვა-გლეჯასა და თარეშს მიჰყვეს ხელი. როცა ბექა მანდატურთუხუცესმა. გაიგო. რომ ვინმე აზატ მოსეს მეთაურობით შემოსეული საკმაოდ მრავალრიცხოვანი რაზმი ქვეყანას აოხრებდა, მაშინვე თავის საკუთარ ჯარსაც მოუწოდა და მის მახლობლად მდებარე სამფლობელოებსაც სთხოვა დახმარება.

ბექა მანდატურთუხუცესმა თავმოყრილს ჯარს, შემდეგი სიტყვით მიმართა: მთავარნო საქართველოსანო, ძმანო და თანამონათესავენო ჩემნო! დიდმა და სახელგანთქმულმა მეფემ დავითმა ალთქმა და გაანადგურა

თურქთა ტომები და საქართველოს სამეფოდან განდევნა. იმ დროიდან მოყოლებული საქართველოს ისინი აღარ უნახავს. ეხლა ჩვენ ისეთ მდგომარეობაში ჩავარდით, რომ კელაე ასეთივე თარეში დაიწყო და ამაზე, რაც უკვე მოხდა, უეჭველია, უარესიც არის მოსალოდნელი. ეს იმის შედეგია, რომ საქართველოს მეფე მონღოლთა მძლავრობისაგან დამცრობულია და მის გამოც, რომ საქართველოს მეფენი ცალკ-ცალკე არიან გამდგარნი და თურქთა ამ ძალადობას წინააღმდეგობას არაიან უწევსო.

ბექა მანდატურთუხუცესის მიერ წარმოთქმული ასეთი პოლიტიკური შინაარსით გამსჭვალული სიტყვა კარგად მოწმობს, რომ მას, როგორც იმდროინდელი მდგომარეობის სირთულე, ისე აგრეთვე ის მიზეზიც, რომლითაც გამოწვეული იყო საქართველოს მაშინდელი დასუსტება, ესმოდა, მაგრამ მას ერთი რამ აეიწყდებოდა. თუ საქართველო მაშინ დასუსტებული იყო, ამ დასუსტებაში მხურვალე მონაწილეობა მის მამას სარგის ჯაყელსა და მასაც პირადად ჰქონდა მიღებული. როგორც მესხეთის მმართველს, მას არაფერი გაუკეთებია, რომ მამის შეცდომა გამოესწორებინა და თავისი სამშობლოს დასუსტების ერთ-ერთი მიზეზთაგანი თითონვე მოესპო. როდესაც თვით მესხეთის მთავარი განსაცდელში იყო, მას საქართველოს მთლიანობისა და თანხმობის აუცილებლობა აგონდებოდა, მაგრამ, როდესაც განსაცდელი უკვე თავიდან მოშორებული ჰქონდა ხოლმე, მასაც ისევე, როგორც ყველა დანარჩენ მთავრებსაც, ყველაფერი ავიწყდებოდათ.

მესხეთის მბრძანებელს მხოლოდ 12 ათასი ჯარის კაცის შეყრა შეეძლო, მოხერხებული სამხედრო გეგმის წყალობით. ბექა მანდატურთუხუცესმა შემოკრებილი მტრის არამც-თუ დამარცხება შესძლო, დაედევნა კიდეც მას და დიდი დაცლაც ჩაიგდო ხელში.

რუმის თურქმანთა შემოსევა საყურადღებოა, როგორც საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის სანაპიროზე თურქთა გაძლიერების დასაწყისი მოვლენა, რომელსაც შემდეგში უალრესი მნიშვნელობა ჰქონდა და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და თვით ამაეე მესხეთისათვისაც საბედისწერო შედეგი მოჰყვა. მაგრამ მაშინ, როგორც ჩანს, არც მესხეთის მთავრებს, არც საქართველოს სამეფოს ჯერ კიდევ კარგად არ ჰქონია გათვალისწინებული, რომ თურქთა ტომების გაძლიერება საქართველოსათვის უდიდეს საშიშროებას წარმოადგენდა და ასეთი განსაცდელის წინაშე ყველანი უნდა ცდილიყუნენ წინააღმდეგობა შეერთებული ძალით გაეწიათ. რაკი ამის შეგნება არ ჩანდა, ამიტომაც მთლიანობის აღდგენაზე არც უზრუნია ვისმეს. პირიქით ცალკეული თემების მმართველნი სულ იმის ცდაში იყვნენ, საქართველოს მთავრობისაგან რაც შეიძლება მეტი დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ და ხელისუფლება თითონ ჩაეგდოთ ხელში. ასეთ პირობებში ისიც კარგი იყო, თუ ცალკეული თემის მმართველი ქვეყნისათვის ხვირთიანი გამგე მაინც აღმოჩნდებოდა. ასეთ მოთხოვნილებას ბექა მაინც საკმაოდ კარგად აკმაყოფილებდა.

ბექა მანდატურთუხუცესმა ჯაყელმა მესხეთში დიდი წესიერების დაყარება შესძლო. მართლმსაჯულებასაც ის ყურადღებას აქცევდა: სწო-

რედ მისი მთავრობის დროს იყო მოწვეული საკანონმდებლო კრება, რომელმაც სამართლის წიგნი შეადგინა, იმდროისათვის ახლად აღმოჩენილ სხვადასხვა ბოროტმოქმედების ასალაგმავად. ამ სამართლის წიგნს ეწოდება „წიგნი სამართლისა კაცთა შეცდომებისა (ე. ი. დანაშაულებისა) ყოველისაებე". უეჭველია, ეს ძეგლი ქართული სამართლის ისტორიისათვის საყურადღებოა.

ბექა მანდატურთუხუცესს ტრაპიზონის საკეისროში საქართველოს პოლიტიკურ ინტერესებზე ზრუნვაც დააწვა ვალად. ქართველთა და ბიზანტიელთა მომხრე დასებს შორის არსებული ბრძოლა, რომლის შესახებაც ამაზე უწინარეს ხანში გექონდა საუბარი, არ შეწყვეტილა შემდეგშიაც, პირიქით, ის თანდათან ძლიერდებოდა.

საქართველოს დასუსტებასთან დაკავშირებით, ბიზანტიას უნდოდა ეს გარემოება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა და ტრაპიზონის საკეისრო მთლიანად ხელში ჩაეგდო. ბიზანტიის კეისარმა და მისმა მთავრობამ განზრახ შეთბზეს ამბავი. ვითომც 1297 წელს გარდაცვლილს ტრაპიზონის კეისარს იოანეს თავისი მცირეწლოვანი შვილკვიდრის ალექსი II-ის მეურვეობა ბიზანტიის კეისრის ანდრონიკე II პალეოლოგოსისათვის ეანდერძოს. ამ ვითომც-და დაკისრებული მოვალეობის შეგნებით, ანდრონიკე II-მ გადაწყვიტა, რომ ჰაბუკ ალექსისათვის ცოლი მოეძებნა და შეერთვეინებინა. ამგვარად გამზადებული იყო ტრაპიზონის კეისრის სარძლო. რომ მოულოდნელად ეს კარგად მოფიქრებული გეგმა ჩაიშალა.

საქართველოშიცა და ტრაპიზონშიც მშვენივრად ესმოდათ, თუ რით იყო ბიზანტიის კეისრის ასეთი მზრუნველობა ნაკარნახევი. და, სანამ კოსტანტინეპოლში ამის შესახებ მსჯელობა ჰქონდათ, ტრაპიზონის კეისარმა ბექა მანდატურთუხუცესის ასული შეირთო ცოლად. ამგვარად ქართველთა მომხრე დასმა ბიზანტიის მთავრობას დაასწრო. განრისხებული ანდრონიკე II იმუქრებოდა, რომ ეს ქორწინება უკანონო იყო, რადგან მას, როგორც მეურვეს, უნდა ვითომც შეჰკითხებოდნენ. მაგრამ კონსტანტინეპოლის საპატრიარქო სინოდმა ქორწინების უკანონობისათვის საფუძველი ვერ ჰპოვა.

მაშინ ანდრონიკე II-ემ სთხოვა თავის დას, რომ მას შვილზე გაელენა მოეხდინა და შერთული ცოლი გაეშვებინა. მისი და თანხმობას აცხადებდა, მაგრამ, თუ საშუალება ექნებოდა ტრაპიზონში დაბრუნებულიყო. ბიზანტიის მთავრობამაც თანხმობა მისცა. მაგრამ ტრაპიზონში მისვლისთანავე. დამ ძმას. ბიზანტიის კეისარს, უმტყუნა და, არამცთუ არაფერი გაუკეთებია იმისათვის, რომ მის შვილს თავისი ქართველი ცოლისათვის თავი დაენებებინა. არამედ მას ზურგსაც-კი უმაგრებდა.

ამ გვარად ტრაპიზონის საკეისროში საქართველოს მომხრე პოლიტიკურმა დასმა გაიმარჯვა. ქართული გაელენაც, უეჭველია, ამის შემდგომ ძალზე უნდა გაძლიერებულიყო. ამ გაძლიერების წყალობით. საკეისროს თურქმანთა შემოსევის ალაგმვაც შესძლო, ზღვის სანაპიროზე მეკობრობის მოსპობაც. მაგრამ ბიზანტიის მთავრობა ტრაპიზონის საკეისროს მოსვენებას არ აძლევდა. ალექსი II-ს, ტრაპიზონის კეისარს, ბექას ასუ-

ლისაგან ოთხი ვაჟი შეეძინა, რომელთაც სახელად: ანდრონიკე, ვასილი, მანუელი, აზიზუტლუ და გიორგი-ალბუღა ეწოდებოდათ.

ალექსი II-ე გარდაიცვალა თუ არა და მის მემკვიდრეს ანდრონიკეს ხანმოკლე სიცოცხლე ხედა წილად. საკეისრო ტახტზე მცირეწლოვანი მანუელი უნდა ყოფილიყო აყვანილი. ბიზანტიის მთავრობამ უმალ ეს გარემოება თავის სასარგებლოდ გამოიყენა და მოულოდნელად კონსტანტინეპოლიდან ტრაპიზონში ალექსი II-ის შვილი ვასილი მოვიდა. რომელსაც კონსტანტინეპოლში ცოლად ბიზანტიის კეისრის ანდრონიკე II-ის უკანონო ქალიშვილი, ირინედ სახელდებული, ჰყავდა ცოლად შერთული. ამ ამბისათვის ბიზანტიის მთავრობას საიდუმლოდ წინასწარ ჰქონდა მომზადებული ნიადაგი. ჩაიგდო თუ არა ხელისუფლება ხელში ახალ მოსულმა ვასილმა და ბიზანტიის მომხრე ჯგუფმა, მაშინვე საქართველოს მომხრე მოწინააღმდეგე ჯგუფის ხოცვა-ჟლეტვა დაიწყო. ამ დევნის პირველი მსხვერპლი დიდი დუკა ლეკი ჭანჭიძე გახდა, რომელიც სამხედრო და სამოქალაქო უფლების მქონებელი დიდი მოხელე იყო. მეორე მსხვერპლად დიდი დომესტიკოსი ჯაბა იქცა, რომელიც ტრაპიზონის ჯარის უფროსად ითვლებოდა. მათი სადაურობა უკვე მათი სახელებისა და გვარებიდანაც ნათლად ჩანს. ასეთივე ბედი, რასაკვირველია, საქართველოს მომხრე დასის სხვა წარმომადგენლებსაც ეწვიათ. მაგრამ ესლენი დიდი მარცხის შემდგომაც, საქართველოსა და მის მომხრე პოლიტიკურ წრეებს ბრძოლა არ შეუწყვეტიათ.

ვახტანგ III-ე (1302 — 1308 წ.)

ვახტან III-ის სამეფო მთელს აღმოსავლეთ საქართველოსაც-კი აღარ შეიკავდა: დავით VI-ეს წინანდებურად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთით შემოფარგლული თავისი სამფლობელო ეპყრა. რაკი სამცხეც გამოყოფილი იყო, ვახტანგ III ნამდვილად ტფილისისა და ტფილისის სამხრეთით მდებარე ნაწილის დამანის-სამშვილდის მმართველად იქცა. მხოლოდ ვახტანგ III-ის მშვიდობიანმა ხასიათმა შეუწყო ხელი, რომ ასეთ დაჩაგრულობის დროსაც საქმე უფრო მეტად არ აირია. მას ისეთი არაფერი გაუკეთებია, რომ ძმათა შორის სისხლის ღვრა გამოეწვია და ცდილობდა ყოველნაირად, რომ თავის ძმას დავითს არ შეჰბრძოლებოდა.

ვახტანგ III-ეც ისეთსავე მდგომარეობაში იმყოფებოდა. რომ მას თავისი სახელმწიფოებრივი ნიჭის გამოჩენისათვის ძალიან მცირე საშუალება ჰქონდა: ისიც უმთავრესად ერანის ილხანთან ლაშქრობაში იღებდა მონაწილეობას და ქართველთა სამხედრო ძალას მეთაურობდა. მაგალითად 1299 წლის ნოემბრიდან მოყოლებული ის ყაზან ყაანისგან ეგვიპტის სულტნის წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში იყო წასული. ამ დროს მონღოლებმა ქალაქი ჰემსი აიღეს, იერუსალემიცა და ქალაქი დამასკოც, რომელიც 1300 წელს ქართველთა და სომეხთა ჯარისაგან შემდგარ ნაწილს ჩაეკარდა ხელში და სადაც მათ დიდი სიმკაცრეც გა-

მოიჩინეს. ოთხი თვის შემდგომ დამასკოელნი ერანის ილხანს აუჯანყდნენ და ამიტომ 1300 წელს მათ წინააღმდეგ ლაშქრობის მოწყობა კელაე საჭირო გახდა. ეახტანგ III-ს საქართველოს სამხედრო ჯარითურთ ისევ უნდა მიეღო მონაწილეობა. ამ დროიდან მოყოლებული 1303 წლამდე მიმდინარე ომი 1303 წელს მონღოლთა საშინელი დამარცხებით დამთავრდა. ამ ბრძოლამ მონღოლთა და ქართველთა მოლაშქრეთა დიდძალი რიცხვი იმსხვერპლა, თვით სარდალმაც-კი ძლივს მოახერხა სიკვდილისაგან თავის დაღწევა. ყაზან ყაანი თავისას არ იშლიდა და სამზადისში იყო, რომ აჯნყებულებისათვის სამაგიერო გადაეხადა. მაგრამ ავად გახდა და 1304 წელს მოკვდა კიდეც.

ერანის ილხანად ყაზანის მაგიერ მისი ძმა ოლჯაიტუ დასვეს. რომელსაც მაჰმადიანურად ხუდაბანდა, ე. ი. „უფლის მონა" ერქვა, მაგრამ ხალხმა მას ერანში დაკისნით ხარბანდა ე. ი. მევირე უწოდა. ოლჯაიტე ყაანმა გილანელთა დამორჩილებით სახელის მოხვეჭა მოიწადინა, რომელნიც მანამდის ვერც-ერთს ერანის ბრძანებელს ვერ დაეპყრო. გილანელთა სამფლობელო ეიწრო ხეობებიანს მაღლობ მთიანეთს წარმოადგენდა, რომლის შეკერა სრულებით ადვილი იყო.

1303 წელს ოლჯაიტემ მრავალრიცხოვანი ლაშქარი შეკუარა და საქართველოდანაც ეახტანგ III-მე და სამცხის სპასალარი დაიბარა თავიანთ ჯარითურთ. გილანელები შემოსეულ მტერს თავგანწირულად ებრძოლენ და მარჯვედ სარგებლობდნენ იმ უპირატესობით, რომელსაც მათ სამშობლოს გეოგრაფიული მდებარეობა. ვიწრო ადვილად შესაკრავი და მტრის გასანადგურებლად თითქოს განზრახ შექმნილ ხეობები, ანიჭებდა ერანის ილხანის ლაშქარი დამარცხდა. ხუდაბანდა ყაანი იძულებული იყო თავისი სამხედრო ძალისათვის უკან დაეხევინებინა. მამაკი გილანელები უელა შემთხვევით სარგებლობდნენ, რომ გზები შეეკრათ და დამარცხებული მტრისათვის უფრო მეტი ზიანი მიეყენებინათ. მონღოლთა სარდლებმა, როგორც იერიშის მიტანა, ისევე, უკანა-მავალი ჯარის დაცვა სწორედ საქართველოს ჯარს მიანდვეს. რასაკვირველია, ქართველთა იმ რაზმიდან, რომელიც მონღოლთა ყაანის ლაშქრის უკან დახევას იცავდა, დიდძალი მეომარი შეეწირა მსხვერპლად. 1306 წელს ერანის ილხანის ლაშქარი როგორც იყო სამშვიდობოში გამოვიდა და უკანში მოიყარა თავი.

ეახტანგ III-ე 1308 წელს გარდაიცვალა, ხოლო სამი წლის შემდგომ ნიკრისის სენად წოდებული ავადმყოფობისაგან მისი უფროსი ძმა დავით VI-ც მოკვდა. მის მაგიერ ერანის ილხანმა, ოლჯაიტე ყაანმა, მისი შვილი მცირეწლოვანი გიორგი დასვა, მას თან თავის სამხედრო ძალაც გამოაყოლა, რომ მთელი საქართველო მისი ხელისუფლების ქვეშ ყოფილიყო თავმოყრილი. მონღოლებისათვის საქართველოს ასეთი პოლიტიკური დაქუცმაცება მიზანშეწონილი არ იყო. დაჩაგრული საქართველოს გაერთიანების გეგმის განსახორციელებლად, რომელიც მონღოლთა ინტერესებით იყო ნაკარნახევი, ერანის ილხანის ნოინებმა შანშე მხარგრძელი და ზაქარია. ავაგის ასულის ხვაშაქის ნაშობი, დანიშნეს. მათ ენდო-

დათ, რომ მთელი ალმოსავლეთი საქართველო მაინც გაეერთიანებინათ. უპირველესად მესხეთი უნდა ყოფილიყო შემოერთებული. მივიდნენ კიდეც მესხეთის მთავართან, მაგრამ მათი ყოველგვარი ცდა ფუჭი აღმოჩნდა: მას არავითარი სურვილი არ ჰქონდა, შანშე და ზაქარია მხარგრძელების ხელში ჩაეარდნილიყო, ჩადგან ცხადი იყო, რომ მცირეწლოვანი მეფის მაგიერ ხელისუფლებას ისინი ჩაიგდებდნენ.

ერანის მონღოლთა ხელისუფლების დასუსტება, მათი დაშლა და საქართველოს მთლიანობისა და დამოუკიდებლობის აღდგენა

გიორგი V-ი ბრწყინვალე

ყაზან ყაანი უკანასკნელი მმართველი იყო ერანის მფლობელთა შორის, რომელმაც მონღოლთა უკუღმა დატრიალებული პოლიტიკური ბედის შეჩერება სცადა. მაგრამ ბედის ჩარხის უკუღმა მოტრიალება მანაც ვეღარ მოახერხა: საკმარისი იყო ის გარდაცვლილიყო, რომ ერანში ძველებური მდგომარეობა კელავ გამეფებულიყო. შინაგანმა ბრძოლამ, მონღოლთა შორის მოხელეთა თვითნებობამა და ბოროტმოქმედებამ, უკვე კარგა ხნით ადრე დაწყებულმა სამხედრო ძლიერების შესუსტებამ მონღოლთა ბატონობას ერანსა და მის ყმადნაფიცს ქვეყნებში ბოლო მოუღო.

საქართველოს მდგომარეობა XI-XIII ს. დამლევს და XIV ს. დამდეგს. მონღოლთა ბატონობის ანარეკლი და შედეგი

მონღოლთა ხანგრძლივმა ბატონობამ საქართველოში მსახერალი გავლენა მოახდინა. არა ერთხელ გვქონდა აღნიშნული ის მძიმე პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა, რომელშიც მაშინ საქართველო იმყოფებოდა. ყაზან ყაანის ცდამ მდგომარეობა მხოლოდ ხანმოკლე დროის განმავლობაში გამოასწორა. შემდეგში იმაზე უფრო უარესი პირობები შეიქმნა.

მონღოლთა ყაანების ბატონობის მთელი საშინელება თვით მონღოლთა მთავრობის სათავეში მდგომ აბუსაიდ ყაანის იმ იერლაყშიც (ანუ სიგელში) არის კარგად ალბეჭდილი, რომელიც 1319 წლის ახლოხანში გამოცემული იყო, და რომელიც სპარსულად დაწერილი ტექსტი სხვათაშორის ანისის შანუჩეს მიზგითის კედელზეც იყო გამოკვეთილი. აბუსაიდ ყაანს ამ თავის ხრძანებაში ნათქვამი აქვს, რომ საქართველოში და საქართველოს ქალაქებში, მათ შორის ანისშიაც, ისეთი უწესობა ყოფილა, რომ კანონით განსაზღვრულ გადასახადს, დამღასა და სამართლიან ბაჟს გარდა თურმე სრულებით თვითნებურად და უკანონოდ მრავალი სხვადასხვა გადასახადი და გამოსალებელიც იკრიბებოდა. ამ მდგომარეობაში მყოფი საქართველოს ქალაქების მოსახლეობა ისე ყოფილა შეწუხებული, რომ ხალხიო, ნათქვამია იერლაყში, ქალაქებიდან და სოფლებიდან გარბის, თავისი უძრავი და მოძრავი ქონება, სახლკარი მიატოვა და

ათაბაგო. ამიერიდან ეს თვითნებობა და უკანონობა ამიკრძალია და კანონიერ გადასახადს, დამლსა და სამართლიან ბაჟს გარდა, ნურავინ გაბედავს აკრებასაო.

ამ ოფიციალური საბუთით დასტურდება, რომ მონღოლთა ბატონობამ საქართველო ისეთ მდგომარეობაში ჩააგდო, რომ ხალხი უნდა თავის სამშობლოდან აყრილიყო და სადმე გახიზვნით ეშველა თავისთავისათვის. თუმცა მონღოლთა ბატონობის ხანაში, უზარმაზარი სახელმწიფოს დაარსების წყალობით, სხვადასხვა ქვეყნისა და სხვადასხვა მოდგმის ხალხებმა ერთი-ერთმანეთი გაიცნეს, მათ შორის კულტურული ურთიერთობაც-კი დამყარდა და მისი გავლენა ხელოვნების დარგშიაც ჩანს. ამ ხანაში წინანდელთან შედარებით გეოგრაფიული ცოდნაც უალრესად გაფართოვდა და დასავლეთ ევროპას და მახლობელ აღმოსავლეთს საშუალება მიეცათ შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებიცა და მათი მოსახლეობის კულტურაც თავისივე თვალით ენახათ, მაგრამ ეს მონღოლთა შეგნებული პოლიტიკური საქმიანობისა და მზრუნველობის ნაყოფი-კი არ იყო, არამედ მოელუნათა უნებლიეთს. თავისთავადს შედეგს წარმოადგენს.

მონღოლთა ბატონობის დროს სოციალურ წესწყობილებასაც დიდი ცვლილება დაეტყო: სამხედრო მართვა-გამგეობაზე დამყარებული მონღოლთა სახელმწიფოებრიობა საბჭედრო ხელისუფლებით აღჭურვილ პირთა აღზევებას საქართველოშიც უწყობდა ხელს. ამიტომაც იყო, რომ სწორედ XIII-ე საუკუნეში საქართველოში დაწინაურდნენ მთავრებად წოდებულნი საქვეყნოდ გამრიგენი, რომელთაც მთელი თემების მართვა-გამგეობა ჩაუვარდათ ხელში.

ამავე ხანაში აზნაურთა წოდების განშრევებაც ანუ დიფერენციაციაც ცხადად მოჩანს. წოდებრივ ფენათა შორის უმაღლესი საფეხური საქართველოში წინანდებურად აზნაურებს ალარ უკავიათ, არამედ, როგორც ეს ბექა მანდატურთუხუცესის საკანონმდებლო ძეგლიდან ჩანს, აზნაურებზე უფრო მაღლა უკვე დიდებულები დგანან. თავადობა, როგორც წოდებრიობა, XIII და XIV საუკუნის განმავლობაში არა ჩანს, მაგრამ მაინც აზნაურები იმ პირველ წოდებად, რომელსაც წინათ მთელი ქვეყნის მესაჭეობა ჰქონდა ხელში ჩაგდებული, უკვე ალარ არიან.

ამდროინდელ სოციალურ წესწყობილებაში მომხდარი მეორე ცვლილება წოდებრივი ღირსების შერჩენის სიძნელეა. იმ მრავალგვარი პოლიტიკური და ეკონომიური ფაქტორების გამო, რომელთა შესახებაც წინა თავებში იყო საუბარი, საგვარეულოებსა და კერძო პირებსაც თავიანთი წინანდელი წოდებრივი მდგომარეობის შენარჩუნება უძნელდებოდათ, რადგან წოდებრიობა დამყარებული იყო გარკვეულ ეკონომიურ საფუძველზეც. მათი გალარიბება უნებლიეთ მათ დაქვეითებას იწვევდა, ისევე, როგორც დაბალი წოდების საგვარეულოს აღზევება შეეძლო და არაერთი თავისი ჭკუბრიეი მდგომარეობისა და სამსახურობრივი დაწინაურების წყალობით აღზაევებულა კიდეც. ამ გარემოებამ მაშინდელი საქართველოს მოსახლეობის მალალ ფენებში დიდი ცვლილება მოახდინა: დიდი საგვა-

რეულოების წარმომადგენელნი ბევრგან მოისპნენ, მათ მაგიერ-კი საის-ტორიო და პოლიტიკურ ასპარეზზე უკვე დაბალი წოდებრივი წრიდან სამსახურით, თუ ქონებრივი ავლა-დიდების მოპოვებით დაწინაურებულ-აღზევებული პირები არიან გამოსულნი.

საგრძნობი ცვლილება, დასასრულ, აგრეთვე სოფლის მოსახლეობის მდგომარეობაშიც მოხდა. ერანის ილხანების მძარცველობითმა ფინანსიურმა პოლიტიკამ და მოხელეთა ბოროტმოქმედებამ მიწის მუშაკი ისეთ მდგომარეობაში ჩააგდო, რომ მას. მიწის დამუშავებას, გაქცევა ერჩივნა. რაკი სოფლის მოსახლეობა თავის მიწაწყალს მრავლად სტოვებდა კიდეც და ცდილობდა, იმ საშინელებისათვის თავი დაეღწია. ყაზან ყაენმა სცა. და აღმოეფხვრა ყველა ის ბოროტმოქმედება, რომელთა შედეგადაც საყაენოში ასეთი საბედისწერო მდგომარეობა დამყარდა. მაგრამ მაინც მიწის გაუკაცრიელების შეჩერება ძნელდებოდა, ამიტომაც ყაზან ყაენმა, როგორც ეტყობა, თავის მიწაწყლის თვითნებურად მიტოვება და სადმე სხვაგან გადასახლება აკრძალა. ვინც ამას ჩაიდენდა, ის თავის ქვეყანაში და თემში უნდა იძულებით ყოფილიყო დაბრუნებული, ამას გარდა, ის უნდა დაესაჯათ კიდეც.

რამდენადაც საქართველო ერანის ილხანების ყმადნაფიცი სამფლობელო იყო, ასეთი კანონი საქართველოშიც უნდა ყოფილიყო ძალაში შესული და მისი გავლენის ანარეკლიც ცხოვრებაში უცილობლად აღბეჭდილი იქნებოდა. საქართველოშიც ყმათა მიწასთან მიმაგრების დამამტკიცებელი ცნობები ამ ხანისათვის მოგვეპოვება კიდეც. ყმათა მდგომარეობის ასეთი გაუარესების გამო, შეუძლებელია პატრონყმური დამოკიდებულებაც უალრესად არ გამწვავებულიყო და ამ ნიადაგზე ბრძოლას არ ეჩინა თავი.

მონღოლთა წესი და ჩვეულება ადამიანის კერძო ყმობას სამოხელეო ხელისუფლებაზე დამყარებული დამოკიდებულებისა და ყმობისაგან ვერ არჩევდა. მონღოლთა ბატონობის გავლენით, ქართველმა საქვეყნოდ გამრიგეებმაც მოინდომეს, რომ საქართველოში მათ ხელქვეშეთ მყოფი მოსახლეობა ისეთ დამოკიდებულებაში ჩაეგდოთ. რა დამოკიდებულებაც მათსა და მათ პირად ყმებს შორის არსებობდა. ეს უფრო ადვილი იყო იქ, სადაც მოსახლეობა მათგან დამოკიდებული იყო მართვა-გამგეობის მხრივ, საქართველოს მთიანეთში.

მთიანეთის მოსახლეობას მისი უფლებების ასეთი შეზღუდვა და დაპატრონების ასეთი წადილი მტკივნად უნდა ეგრძნო და მკაცრი წინააღმდეგობაც გაეწია. მართლაც, „ძეგლის დადებიდან" ირკვევა. რომ სწორედ გიორგი ბრწყინვალეს ხანამდე, ე. ი. XIII საუკუნის მეორე ნახევარში და XIV საუკუნის დამდეგს საქვეყნოდ გამრიგე მოხელეთა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის მთიანეთში ძალიან გამწვავებული ურთიერთობა ყოფილა. ამ საკანონმდებლო ძეგლში აღნიშნულია, რომ იქ მთელი სოფლის, ან მთელი ხეობის, თუ მთელი თემის შეზრახებითა და მონაწილეობით ჩადენილი მკვლელობა გავრცელებული ყოფილა. მკვლელობაში ერთოდენ მრავალი პირისა და მთელი სოფლის. ანდა ხეო-

ბა-თემის მონაწილეობა, რასაკვირველია, შესაძლებელია მხოლოდ სოციალური ბრძოლის ნიადაგზე მომხდარიყო: მოსახლეობა გამგესა და მოხელეს იმიტომ-კი არ ებრძოდა, რომ მისი პირადი მტრობა ჰქონდა, არამედ მას ებრძოდა, როგორც საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფალს, რომელსაც მოსახლეობის უფლებების ხელში ჩაგდება ჰსურდა.

გიორგი ბარწყინვალის შინაური და საგარეო პოლიტიკა

ასეთს მძიმე პირობებში იმყოფებოდა საქართველო, როდესაც გიორგი ბარწყინვალეს თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის დაწყება მოუხდა. როგორც უკვე ვიცით, ის ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო სამეფო ტახტზე აყვანილი და ტფილისში იმყოფებოდა. მაშინ მას თავისი ხელისუფლების გამოყენება არ შეეძლო, მაგრამ, როდესაც ის მოწიფა, მან ქვეყნის შესაჭეობას უკვე თითონ მოჰკიდა ხელი.

გიორგი ბარწყინვალეს საქართველოს მეფეთა შორის, ბაგრატ III-ის, დავით აღმაშენებელისა და თამარის შემდგომ, ყველაზე უფრო აქვს სახელი მოხვეჭილი. მისი ქება-დიდება ყველა იმდროინდელ ქართულ ძეგლებშიც გვაქვს დაცული და უცხოელთა წყაროებშიც მოგვეპოება. მონღოლთა დროინდელი ქართველი ეკლესიამწერელი გიორგი ბარწყინვალის შესახებ ამბობს, რომ ის იყო „უმჯობესი ყოველთა კაცთა მის ჟამთასათა. კრაოდენ ხელმწიფეთა, არამედ ყოველთა კაცთა“-ო. მეორეგან ის გიორგი ბარწყინვალეს უწოდებს „საკვირველს და უმჯობეს ყოველთა კაცთა შორის“. განკერძოების პოლიტიკის მიმდევარ ალბერტ აიაბაგ ამირსპასალარსაც-კი გიორგი ბარწყინვალე მოხსენებული ჰყავს, როგორც „დიდი და წარჩინებული მეფე გიორგი“.

მაშინდელი საქართველოში, მეტადრე მთიანეთში ქვეყანა ისე იყო არეული, რომ „დიდი უსამართლობა და მძლავრებულობა“ იყო გაბატონებული, ერთმანეთზე „ღალატად დასხმა“, ციხეების დაკვება, მკვლელობა, ცოლის წაგვრა და სხვა მრავალფერი „ულესობანი“ იყოო გავრცელებული. შუღლი და მტრობა ჩამოვარდნილი იყო სხვადასხვა თემის მოსახლეობას შორისაც. თემთა ერთი-ერთმანეთზე თავდასხმა ამ დროს იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენდა. თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის დაწყებისთანავე, გიორგი ბარწყინვალემ ბრძნულად განსაჯა, რომ თემსა ერანის ილხანები უკვე კარგად დასუსტებულები იყვნენ. მაგრამ საქართველოსთან ბრძოლა მათ მაინც შეეძლოთ, მეტადრე იმის გამო, რომ წინანდელი მთლიანი საქართველოს მაგიერ, დაქუცმაცებული და გაობრებული ქვეყანა იყო. ამიტომ მან გადასწყვიტა, რომ პირველად ქვეყნის გაერთიანების განხორციელებას შესდგომოდა. ამისათვის-კი საჭირო იყო, რომ გიორგი ბარწყინვალეს საშუალება ჰქონოდა, ურჩი ქვეყნები და მთავრები ისე აელაგმა, რომ ერანის მთავრობას მათთვის მხარი არ დაეჭირა.

1316 წელს რომ ჩობან ნოინმა ერანის ილხანად აბუსაიდი დასვა, ის თორმეტი წლის ყმაწვილი იყო, ამიტომ ქვეყნის მართვა-გამგეობა ჩობანს ჩაუვარდა ხელში. გიორგი ბარწყინვალემ გადაწყვიტა, რომ ამ ჩო-

ბანთან მჭიდრო კავშირი დაეჭირა და ურჩი ქვეშევრდომების წინააღმდეგ ბრძოლის დროს თავისი თავი მასთან შეთანხმებული პოლიტიკის წყალობით უზრუნველეყო.

ჩობანი საქართველოს მეფის მეგობარი იყო, ის გიორგი ბრწყინვალეს აფასებდა. გიორგი ბრწყინვალეც, რომელსაც დასახული მიზნებისათვის ხელსაყრელი იყო, მისი რჩევით ხელმძღვანელობდა ხოლმე. ჩობანსაც არასდროს დახმარებაზე უარი არ უთქვამს და საქართველოს მეფისათვის ზურგი გაუმაგრებია. მათი ასეთი დამოკიდებულება პოლიტიკურ ანგარიშზე იყო დამოკიდებული: ჩობანი აფასებდა გიორგის ნიჭს და ჭკუას, ამიტომაც მას ეთათბირებოდა ხოლმე ერანის საბრძანებლის საქმეებზე და გიორგი ბრწყინვალე ჩობანისათვის ძვირფასი და საჭირო იყო მარტო როგორც პირადი მეგობარი-კი არა, არამედ როგორც მისი თანამოაზრე და თანაგამზრახი.

რაკი ერანის ილხანების ძლიერება შერყეული იყო და მონღოლთა ჯარი მათთვის სანდო სამხედრო ძალას აღარ წარმოადგენდა, შინაური შეღლიანობის გამოც, საქართველოს ჯარის გულადება-კი მათთვის კარგად იყო ცნობილი, ამიტომაც საქართველოს ჯარის მომხრეობას მონღოლთა მბრძანებლებისათვის ერანში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა და საქართველოს სამხედრო ძალა ჩობანისათვის ერთგვარ საყრდნობს წარმოადგენდა. ზემოაღნიშნული გარემოება გიორგი ბრწყინვალისათვის ხელსაყრელი იყო, რადგან მას საშუალება ჰქონდა ამით ესარგებლა. იმ განსაკუთრებული დამოკიდებულების გამო, რომელიც გიორგი ბრწყინვალისა და ჩობანს შუა დამყარდა, საქართველოს მეფეს საშუალება ჰქონდა იმდენად თავისუფლად ემოქმედნა თავის სამფლობელოში, რომ, თუმცა მონღოლთა ილხანების ბრძანება საქართველოშიც მოდიოდა, მაგრამ თანამედროვის ცნობით, მას საქართველოში ძალა აღარ ჰქონდა. მონღოლთა ერანის მბრძანებლებს საქართველოში ლაშქარიც საკმაოდ შემცირებული ჰყავდათ. 10 ათას მოლაშქრეზე მეტი, მათ აქ არ გააჩნდათ. ესეც უმთავრესად საქართველოს საზღვრების დასაცავად იდგა. გიორგი ბრწყინვალე, სანამ მონღოლთა ილხანების დახმარება მისთვის ჯერ კიდევ საჭირო იყო, რასაკვირველია, ამ ურთიერთობის მოშლობას არ ფიქრობდა, მერმე-კი, როდესაც გამაგრება და ქვეყნის გაერთიანება შესძლო, მან უკვე ადვილად მოახერხა, ერანის ილხანების შერყეული მდგომარეობა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. როდესაც 1327 წელს აბუსაიდი სრულწლოვანად იქცა და თავისდა საუბედუროდ, თავისი მზრუნველის ჩობან ნოინის მეურვეობისაგან თავის დახწევა ისე მოიწადინა, რომ ჩობანი და მისი ორი ვაჟიშვილი მოაკვლევინა, მის საბრძანებელში არეულობა ატყდა და ილხანების ხელისუფლების აღსასრულის დღეც მოახლოვდა.

საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენა

პირველს აუცილებელ ამოცანას საქართველოში შინაური მშვიდობიანობის დამყარება შეადგენდა: თუ ოსთა თარეში, რომელსაც შუა

გულ ქართლისათვის ასეთი ზიანი მოჰქონდა, არ მოისპობოდა, საქართველოს მოღონიერება არ შეეძლო. ამიტომ გიორგი ბრწყინვალე სწორედ მათი თარეშის ალაგმვასა და მათი ურდოების საქართველოდან განდევნას შეუდგა. რადგან ოსთა სამხედრო ძალა გორში იყო გამაგრებული, ამიტომ გორს ალყა შემოარტყა და, სამი წლის ბრძოლის შემდგომ, გორი აიღო და ოსები განდევნა.

მეორე ამოცანას მთაეართა თვითნებობისა და მათი დამოუკიდებლობისადმი მიდრეკილების მოსპობა წარმოადგენდა: თე ცალკალკე გამდგარი მთაელები ალაგმული არ იქნებოდნენ, საქართველოს პოლიტიკურ დასუსტებას არასოდეს ბოლო არ მოეღებოდა. რაკი წინათ ასეთს გამდგარ მთაელებს საქართველოში მფარველობას მონღოლები უწევდნენ და ისინიც აქეზებდნენ, ეხლა გიორგი ბრწყინვალეს. აბუსაიდის ყოველმხრივ ვაზირთან შეიდრო კავშირის წყალობით, თაეის ურჩ მოხელეთა წინააღმდეგ შეეძლო უკვე უშიშრად ემოქმედნა. გიორგი V-ემ ჰერეთ-კახეთისა და სომხითის ერისთავნი, რომელნიც-კი წინათ მონღოლებს ემხრობოდნენ, კახეთში ცეის მთაზე მიიწვია და ამოაწყვეტინა.

დასავლეთ საქართველოს შემოერთების გეგმის განსახორციელებლად ის უფრო ფრთხილად იქცეოდა: ნარინ-დაეითის გარდაცვალების შემდგომ, მისი ეაეშვილი კონსტანტინე რომ გამეფდა, მას, როგორც ვიცით მისივე ძმა მიქელი აუჯანყდა. მათ შორის მტრობა კარგა ხანს გრძელდებოდა და, 1327 წელს, რომ კონსტანტინე გარდაიცვალა, მიქელი ბოლოს მეფობას ელირსა. მაგრამ მას ორ წელიწადზე მეტი არ უცოცხლია: 1329 წელს ის უკვე კედარი იყო. მას პატარა ბაეშვი, ბაგრატი, დარჩა. გიორგი ბრწყინვალემ ამ შემთხვევით ისარგებლა, დასავლეთ საქართველოში გადაეიდა, ჭუთაისი აიღო და ბაგრატი თან წამოიყვანა. ამით საქართველოში XIII საუკუნეში არსებული ორმეფობა მოსპო და საბოლოწიფოებრიეი მთლიანობა აღადგინა.

1334 წელს რომ მესხეთის მთაეარი სარგის II-ე გარდაიცვალა, მისი ეაეშვილი ყვარყვარა თითონ გიორგი ბრწყინვალემ დასეა და დაამტკიცა ამრიგად მესხეთის მთაერის სამფლობელოც შემოუერთდა სრულიად საქართველოს.

გიორგი ბრწყინვალის ზრუნვა სამართლისა და ფინანსებისათვის

გიორგი ბრწყინვალემ კარგად იცოდა, რომ მარტო პოლიტიკური გაერთიანებით საქართველოს განახლება შეუძლებელი იყო: შერყეული კანონიერება და სამართლიანობაც უნდა აღდგენილი ყოფილიყო ქეეყანაში. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საქართველოს ისეთს ჩამორჩენილ თემებს, როგორიც, მაგალითად, მთიულეთი იყო. საკანონმდებლო კრების მოწვევის შემდგომ, მან ამ მთიანეთისათვის ქართული სამართლის წიგნი „ძეგლის დადება“ შეადგენინა, რომელშიაც ამ თემის მაშინდელი უფლებრივი მდგომარეობაც და იურიდიული შეგნებაც არის აღ-

ბეჭდილი. ამავე ხანაში დაწერილია „ხელმწიფის კარის გარიგება", რომელიც გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებასაცა და საფინანსო-ეკონომიურ ორგანიზაციასაცა გვისურათებს. იქ მაშინდელი საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების მაღალი დონე და ეკონომიური მდგომარეობის საგრძნობი მოღონიერება კარგად არის ალბეჭდილი. მარტო იმდროინდელი დარბაზობის აღწერილობიდანაც კარგად ჩანს, რა სისწრაფით მოუხერხებია საქართველოს ძალის მოკრება იმ ხანგრძლივი უბედურების შემდეგაც, რომელიც მას მონღოლთა ბატონობის თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში ჰქონდა გამოვლილი.

გიორგი ბრწყინვალემ საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებასაც მიაქცია ყურადღება: წინა ხანაში, ყაზან ყაანის დროს მოჭრილი ფულის მაგიერ, რომელიც ყ ა ზ ა ნ უ რ ი თეთრის სახელით იყო საქართველოში ცნობილი, საკუთარი ფული მოსპრა. ყაზანურობა, ე. ი. ყაზან ყაანის დროინდელი ფული, გიორგი ბრწყინვალეს დროს უკვე გამქრალი ჩანს. მან შემოიღო ახალი ქართული ვერცხლის ფული, რომელსაც შემდეგში და როგორც ეტყობა მის დროსაც გ ი ო რ გ ა უ ლ ი თეთრის სახელი ჰქონდა მიკუთვნებული.

გიორგი ბრწყინვალეს შორსგამჭვრეტელმა პოლიტიკამ საქართველოს საშუალება მისცა გაერთიანებულიყო კიდეც, სახელმწიფოებრიობაც განემტკიცებინა და ეკონომიურადაც ძალლონე მოეკრიბა. საქართველოს მდგომარეობის ასეთი გაუმჯობესება საქართველოს დედაქალაქსაც კარგად დაეტყო. მე-14 საუკუნის მესამე ათეულში ტფილისი საუკეთესო, ერმრავალ, მდიდარ და შესანიშნავ ქალაქად ითვლებოდა. თავისი ოდინდელი მნიშვნელობა მას იმდენად ჰქონდა აღდგენილი, რომ რომის პაპმა და კარდინალების საბჭომ თავიანთ მოქადაგეობის ცენტრად მაბლობელ აღმოსავლეთში ტფილისი აქციეს და ქალაქ სმირნიდან საქართველოს დედაქალაქში გადმოიტანეს.

XIV საუკუნის პირველ ნახევრისათვის საქართველომ, გიორგი ბრწყინვალის სამხედრო ნიჭისა და სახელმწიფოებრივი წინდახედული პოლიტიკის წყალობით, თავისი წინანდელი სახელგანთქმულობის აღდგენა იმდენად შესძლო, რომ მისი ძლიერების ხმამ ეგვიპტემდისაც მიაღწია. საქართველო მაშინ დიდ ქვეყნად ითვლებოდა და ძლიერ სახელმწიფოდ იყო მიჩნეული. ეგვიპტის მთავრობამ იცოდა, რომ მაშინდელ საქართველოში მტკიცე სახელმწიფოებრიობა იყო დამყარებული და საქართველოს ჯარის მამაცობა და ქრისტიანობის მტკიცედ დამცველობის სახელგანთქმულობაც ჰქონდათ გაგონილი.

საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობის გაძლიერების გარემოებანი გამოხატულება

საქართველოს მნიშვნელობის გაძლიერება კარგად მოჩანდა იმ მიმართვის წესშიც, რომელიც ეგვიპტის სულტნების კარზე იყო მიღებული, როდესაც ისინი საქართველოს მეფეებს თავიანთ ეპისტოლეებს უგზავ-

ნიდნენ ხოლმე. არაბული წყაროების ცნობით, ისინი საქართველოს მეფეს ასე სწერდნენ ხოლმე: „დღეგრძელპყოს ალლაჰმა ბრწყინვალება მისი უდიდებულესობისა, ხელმწიფისა სახელოვანისა და სახელგანთქმულისა. მამაცისა, უშიშრისა, ძლიერისა, დაუცხრომელად მებრძოლისა. ლომისა, ტახტ-გვირგვინის მპყრობელისა, თავის სარწმუნოების მფარველისა, თავის ქვეშევრდომთათვის სამართლიანისა. ბერძენთა, (ე. ი. მართლმადიდებელთა) მეფეთა შორის საუკეთესოსა. ქართველთა სულტნისა. ზღვათა და სრუტეების განძისა, რაინდთა დამცველისა, თავის წინაპარ. თაგან ტახტ-სკიპტრის დამამკვიდრებელისა. რუმისა (ე. ი. ძველ საბერძნეთის) მეფეთა და ერანის ქვეყნების მემკვიდრისა, ასურეთის მეფეთა მფარველისა, გვირგვინოსანთა შორის უპრჭუელესისა. ქრისტიანობის განმადიდებელისა, იესოს სარწმუნოების საყრდნობისა. წმინდა ადგილთა (ე. ი. პალესტინა-იერუსალემის) განმადიდებელისა. ნათელღებულთა მისაყრდნობისა, რომის პაპის მეშველისა. მუსლიმანთა მეგობრისა, დაახლოებულ მეგობართა შორის უმშვენიერესისა, მეფეთა და სულტანთა უგულითადესი მეგობრისა"-ო.

ამ მომართვაში აღბეჭდილია ის ძლიერება, რომელიც საქართველოს გიორგი ბრწყინვალემ კვლავ მოუპოვა. თუმცა იგი მახლობელ აღმოსავლეთში ქრისტიან მეფეთა შორის უსახელოვანესად ითვლებოდა, მაგრამ მაინც საქართველოს მთავრობის სათავეში მდგომ პირისათვის, ქრისტიანეთა დამცველობისდა მიუხედავად, მუსლიმანთა მეგობრობაც საკმებელ თვისებად იყო ცნობილი: ძველი პოლიტიკური გეზი, რომელიც ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროიდანვე ჰქონდა საქართველოს მთავრობას აღებული, გიორგი ბრწყინვალესაც მთლიანად დაუცავს და მასაც თავის მოღვაწეობაში სახელმწიფოებრივი ინტერესით უხელმძღვანელია.

გიორგი ბრწყინვალის ზრუნვა საქართველოს წინანდელ საერთაშორისო უფლებათა და პოზიციების დასაბრუნებლად

თავის ქვეყნის პოლიტიკური ძლიერების განმტკიცების შემდგომ, გიორგი ბრწყინვალემ XIII საუკუნეში შერყეულ საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის გაბოსწორებაც დაიწყო, მას უნდოდა საქართველოსათვის ოდიეე უფლებები დაებრუნებინა, რომელიც მას ძლიერების ხანაში ჰქონდა.

წარსულში საქართველოს ქრისტიანთა მთავარ სალოცავ ადგილებში, თუ პირველი არა, საპატრო ადგილი მაინც ყველგან ჰქონდა მოპოვებული: სადაც კი მაშინდელი განათლების მთავარი ცენტრები იყო, ყველგან თავისი ქართული კულტურის კერა-სავანეები ჰქონდა. XI საუკუნეში პროხორეს თაოსნობით ქართველებმა ჯვარის მონასტერი ააგეს. დავით აღმაშენებელმა სინას მთის მწვერვალზე, სადაც, ებრაელთა გადმოცემით, ვითომც მოსე წინასწარმეტყველს ათი მცნება უნდა მიეცეს ებრაელებისათვის, ქართული ეკლესია ააგო, ქართული წირვა-ლო-

ცეითურთ მოწყობილი. ყველა ამას საქართველოსათვის მარტო წმინდა სარწმუნოებრივი მნიშვნელობა არ ჰქონდა, არამედ ეს აგრეთვე საერთაშორისო სფეროშიც საქართველოს დიდი ხელდრითი წონის გამომხატველიც იყო. XIII საუკუნეში ქართველთა ყველა ეს უფლებები შეილახა: პოლიტიკურ-ეკონომიურ დაკნინებასთან ერთად. მას ბევრგან თავისი წინანდელი პოზიციებიც ჰქონდა დაკარგული.

გიორგი ბრწყინვალეს საქართველოს საერთაშორისო ძლიერების წინანდელი გარეგნული გამოხატულების აღდგენა სწადდა. მას უნდოდა, რომ მაჰმადიან მმართველებისაგან ქრისტიანეთათვის შემოღებული დამამცირებელი წესები და სხვადასხვა შევიწროება გაუქმებული ყოფილიყო და ქრისიტიანეთა მდგომარეობა გაუმჯობესებულიყო. ამ მიზნითა და ამ დაყალებით გიორგი ბრწყინვალემ თავისი დესპანები ეგვიპტის სულტანთან გაგზავნა, რათგან პალესტინა მაშინ მას ექვემდებარებოდა. საქართველოს დესპანები რომ ალექსანდრიაში მივიდნენ, ხოლო შემდეგ ეგვიპტის სულტანის დედაქალაქ ქაიაროშდის მიაღწიეს, ეგვიპტის მთავრობას გიორგი ბრწყინვალეს ეპისტოლე გადასცეს, რომელშიც საქართველოს მეფე სთხოვდა სულტანს მაჰმადიანთაგან ქართველებისათვის ძალმომრეობით ჩამორთმეული ჯვარის მონასტერი, შემდგში მიზგითად ქცეული, ისევ საქართველოსათვის დაებრუნებინათ. ამას გარდა გიორგი ბრწყინვალე თხოულობდა, რომ განსაკუთრებული წესები, რომლითაც ქრისტიანებს ცხენზე და სახედრებზე ორთავე მხრიე ფეხებჩამოშვებული ჯდომა აკრძალული ჰქონდათ, იმის გამო, რომ მგზავრობის ასეთი წესი მხოლოდ მაჰმადიანთა უპირატესობად იყო ცნობილი, გაეუქმებინათ, რადგან ერთმხრივ ცხენ-სახედრებზე ჯდომა მაჰმადიანებმა ქრისტიანეთა დასამცირებლად შემოიღეს. გიორგი ბრწყინვალეს უნდოდა. რომ ასეთი თავმოყვარეობის შემლახველი და გამაწბილებელი წესი მოსპობილი ყოფილიყო და ქრისტიანებს იგივე უფლებები მოეპოვათ. რა უფლებებიც მაჰმადიანებს ჰქონდათ.

არც ერთი ამ თხოვნათაგანის ასრულება ეგვიპტის სულტნისათვის ადვილი არ იყო, ხოლო ჯვარის მონასტრის ქართველებისათვის დაბრუნება თითქმის გადაულახავ დაბრკოლებას წარმოადგენდა. იმიტომ რომ დაბრუნებასთან ერთად მიზგითად გადაქცეულ ამ ნაგებობას ქართველები, ცხადია, ისევ ეკლესიად აქცევდნენ, რაც მაჰმადიანთა მოძღვრების თანახმად მიუტევებელ ცოდვას წარმოადგენდა. მაინც ეგვიპტის სულტანმა ორივე მოთხოვნა ასრულა. მისი გაბედული მოქმედება იმით იყო ნაკარნახევი, რომ საქართველოს მეფე ეგვიპტის სულტანს სამაგიეროდ პოლიტიკურ დახმარებას პირდებოდა.

ამრიგად საქართველომ საერთაშორისო დამოკიდებულებაში მაჰმადიანთა შორის ის უპირატესობა დაიბრუნა, რომელიც წინათ ჰქონდა, და იერუსალიმის ეკლესიის კლიტე კვლავ მის ხელში გადმოვიდა. ამ გამარჯვებამ ქრისტიანეთა ქვეყნებში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

რის დამამტკიცებელი ცნობები დასავლეთ ევროპაშიაც-კი მოგვეპოვება ეს საერთაშორისო დამოკიდებულებაში საქართველოს პოლიტიკური გავლენიანობის ზრდის ანარეკლი იყო და ამას უფრო პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე სარწმუნოებრივი.

ბრძოლა საქართველოს და ბიზანტიას შორის ტრაპიზონის საკეისროში პოლიტიკური გავლენის გამო

თამარის დროიდან მოყოლებული ტრაპიზონის საკეისრო საქართველოს საგარეო გავლენის სფეროს შეადგენდა. ბრძოლა, რომელიც ბიზანტიასა და საქართველოს შორის ამ საქართველოს მეზობლად მდებარე სახელმწიფოში სწარმოებდა, ამ ხანაშიც, გიორგი ბრწყინვალის დროსაც, მიმდინარეობდა. უკანასკნელი ცნობა, ტრაპიზონში ქართველთა მომხრე დასის განადგურების აღმაზე გვისურათებდა. ცხადია, რომ შეუძლებელია საქართველო ასეთ მარცხს შეპრიგებოდა: როგორც საქართველოში, ისევე ტრაპიზონშიც ქართველთა მომხრე დასს შორის სამზადისი უნდა ყოფილიყო მდგომარეობის გამოსასწორებლად.

1341 წელს რომ ტრაპიზონის საკეისროს თურქები შეესიენენ, თვით ტრაპეზონ ქალაქიც ჩაიგდეს ხელში, გაანადგურეს, გადასწვეს და ხალხიც საკმაოდ დაჰხოცეს, თითქოს სრულებით მოულოდნელად. ალექსი კომნენის ასულმა და ეასილ I-ის დამ. ირომელიც მოლოზნად იყო შემდგარი და რომელსაც ჩვეულებრივ ანა-ხუტლუ ეწოდებოდა, მოლოზნის სამოსელი გაიძრო და საქართველოში გამოიქცა. მისი გაქცევის მიზანს, როგორც შემდგომ გამოირკვა. რასაკვირველია, თურქებისაგან თავის დაცვა არ შეადგენდა, არამედ საქართველოს მთავრობასთან წინასწარ შეთანხმებული გეგმის განხორციელებას წარმოადგენდა. ათი დღის შემდგომ, იმავე 1341 წელს ტრაპიზონის საკეისროდან თურქები წავიდნენ თუ არა, ანა-ხუტლუ ქართველთა ჯარითურთ თავის საშობლოში დაბრუნდა და მათი დახმარებით უკვე 17 იელისს თავისი თავი მეფედ გამოაცხადა. ცხადია, რომ ყველა ეს საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით და საქართველოს სამხედრო ძალის უშუალო მონაწილეობით იყო მომზდარი. ანა-ხუტლუს და საქართველოს მთავრობის მოქმედება ირინე დედოფლის სამტროდ იყო მიმართული, რომელიც, ეთანაგრძნობიზანტიის კეისრის ასული, ტრაპიზონის საკეისროში ბიზანტიური პოლიტიკის განმამტკიცებელი იყო.

ანა-ხუტლუმ და საქართველოს მომხრე ტრაპიზონელთა დასმა დედოფალი ირინე უმალ ტახტიდან ჩამოაგდეს და, როგორც აღნიშნული იყო, სამეფო ტახტზე ანა-ხუტლუ იქნა აყვანილი. დასახული მიზნის მიღწევის შემდგომაც, საქართველოდან მოსული ჯარი მთლიანად არ დაბრუნებულა, ნაწილი ისევ ტრაპიზონში დარჩა.

ცხადია, ბიზანტიის მთავრობაც თავის მხრით, ამ ამბავს გულდამშვიდებით ვერ შეურიგდებოდა: უკვე 30 იელისს კონსტანტინეპოლიდან ტრაპიზონში სამი გემი მოვიდა, რომელთაგან ერთს გემზე

ტრაპიზონის ყოფილი კეისრის ბასილის ძმა, მიხეილ კომნენი, იყო, ხოლო დანარჩენ ორ გემზე ბიზანტიიდან თან გამოყოლებული სამხედრო ძალაც იმყოფებოდა. წინასწარ მოფიქრებული გეგმის თანახმად, საქართველოს მომხრე დასმა, არამცირე წინააღმდეგობა არ გაუწია, არამედ კონსტანტინეპოლიდან ჩამოსულსა და გასაბატონებლად გამზადებულს მიხეილ კომნენს სამღვდელოების მონაწილეობითაც კი დახვდა: ის ისე მიიღეს, როგორც კეისარს შეეფერებოდა, მაგრამ მხოლოდ თვალთმაქცობით.

ერთი ლაშის მეტი მიხეილ კომნენს ტრაპიზონში მშვიდობიანად არ გაუტარებია: დილა ადრიან ბიზანტიიდან ჩამობრძანებული უფლისწული ტახტიდან ჩამოაგდეს, ხოლო სამხედრო გემებზე მყოფს ბიზანტიის ჯარს საქართველოდან ჩამოსულმა სამხედრო ძალამ შეღლდისრით სროლა აუტეხა. ბევრი მათგანი დახოცეს, გემები-კი მთლიანად ხელში ჩაიგდეს. ტახტიდან ჩამოგდებული მიხეილ კომნენი ექსორია ჰყავდეს ლიმნიაში, ირინე დედოფალიც თავის სამშობლოში გაისტუმრეს. ამნაირად ტრაპიზონში საქართველოს პოლიტიკური გავლენა აღდგენილ იქნა.

მაგრამ, ამ ქვეყანაში მშვიდობიანობა მაინც არ დამყარებულა, არამედ მოწინააღმდეგეთა შორის ძლიერი ხანგრძლივი ბრძოლა და ერთიერთმანეთის ხოცვა შემდეგშიც სწარმოებდა. კონსტანტინეპოლში წასულები ისევე დაბრუნდნენ და ლიმნიაში ექსორია ქმნილი მიხეილის შვილი იოანე 1342 წელს ტრაპიზონის კეისრად გახადეს. ეს მხოლოდ საქართველოს მომხრე დასის დამარცხების მერმე იყო შესაძლებელი და ამ დასს დიდი შებედურება დაატყდა კიდეც: ყველა მეთაურები დახოცილი იყვნენ. თვით დედოფალი ანა-ხუტლუც ბიზანტიელებმა დაახრჩეს, მაგრამ ბრძოლა არც ამ შემთხვევაში შეწყვეტილა და ხოცვა-ჟლეტა წლების განმავლობაში გრძელდებოდა.

გიორგი V-ის ზემოაღწერილი მრავალმხრივი და მრავალწაყოფიერი სახელმწიფოებრიეი მოღვაწეობა ცხადჰყოფს, რომ არც თანამედროვეებსა და არც შთამომავლობას ისევე, როგორც ისტორიასაც მისთვის ბრწყინვალედა და მეფეთა შორის წარჩინებულის სახელი ტყუილად არ მიუკუთნებია. 1346 წ. რომ ის გარდაიცვალა, ყველამ კარგად იცოდა, რა მდგომარეობაში იყო საქართველო, როდესაც ის ქვეყნის მესაჭედ იქცა და რამდენად გააძლიერა და აყვავა მან იგი მცირე ხნის განმავლობაშიკი.

დავით VII-ე, ბიოლახი ბარწყინვალის ძე

1346 წელს გარდაცვლილი გიორგი ბრწყინვალის მაგიერ, სამეფო ტახტზე მისი ვაჟიშვილი დავითი ავიდა. უკვე 1348 წელს საქართველოში ეკონომიურ კრიზისს უჩენია თავი და ამავე დროს დიდი სიკვდილიანობაც ყოფილა. ამ წლის ქვეშ „დიდი სიგლახაკე და ეტრატის სიძვირე" აღნიშნული აქვს ერთ თანამედროვე მწერალს, რომელიც აგრეთვე შფოთსა და უსაღლობას უჩივის.

დიდი სიკვდილიანობა შავი ჭირის შედეგი იყო. შავი ჭირი პირველად 1346 წელს ოქროს, ანუ ჩრდილოეთის ურდოში გაჩნდა, სადაც ამ მოარულმა დიდძალი ხალხიც იმსხვერპლა. ყირიმსაც იქიდან მოედო და სწორედ ჩრდილოეთიდანვე უნდა ყოფილიყო შავი ჭირი შემოტანილი საქართველოშიც. შემდეგ ის უფრო სამხრეთითაც წავიდა და 1348 წელს ასურეთსა და ეგვიპტეშიც მძვინვარებდა. იქ ამ შავი ჭირისაგან მოსახლეობის ნახევარი დაიხოცა. ჩვეულებრივ შავი ჭირი ხანგრძლივ მძვინვარებდა ხოლმე და ხან გაძლიერდებოდა, ხან შესუსტდება ხოლმე. საქართველოშიც რომ ასევე ყოფილა იქიდანაც ჩანს, რომ 1366 წელს ბაგრატ V-ის თანამეცხედრე ელენე დედოფალი სწორედ შავი ჭირისაგან გარდაიცვალა.

დავითის მეფობაში სამხრეთიდან მტრის იერიშიც იყო მოტანილი. სახელდობრ 1358 წ. ჰასან ჯელაირის ძმა მელიქ აშრაფი საქართველოს შემოჰსეოდა, ბიჯნისი აუღია, დაუნგრევია და მოსახლეობაც დაუხოცია.

დავითი 1360 წელს გეგუთში გარდაიცვალა. დედოფალ სანხუტარისაგან მას ბაგრატი ჰყავდა შვილად.

ბაგრატ V-ე დიდი, დავითის ძე

1360 წელს, მამის მაგიერ, ბაგრატ V გამეფდა. ის ძველი წესის თანახმად ქუთაისში აკურთხეს მეფედ. ბაგრატი სრულიადი საქართველოს მეფეთ-მეფე იყო: მას, როგორც აღმოსავლეთი, ისევე დასავლეთი საქართველოც ემორჩილებოდა. იმდროინდელ მის სამფლობელოსი და საქართველოს სახელმწიფო საზღვარი სამხრეთ-დასავლეთით მაკრიალის ხეობის გასწვრივ ყოფილა. პარხალი ტრაპიზონის საკეისროს ჰკუთვნებია, ხოლო გონია, მაკრიალი, აჭარა, შავშეთი და კლარჯეთი-კი საქართველოს საზღვრებში იყო მოქცეული. ბათომი გურიელის სამფლობელოში შედიოდა. აჭარაც მასვე ეკუთვნოდა. მესხეთი საქართველოს სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად ითვლებოდა. ქალაქი ანისიც და მისი სანახებიც საქართველოს სახელმწიფოს სამფლობელოს შეადგენდა, მაგრამ ალარც კარი, ალარც გარინისი და ნახჭაეანი უკვე საქართველოს ფარგლებში ალარ იყო: იქ ადგილობრივი მმართველები ისხდნენ, სარწმუნოებითაც მაჰმადიანნი, წარმოშობითაც არაქართველნი.

თავის წინანდელ ყმადნაფიც სამფლობელოებთან საქართველოს მაინც კავშირი შეწყვეტილი არ ჰქონდა. მათაც საქართველოსთან ურთიერთობა არ მოესპიათ და გაჭირვების დროს სწორედ საქართველოს სთხოვდნენ ხოლმე ისინი პოლიტიკურ დახმარებას.

ჩრდილოეთით საქართველოს სახელმწიფოს საზღვარი ქედს იქითაც გადადიოდა: დვალეთი და ოსეთი საქართველოს ეკუთვნოდა.

ბაგრატი კარგად ჩამონაკვთილი, წარმოსადეგი ვაჟკაცი, მხნე და განთქმული მოისარ-მოშვილდოსანი, გულადი მეომარიც იყო და როგორც სარდალიც სახელგანთქმულად ითვლებოდა. ტრაპიზონის ისტორიკოსი მიხეილ პანარეტი მას უსახელოვანეს მხედართ-მთავარს უწოდებს. სომეხ-

თა მწერლებიც მას ასეთსავე სახელს სდებენ. ასეთი სამხედრო სახელგანთქმულობა, უეჭველია, მას თემურლენგის შემოსევამდე უნდა ჰქონოდა მოპოვებული.

XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან მახლობელ აღმოსავლეთში დიდი პოლიტიკური ცვლილება მოხდა. ამ ცვლილების მიზეზი თემურლენგის საისტორიო და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლა იყო.

თემურლენგის გამოჩენა პოლიტიკურ სარბიელზე

თავდაპირველად თ ე მ უ რ-ად წოდებული, ყაჩაღების ბრბოს მეთაური, ერთერთი ბრძოლის დროს დაჭრის გამო დაკოჭლდა და ამის შემდეგ მის საკუთარ სახელს კოჭლობის გამომხატველი სიტყვა ლ ე ნ გ ი ც დაერთო და იმდროიდან მოყოლებული თემურლენგად, ანდა ლანგთემურად არის ცნობილი.

1360 წლიდან მოყოლებული, თემურლენგმა ათი წლის განმავლობაში დიდი საბრძანებელი შექმნა. თავის საჯდომ ქალაქად მან სამარყანდი გაიხადა და იქიდან თავისი სამფლობელოს გასაფართოებლად და ახალ-ახალი ქვეყნების დასაპყრობად თითქმის შეუნელებლივ სამხედრო მოქმედებას აწარმოებდა. თავისი სიცოცხლის განმავლობაში მას სხვა არავითარი ამოცანა და მიზანი არ ჰქონდა, ქვეყნების ხელში ჩაგდებისა და სიმდიდრის მოპოვების გარდა. ის, რამაც თემურლენგი პირველად ეითარცა ყაჩაღების ბრბოს მეთაური, თავის სამოქმედო ასპარეზზე გამოიყვანა, არსებითად შემდეგშიც მის მთავარ მიზანს შეადგენდა.

1384 წელს მან აღლანისტანი დაიპყრო, შემდეგ ერანის ილხანების ყოფილი სახელმწიფოს ხელში ჩაგდებაც მოიწადინა. თემურლენგი თავრიზისაკენაც-კი გამოემგზავრა. 1385 წელს მან ჯელაირების შთამომავლებს რეი და სულტანია წაართვა. შემდეგ ტაბარისტანის ხელში ჩაგდება მოისურვა, რომ თავისი თავი მომავალში შესაძლებელი განსაცდელისაგან დაეცვა. აქ მან საქმის მოგვარება და ქვეყნის ხელში ჩაგდება უბრძოლველადაც-კი მოახერხა.

თემურლანგის ასეთი სწრაფი გაძლიერება, რასაკვირველია, ყველა იმდროინდელი პოლიტიკური ერთეულებისათვის, როგორც მახლობელ აღმოსავლეთში, ისევე ჩრდილოეთშიაც, კერძოდ ჩრდილოეთის ოქროს ურდოსათვის, ძალიან საბიფათო იყო. ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება თოხთამიშ ხანმაც, რომელმაც გადასწყვიტა, თემურლენგის წინსვლის შესაჩერებლად, მისთვის დაესწრო და ქალაქი თავრიზი დაეპყრა.

1385 წელს ზამთარში თავისი 90 ათასი მოლაშქრიანი ჯარი თოხთამიშმა თავრიზის ასალებად წარმოგზავნა. ცხადია, რომ ამ სამხედრო ოპერაციის მოწყობა მას მხოლოდ კავკასიონის ქედის გადმოლახვის შემდგომ შეეძლო: დარიალანისა და დარუბანდის კარებიც მისთვის ღია უნდა ყოფილიყო და მის ჯარში „ურწმუნონიც" მრავლად იყვნენ. როდესაც თოხთამიშის ჯარი ერანის აზერბეიჯანს შეესია და თავრიზი აიღო, მოწოლილური ჩვეულების თანახმად, დიდძალი ბალხი იქნა დახოცილ-დაწიოკებული. აუარებელი ნადავლით დატვირთული ჩრდილოეთის ულუსის

მოლაშქრენი უკან გაეშურნენ და შინისაკენ ჯიჯაელებმა ნახჭავანის სიენიეთის 12 თემიც აოხრეს.

თემურლენგი ამ ამბავმა საშინლად განარისხა, მაგრამ, პოლიტიკური შორსგამჭვრეტელობითა და საიდუმლოების დაცვის მიზნით, მას ეს გარემოება არ გამოუმჟღავნებია. თემურმა გადაწყვიტა, ჯერ ერანში მოეკიდა მტკიცედ ფეხი. 1386 წელს თემურლენგმა თავრიზი აიღო, რაც უკვე მისი ერანის აზერბეიჯანშიც დამკვიდრების მიზნის გამომჟღავნებელი იყო, მაგრამ ჯერ მონღოლთა მბრძანებელმა საქართველოსკენ იბრუნა პირი.

თემურლენგის პირველი შემოსევა საქართველოში

თემურლენგმა ხმა დაჰყარა, ვითომც მას მხოლოდ საქართველოში მაჰმადიანობის გავრცელება ჰსურდა. ნამდვილად-კი მისი შემოსევის მიზეზი თოხთამიშის გამოლაშქრება იყო. თოხთამიშს არ შეეძლო ჩრდილოეთიდან ერანში შეჭრილიყო, საქართველოს მთავრობასთან რომ წინასწარ რაიმე შეთანხმება არ ჰქონოდა. მომავალში რომ ჩრდილოეთის საზღვარი ოქროს ულუსის შემოსევის საშიშროებისაგან უზრუნველყოფილი ჰქონოდა, თემურლენგს უნდა კაუკასიონის ქედის, ყველა თუ არა, აღმოსავლეთით მდებარე ორი უდიდესი გადმოსაცალი მაინც ან თითონ შეეკრა, ანდა მათი მფლობელები ისეთს მდგომარეობაში ჩაეყენებინა, რომ მის ყმადნაფიცებად ქცეულიყვნენ. ეს შეადგენდა მისი შემოსევის მიზეზსაც და დასახულ ამოცანასაც.

ჩვეულებისამებრ, თემურლენგი საქართველოს წინააღმდეგ მოულოდნელად დაიძრა და თავისი სამხედრო ძალითურთ ნახჭავანის ასალებად გამოემართა. აქედან გარნისის ციხის დასაპყრობად გამოეშურა და თავის მიზანს მიაღწია კიდეც. მერმე არეზზე მდებარე სურმალუც აიღო, იქ ჩვეულებისამებრ ციხე დაანგრია და აოხრა.

ამის შემდგომ თემური კარის, ანუ ყარსის ციხე-ქალაქის ხელში ჩასაგდებად გაეშურა, რომლის მფლობელობა მტერს საშუალებას აძლევდა თავის თავიც უზრუნველეყო სამხრეთიდან და ჩრდილოეთისაკენაც განევითარა სამხედრო მოქმედება. კარის ციხის მტკიცე სიმაგრეებისდა მიუხედავად, თემურლენგის ჯარმა, სიმრავლის წყალობით, აღება შესძლო და მისი ზღუდეებიც დაანგრია.

შემდეგ თემურლენგი საქართველოს შემოესია. პირველად მან ალბელ ათაბაგის სამფლობელოს ხელში ჩაგდება მოიწადინა. ჯერ ჯავახეთში შემოიჭრა, ხოლო შემდეგ, დიდი ყინვებისდა მიუხედავად, მონღოლთა მბრძანებელი ქაითუს გზით, რომელიც ანისის ჩრდილოეთით მდებარეობდა, საქართველოს დედაქალაქ ტფილისისაკენ გამოემგზავრა. ტფილისი მართალია, ბუნებრივადაც მაგარი ციხე იყო და ხელოვნურადაც კარგად იყო გამაგრებული, მაგრამ თემურლენგმა თავისი საკუთარი ხელმძღვანელობითა და ყველა საბრძოლველი იარაღების გამოყენებით ტფილისის აღება მოახერხა.

ტფილისზე თავდასხმა ბაგრატ მეფისათვის იმდენად მოულოდნელი ყოფილა, რომ გამარჯვებულ თემურლენგს 1386 წ. 21 ნოემბერს ბაგრატი თავის მეუღლით ანათი და ვაჟიშვილი დავითურთ ტყვედაკარი ჩაუვარდა.

თავისი ჩვეულებრივი წესისდა მიუხედავად, თემურლენგს ტფილისი არ გაუნადგურებია. ტფილისი რომ აიღო, თემურლენგი აქ არ დარჩენილა, არამედ აღმოსავლეთისაკენ გაემგზავრა. მისთვის სწორედ ამ აღმოსავლეთის საზღვრის ხელში ჩაგდებას ჰქონდა მნიშვნელობა: თოხთამიშის წინააღმდეგ დასახული გეგმისათვის ეს აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.

მონღოლთა მბრძანებელმა თავისი ჯარი რამდენიმე ნაწილად გაჰყო, ერთი მათგანი შაქში გაგზავნა და იქაური ციხე-ქალაქები აალებინა, სხვა რაზმები ყუბისა და შუშის სანახებში გაგზავნა სათარეშოდ, თითონ-კი პირადად კავკასიონის ქედის აღმოსავლეთ-სამხრეთის ზოლის „ესკულოების" დასაპყრობად გაეშურა. იქ კასპის ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა ის მთავარი კარი, რომლითაც, დარიალის კარს გარდა და უფრო მეტად, ჩრდილოეთის ულუსის ხანები ჩვეულებრივ სარგებლობდნენ ხოლმე, როდესაც მათ მიზნად ერანის სამფლობელოს წინააღმდეგ გამოლაშქრება ჰქონდათ ხოლმე დასახული.

შემდეგ თემურლენგი ქ. ბარდაას მიადგა, რომელიც მას უბრძოლველად დაემორჩილა. ყარაბაღში მოვიდა თუ არა, თემურლენგმა ბაგრატ მეფე, რომელიც თავისთან ტყვედ ჰყავდა, მოიხმო და გამაჰმადიანება მოსთხოვა. ბაგრატი დიდი ყოყმანის შემდგომ, გარეგნულად დათანხმდა, რომ ამ მტარვალის ტყვეობისათვის როგორმე თავი დაელწია. ბაგრატ მე-V-მ მონღოლთა ხანს ძვირფასი საჩუქრები მიუძღვნა, მათ შორის ერთი ჯაჭვის პერანგიც, რომელიც ვითომც დავით ებრაელთა მეფისა და წინასწარმეტყველის სახელოსნოში ყოფილიყოს გაკეთებული. მონღოლთა მბრძანებელს ეს საჩუქრები და ძღვენი ძალიან მოეწონა და თვით ბაგრატიც, უხვად დასაჩუქრებული, საქართველოში დაბრუნდა. ამის შემდგომ საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში ბაგრატის ხსენება ქრება. შეთანხმება თემურლენგსა და ბაგრატ V-ის შორის 1387 წელს მოხდა.

იმ დღიდან მოყოლებული 1393 წლამდე საქართველოს საშუალება ჰქონდა ცოტათი მაინც დაწყნარებულიყო, რადგან თემურლენგს ჩვენი ქვეყანა მერმე ალარ შეუწუხებია. საქართველოს შეეძლო მოყენებული ზიანისა და ზარალის გამოსწორება დაეწყო.

მეფე გიორგი VI-ე და თემურლენგის მეორე შემოსევა

მონღოლთა მბრძანებლის 1393 წლის მეორეგზისი შემოსევა საქართველოში მომხდარი აჯანყებით იყო გამოწვეული. ამ დროს საქართველოს სამეფო ტახტზე, ბაგრატის მაგიერ, უკვე მისი ვაჟიშვილი გიორგი იჯდა. აჯანყება შესხეთში უნდა ყოფილიყო ამტყდარი, რადგან თემურლენგი სწორედ ამ თემს შეესია და თავისი ჯარიც ყველაზე უწინარეს ახალციხისაკენ გაგზავნა. მისი ლაშქარი ამ თემს მოედო და თარეში დაიწყო,

ციხეებიც ჩაიგდო ხელში და დაანგრია. ყველგან თემურლენგის ჯარს მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ: გზის გაკაფვა მას მხოლოდ ბრძოლით შეეძლო.

სამცხიდან მონღოლთა მბრძანებელი ყარსისაკენ გაემგზავრა და იქ ქალაქ გარეთ მოეწყო, სადაც მას საშუალება ჰქონდა საუცხოო საძოვრებით, მშვენიერი ჰაერითა და წყლით ესარგებლა. მერმე კოლის მთაზე გადავიდა და იქიდგან სხვადასხვა მიმართულებით თარეში გაგზავნა. მოხარეშეებმა ციხეების აღებაცა და მოსახლეობის გაძარცვაც მოახერხეს. შემდეგ იქიდან თემურლენგი ბარად ჩამოვიდა და საქართველოს დედაქალაქ ტფილისისაკენ გამოემგზავრა, მაგრამ აქაც დიდხანს არ დარჩენილა, არამედ შაქისაკენ წავიდა. შემდეგ შაქის აღმოსავლეთით მდებარე მთიანეთის მოსახლეობას დაუწყო დაწიოკება.

თემურლენგის მესამე შემოსევა

ერთი წლის შემდეგ, თემურლენგს მესამეჯერ მოუხდა საქართველოში შემოსევა: 1394 წელს მან კვლავ საქართველოსაკენ გამოილაშქრა. ამ მესამე შემოსევის მიზეზიც ჩრდილოეთის ულუსის სამხედრო მოქმედებასთან იყო დაკავშირებული. თემურლენგს შირვანიდან ამბავი მოუვიდა, რომ თოხთამიში თავის საბრძანებელში კვლავ განმტკიცდა და თავისი ლაშქარი 4 ნოიონის წინამძღოლობით დარუბანდის გზით შირვანს შემოესია, ზოგი ადგილების აოხრებაც-კი მოახერხა.

თოხთამიშ-ხანს, დალისტნის შეთაურებთან და საქართველოსთან შეუთანხმებლივ, არც ამ მოქმედების დაწყება შეეძლო. თემურლენგს, რომელსაც მრავალი ჯაშუში ჰყავდა, საშუალება ჰქონდა ამ საიდუმლო მოლაპარაკების გარემოება გაეგო, ამიტომ დასწრება ამჯობინა. თოხთამიშისათვის რომ შემდეგშიც შემოსევის საშუალება მოესპო, დარიალის კარის ხელში ჩაგდებას თემურლენგისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ მან არაგვის ხეობისაკენ გამოილაშქრა. მაგრამ იმ დროს, როდესაც თემურლენგის ჯარი არაგვის ხეობაში იბრძოდა, თოხთამიშ ხანმა თავისი სამხედრო ძალა უფრო ადვილი, დარუბანდის გზით, წარმოგზავნა.

მართალია, თემურლენგის ჯარმა არაგვის ხეობაში ციხეებიცა და სხვა სიმაგრეებიც დაიპყრა, მაგრამ მაინც მთავარი მიზანი, დარიალის კარის ხელში ჩაგდება, განუხორციელებელი დარჩა. თემურს რომ ოქროს ულუსის ჯარის დარუბანდის გზით შემოსევის ამბავი მოუვიდა, თავის სამხედრო ძალა მაშინვე იქითკენ გაგზავნა, მაგრამ ამ ჯარმა გაიგო, რომ თოხთამიშის მოლაშქრენი უკვე გაბრუნებულიყვნენ.

თემურლენგმა ეხლა-კი საბოლოოდ გადასწყვიტა, თოხთამიში ისე დაემარცხებინა, რომ მას შემდეგშიც ყოველგვარი შესაძლებლობა ჰქონოდა მოსპობილი მისთვის რაიმე ენება მიეყენებინა. 1395 წელს ეს შესძლო კიდეც: თემურლენგმა თერგის პირას საშინლად დაამარცხა თოხთამიში და მის სატახტო ქალაქ სარაი-ბერქემდისაც-კი მიაღწია, ქალაქი აიღო, მთლიანად გაძარცვა, დაანგრია და გადასწვა კიდეც.

მომდევნო წლებში თემური უკვე სხვა პოლიტიკური ამოცანებით იყო

გართული. 1398 წელს მან ინდოეთის ლაშქრობა დაიწყო, რომელიც აგრეთვე მისი გამარჯვებით დამთავრდა.

იმ დროს, როდესაც მონღოლთა მბრძანებელი ინდოეთის ლაშქრობით ასე გატაცებული იყო, მახლობელ აღმოსავლეთში, უველაზე, ვინც კი მის უმადნაფიც, ან დაპყრობილ ქვეყნად იქცა, ამ შემთხვევით ისარგებლეს, რომ წინანდებურად დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ.

სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველომაც სცადა თავისი წინანდელი პოზიციები გაემაგრებინა და, არამც თუ თემურლენგის ბატონობისაგან თავის დაცვა მოიწადინა, არამედ აქტიური პოლიტიკის წარმოებასაც კი შეუდგა. მონღოლთა ჯარისაგან ალყა შემორტყმულს ალინჯის ციხეში შემწყვედეული იყო სულტან აჰმედ ჯალაირის შვილი ტაჰერი. სულტან ტაჰერმა საქართველოს დახმარება სთხოვა. საქართველოს მეფემ გიორგიმ ეს მოწოდება შეიწყნარა და მის გადასარჩენად გაილაშქრა. სეიდ ალი შაქისელიც, იმისდა მიუხედევად, რომ მაჰმადიანი იყო, საქართველოს მოემხრო, რადგან თემურლენგის დაპყრობითი პოლიტიკის წყალობით ისიც განსაცდელში იყო. ქართველები და მისი მოკავშირენი ალინჯის ციხეს მიადგნენ, მონღოლთა ჯარი დაამარცხეს, ალყა-შემორტყმული ტაჰერი გამოიყვანეს, ხოლო ალინჯის ციხე ჰაჯი სალეხს, სეიდ აჰმედს და ქართველ მეციხოვნეთა უფროსს სამ ქართველ აზნაურს გადასცეს.

რაკი მიზანი მიღწეული იყო, გიორგი მეფემ უკან დაბრუნება გადაწყვიტა. ამ დროს თემურის შვილს მირან-შაჰს დატრიალებული უბედურების შესახებ ამბავი მოუტანეს. ამ საქმის გამოსასწორებლად მან თავისი ვაჟიშვილი აბუბექრი გაგზავნა მონღოლთა ლაშქრითურთ. მაგრამ ქართველები და მათი მოკავშირეები თემურლენგის ამ ლაშქარსაც შეებრძოლნენ, აბუბექრი დამარცხებული იქნა და ლტოლვით დაალწია თავი განსაცდელს.

ამრიგად, საქართველოს მთავრობამ და მეფე გიორგიმ აქტიური პოლიტიკის წარმოება დაიწყო და თავისი წინანდელი უმადნაფიცი სამფლობელოების მომტკიცებას შეუდგა.

თემურლენგი რომ ინდოეთიდან დაბრუნდა და ეს ამბავი გაიგო, საშინლად განრისხდა: არდაველის გზით უარაბალისაკენ წამოვიდა და უარაბალში დაბანაკდა. აქ მას ალი შაქისელის შვილი შეიპ იბრაჰიმი ეახლა და მორჩილება განუცხადა. ეს გარემოება საქართველოსათვის ძალიან უსიამოვნო იყო, რადგან წინათ შაქი მის მოკავშირედ და უმადნაფიცად ითვლებოდა, ეხლა-კი მის მტერს მიემხრო.

თემურლენგს გადაწყვეტილი ჰქონდა ამ კადნიერებისათვის საქართველო სამაგალითოდ დაესაჯა. მიზნის მისაღწევად მან საქართველოში შემოსასვლელად უველაზე უფრო მარჯვე გზა აირჩია. საქართველოს აღმოსავლეთი საზღვარი ბუნებრივი ზღუდით დაცული არ არის, ისე, როგორც ჩრდილოეთი და სამხრეთი საზღვრები. რაკი შაქის მფლობელიც თემურლენგს მიემხრო, მონღოლთა მბრძანებელს სრული საფუძველი ჰქონდა გადაწყვიტა, რომ საქმე უკვე კარგად იყო მოგვარებული და საქართველოში შემოსასვლელად დაიძრა კიდეც.

ის თემი, რომელსაც თემურლენგი პირველად თავს დაესხა, პერეთი იყო. მის მმართველს ხიმშია ეწოდებოდა. თემურლენგს იმედი ჰქონდა, რომ ამ ლაშქრობას ორი კვირის განმავლობაში დაამთავრებდა. ამიტომ მან ბრძანება გასცა, რომ ტყით დაბურულ საქართველოს ამ თემში სამხედრო მოქმედების გასაადვილებლად წინასწარ გზები გაეკაფათ, ხეები მოეჭრათ და ჯარის მოძრაობისათვის შესაფერისი პირობები შეექმნათ. ოცი დღის განმავლობაში განუწყვეტლივ თოვდა და დიდძალი თოვლი იყო დადებული. საქართველოს ჯარი გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა. მაგრამ, ამ ორი დაბრკოლებისდა მიუხედავად, მაინც თემურლენგმა წინააღმდეგობის დაძლევა მოახერხა და ხიმშია თავის ჯარითურთ იძულებული იყო, ალსუმდის, ანუ თეთრ წყარომდე, დაეხია, სადაც მაშინ საქართველოს აღმოსავლეთის საზღვარი იყო. მიტოვებულ ქვეყანას მტრის ლაშქარი მოედო, რომელსაც საშუალება ჰქონდა მრავალრიცხოვან მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელს დაჰპატრონებოდა და ხალხისაგან მიტოვებული სახლები და საცხოვრებელი ბინები გაეძარცვა.

თემურლენგისაგან ეკონომიური ომის დაწყება საქართველოში

შემოსეული მტრის ჯარი მარტო ზემოაღწერილით არ დაკმაყოფილებულა: გაძარცვის შემდეგ, ყველაფერი ან გადაშენვარი, ანდა განადგურებული იყო ხოლმე. თემურლენგის მრისხანებას საზღვარი არ ჰქონდა, რადგან, ასეთი გააფთრებული ბრძოლისდა მიუხედავად, სასტიკს წინააღმდეგობას უწევდნენ. ამიტომ თემურლენგმა წინააღმდეგობის დასაძლევად და ქართველ ხალხში სასოწარკვეთილების გრძნობის გამოსაწვევად, ეკონომიური ომის წარმოება დაიწყო: თავის ჯარს უბრძანა, რომ სადაც-კი ხელი მიუწვდებათ, ვენახები, ბაღები, ბოსტნები გაეჩეხათ. მერმე ბრძანება გასცა, რომ ნაგებობათა დანგრევასაც-კი შესდგომოდნენ. ეკლესიები, სამლოცველოები, სასახლეები, მკვიდრი შენობები, რის დანგრევაც შესაძლებელი იყო, რომ დანგრეული ყოფილიყო. მისი ისტორიკოსი თავისი მბრძანებლის საქებრად გაიძახის კიდეც, რომ თემურლენგს ინდოეთის ლაშქრობაშიც-კი იმდენი შენობა არ დაუნგრევია, რამდენიც საქართველოში გაანადგურაო.

მონღოლთა მბრძანებლის ანგარიში ვერ გამართლდა: ბრძოლის დამთავრება ისე სწრაფად ვერ მოხერხდა და მთელი თეის განმავლობაში ამ თემში ბრძოლა მიმდინარეობდა, ხალხიც ბევრი დაიხოცა, ეს თემიც აოხრდა, მაგრამ მაინც ვერც ამ თემის მთავარსარდალი ხიმშია ჩაიგდო ხელში, ვერც სხვა ვინმე, რომ ზავის პირობებზე ხელი მოეწერინებინა. ხოლო, რაკი ძალიან მკაცრი ზამთარი იყო, მედგარი წინააღმდეგობის გამოც, მის ლაშქარს ზარალიც დიდი ჰქონდა. ცხენებსაც საჭმელი აღარ მოეპოვებოდათ, ისე, რომ იძულებული იყვნენ ხის ქერქით გამოეკვებათ, თემურლენგის ჯარსაც ამისგან დიდძალი საქონელი დაეხოცა. მონღოლთა მბრძანებელი იძულებული იყო საქართველოდან უკან დაეხია და ისევ ყარაბაღში დაბრუნებულიყო.

ომის გაგრძელება და გაფართოება

რაკი ამ ლაშქრობითაც თემურმა თავის მიზანს ვერ მიაღწია, იძულებული იყო 1400 წელს საქართველოს ისევ შემოსეოდა. ჯერ ბარდავში მივიდნენ, იქიდან-კი უკვე საქართველოს საზღვარს მოადგნენ. საქართველოს საზღვრიდან თემურმა გიორგი მეფეს ელჩი წარუგზავნა და გადაჭრით მოითხოვა სულთან აჰმედ ჯალაირის შვილი ტაჰერი გაეცა, რომელიც საქართველოში იყო შეხიზნული და საქართველოს მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. გიორგი მეფემ ამაზე მკვახე პასუხი შეუთვალა. ამით განრისხებულმა თემურლენგმა თავის ლაშქარს უბრძანა. რომ საქართველოს დაუნდობელი აოხრება დაეწყო.

ჰერეთში ნაწარმოები ბრძოლის გამოცდილების შემდეგ, თემურმა უკვე კარგად იცოდა, რომ მარტო სამხედრო მოქმედების საშუალებით ქართველების წინააღმდეგობის დაძლევა ისეთი ადვილი საქმე არ იყო, ამიტომ აქაც თავიდანვე ეკონომიური ომის წარმოებას მიჰმართა: თავის ჯარს მან უბრძანა, რომ მარტო ხალხი კი არ ეხოცათ, არამედ შენობები, ნათესები, მოსაყალი, ვენახები და ხეხილებიც გაენადგურებინათ. ასეთ პირობებში ბარად მტერთან ბრძოლა საქართველოს გაუჭირდა და საქართველოს მთავარ-სარდლობამაც გადაწყვიტა, ბრძოლის წესი შეეცვალა: ბარიდან დაიხიეს და მთიანეთში დაიწყეს გამაგრება, რადგან ვიწრო ხეობებში დიდი მტრისათვის გზის შეკვრაცა და დიდი ზიანის მოყენება მცირე ლაშქრის საშუალებითაც იყო შესაძლებელი. იმ ხეობებში ქართველებს სახიზნარებიც ჰქონდათ: იქ გამოქვაბულებში შედიოდნენ და შემოსეულ მტერს იქიდან ესროდნენ მშვილდისარს და მუსრს აყლებდნენ.

თემურლენგი ვერც ბრძოლის წესის ასეთმა შეცვლამ შეაფიქრიანა: დიდი კალათები დაამწვნეინა, თავისი მოლაშქრეები ზანდუკებში ჩასხა და ამ გამოქვაბულების გასწვრივ საბლებით ჩამოუშვა, რომ მათ შეხიზნული ქართველი მოლაშქრეებისათვის იქიდან აეტეხათ სროლა. სადაც წინააღმდეგობის დაძლევა ამითაც ვერ მოხერხდა, მან ბრძანება გასცა, იქ ისრის პირებზე ნაძენძი დაეხვიათ, ნაცთში ამოეცლოთ და გამოქვაბულებში მყოფ ქართველ მებრძოლთათვის ცეცხლმოკიდებული ესროლათ. რომ მათ ან ცეცხლი მოჰკიდებოდა, ანდა კვამლით დამხრჩვალიყვნენ შიგ.

ამნაირი ულმობელი ბრძოლის საშუალებით, თემურლენგის ჯარმა დიდძალი ხალხის გაწყვეტა მოახერხა. 15 ციხეკოშკი იქნა აღებული. ასეთი სიმკაცრით წარმოებულმა ბრძოლამაც თემურლენგს არაგვის ხეობაში საბოლოო გამარჯვება ვერ მისცა და მონღოლთ ბატონი იძულებული გახდა იქიდან ბრძოლის ასპარეზი მუხრანის ველზე გადაეტანა. მუხრანში ყოფნისას თემურლენგს მოეტანეს ცნობა, ვითომც გიორგი მეფე დასავლეთ საქართველოში გადასულიყოს. თემურლენგს ეხლა უკვე მიზნად გიორგი მეფის ხელში ჩაგდება ჰქონდა დასახული. მაგრამ გიორგი მეფე ხელიდან გაუსხლტა. მისი სადმყოფობის ამბავი ვერას გზით ვერ გაიგო. არაგვის ხეობაში თემურმა ბოლომდე გზა ვერ გაიკაფა, მუხრანის ველზე ბრძოლამაც ვერ დააკმაყოფილა. ამიტომ თემურლენგმა გადას-

წყვიტა აქედანაც აყრილიყო და ჯანიბეგ ქართველის ხეობაში შეჰრილიყო. ჯანიბეგ ზევდგინიძე მუხრანის ველის დასავლეთით მდებარე ხეობის მმართველი იყო. თემური ჯანიბეგის სამფლობელოს აოხრებას შეუდგა.

შემდეგ მონღოლთა მტარვალმა თავისი მარბიელი ლაშქარი აქედან უფრო დასავლეთითაც წარგზავნა და ბრძოლის უფრო მკაცრად წარმოებაც დაავალა: ეკონომიური საშუალებით ხალხის განადგურებასაც მიჰყო კვლავ ხელი. შემდეგ ბრძოლის ასპარეზი მტკვრის სამხრეთით მდებარე ქართლის თემშიც გადაიტანა, ისე რომ თეძმისა და სხვა ხეობებშიც შეიჭრა და, სადაც-კი მისვლა შესძლო, ყველგან ყველაფრის განადგურებას შეუდგა. მერმე შიდა ქართლსაც მიუსია თავისი ლაშქარი. თავის სამხედრო ძალის ერთი ნაწილი-კი სხვადასხვა მიმართულებით გაგზავნა და დაავალა, რომ, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, გიორგი მეფე ხელში ჩაეგდოთ. მაგრამ, იმისდა მიუხედავად, რომ გიორგი მეფის ამალისა და ხელისუფალთაგან ზოგის შეპყრობა მოახერხეს, მაინც ვერას-გზით ისინი ვერ გამოსტეხეს და ვერ ათქმევინეს, სად იყო გიორგი მეფის სადგომი, საიდან უწევდა ის მტრის წინააღმდეგ ბრძოლას ხელმძღვანელობას, ამიტომ ეს წარგზავნილი ჯარიც იძულებული იყო თავის მბრძანებელთან ხელცარიელი დაბრუნებულიყო.

ბოლოს თემურლენგს აცნობეს, სადაც გიორგი მეფე იყო დაბანაკებული. მაშინვე მან ყველა გზების შეკვრის ბრძანება გასცა და მთელი თავისი სამხედრო ძალის ნახევარი ნაწილი საქართველოს მეფის შესაპყრობად წარგზავნა. მაგრამ ვერას გზით ვერსად მისი დაჭერა ვერ მოახერხეს: გიორგი მეფემ დასავლეთ საქართველოში შესძლო გადასვლა.

მონღოლთა წინააღმდეგ აღმოსავლეთ საქართველოში პარტიზანული ბრძოლა წინანდებურად გრძელდებოდა, იმისდა მიუხედავად, რომ იმ დროს უკვე ქართველთა შორისაც აღმოჩდნენ ისეთი პირები, რომელნიც თავიანთი უკეთმართო მოქმედებით შემოსეულ მტერს თავიანთი სამშობლოს განადგურებას უადვილებდნენ. ერთი მათგანი ბურდიშვილი ვირშელი იყო, რომელიც თურმე თემურლენგს ურჩხვად წინ მოუძღოდა, მაგრამ საქართველოს ბრძოლა ვერც ამ ღალატმა შეაწყვეტინა.

1400 წლის თემურლენგის შემოსევის შემდეგ საქართველო საშინელ სურათს წარმოადგენდა. გრიგოლ აბგაროზის ძე ბანდაიძე ჩიევის, რომ ამ წელიწადს ხუთი ძმა დაეხოცა, შემდეგ ექვსი შვილი, — სამი ვაჟი და სამი ქალი, — და მათი დედაც გამოესალმნენ წუთისოფელს და მთელ ამ მრავალრიცხოვან ოჯახიდან მარტოდ-მარტო-ღა დარჩა. სახლები, ნაგებობანი გადაბუგული და დანგრეული ჰქონდა. მარტო მას პირადად ხუთი სახლი ჰქონია მტრისაგან აოხრებული და დანგრეული. ასეთივე მდგომარეობა იყო სხვაგანაც, მეტადრე ბარად, სადაც მონღოლებს ხელი მიუწვდებოდათ. მაგრამ მაინც ამ პირის ცნობიდანაც ჩანს, რომ გაწამებული ხალხი, თუ ცოტაოდნად მშვიდობიანი ყოფაცხოვრების საშუალება გაჩნდებოდა, უმალ მოყუნებული ზიანის გამოსწორებას და ცხოვრების განახლებას იწყებდა.

დაზავების უშედეგო ცდა

გიორგი მეფე რომ დასავლეთ საქართველოში გადაიყვანა, შეეძლო აღმოსავლეთ საქართველოში იმ დროს დამყარებულ ვითარებას ეფრო ვულდასმით ჩაჰკვირვებოდა: ქვეყანა საშინელ მდგომარეობაში იყო, აოხრებული, განადგურებული საქართველო მტრის სათარეშოდ იქცა. მეფე დარწმუნდა, რომ წინააღმდეგობას, ზიანის მეტი, უკვე აღარაფერი მოჰქონდა. ამიტომ მან თემურლენგს მოციქული გაუგზავნა და დამორჩილებისა და ხარკის გადახდაზე თანხმობა შეუთვალა. თუმცა მონღოლთა მბრძანებელი შეჰპირდა, რომ მის თხოვნას შეასრულებდა და სამხედრო მოქმედებას შეწყვეტდა, მაგრამ დაპირება არ შეუსრულებია: ის დაიძრა და მესხეთს, იქანე ჯაყელის სამფლობელოს, წესია. აქ მონღოლთათვის ჩვეულებრივი მოქმედების შემდეგ, იმის მაგიერ, რომ თემურლენგს ბრძოლა უფრო სამხრეთით განეგრძობინა, მან თავის ლაშქარს მოულოდნელად აქედან დაახევინა და არაგვის ხეობისაკენ გაგზავნა.

არაგვის ხეობის მოსახლეობა ბრძოლას კარგად იყო მიჩვეული და შემოსეულ მტერს მამაცურად დაუხვდა. მაგრამ მაინც ქვეყნის განადგურებას ვერც ეს თემი გადაურჩა, თუმცა-კი თემურლენგმა დასახული მიზნის მიღწევა მთლიანად ვერც აქ მოახერხა.

ამ დროს თემურლენგს საქართველო უკვე დამორჩილებულად მიაჩნდა და დასასვენებლად კოლის მთებისაკენ საძოერებზე წავიდა, რომ აქ მას ქართველთაგან ფანასკერტის ციხეში ქართველთა თავმოყრის ამბავი მოუტანეს. ამიტომ მონღოლთა მბრძანებელმა ფანასკერტისაკენ ჯარი გაგზავნა და ფანასკერტის ციხე ააღებინა, შეხიზნული ქართველები დახოცა და სიმაგრე გაანადგურა.

ამის შემდგომ თემურლენგმა შეაგულ საქართველოს თავი დაანება და განშორდა. ქვეყანას საშუალება ჰქონდა ცოტათი მაინც დაესვენა. გიორგი მეფეც ლიხთ-იმერეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა და იმათ დასჯას შეუდგა, რომელთაც თავიანთი ღალატით საქართველოს ხელი შეუშალეს მტერთან მთელი თავისი ძალღონით ბრძოლა ეწარმოებინა.

თემურლენგი რომ საქართველოს გასცილდა, გიორგი მეფემ მონღოლთა მბრძანებელს არც ხარკი გადაუხადა, არც მორჩილების დამამტკიცებელი საბუთი მისცა. ამიტომაც თემურლენგმა 1400 წელსვე თავის ჯარს უბრძანა, რომ ალინჯისაკენ დაძრულიყო და საქართველოს შემოკსეოდა.

გიორგი VI-ის მეორედ ცდა თემურლენგთან დასაზავებლად, ამის ჩაშლა და ომის განახლება

გიორგი მეფემ ისევ გადასწყვიტა, რომ მონღოლთა მბრძანებელს დაჰზავებოდა, მაგრამ იმის მაგიერ, რომ პირადად თემურლენგისათვის მიემართა, მან სარდლებს სთხოვა, მასა და თემურლენგს შორის შუამავლობა ეკისრათ. დაზავება ვერ მოხერხდა და მხოლოდ 1400 წელს ივლისში, თემურლენგის ჯარი რომ საქართველოს მოუახლოვდა, შემოსე-

ეის შესაძლებლობით შეშინებულმა გიორგი მეფემ თემურლენგს დიდძალი განძეულობით, ძვირფასი ქვებითა და იშვიათი ნივთების მიძღვნით თავისი მოციქულები მიუგზავნა. მის დესპანად კონსტანტინე ბატონიშვილი იყო. თავისი ძმის პირით მან მონღოლთა მბრძანებელს დანაშაულის შენდობა სთხოვა.

თემურლენგს გიორგი მეფის თხოვნაცა და დამორჩილების ალთქმაც ესიამოვნა. კონსტანტინე ბატონიშვილის პირით მან გიორგი მეფეს შეუთვალა და მოსთხოვა, რომ მასთან პირადად თითონ გამოცხადებულიყო და თავისი შეპირებაც პირნათლად აესრულებინა, მაჰმადიანებსაც თავის სამეფოში კარგად მოჰყრობოდა და მეშველი ჯარიც გამოეყვანა.

1401 წელს დადებული ზავისდა მიუხედავად, თემურლენგმა სამხედრო მოქმედება მაინც განაახლა: ყარაბაღიდან წამოსული, საქართველოს საზღვარს მოადგა, ხოლო შემდეგ თავისი სამხედრო ძალა თორთომისა და იქ გამაგრებულ აჯანყებულ 200 ქართველი მეომარის დასაჭერად გაგზავნა. ისინი არც ხარკს იხდიდნენ, მაჰმადიანებსაც მოსვენებას არ აძლევდნენ. წარგზავნილმა ლაშქარმა დავალებული საქმე შეასრულა: თორთომის ციხე აღებულ იქმნა და 200-ვე მებრძოლი დახოცეს.

რაკი 1402 წელს გიორგი მეფემ დადებული ხელშეკრულების ასრულება აღარ მოისურვა, თემურლენგმა გადაწყვიტა, ისევ საქართველოს შემოჰსეოდა. პირველად ის კოლის მთიანეთს მიადგა. გიორგი მეფის პოლიტიკურმა მოქმედებამ თვით საქართველოშიც განხეთქილება ჩამოაგდო: მესხეთის მთავარი იოანე ალბულას-ძე და თვით გიორგი მეფის ლეიძლი ძმა, კონსტანტინე ბატონიშვილი, გადაუდგნენ. ორივე თემურლენგს წარუდგნენ და საჩუქრები მიართვეს, რითაც ცხადად გამომჟღავნდა, რომ ისინი გიორგი მეფის ასეთ მოქმედებას და ზავის პირობების აუსრულებლობას არ თანაუგრძნობდნენ.

გიორგი მეფისათვის ამ გარემოებას ძალიან დიდი ზიანი უნდა მოეტანა: განხეთქილება მტრისათვისაც უკვე ცხადი გახდა. მაინც კონსტანტინე ბატონიშვილს თავისი თავი მტრის იარაღად არ უქცევია და არავითარი ცნობები არ მოუგეპოვება იმის შესახებ, რომ მას, ან გიორგი მეფის, ანდა საქართველოს საწინააღმდეგოდ რაიმე ჩაედინოს.

კოლის მთიანეთიდან რომ ყარსში მივიდა, შემდეგ თემურლენგი საქართველოს მოუახლოვდა, მაგრამ სანამ ბრძოლას შეუდგებოდა, შირვანის მმართველს უბრძანა ალმოსავლეთიდან შეჰსეოდა საქართველოს. ამით სამხედრო მოქმედება მისთვის გაადვილებული უნდა ყოფილიყო, რაკი საქართველოს ბრძოლის წარმოება ორმხრივ მოუხდებოდა. გიორგი მეფე დარწმუნდა, რომ ასეთ პირობებში წინააღმდეგობის გაწევა სრული უგუნურება იქნებოდა და თემურლენგს მორჩილება შეუთვალა.

მრავალჯერ მოტყუებულმა თემურლენგმა, არც ელჩების განცხადების მოსმენა და არც საჩუქრების მიღება, რომელიც მას მიძღვნილი ჰქონდა, აღარ მოისურვა. მან საქართველოს მეფის დესპანებს შეუთვალა, რომ გიორგი მეფისათვის მოეხსენებიათ, რომ თუ, მას მონღოლთა მბრძანე-

ბელთან დაზავება სწადდა. თითონ უნდა გამოცხადებულიყო და ზავის პირობებით ნაკისრი ვალდებულებაც აესრულებინა. ასეთ შემთხვევაში ის უცნებლობასაც და კარგ დამოკიდებულებასაც ჰპირდებოდა. მაგრამ ჯერ გიორგი მეფის დესპანები საქართველოში დაბრუნებულ არც-კი იყვნენ, რომ, თემურლენგის განკარგულების თანახმად, მონღოლთა ჯარი საქართველოში მოსავლის მომკასა და აკრეფას შეუდგა. ამ საშუალებას მონღოლთა მბრძანებელმა იმ მიზნით მიჰმართა, რომ ქართველებისათვის ბრძოლის წარმოების ყოველგვარი შესაძლებლობა მოესპო. რაკი სურსათ-სანოვაგე მათ ხელში აღარ იქნებოდა, ისინი იძულებული გახდებოდნენ თემურს დაჰმორჩილებოდნენ.

გიორგი მეფემ რომ ეს ამბავი გაიგო, ზავის პირობების დადებაზე ყოველგვარი ხალისი დაეკარგა, რადგან ჰფიქრობდა, რომ თემურლენგი თავის პირობებს არ აასრულებდა. ამგვარად, ამ შემთხვევაშიც დაზავება ვერ მოხერხდა, მაგრამ გიორგი მეფის შეპყრობაც მოულწეველ-ყოფნებად იქცა. ამის გამო თემურლენგმა 1403 წელს თავისი ლაშქარი ისევ საქართველოს მიუსია. ამ შემთხვევაში მიზნად მას დასახული ჰქონდა, შუაგულ ქართლში ერთი მიუვალად ცნობილი ციხე აეღო, რომელიც 75 მეტრის სიმაღლეზე მჭონებელ მთაზე იყო აგებული და ორ-ლრმა ხეობას შუა მდებარეობდა. ვიწრო და ციცაბო ბილიკების გარდა, ამ ციხეს არსაიდან მისავალი არ ჰქონდა, შიგნიდანაც ძალიან კარგად იყო გამაგრებული, წყალსადენის წყალობით წყლის მარაგიც, სურსათიც და ღვინოც-კი ჰქონდათ იქ. ამ მიუვალად ცნობილს ქართლის ციხეს 30 დიდგვარიანი აზნაური და მოზრდილი მეციხოვნე ჯარი იცავდა, მაგრამ, ქართველ მეციხოვნეთა დაუდევრობის წყალობით, თემურლენგმა განსაკუთრებული ღონისძიებების საშუალებით, ამ მიუვალ ციხის აღებაც მოახერხა.

ამ ციხის ხელში ჩაგდება თემურლენგისათვის დიდ გამარჯვებას წარმოადგენდა. მონღოლთა მბრძანებელმა შიგ ხვარაზმელი მეციხოვნენი ჩააყენა, რომელთაც უბრძანა ქართველთა ქრისტიანი მოსახლეობა, ან დაეხოცათ, ანდა განედევნათ და არცერთი ქართველისათვის ამიერიდან იქ დასახლების უფლება აღარ მიეცათ.

თემურლენგისაგან საშინელო მოქმედების დახავლეთ საქართველოშიც დანყება

ეხლა თემურლენგმა გადასწყვიტა, რომ თავისი საშინელო მოქმედება უეჭველად დასავლეთ საქართველოშიც გადაეტანა, რომ ამ გზით გიორგი მეფისათვის ზავის დასადებად ძალა დაეტანებია. მისი ჯარი დაბურულ ტყეში გზას ჰკაფავდა და ასე ბრძოლით მიდიოდა წინ. თემურლენგის ლაშქარმა ქუთაისამდე მოახერხა მიღწევა. თუმცა გააფთრებული ბრძოლა სწარმოებდა, მაგრამ დასუსტებულ ქვეყანას უკვე აღარ შეეძლო ისე ხანგრძლივ-და ებრძოლა, როგორც მანამდე. თემურლენგმა აქაც საბლებრის საშუალებით ხანდუკები ჩამოაშენებინა და შიგ ჩასმულ თავის მოლა-

შკრეებს ნათში ამოვლებულ ნაძენძით დახვეული ანთებული ისრის სრო-
ლით სახიზნარებში შეფარებული ქართველი ჯარისკაცები ამოახოცინა.

თემურლენგი ისეთი მრისხანებით აწარმოებდა ბრძოლას, რომ მარტო დასავლეთ საქართველოში განადგურებულ სოფლების რიცხვი 700-ს აღემატებოდა, იმას გარდა, რომ ქვითკირით ნაშენი ნაგებობანი, ეკლესიები, მონასტრები და სხვა ცალკეული შენობებიც განადგურებული და შიწასთან გასწორებული იყო.

თემურისაგან ბრძოლის შეწყვეტა და საზავო პოლიტიკური ურთიერთობის დაწყება

ასეთი დაუნდობელი ომისდა მიუხედავად, 1403 წელს 12 დეკემბერს თემურლენგმა უეცრად ბრძოლა შეაჩერა და დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა. მრავალრიცხოვანებისდა მიუხედავად, მონღოლთა მბრძანებელს ლაშქრისათვისაც ადვილი არ იყო იმ მძიმე პირობებში ომის გაგრძელება, რომელშიაც დასავლეთ საქართველოში სწარმოებდა: დაბერებული ტყეები, ვიწრო ხეობები, ხალხის შეუგუარი წინააღმდეგობა ამ ჯარს დიდ ზარალს აყენებდა. ბრძოლას დასასრული არ უჩანდა, ამიტომაც მონღოლთა ჯარში უკმაყოფილებამა და მოუთმენლობამ იჩინა თავი. თითონ თემურლენგსაც გიორგი მეფის ხელში ჩაგდების იმედი ალარ ჰქონდა, ხოლო ისევე ბრძოლით უფრო შორს შეკრა ახიფათოდ მიაჩნდა. თემურლენგმა საშველრო მოქმედება შესწყვიტა და თუმც გამარჯვებული, მაგრამ ძალზე დაზარალებული ჯარი აღმოსავლეთ საქართველოში გადმოიყვანა დასასვენებლად.

ამასთან ერთად საყურადღებო ამბავიც დატრიალდა. თემურლენგს თავის ბანაკში გამოჩენილი ქართველი სარდლები ჰყავდა დატყვევებული. ამ სარდლებმა გიორგი მეფეს მისწერეს, რომ, დამორჩილებას გარდა, მშვიდობიანობის დასამყარებლად სხვა არავითარი საშუალება აღარ არის და, თუ გიორგი მეფე მონღოლთა მბრძანებელს არ დაეზავება, მას გადაწყვეტილი აქვს მთელი სომხეთი და სომხები გაწყვიტოსო. ეს წერილი თვით თემურლენგის მიერ ნაკარნახევი უნდა ყოფილიყო, რადგან ძნელი დასაჯერებელია, რომ მას დატყვევებულ ქართველ სარდლებისათვის თავისუფალი მიწერ-მოწერის უფლება მიეცა, თუ ეს მისი თანხმობით არ მოხდებოდა.

გიორგი მეფეს თითონაც კარგად ესმოდა, რომ ბრძოლის გაგრძელება ალარ შეიძლებოდა, ამიტომ თემურლენგს დესპანები გაუგზავნა, ეხლა უკვე საბოლოოდ შესათანხმებლად. დესპანები ცდილობდნენ ყველა საქმე თემურლენგის ამალის საშუალებით მოეგვარებინათ. მათ სამშვიდობო მიართვეს და შეამდგომლობის გაწევას სთხოვდნენ. თემურლენგი ეითომც ამის წინააღმდეგი იყო და არ უნდოდა, რომ დათანხმებულიყო, მაგრამ ბოლოს, ეითომც, ისიც დაიყოლიეს. ყველაფერი ეს თემურლენგს იმ მიზნით ჰქონდა მოწყობილი, რომ გიორგი მეფისა და ქართველებისათვის ეგრძნობინებია, რომ მას პირადად ბრძოლის გაგრძელება ადვილად შეეძლო

და დაზავება თვით ქართველებისათვის იყო აუცილებლად საჭირო. ნამდვილად-კი ისევე, როგორც ქართველებისათვის იმ პირობებში ზავის შეკერა შეიძლება აუცილებელ საჭიროებად ყოფილიყო მიჩნეული, თემურლენგისთვისაც ბრძოლის გაგრძელებას მნიშვნელობა ეკარგებოდა, რადგან გიორგი მეფის შეპყრობა და მტკიცე ზავის დადებაც ვერ ხერხდებოდა.

ზავის პირობები

საქართველოს დესპანები გიორგი მეფის თანხმობის შესატყობინებლად მალევე დასავლეთ საქართველოდან დიდი საჩუქრებითურთ უკან დაბრუნდნენ. გიორგი მეფე პირადად თემურლენგს არ ხვდებია. ამრიგად პირველი პირობა, რომელსაც თემურლენგი საქართველოს მეფეს უდებდა და ურომლისოდაც დაზავებაზე არ თანხმდებოდა, აუსრულებელი დარჩა. თემურლენგი ამასაც შეიტყობდა. გიორგი მეფემ მონღოლთა ძლევამოსილ მბრძანებელს მრავალგვარი საჩუქრები აახლა. მათ შორის თემურლენგის სახელით შემკული ათასი ოქროს თანგა (ფული). ათასი ცხენი, ბევრი ძვირფასი ქსოვილი, სხვადასხვა ძვირფასი ძღვენი, ოქროს, ვერცხლისა და ბროლის ფიალები და 18-მისხალიან ლამაზი, მანათობელი ლალი და სხვაც ამის მსგავსი ნივთები იყო. ამით გახარებული თემურლენგი აიყარა და ტფილისში მივიდა. შეპირებისა და დადებული ზავისდა მიუხედავად, მონღოლთა მბრძანებელმა ტფილისის მიდამოებში ყველა ეკლესიები და მონასტრები დაანგრეინა, ხოლო შემდეგ ყარაბაღის გზით საქართველოდან წაიყვანა. საქმეთა მწერლობელმა მიმდინარეობამ ცხადყო, რომ თუნდაც დაზავება არ ყოფილიყო, თემურლენგს საქართველოში შემოსევის საშუალება მაინც უკვე აღარ ექნებოდა: 18 თებერვალს 1405 წელს ის ცხელებისაგან გარდაიცვალა.

საქართველოში დატრიალებული ამბების ზოგადი შეფასება

საქართველოს მრავალგზისი აოხრება, მარტო თემურლენგის ბრალი არ იყო. დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად ბრძოლა სრულებით კანონიერიც და ბუნებრივიც იყო საქართველოსათვის, მაგრამ გიორგი მეფეს გათვალისწინებული არ ჰქონდა, რა პირობებში იყო აქტიური პოლიტიკის წარმოება შესაძლებელი. როდესაც ჩრდილოეთის ულუსის დამარცხებამ ცხადყო, რომ თემურლენგს მაშინდელ აღმოსავლეთში და აღმოსავლეთ ევროპაში არც ერთი ღირსეული მოწინააღმდეგე არ ჰყავდა. საქართველოს იმდროინდელს მთავრობას უნდა შეეგნო, რომ, მოგერიებითი პოლიტიკის გარდა, მისთვის სხვა არაეითარი პოლიტიკის გეზი მიზანშეწონილი არ შეიძლება ყოფილიყო.

გამომწვევი პოლიტიკის წარმოებით-კი გიორგი მეფემ ეს მრისხანე მტარვალი გააღიზიანა და თავისი ქვეყანა დაუნდობელი ბრძოლის ასპარეზად აქცევინა. ქვეყნის აოხრებას გარდა, დიდძალი ხალხის დალუპ-

ვამ საქართველო ისე დააბუსტა, რომ საუკუნეთა განმავლობაში ამ სისხლის დენის შედეგისაგან გამოკეთება ვეღარ შეეძლო. იმ დროს გახრებული მრავალი ადგილები XV და XVI საუკუნეებშიც-კი, საკმაო მოსახლეობის უქონლობის გამო, გაუკაცრიელებული დარჩა.

თემურლენგის სიკვდილმა ცხადჰყო, რომ ფხიზელი პოლიტიკის საშუალებით საქართველოს შეეძლო ის საშინელი უბედურებაც თავიდან აეცილებინა, რომელიც მას თემურლენგის მრავალგზისი შემოსევის დროს თავს დაატყდა, მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენაც გაცილებით უფრო ადვილად მოხერხდებოდა. საქართველო რომ თემურლენგთან უსწორო ბრძოლაში ასე არ დასუსტებულიყო, მას XV და XVI საუკუნეში გარეშე მტრის წინააღმდეგ ბრძოლა ისე არ გაუჭნელდებოდა, როგორც მას, ხალხის სიმცირისა და ქვეყნის განადგურების გამო, ჰქონდა გაძნელებული. ამრიგად, ბაგრატ V-ც, გიორგი მეფეც გულადი მებრძოლნი იყვნენ, მაგრამ პოლიტიკური შორსგამჭვრეტელობა და საგარეო მიზანშეწონილი ხელმძღვანელობის უნარი გიორგი მეფეს აკლდა.

საქართველოს მდგომარეობა თემურთან ომის შემდგომ

თემურლენგის სიკვდილის შემდგომ, ჯერ კიდევ დარჩენილი იყვნენ მონღოლთა ჯარის ნაშთები, რომელთა საქართველოს საზღვრებიდან განდევნა იყო საჭირო. გიორგი მეფეც სწორედ ამ ამოცანის განხორციელებას შეუდგა.

თემურლენგის მრავალგზისი შემოსევისდა მიუხედავად, საქართველოს სამეფოს პოლიტიკური მთლიანობა შეუნარჩუნებია: ყველა ამბების მთელს ალწერილობაში მხოლოდ ერთი მეფე ჩანს.

სამაგიეროდ სამხრეთითა და აღმოსაელეთით მდებარე სანაპირო თემები, რომლებიც წინათ საქართველოს ეკუთვნოდნენ, თემურლენგის შემოსევის დროს საქართველოს ხელიდან გამოეცალა. აღმოსაელეთმა საქართველომ არამც თუ შანჭარი დაკარგა, რომელიც წინათ საქართველოს ეკუთვნოდა, არამედ გაჩიანი, ანუ ხაჩენიც-კი: იქ უკვე მაჰმადიანი მმართველი იჯდა. საქართველოს აღმოსაელეთის საზღვრის ასე შეცვლებას, რასაკვირველია, საბედისწერო შედეგი უნდა მოჰყოლოდა, მეტადრე მომავალში, რადგან ეს ისედაც ძნელად დასაცავი მხარე უხლა თითქმის სრულებით მოშიშვლებული აღმოჩნდა.

ბრძოლა თმოურის სამფლობელოს გამო და გიორგი VI-ის სიკვდილი

თემურლენგის მემკვიდრეთა შორის ატეხილი ბრძოლით თურქმანთა ტომების მეთაურებმა ისარგებლეს, მათ შორის შაებატკნიანთა (ყარაყოინლუ) ტომების უფროსმა ყარა-იუსუფმაც, თავისი პოლიტიკური ბატონობის განსამტკიცებლად. მან სძლია თავის მოწინააღმდეგეებს აზერ-

იბნ-ოვეის ჯელაირს, თემურლენგის შვილს მირან-შაჰს და შვილიშვილს აბუბექრს, რის შემდგომაც ერანის აზერბაიჯანის მფლობელად იქცა.

ეს გარემოება საქართველოსათვის ფრიად საშიშ მოვლენას წარმოადგენდა, რადგან ყარა-იუსუფის დამპყრობლობითი მიდა მარტო იმით არ დაკმაყოფილდებოდა, რაც მას უკვე ჩაულაპული ჰქონდა. საქართველო ამ ბრძოლაში უნებლიედ უნდა ჩათრეული ყოფილიყო და მართლაც 1407 წელს დიდი ომი მოხდა, რომელშიც გიორგი მეფე მოკლულ იქნა და საქართველოს ჯარის უდიდესი ნაწილი ამოწყდა.

კონსტანტინე მეფე (1407 — 1411 წ.)

გიორგი მეფის მაგიერ, საქართველოს მეფედ მისი ძმა, კონსტანტინე, დაჯდა, რომელიც თემურლენგის შემოსევის დროს გიორგის დესპანდაცკი იყო. მას ოვით საზრუნავი უნდა ჰქონოდა: აოხრებული ქვეყნის აღდგენა და მტრის ნაშთების გაძევება საქართველოდან. ამისთვის შინაურობაში მშვიდობიანობა და პოლიტიკური სიმტკიცე იყო საჭირო. სამწუხაროდ, თვით კონსტანტინე მეფის ოჯახშიც-კი განხეთქილება იყო. 1407 წელს კონსტანტინე მეფესა და მის შვილს ალექსანდრეს შორის ისეთი უთანხმოება ჩამოვარდა, რომ უკანასკნელი იძულებული იყო სამცხის ათაბაგ ივანე ცხრისკვარელთან წასულიყო.

შვილსა და მამას შორის ატეხილი უთანხმოება იმდენად დიდი ყოფილა, რომ სანამ მისი მამა კონსტანტინე ცოცხალი იყო, ალექსანდრე ბატონიშვილი არც მამის ოჯახში დაბრუნებულა, არც მამა უნახავს.

სამეფო ოჯახში ჩათესილი უთანხმოების ასეთ გარემოებაში, საქართველოს მახლობლად დიდი პოლიტიკური ცვლილება მოხდა: ატყდა კვლავ ბრძოლა ყარა-იუსუფსა და ჯელაირის შორის.

1410 წელს აშენდ ჯელაირის შეპრის საპასუხოდ, ყარა-იუსუფი მოწინააღმდეგეს თავს დაესხა და გაიმარჯვა. მან აჰშენდ იბნ-ოვეის ჯელაირი და მისი შვილი ხელთ იგდო და დაახოცინა. ამის შემდგომ მან შირვანის ხელში ჩაგდებაც მოიწადინა: შემოიჭრა ორჯერ და მის დაპყრობას შეუდგა.

შირვანის მფლობელმა საქართველოს მთავრობას დახმარება სთხოვა. კონსტანტინე მეფეც ორი ათასი მხედრითურთ შირვანის მმართველს მიეშველა. ყარა-იუსუფი ამ დროს ჩალალანამდის იყო შემოჭრილი. სასტიკი ბრძოლა სწორედ ჩალალანთან მოხდა 1411 წელს. თავგანწირული ბრძოლისა და გამაცვიფრებელი სიმამაცისდა მიუხედავად, რომელიც საქართველოს ჯარმა და თვით კონსტანტინე მეფემ გამოიჩინა, გამარჯვება მაინც ყარა-იუსუფს ერგო. კონსტანტინე მეფე და სხვა ქართველი გამოჩენილი სარდლები ტყვედ ჩაუვარდნენ. ტყვეობაშიც მათ თაყვანთი თავი ლირსებით ეჭირათ და ამით განრისხებულმა ყარა-იუსუფმა საქართველოს მეფე თავისი ხელით მოჰკლა, ხოლო დანარჩენი ქართველი სარდლები თავის მახლობელს მოაკვლევინა.

ალექსანდრე პირველი დიდი (1412 — 1443 წ.)

კონსტანტინე მეფე რომ ჩალალანში მხსვერპლად შეეწირა, იოანე თავ-ბაგთან შეხიზნული მისი ვაჟიშვილი ალექსანდრე ქართლში დაბრუნდა და 1412 წელს 20 თებერვალს და 21 მარტს შუა საქართველოს საჭეფო ტახტზე ავიდა. იმისდა მიუხედავად, რომ ალექსანდრე 1412 წელს გამეფებისას ჯერ კიდევ ჰაბუკი იყო, ის უკვე დაქორწინებული იყო, თანამეცხედრედ გულანდუხტი ჰყავდა, რომლისგანაც ორი ვაჟიშვილი, ვახტანგი და დემეტრე, შეეძინა. 1414 წელს რომ გულანდუხტ დედოფალი გარდაიცვალა, ცოლად თამარი შეირთო, რომლისგანაც კიდევ ორი ვაჟიშვილი, გიორგი და დავითი, შეეძინა. ამრიგად ალექსანდრეს მრავალრიცხოვანი ოჯახობა ჰყავდა, რამაც შემდეგში საქართველოს სახელმწიფო საქმეებზედაც იქონია გავლენა.

ალექსანდრეს მეფობამდის საქართველო გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა: მტერთან ბრძოლა და დროგამოშვებით საქართველოს რბევა ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. ამის გამო ახალი ადგილებიც გახრებული იყო და თემურლენგის შემოსევების დროს განადგურებული. ნახარი ადგილების აღდგენაც ძნელდებოდა.

ალექსანდრე I-მა სცადა უველაზე უწინარეს საქართველო უზრუნველეყო გარეშე მტრის შემოსევისაგან. ამის წყალობით მის მეფობაში მშვიდობა და შეუდრეობა დამყარდა.

ალექსანდრე მეფეს სრულიადი საქართველო ემორჩილებოდა: ის თავის თავს სრულებით სამართლიანად „აფხაზთა და ქართველთა მეფეთა მეფეს" უწოდებს და, როგორც ტფილისი, ისევე ქუთაისი მას ეკუთვნოდა და ერთმანეთთან პირდაპირი საქარავნო-სავაჭრო გზით იყო შეერთებული. მაინც ალექსანდრე პირველის დროინდელი სრულიადი საქართველო, იმასთან შედარებითაც, რაც ბაგრატ დიდის დროს იყო, უკვე ჩამოშორებილ სახელმწიფოს წარმოადგენდა. აღმოსავლეთით, როგორც ვიცით, ძველი გაჩიანი, ანუ შერვანდელი ხაჩენი საქართველოს საზღვრებს გარეშე იყო დარჩენილი. საქართველოს სამხრეთის საზღვრის საწაპირო ძალზე შემცირებული იყო: ამ დროს ანისი-კი უკვე საქართველოს აღარ ეკუთვნოდა. საქართველოს დაცვის თვალსაზრისით ისეთი აუცილებელი ციხე-ქალაქი-კი. როგორიც ლორეა, მტერს ჰქონდა ხელში ჩაგდებული.

რაკი მტერი ლორეს ველზე ჯერ კიდევ იყო დარჩენილი, ცხადია, რომ მას ყოველთვის საშუალება ექნებოდა საქართველოს უფრო სწრაფად და უფრო ადვილად შემოჰსეოდა. საქართველოსათვის-კი თავის დაცვა და ლორეს უკან დაბრუნებაც გაცილებით უფრო გაძნელებული იყო იმის გამო, რომ ლორეს ველი მაღალ მთიანეთს წარმოადგენდა და სამხედრო მოქმედება უნდა დაბლობიდან მაღლობისაკენ ყოფილიყო მიმართული. მხოლოდ 20 წლის მეფობის შემდეგ, 1436 წელს, ალექსანდრე მეფემ, ამ ლაშქრობის დაწყება გაბედა და ლორეს ველი კვლავ საქართველოს შემოუერთდა. ამ გამარჯვებას საქართველოსათვის ფრიად

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. როგორც პოლიტიკური და სამხედრო, ისე ეკონომიური თვალსაზრისითაც. რადგან ლორეს ველი საქართველოს ზესაქონლეობისათვის აუცილებლად საჭირო მაღალმთიანი ადგილს წარმოადგენს.

1431 წელს ლორეს ველის შემოერთების შემდგომ საქართველომ თავისი საზღვრის ბუნებრივ ზღუდეს მიაღწია. მაღალი მთები მის სამეფოს კარგად იცავდნენ. საქართველოს სამეფოს საზღვრების ასეთმა უშიშროებამ, ალექსანდრე მეფესა და საქართველოს მთავრობას საშუალება მისცა წინათ საქართველოს საკუთრებად მყოფი მახლობლად მდებარე თემებიც დაებრუნებია. მან ისარგებლა შემთხვევით, რომ შაჰრუხსა და ჯეჰან-შაჰს შორის ერანში ბრძოლა იყო ამტყდარი და, მისი ნებართვით, ბეშქენ ორბელიანმა საქართველოს აღმოსავლეთით მდებარე სივნიეთის თემები შემოერთა. ალექსანდრემ ბეშქენ ორბელიანს ამ გამარჯვებისათვის ლორეს ციხე უწყალობა, ის სიმაგრე, რომელიც მის საგვარეულოს დემნას აჯანყების მოწყობის გამო გიორგი III-ისაგან ჰქონდა ჩამორთმეული.

სივნიეთისა და მახლობელი თემების შემოერთებამ საქართველოს შეთხელებულ მოსახლეობას 60 ათასზე მეტი მცხოვრები კომლი შესძინა.

რაკი საქართველომ ასე გაძლიერება დაიწყო, საქართველოს საზღვრებს გარეშე მცხოვრებ სომხების ლტოლვილთა ტალღა მოაწყდა, ისინი მაჰმადიანთა საბრძანებლებიდან გადმოდიოდნენ, რომ საქართველოში დასახლებულიყვნენ და მყუდრო ცხოვრებისა და შრომის საშუალება ჰქონოდათ.

ალექსანდრე I-ის ჟველის აღმშენებლობითი მოღვაწეობა

როცა ალექსანდრე I-მა საქართველო გარეშე მტრის შემოსევისაგან უზრუნველჰყო და სახელმწიფო განამტკიცა. ის განადგურებული და აოხრებული ქვეყნის განახლებასაც შეუდგა. ალექსანდრე გამეფებისას 22 წლის ჰაბუკი იყო. ბავშვობიდან მოყოლებული 17 წლამდის ის თავის ბებია, ქეთევანი ამირეჯიბის მეუღლე, რუსთან იზრდებოდა. იმ შესანიშნავ ქართველ მანდილოსანთან, რომელის სახელი საქართველოს ისტორიაშიც ალიბეჭდა. რუსამ გასაოცარი მზნეობა და თაოსნობა გამოიჩინა: იმ საერთო გაჭირვებისა და მწუხარების დროს რუსამ თემურლენგისაგან განადგურებული სვეტისცხოველის აღდგენასა და განახლებას მიჰყო ხელი. ეს იმდენად დიდი და იმდენად ძნელად გადასაწყვეტი ამოცანა იყო, რომ მისი დაძლევა ერთი ადამიანისათვის გასაოცარიკია.

ბებიის მაგალითს ნორჩ ალექსანდრეზე ღრმა შთაბეჭდილება მოეხდენია და შემდეგში, როდესაც რუსა ისე გარდაიცვალა, რომ მას დაწყებული საქმის დამთავრება არ დასცალდა, ალექსანდრე მეფემ, თავისი ბებიის თაოსნობის ბოლომდის მიყვანა თავის მოვალეობად მიიჩნია.

ალექსანდრემ ბებიისაგან დაწყებული სვეტისცხოველის განახლებაც განაგრძო და უფრო ფართო ამოცანა და უფრო რთული გეგმაც დაისახა.

ის. რაც რუსამ დაიწყო, ერთი ადამიანისათვის დიდი და გაბედული ნაბიჯი იყო, მაგრამ განა საქართველოში მარტო სვეტიცხოველი იყო დანგრეული? თითქმის არც ერთი დიდი და მნიშვნელოვანი ნაგებობა, საყდრები, ეკლესიები, ციხეები, ქალაქის ზღუდეები არ მოიპოვებოდა, რომლებიც თემურლენგის ურდოებს არ დაეზიანებინათ და არ დაენგრიათ. ეს უნდა ეკისრა ყველა ამის განახლება-აღდგენა და. თუ ეს ნაკისრი არ იქნებოდა, როგორ შეიძლებოდა, რომ საქართველო პოლიტიკურად გამაგრებულიყო? ამის სათანადოდ მოგვარება მხოლოდ მთელს სამეფოს, მთელ ქართველ ერს შეეძლო. ამიტომ ალექსანდრე I-მა გადაწყვიტა, ეს საქმე თვით ეთავა და საქართველოში თემურლენგის დანგრეული ციხე-ქალაქების, ეკლესიების, საყდრებისა და სხვა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა აღდგენას შესდგომოდა.

ასეთი ფართო ამოცანის განხორციელება, წინასწარ კარგად შეზუშაევებული გეგმისა და საჭირო სახსრების წყაროს გაუთვალისწინებლივ სრულებით შეუძლებელი იყო. ამ ყველა საკითხების განხილვა ალექსანდრე I-ს მოუხდა. რაკი თემურლენგის შემოსევის შემდგომ იმდროინდელი ათხრებული საქართველო გალატაკებულიც იყო, ისეთი სახსრები, რომლის დასახული მიზნის განსახორციელებლად გამოყოფაც შესაძლებელი ყოფილიყო, სახელმწიფო ხაზინას არ მოეპოვებოდა. მაშასადამე, უნდა სხვა რაიმე წყარო გამოენახათ. ალექსანდრე მეფემა და საქართველოს მაშინდელმა თავრობამ გადაწყვიტეს, საქართველოს განახლებისათვის საგანგებო დროებითი გადასახადები დაეწესებინათ, რომელიც ყოველწლიურად უნდა აეკრიბათ. ცხადია, რომ ასეთს ფართო განახლებითს მშენებლობას დიდი დროცა და დიდი თანხაც უნდა დასჭირებოდა. ალექსანდრე I-მა ამ საგანგებო გადასახადად კომლზე 40 თეთრი (ეერცხლის ფულია) დააწესა, რომელიც თითოეულ მეკომურს ამ საალმშენებლო სათავნოს შესადგენად მაშინდელ საქართველოში უნდა გამოელო.

ალექსანდრე მეფემ ეს დროებითი საგანგებო გადასახადი 1425 წელს შემოილო, ხოლო 1440 წლისათვის მიზანიცა და გეგმაც მთლიანად განხორციელებული იყო. ალექსანდრე მეფემ განკარგულება გასცა, რომ 1440 წლიდან მოყოლებული საგანგებო საალმშენებლო გადასახადი ამოეკვეთათ.

15 წლის განმავლობაში, რა დიდი თანხაც არ უნდა ყოფილიყო შეგროვებული, უველაფერს ვერ აღადგენდნენ: ამისათვის მაშინდელ საქართველოს არც საკმაო ქონებრივი სახსარი ჰქონდა და არც ფიზიკური საშუალება იყო, რომ 15 წლის განმავლობაში ასეთი უზარმაზარი ამოცანა განხორციელებული ყოფილიყო. ამიტომაც, ცხადია, რომ ალექსანდრე I-ისა და საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულს განახლების გეგმაში მხოლოდ ისეთ უმთავრეს ნაგებობათა აღდგენა იქნებოდა შეტანილი, რომელთა აღუდგენლობა საშიშროებას წარმოადგენდა და რომელთა განახლება კულტურული მოთხოვნილებისათვისაც აუცილებლად საჭირო იყო. ალექსანდრე მეფე. რამდენადაც-კი შესაძლებელი იყო,

ცდილობდა, გაუკაცრიელებელი ადგილები კვლავ შენად გაეხადა, მაგრამ ფართოდ ამ გეგმის განხორციელება უსახსრობის გამო შეუძლებელი იყო. ამიტომაც თემურლენგის შემოსევის დროს განადგურებული ბევრი სოფელი სამუდამოდ ნასოფლარად დარჩა, დროთა განმავლობაში ტყითაც დაიბურა და მის შემდგომ ველარც აღსდგა.

ალექსანდრე I-ის აღმშენებლობითი მუშაობა იმდენად დიდი იყო და მისი შედეგი იმდენად ყველასათვის თვალსაჩინო აღმოჩნდა, რომ თანამედროვეებმაცა და მომდევნო თაობამაც მას მეფეთა შორის წარჩინებულის სახელი უწოდა და საქართველოს ისტორიამ დიდი ალექსანდრეს წოდებულებაც-კი მიაკუთნა.

სოციალური ვითარება საქართველოში ალექსანდრე პირველის მეფობაში

ალექსანდრე I-ის ამაზე უფრო ფართო გეგმის განხორციელებაც შეეძლებოდა, რომ მაშინდელი საქართველოს სოციალურ წესწყობილებას მისთვის გადაულახავი დაბრკოლება არ შეექმნა.

მეფის ხელისუფლების გაძლიერება ხანგრძლივი ომის განმავლობაში, უნებლიედ უხდა შესუსტებულიყო. ამავე დროს დიდგვარიან აზნაურთა გაძლიერება იმ არეულობის ხანაში, რომელშიც საქართველო მაშინ იმყოფებოდა, ამნაირადვე ბუნებრივი შედეგი იყო. ალექსანდრეს საკუთარ ოჯახშიც-კი, მოცილეები თუ არა, თანამონაწილენი უკვე აღმოუჩნდნენ. თავის მთავრობასა და ვაზირებთან მას ალარ შეეძლო ისეთ თავისუფლად ემოქმედნა, როგორც წინათ, როდესაც საქართველოს სახელმწიფოს მხოლოდ მეფეები განაგებდნენ და მათსა და ვაზირთა ნებისყოფაზე იყო უველაფერი დამოკიდებული და სხვას არავის ჰქონდა უფლება ჩარეულიყო.

ალექსანდრე მეფე უკვე იძულებული იყო თავისი ძმებისა და ცოლშვილისათვისაც გაეწია ანგარიში: მათი აზრი და სურვილი უმნიშვნელო ალარ იყო ხოლო, რაკი საქართველოს მეფე ცოლად წინანდებურად უცხო სამეფოების ასულს ველარ ირთავდა, არამედ რომელიმე თავისივე ქვეშევრდომის ასული მოჰყავდა ხოლმე ცოლად, ცოლის ნათესავებიც უითარცა მეფესთან უფრო დაახლოებულნი, სხვებზე მეტად გაძლიერებულნი ხდებოდნენ. ბატონიშვილებიც ადგილობრივე ირთავდნენ ცოლებს, მათი ნათესაური კავშირიც სამეფო საგვარეულოს და სახლობას დიდგვარიან აზნაურთა გარკვეულ წრეს უახლოვებდა ხოლმე. ეს დიდგვარიან აზნაურთა დანარჩენ წრეებში ბუნებრივად შურსა და უკმაყოფილებას იწვევდა. ეს გარემოებავე საქართველოს მეფეს საშუალებას უსპობდა თავის ყველა ქვეშევრდომთან პირუთნელობა და მიუკერძებლობა დაეცვა: ნათესაობის გაძლიერის ინარეკლი მის მოქმედებაში უნებლიედ ჩანდა ხოლმე.

ყველაფერი ეს საქართველოს მეფის ხელისუფლების დასუსტებასა და გაძლიერობის შემცირებას უწყობდა ხელს. ეს გარემოება იმდროინდელს ძეგლებში გარეგნულადაც-კი არის აღბეჭდილი.

ალექსანდრე მეფის ხნიდან მოყოლებული, საქართველოს მეფეები თავიანთ სიგელებს წინანდებურად მარტო თავიანთი სახელით-კი აღარ აწერინებდნენ, არამედ შიგ თანამეცხედრეც, ძმებიცა და შვილებიც არიან დასახელებულნი. რომელთაც, რასაკვირველია, არავითარი უფლება არ ჰქონდათ. რომ საქმეებში ჩარეულიყვნენ, მაგრამ რომელთა ჩარევას უფლობელ საბუთს სიგელში მათი მოხსენების გარემოება წარმოადგენს.

ასეთ პირობებში თვით მეფის ოჯახშიც, მის შვილთა შორის ისეთებიც აღმოჩენილიყვნენ, რომელთაც ესეც აღარ დააკმაყოფილებდა და რომელნიც ამაზე მეტი ხელისუფლების ჩაგდებას ლამობდნენ. ალექსანდრე I-ლს სიგელში თავისი უფროსი ვაჟიშვილი ვახტანგი თავისი სიცოცხლის დროსვე მეფეთა-მეფედ ჰყავდა დასახელებული. შემდეგში ალექსანდრე I-ის საბუთებში ვახტანგი მეფედ აღარ იხსენიება. მეფის ოჯახში განხეთქილება მომხდარა, რომელმაც აიძულა ასე არაჩვეულებრივად მოქცეულიყო და თავისი სიცოცხლის დროსაც თავისი ვაჟიშვილი მეფედ მოეხსენებინა.

1442 წელს ალექსანდრემ ქვეყნის მესაჭეობას თავი დაანება. ბერად აღიკვეცა და. ათანასედ სახელდებული, სვეტიცხოვლის ეკვდერში ცხოვრობდა. სამეფო ტახტზე-კი მის მაგიერ სწორედ მისი ვაჟიშვილი ბაგრატი ავიდა, რომელიც ალექსანდრეს თავის სიცოცხლის დროს რამდენიმე წლის წინად მეფედ ჰყავდა მოხსენებული. 1442 წელს ალექსანდრე 67 წლის იყო და მას ჯერ კიდევ შეეძლო სამეფო საქმეებს გასძღოლოდა. ფიზიკურიცა და გონებრივი ძალაც ამისათვის მას ეჩნებოდა. მისი ენერგიული ბუნებაც უმოქმედო ბერმონაზონად ძნელი წარმოსადგენია, ამიტომაც საფიქრებელია, რომ თავის საკუთარ ოჯახშივე ჩამოვარდნილ უთანხმოების გამწვავების ასაცილებლად, მან ამჯობინა თავის პატივმოყვარე შვილისათვის მეფობა თითონვე დაეთმო. ვიდრე განხეთქილება ჩამოვარდა და საქართველო განსაცდელში გაეხვია.

ვახტანგ IV-ი ალექსანდრეს ძე (1442 — 1446 წ.)

ვახტანგ IV-ეს დიდხანს არ მოუხდა სამეფო ტახტზე ყოფნა. 1442 წელს გამეფებული ოთხი წლის შემდგომ ის უკვე მკვდარი ჩანს. მისი მეფობის შესახებ ძალიან მცირე ცნობები მოგვეპოვება და ისიც რაც არის, დანამდვილებით ძნელი სათქმელია, რამდენად მის მეფობას ეხება. ეს ჯეჰან-შაჰის შემოსევის ამბავია. ვახტანგ IV ქართლის დიდგვარიან აზნაურ მოხელეებთან ბრძოლა ჰქონია, მათი მოღალატური ქცევის გამო, კერძოდ ამილახორი ზევდგინიძე მას ასეთი ქცევისათვის შეუპყრია. ზევდგინიძეს მეფემ მამულიც ჩამოართვა, ყმებიც წაართვა. შემდეგ დაუპერია და დასამწყვდევად ლიხთ-იმერეთში წაუყვანია. ეს უკვე იმ აშლილობის დასაწყისია, რომელმაც შემდეგში საქართველოს სახელმწიფოებრიობის მთლიანობა იმსხვერპლა.

ბრძოლა საქართველოს მთლიანობის დარღვევის წინააღმდეგ

გიორგი VII-ე ალექსანდრეს-ძე (1446 — 1466 წ.)

ეახტანგ IV-ის მაგიერ სამეფო ტახტზე საქართველოში 1446 წელს მისი ძმა გიორგი ავიდა. გამეფებისას ის 31—32 წლისა იყო და ქვეყნის მესაჭეობისათვის თითქოს საკმაო გამოცდილება უნდა ჰქონოდა.

გიორგი VII-ემ მთელი თავისი მეფობა ხელისუფლებისა და ბატონობის გამო ამტყდარს ბრძოლას შეალია. ამ ხანაში მთავრებმაც წამოყვეს თავი, უპირველესად მესხეთის მმართველმა. რომელმაც, როგორც ვიცით, უკვე XIII-ე საუკუნეში საქართველოს მეფისაგან დამოუკიდებლობა მოიპოვა. მართალია, გიორგი ბრწყინვალემ საქართველოს ეს გამდგარი თემი დაუბრუნა, მაგრამ თემურლენგის შემოსევის შემდეგ საქართველოს დასუსტებამ მესხეთის მთავარს ალბუღას კვლავ საღერღელი აღუძრა, რომ თავისი საბრძანებელი საქართველოს სამეფოდან გამოეკალკეებინა.

ბრძოლა მესხეთის მთავარს ყუარყუარასა და გიორგი მეფეს შორის

უთანხმოება ჯერ თვით მესხეთის მთავრების. ჯაყელთა ოჯახში დაწყო: გაშწვავდა ურთიერთობა ალბუღასა და მის ბიძას ყვარყვარას შორის, რომელთაგან უკანასკნელმა ხელისუფლების ხელში ჩაგდება მოიწადინა და მესხებს თავისკენ გადაბირება დაუწყო. ალბუღამ, თავისი ბიძის შეპყრობა გადაწყვიტა, მაგრამ ყვარყვარამ დაასწრო, 1447 წელს ალბუღას წინააღმდეგ გაილაშქრა და გაიმარჯვა.

დამარცხებული ალბუღა გიორგი მეფესთან წავიდა დახმარების სათხოვნელად. მაგრამ გიორგი მეფე რომ დახმარების აღმოსაჩენად მესხეთში მიეიდა, ყვარყვარა მეფეს არ შებრძოლებია, არამედ გზაშივე დაუხვდა და მისი გულის მოგება მოიწადინა, უდანაშაულობა შეჰფიცა. მას ეგონა, რომ გიორგი VII-ე ასეთი ჭკუისათვის მას დაუმადლებდა და კილდოდ მისცემდა, რაც სწადდა. მაგრამ გიორგი VII-ემ ალბუღას დაუჭირა მხარი და ათაბაგად ისევ ალბუღა დასტოვა, ყვარყვარა-კი თან წამოიყვანა.

ყვარყვარა უკმაყოფილო იყო და უსიამოვნება ბიძა-ძმისწულს შორის უკვე ყვარყვარასა და გიორგი მეფის უთანხმოებად იქცა.

1451 წელს რომ ალბუღა ათაბაგი გარდაიცვალა. გიორგი მეფემ ათაბაგობა ყვარყვარას უწყალობა. რომ ამით დაემშვიდებინა და მისი გული მოეგო. მაგრამ ყვარყვარა ათაბაგს მეფისაგან დამოუკიდებლობის მოპოვება ჰსურდა. 1459 წელს, როდესაც დასავლეთ ევროპაში საქართველოდან საერთო პოლიტიკური გეგმის შესახებ მოსალაპარაკებლად დესპანი უნდა ყოფილიყო წარგზავნილი, ყვარყვარა ათაბაგმა თავის საკუთარი დესპანიც გააყოლა.

უშარეშარა ათაბაგის ფართო გეზმა მესხეთის საქართველოს საზღვრებიდან გამოსაყოფად და ამის საწინააღმდეგოდ ბრძოლა.

ათაბაგმა თავისი სამფლობელოს საქართველოსაგან მარტო პოლიტიკურად ჩამოშორება-კი არ მოისურვა, არამედ უნდოდა მესხეთის მთელი სამწყსოც ქართული ეკლესიიდან გამოეყო. ამ მიზნით მან მაწყვერელი ეპისკოპოსის განდიდება მოიწადინა. რომ მისთვის თავის სამფლობელოს ყველა სხვა ეკლესიები დაექვემდებარებინა. ყვარყვარას მთელი მოქმედება საქართველოს პოლიტიკურ დანაწილებას უწყობდა ხელს და ქართველი ერის ინტერესებისათვის მოღალატური ნაბიჯი იყო.

საეკლესიო კანონების თანახმად ეპისკოპოსად არჩეული პირი უეჭველად უნდა მცხეთაში წასულიყო და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მიერ სვეტიცხოველში ყოფილიყო ხელდასხმული. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მესხეთის მთავრის განკერძოებითს პოლიტიკას უბრძოდა და ყველა იმ საეპისკოპოსოდ არჩეულ პირებს, რომელნიც მესხეთიდან ჩამოდიოდნენ კურთხევამდის კატეგორიულად ფიცს და ალთქმას ადებინებდა, რომ ის საქართველოს მწყემსთაეარის ერთგული და საქართველოს მეფის მომხსენებელი და მლოცველი იქნებოდა. წირვა-ლოცვის დროს საქართველოს მეფის მოხსენება საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის გამოხატულებას წარმოადგენდა და ყვარყვარა ათაბაგსაც სწორედ ამის მოსპობა ჰსურდა.

საქართველოს ეკლესიის მეთაურის უშარეშარა ათაბაგის პოლიტიკის საწინააღმდეგო ბრძოლის შედეგი

როდესაც ყვარყვარა დარწმუნდა, რომ საქართველოს ეკლესიის საქმეთმპყრობელი მისი პოლიტიკური გეგმების ჩაშლას ლამობს, მაშინ მან გადაწყვიტა, რომ მაწყვერელობა და ეპისკოპოსობა უმცხეთოთ ადგილობრივეე მიენიჭებინა. მაგრამ საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარმა ამას საპასუხოდ, როგორც მაწყვერელი, ისევე სხვა საეკლესიო პირებიც, როდესაც ამ გზით საეკლესიო თანამდებობის ხელში ჩაგდება იყადრეს, შეარყევნა, შეჩვენებულ პირს საეკლესიო კანონებით მღვდელმსახურების აკრძალული ჰქონდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამისათვის განკუთვნილი გასამრჯელოც მას ალარ შემოეიდოდა. ამ საშუალებამ ძლიერი გაელენა მოახდინა და უნებლიედ გაჭირვებაში ჩაეარდნილი ეს პირები იძულებულნი გახდნენ, რომ საქართველოს ეკლესიის საქმეთმპყრობელთან შეთანხმების გზებზე დამდგარიყვნენ.

მაშინ ყვარყვარა ათაბაგმა ისარგებლა შემთხვევით, რომ საქართველოში მახლობელი აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთერთი დიდი სამღვდელო პირთაგანი მოვიდა, რომელსაც მიზნად საქართველოში შემოწირულების შეგროვება ჰქონდა დასახული. ეს პირი მიტროპოლიტი საკმაოდ ცბიერი აღმოჩნდა: ყვარყვარასთან წინას-

წარ შეთანხმებით სწორედ იმის ქადაგებაც დაიწყო, რაც თვითონ ყვარყვარა ათაბაგს სწადდა: რომ საქართველოს საპატრიარქო ეკლესიის მორჩილება სრულებით საეალდებულო არ იყო.

როცა ამ ბერძენმა მიტროპოლიტმა ჯიბეები საკმაოდ გაისქელა და საქართველოდან წაიღო, მესხეთის სამღვდელო პირები ისევ ისეთსავე მდგომარეობაში ჩაეარდნენ, რა მდგომარეობაშიც წინათ იყვნენ: მათ დამცველი მოაკლდათ და, ან უნდა საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარს დამორჩილებოდნენ, ანდა უნდა იმ გარემოებას შეჰრიგებოდნენ, რომ მათ სამწყესოდან კონებრივი შემოსავალი აღარ ეკნებოდათ.

ათაბაგის გეგმის ჩაშლა და ძართლი ეკლესიის მთლიანობის შენარჩუნება

კონებრივმა გაჭირვებამ აიძულა ისინი, დაჰმორჩილებოდნენ საქართველოს ეკლესიის მაშინდელ კათალიკოს დავითს, რომელიც ალექსანდრე I-ის შვილი იყო და რომელიც ქართული ეკლესიის მთლიანობის დაცვასთან ერთად საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის დაცვასაც თავის მოვალეობად სთვლიდა.

გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი მესხეთის შეჩვენებული სამღვდელო პირები რომ მცხეთაში ჩავიდნენ, დავით კათალიკოსმა ამ პირების თხოვნა არ შეისმინა, სანამ ფიცის წიგნზე ხელი არ მოაწერინა, რომ საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქის ყოველ ბრძანებას დაუმორჩილებოდნენ, მისი ერთგული და საქართველოს მეფეთა მსლოცველი იქნებოდნენ ყოველი წირვა-ლოცვის დროს. ეისაც კათალიკოს-პატრიარქი შეარისხვოდა, ისინი ვალდებულნი იყვნენ, რომ იმასთან კავშირი შეეწყვიტათ: შეჩვენებულ ეპისკოპოსებთან ერთად წირვა არ ეწირათ და, სანამ დასჯილნი შენდობას არ მიიღებდნენ, მათთან საერთო არაფერი ჰქონოდათ. ამაზე ალთქმაში იყო აღნიშნული, რომ, თუნდაც ყვარყვარამ მწყუერელობა, ან სხვა ეპისკოპოსობა შეშოგეთავაზოს, სანამ ყვარყვარა და მისი შეჩვენებული ეპისკოპოსები თქვენს განკარგულებას არ დაემორჩილებიან, მანამდის ყვარყვარასაგან შემოძღვნული ხელისუფლება არ მიიღოთ და უარეყოთო.

ამ ალთქმის წიგნის პოლიტიკური მნიშვნელობა სრულებით ცხადია. დავით კათალიკოსი თავის მოვალეობად სთვლიდა. მისი განკარგულებაში მყოფი ყოველ საშუალებით ის დამლუპველი მიმართულება შეეჩერებინა, რომელსაც მესხეთის მთავარი დაადგა და რომელსაც მიზნად საქართველოს მეფისაგან სრული პოლიტიკური და საეკლესიო დამოუკიდებლობის მოპოვება ჰქონდა დასახული. ასეთი ენერგიული საშუალებითა და ბრძოლის წარმოების წესით. დავით კათალიკოსმა ბოლოს იმდენი მოახერხა, რომ ყვარყვარა ათაბაგმა თავისი წადილის მიღწევა ვერ შესძლო.

საქართველოს საშინაო პოლიტიკური ვითარება და საომარ მოქმედებათა დაწყება

ამ დროს საქართველო უკვე მკვეთრად იყო სამთავროებად დაყოფილი: აფხაზეთი და სამეგრელო ერთ სამთავროს წარმოადგენდა, რომლის სათავეში ბედიანი იდგა. გურია ცალკე სამთავროს წარმოადგენდა.

აფხაზეთ-სამეგრელოს მთავარი, ასეთი გაძლიერებისდა მიუხედავად, მაინც საქართველოს პოლიტიკურ საზღვრებში დაეტია და ჩამოშორების მიზანი ამ ხანაში მას დასახული არ ჰქონდა.

საქართველოს პოლიტიკური მთლიანობა ჯერ დარღვეული არ იყო, მაგრამ რღვევის პროცესის დასაწყისი უკვე საკმაოდ მკაფიოდ დაეტყო.

საერთაშორისო პოლიტიკაში მომხდარი დიდი ცვლილება. ოსმალთაგან ბიზანტიის მოსპობა და ამის შედეგი

საქართველოს ასეთი შინაური ვითარება მეტად სახიფათო იყო იმ საერთაშორისო პირობების გამო, რომელიც მახლობელ აღმოსავლეთში ამ დროისათვის შეიქმნა: საქართველოს ახალი ძლიერი პოლიტიკური მეზობლები გაუჩნდნენ.

შაჰროხი რომ გარდაიცვალა, 1451 წელს, ერანის მბრძანებლად ყაენად შაჰი გახდა. ქირმანიდან მოყოლებული საქართველოს საზღვრამდე მას უკვე მთელი მიწა-წყალი ეპირა ხელში.

სამხრეთ-დასავლეთით საქართველოს უფრო საშიში მეზობელი, ოსმალეთი, გაუჩნდა. სულტანმა მუჰამედმა 1453 წელს ბიზანტიის სახელმწიფოს დედაქალაქი კონსტანტინეპოლი აიღო და მთელს მაშინდელ მსოფლიოში მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ცნობილი ბიზანტიის იმპერია დედამიწის ზურგიდან ალიგაეა. საქართველოსათვის ეს დიდი უბედურება იყო.

საქართველოს ამიერიდან დასავლეთის გზაც დაეხშო და დასავლეთთან უშუალო კავშირის ყოველგვარი შესაძლებლობა მოესპო. თუ წინათ მას მეზობლად სუსტი ბიზანტიის საკეისრო ჰყავდა, ეხლა უკვე ძლიერი, საუკუნოვად შეიარაღებული ოსმალეთის სახელმწიფო აღმოუჩნდა. ამით საქართველოს ყოველგვარი საშუალება მოესპო, რომ დასავლეთ ევროპის კულტურის აყვავების, რენესანსის ნაყოფიერს შემოქმედების წყაროს გასცნობოდა და თვითონაც ასეთი ალორძინების მოზიარე გამხდარიყო.

საომარ და პოლიტიკური გეგმა ოსმალთა კონსტანტინეპოლიდან განადევნად

დამახასიათებელია, რომ კონსტანტინეპოლის ოსმალთაგან აღებას ყველაზე უწინარეს დასავლეთ ევროპაში მიაქცია ყურადღება. რომის პაპმა ნიკოლოზ V-მ მაშინვე სცადა ბიზანტიის დედაქალაქის თურქ-ოსმალთაგან განსათავისუფლებლად ჯვაროსანთა ომი მოეწყო. მაგრამ ევ-

რას გახდა. მისმა მოადგილემ კალისტ III-აც ეერაფერი მოახერხა. ორგზისი ცდის უნაყოფობისდა მიუხედავად, რომის პაპმა პიომ გადასწყვიტა დასახული მიზნისათვის ისეთი გეგმა შეედგინა, რომ მის განსახორციელებლად დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქრისტიანთა სახელმწიფოებს მიეღოთ მონაწილეობა: ოსმალეთის წინააღმდეგ დასავლეთ ევროპიდან უნდა წამოსულიყო მხედრობა, აღმოსავლეთის ქრისტიანებს კი, ოსმალთა სათანადო თემებში თურქთა ჯარის დასაბანდებლად, აღმოსავლეთიდან უნდა შეეტიათ.

რომის პაპმა პიომ თავის დესპანად ლუდოვიკო ბოლონიელი გამოგზავნა მახლობელი აღმოსავლეთის ქრისტიანი სახელმწიფოების განზრახულ გეგმაში მბურავალე მონაწილეობის მიღებაზე დასაყოლიებლად.

რომის პაპის დესპანის საქართველოში ყოფნა და ქართველ პოლიტიკოსთა ფარული გეგმა

რომის პაპის დესპანი უპირველესად საქართველოს ესტუმრა, რადგან გეგმით ამ საქმეში სწორედ საქართველოს უნდა მიეღო მბურავალე სამხედრო მონაწილეობა. 1459 წელს ლუდოვიკო ბოლონიელმა გიორგი მეფეს თავისი ეკლესიის უფროსის გეგმა გადაუშალა ოსმალთა ხელიდან კონსტანტინეპოლის გამოსაგლეჯად. ამ განზრახვამ საქართველოს ჟოლიტიკის მესვეურნი ისე გაიტაცა, რომ მათ ამაზე მეტის განხორციელებაც-კი გადაწყვიტეს.

მართალია, რომის პაპის დესპანის მოსვლისას, საქართველოში მეფე-მთავრებს შორის შინაური უთანხმოება იყო, მაგრამ 1459 წელსვე გიორგი მეფესა და მთავართა შორის ზავი დაიდო და განზრახული გეგმის განსახორციელებლად მსჯელობა დაიწყო.

რომის პაპსა და დასავლეთის პოლიტიკოსებს უპირველესად კონსტანტინეპოლის თურქთა ხელიდან გამოგლეჯა აინტერესებდათ, ქართველებისათვის-კი მარტო ეს საკითხი არ იყო საჭირბოროტო. უნდოდათ ამ შემთხვევით ესარგებლათ და მცირე აზიაში თურქთა პოლიტიკური ძალა მოესპოთ, რომ მომავლისათვის მათი საშიშროება სამუდამოდ ჰქონოდათ თავიდან აცილებული.

რაკი ქართველ პოლიტიკოსთა აზრით გეგმა გაცილებით უფრო ფართო უნდა ყოფილიყო, მის განხორციელებას მეტი მონაწილეობაც და უფრო მრავალრიცხოვანი სამხედრო ძალაც სჭირდებოდა: ის სამხედრო ძალა, რომლის გამოყვანაც საქართველოს შეეძლო, — 70 ათასი ჯარისკაცი, საკმარი არ იყო. ამიტომ საქართველოს პოლიტიკოსებმა გადასწყვიტეს, რომ უნდა მეზობელ ბერძნებისათვის, ტრაპიზონის სამეფოს ჯვისრისათვისაც და მცირე სომხეთის მმართველისათვისაც მიემართათ. შესაძლებელი იყო ოსმალთა წინააღმდეგ თვით მახლობელი აღმოსავლეთის იმ მაჰმადიან მმართველთა ძალაც-კი გამოეყენებინათ, რომელთაც ოსმალებთან დაუძინებელი მეტოქეობა და მტრობა ჰქონდათ.

საქართველოს პოლიტიკური მოკავშირენი ოსმალთა წინააღმდეგ განზრახულს ბრძოლაში

მოლაპარაკება მართლაც შეთანხმებით დამთავრდა. დავით ტრაპიზონის მეფე 30 ათასი ჯარისკაცისა და 30 კატარღის გამოყვანას შეჰპირდა, მცირე სომხეთის პატრონმა 20 ათასი მოლაშქრის გამოყვანა იკისრა და უკვე მარტო მახლობელ აღმოსავლეთის ქრისტიან სამფლობელოების ჯარის რაოდენობა 120 ათასს მებრძოლამდე ავიდა და 30 სამხედრო კატარღაც ეყოლებოდათ.

ქართველმა პოლიტიკოსებმა რომ ირანის მბრძანებელს უზუნ-ჰასანს ოსმალთა წინააღმდეგ განზრახულ ლაშქრობაში მონაწილეობა შესთავაზეს, იმისდა მიუხედავად, რომ ისიც მაჰმადიანი იყო, მან იმ იმედით, რომ სამაგიეროდ შესაფერისს ტერიტორიულ ჯილდოს მიიღებდა, მონაწილეობის მიღება სიხარულით იკისრა.

საქართველოს და მის მოკავშირეთა დესპანების გამგზავრება დასავლეთ ევროპაში საბოლოო გეგმის შესადგენად

ლუდოვიკო ბოლონიელის წინამძღოლობით ისინი საქართველოდან ჩრდილოეთის გზით გაემგზავრნენ. რადგან იმ დროს კონსტანტინეპოლზე მგზავრობა ხიფათის მეტს არაფერს უქადდა.

საქართველოს მეფის დესპანს ნიკოლოზ ტფილელს გარდა. ამ დესპანობაში მონაწილეობას იღებდა ყუარყუარა ათაბაგის ელჩი. ვილაც ქასადანი. დავით ტრაპიზონის კეისრისა — მიხეილ, მცირე სომხეთის მთავრის. მარალი და უზუნ-ჰასანისა მაჰმედი.

ჩრდილოეთის გზით მიმავლებმა უნგრეთისა და გერმანიის გზით იტალიაში გაემგზავრნენ. ხოლო 1460 წელს ყველა ეს პირები უკვე რომში იმყოფებოდნენ.

გეზვის ჩაშლა

საქართველოდან ჩასულ დესპან-ელჩებს რომში საზეიმოდ დაუხვდნენ: სასულიერო დასნიც მოაგებეს. საშთავროს სასახლეში შესაფერისი სადგომიც დაუმზადეს, მაგრამ მაინც რომში დესპანებმა სასიხარულო ვერა გაიგეს რა. რომის პაპის ყოველივე ცდა ამაო გამოდგა განზრახული ომის მოწყობა შეუძლებელი შეიქნა და საქმე უნდა მთლიანად ჩაშლილიყო. საქართველოდან და მახლობელ აღმოსავლეთიდან ჩასულ დესპანების კოალიციაზე ამ ამბავმა თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა. მაინც რომ გული არ გაეტეხათ, რომის პაპმა ურჩია. დასავლეთ ევროპის ქრისტიან სახელმწიფოების მესვეურთათვის პირადად ეთხოვათ, იმ გეგმის განხორციელებაში მონაწილეობა მიეღოთ.

1460 წელს საქართველოს დესპანები ჯერ საფრანგეთის მეფეს კარლოს VII-ეს წარუდგნენ და ოსმალეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობა სთხოვეს, შემდეგ მისი შვილის ლუდოვიკის მეფედ კურთხევასაც დაესწრნენ. მასაც სთხოვეს, მაგრამ არც ამით გამოსულა რაიმე.

შინაური ზავის ჩაშლა საქართველოში: გიორგი მეფესა და ყვარყვარა ათაბაგს შორის ბრძოლის განახლება

დღემოკლე აღმოჩნდა საქართველოს მეფე-მთავრებს შორის დადებული 1459 წლის ზაეის ხელშეკრულებაც. ამაზე უფრო უარესი ის იყო, რომ საქართველოს შინაურობაში ისეთი დაუნდობელი მტრობა ატყდა, რომელიც საქართველოს საზღვრებზე მოზღვავებული მტრის მოქმედებას ყოველნაირად უწყობდა ხელს.

ყვარყვარა ათაბაგი ერთი იმ პირველთაგანი იყო, რომელმაც საქართველოში შინაური ბრძოლის კოცონი ქელაე დაანთო: განახლდა ბრძოლა გიორგი VII-ის და ყვარყვარა ათაბაგს შორის. მათი დამოკიდებულება იმდენად გაშწვაედა, რომ სამხედრო ბრძოლითაც-კი დამთავრდა. მესხეთის მთავარმა საქართველოს მეზობლად მყოფი ერანის მბრძანებელი უზუნ-ჰასანიც-კი გამოიყენა. თუ წინათ უზუნ-ჰასანი საქართველოს მეფის მოკავშირე იყო ოსმალთა წინააღმდეგ განზრახულ ბრძოლაში, ეხლა, ყვარყვარა ათაბაგის წყალობით, უზუნ-ჰასანი უნდა მას დაჰხმარებოდა თვით საქართველოს მეფის წინააღმდეგ. უზუნ-ჰასანი 1462 წელს მოვიდა სამცხეში და ყვარყვარა ათაბაგს საქართველოს მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში მიეშველა და ყვარყვარა ათაბაგმა გაიმარჯვა.

ბაგრატის აჯანყება გიორგი მეფის წინააღმდეგ და მისი გამარჯვება ჩიხორთან

ათაბაგის გამარჯვებამ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა წინანდელზე უფრო გაართულა. მებრძოლთა შორის ბაგრატიც გამოჩნდა, რომელსაც ქუთაისის სანახებში, ე. ი. სამოქალაქოში. საკვეყნოდ გამრიგის თანამდებობა ჰქონდა და ამიტომ ქუთაისიც მას ექვემდებარებოდა. გიორგი მეფემ რომ ამ ბაგრატს ორპოფული ქცევისათვის ქუთაისი წაართვა, ის გიორგი მეფეს უკვე ცხადად აუჯანყდა და ისეთს მდგომარეობაში ჩაუგდო, რომ ან სამხედრო ძალით უნდა დაემორჩილებინა, ან და მისთვის დაეთმო ასპარეზი.

მეფესა და აჯანყებულ ბაგრატს შორის სკანდას ციხისა და ჩხარის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ქ. ჩიხორთან 1463 წელს დიდი ბრძოლა მოხდა, რომელშიც გიორგი მეფე დამარცხდა.

დიდგვარიან აზნაურთა პოლიტიკური გახარვნილება და უუარყუარა ათაბაგის ღალატი

ბაგრატის ასეთი გამარჯვება მხოლოდ ზოგიერთი დიდგვარიანი აზნაურის მოღალატურმა ქცევამ შეაძლებინა. ზოგი ბაგრატის მომხრე იყო,, ზოგი გიორგი მეფეს იცავდა. ბაგრატს გამარჯვების დროს გიორგი მეფის არა ერთი ერთგული აზნაური ჩაეპარდნია ხელში. აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსვლისას გიორგი მეფემაც ბაგრატის მომხრე დიდგვარიან აზნაურებს შავი დღე დააყენა.

თუმცა ბაგრატმა ჩიხორთან გაიმარჯვა. მაგრამ ქუთაისის დაპყრობა მაინც ვერ შესძლო. ვერც აღმოსავლეთ საქართველოში მოიკიდა ფეხი, გორიც ხელში ვერ ჩაიგდო. ამ რიგად ბრძოლის საბოლოო შედეგი ჯერ კიდევ გამოურკვეველი იყო, მაგრამ მარჯვე შემთხვევა ბაგრატს ყუარყუარა ათაბაგის 1465 წელს ჩადენილმა ღალატმა მისცა.

1465 წელს გიორგი მეფე თავისი ჯარითურთ ურჩი ყუარყუარა ათაბაგის დასასჯელად სამცხეში გაემართა. ფარავანზე დაბანაკებულ მეფესთან ათაბაგმა შებრძოლება არ მოისურვა. არამედ გამარჯვების მოპოვება ვერაგობით სცადა: მეფის შესაპყრობად და მოსაკლავად სალხინო შეთქმულება მოაწყო. გიორგი მეფეს ამ შეთქმულების ამბავი ერთმა განდობილმა კარის კაცმა. იოთამ ზვედგინიძემ. აცნობა. თუმცა მეფემ ეს ცნობა არ დაიჯერა, მაგრამ მაინც თითონ, იოთამ ზვედგინიძის ჩხრეით. იმ ღამეს გაეცალა, იოთამ ზვედგინიძე-კი მეფის კარავში დაწვა. ყუარყუარა ათაბაგის თანამდამხმელმა მოღალატეებმა, რომელთაც იქ საქართველოს მეფე ეგულებოდათ. სამეფო კარავში მწოლარე იოთამ ზვედგინიძე სასიკვდილოდ დასჭრეს.

გიორგი მეფის ყუარყუარა ათაბაგისაგან შეიარაღება და ბაგრატის გამეფება

რაკი მეფე დარწმუნდა, რომ მოტანილი ცნობა სრული ჭეშმარიტება იყო, მან ყუარყუარა ათაბაგის სასტიკად დამარცხება გადასწყვიტა. გამოძიებამ მღელვარება გამოიწვია. ყუარყუარა ათაბაგმა ამით ისარგებლა, მეფეს 1465 წელს უეცრად თავს დაეცა, ტყვედ ჩაუგდო და სამცხეში წაიყვანა.

კონსტანტინე ბატონიშვილმა იქიდან გამოქცევა მოახერხა და ჯერ გორის ციხეში გამაგრდა, მაგრამ შემდეგ ლიხთ-იმერეთში გადავიდა და ქუთაისის ციხეში შეიხიზნა.

ბაგრატმაც ამით ისარგებლა. ქართლში გადმოვიდა და 1466 წელს თავისი თავი სრულიადი საქართველოს მეფეთ-მეფედ გამოაცხადა. მისი ჭირიმე დიდგვარიანი აზნაურები დაფასურდნენ და დავით ბატონიშვილს, რომელსაც დატრიალებული ამბებით გონება სრულებით დაბნეული ჰქონდა. შეუჩნდნენ. რომ მას ბაგრატი მეფედ ელიარებინა. ისიც ბაგრატს მიემხრო და მეფეთ-მეფედ აღიარა.

რაკი ბაგრატს ქართლში მოწინააღმდეგე უკვე აღარავინ აღმოუჩნდა, ხოლო დასავლეთი საქართველოს დანარჩენი ნაწილი, ქუთაისს გარდა, იმავე ბაგრატს ჰქონდა დაპყრობილი, ამიტომ კონსტანტინე ბატონიშვილსაც, რომელიც ქუთაისის ციხეში იმყოფებოდა, დიდხანს წინააღმდეგობის გაწევა ალარ შეეძლო. ამიტომ უკვე 1468 წელს ბაგრატი და კონსტანტინე შეთანხმდნენ: კონსტანტინე ბატონიშვილმა ბაგრატის მეფეთ-მეფობა სცნო, ხოლო ბაგრატმა კონსტანტინე ბატონიშვილი თავის სიგელში ძმადაც-კი გამოაცხადა.

გიორგი მეფის ყუარყუარე ათაბაგისაგან განთავისუფლება და ბაგრატის წინააღმდეგ ბრძოლის ამაო ცდა

ეხლა-კი ყუარყუარე ათაბაგი დარწმუნდა, რომ მისგან ატეხილი არეულობით ყველაზე მეტად სხვამ ისარგებლა. მისთვის გაცილებით უფრო ხელსაყრელი იყო, რომ მოწინააღმდეგედ უფრო სუსტი ნებისყოფის პატრონი გიორგი VII-ე ჰყოლოდა, ვიდრე ისეთი ენერგიული პიროვნება, როგორიც ბაგრატი გამოდგა. ამიტომ ყუარყუარამ გიორგი მეფე ტყვეობიდან გამოუშვა, რომ გიორგისა და ბაგრატს შორის ბრძოლა ატეხილიყო.

თუმცა განთავისუფლებულმა გიორგი მეფემ თავის ხელისუფლების დასაბრუნებლად ქართლში ბრძოლა დაიწყო. მაგრამ დიდგვარიან აზნაურთა წრეში ბაგრატს უკვე ბლომად ჰყავდა მომხრენი, გიორგი მეფეს-კი ისეთი დაბნეულობა ეტყობოდა, რომ არ იცოდა დიდგვარიან აზნაურთა შორის ვის მიჰნდობოდა და ეჭვით თავისსავე ერთგულ ყმებსაც-კი აღარ ეხმარებოდა, როდესაც ბაგრატი მათ წინააღმდეგ მოქმედებას იწყებდა ხოლმე. გიორგის მეფეთ-მეფობის დასაბრუნებლად უკვე ყოველგვარი საშუალება დაკარგული ჰქონდა. ისიც შექმნილ ვითარებას შეურიგდა და კახეთში გადავიდა.

ბაგრატ მე-VI-ე (1466 · 1478 წ.)

თუმცა ბაგრატ VI-ე 1466 წ. იქცა იმიერ-ამიერ საქართველოს მეფეთ-მეფედ, მაგრამ მხოლოდ 1468 წლისათვის შესძლო მან თავისი ხელისუფლების განმტკიცება.

27 წლის იყო როდესაც ბაგრატი მეფეთ-მეფედ იქცა. თუმცა ის ლამაზი და ტანადი კაცი იყო, მაგრამ ახირებული ქცევა ჰქონია, სიდინჯე ჰკლებია. უაღრესად მკაცრი და დაუზოგავი მმართველიც გამოდგა.

ბაგრატ VI-ე საბრძანებლის ფართობი და საზღვრები

ბაგრატი თავის თავს სრულიადი საქართველოს მეფეთ-მეფედ და აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფედ, შარვანშად და შაჰანშად, ყოვლისა აღმოსავლეთ-დასავლეთის მპყრობელ ხელმწიფედ ასახელებდა, ნამდვილად-კი უკვე კარგა ხანია, რაც ისტორიულად შექმნილი ეს წოდებულება რეალურ პოლიტიკურ ვითარებას აღარ შეეფერებოდა.

ბაგრატ მეფის უშუალო მფლობელობაში მყოფი მიწაწყლის დასავლეთის საზღვარი ცხენის წყლიდან იწყებოდა, მთელი დანარჩენი ლიხთ-იმერეთი შემოდიოდა და აღმოსავლეთ საქართველოში კახთა მეფის საზღვრამდე აღწევდა.

საბედიანო

საბედიანოს მთავარს, ბათომს გარდა, კიდევ სამი ქალაქი ეკუთვნოდა: აფხაზეთში მდებარე სებასტოპოლი, შავი ზღვის სანაპიროზე ფოთი და შემდეგ კიდევ ერთი, აბრეშუმის ტილოსი და თაფლის, სავაჭრო ცენტრი, სადაც საგარეო ვაჭრობა სწარმოებდა ხოლმე. საბედიანოს სამთავრის სათავეში ბედიანი იდგა, რომელსაც ქართულ ძეგლებში დადიან-გურიელი ეწოდება. ბედიანი, იგივე დადიან-გურიელი, ქართულ წყაროებში დიდი ერისთავთ-ერისთავის წოდებულობით არის ხოლმე მოხსენებული. 1470 წლიდან მოყოლებული 1474 წლამდის ბედიანად შამადავლა იყო.

თუმცა ბაგრატ VI-ს სამფლობელო დასავლეთით ცხენის წყლიდან იწყებოდა, მაგრამ საბედიანო მაინც მას ემორჩილებოდა, როგორც უზენაეს საქვეთმპყრობელს.

მ ე ს ხ ე თ ი

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის თემს მესხეთი წარმოადგენდა, რომელიც უუარყუარა ათაბაგს ჰქონდა ხელთ, საქართველოდან გამოყოფის დაუცხრომელი წადილით შეპყრობილს ჯაყელთა საგვარეულოს ამ წარმომადგენელს. საათაბაგო ამ დროს დიდი სამფლობელო იყო: ჭოროხს იქით მდებარე მიწა-წყალი. მართალია, ოსმალეთის სახელმწიფოს ჰქონდა ჩაგდებული ხელში, მაგრამ დანარჩენი მესხეთი უუარყუარა ათაბაგის ხელში იყო. უუარყუარა ათაბაგს მეზობელთა შორის ძლიერი მბრძანებლის სახელი ჰქონდა დამსახურებული. მაინც ის თავის თავისთვის სხვა წოდებულობას, საქართველოს ათაბაგისა და სამცხის სპასალარის გარდა, არ ხმარობდა. ასევე უწოდებდნენ მას სხვა თანამედროვენიც.

ბაგრატ VI-ის სამფლობელოს სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარი

ბაგრატ VI-ის სამეფოს სამხრეთ-აღმოსაველეთის საზღვარი ლოქის მთის გასწვრივ იყო, ლორეს ველი და მთელი მთიანეთი-კი უზუნ-ჰასანს ეჭირა, ე. ი. ერანის მფლობელის ხელში იყო. მას ლორეს ციხეში თავისი თურქი მეკიხოვნენი ჰყავდა, რომელნიც ამგვარად ამ ძლიერ ციხეს ქართველთა შესაძლებელი თაედასხმისაგან იცავდნენ. ამრიგად ქვეყნის დასაცავად ესოდენ მნიშვნელოვანი ციხე საქართველოს დაკარგული ჰქონდა.

ბაგრატის სამფლობელოში ორი დიდი ქალაქი ჭუთაისი და ტფილისი იყო. ტფილისი ისევე, როგორც წინათ დედაქალაქად ითვლებოდა, ბაგრატიც იქ იმყოფებოდა. ჭუთაისი უკვე ძალზე დაპატარავებული იყო. იქ გორაზე ბაგრატ III-ის ტაძარი იდგა და ციხე-ქალაქი-კი რიონის გამოლმა ველად იყო მოთავსებული. ციხესა და ქალაქს ქვის ხიდი აერთებდა ერთმანეთთან. სამეფო სასახლე რიონის პირას იყო აშენებული. და-

სავლეთ საქართველოში ბაგრატ VI-ეს ძლიერ ციხედ სკანდაც ჰქონდა მიჩნეული. იქ ბაგრატ VI-ის საზაფხულო სასახლე იყო. ქართლის შუა ჯულში სხვებზე უფრო მნიშვნელოვანი გორის ციხე იყო, მაგრამ ამ დროს გორის ციხე ხის ნაგებობას წარმოადგენდა.

საქართველოს დედაქალაქი ტფილისი, რომელიც ძველად თავის სიდიდითაც და სიმდიდრითაც იყო განთქმული, ისევ ლამაზი იყო, მხოლოდ მტრის მრავალგზისი შემოსევის წყალობით ამ ხანისათვის უკვე აგრეთვე დამცრობილა. მხოლოდ ის უბნები, რომელთათვისაც მტერს თავისი მსახური ხელი არ ჰქონდა დადებული, იმ ხანაშიც კარგა მშვიდრად იყო დასახლებული. მთაზე აგებული ტფილისის ისნის ციხე იმ დროისათვისაც კარგ და მაგარ ზღუდედ ითვლებოდა.

ბრძოლა ერანსა და ოსმალეთს შორის და უზუნ ჰასანის საქართველოში შემოსევის სამზადისი

უზუნ-ჰასანი, როგორც ვიცით მზად იყო ქართველებთან ერთად ეომნა ოსმალეთის წინააღმდეგ, ოღონდ-კი ამისათვის ჯილდოდ ის საბრძანებელი ჩაეგდო ხელში, რომელზედაც ასე ეჭირა თვალი. როდესაც ეს ოცნება უნიადაგო გამოდგა, ამ დროიდან მოყოლებული უზუნ-ჰასანი განზრახ ეხმარებოდა თითოეულ პირს, რომელიც ოსმალებს აუჯანყებოდა. 1471 წელს ოსმალებმა ყარამანის ამირას აჰმედ სამფლობელო წაართვეს. იგი მაშინვე უზუნ-ჰასანთან გაიქცა, რომელმაც ამ შემთხვევით ისარგებლა და თავისი მრავალრიცხოვანი ლაშქრითურთ ოსმალეთს შეესია. ერანის მბრძანებელმა ოსმალების დამარცხება მოახერხა, ყარამანის სამფლობელოს დიდი ნაწილი ხელში ჩაიგდო და თავის ყმადნაფიცად ამირა აჰმედი დასვა. უზუნ-ჰასანი ამ დროს მხოლოდ ამით დაკმაყოფილდა.

ოსმალებმა, 1472 წელს ერანელთა განადგურება ადვილად შესძლეს. შემდეგ დასასჯელად მრავალრიცხოვან ჯარითურთ თითონ ოსმალეთის სულტანი მუჰამედიც წამოვიდა. უზუნ-ჰასანი განსაცდელში ჩავარდა, ამიტომ საქართველოს სთხოვა დახმარება, მაგრამ საქართველოს მთავრობამ უარი შეუთვალა.

უზუნ-ჰასანისა და სულტან მუჰამედის სამხედრო ძალებს შორის თერჯანის მახლობლად მომხდარს ბრძოლაში უზუნ-ჰასანი ისე დამარცხდა, რომ მას ომის გაგრძელება აღარ შეეძლო.

უზუნ-ჰასანის საქართველოში შემოსევა

ერანის ბატონმა გადასწყვიტა საქართველო დაეხმარებლობისათვის სამაგალითოდ დაესაჯა, მაგრამ იმ დიდ სამზადის, რომელსაც საქართველოს წინააღმდეგ გამოსალაშქრებლად აწარმოებდა, საიდუმლოდ იცავდა. საქართველოს მთავრობის შესაცდენად მაშინაც, როდესაც ის 1477 წელს თავის მრავალრიცხოვანი ჯარითურთ დაიძრა, საქართველოზე მომავალმ

40 ათასი ცხენოსანი და ქვეითი ჯარისკაცისაგან შედგარი თავისი ლაშქარი შვიდი დღის განმავლობაში სულ სხვა გზაზე დააყენა და მხოლოდ შემდეგ მან თავის სამხედრო ძალას უეცრად პირი საქართველოსაკენ აბრუნებინა.

ამ გვარად ერანის ჰბრძანებელს შეეძლო სრულებით მოუმზადებელ ბაგრატ VI-ს თავს დასხმოდა. უზუნ-ჰასანის ლაშქარმა ტფილისამდე მიაღწია. ქართველებმა მხოლოდ აყრა და გახიზვნა მოასწრეს: ტფილისსა და მის მთელ სანახებში ერანის ლაშქარს საშუალება ჰქონდა სოფლები და ნაგებობანიღა გაენადგურებინა. აქედან მან თავისი სამხედრო ძალა გორისაკენ დასძრა, მაგრამ იქაც ხალხი უკვეღან გახიზნული დახვდა. ამრიგად უზუნ-ჰასანმა ტფილისსა და გორს უბრძოლველად ჩაუგდო ხელში.

ბაგრატ VI-ის უმწეობა და დაზავების ძებნა

ბაგრატმა გადასწყვიტა უზუნ-ჰასანს დაპზავებოდა. უზუნ-ჰასანმა ზავის საფასურად საქართველოს 16 ათასი დუკატი (ე. ი. ოქროს ფული) ყოველწლიური ხარკის გადახდა მოსთხოვა. ამასთანავე ტფილისის, ვითარცა მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრის, ხელში ჩაგდებაც ჰქონდა გადაწყვეტილი. თუმცა ბაგრატ VI-ემ თანხმობა შეუთვალა უზუნ-ჰასანს ფულის გადახდაზე, მაგრამ შემდეგ ამაზე გაცილებით ნაკლები შეაძლია და საზავო მოლაპარაკება ამის გამო შესწყდა. უზუნ-ჰასანმა მაშინვე განაახლა ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ და მოქმედების ასპარეზად სამცხე აქცია.

უზუნ-ჰასანთან დადებული ზავის პირობები და შედეგი

ყუარყუარა ათაბაგი, რომელიც საქართველოს მეფესთან ბრძოლაში ასე დახელოვნებული იყო, ერანის მფლობელს, თავის წინანდელ მოკავშირეს, მაინც ვერ გაუმკლავდა. ბაგრატ VI-ემა და ყუარყუარა ათაბაგმა ისევ დაზავება ირჩიეს: 16 ათასი დუკატის გადახდას დათანხმდნენ და ყოველწლიური ხარკის მიცემაც კი იკისრეს. უზუნ-ჰასანი ამის შემდგომ საქართველოს საზღვრებიდან გავიდა, მაგრამ ლორეს ველი მაინც წინანდებურად თავისად დაიჭირა. არც ტფილისი დასცალა. 6 ათასი ტყვეც წაიყვანა საქართველოდან.

საქართველოს დამარცხების მიზეზი

ამ გვარად საქართველო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. შინაური შფოთისა და დამღუპველი ბრძოლის შედეგი მთელი თავისი საშინელებით გამოჩენილიყო. ბაგრატ VI-ე და ყუარყუარა ათაბაგი თავიანთი უგუნური პოლიტიკის მსხვერპლი თითონვე შეიქნენ: საქართველოს ჯერ კიდევ გიორგი მეფის დროს, 70 ათასი ჯარისკაცის გამოყვანა შეეძლო, უზუნ-ჰასანს-კი 40 ათასზე მეტი მოლაშქრე არ მოუყვანია თან, რომე-

საც საქართველოს შემოესია. საქართველოში რომ თანხმობა ყოფილიყო, ცხადია, საქართველოს არამც თუ მტრის მოგერიება შეეძლო, არამედ თითონაც სამაგიეროს გადახდის საშუალება ექნებოდა და უზუნ-ჰასანის დამარცხებასაც შესძლებდა, მაგრამ შინაური ბრძოლით და ქვეყნის აოხრებით გაწამებული ხალხი და პოლიტიკურად დაქუცმაცებული საქართველო მტრის თარეშის ასპარეზად უნდა ქცეულიყო.

კოსტანტინე მეფე

ბაგრატ VI-ე გარდაიცვალა თუ არა, სამეფო ტახტზე ასვლა მისმა შვილმა ალექსანდრემ სცადა. მაგრამ მეფობა ვერ შეინარჩუნა და რაჭა-ლეჩხუმში გამაგრდა. ბაგრატ VI-ის მაიგერ 1479 წ. კოსტანტინე ბატონიშვილი გამეფდა, რომელიც გიორგი VII მეფეთ-მეფის ძმის დიმიტრის შვილი იყო.

კოხტანტინეს ხანძრძანებელი. კოსტანტინეს პატარა საბრძანებელი-ღა ჰქონდა ხელთ: ჰერეთ-კახეთიც-კი აღარ ემორჩილებოდა. ჰერეთ-კახეთს უკვე თავისი მუფე ჰყავდა: 1476 წლითგან იქ გიორგი მეფეთ-მეფის ძე ალექსანდრე მეფობს. კოსტანტინე მეფეთ-მეფე და ალექსანდრე კახთა მეფე ერთმანეთს დაეზაენენ და თავიანთი საშფლობელოების საზღვრებზედ საბოლოოდ შეთანხმდნენ.

არადეთის ბრძოლა და ალექსანდრეს გამეფება იმერეთში. კოსტანტინემ მეფეთ-მეფობა დიდი ხნით ვერ შეინარჩუნა: განახლდა ბრძოლა მასა და სამცხის ათაბაგს ყუარყუარას შორის, რომელიც 1483 წლ. აგვისტოში არადეთთან მომხდარი სამხედრო შეტაკებითაც-კი დამთავრდა. ყუარყუარა ათაბაგმა გაიმარჯვა. კოსტანტინე მეფის დამარცხებით მაშინვე რაჭა-ლეჩხუმში გამაგრებულმა ალექსანდრე ბატონიშვილმა, ბაგრატ VI-ის ძემ, ისარგებლა და ლიხთ-იმერეთი ჩაიგდო ხელში. ამ ნაირად ლიხთ-იმერეთისა და ლიხთ-ამერეთის პოლიტიკურ მთლიანობას უკანასკნელი საყრდენიც-კი გამოეცალა: ამერეთი ხომ უკვე ისედაც იმდენად იყო შემცირებული, რომ კახეთ-ჰერეთი ცალკეულ კახთა სამეფოდ იქცა. ეხლა ლიხთ-იმერეთის უმთავრესი ნაწილიც იმერეთის სამეფოდ გამოეყო.

კოხტანტინეს ამაო ცდა ხაკუთარი ძალით მთლიანობის აღსადგენად

კოსტანტინე მეფე ალექსანდრეს ქუთაისითგან განსადევნად დას. საქართველოში გადავიდა და შეებრძოლა. სამეგრელოს მთავარი ლიპარტი დადიანი კოსტანტინე მეფეს მიემხრო და ალექსანდრე იძულებული იყო ქუთაისითგან გასცლოდა. მაგრამ ერანის ბრძანებლის ალმ. საქართველოში შემოსევამ კოსტანტინეს ლიხთ-იმერეთი მიატოვებინა ისე, რომ ალექსანდრემ, ბაგრატის ძემ, 1489 წ. ქუთაისის კვლავ ხელში ჩაგდება მოახერხა.

კოხტანტინეს გეგმა დახახული მიზნის ხაგარეო პოლიტიკის ხაშუალებით მიხაღწევად. კოსტანტინე მეფემ საქმის გამოსწორება გარეშე მოკავშირეების დახმარებით მოისურვა. ამ მიზნით 1492-1496 წ. შუა კოსტანტინე მეფემ თავისი დესპანი ხუცესი ნილოსი ეგვიპტის მბრძანებელთან

მაშლეკ ხალიფა აშრაფ სეიფ-ად-დინ ყაიტბეისთან (1468-1496 წ.) გაგზავნა, რომელმაც საქართველოს მეფის მოკლეული ქაიროში კარგად მიიღო. ქაიროდაგან იერუსალემში მოსულმა დესპანმა ნილოსმა, ესპანის დედოფლის იზაბელლას დესპანებისაგან არაბთა ესპანიდან საბოლოოდ განდევნის ამბავი შეიტყო. ამით გახარებულმა კოსტანტინე მეფის დესპანმა ხუცესმა ნილოსმა ესპანიის დედოფლის დესპანი საქართველოში მოიყვანა.

კოსტანტინე მეფის ეპისტოლე ესპანიის დედოფლის იზაბელლასადმი. კოსტანტინე მეფესა და მის მრჩეველთ ესპანიის მბრძანებლის ძლევამოსილებამ აფიქრებინა, რომ ასეთ გამარჯვებულს სახელმწიფოს საქართველოსთვის შეეძლო შველა. ამიტომ კოსტანტინე მეფემ იზაბელა დედოფლის დესპანს თაეისი მოციქული ხუცესი ნილოსი გააყოლა, რომელსაც თან რომის პაპისა და ესპანიის მბრძანებლისადმი მიწერილი ეპისტოლები გაატანა. ამ წერილობით მიმართვას გარდა, ნილოსს უფრო მეტად სიტყვიერად ჰქონდა საიდუმლო მოლაპარაკება დაეალებული.

1495 წ. კოსტანტინე მეფეს ესპანეთის დედოფლის იზაბელლასადმი მიწერილს ეპისტოლეში არაბეთის დამარცხება-განდევნის გამო სიხარულით აესებულს აგონდება ამის საწინააღმდეგო შემაძრწუნებელი პოლიტიკური მდგომარეობა, რომელშიც აღმოსაველეთის ქრისტიანობა ჩაეარდა: კონსტანტინეპოლი და ბიზანტია ისეე, როგორც ტრაპიზონის საკეისრო, მოისპენენ და ოსმალთ ეპყრათ ხელში. ასეთი ბედი ეწია სერბთა სამეფოსაც. საქართველოშიც ჩვენს თაეს დიდი განსაცდელი დაგეტრია. ალებსო. ჩვენ მტრებს ჩვენთვის ბევრი უბედურება მოეყენებიათ და ყოველთეის საში პირობის ასრულებას გეთხოეენ ხოლმე: დიდი ხარკი გადაიხადეთ, ჩვენთან ერთად იბრძოლეთ და გამაჰმადიანდითო. ჩვენი მტრები, მაჰმადიანნი, მრაეალრიცხოვანნი არიან, ჩვენ კი, კოსტანტინეპოლისა და ტრაპიზონის ქრისტეან სამეფოების გაქრობის შემდეგ, მახლობელ აღმოსაელეთში მარტოდ-მარტონი-ღა დაერჩით და ამის გამო ჩვენც დამდაბლებულნი ეართო. მაგრამ ისეე, როგორც თქვენმა არაბებზე მანდატურმა გამარჯვებამ მაჰმადიანი, — სპარსნი, თურქნი და არაბნი, — შეაშფოთა, ასევე თქვენმა გამარჯვებამ ჩვენ გაგეახარა, მეტადრე, როცა გაეიგეთ, რომ ზოგიერთი მანდატური მეფეებიც თქვენი მოკავშირენი არიან და ქრისტიანეთა ასეთი სიყვარულითა და თანხმობით უზრუნველყოფილი ხართო. გეეცდებით, ნუ დაიყოვნებთ და პირდაპირ კონსტანტინეპოლზე გამოილაშქრეთო. მეც პირადად, ჩემი დესპანი დაბრუნდება თუ არა და შესაფერის ამბავს მოგიტანს, შეილითა და მთელი ჩემი ლაშქრითურთ თქვენთან ერთად საბრძოლეელად წამოსელისათეის განმზადებული ეიქნებით.

კონსტანტინე მეფის ომედის გაცრუება და ამის მიზეზი. ისეე, როგორც გიორგი VII დასაველეთ ქრისტიანეთა და საქართველოსა და მისი მოკავშირეების შეერთებული სამხედრო მოქმედების ფართო გეგმა თაეითვანეე ჩაიშალა, უნიადაგო პოლიტიკურ ოცნებას წარმოადგენდა კონსტანტინე მეფის გეგმაც. წინანდელთან შედარებით, კოსტანტინე მეფის დროს

საქართველოს შინაური მდგომარეობა იმდენად გაუარესებული იყო, რომ თუ გიორგი VII შეეძლო დას. ევროპის ქრისტიან სახელმწიფოთა მესვეურებისათვის მიეწერა და დაეკვერებინა, რომ მათთან ერთად საბრძოლველად მთელი საქართველო ყველა თავისი ნაწილებითურთ გამოეიდოდა, კოსტანტინე მეფეს თავის შვილისა და თავისი საკუთარი ძალლონის გაწყვანის გარდა ველარაფის ჰპირდებოდა. თუ რამდენიმე ათეული წლის წინათ საქართველოს მთლიანი სამხედრო ძალის შეპირებითაც არა გამოვიდა რა, როგორ შეიძლებოდა კოსტანტინეს დროინდელს ვითარებას ვისთვისმე დას. ევროპაში ასეთი ომის ატეხა გაებედინებინა? დასასრულ აღსანიშნავია, რომ საქართველოს პოლიტიკოსებს ესპანიის სამეფოს სამხედრო ძლიერებაზეც გადაჭარბებული წარმოდგენა ჰქონიათ, ვერ გაუთვალიწინებიათ, თუ რა დიდი მანძილისა და, მაშასადამე, რამდენი დაბრკოლების დაძლევა იყო საჭირო, რომ ესპანიითგან კოსტანტინეპოლის წინააღმდეგ დაეწყოთ ბრძოლა.

უუარუარა ათაბაგისა და ქაიხოსროს ხიკედილი და მზეჭაბუკის გაბატონება მესხეთში. ძალზე მოხუცებული უუარუარა ათაბიგ რომ 1498 წ. გარდაიცვალა, მის მაგიერ მესხეთის მთავრად მისი უფროსი ვაჟიშვილი ქაიხოსრო გახდა. მაგრამ ქაიხოსრო ათაბაგიც 1500 წელს მოკვდა და მის მაგიერ მესხეთის პატრონად ქაიხოსროს მომდევნო ძმა მზეჭაბუკი დაჯდა. თუმცა მთელ მესხეთს ის განაგებდა, მაგრამ ამირსპასალარად და ათაბაგად მზეჭაბუკი-კი არა, არამედ ქაიხოსროს შვილი უუარუარა ითვლებოდა.

მზეჭაბუკის მშვიდობიანი გონიერი პოლიტიკა. თავდაპირველად მზეჭაბუკს კოსტანტინე მეფესა და საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქთან წესიერი და მშვიდობიანი დამოკიდებულება ჰქონდა. ივ განკერძოებითს პოლიტიკას, რომელსაც უუარუარა ათაბაგი აწარმოებდა და მიზნად მესხეთის საქართველოთგან სრული ჩამოშორება ჰქონდა დასახული, მზეჭაბუკი არ მისდევდა. პირიქით, კუმურდოს საეპისკოპოსოს მღვდელმთავრის თანამდებობის განთავისუფლების შემდეგ, მზეჭაბუკმა კუმურდოელად არჩეული გერასიმე საკურთხეველად აბხაზეთის კათალიკოსთან კი არ გაგზავნა, არამედ მცხეთაში საქართველოს კათალიკოს-პარტიარქ ევაგრესთან. ამით ის მეფის უზენაესობასაც სცნობდა და ქართული ეკლესიის განუყოფელობასაც.

მზეჭაბუკისა და კონსტანტინე მეფის გადამტერება და მესხეთის ბატონის უკუღმართს პოლიტიკურ გზაზე დადგომა. შემდეგ მეფე კონსტანტინე და მზეჭაბუკი „შემდურდეს“ და მესხეთის მესაჭემ თავისი მამის პოლიტიკის განხორციელებას მიჰყო ხელი. მზეჭაბუკის პატივმოყვარეობას უკვე საზღვარი აღარ უჩანდა: მის ხელში შემყურე და მისი ქონებრიები წყალობის მოიმედე ანტიოქიის პატრიარქი დოროთეოსი, რომელიც იმ ხანებში მესხეთს იყო საკალმასობოდ მოსული, მზეჭაბუკს „დიდი პატრონის“, „დიდი მეფისა და ყოელისა აღმოსაელეთისა ხელმწიფის“ სახელითაც-კი ამკობს.

მზეჭაბუკისა და დოროთეოს პატრიარქის დონისძიება საქართველოს

ეკლესიის მთლიანობის დასარღვევად. ანტიოქიის პატრიარქი დოროთეოსი იმდენად იყო მზეჭაბუკის წადილითა და ქცევით წაქაზებული, რომ საჭიროდ სცნო ალენიშნა მზეჭაბუკის ვითომც და „ღვთის მოშიშობა და მართლმადიდებლობა“ და დაეგმო „უსჯულობა მეფეთა (ე. ი. კოსტანტინე) და ერისა მათისა“. პატრიარქი დოროთეოსი სრული გულადხილობით თითონვე აღიარებს, რომ „ბრძანებითა ეიძულენით თქუამად ამას დიდისა პატრონის მზეჭაბუკის მიერ“-ო. ანტიოქიის პატრიარქი გვიმელავნებს მზეჭაბუკის პოლიტიკურ ზრახვას, რომ კონსტანტინე მეფის საბრძანებელი მას ხელში „თეინიერ ბრძოლისა“ ჩაეარდნოდა, რომ მისი ჯარი „თეინიერ კუეთებისა“, ე. ი. უბრძოლველად გაჭცეულიყო „ღთისმოშიში“ და „ღთისმოყუარე“ მზეჭაბუკის წინაშე. ამ როგად მესხეთის მესვეური ქართლის მეფის ხელში ჩაგდებაზეც-კი ოცნებობდა.

მაგრამ ეს უფრო შორეული მიზანი იყო. ჯერჯერობით-კი მას მესხითის ყველა საშწყოებისა და ეკლესიის ჩამოშორება ჰქონდა გადაწყვეტილი. დასახული მიზნის მისაღწევად მზეჭაბუკმა ანტიოქიის პატრიარქს დოროთეოსს აწყურის ეპისკოპოსი მესხეთის ეკლესიის უფროსად გამოაცხადებინა და მესხეთის ყველა ეპისკოპოსების ეკლესიის უფლება მიანიჭებინა. პატრიარქმაც თავისი უხვი მწყალობელის წადილი აასრულა, თუმცა საეკლესიო კანონებით ამის არავითარი უფლება არ ჰქონდა. ამ რიგად, არამც თუ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა არ გამოსწორებულა, არამედ ის კავშირიც-კი, რომელიც მანამდე ოდნავ მაინც კიდევ იყო შერჩენილი, შესწყდა.

საქართველოს ვითარება მეთხუთმეტე საუკუნეში

საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა მე-XV საუკ.

თითქმის მთელი მეთხუთმეტე საუკუნის განმავლობაში ბრძოლა სწარმოებდა საქართველოს განმაახლებელსა და დამაქვეთებელს ძალას შორის. თემურლენგთან წლობის განმავლობაში მიმდინარე ომმა, მეტადრე თემურლენგისაგან ბრძოლის წარმოების წესად ეკონომიური ომის გამოყენებამ, საქართველოს ქონებრივი კეთილდღეობის თვით საფუძველიც-კი მოუსპო. რაღა აღადგენდა გაკაფულ ბაღ-ვენახებს და მტრის ხელით განადგურებულს სასოფლო მეურნეობის სხვა დარგებს... რამდენი დრო და რამდენი ძალა, მუშახელი იყო ამისათვის საჭირო? ბრძოლის დროს გაწყვეტილი და ომის მსხვერპლად ქცეული მოსახლეობა-კი იმდენად შეთხელდა და შემცირდა, რომ არამცთუ გაუკაცრიელებული სოფლების აღდგენა ძნელი იყო, არამედ გადარჩენილ დაბა-სოფლებშიც-კი გაპარტახებული მიწების წინანდებურად დასამუშავებლად ალარ შესწეოდათ ძალღონე. XVI ს-შიც-კი ბარად ქვეყანა სანახევროდ. ზოგან ნახევარზე მეტადაც-კი აოხრებულ-გაპარტახებული ყოფილა.

ქვეყნის აოხრებულობა და სახოფლო მეურნეობის დაქვეითება

XVI ს-ში, თემურლენგის შემოსევისა და ეელურობის მთელი ეს შედეგი ამაზე უფრო მეტი საშინელებით წარმოუდგებოდა ადამიანს. ამიტო-

მაც XV-ს-ითგან ქართულ ძეგლებში ასე ხშირად შეხვდება მკითხველი წინად ასეთს იშვიათსა, ანდა სრულებით უცნობ ტერმინებს, როგორიც ნაფუზარი, ნასახლარი. ნასოფლარი, ნაქალაქევი, ნაეენახევი, პარდახტი და სხვაც ამის მსგავსია.

ყველა ამის გამო საქართველოს ეკონომიური კეთილდღეობა ძალზე გაუარესდა. მეტადრე სასოფლო მეურნეობის დაკნინებისა და დაქვეითების შედეგად. დას. საქართველოშიც-კი, რომელიც მტრის შემოსევისაგან, აღმოსაელეთთან შედარებით ნაკლებ დაზარალდა, კულტურული დაქვეითება ცხადად საგრძნობი გახდა: მე-XV საუკუნეში მეეენახეობა-მეღვინეობა იმდენად გაუარესდა. რომ სამეგრელოში ღვინოსაც-კი ხეირიანს ვეღარ აყენებდნენ და ტრაპიზონიდან შემოჰქონდათ.

ამგვარადვე წინათ უძველეს დროიდან თაეისი სელის ქსოვილებით, ტილოთი, განთქმული კოლხეთი. ეხლა ამ დარგშიც დაქვეითებული იყო. ამიტომაც აქაური ტილოები უცხოეთში უკვე გაცილებით ნაკლებ გაჰქონდათ.

თუმცა აღმ. საქართველოში სასოფლო მეურნეობა და მრეწველობა ასე დაქვეითებული არ იყო, მაგრამ აქაც ინტენსიური მეურნეობის წარმოებისათვის ხალხს ძალა ალარ შესწევდა და სხვებზე ნაკლებ უფრო ადვილად გასაძღოლი მესაქონლეობის დარგი იყო დაზარალებული.

ხაქართველოს კულტურული დაქვეითება.

ხანგრძლივმა ომმა და მტრის მტარეალობამ მშვიდობიანი ნაყოფიერი შეშაობის მაგიერ. ადამიანი მაშინ უნებლიედ უნდა სისხლის ღვრას მისჩვეოდა. ომის საშინელება აიძულებდა ველურებას შეჰგუებოდა და გამოქვაბულებსა და სახიზნარებში ყოფნას შეჰრიგებოდა. სწავლისა და განათლებისათვის, მწერლობისა და ხელოვნებისათვის ასეთს პირობებში ვის შეეძლო მოეცალა. ანდა ვის ექნებოდა ამისათვის გული და ხალისი.

ალექსანდრე I-ის ალმშენებლობითი მოღვაწეობა და განახლების შეჩერება შინაური ბრძოლის გამწვავების გამო.

ალექსანდრე დიდი. როგორც ვიცით. განადგურებული საქართველოს აღორძინებისათვის თავგამოდებით იბრძოლა და მას ამ მხრივ დაუვიწყარი ღვაწლი მიუძღვის. მაგრამ მე-XV ს. უკვე ორმოცან-ორმოცდათიან წლებთაგან მოყოლებული შინაურობაში მეფე-მთავართა შორის ამტყდარმა ბრძოლამ, არამცთუ საქართველოს გამოკეთება შეაჩერა. არამედ თანდათანობით მას პოლიტიკური მთლიანობაც-კი მოუსპო და სამ სამეფოდ და სამთავროებად აქცია. საქართველოსთვის გარეშე მტერს იმდენი არ დაუკლია. რამდენი ვნებაც მთავრებისა და დიდგვაროვან აზნაურების თავგასულობამ, უგუნურმა ჭკვებამა და ქვეყნისა და ხალხის ღალატმა მიაყენა.

საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის მოსპობის ეკონომიური შედეგი.

განკერძოება-გაბატონების გზაზე დამდგარი ყოველი მთავარი ცდილობდა თავის ქარი საქართველოს სამეფო ქარის მსგავსად მოეწყო: სათანადო მოხელეები გაეჩინა და გარეგნული ბრწყინვალება მოეპოვა. ამრიგად წინანდელი გაერთიანებული სრულიადი საქართველოს ერთი სახელმწიფო დარბაზისა და დარბაზის კარსა მყოფი მოხელეების განსაზღვრული რიცხვის მაგიერ, ეხლა ქართველ ხალხს სამი სამეფო და ამდენივე კარდარბაზი მრავალრიცხოვან მოხელეებითურთ უნდა შეენახა და მძიმე ტვირთად დასწოლოდა მთავარებისა და დიდებულ აზნაურების ეს ქველნის დამღუპველი პოლიტიკა.

ეკონომიური განადგურებისა და მოსახლეობის ძალზე შემცირების გამო, საქართველო ქონებრივადაც გაღარიბდა, რაც XV-ე საუკუნეში ამტყდარი შინაური ბრძოლის და პოლიტიკური მთლიანობის დაშლის შედეგად უფრო გაძლიერდა.

მოსახლეობის სოციალური განშრევების პროცესი.

ამავე ხანში დიდგვაროვან აზნაურთა სოციალურს მდგომარეობაში. მათ წიაღშიც თანდათანობით დიდი ცვლილება მოხდა. უკვე XIV ს. აზნაურთა წოდება უმაღლეს წოდებრივ ფენას აღარ წარმოადგენდა, არამედ მათ მაგიერ დიდებულნი ჩანან, რომელნიც დიდგვაროვან აზნაურთა საგვარეულოების უფროს შტოს ეკუთვნოდნენ. „დიდგვართ თავადნი“ იყვნენ. მათი უფროსობა მარტო ხნიერებაზე-კი აღარ იყო დამოკიდებული, არამედ დიდს მოხელეობაზეც. როდესაც ამ დიდგვაროვან საგვარეულოების თავადების აღზევება მემკვიდრეობითი კუთვნილება გახდა, თ ა ვ ა დ ო ბ ა უკვე წოდებრიობად იქცა და აზნაურთა წოდებაზე უპირატესი მდგომარეობა მოიპოვა. აზნაურთა წოდების წიაღითგან თავადობის წარმოშობის პროცესი XV ს-ში მიმდინარეობდა. მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ XVI ს. დამთავრდა.

შემცირებული შემოსავლის გადიდებლად ხარჯების ძებნა.

ამ ახალ სოციალურ ფენას, აზნაურთა წოდებასაც, მეფე-მთავრებსაც თავიანთი ძალაზე შეთხელებული სახსრების გადიდებაზე უნდა ეზრუნათ.

სამეფო-სამთავროებისა და კერძო-მესაკუთრეთა შეთხელებული ქონებრივი აყვავდების გაძლიერება, ან მეურნეობის გაინტენსიურებით შეიძლებოდა, ანდა გადასახადების გადიდებით. ორივე ამ პირობის შესრულება უფლებრივი იძულების გარეშე შეუძლებელი იყო, რადგან, ცხადია, თითონაც გაჭირვებული მშრომელი ხალხი ზედმეტ ტვირთს ნებაყოფლობით არ იკისრებდა.

მშრომელი ხალხის მდგომარეობის გაუარესება და ბატონყმობის ჩახახვა.

სოციალურს ურთიერთობაში XV ს. განმავლობაში საქართველოში, წინანდელთან შედარებით, ახალი მოვლენა ჩნდება. მეათე საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული XVI საუკუნემდე საქართველოში პ ა ტ რ ო ნ ყ მ ო ბ ა გეხედება მხოლოდ: სოციალური ურთიერთობის ამ მოვლენის ერთს წარმომადგენელს პ ა ტ რ ო ნ ი ეწოდებოდა, მეორეს ყ მ ა. ხოლო ბ ა ტ ო ნ ი ს სახელი მთელი იმ ხანის საუკუნის განმავლობაში წერილობითს ძეგლებში არსად გეხვედება. ბ ა ტ ო ნ ი მხოლოდ XVI საუკუნიდან ჩნდება. ამიტომაც ამ წინა საუკუნეების განმავლობაში ბ ა ტ ო ნ ყ მ ო ბ ი ს სახელიც არ მოგეპოვება და ეს გარემოება ცხადყოფს, რომ ბატონყმობაზე დამყარებული ურთიერთობა მაშინ ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული.

პატრონყმობის ურთიერთობას უკვე XIV ს. ისეთი ცვლილება დაეტყო, რომ წინანდელისაგან განსხვავებული მოვლენის გამოსახატავად სახელის განსხვავებაც იყო საჭირო, რომ ძველისა და ახალის ერთმანეთისაგან განრჩევა შესაძლებელი გამხდარიყო.

XIV ს. მეორე ნახევრის ქართულს ძეგლებში პ ა ტ რ ო ნ ი ს მაგიერ მის გვერდით ბ ა ტ ო ნ ი ჩნდება. ახალი ფორმა, რომელსაც, წინანდელ ფორმასთან შედარებით შეაში რ თანხმოვანი აქვს გამქრალი. ამ ორივნდელი ფორმის მეორე ხმოვან-შენაცვლებული ნაწილი მეგრულს პ ა ტ ე ნ ი ს ა, პ ა ტ ი ნ ს ა — და პ ა ტ ნ ი ს სახით დღევანდლამდის აქვს შენარჩუნებული.

პატრონისაგან განსხვავებული ახალი სოციალური მოვლენის გამოსახატავად ენა მარტო ამით არ დაკმაყოფილებულა. არამედ მეორე-ნაირი ბგერითი სახესხვაობაც გაჩნდა, რომელმაც გამარჯვება და ახალი სოციალური მოვლენის აღმნიშნელ საბოლოო ტერმინად იქცა. ეს მეორე ფორმა პირველი თანხმოვანის გამეღერებით დაიწყო და ამ გზით პ ა ტ რ ო ნ ი ს გვერდით ბ ა ტ რ ო ნ ი გაჩნდა. მე-XV ს. მეორე ნახევრის ქართულ ძეგლებში ტერმინი უკვე ჩვეულებრივია.

ბ ა ტ რ ო ნ ი ს ა გ ა ნ, იმავე ბგერითი ცვლილებით რ-ს გაქრობით, რომელმაც XIV ს. პ ა ტ რ ო ნ ი პ ა ტ ო ნ ა დ აქცია, ახალი სოციალური მოვლენის გამომხატველი ტერმინი ბ ა ტ ო ნ ი ც შეიქმნა, რომელიც მე-XVI ს. ძეგლებში უკვე საბოლოოდ განმტკიცებულია. ფორმა ბ ა ტ ო ნ ი-ქ ო მე-XV საუკუნის მეორე ნახევარშია გაჩენილი.

ბატონყმობის წარმოშობის ხანგრძლივობა.

პ ა ტ რ ო ნ ყ მ ო ბ ი ს ა გ ა ნ წარმომდგარი ბ ა ტ ო ნ ყ მ ო ბ ა პატრონისაგან ყმის უფლების შესხლეტილითა და მასზე მბრძანებლობის უფლების ხელში ჩაგდებით წარმოიშვა. მე-XIV ს. სოციალურს ცხოვრებაში

მომხდარმა ცვლილებამ, როგორც თავის ადგილას აღნიშნული იყო, გლეხთა და ყმების უფლებრივი მდგომარეობა ძალზე გააუარესა. ეს პროცესი XV ს-ში თანდათან უფრო გამწვავდა და ბოლოს ბატონ-ყმობით დამთავრდა.

გადახად-გამოსაღებლების გადიდება და მშრომელი ხალხის და ყმათა მძიმე ეკონომიური მდგომარეობა.

ყმების მარტო უფლების შეზღუდვა კერძო სამეფო სამთავროებისა და ვერც კერძო მესაკუთრე „ბატრონების" ქონებრივ მდგომარეობას ვერ გააუმჯობესებდა. მეტი შემოსავლის მისაღებად რაიმე სხვა საშუალება იყო საჭირო. ჩვეულებრივ ასეთ საშუალებად ან ახალი გადასახადების შემოღება, ანდა ძველის გადიდება იყო და არის ხოლმე მიღებული. ქართველთა სატანჯველო პოლიტიკის იმდროინდელმა მესვეურებმა და ყმათა მფლობელმა კერძო მემამულეებმა ამ მიზნით საზომ-საწყაოები გადიდეს. რაკი სულადი გადასახადები, მარცვლეულისა და ღვინის მოსავალზე, კაბიწითა (=კოდს) და კოკით იყო განსაზღვრული, თუნდაც რომ გადასახადების ნორმები პურისა, ჭრთილისა და ქერის ისევე როგორც ღვინის გამოსაღებზე ძველებურად უცვლელი დარჩენილიყო, რაკი საზომ საწყაო გადიდებული იყო, გადასახადები სამეფო და სამთავრო სალაროებსაც და ყმათამფლობელ კერძო მემამულეებსაც. ცხადია, წინანდელზე მეტი შეუვიდოდათ.

ამნაირი ოსტატურად მოფიქრებული საშუალებით ახალი საზომები გაჩნდა. თავდაპირველს საზომებს პირველი საწყაო, ანუ საზომი ეწოდებოდა, ან ცოტა (ე. ი. პატარა) საწყაო, ახალ საზომ-საწყაოებს-კი დიდი ლიტრა, კოკა და კაბიწი (=კოდს) ერქვა. საზომ-საწყაოების გადიდებას ერთბაშად ვერაფინ გაბედავდა, არამედ, ცხოვრების გაძვირებასა და ფასების ზრდასთან დაკავშირებით, საზომებიც თანდათანობით დიდდებოდა. ამასთანავე საწყაოებისა და საწონის ქვედა საზომების გადიდება არც იყო საჭირო: საკმარისი იქნებოდა, თუ მათი ძირითადი ერთეული გადიდებოდა, რაკი კაბიწებისა და კოკის სიდიდე მათი ლიტრიანობის რაოდენობით იყო ხოლმე განსაზღვრული. ლიტრის გადიდება თავისდათავად კაბიწსაც და კოკასაც გაადიდებდა, ასეც მოქცეულან.

მე-XVI ს. დამდეგისათვის ლიტრა. ამ საზომის თავდაპირველ ოდენობასთან შედარებით, უკვე ექვსჯერ იყო გადიდებული. მაშასადამე, მშრომელ ხალხსაც ამ დროს სულადი გადასახადები წინანდელთან შედარებით ექვსჯერ უფრო მეტი უნდა გადაეხადა. მარტო ეს გარემოებაც საკმარისია, იმის გასათვალისწინებლად, თუ რამდენად მძიმე იყო ის ტვირთი, რომელიც მაშინ ყმებსა და მიწის დამმუშავებელ მოსახლეობას ჰქონდათ საზიდი, და რა საშინელს მდგომარეობაში იყვნენ ისინი ამის გამო ჩაცვივნულნი.

ყმები თავიანთ ასეთს დატვირთულობას ვერ შეურიგდებოდნენ და

ბრძოლაც იქნებოდა. საზღვების მებატონეთაგან თვითნებურად გადიდების საშიშროების თავიდან ასაცილებლად, ყმებს მათთვის წერილობითი ვალდებულება ჩამოერთმევიათ საზღვების გამოუცხელობისა და გადიდებლობის შესახებ, რაც ამ ნიადაგზე ამტყდარი უკმაყოფილებისა და წინააღმდეგობის ანარეკლია.

საქართველოს ეკონომიური დაქვეითება: ფულის გავრცელების და აღებმიცემობის შემცირება.

მაშინდელ საქართველოში მოსახლეობის ქონებრივ-კულტურულ დაქვეითების გამო მისი ნაყოფიერებაც და მყიდველობითი ძალაც უნდა საგრძნობლად შემცირებული და აღებმიცემობაც დაქვეითებული ყოფილიყო. საგარეო ვაჭრობა ძალზე დაკნინდა. როცა აოხრებულ-დაზარალებულ ქვეყანას თავისთვისაც-კი ყველაფერი საბუთი ალარ ჰქონდა, უცხოეთში გასატანს ბეერს ვერაფერს-ღა დაამზადებდა. შინაგანი აღებმიცემობაც სახარბიელოს ცოტას-ღა შეიცავდა.

ფულის მოჭრა საქართველოში, იმდროინდელი საშინელი ეკონომიური ვითარებისდა მიუხედავად, მაინც მთელი XV ს. განმავლობაში არ შეჩერებულა და ეს გარემოება საქართველოს სახელმწიფოებრიეობის კულტურული ცხოვრების მონაპოვართა შენარჩუნებისათვის ბრძოლის უნარსა და ნებისყოფას ცხადად ამჟღავნებს. მაგრამ ლითონის ფული უმთავრესად ბარად და ქალაქებსა, თუ სხვა სავაჭრო ცენტრებსა და შარაგზების მახლობლად მდებარე ადგილებში ყოფილა გაერცელებული, სხვა მოშორებულ თემებში-კი ვაჭრობა სულადობაზე. გაცვლა-გამოცვლის წესით, უწარმოებიათ. თანაც XV ს. მოჭრილი ვერცხლის ფული მეტად მდარე ღირსებისა და მცირე ზომისაც არის, რაც მაშინდელი საქართველოს გალარიბების შედეგია.

კონსტანტინეპოლის ოსმალთაგან დაპყრობამა და დასავლეთის ზღვის მიმოსვლისა და სავაჭრო გზის შეკვრამ, ვაჭრობის ცენტრების შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროების ნაეთსადგურებში გადატანამაც საქართველოს ისედაც სავალალო მდგომარეობა ძალზე გაუარესა.

საქართველოს კულტურული დაქვეითების ნიშნები.

პოლიტიკურად დანაწილებულსა და სამხედრო თვალსაზრისით დასუსტებულს ორს ძლიერს, მტრულად განწყობილ, მაჰმადიან სახელმწიფოს შუა მომწყვდეულ საქართველოში ქვეყნის მესვეურთ თითქოს გონიერება დაეკარგათ: ადამიანის ეგოისტურმა გრძნობამა და მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე ზრუნვამ სძლია, თემობრივმა განკერძოებამაც სახელმწიფოებრიესა და ეროვნული მთლიანობის შეგნებას აჯობა.

მაშინდელი საქართველო კულტურულად იმდენად იყო დაქვეითებული, რომ ზოგიერთს მაშინდელს უცხოეთში გამგზავრებულს პირს თავისი სახელისა და გვარის სწორედ დაწერაც-კი ალარ შესძლებია. ბუნებრივია,

რომ ამ საერთო კულტურული დაქვეითების გამო ქართული მხატვრული და საისტორიო მწერლობაც დადუმებული იყო. საკვირველიც-კია, რომ, ამ ჯოჯოხეთური პირობებისდა მიუხედავად, ქართველი ხალხი არ დაილუპა და მაინც ცდილობდა დამტყდარი უბედურებისათვის თავი დაეღწია, რომ ქართული ხელოვნების ზოგიერთ დარგებში მაშინაც ყოფილან კიდევ ისეთი წარმომადგენლები, რომელთაც თავიანთი მაღალხარისხოვანი შემოქმედების ნიმუშები დაგვიტოვეს. ამის მოწმეა თუნდაც ულუმბოს ეკლესიის იმდროინდელი კედლის მხატვრობა და ალექსანდრე I-ის ბრძანებით გაკეთებული. ნაჭედი სურათებით შემკული, დიდი ოქროს ჯვარი და სხვა ძეგლებიც.

საქართველოს იმდროინდელი მდგომარეობა უცხო ქვეყნებში.

იგივე უნდა ითქვას საქართველოს იმდროინდელს საგარეო მდგომარეობაზეც: რაც საქართველოს გარეშე და შინაური მტრებისაგან მე-XIII საუკუნიდან მოყოლებული გამოვლილი ჰქონდა, გასაკვირველია, რომ ასე დაჭუცმაცებულ-დაკნინებულმა საქართველომ მაინც საერთაშორისო დამოკიდებულებაში ზოგი ის უპირატესობანი შეინარჩუნა, რომელიც წინა საუკუნეებში ჰქონდა მოპოვებული: ამ ხანაშიც ისეთ შორეულ ქვეყნებში, როგორიც საქართველოსთვის ეგვიპტე და პალესტინა იყო, ქართველებს პატივისცემით ეპყრობოდნენ და ყველა ის უპირატესობანიც, რომელნიც-კი მათ წინათ ჰქონდათ, მათ შეუნარჩუნებიათ. იერუსალიმში სალოცავად მისელის დროს ქართველები საზეიმოდ მორთულ-მოკაზმულ ცხენებსა და აქლემებზე ისხდნენ, გაშლილ-აფრიალებული ეროვნული დროშებით თაისუფლად შედიოდნენ ქალაქში და სხვებივით სულტანს დაწესებულს გადასახადს არ აძლევდნენ. ეგვიპტის მამლუკების განკარგულების თანახმად, ქართველთა იერუსალემის ჯვარის მონასტრის უზრუნველყოფისათვის საგანგებო არაბი მოხელე იყო დანიშნული. ის ეალდებული იყო საქართველოდან მიმავალ მღოცავებს ალაბშივე (ალეპოში) დაჰხვედროდა, იქიდან იერუსალემამდის მიეცილებინა და უკან გაბრუნებისას ისევე ნათსადგურამდე გამოჰყოლოდა. რა თქმა უნდა, ყველა ეს ემთავრესად წარსული საუკუნეების საქართველოს სახელმწიფოებრიობის ანარეკლს წარმოადგენდა. საქართველოს საგარეო მდგომარეობა და წინანდელი უპირატესობანიც, როგორც უკვე ვიცით, გიორგი V ბრწყინვალემ აღადგინა. სახელმწიფოებრივი ძლიერების ძველი მარაგის მდიდარმა მემკვიდრეობამ და ქართველი ხალხის განთქმულმა მამაცობამ საქართველოს პოლიტიკური დაკნინების ხანაშიც მას საერთაშორისო ურთიერთობაში წინანდელი ადგილი და პატივისცემა შეუნარჩუნა.

საქართველოს პოლიტიკური მეზობლები

მე-15 საუკუნეში საქართველომ საბოლოოდ დაკარგა მოკავშირე სომხეთი. ის თურქმანებმა ჩაიგდეს ხელში. ამიერიდან საქართველოს სამხრეთით უშუალოდ გაუმეზობლდა აგრესიული მაჰმადიანური სახელმწიფო. ამავე დროს საქართველომ ალმოსავლეთით დაკარგა შირვანის დასავლეთი ნაწილი, რომელსაც ის სამი საუკუნის განმავლობაში ფლობდა.

ოსმალეთი. მე-16 საუკუნიდან საქართველოს სამეზობლო პირობები კიდევ უფრო გაუარესდა. ამ დროდან დასავლეთის მხრით მას ოსმალეთი გაუმეზობლდა.

თურქ-ოსმალთა წინაპრები შუა-აზიიდან მოვიდნენ მე-13 ს-ში. ოსმალეთის სახელმწიფოს არსებობა მე-14 საუკუნიდან იწყება. ოსმანი მის ფუძემდებლად ითვლება. ამიტომაც ამ სახელმწიფოს ოსმალეთი ეწოდა.

ოსმალთა სახელმწიფო მეზობლებთან გამუდმებული ომებისა და მეზობელ ქვეყნების დაპყრობის პირობებში ჩამოყალიბდა. მისი არსებობის უმთავრესი წყარო დაპყრობილთაგან ხარკი და დამარცხებულთაგან ნადავლი შეიქმნა. ასე რომ აგრესია, უცხო ქვეყნების მიტაცება-დამონება ოსმალეთს განსაკუთრებით ახასიათებდა.

დამპყრობელური პოლიტიკა ოსმალეთმა პირველად დასავლეთისაკენ მიმართა. ამ მხრიდან მას ბიზანტია მეზობლობდა, რომელიც ეხლა ოდესლაც ძლიერი იმპერიის აჩრდილი-და იყო. ოსმალეთმა ადვილად წააგლიჯა ლონემიხდილ მეზობელს მოზრდილი ტერიტორიები მცირე აზიაში და ბალკანეთის ნახევარკუნძულზედ.

მეორეს მხრით ოსმალეთმა მცირე აზიის თურქი მეზობლებიც თანდათან გაიერთა, ასე რომ მე-14 საუკუნის მიწურულისათვის ოსმალეთი უძლიერესი სახელმწიფო იყო ახლობელ ალმოსავლეთში.

1453 წელს 29 მაისს ოსმალებმა კონსტანტინოპოლი დაიპყრეს და ბიზანტიის სახელმწიფოს არსებობა სამუდამოდ შეწყვიტეს. 1461 წელს ოსმალებმა ტრაპიზონი აიღეს და საქართველოს (ქანეთს) გაუმეზობლდნენ. ამავე დროისათვის მათ დაასრულეს მცირე აზიის თურქული საემიროების დაპყრობა და თორთომ-არზრუმის მხრითაც ჩვენს ქვეყანას მოუახლოვდნენ.

1475 წელს ოსმალეთმა ყირიმის სახანო დაიმორჩილა და იმიერ-კავკასიის დასავლეთ ნაწილშიაც ფეხი მოიკიდა.

13-15-ე საუკუნეებში ვაჭრობა დასავლეთ ევროპასა და აღმოსავლეთს შორის უმთავრესად ჩრდილოეთ იტალიის ქალაქების ხელში იყო. ასეთები იყვნენ: ფლორენცია, გენუა. გენეცია. კონსტანტინოპოლის, ტრაპიზონის და ყირიმის დაპყრობით ოსმალეთმა მოსპო იტალიელთა ბატონობა შავ ზღვაზედ. 1465 წელს ოსმალებმა ხელთ იგდეს გენუელების დიდი სავაჭრო ქალაქები: კაფა (თეოდოსია) ყირიმის სანაპიროზე და ტანა (აზოვი) მდინარე დონის შესართავთან. შავისა და აზოვის ზღვების სანაპირო ქვეყნებთან ვაჭრობა ევროპელებს ამიერიდან მხოლოდ ოსმალთა ნებართვით შეეძლოთ.

ასე გაუმეზობლდა პოლიტიკურად დაშლილს ფეოდალურ საქართველოს მე-15 საუკუნის მიწურულიდან კულტურულად ჩამორჩენილი, უალრესად აგრესიული უზარმაზარი მაჰმადიანური სახელმწიფო. რომელიც დიდის ხნით გარდაუვალ ზღუდეთ აიმართა აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურულ ქვეყნებს შორის.

ოსმალეთის მიერ საქართველოს დაპყრობა უპირველეს ყოვლისა იმით იყო ნაკარნახევი, რომ ამ აგრესორს მშვიდობიანი მეზობლობა არავისთან შეეძლო. ოსმალეთი ყველა მეზობლებს დასაპყრობად უყურებდა. ის სულ მუდამ ახალი და ახალი ქვეყნების დაპყრობით და ძარცვით საზრდოობდა.

მეორე მიზეზი საქართველოსაკენ ოსმალთა აგრესიისა ის იყო. რომ ერანთან ომის დროს, რომელსაც ოსმალეთი ამ მეზობლის დაპყრობის მიზნით აწარმოებდა, საქართველო მეტად მნიშვნელოვანი პოზიცია იყო აღმოსავლეთისაკენ წარმატებით შეტევისათვის.

ერანი. საქართველოს აღმოსავლეთის მეზობელი მე-16 საუკუნიდან სეფიანთა ერანი იყო.

მე-15 საუკუნის მიწურულს თურქმანთა დინასტია ერანის სამეფო ტახტზე არდაველელ შეიხის (შეიხი მაჰმადიან სასულიერო პირს. მოძღვარს ეწოდება) სეფი ედ-დინის ჩამომავალმა ისმაილმა შეკვეთა. შაჰისმაილის მთავარ სამხედრო ძალას შვიდი თურქული ტომი შეადგენდა. ამ თურქებს ყიზილბაშებს ანუ წითელ-თავებს ეძახდნენ (იმათ თორმეტად ნაკეცი თეთრი დოლბანდით გარშემოელებული წითელი თაესაბური ეხურათ).

ოფიციალურ სარწმუნოებად სეფიანთა სახელმწიფოში შიას მიმდევრობა იყო აღიარებული. (შია და სუნა ორი სხვადასხვა მიმდინარეობა იყო მაჰმადიანურ სარწმუნოებაში. შია ერანში, ხოლო სუნა ოსმალეთში იქნა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებული).

საქართველოს მიმართ ერანის ეს ახალი დინასტია ძველი ტრადიციებით ხელმძღვანელობდა. სეფიანთა შაჰები მონღოლთა უკანების პოლიტიკურ მემკვიდრეობას იჩემებდენ და საქართველოს დაპყრობას თავიანთ მოვალეობად სთვლიდნენ.

მე-16 საუკუნის დასაწყისიდანვე დიდი ომი დაიწყო ოსმალეთსა და ერანს შორის. მთელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში მათ შორის ბავი არ დადებულა: ან ომი იყო, ან მისი მოლოდინი. თუ დრო-და-დრო

ომი შეწყდებოდა, ეს ხდებოდა ახალი, უფრო ძლიერი შეტაკების სამზადისში, ან კიდევ როცა ორივე მხარე მოუცლელად იყო.

ერან-ოსმალეთის ომის ასპარეზი იყო ერაყი. შირვანი. სომხეთი, საქართველო და ადერბაიჯანი.

მოწინააღმდეგეთა მიერ ირბეოდნენ და ნადგურდებოდნენ აღნიშნული ქვეყნები. მაგრამ განსაკუთრებით ირბეოდა საქართველო, რომელიც არც ერთ დამპყრობელს ნებით თავს არ უდებდა და ორივეს წინააღმდეგ იბრძოდა.

ასე რომ საქართველო მე-16 საუკუნეში დასაელეთსა და აღმოსავლეთს შორის კულტურული ურთიერთობის ასპარეზი კი აღარ იყო, არამედ ორ ძალადეს შორის მოქცეული და დასაელეთის მოზარდი კულტურული მსოფლიოსაგან თითქმის საკსებით მოწყვეტილი ქვეყანა.

ჩრდილოეთის მეზობლები. დიდად იყო შეცვლილი საქართველოს სამეზობლო პოლიტიკური პირობები ჩრდილოეთითაც. იმიერ-კავკასიის ველების დიდი ნაწილი მომთაბარე მონღოლურ-თათრულ ურდოებს დაეჭირათ. ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა: აფხაზ-ჩერქეზთა ტომები, ოსები, ჟურძუკ-ღილღეები და სხვანი უთანასწორო ბრძოლაში იძულებულნი ხდებოდნენ თანდათან დაეთმოთ მოსულ მოძალადეთათვის საუკეთესო ველები. თითონ კი მტრებისათვის მიუვალს, მაგრამ მწირს მთას დასჯერებოდნენ. მთის სიმწირე-სიღარიბით აშოხუთული იმიერ-კავკასიის მკვიდრი მოსახლეობა პირაქეთი კავკასიონისა და მთის ძირობა საქართველოს დაპყრობას ცდილობდა.

საქართველოს პოლიტიკური დაშლილობა

ამგვარად. საქართველო მე-16 ს-ში ყოველის მხრივ მტრებით შემოცული ქვეყანა იყო. მედგრად და თავგამოდებით იცავდა თავს ქართველი ხალხი საშინ აგრესორთაგან, მაგრამ ამ თავდაცვის უნარიანობას დიდად ასუსტებდა ის, რომ ქვეყანა ეხლა პოლიტიკურად ერთი მთლიანი არ იყო. სწორედ ამ დროისათვის საბოლოოდ დაიშალა ის რამოდენიმე სამეფო-სამთავროდ: ქართლი, კახეთი, იმერეთი ურთიერთისაგან დამოუკიდებელი ცალკე სამეფოები გახდნენ.

სამეფოების გვერდით ჩამოყალიბდნენ სამთავროები: მესხეთი, ოდიში, აფხაზეთი, გურია, რომლებიც სამეფოთაგან დამოუკიდებლობის მოპოვებას ალეკდნენ ძალებს.

მთლიანი ფეოდალური საქართველოს მრავალ პოლიტიკურ ერთეულებად დაშლა უპირველეს ყოველისა მისი საზოგადოებრივი ურთიერთობის შედეგი იყო. ეს ურთიერთობა იყო **ბატონყმობა** და მის ნიადაგზე წარმოქმნილი **სათავადოების პოლიტიკური სისტემა.**

ბატონყმობა. ეს იმას ნიშნავს. რომ თავისუფალი მიწის მუშების ფენა გამქრალა. მიწის მუშებს შორის არსებითი უფლებრივი განსხვავება აღარაა. ყველა ისინი ბატონების მიწებზე სახლობენ. მას ამუშავებენ და ბა-

ტონის სასარგებლოდ ბეგარასა და მუშაობას ეწევიან. ამ მიწის მუშებს თავისუფლებისა თითქმის ალარა შერჩენიათ რა. ბატონის უნებართვოდ ისინი ვერ დასტოვებენ მიწას, რომელსაც ამუშაებენ, ვერ დასტოვებენ ძველს ბატონს და სხვას ვერ მიუელენ. ბატონს კანონი ნებას აძლევს 30 წელიწადს ეძიოს მისდა უკითხავად „აყრილი" გლეხი და, სადაც კი დაახელებს, უკან დაიბრუნოს. საბატონო ბეგარა და მუშაობა უზომოდაა გაზრდილი. გარდა ამისა გლეხი მოვალეა მრავალი სხვა გადასახადებიც გაიღოს: სამეფო, საზოხელეო, საეკლესიო და სხვა; მასვე აწევს სამხედრო მოვალეობაც და მძიმე ხარკი უცხო დამპყრობელთა სასარგებლოდ. მებატონეები ამავე დროს სულ უფრო და უფრო თავისუფლდებიან სამეფო ხელისუფლების მხრით მეთვალყურეობისაგან. სამეფო ხელისუფლება სულ უფრო და უფრო ნაკლებად ერევა ბატონისა და ყმის შორის დამოკიდებულებაში. ბატონები საშეილიშვილოდ ეუფლებიან იმ ქვეყნებს, რომლებიც მათ ოდესმე სამეფო ხელისუფლებისაგან სამმართველოდ მიიღეს. მრავალი ამ ბატონთაგანი შ ე უ ე ა ლ ო ბ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს მოიპოვებს, ესე იგი მეფე ათავისუფლებს ასეთი ბატონის ყმებს ყოველგვარი სამეფო გადასახადებისაგან და ამ გადასახადებს ამიერიდან ეს ყმები შეუვალობის მქონე მებატონეს უხდიან. მოპოვებულ უფლებას ბატონები ადვილად ალარ დასთმობენ. პირიქით, კიდევ უფრო აფართოებენ მას. გადასახადები, ადმინისტრაცია და სამართალიც კი მეტწილად ამიერიდან ამ მებატონეთა ხელშია... ერთადერთი, რაც ჯერ კიდევ აკავშირებს ამ ნახევრად-„ხელმწიფეებს" მეფის ხელისუფლებასთან, ესაა მათი სალაშქრო მოვალეობა. ბატონები მოვალენი არიან მათზე შეწერილ მოლაშქრეთა რაოდენობით გამოვიდნენ მეფის მოწოდებაზე და სათანადო დროშის (სამხედრო ერთეული) ქვეშ დადგნენ. მაგრამ, რაც დრო გადის, ეს ერთადერთი სახელმწიფო მოვალეობაც კი თავიანთის ზედმეტ ტვირთად მიაჩნიათ მებატონეებს. ისინი სულ უფრო და უფრო იფარგლებიან თავიანთი საბატონოების ვიწრო ინტერესებით, მათ თანდათან უქრებათ საერთოს გაგება, ხოლო საბატონოს ინტერესები ხშირად არ ეთანხმება საერთო სახელმწიფო ინტერესებს. ყოველივე ამას ის გარემოება უწყობს ხელს, რომ ქვეყანა დიდიხანია ეკონომიური დაცემის გზას ადგას. კარჩაკეტილი მეურნეობა უცილობლად ბატონობს. ასეთ პირობებში კი ვერ წარმოიშვის ახალი, ძლიერი სოციალური ფენი, რომლისათვისაც ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური მთლიანობა საარსებო პირობა იქნებოდა და რომელსაც მეფის ხელისუფლება ამიერიდან დაეყრდნობოდა. კარჩაკეტილი მეურნეობისას მწარმოებელი საზოგადოება ნაკლებად გრძნობს ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობის ძლიერ საჭიროებას და საკუთარი ბატონების საქმიანობას, ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობის დაშლისაკენ მიმართულს, გულგრილად უყურებს. ასეთ პირობებში ყოველმხრივ გაძლიერებული ბატონები, რომელთა ხელში ხშირად მთელი ქვეყნებია, სრული ხელმწიფობისაკენ ისწრაფვიან. აქ უცხო დამპყრობელებიც ბატონებს უჭერენ მხარს და მეფის ხელისუფლებას გამდგარ ბატონების დამორჩილების საშუალებას არ აძლევენ.

მაგრამ აღნიშნული ურთიერთობა არა მარტო ამ მხრით ასუსტებდა ქვეყნის თავდაცვის უნარს. ბატონების უსამართლობა-გაუმაძღარობის და გლეხთა უუფლებობა-გაუკითხაობის შედეგად გაძარცული, ნახევრად მშიერი მწარმოებელი საზოგადოება განსაკუთრებულს ხალისსა და ინიციატივას, ბუნებრივია, ვერ გამოიჩენდა ქვეყნის დაცვის საქმეში. ილაჯგაწყვეტილს გლეხს, მართალია, უცხო მოძალადე სძაგდა, მაგრამ არც შინაური მოძალადე უყვარდა. მიმძლავრებულს, უფლებააყრილს, დაბეჩავებულს და გალატაკებულს რა გმირობა და თავდადება მოეთხოვებოდა. შექმნილი პირობების გამო ერთ დროს მდიდარი საქართველო სილარიბეში იყო ჩაეარდნილი. ხოლო ღარიბ ქვეყანას ისეთი შეიარაღება არ გააჩნდა, როგორიც მის მტრებსა ჰქონდათ. ყველაფერი ეს ფრიად ასუსტებდა საქართველოს პოზიციებს შემოსეულ მტრებთან ბრძოლაში. მიუხედავად ამისა ის მედგრად იცავდა თავს განუზომლად უფრო ძლიერ თავდამსხმელთაგან.

საქართველოს პოლიტიკური დაშლილობა და ერან-ოსმალეთის აგრესია. მთელი მე-16 საუკუნის სიგრძეზე საქართველოს უმთავრესი საზრუნავი ოსმალეთის და ერანის აგრესიისაგან თავის დაცვა იყო. მტრის წინააღმდეგ საქართველოს დაჭაბუკული ძალები ერთის პირით ვერ გამოდიოდნენ, თითეული სამეფო-სამთავრო საკუთარის ძალღონით ცდილობდა თავის დაცვას. ძალთა გაერთიანება საერთო მტრის წინააღმდეგ იშვიათად ხდებოდა.

ქართლი მე-16 საუკუნეში

1505–1525 წლებში ქართლში მეფობდა დავითი. მის დროს ქართლის სამხედრო რეორგანიზაცია მოხდა. ქვეყანა დაყოფილ იქნა ოთხ ნაწილად. თითეულ ნაწილს სადროშო ეწოდებოდა. სადროშოდან გამოსული ლაშქარი ცალკე ერთეულს „დროშას“ ქმნიდა. დროშის სარდლობა ამა თუ იმ დიდი თავადის „სახლს“ ეკუთვნოდა. სამხედრო რეორგანიზაცია ამ დროს საქართველოს სხვა სამეფოებშიაც მოხდა.

დავითის დროს ჯერ კიდევ გრძელდებოდა ბრძოლა საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის აღსადგენად. ქართლის მეფემ ტყვედ ჩაიგდო გიორგი კახთა მეფე, მოკლა ის და თითონ დაიჭირა კახეთი, მაგრამ საბოლოოდ მან ეს ქვეყანა ვერ შემოიმტკიცა.

ქართლის მეფე ბევრს ეცადა ხელთ ეგდო ლევანი, კახთა მეფის მცირეწლოვანი მემკვიდრე, მაგრამ უშედეგოდ. კახელმა თავადებმა უერთგულეს უფლისწულს და დავითის ხელისაგან გადაარჩინეს ის.

შაჰისმაილის პირველი ლაშქრობა ქართლში. არც საგარეო პირობები უწყობდნენ ხელს ქართლის მეფეს.

1518 წელს ერანის შაჰი დიდის ლაშქრით საქართველოსაკენ წამოვიდა. მეფე დავითმა საქმის მშვიდობიანად მოგვარება სცადა. შაჰს შვილი შეუვლინა ელჩად, მორჩილებას შეჰპირდა და ყოველწლიურად 300 საათლე აბრეშუმი გადაუგზავნა. შაჰისათვის ეს პირობები მისაღები არ მოჩნდა.

ქართლის მეფის საქმეთა გართულებით კახეთის თავადებმა ისარგებლეს, აჯანყდნენ და უფლისწული ლევანი მეფედ დასვეს.

დავით მეფე ისევ მოვიდა კახეთს და ხანგრძლივი ბრძოლით დაიპყრო ქვეყანა. ის იყო ლევან უფლისწული უნდა ხელთ ეგდო, რომ საგარეო გართულებამ იხსნა კახეთის მეფე.

ოსმალთა შემოსევა ქართლში. ოსმალებმა დაამარცხეს შაჰისმაილი. ყაენი ერანს გაიქცა. ეხლა ოსმალებმა გამოგზავნეს ჯარები ქართლ-კახეთის მოსათარეშებლად. დავით მეფე იძულებული იყო ოსმალთა წინააღმდეგ ამხედრებულიყო. მან დაამარცხა მომხდური მოთარეშეები და ქართლიდან გადარეკა ისინი.

ამ ბრძოლიდან მობრუნებული დავითი კვლავ კახეთს გაეშურა. ლევან მეფე მზად დახვდა მას ქიზიყში. გამარჯვება ლევანს დარჩა. ეს იყო 1520 წელს. დავითი ამის შემდეგაც ფიქრობდა ომის გაგრძელებას, მაგრამ იძულებული გახდა საკუთარ დარბაისელთა რჩევა მიეღო: შერიგებოდა შექმნილ მდგომარეობას, ეცნო ლევანი კახეთის მეფედ და შეეკრა მასთან გარეშე მტრებთან საერთო ბრძოლის კავშირი. ასეც მოხდა (1520 წ.).

შაჰისმაილის მეორე ლაშქრობა ქართლში. ქართველებმა ისარგებლეს ოსმალთა მიერ შაჰისმაილის დამარცხებით და მისი მოხარკეობისაგან თავის გათავისუფლება სცადეს. ამავე დროს მათ დევნა აუტეხეს აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრებში შემოსახლებულ თურქმანებს. შაჰისმაილი სწრაფად გამოეშურა საგანგებო ჯარით. ალჯაყალას დაადგა და ამ ციხის გამაგრებას შეუდგა. დავითი ამასობაში საომრად მოემზადა. ქართლის საშველად მოვიდნენ მესხნი და კახნი. ქართველებს გარდა დავითმა ლაშქარი დაიქირავა კავკასიის მთიელებისაგან.

თელეთის ომი. მეფე მთელის ლაშქარით გავიდა თელეთს (1522 წ.). ქართველებმა დაამარცხეს ერანელთა ორი რაზმი. ბრძოლაში განსაკუთრებული სიმხნე გამოიჩინა დავით მეფის შვილმა ლუარსაბმა. მაგრამ ერანელთა სიმრავლემ სძლია და ლტოლვილი მეფე შიდა-ქართლში შემოვიდა. შაჰმა თბილისი აიღო, გაძარცვა ქალაქი, მრავალი დაატყვევა. ციხეში თავისი მეციხოვნეები ჩააყენა. ნატყვენავ ნაალაფევით შაჰი ერანს გაბრუნდა. შაჰისმაილი 1524 წელს გარდაიცვალა. მას მცირეწლოვანი მემკვიდრე დარჩა. ქართლის მეფემ ამით ისარგებლა. ჰკვეთა დამპყრობელთ, აიღო თბილისი და მეციხოვნე ყიზილბაშები სულ გასწყვიტა. ჩქარა აიღო ალჯაყალაც, მოთხარა ის, და იქ ჩამოსახლებულ თათრებს მწარე დღე გაუთენა.

ლუარსაბ მეფე. კიდევ უფრო მეტის ენერგიით და თავგამოდებით იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მეფე ლუარსაბ დავითისძე (1534-1558). ერანში ამ დროს უკვე შაჰთამაზი ხელმწიფობდა, ხოლო ოსმალეთში სულეიმან სჯულმდებელი. ერან-ოსმალეთს შორის ომი ამ ხანებში უმაღლეს წერტილს აღწევდა. საქართველოს წინააღმდეგ შაჰთამაზმა ოთხჯერ პირადად ილაშქრა, მაგრამ არ იქნა და ლუარსაბს მორჩილების ქედი ვერ მოადრეკინა.

შაჰთამაზის პირველი ლაშქრობა ქართლში. 1541 წელს შაჰთამაზი დიდის ჯარით ყარაბაღს მოვიდა. აქედან 12 ათასი რჩეული მეომრით შაჰი მოულოდნელად ლამით მოადგა თბილისს და სწრაფად ქალაქში შეიჭრა. ქალაქის მოურავი და ციხისთავი გულბათი სულმოკლე და გამცემელი აღმოჩნდა. მან, დაფრთხალმა, უომრად დათმო ციხე, მაჰმადიანობა მიიღო და დამპყრობელთა ლაშქარს შეერთო. შაჰთამაზმა ქალაქი დაარბია და ციხეში საკუთარი ჯარი შეაყენა. ლუარსაბი ამ დროს მცხეთას იყო. შაჰთამაზმა ყიზილბაშთა დიდი რაზმი ლუარსაბის ხელში ჩასაგდებად გაგზავნა. ლუარსაბი დიდგორს დაუხვდა მიმხდურთ, დიდი ნავნები უყო და ომით გაეცალა.

ერანის ხელმწიფე იძულებული იყო ამ სანახევრო წარმატებას დაკმაყოფილებოდა და ბოლომანარევი კმაყოფილებით უკან დაბრუნებულიყო.

შაჰთამაზის მეორე ლაშქრობა ქართლში. 1546 წელს შაჰთამაზი კვლავ შეეცადა ლუარსაბ მეფის დამორჩილებას.

ამ დროს ოსმალთაგან შევიწროებული მესხეთის მთავარი შაჰს დახმარებას სთხოვდა. ყაენი მესხეთისაკენ გამოეშურა, ჯავახეთს ეწვია და ახალქალაქს დადგა. აქ ყაენს მორჩილებით ეახლენ ათაბაგი ქაიხოსრო, ბაგრატ იმერთა მეფე და ლევან კახთა მეფე. ლუარსაბი არ ეახლა შაჰს. ყიზილბაშებმა მოარბიეს ჯავახეთი. ეს იყო ლუარსაბ მეფის მომხრე მესხი თავადების საბატონო. აქედან შაჰი ქვემო-ქართლში გადმოვიდა. ქვეყანა რბევით ჩაიარა და დიდი ტყვე-ალაფით განკისკენ წავიდა.

ვერც ამ ლაშქრობით მიაღწია ყაენმა მიზანს. ლუარსაბი ეხლაც ვერ იგდო ხელში და, მაშასადამე, საქართველოს მორჩილებაზე ჯერ ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა.

საათაბაგოს დაპყრობა ლუარსაბის მიერ. ერანის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველები დიდად იყვნენ შეწუხებულნი მესხეთის ათაბაგის ერანისადმი დამორჩილებით. ამავე დროს ოსმალეთი სულ უფრო და უფრო მოიწევდა და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთ ნაწილებს იპყრობდა. 1551 წელს არზრუმის ფაშა ისკანდერი ხვანთქრის ჯარით არტანუჯში შევიდა. ლუარსაბი ხედავდა, რომ სამხრეთ-დასავლეთის მხრით საქართველოს ზღუდე ერღვეოდა. ასეთ გარემოებაში ქართლის მეფემ საათაბაგოს აღმოსავლეთ ნაწილის დაპყრობა გადაწყვიტა, რომ ოსმალეთის შემდგომი აგრესიისათვის ამ მიმართულებით გზა შეეკრა. ათაბაგის მოწინააღმდეგე მესხი თავადების შემწეობით ლუარსაბმა ხელთ იგდო ჯავახეთი და სამცხე-არტაანის დიდი ნაწილი. ქაიხოსრო ათაბაგმა შველადახმარებისათვის ისევ შაჰთამაზს მიმართა. ამ დროს შაჰთამაზი შაქში ლაშქრობდა.

შაჰთამაზის მეხუთე ლაშქრობა ქართლსა და მესხეთში. შაჰი წამოვიდა შაქიდან. სომხეთზე გამოიარა და სწრაფად ჯავახეთში ავიდა. დაარბია ჯავახეთი, დაიპყრო ციხე-ქალაქები, სადაც ქართველები გამაგრებულიყვნენ. აიღო და სულ ერთიანად გაძარცვა ვარძიის მონასტერი, შეიპყრა და დახოცა ლუარსაბის მომხრე მესხი თავადები. დაუბრუნა ქაი-

ხოსრო ათაბაგს ქართლის მეფის მიერ წართმეული ქვეყანა და აურაცხელი ტყვეებით და ნაძარცვ-ნადაელით უკუიქცა. რბევა-ტყვეებით ჩაიარა მან ქართლის ნაპირები და ერევნისაკენ წავიდა.

ერან-ოსმალეთის ზავი და საქართველო. 50 წლიან ომის შედეგად 1553 წელს ერანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. ამ ზაეის მიხედვით საქართველო ორ ნაწილად იქმნა გაყოფილი. ქართლი, კახეთი და მესხეთი ერანმა ირგო, ხოლო იმერეთის სამეფო გურიისა და ოდიშის სამთავროებით — ოსმალეთმა.

ერან-ოსმალეთის ზავი ლუარსაბ მეფეს ქართლისათვის საეალდებულოდ სრულიადაც არ მიაჩნდა. ის სულ მუდამ იმის ცდაში იყო, რომ თბილისი და ქვემო-ქართლი ყიზილბაშთა ხელიდან გამოეგლიჯა.

შაჰთამაზის მეოთხე ლაშქრობა ქართლში. ამიტომ ოსმალეთთან ზაეის დადების უმალ შაჰთამაზი მთელი თავისი ძალით ქართლის წინააღმდეგ წამოეიდა. ქართველები ტყეებსა და ეიწროებში ჩასაფრებით დიდ ზიანს აყენებდნენ ერანელთ. შაჰთამაზმა შემუსრა გორი, და ყიზილბაშები ახლო მდებარე ციხეებს შეესიენენ. წედისის ციხე ძალით აიღეს, ვერის ციხე კი უომრად გადასცა მტერს თავადმა ფარსადანმა. აქედან ყიზილბაშები ატენის ციხეს შემოადგნენ, სადაც ლუარსაბის დედა და სხვა დიდი ფეოდალების სახლობანი შეხიზნულიყენენ. ციხე მეტად მტკიცე და მიუდგომელი იყო და მეციხოენენი დიდხანს მედგარად იცავდნენ მას. მტერმა ციხე ერთი სულმოკლე ქართველის წყალობით აიღო. ყიზილბაშებმა დედოფლის მსახური კაეთისბეველი ბეთიაშეილი ტყვედ ჩაიგდეს. სიკვდილის შეშარის ქვეშ მშიშარამ გასცა ციხის საიდუმლო — და მტრებს ციხის წყაროს სათაეე უჩვენა. მტრებმა ციხეს წყალი დაუწყვიტეს და უწყლობით ლონემიხდილი ციხეც დაეცა.

შაჰთამაზმა ტყეები წრაფად წამოიყეანა. ლუარსაბ მეფე, რომელიც აჩაბეთის სიმაგრეში იდგა, უკან წამოედგა შაჰთამაზს. მრაეალგზის შეება მის უზარმაზარ ჯარის ნაწილებს, დიდადაც აენო, მაგრამ დედა და სხვა ტყეები (ამათი რიცხეი 30000 სული იყო) მაინც ეერ დაიხსნა. ტყეე დედოფალმა შერცხენილს სიცოცხლეს, როგორიც მას მოელოდა, სიკვდილი არჩია. საწამლაეი შესეა.

ეერც ამ მეოთხე შემოსეეისას ეწია ერანის შაჰი თაეის გულის წადილს. ლუარსაბი ხელთ ეერ იგდო. ეერც ქედი მოაბრეეინა.

ლუარსაბმა თანდათან ძალა შემოიკრიბა. ქვემო-ქართლის ციხეები კელაე გამოგლიჯა ყიზილბაშებს. შომთაბარე თურქმანებს ფეხი აედგა ქართლიდან და თბილისის დაპყრობას ცდილობდა. თბილისის ყიზილბაშ მეციხოენეებმა შეელა სთხოეეს ყარაბალის ბეგლარ-ბეგს შაჰეერდი ზიადოღლი უაჯარს.

გარიხის ომი. 1558 წელს შაჰეერდი ბეგლარბეგი დიდის ჯარით წამოეიდა თბილისისაკენ. მტრის დასახეედრად გორიდან უმალ დაიძრა ლუარსაბიც. ამ დროს ლუარსაბი უკეე მოხუცი იყო. ჯარის სარდლობა თავისი შეილს მამაცი სიმონისათეის გადაეცა. ომი მოხ-

და გარისს, ჭკაში. მტერის შეხვედრისას ქართველებმა განზრახ უკან დაიხიეს, რომ მტერი მისთვის არახელსაყრელ ადგილებში შემოეტყუებინათ. ყიზილბაშები ქართველებს დაედევნენ. სწორედ ამ დროს ქართველთა მთავარი რაზმი სიმონის მეთაურობით გვერდიდან დაეძგერა ყიზილბაშებს და მათი ჯარი შუაზედ გაპო.

ლუარსაბის სიკვდილი. ყიზილბაშებმა პირი იბრუნეს და გაიქცნენ. ქართველები ხოცა-ჟლეტით უკან მიჰყვნენ. შაჰვერდი ბეგლარბეგმა ძლივს თავს უშველა. ამ დროს ლუარსაბი სხვა ქართველ მოხუცებთან ერთად შორი ახლოს ერთ ბორცვზედ იდგა და ომის ამბავს მოელოდა. ყიზილბაშთა ერთი რაზმი ვინმე მაჰმად სულთანის ხელმძღვანელობით ტყეს შეფარებოდა. სამალავიდან გამოსული ის გაქცევას აპირებდა. ეს რაზმი ლუარსაბსა და მის ამალას წააწყდა და, სხვა გზა არ იყო, ომი გაჩაღდა. ლუარსაბმა და მისმა მოხუცებმა მხნედ შეუტიეს ყიზილბაშებს. მეფეს გახურებულ ომში საბრძოლველი იარაღი შემოემტვრა. ამ დროს მან მაჰმად სულთანი გაიმარტოვა, ცხენი დააძგერა და გადათელა. მეფის ცხენს ხვრელში ფეხი ჩაევარდა და წაიჩოქა. მხედარი გადმოვარდა. მაჰმად სულთანს მისი მხლებელი ვინმე ზაქარია წამოეშველა. წაქცეული მეფე მან სასიკვდილოდ დასჭრა. მეფის მკვლელი ქართველებმა იქვე გაათავეს. ამ რაზმის სხვა მეომრებიც სულ ერთიანად აკუწეს. მაჰმად სულთანი კი მეფის ცხენს მოახტა და თავს უშველა. სიმონ ბატონიშვილი დიდად გამარჯვებული შემოიქცა. მაგრამ გმირი მამის დალუპვამ გამარჯვების სიხარული მწარე გლოვად შეუცვალა.

ქართლის ბრძოლების მნიშვნელობა. ძველადაც ასე ესმოდათ, და მართალიც იყო, რომ ქართლის ეს მრავალწლოვანი უმაგალითო გმირული ბრძოლა მხოლოდ მის საკუთარ კეთხურ ინტერესებს არ ემსახურებოდა. ეს ბრძოლა მთელი საქართველოს დამოუკიდებლობას გულისხმობდა. ამიტომაც იყო, რომ შემდგომი თაობანი აგრე სიყვარულით და დიდის პატივით ინახავდნენ ამ ბრძოლის მეთაურის და შეუდრეკელი გმირის ხსოვნას. ლუარსაბი საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის თავდადებული ბრძოლის დროშად იქცა ერანოსმალეთის მოძალადეობის შავბნელ ხანაში.

სიმონ მეფე. სიმონ მეფე ლუარსაბის პოლიტიკას განაგრძობდა და ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლას არ ანელებდა.

1561 წელს სიმონმა გადამწყვეტი იერიშის მიტანა დააპირა თბილისის ციხეზე. სიმონს ამ საქმეში გვერდში ედგა კახთა მეფის ლევანის ძე გიორგი. თბილისის ყაზილბაშებს ყარაბალის ბეგლარბეგი მოეშველა.

ციხედიდის ომი. ომი მოხდა ციხედიდს. ყიზილბაშთა სარდალმა მოახერხა მოულოდნელად დასხმოდა ქართველთა ჯარს. მან შეუმჩნევლად ამოელო ამდენი ომების შედეგად გაპარტახებული მტკვრის მარჯვენა ნაპირი, ხოლო დევის-ნამუხლარს მდგომი ქართველების ყარაულები ბეზიყლაპია ალმოჩნდა. მტერმა ეს ადგილი ღამით სწორედ იმ დროს გაიარა, როცა უდარდელი ყარაული ახლობელ სოფლის ეკლესიაში ალ-

დგომის ცისკარს ისმენდა. მოულოდნელმა თაედასხმამ ქართველთა ბანაკში არეცა შეიტანა. სასტიკი ომი გაიმართა. მრავალი რჩეული მეომარი მტერს შეაკვდა. მოიკლა კახთა მეფის შვილი გიორგი. გამარჯვება ყიზილბაშთ დარჩათ. სიმონი მიდა-ქართლში წავიდა.

არც ეს გამარჯვება იყო გადამწყვეტი. ერანელებმა შიდა-ქართლში ფეხი ვერც ამის შემდეგ მოიკიდეს.

ქართლის მოღალატენი. მაგრამ რაც იარალით ვერ მოახერხეს ყიზილბაშებმა, ის მოყიდვა-შპიონაჟის გზით შეძლეს. მათ თანდათან მრავალი ფეოდალი გადაიბირეს, განსაკუთრებით ქვემო-ქართლიდან. მოისყიდეს სიმონ მეფის ძმა დავითიც. ეს სულმოკლე და მოღალატე სხვა მოღალატეებთან ერთად 1564 წელს შაჰთამაზს ეახლა ყაზვინში. დავითი თავისი ამალით ჩქარა გამაჰმადიანდა. შაჰთამაზმა ამ გადაგვარებულს ქვემო-ქართლისა და თბილისის მეფობა დაუმტკიცა, ყიზილბაშთა ლაშქარი გამოატანა და საქართველოში გამოისტუმრა. ამრიგად, ქართლი „შიგნიდან გატყდა". ამიერიდან შაჰმა თვით ქართველთ შორის დასაყრდენი გაიჩინა. სიმონმა ორგზის სასტიკად დაამარცხა თავისი ძმა მისი მიმდგომი რუნეგატებითა და ყიზილბაშთა დამხმარე ჯარით.

ფარცხიხის ომი. ყაენმა დავითის დასახმარებლად დიდძალი ჯარი გამოისტუმრა ადერბაიჯანიდან, ყარაბაღ-შირვანიდან, შაქიდან. მტრის ჯარი ფარცხისს მოვიდა (ალგეთში). სიმონ მეფე თავისი ჯარით ომში ვაჟკაცურად გადაეშვა. მაგრამ ღალატმა აქაც თავი იჩინა. სამშობლოს გამყიდველმა აზნაურმა ქახაბერ ყორღანაშვილმა, მტრების მეგზურმა, ომის დროს მცირე გუნდით გამარტოებული სიმონ მეფე იცნო და უმალ მტერს ანიშნა ის. მეორე ვინღაც მოღალატემ კი მეფეს მუხთლურად შუბი აძგერა და ის ცხენიდან გადმოსვა. ყიზილბაშთა დიდი გუნდი სიმონს შესაპყრობად მოეტევა. მეფის თანამებრძოლთაგან ბევრი მტერს შეეხოცა. სხვები მეფესთან ერთად ტყვედ ჩაიგდეს ყიზილბაშებმა. ქართველები დამარცხდნენ (1569 წ.).

სიმონ მეფე ტყვეობაში. მეფე ერანში წაიყვანეს. შაჰთამაზი ბევრს ეცადა სიმონის გახრწნას. მისი გამაჰმადიანება უნდოდა. ვერც პატიმამ, ვერც მუქარამ სიმონს სახე ვერ შეაცვლევინა. გაბრაზებულმა შაჰმა ტყვე მეფე ალამუდის ციხეში გამოკეტა, სადაც მრავალი წლების განმავლობაში იტანჯებოდა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის გაუტეხელი მებრძოლი.

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა გრძელდება. სიმონის დატყვევება ერანის დიდი გამარჯვება იყო. ჩანდა, რომ ქართლი ხანგრძლივსა და უსწორო ბრძოლაში მოიქანცა. მიუხედავად ამისა ხალხი გულს არ იტეხდა და მტრისათვის სამაგიეროს მიზღვას ლამობდა:

იკიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკები შგლისანი,
ისე არ ამოწყდებიან
ჯავრი შეშჭამონ მტრისანი"...

სიმონ მეფის დატყვევების შემდეგ თავადებიდან ზოგი დაეითს მიუვიდა, უმრავლესობა კი ერანის ამ მოხელეს მეფედ არ სცნობდა. ქვეყნის მოღალატე ყორღანაშვილს მეწინავე დროშის სარდალმა საჩინო ბარათაშვილმა საკადრისი მიუზღო: გელიყარის ციცაბო კლდეზე გადააგდო საძაგელი. ხალხმა კი თავისი კმაყოფილება ამის შესახებ ლექსით გამოთქვა: „ყორღანას-ძე ქარაფინდა, ხელი ჰკრეს და გადაფრინდა".

კახეთი

კახეთი მე-16 საუკუნეში საკმაოდ მოშენებული ფეოდალური სამეფო იყო. ალმოსაველეთით მას აბრეშუმის წარმოებით განთქმული შაქი-შირვანი ესაზღვრებოდა. ამ ქვეყნის უდიდესი ნაწილი დიდბანს ჰქონდა საქართველოს მიტაცებული და მხოლოდ მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში დაკარგა ის. კახეთის ფეოდალები XVI საუკუნეშიაც მეზობელ შაქს დასაპყრობად უყურებდნენ.

მე-16 საუკუნეში დაუსრულებელი ჭიშპი იყო ატეხილი კახეთსა და შამხალის სამთაეროს შორის. ეს უკანასკნელი პირიქით დალისტანსა და იმიერ-კავკასიაში მდებარე სამთავრო იყო. შამხალი კახეთს პირაქეთ დალისტანს ეცილებოდა. კახეთს ამისი დათმობა ადვილად არ შეეძლო: საკუთარი საზაფხულო საძოვრები ალარ ექნებოდა და თითონ ქვეყანაც კედელმორღვეული ხდებოდა. მთის დაკარგვის შემდეგ მთელი კახეთი, განსაკუთრებით კი მისი უმდიდრესი ალმოსაველეთი ნაწილი, კავკასიის მთიელთა და გადამთიელთა მუდმივი თავდასხმების მსხვერპლი გახდებოდა.

ერანის მიმართ კი კახეთის პოლიტიკა სრულიად განსხვავებული იყო. კახეთის მეფე ალექსანდრე (1476-1511) ჯერ კიდევ XVI საუკუნის დასაწყისშივე უომრად დაემორჩილა შაჰისმაილს. ამიერიდან ამ საუკუნის 90-იან წლებამდის კახეთს ერანის ბატონობა ცხადად არ უარუყვია. კახთა მეფეების მთელი ცდა მხოლოდ იქით იყო მიმართული, რათა უცხოელთა ეს ბატონობა, რაც შეიძლებოდა, ადვილასატანი ყოფილიყო.

დავით მეფე. 1520 წლიდან კახეთში ლევანი მეფობდა. ის მართლაც რომ მხოლოდ კახეთის მეფე იყო. საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენაზე ის არ ზრუნავდა. საერთო მტრის წინააღმდეგ ერთპირ გამოსვლაში იშვიათად მონაწილეობდა. მისი პოლიტიკური სარბიელი მთლიანი საქართველო ალარ იყო, არამედ მხოლოდ კახეთი. სამაგიეროდ კახეთში ის ჭკვიანი მმართველი იყო და მოქნილი პოლიტიკოსიც.

ურთიერთობა შამხალთან. ლევანი დაუმოყვრდა შამხალს და საერთო მტრების წინააღმდეგ პოლიტიკური კავშირითაც შეეკრა მას. ამით კახთა მეფემ მთის საკითხის მოგვარება გაიადვილა. პირაქეთი დალისტანი მას მორჩილებაში ჰყავდა და ფხიზლად თვალყურს ადევნებდა, რომ მთიელები ამ მორჩილებას არ გადასულიყვნენ და კახეთის ბარში რბევა-ტაცება არ გაებედნათ.

ურთიერთობა თუშ-ფშავ-ხევსურეთთან. ლევანმა დაიმორჩილა კარგა ხნის გამდგარი ფშავ-ხევსურეთი და თუშეთი. მეფემ ამ მთიელებს კახე-

თის საზამთრო საძოვრები დაეკარგა. შეიწროებულმა მთიელებმა იძულებული გახდა მეფის ლაშქრობა და ბეგარა.

ურთიერთობა შაქთან. კახთა მეფეს შეურიგებელი მტრობა ჰქონდა შაქის სამთავროსთან. შაქი-შირვანი ამ დროს უკვე ერანის ყაენს მორჩილებდა. მოხერხებული მოქმედებით ლეონმა დაამარცხა და დალუპა შაქის მმართველები ქასან-ბეგი და დერვიშ-შაჰმადი და ამავე დროს ყაენის რისხვაც თავიდან აიცილინა.

ქართლის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის და კახეთი. იმ გმირულ ბრძოლაში, ქართლი რომ ერანის წინააღმდეგ აწარმოებდა, კახეთი განზედ იდგა და მონაწილეობას არ იღებდა. ლეონ მეფე მტკიცედ ადგა ერანისადმი მორჩილების პოლიტიკას და აღებულს ხაზს არ უხვევდა, რომ ძლიერი კახეთი მებრძოლ ქართლს ერანის წინააღმდეგ არ გაერთიანებოდა, შაჰი იძულებული იყო კახეთიდან მცირე ხარკს დასჯერებოდა და არც სარწმუნოებრივი დევნა გამოეცხადებინა. ასე რომ ქართლის ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის კახეთის მდგომარეობას ამსუბუქებდა.

კახეთი—კეთილმოწყობილი ფეოდალური სამეფო. ასეთ ხელსაყრელ პირობებში კახეთი მე-16 საუკუნეში დაწინაურდა, მოშენდა და ამ საუკუნის დასასრულისათვის სხვა ქართული სამეფო-სამთავროთა შორის ყველაზედ მდიდარი და კეთილმოწყობილი ფეოდალური სამეფო იყო.

სოფლის მეურნეობა. კახეთის სიმდიდრე მის სასოფლო მეურნეობაში იყო. მეცხოველეობა კახეთს უძველესიდანვე მოსდევდა. მე-16 საუკუნეშიც მას თავი მოაქონდა ჯიშიანი ცხენებით, განსაკუთრებით ფართედ მისდევდნენ კახეთში ამ დროს მეაბრეშუმეობას, რომლითაც უცხოელებთან დიდ ვაჭრობას აწარმოებდნენ. მეღვინეობა ტოლს არ უდებდა მეაბრეშუმეობას და ღვინო უხვად გაჰქონდათ ახლობელ თუ შორეულს ქვეყნებში. ფართე გასატანი საქონელი იყო აგრეთვე ეზდრო. ეს იყო მცენარე, რომლიდანაც საღებავი მზადდებოდა.

ვაჭრობა და ქალაქები. სოფლის მეურნეობის გვერდით კახეთის მწარმოებელი საზოგადოება ხელოსნობა-ხელსაქმობაშიაც დაწინაურებული იყო. სოფლის მეურნეობისა, ხელოსნობისა და ვაჭრობის ასეთ დაწინაურების ნიადაგზე იყო, რომ მე-15-16 საუკუნეებში კახეთში ქალაქები კი არ მცირდებოდნენ და ქრებოდნენ, როგორც ეს საქართველოს სხვა ნაწილებში ხდებოდა ამ დროს, არამედ ჩნდებოდნენ და იზრდებოდნენ. ზაგემი, გრემი ამ გვიანფეოდალური ხანის „ახალქალაქებია", რომელთაც დიდად გაუსწრეს ძველს თელავს, თიანეთს, ენისელს.

პოლიტიკური რეფორმა კახეთში. მე-16 საუკუნეში კახეთში ადგილი აქვს დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ ამბებს. ჩანს, რომ მეფე ძალებს იკრებს, რათა ნამდვილი თვითმპყრობელი გახდეს.

აქამდის კახეთი, ისე როგორც მთელი საქართველო, სამხედრო ადმინისტრაციულ ერთეულებად — საერისთაოებად იყო დაყოფილი. მთელი კახეთი შვიდი საერისთაოსაგან შედგებოდა. ერისთავები ძველად

დიდი ფეოდალური მოხელეები იყვნენ. მაგრამ მე-16 საუკუნისათვის ისინი უფრო სახელად იყვნენ მოხელეები, ნამდვილად კი თავიანთ საგამგეო ქვეყნების თითქმის საშვილიშვილოდ მფლობელი ხელმწიფეები გამხდარიყვნენ.

მეფე ამ ერისთავების ხელში იყო. ვინც ერისთავებს სურდათ, მას აბოგინებდნენ; ვინც მათ არ ასიამოვნებდათ, მისი ტახტი მერყევი იყო.

მე-16 საუკუნეში კახეთის მეფეებმა გააუქმეს ქვეყნის ეს ძველი დაყოფა საერისთაოებად. ამიერიდან კახეთი დაიყო გაკილებით უფრო მრავალ ტერიტორიულ საგამგეო ერთეულებად — ს ა მ ო უ რ ა ო ე ბ ა დ. მცირე ტერიტორიის მმართველი მოურავები ერისთავობას ვერ იჩემებდნენ, მეფის ურჩობას ისინი აგრე ადვილად ვერ გაბედავდნენ. მათ საამისო ძალა არ შესწევდათ. ამიტომაც მოურავი მხოლოდ სახელად კი არა, არსებითადაც მეფის ადგილობრივი ფეოდალური მოხელე იყო.

სამხედრო რეფორმა. ამავე დროს კახეთში მნიშვნელოვანი სამხედრო რეფორმა მოხდა, რომელიც ამავე მიზანს ე. ი. მეფის ხელისუფლების პოლიტიკურ გაძლიერებას და დიდი თავადების დასუსტებას ემსახურებოდა. ძველი ერისთავი დროშის მჭონებელი იყო ე. ი. საერისთაო ქვეყანა ცალკე სამხედრო ერთეულს წარმოადგენდა და აქედან გამოსული ლაშქრის სარდალიც ერისთავი იყო. სარდლობა ერისთავის გაძლიერების ერთი უმთავრესი საშუალებათაგანი იყო და მასზედ დაყრდნობით იყო, რომ განდიდებული ერისთავი საერისთაოში ხელმწიფობას აპირებდა.

მე-16 საუკუნეში კახეთი, ისე როგორც ქართლი, დაყოფილ იქნა ოთხ სამხედრო ტერიტორიულ ერთეულად—სალაროშოდ, მაგრამ სალაროშოების სარდლობა კახეთის მეფემ ფეოდალურ გვარებს კი არ ჩააბარა, როგორც ეს ქართლში მოხდა, არამედ ეპისკოპოსებს. ეპისკოპოსობა კი სამემკვიდრეო თანამდებობა არ ყოფილა. ეპისკოპოსები მეფის მიერ დაინიშნებოდნენ ხოლმე ამ თანამდებობაზედ და საეკლესიო ყმებისა და მიწების ექსპლუატაციის საქმეში მეფის მფარველობას დიდად საჭიროებდნენ. ამის გამო ეპისკოპოსები მეფის უფრო ერთგული იყვნენ, ვიდრე საერო დიდებატონები და არც სარდლობის გამოყენება მეფის ხელისუფლების საზიანოდ ეპისკოპოსებს არ შეეძლოთ. მეორე მხრით სარდლის უფლებებს მოკლებული და მცირე ტერიტორიული ერთეულების მმართველი მოურავები ხელმწიფობაზე ვერ იფიქრებდნენ. ამ რეფორმების გატარების საქმეში კახეთის მეფეების მთავარი დასაყრდენი იყო ფეოდალური საზოგადოების ფართე ფენები: აზნაურები, მოლაშქრეები.

რეფორმები აძლიერებდა მეფის ხელისუფლებას და მის ავტორიტეტს ზრდიდა. მაგრამ იგივე რეფორმები ზრდიდა დიდებატონების ოპოზიციურ განწყობილებას კახთა მეფეებისადმი.

რუსეთის გამოხვლა წინა აზიის პოლიტიკურ ასპარეზზე. მე-16 საუკუნის შუაზედ შორს საქართველოდან დიდმნიშვნელოვანი ამბავი მოხდა. მოსკოვის სამეფომ მდინარე ვ ო ლ გ ი ს აუზში მონღოლთა მფლობელობა მოსპო. ამიერიდან მდინარე ვოლგის დიდი სავაჭრო გზა რუსეთის სამეფოს ხელში მოექცა. ჩქარა ამის შემდეგ მოსკოვის მეფემ იმიერ-კავ-

კასიის ჩრდილო-აღმოსაველეთ ნაწილში ფეხის მოკიდება სცადა: მდინარე თერგის შესართავთან ციხე ააგო და შიგ ჯარი შეაყენა.

რუსეთი და კახეთი. იმიერ-კავკასიის ამ დიდ ამბებს კახელებისათვის შეუმჩნეველად არ ჩაუვლია.

ლევან მეფეს ქრისტიანული რუსეთი ერან-ოსმალეთის მეირ შევიწროებული ქართველების ბუნებრივ მოკავშირედ ეჩვენა. კახეთის მეფემ ჩქარა გააბა პოლიტიკური ურთიერთობა ჩრდილოეთიდან მომავალ ამ ახალ ძალასთან. 1564 წელს მოსკოვის მეფე ივანემ „მფარველობის ხელი დასდო“ კახეთის მეფე ლევანს და მეკიხოვნე ჯარიც კი ითხოვა მას (1564-1571 წ.).

ყველა ამ ამბებმა შეაშფოთა ერანი და ოსმალეთი. ოსმალეთმა ომის მუქარით აიძულა რუსეთი ჯარი გაეყვანა თერგის ციხიდან. ხოლო ლევან მეფემ შაჰის მოთხოვნით რუსი მეკიხოვნეები კახეთიდან დაითხოვა.

კახეთი ალექსანდრე მეფის დროს. ალექსანდრე კახეთის მეფე (1574-1605) წარმატებით განაგრძობდა ლევანის პოლიტიკას.

ისე როგორც ლევანის, ალექსანდრეს საზრუნავს შეადგენდა კახეთის შემდგომი ეკონომიური და კულტურული დაწინაურებისათვის ხელის შეწყობა, ქვეყნის ადმინისტრაციული მოწესრიგება, მისი სამხედრო ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესება.

ალექსანდრე მდიდარი და ყმა-მრავალი ფეოდალური მეფე იყო. მისი ვაჭრები კახური საქონლით აზიასა და ევროპას მიმოდიოდნენ. მეფეს შეძლება ჰქონდა დიდის თანხებით შეწეოდა ქრისტიანულ სალოცავებს იერუსალიმსა თუ სხვა ადგილებში. ალექსანდრეს განზრახვა ჰქონდა მთლიანად აღედგინა კახეთში საქართველოს აყვავება-ძლიერების დროის მატერიალური ნაშთები: ციხე-ქალაქები, ეკლესია-მონასტრები. ცდილობდა მოეყვანა უცხოეთიდან ოსტატ-ხელოსნები, ხუროთმოძღვრები, მხატვრები, სწავლული მწიგნობრები.

ალექსანდრე ცდილობდა წესიერება დაემყარებია თავის სამეფოში. ლაგამი ამოედო ფეოდალური მოხელეების ალეირახსნილობისათვის. მის დროს თურმე მწარმოებელი საზოგადოება მოურავებისაგან „ბევრსა ძალსა და უსამართლობას ჩიოდეს“. ალექსანდრემ მკაცრად განსაზღვრა მოურავების უფლება-მოვალეობანი და ფხიზლად ადევნებდა თვალყურს ამ მოხელეთა საქმიანობას.

კახეთის ლაშქარი. ალექსანდრე მეფეს 1590 წელს 15 ათასამდის რჩეული მოლაშქრე ჰყავდა („ქედზე კაცით“ კი მას ორჯერ მეტიც შეეძლო გამოეყვანა). აქედან მხოლოდ 3.000 იყო ქვეითი. სხვა ყველა მხედარი. ლაშქარს ის ყოველწლიურად იწვევდა აღლუმზედ. დაათვალიერებდა და მუდმივ მზაობის ბრძანებით დაითხოვდა ხოლმე. ალექსანდრემ იცოდა, რომ შეიარაღებით მისი ლაშქარი დიდად ჩამორჩებოდა მეზობელ ქვეყნების ჯარებს. 15000 კაცზე მას მხოლოდ 500 კაცი ჰყავდა ხელთოფით შეიარაღებული. ზარბაზნები კი სულ არ გააჩნდა. ამიტომაც ალექსანდრე ცდილობდა გაეჩინა ზარბაზნები, მოეწყო თავის ქვეყანაში თოფის და ზარბაზნის ჩამოსხმის საქმე, ეშოვა საამისო ოსტატები.

დასავლეთ-საქართველო

ოსმალეთი და დასავლეთ-საქართველო. მე-16 საუკუნეში ოსმალეთი დასავლეთ-საქართველოს სამი მიმართულებით უტევდა. უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთის საზღვარზე ოსმალთა გავლენის ქვეშ შედარებით ადრე მოექცნენ ჯიქები და ზოგიერთი სხვა აფხაზურ-ჩერქეზული ტომები: ამათი საშუალებით ოსმალეთი საქართველოს აფხაზეთში ფეხის მოკიდებას ცდილობდა.

მეორეს მხრით ოსმალეთი ტრაპიზონის მიმართულებით მოიწევდა. მე-16 საუკუნის პირველ ნახევარშივე ოსმალეთმა მოჰგლიჯა ჭანეთი საქართველოს და გურიას შემოუტია. მართალია, ბათომის დაპყრობის ცდა მარცხით დაუმთავრდა თავდამსხმელს, მაგრამ ჭოროხის შესართავის მარცხენა ნაპირზე მან მტკიცედ მოიკიდა ფეხი. ამიერიდან გონიას ციხე აჭარისა და გურიის წინააღმდეგ სამოქმედო ბაზად იქცა ოსმალთა ხელში.

დასავლეთ საქართველოზე ოსმალთა შემოტევის მესამე მიმართულება სამცხის მხრიდან იყო — ზეკარის გზით.

საერთოდ დასავლეთ-საქართველო ოსმალთათვის ძნელად მისადგომი ქვეყანა იყო.

ოსმალთა შემოსევა იმერეთში. 1510 წელს ოსმალთა დიდი ჯარი სულთნის მემკვიდრე სელიმის მეთაურობით საქართველოს დასარბევად წამოვიდა. სამცხის ათაბაგი, რომ საკუთარი ქვეყანა ეხსნა დარბევისაგან, შორჩილებით მიეგება მტერს და ლიხთ-იმერეთში გადმოუძღვა მას. ოსმალთა ჯარი მოულოდნელად დაეცა ქუთაისს. ქვეყანა მოუმზადებელი დახვდა და ძლივს დახიზვნა მოასწრო. ოსმალებმა აიღეს და აოხრეს ქალაქი, დაარბიეს სოფლები, დაწვეს ეკლესიები (მათ შორის შესანიშნავი ბაგრატის ტაძარი ქუთაისში და გელათი), დაიტაცეს სადაც რა დააწყდეს.

ამ დროს ლიხთ-იმერეთის სამეფო ტახტზედ ახალგაზრდა ბაგრატ ალექსანდრეს-ძე იჯდა. მტრის მოულოდნელი შემოსევის გამო ბაგრატი იძულებული იყო სიმაგრეებს შეხიზნოდა. ლიხთ-იმერეთი დამორჩილებას არ აპირებდა და ბრძოლისათვის ემზადებოდა, ზამთრის პირი იყო და ზეკარის გადასავალს საცა იყო თოვლი შეჰკრავდა. ასეთ დროს აგრე ღრმად უცხო ქვეყანაში შემოჭრილი ოსმალთა ჯარი შესაძლებელი იყო დიდს განსაცდელში ჩავარდნილიყო. ამიტომ იყო, რომ ოსმალთა ლაშქარი ლტოლვილივით სასწრაფოდ უკან გაბრუნდა, მიუხედავად იმისა, რომ ლიხთ-იმერეთს მის წინააღმდეგ ჯერ ხმალიც კი არ ეშიშვლა.

ბაგრატ მეფე. ბაგრატ მეფის (1510 — 1565) წინაშე, მეტად რთული ამოცანები იდგა.

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა და მთავრები. დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დასაცავად საჭირო იყო ძალების მაქსიმალური მობილიზაცია, მაგრამ ლიხთ-იმერეთის მეფის მდგომარეობა ამ საქმეში განსა-

კუთრებით მძიმე იყო. პოლიტიკური დაჩაგრულობის გზით ქვეყანა ერთიან შორის იყო წასული. მთავრები არა მარტო თვით იყვნენ გამოუდეგარნი ასეთი მობილიზაციისათვის, არამედ უფრო მცირე ფეოდალთა ურჩობის დასაყრდენიც ისინი იყვნენ. მწარე გაკვეთილების შედეგად მეფე საბოლოოდ დარწმუნდა, რომ კარზედ მომდგარი მტრის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლისათვის წინასწარ აუცილებელი იყო მთავართა შეშესვრა. მაგრამ უბედურება იმაში იყო, რომ ასეთი რამ მეფის ძალებს აღემატებოდა. მაინც ბაგრატ მეფემ საკმაოდ ენერგიული მოქმედება გაანავითარა, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის ასპარეზზე.

ბაგრატ მეფის საშინაო პოლიტიკა. ბაგრატის საშინაო პოლიტიკაში აღსანიშნავია მისი ზრუნვა ქვეყნის ადმინისტრაციულ მოწესრიგებაზედ.

კიდევ უფრო ღირსშესანიშნავია საეკლესიო კრება, რომელიც მეფის ინიციატივით მოხდა მე-16 საუკუნის შუა წლებში. კრების მსჯელობის საგანი უაღრესად საჭირბოროტო საზოგადოებრივი საკითხები იყო.

ამ დროს ქვეყანაში შიმშილობა ყოფილა. ამას კი ისედაც სუსტი საზოგადოებრივი წესიერების კიდევ უფრო შესუსტება მოჰყოლია. ტყეის სყიდვა, ქურდობა-ავაზაკობა, მკვლელობა, ეკლესიების ძარცვა და სხვა ასეთები იქამდის გაზრდილა, რომ აუცილებელი გამხდარა საგანგებო საეკლესიო კრების მოწვევა, რომელსაც მთელის თავის აუტორიტეტით უნდა მოეწოდებია ფეოდალური საზოგადოებისათვის აღნიშნულ სოციალურ ბოროტებასთან საბრძოლველად.

საეკლესიო კრების დადგენილებანი მეტად მკაცრი იყო განსაკუთრებით ტყვის გამყიდველთა მიმართ. ტყეის გამყიდველი გაუკითხავად უნდა სიკვდილით დასჯილიყო.

„ტყვის სყიდვა". „ტყვის სყიდვა" ამ დროს ადგილობრივი კაცის უცხოეთში გაყიდვას ეწოდებოდა. ასეთი „ტყვის სყიდვა" ფეოდალურ საქართველოში გვიან გაჩნდა. ის განსაკუთრებით XVI საუკუნიდან გაძლიერდა. უველაზედ უფრო ის დასავლეთ-საქართველოში გავრცელდა. ეს მოვლენა ღრმა ეკონომიურს და სოციალურ საფუძვლებს ემყარებოდა.

ტყეის სყიდვა ქართველი ერის განვითარებას, მის დამოუკიდებლობას, უდიდეს საფრთხეს უქმნიდა: ხალხის საუკეთესო ნაწილი, მისი ჯანსაღი ახალგაზრდობა განუწყვეტლივ მიედინებოდა უცხოეთში და საქართველოს საშუალოდ ეკარგებოდა. არც ერთ ომს, არც ერთ უცხოელ დამპყრობელს ხმლით იმდენი ზარალი არ მიუყენებია საქართველოსათვის, რამდენიც ამ „მშვიდობიან" ტყვეთა სყიდვამ მოაყენა მას.

ტყეის სყიდვა კლასობრივი ბრძოლის უველაზე უფრო მახინჯი და ველური ფორმა იყო საშუალო საუკუნოების საქართველოში.

ტყვეთა სყიდვის საშიშროებას კარგად გრძნობდა ფეოდალური საზოგადოების საუკეთესო ნაწილი და, რაც ძალა შესწევდა, იბრძოდა კიდეც ამ მოვლენის წინააღმდეგ.

ომი ჯიქეთს. თაედამსხმელი ოსმალეთის წინააღმდეგ ბაგრატ მეფე ენერგიულად იბრძოდა. 1533 წელს მამია დადიანი და მამია

გურიელი ჯიქეთს გაემართნენ სალაშქროდ. უკვე ქარგა ხანი იყო, რაც ჯიქები ოსმალთა შემწეობით თავს ესხმოდნენ ოდიშსა და გურიის სანაპიროებს. დადიან-გურიელის ლაშქრობა ამ თავდასხმათა ალაგმვას ისახავდა მიზნად. ბრძოლის დროს ქართველთა ლაშქარში ლალატმა ოჰინა თავი. დადიან-გურიელს დაუმარცხდათ. დადიანი მოკლეს, ხოლო გურიელი დაატყვევეს.

მესხეთის დაპყრობა. ამ მარცხს ბაგრატ მეფის ენერგია არ მოუდუნებია. ბაგრატ მეფე არა სცნობდა მესხეთის ათაბაგის ხელმწიფობას და ეს ქვეყანა თავისთვის სამკვიდროდ უნდოდა.

მურჯახეთის ომი. 1535 წელს ბაგრატმა მესხეთში გაილაშქრა. ომი მოხდა მ უ რ ჯ ა ხ ე თ ს. ბაგრატმა დაამარცხა ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე ა თ ა ბ ა გ ი და მესხეთი დაიჭირა. ათაბაგი ტყვედ ჩავარდა.

მესხეთის ფეოდალების ერთმა ნაწილმა ო თ ა რ შ ა ლ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს მეთაურობით ყვარყვარე ათაბაგის შვილი ქ ა ი ხ ო ს რ ო სტამბოლს წაიყვანა და სულთანს შეაევედრა.

1545 წელს 22 ათასი კაცისაგან შემდგარი ოსმალთა ლაშქარი მ უ ს ტ ა ფ ა ფ ა შ ი ს მხედართმთავრობით შემოიჭრა მესხეთში და მისი დასავლეთი ნაწილი საშინლად აოხრა.

ბაგრატ მეფე ენერგიულად ემზადებოდა მტრის დასახვედრად, მაგრამ საქმის წარმატებას შინაური გართულება აფერხებდა. გურიისა და ოდიშის მთავრებს მეფის გაძლიერება არ მოსწონდათ. ეშინოდათ, რომ გაძლიერებული მეფე მათ უფლებებს შეუკვეცდა. რომ მთავრები მის წინააღმდეგ არ გაერთიანებულიყვნენ, მეფემ გურიელს წყალობა უყო: დაპყრობილი მესხეთიდან მას აჭარა და ჭანეთი გადასცა. ამაში დადიანმა თავისთვის უშუალო საფრთხე დაინახა და განდგომა გადაწყვიტა. თავისი განდგომა ლ ე ვ ა ნ დ ა დ ი ა ნ მ ა მაშინ გამოამჟღავნა, როცა ოსმალთა დიდი ჯარი მესხეთში შემოიჭრა. დადიანმა უარი უთხრა მეფეს ლაშქრით მიშველებაზე.

ქართაჭის ომი. ამ საშინაო გართულების მიუხედავად ბაგრატ მეფე გურიელით მხნედ დაუხვდა მტერს. ომი მოხდა ქ ა რ ა ლ ა ქ ს და ოსმალთა ლაშქრის სრული დამარცხებით დამთავრდა. მუსტაფა ფაშა ომში დაიღუპა, ხოლო ქაიხოსრო და მისი მხლებელნი ისევ სტამბოლს გაიქცნენ.

ეხლა სულთანმა კიდევ უფრო დიდი ლაშქარი გამოგზავნა.

სთხოიხტახ ომი. დადიანმა საერთო საქმეს კვლავ ულალატა და ლაშქარით მიშველებაზედ მეფეს ეხლაც უარი შეუთვალა. ბაგრატმა დაბმარება სთხოვა ლუარსაბ მეფეს. ქართლის მეფე მთელი თავისი ძალით საერთო მტრის წინააღმდეგ გამოვიდა. ქართველთა ჯარი მტერს ბ ა სიანში ჩაეგება. ომი ს თ ხ ო ი ს ტ ა ს მოხდა (1545 წ.) ქართველები მხნედ დაუხვდნენ უკეთ შეიარაღებულ მტერს, მაგრამ ომის ბედი ლალატმა გადაწყვიტა. მესხი ფეოდალები თავიანთი ლაშქრით შეა ომში გამოეთიშნენ ქართველ თანამოძმეებს და ბრძოლის ველს გაეცალნენ. ქართველი ლაშქრის დიდი ნაწილი შეაწყდა უთანასწორო ბრძოლას.

დანარჩენი კი მხოლოდ მაშინ იელტოდა, როცა საბრძოლო იარაღი თით-ქმის სულ შემოემტერა.

ოსმალებმა სამცხე-საათაბაგო დაიჭირეს და ჭაიხოსროს ათაბაგობა ალირსეს.

ამ გამარჯვების წყალობით ოსმალებმა მტკიცედ მოიკიდეს ფეხი სამ-ცხე-საათაბაგოში საერთოდ და განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილ-ში. სოხოისტას ომის შემდეგ ოსმალეთის მიმართულებით საქართველოს ციხე-სიმაგრის ბურჯი მორღვეული იყო.

ბაგრატ მეფის ურთიერთობა მთავრებთან. ბაგრატ მეფეს მარცხის შემდეგაც არ უსვენებდა. ენერგიულმა მეფემ მთაეარისა მოსპობა გადა-წყვიტა. მან მოტყუებით მოინდო ლევან დადიანი და ციხეში გამოჰკეტა ის. ამის შემდეგ მეფემ როსტომ გურიელის ხელში ჩაგდებაც სცადა. ამ მიზნით მან გურიელი ოდიშში სალაშქროდ მიიწვია.

გურიელი მიუხვდა მეფეს. არ ეახლა პატრონს.

მეფეც მოუხედა ყმას და დაინახა, რომ წამოწყება ჩაეშალა. ამასობა-ში ჭაიხოსრო ათაბაგის მოსყიდულმა ხოფილანდრე ჩხეიძემ გააპარა გელათის სამრეკლოში გამოკეტილი ლევან დადიანი და ახალ-ციხეს გადაიყვანა. გურიელმა ლევან დადიანი ახალციხიდან გურიის გზით ოდიშს მიიყვანა. დადიანმა თავისი ქვეყანა აღვილად შეინარჩუნა.

ბაგრატმა წააგო. საიდუმლო ზრახვები გაუმჟღავნდა, ხოლო შეშინ-ებული მთავრები მის წინააღმდეგ გაერთიანდნენ. რომ თავი დაეცვათ სა-ქიშო პატრონისაგან, დადიან-გურიელი ოსმალეთის ჭყანთქრის ქალთან შეეფარნენ. 1553 წელს ხვანთქრის ეს ახალი ყმები არზრუმის ფაშის ამალას ამშვენებდნენ. ამიერიდან ბაგრატს ამათგან თაედაცვაზედ უნდა ეზრუნა.

ერან-ოსმალეთის ზავი და დასავლეთ-საქართველო. ამასობაში ერან-ოსმალეთს შორის ზაეიც დაიდო. ლიხთ-იმერეთი ოსმალეთსა ხედა. ამ დროისათვის ოსმალეთს უკვე ჰქონდა ფეხი მოკიდებული დასავლეთ-სა-ქართველოში. დადიანი და გურიელი ხვანთქრის მფარველობის ქვეშ ითვლებოდნენ. ასეთ პირობებში იმერეთის მეფემაც ქედი მოიხარა ოს-მალეთის ბატონობის უღლის ქვეშ.

დიდხანს ეს ბატონობა უფრო სიტყვიერი იყო, მაგრამ რაც დრო გა-დიოდა და ოსმალეთი ლიხთ-იმერეთში უფროდაუფრო ფეხს იკიდებდა. მისი ბატონობის ეს უღელიც მძიმდებოდა.

მესხეთი

მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში მესხეთის ათაბაგებმა გამარჯვებით დაასრულეს ხანგრძლივი პოლიტიკური ბრძოლა, საქართველოს მეფი-სადმი ყმობისაგან განთავისუფლებისათვის რომ აწარმოებდნენ. ამ ბრძო-ლის დროს ათაბაგებმა გაწმინდეს თავისი სამთავრო მეფის მომხრე ერისთავთაგან. ზოგი ამოწყვიტეს, ზოგი გაბოდიენეს. მათ მამულებსა თუ თანამდებობებზე თავიანთი მომხრეები დასხეს. ასეთივე ღონე გაუთენეს

მეფის მომხრე საეკლესიო ფეოდალებს-ეპისკოპოსებსაც. ისინიც გამოაძევეს. საეკლესიო ყმა-მამული თავიანთ მომხრე თავადებს უწყალობებს. ერში ეპისკოპოსების ადგილებზე თავიანთი მომხრე ბერძენი ეპისკოპოსები ოსმალეთიდან მოიწვიეს. მოიტაცეს მეფის საკუთარი ყმა-მამული სათაბაგოში და თავიანთ ერთგულებს უწყალობეს და ბოლოს მეფეს მოსტაცეს მთელი შხარე — ჯავახეთი და სათაბაგოს შეუერთეს.

ათაბაგების საგარეო პოლიტიკა XVI საუკუნეში. მე-16 საუკუნეში ათაბაგთა სამფლობელოს საქართველოს სხვა ნაწილებზედ ნაკლებ ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა. დასავლეთიდან მას ოსმალეთი მოსდგომოდა, ხოლო სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ერანის ყაენის სამფლობელო ეკრა. სუსტ მეზობელს ორიეე აგრესორი ჩასანთქავად უყურებდა. მხოლოდ საკუთარი ძალებით მესხეთის მთავარს მათი გამკლავება არ შეეძლო. ამავე დროს ის ვერც საქართველოს სხვა ნაწილებთან შეკავშირებას ახერხებდა. ათაბაგს ეშინოდა, რომ გარეშე მტრის წინააღმდეგ დასახმარებლად მოწვეული ქართლის ან ლიხთ-იმერეთის მეფე მას სამფლობელოს ჩამოართმევდა და ჭეყანას თვით დაიპყრობდა. ამიტომ მესხეთის მთავარი უცხოელ თავდამსხმელებთან შოლტპარაკებას ირჩევდა. თავდამსხმელს მორჩილებას აღუთქვამდა და მდიდარი მისართმეულით მშვიდობიანობის ყიდვას ცდილობდა.

ათაბაგთა ასეთი პოლიტიკა დამღუპველი აღმოჩნდა. ორ ბატონს ვერ ასიამოვნებს, ხან ერთი სწამებდა ყმას ორგულობას, ხან მეორე და რიგ-რიგობით არბევდნენ გზადაბნეული ფეოდალის ჭეყანას. ამავე დროს ამ აგრესორთა საშსახურით ათაბაგები მთელი საქართველოს დამონების ძალაუნებური აგენტები ხდებოდნენ. მორჩილ მესხეთზე გამოელით და ათაბაგთა შემოძღომით ოსმალები თუ ყიზილბაშები ხან ქართლს აოხრებდნენ, ხან ლიხთ-იმერეთს.

ამგვარად, ათაბაგებმა საქართველოს დამარცხებაში მტრებს ხელი შეუწყეს. აგრესორები მაინც ვერ მოირიგეს (მგელი ვის მოუროგებია...) და ხელმწიფობის ნაცვლად მონობა მოიმკეს.

ერან-ოსმალეთის ზავი და ხათაბაგო. 1553 წლის ერან-ოსმალეთის ზაეის შედეგად სამცხე-საათაბაგო ორად დაგლეჯილი აღმოჩნდა. ქვეყნის უდიდესი ნაწილი ერანსა ხვდა. მაგრამ მის დასავლეთ მხარეს (ტაოს, შავშეთს, კლარჯეთს) ჩჭარა ოსმალეთი წამოეჭიდა. აჭარა და ჯანეთი გურიელს ეჭირა. ჯანეთი ოსმალეთმა წაართვა მას, ხოლო აჭარა არა ერთგზის დაერბია, თუმცა საბოლოოდ მტერმა იქ ფეხი ვერ მოიკიდა.

ოსმალთა წინააღმდეგ უძლური ქაიხოსრო ათაბაგი 1570 წელს შატთამაზს ეახლა ყაზვინს და მას დახმარება სთხოვა. შაჰს ოსმალეთთან ზავის დარღვევა სასურველად არ მიაჩნდა და „ყმას" დაპირებით ჰკვებავდა. ქაიხოსრო დახმარებას ვერ ელირსა ისე გარდაიცვალა შაჰის კარზე 1573 წელს.

ფეოდალური ომები მესხეთში. კიდევ უფრო მძიმე პირობებში მოექცა ქაიხოსრო ათაბაგის-ძე ყ ე ა რ ყ ე ა რ ე. მას მტრად ალუდგა მესხი თა-

ვადების დიდი ჯგუფი შალიკაშვილთა მეთაურობით. დაუსრულებელი ფეოდალური ომი გაიმართა. ექვს წელიწადს არბეევდნენ და ანგრევდნენ ერთიმეორის ციხე ქალაქებს, სოფლებს და ურთიერთის წინააღმდეგ დახმარებას ერანსა და ოსმალეთში ეძებდნენ.

ერან-ოსმალეთის მეორე ომი და საქართველო

ამასობაში ოსმალეთმა ახალი დიდი შეტევა დაიწყო ერანის წინააღმდეგ.

არეულობა ერანში. 1576 — 1587 წლებში ერანში დიდი არეულობა იყო. 10 წლის განმავლობაში სეფიანთა დინასტიის უფლისწულები ერთი მეორეს მუსრს ავლებდნენ. დაბოლოს, 1587 წელს, ყიზილბაშთა ერთი ტომის დახმარებით აბას მირზა გახელმწიფდა (შაჰაბასი). მხოლოდ მან მოახერხა ტახტზედ მტკიცედ დამაგრება.

სახელმწიფო კარის ამ არეულობით ისარგებლეს და მრავალი ქვეყანა განდგა. არ დააყოვნეს გარეშე მტრებმაც. აღმოსავლეთით ოზბეგებმა შემოუტიეს. დასავლეთიდან ოსმალეთი დაიძრა.

1577 წელს ოსმალეთმა დაარღვია ზავი ერანთან. ერან-ოსმალეთის ეს ახალი ომი უფრო ნაკლებად მკაცრი და ხანგრძლივი არ იყო, ვიდრე პირველი. ომის ასპარეზი იგივე ქვეყნები იყო, რაც პირველად: ამიერ-კავკასია, ქურთისტანი, ერაყი, ადერბაიჯანი. საქართველოსათვის ერან-ოსმალეთის ეს მეორე ომი შეუდარებლად უფრო მძიმე შედეგებისა იყო, ვიდრე პირველი.

ჩილდირის ომი. 1578 წელს სარდალი მუსტაფა ლალა-ფაშა ოსმალთა ჯარით ამიერ-კავკასიის დასაპყრობად წამოვიდა. ერანის ლაშქარი ოსმალთა ჯარს გადაეღობა და ჩილდირის ტბის ჩრდილოეთით 9 აგვისტოს გადამწყვეტი ომი მოხდა. ოსმალებმა გაიმარჯვეს. ამის შემდეგ ლალა-ფაშა საკუთარი თავის ხნაბარად მიტოვებული ერანის საყმო საქართველოს დაპყრობას შეუდგა.

გამოვლილმა ჭირმა თავადურ საქართველოს ვერაფერი ასწავლა. ის ამ ახალ განსაცდელსაც ძველებურად მოუმზადებელი შეხვდა. სამეფო-სამთავროები ვერ გაერთიანდნენ და ამ საერთო უბედურების დროსაც ერთი მეორის მტრობას არ იშლიდნენ. აგრესორისაგან თითოეული თავის თავს ცალ-ცალკე, როგორც მოეხერხებოდა, ისე იცავდა. ზოგი მშვიდად იბრძოდა, ზოგი მორჩილებას ირჩევდა. აგრესორი კარგად აფასებდა საქართველოს ძალთა გაუერთიანებლობასა და მათი გაერთიანების წინააღმდეგ ოსტატურ ხერხს მიჰმართავდა. სხვადასხვა ქართულ ქვეყნებს ის მორჩილების სხვადასხვა პირობებს უდებდა, ზოგს მძიმეს, ზოგს უფრო მსუბუქს. სამცხე-საათაბაგო და განსაკუთრებით ქართლი შეუდრეკელად ებრძოდნენ დამპყრობლებს, კახეთის მეფემ კი „ნებით“ ყმობა ირჩია და მოძალადეს ყოველწლიური ხარკი გადაუკვეთა.

ქართლის ბრძოლას ოსმალთა წინააღმდეგ სიმონ მეფე მეთაურობდა, მესხეთისას მანუჩარ ათაბაგი. ერთში ტყვეობიდან სი-

მონი 1578 წელს გაათავისუფლეს და ქართლში ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად გამოისტუმრეს. მისი ქართლში მოსვლისას ქვეყნის მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქები უკვე ოსმალებს დაეპყრათ. მთელი ოცი წლის განმავლობაში სიმონ მეფე ქართველებით შეუნელებლად ებრძოდა ძლიერ მტერს და საქართველოს ამ შეაგულში ოსმალური წესწყობილების შემოღების საშუალებას არ აძლევდა აგრესორს. არაერთხელ დაამარცხეს ქართველებმა მათზე მრავალრიცხოვანი ოსმალთა ჯარები, არაერთხელ გამოგლიჯეს ხელიდან მოძალადეს ქართლის ციხე-ქალაქები და, თუმცა საბოლოოდ ვერ უკეთაგდეს უზარმაზარი მტერი, მაგრამ ქართველობა კი არ დათმეს და ქვეყნის სწრაფად გაოსმალების განზრახვაზე აგრესორს ხელი აალებინეს.

უფრო მძიმე იყო მებრძოლი მესხეთის მდგომარეობა.

ოსმალებმა აქ თანდათან მრავალი აგენტი გაიჩინეს. ქრთამზე, საპატიო თანამდებობაზე მესხეთის ფეოდალების ნაწილმა გაცცალა სამშობლო და თავისუფლება-დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ თანამოძმეებს სულალატად შემოადგა. საქმე მეტად გაჭირდა. მანუჩარ ათაბაგი ველარ დადგა თავის ქვეყანაში და სიმონ მეფესთან ქართლში ხიზნად ჩამოვიდა.

ერან-ოსმალეთის ზავი. 1590 წელს ერანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. შირვანი, ადერბაიჯანი და საქართველო ერანმა ოსმალეთის საკუთრებად იცნო. ამიერიდან ვიდრე 1604/5 წლამდის საქართველოს სამეფო-სამთავროები ყველა ოსმალეთის ხელთ იყო.

სიმონი ერან-ოსმალეთის ზავის პირობებს ქართლისათვის სავალდებულოდ არ სთვლიდა და მოძალადის წინაშე ქედს შუხრას არ აპირებდა.

ოსმალებმა საგანგებოდ გაამაგრეს თბილისი, ლორე, გორი, დმანისი და მკვიდრად ჩასხდნენ ამ ციხეებში.

მიუხედავად ამისა ქართლი ფარხმალს არ ყრიდა და ვერაგ მტერს საქართველოს შეაგულში ფეხის მკვიდრად მოკიდების საშუალებას არ აძლევდა. მართალია, ქართლის ციხე-სიმაგრეებში ოსმალები ისხდნენ, მაგრამ „თემი", ქვეყანა სიმონს ეპყრა და ოსმალები იქ თავიანთი წესების ვატარებას ვერ ახერხებდნენ.

ბოლოს ოსმალეთმა იცნო ქრისტიანი სიმონი ქართლის მეფედ. სიმონმა ოსმალეთისათვის ხარკის მიცემა იკისრა. მაგრამ არც ერთ მხარეს ამ ზავისა არა სწამდა. ქართლის ციხე-ქალაქებში ჩამსხდარი ოსმალები, რა თქმა უნდა, საბოლოოდ ხელს არ იღებდნენ თავიანთ განზრახვაზე: ქართლში ოსმალური წესწყობილების შემოღებაზე, ქვეყნის გამაისლამიანებაზე. სიმონ მეფე ამას კარგად ხედავდა და ომისა და ომის განახლებისათვის შესაფერის ტარიხს უცდიდა.

1590-იან წლებში სიმონ მეფემ ისარგებლა ოსმალეთთან დროებით შექმნილი მშვიდობიანობით და ლიხთ-იმერეთის ქართლთან შემოერთება სცადა.

სიმონმა საშკერ ილაშკრა იმერეთს. დაიპყრო კიდეც ის, მაგრამ იმერეთის თაეადების ნაწილი, მთავრები და ოსმალეთი ყველანი წინააღდე-

ვნენ სიმონის ამ საქმეს და ქართლის მეფე აიძულეს ასეთი განზრახვისაგან ხელი აელო.

ქართლი 1590-1599 წლებში. 1590 წლიდან 1599 წლამდის ქართლელებს ოსმალებთან ომი არა ჰქონიათ. ამ ხანებში სიმონ მეფე მომავალი ომისათვის აქტიურ პოლიტიკურ სამზადისს ეწეოდა. ამ მიზნით სიმონი შეუთანხმდა თავის ძველს მოკიშპეს ალექსანდრე კახთა მეფეს. მიმოწერა ჰქონდა შაჰაბასთან და სამივემ შეთანხმებას მიაღწიეს საერთო ძალით ოსმალთა წინააღმდეგ გამოსვლის საკითხში.

სიმონ მეფის პოლიტიკური მიმოწერა დას. ევროპის ხელმწიფეებთან. ამავე დროს ქართლის მეფეს მიმოწერა აქვს ესპანიის კოროლთან, გერმანიის იმპერატორთან, რომის პაპთან.

სიმონი მხურვალედ ეხმაურება რომის პაპისა და გერმანიის იმპერატორის მოწოდებებს აღმოსავლეთის ქრისტიანების გაერთიანებისა და ოსმალთა წინააღმდეგ ერთდროული შეტევის შესახებ. პაპისადმი წერილში სიმონი თანაბრად მტრებად რაცხს, როგორც ერანს, ისე ოსმალეთს. ის ამტკიცებს შეუდრეკელ ნებას ქვეყნის დამოუკიდებლობის დასაცავად. „ქართველობა" მისი წმინდა დროშაა. ამას შეეწირა მამა მისი. რომლის საფლავი მებრძოლი ქართლისათვის საფიცრად ქცეულა. ამ დროშას შეეწირება თითონაც და, თუ საჭიროება მოითხოვს. საკუთარ შვილსაც შესწირავს მას.

1598 წლის ზაფხულში სიმონ მეფე ომის განახლების წინარე სამზადისში იყო.

გორის ალყა. ქართლის მეფეს ოსმალთა წინააღმდეგ ომი გორიდან უნდა დაეწყო. გორი შიდა-ქართლის გული იყო. შიდა-ქართლი კი მთელი ქართლის გული. XVI საუკუნის უდიდეს მანძილზე. როცა ქართლი საქართველოს გადასარჩენად ერან-ოსმალურ მდევებთან ამირანის ომს ეწეოდა. გმირ მებრძოლთა სამხედრო პოლიტიკური შტაბი გორში იყო. იქ იყო ლუარსაბის და სიმონის არწივების საბუდარი. თბილისი ამ ხნის განმავლობაში ხან ერანელთა ხან კიდევ ოსმალთა ხელშ იყო. თბილისში ომწაგებული ქართველები გორიდან განაგრძობდნენ შეუდრეკელ ბრძოლას. გორი მტრის ხელში ქართლის ბრძოლის უმძიმესი მარცხი იყო.

ამიტომაც შიდა-ქართლის ამ შუა გულში მტრის ბუნაგი უველაზედ უწინ უნდა განადგურებულიყო, რომ ქართლს ხელები გაეხსნოდა თბილისისა თუ სხვა ციხეების განსათავისუფლებლად. ოსმალებს კარგად ესმოდათ გორის მნიშვნელობა ქართლის დაპყრობის საქმეში და ამიტომაც ძლიერად გაემაგრებიათ ის. ტექნიკური ჩამორჩენილობა ქართველებს საშუალებას არ აძლევდა პირდაპირი იერიში მიეტანათ ციხეზე. ოსმალებს ციხეში მრავალი თოფ-ზარბაზანი ჰქონდათ. ასეთ პირობებში ერთადერთი საშუალება მტრის ხანგრძლივი ალყით გატეხა იყო.

1578 წელს სიმონ მეფე გორს შემოადგა. მეციხოვნეები ჩქარა ალყამ შეაწუხა. ციხეში საჭმელი შემოაკლდათ. ოსმალები ახლო-მახლო სოფლების დარბევით ცდილობდნენ ეშველათ გასაჭირისათვის. მეციხოვნეთა ერთი ასეთი რაზმი. 500 კაცისაგან შემდგარი, სასტიკად დაამარცხეს ქარ-

თლელებმა გოჩა ბატონიშვილის სარდლობით. მიუხედავად სურსათის ნაკლებობისა ოსმალთა მეციხოვნეები გასაჭირს მხნედ იტანდნენ და ციხეს დიდხანს მედგრად იცავდნენ.

1599 წლის გაზაფხულს, დიდ-მარხეაში, ქართლელებმა ალყა მოსხნეს ციხეს და მის მიდამოებს გაეცალნენ. ოსმალებმა იცოდნენ. რომ ქართველები დიდ-მარხეაში ომს ერიდებიან და სიფხიზლეს უკლეს. სიმონ მეფემ სწორედ მეციხოვნეთა ამ შესაძლებელ შეცთომაზე ააგო ციხის აღების გეგმა.

გორის ყოფილ მოურავს სულხან თუმანიძეს და ფარსადან ციციშვილს ებრძანათ თავიანთ მამულებში საიდუმლოდ დაემზადონ მრავალი კიბე და მეფის დაძახილზედ ამ კიბეებით და თავიანთი ლაშქრით მოვიდნენ მტკვრის და ლიახვის შესართავის ბოლოს ჭალაში.

გორის აღება ქართლელების მიერ. მთვარის დალევის ღამე იყო. ქართლის ლაშქარი პაემანზე მოსულიყო. აქვე იყო მეფეც. უკუნ ღამეში ჯარი ხმაგაკმენდილი მიეპარა ციხეს და კიბეებით კედლებზე გადასელა იწყო. ოსმალებმა თავს დატეხილი რისხვა მაშინ შეიტყვეს. როცა მოიერიშეთა დიდი ნაწილი უკვე ციხის შიგნით იყო. მეციხოვნეებმა ყვირილი მორთეს. მაშხალები აანთეს, კედლებს მიაწყდნენ და მხნედ ეკვეთნენ კიბეებით ამავალ ქართველებს. ქართველ მოიერიშეებს მეფის ძმა ვახტანგ და მეწინავე დროშის სარდალი გოჩა უძღოდნენ. ბრძოლამ გათენებამდის გასტანა. მტერმა დაინახა. რომ საქმე წაგებულია და იარაღი დაყარა.

ქართლის აჯანყება ოსმალთათვის მეტად სახიფათო რამ იყო. გათამამებულ აჯანყებულთ რომ ლორე-დმანისიც ასევე ხელთ ეგდოთ. მაშინ არა თუ თბილისის, შარეანის დაკარგვის საფრთხეც დაუდგებოდათ მოძალადეებს. ქართლის აჯანყებულთ მიჰბაძავდნენ მესხებიც, სადაც მოსახლეობამ კარგად იგემა „ოსმალობის" სიტკბო-სიმწარე. დაბოლოს ყველა ამასთან დაკავშირებით მოსალოდნელი იყო შაჰაბასის გამოლაშქრება, რომელიც უკვე აღარ მალაედა თავის საომარ საშზადისს ოსმალეთის წინააღმდეგ.

ოსმალთა გამოლაშქრება ქართლში. თაურიზის და ეანის ბეგლარბეგს ჯაფარ-ფაშას ქართლს წასელა და აჯანყების ლიკვიდაცია უბრძანეს. სიმონ მეფეს ეს ამბავი სამცხიდან აცნობეს. მეფემ შიდა-ქართლის ჯარის შეყრა ბრძანა. ამ ჯარს თავისი შვილი გიორგი უთავა და გორს დგომა უბრძანა. თითონ სიმონი ლაშქრის ნაწილით სწრაფად გადავიდა საბარათიანოს. რათა მეწინავე დროშის ლაშქარი შემოეყარა.

როცა ქართლის მეფე საღირაშენს მიეიდა, ჯაფარ ფაშა დიდის ლაშქრით უკვე ნახიდურს მოსულიყო და თბილისისაკენ მიემართებოდა. სიმონს ჯარი მცირე ახლდა, მაგრამ დაცდის დრო აღარ იყო. მეფემ გადაწყვიტა ხელი შეეშალა მტრისათვის და მისთვის თბილისში შესვლის საშუალება არ მიეცა. უცები თავდასხმით და გაცლით სიმონს ჯაფარ-ფაშის ლაშქრის შეფერხება სურდა. რომ ამასობაში შიდა-ქართლისა და სომხით-საბარათიანოს ჯარიც მოსვლოდა და მტერზედ გა-

დამწყვეტი იერიში მიეტანა. საქმე მეტად სახიფათო ჩანდა. მაგრამ მეფემ დაარწმუნა თანამებრძოლნი, რომ ახლა მოხრიდება და უომრად გაცლა საქმისათვის უარესია.

ომი ნახიდურთან. მამაცმა ქართლელებმა მოძღვართა წინაშე ცოდვები ალიარეს, ზიარება მიიღეს, ერთმანერთს გამოემშვიდობნენ და სამშობლოს დაცვის წმინდა საქმისათვის თავი მსხვერპლად გაამზადეს. თავდადებულთა რაზმი მედგრად ეკვეთა მტრის დასტებს. არა ერთი მტრის დროშა მოშალეს და გადაქელეს გულად მეომრებმა, მაგრამ ოსმალთა ლაშქრის სიმრავლე და იარაღის უმჯობესობა მეტად საგრძნობი ჩანდა. ოსმალები ხელთოფით დიდ ზარალს აყენებდნენ ქართველ მხედრებს. ხელჩართული ომი ხუთ საათს გრძელდებოდა. ქართველები მოიქანცნენ. რაზმი შეთხელდა. ამავე დროს მტრის ჯარის დიდ ნაწილს ომში მონაწილეობა ჯერ არც კი მიეღო. მტრის ახალ რაზმებთან ომს მოღლილი ქართველები ვეღარ გაუძლებდნენ. თანამებრძოლებმა მოახსენეს მეფეს საქმის ვითარება და ძლივს დაარწმუნეს გალომებული მეომარი, რომ გაცლის დროა. უკუქცეულ ქართველებს ოსმალები უკან დაედევნენ. ფარცხისის ახლოს ვიწრო გზაზე მოლაშქრე თ ე ლ ა შ ვ ი ლ მ ა უნებურად თავისი ცხენი მეფისას დააძგერა. მეფის ცხენი მხედრითურთ დიდ საფლობში ჩაეარდა. საფლობიდან მეფის ამოყვანა გაძნელდა. ამასობაში ოსმალთა მდევარმაც მოატანა. მხლებლები მეფეს შემოეხვივნენ, მტერს ეკვეთნენ და სულ ერთთავად შეაწყდნენ მას. ცხენკაცად მუხლებამდის ტალახში ჩაფლული მარტო იდგა სიმონ მეფე მხლებლებშემოკლილი, გარშემოხვეულ მტერს ახლოს არ იკარებდა და ამაყად სტყორცნიდა დუშმანთ უკანასკნელ ისრებს. ერთმა რენეგატმა ფეოდალმა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ მ ა, რომელსაც ოსმალთა სამსახურში ფაშობა მიეღო, იცნო მეფე და ოსმალებს უბრძანა არ ესროლონ მეომარს. შექმნილი ვითარება სერასკერს ჯაფარ-ფაშას მოახსენეს. სარდალმა ბრძანება გასცა ცოცხლად დაეტყვევებინა სიმონი. ფაშა ბარათაშვილმა მეფეს სერასკერის სურვილი გადასცა და თანაც გააფრთხილა: თუ არ დანებდება, მას თოფსა ჰკერენ. სულმდაბლურმა მუქარამ გააორკესა სიმონ მეფე. სიკვდილით დაშინება მებრძოლის შეურაცხყოფა იყო. რენეგატი ეხლა ტკბილი სიტყვებით შეუჩნდა. სიმონი მოლბა, მაგრამ მამის შზე დაიფიცა, რომ ცოცხალი თავით სერასკერის გარდა სხვას არავის დარჩება. მოახსენეს ჯაფარ-ფაშას. ისიც მოვიდა. საფლობი გაჰრეს და მეფე გამოიყვანეს. მას ჯაფარ-ფაშა დიდის პატივით მიეგება. მეფე და სხვა ქართველი ტყვეები სასწრაფოდ წაიყვანეს საქართველოდან. ჯაფარ-ფაშამ ტყვე მეფე 1601 წლის ზაფხულს ხვანთქართან გაგზავნა. სტამბოლს მიმავალ ტყვე-სიმონ მეფეს და მის ამალას თან მიყვებოდა ომში დახოცილ ქართველ გმირთა თავების საპალნეები. მათ შორის იყო მეფის ძმის თავიც.

სიმონ მეფის დატყვევება ქართლისათვის თავზარის დაცემა იყო. გორს მდგომ გიორგი ბატონიშვილს უბედურების ამბავი მოუტანეს. კავთისხევის გზით ქართლის ჯარი სწრაფად გამოეშურა მეფის საშველად, მაგრამ გვიანღა იყო. ოსმალთა ჯარს წინა დღით გაესწრო.

კოსტანტინოპოლში სიმონ მეფე ედიყულეს ციხეში გამამწყვდიეს. ქართლის მეფის დატყვევება ოსმალთა დიდი გამარჯვება იყო. (სიმონის დატყვევების გამო ოსმალეთის დიდ ქალაქებში ხვანთქრის ბრძანებით სამ დღეს ზეიმი იყო). ა-კავკასიის ხალხთა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ალაში. გაუტეხელი მებრძოლი, რომელიც, 20 წელი იყო ოსმალეთს მოსვენებას არ აძლევდა, ხელთა ჰყვანდა სულთანს. დღედღეზედ მოსალოდნელი ერან-ოსმალეთის ომის წინ ქართლის მეფის დატყვევება შაჰაბასისთვისაც მძიმე დანაკლისი იყო.

ყველა ამიტომ სიმონ მეფის ტყვეობიდან გამოხსნა მეტად სათეო ჩანდა.

ქართველები იმედს არ ჰკარგავდნენ და ცდას არ აკლებდნენ. ჰფიქრობდნენ, რომ დიდი ქრთამით მეფეს დაიხსნიდნენ.

დიდი ქონება გაილო ქართლმა. სამეფო სახლის საკუთარი განძის გარდა მთელმა სალხმა მრავლად გაილო ძვირფასეული. ერთგულების საწინდრად გიორგი ბატონიშვილმა საკუთარი შვილი დავითი მძევლად გაუგზავნა სულთანს. ყველაფერი ამაო აღმოჩნდა. ოსმალებმა ქრთამი აიღეს, მძევალი დაიტოვეს, ხოლო სიმონი კი არ გაათავისუფლეს. ამასობაში ერან-ოსმალეთის ომი დაიწყო.

სიმონ მეფის გარდაცვალება ტყვეობაში. სიმონ მეფე ტყვეობაში დარჩა და აქვე ედიყულეს ციხის ყრე კედლებში გაცივდა გმირის მგზნებარე გული. ქართველებმა დიდი ცდის შემდეგ მიიღეს მტარვალებისაგან მეფის ცხედარი. მიასვენეს საყვარელ ქართლს და მცხეთას გმირი მამის ლუარსაბის საფლავის გვერდით დაკრძალეს მისი ლირსეული შვილი.

ასე შეეწირა „ქართველობას" სიმონ მეფე, რომელმაც „ქართლს ხმალი შეარტყა" და 46 წელიწადს ლირსეულად იცავდა დამოუკიდებლობისა და ეროვნულ თავისუფლების დროშას ერანის თუ ოსმალეთის მოძალადეებისაგან.

რუსეთ-ოსმალეთის წინააღმდეგობანი. ოსმალეთი და რუსეთი კავკასიაში უკვე მე-16 საუკუნის შუაზე დაუპირისპირდნენ ერთიმეორეს.

რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა განსაკუთრებით გამწვავდა მე-16 საუკუნის ოთხმოციან წლების შემდეგ, როცა ოსმალეთმა ამიერ-კავკასიაში გაბატონებასთან ერთად იმიერ-კავკასიის დაუფლება სცადა.

პოლიტიკური ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის. ამ დროს განახლდა რუსეთ-საქართველოს შორის პოლიტიკური ურთიერთობა.

ოსმალეთთან მეტოქეობაში რუსეთი იმიერ და ამიერ-კავკასიაში მოკავშირეებს ეძებდა. მოსკოვის სამეფოს მესვეურთ აზრად მოუვიდათ კახეთთან პოლიტიკური კავშირის აღდგენა. ძალაუნებურად რომ გაწყვიტეს 1570-იან წლებში.

1585 წელს მოსკოვის მეფის მოხელემ დანილოვმა ალექსანდრე კახთა მეფეს თედორე ხელმწიფის სიგელი მიუტანა. რუსეთის მეფე პოლიტიკურ კავშირს და შფარველობას სთავაზობდა საქართველოს.

ალექსანდრე მეფე ამაზე უკეთესს ეხლა ვერას ისურვებდა თავისი ქვეყნისათვის. ამიერ-კავკასია თითქმის მთლიანად ოსმალეთს დაეჭირა და

გამალებით იბრძოდა მისი საბოლოოდ დაპყრობისათვის. აღმოსავლეთ-საქართველოს სამეფო-სამთავროებიდან მხოლოდ კახეთი იყო, სადაც ოსმალეთს ჯერ თავისი ლაშქარი არ შეეყვანა, მაგრამ ეჭვეული იყო, რომ ოსმალეთი, როგორც კი მოიცლიდა. კახეთის ყმობას აღარ დასჯერდებოდა და აქაც „ოსმალობას“ გაატარებდა.

რუსეთის დახმარებით კახთა მეფეს დალისტანის ალაგმვა სურდა. დალისტნელები ქურდულად თავს ესხმოდნენ კახეთს და მშვიდობიან სოფლებს აოხრებდნენ. ლეკებს ამ საქმეში შამხალი შეველოდა. ორივეს ერთად კი ოსმალეთი მფარველობდა.

კახთა მეფის ელჩები მოსკოვის მეფესთან. ალექსანდრე მეფემ თავის დარბაისლებთან მოითათბირა და დანიშნეს მოსკოვის მეფესთან თავისი ელჩებიც გაატანა.

1586 წლის 9 ოქტომბერს ალექსანდრეს ელჩები მეფე თეოდორეს წარუდგნენ. კახეთის მეფე „ყმობას“ უცხადებდა მოსკოვის ხელმწიფეს და მისგან „პატრონობას“ ითხოვდა. ეს „პატრონობა“ შემდეგში უნდა გამოხატულიყო: კახეთი რუსეთს ყველა მტრებისაგან უნდა დაეცვა. ამ ხელად კი რუსეთის მეფეს თერგზე უნდა ციხე აეგო, აქ დიდი ჯარი მოეთავსებია და გზა თერგიდან კახეთამდის. საშამხლოზედ რომ გადიოდა, საკუთრად დაეჭირა.

კახეთის მეფის წინადადება მოსკოვში ხელსაყრელად ეჩვენათ. ბოიარებმა თეოდორე მეფეს მისი მილება განუზრახეს.

1587 წელს ალექსანდრე მეფემ თავისი შვილებით და დარბაისლებით ფიცი მიიღო მოსკოვის მეფის „ყმობაზე“.

1589 წელს ალექსანდრე მეფემ მოსკოვის მეფის „წყალობის სიგელი“ მიიღო, სადაც დადასტურებული იყო როგორც „ყმის“, ისე „პატრონის“ უფლება-მოვალეობანი.

1588 წელს მოსკოვის მეფემ ციხეები მართლაც ააგებინა თერგზე და აქ საკმაო მეციხოვნე ჯარი განაწესა. ამავე დროს ასტრახანიდან ხელით და ხმელით უნდა შემოსულიყო ლაშქარი, რომ შამხალი ნებით თუ ძალით დაემორჩილებია და კახეთის გზა გაეხსნა.

რუსეთის მიერ თერგზე ციხეების აგებამ ოსმალეთი შეაშფოთა: იმიერკავკასია მას თავის განუყოფელ საბატონოდ ეგულებოდა.

1593 წელს სულთანი ომით დაემუქრა მოსკოვის მეფეს, თუ უკანასკნელი მის მოთხოვნას არ შეასრულებდა და ყირიმ-დარუბანდის გზას არ გაათავისუფლებდა. რუსეთი ოსმალეთთან ომს ერიდებოდა, მაგრამ არც მეტოქის მოთხოვნათა დაკმაყოფილება სურდა.

ხვანთქარმა მუქარა ვერ შეასრულა: ოსმალეთი იმჟამად გერმანიას ეომებოდა და ერანის შაჰიც მის წინააღმდეგ საომრად ემზადებოდა.

რუსეთთან დაახლოების გამო კახეთის მეფე განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში მოექცა. მოსკოვის მეფესთან კავშირისათვის ოსმალეთი დაპყრობით ემუქრებოდა „ორგულ“ ყმას. ერანის შაჰიც თავის მხრით მოლალატედ სთვლიდა ალექსანდრე მეფეს. ამავე დროს არაფერი სანუგეშო კახეთისათვის მოსკოვის მეფისადმი ყმობას არ მოჰყოლია.

ალექსანდრე მეფე მოსკოვის ხელმწიფეს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას სთხოვდა. მაგრამ ვალდებულება უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ის მოსკოვის პოლიტიკოსებს წარმოედგინათ. რუსთა ლაშქარმა შამხალი ვერ დაიმორჩილა. თერგ-კახეთის გზა ვერ დაიჭირა. ხოლოს 1600-იან წლებში გადამწყვეტი მომენტი დადგა: ერან-ოსმალეთი კვლავ ერთიერთს დაეტაკნენ (1602 წ.). მოსკოვის მეფემ დრო ხელსაყრელად იცნო და 1604 წელს საგანგებო ლაშქარი გამოგზავნა საშამხლო-დაღისტნის დასაპყრობად. კახეთზე დაყრდნობით რუსეთმა ამიერ-კავკასიაში აქტიურად გამოსვლა გადაწყვიტა. რუსთა საგანგებო ჯარმა ბ უ ტ უ რ ლ ი ნ ი ს სარდლობით მართლაც დაიპყრო საშამხლოს ჩრდილოეთი ნაწილი, მაგრამ ეს საქმეც მარცხით დამთავრდა. კახი მოკავშირე ერანმა გაანადგურა. ბუტურლინის ლაშქარმა კახეთიდან დახმარება ვეღარ მიიღო. მეორეს მხრით დაღისტნელებს ოსმალეთი მიეშველა. შემახიის ფაშა ოსმალთა ჯარით და შამხალ-დაღისტნელები თავს დაესხნენ რუსთა ლაშქარს საშამხლოში და სულ ერთიანად მოსპეს იგი (1605 წ.).

ამიერიდან რუსეთ-კახეთის ურთიერთობა კარგა ხნით შეწყდა. კახეთი — შაჰაბასი დაეპატრონა, ხოლო რუსეთი გლეხების აჯანყებათა ალში გაეხვია.

შაჰაბასი და ქართველთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XVII საუკუნის პირველ მეოთხედში

შაჰაბასი. ერან-ოსმალეთს შორის 1590 წელს დადებულ ზავის ინიციატორი შაჰაბასი იყო. იგივე იყო ამ ზავის დარღვევის ინიციატორიც 1602 წელს.

ოსმალეთთან ზავის დრო ნიჭიერმა შაჰმა ნაყოფიერად გამოიყენა.

ამ ხნის განმავლობაში ერანის საშინაო და საგარეო პირობები საგრძნობლად გაუმჯობესდა.

1597 წელს შაჰაბასმა სასტიკად დაამარცხა ოსმალეთის მოკავშირე ო ზ ბ ე გ ე ბ ი. ამ დროიდან ერანსა და მის ამ აღმოსავლეთის მეზობელს შორის დიდის ხნით მშვიდობა ჩამოვარდა. ამით შაჰაბასმა ოსმალეთის წინააღმდეგ სამოქმედოდ ხელები გაიხსნა.

სწორედ ამავე ხანებში, როცა შაჰაბასი აგრე ნაყოფიერად მოღვაწეობდა და ერანს მომავალი დიდი ომისათვის ყოველმხრივ ამზადებდა, მის მოწინააღმდეგე ოსმალეთს „ყურზედ ეძინა".

ოსმალეთი XVI საუკუნის მიწურულს. ოსმალეთი ამ დროს მსოფლიოში უდიდეს და უძლიერეს სახელმწიფოდ ითვლებოდა. მართალია, მას აღმავლობის ხანა უკვე განვლილი ჰქონდა და აუცილებელი დაცემის უტყუარი ნიშნები სულ უფრო და უფრო იჩენდნენ თავს, მაგრამ ეს მხოლოდ დასასრულის დასაწყისი იყო და ძლიერი ოსმალთა სახელმწიფო, თავის უძლეველობაში დაჯერებული, ერანის საფუძვლიან გადახალისებას ვერც კიამჩნევდა.

შაჰაბასის ბრძოლა ოსმალეთთან ომში. ერან-ოსმალეთის ამ ახალ ომში, 1602 წელს რომ დაიწყო, შაჰაბასის მიზანი 1553 წლის საზღვრების აღდგენა იყო.

შაჰაბასი და საქართველო. საქართველოს საკითხი შაჰაბასის წინაშე ერთი უდიდეს ამოცანათაგანი იყო. ამ საკითხის გადაწყვეტისაგან იყო დამოკიდებული, თუ მომავალში როგორის წარმატებით დაიცავდა თავს ერანი დასავლეთიდან თუ ჩრდილოეთიდან მოსულ აგრესორთაგან. და შაჰაბასმაც მისთვის დამახასიათებელი სიმედგრით, ენერგიით და გაბედულობით სცადა ამ საკითხის ერთხელ და სამოდროდ ერანის სასარგებლოდ გადაჭრა და, თუ მან ვერ შესძლო საქართველოს საკითხის ლიკვიდაცია, ამის მიზეზი მხოლოდ ქართველი ხალხის ის ამოუწურველი სასოცოცხლო ძალა და გმირობა იყო, რომლის წინაშე — ისე როგორც ყველა სხვა წინა თუ შემდეგდროინდელი აგრესორები — ეს აგრესორიც უძლური აღმოჩნდა.

შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალებს შორის და პოლიტიკური ორიენტაციები. ისე როგორც ყოველს ფეოდალურ ქვეყანაში, კახეთშიაც ფეოდალებს ურთიერთ შორის დაუსრულებელი შინაკლასობრივი მტრობა-ქიშპი ჰქონდათ. მიწა-მამულისა, ყმებისა თუ სახელოს ქონების ნიადაგზე ცეარი გვარს ეცილებოდა. ოჯახი ოჯახს. დიდი ფეოდალი მცირეს ავიწროებდა; „სახლის" უფროსი უმცროს წევრებს მძლავრობდა. საერთო ფეოდალებს საეკლესიო ყმა-მამულის დატაცებაზედ ეჭირათ თვალი. არც თვით საეკლესიო ფეოდალებს შორის სუფევდა მხოლოდ „სათნოება და სიყვარული".

მეფე ერთი ფეოდალთაგანი იყო. სხვა ფეოდალურ „სახლების" მსგავსად მეფის „სახლსაც" ქონდა „სახასო" ქვეყნები, ხოლო ამ „სახლის" შვილებს — საუფლისწულო, სათაისთავო, ნასყიდი, ნამზითვი, ნასიმსხლი თუ სხვა საკუთარი ქონება, ყმა, მიწა-წყალი. ურთიერთშორის ქიშპი მეფის „სახლშიაც" ისეთივე ბუნებრივი ამბავი იყო, როგორც რომელიმე თავადის „სახლში".

ერთიმეორის მოქიშპე ფეოდალები დასაყრდენს ურთიერთშორის მოქიშპე ბატონიშვილებში პოულობდნენ. იქმნებოდა მეფის, ან ამათგან ბატონიშვილის მომხრე ფეოდალთა დასები. ასეთი პირობები კარგი სარბიელი იყო უცხოელ მოძალადეთათვის. მოძალადე აგრესორები ყოველთვის ხშირად რიგი მოდიოდნენ. პროპაგანდა ამ დროსაც იცოდნენ და ის ერთერთ ნაკად საშუალებად მიაჩნდათ ამათგან ქვეყნის დაპყრობის საქმეში. აგრესორთა აგენტები ქრთამით, საჩუქრებით, პატივისა და „გაკეთების" დაპირებით ადვილად იჩენდნენ მომხრეებს ფეოდალურ ჯგუფებს შორის და ქვეყნის დაპყრობის ხელსაყრელ ნიადაგს ამზადებდნენ... იქმნებოდა ფეოდალური „ორიენტაციები".

ამის შედეგად იყო, რომ ერანს, რუსეთს და ოსმალეთს ყველას ჰყავდათ კახეთის სამეფო კარზედ და თავადებს შორის პოლიტიკური მომხრეები.

რუსეთის მომხრეობის ყველაზედ აქტიური მოღვაწე ალექსანდრე მეფე იყო. მაის პოლიტიკას განაგრძობდა გიორგი ბატონიშვილი.

სამაგიეროდ შაჰაბასის იმედი დ ა ვ ი თ უ ფ ლ ი ს წ უ ლ ი იყო — კახეთის ტახტის მემკვიდრე.

1601 წელს დავითმა მეფობა მიიტაცა. ძმა ციხეში გამოკეტა, მამა ბერად შეაყენა, ხოლო მათი მომხრე თავადები მრავლად გაწყვიტა. ეს შაჰაბასის გამარჯვება იყო. მაგრამ დავითი იმავე წელს გარდაიცვალა. ალექსანდრე ისევ მეფე იქმნა, ხოლო გიორგი ტახტის მემკვიდრე.

ირან-ოსმალეთის ომის განახლება. 1602 წელს ირან-ოსმალეთის ომი განახლდა, ადერბაიჯანში შაჰაბასმა დაამარცხა ოსმალები და 16 ნოემბერს 1603 წელს უკვე ე რ ე ვ ა ნ ს შემოადგა. ერევანი საგანგებოდ გამაგრებული ციხე-ქალაქი იყო. ამიტომაც მისი ალყა დიდხანს გაგრძელდა. ის მხოლოდ 1604 წლის გვიან გაზაფხულზე დაეცა.

შაჰაბასმა ქართლისა და კახეთის მეფეები ამ ომის დასაწყისშივე თავისთან იხმო. გიორგი ქართლის მეფე ჩქარა ეახლა შაჰს. ალექსანდრეს კი დიდი ყოყმანი დაეტყო. ბოლოს კახეთის მეფეც საგანგებო ლაშქრითა და მისართმევით ერევანს ეახლა შაჰაბასს.

შაჰაბასმა მეფეები „დიდის პატივით“ მიიღო.

ერევნის ომში მონაწილეობისათვის შაჰაბასმა დააჯილდოვა ქართლისა და კახეთის მეფეები. მაგრამ ირანის შაჰის ნამდვილი დამოკიდებულება ქართველ ყმებისადმი სულ სხვა რამეში გამოჩნდა. შაჰაბასს კარგად ესმოდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართლისათვის ლორეს ციხეს და მდინარე დებედას ხეობას. უკვე ორი საუკუნე იყო ქართველები თავგამოდებით იცავდნენ ქართლის ამ ალაყაფს ირანელ თუ მცირეაზიელი აგრესორების მიერ მიტაცებისაგან.

ლორე-დებედას გამოყოფა ქართლისაგან და თურქმანული ტომის ჩამოსახლება. შაჰაბასმა ლორე-დებედა თავისთვის საჩუქრად გამოსთხოვა გიორგი ქართლის მეფეს. ამ პროვინციიდან შაჰმა ცალკე მაჰმადიანური სახანო შექმნა. ხანად ქართველი რენეგატი ფეოდალი დანიშნა. ლ ო რ ი ს ხ ა ნ ი ამიერიდან უშუალოდ შაჰს ემორჩილებოდა. ამავე დროს შაჰმა დებედას ქვემო წელში თურქმანული ტომი ბ ო რ ჩ ა ლ უ ჩამოასახლა და ის ალგეთის ციხისთავს დაუქვემდებარა. ამრიგად, შაჰაბასმა ლორე-დებედას საკითხი საბოლოოდ გადაჭრა. ქ ა რ თ ლ ს ა ლ ა ყ ა ფ ი მ ო ა რ ღ ვ ი ა დ ა ქ ვ ე ყ ნ ი ს თ ა ვ დ ა ც ვ ი ს უ ნ ა რ ი ა ნ ო ბ ა ს ე რ თ ი დ ა კ ვ რ ი თ დ ა მ ბ ლ ა დ ა ს ც ა.

შაჰაბასის საჩუქარი. გიორგი ქართლის მეფეს შაჰაბასმა სამაგიეროდ სამასი თუმანი ყოველწლიური ჯამაგირი გაუჩინა და ირანში რამოდენიმე პროვინცია სახარჯოდ უბოძა. შაჰის განზრახვა ნათელი იყო: მას სურდა ქართლის მეფე ირანის უბრალო მოხელედ გადაექცია. გიორგი მეფე მიუხვდა პატრონს და ამის გამო თავისი უკმაყოფილებაც არ დაუფარავს.

ასეთივე იყო შაჰაბასის „წყალობა“ კახეთის მიმართაც. ალექსანდრე მეფემ შაჰის „თხოვნით“ კახეთში საცხოვრებელი ადგილი მიუჩინა ერთ-ერთ თურქმანულ მომთაბარე ტომს.

კაკ-ენისელის გამოყოფა კახეთისაგან. ამავე დროს შაჰაბასმა ალექსანდრე მეფეს გამოსთხოვა კახეთის აღმოსავლეთის კარი: კ ა კ-ე ნ ი ს ე ლ ი.

აქედან შაჰმა ცალკე მაჰმადიანური სასულთნო შექმნა და ერთს რენეგატ კახელ თავადს უწყალობა. კაკ-ენისელის სულთანი ამიერიდან უშუალოდ შაჰს ემორჩილებოდა.

სამაგიეროდ შაჰმა ალექსანდრე მეფეს ყოველწლიური ჯამაგირი შეიდასი თუმანი გაუჩინა. ფრთხილი პოლიტიკოსი ალექსანდრე გარემოებას გაეწყო და შაჰაბასის „წყალობა". ქართლის მეფისაგან განსხვავებით, ყმისთვის შესაფერისი „მადლობით" მიითვალა.

ერევნის ალების შემდეგ შაჰაბასმა ალექსანდრე კახთა მეფე თან იახლა ერანში. შაჰაბასს უკიდურესად სძულდა კახეთის მეფე „ოსმალეთის მიჰდგური", მოსკოვის მეფის ყმა და მისი აგენტი. კახეთში ერანის ინტერესი, შაჰაბასის აზრით, უსათუოდ მოითხოვდა ალექსანდრე მეფის და მისი მემკვიდრის გიორგი ბატონიშვილის დალუპვას.

ამავე დროს შაჰაბასი სხვა ზომებსაც მიმართავდა კახეთში ერანის პოზიციების განსამტკიცებლად. მან „უპატრონოდ არ დააგდო" ალექსანდრე მეფის და გიორგი ბატონიშვილის მოწინააღმდეგე თავადების ჯგუფი, რომელიც დავით მეფის გარდაცვალების შემდეგ მისი ქვრივის ქეთევან დედოფლისა და უფლისწული თეიმურაზის გარშემო იყრიდა თავს. შაჰაბასის კატეგორიული მოთხოვნით თეიმურაზ ბატონიშვილი 1604 წელს ერანს გაიგზავნა. აქედან ერანის შაჰის კარზე იზრდებოდა კახეთის ტახტის ეს კანონიერი მემკვიდრე. აქვე იყო გამაჰმადიანებულ-გასპარსელებული კოსტანტინე ალექსანდრეს-ძე. ის ჯერ კიდევ 1585 წელს წაეყვანათ მძევლად.

1605 წლის თებერვალში შაჰაბასმა ალექსანდრე მეფე კახეთს გამოისტუმრა. შაჰმა მას თან გამოატანა კოსტანტინე ყიზილბაშთა ჯარით. კოსტანტინეს შაჰმა შირვანი უწყალობა. ეს მხარე ამ დროს ჯერ კიდევ ოსმალთა ხელში იყო. შირვანის დაპყრობაში კოსტანტინეს ალექსანდრე უნდა დახმარებოდა. 1605 წლის რვა მარტს მაშა და შვილი კახეთს მოვიდნენ.

შაჰისაგან კოსტანტინეს უფრო მნიშვნელოვანი საიდუმლო დავალებაც ჰქონდა. მას უნდა ალექსანდრე მეფე და გიორგი ბატონიშვილი დაეხოცა, მაგრამ ისე რომ ამ საქმეს კახეთის აჯანყება არ მოჰყოლოდა.

ალექსანდრე მეფისა და გიორგი ბატონიშვილის დახოცვა. 12 მარტს ზაგემში კოსტანტინე და მისი მხლებელი ხანები და სულთნები ალექსანდრე მეფის სადგომს ეწვივნენ. აქვე იყო გიორგი ბატონიშვილიც, ხანგრძლივი ბჭობა გაიმართა. საკითხი შირვანს სალაშქროდ ჯარის გამოყვანას შეეხებოდა. მოულოდნელად კოსტანტინე გიორგი ბატონიშვილს სწვდა. ყიზილბაშებისათვის ეს იყო საქმის დაწყების ნიშანი. ალექსანდრე მეფემ საყვარელი შვილისათვის ხელი გამოიღო. მკრეხ ხმის შემდეგ მეფეს, მისი მემკვიდრე და სამეფო საბჭოს წევრები დახოცილი ეყარნენ.

იულა კოსტანტინემ მამისა და ძმის მოკვეთილი თავები შაჰს გაუგზავნა, თითონ კი კახეთის მეფედ დაჯდა.

კახეთის აჯანყება. კოსტანტინეს გამეფებისთანავე კახეთში აჯანყების

ალი აეარდა. რუნეგატმა ყიზილბაშებით სცადა კახეთის ტახტის შენარჩუნება. კახელების ბრძოლას სათავეში ჰქეიანი ქეთევან დედოფალი ჩაუდგა.

კახელებს გიორგი ქართლის მეფემ ლაშქარი მიაშველა. 1605 წლის ოქტომბერში ომი მოხდა კოსტანტინეს ყიზილბაშებსა და კახელებს შორის. ყიზილბაშები დამარცხდნენ. კოსტანტინე ომში დაიღუპა.

შაჰაბასი დარწმუნდა, რომ კახეთის მაჰმადიანური სახანოდ გადაქცევის ცდა სახიფათო საქმე იყო და მოხერხებულად უკან დახია. უხეირო კოსტანტინე რა მოსანაღელი იყო, გადმოგვცემენ, შაჰმა ნიშნიც კი მოუგო მისთვის მკვდარ ჯალათს: „მამის მკვლელს უარესი უნდა დაემართოსო".

თეიმურაზის გამეფება. 1606 წელს შაჰაბასმა „შვილით საყვარელი" თეიმურაზი კახეთის სამეფოდ გამოისტუმრა. თეიმურაზი კახეთის მეფედ ძველი ქართული წესით იქნა შაჰის კარზედ „დალოცეს".

პატრონ-ყმის ეს სიამტკბილობა მხოლოდ მოსაჩვენარი იყო. შაჰაბასს თეიმურაზისადმი სასიყვარულო არაფერი ჰქონდა: თეიმურაზი ქრისტიანი იყო (შაჰს კი კახეთში მაჰმადიანი მმართველი სურდა ჰყოლოდა) და, ეს უმთავრესი იყო, თეიმურაზის გამეფება შაჰის სურვილის წინააღმდეგ და კახთა მედგარი ბრძოლის შედეგად მოხდა. არც თეიმურაზს ჰქონდა საფუძველი შაჰის სიყვარულისათვის: ალექსანდრეს მკვლელი ქართველობის მხოლოდ მოსისხარი მტერი შეიძლებოდა ყოფილიყო.

თეიმურაზი დიდის ამბით შემოვიდა კახეთში. ქვეყანას სიხარული ჰმართებდა: ქართველობა მხნე ბრძოლით მოიპოვარი ჰქონდა. — „მუნ ჩუენ-ხელთ იყო ჩუენობა".

მაგრამ კახეთში კარგად ესმოდათ, რომ შაჰაბასი ისეთი მტერია, რომელსაც არ სძინავს. საჭირო იყო ფხიზლობა. ბრძოლა გრძელდებოდა.

1606 წელს შაჰაბასმა ჯერ ყარაბაღი და განჯა წაართვა ოსმალებს. აქედან შაჰი ქართლისაკენ წამოვიდა. აიღო ლორე, დმანისი. თბილისი. უველგან ოსმალო მეციხოვნეები ყიზილბაშებით შეცვალა. შაჰაბასი თვით ეწვია თბილისს. ქალაქის ციხის უფროსობა შაჰმა ყიზილბაშ მუჰამედ სულთანს ჩააბარა.

შაჰაბასი ქართლში. თბილისში ყოფნის დროს შაჰაბასმა ქართლის მეფობა 14 წლის ლუარსაბ გიორგის-ძეს დაულოცა (გიორგი მეფე ამ ხანებში უეცრად გარდაცვლილიყო). აქვე შაჰს მთელი ქართლის თავადობა ეახლა. შაჰაბასმა ხელმწიფური სიტყვით უყო წყალობა „ერთგულთ". მაგრამ ქართლის პოლიტიკის მესვეურთა სიხარულს დიდი ჩრდილი ახლდა: შაჰაბასმა ქართლის თავისუფლება კი არ აღადგინა (ან კი რადის ყოფილა, რომ აგრესორს მისივე მსხვერპლის თავისუფლება აღუდგინოს...), არამედ ოსმალთა ბატონობა ერანის ბატონობით შეცვალა. თბილისი, ალკაყალა, ლორე, დმანისი ისევ უცხოელთა ბატონობის იარაღად რჩებოდნენ და ქართველობის დაცვა-შენარჩუნების საკითხი ქართლის წინაშე ისევ შეუხელებელი სიმწვავით იდგა.

მეხუთე XVI საუკუნის მიწურულს. მე-16 საუკუნე თავის შედეგებით უველაზედ მძიმე მაინც სამცხე-საათაბაგოსათვის იყო. გამოელილ უბედუ-

რებათა შემდეგ აგრესორებთან ბრძოლაში მესხეთს ალარ შეერჩა იმდენი წინააღმდეგობის უნარი, რამდენსაც საქართველოს სხვა ნაწილები იჩენდნენ. საქართველოს ფეოდალურ პოლიტიკურმა დაშლილობამ აქ უფლაზე საშიში ნაყოფი გამოიღო.

1590 წლის ზავი და მესხეთი. 1590 წლის ზავმა ქართველობისათვის მებრძოლ მესხთა მდგომარეობა ერთბაშად გაუარესა. ამ ზავის მიხედვით მესხეთი ოსმალეთს დარჩა. მტაცებელმა მსხვერპლი დაიმარტოხელა. დახმარების იმედი ალარსაიდან იყო. თავგამოდებით ცდილობდა მანუჩარ ათაბაგი, ხოლო შემდეგ მისი ქვრივი დედოფალი ელენე საათაბაგოში ქართველობის დაცვას. ყოველი ცდა ამაო აღმოჩნდა. ხვანთქარსა ამ მხარეში „ოსმალობის“ შემოღება მტკიცედ გადაეწყვიტა.

1587-1594 წლებში სამცხე საათაბაგოში „ოსმალობა“ დამყარდა. სულთანის ბრძანებით ქვეყანა ასწერეს. მიწის მფლობელობის თუ მიწით სარგებლობის ოსმალური წესები შემოიღეს. გადასახადები ოსმალური სისტემით გააწესეს. ახალი წესები არსებითად სცვლიდა ფეოდალურ საქართველოს მიწათმფლობელობის ნორმებს და ქართულ საგადასახადო სისტემას. ოსმალური წესის თანახმად მიწის მფლობელი შეიძლებოდა მხოლოდ სამხედრო პირი ყოფილიყო. სამხედრო თანამდებობისათვის კი მაჰმადიანობა იყო აუცილებელი. ამ წესის მიხედვით ქართველი ფეოდალების მიწები ოსმალო მხედრების ხელში გადადიოდა. ქართველი თავადისა თუ აზნაურის წინაშე საკითხი მთელის სიმწვავით დადგა: ან მაჰმადიანობის მიღება, ოსმალთა სამხედრო სამსახურში შესვლა და მიწის მფლობელობის შენარჩუნება (ახალი წესით), ან ამ მფლობელობის დაკარგვა. და..... აზნაურიც გაჰყვა მიწას. ქართველი ფეოდალები ან გამოჩქცნენ ან გამაჰმადიანდნენ.

ოსმალურ საათაბაგოში ქართველ გლეხს მუქარფელი გამოეცვალა. ქართველი მთავარი, თავადი, აზნაური და ეკლესია-მონასტერი ოსმალთა დივანმა (სახელმწიფო), ფაშამ, სანჯაყბეგმა, ალაიბეგმა, სიფაჰმი და ჯამემ შეცვალეს. ამ ოსმალურ სახელმწიფო და სამოხელეო გადასახადების გარდა ქრისტიანობაში დარჩენილ გლეხობას ცალკე „ურწმუნოთა“ გადასახადიც დააკისრეს.

ამ დროიდან დაიწყო მესხეთის „გათათრება“. ეს პროცესი ერთის ან ათეული წლების ამბავი არ ყოფილა. ათასწლოვანი ქართული კულტურის უცხო კულტურით შეცვლა დიდ სიძნელეებსა ხვდებოდა. ხალხი მხნედ იტანდა სიმძიმეს და მედგრად იცავდა მამაპაპეულ „ქართველობას“. თათრობა დიდის შეფერხებით იკლებდა გზას გლეხობაში. მე-16 საუკუნის მიწურულს დაწყებული ეს პროცესი მე-19 საუკუნის დასაწყისსაც დასრულებული არ ყოფილა.

მესხეთის დაკარგვის მნიშვნელობა საქართველოსათვის. ოსმალობის დამყარება სამცხე-საათაბაგოში ფეოდალური საქართველოს უდიდესი მარცხი იყო. საქართველოს მოსწყდა და მისი ეროვნული კულტურის შემოქმედებაში ალარ მონაწილეობდა ქვეყანა, რომელიც საქართველოს ტერიტორიის ერთ მესამედს შეადგენდა. გადაგვარების გზას დაადგა ფეოდა-

ლური საქართველოს უველაზე უფრო დაწინაურებული და კულტურული შემოქმედების უნარით დაჯილდოებული ნაწილი,—სამშობლო ექვთიმე და გიორგი ათონელებისა, ბექა ოპიზარისა და შოთა რუსთაველისა.

ერან-ოსმალეთის ზავი. 1612 წელს ერანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. ამ ზავის მიხედვით ძველი, 1553 წლის საზღვრები უნდა აღდგენილიყო და შაჰაბასს ხონთქრისათვის წლიურად 200 საპალნე აბრეშუმი უნდა ეძლია. მიღებულ პირობებს არც ერთი მხარე არ იცავდა. ოსმალეთი მესხეთს და ქართლ—კახეთს არ ეხსნებოდა. შაჰაბასს კი აბრეშუმის გადახდა ეძნელებოდა.

1614 წელს შაჰაბასს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ოსმალეთთან ზავის დარღვევა.

ასეთს პირობებში ქართველი ყმების პოლიტიკური განწყობილება დიდმნიშვნელოვანი გარემოება იყო. შაჰმა კი დანამდვილებით იცოდა, რომ ამ მხრით თეიმურაზ და ლუარსაბ ყოველად საეჭვონი იყვნენ.

ქართლ-კახეთის კავშირი და შაჰაბასი. პოლიტიკური დაშლილობის მიუხედავად ქართლსა და კახეთში ბევრნი იყვნენ საქართველოს ფეოდალურ ძალთა გაერთიანების მოსურნენი. კარგად იცოდნენ, რომ აგრესორთაგან თავის დაცვა მხოლოდ ამ გზით შეეძლო პატარა ქვეყანას.

ასეთმა მოღვაწეებმა თეიმურაზ და ლუარსაბ ერთიმეორეს დაამოყვრეს.

ყმების ეს შეთანხმება პატრონს ჭკუაში არ დაუჯდა. ცბიერი შაჰი ქართლისა და კახეთის მეფეებს შორის მტრობის ჩამოგდებას შეეცადა და თუ მთლად ვერა, რამოდენიმედ მაინც მიზანს მიაღწია. თეიმურაზ და ლუარსაბ მიხედნენ ბოლოს შაჰაბასის განზრახვას, მაგრამ ურთიერთშორის ძველი ნდობა და კავშირი მაინც ვერ აღადგინეს.

შაჰაბასი დიდხანს ემზადებოდა ქართლ—კახეთის მეფეთა და მათი მომხრეების წინააღმდეგ გადამჭრელი ზომების მისაღებად. დიდი წინასწარი მუშაობის შედეგად 1614 წლისათვის შაჰს არა მარტო თავისთან მრავლად ჰყავდა ლუარსაბისა და თეიმურაზის მოწინააღმდეგენი, თვით ქართლსა და კახეთშიაც მრავლად იყვნენ მტრის აგენტების მიერ მოსყიდულ-მოტყუებულნი.

შაჰაბასის ლაშქრობა ქართლ-კახეთში. 1614 წ. შაჰაბასი დიდის ლაშქრით წამოვიდა ურჩი ყმების დასასჯელად. შაჰს განსაკუთრებით თეიმურაზ მეფე ამოელო მიზანში.

ერანიდან წამოსული შაჰი ყარაბაღს დადგა და კახეთის მეფისაგან ერთგულების ნიშნად მძევლები მოითხოვა. თეიმურაზმა კახ თავადების რჩევით ერთგულების საწინდარი გაუგზავნა განრისხებულ მტერს: ძეძა, ორი შვილი და მრავლად თავადების შვილები. შაჰმა, რა ესენი ხელთ იგდო, თვით მეფეს უბრძანა მის წინაშე გამოცხადებულიყო. თეიმურაზი არ ენდო მტერს და შაჰიც კახეთზე წამოვიდა. გადამწყვეტი მომენტი დადგა. მოლალატე-მოსყიდულები ყოველი მხრით ამოქმედდნენ. ერთი ნაწილი შაჰს მოჰყვებოდა. მისი მრჩეველი და მტრის ლაშქრის მეგზური იყო. მეორე ნაწილი ციხეს შიგნიდან სტეხდა. მტრის აგენტები არწმუნებდნენ

თეიმურაზს, რომ წინააღმდეგობა უნაყოფოა და ურჩევდნენ დამორჩილებას; ამავე დროს ხალხში ავრცელებდნენ პროვოკაციულ ხმებს, რომ უფლეწული შაჰი კახეთის ხალხის მწყალობელია, რომ ის მხოლოდ თეიმურაზის და მისი მომხრეების დასასჯელად მოდის.

თეიმურაზის გაქცევა ქართლში. თეიმურაზმა წააგო. კახელები პროეკატორთა ანკესს წამოეგნენ და ომი არ ისურვეს. შაჰი კახეთს შემოეძა. თეიმურაზი ერთგულთა რაზმით ქართლისაკენ ილტოდა. შაჰბაზის მდევარმა რაზმმა მეფეს გზა გადაუჭრა. ე ა ლ ე თ ს მდინარე იორზე თეიმურაზმა დაამარცხა ეს რაზმი და ქართლს გაეიდა. ლეარსაბი თეიმურაზს მეხრანს შეეყარა.

მეფეთა თათბირზე აღმოჩნდა, რომ ქართლის წინააღმდეგობაც წელში იყო გატეხილი. არა ერთი დიდი თავადი უკვე შაჰს ჰხლებოდა მორჩილების გამოსაცხადებლად, დანარჩენებმა კიდევ მეფეებს ომი არ ურჩიეს.

თეიმურაზ და ლეარსაბ იმერეთში. თეიმურაზ და ლეარსაბ იმერეთს გადაეიდნენ. შაჰბაზმა კახეთის საჭეები მოაგეარა. აქ საკმაო ჯარი დატოვა და ქართლს გაეიდა. გორს დადგა და იმერთა მეფისაგან იქ შეხვნული თეიმურაზ და ლეარსაბი მოითხოვა. გ ი ო რ გ ი ი მ ე რ თ ა მ ე ფ ე მ შაჰბაზს სტუმრების გაცემაზედ უარი შეუთვალა. შაჰბაზი ოსმალეთთან ზავის დარღვევას მოერიდა და ომით იმერეთს არ გადაეიდა. ამისდამიუხედავად მან ლეარსაბის ხელში ჩაგდება მოახერხა.

1614 წლის ლაშქრობაში შაჰბაზს თან ახლდა თბილისის ყოფილი მოურავი გ ი ო რ გ ი ს ა ა კ ა ძ ე.

გიორგი საკაძე. სოციალურად საკაძე ძ ი რ ძ ვ ე ლ თავადთა წრეს არ ეკუთვნოდა. მაგრამ გიორგის მამა-ბიძები უკვე სიმონ მეფის დროს ფრიად დაწინაურებული იყვნენ და მეფის კარზედ მაღალი თანამდებობანი ეჭირათ.

1610-იანი წლებისათეის საკაძის სახლს უკვე გააჩნდა ყველაფერი ის, რაც დიდ ფეოდალს ახასიათებდა: საკუთარი ციხე, ეკლესია-მონასტერი, საგვარეულო სასაფლაო, მრავალი სოფლები შიგ მოსახლე აზნაურებით, მსახურებით, გლეხებით.

1609 წელს გიორგი საკაძე თბილისის მოურავი იყო და ლეარსაბ მეფესთან ფრიად დაახლოებული პირი. ამ დროს ქართლს ომი ჰქონდა მუსხეთში გაბატონებულ ოსმალებთან.

ოსმალ-თათართა შემოსევა ქართლში. 1608 წელს ქართლის ლაშქარი თბილისელ ყიზილბაშებთან ერთად სამცხეში შეიჭრა. 1609 წელს ახალციხის ფაშამ საპასუხო ლაშქრობით უპასუხა. ამ დროს მეფე ლეარსაბ საზაფხულო სადგომს იყო ც ხ ი რ ე თ ი ს ც ი ხ ე შ ი. ქართლს შემოსასვლელ გზებზე მას ყარაულები ეყენა. ოსმალთა და ყირიმის შეერთებულმა ჯარმა გამოვლო ჯავახეთი, თრიალეთი, გაწყვიტა ქართველი ყარაულები და მოულოდნელად მ ა ნ გ ლ ი ს ს მოატანა. აქედან მტერი მარჯვე გზით შიდა-ქართლში ცხირეთის ციხეზე ანაზდეულად მისელას, ლეარსაბ მეფის ხელში ჩაგდებას და შემდეგ შიდა — ქართლის დაპყრო-

პას აპირებდა. მეფე მოულოდნელ თავდასხმას არ ელოდა და ციხეში მცირე ამალით იდგა.

თედორეს გმირობა. ოსმალ-თათრებმა სოფელ კველთას თედორე ხუცესი დაიჭირეს და მეგზურობა უბრძანეს. გლეხი გმირი აღმოჩნდა. ქვეყნის თავისუფლებისათვის თავი გასწირა. მტერი სულ სხვა გზით წამოიყვანა და ის ცხირეთის ციხეს ააცდინა. გმირი აკუწეს თათრებმა. სამაგიეროდ განზრახვამ მტერს ფუჭად ჩაუარა. ლუარსაბი ციხეში გამაგრდა. ოსმალ-თათრებმა კი სოფლების ძარცვა-რბევას მიჰყვეს ხელი.

ამ დროს ცხირეთის მეფესთან იყო გიორგი სააკაძეც. სახიფათო ჟამს მოურავი არ დაიბნა. მან განსაკუთრებული ენერგია, ნიჭი და სიმამაცე გამოიჩინა. ფიცხლავ შიკრიკები აფრინეს და ქართლის ჯარს აწვიეს. სახელდახელოდ მეზობელ სოფლებიდან სააკაძემ ოთხასამდე მეომარი შემოიყარა. მოვიდნენ ახლობელი თავადებიც თავიანთი ყმებით. გიორგი სააკაძე და ზაზა ციციშვილი მოთარეშე მტრის მცირე რაზმებს ეკვეთნენ და მუსრი გაავლეს. მტერი ძარცვა-რბევით მტკვრის მარჯვენა ნაპირს აჰყვა და გორის გასვლა სცადა. ქართლის გულის დაჭერა ენება. გორელებმა მოასწრეს და მტკვარზედ გადასასვლელი ხიდი აყარეს. ზაფხულის წყალდიდობა იყო. აქ მტკვარი არ გაისვლებოდა. მტერი ისევ მარჯვენა ნაპირს აჰყვა, საციციანოს სოფლები არბია, სოფ. ბრბონასთან მდინარის გადალახვა მოახერხა და ქვიშხეთის ბოლოს დაბანაკდა.

ომი ქვიშხეთის ბოლოს. ამასობაში ქართველთა ჯარმა თანდათან მოდენა იწყო. თბილისიდან ყიზილბაშთა სარდალი დელუ-მაჰმად-ხან მოვიდა შვიდასი კაცით. გადამწყვეტი ომი ქვიშხეთის ბოლოს მოხდა. სამხედრო რჩევაზე ქართველებმა გიორგი სააკაძის საომარი გეგმა მიიღეს. სასტიკ ომში ქართველებს ბრწყინვალე გამარჯვება ხვდათ.

სააკაძე და მისი მოქიშპენი. ამიერიდან გიორგი სააკაძე კიდევ უფრო გავლენიანი და მეფის სანდო პირი შეიქნა. ჩქარა ლუარსაბ მეფემ სააკაძის და ცოლად შეირთო. სააკაძის აგრე ამაღლებით ძველს თავადებს შური აღეძრათ. განსაკუთრებით არ ისვენებდნენ სააკაძის მეზობელი თავადები. გიორგის თავისი მომხრეებიცა ჰყავდა (თავადის-შვილთა და განსაკუთრებით აზნაურთა წრეებიდან), მაგრამ მოწინააღმდეგენი გაცილებით უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ. თავადები შემოადგნენ ლუარსაბს და იმდენი აბეზღეს მოურავი, რომ მეფე სააკაძის მოღალატეობაში დაარწმუნეს. ლუარსაბმა ცოლის დაგდება და მოურავის მოკვლა გადაწყვიტა. მომხრეებმა განსაცდელი გიორგის შეატყობინეს.

სააკაძის და ნუგზარ ერისთავის წასვლა ერანს. სააკაძე თავისი სიმამრისას გაიქცა. მისი ქონება კი მაბეზღარ-მოქიშპეებმა აიკლეს და დაიტაცეს. გიორგი სააკაძის სიმამრი დიდი თავადი ნუგზარ არაგვის ერისთავი იყო. მას არაგვზე თავი ხელმწიფედ მოჰქონდა და მეფისადმი მცირედ მორჩილებაც კი უმძიმდა. ქართლისა და კახეთის მეფეების ურთიერთშორის თანხმობა ერისთავს არაფრად მოსწონდა. ლუარსაბ მეფის და ხორეშანი დიდხანს იყო ნუგზარის ვაჟზე

დაწინდული. სწორედ ამ დროს თეიმურაზ კახთა მეფე დაქვრივდა და ლუარსაბმა ხორეშანი დარბაზის რჩევით მას მიათხოვა. ამით ამაყი ერისთავი ფრიად შეურაცხყოფილი იყო.

„მოთხრილი" სიძე და შეურაცყოფილი სიმამრი შაჰაბასს ეახლნენ. გაბოროტებულმა ფეოდალებმა პოლიტიკური მაბეზღარობა იკადრეს. ისინი ეცადნენ დაერწმუნებინათ შაჰი, რომ ლუარსაბ-თეიმურაზის თანხმობა ერანის წინააღმდეგ არის მიმართული.

შაჰაბასმა ნუგზარ ერისთავი დიდად შეწყალებული გამოისტუმრა.

გიორგი სააკაძე ამიერიდან (1612 წ.) შაჰის კარზედ იყო. ის ჩქარა გამაჰმადიანდა და გონიერებით, მამაკობით თუ ფიზიკური ღონით დიდად გაითქვა სახელი და შაჰის დიდი პატივი დაიმსახურა.

ხაკაძის დაბრუნება. და აი, 1614 წლის ლაშქრობაში შაჰაბასს მოჰყვებოდა გიორგი სააკაძეც და მისი უახლოესი მრჩეველი იყო. ქართლში სააკაძის დაბრუნება მოსეენებას უკარგაედა მის მოსისხართ. მოურავი ეხლა მეტად ძლიერი იყო და მტრებიც მისგან შურისძიებას ელოდნენ. მათ ასეთ შიშს შაჰის კარიდან განზრახ დარხეული ხმებიც აძლიერებდა: რომ. რადგან ლუარსაბს არ სურს ეახლოს შაჰს და შეწყალება ითხოვოს, უკანასკნელი ქართლის მმართველად გიორგი სააკაძის დასმას აპირებს.

შეშფოთებული თაეადები გამოსავალს ეძებდნენ. გიორგი სააკაძის მოსისხარმა შ ა დ ი მ ა ნ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ მ ა ლუარსაბის იმერეთიდან გადმოყვანა თავს იდეა. შაჰიც მხოლოდ ამას ელოდა. შადიმანმა ნაკისარი შეასრულა. ჩქარა ლუარსაბ მეფე შაჰს ეახლა. შაჰაბასი უკუიქცა და ლუარსაბი დიდის პატივით თან წაიყვანა. შაჰს წაჰყვა გიორგი სააკაძეც.

თეიმურაზ მეფე იმერეთს დარჩა.

შაჰაბასის ხაქმიანობა კახეთში პირველი შემოხევის დროს. კახეთს ყოფნისას შაჰმა უხეი წყალობა უყო რენეგატ-მოლალატეებს, ხოლო მოთხარა და აიკლო თეიმურაზის ერთგული თაეადები. შეურაცხყო კახთა სალოცაეები გრემი და ალაეერდი. სასტიკად ააოხრა ერწო-თიანეთი მეფის ერთგულობისათეის. ყიზილბაშებმა ხელთ იგდეს ო ც დ ა ა თ ი ა თ ა ს ა მ დ ი ს ტ ყ უ ე. კახეთის მმართველად შაჰმა თეიმურაზის ბიძაშეილი, გამაჰმადიანებული ისა-ხანი დასეა და კახ თაეადებს მისი მორჩილება უბრძანა.

აჯანყება კახეთში. კახელებმა კარგად დაინახეს, თუ როგორი „მწყალობელი" იყო ერანის შაჰი და აჯანყებაც სადღეისო ამოცანად იქცა. ერან-ოსმალეთს შორის ომის განახლებამ ეს აჯანყება დააჩქარა. იმერეთს ლტოლეილი თეიმურაზი ოსმალეთს დაუკაეშირდა. ისა-ხანი ჩქარა თავის მწყალობელს ეახლა და კახეთის საქმეები ორს უახლოეს კარისკაცს — ჯ ო რ ჯ ა ძ ე ს და ჯ ა ნ დ ი ე რ ს — ჩააბარა. აჯანყება 1615 წლის 15 სექტემბერს დაიწყო. ჯორჯაძე და ჯანდიერი აჯანყების მოთაეენი აღმოჩნდნენ. აჯანყებულებმა თეიმურაზი იხმეს. მეფე სწრაფად წამოვიდა. ამაეე დროს კახ აჯანყებულებს შირეანელნი წამოეშეელნენ, ისინიც ერანის წინააღმდეგ აშდგარიყუნენ. კახელებმა ყიზილბაშთ რაზმები გაწყეიტეს. თეიმურაზმა არც ერანის ეაჭრები დაინდო.

ომი არაგვზე და კახელების გამარჯვება. შაჰი შეშფოთდა. ამ აჯანყებებში ოსმალეთის ხელი ჩანდა. მან სასწრაფოდ გამოგზავნა ადერბაიჯანის ჯარით სარდალი ალი-ყული-ხანი. 15 ათასი მეომრით ყიზილბაში სარდალი თბილისს მოვიდა. მას თეიმურაზის შეპყრობა ჰქონდა დაკალებული. ყიზილბაშთ ჯარმა კახეთიდან არაგვზე გამოსასვლელი გზები შეკრა. თეიმურაზ მეფემ მორჩილების სიტყვებით ალი-ყული-ხანის სიფხიზლე შეანელა. ქართველ მეგზურებმა კახთა ლაშქრის მოძრაობის შესახებ სწორი ცნობები არ მიაწოდეს ყიზილბაშ სარდალს. ბაინდურ არაგვის ერისთავიშვილი კი თბილისიდან განუწყვეტლად ატყობინებდა თეიმურაზს მტრის ჯარის მოძრაობას. ამების შედეგად თეიმურაზი 6000 კაცით მოულოდნელად დაეცა ყიზილბაშებს და სასტიკად დაამარცხა. მტერი თავზარდაცემული გაიქცა. გამარჯვებულთ ხელთ იგდეს მტრის მთელი ბანაკი და მრავალი ტყვე. 2500 მოჭრილი თავი თეიმურაზმა გამარჯვების ნიშნად ოსმალეთს გაგზავნა.

შაჰაბასი გაცოფდა. აჯანყება საშიშ ხასიათს იღებდა. ეხლა თეიმურაზის გამარჯვების შემდეგ აჯანყება შეიძლებოდა ქართლსაც მოსდებოდა.

შაჰაბასის ლაშქრობა საქართველოში. საქმის დაყოვნება არ შეიძლებოდა. შაჰაბასი საგანგებოდ მოემზადა და 1616 წლის გაზაფხულს მთელი თავისი ძალით კახეთის მოსათხრელად წამოვიდა.

აჯანყებულმა ქვეყნებმა საერთო საფრთხის წინაალმდეგ გაერთიანება ვერ მოახერხეს. ქართლის ფეოდალები კახელებს ვერ მიეშველნენ. მოძმის ოხრებას უცქეროდნენ და თავის ჯერს უცდიდნენ.

ბრძოლის ველზე შაჰაბასის დიდი ჯარის გამკლავების ღონე თეიმურაზს არ შესწევდა. კარზედ მომდგარი განსაცდელის თავიდან ასაცილებლად კახელებმა ნაცად ხერხს მიჰმართეს. „ყეელაფერში დამნაშავე" თეიმურაზ მეფე და მისი ერთგულები კახეთიდან გაიქცნენ. მთელი კახეთი კი დაიხიზნა. სიმაგრეებში ჩაიკეტა, თავდასაცავად მოემზადა და ამავე დროს შაჰს მორჩილება გამოუცხადა და დანაშაულის შენდობა სთხოვა. შაჰაბასს კახეთის მოსპობა გადაეწყვიტა, ამიტომ კახელების თხოვნა არ შეიწყნარა.

შაჰაბასი კახეთში. რომ კახელებისათვის დაბიზვნით გადარჩენის საშუალება მოესპო, შაჰმა კახეთს მისასვლელი გზები თავისი ჯარებით წინასწარ დაიჭირა. ამავე დროს ის შეუთანხმდა დალისტნელებს. ლეკებს მთებში შეხიზნული კახელები უნდა ეძებათ. ასეთი საგანგებო მომზადების შემდეგ პირსისხლიანი მტერი შეესია ქვეყანას.

ქართველი ხალხის ისტორიაში უმაგალითო ტრაგედია დატრიალდა. საქართველოს ყოფნა-არყოფნის დღე იდგა. განაზრახის შესრულება აგრესორს ძვირად დაუჯდა. ბრძოლამ ერთ წელიწადს გასტანა. ყოველი ციხე, ეკლესია-მონასტერი, სასახლე, ტყე, ხევი მტერს ომით უნდა აეღო. სპარსეთისა და თავისუფლების დამცველი ხალხი გმირი აღმოჩნდა. მაგრამ მტრის სიმრავლემ, ორგანიზაციამ და იარაღმა სძლია.

კახეთმა ამ შემოსევისას მთელი თავისი მოსახლეობის ორი მესამედი დაჰკარგა. ასი ათასამდის სული მტერს შეეწირა. ამდენივე ტყვედ წაი-

ყვანეს ყიზილბაშებმა. ქურდ-ლეკებმაც დრო იხელთეს და ხელი მოითბეს. მტერმა დასწვა, დაანგრია და გაანადგურა, რასაც კი მისწვდა. შაჰ-აბასის საგანგებო ბრძანებით არღვევდნენ სასახლეებს, ციხეებს, ეკლესია-მონასტრებს, სწვავდნენ სოფლებს და ყოველგვარ სამეურნეო შენებულებას, კაფავდნენ ზერებს და ვენახებს, სპობდნენ თუთისა და კაკლის ხეებს, არსად სტოვებდნენ ოთხფეხ საქონელს.

ნანგრევებად იქცნენ ქალაქები, სასახლეები, ფერფლად იქცნენ სოფლები. მშვიდობიან ქვეყანაზე საშინელმა გრიგალმა გადაიარა. დაიცალა და დაყრუდა აყვავებული მხარე. დიდის ხნით შეწყდა სიცოცხლის მაჯისცემა. ტყე და ნადირი დაეუფლა ადამიანთ ნასადგომევს.

კახელი ტყვეები ერანს გარეკეს. მათი ნაწილი შაჰაბასმა შიდა-ერანის სხვადასხვა პროვინციებში დაასახლა. უცხოეთში, თვისტომს მოწყვეტილნი, ისინი თანდათან გადაგვარდნენ. მხოლოდ მცირე ნაწილმა შეინარჩუნა დღემდის იქ დედაენა. კიდევ უარესი იყო დანარჩენ ტყვეთა ბედი. ისინი ყიზილბაშ მოლაშქრეებმა დაჰყიდეს. ქართველი მონა და მხევალი ყიზილბაშ დიდკაცთა ჩვეულებრივი სამკაული გახდა.

აოხრებული კახეთი შაჰაბასმა ორ ნაწილად გაჰყო. იორის ალმოსავლეთი მხარე ყიზილბაშ ფ ე ი ქ ა რ-ხ ა ნ ს ჩააბარა სამმართველოდ, დასავლეთი კი ქართლის ხანს ბ ა გ რ ა ტ ს მისცა. ხანებს დაცალიერებული ქვეყნის თურქმანული ტომებით დასახლება ებრძანათ.

კახეთის მოთხრით შაჰაბასი რამოდენიმე მიზნის მიღწევას ცდილობდა. ამით საქართველოს წინააღმდეგობა საბოლოოდ უნდა გატეხილიყო. კახეთში ჩამოსახლებული თურქმანები შაჰის ერთგული დასაყრდენი იქნებოდნენ შორეულ კავკასიაში. ერანს გადმოსახლებული კახელები კი კულტურული სოფლის მეურნენი და შაჰის ხელის შემყერე ერთგული მეომრები იქნებოდნენ. მართლაც, შაჰაბასის ყ უ ლ ი ს ჯ ა რ ში ამ დროდან 12 ათასი მხედარი და 10 ათასი ქვეითი ითვლებოდა. დიდი უმრავლესობა ამათგან ქართველები იყვნენ.

შაჰაბასი ქართლში. რა კახეთს მორჩა, შაჰი ქართლს ეწვია. ქვეყნის მმართველად გამაჰმადიანებულ-გასპარსულებული ბ ა გ რ ა ტ დაეთის-ძე დასვა. ურჩი სათავადოები დაარბია. ტყვეები წაასხა. ქართლის თავადაზნაურთა შვილების დიდი უმრავლესობა ყულის ჯარში გაიწვია.

თურქმანების და ლეკების ჩამოსახლება. ფეიქარ-ხანმა მრავლად ჩამოასახლა თურქმან-თათრები კახეთის ველებში. ლეკებიც ჩამოსხდნენ ნაოხარ კახურ სოფლებში. ქვეყნის უდიდესი ნაწილი მაინც ცარიელი რჩებოდა. ფეიქარ-ხანმა ზომები მიიღო კახ ხიზნების დასაბრუნებლად.

თეიმურაზი ოსმალეთში. ერან-ოსმალეთის ომი გრძელდებოდა და თეიმურაზ მეფე იმედს არ ჰკარგავდა, რომ თავის ქვეყანას დაუბრუნდებოდა. იმერეთიდან ის სტამბოლს მიეიდა და ხვანთქარს დახმარება სთხოვა. ოსმალეთს ამ დროს თითონ უჭირდა: ყაზახ-რუსები სანაპიროებს ურბევდნენ, მცირე-აზიაში აჯანყებები არ ნელდებოდა, შაჰაბასიც ოსმალთა ჯარებს ზედიზედ ამარცხებდა. კახეთის მეფე ცარიელი იმედით გამოისტუმრეს. მას საცხოვრებლად გ ო ნ ი ი ს ც ი ხ ე მისცეს (ჭოროხის შესართაოსთან).

ერანის შაჰს მოსვენებას უკარგავდა დაუსჯელი ყმის საქმიანობა. ბრაზით გაცოფებული მხეცი უდანაშაულო მძევლებს სწვდა. 1620 წელს შაჰაბასის ბრძანებით თეიმურაზის ორი ვაჟი საშინლად დაასახიჩრეს.

თეიმურაზმა თანდათან დაკარგა ოსმალეთიდან დახმარების მილების იმედი. 1623 წელს მან გაგზავნა ელჩები მოსკოვს. მოსკოვის მეფემ თეიმურაზს მეტად ეიმედო პასუხი შემოუთვალა.

მაგრამ პასუხის მომტანს თეიმურაზი უკვე ქართლ-კახეთის მეფედ დახვდა.

ქართლი 1616-1628 წლებში. ქართლის მმართველმა ბაგრატ-ხანმა საქმეს თავი ვერ გაართვა. მრავალი თავადი შაჰის ამ შუსულმან მოხელეს არ ემორჩილებოდა. ზოგი ლეკარსაბს ელოდა, ზოგს კიდევ თეიმურაზთან ჰქონდა საიდუმლო კავშირი.

1619 წელს ბაგრატ-ხანი გარდაიცვალა. შაჰმა მისი შვილი სიმონი ქართლის მმართველად დანიშნა. მაჰმადიანობაში დაბადებულს და ერანს გაზრდილს ახალგაზრდა სიმონ-ხანს კიდევ უფრო ნაკლებ შეეძლო ლეკარსაბის და თეიმურაზის მეტოქეობა. ქართლი ანარქიამ მოიცვა.

ლეკარსაბი ტყვეობაში. ულონო სიმონი შაჰს ეახლა და ქართლის აშლა მოახსენა.

ერახის შაჰის წინაშე ლეკარსაბ მეფის საკითხი დაისვა. ქართლიდან წაყვანის შემდეგ შაჰაბასს ლეკარსაბ მეფე კარგა ხანს ასტრაბადსა ჰყავდა. შაჰის სამსახურში მყოფი ქართლის თავად-აზნაურობა ხშირად შუამდგომლობდა ხელმწიფის წინაშე ტყვე მეფის შეწყალებას. მოსკოვის მეფეც თავის მხრით სთხოვდა ერანის შაჰს „ქრისტიანი მეფის" შეწყალებას. შაჰს ძლიერ არ მოსწონდა მოსკოველი „მეგობრის" ასეთი შუამდგომლობა. მას ეს კახეთის ამბებს მოაგონებდა და ზედმეტ ეჭვებს უძრავდა.

შაჰაბასს შეუძლებლად მიაჩნდა ლეკარსაბის ქრისტიანობით შეწყალება. გამაჰმადიანების სურვილს კი ქართლის მეფე არ იჩენდა.

ქართველებს შორის ლეკარსაბს შაჰის კარზედ ძლიერი მტრებიც მოეპოვებოდა. მოურავი გიორგი საყაძე ლეკარსაბის მოსისხარი იყო და მის დასაღუპავად ცდას არ აკლებდა. შაჰი დარწმუნებული იყო მოურავის ერთგულობაში, დიდად აფასებდა მის დამსახურებას და მის რჩევას ეშვენდა.

ჩქარა ლეკარსაბი შუა ერანში წაიყვანეს და შირაზის ციხეში გააკეტეს. ქართლში თავადების აშლაც უბედურ ტყვეს დაბრალდა. ამავე დროს შაჰის წინააღმდეგ შეთქმულება გამომჟღავნდა. შეთქმულების ღონაწილენი ქართველებიც აღმოჩნდნენ. და რომ ქართველები ერანში თუ ქართლში დაწყნარებულიყვნენ, შაჰაბასმა მათ იმედი გადაუწყვიტა. 1622 წელს ლეკარსაბ მეფე შირაზის ციხეში მშვილდის საბლით მოახრჩვეს.

კახეთი 1620-იან წლებში. არც კახეთის საქმეები მიდიოდა შაჰისათვის სასურველად. თეიმურაზ მეფის აჩრდილი მოსვენებას უკარგავდა ფეიქარ-ხანს. კახელები კი იმედით ცოცხლობდნენ. შაჰაბასი მოხუცებული იყო: საცა იყო გარდაიცვლებოდა და ერანში დინასტიური ომი გაჩაღდე-

ბოდა შაჰის მემკვიდრეებს შორის; თეიმურაზი ჯერ ახალგაზრდა და ენერგიით სავსე იყო; ერან-ოსმალეთის ომიც გრძელდებოდა და შესაძლებელი იყო ერანი დამარცხებულიყო.

სიმონ ხანის, გიორგი სააკაძის, ზურაბ ერისთავის და ყიზილბაშთა ჯარის გამოგზავნა ქართლში. ქართლისა და კახეთის საქმეების მოგვარება შაჰაბასმა გიორგი სააკაძეს უბრძანა. მოურავი დიდად სახელგანთქმული კაცი იყო, საქართველოს საქმეების დიდი მცოდნე და დარბაისელი ჭკუის პატრონი იყო. შაჰს მის ერთგულობაში ეჭვიც არ შეჰდიოდა.

ახალგაზრდა სიმონ-ხანს სააკაძე მრჩევლად გამოატანეს. ამასთან ერთად შაჰაბასმა საქართველოში ყიზილბაშთა დიდი ლაშქარი გამოისტუმრა ყ ა რ ჩ ი ხ ა-ხ ა ნ ი ს სარდლობით. სარდლის უახლოესი მრჩეველიც გიორგი სააკაძე იყო.

სააკაძის შუამდგომლობით შაჰაბასმა შეიწყალა და საქართველოში გამოისტუმრა მოურავის ცოლის ძმა და მისივე გაზრდილი ზ უ რ ა ბ, ნუგზარ ერისთვის შვილი.

1620 წელს სიმონ ხანი, გიორგი სააკაძე, ზურაბ ერისთავი და ყიზილბაშთა დიდი ჯარი ყ ა რ ჩ ი ხ ა-ხ ა ნ ი ს სარდლობით ქართლს მოვიდნენ.

ჩქარა ახალგაზრდა სიმონ-ხანი სავსებით სააკაძის გავლენის ქვეშ მოექცა.

ქართლ-კახეთის საქმეების მოგვარება შაჰაბასს ეხლა ასე ჰქონდა წარმოდგენილი: კახელები, როგორც თეიმურაზ მეფის თავწამკვდარი მომხრეები, უნდა გაეწყვიტათ, კახეთი სულ ყიზილბაშთა და სხვა თურქმან-თათრებით უნდა დაესახლებიათ; ლუარსაბისა თუ თეიმურაზის მომხრე ქართლის თავადები უნდა ერანს ჩაერეკათ.

ქართლის პოლიტიკური განწყობილება და გიორგი სააკაძე. როცა სააკაძე ქართლს მოვიდა და საქმის ვითარებას ჩაუკვირდა, ნიჭიერმა პოლიტიკოსმა ადვილად შეამჩნია, რომ ეხლა ქართლში პოლიტიკური მდგომარეობა სულ სხვაა, ვიდრე 1616 წლამდის იყო. კახეთის მოოხრით შაჰმა საქართველოსადმი თავისი მგლური დამოკიდებულება გამოამჟღავნა. ქართლის მუსულმანურ სახანოდ გადაქცევა, ქვეყნის დახარკვა, თავადების მრავლად დარბევა და დასჯა-გადასახლება, ქართლის აზნაურ-მოლაშქრეთა ყულის ჯარში მრავლად გარეკვა, ქრისტიანობის შეურაცხყოფა და მაჰმადიანობის გავრცელების ცდა, — ყველაფერი ეს შაჰაბასის წინააღმდეგ აკავშირებდა ქართლის მოსახლეობის სხვადასხვა ფენების დიდ უმრავლესობას. ლუარსაბის დახრჩობამ სულ მთლად გამოაშკარავა შაჰის განზრახვები ქართლის მიმართ. ამ მკვლელობამ თეიმურაზის მომხრეები ქართლში ერთბაშად გაამრავლა. სააკაძემ დაინახა, რომ ქართლი მხოლოდ მოსაჩვენარად ემორჩილება აგრესორს, რომ დღეს თუ არა ხვალ აქ ერანის წინააღმდეგ აჯანყება იფეთქებს და მას მთელი ხალხი, ორიოდე გარეწარის გარდა, მხურვალედ მხარს დაუჭერს. სააკაძემაც ფრთხილად მოქმედება იწყო. შურისძიების ნაცვლად ის შეურიგდა თავის ძველ მოქიშპეებს — ქართლის თავადებს: ჯავახიშვილს, ციციშვილს და სხვებს; და-

სიძა ქსნის ერისთაეი, შეხრან-ბატონი; ხელი შეუწყო თავისი ცოლის ძმის ზურაბ ერისთავის გაძლიერებას.

დაკარგულ მიწა-ტაკები ქონება მან ჯერ კიდევ 1616 წელს აღადგინა. ქართლში მას ამ დროს ორპოლზე მეტი საკუთარი სოფელი ჰქონდა.

გიორგი სააკაძის პოლიტიკური ფერხისცვალება. ქართლის დიდ თავადების წრეში ასეთმა ლეგალობის მოპოვებამ გაელენა მოახდინა სააკაძის პოლიტიკურ განწყობილებაზე. ქართლის ფეოდალების ერანს გადარჩენა მას ეხლა არაფრად მოსწონდა. შაჰის დაეალებათა შესრულებაში, ამიტომ, სააკაძე ძველებურ ენერგიას აღარ იჩენდა.

შაჰი შეცდა პოლიტიკურ ანგარიშში. მტრობა სააკაძესა და ქართლის თავადების ძლიერ ჯგუფს შორის შაჰს ისეთი შეურიგებელი ეგონა, რომ მათი შეთანხმება შეუძლებლად მიაჩნდა.

კახეთის გაწყვეტა მუხრანს. 1623 წელს თითქო-და იმერეთს სალაშქროდ ყარჩიბა-ხანმა კახი თავად-აზნაურობა და მეფე-შვილი მუხრანს მოიწვია. აქ ალაიანის მინდორზე მათი ერთიანად გაწყვეტა იყო განზრახული.

ყიზილბაშებმა განაზრახი ვერ შეასრულეს. მართალია, მრავალი კახი გაწყდა ამ ვერაგობის შედეგად, მაგრამ ლაშქრის დიდმა უმრავლესობამ ხმლით გზა გაიკაფა და კახეთს ილტოდა.

ასე რომ ყიზილბაშებს ვერაგული გეგმა გაუმეტყველდათ, ხოლო კახეთი ისევ აჯანყებამ მოიცა. შაჰაბასის ვერაგობამ ქართლი შეაშფოთა. ქართლის ფეოდალებს შორის შაჰმა ნდობა დაკარგა. თეიმურაზის მომხრეები კიდევ უფრო გაძლიერდნენ.

ეს პოლიტიკური მარცხი ყარჩიბა-ხანმა და სხვა ყიზილბაშებმა საკაძეს გადააბრალეს.

სააკაძე შაჰაბასს კარგად იცნობდა. მას თავი ფრთხილად ეჭირა და ამავე დროს არაფერს კი არ იმჩნევდა: ყარჩიბა-ხანის ბანაკში იდგა და „ხელმწიფის სამსახურზე თავს არ ზოგავდა".

ქართლის აჯანყება გიორგი სააკაძის მეთაურობით. შაჰაბასმა საიდუმლო ბრძანება გამოუგზავნა ყარჩიბა-ხანს. შაჰი კახთა გაწყვეტას და ქართლის აყრას განმეორებით უბრძანებდა სპარდალს და „მოლალტე" სააკაძის მოჭრილ თავსაც ითხოვდა. ეს ბრძანება ყარჩიბა-ხანის ნაცვლად სააკაძეს ჩაუვარდა ხელში.

უველაფერი გარკვეული იყო. ერთადერთი გზა მოერავის წინაშე — ეს აჯანყება იყო.

გადამწყვეტი მომენტი დადგა. დრო არ ითმენდა. აჯანყების წარმატებისათვის საჭირო იყო, რომ ის მანამ დაწყებულიყო, სანამ ყიზილბაშთა სარდალი ჯერ კიდევ არ გაფრთხილებულიყო.

სააკაძემ მისთვის დამახასიათებელი ენერგიით, სიფრთხილით და მოქნილობით აჯანყების გეგმა დაწყო.

შაჰაბასის საიდუმლო ბრძანებამ სააკაძეს დიდი სამსახური გაუწია აჯანყების წარმატებით მოწყობაში. ქართლის ფეოდალებმა თვით შაჰის ბრძანებაში ამოიკითხეს თავიანთ შესახებ ულმობელი განაჩენი. აჯანყე-

ბის გეგმა ბრწყინვალედ შედგენილი იყო. ყარჩიხა-ხანთან შეთანხმებით საკაძემ ქართლის თავადები იხმო, თითქო მათთვის შაჰის სურვილი უნდა ეუწყებია. მოურავმა აქ თავადებს შაჰის საიდუმლო ზრახვები გააცნო და მათ აჯანყებისაკენ მოუწოდა.

ქართლის თავადებმა აჯანყების გეგმა მიიღეს.

ამავე დროს მოურავმა საიდუმლოდ კავშირი გაბა ოსმალეთთან.

ყიზილბაშების გაწყვეტა მარტყოფს. ყარჩიხა-ხანი თავისი ჯარით მარტყოფის მიდამოებში იყო, როცა ქართლის აჯანყებულთა ზავი მის წასულებად დაიძრა.

პაემანზე, როდესაც ქართლის ჯარი მარტყოფის ეკლესიებში მტერს თავზედ წამოადგა, უშიშარმა გიორგი საკაძემ ყიზილბაშთა სიმტკიცე გაბედული დაკვრით ხერხემალში გადაამტვრია. მოურავი აქამდის მტრის ბანაკში იყო და მოსაჩვენრად შაჰის სამსახურზედ თავს არ ზოგავდა. ქართველ აჯანყებულთა ხმაურობაზე საკაძე აბჯარებული და იარაღასხმული ყარჩიხა-ხანის კარავს ეახლა. მოურავის რჩევით სარდალმა სასწრაფოდ იარაღი აისხა. ცხენი მოართვეს და ის იყო უზანგში ფეხი გაუყარა და ალაყდომად წამოიწია, რომ მდევის-ლონე საკაძემ მას ისე ძლიერად შესცა შუბი, რომ ერთი გვერდიდან მეორეში გასჩარა. ყიზილბაშები ჯერ გონს ვერ მოსულიყვნენ, რომ საკაძე შირვანის ხანის იუსუფის კარავს მიეჯრა და ელვის სისწრაფით იუსუფ-ხანიც ყარჩიხა-ხანს მისწია. ამ დროს საკაძის ეაქმა ავთანდილმა ყარჩიხა-ხანის ვაჟი რამაზ-ერდი-ბეგი გაათავა. საკაძის მძლებელ ეაქაცთა მცირე გუნდი დაბნეულ ყიზილბაშებს თავგამეტებით ეცა. ბანაკი საშინლად აირია. უსარდლოდ დარჩენილს მტერს გარს შემომდგარ ქართველებმა გულსრულად შემოუტიეს. ყიზილბაშები სასტიკად დამარცხდნენ. ვეება ჯარის მხოლოდ მეათედმა თავშველებული გაქცევით უშველა თავს. სიმონ-ხანი აღჯაყალას გაიქცა.

თბილისის ალება საკაძის მიერ. საკაძემ მტერს მოუსვენრობის საშუალება არ მისცა. თბილისს დაეცა. ქალაქი აიღო და ციხეში გამაგრებულ ყიზილბაშთა გარნიზონს ალყა შემოარტყა. იმავე დღეს კახეთს გაილაშქრა იქ შემოსახლებული თურქმანების გასაყლეტად. მტკვარზედ გადასავალს საკაძე და ზურაბ ერისთავი მოეწვნენ გაქცეულ თურქმანთა ურდოებს. კახეთის მმართველმა ფეიქარ-ხანმა ძლიეს გაასწრო. თურქმანების დიდი ნაწილი ქართველებს ტყვედ ჩაუვარდათ ხელში. მოურავი გამობრუნდა, სწრაფად შეემზადა და განჯა-ყარაბაღის ქვეყნებზე ილაშქრა. თურქმან-ყიზილბაშებს თავზარი დაეცათ. საკაძემ განჯა აიღო და გაძარცვა. განჯის მხარეში დიდძალი ტყვე ხელთ იგდო და ყარაბაღს გაეშურა. დაარბია მდიდარი ყარაბაღი და ლტოლვილ ყიზილბაშებს ხუდაფირინის ხიდამდის სდია. აქედან დაუღალავი სარდალი სწრაფად თბილისს დაბრუნდა. ციხის ალება გასჭირდა. ერანელთა შეიარაღების უპირატესობა აქ ცხადი გახდა. თბილისის ზოგიერთ მოქალაქეთა ღალატმა საქმე გააძნელა. ყიზილბაშ მეციხოვნეებმა ციხე შეინაგრეს.

ამავე დროს საყაძემ ლაშქარი გაგზავნა სამცხეს. ქართველებმა ახალციხე ხელიდან გამოჰგლიჯეს ყიზილბაშებს.

ოსმალთა ჯარის სარდალს, რომელიც ამ დროს დიარბექირს იყო და ბაღდადისკენ სალაშქროდ ემზადებოდა, საყაძემ დახოცილ ყიზილბაშთა დაჭრილი თავებით აუწყა მტერზედ გამარჯვება. მოურავი ოსმალებს ამიერ-კავკასიაში სალაშქროდ ეპატიჟებოდა და ამ ქვეყნის მათდამი დამორჩილებას ალუთქვამდა.

ოსმალთა სარდლობა უნიჭო აღმოჩნდა. მან ვერ ისარგებლა ხელსაყრელი მდგომარეობით. უეცველი წარმატება ხელიდან გაუშვა. მოურავის წინადადება ამიერ-კავკასიაში ლაშქრობის შესახებ არ მიიღო და ამით შაჰაბასი უდიდეს ხიფათს გადაარჩინა.

მარტყოფის ომის უმალ აჯანყებულებმა თეიმურაზი მოიწვიეს და კართლ-კახეთის მეფედ აღიარეს.

ყიზილბაშთა ჯარის გამოგზავნა შაჰაბასის მიერ. შაჰაბასმა კარგად შეაფასა მდგომარეობის სერიოზულობა და შესაფერი ზომებიც სწრაფად მიიღო. საქართველოს წინააღმდეგ მომქმედი ჯარის უფროსად მან ისახან ყორჩიბაში დანიშნა. თავიანთი ჯარებით ყორჩიბაშის ხლება ებრძანათ შირვანის ხანს და აგრეთვე ერევნისა და აზერბაიჯანის ბეგლარ-ბეგებს.

ქართველებმა ძალების სრული მობილიზაციით უპასუხეს. მათთანვე მოვიდა ოსმალთაგან გამოძევებული მანუჩარ ათაბაგი მცირე რაზმით. ამ ომში მას უკანასკნელად მოუხდა ბრძოლის მოკნეფა ქართველობის დასაცავად.

მარაბდის ომი. ქართველთა ჯარი ოც ათასამდის იყო. ყიზილბაშები რიცხვით სჭარბობდნენ. ქართველები კოკორ-ტაბახმელას იდგნენ, როცა მტერი ალგეთზე მოვიდა და მარაბდის მიდამოებში დადგა.

ქართველთა ბანაკში თათბირი გაიმართა. ბჭობდნენ, თუ სად და როდის შებმოდნენ მტერს. სხვადასხვა აზრი გამოითქვა, მაგრამ ომის დაწყების ბედი ფეოდალური ლაშქრის ორგანიზაციამ გადაწყვიტა. საბარათიანოს ლაშქარი ხვალისად შებმას ითხოვდა, თუ არა ბრძოლის ველის მიტოვებას იმუქრებოდა. საბარათიანოს ფეოდალების საამისო საბუთი ის იყო, რომ მტერი მათ „მამულში“ იდგა და მას აოხრებდა...

ასე ეიწრო იყო იმ დროს ქართლის ფეოდალის პოლიტიკური აზროვნების თვალსაწიერი.

იმავე ღამით ქართველები მარაბდის ველისაკენ დაეშვნენ. რიტრაებზე დაიწყო ომი. მტერმა თოფ-ზარბაზნით შემოუტია. ქართველი მხედრები შხნედ მიეპრნენ მტრის მეწინავე რაზმს და გადაქელეს. ფიცხელი ომი დილით შუადღემდის გრძელდებოდა. მხნედ იყვნენ ყიზილბაშები, მაგრამ ბრძოლა მაინც ქართველთა გამარჯვებით მიდიოდა. ქართველებმა გაარეს მტრის ჯარი, ხელთ იგდეს მათი ბანაკი და ალაფობა იწყეს. ყიზილბაშები თავზარდაცემული გარბოდნენ. იელისის პაპანაქება შუადღე იყო. ქართველები ომს მოგებულად სთვლიდნენ, თუმცა ყიზილბაშთა მთავარსარდალი ისახან ყორჩიბაში ბრძოლის ველს ჯერ კიდევ არ სთმობდა და

გადარჩენილი რაზმებით საქმის გაბოსწორებას მხნედ ცდილობდა. ქართველთა სარდლობა კი მტრის ერთიანად გაწყვეტის გეგმას აწყობდა. ამ დროს მოესწრო თავრიზის ბეგლარბეგმა შ ა ჰ-ბ ა ნ დ ა-ხ ა ნ ადერბაიჯანის ჯარით. დამბმარე ლაშქრის მოსვლამ მტერი გააბნეევა. ომით მოღლილ ქართველებს ძლიერად შეშოუტიეს და მრავალი დაუხოცეს. ამავე დროს მოღალატე-აგენტებმა ხმები გავრცელეს: თეით შაჰი მოვიდაო. მეორეს ძმრით შეეხმნეს თავში ცემა: თეიმურაზ მეფე მოკლესო. მოღლილ-მოქანცულ ჯარს გული გაუტყდა და გასაქცევად პირი იბრუნა. სარდლებმა უდისციპლინო ჯარი ვერ შეიკავეს. ყიზილბაშები კიდევ მეტის ენერგიით უკან იედევნენ და უწყალოდ ხოცდნენ გაქცეულთ. განსაკუთრებით მრავალი გაწყდა გლეხობა. ომში ის ქვეითი იყო და გაქცევით თავის შველის ღონე მას არ ჰქონდა. მხედრების (ფეოდალების) მიერ მიტოვებული გლეხები ჯგუფ-ჯგუფად შეგროვდნენ და თავგანწირული იბრძოდნენ, სანამ უკანასკნელ კაცამდის არ შეეხოცნენ ყიზილბაშთა მეთოფეების ტყვიებს. გაქცეულ მხედრებს ყიზილბაშებმა კოკრის ძირამდის სდიეს. მტრები საღამოს ბინდმა გაჰყარა (1624 წ.).

მარაბდის ომში ცხრა ათასი ქართველი და თოთხმეტი ათასი ყიზილბაში გაწყდა.

ქართველთა დამარცხების მიზეზები. ფეოდალთა პოლიტიკური სიბეკე-შეზღუდვილობა, ფეოდალური ლაშქრის უდისციპლინობა და შეიარაღებაში ჩამორჩენილობა იყო მარაბდას ქართველთა დამარცხების უმთავრესი მიზეზები.

მეორე დღეს ომი კოკრის მიდამოებში გაგრძელდა. ქართველების მიზანი მტრის შეჩერება იყო, რომ მოსახლეობას დახიზვნის საშუალება ჰქონოდა.

მეფე თეიმურაზ და გიორგი სააკაძე შიდა-ქართლში მიიდნენ. მართალია, მარაბდის ომში ქართველები დამარცხდნენ, მაგრამ მტერიც ისე ძლიერ დაზარალდა, რომ შაჰის დავალებათა შესრულებას ღონე მას ალარ შესწევდა.

ქართველები საქმეს საბოლოოდ წაგებულად არ სთელიდნენ და შეუპოვარ ბრძოლას განაგრძობდნენ.

პარტიზანული ომი ყიზილბაშების წინააღმდეგ. მარაბდის ომის შემდეგ ქართველებმა ბრძოლის ტაქტიკა შეცვალეს. ამიერიდან მათ პარტიზანულ ომს მიჰმართეს. ასეთი ბრძოლის მთავარი ორგანიზატორი მოურავი სააკაძე იყო.

დიდის თავდადებით იბრძოდნენ ქართველთა მცირე რაზმები. უკანასკნელ შესაძლებლობამდის იცავდნენ გზის ვიწროებს, ზეკარებს, ფონებს თუ ხიდეებს, რომ მტერი ქვეყნის შიგნით სწრაფად არ შემოჭრილიყო და სახიზარს მიმავალ მშვიდობიან მოსახლეობას არ დარეოდა. გმირებმა ათ დღეს შეიკავეს მოზღვაებული მტერი. ყიზილბაშებმა დიდის გაჭირვებით და ზარალით შესძლეს ბოლოს შიდა-ქართლში შეჭრა, მაგრამ ქვეყანა უკვე დახიზნული იყო და მტერმა ტყვე შედარებით მცირე იშოვა.

მეფე თეიმურაზ იმერეთს გადავიდა. გიორგი სააკაძე სამცხეს მიეიდა და ოსმალეთის სულთანს ელჩი გაუგზავნა (1624 წ.).

ისახან ყორჩიბაში დარწმუნდა, რომ თეიმურაზისა და მოურავის ხელში ჩაგდება მას არ შეუძლია. შაჰის მოხელე იმისიც მოხარული იყო, რომ ერანის ეს მოსისხარი მტრები, თუნდაც დროებით, ქართლ-კახეთს გაეცალნენ. ისახანმა ქვეყანა მოაწყო. ერანის აგენტები გამრავლდნენ. დამარცხების შემდეგ ძველ მოლალატე-ფეოდალებს სულმოკლენიც შეემატნენ. მტერმა ყველა ამათ წყალობა უყო და ზურგად და იმედად ყიზილბაშთა გარნიზონები უჩინა. შაჰის ბრძანებით ქართლის მმართველად ისევ სიმონ-ხანი დააყენეს. ყიზილბაშთა ჯარის გარდა მისი დაბმარება განჯის ხანს დაავალეს. ისახან ყორჩიბაშმა თავისი ამოცანა შესრულებულად ჩათვალა და საქართველოდან გავიდა.

მძევლების დახოცვა შაჰაბასის მიერ. შაჰაბასი გულის წადილს ვერ ეწია. გამდგარი „ყმები" ხელთ ვერ იგდო. გაბორკილებულმა მოხუცმა შურისძიების წყურვილი ერთხელ კიდევ მოიკლა უდანაშაულო მძევლების სისხლით. საშინელ ტანჯვით აწამეს თეიმურაზ მეფის დედა ქეთევან (1624 წ.). მოჰკლეს აგრეთვე გიორგი სააკაძის ვაჟი პაატა.

სააკაძის საქმიანობა ქართლში. 1625 წლის გაზაფხულს თეიმურაზ მეფე და გიორგი სააკაძე ქართლს დაბრუნდნენ. მოურავი გაორკეცებული ენერგიით შეუდგა ისახანის ნასაქმევის ლიკვიდაციას.

ქართლის შეიწროებით ესარგებლა და აჯანყებულიყო დვალეთი. სააკაძემ „გასტეხა ოსეთი" და თავისუფლების მოყვარული მთიელები კვლავ დაუმონა ფეოდალურ ქართლს. ქვეყნის ძველი მოლალატე ლორის ხელიქი გიორგის წინააღმდეგ საქმიანობდა. სააკაძე მიუხდა ლორეს. ხელიქი გადაიხვეწა. მოურავმა იქაობა დაარბია. ბირთვისის ციხის პატრონი ქაიხოსრო ბარათაშვილი ყიზილბაშებს მოშხრეობდა. ბირთვისის ციხეში მას ხუთასი ყიზილბაშ-მეთოფე შეეყენებია და თავს არხეინად გრძნობდა. სააკაძე მოულოდნელად მიუხდა ტბისში ქაიხოსროს სასახლეს, ხელთ იგდო მოლალატე ფეოდალი და აიძულა ის, რომ ციხიდან ყიზილბაშები გამოეტყუებია. სააკაძემ ყველა მათ თავები დააყრევინა, ხოლო ციხეში თავისი ხალხი შეაყენა.

ყიზილბაშები შებუთულები ისხდნენ ციხე-სიმაგრეებში. სიმონ-ხანი თბილისიდან ვერარ გამოდიოდა. არც მის დამხმარე განჯის ხანს ადგა მოურავისაგან კარგი დღე. 1626 წელს სააკაძე მიუხდა განჯას, აიღო და დაარბია ის. შაჰაბასს, უეჭველია, კვლავ განსაკუთრებული ღონისძიებების მიღება დასჭირდებოდა, რომ ქართველი ფეოდალების შინაპოლიტიკურ ბრძოლას ის ამ გასაჭირისაგან არ ეხსნა.

გიორგი სააკაძე ქართლის მმართველობას ირიბებდა და თეიმურაზის მეფობას ვერ ითმენდა. ოსმალეთთან თუ სხვა მეზობელ ქვეყნებთან მოლაპარაკებას მოურავი თეიმურაზისაგან დამოუკიდებლად აწარმოებდა. საქართველოში სააკაძეს უკვე ქართლის მოურავი ეწოდებოდა, ხოლო ოსმალეთის ხვანთქარი მას „ქართლის მპყრობელ მოურავ-

ხანად" იცნობდა და „თეიმურაზ-ხანის" სწორად უყურებდა. უკანასკნელი ხვანთქარს მხოლოდ კახეთის მმართველად მიაჩნდა.

თეიმურაზისათვის რომ ქართლიდან ხელი აეღებინა, საკაძემ ქართლის ტახტის „კანონიერი მემკვიდრე" წამოსწია,—ქაიხოსრო მუხრან-ბატონი. ტახტის მემკვიდრე, ბუნებრივია, სულ მთლად ქართლის მოურავის ხელში მოექცა. ქაიხოსრო მეფედ არც დამჯდარა, და საკაძე მის გამეფებას არც აპირებდა. მას იგი მხოლოდ თეიმურაზის წინააღმდეგ იარაღად ჰყავდა. მუხრან-ბატონის წინწამოწევით მოურავმა შიდა-ქართლის ზოგიერთი თავადი მიიმხრო.

ქართლის დიდი თავადებიდან იოთამ ამილახორი და ზურაბ არაგვის ერისთავი თეიმურაზს შერჩნენ.

თეიმურაზსა და საკაძეს შორის ომი აუცილებელი შეიქნა. „ქართლის მოურავმა" დახმარებისათვის ახალციხის ფაშასა და იმერეთის მეფეს მიმართა.

საფარ-ფაშისა და გიორგი მეფისაგან საკაძემ დამხმარე ჯარები მიიღო.

ბაზალეთის ომი. 1626 წელს გვიან შემოდგომაზე ლეჩხუმის მახლობლად ომი მოხდა მოურავსა და თეიმურაზ მეფეს შორის. სასტიკი ბრძოლა საკაძის დამარცხებით დამთავრდა. მოურავი, ქაიხოსრო მუხრან ბატონი და სხვები ოსმალეთს გაიქცნენ. სტამბოლს მივიდნენ, ხონთქრისაგან დახმარებას ითხოვდნენ და მას ქართლის დამორჩილებას აღუთქვამდნენ. დახმარება ვერ მიიღეს: 1627 წელს ერანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო და აღმოსავლეთ-საქართველო ისევ ერანის სამფლობელოდ იყო ცნობილი.

საკაძე ოსმალეთში. მომავალის მოლოდინში ემიგრანტები ოსმალეთში დარჩნენ. მოურავმა კელაე მაჰმადიანობა მიიღო. ამ დროს ოსმალეთში დიდი აჯანყებები იყო. აჯანყებულთა წინააღმდეგ ლაშქრობაში საკაძემ თავისი რაზმით ხონთქარს დიდი სამსახური გაუწია. მოურავ-მაჰმადს ფაშობა უწყალობეს და საგამგეო ქვეყანაც მისცეს. 1629 წელს აჭაშლის გამოურკვეველი დანაშაულის გამო მოურავს და მის ორმოც მხედებელს დიდი ეზირის განკარგულებით თავები გაყრევინეს.

შიდა-ქართლი თეიმურაზმა დაიჭირა. გიორგი საკაძის ქონება მეფემ ნასისხლად აიღო (საკაძეს ხორეშან დედოფალი თავისი ძმის, მეფის ლეკარსაბის დალუპვას აბრალებდა).

თბილისში სიმონ-ხანი იჯდა. მისი ხელისუფლება მხოლოდ ქვემო-ქართლზე ანუ სომხით-საბარათიანოზე ვრცელდებოდა.

ზურაბ ერისთავი. ბაზალეთის ომის შემდეგ ზურაბ ერისთავი უძლიერესი ფეოდალი იყო თეიმურაზის სამეფოში. ძლიერი საფეოდალო ზურაბმა მემკვიდრეობით მიიღო. ჯერ კიდევ მისი მამა ნუგზარ ერისთავი ძლივს სცნობდა პატრონად ქართლ-კახეთის მეფეებს. ზურაბ ერისთავი კიდევ უფრო გაძლიერდა.

მთიულეთისა და ხევის აჯანყება. 1618 წელს ერისთავის წინააღმდეგ მთიულეთი და ხევი აჯანყდნენ.

აჯანყებული მთის წინააღმდეგ ზურაბ ერისთავმა დიდ-თავადს ბარა-

თა ბარათაშვილს სთხოვა დახმარება. ფეოდალების ლაშქარმა გა-ტეხა მთის წინააღმდეგობა. ზურაბმა დაიმორჩილა, მძიმედ დახარკა და საბოლოოდ გაისაკუთრა მთიულეთი და ხევი.

ომები ფშავ-ხევსურეთში. 1620 წელს ზურაბ ერისთავმა ფშავ-ხევსურე-თის დამონება განიზრახა. მრისხანე ფეოდალი სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა. ზურაბ ერისთავი თავისი აზნაურებით არაერთგზის შეიჭრა ფშავ-ხევსურეთში, დაბუგა სოფლები, დაანგრია სალოცავები, მაგრამ არ იქნა და ფშავ-ხევსურეთი ვერ დაიმონა. სასტიკი ბრძოლა რამოდენიმე წელს გრძელდებოდა. მრავალი ლომგული ვაჟკაცი შეაწყდა ზურაბის ხროვა-აზნაურებს, მაგრამ თავისუფლების გმირებმა მტრეს არა ნაკლებ „აწითლებინეს ქვიშანი".

მედიდური ერისთავი ადვილად არ დაეხსნებოდა შეუპოვარ მთიელებს, რომ თვით არ გადაჰყოლოდა დაუსრულებელ შფოთს.

ზურაბ ერისთავი მთას არ დასჯერდა. ხარბი თვალი მან ეხლა მეზო-ბელ მუხრან-ბატონის მამულს დაასო.

ბაზალეთის ომის შემდეგ ერისთავმა მთელი სამუხრანო ვერ მიიღო. თეიმურაზს ეს საფეოდალო თავის შვილისათვის უნდოდა. ერისთავი ამის გამო გადაუდგა მეფეს და სიმონ-ხანს მიუვიდა. 1630 წელს სიმონ-ხანმა ზურაბ ერისთავის დახმარებით თეიმურაზ მეფე ქართლიდან განდევნა და შიდა-ქართლი დაიპირა. ასეთი „სამსახურისათვის" ზურაბ ერისთავმა სიმონ ხანისაგან მიიღო მუხრანი, თეიმურაზ მეფე იმდენს ეცადა, რომ შამილით გაუმაძღარი ერისთავი ისევ გადაიბირა.

სიმონ-ხანის სიკვდილი. თეიმურაზმა ზურაბს სიმონ-ხანის მოკვლა შეუ-კვეთა და საჯილდოდ თიანეთის წყალობას შეპირდა. ზურაბ ერის-თავმა მოაკვლევინა სიმონ-ხანი და ქართლი ისევ თეიმურაზს დააჭერინა.

თეიმურაზ მეფე და ზურაბ ერისთავი. გაძლიერებულმა თეიმურაზმა დრო იხელთა და დალისტნის ველგილები დალაშქრა (კახეთის აობრების შემდეგ ხშირად ლეკთა ბრბოები ხშირად ჩამოდიოდნენ და მშვიდობიან მოსახლეობას არბევდნენ და იტაცებდნენ), მაგრამ ქართლ-კახეთის ეს გაე-რთიანება დღემოკლე აღმოჩნდა. გაერთიანებას მტკიცე საფუძველი არ გააჩნდა და მისი ხანგრძლივობა ფეოდალების ხუშტურზე იყო დამოკიდე-ბული. კერძოდ, თეიმურაზისა და ზურაბ ერისთავის პატრონ-ყმობა შეუ-თავსებელი რამ იყო.

ზურაბ ერისთავის აგრე გაძლიერება მოსვენებას უკარგავდა ფეოდა-ლურ მეფეს. პატივმოყვარე თავადი, საშიში იყო, რომ მეფის თავიდან მოშორებას და ქართლ-კახეთის „ერისთაობას" განიზრახავდა. თეიმურა-ზმაც გადაწყვიტა უზომოდ გაძლიერებული ყმის დალუპვა.

ზურაბ ერისთავის მოკვლა. ზურაბის მკვლელების შოვნა ძნელი არ იყო. ერთობ ბევრი იყო ქართლ-კახეთში, მთასა თუ ბარში, ზურაბის მე-სისხლე. საგინაშვილმა, ჩოლაყაშვილებმა და ფშაველმა თუღუმიშვილმა ლალატით მოჰკლეს ზურაბ ერისთავი სა-ერცლეს.

თეიმურაზი საშიში ყმისაგან გათავისუფლდა. მინატაცები მუხრანი და

თიანეთი დაიბრუნა. საერისთოში შევიდა. თავისი ქალი, ზურაბის ქვრივი, წამოიყვანა და იმერეთის მეფის შვილს ალექსანდრეს მიათხოვა. ჩქარა ამის შემდეგ ქართლ-კახეთის ჯარი შემოიყარა და ერთხელ კიდევ დალაშქრა დალისტნის ადგილები.

სიმონ ხანის მოკვლით და ქართლის დაჭერით თეიმურაზმა ერანის მიმართ კვლავ მტრობა გამოამჟღავნა. ქართლ-კახეთის მეფე ამასაც არ დასჯერდა. თეიმურაზმა იმერთა მეფისაგან დამხმარე ჯარები იშოვნა და განჯა-ყარაბაღის ქვეყნები დაარბია. ერანის წინააღდეგ თეიმურაზ მეფის ასეთი ამოქმედება დაკავშირებული იყო ერან-ოსმალეთის ახალ ომთან, 1629 წელს რომ დაიწყო. ამავე დროს თეიმურაზმა რუსეთთან ურთიერთობა გააბა და მოსკოვის მეფეს აგრესორთა წინააღმდეგ დახმარება სთხოვა. ამის საპასუხოდ ერანის შაჰმა სეფიმ (შაჰაბასი ჯერ კიდევ 1628 წელს გარდაიცვალა) ქართლი სიმონ-ხანის ბიძას როსტომს უწყალობა, ხოლო კახეთის ხანად ყიზილბაში სალიმი დანიშნა. როსტომი დიდის ჯარით გამოისტუმრეს. ქართლის ფეოდალების ერთი ნაწილი როსტომს მიუვიდა, სხვებმა კიდევ ყიზილბაშებთან ომი არ ურჩიეს თეიმურაზს. უჯაროდ დარჩენილი მეფე მცირე ამალით იმერეთს გაიქცა. როსტომმა ქართლი დაიჭირა (1632 წ.)

ერანის ბატონობის ხანა ქართლ-კახეთში და ბრძოლა მის წინააღმდეგ

როსტომ-ხანის მოხვლა ქართლის მმართველად. ამ დროდან ერანისა და ქართლის ურთიერთობაში ახალი ხანა იწყება. ამიერიდან ვიდრე 1744 წლამდის ქართლს მაჰმადიანი ხანები განაგებდნენ. ქართლის „ვალი" („მეფე") ამიერიდან შაჰის მოხელე იყო და ქართლიდან შაჰის ხაზინაში ყოველწლიური ხარკი მიაქონდათ, ხოლო პირადად ყაენისათვის სხვადასხვა მისართმეველი და ქალ-ვაჟები იგზავნებოდა.

როსტომი პირველი მაჰმადიანი ხანი იყო, რომელმაც ქართლში მტკიცედ ფეხის მოკიდება შეძლო. ასეთი მდგომარეობის მისაღწევად შაჰის ამ მოხელემ ხანგრძლივი ბრძოლა გადაიტანა.

როსტომ-ხანი. როსტომი სიმონ მეფის მოლალატე ძმის დავით ხანის „უკანონო" შვილი იყო. მისი დედა შინდისელი გლეხის ქალი იყო. როსტომი ერანს დაიბადა, იქვე აღიზარდა. მაჰმადიანი იყო და გასპარსულებული.

როსტომ ხანის პოლიტიკური მოღვაწეობა ქართლში.

1632 წელს როსტომ ხანმა ერანიდან თან წამოიყვანა თაეის მომხრე ქართველ თავად-აზნაურთა დიდი რაოდენობა.

ხანობრივი ხასიათის ღონისძიებანი. მოსვლისთანავე როსტომმა მეტეხის, გორის და სურამის ციხეები აიგებინა და ყველგან ყიზილბაში მეთოფეები შეაყენა. შემოსავლები თბილისში ნარიყალას მიდამო და აგრეთვე ყიზილბაშებს გადასცა.

თეიმურაზისა და მის მომხრეთა წინააღმდეგ საბრძოლველად ერანის

შაჰმა როსტომს დამხმარედ მიუჩინა შამშადილუს, ყაზახის და ლორის ხანები.

პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ხასიათის ღონისძიებანი. ქართლში ერანის ბატონობის განსამტკიცებლად როსტომი არ დაკმაყოფილდა სამხედრო ღონისძიებებით. მან მიზნად დაისახა ერანის სასარგებლო განწყობილების შექმნა ფართე ფეოდალურ წრეებში. ამ მიზანს ისახავდა როსტომ ხანის მთელი რიგი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ღონისძიებანი.

უპირველეს ყოვლისა როსტომმა ერანიდან თანმოყოლილ თავის მომხრე თავად-აზნაურებს მამულები დაუბრუნა. უკვე ამით როსტომ ხანმა ერანის ერთგულთა ძლიერი დასი გაიჩინა ქართლის ფეოდალებს შორის. თავიანთ მოქიშპე მეგვარეებთან ბრძოლაში ერანის ეს აგენტები შემდეგშიაც რომტომ-ხანისა და ყიზილბაშების ერთგულნი რჩებოდნენ.

ერანული პოლიტიკური წყობილების შემოღება ქართლში. როსტომ ხანმა ქართლში სახელმწიფო მმართველობის ერანული წესი შემოიღო. ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო. ხანის ცენტრალურ ხელისუფლებას ის შესამჩნევად აძლიერებდა.

რეფორმის შემდეგი მნიშვნელობა იმაში იყო, რომ ის ერანის გავლენას ქართლში ერთობ აძლიერებდა და ქართველ ფეოდალების გასაპარსელებას ხელს უწყობდა.

ერანის შაჰის პოლიტიკა ქართლის ხანის მიმართ. როსტომ-ხანის ერთგულებაში შაჰის კარს ეჭვი არ შესდიოდა. მიუხედავად ამისა ქართლის საკითხის საბოლოოდ მოგვარებას შაჰი ამ ხანისადმი ნდობაზე რთდი ამყარებდა. ხანი მოვალე იყო ქართლის უმაღლესი ფეოდალები, რომლებიც შაჰის მოსჩხილებას განაცხადებდნენ, ყაენის კარზედ გაეგზავნა. იქ ეს სარდლები, ერისთავები, კათალიკოზ-მიტროპოლიტები და სხვ. ყველანი ხანის წარდგენით შაჰისაგან მიიღებდნენ შესაფერის წყალობას, ძვირფას საჩუქრებს, ხოლო ყაენის ხაზინიდან მათ ენიშნებოდათ ყოველწლიური ჯამაგირი ან ერთდროული ნიჭი. ეს ფეოდალები ამიერიდან უპირველეს ყოვლისა შაჰის მოხელე — „მოჯამაგირენი" იყვნენ და ადგილობრივ ხანს ემორჩილებოდნენ იმდენად და მანამდის, რამდენად და სანამდის ეს დიდმოხელე ხელმწიფის სარწმუნო და სასურველი იყო.

ბრძოლა თეიმურაზ მეფეს და როსტომ-ხანს შორის. ლტოლვილი თეიმურაზი იმერეთიდან ჩქარა დაბრუნდა და ზაალ არაგვის ერისთავის დახმარებით კახეთი ისევ დაიჭირა (1634 წ.). ამ დროიდან თეიმურაზსა და როსტომს შორის ხანგრძლივი ბრძოლა გაიმართა. ამ ბრძოლაში მთელი საქართველო მონაწილეობდა. თეიმურაზს ჭიარს უჭერდნენ კახეთი და ქართლის ზოგიერთი თავადები. მისიენ მომხრენი იყვნენ აგრეთვე იმერეთის მეფე და გურიის მთავარი. თეიმურაზს თავი ყიზილბაშობის შეურიგებელ მტრად და ქართველობისათვის მებრძოლად მოჰქონდა. როსტომს და მის მომხრეებს იგი საქართველოს მოღალატეებად სთვლიდა. თეიმურაზი ერანის წინააღმდეგ საქართველოს სამეფო-სამთავროების შეთანხმებას ცდილობდა. თავის პოლიტიკურ მოკავშირეს თეიმურაზის ჯგუფი მოსკოვის რუსეთში ხედავდა. 1639 წელს

კახეთის მეფე თავისი თავადებით ეყმო რუსთ ხელმწიფეს, ხოლო 1651 წელს მოსკოვის მეფეს ერთგულებაზე იმერეთის მეფემ შეჰფიცა. ქართლის თავადებში მომხრეები როსტომსაც ჰყავდა, მაგრამ მის უმთავრეს დასაყრდენს შეადგენდნენ: ტფილისისა და გორის მოქალაქეები, ქართლში ჩამოსახლებული თათრები და ყიზილბაში მცხოვნებები. როსტომის ერთგული მოკავშირე იყო აგრეთვე სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი. როსტომის საგარეო ორიენტაცია გარკვეული იყო: ის ერანის ერთგული მოხელე იყო, თავს „ყაენის ფერხთა მტვერს“ უწოდებდა. ხანგრძლივი ბრძოლა თეიმურაზსა და როსტომს შორის უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა. ქართლის თავადების შეთქმულებები როსტომის წინააღმდეგ უსუსური აღმოჩნდა. ვერც რუსეთი მოეშველა თეიმურაზსა და მის მოხრეებს. ამავე დროს ერანი როსტომს ენერგიულად ეხმარებოდა: 1648 წელს კახეთის მეფემ ომი წააგო და როსტომმა კახეთი დაიჭირა. თეიმურაზი იმერეთს იღტოდა. კახეთი შაჰმა როსტომს მისცა სამართველოდ.

ქართლი როსტომ-ხანის დროს. ერანის აგენტის გამარჯვება „ქართველობის“ იდეიის დამარცხება იყო. როსტომმაც სწორედ იმით გაიმარჯვა, რომ „ქართველობას“ შეურიგებელი ბრძოლა არ გამოუცხადა. როსტომის პოლიტიკური ღონისძიებები ქართულ სოციალ-ეკონომიურ წყობას არც შეხებიან. აქ ყველაფერი უცვლელად დარჩა. არც ქრისტიანობა განიცდიდა მის დროს ქართლში ოფიციალურ დევნას. გამაჰმადიანება უმთავრესად ფეოდალ მოხელეთა უმაღლეს წრეებს შეეხებოდა. საშიშროდ ქვეყანა დიდი ხნის ნანატრ მშვიდობიანობას ელირსა. შეწყდა ყიზილბაშთა თარეში. თავადების ურთიერთისადმი მიხდომ-მოხდომაც თანდათან შენელდა. ქვეყანაში როსტომმა ადმინისტრაციული წესიერება დაამყარა. გახიზნული ხალხი უკან დაბრუნდა. სოფლებმა მოშენება იწყეს. აქა-იქ ქალაქებშიც აღდგნენ, ეკრო-ხელოსნობა გამოცოცხლდა. ქვეყანაში დოვლათი დატრიალდა.

ასეთს პირობებში ქართლის ფეოდალების უმრავლესობა თანდათან შეურიგდა როსტომ-ხანის კომპრომისულ პოლიტიკას. ამიერიდან ქართველობისათვის ბრძოლა განსხვავებულს პირობებსა და ფორმებში მიმდინარეობდა. შეურიგებელი თეიმურაზი თავისი ერთგული მომხრეებით გარიყა და იძულებული შეიქმნა ასპარეზიც დაეცალა.

ბრძოლა ამის შემდეგაც არ შეუწყვეტია ქართველობისათვის დაუღალავ მებრძოლს.

თურქმანების ჩამოსახლება კახეთში. თეიმურაზის პოლიტიკური საქმიანობა შაჰს არ ასვენებდა. ამავე დროს არც კახეთში გადაილიენენ თეიმურაზის მომხრეები. განსაკუთრებით აქტიურობდა მთიანეთი. კერძოდ, თუშები. ფშაველები და ხევსურები თეიმურაზისადმი თავიანთ ერთგულობას ეფიცებოდნენ მოსკოვის მეფე „ალექსი მიხაილოვიჩს“, მორჩილებას უცხადებდნენ უკანასკნელს და მზად იყვნენ მტერზედ სალაშქროდ. ასეთს პირობებში ერანში ერთხელ კიდევ გაცოცხლდა შაჰაბასის გეგმა: კახეთში თურქმან მომთაბარეთა ჩასახლება. ამ საქმის

შესრულება ეჭვიანმა შაჰმა არ მიანდო ჩოსტომ-ხანს. ამიტომ კახეთი ჩამოართვეს ამ მოხუცს და ისევ განჯის ხანს სელიმს გადასცეს (1656 წ.).

სელიმ-ხანი დაეალების შესრულებას ეწერგიელად შეუდგა. სულ რაღაც ორი წლის განმავლობაში ადერბაიჯანიდან მან თურქმანთა დიდი ერდოები ჩამოასახლა კახეთში. თურქმანებმა დაიჭირეს ბახტრიანი, ალავერდი და სხვა მნიშვნელოვანი პუნქტები.

ეს საქმის დასაწყისი იყო. სელიმ-ხანი მთელი შეგნით და გარეკახეთის ბარის თურქმანებით დასახლებას აპირებდა. ამავე დროს ლეკიაბრაგები სასტიკად არბევდნენ და ატყვევებდნენ კახელ გლეხთა მშვიდობიან მოსახლეობას. სელიმ-ხანი ამ ლეკებში თავის მოკავშირეს ხედავდა და მათ წინააღმდეგ ბრძოლას გაურბოდა. კახეთი გადაშენება-მოსპობის აშკარა საფრთხის წინაშე დადგა. თურქმანები მთელს კახეთს თავიანთ ყიშლალ-ეილაღებად გადაქცევას უპირებდნენ.

ბახტრიანს სხედან თათრები,
სიტყვას ამბობენ ძნელსაო:
ახმეტას ჩაეჭრით ვენახსა
შიგ დაეასახლებთ ელსაო.

ლეკი-აბრაგები მთელს ქართულ მოსახლეობას ტყვეებად დაყოდვას ემუქრებოდნენ. მაგრამ საფრთხე მხოლოდ კახეთის ბარში მცხოვრებთ ხოდი უდგა. კახეთის მთიანეთის მოსახლეობა „სულით და ხორცით" ბართან იყო დაკავშირებული. კახეთის ბარი მთიანეთის მარჩენალი იყო. ბარის პურითა და ღვინით გადიოდა ოლას მწირი მთის მოსახლეობა; ბარის საზამთრო საძოვრებისაგან იყო დამოკიდებული მთიანეთის მეცხვარეობა; კახეთის ბარი იყო ის ადგილი, სადაც მთის ჭარბი მოსახლეობა სულ მუდამ ესახლებოდა.

კახეთის აჯანყება. კახეთში მრისხანე აჯანყება მოემზადა. საყოველთაო საფრთხემ საყოველთაო აჯანყება შობა. მიწა-მამულის დასაცავად, სოციალისა და თავისუფლების დასაცავად მთელი ქვეყანა წამოიშალა. კახი, თუში, ფშავ-ხევსური, მთიულ-მოხევე ზვავად მოსქდა და სამინელის დაკერით ერთბაშად გაწმინდა უცხოელ ჩამოსახლებულთაგან სამშობლო მიწა-წყალი. ბახტრიანს, ალავერდს თუ სხვაგან შიგნით კახეთში არც ერთი თურქმანი არ გაუშვიათ. სელიმ-ხანი თავქუდმოგლეჯილი გადაიხვეწა (1659 წ.).

აჯანყების მიზნები. ეს აჯანყება ორ მთავარ მიზანს ისახავდა: კახეთის გაწმენდას ჩამოსახლებულ თურქმანებისაგან და ქვეყნის განთავისუფლებას ერანის ბატონობისაგან. პირველი ამ მიზანთაგან უახლოესი იყო. აქ აჯანყების ყველა მონაწილენი თავადი თუ გლეხი, მთიელი თუ ბარელი თბნაბრად დაინტერესებული იყვნენ და შეურიგებელი ბრძოლა სრულს გამარჯვებამდის ყველასათვის უდავო იყო. მეორე მიზანი უფრო „შორეული" იყო და აჯანყებულთა ფეოდალურ ნაწილში მის შესახებ ერთსულოვნობაც კი იყო.

ბალხის ამ საშინელმა რისხვამ ძლიერად იმოქმედა აგრესორზედ. ერანში დაინახეს, რომ შაჰაბასისეული კახური გეგმის განხორციელება

მათ არ შეუძლიათ. კახეთის თურქმანებით დასახლების გეგმა დროებით უარყვეს. მარცხის გამოსასწორებლად შაჰმა სელიმ-ხანის ნაცვლად სხვა მოხალე მ უ რ თ უ ზ-ა ლ ი-ხ ა ნ გამოგზავნა დიდის ლაშქრით.

რაკი აგრესორმა კახეთში თურქმანების ჩამოსახლების გეგმა უარყო, ამით აჯანუების ერთი მთავარი მიზანი მიღწეული იყო. ამის შემდეგ მურთუზ-ალი-ხანმა აჯანყებულთა ფეოდალური ნაწილის დეზორგანიზაცია ადვილად მოახერხა. აოხრების მუქარით თუ დაყვავება-მოსყიდვით ხანმა გადაიბირა აჯანუების ნაკლებად აქტიური მონაწილენი. თავადები მრავლად გადაუდგნენ თანამებრძოლთ და შაჰს „თავი დაუკრეს“. აჯანყების მთავარი მომწყობი ზაალ არაგვის ერისთავი თავისი მომხრეებით დამორჩილებას არ ფიქრობდა.

აჯანყების ფეოდალური ხელმძღვანელობის დამარცხება. მაგრამ ზაალის და მისი მომხრეების საქმე ცუდად წავიდა. ქართლში როსტომ ხანი გარდაიცვალა — 1658 წ. და მისი ადგილი ერანის მომხრე ვახტანგ მუხარანბატონმა (შ ა ჰ ნ ა ვ ა ზ ი) დაიჭირა. მოსკოვის მეფის მხრით დახმარების უიმედობამ და ერანის მომხრე შაჰნავაზის ენერგიულმა მოქმედებამ ქართლის ფეოდალების ანტირანული დასი შეაშინა. არც თეიმურაზის მხლებელმა თავადებმა გაუპირეს მეფეს აჯანყებულ კახეთში გასაბატონებლად ჩასვლა. თავადებს შეშფოთდათ ზაალის პირველობა და არც ამ აჯანყების საბოლოო გამარჯვება სწამდათ. ამავე ხანებში იმერეთში გარდაიცვალა ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ ე ფ ე, მოსკოვის მეფის ყმა და თეიმურაზის ერთგული მოკავშირე (1660 წ.). ამის შემდეგ იმერეთი დიდიხნით ფეოდალურმა ანარქიამ მოიცვა. ეს გარემოება ანტირანული დასის დიდი დანაკლისი იყო. ზაალ ერისთავმა მაინც ჭიდი არ მოიხარა და ბრძოლას განაგრძობდა. 1661 წელს შაჰნავაზმა ზაალი დალუპა. არაგვის ერისთავი მისმავე ძმისწულებმა მოკლეს. ერთს ამ მოღალატეთაგანს — ო თ ა რ ს შაჰმა არაგვის ერისთავობა უწყალობა. ზაალის თანამებრძოლები გატყდნენ. შ ა ლ ვ ა ქ ს ნ ი ს ე რ ი ს თ ა ე ი, მისი ძმა ე ლ ი ზ ბ ა რ და ბ ი ძ ი ნ ა ჩ ო ლ ა ყ ა შ ვ ი ლ ი მორჩილებით ეახლნენ შაჰს და დანაშაულის შენდობა ითხოვეს. შაჰმა ისინი თურქმანთა იმ ურდოებს გადასცა, რომელთა მეტომეები აჯანყებულმა კახელებმა გაჟლიტეს 1659 წელს. თურქმანებმა აჯანყების ეს სამიეე მეთაური დახოცეს.

თეიმურაზის გამგზავრება შაჰის კარზედ. ალექსანდრე მეფის სიკვდილმა და იმერეთში გამეფებულმა ანარქიამ უკანასკნელი ენერგია დაუშრიტა მოხუც თეიმურაზ მეფეს. ყოველი მხრით იმედგადაწურულმა უმიწაწყლო მეფემ „თავი დაუკრა“ ყაენს. თეიმურაზი შაჰს ეახლა. ეს ერანის დიდი გამარჯვება იყო. აგრესორს დამორჩილდა თავისუფალი საქართველოს უკანასკნელი წარმომადგენელი, ერანელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ორმოცდაათწლოვანი გმირული ბრძოლის მესაჭე. საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისითაც რუსეთის თავდადებული მომხრისა და ყმის შაჰისადმი დამორჩილება ერანის დიდი წარმატება იყო. ამდენიდენ ეს იყო ამიერკავკასიაში მოსკოვის მეფის საგარეო პოლიტიკის მარცხი.

შაჰნავაზის ლაშქრობა იმერეთში. 1661 წელს შაჰნავაზი იმერეთის საქმეებში ჩაერია. ამ დროს იქ ვამეყ დადიანი გამეფებულიყო. იმერეთის თავადები თავს არ უდებდნენ მას და შაჰნავაზს ეპატრონებოდნენ. ვამეყ დადიანი სვანეთს გაიქცა. შაჰნავაზმა ოდიში დაიჭირა და დადიანად ვამეყის მოქიშპე შამადაული დასვა. ოდიშში შაჰნავაზს აფხაზეთის მთავარიც ეახლა და ყმობა გამოუცხადა. შაჰნავაზმა იმერეთის მეფედ თავისი შვილი არჩილი დასვა, თითონ კი მძევლებით, ტყვეებით და დიდძალი განძეულობით ქართლში დაბრუნდა.

თეიმურაზის ხიკვდილი ახტრახადის ციხეში. მეტად სასიამოვნო იყო შაჰისათვის თეიმურაზ მეფის დამორჩილება. შაჰი არწმუნებდა თეიმურაზს, რომ კახეთის ბატონობას მის შვილისშვილს ერეკლეს მისცემდა, თუ უკანასკნელი მოსკოვის ხელმწიფის ყმობას უარყოფდა, ერანის ბატონობას აღიარებდა და შაჰს ეახლებოდა. ამ დროს ერეკლე მოსკოვიდან თუშეთს მოსულიყო და კახეთის დაპერას ცდილობდა.

თეიმურაზმა სანდო კაცები მიუელინა თუშეთში ბატონიშვილს. ერეკლე არ მიუვიდა შაჰს. უკანასკნელ თეიმურაზს გაურისხდა. ბატონიშვილის მოუსელელობა მას დააბრალა. შაჰის ბრძანებით მეფე დააპატიმრეს და ასტრაბადის ციხეში გამოკეტეს. სამოცდათოთხმეტი წლის მოხუცმა ახალი ტანჯვა ველარ აიტანა და ჩქარა იქვე პატიმრობაში გარდაიცვალა (1663 წ.). შაჰმა ნება დართო ალესრულებინათ პატიმრის უკანასკნელი სურვილი: კახელებმა მისი ცხედარი საყვარელ სამშობლოში მოასვენეს და მამაპაპათა სასაფლაო ალავერდს დიდის ამბით დაკრძალეს უკანასკნელი „ქართველი“ მეფე.

არჩილის დამტკიცება კახეთის ხანად. ლიხთ-იმერეთის ფეოდალების იმ ნაწილმა, შაჰნავაზის ლაშქრობის შედეგად რომ დაზარალდა, სტამბოლს მიაშურა და „ყიზილბაშთა ხანის“ მიერ „ხვანთქრის საბატონოს“ დაპერა ოსმალეთის სულთანს შესჩივლა. სულთანმა ერანის შაჰს არჩილ მეფის იმერეთიდან გაყვანა მოსთხოვა. ყაენის ბრძანებით შაჰნავაზმა თავისი შვილი იმერეთიდან წამოიყვანა (1663 წ.).

შაჰმა ერთგული ყმები არ მოიძულა. არჩილი ერანს დაიბარეს, მაჰმადიანობა მიალებინეს და კახეთის ხანად შეიწყალეს. ამ დროიდან ვიდრე 1775 წლამდის მამა-შვილს მტკიცედ ეპყრათ ქართლ-კახეთი.

ქართლის ეკონომიური დაწინაურება. ქართლის ეკონომიური წინსვლა, როსტომ ხანიდან რომ დაიწყო, შაჰნავაზის დროს კიდევ უფრო სწრაფად მიდიოდა. ფეოდალებმა ფრიად ინტენსიური სამეურნეო საქმიანობა გააჩაღეს. ჰყიდულობდნენ ტყვეებს და სხამდნენ გლეხებად, გადმოიბირებდნენ მეზობელ ქვეყნებიდან გლეხებს, ეძებდნენ და უკან აბრუნებდნენ დიდის ხნის წინ აყრილ-გაჭცეულ საკუთარ ყმებს. აშენებდნენ ზვრებს და ბაღებს, აკეთებდნენ მარნებს, წისქვილებს და ზეთსახდელებს. გაჰყავდათ სარწყავი არხები, აგებდნენ ქარვასლებს, ხიდებს, სასახლე-კოშკებს, ბოსელ-საკლინიბოებს. ასეთი საქმიანობის შედეგად იქ, სადაც დიდხანია „ქვა ქვაზედ არ იდგა“, თანდათან გაჩნდნენ დაბა სოფლები, გაცოცხლდნენ ან კიდევ ახლად წარმოიშვნენ ქალაქები.

ქართლი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში XVII — XVIII საუკუნეთა მიჯნაზე

მე-17 საუკუნის უკანასკნელ მესამედში და მე-18 საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველო დაუცხრომელ ბრძოლას განაგრძობდა აგრესორთა ბატონობისაგან განსათავისუფლებლად. ბრძოლის წამყვანი ისევ ქართლი იყო. ერანელთა ბატონობის მიუხედავად ქართლი აღნიშნულ დროს როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად წინ მიდიოდა. მისი გავლენა მეზობელ ქართულ სამეფო-სამთავროებზე სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.

დიდი მარცხის შედეგად ქართულ საზოგადოების საუკეთესო ნაწილი გაძოელილ ბრძოლებს იგონებდა და გადასულ მებრძოლთა საქმიანობის შეფასებას ახდენდა. საქართველოს ძალთა გაუერთიანებლობა, თავადების თვითნებობა, ურთიერთის გაუტანლობა, აულაგმავი სოციალური ჩაგვრა, — მიაჩნდათ საქართველოს ამ დიდი მარცხის მიზეზად.

ბრძოლის საშუალებანი. ამის შესაბამისად სახავდნენ შემდგომი ბრძოლის საშუალებებს. ფიზიკურ საშუალებათა გვერდით თანდათან შემოუშავდა აგრესორთა წინააღმდეგ იდეური ბრძოლის საშუალებანი. ამ მიზანს ემსახურებოდნენ ამ დროის ქართული პოეზია, მეცნიერება, პროპაგანდა. თანდათან შეიქმნა იდეურ-პოლიტიკურ მოღვაწეთა ძლიერი დასი: პოეტები, მეცნიერები, სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწენი. შაჰნავაზის შვილები: არჩილ მეფე (1661....), გიორგი მეფე (1676-1709 წლ.) და ამათი ძმისწული ვახტანგი (1703 — 1724) ამ ბრძოლის ხელმძღვანელები იყვნენ. თავადების პოლიტიკური უფლებების შეზღუდვა, სახელმწიფო, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მოწესრიგება, ქვეყნის ეკონომიური წინსვლისათვის ხელის შეწყობა იყო მათი საშინაო სამოქმედო პროგრამა. მეორეს მხრით მათი მიზანი იყო ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გადაქცევა, ხოლო დასავლეთ საქართველოს მეფე მთავრებთან პოლიტიკური კავშირი. საქართველოს პატრიოტებს ერანიც და ოსმალეთიც ორივე თანაბრად შეურიგებელ მტრებად მიაჩნდათ—ერთი „ფოცხვერი" იყო, მეორე „ბაბრი" — და ეძებდნენ მათ წინააღმდეგ მოკავშირეებს. მოკავშირედ, ბუნებრივია, ქრისტიანული ქვეყნები იგულისხმებოდნენ, მაგრამ ისეთი, რომელსაც რეალური დახმარება აღმოეჩინა, არავინ იყო.

მე-17-18 საუკუნის მიჯნაზე ქართველ პატრიოტთა ეს დასი თანდათან იზრდებოდა. ასეთი მოღვაწენი ამ დროს ქართლის გარდა მოიპოვებოდნენ კახეთშიაც და დასავლეთ-საქართველოშიაც.

1676 — 1688 წლებში ქართლში გიორგი ვახტანგის ძე მეფობდა. ერანისადმი მორჩილებას ის უფრო ნაკლებად ითმენდა, ვიდრე მამა მისი და აჯანყებისათვის საიდუმლოდ ემზადებოდა. შაჰმა შეუტყო განზრახვა და ის მეფობიდან გადააყენა. გიორგი არ დაემორჩილა შაჰის ბრძანებას და აჯანყდა. მის ადგილზე შაჰმა თეიმურაზის შვილიშვილი ერეკლე დანიშნა. ეს უკანასკნელი რუსეთიდან კარგა ხანია წა-

მოსულიყო და თაეის ბედს შაჰის კარზედ ეძებდა. ქართლში ერეკლე 1688 — 1703 წლებში ბატონობდა. მან ქართლში ზოგი რამ წესების შეცვლა განიზრახა. ამით ერეკლემ ქართლის ძლიერი თავადები გადაიმტერა. ბოლოს უკანუებული გიორგიც დამორჩილდა შაჰს და 1703 წელს ქართლის მეფობა ისევ მიიღო. მაგრამ შაჰმა ის ერანში დაიტოვა, ხოლო ქართლში მეფის მოადგილედ (ჯანიშინი) მისივე ძმისწული ვახტანგი დანიშნა.

ქართლიდან გაწვეულს ერეკლეს ყაენმა კახეთი უწყალობა. ამავე დროს იგი თაეის ყულარაღასად (სასახლის გვარდიის სარდალი) დანიშნა. ერეკლე ისპაანში დარჩა. კახეთის მმართველობა კი მის შვილს დავითს ებოძა (1703 წ.).

დასავლეთ-საქართველო XVII საუკუნეში

XVII საუკუნეში დასავლეთ-საქართველო თანდათანი დაცემის გზით მიდიოდა.

ქვეყნის პოლიტიკური დაშლა ალნიშნულ საუკუნეში კიდევ უფრო გაღრმავდა. უკვე სამეფო-სამთავროებს შორის გამუდმებული ომები იყო. ფეოდალური ომი გამარჯვებულს იმდენად არ აძლიერებდა, რამდენად დამარცხებულს ანადგურებდა. საბოლოო ჯამში ქვეყნის საწარმოო ძალები სასტიკად ეცემოდა და პოლიტიკურად უველა სუსტდებოდა.

ფეოდალურად დაშლილ-დასუსტებულ სამეფო-სამთავროებს გარეშე მტერი სულ ეფრთხილეფრო ეუფლებოდა. XVII საუკუნის დასაწყისიდანვე ჯერ გურიელმა და დადიანმა, ხოლო უფრო გვიან იმერეთის მეფემაც იკისრეს ოსმალთა ყოველწლიური ბარაკი. ოსმალთა ხარკი ცალკეულ სამეფო-სამთავროებისათვის სხვადასხვა იყო. მაგრამ უველასათვის საერთო ის იყო, რომ ეს ხარკი თანდათან იზრდებოდა. ოსმალთა გაბატონებას თვით ფეოდალები უწყობდნენ ხელს. მთელი XVII საუკუნის სიგრძეზე. ოსმალთა ჯარი არც ერთხელ არ შემოსულა დასავლეთ-საქართველოში თუ არ მეფის, დადიანის, გურიელის ან სხვა თავადების მოწვევით. მეზობლის მიერ შიშძლაერებული მთავრის ან მეფის მოწვევით ოსმალთა ლაშქარი XVII საუკუნეში არაერთგზის შემოდიოდა დასავლეთ-საქართველოში და საშინელი აოხრება-დარბევით „წესრიგს“ აღადგენდა. ასე რომ დასავლეთ-საქართველოს ფეოდალები, რასაც საკუთარის ხელით ვერ ანადგურებდნენ, იმას ოსმალეთს ანადგურებინებდნენ.

XVII საუკუნის 60-ანი წლებიდან მთელი დასავლეთ-საქართველო საშინელმა ანარქიამ მოიცვა. მეფის თუ მთავრების ხელისუფლება კიდევ უფრო დაეცა. ქვეყანა თავადების სათარეშოდ იქცა. დადიანი, გურიელი, ქართლის ბატონიშვილი, აბაშიძე თუ იმერეთის ბატონიშვილი თავადების სურვილით წარამარა სცვლიდნენ ერთმეორეს სამეფო ტახტზე.

თავადებმა მიიტაცეს და გაისაკუთრეს სამეფო ყმა-მამული. ერისთავ-

მოურავებმა ხელშეწყობა დაიჩემეს. მთაერები აუქმებდნენ საეპისკოპოსოებს, საწინამძღვროებს და იტაცებდნენ საეკლესიო მამულებს, საერო ფეოდალებმა დაიტაცეს საკათალიკოზო სოფლები.

ბოლომოულებელი ურთიერთზე თაედასხმანი სავსებით აჩანაგებდა მწარმოებელ მოსახლეობას. განმანადგურებელი ტყვეობის-სყიდვა მძვინვარებდა. კავკასიონიდან ოსი და სვანი ტყვისმყიდველები დათარეშობდნენ. აფხაზ-ფეოდალებმა გააუერანეს ოდიშის დასაელეთი, ზღვისპირის აღგილებს ჯიქ-ჩერქეზები და აფხაზები მოსდებოდნენ, სამხრეთ-დასაელეთიდან გურულ-აჭარელი ტყვისმყიდველები აჩანაგებდნენ საკუთარ ქვეყანას. ტყვისმყიდველთა ბრბოებმა მოიცვეს არა მარტო განაპირა აღგილები, არამედ შიგნით რაიონებიც. ახალციხე, ბათომი, სოხუმი და შემდეგ ქუთაისი ტყვეებით ეაჭრობის პუნქტებად იქცნენ. ტყვის გამყიდველები ჩვეულებრივ თაეადები იყვნენ. მაგრამ ამ ეკლურ საქმეს ჩქარა სხვებმაც მიჰყვეს ხელი. მთაერები, ეპისკოპოსები, აზნაურები და მოყაზახე გლეხებიც კი „ტყვის სყიდეაში გაერივნენ". XVII-ში საერთოდ და განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში ტყვის სყიდვამ დასაელეთ-საქართველოში კატასტროფული ხასიათი მიიღო. ამ საუკუნეში დასაელეთ-საქართეელოდან ოსმალეთში ყოველწლიურად იყიდებოდა მთელი მოსახლეობის ჯანსაღი ნამატი.

ქვეყანაში სრული გაუკითხაობა მეფობდა. გლეხი საესებით ბატონის ანაბარა გახდა. საბატონყმო ურთიერთობა ყოელად აუტანელი შეიქნა. გამხეცებული ბატონისაგან გლეხი თავს იცავდა, რითაც და როგორც შეეძლო. მაგრამ ჩამოთვლილს ფეოდალურ ქვეყანაში გლეხთა ბრძოლა ორგანიზებული ვერ იყო. გლეხობა გაუერთიანებელი იყო. მათი საერთო გამოსვლა არ ხერხდებოდა. დაქსაქსულად იბრძოდნენ ცალკეული გლეხები, ან ცალკეული მებატონის ყმები, ერთი კატეგორიის გლეხები ან კიდეე ცალკე სოფლები. აუტანელ პირობებში მოქცეულ გლეხობას საშეურნეო საქმიანობის სტიმული ალარა ჰქონდა და ქვეყანა უფრო და უფრო ღარიბდებოდა. სიღატაკეს ხშირი შიმშილობა თანხდეედა, შიმშილობას ჭირი მოჰყეებოდა და ყველა ერთად ქვეყანას აეერანებდა.

ბუნებრივია, გლეხობა, ეისაც კი ამის შეძლება ჰქონდა, გარბოდა ამ ჯოჯოხეთად ქცეულ „სამშობლოდან". ესახლებოდნენ აღმოსაელეთ საქართველოში, სადაც ამ დროს, შედარებით, წესიერება სუფეედა.

XVII საუკუნის სოციალურ-პოლიტიკური პირობების შედეგად მოსახლეობის რიცხვი დასაელეთ-საქართველოში ერთი ორად შემცირდა.

XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან დასაელეთ-საქართეელოს პოლიტიკური მეთაელყურეობა და იქაური საქმეების ოსმალთა ინტერესების თანახმად მოგვარება ბონთქარმა ახალციხის ფაშას დააეალა. ჩქარა ახალციხის ფაშა მთელი ლიხთიქითის პოლიტიკური ცხოეების მომწესრიგებელი შეიქმნა. ფაშა განსრახ აღეიეებდა ხოლომოულებელ შფოთს დასაელეთ-საქართეელოში: ქვეყნის დასუსტება ოსმალეთის მიზანი იყო. ამაეე დროს ასეთი მდგომარეობა ფაშისათეის დიდი შემოსაელის წყარო

იყო. თითოეული მებრძოლი მხარე „სამართალს“ და „ხელის აპყრობას“ ფაშისაგან დიდი ქრთამის გაღებით მოულობდა.

XVII საუკუნის 70-იან წლებში იმერელმა თავადებმა ოსმალთა ჯარი ქუთაისის ციხეში შეიყვანეს. ამით გარეშე მტერმა ქვეყნის შუა გულში ფეხი მკვიდრად მოიკიდა.

ვახტანგის მოღვაწეობა

ვახტანგ ჯანიშინის მოღვაწეობა XVII საუკუნის ქართლის განვითარების ყოველმხრივი შეჯამება იყო. ქართლის საზოგადოებრივ თუ სახელმწიფოებრივი ცხოვრების არც ერთი მხარე არ დარჩენილა, რომელსაც ვახტანგი არ შეხებოდეს.

სახელოების ძველს პატივში აღდგენა. საქმე ერეკლეს დროის „შემლილი“ წესების აღდგენით უნდა დაწყებულიყო. ასეც მოხდა. უპირველეს ყოვლისა ერეკლეს მომხრენი გადააყენეს. ერეკლეს მიერ დასჯილთავადებს „უბრალოდ წართმეული“ ყმა-მამულები უკან დაუბრუნეს და საერთოდ „რომელიც ამგვარი უბრალო საქმეები იყო, ყველა ისევ მოშალეს“. შემდეგში ზომა დარღვეული საეკლესიო სამართლის აღდგენა იყო. ვახტანგის ინიციატივით მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება, კრებამ გადააყენა ერეკლეს მიერ დასმული კათალიკოზი და მცხეთის კათალიკოზად ჯანიშინის ძმა დ ო მ ე ნ ტ ი აირჩია. დომენტის სახით ვახტანგმა ქართლის ეკლესიაში ერთგული მომხრე გაიჩინა. ამ აქტს ჩქარა მცხეთის ეკლესიის მემამულეობის აღდგენა მოჰყვა. ეს საქმე უმთავრესად კახეთს შეეხებოდა. სადაც კარგა ხანია მცხეთის საქონებელი ხანებს და თავადებს ჰქონდათ მიტაცებული.

კახ ფეოდალებს მინატაცები ყმა-მამულის დაბრუნება არ სურდათ. 1707 წელს დომენტი კათალიკოზმა შაჰის ბრძანებით ფეოდალებს მინატაცები უკან დააბრუნებია. დომენტი ვახტანგის მომხრე იყო. ამიტომ საკათალიკოზო ეკლესიის ასეთი გაძლიერება ვახტანგის გაძლიერებას უწყობდა ხელს.

„მყრელობა“. „შემლილი“ წესების აღდგენის გზით უმთავრესი ღონისძიება მაინც სხვა იყო. 1707 წელს შაჰმა ნება დართო ვახტანგს და ქართლის თავადებს უკან მოერეკათ ერეკლეს დროს და მისი პოლიტიკის შედეგად ქართლიდან კახეთს გახიზნული ყმები. არც კახეთის მმართველს და არც კახ ფეოდალებს ხიზნების დაბრუნება არ სურდათ. კიდევ უფრო ნაკლებად ეხალისებოდათ თვით გლეხებს ჯალათ მებატონეებთან დაბრუნება. საჭირო გახდა შაჰის მიერ საგანგებო მოხელის მოელენა, რომ იმამყული ხანი და კახი თავადები შაჰის ბრძანებას დამორჩილებოდნენ და ქართლელ ხიზნებს შელეოდნენ. შეიქნა „მყრელობა“. ვახტანგის მოხელეები და ქართლის ფეოდალები მეძებრებივით მოედვნენ კახეთს და თავიანთ გლეხებს ჰყრიდნენ. საგანგებო ზომების მიუხედავად ყველა გლეხის დაბრუნება შეუძლებელი შეიქნა. ხიზნები სარგებლობდნენ, რომ თითოეული მებატონე ცალკე დაეძებდა თავის გლეხებს და თავს

იცავდნენ, როგორც შეეძლოთ. სუსტ მებატონეებს არ ნებდებოდნენ და იარაღით ხელში უმკლავდებოდნენ, ძლიერებს გაურბოდნენ, ემალებოდნენ. გაქცეულთ კახელი გლეხები, მთიელები იფარებდნენ...

კანონმდებლობა. ამავე ხანებში ქართლის ჯანიშინის კარზე ინტენსიური საკანონმდებლო მუშაობა იყო გაჩაღებული.

ვიდრე საკუთარ სამართლის წიგნს გააჩენდა, ვახტანგმა შეაგროვა ძველი ქართული თუ უცხოური (ებრაული, ბერძნული, სომხური) სამართლის წიგნები და ერთ კრებულად შეკრა ისინი. ამ კრებულს შემდეგ საკუთარი „სჯულიც" დაურთო.

თავისი სამართლის წიგნი ვახტანგმა დარბაისელთა (ე. ი. საერო და საეკლესიო მაღალი ფეოდალების) უშუალო მონაწილეობით შეადგინა. რაღა თქმა უნდა, ეს კანონმდებლობაც უპირველეს ყოვლისა ქვეყნის ამ საზოგადოებრივი კლასის ინტერესებს ემსახურებოდა.

ეს კანონთა წიგნი ვახტანგმა ქართლისათვის შეადგინა, მაგრამ ის ბუნებრივად გავრცელდა და ჩქარა მთელს ფეოდალურ საქართველოში მოქმედ სამართლის წიგნად იქცა.

დასტურლამალი. ვახტანგის მოღვაწეობის ამავე ხანას ეკუთვნის მისი მეორე საკანონმდებლო ძეგლი — დ ა ს ტ უ რ ლ ა მ ა ლ ი. დასტურლამალი სახელმწიფოს ძირითადი კანონის მაგიერი რამ იყო საშუალო საუკუნეებში.

ამრიგად, ამიერიდან ქვეყანას სახელმწიფო და კერძო წერილობითი სამართალი კვლავ გაუჩნდა.

ვახტანგის სამეურნეო მოღვაწეობა. ქართლი ვახტანგის დროს ეკონომიურად კიდევ უფრო დაწინაურდა. თვით ვახტანგი ამ მხრივ ენერგიულად მოღვაწეობდა. მან ხელახლა დაასახლა გლეხებით დიდი ხნის წინ დაცლილი სოფლები და მთელი მხარეები (თრიალეთი, ბაიდარი, ტაშირი, საბაშიო), ააგო სასახლეები (თბილისს, გორს, კოჯორს), ქარვასლები; ჯანიშინი ზრუნავდა გზებისა და ხიდების მოვლა-შენახვაზე, სახელმწიფო და სამეფო შემოსავლის მოწესრიგებაზე, ფულის მოჭრის საქმის გაუმჯობესებაზე; ვახტანგმა განაახლა დიდი ხნის წინ მოშლილი სარწყავი არხები (ყარაიას, სომხითს, ხუნანს, შიდა-ქართლს, საბაშიოს).

ძველი არხების ეს განახლება დიდმნიშვნელოვანი გარემოება იყო. გამოვლილი უდროობისას შეფერხებული სამეურნეო ცხოვრება კვლავ თავის უფლებებში შედიოდა. თურქმანულ-ყიზილბაშური ექსტენსიური მეჯოგეობა ინტენსიურ მეურნეობას კვლავ ადგილს უთმობდა. ველსა და ტყეს ბაღ-ვენახი, ხოლო მომთაბარე ურდოს კვლავ სოფელი და ქალაქი სცვლიდა.

სარწყავად ქცეულ მდიდარ ჭალებში ვახტანგი აბრეშუმისა და ბამბის კულტურის მოშენებას ცდილობდა. არა ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ის მეურნეობის სხვა დარგებსაც: მევენახეობას, მეჯოგეობას, მეპურეობას.

ასეთი სამეურნეო მოღვაწეობით გატაცება, რათქმაუნდა, მხოლოდ მეფის სახლს არ ახასიათებდა. ცხოველად საქმიანობდნენ სხვა ფეოდალებიც საერო თუ საეკლესიო.

თბილისი XVIII საუკუნის პირველ ოცეულში. ქართლის სამეურნეო ცხოვრების გაცხოველების შესაბამისად ვახტანგის დროის თბილისი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი გახდა. ამ დროს ქალაქში ოცი ათასზე მეტი მცხოვრები ითვლებოდა. ვაჭარ-ხელოსნები მრავალ „რიგებად" იყოფებოდნენ. თითოეული „რიგი" ერთ რაიმე საქმიანობას ეწეოდა. აქ აკეთებდნენ სამხედრო იარაღს, თოფის წამალს, ოქროსა და ვერცხლის სამკაულებს, საკრავებს, ჯურჭლეულს; ამზადებდნენ ბამბის ქსოვილებს, სამოსელს, ცხენ-აქლემის მოკაზმულობას და სხვ. ვაჭრობდნენ პურით, ბამბით, აბრეშუმით, ბეწვეულით, ფარჩა-მაუდით, ღვინით, მატყლით და ყოველგვარი წვრილმანით და სანოვაგით. კახური და ქართლური ღვინო თბილისიდან უცხოეთში მრავალად გაჰქონდათ. ერანსა და ოსმალეთს მიდიოდა თბილისიდან აგრეთვე ბეწვეული. ქართლ-კახეთიდან ოსმალეთისაკენ მიჰქონდათ აბრეშუმი და ენდრო დიდი რაოდენობით. ენდრო ქართლიდან ამ დროს ინდოეთშიაც მიჰქონდათ.

უცხოეთიდან თბილისში შემოჰქონდათ უმთავრესად მზა საქონელი ერანიდან, ოსმალეთიდან. ამ ქვეყნებზე გამოვლით შემოდიოდა ევროპული საქონელი, რომელსაც მაშინ ფ რ ა ნ გ უ ლ ი ეწოდებოდა. მაგრამ თბილისში ამ დროს გარედან სანოვაგეც შემოდიოდა: თევზი და ხიზილალა, შარვანის სახანოდან, თევზი და მარილი ერევნის სახანოდან, ზეითუნის ზეთი ოსმალეთიდან და სხვ.

ერთი სიტყვით, როგორც მოსახლეობის რაოდენობის მხრით, აგრეთვე სოფლის მეურნეობის, ხელოსნობის და ვაჭრობის მხრით ქართლი XVIII საუკუნის პირველ ოცეულში საქართველოს ყველა სხვა ნაწილებს დიდად წინ უსწრებდა.

აღნიშნული წინსვლის შესაბამისი იყო ცხოველი საქმიანობა კულტურის დარგში. ვახტანგი ამ საქმეში მარტო არ იყო და მის წამოწყებებს მხარს უჭერდა კულტურულ მოღვაწეთა მთელი დასი.

ხ წ ა ვ ლ უ ლ კ ა ც თ ა კ ო მ ი ს ი ა. კულტურის დარგში ვახტანგის მოღვაწეობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ზრუნვა საქართველოს ისტორიის შესაქმნელად. ამ მიზნით ვახტანგმა შეადგინა „ს წ ა ვ ლ უ ლ კ ა ც თ ა" კომისია ბ ე რ ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ს ხელმძღვანელობით. კომისიამ თავისი დროისათვის ღირსეულად შეასრულა ეს რთული საქმე, — შეადგინა საქართველოს ისტორია XIV საუკუნიდან XVIII საუკუნემდის.

ვახუშტი ბატონიშვილი. „ვახტანგის სკოლაში" აღიზარდა და ამავე ხანაში დაიწყო მეცნიერული მუშაობა გეოგრაფიულ-ისტორიული მეცნიერული საისტორიო მწერლობის ფუძემდებელმა ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ მ ა.

ხელნაწერები. ქართველ მეცნიერთა ამ დასს ეკუთვნოდა და სამართლიანად მის სიამაყეს წარმოადგენდა, ვახტანგის „აღმზრდელი" ს ტ ე ფ ა ნ (საბა) ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი — დიდი მეცნიერი ლექსიკოგრაფი, სახელგანთქმული არაკთა მწერალი, მეცნიერი რედაქტორი, პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე.

ასეთივე მრავალმხრივი იყო თეით ეახტანგის სამეცნიერო-სალიტერატურო მოღვაწეობა. გარდა იმისა, რომ მთელი ამ სამეცნიერო-სალიტერატურო მუშაობის პრაქტიკული და იდეური ორგანიზატორი იყო, ეახტანგი გვერდში უდგა ამ მოღვაწეებს, როგორც ლიტერატორი—რედაქტორი, ისტორიკოსი, პოეტი და მთარგმნელი.

რა თქმა უნდა, „ეახტანგის სკოლა“ დასახელებულ მოღვაწეებით არ ამოიწურებოდა და ამ „მწვერვალებს“ ღირსეულად თანამშრომლობდა მეცნიერ-მწიგნობრების და პოეტების მთელი დასი.

არჩილი. განსაკუთრებით მოსახსენებელია არჩილის ლიტერატურული მოღვაწეობა. ის წინ უსწრებდა „ეახტანგის სკოლას“.

არჩილის პოეზია იდეურობის ნიშნითია. დამპყრობელთა წინააღმდეგ შეუდრეკელი პოლიტიკური მებრძოლი არჩილი ერან-ოსმალეთს კულტურულ გაულენასაც ებრძოდა. არჩილის პოეზია სამშობლოს სიყვარულისა და მისთეის თავდადებული ბრძოლისაკენ მოწოდებაა. არჩილი აკეირდება საქართველოს მარცხის მიზეზს და სამართლიანად ხედავს მას ქვეყნის პოლიტიკურსა და სოციალურს ეითარებაში. არჩილი პირველი მწერალია საქართველოში, რომელმაც სოციალური საკითხები წამოაყენა ქართულს პოეზიაში და ეს იმიტომ, რომ არჩილის პოეზია უმთავრესად პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ო ე ზ ი ა ა. „ზოგთ ვაქებ და ზოგთ ვაძაგებ“ აცხადებს პოეტი და მართლაც დაურიდებლად ამხელს ალვირახსნილ თავადებს, უგნურ მეფეებს. მან პირველმა განაცხადა: „თუ ამოსწყდეს გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდა“. პოეტი კარგად ხედავდა, რომ გლეხთა ამოწყვეტის მიზეზი ფეოდალების მიერ მათი მიმძლავრება იყო. არჩილი ამხელს ფეოდალებს და მათ ლმობიერება-წესიერებისაკენ მოუწოდებს. ამ სოციალურ საკითხამდის არჩილი გლეხთა ინტერესს არ მიუყვანია. არჩილი ფეოდალი (-მეფე) პოეტი იყო. გლეხთა გამოსარჩლებამდის იგი მხოლოდ ფეოდალური საქართველოს დაცვის ინტერესმა მიიყვანა. ამიტომაცაა, რომ ის გლეხებს კლასობრიეი ბრძოლისაკენ კი არ მოუწოდებს, არამედ ფეოდალების მიმართ გამოთქმული საყვედურით და რჩევით კმაყოფილდება. მაგრამ იმ დროის პოეზიაში ესეც დიდი ამბავი იყო.

მცველთა ჯარი. თავის სახელმწიფო მოღვაწეობაში ეახტანგი მიზნად ისახავდა მეფის ხელისუფლების გაძლიერებას და თავადების პოლიტიკურ უფლებების შეზღუდვას. ამ ნიადაგზე ჩქარა დაიბადა უკმაყოფილება. თავადები ვერ ითმენდნენ იმ მცირე შეზღუდვასაც კი, ახლად შექმნილი წესები რომ ემუქრებოდათ და მტრული უნდობლობით უყურებდნენ მეფის ხელისუფლების გაძლიერებას. დიდ თავადებს განსაკუთრებით აფიქრებდათ, რომ ეახტანგმა „მ ც ვ ე ლ თ ა ჯ ა რ ი“ გაიჩინა. ეს მცველთა ჯარი ჯამაგირზედ იყო და ჯანიშინის ერთგული თავადიშვილებისა, აზნაურიშვილებისა და მსახურებისაგან შედგებოდა. ეს ჯარი მეთოფეთა სამ გუნდად იყოფებოდა. თითო გუნდს უზბაში (ასისთავი) სარდლობდა. ყველას ერთად მეფის ყულარაღასი. — მცველთა ჯარი განუყრელად ახლდა ჯანიშინს და მას მხოლოდ შინაპოლიტიკური დანიშნულება ჰქონდა.

ტყეთა სყიდვის აკრძალვა. ვახტანგის უკმაყოფილო მხოლოდ ზოგიერთი თავადები რიდი იყვნენ. ჯანიშინი არც ქართლის ყიზილბაშ მეცხოვნეებს მოსწონდათ. ვახტანგმა სასტიკად აკრძალა ქართლში ტყეის სყიდვა, რომელიც ერეკლეს დროდან ყიზილბაში მეცხოვნეების დიდი შემოსავლის წყაროდ ქცეულიყო.

ქართლი და დასავლეთ-საქართველო. XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართლში კვლავ აღდგა დასავლეთ-საქართველოს სამეფო-სამთავროთა საქმეებში ჩარევისა და მუდმივი ზეგავლენის პოლიტიკური ტრადიცია. აღნიშნული დროდან ქართლის მეფეები ამ საქმეში ახალციხის ფაშებს მეტოქეობდნენ. მაგრამ მეტოქეთა შორის დიდი განსხვავება იყო. ახალციხის ფაშები ოსმალეთის მოხელეებად გამოდიოდნენ და ამ აგრესორის ინტერესებს ახორციელებდნენ. ქართლის მმართველთა პოლიტიკა კი საქართველოს საერთო ინტერესებს ემსახურებოდა. XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართლი დაჟინებით ცდილობდა საქართველოს ფეოდალურ ძალთა გაერთიანებას, საქართველოს სამეფო-სამთავროთა ჰეგემონობას.

გიორგი მეფის სიკვდილი. ამ დროს ერანის აღმოსავლეთ ნაწილში ავღანთა დიდი აჯანყება იყო. ავღანები ერანის შაჰის მონობისაგან განთავისუფლებას ცდილობდნენ. აჯანყების ჩასაქრობად შაჰმა გიორგი ქართლის მეფე გაგზავნა ქართველთა და ყიზილბაშთა ჯარით. 1709 წელს გიორგი მეფე ამ ომში დაიღუპა. შაჰმა გიორგის მაგიერად ვახტანგის ძმა ქაიხოსრო დანიშნა. ვახტანგი ისევ ქართლის ჯანიშინად რჩებოდა. 1711 წელს ქაიხოსროც იმავე ავღანებთან ომში დაიღუპა.

ვახტანგი ერანში. ვახტანგი ერანს გაემგზავრა. შაჰისაგან მას უნდა ქართლის მეფობა მიეღო. ამოქმედდენ ვახტანგის მტრებიც: ზოგიერთი თავადები ქსნისა და არაგვის ერისთავების მეთაურობით, ტყეებით მოვაჭრე დეგენერატი ფეოდალები, ყველა მიმტაცებელ-მიმხვეჭელები და ყიზილბაში მეცხოვნეები. შაჰმა ვახტანგს გამაჰმადიანება მოსთხოვა. ვახტანგი უარზედ დადგა. მაშინ შაჰმა ქართლის ხანად მაჰმადიანი იესე დანიშნა, ხოლო ვახტანგი ერანს დარჩა ნახევრად პატიმარი (1714 წ.).

ქართლის ფეოდალების მოწინავე ნაწილი ვახტანგს ემხრობოდა და მის დახსნას ცდილობდა. ჯერ კიდევ 1713 წელს ამ მიზნით ევროპაში გაემგზავრა მეცნიერი ბერი საბა ორბელიანი.

საბა ორბელიანი ეწვია რომის პაპს, შემდეგ საფრანგეთის მეფეს ლუი XIV და 20 ათასი თუმანი სთხოვა მას. ამ ფულით, იმედი ჰქონდათ, ყაენის კარს მოისყიდდნენ და ვახტანგს ქრისტიანობით ქართლის მეფობას აშოვნინებდნენ. ქართველი დიპლომატი ევროპაში დიდის პატივით მიიღეს, მაგრამ ხელცარიელი გამოისტუმრეს. ამ გარემოებამ მწარედ გაუცრუა ქართველ პოლიტიკოსებს დას. ევროპის იმედები.

ეხლა ვახტანგის მომხრეებმა ისევ ნაკად გზას მიჰმართეს. დაჟინებით ურჩევდნენ ვახტანგს მაჰმადიანობის მიღებას. ამასობაში იესე სასტიკად აიწროებდა ქართლში ვახტანგის მომხრეებს.

1716 წელს ვახტანგმა დათმო. მიიღო მაჰმადიანობა და შაჰმაც მისცა მას ქართლი. მაინც 1719 წლამდის ვახტანგი ერანს დარჩა ყაენის სამსახურში. ქართლს კი მისი ძე ბაქარი მართავდა. 1719 წელს დაბრუნდა ვახტანგი და უნებურად შეწყვეტილი სასარგებლო სახელმწიფოებრიეი მოღვაწეობა განაახლა.

კახეთი XVII საუკუნის შეორე ნახევარში

XVII საუკუნის მესამე მეოთხედში კახეთი შესამჩნევად მოშენდა. საგარეო შვიდობა იყო. მმართველებმა (როსტომი, არჩილი) შეძლეს ლეკთა თარეშების აღაგმვა და ქვეყნის შიგნითაც შედარებით წესიერების დაცვა. ეს პირობა კი საკმაო აღმოჩნდა, რომ ხიზან-ბოგანო გლეხები საქართველოს თუ სომხეთის სხვადასხვა კუთხიდან მრავლად მისულიყვნენ ამ ბუნებით მდიდარს მხარეში.

1677 წლიდან ამ საუკუნის დასასრულამდის ერანის შაჰი კახეთს სამმართველოდ ან განჯის ბეგლარ-ბეგებს ან ცალკე ხანებს აძლევდა. შაჰის ეს ყიზილბაში მოხელეები მტრულად უცქეროდნენ კახეთში ქართველთა კელავ მოშენებას და ამ ქვეყნის თურქმანებით დასახლების ცდებს განაგრძობდნენ.

ლეკები კახეთში. ხანების ასეთი პოლიტიკის შედეგი იყო, რომ მათ საკმაო დასაყრდენი ვერ გაიჩინეს კახეთის მოსახლეობის ვერც ერთ ფენაში. მათი წინააღმდეგი იყვნენ ფეოდალები (თაეადები, ეკლესია) და მწარმოებელი საზოგადოებაც (გლეხები, მთა). ამიტომაც ხანები უმთავრესად ყიზილბაშთა სამხედრო ძალას და მოახალშენე თურქმანებს ეყრდნობოდნენ. შაჰის ეს მოხელეები ლეკებშიაც თაეიანთ მოკავშირეს ხედაედნენ. ისინი აშკარად ხელს უწყობდნენ ლეკთა მოსახლეობის გაძლიერებას კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში — ჰარში და არც ლეკთა იმ ბრბოების წინააღმდეგ იბრძოდნენ, კახეთის სოფლების სარბეველად რომ განუწყვეტლივ მოდიოდნენ. ჰარი კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა. ჰარში ლეკები ჯერ კიდევ XVI საუკუნეში გაჩნდნენ, აქ ისინი კახთა მეფეების ნებართვით და მათ ყმებად სხდებოდნენ. XVII საუკუნიდან შაჰაბასის მიერ კახეთის აოხრების შემდეგ ლეკების ჰარში ჩამოსელა განსაკუთრებით გაძლიერდა. აქ ამოწყვეტილი ან ერანში გადარეკილი კახური მოსახლეობის ადგილს დალისტნიდან გადმოსახლებულნი იჭერენ. ყიზილბაში ხანების აქტიური ხელის შეწყობით ჰარი ჩქარა გაძლიერდა და ახლობელი სოფლების დაპყრობას ხელი მიჰყო. ამავე დროს ჰარი კახეთის მარბიელ გადამთიელ ლეკთა დასტების სადგურად იქცა.

სხვადასხვაგვარად შეხვდნენ ლეკთა ჩამოსახლებას ფეოდალური კახეთის სოციალური კლასები. ჰარელმა გლეხებმა ლეკებში თავისი კლასობრივი მოძმე იცნეს. ისინი აუჯანყდნენ „საკუთარ“ ბატონებს, მშარი მისცეს ლეკებს და იფრინეს თავადები. XVII საუკუნის მანძილზე თანდათან ჩამოყალიბდნენ ჰარის, ბელქნის და თალას „უბატონო თემები“. კახელი ფეოდალები დიდხანს დაეინებით ცდილობდნენ საბა-

ტონად ხელი დაელოთ თავისუფალი მთიელებისა და „გალეკებული“ გლეხების ამ კავშირისათვის. ბრძოლა დაუნდობელი იყო: „ჰარში ალარ დარჩნენ ვაჟკაცები და კახეთში თავადები“. „უბატონო თემებმა“ მხნედ დაიცვეს თავისუფლება და კახი მებატონეების საშიში შეტევა საბოლოოდ უკუაგდეს.

XVIII საუკუნის დასაწყისიდან ლეკთა შემოტევა კიდევ უფრო გაძლიერდა. ჰარ-ბელაქანში საიმედო სადგური გაიჩინეს გადამთიელ ლეკთა დასტებმა და ჰარელ „ვაჟკაცებთან“ ერთად მუდამ დღე არბევდნენ კახეთის სოფლებს.

1711 წელს დავით ერეკლეს ძე შაჰს ეახლა, რათა ხელმწიფისაგან დახმარება მიეღო ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

კახეთის რბევას ლეკებს თვით კახელები უადვილებდნენ. კახელ თავადს ხშირად მოჰყავდა ლეკი მარბიელები თავისი მოქიშპე თავადის წინააღმდეგ. მებატონეების მძარცველობით თავმობეზრებული გლეხებიც ხშირად მიდიოდნენ ლეკებთან, უწინამძღვრებდნენ მათ და „საკუთარი“ მებატონის ავლადიდებას არბევინებდნენ. კახეთის გალმა-მხარში ფეხის მოკიდების მიზნით ჰარელები კახელ გლეხებს „ეშოკიჭულებოდნენ“, კავშირს სთავაზობდნენ მათ და თავადების წინააღმდეგ მოუწოდებდნენ. გალმა-მხრის სოფლებმა (გავაზი, შილდა და სხვ.) „პირი მისცეს“ ლეკებს, ჩაიყენეს ისინი და მათთან ერთად ქვეყანას არბევდნენ. კახეთის მეფემ და ფეოდალებმა განგაში ასტეხეს: ხიფათი კარზედ ადგათ. მოსალოდნელი იყო, რომ მძარცველი მებატონეებისაგან თაუმობეზრებული გლეხები სულ ერთიანად ლეკთა მხარეზე გადაეკიდნენ და მეფეს მისი ეპისკოპოზ-თავადებით კახეთში ფეხს ამოუკვეთდენ. მეფე შეშინდა მდგომარეობის შესახებ შაჰს და ახლობელ ხანებს ატყობინებდა და სწრაფად დახმარებას ითხოვდა.

ერანის, ოსმალეთის და რუსეთის ურთიერთობის ბრძოლა და საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში.

ქართლში დაბრუნებისას ვახტანგი სასტიკად გაუსწორდა ორგულ თავადებს. ზოგი დახვრიტა, ზოგი მონებად დაყიდა, ზოგს საგვარეულო მამული ჩამოართვა, ზოგს თანამდებობა. ვახტანგმა სწრაფად აღადგინა თავისი გაელენა დასავლეთ-საქართველოს ფეოდალებს შორის, მომხრეები გაიჩინა კახეთშიც და ჰარის დამორჩილების სამზადისს შეუდგა.

XVIII საუკუნის მეორე ოცეულ წლებში აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში ერთხელ კიდევ გათამაშდა სისხლიანი დრამა ძველი აგრესორების მონაწილეობით: ოსმალეთის, რუსეთის, ერანის. თითეული მათგანის როლი და მნიშვნელობა ეხლა სულ სხვა იყო, ვიდრე ამ ასი წლის წინ. შედეგებიც ეხლა მათთვის სხვა მოჰყვა ამ აქტს. უცვლელი მხოლოდ ერთი დარჩა: მთელი დრამა ეხლაც ადგილობრივ ხალხთა ზურგზედ გათამაშდა და ისეთივე დაწყებული შედეგებით, როგორც შაჰაბასის დროინდელი დაუვიწყარი კატასტროფა.

ერანში უნებური ყოფნისას ვახტანგი საბოლოოდ დარწმუნდა ამ სახელმწიფოს უიმედო სისუსტეში. ქართლის მეფე ჰხედავდა, რომ საქართველოს განთავისუფლების ჟამი მოახლოებულიყო. ვახტანგი ფრთხილად ემზადებოდა, მოშხრე-მოკავშირეებს ეძებდა და საქართველოს განსათავისუფლებლად „საქმის დაწყებას“ აპირებდა. მაგრამ ერანის დასუსტებას მარტო მისი „ყმები“ როდი ამჩნევდნენ. ამას ჰხედავდნენ მეზობელი დიდი სახელმწიფოებიც — ოსმალეთი და რუსეთი და, როგორც მგლების წესია, ნერწყმორეული აგრესორები მიხრწნილი „მოძმის“ ჩასასანსლავად ემზადებოდნენ და იჭვის თვალით ერთი მეორეს მტრულად ზეერავდნენ.

მთელი XVII საუკუნის მანძილზე რუსეთი ერანის მოკავშირედ ითვლებოდა. მაგრამ რუსი აგრესორი ჰხედავდა, რომ ერანელი „მოკავშირე“ ერთობ დაუძლურებულიყო. დროული იყო, ამიტომ, მისი მემკვიდრეობის შესახებ „ზრუნვა“ და „მეგობარმა“ ვერაგული გეგმა დააწყო: შეეწროვებულ „მოკავშირეს“ დახმარებას შესთავაზებდა, ხოლო ამის სამაგიეროდ საბრძოლო ქვეყნებს (კასპიის ზღვის სანაპიროებს დარუბანდიდან ასტრაბადამდის) „საჩუქრად“ მიიღებდა.

მაგრამ ერანის კრიტიკული მდგომარეობით სარგებლობას მარტო „მოკავშირე“ როდი ლამობდა. 1721 წელს ოსმალეთის პოლიტიკური ლონისძიებები ეჰქვს არ სტოვებდნენ, რომ ეს აგრესორიც ერანის იმ ნაწილის მიტაცებას აპირებდა, რომელზედაც რუსეთის მეფეს დიდიხანია თვალი ეჭირა. და რომ პეტრე მეფე პირშიჩალაგამოელებული არ დარჩენილიყო, მან გადაწყვიტა დაესწრო მეტოქისათვის და 1723 წლისათვის განზრახული ლაშქრობა 1722 წელს დაიწყო. ასეთს პირობებში ამიერკავკასიის ქრისტიანი ხალხების მიმზრობა რუსეთისათვის ფრიად მნიშვნელოვანი ამბავი იყო. პეტრე მეფის ბრძანებით ასტრახანის გუბერნატორმა ე ო ლ ი ნ ს კ ი მ ჯერ კიდევ 1720 წელს გაიბა მათთან დიპლომატიური მოლაპარაკება. რუსი მოხელე ქართლის მეფეს რუსთა მხარეზე მოუწოდებდა და „ურწმუნოთა“ მონობისაგან განთავისუფლების იმედს აძლევდა.

რუსეთისა და ქართლის პოლიტიკური ურთიერთობა XVIII საუკუნის 20-ან წლებში. ქართველები ამის უმჯობესს ვერაფერს ისურვებდნენ. ერანის საქმე ხელიდან წასული ჩანდა. საქართველოს განთავისუფლების მარჯვე დრო დამდგარიყო და სწორედ ეხლა „ერთმორწმუნე“ ხალხის დიდი ხელმწიფე თავისი „უტყუარის პირით“ მას კავშირსა და მფარველობას სთავაზობდა. რუსი დიპლომატის დაპირებათა შედეგად ვახტანგ მეფეს სინამდვილედ ესახებოდა სარწმუნო მდგომარეობა, როცა დიდი სახელმწიფოს დახმარებით ერანის მონობისაგან განთავისუფლებული საქართველო ოსმალთა მიერ ძალით ჩამოგლეჯილ ს ა მ ც ხ ე-ს ა ა თ ა ბ ა გ ო ს ე კ ა ნ დ ა ი ბ რ უ ნ ე ბ დ ა..

15 ივნისს 1722 წელს პეტრე მეფემ ერანს ლაშქრობის შესახებ მანიფესტი გამოაქვეყნა.

როგორც კი პეტრე ხელმწიფე თერგიდან დარუბანდისაკენ წამოვიდა,

ვახტანგ მეფე ქართლის ჯარით ყარაბაღს ჩაეიდა და ხელმწიფის შირვანს გამოსვლას ელოდა. პაემნის თანახმად რუსთა და ქართველთა ჯარები ერთიმეორეს იქ უნდა შეყროდნენ.

რუსთა ლაშქარმა უომრად გამოვლო ტარკი (შამხალი „თავისი ნებით" დამორჩილდა ხელმწიფეს), დაამარცხა დაღისტნელთა მცირე რაზმი და ასევე უომრად დაიპირა დარუბანდიც და კასპიის ზღვისპირი მდინარე სამურის შესართაებამდის. ამის შემდეგ კი საქმე გაწელდა.

1722 წელს სექტემბრის დამდეგს პეტრე მეფე დარუბანდიდან უკან დაბრუნდა. ნაჩქარევობის გამო ლაშქრობა ტექნიკურად მოუმზადებელი აღმოჩნდა. ამაღე დროს ოსმალეთთან ურთიერთობა სულ უფროდაუფრო უარესდებოდა. პეტრე მეფის გამოლაშქრებამ ოსმალეთი შეაშფოთა. მანაც სასწრაფოდ ჯარები დაძრა. საფრთხე იყო, რომ ორი აგრესორი სხვისი ქონების გაყოფაზე ერთიმეორეს დაეტაკებოდნენ. პეტრე მეფეს შორეულ ამიერკავკასიაში ოსმალეთთან ომი არ სურდა. ასეთ პირობებში საჭირო იყო მეტოქესთან შეთანხმება.

ვახტანგი სამ თვეს იდგა ყარაბაღში და პეტრე ხელმწიფის შირვანში გამოსვლას ელოდა. ბოლოს, ნოემბერში, მოუვიდა ვახტანგს რუსეთის მეფის ელჩი, რომელმაც პეტრეს ლაშქრობის მოშლა და მისი მომავალი წლისათვის გადადება აცნობა.

მჭმუნვარე ვახტანგი ყარაბაღიდან თბილისს დაბრუნდა. ქართლის მეფის საქმე მეტად გართულდა. ერანის შაჰი ვახტანგ მეფის უკმაყოფილო იყო. ორგულობას და ღალატს აბრალებდა. არც ოსმალეთი ჰყო ვახტანგის მადლიერი. ხონთქარი ვახტანგს რუსთა მომხრეობას აბრალებდა. თავის მხარეზედ მოუწოდებდა წინაალმდეგ შემთხვევაში დაპყრობით ემუქრებოდა.

ვახტანგს რუსეთის მეფის ალთქმა სჯეროდა და საქართველოს განთავისუფლების იმედს არ ჰკარგავდა. მტრებთან მოლაპარაკებით და მოსაჩვენარი მორჩილებით დროს მოგებას ცდილობდა და მომავალ გაზაფხულზე ხელმწიფის შირვანს გამოსვლას ელოდა.

ქართლის მეფემ ყველა მიმართულებით წააგო. განრისხებულმა შაჰთამაზმა „ორგულ ყმას" ქართლი ჩამოართვა და კახეთის მმართველს კოსტანტინეს გადასცა. მაგრამ კიდევ უფრო მძიმე რუსეთის მეფის მხრით დახმარების იმედის გაცრუება იყო. აგრესორებმა ერანი გაინაწილეს. ხელთქარმა კასპიის ზღვის სანაპიროები (დარუბანდიდან ასტრაბადამდის) რუსეთის საკუთრებად „იცნო", პეტრე ხელმწიფემ კი სამაგიეროდ ოსმალეთს „დაუთმო" ერანის მთელი ჩრდილო დასავლეთი ნაწილი (მასში შედიოდა აღმოსავლეთ-საქართველოც). ქართლის მეფის მარცხმა მოლალტე ფეოდალები გაამხნევა. ვახტანგის პოლიტიკით უკმაყოფილო თავადებმა თავი წამოყვეს.

თბილისის დაპყრობა კოსტანტინეს მიერ. 1723 წელს გაზაფხულს კახეთის მმართველმა კოსტანტინემ ქართლის დაჭერა სცადა. დაშარცხდა. მაშინ ის ჰაერს წაეიდა. ლეკთა დიდი ჯარი დაიქირაეა და თბილისს დაესხა. ქართლის თავადების ორგულობის წყალობით ლეკებმა თბილისი

აიღეს და ისე სასტიკად გაძარცვეს და აოხრეს, რომ მთელი საუკუნის განმავლობაში ამის შემდეგ ქალაქი თავის ძველს კეთილდღეობას არ დაბრუნებია. თბილისიდან ლტოლვილი ვახტანგი შიდა ქართლში დადგა. კონსტანტინემ ქალაქი დაიჭირა. ამავე დროს ოსმალთა ჯარი ალმოსავლეთ ამიერკავკასიის დასაჭერად დაიძრა. 1723 წელს ივნისში ოსმალთა ჯარი სერასკერ იბრაიმ ფაშის სარდლობით ქართლის საზღვრებს მოადგა. ვახტანგმა მორჩილება განუცხადა აგრესორს. ეერც შაჰ-თამაზის მოხელე კოსტანტინემ გაბედა წინააღმდეგობა და თბილისი ოსმალთა ჯარის სარდალს უომრად გადასცა.

რაკი ქვეყანა ხელთ იგდო, დამპყრობელმა ქართლში მეფობის გაუქმება და ოსმალური სოციალ-პოლიტიკური წყობილების შემოღება მოისურვა.

ვახტანგის გადახახლება რუსეთში. ვახტანგს ქართლში ალარ ედგომებოდა. არც რუსეთის წასელის გარდა სხვა გზა გააჩნდა მას. 15 ივლისს 1724 წელს ვახტანგი შვილებით, ძმით, უახლოესი თანამოლეაწეებით და დიდის ამალით რაჭის გზით რუსეთს წავიდა. მეფე, მისი აზრით, ქართლიდან დროებით მიდიოდა და ჩქარა საქართველოს განსათავისუფლებლად რუსეთის ჯარით დაბრუნდებოდა. ასეთ იმედებს აძლევდა მას რუსეთის იმპერატორი.

ძნელბედობა XVIII საუკუნის მეორე მეოთხედში. XVIII საუკუნის მეორე მეოთხედი ქართლ-კახეთში განსაკუთრებული ძნელბედობის ხანა იყო. 1723 წლიდან თორმეტი წლის განმავლობაში ქვეყანა ოსმალთა მძიმე ბატონობის უღელქვეშ გმინავდა. 1735 წლის მიწურულს „ოსმალობა" არა ნაკლებ მძიმე „ყიზილბაშობამ" შეცვალა. ის 1747 წლამდის გრძელდებოდა. უცხოელ დამპყრობელთა აუტანელმა ბატონობამ არა ერთი სახალხო აჯანყება გამოიწვია. თითეულ ასეთ აჯანყებას თან სდევდა დამპყრობელთა მხრით დამსჯელთა ესპედიციების საშინელი თარეში. ამავე დროს მწარმოებელ საზოგადოებას გარეშე მტერზედ ნაკლებად არ ანადგურებდა „საკუთარ" მებატონეთა სრული აუღაგმავობა. გამკითხავი ალარავინ იყო. ურთიერთშორის ბრძოლაში გართული მებატონეები უპირველეს ყოვლისა „მოწინააღმდეგის" გლეხებს დაერეოდნენ ხოლმე. შეუბრალებლად ქლეტდნენ მათ ან კიდევ ტყვედ ჰყიდდნენ. მაგრამ გაველურებული მებატონეები არც საკუთარ ყმებს ინდობდნენ. „ულების დადებით", აუტანელი ბეგრით მათ აჯანყებამდის მიჰყავდათ გაძარცვული გლეხკაცობა. „ურჩი" ყმების ხვედრი კი ტყვედ დაყიდვა, ხოლო მათი სარჩო საბადებელის ბატონის მიერ მიტაცება იყო. და ბოლოს ყველაზედ უმძიმესი ძნელბედობა — ეს ლეკთა თარეში იყო. აღნიშნელს ოცდაათ წლეულში ქართლ-კახეთში არ დარჩენილა არც ერთი სოფელი, არც ერთი კუთხე, რომ ლეკებს არ აეოხრებინათ, არ გაეძარცვათ. ერთიმეორის ქვეყნების სარბევად ლეკები მოჰყავდათ ქართველ ფეოდალებს; აჯანყებულ ქართველთა დასასჯელად ლეკები მოჰყავდათ ოსმალებს; და ბოლოს უმატრონოდ ქცეულ ქვეყანაში ლეკები დაუპატიჟებლადაც მოდიოდნენ, თავს ესხმოდნენ მხარეებს,

სოფლებს და თან მიჰყავდათ და მიჰქონდათ ყველაფერი, რასაც კი მოახელებდნენ: ადამიანი, ოთხფეხი საქონელი, პური, იარაღი, ავეჯი და სხვ.

ყველა ამ ძნელბედობათა შედეგი ის იყო, რომ კულტურული მეურნეობა დაეცა და მცხოვრებთა რიცხვი კატასტროფულად შემცირდა. ზოგიერთი მხარეები მოსახლეობისაგან სავსებით დაიცალა (თრიალეთი, ყაიყული, ტაშირი, გუჯარეთი, სომხითი, საბარათიანო), სხვაგან კიდევ ძლივს ბოგინობდა შეთხელებული მოსახლეობა. გლეხების ერთი ნაწილი დატყვევდა და უცხოეთში მონებად დაიყიდა (ამ „საქმეში" ლეკებს არც ზოგიერთი დეგენერატი ქართველი მებატონე ჩამორჩებოდა), მეორე ნაწილი ლეკებთან თუ ოსმალ-ყიზილბაშებთან ომებს შეეწირა; სხვები ბოლომოუღებელი ომების თანამგზავრმა შიმშილობამ და ჭირმა იმსხვერპლა, დიდმა ნაწილმა კიდევ მიატოვა ეს გაჯოჯოხეთებული სამშობლო და ახლობელ ქვეყნებს შეეხიზნა.

ერანის ბრძოლას ოსმალეთის წინააღმდეგ 1730—1745 წლებში ნადირი ხელმძღვანელობდა. 1736 წლიდან ეს სარდალი ერანის შაჰი გახდა. საქართველოში ნადირ-შაჰი 1735 წელს მოვიდა. ამ დროს ქართლში მეფობა აღარ იყო. ის ოსმალებს გაეუქმებიათ. ქვეყანას ფაშა მართავდა. ოსმალთა წინააღმდეგ ქართლში აჯანყება არ წყდებოდა. კახეთში ოსმალებს კონსტანტინე მეფე მოეკლათ (1733 წ.). ქვეყანას ეხლა თეიმურაზ ერეკლეს ძე განაგებდა.

ქართლ-კახეთის ბრძოლა ყიზილბაშობის წინააღმდეგ. ქართლ-კახეთის ფეოდალები ნადირ-შაჰს მიემხრნენ და ოსმალები იფრინეს. ერანის ბატონობა მათ უფრო ნაკლებ ბოროტებად მიაჩნდათ, ვიდრე „ოსმალობა". მაგრამ ნადირ-შაჰმა ქართლ-კახეთში ერანული გადასახადები და ყიზილბაშური პოლიტიკური წყობილება შემოიღო. ეს კი არანაკლებ მძიმე იყო, ვიდრე „ოსმალობა". უმალ ქართლს და კახეთში აჯანყებები დაიწყო. ქართლის აჯანყებას შანშე ქსნის-ერისთავი, ვახუშტი აბაშიძე, გივი ამილახვარი და სხვა თავადები მეთაურობდნენ, კახელთა აჯანყებას კი თეიმურაზ მეფე.

აჯანყებულთა მხნე ბრძოლამ ნადირ-შაჰი აიძულა საქართველოს „გათათრებისაგან" საბოლოოდ ხელი აეღო და აქ „ყიზილბაშობის" ნაცვლად თანდათან „ქართველობა" აღედგინა.

თეიმურაზისა და ერეკლეს გამეფება. ივნისში 1744 წელს ნადირ-შაჰმა თეიმურაზი ქართლის მეფედ, ხოლო მისი შვილი ერეკლე კახეთის მეფედ დანიშნა.

ამ ხანებში ნადირ-შაჰის ერანს დღე დაელია. ბოლომოუღებელი ომებით გამოწვეულმა აუტანელმა გადასახადმა, გაუკითხავმა სოციალურმა ჩაგვრამ და ხელმწიფის მოხელეების სრულმა თვითნებობამ დაღუპვის კარამდის მიიყვანეს უამისოდაც ჩამორჩენილი ფეოდალური ქვეყანა.

„არზაზოზა". 1747 წელს ნადირ-შაჰმა მთელს ერანს აუტანელი გადასახადები შეაწერა, მარტო ქართლ-კახეთს ორასი ათასი თუმანი შემოუ-

ვეთა. ეს ზონა საბედისწერო აღმოჩნდა. ნადირ-შაჰი და მისი მონარქია საშინელ აჯანყებათა მსხვერპლი გახდა. 1747 წელს ნადირ-შაჰი მოკლეს.

ანარქია ერანში. შაჰის სიკვდილის უმალ მთელს ერანში საშინელი ანარქია გამეფდა. ლაშქარი დაიშალა. სარდლებმა ქვეყნები დაისაკუთრეს. ტახტის მაძიებლები ერთიმეორეს დაერივნენ.

ეს ანარქია დიდხანს გრძელდებოდა და მთელი ერანი ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ მცირე სახანოებად დაიშალა. ხანებს შორის ბოლომოუღებელი ფეოდალური ომები გაჩაღდა. მრავალ სახანოებად იყო დაშლილი აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაც.

ბრძოლა საქართველოს „გამოხსნისა და აღდგომისათვის"

აბდულა-ბეგის ცდები ქართლში გახანძრებლად. 1747 — 1749 წლებში ქართლში გამეფება იესე მეფის ძემ აბდულა-ბეგმა სცადა. ამ ხანებში თეიმურაზი ერანს იყო და ქართლ-კახეთს ახალგაზრდა ერეკლე განაგებდა. აბდულა-ბეგი მაჰმადიანი იყო. ქრისტიანი თეიმურაზ-ერეკლეს წინააღმდეგ მას მფარველობდნენ ერანის ტახტის მაძიებლები. მათგან აბდულა-ბეგს უხვი დახმარება მოსდიოდა ფულით თუ ჯარით. მათივე ბრძანებით აბდულა-ბეგს უჭერდა მხარს თბილისის ყიზილბაშთა გარნიზონი. ქართლში ამ ტახტის მაძიებლის მხარეზე იყვნენ ზოგიერთი თავადები და ყაზახ-ბორჩალოს თათრები. ერეკლემ ფიცხელ ომებში არა ერთგზის დაამარცხა აბდულა-ბეგი მისი მოკავშირეებით და თბილისის ციხეც ყიზილბაშებისაგან გაწმინდა (1748 წ.).

ამრიგად, ერეკლემ ენერგიულად უკუაგდო გარეშე თუ შინაურ მტერთა შემოტევა და ჩქარა აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში ჰეგემონიისათვის აქტიურად გამოვიდა.

ერევნის ყმობა. 1749 წელს ვინმე მაჰმად-ხანი ერევანს დასაპყრობად შემოადგა. ერევნის ხანმა თეიმურაზს მიჰმართა. ქართველთა ლაშქარი, რომელშიაც ერთი ჩერქეზი ბაირონიშვილიც იყო თავისი რაზმით, ერევანს გაეშურა. ბრძოლაში მაჰმად-ხანი დამარცხდა და გაიქცა. თეიმურაზ-ერეკლემ ერევნის ხანს ხუთი ათასი თუმანი ჯარის ხარჯად გადაახდევინეს და ყოველწლიური ხარკიც დააკისრეს.

ნახჭავნის ხანის ყმობა. იმავე 1749 წელს საქართველომ ბაამან ნახჭავნის ხანის „მფარველობაც" იკისრა. ამიერიდან ნახჭავნის ხანის კარზედ მუდმივად იმყოფებოდა ქართველთა რაზმი თავადი ზაალ ორბელიანის სარდლობით.

ფანა-ხანის დამარცხება. ამასობაში ყიზილბაშმა ფანა-ხანმა ყარაბაღი ხელთ იგდო და განჯის დაპყრობა განიზრახა. განჯის ხანმა შაევერდიმ დახმარებისათვის ქართველ მეფეებს მიჰმართა.

განჯის დახარკვა. ქართველებმა გადასწყვიტეს „დაეხმარონ" განჯაყარაბაღს. 1750 წლის თებერვალში თეიმურაზ-ერეკლეს ჯარი ფანა-ხანზე წაიდა. ქართველთა მეწინავე ლაშქარს ერეკლე სარდლობდა.

მან ჯარი მტერს მეტად მოხერხებულად შეაბა და მოწინააღმდეგე ფიცხლავ გატეხა. ქართველებმა დამარცხებულ ფანა-ხანს არეზის პირამდის სდიეს და ქვეყანა უწყალოდ დაურბიეს. ორასი ათასზედ მეტი ოთხფეხი საქონელი ხელთ იგდეს და რამოდენიმე ათასი ტყვე. ქართველმა „მხსნელებმა“ განჯის ხანს ათიათასი თუმნის გადახდა დააკისრეს. დარბეული განჯის სახანოს მოსახლეობიდან ამოდენა ფულის ვერ შეაგროვეს. ათასხეთასი თუმანი დააკლდა. ამ ფულის ანგარიშში განჯის ხანმა ქართველ მეფეებს შამშადილს ქვეყანა დაუთმო.

საქართველოს პოლიტიკური უპირატესობა ალმოს, ამიერ-კავკასიაში. მაქმად-ხანზე და ფანა-ხანზე გამარჯვება, ერევნის, განჯის, ყარაბალის და ნახჭავანის დამორჩილება ქართველ მეფეთა დიდი სამხედრო და პოლიტიკური წარმატება იყო. ალმოსაველეთ ამიერ-კავკასიაში საქართველოს უპირატესობა თითქო უცილობელი ხდებოდა.

მაგრამ საქართველოს წინაშე ერთი მეტად მძიმე საკითხი ჯერ ისევ გადაუჭრელი რჩებოდა. ეს ლეკთა საკითხი იყო.

ლეკთა გამოლაშქრება. 1749-1750 წლების ქართლ-კახეთის წარმატებებმა ჭარ-ბელაქნის „უბატონო თემები“ შეაშფოთა. ქართველთა გაძლიერებაში ისინი თავიანთ უშუალო საფრთხეს ხედავდნენ. და მართლაც ასე იყო: საქართველოში ლეკთა თარეშების აღსაკვეთად ქართველებს აუცილებლად მიაჩნდათ ჭარ-ბელაქანისა და კაკ-ენისელის დაპყრობა და მათი ისევ კახეთისათვის შემოერთება.

ჭარელებმა გადამთიელი თანამოძმეები იხმეს და ლეკთა დიდი ჯარი (შვიდი ათასი მხოლოდ მხედარი იყო, ქვეითი კიდევ სხვა იყო) 1750 წელს ჭარში ჩამოვიდა. მათ აქ ჭარელები შეუერთდნენ და საქართველოზე გამოემართნენ. ჯარის ერთი ნაწილი კახეთს დაეცა: მთავარი ძალები კი ყაზახს შეესივნენ და ის სასტიკად დაარბიეს. ერეკლემ კახეთზე წამოსული მტერი მთელ რიგ ბრძოლებში უკუაგდო. ამის შემდეგ მეფე ფიცხლავ ჭართლს მიეშველა. ქართველთა ჯარი აედევნა ნადაელით დატვირთულ ლეკთა მთავარ ძალას და დანდიას (ალაზანი-ორის შესართავთან) აიძულა ის ბრძოლა მიეღო. ლეკები დამარცხდნენ. ნატყვენავნაალაფევს გარდა მათ დიდძალი დაჭრილ-გახოცილები თუ ტყვეები და ათასობით ცხენები დატოვეს და იელტოდნენ.

ამ გამარჯვებას თეიმურაზ-ერეკლე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მათი აზრით ეს ლეკთა საკითხის საბოლოოდ გადაჭრის საწინდარი იყო. ჩქარა ამის შემდეგ მეფეებმა დარბაზის სხდომა მოიწვიეს, სადაც „უბატონო თემების“ დაპყრობა გამოარჩიეს.

ომი ჭარ-ბელაქანისა და შაქი-შირვანის ხანის წინააღმდეგ. შაქი-შირვანის ხანი აკი-ჩალაბი სათვალმჭვრეტოდ, მართალია, თეიმურაზ-ერეკლეს „მეგობრობდა“, მაგრამ რაც უფრო ძლიერდებოდა მეზობელი საქართველო, მით უფრო მას მოსვენება ეკარგებოდა. ჭარ-ბელაქანისა და კაკ-ენისელის დაპყრობით ქართველები უშუალოდ შაქს გაუმეზობლდებოდნენ და დამარტოხელებულ შაქის მფლობელს როდი-ღა დაინდობდნენ. ამიტომ აკი-ჩალაბი-ხანი გადამწყვეტი ომისათვის საიდუმლოდ

ემზადებოდა. ქართველთა ჯარი ჭარს გაეიდა. ქეყანა სულ დახიზნულიყო. აქ გამოირკვა, რომ აჯი-ჩალაბი ხანს შაჰი-შირვანი და მთელი პირაქეთი ლეკობა ფეხზედ დაეყენებია. ქართველებმა ჭარს თაეი დაანებეს და აჯი-ჩალაბს მიჰმართეს. მტრის სამხედრო ხერხმა (ჯარის ნაწილის ჩასაფრება), ფეოდალური ჯარის უდისციპლინობამ და ქართველების მოკაეშირე განჯის ხანის ბრძოლის ეელიდან მოღალატურად გაქცეამ ომის ბედი გადაწყეიტა. მძიმედ დაზარალებული ქართველები უკან დაბრუნდნენ (თებერეალი 1751 წ.).

ეს იყო თეიმურაზ-ერეკლეს პირეელი სერიოზული დამარცხება. ამასთანეე გამოირკვა, რომ ლეკთა საკითხის გადაჭრა გაცილებით უფრო მძიმე და რთული იყო, ეიდრე ეს ქართველ პოლიტიკოსებს წარმოედგინათ.

ამაეე დროს ადერბაიჯანის მფლობელმა აზატ-ხანმა აღმოსაელეთ ამიერ-კაეკასიის დამორჩილება განიზრახა. მან ნახჭეანის სახანო დაიპყრო და თეიმურაზ მეფის ყმა ბაამან-ხანი ქართველთა რაზმით ნახჭეანიდან გამოაძეება. ამის შემდეგ მან ლაშქარი მისცა, ამას წინათ ქართველების მიერ დამარცხებულს და ერეენიდან განდეენილს, მაჰმად-ხანს და კელაე ერეენის სახანოს დასაპყრობად გამოისტუმრა.

ომი აზატ-ხანთან. დიდი საფრთხე ქართველებმა სათანადოდ შეაფასეს. მათ კარგად ესმოდათ რომ ერეენის დაპყრობით აზატ-ხანი არ დაკმაყოფილდებოდა და, ეეჭეელია, ქართლ-კახეთსაც წამოეჭიდებოდა. ერეკლე შედარებით მცირე ჯარით ფიცხლაე გაეშურა ერეენის მისაშეელებლად. მაჰმად-ხანი უომრად ციხეს მოეკალა. ერეკლე ერეენის ციხეში შეეიდა, მეციხოენეები სერსათით მოამარაგა და თითონ თაეისი ლაშქრით ქალაქის გარეთ დადგა. ქართველებმა მთელი სახანო მოითარეშეს, მაჰმად-ხანი განდეენეს და აზატ-ხანის მომხრეები დაარბიეს. ეხლა თეით აზატ-ხანი დაიძრა. მან ახალი თერამეტი ათასი მეომარი წამოიყეანა. მაჰმად-ხანის ჯარიც შეიერთა და სწრაფად ერეკლეს წინააღმდეგ გამოეშურა. ერეენის ახლოს ყირხ-ბულახთან გადამწყეეტი ომი მოხდა. ბეგრად უფრო მცირე ჯარით ერეკლე მტერს რკინის გულით დახედა. პირეელად აზატ-ხანის დიდმა ჯარმა შეაეიწროეა ქართველთა ჯარი და ყოეელმხრიე გარს შემოერტყა მას. ყიზილბაშებს ქართველთა დამარცხებაში ეჭეი არ შესდიოდათ და აზატ-ხანი ერეკლე მეფისაგან მორჩილების მოკიჭულსაც კი ელოდა. მაგრამ ერეკლეს ბრწყინეალე სამხედრო ნიჭმა შეუძლებელი მოელოდნელი სინამდეილედ აქცია. მისი პირადი მიძღოლით ქართველთა ჯარი ისე ძლიერად დაეტაკა ყიზილბაშთა ლაშქრის ცენტრს, რომ ის ერთის დაკერით მოშალა. მტერი სულიერად გატყდა და ამის შემდეგ გამარჯეებაც უზრუნეელყოფილი იყო. მტრის ეეება ლაშქარი მოსქდა და გაიქცა. ქართველებმა ოცდაათი კილომეტრის მანძილზე ფეხდაფეხ სდეს მას, ჰკაფეს, ატყეეეს. აზატ-ხანმა ძლივს თაეს უშეელა. არეზს გაეიდა და ადერბაიჯანს შეეფარა. ერეკლე მეფემ ერეან-ნახჭეანის საქმეები მოაწესრიგა და თბილისს დაბრუნდა (1751 წ.).

ამრიგად, აზატ-ხანის საშიში შემოტეება ამხელად უკუგდებული იყო

და ქართველებს შეეძლოთ ლეკთა საკითხისათვის მიეხედათ. ეხლა ლეკთა საკითხის გადაჭრა უნდა აჯი-ჩალაბი-ხანიდან დაწყებულიყო.

ამ მზადებაში რომ იყვნენ, განჯა-ერევნის მხარეზედ პოლიტიკური მდგომარეობა ისევ გართულდა. აზატ-ხანმა 1752 წელს ნახჭევანი ისევ დაიპყრო, ადერბაიჯანის ხანები შეავიწროვა და ამიერ-კავკასიაში სალაშქროდ ემზადებოდა. შევიწროვებულმა ხანებმა თეიმურაზ-ერეკლეს შეელა სთხოვეს: „ავლანზე მოგვეხმარენითო, ბევრსაც მოგართმევთო და ჩვენ, ეს ქვეყნები ჩვენის ჯარით და ხარჯით ლეკზე მოგეხმარებითო და თქვენთან დავიხოცებითო". ქართველებს ეს შემთხვევა ხელსაყრელად ეჩვენათ. მეფეები აჯი-ჩალაბისა და ლეკთა წინაამდეგ დიდ ლაშქარს უსასყიდლოდ მიიღებდნენ; მეორეს მხრით თეიმურაზ-ერეკლეს საშუალება ეძლეოდათ აზატ-ხანი ადერბაიჯანიდან გაედევნათ და ამ ქვეყნის ხანები თავისთვის დაემორჩილებიათ.

მაგრამ აქ თავი იჩინა ერთიად სერიოზულმა გარემოებამ, რომელმაც საქართველოს შემდგომი პოლიტიკური გაძლიერება დიდად შეაფერხა.

თეიმურაზ-ერეკლეს პოლიტიკური მდგომარეობა. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში პოლიტიკური ჰეგემონიისათვის ბრძოლაში თეიმურაზ-ერეკლეს მდგომარეობა მეტად რთული იყო. ქართველ მეფეთა მაჰმადიანი მეტოქეები, ბუნებრივია, ეცდებოდნენ სარწმუნოებრივი მომენტის გამოყენებას თავის ქრისტიან მოწინაამდეგეთა დასასუსტებლად.

მაჰმადიანურ სახანოების შორის ქრისტიანული ქართლ-კახეთის ორჭოფული მდგომარეობა აჯი-ჩალაბი-ხანმა ხერხიანად გამოიყენა და საქართველოს წინაამდეგ თვით იმ ხანების მიმხრობაც კი შეძლო, რომლებიც თეიმურაზ-ერეკლეს შაქის ხანის წინაამდეგ დახმარებას სთავაზობდნენ.

განჯის ომი. 9 იანვარს 1752 წელს ქართველ მეფეთა ჯარი თბილისიდან განჯისაკენ წავიდა. „იქიდამ ენებათ აჯი-ჩალაბის წახდენა". ქართველთა ჯარი განჯასთან დადგა. აქ მათ მოკავშირე ხანები მოუვიდათ.

მეფეები მოკავშირეებს აჯი-ჩალაბის წინაამდეგ გალაშქრებას შეეპატიჟნენ. შაქი-შირვანის მფლობელ აჯი-ჩალაბი-ხანს საკუთარი ლაშქარი და აგრეთვე პირაქეთელი ლეკის ჯარი ფეხზე დაეყენებია და მტრის დასახვედრად ენერგიულად ემზადებოდა.

მდინარე ალაზანი ადიდებულიყო. „მოკავშირეთა" ლაშქრობა შეყოვნდა. აჯი- ჩალაბის აგენტები მაჰმადიან ხანებს შორის ქართველების ლალატს წარმატებით სთესდნენ. ამ დროს „მოკავშირეთა" ბანაკში ერანს შექმნილი მდგომარეობის შესახებ ბჭობდნენ. ერანის პოლიტიკური საკითხების მოგვარების გაბედულმა გეგმამ, თეიმურაზ-ერეკლემ რომ ხანებს გაუზიარეს, უკანასკნელთ შორის შეშფოთება და შიში გამოიწვია. ხანებმა ერეკლე მეფეს ერანში გაბელმწიფების სურვილი შესწამეს. ერეკლეს აგენტებმა ჩქარა გამოარკვიეს, რომ ხანებს შაქის მფლობელთან საიდუმლო მიმოწერა გაემართათ და ქართველთა სალალატოდ ემზადებოდნენ.

ასეთ პირობებში ლაშქრობაზე ფიქრი აღარ შეიძლებოდა. თეიმურაზ-ერეკლემ მოღალატე ხანების დაპატიმრება და თბილისს დაბრუნება გადა-

წყვიტეს. ხანები, გარდა ერევნის ხანისა, დააპატიმრეს და ის იყო წამოვიდნენ, რომ ანაზდეულად აჯი-ჩალაბი ხანი მთელი თავისი ძალით ქართველებს წინ დაუდგა. ომი თორმეტ აპრილს მოხდა. მეტად ცხარე ბრძოლაში ორივე მხრით მრავალი დაიხოცა. შუა ომში ერეკლემ ერევნის ხანს მისი ჯარით მტერზედ მისვლა უბრძანა. ეს ხანიც მოღალატე აღმოჩნდა. მან უომრად მტერს ზურგი შეაქცია და ილტოდა. ამან ქართველთა მწყობრები არია. ქართველები მძიმედ დამარცხდნენ. ლტოლვილები მრავლად ძარცვეს და ხოცეს შამშადილუს თურქმანებმა. მეფეები ძლივს გადარჩნენ დატყვევებას და დიდის გაჭირვებით თბილისში დაბრუნდნენ.

ქართლის მაჰმადიანური მოსახლეობის უკუდგომა. გამარჯვებულმა შაქი-შირვანის მფლობელმა ტყვე ხანები გაათავისუფლა და ისინი ერთგულობაზე შემოიფიცა. ეხლა საქართველოს წინააღმდეგ აჯი-ჩალაბი ხანმა ყველა მაჰმადიანთა გაერთიანება დაიჩემა. შაქის ხანმა მოუწოდა ქართლ-კახეთში მცხოვრებ მაჰმადიანებს და მათ ქრისტიან მეფეების ურჩობა უბრძანა. ყაზახის, ბორჩალუს, ბაიდარის და დემურჩი-ასანლუ თურქმანებმა შაქის ხანს ერთგულება შეჰფიცეს. თავიანთ ქვეყნებში ამ ახალი მფლობელის მოხელეები მიიღეს და ქართველთა წინააღმდეგ მტრული მოქმედება იწყეს.

ერევნის უკუდგომა. საქართველოს გართულებული მდგომარეობით მყისვე ისარგებლა აზატ-ხანმა. ქართველების მოღალატე ერევნის ხანი თვით ეახლა მას. აზატ-ხანმა ერევანში მის ნაცვლად ვინმე ა ს ა ნ-ა ლ ი-ხ ა ნ ი გამოაგზავნა, რომელმაც ერევანი დაიპყრა და სახანოც აზატ-ხანს დაუმორჩილა.

ამავე დროს ლეკთა ბრბოები მრავლად მოედვნენ ქართლ-კახეთს. მდგომარეობა მეტად გართულდა. შაქის მფლობელი ქართლზედ წამოვიდა.

ქართველთა ღონისძიებები. კარზედ მომდგარ საფრთხეს ქართველებმა ენერგიული მოქმედებით უპასუხეს. იმიერ-კავკასიაში ჯარის დასაქირავებლად ი ე ს ე მ ა ჩ ა ბ ე ლ ი და ზ უ რ ა ბ ზ ე დ გ ი ნ ი ძ ე გაგზავნეს. ქართლში მოთარეშე ლეკებთან ბრძოლის ხელმძღვანელობა თბილისის მოურავს გ ი ვ ი ა მ ი ლ ა ხ ო რ ს და სახლთუხუცესს კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე მ უ ხ რ ა ნ-ბ ა ტ ო ნ ს დაავალეს. თბილისის და მისი მიდამოების დასაცავად სამი ათასი მეომარი-მოქალაქე გამოიყვანეს. სომხით-საბარათიანო დახიზნეს, ხოლო არაგვის ხეობა ერეკლეს ერთგულ ჯ ი მ შ ე რ ჩ ო ლ ა ყ ა შ ვ ი ლ ს ჩააბარეს. რომ ჯარის დასაქირავებლად საჭირო ფული გაეჩინათ, ამისათვის მეფეებმა გამოიტანეს „თვისისა სალაროთი ოქროსა და ვერცხლის იარაღი, მისცეს ზარაფხანაში, მოაჭრევინეს ფლური და თეთრი და აძლევდნენ ჯარსა“.

ამავე დროს მეფეებმა რუსეთში მიავლინეს ელჩები მ ი ტ რ ო პ ო ლ ი ტ ი ა თ ა ნ ა ს ი და თავადი ს ი მ ო ნ მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი და ატეხილი მტრების წინააღმდეგ დახმარება ითხოვეს (1752 წ.).

ალა-ქიში ბაიდარში. ამასობაში აჯი-ჩალაბი ხანის შვილი ა ლ ა-ქ ი შ ი და განჯის ხანი შ ა ვ ე რ დ ი ქართლის საზღვრებში შემოვიდნენ. ქართ-

ლის მაჰმადიანური მხარეების თავკაცები მტერს მიუერდნენ. ალა-ქიში ბ ა ი დ ა რ შ ი დადგა და ქართლის სოფლებს მარბიელები გაუსია.

მაგრამ სწრაფად მიღებულმა ენერგიულმა ღონისძიებებმა ქართლ-კახეთის მძიმე პოლიტიკური მდგომარეობა შეანელეს. ქართველებმა მტერი სამ თვეს წარმატებით შეიმაგრეს. ერეკლე მეფე ამ დროს ხ ე ვ ს იყო და იმიერ-კავკასიაში ჯარების დაქირავების საქმეს ხელმძღვანელობდა. იმავე წლის აგვისტოს დასასრულისათვის მან უკვე ოთხი ათასი მეომარი გადმოიყვანა საქართველოში.

ომი თულქითაფას. ამის შემდეგ მეფეებმა შეტევა გადაწყვიტეს. ალა-ქიში ეხლა დადგა ზაქის გენებაზე. როცა ქართველთა გაძლიერება შეიტყო, მოციქულები გამოგზავნა და „შერიგება მოინდომა". მაგრამ გაძლიერებულმა ქართველებმა ეხლა „უომრობა აღარ იკადრეს". ალა-ქიში და განჯის ხანი გასაქცევად შეემზადნენ. ბაიდარი დატოვეს და ყაზახში ჩავიდნენ. ქართველ მეფეთა ჯარი მტერს დაედევნა. ქიზიყელებით, ჩერქეზებით და ქართლიდან შერჩეული თავადებით მეფე ერეკლე მეწინავედ წავიდა: „გაჯდა უკეთესსა ცხენსა მეფე ერეკლე, ჰკრა მათრახი და წავიდა ვითა შავარდენი". მეწინავე ლაშქარი მტერს ყაზახ-შამშადილუს საზღვარზედ მოეწია (თ უ ლ ქ ი თ ა ფ ა). მტერი დადგა და მხნედ შემოება. მაგრამ ვაჟკაცურად იუვნენ ჩერქეზები და ქიზიყელები და მეტად „კაი ხმალი მოიქნიეს" (ერთმა ქიზიყელმა გლეხმა „მოლაშქრემა პ ა ა ტ ა მ ბ ა დ ა შ ე ი ლ მ ა მას დღეს მოკლა ხმლითა მხოლოდ ცხრა კაცი და დაიჭირა სამი ცოცხალი"). გახარებულ ომს თეიმურაზმაც მოუსწრო მთავარი ძალებით. „გაერივნენ ქართლელნი, კახნი, ჩერქეზნი ყიზილბაშთა ჯართა შინა, გაიყარეს წინ და ხოცით განჯის მინდორამდის მიყვნენ". მტერი სასტიკად დამარცხდა. შავვერდი ხანი განჯის ციხეს შეეფარა, ალა-ქიში შაქს მივიდა. გამარჯვებული თეიმურაზ-ერეკლე თბილისს დაბრუნდნენ და დაქირავებული ჯარები სახლში გაისტუმრეს (თითო მეომარს სამი თუმანი მისცეს).

ზავი აზატ-ხანთან. თეიმურაზ-ერეკლეს საგარეო და საშინაო პოლიტიკურმა წარმატებებმა აიძულეს აზატ-ხანი უარეყო საქართველოს დამორჩილების გეგმა. აზატ-ხანმა „მეგობრობა-სიყვარული" შემოსთავაზა თეიმურაზ-ერეკლეს. საქართველოსათვის ეს ზავი ფრიად სასურველი იყო. ამით საბოლოოდ იმარხებოდა მაჰმადიანური სახანოებისა და ქართლ-კახეთის დაპირისპირების პოლიტიკა. აჯი-ჩალაბმა რომ წამოიწყო. აზატ-ხანთან ზავი ქართლ-კახეთის შინაპოლიტიკურ სიმტკიცესაც ხელს უწყობდა. ქართლის ზოგიერთი უკმაყოფილო თავადი აზატ-ხანის გამოლაშქრებას ელოდა. ამ რეაქციონერ ფეოდალებს ადერბაიჯანის ხანის შემწეობით თეიმურაზ-ერეკლეს თავიდან მოშორება სურდათ. ამიერიდან თავადებს ეს იმედი უქრებოდა.

საშინაო-პოლიტიკურმა სიმტკიცემ, საქართველომ რომ უჩვენა მტრებს, და აზატ-ხანთან ზავმა აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიის ხანებს მტრული განწყობილება თეიმურაზ-ერეკლეს მიმართ შეაცვლევინა. განჯის, შირვანის, ერევნის და სხვა მეზობელ ხანებიდან ერთიმეორეზედ მო-

ვიდნენ „მშვიდობისა“ და „მეგობრობის“ ელჩები. ამავე დროს მდიდარი მოსაკითხით და ზავისა და სიყვარულის ალთქმით აზატ-ხანისაგან დაბრუნდნენ ქართველი ელჩები.

ამრიგად, ხუთი წლის განუწყვეტელი ბრძოლის შედეგად საქართველომ უკუაგდო აზატ- ხანი. წარმატებით მოიგერია მეზობელი ხანების კოალიციური შემოტევა და უდავოდ ცხადყო თავისი უპირატესობა ალმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში. ლეკთა საკითხი კი ისევ გადაუჭრელი რჩებოდა.

1752-1754 წ. ელჩობა რუსეთში. ქართლ-კახეთის მეფეთა ელჩების მისვლამ კმაყოფილება გამოიწვია პეტერბურგის კარზედ.

ელჩებმა მეფეთა ვედრების წიგნი მიართვეს ელისაბედ ხელმწიფეს. თეიმურაზი და ერეკლე დაუფარავად გამოსთქვამდნენ ქართველი ხალხის გულის ნადებს: „ამას ქამსა ალარავინ არს უსჯულოთა მეფეთაგანი უფალ ჩვენზედა... აწ არს ჟამი გამოხსნისა და დღე აღდგომისა ჩვენისა“-ო. მეფეები აცნობებდნენ ხელმწიფეს, თუ როგორ გაერთიანდნენ მეზობელი მაჰმადიანი მფლობელნი თეიმურაზ-ერეკლეს ამ პოლიტიკის წინააღმდეგ და შველას სთხოვდნენ „ქრისტიან ერთა მფარველს“.

რუსეთს, საამისო სურვილიც რომ ჰქონოდა, იმჟამად საქართველოსათვის რეალური დახმარების აღმოჩენა არ შეეძლო: მის ასეთ მოქმედებას შეეძლო ოსმალეთი აემოძრავებია და ერანის მომავალ კანონიერ მფლობელთანაც ურთიერთობა წაებღინა. რუსეთი კი ერანს ოსმალეთის წინააღმდეგ თავის მოკავშირედ უყურებდა. მეორეს მხრით ოსმალეთთან ხელმწიფეს იმჟამად ზავი ჰქონდა და მის დაცვას ცდილობდა.

ელჩობის მარცხი. 1754 წელს ელჩები გამოისტუმრეს. ჯარით დახმარებაზედ უარი უთხრეს. მიზეზად გაუცხადეს ალაგები და სიშორე დაასახელეს. მომავალში, როცა საამისო დრო იქნება, დახმარებაც აღუთქვეს. ამასთან ერთად მეფეებს უხვი საჩუქრები გამოუგზავნეს.

როგორც აღვნიშნეთ, აზატ-ხანთან ზავმა ქართლ-კახეთის მეფეებს ერევნისა და განჯა-ყარაბაღის მხრიდან მშვიდობა მოუტანა. არც ურთიერთის მოქიშპე შირვანის ხანები იჩენდნენ ამიერიდან საქართველოზე ლაშქრობის ინიციატივას.

არ ისვენებდა მხოლოდ ლეკეთი.

ლეკობა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. უცხო დამკვირვებლები თუ ქართველი თანამედროვენი თანხმობით აღნიშნავდნენ, რომ ლეკები ქართველებთან პირისპირ შებმას გაურბოდნენ. ეს გასაგებიცაა: ისინი ხომ ქვეყნის დასაპყრობად არ მოდიოდნენ. მათი მიზანი ტყვისა და სხვა ნადაულის შოვნა იყო. ვერც შეიარაღებით, ვერც სამხედრო ორგანიზაციით ისინი ქართველებს ვერ უსწორდებოდნენ. მძარცველ-მტაცებლებს არც გმირობის სტიმულები გააჩნდათ. ამიტომაც მსხვილ ომებში ისინი ჩვეულებრივ მარცხდებოდნენ.

მთებიდან ჩამოსვლის უმალ ლეკები წვრილ გუნდებად იყოფებოდნენ, ულაზან ტყეებსა, მიუვალ კლდეებს და ვერანა ადგილებს ირჩევდნენ

ხოლმე სადგურებად და ასეთ ბუნაგებიდან მშვიდობიან მოსახლეობის წერილად ტყვენება-ძარცვას ეწეოდნენ. „სამოქმედოდ" ლეკები სწორედ მაშინ გამოდიოდნენ, როცა ქართველი გლეხობა ციხე-გალავნებიდან თუ გამაგრებულ სოფლებიდან სამუშაოდ უნდა გამოსულიყო. ხუნა-თესვის, მკის თუ რთველის დროს მოელებოდნენ ხოლმე ეს მტაცებლები მინდვრებს და მიჰქონდათ და მიჰყავდათ ყველაფერი, რის მოტაცებაც კი შეიძლებოდა: ადამიანები, ოთხფეხი საქონელი, სასოფლო-სამეურნეო იარაღი. ამავე დროს მიეხდებოდნენ ხოლმე ლეკები უკაცოდ დარჩენილ სოფლებს და თავიანთი ბუნაგებისაკენ მიერეკებოდნენ ქალებს, ბავშვებს, სოფლის ნახირს. ნაშოვნით დატვირთულები. ლეკები ვერანა ადგილებით, ტყის ბილიკებით, უგზო ეელებით გაუდგებოდნენ ხოლმე დაღისტნისაკენ. მიდიოდნენ ღამით, დღისით კი მიუვალ ხევ-ხეობებსა და ტყეებში ბანაკობდნენ. ჭარ-ბელაქანს გასულნი ისინი უკვე სამშვიდობოს იყვნენ. აქ ჩვეულებრივ სტოვებდნენ ნატყვენავს, რომლის საკმაოდ არ სთელიდნენ, და საშოვრისათვის ისევ ქართლ-კახეთს ბრუნდებოდნენ. დაღისტანში გადაყვანილ ტყვეებს უმთავრესად ყირიმელი ვაჭრები იძენდნენ.

1754-1760 წლებში ქართლ-კახეთში ლეკობა განსაკუთრებით ძლიერი იყო. მთელი ქართლი ლეკთა ბრბოებით აივსო. წლიდან წლამდის დაუსრულებელი ხოცვა-ჟლეტა და ტყვენება-ტაცება მეფობდა. მოსახლეობა ციხეებს შეფარებოდა. მეურნეობა მიმწყრალიყო.

გარდა წერილ-წერილა თარეშისა ლეკებმა ამ ხანებში რამდენიმეჯერ მსხვილი ლაშქრობაც მოაწყვეს. ამათგან უველაზედ მნიშვნელოვანი იყო ლეკთა ორგზისი ლაშქრობა ხუნძახის ბატონის ნ უ რ ს ა ლ ი-ბ ე გ ი ს მეთაურობით. 1754 წელს ხუნძახის ბატონი დიდის ჯარით შილდის თავს ამოვიდა. იმუქრებოდა, ქართლსა და კახეთს დავიკერო. კახეთის მოსახლეობა ერეკლემ სულ ციხეებში შეიყვანა და კახეთის ჯარი კი თითონ შემოიყარა. ხუნძახის ბატონი ნურსალ-ბეგი კი „იდგა შილდის თავში და ყოველდღე ემატებოდა დაღისტნიდან ჯარი ლეკისა". ქართლი თეიმურაზმა სულ ერთიანად დაბიზნა.

„გამოიარა ხუნძახის ბატონმა გ ე ღ მ ა-მ ხ ა რ ზ ე დ, დაწვა ზოგერთი ალაგები, გამოვიდა ალაზანს, მოვიდა, დაწვა რ ე ი ს პ ი რ ი. აივდა, დაწვა ა ხ მ ე ტ ა, გაიარა, აივდა ძ ა გ ნ ა კ ო რ ა ს".

ომი მჭადის-ჯვარზე. ერეკლე ჯარის სიმცირის გამო ნურსალ-ბეგს ვერ შეება. ხუნძახის ბატონმა კახეთისას ქართლის დარბევა არჩია. ლაშქარი ოთხ დიდ გუნდად დაჰყო და არაგვის საერისთაოში შემოვიდა. ერეკლემ მტრის მოძრაობა სწრაფად თეიმურაზს აცნობა, თითონ კი მომზდურს უკან აედევნა.

ხუნძახის ბატონმა საერისთო აოხრა. მუხრანისაკენ წამოვიდა და მ ჭ ა დ ი ს-ჯ ვ ა რ ი ს ც ი ხ ე ს გარს შემოადგა. ერეკლე დუშეთს მოვიდა და თეიმურაზიც იქ მივიდა. მტრის ჯარი მეტი იყო ქართველისაზე. მეფეებს იმიერ-კავკასიიდან მეშველი ჯარი ეხმოთ, მაგრამ ის ჯერ არ ჩანდა. მჭადის-ჯვრის მეციხოვნენი კი დიდს გასაჭირში იყვნენ. ლეკებს ზედიზედ მიჰქონდათ ციხეზე იერიში. ამ მაგარი ციხის გატება ლეკებს

კიდევ უფრო გაათამამებდა, ქართველებს კი მორალურად დასცემდა. ამიტომაც ქართველებმა ისევ შებმა არჩიეს. სასტიკი ომი მოხდა. სიმრავლეს მინდობილი ლეკობა გულსრულად იბრძოდა. ლეკთა ქვეითობამ დასძლია ქართველების ქვეითი ჯარი. ომი ლეკთა სასარგებლოდ სწყდებოდა, მაგრამ ერეკლეს სიმხნემ და სამხედრო ნიჭმა იხსნა ქართველები დამარცხებისაგან. „რა გასჭირდა ომი, ბრძანა ბატონმა დაქვეითება ჯარისა. გარდახდა თვით მეფე ერეკლე ცხენისაგან და უბრძანა გარდახდომა ყოველთა: — „ეს არის დღე ვაჟკაცობისაო და სიყვარული სჯულისაო". — დაიქვეითეს ქართველთა და კახთა, შეიქნა სროლა თოფთა, რომ კომლისაგან კაცი აღარა ჩანდა. მეფე ერეკლე ხან იქით და სან აქა აძლიერებდა ჯარსა და პირდებოდა წყალობასა. შეუტივეს ქართველთა და კახთა გულსრულად, დაუშინეს ზამბურაკნი და ზარბაზანნი, გააქციევეს ერთი დასი ჯარი ლეკისა, ჰკრეს ეს გაქცეული ჯარი მეორესა ჯარსა. აირივა ეს საშინელი ჯარი ლეკისა. გაიქცნენ, შეუტიეეს ხმალდახმალ (ქართველებმა), დაერივნენ შიგ, რომ ვითა კატა, ეგრე ხოცდენ ლეკთა. თითონ მეფემ ერეკლემ ჩამოკაფა ლეკი ხმალ-დახმალ. მიყვნენ ხოცით არაგვამდის". ეს ბრძოლა 16 აგვისტოს მოხდა. აქ ოთხას სამოცი ლეკი მოიკლა. „წავიდა — განაგრძნობს თანამედროვე მწერალი,— ეს დამარცხებული ჯარი, გაიარა, დახვდნენ კახნი და დაუმარცხეს. მოვიდა ხუნძახის ბატონი სირცხვილეული დაღისტანში".

ლეკთა ეს დიდი ლაშქრობა დამარცხდა, მაგრამ ქართველთ გამარჯვების სიხარულს ერთობ აქარწყლებდა ქურდ-ლეკების გამუდმებული თარეში.

ამ წვრილ თარეშებს 1755 წელს კვლავ დიდი ლაშქრობა მოჰყვა. ხუნძახის ბატონს მჭადის-ჯვარის დამარცხების სირცხვილი ვერ მოენელებია. ქართლ-კახეთის ერთის დაკვრით წახდენის „იდეა" მას მოსვენებას არ აძლევდა. წინა წლის გამოცდილების გამოყენებით ის ეხლა საგანგებოდ ემზადებოდა. მისი კაცები მოედვნენ მთელს დაღისტანს და ყველას საქართველოში სალაშქროდ იწვევდნენ. „ყველას დაჰპირდა დაღისტნის ლეკთა: სულ მე გამომყევით, ქართლსა და კახეთს დავიჭერო და ამდენს ტყვესა და საქონელს გაშოვნინებო, რომ შვილითი შვილამდე გეყოსთო". ნურსალ-ბეგმა დიდძალი ლეკი შემოიყარა. დაღისტნის სხვა ბატონები — შამხალიცა და სურხაი-ხანიც კი გამოჰყვნენ. ამ დიდის ლაშქრით ხუნძახის ბატონი გადმოვიდა, ყვარელის თავს დადგა. აქედან მან მოციქულები გაგზავნა ჭარს, შაქს, კაკ-ენისელს, განჯას და ყველას საქართველოს წინაამდეგ ლაშქრობაში მონაწილეობისათვის მოუწოდა. ესენიც ხალისით ეახლნენ დაღისტნელ სარდალს.

ქართველებისათვის ნურსალ-ბეგის ეს გამოლაშქრება მოულოდნელი არ ყოფილა. ამიტომ სათანადო ზომებიც დროულად მიიღეს. მეფეებმა მთელი ქართლისა და კახეთის მოსახლეობა ოთხი თვის მარაგით განსაკუთრებით საიმედო ციხეებსა და მიუვალ ხევებში დახიზნეს. ჯარიც ქვეყნიდან მაქსიმალურად გამოიყვანეს და თან იახლეს. ერეკლე თელავს დადგა, თეიმურაზ ანანურს.

ნურსალ-ბეგმა ამხელად საჭმე კახეთიდან დაიწყო. ის ყვარელის დიდ ციხე-გალავანს შემოადგა. ქართლის ჯარიც ანანურიდან თელავს მიეიდა.

ყვარელის ციხე-გალავანი გალმა-მხრის მოსახლეობის ერთი დიდი სახიზარი იყო.

ყვარელის ალყა. ოცი ათასი მეომრისაგან შემდგარი მტრის ჯარი შემოესაფრა ყვარელის ციხეს. საჭირო იყო სწრაფად მიშველება, რომ ციხე არ გატეხილიყო. მეციხოვნეებს უჭირდათ. მტრებს ციხის გალავნის გარშემო ასეთი მალალი საფრები შეეკრათ, რომ შიგ ციხეში თოფს ჩაისროდნენ.

ნურსალ-ბეგის ლაშქართან პირისპირ შებმა ქართველებმა შესაძლებლად ვერ დაინახეს: მტრის ჯარი რიცხვით დიდად სჭარბობდა ქართველებისას და მათი ბანაკიც ძნელად მისადგომი იყო. გადაწყდა ციხეში მეშველი რაზმის შეგზავნა. ციხეს მჭიდრო ალყა ჰქონდა შემორტყმული და მისი გარღვევა მეტად საძნელო საქმე ჩანდა. ვინც ამ საეკლესიო-საგმირო საქმის მოხალისედ გამოვიდოდა მეფეები ჰპირდებოდნენ: „თავადისშვილს თავის შესაფერ სახელოს (ე. ი. თანამდებობას) და რომელსაც თავის მუნასიბსა (ე. ი. შესაფერისს) სამსახურსა და მამულს შემოგეიკეთებს, წყალობას უზამთო და აგრეთვე აზნაურიშვილს და გლეხკაცს კაცზე ოთხ თუმანს, ორს საკომლო მამულსა და სათარხნეს მიესცემთო“.

საგმირო საქმეზედ ასსამოც კაცამდის გამოვიდა (ცხრა თავადიშვილი, ორი აზნაურიშვილი, ერთი ხუცესი და ასორმოცდაათამდის გლეხი, ამათგან ასოცდაათი ჭიზიყელი). ეკკაცები ღამით გავიდნენ ქიზიყიდან, გავლეს ალაზანი, მიეპარნენ ლეკთა ყარაულებს და ხმალდახმალ გაიკაფეს გზა ციხისაკენ. გმირებმა თოფისწამლის დიდი მარაგი შეიტანეს ციხეში. იმედმოცემულ მეციხოვნეებმა მოახერხეს ციხის გალავნის გარშემო ლეკთა საფრების დაწვა. ნურსალ-ბეგის ლაშქარს შერყვნა დაეტყო: ციხის ჩქარა და ადვილად ალება საეჭვო ჩანდა.

ყვარელის ციხეში მეშველი რაზმის შეგზავნასთან ერთად ერეკლემ „აარჩია კაცნი გულოვანი და კარგ ცხენოსანნი ქიზიყელნი“ და ჭარის დასარბევად გაგზავნა. ამ რაზმმა დიდძალი საქონელი და ტყვე მორეკა დაუცველად დაგდებული ჭარიდან. ყვარელის ციხის ალყად მდგომი ჭარელები შეშფოთდნენ. ხუნძახის ბატონმა ამხელად ძლივს შეიმაგრა ისინი. მაშინ ერეკლემ კიდევ უფრო მომჭირდ დემონსტრაციას მიმართა. ეხლა მარბიელთა მცირე რაზმი კი არა, ქართველთა და კახთა მოზრდილი ლაშქარი გაგზავნა ჭარისაკენ. ყვარელს მდგომი ჭარელები ფიცხლავ წაბეიდნენ ქართველებთან შესაბმელად. ქართველები, ბრძანებისამებრ, ბრძოლას მოერიდნენ. უკან გამობრუნდნენ და ქიზიყს დადგნენ. ჭარელებს საქმე გაურთულდათ: ქიზიყს მდგომი ქართველთა ლაშქარი ჭარს ასაოხრებლად ემუქრებოდა. ქართველთა სამხედრო ხერხმა გაჭრა. ჭარელებმა გადაწყვიტეს ყვარელის ციხეს მოშლოდნენ და თავიანთ სახლეხისათვის მიეხედნათ. ამ ნიადაგზე ჭარელებსა და ნურსალ-ბეგის ლეკებს შორის მტრობა ჩამოვარდა. ბოლოს ერთმანეთს დაერიენენ და ურთიერთი მრავლადაც ხოცეს. ჭარელები სახლში წავიდნენ. მათ გაჰყვა კაკის

სულთანიც: ქართველი მარბიელები არც მის ქვეყანას უქადდენ მშვიდობას. ამის დაწახებაზე აჯი-ჩალაბის შეილმაც შაქი-შირვანს მიაშურა. ასე რომ მოალყეთა ჯარის ერთი მხარი საქსებით მოიშალა. ამის შემდეგ დაღისტნელებს ციხის აღების იმედი გადაეწურათ. კიდევ მეტი, საჭირო იყო თავდაცვაზედ ზრუნვა: გამხნეველებული ქართველები, საცა იყო, დაესხმოდნენ და „ყათლამს დამართებდნენ" დასუსტებულ მტერს. ასეთ პირობებში სურხაი-ხანიც გამოეშალა „საერთო საქმეს" და დაღისტნის გზას გაუდგა. ოქტომბერს ნურსალ-ბეგიც და შამხალიც მოეცალნენ ყვარელის ციხეს.

ნურსალ-ბეგმა ომი წააგო. ხუნძახელმა სარდალმა ეხლა ისევ ლეკური ქურდ-ავაზაკობა აირჩია. „ორი-სამი ათასი კაცით ქართლში დიდროვანს ტყეებსა და სიმაგრეში დადგა, უაზახობდა და ქურდობდა, სოფლის სოფლამდის გზებზე დიად ძალას შერებოდა. საქართველოს ჯარი და კახეთის აქ მეფეებს ახლდენ, მაგრამ მინდერად ვერ დაეხელეს შესაბმელად, ხან ერთს სიმაგრეში დგებოდა, ხან მეორეში".

დიდმა საფრთხემ გაიარა. საქართველოს ერთბაშად მოთხრის გეგმა მტერს ჩაეშალა. ლეკთა ბრბოების მეთაურს, თუნდაც ამიერ-კავკასიის ხანების დახმარებით, რა თქმა უნდა, იმის შესრულება არ შეეძლო, რაც თვით შაჰაბასმაც კი ვერ შეძლო. ამის მოქადულ ნურსალ-ბეგს ყველაზედ უკეთ უხდება და ალბათ მას ქგულისხმობს ხალხური ლექსი:

„პაპულაი შეეკაზმა თოფითა და ჯინჯილითა:
— უნდა ქალაქსა მივადგე, ამოვხოცო შიმშილითა!
ეს რომ ერეკლემ შეიტყო გადაბრუნდა სიცილითა..."

მაგრამ ლეკთა მიერ საქართველოს ერთის დაკერით მოთხრა თუ „პაპულაობა" იყო, „ლეკობა" მისი „ჩვეულებრივი" საბით მართლაც რომ მოთხრას უქადდა ქვეყანას...

XVIII საუკუნის საქართველოს წინაშე „ლეკობა" ის საკითხი იყო, რომლის ასე თუ ისე გადაჭრისაგან დიდად იყო დამოკიდებული ქვეყნის მომავალი. ამას კარგად გრძნობდნენ ქართლ-კახეთის პოლიტიკის მესვეურები და ამიტომაც იყო, რომ ამ საკითხს უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ. მრავალი მოვლენა, საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის სარბიელზე, XVIII საუკუნეში, სწორედ „ლეკობასთან" დაკავშირებით ხდება გასაგები, მის ნიადაგზე აიხსნება.

თეიმურაზ მეფის მგზავრობა რუსეთს. აპრილში 1760 წელს თეიმურაზ მეფე შესაფერისი ამალით რუსეთს გაემგზავრა. მეფის მგზავრობის ოფიციალური მიზანი ხელმწიფის „თაყვანისცემა" იყო. ნამდვილად კი ქართლის მეფეს ელისაბედ იმპერატორისადმი გაბედული გეგმა და მნიშვნელოვანი სათხოვარი ჰქონდა მოსახსენებელი.

იმპერატორთან დარბაზობაზედ თეიმურაზმა ელისაბედს შესაფერისი სიტყვით მიმართა და წერილობით თხოვნაც მიართვა. რუსეთის მეფეს თეიმურაზი ჯარს ან ჯარის დასაქირავებლად ფულს სესხად სთხოვდა. ამ ჯარით ქართველი მეფეები ლეკებს ალაგმავდნენ და საგანგებო ლაშ-

ქრით ერანში შეეიდოდნენ. იქ „ჩინებულთა სპარსთა შეკრებას“ მოახდენდნენ და ამ კრების „ერთხმობით“ „ყენეს კეთილმოსურნეს რუსეთის შესამატად ერანის ტახტზე“ დასვამდნენ.

ქართველების გეგმა გაბედული იყო და გონიერული. თეიმურაზ-ერეკლე წინადადებას აძლევდნენ იმპერატორს, რომ ისინი ერანში რუსეთის ინტერესების აგენტებად გამოვიდოდნენ, ხოლო ამ საქმეში წარმატება, ფიქრობდნენ ისინი, ერანის ბატონობისაგან საქართველოს სამუდამოდ განთავისუფლების მტკიცე საწინდარი იქნებოდა.

ელჩობის მარცხი. რუსეთში თეიმურაზ-ერეკლეს წინადადებას ვერ გამოეხმაურენ. ერანში აგრესიაზედ იქ ეხლა არ ფიქრობდნენ და ისიც დიდი „ღვთის წყალობად“ მიაჩნდათ, რომ ოსმალეთი მოსვენებით იყო და კასპიის ზღვის ერანული სანაპიროების დაპყრობას არ აპირებდა. ერთი სიტყვით, ქართველ მეფეთა ეს წინადადება რუსეთის ინტერესებს ეხლა არ ეთანხმებოდა და „დახმარებაც“ ვერ მიიღეს მთხოვნელებმა.

თეიმურაზ მეფის გარდაცვალება. რვა იანვარს 1762 წელს თეიმურაზი იქვე პეტერბურგს გარდაიცვალა.

ერანის პოლიტიკური ამბები XVIII საუკუნის 60-იან წლებში. ამასობაში ამიერ-კავკასიასა და ერანში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ამბები მოხდა. ბრძოლა ერანის ტახტის მაძიებელთა შორის დასასრულს მიეახლოვდა.

ქ ე რ ი მ-ხ ა ნ ზ ა ნ დ მ ა ყველა თავისი მეტოქეები დაამარცხა და 1761 წლიდან თითქმის მთელს ერანს განაგებდა. ვიდრე ერანის ტახტის მაძიებელთ შორის ომი მიმდინარეობდა, ერეკლემ ერევანი და განჯა დაიმორჩილა (1760 წ.).

ერეკლე იშვიათის ოსტატობით ერკვეოდა ურთიერთის მეტოქე ხანების ძალთა შეფასებაში და საჭირო თადარიგს ყოველთვის თავის დროზედ იჭერდა. ეხლა ქერიმ-ხანი უძლიერესი იყო ერანის ყველა მფლობელებს შორის. ერეკლემაც 1761 წელს მას „ერთგული სამსახური“ აჩვენა. 1760 წელს ქერიმის მიერ დამარცხებულ-ლტოლვილი აზატ-ხანი ერეკლეს ხელში ჩაუვარდა. ერეკლემ ეს ძვირფასი ტყვე მხარშეკრული მის მეტოქეს გაუგზავნა.

ქერიმ-ხანის გაბატონება ერანში. ქერიმ-ხანი ყაენად არ დამჯდარა. ის ერანის ვექილად (მმართველად) იწოდებოდა. ხანები ყველანი მას ემორჩილებოდნენ. ქერიმ-ხანის ვექილობა ფორმალურად არც ერეკლეს უარუყვია, ნამდვილად კი საქართველოს მეფე სრულიად დამოუკიდებელი იყო და ერანისადმი მორჩილების რაიმე ნიშანი. როგორც ეს ძველად იყო, საქართველოს ალარ ედვა. საქართველოს მეფის „ერთგული სამსახურის“ სამაგიეროდ ქერიმ-ხანმა იცნო ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდ, იცნო ერეკლეს უფლება განჯა-ერევნის სახანოებზე და ამით იცნო საქართველოს მეფის უპირატესობა ამიერ-კავკასიის სხვა ხანებს შორის.

ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ერეკლემ, ამრიგად მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა. არანაკლები მნიშვნელობისა იყო ერეკლეს შინაპოლიტი-

კური მიღწევა. თეიმურაზის გარდაცვალების უმალ ერეკლემ თავი ქართლ-კახეთის მეფედ გამოაცხადა. ამიერიდან ეს „ორი საქართველო" ფორმალურადაც ერთ სამეფოდ იქცა.

ბრძოლა ამ მიღწევებისათვის ერეკლე მეფეს არა მარტო გარეშე მტრებთან უხდებოდა. კიდევ უფრო მძიმე ბრძოლა ჰქონდა მას რეაქციულ თავადებთან.

საქართველოს „აღდგომისათვის" ბრძოლა და სათავადოების სისტემა. თეიმურაზისა და განსაკუთრებით ერეკლეს სახელმწიფო მოღვაწეობა პროგრესულ მიზანს ემსახურებოდა. დაუღალავი ბრძოლით მათ აღადგინეს „ქართველობა" და მის განმტკიცება-აღორძინებას ალევდნენ ძალღონეს. მაგრამ სწორედ აქ ელოდათ მათ ყველაზე დიდი წინააღმდეგობა, რომლის გადალახვის გარეშე დასახული მიზნის განხორციელება შეუძლებელი იყო. ეს წინააღმდეგობა სათავადოების პოლიტიკური სისტემა იყო. საქართველოს საზეფო-სამთავროებად დაშლა, ქვეყნის ძალთა მობილიზაციის შეუძლებლობა და უცხოელ დამპყრობელებთან ბრძოლაში დამარცხება სათავადოების სისტემის ნიადაგზე შექმნილი მოვლენები იყო.

სათავადოების სისტემა საქართველოს ჩამორჩენილობას ემყარებოდა და თავისი მხრით ამ ჩამორჩენილობას ემსახურებოდა. გასაგებია, რომ საქართველოს „აღდგომისათვის" ბრძოლა სათავადოების სისტემის წინააღმდეგ ბრძოლას მოითხოვდა. ერეკლე ამ ბრძოლის თავდადებული გმირი იყო.

თეიმურაზ-ერეკლეს ბრძოლა სათავადოების წინააღმდეგ. თეიმურაზ-ერეკლემ ჯერ კიდევ 1743 წელს შეუტია ერთერთ უძლიერეს სათავადოს. ამ დროს აჯანყებულმა არაგველებმა ბეჟან ერისთავი მოკლეს. კახეთის მეფე თეიმურაზმა არაგველები მიიმხრო და საერისთავო საკუთრად დაიჭირა. 1744 წელს თეიმურაზმა ქსნისხეველებიც გადაიბირა და ქსნის საერისთავო ყიზილბაშთა წინააღმდეგ აჯანყებულ გივი ამილახვარს წაართვა. ამასობაში თეიმურაზ-ერეკლემ ქართლ-კახეთის მეფობა ნადირ-შაჰისაგან წყალობად იშოვნეს და ქართლის თავადების აჯანყებასაც ბოლო მოუღეს.

ამრიგად, თეიმურაზ-ერეკლეს ქართლში გაბატონება ქსნისა და არაგვის საერისთაოების მიტაცებით და თავადებთან ბრძოლით დაიწყო. ქართლის თავადები, გასაგებია, მტრულად უყურებდნენ თეიმურაზ-ერეკლეს. მათ არ მოსწონდათ თეიმურაზ-ერეკლეს პოლიტიკა, თავადების ხელშეწყობის წინააღმდეგ რომ იყო მიმართული. მათ არ სურდათ ქართლ-კახეთის გაერთიანება, მეფეს რომ აძლიერებდა. თეიმურაზ-ერეკლეს პოლიტიკურმა მოღვაწეობამ საესებით გააშიშვლა თავადების ბრძოლის რეაქციული არსი. თავიანთი თავადური პოლიტიკური მიზნებისათვის ბრძოლაში ეს რეაქციონერები ერთნაირის ხალისით უკავშირდებოდნენ საქართველოს ყველა მტრებს: ყიზილბაშებს, ოსმალებს, ლეკებს.

1747-1748 წლებში ქართლის რეაქციონერი თავადების სამეფო კანდიდატი მაჰმადიანი აბდულა-ბეგი იყო იესეს-ძე. მწვავე ბრძოლა ერეკ-

ლეს გამარჯვებით დასრულდა. ამ ბრძოლაში ქართლის თავადები დამორჩილდნენ ძალას, მაგრამ ისინი თეიმურაზ-ერეკლეს პოლიტიკას ოდნავადაც არ შერიგებიან და ახალი გამოსელისათვის ხელსაყრელ ტარიოს უცდიდნენ. 1751-1756 წლებში მათი სალოცავი ავლანი აზატ-ხანი იყო, რომელსაც მრავალად შეხიზვნოდნენ აბდულა-ბეგის კანონიერი თუ უკანონო შვილები და „ქართლის შოვნას" საქართველოს ამ დუშმანის დახმარებით ელოდნენ. ამავე ხანებში ქართლის თავადებს თეიმურაზ-ერეკლეს მოწინააღმდეგე ფალაანები რუსეთშიაც ეგულებოდათ. იქ ხომ ქართლის სამეფო ტახტის „ნამდვილი მემკვიდრეები" ბაქარის ძმა და შვილები ისხდნენ, ქართლში გაბატონებაზე ოცნებობდნენ და თეიმურაზ-ერეკლეს მოქმედებას, რაც გაეწყობოდათ, ხელს უშლიდნენ.

1760-იანი წლებიდან მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ერანში პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია მოხდა. საქართველომ ერეკლეს მეთაურობით დაუღალავი ბრძოლის ნაყოფი მიიღო. ქართლ-კახეთი საბოლოოდ გაერთიანდა. ერანის ფაქტორმა მბრძანებელმა ქერიმ-ხანმა აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში ჩრისტიანული სამეფოს ჰეგემონია იცნო. ასე რომ ქართლის რეაქციონერებს გარედან დახმარების იმედები თითქმის გადაეწურათ: ქერიმ-ხანი ერეკლეს მეგობრობდა. რუსეთი კარგა ხანია „უიმედო" ჩანდა, ოსმალეთიც ხომ აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიის საქმეებში აღარ ერეოდა, ხოლო ახლობელი ხანები ერეკლეს ან ემორჩილებოდნენ, ან უსმენდნენ და მის წინააღმდეგ გამოსვლას ვერ ბედავდნენ.

თავადების შეთქმულება. ამ ახალს პირობებში რეაქციონერებსაც ბრძოლის მეთოდი უნდა შეეცვალათ. რაკი გარედან შველის იმედი გადაეწყვდათ, რეაქციონერი თავადები შეთქმულება-ტერორის გზას დაადგნენ. მეფისა და მთელი მისი ოჯახის გაწყვეტა განიზრახეს. ამ დროს საქმეს „იდეური ხელმძღვანელიც" გაუჩნდა. ეს იყო პაატა ბატონიშვილი, ეახტანგ მეფის უკანონო შვილი. ჩქარა „მარკოზაშვილის დარბაზი" (პაატა ბატონიშვილის სადგომი) შეთქმულების ბუდედ იქცა. 1765 წელს, როცა შეთქმულები უკვე მზად იყვნენ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, საქმე გასცა სამშვილდელმა გლეხმა დათუნა ფეიქარმა.

შეთქმულთა დამარცხება. მეფემ მსწრაფლ დააჭერინა შეთქმულების მეთაურები. ერეკლეს კარგად ესმოდა ამ საქმის საზოგადოებრივი აზრი. მან იცოდა, რომ შეთქმულებს მრავალი მომხრეები ჰყავდათ. მეფემ ამ საქმის პოლიტიკურად გამოყენება სცადა. დარბაზის სხდომა მოიწვია. საქმე გასარჩევად მას გადასცა და თითონ კი მოჩიეარის როლში გამოვიდა. დარბაზმა საქმე განიხილა, დამნაშავეებს ქონება ჩამოართვა და მეფეს ნასისხლად მისცა. შეთქმულების მეთაურებს კი: პაატა ბატონიშვილს, დაით ბატონიშვილს აბდულა ბეგის-ძეს და ელიზბარ თაქთაქიშვილს სიკვდილი მიუსაჯა. დანარჩენთ კიდევ: გლახა ციციშვილს, დიასამიძეს.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ა მ ი ლ ა ხ ო რ ი შ ვ ი ლ ს. „ნასალი უყვეს“ ე. ი. ერთერთი ასო (ენა, ცხვირი) მოჭკვეთეს და სხვ.

1765 წლის შეთქმულების დამარცხების შედეგად მეფე კიდევ უფრო გაძლიერდა. „მარკოზაშვილის დარბაზელები“ ფიზიკურ დამარცხებასთან ერთად მორალურადაც დამარცხდნენ. რა თქმა უნდა, „მარკოზაშვილის დარბაზელები“ ამით არ გამჭრალან და არც მეფის წინააღმდეგ მოქმედება შეუნელებიათ. მაგრამ შექმნილი პირობების შესაფერისად მათ ბრძოლის ხერხი შეცვალეს და ამის შემდეგ მეფის წინააღმდეგ ტერორი ალარ უცდიათ.

ყაზახიხა და ბორჩალოს ხახანოების გაუქმება. ქვეყნის გაერთიანებისა და მეფის ხელისუფლების გაძლიერების გზით ერეკლეს ამ დროს სხვა წარმატებაც გააჩნდა. 1755 წელს მან ყ ა ზ ა ხ ი ხ ა ნ ო ბ ა გ ა ა. უ ქ მ ა და ეს ქვეყანა სამოურაოდ აქცია. 1765 წლისათვის კი ბორჩალო-ბაიდარსაც მეფის მოურავები განაგებდნენ. ასე თანდათან იშლებოდა შაჰაბას I-ის ნამანქანევი საქმეების კვალი და საქართველო „ალდგომისათვის“ ძალას იკრებდა.

ერეკლეს სოციალური ღონისძიებანი

საგარეო ხასიათის ეს წარმატებანი, რა თქმა უნდა, არ იყო ის, რის მილწევასაც ერეკლე მიზნად ისახავდა. საქართველოს „გამოხსნისა“ და „ალდგომისათვის“ მთავარი ბრძოლები ჯერ კიდევ წინ იყო. მაგრამ მოპოვებულ წარმატებათა უზრუნველსაყოფად და მომავალი ბრძოლებისათვის მოსამზადებლად საჭირო იყო ქვეყნის შინაგანი განმტკიცება, მისი ეკონომიური და პოლიტიკური გაძლიერება. ერეკლეს კარგად ესმოდა ეს და ამ მიმართულებით დაუცხრომლად მოქმედებდა. ამ მხრით ქვეყანა მართლაც განიცდიდა წინსვლას. მაგრამ სასურველ წარმატებას შესამჩნევად აფერხებდნენ სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის მოვლენები.

ერეკლემ შეძლო ბევრად უფრო ძლიერ ყიზილბაშთა შემოტევების მოგერიება; შეძლო ალმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში საქართველოს პოლიტიკური უპირატესობის განმტკიცება, მაგრამ არ იქნა და გაცილებით უფრო სუსტი ლეკების ავაზაკურ თავდასხმებს ბოლო ვერ მოუღო. მართალია, საქართველოს დაჭერისა და მისი ერთბაშად წარტყვენის განზრახვისაგან ლეკებს ერეკლემ მწარე გაკვეთილებით საბოლოოდ ხელი აალებინა, მაგრამ წვრილ ქურდულ თავდასხმებს, მშვიდობიან მოსახლეობაზე ნადირობას ლეკები ძველებურადვე განაგრძობდნენ და ნორმალურ მეურნეობას შეუძლებელს ხდიდნენ.

ორი საუკუნის განმავლობაში ამაოდ ეძებდა საქართველო ლეკთა შემოსევებისაგან თავდაცვის ეფექტურ საშუალებას. ორსაუკუნოვანი ბრძოლის შედეგი ამ მხრით უნუგეშო იყო. ქვეყნის დიდი ნაწილი საესებით დაცლილი იყო მწარმოებელი მოსახლეობისაგან. მთელ რიგ მხარეებში გლეხობა ან გაწყდა, ან ტყეულ ჩაეარდა, ან აიყარა და ხიზნობდა.

ოსმალ-ყიზილბაშთა ბატონობა საქართველოში, ჩვენ ეს არაერთხელ აღნიშნეთ, უმთავრესად სათავადოების პოლიტიკურ სისტემას ემყარებოდა. უკანასკნელ მოძალადეების გამარჯვება უპირველეს ყოვლისა ამ სისტემის დამარცხება იყო. ლეკობა კიდევ უფრო ღრმად, მკვეთრად და თვალსაჩინოდ სვამდა საკითხს ხსენებული სისტემის გაკოტრების შესახებ. თავადურ-ბატონყმურმა სისტემამ ვერ უზრუნველყო საქართველოს ნორმალური განვითარების მინიმალური პირობები. მაგრამ ლეკობის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლისათვის მხოლოდ თავადების პოლიტიკური დამორჩილება საკმაო არ იყო. ეს საქმის მხოლოდ ერთი მხარე იყო. ლეკობის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატება დიდად იყო დამოკიდებული იმისაგან, თუ როგორ ებრძოდა ლეკობას გლეხი ესე იგი ბრძოლისა ხალისი ჰქონდა მას და რა უნარი შესწევდა.

გვიანფეოდალურ საქართველოში გლეხთა სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა სულ უფროდაუფრო უარესდებოდა. ეს მოვლენა მწვავე კლასობრივი ბრძოლის პირობებში მიმდინარეობდა. ნებით და სიამტკბილობით ქართველი გლეხი (ისე, როგორც ყოველი გლეხი) თავის მებატონეს არაფერს უთმობდა. გლეხები თავგამოდებით ებრძოდნენ ბატონის უსამართლობას. ჩიოდნენ მეფესთან და მისგან „განკითხვას" ითხოვდნენ, ჯანყობდნენ უმართებულო დაბეგვრის წინააღმდეგ და იარაღით იცავდნენ თავიანთ უფლებებს, ჰკლავდნენ გაშხეცებულ მებატონეებს, სტოვებდნენ გაუმაძღარ მძარცველებს, „უკაზახობდნენ", „იქარგებოდნენ". მაგრამ დრო ბატონის სასარგებლოდ მუშაობდა და გლეხის მდგომარეობა სულ უფროდაუფრო მძიმდებოდა. უკანასკნელი საშუალება — აყრა, გაქცევა — გლეხთა ბრძოლის მეტად ფართედ გავრცელებული და მკვეთრი საშუალება იყო. აყრა საქართველოს ინტენსიურ მეურნეობასთან სრულიად შეუთავსებელი იყო. ყმათა სიმცირის პირობებში გლეხთა აყრა მამულის ამოწყვეტას ადვილად იწვევდა, რაც ბატონისათვის მეტად საშიში რამ იყო. მაგრამ აყრა გლეხის ეკონომიურ გაკოტრებასაც ნიშნავდა. აყრილი გლეხი, ან ასაკრელად მზად მყოფი ინტენსიურ მეურნეობას ხელს ვერ მოკიდებდა. მისი ხვედრი „ლარიბობა" და „ბოგანოობა" იყო. სამაგიეროდ ბატონთან ბრძოლაში ის უკვე შეიარაღებული იყო. ამრიგად, ასეთი გლეხი სოციალურ უფლებებს საკუთარი სილარიბის ხარჯზე ინარჩუნებდა. ეს „უკაზაბები", „ხიზან"-„მინდობილები", „ლარიბ"-„ბოგანოები" გვიანფეოდალურ საქართველოში არასოდეს არ გადალეულან. „აყრილთა", „ხიზანთა" და „ბოგანოთა" სიმრავლე საქართველოს მძიმე სოციალ-პოლიტიკური პირობების მკვრივეტყველი მოწმობა იყო. საბატონყმო პირობები საქართველოს ბარში ყველგან ერთნაირი არ იყო. ამ მხრივ დასავლეთ საქართველო აღმოსავლეთისაგან გაირჩეოდა. აღმოსავლეთ-საქართველოშიაც კახეთსა და ქართლს შორის განსხვავება იყო. უფრო მძიმე საბატონყმო პირობები დასავლეთ-საქართველოში იყო, ვიდრე ქართლ-კა-

ხეთში. ქართლში თავის მხრივ ეს პირობები უფრო მძიმე იყო, ვიდრე კახეთში. ამიტომაც იყო, რომ აყრილ-გამოქცეულნი დასავლეთ-საქართველოდან ქართლ-კახეთში მოედინებოდნენ და არა პირუკუ. ქართლიდან კიდევ კახეთში გარბოდნენ. პირუკუ პროცესი იშვიათი იყო. ბარის სოციალური ურთიერთობისაგან მთიანეთი არსებითად განსხვავდებოდა, თუმცა ერთნაირი სურათი არც იქ იყო. მთაში ბატონყმობას ზოგგან უკვე მოეკიდა ფეხი, ზოგგან პატრონყმობის ხანის ურთიერთობა შერჩენილიყო, ზოგგან კვლ კიდევ თავისუფალი თემები ცოცხლობდნენ და ერისთავ-მოურავების იერიშებს მხნედ იგერიებდნენ. მაგრამ თავისუფლებისათვის ბრძოლაში ბარელ გლეხს მთიელი ვერ ეხმარებოდა. მთიელების თავისუფლება მათ სამეურნეო განუვითარებლობას ემყარებოდა, ქართველი გლეხის მიზანი კი ინტენსიური მეურნეობა და თავისუფლება იყო.

ძნელი გასაგები არაა. თუ ასეთს პირობებში მყოფი გლეხობა ლეკთა შემოსევების წინააღმდეგ მხნედ ვერ იბრძოდა. ლატაკს, დაბეჩავებულს, ნახევრად უიარაღოს, მას თავდაცვის მცირე უნარი შესწევდა, ხოლო მძარცველი მებატონისა და მისი ჯონების დაცვის ხალისი გლეხს სრულიადაც არ ჰქონდა. ქართველ გლეხს რომ ლეკებთან ბრძოლის უნარი და სურვილი გასჩენოდა, მას უნდა დაბრუნებოდა ბატონების მიერ მიტაცებული უფლებები, რომელნიც ყმას მონისაგან განასხვავებდნენ. გლეხს უნდა გასჩენოდა სამშობლო, რომ ის დაეცვა.

ერეკლეს კარგად ესმოდა ეს გარემოება, ჰხედავდა, რომ გლეხები მხოლოდ ლეკობამ კი არა, არამედ კიდევ უფრო „უსამართლობამ გარეკა საქართველოდან“ და მეფეც მთელი რიგი სოციალური ხასიათის ღონისძიებებით ცდილობდა გლეხობის გადარჩენას, რადგან კარგად ამჩნევდა, რომ საქართველოს „დაძაბუნების“ უმთავრესი მიზეზი „გლეხი კაცის ამოწყვეტა“ იყო.

ერეკლეს საგლეხო კანონები მიზნად ისახავდნენ გლეხთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ კანონებით გლეხს უნდა დაბრუნებოდა უფლებები, რომლებიც მათ მებატონეებთან ბრძოლაში დიდი ხანია დაკარგეს. მონის მდგომარეობიდან, როგორშიაც გლეხი მოქცეულიყო, ის ისევ „ნახევრად თავისუფალი ადამიანის“ (ე. ი. ფეოდალური ხანის გლეხის) მდგომარეობას უნდა დაბრუნებოდა.

მეფის „მოსაკითხავი“ ბატონისა და ყმის ურთიერთობაში. საბატონყმო ურთიერთობის გაჯანსაღების გზით ერეკლე მეფე ენერგიულად ებრძოდა ბატონისა და მისი ყმის დამოკიდებულებაში, „ბატონყმობის რიგის“ დაცვას მეფის „მოსაკითხავ“ საქმედ აცხადებდა. და ამ „რიგის“ დაცვას, როგორც ბატონის, ისე გლეხისაგან სასტიკად მოითხოვდა. ბატონის მიერ მიმძლავრებისაგან გლეხის დაცვა აქამდისაც მეფის „მოსაკითხავ“ საქმედ ითვლებოდა, მაგრამ თუ როგორ სარგებლობდნენ მეფეები ამ უფლებით, იქიდანაც ჩანს, რომ სწორედ „გაუკითხავობის“ მიზეზით მებატონეთა მიერ შევიწროვებული გლეხობა უცხოეთში იკარგებოდა. ერეკლე ამ საქმეში მებატონეებისადმი დათმობას არ აპირებდა.

„რომელიც ამათი დებულება არ არის და არა სდებიათ, იმას გარდა თუ შეტი რამ მოინდომეთ. ჩვენგან მოსაკითხავი იქნება. ამათ სამართლიანის საქმით მოექეცით, თორემ თუ კიდეე ამათ ჩვენთან გიჩიელესთ, იცოდეთ რომ გიწყენთ". ასე კატეგორიულად აფრთხილებდა ერეკლე მებატონეს, რომლის გლეხებიც მეფესთან ჩიოდნენ არა „სამართლიანის საქმით" ბატონის მიერ თაეიანთ შეეიწროეებას.

მებატონის პასუხისმგებლობა უმიწო ყოფილებაში. ამ მხრით კიდეე უფრო მნიშენელოეანი ჩანს ერეკლეს ბრძანება თაეადის სახლისადმი: „თუ რომ თქეენი მამეულიდან მემკეიდრე კაცი აიყარა და წაეიდა სადმე, ერთი კაცი რომ აიყაროს, იცოდეთ, დიად ავად მოგეპყრობით და გარდაგახდეეინებთ". ასეთი ბრძანებით მეფე გლეხთა მოსახლეობისათეის პასუხისმგებლობას ბატონს აკისრებდა. მკეიდრი ყმების აყრა-გაქცეევის უმთაერესი მიზეზი კი ბატონების მიერ ყმათა ესაზღერო სოციალური ჩაგერა იყო. საბელმწიფო ბატონს აეალებდა მკეიდრი ყმების უკლებლად დაცეას. ბატონი კი ამას მხოლოდ მაშინ შეძლებდა, თუ ყმისაგან „მეტს არ მოინდომებდა", თუ ყმას „ეულებს არ დასდებდა", თუ „ძალასა და უსამართლოს" არ ეუზამდა და იმას დასჯერდებოდა, რაც „დებულობა იყო" ესე იგი თუ თაეის მძარცეელურ მადას საზღეარს დაეუდებდა.

მეფის ხაბახოების მოკითხვა ქართლში. 1767 წელს ერეკლემ ქართლში მეფის სახასო ყმები „მოიკითხა". ესე იგი ეახტანგ მეფის შემდეგ, ოსმალობა-ყიზილბაშობის დროს, თაეადების მიერ მინატაცები სამეფო ყმა-მამეულის უკან დაბრუნება დაიწყო. თაეადებისათეის ეს მეტად საწყენი საქმე იყო. არა ერთი მათგანი გამოეთხოეა დიდი ხნის წინ მინატაცებ სამეფო ყმა-მამეულს. მაგრამ უარესი ის იყო, რომ ყოფილ სამეფო ყმებად თაეი გააცხადა მრაეალმა საბატონო ყმამ. ცრუ მოწმეებით, ნატყუარი საბუთებით გლეხები ცდილობდნენ თაეი დაეღწიათ მძარცეელ ბატონეებისათეის და სამეფო ყმებად ჩაეეულიყენენ.

გლეხთა ასეთი მოქმედებიდან კარგად ჩანდა მათი პოლიტიკური განწყობილება, მათი დამოკიდებულება მეფისა და თაეადებისადმი. ორ მებატონეს შორის გლეხი ეკეთეს მებატონეს მეფეში ხედაედა. რა თქმა ენდა, ეს იმას ოდნაეადაც არ ნიშნაედა, თითქო სამეფო გლეხები თაეისი ბედის კმაყოფილი იყენენ და ამ ბატონის წინააღმდეგ არ იბრძოდნენ. მეფე და ეკლესია, როგორც მებატონენი, საერთოდ, მართალია, აზნაურსა და თაეადს სჯობდნენ, მაგრამ ისინიც ხომ მებატონენი და, მაშასადამე, ყმა-გლეხების ეჩაგრეატორები იყენენ. თანაც მეფისა თუ ეკლესიის მოხელე-შოურაეები ზშირად გლეხთა ძარცეა-რბეევაში არცერთს თაეზეხელაღებულს თაეადს არ ჩამოეარდებოდნენ. ასე რომ ურჩობა, „გაფიცეა"-აჯანყება, აყრა-გაქცეევა, მებატონეთა თუ მის მოხელეთა ცემა-მკელელობა მხოლოდ თაეადებისა და აზნაურების ყმა-გლეხთა კლასობრივ ბრძოლას რიგი ეხასიათებდა. ასეეე საშეალებებით იბრძოდნენ სამეფო-საეკლესიო გლეხებიც. ერეკლე მეფე-მებატონე იყო, მაგრამ ჭკეიანი მებატონე და საქართეელოს გაძლიერებისათეის თაედადებული მებრძოლი, რომელიც კარგად ხედაედა, რომ საქართეე-

ლოს დამხობის ერთერთი მიზეზი მებატონეთა მიერ გლეხთა უზომო მიმძლავრება იყო.

დასასრულ, აღსანიშნავია ერეკლეს დამოკიდებულობა ხიზნებისადმი. მეფე ენერგიულად ცდილობდა დაეცვა ისინი მასპინძელ-მებატონეთა მიერ მიმძლავრებისაგან.

მოკლედ, ერეკლეს საგლეხო პოლიტიკა მიმართული იყო აყრილ-დაკარგულთა, ხიზან-ბოგანოთა შემცირებისაკენ, სამშობლოს დამცველ შემკვიდრე გლეხთა, შეძლებულ გამომღებ მიწის მუშათა გამრავლებისაკენ, ბატონყმობის გაკანსალებისაკენ, მისთვის განვითარებისა და ნაყოფიერების უნარის დაბრუნებისაკენ, საქართველოს ხსნისაკენ.

გასაგებია, თუ ერეკლეს ასეთი საგლეხო პოლიტიკა ზრდიდა ქართლის თავადების რეაქციას, რომელიც ეხლა, 1765 წლის გაკვეთილის შემდეგ სორორში მიმალულიყო და უკეთეს ტაროსს ელოდა.

დასავლეთ საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში

დასავლეთ საქართველოში XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ფეოდალური ანარქია შეუზღუდველად გრძელდებოდა. სათავადოების სისტემა აქ შეუზღუდველად ბატონობდა. მეფის ხელისუფლება უკიდურესად დაცემულიყო. სამეფო-სახასო ქვეყნები, ციხე სიმაგრეები მთავრებსა და თავადებს მიეტაცნათ.

ამ საყოველთაო დაცემა-გაველურებისას ტყვის ყიდვა უკიდურესობამდის მისულიყო. ტყვეებს ჰყიდდნენ ყველანი: მეფეებიც, მღვდელმთავრებიც, მთავრებიც, თავადებიც, აზნაურებიც და გაყაზახებული გლეხებიც.

ამ პირობებში საბატონყმო ურთიერთობის რაიმე საერთო წესები რა ღა თქმა უნდა, რომ არ იყო. „ხელმწიფე-ბატონის" უფლებას საზღვარი არ ჰქონდა. ბატონყმობის წესისა და რიგის მეთვალყურე გამკითხავი აღარავინ იყო. ასეთ წესს მხოლოდ მებატონის სამეურნეო ხელსაყრელობა განსაზღვრავდა და მებატონის მძლავრობას აქ საზღვარს მხოლოდ გლეხთა ბრძოლა უდებდა. გლეხები თავს არ უდებდნენ მებატონეთა მძლავრობას და ყველა საშუალებით თავიანთ უფლებებს იცავდნენ, ხოლო სადაც ეს არ ხერხდებოდა, იყრებოდნენ, იკარგებოდნენ, სხვები კიდეც ალარ „გლეხობდნენ" და იარიღით ხელში „ყაზახობდნენ".

ოსმალთა ლაშქრობა ზღვისპირის ქვეყნების დასაპყრობად. 1723 წელს ოსმალებმა ფოთი დაიპყრეს და აქ ციხე ააგეს, ძველი რუხის ციხე დაანგრიეს და ანაკრიის ციხე ააგეს. ფოთში ფაშა დასვეს და ზღვის სანაპიროს მმართველად დანიშნეს. ოსმალთა ხელში იყო ამავე დროს ბათომი, ციხისძირი, ქობულეთი, სოხუმი. 1732 წელს ოსმალებმა საზღვისპირო ოპერაციების გაღრმავება-გაფართოება განიზრახეს. ბათომიდან აზოვამდის ზღვის სანაპიროების დაპყრობა გადაწყვიტეს. ზღვისპირის ხალხებს საფრთხე ელდათ. მაგრამ ოსმალების სისუსტე მალე აქ ცხადი შეიქნა. მათ და-

პყრობითი განზრახვის დასავლეთ-საქართველოს მეფე-მთავრები მტრულად შეხვდნენ. აფხაზებმა დაამარცხეს ოსმალთა სარდალი. ლაშქრის დიდი ნაწილი გაუჟლიტეს. ლაშქარამოწყვეტილმა ფაშამ ზღვით თავს უშველა, გაიქცა.

ამრიგად, ოსმალებს ამხელად განაზრახი მარცხით დაუმთავრდათ, მაგრამ მდგომარეობა მაინც საშიში რჩებოდა. შავი ზღვის აღმოსავლეთის სანაპირო ოსმალეთის სულ ეფრიდაუფრო მეტს ყურადღებას იქცევდა. მისი რუსეთთან მეტოქეობა ამ საკითხს სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანს ხდიდა. მართალია, ოსმალეთი მიხრწნილ-დასუსტებული იყო, შეტევისა და ახალი ქვეყნების დაპყრობისათვის მას დიდი ძალა ალარ გააჩნდა, მაგრამ თავდაცვის უნარი კიდევ უფრო უიმედო იყო, მისი თავდაცვის უნარი კიდევ უფრო სუსტი იყო.

ოსმალთა ეს დასაყრდენი პუნქტები დასავლეთ საქართველოში მეტისმეტად საშიშად გამოიყურებოდნენ. ციხეები ტყვისმსყიდველთა ბუნაგებად გადაქცეულიყო. ციხისა და მის გარშემო მოსახლეობა თანდათან მაჰმადიანდებოდა. ოსმალების ხელისუფლება ამ ციხეებიდან კიდევ უფრო ადვილად ერეოდა ფეოდალების ურთიერთობაში და ქვეყნის საბოლოოდ დასაპყრობად თანდათან ვზას იკვლევდა.

ხოლომონის გამეფება. 1751 წელს იმერეთში ახალგაზრდა სოლომონ ალექსანდრეს-ძე გამეფდა. ამ დროს იმერეთში უძლიერესი თავადები იყვნენ ლევან აბაშიძე და როსტომ რაჭის ერისთავი. ხსენებული თავადები მთაურობას ირჩევდნენ. აბაშიძე არგვეთისას, ერისთავი რაჭისას და ამ ნიადაგზე სასტიკი მტრობა ჰქონდათ სოლომონის მამა ალექსანდრესთან. ახალგაზრდა სოლომონი მამის ნაკვალევს გაჰყვა და ამ თავადების დამორჩილებას სცდილობდა. საერთოდ სოლომონს ფართე პოლიტიკური გეგმები ახასიათებდა: მტკიცე სამეფო ხელისუფლების შექმნა, ლიხთ-იმერეთის პოლიტიკური გაერთიანება და ოსმალთა ბატონობის უკუგდება. ამ მხრით სოლომონის მოღვაწეობა ერეკლესას ჰგავდა.

ბრძოლა ტყვის-ყიდვის წინააღმდეგ. სოლომონის მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. სამეფო ჭირნება დიდიხანია თავადებს მიეტაცებინათ. მეფე სუსტი იყო (არათუ დადიანი, რაჭის ერისთავიც მეფეზე ძლიერი იყო). წვრილი ფეოდალები ძლიერი თავადების გაელენის ქვეშ იყვნენ. საჭირო იყო ფრთხილი და მოხერხებული მოქმედებით ძალების თანდათანი შემოკრება. თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა მეფემ მაჰმადიანობის გავრცელებისა და ტყვის-ყიდვის წინააღმდეგ ბრძოლით დაიწყო. ორივე უაღრესად მტკივნეული საკითხები იყო. რაგინდ დაცემული არ იყო იმერეთის ფეოდალური საზოგადოება, მის უმრავლესობას ალბიშნულ მოვლენებთან ბრძოლა საჭირო საქმედ მიაჩნდა. ამიტომ ამ საკითხების გარშემო ძალების მობილიზაცია ყველაზე უფრო იყო შესაძლებელი. მეფემ თავის მოღვაწეობას ამით მტკიცე იდეური დასაყრდენი მოუპოვა: ის ქარ-

თ ე ლ ო ბ ი ს ა თ ე ი ს ბ რ ძ ო ლ ი ს მ ე თ ა უ რ ა დ გ ა მ ო-
დ ი ო დ ა.

**წვრილი ფეოდალების თანდათანი შეკრება. დადიან-გურიელის შემო-
რიგება.** მეფემ თანდათან წვრილი თავადები შემოიკრიბა. ამავე დროს ის მოხერხებულად სარგებლობდა დიდი სათავადოების შიგნით უთან-ხმოებით და ამ ურთიერთის მოჭიშპე „სახლის კაცებს" შორის თავის მომხრეებს იძენდა. სოლომონმა მოხერხებულად დაყო ლიხთ-იმერეთის დიდი ფეოდალები უახლოეს და უშორეს მოწინააღმდეგეებად. ის მოუ-რიგდა ო ტ ი ა დ ა დ ი ა ნ ს, დაემოყვრა ამ უძლიერეს მთავარს და, ამრიგად, აბაშიძე-ერისთავის წინააღმდეგ დიდი ძალა შეიძინა. ამავე დროს სოლომონმა მ ა მ ი ა გ უ რ ი ე ლ ი ც შემოირიგა. ამის შემდეგ აბაშიძისა და რაჭის ერისთავის ერთადერთი იმედი ახალციხის ფაშა იყო.

ტყვის-ხყიდვის აკრძალვა. სოლომონის წინააღმდეგ ამხედრების მი-ზეზი ოსმალებს საკმაოდ ჰქონდათ. მეფე-მთავრების შეთანხმება, მეფის ავტორიტეტის ზრდა, მისი ხელისუფლების გაძლიერება, ძლიერი ეკლე-სიის აღდგენის ცდა და მორალური ძალების მობილიზაცია მაჰმადიანო-ბის გავრცელებისა და ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ, — არცერთი ეს ოსმალეთისა და მისი ახალციხელი მოხელისათვის სასურველი ღონის-ძიება არ ყოფილა. მებატონე ოსმალეთისათვის განსაკუთრებით უსია-მოვნო იყო მეფისა და მისი მომხრეების ბრძოლა ტყვეთა სყიდვის წინა-აღმდეგ. სოლომონმა თანდათან თავის სამეფოში თითქმის სავსებით მოს-პო ეს საშინელი სოციალური სენი. ახალციხის ფაშამ არაერთგზის შე-მოუთავლა მეფეს, რათა ტყვის ყიდვა იმერეთში ძველებურად ნება-დართული ყოფილიყო. სოლომონმა ეს მოთხოვნა არ შეასრულა და ტყვის-სყიდვა საერო და საეკლესიო სასჯელით სასტიკად აკრძალა.

ხრესილის ომი. ოსმალეთის ხონთქარმა უფრო ყმის დასჯა ბრძანა. ლე-ვან აბაშიძეს და როსტომ ერისთავს დრო დაუდგათ. სამშობლოს მოღა-ლატე აბაშიძე ახალციხეს გაჩნდა. ოსმალებს როსტომ ერისთავისა და ზოგიერთი სხვა თავადების დახმარება ალუთქვა და მტერს სოლომონისა და მისი მომხრეთა წინააღმდეგ იმერეთზე წამოუძღვა. შეფეს დადიანისა და გურიელის ჯარები მოეშველა. დეკემბერში 1757 წელს ოსმალთა დიდი ჯარი იმერეთში შემოვიდა. ქვეყნის მოღალატეები თავიანთი რაზ-მებით მტერს მიუვიდნენ. ახალგაზრდა სოლომონი შესანიშნავი სარდა-ლი და ყოველად უშიში მეომარი აღმოჩნდა. მან ადვილად შეიტყუა თა-ვის სიმრავლეს მინდობილი მტერი მოხერხებულს ადგილში, ო კ რ ი ბ ა შ ი, ხ რ ე ს ი ლ ი ს მ ი ნ დ ო რ ზ ე და ისე გაბედულად დაესხა თავს, რომ ის სულ ერთიანად მოშალა. ოსმალთა სარდლები დაატყვევეს და დახო-ცეს. მათი ჯარის დიდი ნაწილი გაწყდა, მრავალი დატყვევდა. ამ ომში მოკლულ იქნა ქვეყნის მოღალატე ლევან აბაშიძეც. მეორე მოღალატემ როსტომ რაჭის ერისთავმა და ოსმალთა ჯარის მცირე ნაშთმა თავს გაჭ-ცევით უშველეს.

ხრესილის ომის შედეგები. ხრესილის ომით სოლომონმა ოსმალეთის წინააღმდეგ დიდი ბრძოლა დაიწყო. მეფემ კარგად იცოდა, რომ ოსმა-

ლეთი ასეთ დამარცხებას არ დათმობდა და სოლომონიც ახალი ბრძოლებისათვის ემზადებოდა. ხრესილის ომის შედეგად მეფემ ლევან აბაშიძის სათავადო საბოლოოდ დაიმორჩილა. ამ სათავადოდან სოლომონმა ლევან აბაშიძის წილი მეფის საკუთრებად გამოაცხადა. აბაშიძეები ფიცით შემოიმტკიცა და საბაშოს ნაწილი მათ წყალობად მისცა. ასევე ჩამოართვა მეფემ ყმა მამული სხვა მოლალატეებსაც. როსტომ ერისთაველი დაუსჯელი გადარჩა. ფეოდალებმა შემოარიგეს სოლომონს ეს ძლიერი თავადი. როსტომ ერისთავმა მეფეს ერთგულობაზე შეჰფიცა. სოლომონმა მიინდო ყმა და ის კვლავ რაჭის ერისთავად შეიწყალა.

ამრიგად, ხრესილის ომის შედეგად მეფე შესამჩნევად გაძლიერდა. მისი მორალური ავტორიტეტიც დიდად გაიზარდა. მაინც სოლომონ მეფის მდგომარეობა მეტად რთული იყო. ოსმალეთისათვის „ხმლის კერა" ერთობ მძიმე საქმე იყო. სოლომონმა ეს კარგად იცოდა, საამისო თადარიგს იჭერდა.

ხამხედრო კავშირი ერეკლესა და სოლომონს შორის. 1758 წელს იმერეთისა და ქართლ-კახეთის მეფეებმა ურთიერთ შორის სამხედრო კავშირი დადეს: „რომელსაც ქვეყანაში მტერი შემოვიდეს, ერთმანეთს მივეშველნეთო". ეს კავშირი ერეკლესა და სოლომონს შორის 1770 წლამდის არ დარღვეულა.

ომები 1758 წელს. 1758 წელს სოლომონ მეფისა და ოსმალთა ჯარებს შორის ორგზის ომი მოხდა. პირველში ოსმალთ გაემარჯვათ, მეორეში კი სასტიკად დამარცხდნენ. სოლომონ მეფის სახელი და გავლენა ამით დასავლეთ საქართველოში კიდევ უფრო გაიზარდა.

დასავლეთ-საქართველოს ფეოდალების საგანგებო კრება. სოლომონმა სათანადოდ ისარგებლა ამ გამარჯვებით და მეფის ხელისუფლების გაძლიერებისა და ლიხთ-იმერეთის გაერთიანების გზით ახალი ნაბიჯები გადადგა. 1759 წელს დეკემბერში სოლომონმა დასავლეთ-საქართველოს საეკლესიო და საერო ფეოდალების საგანგებო კრება მოიწვია. მასში მონაწილეობდნენ მეფე, კათალიკოზი და მთელი ლიხთიქითის მაღალი სამღვდელოება, იმერეთის ბატონიშვილები და თავად-აზნაურობა, დადიანი ოდიშის ბატონიშვილებით და თავად-აზნაურობით, გურიელი გურიის ბატონიშვილებით და თავად-აზნაურობით. ეს კრება მთელ თვეს გაგრძელდა. მან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო. მსჯელობის საგანი მთელი ლიხთ-იმერეთის საერთო საკითხები იყო.

ტყვის-სყიდვის აკრძალვა კრების მიერ. ამ კრების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დადგენილება ტყვის-სყიდვის აკრძალვა იყო მთელს დასავლეთ-საქართველოში.

სოლომონ დასავლეთ-საქართველოს ხელმწიფე-პატრონი. 1759 წლის კრებაზედ სოლომონ მეფე მთელი ლიხთ-იმერეთის საერთო საქმეებში ხელმწიფედ გამოცხადდა და მთავრები (დადიან-გურიე-

ლი) და თავადები მისი „მორჩილი და ბრძანების აღმასრულებელნი" იყვნენ. ეს მოვლენა სოლომონ მეფისა და საქართველოს ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ნაწილის დიდი პოლიტიკური გამარჯვება იყო.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოს გაერთიანება და მეფის ხელისუფლების გაძლიერება ოსმალო აგრესორთან ბრძოლისა და ქართველობის დაცვის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა. ამდენადვე ამ საქმის შემდგომი წარმატებაც ალნიშნული ბრძოლის წარმატებისაგან დიდად იყო დამოკიდებული.

მთავრები და, კიდევ უფრო, იმერეთის თავადები, გასაგებია, შიშნარევი ექვით უყურებდნენ მეფის ასეთ გაძლიერებას. განსაკუთრებით მოუსვენრად იყო როსტომ რაჭის ერისთავი. მას ამის საბუთიც ჰქონდა. აბაშიძის სახლის დამდაბლების შემდეგ ჯერი ერისთავზედ მიმდგარიყო. ამის პირველი ნიშანი ის იყო, რომ მეფემ ერისთვის წინააღმდეგ რაჭაში მისი მოქიშპე თავადები დაიახლოვა. ამავე დროს დამდაბლებულ აბაშიძეთა ადგილზე სოლომონმა წერეთლის სახლი წამოსწია.

ომი 1768 წელს. 1763 წელს ახალციხის ფაშას ერთხელ კიდევ უბრძანეს სოლომონ მეფის დამორჩილება. იმერეთში გადასულ ოსმალთა ჯარს როსტომ რაჭის ერისთავი მიემხრო. ოსმალებმა პირველს ბრძოლაში გაიმარჯვეს, მაგრამ გამარჯვებით ვერ ისარგებლეს, სოლომონი ხელთ ვერ იგდეს. ხალხი მიუვალ მთებსა და ტყეებში გაიხიზნა. ოსმალთა ლაშქარს სურსათი შემოაკლდა. მტრის ჯარის სხვადასხვა ნაწილებს შორის უთანხმოებაც ჩამოეარდა. ფაშა ხელცარიელი უკან დაბრუნდა. სოლომონი ხუთი ათასი იმერელით ოსმალთა ჯარის უკანამავალს აეკიდა და წესრი გააელო.

დამარცხებული ფაშა ხუანთქარმა ჩქარა გადააყენა და 1765 წელს სოლომონის წინააღმდეგ 40 ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარი გამოგზავნა სერასკერი ჰასან-ფაშის სარდლობით.

ომი 1765-1766 წლებში. როსტომ ერისთავი ეხლაც მტრის მხარეზე იყო. კიდევ მეტი, მან გადაიბირა თავისი სიძე თეიმურაზ ბატონიშვილი, სოლომონ მეფის ბიძაშვილი, უკანასკნელი ახალციხეს აკიდა და ოსმალთა ჯარს იმერეთზე გამოუძღვა. 1766 წლის გაზაფხულზე ჰასან-ფაშა იმერეთში შემოვიდა. იმერეთის არა-ერთი ტყეს-მსყიდველი თავადი და აზნაური მტერს მიუვიდა. ერთი თვის ომის შემდეგ ოსმალებმა სერის ციხე აიღეს. ამავე დროს იმერეთის სოფლებს მოედვნენ და სულ აოხრეს. სოლომონი იელტოდა. მეფემ ცოლშვილი ოსეთში დახიზნა. თითონ კი დიდხანს იმერეთის სოფლებში იმალებოდა. ოსმალები ბევრს ეცადნენ სოლომონის ხელში ჩაგდებას, მაგრამ ამაოდ: მებრძოლი ხალხი ერთგულად ინახავდა მებრძოლ მეფეს. ბოლოს მტერმა დაკარგა მეფის კვალი. სოლომონი ოთხი მხლებელით ქაიხოსრო წერეთელმა თავის ციხეში მოდინახეში დაპატრა. ჰასან-ფაშამ ოთხი ათასი კაცი იმერეთში დატოვა, თითონ კი ახალციხეს დაბრუნდა. 1767 წელს სოლომონმა შესძლო საპატრავიდან გამოსვლა. მეფეს სწრაფად შე-

მოეყარნენ ერთგული იმერლები. სოლომონმა ზედისზედ დაამარცხა ოსმალთა რაზმები, გამოაძევა ისინი სამეფო ციხეებიდან და ჩქარა მთელს იმერეთს ძველებურად დაეუფლა. როსტომ ერისთავისა და ოსმალთა მიერ გამეფებული თეიმურაზი დანებდა მეფეს. სოლომონმა ის მუხურის ციხეში გამოკეტა. იმავე წელს სოლომონმა ლეკები დაიქირავა და რაჭას როსტომ ერისთავს მიუხდა. როსტომი გადაიხვეწა. მეფემ რაჭა შემოიერთა და იქაური თავად-აზნაურთა შვილები მძევლებად წამოიყვანა.

მაქსიმე ქუთათელის ელჩობა რუსეთში. ამ დროს სოლომონმა გადაწყვიტა რუსეთის მფარველობისათვის მიემართა. იმერეთში კარგად იცოდნენ რუსეთ-ოსმალეთის ტრადიციული მტრობის შესახებ და სოლომონ მეფეც თავის პოლიტიკურ ანგარიშს ამაზედ აგებდა. 23 ივნისს 1768 წელს სოლომონმა საგანგებო უფლებებით აღჭურვილი ელჩი მაქსიმე ქუთათელი რუსეთს გაგზავნა. წერილობით თუ ზეპირად ელჩის პირით სოლომონი რუსთ ხელმწიფეს მფარველობას და დახმარებას სთხოვდა.

რუსეთ-ოსმალეთის ომი 1768—1774 წლებში და საქართველო

სწორედ ამ დროს რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო. თითეული მებრძოლი მხარე მტრის ქვეყანაში ან მის მეზობლად მყოფი მცირე ხალხების ამხედრებას ლამობდა. დაჩაგრულებს „უსჯულო" მტარვალების ხელიდან გამოხსნას ჰპირდებოდა და აჯანყებისაკენ მოუწოდებდა. რუსეთი ბალკანეთისა და ამიერ-კავკასიის ქრისტიან ხალხებს ატყუებდა, ოსმალეთი ყირიმისა და კავკასიის მაჰმადიანებს.

რუსეთის მეფის კარზედ საგანგებო რწმუნებებით აღჭურვილი პირის საქართველოში გაგზავნა გადაწყვიტეს. საგანგებო ელჩს დავალებაც საგანგებო ჰქონდა. მას სოლომონ და ერეკლე ოსმალეთის წინააღმდეგ საომარ მოქმედებაში დაუყოვნებლივ უნდა ჩაეთრია. რუსეთიდან იქ ჯარის გაგზავნას არ აპირებდნენ. უკიდურესი საჭიროების დროს მხოლოდ ფულით დახმარებას და ისიც მცირე რაოდენობით ვარაუდობდნენ.

ასეთ ბჟობაში რომ იყვნენ, საგარეო საქმეთა კოლეგიას ყიზლარის კომენდატისაგან ცნობა მოუვიდა სოლომონ მეფის ელჩის მოსვლის შესახებ.

ეხლა იმერეთის მეფის ელჩი ფრიად სასურველი პირი იყო. მაქსიმე ქუთათელმა სოლომონ მეფის თხოვნა ხელმწიფის კარს მოახსენა. ამავე დროს მოხელე ხვაბულოვი საგანგებო რწმუნებებით სოლომონსა და ერეკლესთან გაიგზავნა.

პეტერბურგში თუ საქართველოში აზრთა გაცვლა-გამოცვლის შედეგად გამოირკვა, რომ სოლომონიც და ერეკლეც მზად იყვნენ ოსმალეთის წინააღმდეგ ომი დაეწყოთ, მაგრამ ამისთვის აუცილებლად მიაჩნდათ რუსეთიდან ჯარით და ფულით დახმარების მიღება.

ქართველები ამ საქმეში სრულიად გარკვეული მიზნებით ხელმძღვანელობდნენ. სოლომონს რუსეთის ჯარი თავისი საშინაო და საგარეო გაძლიერებისათვის უნდოდა. მისი შემწეობით მეფე თავადებს და მთავრებს დაიმორჩილებდა, ოსმალთა მიერ მიტაცებულ ქვეყნებს დაიბრუნებდა და დამპყრობელთ ლიხთიმერეთიდან საბოლოოდ გააძევებდა.

ასევე დიდი საკითხების გადაჭრას ჰფიქრობდა ერეკლეც ამ ახალი ძალის დახმარებით:

რუსეთის დახმარებით ერეკლე ოსმალეთის მიერ მიტაცებული მესხეთის შემოერთებას, ჰარ-ბელაქანის დაპყრობას და ქართლ-კახეთში „ლეკობის“ ლიკვიდაციას აპირებდა. ამას გარდა საქართველო ამიერიდან რუსეთთან პოლიტიკურ კავშირში იქნებოდა. ეს კი ოსმალეთისა და ერანის აგრესიისაგან მას მომავალში დაიცავდა.

რუსეთის ჯარის ამიერ-კავკასიაში შემოსვლა ერეკლეს და მის თანამზრახთ ახალ ხანად ეჩვენებოდათ.

სულ სხვა იყო რუსთ ხელმწიფის მიზნები. რუსეთი ამხელად საქართველოში რაიმე პოლიტიკურ მიზანს არ ისახავდა. კიდევ უფრო ნაკლებად ზრუნავდა ის საქართველოს გაძლიერებაზე. რუსეთის პოლიტიკის მესვეურთა მიზანი მარტივი და გარკვეული იყო: ქართველებს ოსმალთა წინააღმდეგ ომით უკანასკნელის დიდი ძალები უნდა დაებანდებიათ, რომ ამით ომის მთავარ ფრონტზე მტერს ხელი შეშლოდა. ამავე დროს ეს უნდა მომხდარიყო რუსეთის მხრიდან უმცირესი მსხვერპლის გაღებით. საქმის მთელი სიმძიმე ქართველებს უნდა ეტვირთათ. რუსეთის მხოლოდ ხელმძღვანელობა უნდა ყოფილიყო („აქაური სული, სხეული კი ქართული“).

რუსთა ჯარის შემოხვლა საქართველოში. 1769 წელს ზაფხულის გასულს რუსთა ჯარის მცირე რაზმი გენერალი ტოტლებენის სარდლობით საქართველოში მოვიდა.

იმ რთული ამოცანის შესასრულებლად, ტოტლებენს რომ დაევალეს („რუსული სული, სხეული კი ქართული“), ეს გენერალი სრულიად უმწეო იყო. საამისო შეძ არც პოლიტიკური, არც სამხედრო ნიჭი აღმოაჩნდა. საქართველოს რთულ ფეოდალურ სინამდვილეში ის ვერ გაერკვა და ვერც მისი ძალები რუსეთის მიზნებისათვის გამოიყენა. რუსეთის ინტერესები საქართველოს ინტერესებს დაუპირისპირა და ერთგულ მოკავშირეებს სამტროდ შემოადგა. სიძუნწით, მძარცველობით, მედიდურობით და უტაქტო ბაჭიობით სახელი გაითქვა, ხოლო უნიჭო სამხედრო მოქმედებით რუსეთის კორპუსი მხოლოდ დააზარალა და მნიშვნელოვან რაიმე ეფექტს ვერ მიაღწია.

ტოტლებენი და საქართველოს მეფეები. საქართველოს მეფეებს ტოტლებენი იმ თავითვე ვერ გაეწყო. ტოტლებენს განსაკუთრებით არ მოს-

წაიწია. რომ ერეკლესა და სოლომონს საკუთარი მიზნები გააჩნდათ. საქართველოს ინტერესებისათვის ანგარიშის გაწევას ის საჭიროდ არ სთვლიდა და ერეკლე-სოლომონის შორის უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა.

ერეკლე და სოლომონი კი ასეთი მორჩილების მოსურნენი არ აღმოჩნდნენ. ამიტომ სოლომონის წინააღმდეგ ტოტლებენმა წყალობის თვალით შეხედა დასავლეთ-საქართველოს გაერთიანება-გაძლიერების მტრებს დადგანსა და გურიელს. ერეკლეს წინააღმდეგ კი გენერალმა ქართლის რეაქციონერი თავადები — „მარკოზაშვილის დარბაზელები" გაიერთგულა. დავით ჭანისერისთავი, ზაალ ორბელიანი, მაჩაბლები, ამირეჯიბი და სხვები საქვეყნოდ ამოჩქმედდნენ.

ასპინძის ომი. მარტში 1770 წელს ერეკლემ 12 ათასი კაცი ჯარში გაიწვია. ამათგან 7 ათასი კაცით ის ტოტლებენთან ერთად ხეობის გზით ახალციხის საფაშოსაკენ წავიდა. აპრილის შუა რიცხვებში რუს-ქართველთა ჯარი აწყურის ციხეს შემოადგა. ახალციხის ფაშამ ორი ათასი ლეკ-ოსმალო ციხეს მოაშველა. 19 აპრილს ტოტლებენი თავისი ჯარით ანაზდეულად უკუიქცა. ქართველების ჯარი ხიფათში აღმოჩნდა. ხეობის გზით უკან დაბრუნება მას აღარ შეეძლო: მტერი აედევნებოდა და ვიწროებში დიდად დააზარალებდა. აუცილებელი იყო ჯაყბეთს გასვლა და თრიალეთის გზით ქართლში დაბრუნება.

ტოტლებენის ღალატმა ქართველთა ჯარში დიდი აღშფოთება, შიში და არეულ-დარეული გამოიწვია. მტერმა, რა ეს შეამჩნია, გული მოიკაა, ციხიდან გამოვიდა და ქართველებს დაესხა. ერეკლემ ჯარის რჩეული ნაწილი შეახვედრა მტერს და დაზარალებული ისევ ციხეში შერეკა. მეორე დღეს ერეკლე თავისი ჯარით ასპინძის მიმართულებით წავიდა. ასპინძას მისულს მას ახალქალაქიდან წამოსული 1500 ოსმალო შემოეყარა. რჩეულ მხედართა რაზმით ერეკლე ფიცხლავ დაეცა მტერს, დაამარცხა ის და უკუაქცია. ამის შემდეგ ნახევარი საათი არ გასულიყო, რომ 4-ათასი კაცისაგან შემდგარი ლეკ-ოსმალთა რჩეული მხედრობა ახალციხის მხრიდან გამოჩნდა. ერეკლემ ჯარი მეტად მოხერხებულად შეაბა მტერს, ოსმალთა ჯარი სასტიკად დამარცხდა. მხოლოდ რამოდენიმე ათეულმა უშველა თავს გაქცევით. მტერმა სამი ათასამდის მოკლული დაკარგა. სხვები მტკვარში დაიხრჩვენ ან ტყვედ ჩაეარდნენ. ქართველთა ზარალი ფრიად უმნიშვნელო იყო.

ერეკლემ ამ დიდი გამარჯვებით ვერ ისარგებლა. მას დიდად აფიქრებდა ტოტლებენის უკუქცევა და ქართლის საქმეები. 29 აპრილს მეფე სასწრაფოდ თბილისს დაბრუნდა.

აწყურიდან უკუქცეული ტოტლებენი ანანურს აეიდა. აქ ის რუსეთიდან ახალ ჯარს ელოდა.

ტოტლებენის განზრახვები. ერეკლესა და ტოტლებენს შორის დამოკიდებულება საეჭვოთ წახდა. ტოტლებენს მეფის ტახტიდან ჩამოგდება და საქართველოს დაპყრობა დიდიხანია გადაეწყვიტა. ამ ავანტურისტს

კარგა ხანია მიმოწერა გაემართა თაეისი განზრახვის შესახებ რუს გენერლებთან. ეხლა, როცა ბუკურთან ლალატით ეერაფერს მიაღწია, მან ქართლის დაპყრობის საკითხი რუსთა კორპუსის სამხედრო საბჭოზედ დასვა და დასტურიც მიიღო. ამ საქმეში ტოტლებენის ერთგული მოკავშირენი „მარკოზაშვილის დარბაზელები“ იყვნენ. გენერალმა მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეხლა რუსეთის სამეფო კარს აცნობა და დაუყოვნებლივ საქმე დაიწყო. ციხე-ქალაქების დაჭერასა და ხალხის რუსთხელმწიფის ერთგულებაზე დაფიცებას შეუდგა.

ერეკლე დიდს საგონებელში ჩაეარდა. მაგრამ სწრაფად საწინააღმდეგო ღონისძიებები მიიღო და ამ ავანტურისტის დაპატიმრება დააპირა. მეფის ენერგიულმა მოქმედებამ ტოტლებენი შეაშინა და ბაქია გენერალმაც ხელები დაიბოკლა. „მარკოზაშვილის დარბაზელებს“ ერთხელ კიდეე ჩაუქნათ აყვავებული რეაქციული იმედები.

რუსეთის სამეფო კარი ტოტლებენის ავანტურის წინააღმდეგი არ იყო, ოღონდ კი გენერალის ასეთ „მოღვაწეობას“ ოსმალეთთან საომარი მოქმედება არ შეენელებია. ტოტლებენისაგან განსხვავებით რუსეთის პოლიტიკის მესაჭეები საქართველოს დაპყრობის საკითხში ერთგვარ სიფრთხილეს იმ მხრით იჩენდნენ, რომ სიშორისა და მისასვლელი გზების სიძნელის გამო ამ ქვეყნის მტკიცედ დაპყრობა მათ ჯერჯერობით საეჭვოდ ეჩვენებოდათ... მომავალში კი შეიძლება ამ დაბრკოლებათა დასაძლევი პირობებიც შეიქმნესო, იმედოვნებდნენ ყაჩაღები.

ტოტლებენი იმერეთში. ტოტლებენმა მიიღო დამხმარე ძალები და ეხლა იმერეთს წავიდა. ამასობაში სოლომონ მეფეს ცუცხვათისა და შორაპნის ციხეებიდან ოსმალები გაერეკა, ქუთაისი ქალაქიც დაეპყრო და ციხე შეებუთა. 2 ივლისს ტოტლებენმა ბაღდადის პატარა ციხე წაართვა ოსმალთ. ამის შემდეგ რუს-იმერულთა ჯარი ქუთაისის ციხეს შემოადგა და 6 აგვისტოს აიღო ის.

ტოტლებენს ვერც სოლომონი გაეწყო. ჩქარა მათ შორის აშკარა უკმაყოფილება ჩამოეარდა.

ფოთის ალყა. ოქტომბრის ბოლო რიცხვებში ტოტლებენი უკვე ფოთს შემოადგომოდა. გენერალმა დანაქადი ვერ შეასრულა. ციხე ვერ აიღო. ის ძლიერი გამაგრებული აღმოჩნდა. „მოკავშირე“ მთაერებიც — დადიანი, გურიელი, შერვაშიძე — მეტად საეჭვოდ მოქმედებდნენ. დეკემბერში ბათომიდან ოსმალთა დიდი ჯარი წამოვიდა ტოტლებენის წინააღმდეგ. გენერალი ხიფათში ჩაეარდა. მდგომარეობა სოლომონმა გამოასწორა. მეფე თაეისი ჯარით იმერეთიდან სწრაფად გურიას მიეიდა და ოსმალთა ლაშქარს გზის მოჭრით დაემუქრა. ამ შიშის ქვეშ ოსმალები 3 იანვარს მალთაყვიდან უკუიქცნენ.

ამ შემთხვევით სოლომონმა კარგად ისარგებლა. ოსმალთა მომდგური გიორგი გურიელი გადააყენა, ისევ მამია გაამთაერა, გურიის თავად-აზნაურობა ერთგულობაზე შემოიფიცა და მძევლებით უკან დაბრუნდა.

ამასობაში ფოთის მოალყეთა საქმე კიდევ უფრო წახდა. 6 თებერვალს ტოტლებენი მოეხსნა ფოთს და შერცხვენილი წავიდა.

ეხლა რუსეთის სამეფო კარმაც დაიჯერა, რომ საქართველოში „ტოტლებენი რუსეთს უფრო სირცხვილს, ვიდრე სახელს უხვეჭდა". ტოტლებენი გამოცვალეს. სუხოტინი დანიშნეს. უკანასკნელი 1771 წლის 13 მაისს მოვიდა ქუთაისს და კორპუსიც ჩაიბარა.

სუხოტინი ტოტლებენზედ ბედნიერი არ აღმოჩნდა. არც თითონ იცოდა ადგილობრივი პირობებისა, არც სხვების რჩევა დაიჯერა. შუა ზაფხულში ფოთში ლაშქრობა დაიწყო.

სუხოტინის მარცხი. ფოთის ჰაერმა უჩვეული ხალხი დასცადა. სუხოტინს რვაასამდე კაცი ციებ-ცხელებისაგან დაეხოცა. დანარჩენის დიდი უმრავლესობა აყადმყოფობისაგან ძლივს ფეხზედ იდგა. ოქტომბერში სუხოტინმა ფოთს ალყა მოხსნა. უბედური გენერალი ციებ-ცხელებისაგან სულს ძლივს ლაფაედა და ჯანსაღობის აღსადგენად ხელმწიფეს ორი წლით შეებედებას სთხოვდა.

ერეკლეს მიერ რუსთ ხელმწიფისადმი უმრბის წინადადება. რუსეთის საექსპედიციო ლაშქრის ორი წლის მოქმედებამ ერეკლეს ოდნავადაც არ მოუტანა ის, რასაც მეფე მოელოდა. ყველა ის დიდი საკითხები, რომელთა გადაჭრას ერეკლე ამ ომს უკავშირებდა, გადაუჭრელი რჩებოდნენ. კიდევ უარესი: ერევნის ხანი გამდგარიყო და ოსმალეთის მფარველობის ქვეშ შესულიყო. არც ქერიმ-ხანი იყო ერეკლეს კმაყოფილი. ეხლა ქერიმ-ხანთან ალექსანდრე ბაქარის ძე იჯდა დამისი დახმარებით ქართლის შოენას ამირებდა. ქართლში „მარკოზაშვილის დარბაზელები" იმედს არ კარგავდნენ. ტოტლებენის მარცხით გულდაწყვეტილი რეაქციონერები ეხლა ქერიმ-ხანის ხელის შემყურენი იყვნენ. მისი წყალობით ალექსანდრეს გამეფებას ელოდნენ. არა მარტო ფაშები, შეზობელი ხანებიც კი, უნდობლად და მტრულად უყურებდნენ რუსეთის მოკავშირე ერეკლეს. მუდმივი ომი დიდ ხარჯს ითხოვდა. ლეკთა აშლას დიდი ზარალი ახლდა. ამავე დროს ეს „მფარველ-მოკავშირე" საქართველოს აღდგომისა და გაძლიერების საკითხისადმი უცნაურ გულგრილობას იჩენდა, ხოლო „მოკავშირე" ლაშქრის სარდლები ერეკლეს მტრებს უფრო ეწყობოდნენ, ვიდრე მას. მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. პოლიტიკური კურსის გადასინჯვის საკითხი დგებოდა. შაგრამ სამშობლოს მომავლისათვის მებრძოლი ქართველობა ერანოსმალეთს ვერ აირჩევდა: საქართველოს გამოხსნისა და აღდგომის იდეა ამ აგრესორების წინააღმდეგ სამი საუკუნოვანი უმაგალითო ბრძოლის იდეა იყო. და ერეკლემ თავის თანამზრახებთან რჩევით დიდხმიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. რომ რუსეთის მთავრობა საქართველოს აღდგენა-გაძლიერების საქმეში რეალურად დაინტერესებია, ერეკლემ „მოკავშირეს" ყმობა შესთავაზა. ერეკლეს ყმობის პირობები შემდეგი იყო: ქართლ-კახეთში მეფის უფლება ერეკლესა და

მისი ჩამომაელობის ხელში ეკუთვნილად უნდა დარჩენილიყო. ასევე ეკუთვნილი უნდა დარჩენილიყო ეკლესიის მმართველობის წესიც. რუსეთის მთავრობას ერეკლეს განკარგულებაში უნდა გამოეგზავნა ყარი — 4000 კაცი. ამ ყარით მეფე საკუთრად დაიპყრობდა მოძალადეთა მიერ საქართველოდან მიტაცებულ ქვეყნებს (სამცხე-საათაბაგოს, ჰარ-ბელაქანს). თავის მხრით ერეკლე რუსეთის მთავრობას იმ ხარკს პირდებოდა, რომელსაც ქართლ-კახეთი ძველ დროს ერანს აძლევდა (წლიურად ორი ათას საპალნე რჩეულ ღვინოს, 14 რჩეულ ცხენს და კომლის თავზედ 14 შაურს). ყმობის წესის თანახმად ერეკლე პატრონს სამხედრო ძალის (სალდათის) მიცემასაც პირდებოდა მას შემდეგ, რაც „საქართველო წარმართთაგან განთავისუფლდებოდა და დამშვიდდებოდა". ქართლ-კახეთში არ არსებული მადნების, თუ მომავალში რამ აღმოჩნდება, შემოსავლის ნახევარს მეფე რუსეთის ხაზინას უთმობდა. იმ დიდი ხარჯების დასაფარავად კი, ერეკლეს რომ ამ ომთან დაკავშირებით მოსდიოდა, მეფე სესხს სთხოვდა ხელმწიფეს. ამ პირობების დაცვის გარანტად ერეკლე მძევლად პირდებოდა ხელმწიფეს ერთერთ შვილს შესაფერისი თავად-აზნაურებით. დასასრულ, აქვე ითხოვდა მეფე იმ ტყვეების საქართველოში უსასყიდლოდ დაბრუნებას, რომელნიც რუსთა მიერ ყირიმის დაპყრობისას იქ აღმოჩნილან.

ერეკლეს ელჩები ანტონ კათალიკოზი და ლევან ბატონიშვილი 1772 წლის ხუთ იანვარს გაემგზავრნენ.

რუსეთის მთავრობა ქართველების უკმაყოფილო იყო. განსაკუთრებით არ მოსწონდათ ერეკლე. ის, მათი აზრით, რუსთა ძალების მხოლოდ საქართველოს გასაძლიერებლად შობმარას ცდილობდა. საექსპედიციო კორპუსის მარცხსაც რუსეთის მთავრობა მხოლოდ ქართველებს აბრალებდა.

1772 წლის მაისში რუსთა კორპუსი უკან გაიწვიეს.

რუსთა კორპუსის უკან გაწვევით ქართველები დიდად იყვნენ შეწუხებული. განსაკუთრებით სწუხდა ერეკლე, რომელმაც ერთობ დიდი რისკი გასწია. დიდი ბრძოლითა და ენერგიით მოგვარებულ-დაწყობილი საგარეო თუ საშინაო საქმეების აშლას არ მოერიდა და თავისი ქვეყნის მომავალის უმძიმესი საკითხების გადაწყვეტა ორ აგრესორს შორის მეტოქეობასა და ომს დაუკავშირა. მაგრამ რუსეთ-ოსმალეთის ომი ჯერ კიდევ გრძელდებოდა, არც ერეკლეს ელჩები დაბრუნებულიყვნენ რუსეთიდან და მეფეს კიდევ ჰქონდა იმედი, რომ მდგომარეობას თავის სასარგებლოდ შეცვალებდა.

ერეკლე-სოლომონის კავშირი. 1773 წელს ერეკლემ და სოლომონმა ძველი კავშირი განაახლეს.

შეერთებული ლაშქრობა იმერეთის წინააღმდეგ. ერეკლე-სოლომონის სამხედრო კავშირმა ახალციხის ფაშა საგონებელში ჩააგდო. მეფეების კავშირს ფაშამ იმით უპასუხა, რომ იმერეთის წინააღმდეგ დადიანი და აფხაზთა მთავარი წამოშალა, ხოლო ქართლ-კახეთს ხუნძახის ბატონი და ჰარელები შემოესია. ამავე დროს ლეკთა დასტები ახალციხის მპრიდა-

ნაც შემოიკრიბენ ქართლის სოფლებში. მიუხედავად ამისა მეფეებმა შესძლეს ახალციხის მხარეში საერთო ლაშქრობის მოწყობა. 11 ათასი კაცით ერეკლე და სოლომონი 1773 წლის თექვსმეტ ოქტომბერს გორი-თრიალეთის გზით ჯავახეთს გადაეიდნენ და ახალქალაქს ალყა შემოარტყეს. ოსმალთა გარნიზონი ციხეში ჩაიკეტა. მეფეთა შესაბმელად გამოსელა ეერც ახალციხის ფაშამ გაბედა. ქართველთა მარბიელი ჯავახეთ-სამცხისა და ყარსის სოფლებს მოედო და სასტიკად აოხრა. ლაშქრობა ნაადრევად სოლომონ მეფის ავადმყოფობამ მოშალა.

ჩხერიხის ომი. ამ ლაშქრობის საპასუხოდ ახალციხის ფაშამ სოლომონ მეფის წინააღმდეგ 1774 წლის იანვარში დიდი საქმე დაიწყო. 3700 მეომრისაგან შემდგარი ლეკ-ოსმალთა ჯარი ვახანის გზით იმერეთს შემოესია. ამავე დროს ფაშამ სოლომონის წინააღმდეგ დადიანსა და აფხაზთა მთავარს მოუწოდა. იმერეთისათვის ორი მხრიდან ერთდროულად უნდა დაეკრათ. სოლომონ მეფემ მოკავშირე ერეკლეს შველა სთხოვა. ერეკლემ ლაშქრის შეკრება ბრძანა და ამავე დროს მოციქულები გაუგზავნა დადიანს და სოლომონის წინააღმდეგ გამოსვლისაგან ხელი აალებინა. ამით იმერეთის მეფეს ხელი გაეხსნა და მან მთელი ძალა ლეკ-ოსმალეთის წინააღმდეგ მიჰმართა. მეორეს მხრით ერეკლემ მოკავშირის დასახმარებლად ჯარი შემოიყარა. მტერმა ყველაფერი ეს შეიტყო და. რომ განადგურებისათვის თავი დაეღწია, მან უკუქცევა გადაწყვიტა. სოლომონმა მტერს განზრახვა შეუტყო. რჩეული მეთოფეთა რაზმი შეარჩია, რაზმმა მტერს თავი მოუარა და ჩხერის ეიწროებში ჩაესაფრა. ლეკ-ოსმალთა უკუქცეული ჯარი ამ ეიწროებს ეერ ასცდებოდა. 6 თებერვალს გათენებისას მტერი ეიწროებს მიადგა. მაგრამ იმერელ მეთოფეთა ძლიერმა ცეცხლმა მათ გზა მოუკრა. შეკმუნვებულ მტერს სწორედ ამ დროს სოლომონ მეფემ მთავარი ძალებით, ზურგიდან ხმლით ისე მხნედ დაჰკრა, რომ მისი წინააღმდეგობა ერთბაშად მოშალა. 1000 მოკლული და 600 ტყვე ლეკ-ოსმალო ადგილზე დარჩა. თაედამსხმელებს რაც აქ ჰისაზღველი დააკლდათ, ის იმერელმა მდევრებმა შეუთავეს. 1400 კაცი ჩხერიდან ვახანამდის დაკარგა ლტოლვილმა ლეკ-ოსმალთა ლაშქარმა. ძლივს 700 კაცმა მიაღწია ახალციხეს და ფაშას საზარელი ამბავი მიუტანა.

რუსეთის მთავრობის უარი ერეკლეს წინადადებაზე. ერეკლეს ელჩებმა პასუხი მხოლოდ 1773 წლის მიწურულში მიიღეს. რუსეთის მთავრობამ ერეკლეს წინადადება უარყო. პეტერბურგში ანგარიშს უწევდნენ, რომ ქართლ-კახეთისადმი ხელის დადება რუსეთის წინააღმდეგ ოსმალეთთან ერთად ერანსაც აღძრავდა.

ქუჩუკ-კაინარჯის ზავი და საქართველო. 10 ივლისს 1774 წელს რუსეთ-ოსმალეთს შორის ზავი დაიდო (ქუჩუკ-კაინარჯის ზავი). საზავო ტრაქტატის მე-23 არტიკული საქართველოს შეეხებოდა. რუსეთი ამ მუხლით დასაელეთ საქართველოში ოსმალეთის უფლებას სცნობდა. ციხეებს: ქუთაისს, შორაპანს და ბაღდადს ოსმალთა საკუთრებად ალიარებდა. თავისი მხრით ოსმალეთი პირობას სდებდა, რომ ის ქართველების ძვირს არ მოიხსენებდა, ხელს აიღებდა დასაელეთ საქართველოს საკუთ-

რად დაპყრობის განზრახვისაგან, იმერეთიდან ხარკის აღებისაგან საერთოდ და კერძოდ ქალ-ვაჟებით ხარკის მოთხოვნისაგან; თავს შეიკავებდა ქრისტიანთა სარწმუნოებრივი დევნისაგან.

1768 — 1774 წლის ომმა სოლომონს შესამჩნევი წარმატება არგუნა. ოსმალებმა ვერ გამოიყენეს ტრაქტატის ეს მუხლი და ქუთაის-შორაპან-ბაღდადის ციხეები ვერ დაიჭირეს. სოლომონმა ტყვეთა სყიდვა საქსებით მოსპო. მეფის გავლენა კიდევ უფრო გაძლიერდა. თავადების ალერსახსნილობა მან მტკიცე ხელით ალაგმა. მეფის შიში და პატივისცემა შეედვათ მთავრებს. ქვეყანა დამშვიდდა და სწრაფად მოშენება იწყო. სულ რაღაც ათიოდე წელიწადში მოსახლეობამ 50 % მოიმატა.

გაცილებით უფრო ცუდი იყო ერეკლეს მდგომარეობა: რუსეთ-ოსმალეთის ომში ჩარევამ ერეკლეს აურაცხელი მტრები აუშალა. ჭეჩუკ-კაბარდის ზავმა კი ქართლ-კახეთის მეფეს არაფერი მოუტანა.

ერეკლეს ხამხედრო ღონისძიებანი ლეკობის წინააღმდეგ. საუკუნოვან ბრძოლაში, ფეოდალური საქართველო რომ ლეკთა შემოსევების წინააღმდეგ აწარმოებდა, ქართველი პოლიტიკური მოღვაწენი კარგად ხედავდნენ ამ ბრძოლის საშუალებათა უეარგისობას, მაგრამ თავადურ-ბატონყმური სინამდვილე სხვა საშუალებებს არ იძლეოდა. მაინც ყველა თავის წინაპრებზე უფრო სრულად ეს საშუალებანი ერეკლემ გამოიყენა. მ ო რ ი გ ე - უ ა რ ა ე ლ ი, ც ი ხ ე ე ბ ი ა ლ ა ვ ნ ე ბ ი, ნ ო ქ ა რ ი, რ ო ქ ი ს ჯ ა რ ი და მ ო რ ი გ ე ჯ ა რ ი, — ასეთი იყო ლეკობის წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა საშუალებანი.

მორიგე ჯარი. საქართველოში აქამდისაც კარგად იცოდნენ, ხოლო 1769-1771 წლებში რუსთა ჯარის გაცნობით კიდევ უფრო დარწმუნდნენ ფეოდალური ლაშქრის ჩამორჩენილობაში და „რეგულის" უპირატესობაში. მაგრამ ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები იმასაც კარგად ხედავდნენ, რომ იმ დროის საქართველოში ჯარის ასეთი ორგანიზაცია შეუძლებელი იყო. არც მეფეს გააჩნდა ასეთი ლაშქრის ტექნიკური მომარაგებისა და უზრუნველყოფის საშუალება და არც თავადური საქართველო მისცემდა მეფეს თავის ყმებს ასეთი ლაშქრისათვის. 1773 წლის მიწურულს ერეკლემ დარბაზის სხდომა მოიწვია. მსჯელობა შეეხებოდა ჯარის ახალი სისტემის შექმნას. დარბაზმა შეიმუშავა „მორიგის ლაშქრობის განაჩენი", რომელიც მან „ყველასაგან უკეთესად და უმჯობესად გამოარჩია". მორიგე ლაშქრის რაობა შემდეგი იყო: საქართველოს მამაკაცი მოსახლეობა აღწერილ იქნა. ყველა ლაშქრობის შემძლე მამაკაცი მოვალე იყო წელიწადში ერთი თვით გარდა მთიელებისა (თუშების, ფშავ-ხევსურების) ლაშქარში გასულიყო. ვაჭრებს კი და მებატონისა თუ სოფლისათვის აუცილებელ პირებს (მზარეული, ხაბაზი, მწყემსი, მებალე, გუთნის დედა, მეწისქვილე) შეეძლოთ მაგიერი კაცი („ბადალი") გაეშვათ. ლაშქარში მორიგე თავისი ხარჯით მიდიოდა. ამისთვის მეფემ ქართლ-კახეთის მთელი გლეხობა სურსათის გადასახადისაგან გაათავისუფლა. მორიგეს იარაღიც საკუთარი უნდა ჰქონოდა. მორიგე

ლაშქარში ხალხის უკლებლად გამოცხადების პასუხისმგებელი სოფლის მებატონე და მოხელე იყვნენ. ბატონი მოვალე იყო მორიგეთ მიმავალი გლეხი (მამკვიდრე თუ ხიზანი) მოემარაგებია. როცა უკანასკნელს საკუთარი საშუალება არ გააჩნდა. მორიგე ლაშქარში დაგვიანება-წაუსვლელობისათვის დამნაშავენი სათანადოდ ისჯებოდნენ: გლეხები წკეპლით, თავადები და აზნაურები საპატიმროთი. მორიგე ლაშქარი სამხედრო ერთეულებად იყოფებოდა და თითეულს მეფის მიერ დანიშნული სამხედრო მოხელე უფროსობდა. პირველ ხანებში მორიგეში თვიურად ხუთი ათასი მეომარი გამოდიოდა. მორიგე ლაშქრის მიზანშეწონილობა, მისი დიდი სარგებლიანობა ჩქარა აშკარა შეიქმნა. ლეკების თარეში საესებით შეწყდა, ქვეყანა ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდა. მიტოვებული სოფლები ისევ მოშენდა, გლეხებმა ციხე-გალავნები დატოვეს, მინდვრად გავიდნენ და მშვიდობიან სოფლის მეურნეობას შეუდგნენ. მორიგე ლაშქრის მთავარი ხელმძღვანელი *ლევან ბატონიშვილი* იყო. ამ ახალი ლაშქრის ასეთი სარგებლიანობის მიუხედავად თავადებმა მას შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადეს და ჩქარა კიდეც გააუქმეს ის. რაგინდ კომპრომისული არ იყო მორიგე ლაშქრის სისტემა, ის თავადურ-ბატონყმურ წყობილებას მაინც არ ეგუებოდა. არაფრად მოსწონდა თავადს მორიგეში გასვლა. აქ ის საკუთარი ყმების სამხედრო უფროსი არ იყო და არც საკუთარი აზნაურ-მოლაშქრენი ახლდნენ მას. თავადი მორიგეში ერთი მოლაშქრეთაგანი იყო. აქ ის მეფის მოხელეს (დალბაშს, უზბაშს, მინბაშს) ემორჩილებოდა და თავის საქმეში მკაცრად პასუხს აგებდა. მორიგეში მეფე და თავადი პატრონ-ყმა კი აღარ იყვნენ, არამედ *ხელმწიფე* და *ქვეშევრდომი*. მორიგე ლაშქარში გასული გლეხი ერთი თვით თავის ბატონს სცილდებოდა, უშუალოდ მეფის კაცი ხდებოდა. გლეხმა უმალ შეამჩნია ეს ახალი მოვლენა და კლასობრივ ბრძოლაში მისი გამოყენება არ დააყოვნა. მორიგეში გასული გლეხები ჩიოდნენ ბატონების მიერ თავიანთ უსამართლო მოძალადეობას და მეფისაგან სამართალს მოითხოვდნენ. ხელისუფლება იძულებული იყო მეტის ყურადღებით, ვიდრე აქამდის, მოპყრობოდა გლეხთა ასეთ საჩივრებს, და ბატონისა და მისი ყმის ურთიერთობაში ენერგიულად ჩარეოდა... მორიგე ლაშქარი მეფისა და მისი მოხელეების ხელში მხოლოდ ლეკთა საწინააღმდეგო იარაღი როდი იყო. ის ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკურ გაძლიერებას შესამჩნევად ხელს უწყობდა. მორიგე ლაშქრის შემოღებით ძველი თავადურ-ბატონყმური ლაშქრის წესი არ გაუქმებულა, თუმცა მისი მნიშვნელობა შესამჩნევად შემცირდა. ლაშქარს ძველის წესით მხოლოდ დიდი მტრის შემოსევისას შეყრიდნენ ხოლმე. მორიგე ლაშქარი რეგულარული ჯარის სისტემაზე გარდასავალი საფეხური იყო. აი ამ მიზეზების გამო იყო, რომ თავადები მორიგე ჯარის სისტემის გაუქმებისათვის შრომას არ ზოგავდნენ. მორიგე ლაშქარში თავადურმა რეაქციამ თავისთვის საფრთხე დაინახა და მას გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადა. ამდენადვე მორიგე ლაშქარი საქართველოს პოლიტიკური გამოცდა იყო.

მორიგე ლაშქარი ბრძანებით არასოდეს გაუუქმებიათ, მაგრამ თავადურმა რეაქციამ მოახერხა მისი თანდათანი შესუსტება და ბოლოს სავსებით გაქრობა. მორიგე ლაშქრის საქმის უდიდესი ზიანი მისი ხელმძღვანელის ლევან ბატონიშვილის მოულოდნელი სიკვდილი იყო (1781 წ.). სხვა ბატონიშვილები აგრე რიგად არ ზრუნავდნენ მორიგე ჯარზე და უნამუსო მოხელეების ხელში ჩქარა ის საკუთარი შემოსავლის წყაროდ იქცა. ქრთამით ესა თუ ის თავადი თავისი ყმებით სულ უფროდაუფრო ადვილად ახერხებდა მორიგეში გასვლისაგან თავის დაღწევას. მორიგეთა რიცხვმა თანდათან იკლო და ბოლოს სულ გაქრა. მორიგე ლაშქარი ისევ მორიგე ყარაულმა შეცვალა. ეს იყო თავადური რეაქციის გამარჯვება და ლეკთა თარეშის ძველებურადვე განახლება.

სამთამადნო წარმოების გაჩენა. 1774 წელს ერეკლემ სამთამადნო მრეწველობის საქმეს საფუძველი ჩაუყარა. მეფემ იცოდა, რომ ძველ დროს საქართველოში მადნების დამუშავება სწარმოებდა. ერეკლემ მტკიცედ განიზრახა ამ საქმის განახლება. საქართველოში მადნის ოსტატი მის დროს არავინ იყო და მეფეც დიდხანს ცდილობდა სხვა ქვეყნებიდან მოეყვანა მადნის საქმის მცოდნენი. ბოლოს მან მოახერხა ოსმალეთიდან ბერძენი მოხელეების გადმობირება. პირველად მცირე ჯგუფი მოვიდა. ერეკლემ მათ მეტად ხელსაყრელი პირობები დაუდვა. წამოწყებას მეტად კარგი პირი უჩანდა. ახტალის ვერცხლის საბადოებს გარდა ბერძენ მადანჩრებმა ჩქარა სპილენძის საბადოებიც იპოვეს. საქმის შესახებ თანამოძმეებს შეატყობინეს და ბერძნებიც მრავლად გადმოვიდნენ გიუმიშხანედან. ცხოველი მუშაობა გაჩაღდა. პირველად ახტალის ზავოდი გაიხსნა, შემდეგ ალავერდის და შამბლუღის სპილენძის ზავოდები. საქმე იმთავითვე კარგად წავიდა. ახტალის ზავოდს ზოგიერთ წელიწადში 90 ფუთამდე წმინდა ვერცხლი შემოჰქონდა (თითო ლიტრა ვერცხლს 46 მისხალი ოქრო ახლდა). სპილენძის ზავოდები წლიურად საშუალოდ 10 ათას ფუთ სპილენძს იძლეოდნენ.

ასე რომ ამ მადნებით ერეკლემ სამეფო შემოსავალი შესამჩნევად გაადიდა. ეკონომიური შესაძლებლობა მეფემ სათანადოდ გამოიყენა. საჩუქრებით, „ჯამაგირით" ერეკლემ ლეკთა ბელადები მრავლად გაიერთგულა, ლეკთა რაზმებიც დაიქირავა (სხვები კიდევ მორიგე ლაშქრის შემწეობით ალაგმა) და ქვეყანას მშვიდობა მოუპოვა.

ერეკლეს საგარეო პოლიტიკა XVIII საუკუნის 80-ან წლებში

XVIII საუკუნის 80-ან წლებში ახლო აღმოსავლეთში საერთაშორისო მდგომარეობა გართულდა. ერან-ოსმალეთის შორის დამოკიდებულება გამწვავდა (1776 წ.). ორივე მხარე საომრად ემზადებოდა. ოსმალეთი აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში მომხრეებს ეძებდა. ერეკლე ქართლ-კახეთის ფორმალურ გათავისუფლებას ერანის ბატონობისაგან დიდი ზიანია დაუნებით ცდილობდა, მაგრამ სამისო შემთხვევა მას აქამდის არ

ეძლეოდა. ამას გარდა მეფე განსაკუთრებით უნდობლად უყურებდა ეხლა ქერიმ ხანს. ერანის ვექილი თავისთან დიდის პატივით ინახავდა ქართლის ტახტის მაძიებელს და რეაქციონერ თავადების იმედს ალექსანდრე ბაქარის-ძეს. უკანასკნელი ტახტის შოვნაში ქერიმ-ხანისაგან დახმარებას ითხოვდა, სამაგიეროდ ერანისადმი ქართლის ძველებურად დამორჩილებას ჰპირდებოდა.

ეხლა ოსმალეთთან ომის მოლოდინში ქართლ-კახეთის მეფის პოზიცია ქერიმ-ხანისათვის მეტად ძვირფასი იყო. და ერანის ვექილიც დაუტკბა ერეკლეს, დიდი საჩუქრები გამოუგზავნა და „წყალობა-სიყვარულის სიტყვა“ შემოუთვალა (24 ივლისს 1777 წ.). ამაზედ უწინ (მარტში) ქართლ-კახეთის მეფეს ძვირფასი საჩუქრები და წყალობა-სიყვარულის სიტყვები ხონთქრიდანაც მოუვიდა. ერეკლემ საქმის ვითარება შეაფასა და ოსმალეთისათვის მხარის დაჭერა გადაწყვიტა. ამის სასარგებლო მოსაზრება შემდეგი იყო: ამ ომში ქართლ-კახეთი ოსმალეთის *მოკავშირე* იქნებოდა. ერეკლეს იმედი ჰქონდა, რომ ოსმალეთი ერანს დაამარცხებდა. ერან-ოსმალეთს შორის მომავალ საზავო ხელშეკრულებაში შეტანილი იქნებოდა ცალკე მუხლი, რომელშიაც ერანი სამუდამოდ უარს იტყოდა ქართლ-კახეთზე. ამავე დროს ერეკლე ამ ომით ისარგებლებდა და ამიერ-კავკასიის სახანოებზე თავის მფლობელობას კიდევ უფრო გააძლიერებდა. მოკლედ, *ერეკლე შეეცადა ოსმალეთის დახმარებით მოეპოვებია ის, რის მოპოვებასაც რუსეთის შემწეობით არა ერთგზის უნაყოფოდ ცდილობდა.*

1778 წელს მაისის ოცდასამს ერეკლეს ოსმალეთის ხვანთქრისაგან კვლავ ძვირფასი საჩუქრები და ელჩი მოუვიდა. შეთანხმება მოხდა. ამიერიდან ქართლ-კახეთი ოსმალეთის მოკავშირედ ითვლებოდა.

ერეკლეს მოლოდინი არ გამართლდა. ერან-ოსმალეთს შორის ომი არ მოხდა. ერეკლეს და ქერიმ-ხანს შორის ურთიერთობა კი მეტად გამწვავდა. მაგრამ ამ ხანებში (10 მარტს 1779 წელს) ქერიმ ხანი გარდაიცვალა, ერანი ისევ ანარქიამ მოიცო და ერან-საქართველოს ურთიერთობის საკითხის სიმწვავე კარგა ხნით განელდა.

ქართლ-კახეთის ფეოდალური საზოგადოების მოწინავე ნაწილს კარგად ესმოდა, რომ სამშობლოს თავისუფლების უზრუნველყოფა მხოლოდ საგარეო ხასიათის წარმატებისაგან არ იყო დამოკიდებული. კარგად ესმოდათ, რომ თვით ამ წარმატებათა სიმტკიცის საფუძველი ქვეყნის შინაგანი განვითარება უნდა ყოფილიყო. ამიტომაც იყო, რომ ერეკლე აგრე დიდს ყურადღებას აქცევდა სახელმწიფოს სოციალ-ეკონომიურს, პოლიტიკურს თუ კულტურულ საკითხებს.

საქართველოს განვითარების ახალ გზაზედ გამოსვლისათვის ბრძოლა.

უკვე XVIII საუკუნის შუა წლებიდან ქვეყანამ განახლება იწყო. თუმცა აღნიშნულ მოვლენას დიდად აფერხებდნენ საშინაო და საგარეო ხასიათის სიძნელენი, მაგრამ ქართველი ხალხი მისი პროგრესული ნა-

წილის მეთაურობით ამ სიძნელეებს მხნედ ებრძოდა და ქვეყნის აღდგენა-განახლება სულ უფრო-და-უფრო შესამჩნევი ხდებოდა.

საქარხნო-საფაბრიკო წარმოების დანერგვის ცდები. არაჩვეულებრივ მრავალმხრივი იყო ერეკლეს სახელმწიფო მოღვაწეობა. სოციალური ღონისძიებების გვერდით მეფე არა ნაკლებად ზრუნავდა ქვეყნის ეკონომიურ წარმატებაზე. აქ ერეკლეს მოღვაწეობაში სრულიად ახალი რამ ჩანდა. მეფე ხელს უწყობდა არა მარტო სოფლის მეურნეობის განვითარებას, ამაზედ საქართველოს ფეოდალები ძველადაც ზრუნავდნენ, არამედ მიზნად ისახავდა საქართველოში წარმოების განვითარებას. ერეკლე ერთის მხრით ხელს უწყობდა აქამდის არსებულ წარმოებათა გაუმჯობესებას და ამავე დროს წარმოებათა ახალი სახეების დანერგვას დაჟინებით ცდილობდა. მეფე ცდილობდა სხვადასხვა წარმოებათა ოსტატების შოვნას და ოსტატთა კადრების ადგილობრივ შექმნას. ცდილობდა დაეარსებია მაუდისა და მინა-ბროლის და სარკის წარმოების ქარხნები, გაეხსნებია შაქრის წარმოება, ცდილობდა მოეზიდა უცხოეთიდან კაპიტალისტ-წამომწყებნი. მეფის ასეთი საქმიანობის შედეგი იყო სამთამადნო წარმოების გახსნა, სამხედრო წარმოების გაუმჯობესება. ასევე გაუმჯობესებულ იქნა ერეკლეს ინიციატივით ფულის მოჭრის ტექნიკა და სტამბის საქმე.

ვაჭრობის საქმე. წარმოების დანერგვა-გაცხოველებაზე ზრუნვასთან ერთად ერეკლე ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებას. მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ლეკობა დიდად აფერხებდა ვაჭრობის საქმეს. ლეკობასთან განუწყვეტელი ბრძოლით, გზების დაცვით ხელისუფლება ამ დაბრკოლების შენელებას ცდილობდა. მაგრამ ვაჭრობას ამ დროს მარტო ლეკობა როდი აფერხებდა. ხშირად „ლეკობას“ არც ზოგიერთი თავადი თაკილობდა. ფეოდალების მხრით ვაჭრების მიმძლავრება-შეურაცხყოფა ხომ ჩვეულებრივი ამბავი იყო. თავნება თავადების დატუქსვით, მკაცრი კანონიერებით ერეკლე ცდილობდა ვაჭრობისათვის ნორმალური პირობები შეექმნა, მისი განვითარებისათვის ხელი შეეწყო. ვაჭრობისათვის ხელის შეწყობას ემსახურებოდა აგრეთვე საბაჟო ტარიფების გადასინჯვა-მოწესრიგება.

დარიალის საქარავნო გზის განახლება. საქარავნო ვაჭრობა გვიანფეოდალურ ხანაში საქართველოს უმთავრესად ერანისა და ოსმალეთის ქვეყნებთან ჰქონდა. ამავე ქვეყნებზე გამოვლით შემოდიოდა ჩვენში უფრო შორეული საქონელიც, მაგ., ინდოური, ევროპული. ჩრდილოეთისაკენ სავაჭრო გზები დიდიხანია დაყრუებული იყო. ამათგან ეხლა მხოლოდ ერთი მოქმედებდა—კასპიის ზღვის სანაპიროთი (დარუბანდის გზა). მე-18 საუკუნის შუაზედ რუსეთ-საქართველოს ვაჭრობაში ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა. მრავალ საუკუნეთა განმავლობაში დაყრუებული „ოსეთის“ სავაჭრო გზა აღდგა. ამიერიდან საქართველო იმიერ-კავკასიას და რუსეთს უმოკლესი საქარავნო გზით დაუ-

ქაშირდა და თბილისი თანდათან ამ გზით მოსული საქონლის მთავარ პუნქტად იქცა. საქარავნო ვაჭრობის გახსნასთან დაკავშირებით „ოსეთის გზის" მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა. არაგვის ხეობაც გამოცოცხლდა. დიდხნის წინ დაურეებული ერნვანის მაგიერად ანანური წარმოიქმნა. „ოსეთის გზას" ჩქარა სახელი შეეცვალა და მისი ახალ შინაარსის შესატყვისი „რუსეთის გზა" ეწოდა. რუსეთის გზით ეს ახალი საქარავნო ვაჭრობა ჯერ სუსტი იყო. ის ვერც მთელი მე-18 საუკუნის სიგრძეზე გაუსწორდა ძველს საქარავნო გზებს. მაგრამ აქ დამახასიათებელი ის იყო, რომ ჩრდილოეთთან ვაჭრობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. უკვე მე-18 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ყიზლარ-მოზდოკ-ასტრახანი თბილისის საეაჭრო ამხანაგობათა ჩეეულებრივი სარბიელი იყო.

„ოსეთის გზას" გვიანფეოდალურ ხანაში პოლიტიკური მნიშვნელობა არასოდეს დაეკარგავს. საქარავნო მიმოსელის აღდგენამ კი ამ გზის მნიშვნელობა საქართველოსათვის კიდევ უფრო გაზარდა. ამით საქართველო ევროპის ერან-ოსმალეთის გვერდის ავლით ეკონომიურადაც უშუალოდ დაუკავშირდა. ამით საქართველოს წინაშე დაცემის გზაზედ მდგომი ერან-ოსმალეთისათვის ზურგის შექცევისა და მოზარდ ევროპასთან (რუსეთთან) უშუალოდ დაახლოების შესაძლებლობა აღმოჩნდა. მე-18 საუკუნის 70-ანი წლებში რუსეთის ლაშქარი პირველად ამ გზით შემოვიდა საქართველოში. ამიერიდან „რუსეთის გზა" საქართველოსათვის სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობისა შეიქმნა.

ქალაქის ცხოვრების მოწესრიგების ცდები. ვაჭრობა-ხელოსნობისათვის ხელის შეწყობის მიზნით ერეკლემ სათანადო ყურადღება მიაქცია მოქალაქე ვაჭარ-ხელოსანთა უფლებრივ მდგომარეობას. 1770 წელს მეფემ საბოლოოდ დააკანონა საკუთრების ქალაქური წესი, რომაც ფეოდალური ურთიერთობის ქალაქიდან განდევნის გზით დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. ამიერიდან უშვილოდ გარდაცვალებული მოქალაქის ქონება ბატონს (მეფეს) კი არ მიჰქონდა, არამედ ამ მოქალაქის თუნდაც შორეულ მემკვიდრეს.

ამავე დროს ერეკლე ქალაქის ადმინისტრაციულ მოწესრიგებას ცდილობდა. მის დროს მტკიცედ განსაზღვრული იქნა მოურავის, მელიქ-მამასახლისის, ქედხუდების და სამჭრების უფლება-მოვალეობანი.

ასეთი დაუცხრომელი მოღვაწეობის შედეგად ქართლ-კახეთის სახელმწიფო შემოსავალი მე-18 საუკუნის 80-ან წლებში წინა ათწლეულებთან შედარებით შესამჩნევად გაიზარდა. ამ დროს ის უკვე 400.000 მანეთს აღწევდა.

პოლიტიკური რეფორმების საკითხი. განსაკუთრებით სიძნელეს ერეკლეს წინაშე ქვეყნის პოლიტიკური წყობილების გარდაქმნა წარმოადგენდა. შეუდრეკელი ბრძოლით მეფემ გააერთიანა ქართლ-კახეთი, გააქქრა საერისთაო-სახანოები, დაიმორჩილა თავნება თავადები, ფეოდალური მოხელეებით შეცვალა ნახევრად-ხელშეუხებები, მაგრამ ქვეყნის პოლი-

ტიკურ გარდაქმნამდის ჯერ კიდევ შორს იყო. საქართველოს სინამდვილე ასეთ გარდაქმნას ძლიერ აფერხებდა. ერეკლეს მოურავები იგივე ფეოდალური მოხელეები იყვნენ თავიანთ სახელოების საშეილიშვილოდ დაუფლებისა და იქ გახელმწიფების ტენდენციებით. მიუხედავად ამისა ქვეყანაში თანდათან მწიფდებოდა აზრი პოლიტიკური წყობილების რეფორმის საჭიროების შესახებ და პრაქტიკაშიაც საამისო ღონისძიებებიც თანდათან გზას იკელეედა. მე-18 საუკუნის 80-ანი წლებისათვის ამ მხრით მაინც შესამჩნევი წარმატება ჩანდა. სახელმწიფოს მმართველობა სხვადასხვა ცენტრალიზებულ დარგებად იყო დაყოფილი: საგარეო საქმეთა სახელმწიფო შემოსავლისა და სამხედრო საქმეებისა. ასევე ახალი იყო მსაჯულთ შეკრებულობის ინსტიტუტი, ერეკლემ რომ შემოიღო 1778 წელს: ამიერიდან „ყოველი არზა და საჩივარი მდივანბეგებთან მივიდესო“.

როგორც მეფე, ერეკლე თვითმპყრობელი იყო. ის შეუზღუდელი უფლებით სარგებლობდა. მიუხედავად ამისა მის დროს საბჭოს („დივანს“) უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ერეკლე არც ერთ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეს ამ საბჭოს დაუკითხავად არ გადაწყვეტდა. საბჭო ორგვარი იყო დიდი და მცირე. პირველში შედიოდნენ მეფის შვილები, კათალიკოზი, და სხვა საეკლესიო და საერო დიდებატონები. აქვე ეწინაწილეობდნენ სამეფო დიდმოხელენიც. მცირე საბჭო მეფის მიერ შერჩეულ პირთაგან შედგებოდა. ასეთები იყვნენ მისი ერთგული მრჩეველ-თანამშრომელნი. საქმის ხასიათისა და მნიშვნელობის მიხედვით მეფე ზოგ მათგანს დიდ საბჭოში განიხილავდა, ზოგს კიდევ თავის უახლოეს თანაგამზრახებთან ერთად შეიკრიბებდა.

განათლების საქმე. ერეკლეს მრავალმხრივ მოღვაწეობაში განათლების საკითხს სათანადო ადგილი ეჭირა. უკვე მე-18 საუკუნის 50-ან წლებშივე განახლდა ეახტანგის გადასახლებისა და ოსმალობა-ყიზილბაშობის შედეგად შეფერხებულ-შეწყვეტილი კულტურული მუშაობა. 1749 წელს თბილისის სტამბა კვლავ ამუშავდა. შემდეგ ამ საქმეში მნიშვნელოვანი გაუმჯობესება იქნა შეტანილი. ასე რომ მე-18 საუკუნის ოთხმოცდან წლებში ამ სტამბიდან გამოსულ წიგნების რიცხვი 10 ათასს სჭარბობდა. მაგრამ ერეკლეს ნოვატორობა სხვა იყო. ძველ საქართველოში სკოლები კერძონი იყვნენ და სახელმწიფო მათზე სპეციალურად არ ზრუნავდა. ერეკლეს დროდან კი საქართველოში სახელმწიფო სკოლა შემოდის. 1756 წელს თბილისში ფილოსოფიის სემინარია დაარსდა, ხოლო 1782 წელს მეორე ასეთივე სემინარია თელავშიაც გაიხსნა. ამ სასწავლებელთა გეგმა რუსული სათანადო ტიპის სასწავლებლებიდან იყო ნასესხები. თბილისისა და თელავის სემინარიებს რექტორები განაგებდნენ. მათ „ჯამაგირი“ ხაზინიდან ეძლეოდათ.

ახლიშული სასწავლებლებიდან მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში მწიგნობართა მთელი წყება გამოვიდა, რომლებიც სახელმწიფო ცხოვრების სხვადასხვა დარგში ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ.

განათლების საქმის მთავარი ხელმძღვანელი ერეკლეს დროს ანტონ კათალიკოზი იყო. ანტონი თავისი დროისათვის დიდად განათლებული პირი იყო, დიდი ნიჭითა და ენერგიით დაჯილდოებული. ამავე დროს ის აქტიური პოლიტიკური მოღვაწეც იყო და ერეკლეს უახლოესი თანამშრომელი.

ამრიგად, განათლების საქმე ერეკლეს დროს მტკიცე სახელმწიფოებრივ საფუძველზე დადგა.

ახალი ქართული კულტურის ბუნები. კულტურა-განათლებას ანიშნულ დროს მეორე თავისებურებაც ახასიათებდა. მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდანვე საქართველოში კათოლიკე მისიონერთა გავლენის მეტოქედ რუსული გავლენა გამოჩნდა. უკანასკნელი სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა და მე-18 საუკუნის 80-იანი წლებიდან უკვე უსაცილოდ პირველობდა. ამავე ხანებში ქართული კულტურა თანდათან სცილდებოდა ალმოსავლურ-მაჰმადიანური კულტურის წყაროებს. ამისდა კვალად თანდათან გაირკვა ახალი ქართული კულტურის მიმართულებაც: რუსეთის მეშვეობით ევროპისაკენ.

როგორც ეხედავთ, ერეკლეს დროს სახელმწიფოს საშინაო საკითხები: ეკონომიური, სოციალური, პოლიტიკური თუ კულტურული, — ყველა მოწესრიგებას მოითხოვდა, ყველა გადაწყვეტას ელოდა. მათი ახლებურად გადაწყვეტა მრავალ სიძნელეს ხედებოდა და ყველაფერი იმისგან იყო დამოკიდებული, თუ ქვეყნის შინაგანი განვითარება როგორ სწრაფად წავიდოდა. ასეთი განვითარებისათვის კი ხელსაყრელ საგარეო პირობებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

უცხო ქვეყნებიდან მოახალშენეთა გადმოსახლების ცდები. თავის პოლიტიკურ მოღვაწეობაში ერეკლე-მოახალშენეთა ქართლ-კახეთში მოზიდვის საკითხს უდიდეს ყურადღებას აქცევდა. საქართველოს შემცირებული მოსახლეობის ხელოვნურად გაზრდა მეფეს აუცილებლად მიაჩნდა. ადერბაიჯანიდან, ანატოლიიდან, ერევნისა თუ განჯა-ყარაბაღის სახანოებიდან ერეკლე ქრისტიან მოახალშენეთა მოზიდვას ცდილობდა.

მაგრამ გადმოსახლების მსურველებს მეფე მხოლოდ ერან-ოსმალეთში რთული ეძებდა ამ მიზნით და იმიერ-კავკასიას დიდი ხანია ზეერავდა. 1778 წელს, როცა რუსეთი იმიერ-კავკასიას საბოლოოდ ეუფლებოდა, უაბარდოში დიდი უკმაყოფილება იყო. ამ დროს ერეკლეს აგენტები უაბარდოელებს საქართველოში გადმოსახლებისაკენ მოუწოდებდნენ. ერეკლე მათ სურამ-ქვიშხეთის მიდამოებში დასახლებას პირდებოდა. უაბარდოს ერთერთი მთავარი თავისი ხალხით მზად იყო კიდეც წამოსასვლელად, რომ რუსთა ჯარის სარდლობამ ერეკლეს აგენტები დააპატიმრა. ხოლო უაბარდოელთა ასეთი განზრახვის წინააღმდეგ სასტიკი ზომები მიიღო. უაბარდოელთა საქართველოში გადმოსახლების ცდა ამის შედეგაც განმეორდა. 1780 წელს 800 კომლი კაცი მოზდოკიდან უკან დააბრუნეს. ცოტა ხნის შემდეგ ასეთივე ბედი ეწია 500 კომლ უაბარ-

დოელს. ერეკლეს მიერ მათ გადმოსაყვანად დარიელში გაგზავნილი საშხედრო რაზმი ხელცარიელი დაბრუნდა. რუსეთის მიერ იმიერ-კავკასიის დაპყრობას საქართველოსათვის სხვა უარყოფითი შედეგიც მოჰყვა. ამიერიდან რუსეთის ხელისუფლება იმიერ-კავკასიელებს ქართველთა ლაშქარში დაქირავების ნებას არ აძლევდა. ასე რომ ერეკლე „მფარველი“ რუსეთის მიერ მოაკლდა იმ საშუალებას, რომლითაც ის მე-18 საუკუნის მესამე მეოთხედში ყიზილბაშების თუ ლეკების საშიშ მეშოსეებს წარმატებით იგერიებდა.

ერეკლეს პოლიტიკური აქტივობა ამიერ-კავკასიაში.

ერეკლე და ყუბა-ხანი. ოსმალეთთან კეთილმეზობლობის დამყარება ერეკლეს საშუალებას აძლევდა აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში უფრო აქტიურად, ვიდრე აქამდის, გამოსულიყო. სააშისო დროც იყო. მოხუცი ჭერიმ-ხანი სნეულობდა და ერანი ახალი ანარქიის მოლოდინში იყო. აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში ერეკლეს მთავარი მეტოქე ყუბა-დარუბანდელი ფათალი-ხანი იყო. უკანასკნელს ფართე დაპყრობითი გეგმები ჰქონდა. ერანის ყაენობასაც კი აპირებდა. ხერხიანი პოლიტიკური მოღვაწე იყო და საკმაოდ ძლიერი მფლობელი. ამიერ-კავკასიისა და ადერბაიჯანის ხანებს შორის მომხრეებიც მრავლად ჰყავდა. ზოგი კიდეც მას ემორჩილებოდა. ერეკლე ფათალი-ხანის განზრახვებს წინ ელობებოდა. ქართლ-კახეთის მეფეს განჯა-ერევანი მოხარკეობაში ჰყავდა. ხოლო შაქისა და ყარაბაღის ხანებს ფათალი-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში ერეკლე ენერგიულად შველას უპერდა. ფათალი-ხანიც კარგად ხედავდა, რომ მისი უმთავრესი მტერი ერეკლე იყო და თავის მხრით მეფის წინააღმდეგ ოსტატურად საქმიანობდა. განჯისა და ერევნის ხანებს აჯანყებისაკენ მოუწოდებდა, ქრისტიანი ერეკლეს წინააღმდეგ მაჰმადიანი სახანოების და ლეკების გაერთიანებას ცდილობდა და ყველას ერთად საქართველოს მოსათხრელად სალაშქროდ ეპატიჟებოდა. ერეკლე ფხიზლობდა და საპასუხო ზომებით ორობა მტრის ქსელს ოსტატურად არღვევდა.

ერევნის ხანთან. 1778 წელს ერევნელი ჰუსეინ-ხანის საჭიელი ერეკლეს საეკეოდ ეჩვენა. 27 სექტემბერს მეფემ ჯარი შემოიყარა და ერევნისაკენ წაიდა. ჰუსეინ ალი-ხანმა ერევანი დახიზნა და თითონაც ციხეში ჩაიკეტა. მეფემ მირზა მისაილი და სულხან მდივანი მოუგზავნა ხანს და ბრძანება შეუთვალა. ხანი დამორჩილდა. 40000 მანეთი ხარკი გამოგზავნა და მეფის სხვა ბრძანებაც გაათავა. ერეკლე უკუიქცა.

განჯის ხანთან. ამასობაში (10 მარტს 1779 წელს) ჭერიმ-ხანი გარდაიცვალა. ერანში ანარქია დაიწყო. ხანები ერთი მეორეს დაერივნენ. ყაენობის მაძიებლები წამოიშალნენ. აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაშიც

შფოთიანი ხანა დადგა. ფათალი-ხანსა და ერეკლეს შორის მტრობა კიდევ უფრო გამწვავდა. ჩქარა განჯელ მ ა ჰ მ ა დ-ხ ა ნ ს ერეკლეს ურჩობა დაეტყო. ერევნის ხანიც კვლავ განდგომას აპირებდა. ყველა ამაში ფათალი-ხანის ხელი ჩანდა.

ერეკლე და იბრეიმ-ხანი. ყუბა-დარუბანდის ხანს და მის მომხრეებს ერეკლემ ყარაბაღელ იბრეიმ-ხანთან კავშირი დაუპირისპირა. ქართლ-კახეთის მეფემ და ყარაბაღის ხანმა განჯა დაიპყრეს. დატყვევებული განჯის ხანი ერეკლემ მოკავშირეს მიაბარა. ამიერიდან იბრეიმ-ხანისა და ერეკლეს მოხელეები განჯის სახანოს საზიაროდ მართავდნენ. ამის უწინარეს ფათალი-ხანმა იბრეიმ-ხანს თავისი მოკავშირე ბაქოს ხანი მოუგზავნა და ერეკლეს წინააღმდეგ კავშირი შესთავაზა. ყარაბაღის ხანმა ასეთი კავშირი არ ისურვა, ხოლო ამ საქმის მოსაშუალე ბაქოს ხანი შეიპყრო და თავისთან პატიმრად დაიჭირა.

ერევნის ლაშქრობა. რაკი განჯის საქმეებისაგან მოიცალა, ერეკლემ, ისევ ერევანს მიჰმართა. ერევნელი ჰუსეინ ალი-ხანი აჯანყებულიყო. ხარკის გადახდაზე უარს აცხადებდა. 29 აგვისტოს 1779 წელს ერეკლე 8 ათასი კაცით ერევნისაკენ წავიდა და 7 სექტემბერს ერევნის ციხეს შემოადგა. ქართლ-კახეთის მეფეს მოკავშირე იბრეიმ-ხანისაგან განჯა-ყარაბაღის ლაშქარიც მოუვიდა. ქართველებმა ერევნის სახანო მოარბიეს. მეზობელ ბ ა ი ა ზ ე თ ი ს ს ა ფ ა შ ო შ ი ც გადავიდნენ. იქ ერევნის სახანოდან გაქცეული ელები იდგნენ. ერევანთან მდგომ მეფეს „სიყვარულისა“ და „პატივისცემის“ ნიშნად ელჩები მოუვიდნენ ახლობელ სახანო-საფაშოებიდან. ამასობაში ერევნის მეციხოვნეებთან მწვავე ბრძოლები გრძელდებოდა. შევიწროვებული ხანი მორჩილებას აცხადებდა და შეცოდების პატიებას ითხოვდა. ერეკლე აჯანყებულის შემორიგებას არ აპირებდა. მას ერევნის საკუთრად დაპყრობა გადაეწყვიტა. სწორედ ამ დროს ტფილისიდან მეფეს მეტად საშიში ცნობები მიუვიდა ქართლში არეულობის შესახებ და ისიც იძულებული გახდა ერევნის საქმის საბოლოოდ გადაწყვეტა სხვა დროისათვის გადაედო. ერევნის ხანი გადარჩა. მან ერეკლეს ერთგულების ფიცი მიიღო და 40000 მან. ყოველწლიური ხარკი იკისრა. მაინც ამიერიდან ერეკლემ ერევანში საქმეების მეთვალყურედ თავის მაგიერი კაციც დატოვა — ი ო ა ნ ე მ უ ხ რ ა ნ ბ ა ტ ო ნ ი. ამავე დროს მეფემ ერევნის სახანოდან მრავლად გადმოიყვანა სომხები, რომლებიც ჯერ ყარაიას, ხოლო შემდეგ ტფილისს, გორს, თელავს, სიღნაღს დაასახლა.

უთანხმოება ერეკლესა და სოლომონს შორის. ქართლისა და იმერეთის რეაქციონერები დიდად ეცადნენ 1773 წელს დადებული კავშირი ერეკლე-სოლომონს შორის დაერღვიათ. მოღალატე თავადებს ამ საქმეში ახალციხის ფაშა და ლიხთიქითის მთავრებიც შველოდნენ. ყველანი ერთად მეფეებს შორის უნდობლობას მოხერხებულად სთესდნენ და მათ თანხმობას ძირს უთხრიდნენ. მოღალატეებმა მიზანს მიაღწიეს. მეფეებს ჯერ სამდურავი შემოერიათ. ამას უნდობლობა მოჰყვა და ჩქარა ურთიერთის წინააღმდეგ მტრობაც იწყეს. თანდათან ტფილისისა და ქუ-

თაისის სამეფო კარი სოლომონისა თუ ერეკლეს წინააღმდეგ გამდგარ აჯანყებულ თავადების თავშესაფარად იქცა. მეფეებს შორის ურთიერთობა განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ, რაც ოსმალეთსა და ერეკლეს შორის თანხმობა დამყარდა. სოლომონ მეფე ოსმალეთის მიმართ შეურიგებელი იყო: აგრესორი ლიხთიქითის დამორჩილების განზრახვას თავს არ ანებებდა.

1778 წელს ერეკლეს შემოეფარა მამის წინააღმდეგ აჯანყებული იმერეთის ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე სოლომონისძე თავისი მომხრეებით. თავისი მხრით სოლომონმა შეიფარა აჯანყებული ჭანის ერისთავის შვილი ელიზბარი. სოლომონის კარზედვე ეპოვა ბინა ჭართლიდან განდევნილ ზაქარია გაბაშვილს თავისი შვილებით. ამის შემდეგ მეფეებს შორის დამოკიდებულობა კიდევ უფრო გამწვავდა.

1779 წელს აგვისტოში სოლომონმა მასთან შეხიზნული ქართველი ემიგრანტი პოეტი ბესარიონ გაბაშვილი შირაზს ქერიმ-ხანთან გაგზავნა. ბესარიონს დავალებული ჰქონდა შირაზიდან ქართლის ტახტის მაძიებელის ალექსანდრე ბაქარისძის მოყვანა. სოლომონს გადაეწყვიტა მხარი დაეჭირა ალექსანდრესათვის ერეკლეს წინააღმდეგ. ამ დროს ქერიმ-ხანი უკვე გარდაცვალებული იყო. ერანში იმედ დაწუნული ალექსანდრე სწრაფად წამოვიდა, იმერეთს გაჩნდა და ქართლის აჯანყების თადარიგს შეუდგა.

ჭანის ხაერისთავის გაუქმება. „მემკვიდრე ბატონიშვილის" იმერეთში გამოჩენამ ქართლის თავადებს ჩამლრალი იმედები გაუცოცხლა. ზოგი იქვე იმერეთს ეახლა, ზოგი კიდევ მის ქართლში გადმოსვლას ელოდა, რომ აჯანყებულიყო. ამ ხანებში ერეკლეს მოწინააღმდეგეებს ჭართლში ძლიერი ჭანის ერისთავის სახლი მიჰმატებოდა. 1778 წელს განდგა გიორგი ჭანის ერისთავი, მეფის ყულარ-აღასი. აჯანყებულ ერისთავს ლეკების დასტები მოეყვანა და მათი შემწეობით ქართლს არბევდა. ერისთვის წინააღმდეგ ერეკლემ გიორგი და ლეონ ბატონიშვილები გაგზავნა. ბატონიშვილებმა დაამარცხეს გიორგი ერისთავი, გამოიყვანეს იგი სიათის ციხიდან და მეფეს მოჰგვარეს. ერეკლემ ერისთვის სახლს ჭანი და ლიახვი ჩამოართვა. ჭანი სამშობლოდ მეფისძე გიორგის მისცა, ხოლო ლიახვი ბატონიშვილს იულონს. გიორგი ყულარალასი მეფემ ტფილისში დაატესალა, ხოლო სხვა ერისთვისშვილებს სარჩოდ გვერდისძირის სოფლები მისცა. ჭანის საერისთოს გაუქმებით ერეკლემ კიდევ ერთი მახვილი ჩასცა თავადურ სისტემას. ამით „ხარკოზაშვილის დარბაზელებსა" და ერეკლეს შორის მტრობა კიდევ უფრო გაღრმავდა.

ალექსანდრე ბატონიშვილის გამოჩენამ ერეკლე შეაშფოთა. მეფემ სწრაფად დატოვა ერევანი და ქართლს მოაშურა. ენერგიული ზომების მიღებით, ქართლის თავადებს აჯანყების ბალისი დაუკარგა, მაგრამ მდგომარეობა ამის შემდეგაც მეტად რთული რჩებოდა. ალექსანდრე ბა-

ტონიშვილი ცდას არ აკლებდა და სოლომონის ხელის შეწყობით ქართლის საშოვნად ძალებს იკრებდა.

ბრძოლა ყუბა-ხანის წინააღმდეგ. ამავე დროს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში საშიში მდგომარეობა შეიქმნა. ქერიმ-ხანის გარდაცვალების უმალ ყუბა-დარუბანდელი ფათალი-ხანი ენერგიულად ამოქმედდა. უკვე 1779 წელს მან გილანს ილაშქრა. ყუბა-ხანს ფართე გეგმები ჰქონდა. თაერიზ-ადერბაიჯანის დამორჩილება და ყაენის ტახტის შოვნაც კი გაენზრახა. მაგრამ აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში გაბატონება ასეთი საქმის წარმატებისათვის აუცილებელი იყო. აქ კი ფათალი-ხანს დიდი მეტოქე ჰყავდა — ერეკლე. ყუბა-ხანმა თავისი მოკავშირე ხანებით და ლეკებით ყარაბაღელი იბრაიმ-ხანის წინააღმდეგ გამოილაშქრა. მის ლაშქარში 15 ათასი მეომარი ითვლებოდა. ფათალი-ხანის განზრახვა იყო: იბრაიმ-ხანის დამარცხებით ერეკლესათვის მოკავშირე ჩამოეშორებია, განჯისა და ბაქოს ხანები ტყვეობისაგან გაეთავისუფლებია და აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიის ხანები ყველა ერეკლეს წინააღმდეგ დაერაზმა. მაგრამ მტერმა დაიგვიანა. ამ დროისათვის, ეს იყო 1780 წლის დასწყისს, ერეკლეს ერევნის საქმე უკვე მოგვარებული ჰქონდა და ქართლის რეაქციონერებიც ენერგიულად დაატყეპა. ასე რომ მეფეს შეძლო 5000 მეომარი სწრაფად მიეშველებია მოკავშირე იბრაიმ-ხანისათვის. ფათალი-ხანის მეწინავე რაზმი ქართველებმა დაამარცხეს. ამავე დროს ქართველებმა მოისყიდეს მტრის ჯარის ლეკური ნაწილი. ლეკებმა ფათალი-ხანის ლაშქარი მოატოვეს, უკუიქცნენ და შირვან დარუბანდის ქვეყნები ძარცვა-რბევით გაიარეს. ამის შემდეგ ფათალი-ხანი უომრად უკუიქცა. ჩქარა, ამავე წლის აგვისტოში, ყუბა-დარუბანდის ხანმა კვლავ სცადა იბრაიმ-ხანის წინააღმდეგ ლაშქრობა. 11 ათასი მეომარი შემოიყარა, მაგრამ მისი ლაშქრის ლეკური ნაწილი ეხლაც არასაიმედო აღმოჩნდა. ჯამაგირის მოულებლობის მოტივზებით ლეკებმა ეხლაც ანაზღაურებულად მიატოვეს ფათალი-ხანი, უკუიქცნენ და დამქირავებელის ქვეყანა კვლავ დაარბიეს, მაგრამ ფათალი-ხანი არ ცხრებოდა და განაზრახის შესრულებას ამის შემდეგაც ენერგიულად ცდილობდა.

ერეკლეს თანაული გეგმები. სწორედ ამ დროს ერეკლემ ერთხელ კიდევ სცადა აქტიურად ჩარევა ერანის პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1780 წლის დამდეგს განჯიდან ტფილისში ვილაც სპარსელი მოვიდა—ნ ა ს რ უ ლ ა მ ი რ ზ ა, რომელმაც თავი შაჰროხის შვილად გამოაცხადა. ერეკლემ ამ მომენტით სარგებლობა განიზრახა. მან ჩქარა დაარწმუნა მოკავშირე იბრაიმ-ხანი, რომ საქმე საერთოდ დაეწყოთ. მთელი ძალებით უნდა ერანს გაელაშქრათ და ეს შაჰზადა ყაენად დაესვათ. ამ მიზნით მეფემ ჯარის შეყრა ბრძანა და კავკასია-ადერბაიჯანის ხანებს ამ საქმეში მონაწილეობის მისაღებად მოუწოდა. ერეკლეს მეტოქეებმა ამაში თავისთვის საფრთხე დაინახეს. ქართლ-კახეთის მეფე, ბუნებრივია, ამ საქმეს თავის გასაძლიერებლად გამოიყენებდა და ამიერ-კავკასიაში საბოლოოდ გაბატონდებოდა. განსაკუთრებით ვერ ისვენებდა ფათალი-ხანი. ამათ სასიამოვნოდ ჩქარა აღმოჩნდა, რომ ეს ტახტის მაძიებელი მატყუარა იყო

და არა შაჰზადა. ასეთი „შემკვიდრით" საქმის დაწყება კი ერეკლეს რა თქმა უნდა, ალარ შეეძლო. ამ მარცხის მიუხედავად ქართლ-კახეთის მეფის გაელენა კავკასია-ადერბაიჯანის სახანოებში მეტად დიდი რჩებოდა და „ნადირშას გაზრდილი" ერეკლეს აქტიურ ჩარევას ერანის პოლიტიკურ ცხოვრებაში დარწმუნებით ელოდნენ.

პოლიტიკური ვითარება 1781—1782 წლებში. 1781/2 წლებში პოლიტიკური მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში კიდევ უფრო დაიჭიმა. რუსეთთან მეტოქეობაში ოსმალეთი სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას იქცევდა ამიერ-კავკასიის საქმეებს. მას ეხლა შაეი ზღვის სანაპიროები განსაკუთრებით აინტერესებდა. ამასთან დაკავშირებით ოსმალეთი დასავლეთ-საქართველოში გაბატონებას დაჟინებით ცდილობდა. აღნიშნულ წლებში ოსმალებმა დასავლეთ-საქართველოს ზღვის პირზე რამოდენიმე ახალი ციხე წამოიწყეს. სოლომონ მეფე მხნედ ებრძოდა აგრესორს და მას განაზრახის შესრულების საშუალებას არ აძლევდა. მძიმე ბრძოლაში იმერეთის მეფე მოკავშირეს, ბუნებრივია, ოსმალეთის მეტოქე რუსეთში ხედავდა და მას ფოთისა და ბათომის დაბრუნების საქმეში დახმარებას სთხოვდა. ამავე დროს 1782 წლის აგვისტომდის სოლომონია და ერეკლეს დამოკიდებულება მტრული რჩებოდა. იმერეთში შეხიზნული ალექსანდრე ბატონიშვილი არ ისვენებდა. ლეკთა ბრბოებით შემოდიოდა და ქართლში აჯანყების გამოწვევას ცდილობდა. 1781 წელს ალექსანდრე ახალციხეს ავიდა და ქართლის დაჭერის საქმეში ფაშას დახმარება სთხოვა. მეზობელ საფაშოებსა თუ სახანოებშიც მოციქულები დაგზავნა და ყველას ერეკლეს წინააღმდეგ მოუწოდა. ამ ცდამ ბატონიშვილს უნაყოფოდ ჩაუარა. ოსმალეთის მოკავშირე ერეკლეს წინააღმდეგ ფაშა მას არ დაეხმარა. არც სხვები გამოვიდნენ მის დაძახილზე და ქართლის ტახტის მაძიებელი ისევ სოლომონ მეფესთან დაბრუნდა. ამასობაში რუსეთიდან მასთან მოვიდა ერეკლეს დაუძინებელი მტერი, 1765 წლის შეთქმულების მონაწილე ალექსანდრე ამილახორი შვილი. ჩქარა ამის შემდეგ ემიგრანტები ამიერკავკასიასა და დაღისტანს წავიდნენ ჯარების საშოვნელად. ალექსანდრეს დახმარებას შეჰპირდნენ ყაბარდოელები, ოსები, შამხალი. 1782 წლის პირველ. ოქტომბერს ემიგრანტები უკვე დარუბანდს იყვნენ. ფათალი-ხანისათვის ქართლის ტახტის მაძიებელი მეტად ძვირფასი სტუმარი იყო. ერეკლეს დასამარცხებლად ამაზედ უკეთეს შემთხვევას ის ვერ იპოვიდა. დარუბანდის ხანის მხარის დაჭერით ემიგრანტებმა საქართველოში ლაშქრობის მოხალისეთა დიდი რაოდენობა იშოვეს. ამას გარდა მათ იმედი ჰქონდათ, რომ ლაშქრის მიახლოებისას ქართლი ერეკლეს წინააღმდეგ აჯანყდებოდა. სოლომონიც გამოილაშქრებდა და ჰარ-ბელაქანიც კახეთს დაეცემოდა. ასეთს პირობებში ემიგრანტებს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ქართლს დღეილად იშოვნიდნენ.

ლეონ ბატონიშვილის გარდაცვალება. სწორედ ამ გართულებულს ჟამს მოხუც ერეკლეს დიდი მარცხი მოუვიდა. 1781 წლის თებერვლის 12, ვეჯინში, იოანე აბაშიძის სახლში უეცრად გარდაიცვალა ლეონ ბატო-

ნიშვილი, მამის ღირსი მხედარი და პოლიტიკური მოღვაწე. უკანასკნელ წლებში ლეონი სამეფოს დაცვის საქმეს ხელმძღვანელობდა. მისთვისვე ჩაებარებია ერეკლეს მორიგე ლაშქრის მეთაურობაც. ლეონ ბატონიშვილის დალუპვა აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო ერეკლესა და მის ერთგულ თანამოღვაწეთა მცირე ჯგუფისათვის.

რუსეთ-ოსმალეთის ბრძოლები XVIII საუკუნეში

მე-18 საუკუნის მთელს სიგრძეზე რუსეთსა და ოსმალეთს შორის შეუნელებელი ბრძოლა სწარმოებდა. რუსეთი შავიზღვის სანაპიროებისკენ მიიწევდა. ორი აგრესორი ურთიერთს იმიერკავკასიას და ყირიმს ეცილებოდნენ. 1739 წლის ბელგრადის ზავით დიდი და მცირე კაბარდო როგორც ოსმალეთის, ისე რუსეთისგანაც დამოუკიდებელ ქვეყნად იქნა ცნობილი, ხოლო ყირიმი ოსმალეთის ხელშეწყობის ქვეშ დარჩა. თითეული მეტოქე ამის შემდეგ მომავალი შეტაკების მოლოდინში თავის პოზიციებს ამაგრებდა. თავისი პოლიტიკური მოსხრეების გასამრავლებლად ოსმალებმა მაჰმადიანობის ინტენსიური პროპაგანდა გაშალეს იმიერ-კავკასიის ხალხებში. თავის მხრით რუსეთი ქრისტიანობის გავრცელებით უპასუხებდა. 1750 წელს ამ მიზნით დაარსდა ეგრეთ წოდებული „ოსეთის კომისია". ეს „კომისია" ოსებს შორის ქრისტიანობას ავრცელებდა. კომისიის" მუშაკები უმთავრესად ქართველი მღვდელბერები იყვნენ.

1763 წელს რუსეთის მფლობელობა ყაპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროებს დიდად გამოსცდა. ამ წელს მდინარე თერგზე მცირე კაბარდოს განაპირას ციხე მოზდოკი ააშენეს და ყიზლარიდან მოზდოკამდის ციხე-სიმაგრეთა მთელი წყება ააგეს („მოზდოკის ლინია"). 1771 წელს რუსეთის მთავრობამ ისარგებლა ოსმალეთთან ომით (1768—1774 წ.) და კაბარდო დაიპყრო. 1774 წლის ქუჩუკ-კაინარჯის ზავით ოსმალეთმა კაბარდო რუსეთის სამფლობელოდ იცნო. ამავე ზავის პირობებით ყირიმი ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლდა და „დამოუკიდებელ" ქვეყნად გამოცხადდა. არც ერთი აგრესორი ამ პირობის კმაყოფილი არ ყოფილა: ოსმალო-მტაცებელს მსხვერპლი კლანჭებიდან გაუვარდა, ხოლო რუს-მტაცებელმა ის ვერ ჩაბლუკა და მდგომარეობის „გამოსასწორებლად" ორიენ გამალებით ემზადებოდა. რუსეთი კაბარდოს მსგავსად ყირიმის დაპყრობას ამზადებდა, ოსმალეთი კი ყირიმზეც და კაბარდოზეც თავისი „უფლებების" კვლავ აღდგენას ამირებდა. 1775 წლიდან რუსეთის მიერ დაპყრობილი ადგილების მმართველად იმიერკავკასიაში გრიგოლ პატიომკინი დაინიშნა. მისი პროექტით ყიზლარ-მოზდოკის გამაგრებული ხაზი მოზდოკიდან აზოვის ზღვამდის იქმნა გაგრძელებული—(1777—1780 წ. წ.) ამავე დროს მთელს ამ ხაზზე ეოლგის, დონის და ხოპიორის კაზახ-რუსები ჩამოასახლეს. ასე შეიქმნა ეგრედწოდებული „კავკასიის ლინია". ამით იმპერიალისტურმა

რუსეთმა მთელს იმიერ-კავკასიაში მტკიცედ ფეხი მოიკიდა და შემდგომში მტაცებლობისათვის მოემზადა.

1778 წელს რუსეთ-ოსმალეთის დამოკიდებულება მეტად გართულდა ოსმალეთმა ყირიმში აჯანყება გამოიწვია რუსეთის მომხრე ხანის წინააღმდეგ. ომი ბენდერზე ეკიდა. მაგრამ რუსთა ჯარმა ყირიმში ოსმალეთის მომხრეები სწრაფად დაამარცხა. ოსმალეთმაც უკან დაიხია. ომის საბაბით არც რუსეთმა ისარგებლა. ამ დროს მისი ყურადღება ერანისაკენ იყო მიპყრობილი.

რუსეთის მთავრობის აგრესიული გეგმები ერანის მიმართ. 1778 წელს რუსეთის მთავრობას უკვე მიელო გადაწყვეტილება ერანში სავაჭრო კოლონიის შექმნის შესახებ. მცირე ცვლილებებით პეტრეს ერანული გეგმა ცოცხლდებოდა. ქერიმ-ხანი სიკვდილის პირას იყო და ერანში ანარქია აუცილებელი ჩანდა. ეს კოლონია, ამ პროექტის ავტორთა აზრით, აღმოსავლეთის ვაჭრობის ცენტრი უნდა შექმნილიყო. აქ შემოვიდოდა საქონელი მთელი ერანიდან, ინდოეთიდან თუ სხვა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან. ამ სავაჭრო კოლონიის დაარსებით რუსეთის სავაჭრო ბურჟუაზია აღმოსავლეთში ევროპის სავაჭრო კოლონიების მეტოქეობას ლამობდა.

რუსეთის სამხედრო ფლოტი ვოინოვიჩის ამირბარობით 30 ივლისს 1781 წელს ასტრაბადის ყურეში შევიდა. ვოინოვიჩი გადავიდა ერანის სანაპიროზე და ადგილობრივი ხანის „თანხმობით" ასტრაბადის ახლოს ახალ კოლონიას საძირკველი ჩაუყარა. აღნიშნული ადგილი მან ძლიერ გააშაგრა და თავისი მთავრობისაგან ამ ახალს ციხეზედ რუსეთის დროშის ამართვის უფლება ითხოვა. ნებართვა მიიღო, მაგრამ ამის სისრულეში მოყვანა მას აღარ დასცალდა. ასტრაბადის მფლობელმა აღა-მაჰმად-ხანმა ვოინოვიჩის საქმიანობაში ჩარა ეშვი შეიტანა და „რუსეთის სავაჭრო ახალშენის" დაარსებაში თავისთვის საფრთხე დაინახა. 1782 წელს ხანმა მოახერხა ამ არასასურველი სტუმრების გამოძევება ასტრაბადის სანაპიროებიდან. ამრიგად, ეს წამოწყება მარცხით დამთავრდა, მაგრამ რუსეთის მთავრობას ამით კასპიის ზღვის ერანული სანაპიროების მიმართ აგრესიულ განზრახვებზე ხელი არ აუღია და ერანში შექმნილი ანარქიით სარგებლობას ის ამის შემდეგაც ამ მიზნით ცდილობდა.

ყირიმისა და იმიერ-კავკასიის დაპყრობა რუსეთის მიერ. ამავე დროს რუსეთის აგრესორებს მოსვენებას უკარგავდა „თავისუფალი" ყირიმი, რომელსაც საკუთარ ფეხზედ დადგომა განეზრახა. ეკატერინე ხელმწიფის დიდმოხელე თავადი გრიგოლ პატიომკინი და მისი ხელქვეითები გამალებით საქმიანობდნენ. ყირიმის საბოლოოდ დასაპყრობად პროვოკაციებს აწყობდნენ, ხოლო იმიერ-კავკასიის მკვიდრთა გაჭლეტა-გადასახლებით „ნოვოროსიისათვის" (რუსული ახალშენებისათვის) უმდიდრეს ჰალებსა და ველებს ათავისუფლებდნენ.

რუსეთის შემოტევის წინააღმდეგ ოსმალეთი უძლური იყო, მაგრამ უბრძოლველად არც ეს კბილებმოცლეთილი მტაცებელი სთმობდა თავის

მსხვერპლს. ყუბანს გადმოღმა გამოდევნილი ოსმალეთი ეხლა კავკასიის მთიანეთის შენარჩუნებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. ამავე დროს ის ბუნებრივი იჭვის თვალით უცქეროდა ქართულ სამეფოებს, რომელთა გულისწადილი მისთვის დიდი ხანია ცნობილი იყო.

რუსეთის მთავრობის აღმოსავლეთის პოლიტიკა XVIII საუკუნის 80-იან წლებში და საქართველო

მე-18 საუკუნის 80-იანი წლებისათვის ამიერ-კავკასიაში ახალ გარემოებათა მთელი რიგი ერთი მეორეს გადაეჯაჭვა. ამ დროს ევროპის ბურჟუაზია ამიერ-კავკასიისადმი გარკვეულ ინტერესს იჩენდა და ამ ქვეყნის „ასათვისებლად" პრაქტიკულ გეგმებსაც აწყობდა. ერთი ასეთი გეგმა თბილისში დიდი სავაჭრო ცენტრის შექმნას ითვალისწინებდა. ამ ცენტრიდან უნდა გაეტანათ ევროპული საქონელი მთელს ახლობელს აღმოსავლეთში. მეორეს მხრით რუსეთ-ოსმალეთის მეტოქეობის ასპარეზი საქართველოს დიდად მოუახლოვდა. ამიერიდან ჩვენი ქვეყანა ამ ორი აგრესორის შორის ბრძოლის უშუალო ობიექტი ხდებოდა. არა ნაკლებ მნიშვნელოვანი გარემოება იყო, რომ რუსეთი ერთსა და იმავე დროს ერანსაც დაუპირისპირდა და ოსმალეთსაც. აი ამ პირობათა წყალობით საქართველო რუსეთისათვის „განსაკუთრებით მნიშვნელოვანი" შეიქმნა.

ამის შესაფერისად ამოქმედდნენ ეკატერინეს დიპლომატები. ერეკლეს კარზედ იწყეს მიმოსვლა სხვადასხვა რუს მოხელეებმა, ელჩებმა, „მოგზაურებმა". ყველა ესენი ზვერავდნენ საქართველოს, სწავლობდნენ მას. ამათი ცნობების ნიადაგზე პატიომკინი და მისი შტაბი არკვევდნენ, თუ რა პირობებში იქნებოდა შესაძლებელი ამ ქვეყნის ჩათრევა რუსეთის ახლობელ აღმოსავლეთის პოლიტიკაში. რუს პოლიტიკოსებმა მოხერხებულად ისარგებლეს ერეკლეს სიძნელეებით და ძლიერი „დიპლომატიური გავლენაც" გამოიყენეს. ბოლოს, 1782 წელს, პატიომკინმა თავისთან მიიწვია ერეკლეს კარზედ მყოფი გერმანელი „დოქტორი" იაკობ რაინეგსი. ეს უკანასკნელი ადვილად დაექირავა რუს დიდმოხელეს. პატიომკინმა ის ერეკლესთან თავის წარმომადგენლად დანიშნა და მნიშვნელოვანი პოლიტიკური დავალებაც მისცა. რაინეგსს უნდა დაერწმუნებია ერეკლე, რომ მას ეკატერინე ხელმწიფისაგან მფარველობა ეთხოვა. 1782 წლის ნოემბერში რაინეგსი ერეკლესთან დაბრუნდა.

ერეკლეს ცდები დასავლეთ ევროპასთან პოლიტიკური კავშირის გასაბმელად. საქართველოს მომავლის უზრუნველსაყოფად ოსმალეთთან „კავშირი" ერეკლეს საკმაოდ არ მიაჩნდა. ოსმალეთი თვით იყო საქართველოს უდიდესი ნაწილის მიმტაცებელი. ეხლა ოსმალეთს ერანში მეტოქე აღარ ეგულებოდა. ასეთ პირობებში კი მოსალოდნელი არ იყო, რომ ეს აგრესორი, რომელიც მაჰმადიანთა მფარველობას იჩემებდა, ამიერ-კავკასიის მაჰმადიანების ხარჯზე ქრისტიანი „მოკავშირის" გაძლიერებას ხელს შეუწყობდა. ეს გარემოება ერეკლეს კარგად ესმოდა და თავისი ქვეყნის მტკიცე მომავლის უზრუნველსაყოფად სხვა ლო-

წისძიებებს ეძებდა. 1781 და 1782 წლებში ერეკლემ ევროპის ხელმწიფეებთან პოლიტიკური კავშირის გაბმა და მათგან დახმარების მიღება სცადა. აქედან მიღებული მატერიალური დახმარებით მეფეს გადაწყვეტილი ჰქონდა რამოდენიმე პოლკი მხედრობა ევროპულ წესზე გაეწყო, რომ ამით გარეშე მტრები საბოლოოდ აელაგმა და ფართე საშინაო აღმშენებლობას შედგომოდა. ერეკლეს ესმოდა, რომ საქართველოს გამოხსნა, გაძლიერება და მისი მომავალის უზრუნველყოფა ქვეყნის ევროპულად გარდაქმნას, მის სამხედრო-ტექნიკურს და პოლიტიკურ-ეკონომიურ დაწინაურებას შეეძლო მხოლოდ. ამიტომაც იყო, რომ მეფე „ისე არაფრისაკენ არ მიისწრაფოდა, როგორც თავისი ხალხის ევროპულად გარდაქმნისაკენ".

ევროპის ხელმწიფეებისადმი მიმართვისაგან არაფერი გამოვიდა. არც მოსალოდნელი იყო. ევროპელებს სურვილიც რომ ჰქონოდათ, ოსმალეთისა და რუსეთის თანხმობის გარეშე მათი საქართველოსთან კავშირი შეუძლებელი იყო. ხოლო არც ოსმალეთს და არც რუსეთს საქართველოში ევროპელების მიერ ფეხის მოკიდება არაფრად ეპაშნიკებოდათ.

ერეკლეს პოლიტიკური ხიძნელეები 1781—1782 წლებში. ალექსანდრე ბაქარის ძის საქმიანობა ერეკლეს განსაკუთრებით სიძნელეებს უქმნიდა. ფათალი-ხანისა თუ სხვა იმიერ-კავკასიელების შემოსევის მოლოდინში მეფე უნდა ყოველ წამს მზად ყოფილიყო. ქართლის ჯარი ამ საქმისათვის სანდო არ იყო: ალექსანდრეს იქ მრავალი მომხრეები ჰყავდა. ამიტომ მეფე იძულებული იყო ლეკთა დიდი ჯარები დაექირავებია და შუდამ თავისთან ჰყოლოდა. ამ ჯარის ჯამაგირი („სალეკო") მძიმე ტვირთად აწვებოდა მოსახლეობას და მის უკმაყოფილებას აძლიერებდა.

ალექსანდრეს განდევნა დარუბანდიდან და საერთოდ იმიერ-კავკასიიდან მხოლოდ რუსეთს შეეძლო, მაგრამ უკანასკნელი ამ გარემოებას სწორედ ერეკლეზე ზეგავლენის იარაღად იყენებდა.

პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი ერეკლეს წინაშე. ამრიგად, მე-18 საუკუნის უკანასკნელ ოცეულ წელში ახლობელ აღმოსავლეთის საერთაშორისო პოლიტიკა ამიერ-კავკასიაში გაინასკვა. ერეკლეს წინაშე დიდი ისტორიული მნიშვნელობის საკითხი იდგა. სამი დიდი მეტოქე: ერანი, ოსმალეთი და რუსეთი ამიერ-კავკასიას ერთი მეორეს ეცილებოდნენ. თავისუფალს და დამოუკიდებელს საქართველოს არც ერთი მათგანი არ დასტოვებდა. ერანს, ოსმალეთსა და რუსეთს შორის ერეკლეს უნდა არჩევანი მოეხდინა.

ქართველები დარწმუნებული იყვნენ, რომ რუსეთისა და საქართველოს პოლიტიკური ინტერესები ამიერ-კავკასიაში ერთიმეორეს ეთანხმებოდნენ, რომ, მაშასადამე, რუსეთის მიერ საქართველოს მფარველობა საიმედო და სანდო იქნებოდა. პოლიტიკური დამოუკიდებლობის დათმობით და საქართველოს ბედის რუსეთთან დაკავშირებით ერეკლე ერან-ოსმალეთის აგრესორთაგან თავისი ქვეყნის სამუდამოდ გამოხსნასა და აღდგენას ლამობდა. ერეკლე ქართველი ხალხის საუკუნოვანი ბრძოლის განსახიერება იყო. ეს იყო ბრძოლა ერან-ოსმალეთის დამ-

პყრობელთა წინააღმდეგ, ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. რაგინდ ჩაკეტილი არ იყო საქართველო დამპყრობელთა მიერ ამართული ზღუდეებით, საუკუნეთა სიგრძეზე შორეულ ქრისტიანულ ქვეყნებთან კულტურულ კავშირს ის მაინც ახერხებდა. მე-18 საუკუნის მეორე ნახევარი რუსეთთან პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურული დაახლოების ალმაველობის ხანა იყო. ამ ხნის განმავლობაში ქართველმა ხალხმა საესებით გაარკვია თავისი მომავალი განვითარების გეზი: რუსეთით ევროპასთან. ასე რომ წარსულიცა და აწმყოც თანხმობით უკარნახებდნენ ერეკლეს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მან მიიღო. „საქართველოს წინაშე მაშინ ალტერნატივი იდგა — მას შაჰის სპარსეთი ან სულთანის ოსმალეთი დაიპყრობდა, ან უნდა რუსეთის პროტექტორატის ქვეშ შესულიყო... მეორე პერსპექტივი მაინც უმცირესი ბოროტება იყო". (კრებული „К изучению истории" გვ. 38. 1937 წ.; მთავრობის კომისიის ჟურნალის დადგენილებიდან...).

21 დეკემბერს 1782 წელს ერეკლემ რუსეთის მთავრობის სურვილის თანახმად ხელშეწიფის მფარველობის ქვეშ შესვლა ფორმალურად ითხოვა. მეფემ 1771 წელს წარდგენილი პირობები გაიმეორა და ახალი „სათხოვრის პუნქტებიც" დაურთო. ეს „პუნქტები" 1771 წელთან შედარებით შეცვლილი გარემოებით იყო გამოწვეული.

ერეკლეს მოთხოვნით რუსეთის მთავრობამ წინასწარ საქმით დაუმტკიცა მეფეს, რომ მასთან „მეგობრობითი პირობის" შეკვრა სურდა. ხელშეწიფის ბრძანებით დარუბანდელმა ფათალი-ხანმა ერეკლეს წინააღმდეგ შეყრილი ჯარები დაითხოვა, ხოლო ალექსანდრე ბაქარის ძე და ალექსანდრე ამილახორიშვილი აიძულა რუსეთს წასულიყვნენ. ისინი გზაშივე დააპატიმრეს.

1783 წლის ტრაქტატი. 24 იელისს 1783 წელს ციხე გეორგიევსკში (იმიერ-კავკასიაში) რუსეთ-საქართველოს შორის „მეგობრობითი პირობას" („ტრაქტატს") ხელი მოაწერეს. ერეკლე მეფის მხრით აქ იყვნენ იოანე მუხრანბატონი და გარსევან ჭაჭავაძე, ეკატირინე ხელმწიფის მხრით გენერალი პაველ პატიომკინი.

6 თვის გასულს, ე. ი. 24 იანვარს 1784 წელს ერეკლემ ტრაქტატს ხელი მიაწერა და ეს „მეგობრობითი პირობაც" ძალაში შევიდა. ტრაქტატი ორმხრივ ვალდებულებებს ითვალისწინებდა. მისი უმთავრესი მუხლები შემდეგია.

ქართლ-კახეთის მეფე თავის დამოკიდებულებას ერანისა თუ სხვა ხელმწიფეთაგან საქვეყნოდ საუკუნოდ უარყოფდა და ამიერიდან მხოლოდ რუსეთის იმპერატორის უზენაეს უფლებასა სცნობდა და მის საფარველში შედიოდა.

ამის შესაბამისად ახალგამეფებული მემკვიდრე ქართლ-კახეთის ტახტზე ამიერიდან რუსეთის ხელმწიფეს უნდა დაემტკიცებია, რომელიც ასეთ შემთხვევაში დამტკიცების ნიშნებს გამოგზავნიდა ხოლმე. ამ ნიშნების მიღების შემდეგ ახალგამეფებული რუსეთის იმპერატორის წარმომადგე-

ნელის (რეზიდენტის) დასწრებით ხელმწიფისადმი ერთგულების ფიცს მიიღებდა.

ქართლ-კახეთის მეფე ამიერიდან უცხო სახელმწიფოებთან დიპლომატურ ურთიერთობას დამოუკიდებლად არ აწარმოებდა. ყოველ ასეთ შემთხვევაში ის მოვალე იყო რუსთ ხელმწიფის რეზიდენტს ან კიდევ მენაპირე-უფროსს შეთანხმებოდა.

დასასრულ — ქართლ-კახეთის მეფე მოვალე იყო მთელი თავისი სამხედრო ძალით საჭირო დროს ხელმწიფის სამსახურზედ გამოსულიყო.

თავისი მხრით რუსეთის ხელმწიფე ქართლ-კახეთის მეფეს საუკუნო მფარველობას აღუთქვამდა. ამის ნიშნად იმპერატორი ერეკლეს სამფლობელოს დაცვას ივალებდა. გარდა ამისა ხელმწიფის ეს თაყვანება იმ ქვეყნებზედაც გავრცელდებოდა, რომელნიც დროთა განმავლობაში საქართველოს შემოუერთდებოდნენ.

ამიერიდან უცხო ქვეყნების მიმართ რუსეთი და საქართველო ერთი იყო. ხელმწიფეც აღთქვამდა, რომ საქართველოს მტერს თავის მტრად იგულებდა, აგრეთვე რუსეთის ზავი ოსმალეთთან, ერანთან თუ სხვა მეზობელ ქვეყანასთან საქართველოზედაც უნდა გავრცელებულიყო.

ხელმწიფე აღთქვამდა, რომ ერეკლესა და მის ჩამომავლობას ქართლ-კახეთის ტახტზედ უცვალებელად დაიცავდა.

ქვეყნის შინაურ მართვა-გამგეობაში ქართლ-კახეთის მეფე დამოუკიდებელი იყო და რუსეთის ხელმწიფე აღთქვამდა, რომ ის თავის სამხედრო თუ სამოქალაქო დიდ მოხელეებს ქართლ-კახეთის საშინაო ურთიერთობაში ჩარევას აუკრძალავდა.

ტრაქტატს ახლდა კერძო (საიდუმლო) პუნქტები. ამათ თანახმად ერეკლე სოლომონ იმერეთის მეფესთან თანხმობით ყოფნას ივალებდა, ხოლო უთანხმოების შემთხვევაში ის რუსეთის ხელმწიფეს „მეშუამავლედ“ სცნობდა და საკილობელ საკითხს მის შუკაცრს მიანდობდა.

ქართველთა ჯარის სიმტკიცედ და საქართველოს დასაცველად ყველა მეზობელთაგან რუსეთის ხელმწიფე საქართველოში მუდმივ სამყოფად ორ ბატალიონს ქვეით ჯარს ჰგზავნიდა.

ომის შემთხვევაში რუსეთის მენაპირე-უფროსს ქართლ-კახეთის მეფესთან შეთანხმების რწმუნება უნდა ჰქონოდა უკანასკნელისადმი შემწეობის აღმოსაჩენად და საერთო მტრის წინააღმდეგ სამოქმედოდ.

უკანასკნელ, რუსეთის ხელმწიფე აღთქვამდა, რომ ომისა თუ დაზავების დროს ის ყოველ ღონეს მოიხმარდა, რათა საქართველოს დაბრუნებოდა ყველა ქვეყნები, მტრებს რომ ჰქონდათ მისგან მიტაცებული.

ტრაქტატით გათვალისწინებული რუსთა ჯარი 1783 წელს სამ ნოემბერს მოვიდა თბილისში, ხოლო 23 იანვარს 1784 წელს ერეკლემ რუსეთის ხელმწიფისადმი ერთგულობის ფიცი მიიღო.

ტრაქტატი და ქართველების იმედები. ქართველები რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას დიდ გეგმებს უკავშირებდნენ. მფარველ-მოკავშირის დახმარებით ლეკებს ადვილად ალაგმავდნენ და ემთავრეს ყურადღებას ქვეყნის შინაურ აღმშენებლობას მიაქცევდნენ. (ეს აღმშენებლობა სათავადოების პოლიტიკური სისტემის საბოლოო მოსპობას და ქვეყნის ცენტრალისტურად გაერთიანებულ სახელმწიფოდ გარდაქმნას გულისხმობდა). რუსეთ-ოსმალეთის შორის მომავალი ომისას, ქართველებს იმედი ჰქონდათ, სამცხე-საათაბაგოს დაიბრუნებდნენ. ალმოსაველეთ ამიერ-კავკასიაში კი ერეკლე არა მარტო საქართველოდან ჩამოგლეჯილი კაკ-ენისელის შემოერთებას აპირებდა, არამედ მეზობელ შაქი-შირვანის სახანოებზედაც ხელს იწვდიდა. ქართლ-კახეთის მეფის ასეთს განზრახვებს მფარველ-მოკავშირე მხარს უჭერდა. ერეკლე მეფის მფლობელობაშივე სცნობდა რუსეთი განჯა-ერევნის სახანოებსაც.

ასეთივე ტრაქტატის დადებას რუსეთის მთავრობა სოლომონ იმერეთის მეფესთანაც აპირებდა.

ტრაქტატი და რუხეთი. საქართველოში შემოსვლით რუსეთი ეცემა პოლიტიკურ ნახტომს აკეთებდა. ამით ოსმალეთთან ბრძოლა მას იმიერ-კავკასიიდან ამიერ-კავკასიაში გადმოჰქონდა. ამიერ-იმერეთში ფეხის მტკიცედ მოკიდებით რუსეთი იმიერ-კავკასიისა, კავკასიის მთიანეთისა და შავი ზღვის ალმოსაველეთ სანაპიროების საკითხებს თავის სასარგებლოდ სწყვეტდა. ამიერ-კავკასიაში დამკვიდრების შემდეგ, რუსეთის წინაშე ოსმალეთის თუ ერანის მიმართულებით, ესაზღვრო სარბიელი გაიშლებოდა. აქედან ის მომავალში ძლიერად შეაფერხებდა ევროპის ბურჟუაზიის ახლო-ალმოსაველეთში უმეტეს ბატონობას.. შორს არ იყო აქედან გილანი თუ ტრაპიზონი...

ტრაქტატი და ამიერ-კავკასიის ხანათები. ერეკლეს გადაჭრით დადგომამ რუსეთის მხარეზე და რუსთა ჯარის საქართველოში შემოსვლამ ამიერ-კავკასია ააფორიაქა. ხანებს შიშის ზარი დაეცათ. და ეს მით უფრო, რომ რუსეთის მთავრობა ამ სახანოების მიმართ თავისი აგრესიული ზრახვების დაფარვას საჭიროდ არ სცნობდა. ნაძალადევი „მორჩილებით“ ხანები თავის გადარჩენას ცდილობდნენ. დარუბანდის, ყარაბაღის თუ ხოის ხანები „ერთგულებას“ ეფიცებოდნენ რუსეთის მენაპირე უფროსს, „მორჩილება“ გაუცხადეს დალისტნის მთავრებმაც.

მაგრამ პირველმა შიშმა ჩქარა გაიარა და მალე სულ სხვა სიტუაციები გამოჩნდა. მაჰმადიანი ხანები შიშისა და დაბნეულობისაგან ოსმალეთმა გამოიყვანა.

ტრაქტატი და ოსმალეთი. რუსეთის პირველი მარცხი იმაში იყო, რომ ის იძულებული შეიქნა იმერეთის მეფესთან გაზრახული ტრაქტატის დადებაზე უარი ეთქვა. რუსეთის სტამბოლელმა ელჩმა გამოარკვია, რომ ასეთს რასმე ოსმალეთი უომრად არ დასთმობდა. ასე რომ, იმერეთის ოფიციალურად მფარველობაზე რუსეთმა ძალუნებურად ხელი აიღო,

თუმცა ამ ქვეყანაზედ გავლენის შენარჩუნებას სხვა საშუალებებით ის ამის შემდეგაც დაჟინებით ცდილობდა.

თავის მხრით არც ოსმალეთს მიაჩნდა საკმაოდ მიღწეული წარმატება და რუსეთის ქართლ-კახეთიდან განდევნას დიდ ენერგიას ალევდა. ჩქარა ოსმალეთი ერანის სახანოების მფარველის როლში გამოვიდა. ოსმალეთის ემისრები „სჯულის სარჩელზედ" მოუწოდებდნენ მაჰმადიანობას ფულით, საჩუქრებით, დაპირებებით მათ ადვილად აამოძრავეს ადერბაიჯანის და მიერ-კავკასიის ხანები, დალისტნის მთავრები.

„ლეკობის" განახლება. ყველა ესენი ქართლ-კახეთის წინააღმდეგ წამოიშალნენ. ამ საქმის მთავარ ორგანიზატორად სულეიმან ახალციხის ფაშა გამოვიდა. ფაშამ ახალციხე ლეკების საბუდარად გადააქცია, სადაც ჰავაზაკთა ბრბოები გამუდმებით თავს ესხმოდნენ ქართლის სოფლებს. ძველი „ლეკობა" განახლდა, მაგრამ განახლდა გაცილებით უარეს პირობებში, ვიდრე ოდესმე. საქმე ის იყო, რომ ტრაქტატის თანახმად ერეკლეს უფლება არ ჰქონდა ომით იმ სახელმწიფოს საზღვრებში შეჭრილიყო, რომელთანაც რუსეთს ზავი ჰქონდა. ახალციხის საფაშო კი ოსმალეთი იყო და რუსეთ-ოსმალეთს შორის ამდროს ზავი გრძელდებოდა. ერეკლე დაჟინებით სთხოვდა რუსეთის მთავრობას სათანადო ზომების მიღებას ოსმალეთის მთავრობის წინაშე. მაგრამ შედეგი ყოველად უნეგეშო იყო: საქართველოს რბევა ახალციხის მხრით შეუნელებლად გრძელდებოდა.

ამიერ-კავკასიისა და ადერბაიჯანის ხანები ზოგი ოსმალთა „სამსახურში" შევიდნენ, ზოგნაწილის ხელდებული გახდნენ. ხოის ხანი და იბრაჰიმ ყარაბაღის ხანი ორივე საქართველოზე ლაშქრობას აპირებდნენ. ხანებს აყენებდნენ ერეკლეს. აფრთხილებდნენ, ემუქრებოდნენ. კიდევ მეტი: მეფეს გადაუდგნენ და ხარკი შეუწყვიტეს განჯამ. ერევანმა. შანდინ-ალა ჭურთმა. თვით ყაზახ-შამშადილეს თათრებიც კი შფოთავდნენ და მეფეს ალარ მორჩილებდნენ.

სამ წელს გრძელდებოდა ლეკთა თარეშები. ქვეყანამ კვლავ დაცლა იწყო. მოსახლეობა სახიზარებს უბრუნდებოდა, ვისაც შეეძლო. უცხოეთში გარბოდა. ერეკლე ტრაქტატით გათვალისწინებულ დახმარებას ითხოვდა მენაპირე-უფროსისაგან. პატრონკინი კი მეფეს უსარგებლო რჩევებით ან დაპირებებით ჰკვებავდა.

ომარ-ხანის შემოხვევა. 1785 წელს ხუნძახის ბატონი ომარ-ხანი 20.000 კაცით კახეთის საზღვარს მოადგა. ერეკლე ხელშეკრული იყო ქართლიდან ჯარის გაწვევის საშუალება არა ჰქონდა: ახალციხის მხრით ლეკ-ოსმალთა შემოსევის ეშინოდა. კახელებით და რუსთა რაზმით, სიმკლირის გამო. შებმა ძნელი ჩანდა. ომარ-ხანმა გავლო ყარაია, აიღო ბორჩალოს ციხე. აქლო დებედას ბეობა და ახტალას აკიდა. აიღო ახტალა და მაღნები სულ გაანადგურა. ტყვე-ალაფით ხანი ახალციხეს მიეიდა. აქედან ის ჩქარა ეახანის ციხეს ეწვია, აიღო და დიდძალი ტყვეებით უკან იჭცა. ახალციხიდან ომარ-ხანი ყარაბაღს თავის მოკავშირე იბრაჰიმ-ხანთან წავიდა. ბოლოს და ბოლოს ერეკლე იძულებული იყო მორიგებოდა

ომარ-ხანს და მისთვის ყოველწლიური „ჯამაგირი" 5.000 მანეთი გაეჩინა. არსებითად ეს ხარკი იყო, რომელსაც ქართლ-კახეთის მეფე ხუნძახის ბატონს მშვიდობიანობის საფასურად უხდიდა.

ერეკლე განსაკუთრებულ გასაჭირში ჩავარდა. შემოსავალი ალარსაიდან შემოდიოდა. ათხრებული ქვეყანა გადასახადებს ვერ იხდიდა. ერეკლე იძულებული იყო მოსახლეობა სამი წლით სამეფო გადასახადებისაგან გაეთავისუფლებია. მოხარკე ალარაევ ჰყაყყდა. ახტალის მაღნები ამის შემდეგ ორ წელიწადს სულ არ მოქმედებდნენ. ვაჭრობა დაეცა და საბაჟო შემოსავალმაც სათანადოდ იკლო.

ერანიხალმი ინტერესების განელება რუსეთში. ამავე დროს მფარველი-მოკავშირე კი უველა ამაებიადმი ერთობ გულგრილი იყო. მართლაც, რუსეთში ერანის საკითხებით გატაცება, ქიარიმ-ხანის გარდაცვალებისას რომ დაიწყო, თანდათან განელდა. საქმე არც ისე ადვილი აღმოჩნდა, როგორც ეს გეგმის ავტორებს ეხატებოდათ. ასტრაბადის მიდამოებში სავაჭრო ახალშენის გეგმას, ალა-მაჰმად ხანმა, რომ დაასამარა, თან გაჰყვა ერანული სახანოებისაგან სომეხთა სამეფოს შექმნის უტოპიური გეგმაც. ამის შემდეგ რუსეთის პოლიტიკოსები ერანის საქმეებში ვეღარ სიფრთხილეს იჩენდნენ. გასაგებია, თუ რუსეთის პოლიტიკის მესაჭეთა თვალში ქართლ-კახეთსაც ფასი მოაკლდა. ამიტომ ცდილობდნენ ერეკლე და მისი ელჩი გარსევან ჭავჭავაძე რუსეთის პოლიტიკის მესვეურთა საქართველოს ბედით განსაკუთრებით დაინტერესებას. ასეთს პირობებში პოლიტიკური ორიენტაციის გადასინჯვის საკითხი ბუნებრივად დგებოდა.

ოსმალეთის ცდები ერეკლეს გადასაბირებლად. ამ დროს ოსმალეთის მთავრობის საიდუმლო ბრძანებით არზრუმისა და ახალციხის ფაშები ერეკლეს მეგობრობა-კავშირისაკენ მოუწოდებდნენ. არზრუმის ფაშა მეფეს მოაგონებდა იმ მშვიდობას, მას რომ ჰქონდა ოსმალეთთან კეთილმეზობლობის ჟამს და მიუთითებდა იმ უბედურებაზე, რომელსაც ქართლ-რუსთა მხარეზე დადგომის შემდეგ განიცდიდა. ფაშა ურჩევდა მეფეს უარეყო რუსეთი, დაეთხოვა რუსის ჯარი, ქაან გამოეწვია რუსეთიდან შვილები და დაებრუნა „ანანურის გზა". სულეიმან ფაშა ერეკლეს ალუთქვამდა რომ საათაბაგოში ლეკს ბინას არ მისცემდა. ერეკლეს ქვეშევრდომების ყიდვა-გაყიდვას აკრძალავდა, ქართლის საზღვრებთან ოსმალთა ჯარს არ დააყენებდა. სამაგიეროდ ფაშა მოითხოვდა, რომ ერეკლეს რუსეთიდან ახალი ჯარი არ მოეწვია და სიმტკიცის სანაცვლოდ ფაშისათვის ორი თაეადიშვილი მძევლად მიეცა. მეფემ 16/XII 1786 წელს საგარეჯოში ბეჭდა მოიწვია. დარბაისლებმა მეფეს მძევლების მიცემა გაუპირეს. რუსეთის წარმომადგენელი ერეკლეს კარზე ბურნაშოვი და მენაპირე-უფროსი პაველ პატიომკინი ბევრს ეცადნენ, რომ დაეშალათ მეფისათვის მძევლების მიცემის განზრახვა, მაგრამ ამაოდ.

ეს, რაოქმაუნდა, ის არ იყო, რასაც ოსმალეთი ეძებდა. ერეკლე ამის შემდეგაც მტკიცედ ადგა რუსეთის მომხრეობას. მას ოსმალეთის მხარე-

ზე საბოლოოდ დადგომა არც შეეძლო: ეს ერეკლეს მოღვაწეობის უარყოფა იქნებოდა. საქართველოს აღდგომას ოსმალეთი ხელს ვერ შეუწყობდა: საქართველოს გაერთიანება ოსმალეთისათვის მიუღებელი იყო.

პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი ქართლ-კახეთში. საერთოდ პოლიტიკური ორიენტაციის საკითხში საქართველოში ამ დროს დიდი აზრთა სხვადასხვაობა იყო. ქართველი ფეოდალების პროგრესიული ნაწილი ერეკლესთან ერთად რუსეთის მომხრეობას იცავდა. რუსეთის მომხრეთა დასს ეკუთვნოდა აგრეთვე საქართველოს ფეოდალური საზოგადოების სომხური ნაწილი და სომეხი დიდვაჭრები. სომეხთა ასეთი პოზიცია სომხური სამეფოს აღდგენის რუსულ გეგმას უკავშირდებოდა. მნიშვნელოვანი იყო ის გარემოებაც, რომ სომეხ ვაჭრებს ამ დროისათვის რუსეთში საკმაოდ ძლიერი ეკონომიური ინტერესები გააჩნდათ. ქართველი ფეოდალები ორ ჯგუფად იყოფებოდნენ. რეაქციონერები, „მარკოზაშვილის დარბაზელები" უმთავრესად რუსთ-მოძულენი იყვნენ და ეს იმიტომ, რომ ერეკლე რუსეთთან ერთობას ამ რეაქციონერებისათვის არასასურველი პოლიტიკური რეფორმების გატარებას უკავშირებდა. რეაქციონერებმა ჩქარა საიმედო დასაყრდენი იპოვეს: დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ და მისი შვილები. ერეკლეს შრავალი შვილები ჰყავდა. ტახტის მემკვიდრე გიორგი სხვა დედის ნაშობი იყო, სხვები კიდევ დარეჯანის შვილები იყვნენ. თავისი შრავალრიცხოვანი მოსწრებული ვაჟებით და კიდევ უფრო მრავალი სიძეებით დარეჯანი დიდი ვაელენით სარგებლობდა და სახელმწიფო საქმეებში სულ უფროდაუფრო მეტის ენერგიით მონაწილეობდა. თავისი შვილების პოლიტიკური ბედით ეს პატივმოყვარე მანდილოსანი დიდად იყო დაინტერესებული და სწორედ აქ იპოვა სარბიელი რეაქციულმა თავადობამ. გაერთიანებული ქვეყნის საუფლისწულოებად დაყოფა საუკეთესო გარანტია იქნებოდა თავადების შეუზღუდველი პოლიტიკური უფლებების შენარჩუნებისათვის. ამ საუფლისწულოების შექმნისათვის იბრძოდნენ ამიერიდან დარეჯანი, მისი ვაჟები და მათი მიმდგომი რეაქციონერი თავადები. რუსეთ-ოსმალეთის საკითხში დარეჯანი და ბატონიშვილები ოსმალეთთან მორიგების პოზიციას ადგნენ.

ყარაბაღს ლაშქრობა და რუსთ ჯარის უკან გაწვევა. ერეკლემ სულეიმან ფაშას მძევლები გაუგზავნა. ფაშამ ლეკები საათაბაგოდან დაითხოვა და ქართლ-კახეთს მშვიდობა ელირსა. ამის შემდეგ ერეკლემ განჯა-ერევნის საქმეები ადვილად მოაგვარა. 1787 წელს მეფემ რუს-ქართველთა ჯარით ყარაბაღს ილაშქრა. აქ შემოხიზნული ყაზახ-შამშადილუს ელების უკან წამოყვანა სურდა. გარდა ამისა ერეკლეს განზრახვა ჰქონდა ყარაბაღელი სომეხი მელიქები მათი ყმებით საქართველოში გადმოესახლებია. მელიქებს მეფისათვის ამის პირობა მიეცათ. ეს ლაშქრობა შუაზედ შეწყდა. რუს-ქართველთა ჯარი განჯის სანახებში იდგა, როდესაც რუსთა ჯარის სარდალს ბურნაშოვს თავისი რაზმით რუსეთში სასწრაფოდ დაბრუნების შესახებ ბრძანება მოუვიდა. ლაშქრობა ზოგშალა. ბურნაშოვი ჯარით რუსეთს წავიდა. რუსის ჯარის გაწვევის

მიზეზი ის იყო, რომ რუსეთის მთავრობა ოსმალეთთან საომრად ემზადებოდა, მაგრამ ამიერ-კავკასიაში საომარი ოპერაციების გაშლას ხელსაყრელად არ სთვლიდა. ასეთ პირობებში აქედან ჯარის გაყვანა აუცილებელი იყო.

რუსეთ-ოსმალეთის ახალი ომი და საქართველო. მართლაც, 1787 წლის აგვისტოში რუსეთ-ოსმალეთს შორის ახალი ომი დაიწყო. ტრაქტატის ძალით ერეკლეც საომარ მდგომარეობაში იყო ოსმალეთთან. მაგრამ ეხლა როგორც ერეკლე, ისე რუსეთის მთავრობაც ამის შესახებ დუმილს არჩევდნენ: ერეკლეს ომის თავი არა ჰქონდა, ხოლო რუსეთს დახმარება უმძიმდა. ქართლ-კახეთის მეფე ამ ომის დროს მაინც მოაგონებდა მფარველს ტრაქტატით ნაკისრ ზოგიერთ მოვალეობას და ითხოვდა, რომ რუსეთ-ოსმალეთის მომავალ საზავო ხელშეკრულებაში საქართველოც შეტანილი ყოფილიყო და რუსეთი ოსმალეთისაგან სამცხე-საათაბაგოს მიღებას ცდილიყო.

რუსეთ-ოსმალეთის ომი 1791 წელს დასრულდა. საქართველოსათვის მას არა მოუტანია რა.

რუსეთ-ოსმალეთის ომის განმავლობაში მშვიდობა არც საქართველოს ჰქონია. ჯერ 1788 წელს ხვანთქარი ქართლ-კახეთს სულ მთლად აოხრებით და დაპყრობით ემუქრებოდა, შემდეგ, 1789 წელს, თითქო „მშვიდობა და სიყვარული" დამყარდა, მაგრამ, ეს მხოლოდ მოსაჩვენარი აღმოჩნდა. ახალციხის სულეიმან ფაშა კიდევ მეტის ენერგიით ატყდა. ეხლა ახალციხე ლეკებთან ერთად ქართველ მოღალატეთა ბუდედ გადაიქცა. ქსნის ერისთვის შვილები, თუ სხვა „გულნაკლული" თავადები გადმოდიოდნენ ლეკთა რაზმებით და საკუთარ ქვეყანას უწყალოდ ანადგურებდნენ. მაინც ერეკლეს მდგომარეობა ეხლა უმჯობესი იმ მხრით იყო, რომ მტრისათვის სამაგიეროს მიზღვას ტრაქტატი მას არ უშლიდა. 1789 წელს, მაგალითად, დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ მ ა 1000 კაცით მწარე დაკვეთილი აგემა მტერს. მან სასტიკად დაარბია ყარსის საფაშო, ხოლო ოსმალო მდევრები ძლიერად დაამარცხა.

რეაქციის შემოტევა. თავადურ რეაქციას, ბატონიშვილებს შორის უთანხმოებას, მორიგე ჯარის მოშლას, ბოლომოუღებელ მოღალატეობას, ლეკთა გამუდმებულ თარეშებს სასოწარკვეთილებამდის მიჰყავდათ მოღლილ-მოხუცებული ერეკლე. მორიგე ჯარის გაუქმებასთან ერთად თავადები თანდათან აუქმებდნენ ერეკლეს მიერ გამოცემულ საგლეხო კანონებს და გლეხების ძველებურად დამონებას ცდილობდნენ. 1791 და 1792 წლები რეაქციის ზეიმი იყო. დარეჯანმა და მისმა შვილებმა მოხუც მეფეს ორი კანონი გამოჰგლიჯეს: ტახტის მემკვიდრეობისა და საუფლისწულოების შესახებ. პირველით ერეკლემ ტახტის მემკვიდრეობის წესი შეცვალა. ამიერიდან სამეფო ტახტი უნდა გვარში უფროსს სჭეროდა და არა მამიდან შვილს. ეს კანონი ნახევრად ნატყუარ-ნაძალადევი იყო და ერეკლემ ის ხელის მოწერის უმალვე უარყო. სამაგიეროდ დარჩა მეორე კანონი: თითეულ უფლისწულს მეფემ 1003 კომლი ყმა მისცა (ასეთი უფლისწული 5 იყო), ხოლო მემკვიდრე გიორგის 4.000

კომლი. ამნაირად, ამდენი შრომითა და ბრძოლით შექმნილი სამეფო ქონება ამიერიდან კიდევ უფრო რეაქციული ფეოდალების ხელში მოექცა, ვიდრე თავადები იყვნენ. თაეიანთ საუფლისწულოებში ბატონიშვილებს თავი სრულ ხელმწიფეებად მოჰქონდათ. ესენი იქცნენ ამიერიდან თავადური რეაქციის ბურჯებად.

მეორეს მხრით იმავე 1792 წელს ისეთი მოელენაც მოხდა, რომელიც პროგრესული ძალების მოქმედებას უეჭველად მოწმობდა. ეს იყო ამერეთ-იმერეთის გაერთიანების ცდა.

იმერეთი 1784-1790 წლებში. იმერეთის მეფე სოლომონ 1784 წელს გარდაიცვალა. მას ვაჟი არ დარჩენია. ტახტის მემკვიდრედ მეფის ძმისწული დავით არჩილისძე და მეფის ბიძაშვილი დავით გიორგისძე გამოეიდნენ. პირველის მცირე წლოვანობის გამო მეფედ დაეით გიორგის ძე იქმნა. მას მხარსუჭერდნენ დადიან-გურიელი. იმერეთის თავადებმაც იცნეს ის მეფედ. ჩქარა დავითმა ქართლიდან ლტოლვილი კსნის ერისთვის შვილი ელიზბარ დაიახლოვა და თავის პირველ მრჩეველად დანიშნა. ამავე დროს მან როსტომ ერისთვის შვილი გიორგი მოიწვია და კაცია დადიანის რჩევით მას რაჭა ისევ მისცა. სოლომონის პირველკაცები: სარდალი ბერი წულუკიძე და სარდალი პაპუნა წერეთელი მეფეს გადაუდგნენ. მათეის მიუღებელი იყო ელიზბარ ერისთვის გაპირველკაცება. ასევე მიუღებელი იყო მათთეის გიორგის გაერისთავება. წულუკიძე და წერეთელი ლეკების რაზმით შემოეიდნენ და დავით არჩილის ძის გამეფება სცადეს, მაგრამ ბრძოლაში დამარცხდნენ. დავით გიორგის ძე 1789 წლამდის მეფობდა. ის რუსთა მომხრედ ითვლებოდა და არა ერთგზის ახალციხის ფაშისა თუ ბათომის ფაშის მიერ გამოგზავნილ ლეკ-ოსმალთა ჯარებთან ომი ჰქონდა. ამ ბრძოლებში ის დიდ სიმამაცეს იჩენდა. 1789 წელს დავით არჩილის ძეს მომხრეები გაუმრავლდა. ახალგაზრდა გრიგოლ დადიანმა მას დახმარება აღუთქვა. წერეთელი და წულუკიძეც მას მიუვიდნენ. ბრძოლა მოხდა მათხოჯს. დავით მეფე დამარცხდა. ტახტის მაძიებელი გაამეფეს. სოლომონ მეორე უწოდეს. ჩქარა ნამეფარმა ლეკ-ოსმალთა ჯარი მოიყვანა და სოლომონი განდევნა. ასეთ პირობებში იმერეთის ფეოდალებმა გამოარჩიეს მიმართად ურეკლეს იმერეთის ქართლ-კახეთთან შეერთების წინადადებით.

იმერეთის საერო და საეკლესიო ფოდალების წარმომადგენლები ერეკლესთან მოვიდნენ. მეფემ დარბაზი შეყარა. ბჭობა სამ დღეს გაგრძელდა. ერეკლემ ბოლოს და ბოლოს უარყო შეერთების წინადადება. ასეთი გადაწყვეტილების სასარგებლოდ მეფეს სხეათა შორის ერთი მძიმე საბუთიც ჰქონდა. ერეკლე რუსეთის ხელდებული იყო, იმერეთი კი ოსმალეთს თავისად მიაჩნდა. ამიტომ ამერ-იმერეთის შეერთებას ოსმალეთი არ მოითმენდა.

მაინც ამ ცდისაგან კარგად ჩანდა, რომ ამერ-იმერეთის გაერთიანების იდეა მწიფდებოდა და დღეს-ხვალ ის ხორცსაც შეისხამდა.

ერეკლემ სოლომონს ჯარი მიაშველა. დაეთმი დამარცხდა და სოლომონმა ტახტი დაიჭირა.

ამერ-იმერეთის პოლიტიკური კავშირი ერეკლეს უზენაესობით. მართალია, გაერთიანება ამხელად შეუძლებელი ალმოჩნდა. მაგრამ პროგრესულ ძალებს მაინც თვალსაჩინო წარმატება ჰქონდათ. ერეკლეს თანამოღვაწის, ნიჭიერი პოლიტიკოსის სოლომონ ლიონიძის ცდით ერეკლე მეორესა ერთის მხრით, ხოლო სოლომონ მეორესა, გროგოლ დადიანსა და სიმონ გურიელს შორის მეორე მხრით, 1790 წელს „იველიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული" ტრაქტატი დაიდო. ეს ტრაქტატი საერთო მტრის წინააღმდეგ სამხედრო კავშირს წარმოადგენდა. 1793 წელს უველა ეს ტრაქტატით შეერთებულნი საერთო მფარველობას სთხოვდნენ რუსეთის იმპერატორს.

ირწანისის ომი. ამასობაში ერანში ფეოდალური ომები დასასრულს მიუახლოვდა. მრავალწლოვანი დაუღალავი ბრძოლით, მრავალ განსაცდელთა გამოვლით საბოლოოდ გამარჯვებული აღა-მაჰმად-ხან უაჯარი გამოვიდა. მან ჯერ კიდევ 1786 წელს ძოაგონა თავი ერეკლეს: „ძმობისა და სიყვარულის" სიტყვები შემოეთვალა „გურჯისტანის" მეფეს. 1786-1790 წლებში აღა-მაჰმად-ხანი სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა და ადერბაიჯანისკენ მოიწევდა. მისმა მოახლოვებამ ადგილობრივი ხანები აიფორიაქა. ზოგი შებრძოლებას აპირებდა, ზოგი მორჩილებით მიგებებას, ზოგი კიდევ გასაქცევად მზად იყო.

აღა-მაჰმად-ხანი ქართლ-კახეთში ერანის ძველი ბატონობის აღდგენას ცდილობდა. ერეკლესაგან ის რუსეთ-საქართველოს ტრაქტატის გაუქმებას და ქართლ-კახეთის ერანისადმი დამორჩილებას მოითხოვდა. სამაგიეროდ ხანი დიდ წყალობას და პატივს ჰპირდებოდა „გურჯისტანის" მეფეს. აღა-მაჰმად-ხანის წინადადება ერეკლესათვის ყოვლად მიუღებელი იყო. მეფემ დიდი ხანია საქართველოს მომავალი პროგრესულ „ევროპას" სამუდამოდ დაუკავშირა. ამ პირობებში ომი ერანსა და საქართველოს შორის აუცილებელი ჩანდა.

მფარველ-მოკავშირეს ერეკლე აღა-მაჰმად-ხანის შესახებ ჯერ კიდევ 1788 წელს ატყობინებდა და ჯარით ან ფულით დახმარებასა სთხოვდა. 1793 წელს ერეკლემ უკვე იცოდა, რომ აღა-მაჰმად-ხანს საქართველოზედ ლაშქრობა გადაწყვეტილი ჰქონდა. აქეთკენ ეპატიჟებოდნენ მას ქართლ-კახეთის მეფის მეტოქე ხანებიც. ერეკლე რუსეთს ჯარით და არტილერიით დახმარებასა სთხოვდა.

ხელშეკრულების თანახმად რუსეთის მთავრობა მოვალე იყო ერეკლეს დახმარებოდა. მაგრამ მოკავშირე-მფარველმა დახმარება არ ინება. შენაპირე-უფროსი გედოვიჩი ერეკლეს დაუსრულებლად აიმედებდა. მეფეც დახმარების მოლოდინში იყო, ხოლო აღა-მაჰმად-ხანს მგლის თვალები თბილისისათვის გაეყარა.

აგვისტოს ბოლო რიცხვებში აღა-მაჰმად-ხანის ჯარები შუშასა და ერევანს შემოსდგომოდნენ. ეჩმიაძინის სომეხთა კათალიკოზმა თავი დი-

დის ჭრთამით დაიხსნა. აღა-მაჰმად-ხანი სექტემბრის დასაწყისს თბილისისაკენ წამოვიდა.

ათასმგადახდილი ერეკლე სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა. საპირო თადარიგი მან თავის დროზედ მიიღო, მაგრამ თავადურ რეაქციას ქვეყანა ისე დაეძალა, რომ 40.000 მეომრის ნაცვლად მეფეს 4.000 ძლივს მოუვიდა. ბატონიშვილები საჭიროდ არ სთვლიდნენ თავიანთი სოფლისწულოებიდან დაძრულიყვნენ, ზოგი კიდევ სულ მცირე ამალით მოდიოდა. „მარკოზაშვილის დარბაზელები“ დაძრწოდნენ სოფლითი-სოფლად და მეფის პირით ხალხს მტრის წინააღმდეგ ბრძოლის უიმედობას ატყობინებდნენ და შორს დახიზნვას უბრძანებდნენ. ზაქარია ანდრონიკაშვილმა კი 2.000 ქიზიყელი ომის წინა ღამეს სოლანლუღის ბანაკიდან გააპარა. გიორგი ბატონიშვილი არხეინად სიღნაღში იჯდა, ხოლო იულონი ქართლში ნებივრობდა იმ დროს, როცა სამშობლოს თავისუფლებისა და მომავალის ბედი წყდებოდა.

საქართველოს ასაოხრებლად აღა-მაჰმად-ხანმა 35 ათასი კაცი წამოიყვანა. 10 სექტემბერს მტერი თბილისს მოუახლოვდა. ერეკლეს ამ ძალებისათვის შეეძლო მხოლოდ ხუთი ათასი კაცი დაეპირისპირებია. აქედან სამი ათასი სოლომონ იმერთა მეფის მიერ მოყვანილი დამხმარე ჯარი იყო. სიმცირის მიუხედავად მეფემ ომი გადაწყვიტა. აღა-მაჰმად-ხანმა საქართველოს ვითარება არ იცოდა და ერეკლესაგან ძლიერ წინააღმდეგობას მოელოდა. 10 სექტემბერს ქართველებმა დაამარცხეს მტრის მეწინავე რაზმი და დიდის ზარალით უკუაქცივეს. მტერი შეფიქრდა და თავისი საქმის წარმატებაში შეეპედა. ამ დროს მოღალატეებმა თბილისიდან მტრის ელჩი გააპარეს. მან მეფის სისუსტე ხანს აცნობა. მტერს იმედი მოეკვა და 11 სექტემბერს გულსრულად შემოეტია. კ რ წ ა ნ ი ს ი ს მ ი ნ დ ო რ ზ ე გადამწყვეტი ომი მოხდა. ქართველები დამარცხდნენ. ერეკლე ძლივს გადურჩა სამარცხვინო ტყვეობას. მეფის ერთგულებმა მებრძოლი მოხუცი ძლივს გამოიყვანეს ომის ცეცხლიდან. ერეკლე მთიულეთს გაიქცა. სოლომონი თავისი ჯარით იმერეთს წავიდა. გამარჯვებული აღა-მაჰმად-ხანი თბილისში შემოვიდა. მტერმა ქალაქი გაძარცვა. დასწვა, დაანგრია. ხანი მეფის სასახლეში შევიდა. ჯერ გაძარცვა ის, შემდეგ დაანგრევინა. მისივე ბრძანებით საგანგებოდ დაანგრიეს ზარბაზნების ჩამოსასხმელი ქარხანა, იარაღის საწყობი, აბანოები. ზარაფხანა. ამავე დროს ხანმა ქვეყანას მარბიელი რაზმები გაუსია. ერთი ასეთი რაზმი ახტალას ავიდა. აქ ვერცხლისა და სპილენძის ქარხნები ეგულებოდათ. 1785 წელს ომარ-ხანის მიერ დანგრეული წარმოება კვლავ აღედგინა ერეკლეს. მარბიელებმა გაძარცვეს და დაანგრიეს ქარხნები, მრავლად დაატყვევეს მადნის მუშები. შიდა-ქართლი მარბიელთა რაზმებმა გორი-ცხინვალამდის მოითარეშეს. მოსახლეობა დახიზნულიყო და ზეერი ეერაფერი იშოვეს. არაგვზე მარბიელებს 300 კაცისგან შემდგარი ხევსურთა რაზმი გადაეყარა. ხევსურები ერეკლეს მოწოდებაზედ წამოსულიყვნენ. ქართველთა დამარცხების შესახებ მათ ჯერ არ შეეტყოთ და თბილისს მეფესთან მიდიოდნენ. ხევსურებმა მარბიელთა ეს რაზმი

თითქმის სულ განუყრიტეს. გაჭეჭელებმა თბილისში ხანს მძიმე ამბავი ატეხეს.

ვიდრე ალა-მაჰმად-ხანი საქართველოში იყო, მას და ერეკლეს შორის მოლაპარაკება გაიმართა. ამ დროს ერეკლე ახალგაზრდა იდგა. მეფე დროს მოგებას ცდილობდა. მტერთან მოლაპარაკებას აწარმოებდა, მაგრამ ამავე დროს ამის შესახებ მენაჩირე-უფროსს გულდაჯერებით ატყობინებდა და მისგან სასწრაფოდ დახმარებას მოითხოვდა. არც ალა-მაჰმად-ხანს სწამდა ერეკლეს გულწრფელობისა.

საქართველოში მტერი დიდხანს არ დარჩენილა. ჯერ კიდევ მოლაპარაკება გრძელდებოდა, რომ სექტემბრის მიწურულს ხანი აიყარა და სასწრაფოდ ერანს წავიდა: იქ, ხორასანში, მდგომარეობა გართულებული იყო.

ალა-მაჰმად-ხანის ლაშქრობის გამოძახილი უცხოეთში. ალა-მაჰმად-ხანის საქართველოში ლაშქრობამ სიხარული და კმაყოფილება არა მარტო ზოგიერთ მეზობელ ხანებში გამოიწვია. სიხარულით ცას ეწია ოსმალეთი. ხვანთქარმა ხანს საგანგებოდ მიულოცა გამარჯვება და კავშირი შესთავაზა. დიდად კმაყოფილი იყო საფრანგეთიც. ხსენებული სახელმწიფოები ამ ფაქტში რუსეთის დამარცხებას ხედავდნენ და ამიერკავკასიიდან ამ მეტოქის საბოლოოდ გასაძევებლად ალა-მაჰმად-ხანს კვლავ საქართველოში ლაშქრობას ურჩევდნენ.

საქართველოს გასაჭირით სარგებლობა ლეკებმაც მოინდომეს. ლეკთა ბრბოები წამოიშალნენ და დაუცველ სოფლებს შეესივნენ.

რუსთა ჯარის ლაშქრობა ერანს. რუსეთის მთავრობამ თავისი შეცთომა ეხლა დაინახა. გასაჭირში მიტოვებული და მტრის პირში მიცემული მოკავშირე მას ეკარგებოდა. ხოლო საქართველოს დაკარგვით რუსეთი მთელი ახლო-აღმოსავლეთიდან ფეხს ამოიკვეთდა. ალა-მაჰმად-ხანი თბილისიდან წასული იყო, როცა გუდოვიჩმა პეტერბურგიდან ერეკლესადმი დახმარების აღმოჩენის ნებართვა მიიღო. ორი ათასი კაცისაგან შემდგარი რუსის ჯარი დეკემბერში საქართველოში შემოვიდა. ამ დროს რუსეთში ერთხელ კიდევ გაცოცხლდა ჩრდილო ერანის დაპყრობისა და ინდოეთის ვაჭრობის რუსეთში მოზიდვის პეტრესეული გეგმა. ხელდებული საქართველოს დაცვისა და „თავხედი“ ალა-მაჰმად-ხანის დასჯის საბაბით 1796 წელს გაზაფხულზე 30 ათასი კაცისაგან შემდგარი რუსთა ჯარი ვალერიან ზუბოვის სარდლობით დარიალის გზით ამიერ-კავკასიაში შემოიჭრა.

ერეკლეს ლაშქრობა განჯას. მტრის წასვლის შემდეგ ერეკლე თავის დადგა. დახიზნული მოსახლეობა სოფლებს დაუბრუნდა. თბილისშიც ნელ-ნელა მოშენება იწყო.

1796 წლის გაზაფხულზე მეფემ ბატონიშვილები დავით და ალექსანდრე განჯას ჯავადხანის წინააღმდეგ გაგზავნა. განჯის მფლობელი ერეკლეს მოღალატე იყო. ის ალა-მაჰმად-ხანს თბილისზე წამოეძღვა და საქართველოს აოხრების დროს ყიზილბაშ მოლაშქრეებისგან მრავალი ტყვე და დიდი ალაფი შეიძინა. ქართველებმა სამ აპრილს

განჯა აიღეს. ჯავად-ხანი ცოხეში ჩაიკეტა. ცოტა ხნის შემდეგ ერეკლეც განჯას ჩავიდა. ხანგრძლივი ალყით შეწუხებულმა ჯავად-ხანმა პატივება ითხოვა. მეფემ განჯა ძველებურად ხარკი დასდო, ათასი ტყვე ჯავად-ხანს რომ შეეძინა ყიზილბაშებისაგან, გაათავისუფლა, ამ ლაშქრობის ხარჯებიც მას აზღვევინა და უკან დაბრუნდა.

ამავე ხანებში მეფემ ერევნის საქმეც მოაგვარა. მან იქ ალა-მაჰმად-ხანის მიერ დეპნილი მაჰმად-ხანი გააბატონა და ძველებურად ხარკი შეუკვეთა.

რუსთა ჯარმა ზუბოვის სარდლობით ჩქარა აილო დარუბანდი, ყუბა, ბაქო, სალიანი, შამახია, გაეიდა მუღანს და შიგნით ერანში სალაშქროდ ემზადებოდა. პეტერბურგში ერანს ლაშქრობის გეგმასთან ერთად პეტრეს გეგმის სხვა ნაწილიც გაუცხლდა: ამიერ-კავკასიაში ძლიერ ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნა. ასეთი სახელმწიფო გეგმის აეტორების აზრით ერეკლეს სამეფო უნდა ყოფილიყო. უხე იმედებს აძლეედნენ სომხებსაც. ალა-მაჰმად-ხანი დიდს შიშში იყო.

ამ დროს, 1796 წელს 6 სოემბერს. ეკატირინე ხელმწიფე გარდაიცვალა. მისმა მემკვიდრე პავლემ ერანს ლაშქრობა მოშალა და ჯარი უკან გაიწვია. ალა-მაჰმად-ხანი თავს გამარჯვებულად თვლიდა და კვლავ საქართველოში სალაშქროდ ემზადებოდა.

პოლიტიკური რეფორმების გატარების ცდა. ერეკლე დაჟინებით სთხოვდა მფარველ-მოკავშირეს ტრაქტატით ნაკისრი მოვალეობის შესრულებას, საქართველოს დასაცველად ჯარის დატოვებას. მოკავშირის დაინტერესების მიზნით ერეკლე მზად იყო რუსეთის სასარგებლოდ ახალ პოლიტიკურ დათმობებზე წასულიყო. ამავე დროს ერეკლემ მიიღო ის ერთად ერთი გადაწყვეტილება, რომლის განხორციელებას შეეძლო საქართველოს პოლიტიკური არსებობა დალუპვისაგან ეხსნა. მოხუც მეფეს რუსეთის დახმარებით საქართველოს პოლიტიკური წესწყობილების ძირითადი რეფორმების გატარება გადაეწყვიტა.

ერეკლე ამ საქმეში მარტო არ იყო. მასთან იყო ქართული ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ნაწილი. ამ დროს მრავალი ჰხედავდა და ესმოდა. თუ რა იყო საქართველოს ამდენი უბედურების მთავარი მიზეზი. კარგად არჩევდნენ „ევროპული“ წესების უპირატესობას და ამ წესების საქართველოში გადმონერგვას ცდილობდნენ. არაერთი კანონ-პროექტი იწერებოდა ამ დროს საქართველოს სოციალ-პოლიტიკური, ეკონომიური თუ ადმინისტრაციული ცხოერების მოწესრიგების მიზნით. თან და თან სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა რწმენა, რომ არსებული პოლიტიკური სიდუხჭირე უნდა დაძლეულ იქმნას. რომ, დღეს არა ხვალ, „ევროპული“ წესები უნდა შემოვიდეს. რომ სათავადოების პოლიტიკურ სისტემას უნდა დღე დაელიოს.

მაგრამ ყველ რეაქცია მაგრობდა და პოზიციების დათმობას უბრძოლველად არ აპირებდა.

პავლე იმპერატორი ერეკლეს ვედრებისადმი ყრუ იყო. 1797 წელს რუსეთის მთავრობამ საქართველოდან ჯარი გაიყვანა და „მოკავშირე" კვლავ გაფთრებული მტრის მსხვერპლად დააგდო.

აღა-მაჰმად-ხანის სიკვდილი. აღა-მაჰმად-ხანი ყარაბაღს მოვიდა. იბრაჰიმ-ხანი გაიქცა. საქართველო ახალი აოხრებისაგან მკვლელის დანამ იხსნა. 4 ივნისს 1797 წელს სისხლით გაუმაძღარი ტირანი იქვე ყარაბაღში მოკლეს.

მცირე ხნით ირანში ანარქია გამეფდა. შემდეგ ძალაუფლება აღა-მაჰმად-ხანის ძმისწულმა ბ ა ბ ა - ხ ა ნ მ ა იგდო ხელთ. საქართველოს მიმართ ისიც თავისი ბიძის პოლიტიკას განაგრძობდა.

ქართლ-კახეთში კი თავადური რეაქცია პარპაშობდა. ყველა მისი შედეგებით: ლეკთა გამუდმებული თარეში, გლეხთა აყრა-დაკარგვა, ვაჭარ-ხელოსანთა რუსეთს გაქცევა.

ერეკლეს გარდაცვალება. ასეთ მდგომარეობაში იყო სამეფო, როცა 11 იანვარს 1798 წელს 80 წლის ერეკლე თელავს გარდაიცვალა, — ქ ვ ე ყ ნ ი ს თ ა ვ დ ა დ ე ბ უ ლ ი მ ო ა მ ა გ ე, დ ი დ ი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მ ო ღ ვ ა წ ე, ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე ს ა რ დ ა ლ ი დ ა თ ა ვ ი ს ი დ რ ო ი ს მ ო წ ი ნ ა ვ ე კ ა ც ი. მოხუცებულობის მიუხედავად მისი დაკარგვა აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო ათორიაქებული ქვეყნისათვის.

გიორგის გამეფება. სამეფო ტახტზე გ ი ო რ გ ი ე რ ე კ ლ ე ს ძ ე ავიდა. მისი მდგომარეობა იმთავითვე მეტად მძიმე იყო. თავისი ურჩი ძმების შემორიგების მიზნით გიორგი ჩქარა იძულებული შეიქნა დაემტკიცებინა 1791 წელს დარეჯან დედოფლის თაოსნობით შედგენილი ტახტის მემკვიდრეობის ის წესი, რომლის უკანონობა თვით ერეკლემ დაუდასტურა იმავე გიორგის. არც ამის შემდეგ, რათქმაუნდა, ძმებს შორის ნდობა არ დამყარებულა და ერთიერთის წინააღმდეგ ორივე მხარე ძალებს იკრებდა.

ლეკთა რაზმის დაქირავება. რომ თავისი მდგომარეობა განემტკიცებინა მეფემ ლეკთა დიდი რაზმი დაიქირავა. ამ ჯარის ჯამაგირი საშინელ ტვირთად დააწვა ათასჯერ ტყავგაძრობილ გლეხობას. საჭირო ფულის შოვნის მიზნით მეფე ვაჭრებსა თუ თავადებს შორის სესხსაც მიჰმართავდა და უარის შემთხვევაში არც აშკარა ძალადობას ერიდებოდა. ამავე დროს ეს ლეკები მოსახლეობის მშვიდობიანობას სრულიად არ იცავდნენ. მათი მოძმე ავაზაკების ქართლის სოფლებში თარეში დიდი ხანია ისე თავაშვებული არ ყოფილა, როგორც ეხლა.

მეფის მიერ ლეკთა რაზმის დაქირავებამ მტრობა-უნდობლობა მეფესა და მის ძმებს შორის კიდევ უფრო გაამწვავა. ბატონიშვილები შიშობდნენ, რომ მეფე მის მიერვე დამტკიცებულ ტახტის მემკვიდრეობის კანონს შეცვლიდა და მართალიც იყვნენ. გიორგი არა მარტო ამ კანონის გაუქმებას, არამედ პოლიტიკური რეფორმის გატარებასაც ჰფიქრობდა. სათანადო კანონ-პროექტი მისმა შვილმა იოანემ შეადგინა კიდეც.

ლეკთა ამოდენა რაზმის—1200 კაცი იყო—ჯამაგირით შენახვა სულ უფრო და უფრო ძნელი ხდებოდა და გართულებული შინაპოლიტიკური მდგომარეობა მეფეს გარედან დახმარების ძებნას აიძულებდა.

დამოუკიდებელი ფეოდალური საქართველოს უკანასკნელი წლები. 1797 წლის მიწურულში ჯერ კიდევ ერეკლემ უბრძანა თაეის ელჩს გარსევან ჭაჭიაძეს, კატეგორიულად დაესვა საკითხი რუსეთის მთავრობის წინაშე, აპირებდა თუ არა უკანასკნელი ტრაქტატით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. ერეკლე ისე გარდაიცვალა, რომ რუსეთის მთავრობისაგან პასუხი არ მიუღია. გიორგი მეფემ ტახტზედ ასვლა რუსეთის ხელმწიფეს აცნობა და მისგან „წყალობა“ ითხოვა. რუსეთის მთავრობა ეხლაც დუმილს განაგრძობდა.

3 ივლისს 1798 წელს გიორგი მეფეს ერანის შაჰისაგან სიგელი მოუვიდა. შაჰი გიორგისაგან ერან-საქართველოს ძველი ურთიერთობის აღდგენას მოითხოვდა, სამაგიეროდ დიდ წყალობას პპირდებოდა მეფეს. წინააღმდეგ შემთხვევაში შაჰი საქართველოს მოთხრით ემუქრებოდა. მეფემ შაჰთან მოლაპარაკება გადაწყვიტა და ამის შესახებ პეტერბურგშიაც აცნობა. ცოტა ხნის შემდეგ მეფემ აცნობა თაეის ელჩს გარსევან ჭავჭავაძეს, რომ მას გადაწყვეტილი აქვს, თუ რუსეთი არ დაეხმარება, ტრაქტატი დარღვეულად გამოაცხადოს, ელჩი უკან გაიწვიოს და დახმარება სხვაგან ეძიოს. ამ დროს მეფეს ოსმალეთთანაც მოლაპარაკება ჰქონდა გამართული. მეფის ენერგიულმა ტონმა რუსეთის მთავრობა აამოქმედა. პაველე ხელმწიფემ გიორგი მეფეს წყალობის სიგელი გამოუგზავნა. 11 ოქტომბერს 1798 წელს გიორგიმ ტრაქტატის თანახმად პაველე ხელმწიფისაგან ტახტზედ დამტკიცების ნიშნები, თავისი შვილი დავითის მემკვიდრედ ალიარება და 3000 კაცისაგან შემდგარი ლაშქარი ითხოვა. რუსეთის მთავრობამ გიორგის თხოვნა დააკმაყოფილა. 18 აპრილს 1799 წელს პაველე ხელმწიფემ დამტკიცების სიგელი და სათანადო ნიშნები გამოუგზავნა გიორგი მეფეს. დავით გიორგისძის ტახტის მემკვიდრედ გამოცხადებამ მეფის ძმები აიყვანყა. ბატონიშვილები თავიანთ საუფლისწულოებში ჩასხდნენ და მეფის ხელისუფლებას ალარა სცნობდნენ. დარეჯან დედოფალი თბილისში ოქდა და გიორგი მეფისადმი მტრობას ენერგიულად აღვიძებდა. ამის შემდეგ ჩქარა ალექსანდრე ბატონიშვილი ერანის შაჰთან გაიქცა. ბაბა-ხანი დიდის ხალისით გამოვიდა ერეკლეს შვილების „უფლების“ დამცველის როლში და ამიერიდან კიდევ მეტის ენერგიით ცდილობდა ქართლ-კახეთის დამონებას.

რუსთა ჯარი ჯერ კიდევ არ მოსულიყო. შიშისაგან გონება დაკარგულმა ავადმყოფმა მეფემ ისევ რუსეთს მიჰმართა. ტრაქტატის შეცვლა ითხოვა. რუსეთის მთავრობას სამეფოს საშინაო საქმეების მოწესრიგების უფლებას აძლევდა, ოღონდ საკუთარი თავისთვის და თავისი ჩამოშავლობისათვის მეფობის შენარჩუნებას მოითხოვდა.

ნოემბრის ბოლოს 1799 წელს რუსთა ჯარი გენერალი ლაზარევის სარდლობით საქართველოში შემოვიდა. ლაშქართან ერთად მოვიდა რუ-

სეთის მთავრობის მინისტრი საქართველოს მეფის კარზე — კ ო ე ა-
ლ ე ნ ს კ ი.

რუსის ჯარის საქართველოში შემოსვლამ ერანის შაჰი შეაშფო-თა. ელჩების პირით შაჰი რუსეთისგან საქართველოს დაცლას მოითხოვდა. ამავე დროს ჯარებს აგროვებდა და ომით იმუქრებოდა. პაველე ხელ-მწიფე ერთხელ კიდეც შეყოყმანდა, მაგრამ ამ დროს უკვე რუსეთის მთავრობის წრეებში ერთობ გაძლიერებული იყო საქართველოს ოკუპა-ციის მომხრეთა დასი. ურთიერთობის ამ გრძელ მანძილზე რუსმა პო-ლიტიკოსებმა შეისწავლეს საქართველო, კარგად შეაფასეს მისი მნიშვნე-ლობა ახლობელ აღმოსავლეთის პოლიტიკაში, შეისწავლეს საქართვე-ლოს ბუნებრივი სიმდიდრეები და გაითვალისწინეს მათი ეკონომიური მნიშვნელობა და, თუ 1770-ან წლებში ტოტლებენის მიერ საქართველოს დაპყრობის ცდა უნიადაგო ავანტურად გამოიცხადებოდა, ეხლა ასეთი რამ ფრიად რეალურ სიკეთედ წარმოედგინათ მგლის მორალის პოლი-ტიკოსებს.

საქართველოში ანარქია არ ნელდებოდა. ბატონიშვილებმა ეხლა ახალ ლალატს მიჰმართეს. სამშობლოს ასაოხრებლად ომარ-ხანი მოიწვიეს: საქართველოს ამ მომთხრელს ალექსანდრე ბატონიშვილიც მოჰყვებოდა. 7 ნოემბერს 1800 წელს რუს-ქართველთა მხედრობამ სასტიკად დაამარ-ცხა ომარ-ხანის ლაშქარი ნ ი ა ხ უ რ ა ს (იორის პირზე) და ქვეყანა სა-შინელი აოხრებისაგან იხსნა.

რუსეთის მთავრობას ამ დროისათვის კიდევ ერთი პოლკი ჯარი გა-მოეგზავნა გენერალი ც ი ც ი ა ნ ო ვ ი ს სახელობით. გიორგი მე-ფეს ამის შემდეგ მშვიდი ძილი შეეძლო. მის მემკვიდრეებს კი მე-ფობა სიზმარივით უქრებოდათ.

1783 წლიდან ვიდრე 1800 წლამდის ქართლ-კახეთი თანდათანი დაცემის გზით მიდიოდა. იშვიათად რომ მას ასეთი ხანა სხვა განეცა-დოს. მთელი დუნია მტრად აღუდგა მცირე ქვეყანას. საგარეო ხასიათის სიძნელეები შიგნით თავადურ რეაქციას დაუკავშირდა და ამ ძლიერმა კავშირმა ჯერ კიდევ სუსტი პროგრესული ძალები დაამარცხა.

1800-ანი წლებისათვის ქართლ-კახეთის ფეოდალურ საზოგადოებას პოლიტიკური ორიენტაციის საკითხში მეტი ჩამოყალიბება ეტყობოდა, ვიდრე ამ ათიოდე წლის წინ. ამ დროისათვის შესამჩნევად გაზრდი-ლიყო მეფობის გაუქმებისა და ქვეყნის რუსეთისადმი უშუალოდ და-მორჩილების მომხრეთა რიცხვი. მაინც დიდი უმრავლესობა რუსეთთან კავშირს 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე იცავდა. მესამენი — ესენი უმცირესობა იყო — რუსეთთან როგორც შეერთების, ისე კავშირის წი-ნააღმდეგნი იყუნენ. ბატონების აღვირახსნილობით თაუმოძულებული გლეხობა იმას მიემხრობოდა. ვინც კი ქვეყანაში მშვიდობიანობას და წესიერებას დაამყარებდა და ბატონების მძლავრობას, მცირედ მაინც, ალაგმავდა.

გიორგი მეფე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, რომ რუსეთის მთავრობას ზეფის სიკვდილის მოლოდინში უკვე მიეღო გადაწყვეტილება ქართლ-

კახეთის სამეფოს გაუქმებისა და ქვეყნის რუსეთთან შეერთების შესახებ. ეს იყო 22 დეკემბერს 1800 წელს. ექვსი დღის შემდეგ (28/XII 1800 წ.) გიორგი მეფე გარდაიცვალა. ადგილობრივ რუსის ჯარის სარდალს კარგა ხანია საიდუმლო განკარგულება ჰქონდა მიღებული, რათა დაეთმო ბატონიშვილის მეფედ გამოცხადება არ დაეშვა. 1801 წლის 16 თებერვალს სიონის ტაძარში, გაძლიერებული სამხედრო დაცვის პირობებში. პაველეს მანიფესტი წაიკითხეს. 1801 წელს 12 სექტემბერს პაველე ხელმწიფის მემკვიდრის ალექსანდრე I ხელმოწერით გამოქვეყნდა მანიფესტი ამავე საგნის შესახებ. ქართლ-კახეთის სამეფო „საქართველოს გუბერნიად" გამოცხადდა, მთავარმართებლად მენაპირე-უფროსი გენერალი კნორინგი დაინიშნა, ხოლო სამოქალაქო საქმეების მმართველად — კოვალენსკი.

თავი პირველი

საქართველო მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში

§ 1. მმართველობის სისტემა

1801 წელს მეფის რუსეთს შეუერთეს აღმოსავლეთ საქართველო (ქართლ-კახეთის სამეფო). 1803 წელს რუსეთის იმპერატორის ვასალად გამოაცხადა თავისი თავი სამეგრელოს მთავარმა გრიგოლ დადიანმა. 1804 წელს იმერეთის მეფემ სოლომონ მეორემ ხელი მოაწერა რუსეთის ქვეშევრდომობის ხელშეკრულებას. იმავე წელს რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო გურიამაც. 1809 წელს რუსეთის ბატონობა იცნო აფხაზეთის მთავარმა თავად საფარ-ბეი ჩაჩბამ (შერვაშიძემ). 1810 წელს რუსეთის ჯარებმა სოხუმი დაიკავეს. 1834 წელს რუსეთის ქვეშევრდომობა აღიარეს საბატონო სვანეთის მთავრებმა. პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათის მოსაზრებებით. დასავლეთ საქართველოში ცარიზმს რუსული მმართველობა სრული მოცულობით ერთბაშად არ შემოუღია. მან ხელისუფლება დროებით დაუტოვა იმერეთის მეფეს და სამეგრელოს, გურიის, სვანეთისა და აფხაზეთის მთავრებს. მაგრამ ასეთი ავტონომია გრძელდებოდა მხოლოდ მანამდე, სანამ იმერეთის მეფე და დასახელებული მთავრები სიტყვა-შეუბრუნებლად ემორჩილებოდნენ კავკასიის მთავარსარდლის ნება-სურვილს. ოდნავი ურჩობა იწვევდა სამეფოს და სამთავროების მოსპობას. ასე, უკვე 1811 წელს ცარიზმმა საბოლოოდ შეუერთა რუსეთს იმერეთის სამეფო და ტახტი ჩამოართვა სოლომონ მეფეს. ეს უკანასკნელი მრავალჯერ შეეცადა თურქეთის დახმარებით დაებრუნებინა თავისი სამეფო, მაგრამ უშედეგოდ. ცარიზმმა სასტიკად ჩააქრო მომხდარი აჯანყებანი და ქვეყანა საბოლოოდ აოხრა. იმერეთის სამეფო გარდაიქმნა იმერეთის ოლქად და აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად „საქართველო-იმერეთის გუბერნიად“ იქცა. ავტონომიური სამთავრო გაუქმებულ იქნა გურიაში 1826 წელს, სვანეთში — 1851 წელს, სამეგრელოში — 1857 წელს და აფხაზეთში — 1862 წელს.

როცა ცარიზმმა საქართველოს სამეფო რუსეთს შეუერთა, იგი საზეიმო აღთქმას იძლეოდა — საქართველოსთვის ერთგვარი დამოუკიდებლობა მიენიჭებინა შინაგან მმართველობაში, ადგილობრივი კანონებითა და ზნე-ჩვეულებებით ეხელმძღვანელნა სამართლის წარმოებაში, ანგარიში გაეწია ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურისათვის.

მაგრამ ყოველივე ეს სიცრუე გამოდგა. საქართველოში შემოსელის პირველი დღეებიდანვე მეფის მთავრობამ ამოცანად დაისახა ეს ქვეყანა რუსეთის ერთერთ გუბერნიად გადაექცია.

საქართველო შევიდა კავკასიის მხარის შემადგენლობაში, რომლის მთავარ სამხედრო და სამოქალაქო უფროსად ითვლებოდა კავკასიის ჯარების მთავარსარდალი; იგი ამავე დროს საქართველოს მთავარმართებელიც იყო.

საქართველოს გამგებლობისათვის დაწესდა „საქართველოს უმაღლესი მმართველობა". მას სათავეში ედგა გუბერნატორის უფლებებით აღჭურვილი რუსი მოხელე, რომელსაც საქართველოს მმართველი ეწოდებოდა. საქართველო დაიყო მაზრებად, რომლებიც დაექვემდებარენ რუსი ოფიცრებისაგან შემდგარ ეგრეთწოდებულ „კაპიტან-ისპრავნიკებს". ყველა დაწესებულებაში, მათ შორის სასამართლოშიც, საქმისწარმოება მიმდინარეობდა რუსულ ენაზე, რომელიც მოსახლეობისათვის გაუგებარი იყო.

საქართველო რუსეთის ჯარებით გაიესო. გამდიდრების მიზნით საქართველოს მოაწყდნენ და აქ სამსახურში მოიკალათეს ყველაზე ნაძირალმა რუსმა მოხელეებმა, ყოველგვარმა ჩარჩებმა და ბნელმა საქმოსნებმა. დაწესებულებებში გაბატონებული იყო მოხელეებისა და პოლიციის განუსაზღვრელი თვითნებობა. მექრთამეობა, მოსყიდვა, საქმის განსაკუთრებული გაჭანჭყლება და ხალხის ბედიღბლისადმი ბიუროკრატიული გულგრილობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. სასამართლოში შეუძლებელი იყო რაიმე სიმართლის მიღწევა. უმნიშვნელო საკითხის გადაწყვეტა სხვადასხვა ინსტანციებში ზოგჯერ მთელი წლობით ჭიანურდებოდა.

§ 2. რუსეთის ომები ამიერ-კავკასიის დაპყრობა

საქართველოში მეფის პოლიტიკის ყველაზე მტკიცე და ულმობელი გამტარებელი იყო კავკასიის მთავარსარდალი თავადი ციციანოვი (1802—1806 წწ.). წარმოშობით იგი ქართველი იყო. მისი პაპა გადასახლდა რუსეთში მეფე ვახტანგ მეექვსესთან ერთად. თავადმა ციციანოვმა გააძევა რუსეთში 70-მდე ქართველი ბატონიშვილი. თავის განკარგულება-მოქმედებაში იგი არავითარი კანონებით თავს არ იზღუდავდა. მის დროს დაიწყო ამიერ-კავკასიის სწრაფი დაპყრობა. 1803 წელს რუსეთს იარაღით დაუმორჩილეს ჰარი-ბელაქნის ლეკები. 1804 წელს იერიშით აიღეს განჯის (ამჟამად კიროვაბადი) ციხე-სიმაგრე და დაიპყრეს განჯის სახანო. 1805 წელს რუსეთს შეუერთეს ყარაბაღის, შეკის და შირვანის სახანოები.

თავად ციციანოვის სიკვდილის შემდეგ მთავარსარდლის გენერალ გუდოვიჩის დროს (1806-1809 წწ.) დაიპყრეს ბაქოს და ყუბის სახანოები.

ცარიზმის დაპყრობითი პოლიტიკის ყველაზე გულმოდგინე განმგრძობი კავკასიაში იყო მთავარსარდალი გენერალი ა. ერმოლოვი (1816-1827 წწ.).

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხთა სასტიკი დასჯისათვის მოსახლეობამ ერმოლოვს ახალი ჩინგის-ხანი უწოდა.

კავკასიაში გენერალ ერმოლოვის საქმიანობა გამოიხატა ურიცხვი სამხედრო ლაშქრობით, რასაც თან სდევდა მშვიდობიანი მოსახლეობის ულმობელი დასჯა, სოფლების მოსპობა, ქონების განადგურება, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში ქალთა, ბავშვთა და მოხუცთა მკვლელობა. ერმოლოვის დროს იმერეთისა და გურიის მრავალი ათეული სოფელი ნანგრევებად და ფერფლად იქცა. ტყეებს ჩეხდნენ, ნათესებს სპობდნენ, სოფლებს მიწასთან ასწორებდნენ. თვით გენერალი ერმოლოვი შეფე ალექსანდრე პირველისათვის წარდგენილ პატაკში ალიარებდა, სტიქიურმა უბედურებამ და აჯანყებათა სისხლიანმა ჩაქრობამ იმერეთის მცხოვრებნი იქამდე მიიყვანა, რომ „მამები ღუპმა პურისათვის ბავშვებს საჰედამოდ მონებად ჰყიდდნენ, ხოლო სასოწარკვეთილი დედები შიმშილით დაეძლურებულ ბალღებს ტყეში და გზაზე ჰყრიდნენ-"ო.

ცარიზმის შემოტევა-წინსვლას ამიერ-კავკასიაში არ შეეძლო არ გამოეწვია მანამდე აქ გაბატონებული სახელმწიფოების—ირანისა და თურქეთის აქტიური წინააღმდეგობა. ინგლისისა და საფრანგეთის მბარდაჰერით, რომელნიც რუსეთის მეტოქეობას უწევდნენ კავკასიის ყელზე და შავი ზღვის სავაჭრო გზებისათვის, თურქეთმა და ირანმა მე-19 საუკუნის პირველი სამი ათეული წლის მანძილზე რამდენიმე ომი გადაიხადეს რუსეთთან. მაგრამ ეს ომები ცარიზმისათვის ძლევამოსილი იყო. ირანსა და რუსეთის შორის გილისტანში (1813 წ.) დადებული საზავო ტრაქტატის საფუძველზე რუსეთმა სამუდამოდ დაიმკვიდრა ბაქოს, ყუბის, ტალიშის, ყარაბაღის, განჯის, შეკის და დარუბანდის სახანოები, რომლებიც მას დაკავებული ჰქონდა წინათ. ირანს ჩამოერთვა კასპიის ზღვაზე ფლოტის ყოლის უფლება, აგრეთვე მან რუსეთის ვაჭრებს მიანიჭა მთელი რიგი შეღავათები ვაჭრობის დარგში. რუსეთთან წარმოებული და მარცხით დამთავრებული მეორე ომის შემდეგ, თურქმენჩაის ზავის (1828 წ.) პირობების მიხედვით, ირანი იძულებული გახდა რუსეთისათვის გადაეცა ერევნის და ნახჭევნის სახანოები, რომელთაგან ცარიზმმა ამიერ-კავკასიაში შექმნა სომხეთის ოლქი.

თურქეთთან ძლევამოსილი ომის შემდეგ, ადრიანოპოლის ზავის (1829 წ.) პირობების თანახმად, რუსეთი მტკიცედ დამკვიდრდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ფიჩინარე ჩოლოქამდე (საქართველოში). ადრიანოპოლის ხელშეკრულების მიხედვით, რუსეთმა თურქეთისაგან მიიღო აგრეთვე ყოფ. ახალციხის საფაშოს საგრძნობი ნაწილი ახალციხის აწყურის, ახალქალაქის ციხეებითურთ, აგრეთვე ფოთის ციხე-სიმაგრე შავი ზღვის პირად. რუსეთის ქვეშევრდომთ მიენიჭათ თურქეთის იმპერიის ტერიტორიაზე თავისუფალი ვაჭრობის უფლება. რუსეთის ფლოტი აღიარებულ იქნა შავ ზღვაზე გაბატონებულ ფლოტად და მას მიეცა თავისუფალი გასავალი ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებით ხმელთაშუა ზღვაში.

მე-19 საუკუნის 30-იანი წლებისათვის მეფის რუსეთმა სამხედრო ძალით საბოლოოდ დაიკავა ამიერ-კავკასიაში თანამედროვე საქართველოს (გარდა აჭარისა, რომელიც შემოერთებულ იქნა 1878 წელს), სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორია. დაპყრობილ პროვინციებში თავისი დიდმპყრობელური პოლიტიკის გატარებისათვის საიმედო დასაყრდენის შესაქმნელად, ცარიზმი მაშინვე იწყებს ამიერ-კავკასიაში და პირველ ყოვლისა საქართველოში რუსთა, გერმანელთა და სხვების ახალშენების. როგორც ადგილობრივ მოსახლეობასთან ბრძოლაში დასაყრდენი წერტილების, მოწყობას. ასე. გენერალ ერმოლოვის დროს მოეწყო რუსეთის სამხედრო ახალშენები (სამსახურდამთავრებული ჯარისკაცებისაგან) გორში, მანგლისში, ალბულაღში (თეთრი წყარო), გომბორში, მუხროვანში, მეფის წყაროში (წითელი წყარო) და სხვ. თვით თბილისის მიდამოებში და საქართველოს მთელ. რიგ რაიონებში მოეწყო გერმანელთა შვიდი ახალშენი. კოლონიებს საუკეთესო მიწებს აძლევდნენ, მათ ფულად დახმარებასაც უწევდნენ. ადგილობრივ გლეხებს, ხელისუფლების ბრძანებით, უნდა მიეწოდებინათ მათთვის ხე-ტყე და სხვა მასალები საცხოვრებელი ბინების მოსაწყობად; გარდა ამისა. დასახლების პირველ წელს, უნდა მოეხნათ და დაეთესათ მათთვის ყანები. პასკევიჩის დროს ახალციხის ოლქში და წალკის რაიონში მიწის უზარმაზარი ფართობი გამოიყო მოსული სომხებისა და ბერძნების დასასახლებლად.

§ 8. საქართველო კოლონიური და ბატონყმური უღლის ქვეშ

საქართველოში თავისი ბატონობის განსამტკიცებლად და ამიერ-კავკასიაში თავისი დაპყრობითი გეგმების განსახორციელებლად, მეფის მთავრობას უნდა ეძებნა დასაყრდენი ჩვენი ქვეყნის გაბატონებულ კლასებში და უწინარეს ყოვლისა ქართველ თავად-აზნაურობაში.

მას შემდეგ. რაც ცარიზმმა ადგილობრივ ფეოდალურ დიდკაცობას პოლიტიკური ძალაუფლება ჩამოართვა და ყოფილი მეფის გვარეულობის წევრები და ურჩი თავადები საქართველოდან რუსეთში გააძევა. იგი ჩარკვეულ სოციალურ პოლიტიკას ატარებდა—იმხრობდა თავად-აზნაურობას.

ქართველი თავადები და აზნაურები რუსეთის თავად-აზნაურებს გაუთანაბრეს. კანონით. მხოლოდ თავად-აზნაურებს შეეძლოთ საქართველოში ყმების ყოლა. 1807 წელს გამოიცა კანონი. რომლითაც გლეხებს აეკრძალათ თავიანთ მემამულეებზე საჩივრის შეტანა. 1832 წელს ქართველ თავად-აზნაურებს მიენიჭათ უფლება თავიანთი გლეხების დასჯის წესით გაეგზავნათ ჯარისკაცებად, რომელთა სამსახური მაშინ 25 წელიწადს გრძელდებოდა. თავადაზნაურებს აგრეთვე უფლება ჰქონდათ საქართველოდან გადაესახლებინათ თავიანთი ყმები, რომელთაც რაიმე დააშავეს. მეფის მთავრობა სასტიკად ადევნებდა თვალყურს, რომ გლეხები თავიანთი პატრონების — თავად-აზნაურების მორჩილნი ყოფილიყვნენ. რომ მათ პირნათლად მოეხდინათ ყოველგვარი ფეოდალურ-ბატონე-

ის ბეგარა. ერის სოფლებში ხელისუფლება დამსჯელ რაზმებს აგზავნიდა და თავად-აზნაურებისადმი ოდნავი უპრობისათვის სჯიდა გლეხებს. მემამულეთაგან გლეხთა გახიზნის აღსაკვეთად 1830 წელს შემოღებულ იქნა საპასპორტო სისტემა. და გახიზნულ გლეხებს ადმინისტრაცია სასტიკად დევნიდა.

ქართველმა თავად-აზნაურებმა ჯერ კიდევ 1803 წელს ცარიზმისაგან მიიღეს უფლება ჰყოლოდათ საკუთარი კლასობრივი ორგანიზაცია, ეგრეთწოდებული თავად-აზნაურობის დეპუტატთა კრებული. თავიანთი უფლებებისა და პრივილეგიების დასაცავად და მთავრობის ღონისძიებების მოქმედების ერთიანობისათვის თავად-აზნაურები თავიანთი წრიდან ირჩევდნენ თავად-აზნაურების საგუბერნიო და სამაზრო წინამძღოლებს (მარშლებს), რომლებიც თავად-აზნაურთა წოდების რწმუნებულებს წარმოადგენდნენ. თავად-აზნაურებს ჰქონდათ განათლების უპირატესი უფლება: მათთვის საქართველოში გახსნილი იყო სპეციალური „კეთილშობილთა სასწავლებელი". რომლის მოწაფეებს სტიპენდიები ეძლეოდათ. თავად-აზნაურთა შვილებს სწავლის მისაღებად აგზავნიდნენ რუსეთშიც. სადაც ისინი ეწყობოდნენ სამხედრო სასწავლებლებსა და უნივერსიტეტებში. სახელმწიფო სამსახურში შესასვლელად თავად-აზნაურებისათვის გზა ფართოდ იყო ხსნილი. მათ განსაკუთრებით თავისუფლად აძლევდნენ სამხედრო და საპოლიციო თანამდებობებს. ჯარში და ადმინისტრაციაში სამსახურისათვის თავად-აზნაურებს ეძლეოდათ პენსიები. ორდენები და ფულადი ჯილდოები.

მეფის მთავრობა აღნიშნული ღონისძიებებით იმხრობს თავად-აზნაურობას და ამავე დროს დასაყრდენს იძენს ქალაქის საუკრო ბურჟუაზიაში, ეგრეთწოდებულ მოქალაქეებში. ბურჟუაზია მეფის მთავრობისაგან ღებულობს მთელ რიგ შეღავათებსა და პრივილეგიებს. მათ შორის: სახელმწიფო სამსახურში შესელის უფლებას. მთელ ამიერ-კავკასიაში უბაჟო ვაჭრობის უფლებას, უპირატესობას რუსეთის არმიისათვის სურსათისა და სხვა საგნების მიწოდების, თევზის, ნავთის და სხვა სარეწაოს ოჯარით აღების საქმეში.

ბურჟუაზიის ბევრი მდიდარი და გავლენიანი წარმომადგენელი ეწყობა სახელმწიფო სამსახურში. ღებულობს ხარისხს, ორდენებს და მასთან ერთად რუსეთის აზნაურის უფლებებს.

ცარიზმი ყოველმხრივ ზრუნავდა მრავალრიცხოვან ქართველ. სომეხ და მაჰმადიან სამღვდელოებაზეც. რომ მისი დახმარებით გაეტარებინა მშრომელი მასების იდეოლოგიური დამონების პოლიტიკა. საქართველოს ეკლესიებსა და მეჩითებში გუნდრუკს აკმევდნენ და დაუღალავად ლაცყლობდნენ „თეთრი მეფის" კოლონიზატორული პოლიტიკის წარმატებისათვის.

ქართველმა ხალხმა, რომელიც წინათაც უაღრესად მძიმე მდგომარეობაში იყო და საგარეო მტრების ხშირი შემოსევისა და თავისი ფეოდალების მხრით ჩაგვრა-ექსპლოატაციის გამო იტანჯებოდა, ცარიზმის ბატონობის დამყარებასთან ერთად თვმცა საგარეო უშიშროება მოიპოვა.

მაგრამ მას აქვთ მისი უსირცხვილო ყველაფერი, აშკარა ძარცვა უფრო მეტად გაიზარდა. ამიერ-კავკასიის დაპყრობისას რუსეთის ცარიზმის თითოეული ნაბიჯი ალბეჭდილი იყო ცეცხლით, სისხლით და ძალადობით. სლატაკე და დაუსრულებელი ვაივაგლახი მასების ხვედრად იქცა. გლეხებს უნდა გაესტუმრებინათ უზარმაზარი სახაზინო გადასახადები, მოეხადათ აუცილებელი ნატურალური ბეგარა გზების გასაყუანად, არმიისათვის სურსათისა და ალაფის მისაწოდებლად და სხვ. გლეხებისათვის განსაკუთრებით მძიმე იყო საჭაპანე ბეგარა. მშვიდობიან დროსაც კი მართლ-მარტო აღმოსავლეთ საქართველოს გლეხებს უნდა გამოეყვანად ყოველწლიურად (დღეების მიხედვით რომ ვიანგარიშოთ) 112 ათასზე მეტი ურემი ხარ-კამეჩით და 100 ათასამდე სასაპალნე ცხენი მდევრებით. გლეხებს ატიალებდა ჯარების დაუსრულებელი ჩაყენება და სამხედრო პირების თვითნებობა. მებატონენი გლეხებს სასტიკ ექსპლოატაციას უწევდნენ. მათ მრავალგვარი ბეგარა უნდა მოეხადათ მემამულეთა სასარგებლოდ, უნდა დაემუშავებინათ მათი ყანა და ვენახი, მოეწიათ მათი მოსავალი, მიეტანათ მარცელეული მემამულის მიერ დანიშნულ ადგილას.

მემამულეთა სასარგებლოდ მიდიოდა აგრეთვე მათი ყმების ყანა-ბაღებში მოწეული მოსავლის ნაწილი (ღალა, ქულები). მთელი წლის განმავლობაში გლეხებს მემამულისათვის უნდა მიეწოდებინათ: ხორცი, თევზი, ფრინველი, ყველი, ერბო-კარაქი. მემამულეს ყმები აჰყავდა შინა-მოსამსახურეებად: მზარეულებად, ლაქიებად, მეკინიბეებად, მეფრინველეებად და ა. შ. ოდნავი დანაშაულისათვის მემამულე სასტიკად სჯიდა ყმებს: ბოძკილს უყრიდა, სარდაფებში ალპობდა და ხშირად შოლტის ცემით ჰკლავდა.

როცა მემამულეს ფული დასჭირდებოდა, იგი ყმებს ჰყიდდა თითოთითად და მთელი ოჯახობითაც. თუმცა ეს კანონით აკრძალული იყო, ბატონები საქართველოს მემამულენი ყმებს ხშირად მონებად ჰყიდდნენ თურქეთში.

§ 4. მრეწველობის, ვაჭრობისა და ხელფასის მდგომარეობა

„მისი (ამიერ-კავკასიის და მასთან ერთად საქართველოს) ეკონომიური დაპყრობა რუსეთის მიერ გაცილებით უფრო გვიან მოხდა, ვიდრე პოლიტიკური დაპყრობა“ (ლენინი). მე-19 საუკუნის დამლევს საქართველოში სრულებით არ იყო ფაბრიკა-ქარხნები. არსებობდა მხოლოდ აგურის, კრამიტის, კირის, საპნის, სანთლის დამამზადებელი, ტყავის დამმუშავებელი და სხვ. მომცრო საწარმოები. ბორჩალოს რაიონში სწარმოებდა საპილენძის, ეერცხლისა და ტყვიის უმნიშვნელო მოპოვება.

1823 წელს თბილისში ფრანგმა კასტელომ გახსნა აბრეშუმსახვევი ფაბრიკა. იქ ჭალთა იძულებითს შრომას იყენებდნენ. მაგრამ ამ ფაბრიკამ მხოლოდ 1835 წლამდე იარსება და დაიხურა. რუსეთთან საქართველოს

„შეერთების" პირველი დღეებიდანვე მრავალჯერ აღძრა თბილისში მატყლის ფაბრიკის გახსნის საკითხი, მაგრამ ეს წამოწყება მხოლოდ 1853 წელს განხორციელდა, ისიც ძალიან მცირე ხნით. ხანმოკლე იყო გორის მახლობლად გახსნილი მინის ქარხნების არსებობაც. მეფის მთავრობას განზრახული ჰქონდა შაქრის ქარხნის აგება, მაგრამ ესეც განუხორციელებელი დარჩა.

ექვთეს მდგომარეობაში იყო საქართველოში ვაჭრობა. ადგილობრიო ვაჭრები საქონლის შესასყიდად მიემგზავრებოდნენ მოსკოვს, ნიჟნი ნოვგოროდს და საზღვარგარეთაც: ლაიპციგში, ტრიესტში და სხვა სავაჭრო ქალაქებში.

მე-19 საუკუნის 30-იანი წლებიდან ძლიერდება რუსეთის ფაბრიკების საქონლის შემოტანა საქართველოში. თბილისში იხსნება რუსეთის საქონლის გამსაღებელი სავაჭრო კანტორები. რუსეთთან ვაჭრობა სწარმოებდა საქართველოს სამხედრო გზით, აგრეთვე შავი ზღვით ყულევისა და ფოთის მეშვეობით.

საქართველოდან როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ გაჰქონდათ აბრეშუმი, მატყლი, ღვინო, ძვირფასი ხე-ტყე.

ვაჭრობის გაცხოველებასთან ერთად შესამჩნევად იზრდებოდა საქართველოს ქალაქები, განსაკუთრებით თბილისი, რომელიც მთელი კავკასიის მხარის ადმინისტრატიულ ცენტრს წარმოადგენდა. 1825 წელს საქართველოში ითვლებოდა 6 ქალაქი: თბილისი, ჭუთაისი, გორი, თელავი, სიღნაღი და ყულევი (სამეგრელოში, სადაც მოწყობილი იყო ნაცადგური). ამ ქალაქების მოსახლეობა ორივე სქესისა რამდენადმე აღემატებოდა 53 ათას კაცს. მაგრამ 1850-52 წლებში საქართველოში უკვე 12-მდე ქალაქია, რომელთა მოსახლეობა 74 ათას კაცამდე აღწევს. იწყება ქალაქების კეთილმოწყობა. თბილისში, მაგალითად, იწყებენ ქუჩების მოკირწყლვას, ქვაფენილების დაგებას, ეკრანული ყაიდის შენობების აგებას. თბილისში ხსნიან საავადმყოფოს, საჯარო ბიბლიოთეკას, აშენებენ თეატრის საკუთარ შენობას. 1840 წელს თბილისში შემოიღეს „ქალაქის საზოგადოებრივი სამმართველო", რომელიც შესდგებოდა ქალაქის მოსახლეობის შეძლებული კლასების წრიდან გამოსულ ქალაქის თავისა და ექვსი ხმოსნისაგან.

საქართველოს სოფლის მეურნეობა საერთოდ დაბალ დონეზე იდგა. ამის ძირითადი მიზეზი იყო ცარიზმის სასტიკი კოლონიური პოლიტიკა, რომელიც აფერხებდა უმდიდრეს ბუნებრივ შესაძლებლობათა გამოყენებას ქვეყნის ეკონომიური განვითარებისათვის და სოფლად ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის ბატონობა.

მართალია, მეფის მთავრობამ რუსეთის მრეწველობის საჭიროების გამო მიიღო ერთგვარი ზომები საქართველოში ტექნიკური კულტურების დასანერგავად. ასე, ამერიკიდან გამოიწერეს ბამბის საუკეთესო თესლი. ხდებოდა ინდოეთის, შაქრის ლერწმის, ევროპული ჯიშების ვაზის და ხეხილის გაშენების ცდები. საქართველოში ძველთაგან გაჩენილი იყო მეაბრეშუმეობა. სოფლის მეურნეობის ამ დარგის შემდგომი განი-

თარებისა და მოსკოვის საფეიქრო მრეწველობისათვის ხაში აბრეშუმის რაოდენობის გადიდების მიზნით, მთავრობა ღებულობდა ზომებს საქართველოში თუთის ნარგავების გასაფართოებლად და მოსახლეობისათვის საუკეთესო ჯიშის აბრეშუმის თესლის მისაწოდებლად.

რუსეთის მრეწველობის საჭიროების გამო საქართველოს სოფლის მეურნეობისადმი ყურადღება განსაკუთრებით შესამჩნევად მცლავნდება კავკასიის მეფისნაცვლის თავად მ. ს. ვორონცოვის დროს (1845-1854). მის დროს თბილისში იხსნება ბოტანიკური ბაღი, ეწყობა და ფართოვდება საკდელ-საჩვენებელი ბაღები ქუთაისში, ოზურგეთში, სუხუმში. სოფლის მეურნეებს აწვდიან საუკეთესო ჯიშის ეაზს, ხეხილის ნერგებს. დასავლეთ საქართველოში ფართოდ ერცელდება „იზაბელას" ჯიშის ეაზი, რომელმაც ადგილობრივ მიიღო სახელწოდება „ადესა" იგი დიდ მოვლას არ მოითხოვს და სოკოს ავადმყოფობის გამძლეა. ამ ეაზის ნარგავები ჩნდება არა მარტო საკარმიდამო მიწაზე, და ბაღებში. არამედ სოფლის ვომიჯნავე ქალაქებშიაც. საქართველოში იწყება ჩაის კულტურის გაშენების პირველი ცდები. 1847 წელს ჩაის პირველი ბუჩქები დარგეს ბათუმის ბოტანიკურ ბაღში და ოზურგეთის საცდელ ბაღში. ფოთში ჩაჰყარეს ფორთოხლისა და მანდარინის სანერგეები. დაიწყო საუკეთესო ჯიშების თამბაქოს გაშენება აქრეწველო მასშტაბით. ეს კულტურა ისე სწრაფად გავრცელდა. რომ ძალიან მალე დაიწყო ქართული თამბაქოს გატანა მოსკოვში, სადაც იგი წარმატებით უწევდა მეტოქეობას თურქეთის საუკეთესო თამბაქოს. საქართველოში რუსი კოლონიზატორების მეშვეობით ქალაქების მოსამარაგებლად ფართოდ ერცელდება ბოსტნეული კულტურები: კარტოფილი, ჭარხალი, კომბოსტო და სხვ. ცალკეული მსხვილი მემამულენი იწყებენ მთავრობის მიერ სახელგანთქმული და უკბოლოდან გამოწერილი სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენებას. 1850 წელს თბილისში ეწყობა „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება". დიდ როლს თამაშობდა სასოფლო-სამეურნეო გამოფენები. რასაც ეს საზოგადოება დროგამოშვებით აწყობდა თბილისში.

რა თქმა უნდა. უეჭველია, ერთგვარი დადებითი მნიშვნელობა ყველა ამ ღონისძიებისა. რასაც განსაკუთრებით ფართოდ ატარებდა თავადი მ. ს. ვორონცოვი. მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ. რომ ყველა ჩამოთვლილი ღონისძიება თითქმის არ ეხებოდა გლეხურ მეურნეობას. გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენება, ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაშენება იწყება მხოლოდ ზოგიერთი მემამულის მეურნეობაში, რომლებიც კაპიტალისტური განვითარების გზას ადგებიან. როგორც წესი, გლეხურ მეურნეობაში თითქმის არ ხდებოდა არაფერი გაუმჯობესება. ტექნიკა და ნიადაგის დამუშავება იქ კვლავ უაღრესად პრიმიტიული იყო. ყმები მიწის წვრილ, დაქუცმაცებულ, შეუსვენებლივ ერთდაიმავე კულტურების თესვით გამოფიტულ ნაკვეთებზე განაგრძობდნენ ძველი, მამა-პაპური წესით მუშაობას. პრიმიტიული კავი და ფიჩხის ფარცხი იყო ძირითადი სამიწათმოქმედო იარაღი საქართველოში.

§ 8. გლეხთა აჯანყებანი

საქართველოს გლეხთა მასები, რომელნიც ორმაგი უღლის — კოლონიური და ბატონყმური უღლის ქვეშ ალმოჩნდნენ, ვერ შეურიგდებოდნენ თავიანთ მძიმე მდგომარეობას. ისინი მრავალჯერ ცდილან ამ უღლის გადაგდებას. აწყობდნენ შეიარაღებულ აჯანყებებს რუსთა ხელისუფლებისა და თავიანთი ფეოდალების წინააღმდეგ. უფრო ხშირად გლეხთა ბრძოლა გამოიხატებოდა იმით, რომ ისინი ჰკლავდნენ ყველაზე საძულველ მემამულეებს, მეფის მოხელეებს, უარს ამბობდნენ გადასახადების გადახდაზე და ბატონყმური ბეგარის შესრულებაზე. გლეხები ცეცხლს უკიდებდნენ მემამულეთა სახლკარს, სპობდნენ მათს ბაღებს, ჩეხდნენ მეშაშვლურ და სახაზინო ტყეებს და სხვ. საყოველთაო მოვლენად გადაიქცა გლეხების გახიზნვა მიუვალ ტყეებსა და მთებში, აქ ისინი ჰქმნიდნენ შეიარაღებულ რაზმებს, რომლებიც გლეხთა მასების დახმარებით პარტიზანულ ბრძოლას აწარმოებდნენ მებატონეთა და მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ.

მე-19 საუკუნის 30-იან წლებში აღმოსავლეთ საქართველოში განსაკუთრებით ცნობილი გახდა ერთ-ერთი შეიარაღებული რაზმი, რომლის სათავეში იდგა გლეხი არსენა ოძელაშვილი. ხალხი არსენაში ხედავდა გლეხთა საქმისათვის და მშრომელ-ექსპლოატატორთა წინააღმდეგ მებრძოლს. არსენას გმირობა მრავალი ხალხური თქმულებისა და ლეგენდის საგნად იქცა და ფართოდ აისახა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში.

გლეხთა პირველი მასობრივი აჯანყება მოხდა 1804 წელს, აღმოსავლეთ საქართველოს მთავარზან რაიონში, სადაც საქართველოს სამხედრო გზა გადის. აქ იარაღი აღმართეს მთიულებმა, ხევსურებმა, მოხევეებმა და ოსებმა. აჯანყებულებმა ბრძოლა გამოუცხადეს ცარიზმის მხრით არაადამიანურ ჩაგვრას და მემამულურ ექსპლოატაციას. ისინი აცხადებდნენ, უკეთესია ჩვენს ცოლ-შვილთან დაიხოცნეთ, ვიდრე ასეთ ცხოვრებას ვითმენდეთო. მთავარსარდალმა თავადმა ციციშვილმა დიდძალი ჯარი დასძრა აჯანყებულთა წინააღმდეგ და გასცა ბრძანება, არავინ დაინდოთ. ეს დირექტივა ზუსტად შესრულდა. არ ინდობდნენ არც ქალებს, არც ბავშვებს, არც მოხუცებს. მრავალი ათეული სოფელი მიწასთან გაასწორეს, შეიპყრეს და სასტიკად დასაჯეს აჯანყების ხელმძღვანელები — 70 კაცზე მეტი.

1812 წელს კახეთში მოხდა უფრო დიდი აჯანყება, რომელიც შემდეგ მეზობელ რაიონებსაც მოედო. აჯანყება დაიწყო ნობათის ბარის ხმაზე 1812 წლის 31 იანვარს თელავის მაზრის სოფელ ახმეტში. რამდენიმე დღის განმავლობაში იგი მოედო მთელ კახეთს და მის მომიჯნავე დუშეთის (მაშინდელი ანანურის) მაზრას. გლეხები მოულოდნელად თავს დაესხნენ მეფის ჯარის რაზმებს, რომლებიც დაბანაკებული იყვნენ მთელ რიგ სოფლებში, და ამოწყვიტეს ისინი, თავს დაესხნენ სოლანის და თელავის ციხე-სიმაგრეებს და პირველში მოჰკლეს ყველა რუსი მოხელე, სასტიკად უმკლავდებოდნენ ცალკეულ, ყველაზე საძულველ მემამულე-მებატონეებს, ჰბუგავდნენ და ანადგურებდნენ მათ სახლკარს.

ამ აჯანყების საბოლოოდ ჩაქრობა მეფის ჯარებმა შეძლეს მხოლოდ 1813 წლის ზაფხულში. „ბუნტის თავებს“ გაუსამართლებლად და გამოუძიებლად ადგილობრივ ახრჩობდნენ სხვების დასაშინებლად.

1819-20 წლებში იმერეთში მოხდა მასობრივი აჯანყება. იგი მოედო იმერეთის ოთხსავე ოლქს, მან გამოხმაურება ჰპოვა გურიაში და ნაწილობრივ სამეგრელოში. აჯანყება განსაკუთრებული სისასტიკით ჩააქრეს. გენერალმა ერმოლოვმა გასცა ბრძანება, „ის სოფლები, სადაც მოსახლეობამ იარაღი აღმართა, საბოლოოდ მოსრეთო“.

1829 წელს მეფის მთავრობამ განიზრახა მილიციის შეგროვება საქართველოს მოსახლეობაში თურქეთის წინააღმდეგ ომში გასაგზავნად. ამასთან დაკავშირებით საქართველოში დაიწყო გლეხთა საყოველთაო აჯანყებანი. თბილისში, თელავში და სხვაგან ტარდებოდა ფარული კრებები, სადაც ერთმანეთს ფიცს აძლევდნენ: „მთავრობის მოთხოვნებს არ დავემორჩილოთო“, „გვიჯობს დავიხოცოთ, მაგრამ მოლაშქრენი არ მივცეთო“. ამ მუქარის ზეგავლენით, სახალხო მოძრაობის ზრდის შიშით ხელისუფლებამ ამჯერად ხელი აიღო თავის ამ განზრახვაზე.

საქართველოს გლეხთა აჯანყებებს შორის განსაკუთრებული ორგანიზებულობით გამოირჩეოდა გურიის 1841 წლის აჯანყება. ამ აჯანყების თვალსაჩინო ხელმძღვანელები იყვნენ თვით გლეხები. ისინი მთელ გურიაში და მეზობელ იმერეთსა და სამეგრელოში აგზავნიდნენ აგენტებს და „ამაღელვებელ“ წერილებს, რომლებიც ხალხს მოუწოდებდა იარაღი აღემართათ ცარიზმისა და მემამულეთა წინააღმდეგ. აჯანყება დაიწყო 1841 წლის 22 მაისს. აგვისტოს დამდეგისათვის იგი უკვე მთელ გურიას მოედო. შეიარაღებულ აჯანყებულთა რიცხვმა 7000 კაცს გადააჭარბა. გლეხებმა სერიოზული წარმატებანი მოიპოვეს მეფის ჯარებთან შეტაკებაში. ბოლოსდაბოლოს მთავრობის ხელში რჩებოდა მხოლოდ ციხე-სიმაგრე და ქალაქი ოზურგეთი (ამჟამად ქ. მახარაძე), სადაც თავი შეაფარეს გურულმა აზნაურებმაც თავიანთი ცოლ-შვილითურთ; მათაც აჯანყებულთა ალყა ერტყათ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც კავკასიის ხელისუფლებამ გურიაში გაგზავნა მსხვილი სამხედრო ერთეულები და არტილერია, მეტი ძალა მთავრობის მხარეზე აღმოჩნდა. მედგარი უთანასწორო ბრძოლის შემდეგ გლეხები იძულებული იყვნენ ოზურგეთიდან ალყა მოეხსნათ და გაფანტულიყვნენ. მეფის სადამსჯელო რაზმები გაიგზავნა გურიის ყველა რაიონში. აჯანყების ათმა მეთაურმა მოასწრო მეზობელ თურქეთში გადამალვა, 50 კაცი შეიპყრეს და სამხედრო სასამართლოს გადასცეს. აჯანყება ჩააქრეს.

ცარიზმის კოლონიურ ჩაგვრასა და ბატონყმურ ექსპლოატაციას გადამწყვეტ წინააღმდეგობას უწევდნენ ოსი გლეხები. ოსი გლეხების ყველაზე დიდი აჯანყებანი მოხდა 1804 წელს, 1807-1810 წლებში, 1821, 1830 და 1840 წლებში. 1840 წლის აჯანყებას მეთაურობდა ბაბე ბაბისაშვილი. იგი ყველაზე ორგანიზებული აჯანყება იყო. ოსებმა კავშირი დაამყარეს შამილთან, რომელიც მეთაურობდა ჩრდილო კავკასიის მთიელთა შეურიგებელ ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ. რუსეთის სარდლობამ

ისებს წინადადება მისცა იარაღი აეყარათ, მაგრამ მათ უპასუხეს: შემამულეთა მონობაში ყოფნა სამარცხვინოდ მიგვაჩნია და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთო. მართლაც, ისინი გლეხები განსაკუთრებით გმირულად იბრძოდნენ. ქალები, მოხუცები და ბავშვებიც ამჯობინებდნენ ცეცხლში და ნანგრევებქვეშ დაღუპვას, ვიდრე ტყვედ ჩავარდნას. როცა აჯანყებულებს ტყვია-წამალი უთავდებოდათ და წინააღმდეგობის გაწევის არავითარი შესაძლებლობა არ იყო, ისინი უფსკრულში ვარდებოდნენ და იღუპებოდნენ, მაგრამ ცოცხლად არ ნებდებოდნენ. სოფელ ბაგიეთკარში მოხდა ასეთი შემთხვევა. ერთერთ კოშკში ჩასაფრებული იყო და არ ნებდებოდა რამდენიმე კაცი. რუსთა რაზმის უფროსმა თავადმა ანდრონიკაშვილმა წინადადება მისცა დანებებულიყვნენ ან, უკიდურეს შემთხვევაში, ქალები და ბავშვები მაინც გამოეშვათ. კოშკში ალყაშემორტყმულებმა უპასუხეს: „ეს კოშკი ჩვენ სამარედ გავიხადეთ. დაე ცოლები და შვილები ჩვენთან ერთად დაიღუპნონ, ვიდრე მტრებს ხელთ ჩაუვარდნენო".

მეფისა და ფეოდალების მხრით ჩაგვრის წინააღმდეგ მრავალჯერ აჯანყდნენ აფხაზეთის გლეხებიც. 1830 წელს მოხდა კოდორის რაიონის აფხაზი გლეხების მღელვარება. ისინი თავს დაესხნენ ილორის მონასტერს და იქ აფხაზეთის მთავრის ჩარბა-შერვაშიძის სახლი გადასწვეს. 1840 წელს აფხაზეთში მოხდა დიდი აჯანყება. ამ აჯანყების ხელმძღვანელი იყო გლეხი ისმაილ ჯოჯუა. ფეოდალებმა, რუსეთის ჯარების დახმარებით, ეს აჯანყება ჩააქრეს. აჯანყებული აფხაზები დასაჯეს, ბევრი ურჩი აფხაზი გადაასახლეს თურქეთში. 1841 წელს აფხაზეთიდან გადაასახლეს დალის ხეობის მცხოვრებნი. 1850-60 წლების პერიოდში აფხაზეთიდან თურქეთში გადაასახლეს 20 ათას კაცზე მეტი.

§ ვ. ქართველ თავად-აზნაურთა შეთქმულება ცარიზმის წინააღმდეგ

რუსეთთან საქართველოს „შეერთების" შემდეგ ქართველი დიდკაცობის ერთმა ნაწილმა არ მოისურვა შერიგებოდა თავის პოლიტიკურ უფლებათა დაკარგვას. მას დამცირებად მიაჩნდა რუსეთის მეფის „უბრალო ქვეშევრდომობა" მას სურდა საქართველოს სათავეში დაეყენებინა ქართველი მეფეები და თავად-აზნაურობა და მათთვის ჩაებარებინა ქართველი ხალხის ბედი. ამ თავად-აზნაურულ მოძრაობას ამხანაგმა სტალინმა „ფეოდალურ-მონარქიული ნაციონალიზმი" უწოდა.

თავად-აზნაურობას არ შესწევდა ძალა ცარიზმის წინააღმდეგ დამოუკიდებლად გამოსვლისათვის. ამიტომ ის ცდილობდა ამ მიზნით გლეხთა მასობრივი ბრძოლის გამოყენებას და მის წარმართვას თავისი ინტერესებისათვის. ასე იყო, მაგალითად, 1812 წელს კახეთის გლეხთა აჯანყების დროს. მაშინ კახეთის მრავალ თავად-აზნაურს შორის მოძრაობას მიემხრო ბატონიშვილი ალექსანდრე, რომელიც მაშინ ირანში იმყოფებოდა და ინგლისისა და ირანის ოქროს მეოხებით შესაძლებლობა ჰქონდა აჯან-

ებულთა დასახმარებლად გამოეგზავნა ლეკთა რაზმები. მაგრამ გლეხებმა ალექსანდრე ბატონიშვილის დროშას მალე ზურგი შეაქციეს. ვინაიდან, თავად-აზნაურები, ლეკებთან ერთად, რუსეთის ჯარებზე არანაკლებ ძალადობას ჩადიოდნენ და აპირატახებდნენ გლეხთა სახლკარს, 1832 წელს მეფის ხელისუფლებამ თბილისში ალმოაჩინა თავად-აზნაურთა შეთქმულება ცარიზმის წინააღმდეგ. თუ ეს შეთქმულება გაიმარჯვებდა, შეთქმულთა განზრახვით, საქართველოში ხელისუფლება უნდა გადასულიყო ქართველ თავად-აზნაურთა ხელში ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით, რომელიც ამ საქმეში იმედებს ირანისა და ინგლისის დახმარებაზე ამყარებდა.

შეთქმულება გახსნა მისმა ერთერთმა მონაწილემ. მეფის მთავრობას ამ შეთქმულებისათვის განსაკუთრებით სერიოზული მნიშვნელობა არ მიუკუთვნებია, ვინაიდან მან მხედველობაში მიიღო შეთქმულთა ძალების სისუსტე. შეთქმულების მონაწილენი შედარებით მსუბუქად დასაჯეს. შემდეგ ყველამ ძალიან მალე მოინანია თავისი „ცოდვები". ისინი გადასახლებიდან დაბრუნდნენ და მეფის სამსახურში მოეწყვნენ. ერთერთი შეთქმული თავადი გრ. ორბელიანი შემდეგ კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწეც კი იყო.

თავად-აზნაურულ მოძრაობას ქართველი ხალხის ცხოვრებაში არავითარი კვალი არ დაუტოვებია. თავად-აზნაურობა უყოყმანოდ ჩადგა ცარიზმის სამსახურში და, მასთან კავშირში მყოფი, ბრძოლას აწარმოებდა ქართველ მუშათა და გლეხთა რევოლუციური გამოსვლების წინააღმდეგ.

§ 7. ქართველი ხალხი რუსული კულტურის ზეგავლენის ქვეშ

საქართველოს რუსეთთან შეერთებამ, უეჭველია, ხელი შეუწყო დიდი რუსი ხალხის უშუალო დაახლოებას ქართველ ხალხთან. თუ ჯარები, პოლიციელები და მოხელეები საქართველოში ცარიზმის ძალაუფლების დასამკვიდრებლად და ადგილობრივი მოსახლეობის ძალდატანებით გასარუსებლად იგზავნებოდნენ, სამაგიეროდ აქ ჩამოდიოდნენ რუსი ხალხის მოწინავე წარმომადგენლებიც. კავკასიაში გადმოასახლეს ბევრი დეკაბრისტი. 1825 წელს ცარიზმის წინააღმდეგ მომხდარი შეიარაღებული აჯანყების მონაწილენი. საქართველოში დიდხანს ცხოვრობდა და პასუხისგებ სამსახურებრივ პოსტზე მუშაობდა დიდი რუსი მწერალი ა. ს. გრიბოედოვი. ის დაახლოებული იყო ქართველი საზოგადოების მოწინავე პროგრესულ ნაწილთან, მან ცოლად შეირთო ცნობილი ქართველი პოეტის ა. ჭავჭავაძის ქალიშვილი. საქართველოს ესტუმრა დიდი პოეტი, გენიოსი, რუსი ხალხის სიამაყე და დიდება ა. ს. პუშკინი, რომელმაც კავკასიას და საქართველოს თავისი მთელი რიგი შესანიშნავი ნაწარმოებები უძღვნა. პუშკინის ნაწარმოებთა ქართულად თარგმნა, ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლითვე დაიწყო. ასე პოეტმა ა. ჭავჭავაძემ სთარგმნა „იანი-ჩარი", „ნანგრევი", „სიზმარი", „ყვავილი" და სხვ.

კავკასიაში ორჯერ გადმოასახლეს დიდი რუსი პოეტი მ. ი. ლერმონტოვი. ის ესტუმრა საქართველოს, მან იმგზავრა კახეთში და თავის შესანიშნავ ნაწარმოებებში საკმაოდ დიდი ყურადღება დაუთმო მშვიერ საქართველოს და თავისუფლებისმოყვარულ მის ხალხს.

1851 წელს თითქმის ექვსი თვე დაჰყო თბილისში მხატვრული სტუდის დიდმა გენიოსმა ლევ ტოლსტოიმ. რომელმაც აქ დასწერა თავისი პირველი დიდი ნაწარმოები „ბავშვობა და სიყრმე"

მაშინ, როცა თეთრსპურობელობა „ევროპის ჟანდარმად", თავისუფლებისა და რევოლუციური აზროვნების ჩახშობად გამოდიოდა. დიდმა რუსმა ხალხმა ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერებისა და პოლიტიკის გენიალური წარმომადგენელთა სახით თვალსაჩინო ადგილი დაიკავა მოწინავე პროგრესულ კაცობრიობაში. რუსმა ხალხმა შექმნა ძლიერი კულტურა, აღზარდა და მსოფლიოს მისცა ისეთი დიდი ტალანტები, როგორიცაა პუშკინი. ლერმონტოვი. ტურგენევი. დოსტოევსკი, ლ. ტოლსტოი. გურკუნი, ნეკრასოვი, ბელინსკი. ჩერნიშევსკი. დობროლუბოვი და დიდ მეცნიერთა, მხატვართა და მსახიობთა მთელი გალერეა. რუსი ხალხის ამ ჰეშმარიტმა შვილებმა სახელი მოუხვეჭეს რუსულ ნაციონალურ კულტურას. მათ ძლიერი გავლენა მოახდინეს მსოფლიო კულტურაზე. ეს გავლენა. რა თქმა უნდა. ქართველი ხალხის კულტურასაც დაეტყობოდა.

§ 8. განათლებისა და კულტურის მდგომარეობა საქართველოში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში

ცარიზმმა ანგარიში არ გაუწია ქართველი ხალხის მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობას და საქართველოს შემოერთების შემდეგ აქ მძვინვარე და შეურიგებელი რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარება დაიწყო. საქართველოში 1801 წლამდე არსებული სკოლები დახურეს. 1802 წელს თბილისში გაიხსნა ორკლასიანი სკოლა თავად-აზნაურთა ბავშვებისათვის. ეს იყო ერთადერთი სასწავლებელი მთელ საქართველოში. 1804 წელს ეს სკოლა გადაკეთდა „თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლად". 1817 წელს თბილისში გაიხსნა მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარია, ხოლო 1822 წელს — სომეხ-გრიგორიანთა სემინარია. ეს ორი სკოლა ამზადებდა კულტის მსახურთ.

1830 წელს „კეთილშობილთა" სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთეს. თავად-აზნაურთა ქალიშვილების სწავლებისათვის დაარსდა საკუთარი პანსიონი, რომელიც 1840 წელს ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტად გადაკეთდა.'

1830 წლიდან საქართველოს მაზრებში იწყება ორკლასიან სასწავლებელთა გახსნა. 1853 წელს თბილისში გაიხსნა პირველი კომერციული სასწავლებელი. ჩვენი ქვეყნის მთელი სასკოლო ქსელი მაშინ შესდგებოდა ორი გიმნაზიისაგან. 14 სამაზრო სასწავლებლისა, 11 დაწყებითი და 12 კერძო სკოლისაგან. მოსწავლე ბავშვთა რაოდენობა 3000 კაცს არ აღე-

მატებოდა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საქართველოს ორივე სქესის მოსახლეობა მაშინ 800 ათასამდე მცხოვრებს შეადგენდა, მოსწავლეთა რიცხვი 0,4 პროცენტს არ აღემატებოდა.

1819 წელს დაიწყო პირველი გაზეთის — „საქართველოს გაზეთის" გამოცემა. ეს იყო ოფიციალური გამოცემა. მან არსება 1821 წლამდე და შემდეგ მისი გამოცემა შეჩერეს. 1829 წლიდან სოლომონ დოდაშვილის რედაქტორობით გამოიცდა ქართულ ენაზე „თბილისის უწყებანი". ამ გაზეთში იბეჭდებოდა ორიგინალური სტატები, ცნობილი რუსი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებთა თარგმანი. ამ გაზეთში დაიბეჭდა ა. ს. პუშკინის რომანის „ევგენი ონეგინის" ცალკეული თავები. „თბილისის უწყებანის" არსებობა ხანმოკლე იყო, ის დახურეს 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის ამ გაზეთის რედაქტორის სოლომონ დოდაშვილის დაპატიმრებასთან დაკავშირებით.

1852 წლიდან ცნობილი ქართველი დრამატურგის გ. ერისთავის რედაქტორობით გამოდის პირველი ქართული ყოველთვიური ჟურნალი „ცისკარი". ჟურნალი ეხებოდა და იხილავდა აქტუალურ საზოგადოებრივ საკითხებს. აქ იბეჭდებოდა ა. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, გ. ერისთავის და სხვათა ნაწარმოებნი, რუსეთის და უცხოეთის მწერლების თარგმანი. ჟურნალმა უსახსრობის გამო მხოლოდ ორ წელიწადს იარსება. 1857 წელს ამ ჟურნალის გამოცემა განახლდა ი. კერესელიძის რედაქტორობით.

1846 წელს თბილისში დაარსდა მუდმივი რუსული თეატრი. მალე მას შემდეგ თბილისში მოიწვიეს იტალიური ოპერა.

1850 წლის 2 იანვარს თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის პატარა სცენაზე პირველად დაიდგა ქართულ ენაზე ახალგაზრდა დრამატურგის გ. ერისთავის კომედია „გაყრა". მეფისნაცვალმა თავადმა ვორონცოვმა დაავალა გ. ერისთავს პირველი ქართული პროფესიული დასის მოწყობა. 1850 წლის 1-ლი ნოემბრიდან ქართული თეატრის შესანახად მთავრობა ყოველწლიურად იღებს 4.000 მანეთს. 1851 წლის 1-ლ იანვარს გაიმართა ქართული თეატრის პირველი წარმოდგენა სათეატრო შენობაში (ყოფილი მანეჟი), სადაც იდგმებოდა რუსული წარმოდგენებიც; დაიდგა კომედია „გაყრა". გარდა გ. ერისთავისა, პირველი ქართული დრამატურგები იყვნენ ი. კერესელიძე, ზ. ანტონოვი, მეიპარიანი, გ. ჯაფარიძე, გ. დეანაძე. იგივე პირველი იყვნენ ქართული დრამატიული დასის პირველი კადრებიც. მსახიობ ქალებში გამოირჩეოდნენ კორძაია, ნათიშვილი და სხვ. გ. ერისთავის თეატრმა იარსება სულ ხუთი სეზონის განმავლობაში და დადგა 30-მდე პიესა, მაგრამ უაღრესად დიდი იყო მისი კულტურული მნიშვნელობა. ამ თეატრმა მტკიცე წანამძღვარი შეუქმნა ქართული სასცენო ხელოვნების შემდგომ განვითარებას. გ. ერისთავის პიესა „გაყრა". ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში" დღემდე იდგმება სცენაზე როგორც კლასიკური დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშები.

ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების გაელენით, საქართველოში იწყება ქართული ნაციონალური ლიტერატურის სწრაფი აღორძინება და შემდგომი განვითარება.

ამ პერიოდის რომანტიკული მიმართულების წარმომადგენლები იყვნენ პოეტები ე. ორბელიანი (1812-1890 წწ.), ა. ჭავჭავაძე (1786-1845 წწ.), გ. ორბელიანი (1800-1883 წწ.), ნ. ბარათაშვილი (1816-1845 წწ.). ამ პერიოდის უველაზე უფრო გამორჩეული პოეტი ბარათაშვილია. მას აკუთვნებენ „მსოფლიო შეუბარების" პოეტთა რიცხვს. მას უწოდებენ ხან „ქართველ ბაირონს", ხან „ქართველ ლერმონტოვს". ნ. ბარათაშვილი ახალი ქართული პოეზიის ფუძემდებელია. მას მხურვალედ უყვარდა სამშობლო, თავისი ხალხი. პოეტის დანიშნულებად მას მიაჩნია ხალხის სამსახური. მისი იდეალია — პოეტი-მოქალაქე.

ქართულ ლიტერატურაში რეალისტური მიმართულების პირველ წარმომადგენლად ითვლება უკვე მოხსენიებული გიორგი ერისთავი (1811-1864 წწ.) — ჟურნალ „ცისკარის" რედაქტორი და პირველი ქართული თეატრის შემქმნელი. ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უკავია დანიელ ჭონქაძეს (1830-1860 წწ.). დ. ჭონქაძე გლეხთა წრიდან გამოვიდა, იგი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების უძლიერესი გაელენის ქვეშ იზრდებოდა. თავის ერთ-ერთ ნაწარმოებში — „სურამის ციხეში" (დაწერილია ჯერ კიდევ 1847 წელს, მაგრამ დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში" მხოლოდ 1859 წელს) დ. ჭონქაძემ გაბედულად გაილაშქრა მაშინ საქართველოში არსებული ბატონყმობის წინააღმდეგ.

მოთხრობა „სურამის ციხემ" ქართულ ხალხში დიდი პოპულარობა მოიპოვა და უძლიერესი გაელენა მოახდინა ქართული რევოლუციური ლიტერატურის შემდგომ განვითარებაზე.

თავი მეოთხე

კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში

§ 9. რუსეთ-თურქეთის ომი 1853-56 წლებში

ახალი ტერიტორიების დასაპყრობად და შავ ზღვაზე სრულ ბატონპატრონად გახდომისათვის, რუსეთმა 1853 წლის 14 იანვარს დაიწყო ომი თურქეთთან. მაგრამ ინგლისმა და საფრანგეთმა არ უნდოდათ დაეშვათ რუსეთის გაძლიერება და თურქეთის განადგურება. მათ კავშირი შეკრეს და თურქეთის მხარეზე გამოვიდნენ. ომის ძირითად ასპარეზად იქცა ყირიმი, ამიტომ მას „ყირიმის ომი" ეწოდა. 1854 წლის სექტემბრიდან ინგლისელების, ფრანგების და თურქების ჯარებმა ზღვითა და ხმელეთით ალყა შემოარტყეს რუსეთის საზღვაო ციხე-სიმაგრეს — სევასტოპოლს, რომელიც შავ ზღვაზე ცარიზმის მთავარი დასაყრდენი იყო. თავისი ეკონომიური, სამხედრო და პოლიტიკური ჩამორჩენილობის გამო რუსეთი დამარცხდა ყირიმის ომში. მიუხედავად რუსი ჯარისკაცების და მეზღვაუ-

რების განსაკუთრებული სიმამაცისა და გმირობისა, სევასტოპოლი, 11 თვის თავდაცვის შემდეგ, 1856 წლის 9 სექტემბერს იძულებული იყო მტერს დანებებოდა. ყირიმის ომის დროს საომარი მოქმედება კავკასიაშიც წარმოებდა. თურქეთის ჯარებმა დაიკავეს საბუგრელო, მაგრამ შემდეგ წინ ვერ წაიწიეს. რუსეთის ჯარებმა აიღეს არტაანი. მათვე წარმატებითი იერიშის შემდეგ, 1855 წლის 15 ნოემბერს აიღეს თურქეთის უძლიერესი ციხე-სიმაგრე ყარსი.[1] თურქები იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ საბუგრელო.

საზავო ხელშეკრულებით, რომელიც დაიდო პარიზში 1856 წელს, რუსეთს ჩამოერთვა უფლება შავ ზღვაზე ჰყოლოდა საბრძოლო ფლოტი ან ჰქონოდა ციხე-სიმაგრეები. სევასტოპოლის სანაცვლოდ რუსეთი იძულებული გახდა თურქეთისათვის დაებრუნებინა უკვე აღებული არტაანი და ყარსი.

§ 10. კავკასიის საბოლოოდ დაპყრობა

რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ დაიწყო მეფის ჯარების გადამწყვეტი შეტევა კავკასიის მთიელი ხალხების წინააღმდეგ, რომლებიც რუსეთს ეურჩებოდნენ. ჩრდილო კავკასიის მთიელები, კ. მარქსის მიერ „დიდ დემოკრატად“ წოდებული, ნიჭიერი და ენერგიული ბელადის — შამილის ხელმძღვანელობით 25 წელზე მეტი ხნის განმავლობაში გმირულად ებრძოდნენ მეფის ჯარებს. შამილს ჰყავდა 30 ათასზე მეტი კარგად შეიარაღებული ჯარი, ჰქონდა ზარბაზნებიც. მაგრამ მის წინააღმდეგ მეფე ნიკოლოზ პირველი სულ ახალ-ახალ ჯარს აგზავნიდა კავკასიაში. მთიელთა სოფლებზე შეტევისას მეფის ჯარი სპობდა ნათესებს, იტაცებდა ჯოგს, ჩეხდა ტყეებს და სულ უფრო ახლოვებდა მთიელებს ნაყოფიერი ხეობიდან უნაყოფო და თოვლიანი მწვერვალებისაკენ. შამილის ჯარი თანდათან დნებოდა. ბევრი მთიელი მოჰკლეს და ტყვედ ჩაიგდეს. გარდა ამისა, რუსმა გენერლებმა მოახერხეს დაღესტნის ცალკეული თემების უხუცესთა ჭიმხრობა. შამილს ულალატა მისმა ერთ-ერთმა უახლოესმა თანამებრძოლმა ჰაჯი-მურატმა. 1859 წელს, განსაკუთრებით გმირული თავდაცვის შემდეგ, შამილი იძულებული იყო მეფის გენერლისათვის ჩაებარებინა უკანასკნელი სიმაგრე—სოფელი გუნიბი (დაღისტანი) და თვითონაც ტყვედ დანებებოდა. 1864 წელს იარაღი აიყარეს დასავლეთ კავკასიის მთიელმა ტომებმაც. ამ მთიელებიდან ძალდატანებით გადაასახლეს თურქეთში 400 ათას კაცზე მეტი. ასე დამთავრდა ცარიზმის მიერ კავკასიის საბოლოოდ დაპყრობა.

---

[1] რუსეთის ჯარებს ტყვედ ჩაუვარდათ ანატოლიის არმიის მთავარსარდალი მუშირ ვასიფ-ფაშა, რვა ფაშა, ბევრი შტაბ-ოფიცერი და ობერ-ოფიცერი და მათთან ერთად — ყარსის თავდაცვის ხელმძღვანელი ინგლისელი გენერალი ვილიამსი მთელი თავისი შტაბითურთ.

§ 11. ბატონყმობის გაუქმება საქართველოში

1861 წლის 19 თებერვალს მეფე ალექსანდრე მეორემ გამოსცა მანიფესტი რუსეთში ბატონყმობისაგან გლეხთა განთავისუფლების შესახებ. მეფის მთავრობა იძულებული იყო გაეუქმებინა ბატონყმობა. ვინაიდან ეს აუცილებელი გახადა რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებამ: თანაც მას ეშინოდა, ვაი თუ გლეხები აჯანყდნენ და ბატონყმური წესწყობილება თვითონ ქვემოდან დაანგრიონო. დასასრულ, ყირიმის ომში დამარცხებამ თვალსაჩინოდ გამოაელინა ბატონყმური რუსეთის სიდამპლე და უძლურება.

ალნიშნული მიზეზები უკარნახებდნენ მეფის მთავრობას, რომ აუცილებელია დაესვას ბატონყმობის გაუქმების საკითხი საქართველოშიც. განსაკუთრებით კი აქ მომხდარი გლეხთა ძლელეარებანი და გლეხური რევოლუციის საშიშროება აიძულებდნენ მთავრობას ასეთისე გადაეწყვიტა ეს საკითხი.

გლეხთა ყველაზე დიდი აჯანყება ბატონყმობის წინააღმდეგ მოხდა სამეგრელოში 1857 წელს. ამ აჯანყებას ხელმძღვანელობდა მჭედელი უტე მიქავა. 1858 წელს მემამულეთა წინააღმდეგ გაილაშქრეს და ბატონყმობის გაუქმება მოითხოვეს იმერეთის (ამაღლებისა და ბაღდათის რაიონების) გლეხებმა. გლეხთა მასობრივი გამოსვლა მოხდა 1862 წელს გურიაში. 1863 წელს კი — სამეგრელოში (სენაკის რაიონი). ყმების ძლელეარება საქართველოში განსაკუთრებით გაძლიერდა, როცა ხმები გავრცელდა, მეფის მთავრობა რუსეთში ბატონყმობის გაუქმებას ამზადებს. საქართველოში კი, ქართველ თავად-აზნაურთა ზეგავლენით, ყველაფერს უცვლელად დასტოვებსო.

ჩაგრული და ექსპლოატირებული ყმა გლეხების დასაცავად ხმა ამაღლა დიდმა ქართველმა მწერალმა ილია ჭავჭავაძემ.

ბატონყმობა საქართველოს ცალკეულ რაიონებში სხვადასხვა დროს გაუქმდა. კანონი გლეხთა განთავისუფლების შესახებ ქართლ-კახეთში გამოქვეყნდა 1864 წლის 8 ნოემბერს. იმერეთსა და გურიაში — 1865 წლის 13 ოქტომბერს. სამეგრელოსა და ლეჩხუმში — 1866 წლის 1-ლ დეკემბერს, აფხაზეთში — 1870 წელს და სვანეთში — 1871 წელს. ამ კანონების თანახმად, საქართველოს გლეხები თავისუფალნი გახდნენ. მათი ყიდვა-გაყიდვა აკრძალული იყო, ისინი უკვე თავად-აზნაურთა საკუთრებას არ შეადგენდნენ. მაგრამ ბატონ-ყმობის გაუქმება საქართველოში ევროპის რუსეთთან შედარებით მოხდა თავად-აზნაურთათვის უაღრესად ხელსაყრელ პირობებში და გლეხთათვის უკიდურესად მძიმე პირობებში. მცირე მამულიან თავად-აზნაურებს შეეძლოთ სრულებით არ გამოეყოთ მიწა გლეხებისათვის. თავად-აზნაურები საუკეთესო მიწას, როგორც წესი, თვითონ ინარჩუნებდნენ, ხოლო უარეს მიწას გლეხებს არგუნებდნენ. გლეხებს მიეცათ გაცილებით ნაკლები მიწა, ვიდრე მათ მანამდე ჰქონდათ მუდმივ სარგებლობაში. ასე, თბილისის გუბერნიაში გლეხებს დააკლდათ 40 პროცენტი მიწა. მიწა სრულებით არ მიეღოთ ყოფილ შინაყმებს.

მოკალაბეებს. ამის შემდეგ, საქართველოში ბატონყმობის გაუქმების პირველ დღეებიდანვე 28 ათასზე მეტი ყმა უმიწაწყლოთ აღმოჩნდა და მათ საკუთარი მეურნეობა ვერ გაიჩინეს.

გლეხებს წაართვეს ტყე და საბალახო. მშრალ რაიონებში მემამულის თანხმობის გარეშე გლეხებს არ შეეძლოთ სარწყავი წყლით სარგებლობა. მათთვის გამოყოფილი უმნიშვნელო მიწის ნაკვეთებისა და თავიანთი განთავისუფლებისათვის გლეხებს მემამულეთათვის უნდა ეხადათ დიდი გამოსასყიდი თანხა. ვიდრე გლეხები მთლიანად არ დაფარავდნენ გამოსასყიდ თანხას, ისინი რჩებოდნენ დროებით-ვალდებულებად მემამულეთა მიმართ (დროებითი ვალდებულება საქართველოში კანონით მხოლოდ 1912 წელს გაუქმდა). ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც საქართველოში დროებით-ვალდებული გლეხები მემამულეს აძლევდნენ მოსავლის ნაწილს, ასრულებდნენ დადგენილ ბეგარას, ხოლო ტყითა და მდელოთი სარგებლობისათვის განსაკუთრებულ ქირას იხდიდნენ. საგლეხო რეფორმა საქართველოში სრულებით არ შებებია გლეხთა განსაკუთრებულ კატეგორიას, ეგრეთწოდებულ ხიზნებს. ხიზნები მეტწილად იყვნენ ან ყმა გლეხები, რომელნიც თავის დროზე გამოექცნენ თავიანთ მემამულეებს და კაბალურ პირობებში თავშესაფარი ჰპოვეს საქართველოს სხვა კუთხის მემამულეებთან, ან მთიელები (ოსები და სხვ.), რომელნიც სახლდებოდნენ მემამულეთა მიწაზე განსაკუთრებული ხელშეკრულებით. ხიზნები მემამულეს უხდიდნენ საკმაო გადასახადს. აგრეთვე მიწის (ყანის, ბაღის, ბოსტნის და სხვა) ყოველგვარი ნაწარმოების ერთი მეათედიდან ერთ მეხუთედამდე. რეფორმის შემდეგ მიწის საიჯარო ქირის ზრდასთან დაკავშირებით, მემამულენი ხიზნებს თვითნებურად უდიდებდნენ ბეგარას ან ზოგჯერ შეჩვეული ადგილებიდან კიდეეც ერეკებოდნენ მათ. ამასთან ხიზნებს, რა თქმა უნდა, ეკარგებოდათ მთელ რიგ თაობათა შრომის ნაყოფი: ბაღი, ვენახი, სამეურნეო ნაგებობანი. ასეთი აღმოჩნდა ნამდვილად „მემამულური თავისუფლება", რომელიც მიიღეს საქართველოს გლეხებმა ბატონყმობის გაუქმების შემდეგ.

§ 18. გლეხთა ბრძოლა „მემამულური თავისუფლების" წინააღმდეგ

საგლეხო რეფორმა ვერ დააკმაყოფილებდა გლეხებს, რომელნიც ჯერ კიდევ მის გატარებამდე მოითხოვდნენ მემამულეთა ბატონობისაგან სრულ განთავისუფლებას და მათ სარგებლობაში მყოფი, მათ მიერ დამუშავებული მიწის უსასყიდლოდ მათთვის გადმოცემას. აი რატომ იყო, რომ საქართველოში ბატონყმობის გაუქმების კანონის გამოცხადების შემდეგ მოხდა გლეხთა მთელი რიგი გამოსვლები.

გლეხთა ყველაზე დიდი აჯანყება, საგლეხო რეფორმასთან დაკავშირებული, მოხდა 1866 წელს აფხაზეთში. აფხაზი გლეხები ვერ შეურიგდებოდნენ იმას, რომ მათ ჩამოაჭრეს საკუთარი მიწები და ისინი მემამულეებს დაუტოვეს. რომ მათ დააკისრეს გამოსასყიდი თანხის გადახდა და

სხვადასხვა ბეგარის შესრულება. ეს აჯანყება სწრაფად მოედო მთელს აფხაზეთს. აჯანყებულებმა აღმართეს წითელი დროშა, ალყა შემოარტყეს სუხუმს და იგი ხელთ იგდეს. მეფის მთავრობამ აჯანყებულ აფხაზთა წინააღმდეგ გაგზავნა რეგულარული ჯარი 8 ათას კაცამდე და უდიდესი სისასტიკით ჩააქრო აჯანყება.

1876 წელს სამეგრელოში მოხდა გლეხთა აჯანყება იმ ნიადაგზე, რომ მემამულენი გლეხებისაგან მოითხოვდნენ უზომო ბეგრის გადახდას, ხოლო გლეხებს არ სურდათ დროებით-ვალდებულთა მდგომარეობაში დარჩენა. მემამულეთა დასაცავად გაიგზავნა ჯარი. ჯართან შეტაკებისას სოფელ ლეწურწუმში მოჰკლეს 18 და დასჭრეს 30 გლეხი.

§ 18. სასოფლო მმართველობის და სხვა რეფორმების შემოღება საქართველოში

1865 წლის 14 ოქტომბრის კანონით საქართველოში შემოღებულ იქნა სასოფლო მმართველობა და მოეწყო განსაკუთრებული ადმინისტრატიული ერთეულები—სასოფლო საზოგადოებანი, რომელნიც რამდენიმე სოფელს აერთიანებდნენ. თავიანთ საქმეთა განსახილველად თითოეული საზოგადოების გლეხებს უფლება ჰქონდათ შეკრებილიყვნენ სასოფლო ყრილობაზე და აერჩიათ თანამდებობის პირნი: მამასახლისი, ნაცვალნი, და სხვ. მაგრამ ამასთან ძალაუფლება სოფლად ფაქტიურად ეკუთვნოდა არა ყრილობას, არამედ მამასახლისს, რომელსაც ჩვეულებრივ გლეხები კი არ ირჩევდნენ, არამედ მაზრის უფროსი ნიშნავდა ადგილობრივ მემამულეებთან შეთანხმებით. იმ შემთხვევაშიც, როცა მამასახლისად არჩეული პირი იყო, ამ თანამდებობაზე ჩვეულებრივ მდიდარი, ბობოლა გლეხი იკალათებდა. იგი ართმევდა გლეხებს გადასახადებს და ეხმარებოდა პოლიციას გლეხთა დამორჩილებაში. მთელი საქმე სასოფლო სამმართველოთა კანცელარიებში სწარმოებდა რუსულ ენაზე, რომელიც გლეხებისათვის გაუგებარი იყო. მმართველობაში გაბატონებული იყო თვითნებობა და უკანონობა. ტიპი სოფლის ბატონ-პატრონისა, რომელიც უსირცხვილოდ ჩაგრაედა და ყველაფდა ღარიბ გლეხობას, კარგად აქვს დახატებული ცნობილ მწერალს ე. ნინოშვილს თავის მოთხრობაში—„მოსე მწერალი“.

გლეხთა განთავისუფლების შემდეგ რუსეთში შემოიღეს საერობო თვითმმართველობა. ერობის გამგეობა მაზრაში განაგებდა სკოლებს, საავადმყოფოს და სამეურნეო საქმეებს. საქართველოში ეს რეფორმა არ გაუტარებიათ. თუმცა აქ საერობო გადასახადებით მოსახლეობას ბეგრავდნენ, მაგრამ აკრეფილ თანხას ადმინისტრაცია თავისი შეხედულებისამებრ ხარჯავდა. საერობო გადასახადები უმთავრესად სოფლის „სტრაჟნიკების“ (პოლიციელების) შენახვას ხმარდებოდა და არა კულტურულ და სამეურნეო საჭიროებებს.

მსხვილ ქალაქებში საქალაქო საქმეების მართვა-გამგეობისათვის შეიქმნა არჩევითი საქალაქო სამმართველოები (ქალაქის საბჭოები, რომლე-

ბიც თავისი წრიდან ქალაქის გამგეობებს ირჩევდნენ). მაგრამ საარჩევნო უფლება ქალაქებში კანონით მინიჭებული ჰქონდა მხოლოდ ბურჟუაზიას, სამრეწველო და სავაჭრო წამოწყებათა პატრონებს და მსხვილ სახლთმფლობელებს. ასეთი საშმართველოები მოეწყო თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ფოთში და სოხუმში. სამაზრო ქალაქებში ქალაქის გამგეობის ნაცვლად ირჩევდნენ ქალაქის მამასახლისს. საქართველოს არ მისცემს არც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოც იმ საბუთით, რომ ასეთი სასამართლო შეიძლება მხოლოდ კულტურულ და განვითარებულ ქვეყნებში არსებობდესო. სასამართლო მარტო დანიშნული მოხელეებისაგან შესდგებოდა. მოსამართლის თანამდებობაზე უმთავრესად რუსებს ნიშნავდნენ. სასამართლოში ყველა საქმე, როგორც წინათაც, სწარმოებდა რუსულ ენაზე, რომელიც მოსახლეობის უმრავლესობისათვის გაუგებარი იყო.

§ 14. სოფლის მეურნეობის განვითარება რეფორმის შემდეგ და გლეხების ფენებად დანაწილება

სოფლად დარჩენილი ბატონყმობის ნაშთები (ეგრეთწოდებული დროებითი ვალდებულება, ხიზნობა და სხვ.) ხელს ვერ შეუწყობდა საქართველოში როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მრეწველობის განვითარებას. ბატონყმობის ეს ნაშთები დიდად აფერხებდა აქ კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებას.

გლეხთა მასები კვლავ უუფლებონი რჩებოდნენ. ისინი სილატაკეში ცხოვრობდნენ. რათა სიმშილით არ ამომწყდარიყვნენ და გაესტუმრებინათ უზომო გადასახადები, ეხადათ ბეგარა შემამულეთათვის, გლეხები იძულებული იყვნენ უალრესად მძიმე პირობებში იჯარით აეღოთ მემამულეთა მიწები.

მეურნეობათა გატიალება და გაპარტახება სოფლად ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამის გამო გლეხთა მნიშვნელოვანი ნაწილი სოფლიდან საშოვარზე გადიოდა. გლეხები მიდიოდნენ ბათუმსა და თბილისში ფაბრიკა-ქარხნებში მოსაწყობად. ბაქოში ნავთის სარეწაოებზე. ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში და ჭიათურის შავი ქვის წარმოებაში. ქართველ გლეხებს გაჭირვება აიძულებდა საშოვარი ეძებნათ ამიერ-კავკასიის გარეშეც, ევროპის რუსეთში. შორეულ აღმოსავლეთში. შუა აზიაში და შორეულ ამერიკაშიც კი.

კაპიტალიზმის შეჭრა სოფლის მეურნეობაში არღვევდა მის ნატურალურ-პატრიარქალურ ფორმებს. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ზრდა იწვევდა სოფლის ფენებად დანაწილებას. კულაკთა ჯგუფების შექმნას და გლეხობის ძირითადი მასის გაღატაკებას. სოფლად მწვავდებოდა წინააღმდეგობა არა მარტო გლეხებსა და მემამულეთა შორის, არამედ გლეხობის ძირითად მასასა და კულაკობას შორისაც.

მემამულური მეურნეობა საქართველოში რეფორმის შემდეგაც ძირითადად კვლავ ბატონყმური ხასიათისა იყო. როგორც წესი, მემამულენი

მიწას საკუთარი ინვენტარით კი არ ამუშავებდნენ, არამედ გლეხებს „საზიაროდ“ აძლევდნენ და მათ მოსავლის ერთ ნაწილს ახდევინებდნენ. მე-19 საუკუნის დამლევს მთელ ქართლში ოთხი-ხუთი კაპიტალისტურად მოწყობილი მემამულეური მეურნეობა თუ მოიძებნებოდა.

§ 15. კაპიტალიზმის განვითარება მრეწველობაში

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მანძილზე ამიერ-კავკასიასა და საქართველოში კაპიტალიზმი ჯერ ნელა, შემდეგ კი უფრო სწრაფი ტემპებით ვითარდება. განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება ნავთიანი ბაქო—კავკასიის მსხვილი სამრეწველო და ვაჭრური ცენტრი. გარდა ადგილობრივი კაპიტალისა, ბაქოს ნავთის მრეწველობაში მოთავსებული იყო უცხოეთის კაპიტალი: სააქციო საზოგადოების „ნობელისა“. როტშილდის სინდიკატისა. ინგლის-ჰოლანდიის ტრესტის „შელისა“ 1898-1903 წლების მანძილზე ბაქოს ნავთის მრეწველობაში უცხოელმა კაპიტალისტებმა მოათავსეს 47 მილიონი მანეთი. ნავთის მოპოება ნაცვლად 1865 წლის 557 ათასი ფუთისა 1902 წლისათვის გაიზარდა 637,7 მილიონ ფუთამდე. ამიერ-კავკასიაში კაპიტალიზმის განვითარებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებამ რუსეთში. „ამნაირად,— სწერდა ლენინი — რუსეთის კაპიტალიზმი ითრევდა კავკასიას საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებას— ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს. — ქმნიდა თავის ფაბრიკებისათვის ბაზარს. რეფორმის შემდგომდროინდელი ხანის დასაწყისში ქვეყანა, ოდნავ დასახლებული მთიელებით. რომელნიც მსოფლიო მეურნეობიდან და ისტორიიდანაც კი შორს იდგნენ, თანდათან ნავთის მრეწველების, ღვინის ვაჭრების, ხორბლის და თამბაქოს ფაბრიკანტების ქვეყნად ხდებოდა“.

იმ პერიოდში მიმოსვლის განვითარებას დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა მთელი ამიერ-კავკასიისათვის. 1857 წლიდან დაიწყო რეგულარული ნაოსნობა ოდესასა. უულევსა და ტრაპიზონს შორის. 1858 წელს მოეწყო ფოთის ნაესადგური და დაიწყო ნაოსნობა მდინარე რიონზე. 1865 წლიდან დაიწყო ამიერ-კავკასიის რკინიგზის მშენებლობა. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ისეთი რკინიგზის გაყვანას. რომელიც სალიანდაგო ხაზით შეაერთებდა შავ და კასპიის ზღვებს, ამიერ-კავკასიის მთავარ ქალაქებს. და ამ მხრივ ევროპის რუსეთთან დააკავშირებდა. რკინიგზამ დააჩქარა ძველი წყობილების სოციალური და პოლიტიკური რღვევა და წანამძღვარი შეუქმნა მანქანური ინდუსტრიის განვითარებას ამიერ-კავკასიაში.

უკვე 1860 წელს თბილისში იხსნება პირველი მექანიკური ქარხანა. აქვე 1865 წელს ამუშავდა საქართველოში პირველი საფეიქრო ფაბრიკა მირზოევისა.

1879 წლიდან ჭიათურაში იწყება შავი ქვის მრეწველობის განვითარება. 1897 წელს საქართველოს შავი ქვის საწარმონი იძლეოდნენ უკვე 200

ათას ტონა შაე ქვას, ხოლო 1900 წელს — 600 ათას ტონას. ამავე დრო, ითარდება ქვანახშირის მოპოება ტყიბულში.

1883 წელს თბილისში შეიქმნა რკინიგზის მთავარი სახელოსნო და დეპო, სადაც დასაქმებული იყო 4 ათასამდე მუშა.

90-იან წლებში თბილისში აგებულ იქნა მთელი რიგი ფაბრიკა-ქარხნები და სახელოსნოები, სადაც ჩაბმული იყო მუშათა მნიშვნელოვანი რაოდენობა.

საქართველოს მრეწველობის მსხვილ ცენტრად გადაიქცა ქალაქი ბათუმი. 1890 წელს იქ ირიცხებოდა 10-ზე მეტი მსხვილი სამრეწველო საწარმო. 1900 წელს დამთავრდა ბაქო-ბათუმის ნავთსადენის გაყვანა.

საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად ჩნდება მისი მუდმივი თანამგზავრი — პროლეტარიატი. მუშათა საერთო რაოდენობა საქართველოში რკინიგზელთა ჩათვლით. მე-19 საუკუნის დამლევს. 24.000 კაცამდე აღწევდა.

მეტად მძიმე იყო მუშათა ცხოვრებისა და შრომის პირობები. საშაბდებულო საზეგანაკვეთო მუშაობასთან ერთად, სამუშაო დღის ხანგრძლივობა 15-17 საათამდე აღწევდა. ასეთი აუტანელი შრომისათვის მუშებს უხდიდნენ გროშებს, რაც მათ მათხოვრული არსებობისათვის ძლივს ჰყოფნიდათ. ფართოდ იყო გამოყენებული მცირეწლოვანთა და ქალთა შრომა. ისინი იმდენსაე ხანს მუშაობდნენ, როგორც მოზრდილი მამაკაცები, მაგრამ მათ გაცილებით ნაკლები ხელფასი ეძლეოდათ. მუშათა დაზღვევაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო, მოხუცებულობის, სახიფათობისა და ინვალიდობის შემთხვევისათვის ისინი არაფრით უზრუნველყოფილი არ იყვნენ. მუშებს თვითნებურად, ყოველგვარი საბაბით აჯარიმებდნენ. უკავებდნენ ხელფასის ნაწილს. მუშების ცემა-ტყეპა, მათი ფიზიკური დასჯა ჩვეულებრივი მოელენა იყო საწარმოებში. მუშები ბინით უზრუნველყოფილი არ იყვნენ. თბილისში ისინი ცხოვრობდნენ განაპირა უბნებში, მეტწილად ნაძალადევში (ამჟამად ლენინის რაიონია), ეიწრო ქოხმახებში. ჰიათურაში მუშათა უმრავლესობა ღია ცისქვეშ იძინებდა, ხოლო უამინდობისას და ზამთრობით მაღაროებს აფარებდნენ თავს. მუშათა კაპიტალისტურ ექსპლოატაციას საქართველოში ართულებდა სასტიკი პოლიტიკური და ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში მიმდინარეობს ქალაქებისა და მოსახლეობის საერთო რიცხვის სწრაფი ზრდა. 1897 წლის აღწერით. საქართველოს ორივე სქესის მოსახლეობამ 2 მილიონ 34 ათას კაცამდე მიაღწია. ამ ხანებში ქართველი ხალხი ტერიტორიული, ეკონომიური და კულტურული ერთობის საფუძველზე ერად ყალიბდება.

§ 16. რუსეთ-თურქეთის ომი 1877-78 წლებში და აჭარის შეერთება რუსეთთან

სრუტეებისა და კონსტანტინეპოლის დაპყრობის მიზნით რუსეთმა 1877 წლის გაზაფხულზე დაიწყო ომი თურქეთთან.

ომი ერთსადაიმავე დროს სწარმოებდა როგორც ბალკანეთის ნახევარ-

ჯუნძულზე, ისე კავკასიაშიც. მამაკაცთა მობილიზაცია მილიციაში, გაძლიერებული საშტაბო ბეგარა, ფრონტისპირა სამხედრო რეჟიმი კელავ მძიმე ტვირთად დააწვა საქართველოს მოსახლეობას. რუსეთის ჯარების მიერ კავკასიის ფრონტზე მოპოვებულმა წარმატებებმა შესაძლებლობა არ მისცეს თურქეთის ჯარებს გაეჩაღებინათ სამხედრო მოქმედება საქართველოს ფარგლებში. ომიანობის დროს თურქეთის ფლოტმა მხოლოდ ერთხელ — 1877 წ. 5 მაისს — დაუშინა ყუმბარები ქალაქ სუხუმს, თურქებმა პატარა დესანტი გადმოსხეს ოჩემჩირეშიც. მაგრამ ამას არაეითარი გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა ომის მსელელობაში, რომელიც საერთოდ წარმატებით ვითარდებოდა რუსეთის სასარგებლოდ. ბერლინის 1878 წლის ტრაქტატით რუსეთის ხელში გადაეიდა ყარსის ოლქი ყარსის და არტაანის ცხე-სიმაგრეებით. ართვინის ოლქი და აჭარა ბათუმითურთ.

ამ შენაძენიდან განსაკუთრებით დიდი ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ბათუმს. აქ იყო შაეი ზღეის მთელი აღმოსაელეთი სანაპიროს საუკეთესო ბუნებრივი ნავსადგური და მოიპოვებოდა ყველა პირობა პირველხარისხოვანი ცხე-სიმაგრის ასაგებად.

აჭარისაგან მოეწყო ბათუმის ოლქი. რომელიც 1885 წელს შეუერთდა ქუთაისის გუბერნიას. მაშინვე დაიწყო „მხარის გარუსება". ზღეისპირა ზოლის საუკეთესო მიწები მეფის მთავრობამ გადასცა საუფლისწულო უწყებას (ჩაქის მამული) ან მცირე ნაკვეთებად დაურიგა რუს სამხედრო პირებს და მსხვილ მოხელეებს. ამაეე დროს დაიწყო რუსი კოლონისტების დასახლება აჭარაში. აქ გაჩნდა რუსების ახალშენები: სმეკალოვკა, ყიზილ-თოფრახი, დაბა რომანოვსკი და სხვ. ადგილობრივი მსხვილი მიწათმფლობელების და მაჰმადიანი სამღვდელოების მისამხრობად, მეფის მთავრობამ, როგორც ეს იყო თურქეთის ბატონობის დროსაც, აჭარის ადგილ-მამულების მნიშვნელოვანი ნაწილი ფეოდალ-ბეგებს და სამღვდელოებას დაუტოეა. ისინი წინანდებურად ჩაგრავდნენ, და ყველფდნენ გლეხთა მასებს. აჭარელი გლეხები სილატაკე-სისაწყლეში და უმეცრებაში სულს ლაფაედნენ.

მას აქეთ, რაც 1883 წელს ბათუმი რკინიგზით თბილისსა და ბაქოს დაეკავშირდა. იწყება ამ სანავსადგურო ქალაქის სწრაფი სამრეწველო განვითარება. ბათუმით საზღვარგარეთ ნაეთის გატანის მეოხებით. ამ ქალაქმა ეეროპული საეაჭრო ცენტრის მნიშვნელობა მოიპოეა.

§ 17. გლეხთა მოძრაობა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში

პოლიტიკურ უუფლებობას. ნატურალურ ჩაგერასა და მემამულურ ექსპლოატაციას მედგარ წინააღმდეგობას უწეედნენ საქართველოს გლეხთა მასები. მე-19 საუკუნის მეორე ნახეარში აქ ხდება გლეხთა მასობრივი გამოსელები. გლეხები ეარს ამბობდნენ გადასახადების შეტანაზე, მრავალი სახაზინო და მემამულური ბეგარის შესრულებაზე, სპობდნენ ეელაზე საძულველ მემამულეებს. კულაკებს და ხელისუფლების იმ წარ-

მომადგენლებს, რომელთაც სისასტიკით სახელი გაითქვეს. 1875-76 წ.წ. იფეთქა აჯანყებამ თავისუფალ სვანეთში, რომელსაც არ სურდა თავისუფლების დაკარგვა და მეფის ხელისუფლებისადმი დამორჩილება. აჯანყების ცენტრად იქცა სოფელი ხალდე. აჯანყებულებმა დაამარცხეს დამსჯელი რაზმი ლეუსისა და გრინევსკის მეთაურობით. და მხოლოდ ხელახლა გაგზავნილმა დიდმა სამხედრო ექსპედიციამ შესძლო სვანების აჯანყების ჩაქრობა. ხალდე სრულებით დაანგრიეს. 29 აჯანყებული გადასცეს სამხედრო-საველე სასამართლოს და გადაასახლეს ციმბირში საკატორღო სამუშაოზე.

1877 წელს მოხდა კახეთის აჯანყება. ამ აჯანყების უახლოესი საბაბი იყო მთავრობის განკარგულება რუსეთ-თურქეთის 1875 წლის ომთან დაკავშირებით სამხედრო მილიციაში ჩასარიცხად ხალხის სავალდებულო შეგროვების შესახებ. ეს აჯანყება დაიწყო ლოზუნგით: „არ მიეცეთ მილიციას ტრანსპორტი და ხალხი" აჯანყება გადაიქცა მემამულეების კულაკებისა და სამღვდელოების წინააღმდეგ მიმართულ მასობრივ მოძრაობად, რომლის ჩაქრობა მთავრობას გაუჭირდა.

რუსეთ-თურქეთის ომის დროს კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ აჯანყდა აფხაზი გლეხობაც. მაშინ აფხაზეთში გაიგზავნა დიდი დამსჯელი რაზმები. სოფლების უმეტესობა დაანგრიეს. გლეხთა ნათესები მოსპეს, ბაღები გაჩეხეს. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი იძულებული იყო თურქეთში გადახიზნულიყო, ადგილობრივ დარჩენილნი კი განწირულნი იყვნენ დასამშვენად და გასატაცებლად. დარჩენილი აფხაზი მოსახლეობის გასათიშად მთავრობამ დაიწყო აფხაზეთში რუსი კოლონისტების დასახლება. მათ აძლევდნენ თურქეთში გადასახლებულ აფხაზთა ადგილმამულებს. იმ მიზნით, რომ ალეკეეთათ თურქეთში გადასახლებულ თანამოძმეებთან აქ დარჩენილი აფხაზების საზღვაო მიმოსვლა, ისინი ზღვის სანაპიროდან აყარეს და მთებისაკენ გადაასახლეს, მათ ადგილზე კი რუსების, ესტონელების. ბერძნების და სხვათა ახალშენები გამართეს.

1881-82 წ.წ. გურიაში დაიწყო მასობრივი მოძრაობა, რომელიც მიმართული იყო მეფის მხრით ჩაგვრის, მემამულეთა და სოფლის ბურჟუაზიის მხრივ ექსპლოატაციის წინააღმდეგ. გურულ გლეხებს მხარში ამოუდგნენ აჭარელი გლეხები ქობულეთის რაიონიდან. გლეხთა რაზმებმა გლეხების დ. სურგულაძის, გ. ლომკარიას, გ. ჭყონიას და სხვების მეთაურობით შიშის ზარი დასცეს ადგილობრივ ადმინისტრაციას, მემამულეებსა და სოფლის ბურჟუაზიას. მათ დასაკავად გაიგზავნა სადამსჯელო რაზმები გენერალ სმეკალოვის მეთაურობით, რომელმაც მოიარა გურია-აჭარა და სასტიკად ჩააქრო გლეხთა მოძრაობა.

§ 18. ხალხოსნური მოძრაობა

მიწისათვის და ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთების ლიკვიდაციისათვის გლეხთა ბრძოლის ზეგავლენით, რუსეთში მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში აღმოცენდა რევოლუციური მოძრაობა, რომელიც ცნობილია „ხალხოსნური" მოძრაობის სახელწოდებით.

ხალხოსნები ამოცანად ისახავდნენ რევოლუციური ბრძოლას მეფის მთავრობასთან და ცდილობდნენ გლეხების აჯანყებას მეფისა და მემამულეთა წინააღმდეგ. ისინი გლეხებს ჰპირდებოდნენ მთელი მიწის გადმოცემას. მათ ეგონათ. მეფისა და მემამულეთა ძალა-უფლების დამხობა მხოლოდ გლეხთა აჯანყების გზით არის შესაძლებელი. მაგრამ ხალხოსნების პროგრამა და ტაქტიკა მცდარი და საზიანო იყო. ისინი, როგორც უტოპისტები. გულუბრყვილოდ ოცნებობდნენ. სოციალიზმს საგლეხო თემის გზით მივალწევთო. ხალხოსნები ცდილობდნენ გლეხების ამოძრავებას ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ ისინი ვერ ხედავდნენ, არ იცნობდნენ თვითმპყრობელობის დამხობის ნამდვილ გზებს. ისინი არ იცნობდნენ მუშათა კლასს. მათ არ ესმოდათ, რომ მუშებთან კავშირის გარეშე. ამ უალრესად მოწინავე და რევოლუციური კლასის ხელმძღვანელობის გარეშე, — მარტო გლეხები ვერ მოსპობენ მეფისა და მემამულეთა ძალაუფლებას. შეჰქმნა რა „ხალხის თავისუფლების" პარტია, ხალხოსნების ერთმა ნაწილმა შემდგომ სრულებით ხელი აიღო მიწისათვის ბრძოლაზე. ის დაადგა მარტოდენ ტერორის გზას და უწინარეს ყოველისა დაიწყო მზადება მეფის მოსაკლავად. ეს გზა მცდარი და რევოლუციისათვის მეტად საზიანო იყო. ხალხოსნების ტერორი ხელს უშლიდა მასების რევოლუციურ ბრძოლას, ჭაქაოდა მუშათა და გლეხთა ძალებს და ამავე დროს აძლიერებდა რეაქციას მთავრობის მხრით. „ხალხის თავისუფლების" პარტიის განადგურების შემდეგ ხალხოსნების უმრავლესობამ სრულებით ხელი აიღო რევოლუციურ ბრძოლაზე მეფის მთავრობის წინააღმდეგ. მე-19 საუკუნის 80-იან და 90-იან წლებში ხალხოსნები კულაკობის ინტერესთა გამომხატველნი გახდნენ.

70-იან წლებში დაიწყო ხალხოსნური იდეების გავრცელება ქართულ დემოკრატიულ ახალგაზრდობაში. ხალხოსნური ორგანიზაცია საქართველოში ჩამოყალიბდა 1872-1873 წლებში. რუსული საგლეხო თემის მსგავსი რამ საქართველოში არ ყოფილა, მაგრამ ქართველ ხალხოსნებსაც სოციალიზმისაკენ საეალ ერთადერთ გზად თემი მიაჩნდათ, ამიტომ ისინი ამოცანად ისახავდნენ საქართველოში სათემო მიწათსარგებლობის დანერგვას. სოფლად არტელების, კოოპერატივების მოწყობას და სხვ.

1876 წელს მთავრობამ დაარბია ქართული ხალხოსნური ორგანიზაცია. ბევრი ქართველი ხალხოსანი მონაწილეობას იღებდა რუსეთის ხალხოსნების საერთო მუშაობაში. მაგრამ ქართველი ხალხოსნების ერთი ნაწილი ეწინააღმდეგებოდა რუს ხალხთან ერთად საერთო ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ და მოითხოვდა დამოუკიდებელი ამიერ-კავკასიის ფედერაციის დაარსებას. 1880 წელს საქართველოს ხალხოსანთა შორის ორი მიმართულება იყო. ერთი აღიარებდა პოლიტიკური ბრძოლის აუცილებლობას და ინდივიდუალურ ტერორს იცავდა, მეორე მოუწოდებდა მხოლოდ მშვიდობიანი კულტურული მუშაობისაკენ.

მარქსისტები საქართველოში თავიანთი მოღვაწეობის პირველი ნაბიჯებიდანვე შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდნენ ხალხოსნური იდეოლოგიისა და პრაქტიკის წინააღმდეგ.

§ 19. ნაციონალურ-კულტურული ჩაგვრა

როცა 1881 წელს ხალხოსნებმა მეფე ალექსანდრე მეორე მოჰკლეს, მისი მემკვიდრის ალექსანდრე მესამის დროს რუსეთში კიდევ უფრო სასტიკი თავად-აზნაურული რეაქცია დამყარდა. ხოლო საქართველოში, როგორც მეფის რუსეთის კოლონიაში, მას აქეთ უფრო მეტად გაძლიერდა ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრა.

1882 წელს გაუქმდა კავკასიის სამეფისნაცვლო. მეფისნაცვლის მაგიერ შეიქმნა თანამდებობა მთავარმართებლისა, რომელიც თავისი უფლებებით ბევრად არ განსხვავდებოდა რუსეთის რიგითი გენერალ-გუბერნატორისაგან.

ეს ჩაიდინეს იმ მიზნით, რომ მოეპოთ ყოველგვარი დამოუკიდებლობა მხარის მართვა-გამგეობის საქმეში და იგი მთლიანად შეედულებინათ იმპერიასთან. კავკასიის მთავარმართებლად დაინიშნა თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი (1882-1890 წ.წ.). პოლიტიკის „ახალი" გეზი იმაში მდგომარეობდა, რომ მხარე საბოლოოდ გაერუსებინა. აკრძალული იყო თვით სიტყვა „საქართველოს" ოფიციალური ხმარებაც. სახელმძღვანელოებსა და გაზეთებში „საქართველოს" ნაცვლად სწერდნენ: „თბილისის და ქუთაისის გუბერნია"

თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში კავკასიის ხალხთა გაერთიანების თავიდან ასაცილებლად, მეფის მთავრობა ალიევებდა ნაციონალურ შუღლს და ამიერ-კავკასიის ერებს ერთმანეთს უსისხლებდა. ამ გზით ის ცდილობდა ხალხის მასები ჩამოეშორებინა მემამულეთა და მეფის წუობილების წინააღმდეგ ბრძოლისაგან. იმხანად უფრო მეტად გაძლიერდა სასწავლებლებში დედაენისა და ნაციონალური კულტურის ყოველგვარი გამოელინების დევნა. დაწესდა უსასტიკესი ცენზურა პრესასა და ლიტერატურაზე. ხელისუფლებისა და მოხელეთა მოქმედების ოდნავი კრიტიკისათვის ჟურნალ-გაზეთებს დაუყოვნებლივ ხურავდნენ. საქართველოში ხელმძღვანელ სახელმწიფოებრივ თანამდებობებზე მხოლოდ რუსებს ნიშნავდნენ.

§ 20. განათლება, ხელოვნება და მეცნიერება XIX-იანი წლების რეფორმის შემდეგ

ა) რუს ხალხთან ძართველი ხალხის კავშირ-ურთიერთობის განმტკიცება

ბატონყმობის გაუქმებამ და კაპიტალიზმის ზრდამ უეჭველად ხელი შეუწყო საქართველოში განათლების განვითარებას, ნაციონალური ხელოვნებისა და მეცნიერების გამოცოცხლებას. ამავე დროს ხდება რუსი ხალხის მოწინავე კულტურასა და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან ქართული ხალხის კავშირურთიერთობის შემდგომი განმტკიცება და განვითარება.

ამ კავშირურთიერთობის განმტკიცება ხდება, უწინარეს ყოვლისა, ქართული ახალგაზრდობის მეშვეობით, რომელიც უმაღლესი განათლების

მისაღებად მოსკოვსა, პეტერბურგსა და რუსეთის სხვა კულტურულ ცენტრებში მიდიოდა. უნივერსიტეტებში ახალგაზრდობა ისმენდა ცნობილ რუს პროფესორთა ლექციებს და ეცნობოდა დასავლეთ ევროპისა და რუსეთის მოწინავე იდეებს. მოწინავე ქართველ საზოგადოებაზე უდიდესი გავლენა ჰქონდათ რუსეთის დიდ რევოლუციონერ-დემოკრატებს: ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვს, აგრეთვე ძლიერ რუს პუბლიცისტს, რევოლუციონერ მწერალს ა. გერცენს. პროგრესიულ ქართველ საზოგადოებაში განსაკუთრებული ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობდა ჩერნიშევსკი, რომელსაც ლენინმა „მარქსამდელი პერიოდის დიდი რუსი სოციალისტი“ უწოდა.

სახალხო განათლება

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საქართველოში იზრდება სასკოლო ქსელი. 1867-72 წლებში მთელს საქართველოში სხვადასხვა ტიპის 187 სკოლა ითვლებოდა. მათში 6.616 ბავშვი სწავლობდა. მე-19 საუკუნის დამლევს კი საქართველოში 1199 სასწავლებელი იყო. სადაც 73.053 ბავშვი სწავლობდა.

მიუხედავად სასწავლებელთა რიცხვის ზრდისა, წერა-კითხვის მცოდნეთა პროცენტი საქართველოში, განსაკუთრებით ქალთა შორის, ჯერ კიდევ მეტისმეტად დაბალი იყო. ასე, მოსახლეობის 1897 წლის ოფიციალური აღწერის მიხედვით, ყოფილ თბილისის გუბერნიაში წერა-კითხვის მცოდნე იყო: მამაკაცთა შორის — 20.6 პროცენტი და ქალთა შორის 13,4 პროცენტი. ყოფილ ქუთაისის გუბერნიაში: მამაკაცთა შორის — 20,2 პროცენტი და ქალთა შორის 10.7 პროცენტი. ბათუმის ოლქში: მამაკაცთა შორის — 19,4 პროცენტი და ქალთა შორის — 6.0 პროცენტი. სოხუმის ოლქში: მამაკაცთა შორის — 14,3 პროცენტი და ქალთა შორის — 3,8 პროცენტი. საშუალო სასწავლებლებში ქართველთა შეილები შედარებით უმცირესობას შეადგენდნენ. ასე, 1898 წელს საქართველოს ყველა საშუალო სასწავლებელში ქართველები მოსწავლეთა საერთო რიცხვის მხოლოდ 28 პროცენტს შეადგენდნენ. საშუალო განათლება მშრომელი მოსახლეობისათვის თითქმის მიუწვდომელი იყო. იმავე 1898 წელს ქალაქ თბილისის საშუალო სასწავლებლებში გლეხთა შვილები დაახლოებით 2 პროცენტს შეადგენდნენ. 1881 წლიდან დედა-ენის სწავლება ქართულ სკოლებში ნებადართული იყო მხოლოდ პირველი სასწავლო წლის პირველ ნახევარში, შემდეგ ყველა საგანი რუსულ ენაზე უნდა ესწავლებინათ.

მოწინავე ქართველ საზოგადოებას მრავალჯერ წამოუყენებია საკითხი თბილისში უმაღლესი სასწავლებლის გახსნის შესახებ, მაგრამ მეფის მთავრობა იმით დაკმაყოფილდა, რომ თბილისში გახსნა კადეტთა კორპუსი, სადაც ღებულობდნენ თავად-აზნაურთა შვილებს მეფის ჯარში სამსახურისათვის ოფიცრებად მოსამზადებლად.

გ) ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება

მოწინავე ქართველი საზოგადოება იბრძოდა სახალხო სკოლისათვის, სკოლაში დედა-ენისათვის. მთელ რიგ საზოგადო მოღვაწეთა დიდი მეცადინეობით მთავრობამ 1879 წელს. როგორც იქნა, დაამტკიცა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" წესდება. საზოგადოება მიზნად ისახავდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გავრცელებას. ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გახსნას, ქართულ ენაზე სახელმძღვანელოთა შექმნას. ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებების იაფფასიან გამოცემას და სხვ.

გარდა იმისა, რომ ეს საზოგადოება საქართველოს სხვადასხვა რაიონებში საკუთარ სკოლებს ხსნიდა და მათ მატერიალურად ეხმარებოდა, იგი იბრძოდა იმისათვის, რომ ქართული ენის სწავლება უკეთ ყოფილიყო დაყენებული სახელმწიფო სასწავლებლებშიაც. ამ მიზნით საზოგადოება ცდილობდა მიეღო ნებართვა და საშუალო სკოლებში ქართული ენის საკუთარი მასწავლებლები ჰყოლოდა. საქართველოს სხვადასხვა რაიონებში საზოგადოებამ გახსნა 66 ბიბლიოთეკა-სამკითხველო. 1892 წელს მან თბილისში გახსნა პირველი საბავშვო ბიბლიოთეკა. თავისი მოღვაწეობის პერიოდში საზოგადოებამ გამოსცა მთელი რიგი სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე. საზოგადოებამ გახსნა მუზეუმი. სადაც თავს იყრიდა საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლები. ინახებოდა ხელნაწერები და იშვიათი გამოცემანი ქართველი ხალხის ისტორიიდან.

დ) ქართული პერიოდული პრესა

1863 წელს დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით დაიწყო ეროვნალ „საქართველოს მოამბის" გამოცემა ქართულ ენაზე. ეროვნალში თანამშრომლობდნენ საქართველოს მაშინდელი საუკეთესო ლიტერატურულ-მხატვრული ძალები. ეს იყო იმ დროის საუკეთესო ეროვნალი. იქ, სხვათა შორის, დაბეჭდილია მთელი რიგი ბრწყინვალე და შინაარსიანი სტატიები. რომლებშიც დასაბუთებულია საქართველოში ბატონყმობის დაუყოვნებლივ გაუქმების აუცილებლობა. ამავე ეროვნალში იბეჭდებოდა ქართველ მწერალთა საუკეთესო ნაწარმოებები. აგრეთვე ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის და სხვ. ნაწარმოებათა თარგმანი. 1866 წლიდან იწყება ქართული გაზეთის „დროების" გამოცემა. მის რედაქტორად სხვადასხვა დროს იყვნენ ცნობილი ეროვნალისტები და საზოგადო მოღვაწენი: გ. წერეთელი, ს. მესხი, ი. მაჩაბელი.

საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში „დროებამ" დიდი როლი ითამაშა. გაზეთი ეხმაურებოდა საქართველოს ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან მოვლენას. იგი გაბედულად ამხილებდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ნაკლოვანებას, უღმობლად ამათრახებდა მებატონეებს, სამღვდელოებას და ჭალაქისა და სოფლის ბურჟუაზიას. როგორც ქართველი ხალხის მეგობარი და მისი ინტერესების დამცველი, „დროება" იბრძოდა კოლონიზატორთა და რუსიფიკატორთა წინააღმდეგ, დედაენისა, ლიტერატურისა და კულტურისათვის. გაზეთი ჩადგებოდა და იცავ

ედა ამიერ-კავკასიის ყველა ხალხის ძმობასა და თანამეგობრობას. 1885 წლის სექტემბერს „დროება" დაბეჭდა მთავრობამ. 1866 წლიდან ერთადერთ გაზეთად. რომელიც თბილისში ქართულ ენაზე გამოდიოდა, დარჩა ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებული და მისი რედაქტორობით გამომაჟალი „ივერია".

3) მხატვრული ლიტერატურა

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში თავის განვითარებაში განსაკუთრებული წარმატება მოიპოვა ქართულმა მხატვრულმა ლიტერატურამ.

ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი და ახალი სალიტერატურო ენის შემქნელი იყო ილია ჭავჭავაძე (1837-1907 წ. წ.). ილია ჭავჭავაძე. ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის მიმდევარი. თავის მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწარმოებებში ატარებდა ხალხის მსახურების, მისი განათლების იდეას. ის სასტიკად ამათრახებდა ბატონყმობას და უმღეროდა გლეხის შრომას („კაკო ყაჩაღი". „გლახის ნაამბობი"). თავის ნაწარმოებებში ილია ჭავჭავაძე აგრეთვე გვიხატავდა თავად-აზნაურობის გადაშენებას. მის წარმომადგენელთა პარაზიტულ სახეს (მოთხრობა „კაცია ადამიანი?"). იგი იდგა თავისი სამშობლოს საზოგადოებრიე-პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში და გადაიქცა ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მედროშედ საქართველოში. ილია ჭავჭავაძემ, რომელიც ერთსადროს იყო დიდი ქართველი მწერალი, შესანიშნავი პუბლიცისტი. კრიტიკოსი. ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, თავისი მრავალმხრივი ნიჭი შესწირა ხალხის სამსახურს, ბრძოლას თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ.

ილია ჭავჭავაძის უახლოესი თანამებრძოლი იყო პოეტი აკაკი წერეთელი (1840-1915 წ. წ.). ილია ჭავჭავაძესთან ერთად. აკაკი წერეთელი საქართველოში ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე იყო. აკაკის ღრმად სწამდა თავისი სამშობლოს ბრწყინვალე მომავალი, მას სწამდა მისი განთავისუფლება თვითმპყრობელობის უღლისაგან. თავის ნაწარმოებებში აკაკი წერეთელი ამეტყველდა ნამდვილი ხალხური ენით. აკაკი წერეთლის ლიტერატურული მოღვაწეობა ფართო და მრავალფეროვანია, მაგრამ განსაკუთრებულ სრულყოფას და სინარნარეს მან პოეზიაში მიაღწია. მისი ლექსები დაწერილია მარტივი, მსუბუქი და ხალხური ენით. ბევრი მისი სიმღერა ფართოდ არის გავრცელებული ქართველ მშრომელ მასებში და ჰეშმარიტად ხალხურ სიმღერებად იქცა.

ქართულ ლიტერატურაში შესამჩნევი კვალი დასტოვა აგრეთვე გიორგი წერეთელმა (1842-1900 წ. წ.), რომელმაც რომანში „პირველი ნაბიჯი", მოთხრობაში — „ჩვენი ცხოვრების ყვავილი" და სხვა ნაწარმოებებში ნიჭიერად დაგეიხატა ის ცვლილებები, რაც მაშინ ხდებოდა ქართველი ხალხის სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში.

ქართულ ლიტერატურაში ხალხოსნური მიმართულებას მიეკუთვნება მწერალთა მთელი ჯგუფი, მათ შორის ყველაზე ცნობილია ანტონ ფურ-

ცელაძე (1839-1913 წ.წ.) და სოფრომ მგალობლიშვილი (1851-1925 წ.წ). 80-იან წლებში ასპარეზზე გამოვიდა ორი შესანიშნავი მწერალი: ვაჟა-ფშაველა (1861-1915 წ. წ.) და ალექსანდრე ყაზბეგი (1848-1899 წ. წ.). ორივე განსაკუთრებით მკაფიოდ გეხატავდა ქართველ მთიელთა ცხოვრებას. ვაჟა-ფშაველა ლექსის ოსტატია, ალექსანდრე ყაზბეგი კი — პროზის ოსტატი. მათი შემოქმედების ძირითადი მოტივია — პროტესტი ხალხის მასების კოლონიური და სოციალური ჩაგვრის და ექსპლოატაციის წინააღმდეგ. მოწოდება ხალხისადმი თავისუფლებისათვის საბრძოლველად.

90-იან წლებში იწყება ახალი გარდამავალი პერიოდი ქართულ ლიტერატურაში. იგი წინ უძღოდა საქართველოში მუშათა მოძრაობის წარმოშობას. ამ პერიოდის მხატვრული შემოქმედების ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია ცნობილი ქართველი მწერალი ეგნატე ნინოშვილი (1859-1894 წ. წ.). თავის ნაწარმოებებში ნინოშვილი ასურათებდა სოფლად მემამულეთა და გლეხთა შორის, სოფლის ბურჟუაზიასა და უღარიბეს გლეხობას შორის კლასობრივი ბრძოლის გაშწვავებას. ეგნატე ნინოშვილის ყველაზე პოპულარულ და მხატვრულ ნაწარმოებებად ითვლება „ჯანყი გურიაში". „პალიასტომის ტბა". „გოგია უიშვილი". „მოხე მწერალი" და სხვ.

3) ქართული თეატრი და სახვითი ხელოვნების სხვა სახეები

პირველმა ქართულმა თეატრმა 1856 წელს უსახსრობის გამო შესწყვიტა თავისი არსებობა, მაგრამ ინტერესი თეატრისადმი ამის შემდეგაც ერთი წუთითაც არ შენელებულა. სცენის მოყვარულთა დასები სდგამდნენ წარმოდგენებს ქართულ ენაზე როგორც კლუბებში, ისე კერძო სახლებში. 1879 წელს დაარსდა „ქართული დრამატიული საზოგადოება" მუდმივი ქართული დრამატიული დასი. მას აქვთ სათეატრო საქმე საქართველოში სწრაფად ვითარდება. გვეელინებიან სცენის შესანიშნავი მოღვაწენი: ლადო ალექსი-მესხიშვილი, ვ. აბაშიძე. ე. გუნია. კ. ყიფიანი. კ. მესხი და სხვ. ქართული თეატრის რეპერტუარი მდიდრდება როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი პიესებით.

ამ პერიოდის ორიგინალურ დრამატულ მწერალთა შორის აღსანიშნავია: დ. ყიფიანი. ა. ცაგარელი, ვ. აბაშიძე. რომელიც სხვათა შორის, უშვებდა პირველ ქართულ სათეატრო გაზეთს „თეატრის" სახელწოდებით, კ. ყიფიანი. პ. უმიკაშვილი, ვ. გუნია და სხვ.

დრამატული პიესების მთარგმნელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ი. მაჩაბელი. რომელმაც ნიჭიერად სთარგმნა ქართულად შექსპირის პიესები: „მეფე ლირი", „ჰამლეტი", „მაკბეტი", „ოტელო" და სხვ.

1874 წელს თბილისში იხსნება პირველი მუსიკალური სკოლა (რომელიც შემდეგ კონსერვატორიად გადაკეთდა). ამ სკოლამ საკმაოდ შეუწყო ხელი ქართული ხალხური მუსიკის აღორძინებას და შემდგომში ქართული საოპერო ხელოვნების წარმოშობას, ნაციონალური ქართული

ოპერების პირველ შემოქმედთა — ლ. არაყიშვილის, ზ. ფალიაშვილის, მ. ბალანჩივაძის და სხვათა გამოჩენას.

იმავე პერიოდში ვითარდება ქართული ფერწერა და ქანდაკება. ამიერკავკასიის ფარგლებს გარეშეც ცნობილი ხდებიან მხატვრები: გ. გაბაშვილი, მ. თოიძე, მოქანდაკე ი. ნიკოლაძე, თავისებური სახალხო მხატვარი ნიკო ფიროსმანიშვილი და სხვ.

ზ) მეცნიერთა კადრები

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში განათლებულ ქართველთა შორის ჩნდებიან მეცნიერთა კადრები, რომლებიც თავიანთი სამეცნიერო გამოკვლევებით ფართოდ ცნობილი ხდებიან არა მარტო რუსეთში, არამედ საზღვარგარეთაც. ასე, პროფ. დ. ჩუბინაშვილმა გამოსცა ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები, პროფ. ი. ოქრომჭედლიშვილი აქვეყნებს „ისტორიულ ცნობებს საქართველოს და სომხეთის უძველესი ისტორიიდან", პროფ. ა. ცაგარელი აქვეყნებს დიდ სამეცნიერო შრომებს: „ქართული ენის გრამატიკული ლიტერატურის შესახებ", „ცნობები ქართული სიტყვიერების ძეგლებზე", „სიგელები", და სხვ., პროფ. ა. ხახანაშვილი აქვეყნებს: „ქართული სიტყვიერების ისტორიის ნარკვევებს". საყურადღებო შრომებით ისტორიისა და ლიტერატურის დარგში სახელი მოიხვეჭეს პ. უმიკაშვილმა, დ. ბაქრაძემ, მ. ჯანაშვილმა და სხვებმა, ბუნებისმეტყველების დარგში — პროფ. მელიქიშვილმა, პროფ. პეტრიაშვილმა, ზაალიშვილმა, თარხნიშვილმა და სხვებმა; პედაგოგიკის დარგში — ი. გოგებაშვილმა („დედა-ენის", „ბუნების კარის" და სხვა ავტორი). მე-19 საუკუნის დამლევს თავისი მეცნიერული მოღვაწეობა დაიწყო მომავალმა აკადემიკოსმა, აღმოსავლეთის ცნობილმა მკვლევარმა, ლინგვისტმა და არქეოლოგმა, იაფეტური თეორიის შემქმნელმა ნ. ი.. მარმა.

თავი მესამე

დასაწყისი მუშათა კლასის ბრძოლისა კაპიტალიზმის წინააღმდეგ

§ 21. პირველი მუშური ორგანიზაციები საქართველოში

ბატონალერ-კოლონიური ჩაგვრა და უზომო კაპიტალისტური ექსპლოატაცია საქართველოს ახალგაზრდა მუშათა კლასს ამხედრებდა თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად. მუშები უკვე თავად ერთიანდებოდნენ ცალკეულ საწარმოებში და კაპიტალისტებს უყენებდნენ მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების მოთხოვნას.

მაგრამ ქართველ მუშათა ეს პირველი გაფიცვები სტიქიური და არაორგანიზებული იყო. პოლიციის და ჟანდარმების დახმარებით კაპიტალისტები ამარცხებდნენ მუშათა გამოსვლებს, ამ გამოსვლების მწარე გამოცდილებას იმდროინდელი მოწინავე მუშები იმ დასკვნამდე მიჰყავდა, რომ საჭიროა ორგანიზებული ბრძოლა, წინააღმდეგ შემთხვევაში რაიმე

წარმატების მოპოება შეუძლებელიაო. მუშებში თანდათან იზრდება ინტერესთა ერთობისა და საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად გაერთიანების აუცილებლობის შეგნება. ჯერ კიდევ 70-იან წლებში თბილისში ალმოცენდა მუშათა წრეები, რომელთა წევრები იხდიდნენ საწევრო გამოსაღებს, თვითგანვითარებას მისდევდნენ და სხვ. 1884 წელს მუშებში აგროვებენ სახსრებს არალეგალური სტამბის გასახსნელად. მუშათა წრეებში იკითხება არალეგალური ლიტერატურა. იმჟამად საქართველოს მუშათა და ხელოსანთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა პოეტი ი. დაეითაშვილი (1850-1887 წ. წ.). ი. დაეითაშვილი გამოსული იყო ღარიბი გლეხობის წრიდან, მას არავითარი განათლება არ მიუღია. დაეითაშვილი თავის პოეზიაში გვიხატავდა ღარიბი გლეხისა და ქალაქის მუშის ბედშავ ცხოვრებას და მათ თავიანთ მჩაგვრელთა და ექსპლოატატორთა წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდა.

1887 წელს ამავე თბილისელმა მუშამ გაზეთ „ივერიის“ რედაქციას გაუგზავნა წერილი, რომელშიც გამოთქვამდნენ ღრმა მწუხარებას საყვარელი პოეტის ნაადრევი სიკვდილის გამო. რედაქციას წერილები გამოუგზავნეს თელავისა და გორის მუშებმაც. ი. დაეითაშვილის საფლავზე განსაკუთრებით პრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა მუშა-ხელოსანმა გოლოძემ.

საქართველოში რომ იმ ხანებში საკმაოდ მაღალი კულტურული დონის მჭიდრო მოწინავე და შეგნებული მუშები იყვნენ, ამას. სხვათა შორის, მოწმობს ამჟამად გამოქვეყნებული შესანიშნავი წერილი, რომელიც შეადგინეს თბილისელმა მუშებმა დიდი რუსი შწერალ-სატირიკოსის სალტიკოვ-შჩედრინის გარდაცვალების გამო და გაუგზავნეს მის ცოლს.

„მისი (სალტიკოვ-შჩედრინის) სახით, სწერდნენ მუშები, — რუსეთმა დაკარგა სიმართლისა და თავისუფლების საუკეთესო, სამართლიანი და ენერგიული დამცველი, მებრძოლი ბოროტების წინააღმდეგ. რომელსაც ის თავისი ძლიერი გონებით და სიტყვით ძირშივე ჰგმობდა. და ჩვენ, მუშები, ვუერთდებით საერთო გლოვას დიდ ადამიანზე“. შემდეგ მუშები სწერდნენ, რომ სალტიკოვ-შჩედრინის უკანასკნელი მოთხრობები გააშხნეებენ და მოუწოდებენ მშრომელებს „ბოროტებისა და ჩაგვრის წინააღმდეგ საბრძოლველად და სიმართლისა და სინათლის სახელებლად“.

1889-1892 წლებში თბილისში გამოდიოდა ქართულ ენაზე არალეგალური მუშური ჟურნალები: „მუშა“, „განთიადი“ და „სინათლე“. ისინი ასწერდნენ პროლეტარიატის მდგომარეობას საქართველოში. მოუხედავად ამ ჟურნალების პრიმიტიული ტექნიკის და შედარებით ხანმოკლე არსებობისა, მათ ერთგვარი დადებითი როლი ითამაშეს მუშათა ალბრძოლის, მათ შორის ერთობისა და სოლიდარობის იდეების გავრცელების საქმეში.

§ 22. პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია საქართველოში — „ხესამე დასი“

რუსეთში იმჟამად სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებისა და მუშათა მოძრაობის ზრდის ნიადაგზე დაიწყო მარქსიზმის ფართოდ გავრცე-

ლება. ლენინის მიერ შექმნილმა და მისი ხელმძღვანელობით მომქმედმა „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის პეტერბურგის კავშირმა" მძლავრი ბიძგი მისცა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის განვითარებას მთელს რუსეთში.

ცარიზმის მძარცველური ნაციონალურ-კოლონიური პოლიტიკა. ბატონყმობის ნაშთები სოფლად და კაპიტალიზმის გაძლიერებული განვითარება ნამდვილ რევოლუციურ ვითარებას ჰქმნიდნენ საქართველოში. ეს ვითარება თავის მხრივ ამზადებს ნიადაგს მარქსიზმის დიადი რევოლუციური იდეების გავრცელებისათვის. ამიერ-კავკასიაში და საქართველოში ამ იდეების გავრცელებას დიდად ხელს უწყობდნენ ცენტრალური რუსეთიდან გადმოსახლებული რუსი სოციალ-დემოკრატები (ი. კოგანი, ი. ლუბინი, გ. ფრანჩესკი და სხვ.), აგრეთვე პეტერბურგიდან ნამყოფი ან რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში ნასწავლი ქართველი ახალგაზრდობა.

1893 წელს საქართველოში წარმოიშვა პირველი ქართული მარქსისტული ორგანიზაცია — „მესამე დასი". თავის შეხედულებათა პროპაგანდას ეს ორგანიზაცია ეწეოდა ქართულ ლეგალურ გამოცემებში — გაზეთ „კვალსა" და ჟურნალ „მოამბეში".

1893-1898 წლებში „მესამე დასმა" ერთგვარი დადებითი როლი ითამაშა მარქსიზმის იდეების გავრცელების საქმეში. „მესამე დასის" იდეოლოგები სცნობდნენ კაპიტალიზმის განვითარების პროგრესიულ მნიშვნელობას და ამ მიმართულებით ეწეოდნენ ბრძოლას ხალხოსნების წინააღმდეგ. ისინი სცნობდნენ საზოგადოების კლასობრივ დანაწილებას და კლასთა ბრძოლას, მაგრამ გადაჭრით ილაშქრებდნენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიისა და პროლეტარიატის დიქტატურის იდეების წინააღმდეგ. ნაციონალურ საკითხში „მესამე დასის" უმრავლესობა ნაციონალისტურ პოზიციას იკავებდა და ჰქადაგებდა ყველა ქართველის ინტერესთა ერთობას საქართველოს ნაციონალური ალორძინების საქმეში. „მესამე დასის" უმრავლესობა საქართველოს პირობებში წარმოადგენდა „ლეგალურ მარქსისტებს", რომლებიც ავიწროებდნენ და ამახინჯებდნენ პროლეტარიატის დიად მოძღვრებას — რევოლუციურ მარქსიზმს და ცდილობდნენ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა დაემორჩილებინათ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მოძრაობის ინტერესებისადმი.

1895 წელს „მესამე დასში" შევიდა რევოლუციონერი მარქსისტი ალექსანდრე წულუკიძე, 1897 წელს — პროფესიონალი რევოლუციონერი, ლენინურ-ისკრული იატაკქვეშეთის გამოჩენილი ორგანიზატორი ლ. კეცხოველი, ხოლო 1898 წელს — ლენინის ყველაზე ღრმა და ბოლომდე თანამიმდევარი მოწაფე და თანამოღვაწე ი. ბ. სტალინი.

§ 28. ი. ბ. სტალინი

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი (ჯუღაშვილი) დაიბადა 1879 წლის 21 დეკემბერს ქალაქ გორში. მისი მამა — ბესარიონ იოანეს-ძე ჯუღაშვილი წარმოშობით იყო გლეხი სოფელ დიდი ლილოდან. სტალინის მამა

ხელობით ხარაზი იყო, მუშაობდა თბილისში ადელხანოვის ფეხსაცმლის ფაბრიკაში. დედა—ეკატერინე გიორგის-ასული ჯუღაშვილი სოფელ გამბარეულის მცხოვრები ყმის გლეხის ქალიშვილი იყო. 1894 წელს სტალინმა დაამთავრა გორის სასულიერო სასწავლებელი და იმავე წელს შევიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. სემინარია დახურული სასწავლებელი იყო. მოსწავლეებს აკრძალული ჰქონდათ თეატრში სიარული, ბიბლიოთეკიდან წიგნების გამოტანა. მათ ეთვალთვალებდნენ, უკრძალავდნენ დედა-ენაზე ლაპარაკს და ფიქრსაც კი, წარამარა სჯიდნენ. სტალინი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა თავის ამხანაგებში — სემინარიელებში. სემინარიის უფროსებისაგან მალულად სტალინი სწავლობდა ბუნებისმეტყველებას, ბიოლოგიას, ქიმიას, გეოლოგიას. სწავლობდა დარვინს. სწავლობდა ქართული მწერლობის კლასიკოსებს. დიდ რუს რევოლუციონერებს გერცენს, ჩერნიშევსკის. დობროლიუბოვს. სტალინი სწავლობდა ლ. ფეიერბახის წიგნს — „ქრისტიანობის დედაარსი" და მარქსიზმის კლასიკოსებს. თბილისის ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში სტალინმა იშოვა მარქსის „კაპიტალის" პირველი ტომის რუსული გამოცემა.

სემინარიაში სტალინი უშვებდა არალეგალურ ხელნაწერ ჟურნალს. მან იქ მოაწყო მარქსისტული წრე. 1895 წელს, ი. ჭავჭავაძის რედაქტორობით გამომავალი გაზეთის „ივერიას" № 123-ში დაიბეჭდა სტალინის ლექსი „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი" ი. ჯ-შვილის ხელმოწერით. ეს ლექსი შემდეგ გადაიბეჭდა ი. ვოგებაშვილის „დედა-ენაში". სტალინმა დაბეჭდა აგრეთვე მთელი რიგი ლექსები: „როდესაც ბალღად მნათობი მთვარე..." „მთვარეს", რ. ერისთავს", „მოხუცი ნანიკა" და სხვ.

სემინარიაში ყოფნისას, 1894 წლის დამლევს სტალინმა კავშირი დაამყარა რუსეთიდან თბილისში გადმოსახლებულ რუს რევოლუციონერებთან (ი. კოგანთან, ი. ლუზინთან, ფრანჩესკისთან და სხვ.), რომელთაც დიდი გავლენა იქონიეს სტალინზე და მას გააცნეს მარქსიზმი. სტალინი განათლებული მარქსისტი ხდება. ლენინის ნაშრომებმა უკვე მაშინაც ღრმა შთაბეჭდილება მოახდინეს სტალინზე. ერთერთი ამხანაგი, რომელიც სტალინს იმხანად ახლო იცნობდა, თავის მოგონებებში აღნიშნავს, რომ ტულინის (ლენინის) ნაშრომის წაკითხვის შემდეგ სტალინს უთქვამს: რადაც უნდა დამიჯდეს, ის უნდა ვნახოო.

1898 წელს სტალინი და მისი თანამებრძოლნი დაუკავშირდნენ თბილისის საწარმოთა მოწინავე მუშებს. მარქსიზმის პროპაგანდისათვის სტალინი 1899 წლის 29 მაისს გარიცხეს თბილისის სასულიერო სემინარიიდან. მას აქეთ სტალინმა გასწია პროფესიონალი რევოლუციონერის მძიმე, მაგრამ საბელოვანი გზით, თავისი ძალღონე, ენერგია და ნიჭი მთლიანად მიუძღვნა პარტიულ და რევოლუციურ მუშაობას.

სტალინმა მჭიდრო კავშირი დაამყარა ამიერკავკასიის კომიტეტის მთავარი სახელოსნოების და დეპოს მუშებთან.

90-იან წლებში ამ სახელოსნოებში მუშაობდნენ რუსი რევოლუციონერები მ. ი. კალინინი, ს. ი. ალილუევი, დიდი რუსი რევოლუციონერი მწერალი ა. მ. გორკი. ამ პერიოდში ქართველ მუშათა წრეში გამოირჩე-

ორდენ მასების მტკიცე ხელმძღვანელები — მუშები მიხო ჩოდრიშვილი, ზაქრო ჩოდრიშვილი, გიორგი თელია, ვანო სტურუა და სხვ.

სტალინმა 1898 წლის დასაწყისში რკინიგზის სახელოსნოების და დეპოს მოწინავე მუშებისაგან მოაწყო ხუთი არალეგალური წრე, რომელთაც პირადად ხელმძღვანელობდა. სტალინი მონაწილეობას იღებს მუშათა არალეგალურ კრებებში, სწერს ფურცლებს, აწყობს გაფიცვებს. ეს იყო რევოლუციური პრაქტიკული მუშაობის პირველი სკოლა, რომელიც გაიარა სტალინმა თბილისის მოწინავე მუშათა შორის.

„მე მაგონდება, — ამბობდა სტალინი — 1898 წელი, როცა მე პირველად მივიღე რკინიგზის სახელოსნოების მუშათა წრე. აქ, ამ ამხანაგების წრეში, მივიღე მაშინ ჩემი პირველი საბრძოლო რევოლუციური ნათლობა... ჩემი პირველი მასწავლებლები იყვნენ თბილისელი მუშები".

§ 24. ლენინურ-ისკრული მიმართულების პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები საქართველოში

„მესამე დასის" რევოლუციური უმცირესობის ბელადმა სტალინმა თავის მეგობრებთან — ლადო კეცხოველთან და ალექსანდრე წულუკიძესთან ერთად გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა ქართული „ლეგალური მარქსიზმის" წინააღმდეგ. სტალინი და მისი თანამებრძოლნი მოითხოვდნენ საწრეო პროპაგანდიდან მუშათა შორის მასობრივ პოლიტიკურ-აგიტაციაზე გადასვლას, მათ დარაზმვას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლისათვის, ეკონომიური გაფიცვების გადაყვანას პოლიტიკურ ბრძოლის რელსებზე, არალეგალური სტამბების შექმნას და სხვ.

1898-1900-იანი წლების პერიოდში თბილისში სტალინის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა და გაფორმდა ცენტრალური სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი.

რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების საქმეში დიდი როლი ითამაშა ცნობილმა რევოლუციონერმა და ვ. ი. ლენინის მიმდევარმა, რუსეთიდან გადმოსახლებულმა ვ. კურნატოვსკიმ. 1901 წლის სექტემბრიდან სტალინის და კეცხოველის თაოსნობით გამოდის პირველი არალეგალური ქართული სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ბრძოლა". სტალინის უახლოესი მეგობარი ლადო კეცხოველი ბაქოში ქმნის ლენინურ-ისკრული მიმართულების კომიტეტს და აწყობს არალეგალურ სტამბას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი რუსეთის მასშტაბით.

1901 წლის 11 ნოემბერს შესდგა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კონფერენცია, რომელზედაც აირჩეულ იქნა პირველი ლენინურ-ისკრული მიმართულების თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი სტალინის მეთაურობით.

ამ კომიტეტის დაკალებით, სტალინი ნოემბრის დამლევს მიემგზავრება ბათუმში. სტალინი ბათუმში აძალებს დიდ რევოლუციურ მუშაობას, ქმნის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას და აარსებს რსდმპ ბათუმის კომიტეტს.

ამრიგად, რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მშობლობის პირველ დღეებიდანვე მარქს-ენგელს-ლენინის დიადი იდეები იჭრება ამიერ-კავკასიასა და საქართველოში.

ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები — ი. სტალინი, ლ. კეცხოველი, ა. წულუკიძე და სხვ. ერთბაშად დადგნენ ლენინის დროშის ქვეშ. პეტერბურგის მუშებსა და საქართველოს პროლეტარიატს შორის დამყარდა მტკიცე ურღვევი კავშირი. ამიერ-კავკასიის ლენინურ-ისკრულ ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგა მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრების ერთერთი ფუძემდებელი, ე. ი. ლენინის უახლოესი თანამებრძოლი, საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადი. ახალი კატორღის ბელადი — სტალინი.

„სტალინი განიმსჭვალა უსაზღვრო რწმენით ლენინის რევოლუციურ გენიისადმი და მან ლენინის გზით გასწია. ამ გზიდან მას არასოდეს არ გადაუხვევია და ლენინის სიკვდილის შემდეგ გაბედულად და რწმენით განაგრძობს მის საქმეს"

§ 25. მუშათა მასობრივი პოლიტიკური მოძრაობის დასაწყისი

თბილისის ლენინურ-ისკრული მიმართულების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მუშები ნაკლებად ორგანიზებული და სტიქიური ეკონომიური გაფიცვებიდან გადადიან ორგანიზებულ პოლიტიკურ ბრძოლაზე.

1898 წელს თბილისში სტალინის ხელმძღვანელობით ჩატარდა რკინიგზის სახელოსნოების მუშათა დიდი გაფიცვა. რკინიგზის ადმინისტრაცია იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა გაფიცულ მუშათა მოთხოვნები.

1900 წელს მიმდინარეობდა ცხენის რკინიგზის („კონკის"). თამბაქოს ფაბრიკებისა და სტამბების მუშათა გაფიცვები. 1900 წლის აგვისტოში სტალინის ხელმძღვანელობით ჩატარდა რკინიგზის მთავარი სახელოსნოების და დეპოს მუშათა დიდი გაფიცვა. ამ გაფიცვაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მ. ი. კალინინი, რომელიც რკინიგზის სახელოსნოებში ხარატად მუშაობდა.

რკინიგზელთა აგვისტოს გაფიცვას მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აგვისტოს გაფიცვის წლისთავზე რსდმპ თბილისის კომიტეტი სწერდა:

მაშ წინ, მეგობრებო, ბედნიერი და თავისუფალი ცხოვრების უფლებისათვის საბრძოლველად! უკვე შორს არაა გამარჯვება! მუშათა მოძრაობა რუსეთის მძლავრ ტალღად მოედო! მაშ გაერთიანდით, დაირაზმეთ კავშირებში, სალაროებში, და მაშინ მალე განხორციელდება სიტყვები პირველი მუშა-მებრძოლის პეტრე ალექსეევისა, რომელმაც გასამართლებისას შესძახა: „როცა ალიმართება მუშის ძარღვმაგარი ხელი, მაშინ ჯარისკაცთა ხიშტებით დაცული უღელი დესპოტიზმისა გაცამტერდებაო".

მუშათა მოძრაობა საქართველოში ხდება სერიოზულ ძალად. რევოლიუციური სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით ხორციელდება

სოციალიზმის შეერთება მუშათა მოძრაობასთან. პროლეტართა ბრძოლა თავიანთი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის უკავშირდება პოლიტიკურ ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ.

1899 წლის 19 აპრილს რამდენიმე ათეულმა მუშამ საქართველოში პირველად იდღესასწაულა პირველი მაისობა — მუშათა საერთაშორისო სოლიდარობის დღე. ერთი წლის შემდეგ ამ დღესასწაულში მონაწილეობას ღებულობს ოთხას-ხუთასი მუშა. ხოლო 1901 წელს საპირველმაისო დღესასწაული თბილისში აღინიშნა საქართველოს პროლეტარიატის პირველი აშკარა პოლიტიკური გამოსვლით.

დემონსტრაცია სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით გაიმართა 22 აპრილს კვირა. ალექსანდრეს ბაღის უბანში, ჯარისკაცთა ბაზარზე.

დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო ორი ათასამდე მუშამ. მუშებმა გაშალეს წითელი დროშა. დემონსტრაციის დროს მოხდა მუშების შეტაკება პოლიციასთან და ყაზახებთან. დასჭრეს 14 მუშა და დააპატიმრეს 50-ზე მეტი. აფასებდა რა 1901 წლის დემონსტრაციის მნიშვნელობას, ლენინური „ისკრა" სწერდა: „კვირას, 22 აპრილს, თბილისში მომხდარი ამბავი ისტორიულად ფრიად მნიშვნელოვანია მთელ კავკასიისათვის: ამ დღიდან კავკასიაში იწყება აშკარა რევოლუციური მოძრაობა".

1902 წლის დასაწყისიდანვე ბათუმში სტალინის ხელმძღვანელობით ჩაღდება მასობრივი საგაფიცვო ბრძოლა, რომელიც მუშების ორგანიზებულობისა და დარაზმულობის მეოხებით წარმატებით დამთავრდა. კაპიტალისტები იძულებული გახდნენ დაეკმაყოფილებინათ მუშათა მოთხოვნები. 1902 წლის 27 თებერვალს გამოცხადდა გაფიცვა როტშილდის ქარხანაში, სადაც წინადღით ადმინისტრაციამ გამოაკრა სია 389 მუშისა, რომელთაც ითხოვდნენ რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის. 7 მარტს ღამით დააპატიმრეს 32 მუშა, როგორც როტშილდის ქარხანაში მომხდარი გაფიცვის ხელმძღვანელები. ამის საპასუხოდ 8 მარტს სტალინმა მოაწყო მასობრივი მანიფესტაცია მუშებისა, რომელთაც მოითხოვეს დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლება. პოლიციამ ხალხს ალყა შემოარტყა, დააპატიმრა და საპყრობილეში ჩაამწყვდია 348 მუშა. მეორე დღეს, 1902 წლის 9 მარტს, შესდგა დიდი დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ბათუმის სხვადასხვა საწარმოთა 6 ათასამდე მუშამ. დემონსტრანტები სტალინის მეთაურობით, წითელი დროშებით, რევოლუციური სიმღერებით მიადგნენ საპყრობილეს და მოითხოვეს დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლება. მოხდა სისხლიანი შეტაკება ჯართან და პოლიციასთან. მოკლეს 15 მუშა და დასჭრეს 54. 9 მარტის ამბებთან დაკავშირებით სტალინმა დაწერა პროკლამაცია, რომელიც გავრცელდა მუშათა და გლეხთა შორის. 9 მარტის მსხვერპლთა დასაფლავება ბათუმში ახალ პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაიქცა.

9 მარტის ამბებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის.

§ 20. რსდმპ კავკასიის კავშირი

რუსეთის მთლიანი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნის აუცილებლობის ლენინური იდეების გავლენით, აგრეთვე რევოლუციური მოძრაობის ზრდისა და რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის წარმატებათა საფუძველზე ამიერკავკასიაში იქმნება ყველა პირობა ცალკეული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანებისათვის ერთ მტკიცე ორგანიზაციად ხელმძღვანელი ცენტრის მეთაურობით. 1903 წლის მარტს თბილისში შესდგა კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველი ყრილობა, რომელსაც 15 დელეგატი დაესწრო. ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნის შესახებ და აირჩია კომიტეტი, სადაც შეიყვანეს ი. ბ. სტალინი, მ. ცხაკაია, შ. მახარაძე, მ. ბოჭორიძე და სხვ.

ყრილობამ მიიღო რსდმპ კავკასიის კავშირის წესდება და პროგრამა და დაადგინა გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ გამოცემა ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე.

სტალინი ყრილობას არ დასწრებია, ის დაუსწრებლად აირჩიეს რსდმპ კავკასიის კავშირში. 1902 წლის 5 აპრილს სტალინი დააპატიმრეს და 1903 წლის ნოემბრის დამლევს სამი წლით გადაასახლეს ალმოსავლეთ სიბირში, ირკუტსკის გუბერნიის ბალაგანის მაზრის სოფელ ნოჟაია უდაში. დაარსებისთანავე რსდმპ კავკასიის კავშირმა დიდი მუშაობა გაიჩალა. კავკასიის კავშირი უშვებს საპირველმაისო პროკლამაციას და ხელმძღვანელობას უწევს პროლეტარიატის საპირველმაისო გამოსვლას 1903 წელს. კიდევ 1902 წლიდან მუშათა რევოლუციური გამოსვლების გაელენით გურიაში იწყება გლეხთა მასობრივი მოძრაობა, რომელიც მიმართული იყო ცარიზმისა და მემამულეური ექსპლოატაციის წინააღმდეგ. 1903 წლის მაისში რსდმპ კავკასიის კავშირმა 70 ათასი ცალის რაოდენობით გამოსცა პროკლამაცია „გურიის გლეხობას“.

იმავე ხანებში კავკასიის კავშირმა ქართულად თარგმნა და დაბეჭდა ვ. ი. ლენინის ცნობილი ბროშურა: „სოფლის ღარიბებისადმი“, რომელშიც განსაკუთრებული დამაჯერებლობით არის ნაამბობი, თუ როგორ უნდა დაირაზმოს ღარიბი გლეხობა და როგორ იბრძოლოს მან, პროლეტარიატის ხელმძღვანელობით, თავისი დაუძინებელი მტრების წინააღმდეგ.

იმხანად ამიერ-კავკასიის მუშათა მოძრაობის ავანგარდად იქცა ბაქოს პროლეტარიატი. 1903 წლის იელისში რსდმპ კავკასიის კავშირის ხელმძღვანელობით ბაქოს პროლეტარებმა დაიწყეს ცნობილი გაფიცვა, რომელიც სწრაფად მოედო მთელს სამხრეთ რუსეთს და ისტორიაში შევიდა „სამხრეთ რუსეთის 1903 წლის საყოველთაო გაფიცვის“ სახელწოდებით.

რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის ერთერთ პროკლამაციაში ნათქვამი იყო: „ამხანაგებო! ჩვენ განგაშმა ვცემთ! ყველგან გაჩაღდა ბრძოლა ბედნიერებისა, თავისუფლებისა და უკეთესი ხვედრისათ-

კის. ჩვენ დიდი ამბების წინაშე ვდგევართ. რუსეთი შეინძრა. კავკასია ფეხზე დადგა... და მეფის მთავრობამ მიმართოს მისთვის საყვარელ ყოველგვარ ზომებს, და მან ქვეყნიერებას უჩვენოს ჯერ გაუგონარი სისასტიკისა და ბარბაროსობის მაგალითები! ბრძოლა გაჩაღდა და ახლოა ის ჟამი, როცა აღსდგებიან ყველა ქალაქის მუშები! კიდით-კიდემდე გაისმის ძახილი: „ძირს მეფე! ძირს კაპიტალისტები!" და მაშინ მტერი შედრკება! ამხანაგებო! ჩვენ განგაშს ვცემთ! ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას! ძირს კაპიტალიზმი! გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიას!

1903 წლის საყოველთაო გაფიცვა ამიერ-კავკასიაში შეამზადა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მთელმა წინანდელმა მუშაობამ, რომლის სათავეში იდგა სტალინი. ამ გაფიცვამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მუშათა კლასის პოლიტიკური შეგნების შემდგომი ზრდის საქმეში და დასაბამი მისცა პროლეტარიატის ცალკეული ადგილობრივი გამოსვლებიდან გადასვლას რუსეთის საერთო მასშტაბით ბრძოლაზე. საყოველთაო გაფიცვა სამხრეთ რუსეთში 1903 წელს და გლეხთა მასობრივი გამოსვლები მკაფიო მაჩვენებელი იყო იმისა, რომ რუსეთში მწიფდებოდა რევოლუცია.

1902 წლის სექტემბერს ბაქოში დააპატიმრეს მუშათა რევოლუციური ბრძოლის ერთერთი ორგანიზატორი, სტალინის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი — ლადო კეცხოველი. ლადო კეცხოველი ჯერ ბაქოს საპყრობილეში ჩაამწყვდიეს, სექტემბრის დამლევს კი გადმოიყვანეს თბილისში, მეტეხის საპყრობილეში. 1903 წლის 17 აგვისტოს ლადო კეცხოველი მოკლულ იქნა თავის საკანში მოსყიდული მკვლელის, გუშაგ დერგილევის მიერ ფანჯარაში გასროლილი ტყვიით.

ასე დაიღუპა რევოლუციურ პოსტზე ქართველი ხალხის ერთერთი საუკეთესო შვილი — ლადო კეცხოველი, „ხალხის თავისუფლებისათვის სახელოვანი მებრძოლი, რომელმაც ძვირფას საქმეს შესწირა ყველაფერი, რის შეწირვაც ადამიანს შეუძლია: თავისი ბედნიერება, თავისი ძალღონე, თავისი სიცოცხლე".

თავი მეოთხე

რუსეთის პირველი რევოლუცია (1905—1907 წლები)

§ 27. ბრძოლა პარტიისათვის

1903 წლის ივლის-აგვისტოს ბრიუსელში, შემდეგ კი ლონდონში მიმდინარეობდა პარტიის II ყრილობა, რომელმაც შექმნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. ამ ყრილობაზე მოხდა გათიშვა ბოლშევიკებად და მენშევიკებად. II ყრილობის შემდეგ მენშევიკებმა დაიწყეს დეზორგანიზატორული მუშაობა, ისინი ცდილობდნენ დაენგრიათ პარტია, დაეყენებინათ იგი ოპორტუნიზმის გზაზე. ბოლშევიკებმა, ლენინის მეთაურობით, გადამწყვეტი ბრძოლა გააჩაღეს მენშევიკების წინააღმდეგ, მებრძოლი პროლეტარული პარტიის განმტკიცებისათვის. ლენინი

მოუწოდებდა პარტიის ახალი. მესამე ყრილობის მოწვევისაკენ. 1903 წლის დეკემბრის დამლევს ციმბირში. გადასახლებაში ყოფნისას, სტალინმა ლენინისაგან მიიღო წერილი. რომელიც შეეხებოდა პარტიაში არსებულ მდგომარეობას.

შემდეგ. 1924 წელს. სტალინი მოგვითხრობდა: „ლენინის წერილი შედარებით პატარა იყო. მაგრამ ის იძლეოდა ჩვენი პარტიის პრაქტიკის გაბედულს. უშიშარ კრიტიკას და მასში შესანიშნავი სიცხადით და შეკუმშულად იყო მოცემული პარტიის მუშაობის მთელი გეგმა უახლოესი პერიოდისათვის... ამ უბრალო და ჯაბედელმა პატარა წერილმა კიდევ უფრო განამტკიცა ჩემში ის აზრი. რომ ლენინის სახით ჩვენ გვყავს ჩვენი პარტიის მთის არწივი"

სტალინი მტკიცედ დადგა ბოლშევიკურ პოზიციაზე.

1904 წლის 5 იანვარს სტალინი გამოიქცა გადასახლებიდან ჯერ ლაიპციგში, იქიდან კი ბათუმში. 1904 წლის თებერვალს სტალინი არალეგალურად ჩამოვიდა თბილისში და სათავეში ჩაუდგა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციებს. სტალინმა მოაწყო ბრძოლა მენშევიკების წინააღმდეგ, მოაწყო ბრძოლა პარტიისა და პარტიულობისათვის, III ყრილობის მოწვევისათვის. რისდმ კავკასიის კავშირმა, რომელსაც სათავეში სტალინი ედგა. 1904 წლის ნოემბერს თბილისში მოიწვია ბოლშევიკური კონფერენცია, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება პარტიის III ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევის აუცილებლობის შესახებ.

ჯერ კიდევ 1904 წლის იენისში კავკასიის კავშირმა დაშალა მენშევიკური ბაქოს კომიტეტი, რომელიც გამოვიდა III ყრილობის მოწვევის წინააღმდეგ.

სტალინი დიდ და დაუცხრომელ მუშაობას ეწევა. ის ხშირად მიემგზავრება ამიერკავკასიის სხვადასხვა რაიონებში (ბაქო, ბათუმი, ჭიათურა, ჭიათურა, დასავლეთ საქართველოს გლეხური რაიონები), გამოდის მენშევიკების წინააღმდეგ, მარქსიზმის სხვა მტრების წინააღმდეგ, აშაგრებს ძველ პარტიულ ორგანიზაციებს და ჰქმნის ახლებს. სტალინის ხელმძღვანელობით ჭიათურაში იქმნება რისდმ ბოლშევიკური იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი.

ბოლშევიკური კომიტეტები იქმნება ჭიათურაში, ფოთში, ხაშურში და სხვაგან. 1904 წლის დეკემბერს სტალინის ხელმძღვანელობით ჩატარდა ბაქოს მუშების დიდი გაფიცვა. რომელიც დამთავრდა რუსეთის მუშათა მოძრაობის ისტორიაში კოლექტიური ხელშეკრულების დადებით ნავთის მრეწველებთან.

ეს გაფიცვა,- როგორც ნათქვამია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში". — თითქოს იყო ჭექა-ქუხილის წინამორბედი ელვა დიდი რევოლუციური ქარიშხლის წინ და „მთელს რუსეთში იანვარ-თებერვლის სახელოვანი გამოსვლების სიგნალი გახდა" (სტალინი). 1905 წლის თებერვალს რისდმ კავკასიის კავშირმა დაშალა მენშევიკური თბილისის კომიტეტი და მოაწყო ბოლშევიკური კომიტეტი. სტალინი მტკიცედ ატარებს ლენინის დირექტივებს. ლენინსა და კავკასიის კავშირს შორის მუ-

დამ გაბმული იყო მჭიდრო კავშირი. რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისში თავის განკარგულებაში ჰქონდა აგლაბრის საიდუმლო სტამბა, რომელიც, სტალინის მითითებით, 1903 წლის იანვრის დამლევს მოაწყო მუშა-ბოლშევიკმა მიხო ბოჰორიძემ.

აგლაბრის სტამბა ბოლშევიკური არალეგალური ტექნიკის ნიმუშს წარმოადგენდა. მან 1906 წლის აპრილამდე იარსება.

სტამბაში ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე ათას ცალობით იბეჭდებოდა წიგნები, ბროშურები, გაზეთები, პროკლამაციები.

ამ სტამბაში დაიბეჭდა პარტიის პროგრამა და წესდება, ლენინისა და სტალინის ნაშრომები. კავკასიაში ბოლშევიზმის დაცვას საქმეში უდიდეს როლს თამაშობდა კავკასიის კავშირის ორგანო „პროლეტარიატის ბრძოლა" რომელიც სტალინის რედაქტორობით გამოიდა. პარტიის ლენინური ცენტრალური ორგანოს „პროლეტარის" შემდეგ, „პროლეტარის ბრძოლა" ყველაზე დიდი და საუკეთესო ბოლშევიკური გაზეთი იყო. ამ გაზეთს ლენინი დიდად აფასებდა.

§ 20. რევოლუციური კრიზისი ჩვენს ქვეყანაში 1905 წლის წინ

1904 წლის დამლევს დაიწყო რუსეთ-იაპონიის ომი. მენშევიკები იდგნენ „სამშობლოს", მეფის, მემამულეთა და კაპიტალისტთა დაცვის პოზიციაზე. ლენინი ამხილებდა ომის მტაცებლური ხასიათის, მოძმენი იყო ომში მეფის მთავრობის დამარცხებისა. ვინაიდან ამას ხელს გამოუწყობდა ცარიზმის დასუსტება და რევოლუციის გაძლიერება.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები, სტალინის მეთაურობით, თანმიმდევრულად ახორციელებდნენ ომში ცარიზმის დამარცხების ლენინურ ხაზს და მასებს მოუწოდებდნენ ცარიზმის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლისაკენ. მეფის ჯარები ომში ზედიზედ მარცხდებოდნენ. 1904 წლის 20 დეკემბერს იაპონელებმა აიღეს პორტ-არტური და სასტიკად დაამარცხეს მეფის ჯარები მუკდენთან. რუსეთ-იაპონიის ომმა შეიწირა უამრავი ადამიანი და სახსარი. ომის შემდეგ უფრო მეტად გაუარესდა რუსეთის მშრომელი მასების ეკონომიური მდგომარეობა. მუშები თანდათან უფრო ხშირად მიმართავდნენ საგაფიცო ბრძოლას. მუშათა მოძრაობის ზრდით და ომში ცარიზმის დამარცხებით დაფრთხალი რუსი ლიბერალური ბურჟუაზია მოურიდებლად გამოსთქვამს სურვილს, რომ ცარიზმმა უბოძოს ქვეყანას პოლიტიკური თავისუფლება.

ლიბერალური ბურჟუაზია ჩვეულებრივ ბანკეტებს აწყობდა და შამპანურის სმისას გამოსთქვამდა თავის სურვილებს, ამიტომ ბურჟუაზიის ამ მოძრაობას „საბანკეტო კამპანია" ეწოდა. რუსეთის ბურჟუაზიის მაგალითისამებრ საბანკეტო კამპანიას აწყობდნენ საქართველოს ლიბერალურ-ბურჟუაზიული და თავად-აზნაურული ჯგუფებიც. ქართველი მენშევიკები წინადადებას აძლევდნენ მუშებს მხარი დაეჭირათ ბურჟუაზიისა და თავად-აზნაურობისათვის და მონაწილეობა მიეღოთ „წედებათა წარმომადგენლების კრებაში", რომელიც. თანახმად ხელისუფალთა

დაპირებისა, უნდა მოეწყოთ თბილისში. რსდმპ კავკასიის კავშირი ულმობლად ამხილებდა ლიბერალთა „ოპოზიციას“ და მენშევიკების შეთანხმებლობას. ამის თაობაზე რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის პროკლამაციაში ნათქვამი იყო:

„არა ლიბერალების ლაჩრული სიტყვა, არამედ ჩვენი პირდაპირი და გაბედული სიტყვა უნდა გაისმოდეს მთელს რუსეთში. არა ლიბერალები, არამედ ჩვენ უნდა ვაძლევდეთ ტონს მთელ რევოლუციურ მოძრაობას. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ დემოკრატიული რესპუბლიკა საყოველთაო საარჩევნო უფლებით, ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და ბურჟუაზიის წინააღმდეგაც“.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ამიერ-კავკასიის რევოლუციური მასები, რომელთაც ხელმძღვანელობას უწევდა რსდმპ კავკასიის კავშირი, სტალინის მეთაურობით, ბოლშევიკური დროშით მიდიოდნენ. კავკასიის კავშირი რევოლუციაში მტკიცედ იცავდა და ატარებდა ლენინურ სტრატეგიასა და ტაქტიკას, იბრძოდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის განხორციელებისათვის, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდისათვის საჭირო პირობების უზრუნველსაყოფად. რსდმპ კავკასიის კავშირი შეურიგებელ ბრძოლას უწევდა მენშევიზმისა და სხვა ანტიპროლეტარულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ. ქართული მენშევიზმის წინააღმდეგ წარმოებულ თეორიულ და პრაქტიკულ ბრძოლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი რუსეთის მასშტაბით, ვინაიდან ქართველი მენშევიკები წარმოადგენდნენ რუსეთის მენშევიზმის ერთერთ ძლიერ და ბოროტ რაზმს.

§ 29. 1905 წლის 9 იანვარი — რუსეთის პირველი რევოლუციის დასაწყისი

პირველი რევოლუციის დასაწყისად რუსეთში ითვლება 1905 წლის 9 იანვარი, რომელიც ისტორიაში „სისხლიანი კვირის“ სახელწოდებით შევიდა.

მუშებმა იმ დღეს სისხლიანი გაკვეთილი მიიღეს. მეფის ავაზაკობის საპასუხოდ, რომელმაც იმ დღეს პეტერბურგში რამდენიმე ათასი მუშა დახვრიტა. მთელს რუსეთში, პროტესტის ნიშნად, დაიწყო გაფიცვები. „სისხლიანმა კვირამ“ დიდი აღშფოთება გამოიწვია ამიერ-კავკასიის მუშათა კლასშიაც. ფართოდ გავრცელდა რსდმპ კავკასიის კავშირის მოწოდება „კავკასიის მუშებო, დროა შური ვიძიოთ!“ ეს მოწოდება დაწერა სტალინმა. 1905 წლის 18 იანვარს თბილისში დაიწყო რკინიგზელთა გაფიცვა. გაფიცვას შეუერთდნენ ფაბრიკა-ქარხნების მუშები და ის მალე საყოველთაო გახდა. 23 იანვარს გოლოვინის პროსპექტზე (ამჟამად რუსთაველის პროსპექტი) გაიმართა მასობრივი დემონსტრაცია. დემონსტრანტები მიდიოდნენ წითელი ბაირაღებით და ლოზუნგებით „ძირს თვითმპყრობელობა“ და სხვა. ვრცელდება რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის პროკლამაცია „ამხანაგებო!“ პოლიციასა და ყა-

ხალხთან შეტაკებებისას დასჭრეს და მოკლეს ბევრი დემონსტრანტი. 20 იანვარს გაიფიცნენ სუხუმის მუშები. 21 იანვარს სამტრედიის სადგურზე გაიმართა მუშათა და გლეხთა მძლავრი დემონსტრაცია. პოლიტიკური დემონსტრაციები ჩატარდა აგრეთვე ფოთში, ტყიბულში, ჭიათურაში, ქუთაისში. 1905 წლის იანვარს საგაფიცვო ბრძოლას განსაკუთრებით შეუპოვარი და მასობრივი ხასიათი ჰქონდა ბათუმში. რსდმპ ბათუმის კომიტეტი ადგენდა მუშათა რაზმებს და მათ შეიარაღებული აჯანყებისათვის ამზადებდა.

§ 20. გლეხთა მოძრაობა

ქალაქად მიმდინარე მასობრივმა პოლიტიკურმა გამოსვლებმა და ცარიზმის წინააღმდეგ გაჩაღებულმა ბრძოლამ დაუყოვნებლივ გამოძახილი ჰპოვა საქართველოს სოფლებში. გლეხთა მოძრაობამ განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი მიიღო გურიაში. გლეხები აშკარად იარაღდებოდნენ და ემზადებოდნენ ცარიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის. პოლიცია, ადმინისტრაცია და სასამართლო ორგანოები გურიაში იძულებული იყვნენ შეეწყვიტათ თავისი საქმიანობა. გლეხებმა უარი სთქვეს ეხადათ მემამულისათვის რაიმე ბეგარა, მოუხსნეს მათ მსახურნი, შეწყვიტეს სახაზინო გადასახადების შეტანა და სამღვდელოებისათვის „დრამის“ ფულის გადახდა. ბევრი მემამულე განდევნეს თავიანთი სახლ-კარიდან. მემამულეთა და ხელისუფლების წარმომადგენელთა შორის ყველაზე საძულველი პირები მოკლეს.

გურიიდან რევოლუციური მოძრაობა სწრაფად გავრცელდა მეზობელ რაიონებში: აჭარაში, იმერეთში, სამეგრელოში, სვანეთში. შემდეგ კი აღმოსავლეთ საქართველოსაც მოედო. ასე მაგალითად, თებერვალში აჭარელმა გლეხებმა უარი სთქვეს სახაზინო გადასახადების შეტანასა და მემამულე-ბატონებისათვის ბეგარის შესრულებაზე.

ყველგან იქმნებოდა გლეხთა რევოლუციური კომიტეტები რომლებიც ხელმძღვანელობდნენ გლეხთა მოძრაობას და ანბორციელებდნენ გლეხთა თვითმართველობას.

ყველგან ხდებოდა გლეხთა რაზმების შეიარაღებული შეტაკება პოლიციასთან და ჯარისკაცებთან.

ერთერთი ასეთი შეტაკება მოხდა სოფელ კახათში. სამეგრელოში. აქ 14 თებერვალს 1000-ზე მეტი შეიარაღებული გლეხი თავს დაესხა პოლიციას და სტრაჟნიკებს დაპატიმრებულ გლეხთა განთავისუფლების მიზნით. აპრილში შეიარაღებული შეტაკებანი მოხდა თიანეთის და გორის მაზრებში, აგრეთვე კახეთში. 1905 წლის გაზაფხულზე დაიწყო ორგანიზებული გამოსვლები სასოფლო-სამეურნეო მუშებისა. რომლებიც პოლიტიკურ და ეკონომიურ მოთხოვნებს აყენებდნენ. გამოვიდნენ, უმთავრესად, ნატარეულის, წინანდლის, მუხრანის, ჩაქვის და სხვა საუკეთესო მამულების მუშები.

§ 81. ცარიზმის ღონისძიებანი რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში

რევოლუციის შემდგომი განვითარების შესაჩერებლად და ამიერ-კავკასიაში ყველა ჩაგრული ხალხის მთლიანი ინტერნაციონალური ფრონტის შექმნისათვის ხელის შესაშლელად, ცარიზმი, გარდა იარაღით რევოლუციის ჩაქრობისა, მიმართავს აგრეთვე ძველ და ნაცად საშუალებას — ნაციონალური მტრობის გაღვივებას.

1905 წლის 6-9 თებერვალს მეფის საზიზღარმა აგენტებმა ბაქოში პროვოკაციულად გამოიწვიეს სომეხ-აზერბაიჯანელთა ხოცვა-ჟლეტა, რამაც მრავალი მსხვერპლი შეიწირა.

მხოლოდ რევოლუციური სიფხიზლის მეხებით ქართველმა ბოშებმა შესძლეს სომეხ-აზერბაიჯანელთა ხოცვა-ჟლეტის თავიდან აცილება თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში.

ჩაიშალა ცარიზმის გეგმა — ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის ნაციონალური მტრობის ხელოვნურად გაღვივებით ჩაეხშო რევოლუცია. თებერვალში მოხდარი სისხლიანი ამბების შემდეგ რევოლუციური ბრძოლა არა თუ ნელდება, არამედ ახალი ძალით იზრდება. სტალინი წერდა, რომ „1905 წელს ბაქოს პროლეტარიატი ერთბაშად წელში სწორდება სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, ებმება ბრძოლაში და თავის ენტუზიაზმს მთელს კავკასიას გადასდებსო".

გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ჩასაქრობად გურიაში და სხვა რაიონებში გაგზავნა დამსჯელი რაზმები. გურიაში გაგზავნილი დამსჯელი რაზმის მეთაურად დაინიშნა მეფის ცნობილი ჯალათი გენერალი ალიხანოვ-ავარსკი.

ცარიზმი გრძნობდა თავის უძლურებას ხალხის რევოლუციური მასების წინაშე. საკუთარით არ ენდობოდა ჯარსაც. სადაც რევოლუციური პროპაგანდა შეიჭრა, ამიტომ მან თავი შეიკავა გურიის სისხლიანი განადგურებისაგან. რევოლუციური მასების ძალდატანებით ცარიზმი იძულებული იყო დათმობაზე წასულიყო. 1905 წლის თებერვალს კავკასიაში ალდგენილ იქნა სამეფისნაცვალო. კავკასიის მეფისნაცვლად დაინიშნა გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი. მეფის ნაცადმა დიპლომატმა და ადმინისტრატორმა ვორონცოვ-დაშკოვმა დაიწყო თვალთმაქცური პოლიტიკა — მოსახლეობის მიძინება და მოტყუება მთელი რიგი რეფორმების გატარებისა და მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესების შეპირებით. გრაფ ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვმა შესცვალა ადმინისტრაციის ის პირები, რომლებიც ყველაზე მეტად სძულდა მოსახლეობას. ასე, მაგალითად, ჭუთაისის გუბერნიაში გუბერნატორად დაინიშნა ლიბერალი აგრონომი სტაროსელსკი. გურიაში მოხსნეს სამხედრო წესები და იქ გლეხთა მღელვარების მიზეზთა გამოსარკვევად გაგზავნეს მოხელე სულთან კრიმ-გირეი. ამავე მიზნით კახეთში გაგზავნა გენერალი პაპკოვძე და ქართლში — გენერალი ამილახვარი. თბილისში ჩატარდა რამდენიმე თათბირი დროებითი ვალდებულების გაუქმებისა და ამიერ-კავკასიაში ერობის და ნაწილ მსაჯულთა სასამართლოს შემოღების საკითხზე.

მეფის სატრაპმა გრაფ ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვმა, რომელიც ამ ღონისძიებებით ცდილობდა მასების ყურადღება რევოლუციური ბრძოლიდან ჩამოეშორებინა, ამავე დროს გამოითხოვა რუსეთიდან საიმედო ჯარები, რომ ამზადებდა სომეხ-აზერბაიჯანელთა ახალ ხოცა-ჟლეტას. მას სურდა სისხლითა და ცეცხლით ჩაეხშო რევოლუცია.

§ 22. რსდმპ III ყრილობა „კავკასიის ამოცანის გამო"

ვ. ი. ლენინი ყურადღებით ადევნებდა თვალს რევოლუციური მოძრაობის საერთო ალმავლობას კავკასიაში, გმირულ მუშაობას რსდმპ კავკასიის კავშირისას, რომელსაც სათავეში სტალინი ედგა.

პარტიის III ბოლშევიკურმა ყრილობამ, რომელიც 1905 წლის აპრილს შესდგა, აღნიშნა, რომ „კავკასიის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები ხელს უწყობდნენ იქ ჩვენი პარტიის ყველაზე მებრძოლი ორგანიზაციების შექმნას". ვ. ი. ლენინის წინადადებით III ყრილობამ მოისმინა ამიერკავკასიის ბოლშევიკების წარმომადგენლის ძიბა ცხაკაიას (ბარსოვის) სპეციალური მოხსენება საქართველოში გლეხთა მოძრაობის შესახებ. ვ. ი. ლენინის წინადადებით III ყრილობამ რუსეთის შეგნებული პროლეტარიატის სახელით მხურვალე სალამი გამოუგზავნა კავკასიის გმირ პროლეტარიატსა და გლეხობას და დაავალა პარტიის ცენტრალურ და ადგილობრივ კომიტეტებს „მიეღოთ უალრესად ენერგიული ზომები კავკასიაში არსებული საჭმის ვითარების შესახებ ცნობების რაც შეიძლება ფართოდ გასავრცელებლად ბროშურების, მიტინგების, მუშათა კრებების, საწრეო საუბრებისა და სხვა გზით, აგრეთვე კავკასიისათვის დროზე დასახმარებლად მათს განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით".

ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდა გლეხთა კომიტეტებს, რომლებიც საქართველოში ეწყობოდა. მათში, მუშათა დეპუტატების საბჭოებთან ერთად, ვ. ი. ლენინი ხედავდა რევოლუციური ხელისუფლების ჩანასახს. 1905 წლის 8 ივნისს გარდაიცვალა მგზნებარე და ურყევი რევოლუციონერი, სტალინის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი ა. წულუკიძე. ა. წულუკიძის დასაფლავება მოხდა მის სამშობლოში, დაბა ხონში, ქუთაისიდან 28 კილომეტრის მანძილზე. მისი დასაფლავების დღეს, 1905 წლის 12 ივნისს, თავი მოიყარა 10 ათასზე მეტმა რევოლუციონერმა მუშამ და გლეხმა. დასაფლავებაზე მრწყინვალე პოლიტიკურის სიტყვით გამოვიდა სტალინი, რომელმაც შეაფასა პროლეტარიული რევოლუციონერის ა. წულუკიძის მოღვაწეობა და დასახა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანები.

პარტიის III ყრილობის შემდეგ რევოლუციური მოძრაობა საქართველოში ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ადის და ედება ახალ რაიონებს, რომელთაც მანამდე რევოლუცია არ შებებია.

§ 33. შეიარაღებული აჯანყების მზადება

1905 წლის 20 იანვარს თბილისში დაიწყო გაფიცვა, რომელმაც საყოველთაო ხასიათი მიიღო. მუშათა მიტინგები მოითხოვდნენ სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევას, პრესის თავისუფლებას.

ბოლშევიკები სტალინის მეთაურობით დიდ მუშაობას ეწეოდნენ იმისათვის, რომ ამიერ-კავკასიის მუშები და მშრომელები დაერაზმათ რუსეთის ხალხთა ერთიან ოჯახში.

ბოლშევიკები მასებს მოუწოდებდნენ საყოველთაო შეიარაღებისაკენ და შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადებისაკენ. ეს მოწოდება მხურვალე გამოძახილს პოულობდა მშრომელ მასებში. საქართველოს ყველა რაიონში იქმნებოდა წითელი რაზმები და მიმდინარეობდა ხალხის გაძლიერებული თვითშეიარაღება.

1905 წლის აგვისტოს ყველგან ტარდება რევოლუციური ძალების დათვალიერება. სამეგრელოში, გურიაში და სხვა რაიონებში ჩატარდა შეიარაღებული პოლიტიკური დემონსტრაციები. თითოეულ დემონსტრაციაში მონაწილეობას ღებულობდა რამდენიმე ათასი კაცი.

29 აგვისტოს თბილისში ყოფილი საქალაქო თვითმართველობის (ამჟამად თბილისის საბჭოს) შენობაში შეფის ხელისუფლებამ დაბურტა მიტინგი. მუშებმა და მშრომელმა მასებმა თავი მოიყარეს, რომ განეხილათ სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის და ამიერ-კავკასიის ერობის შემოღების საკითხი. სხდომის დარბაზში გამოცხადდა ბოქაული და მოითხოვა კრების დახურვა. როცა ეს მოთხოვნა არ შეასრულეს, დარბაზში შემოიჭრნენ ყაზახები და გაუგებრობილებლად სროლა ატეხეს დამსწრეთ. ბევრი მოკლეს და დასჭრეს. 29 აგვისტოს სიმბოლიურის გამო რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტმა გამოუშვა პროკლამაცია სათაურით: „სისხლი იღვრება, ეემზადოთ აჯანყებისათვის!“ პროკლამაცია თავდებოდა მოწოდებით: „სისხლი სისხლისათვის და სიკვდილი სიკვდილისათვის“ — აი რით უნდა ეუპასუხოთ ჯალათებს. შეიარაღება და სისხლის ღება! გაემარჯოს აჯანყებას! — აი როგორი უნდა იყვეს ჩვენი ლოზუნგები, ამხანაგო მუშებო!“

29 აგვისტოს ამბების საპასუხოდ თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ჭიათურაში და სხვაგან მოეწყო დემონსტრაციები და გაფიცვები.

§ 34. სრულიად-რუსეთის ოქტომბრის გაფიცვა

სექტემბრის თვიდან საქართველოში ყველგან ძლიერდება რევოლუციური გამოსვლები. სამეგრელოში, ქუთაისში, თბილისში, აჭარაში და სხვაგან ხდება თავდასხმა ჯარის რაზმებზე იარაღის აყრის და პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლების მიზნით.

სრულიად-რუსეთის ოქტომბრის გაფიცვამ ერთსულოვანი გამოძახილი ჰპოვა საქართველოში. თბილისში 14 სექტემბერს დაიწყო მუშათა გამოსვლა. შემდეგ საგაფიცვო მოძრაობა მთელს ქვეყანას მოედო. გაფიცვა გამოცხადდა რკინიგზაზე. შეწყვიტა მუშაობა ფოსტა-ტელეგრაფმა. მუ-

შების კვალდაკვალ ბრძოლაში ჩაებნენ მასწავლებლები, ექიმები, მოწაფენი.

დაიწყო პოლიტიკური გაფიცვების გადაზრდა შეიარაღებულ ბრძოლად. ამხანად შეიარაღებულმა ბრძოლამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ბათუმში, სადაც მებრძოლი რაზმები თავს ესხმოდნენ ჯაზახთა ნაწილებს, პოლიციას. საყოველთაო პოლიტიკურმა გაფიცვამ გამოიწვია გლეხთა მოძრაობის ახალი აღმავლობა. ბრძოლამ განსაკუთრებით ორგანიზებული და მასობრივი ხასიათი მიიღო გურიაში. გლეხებმა აყარეს რკინიგზის ლიანდაგი და შეწყვიტეს მატარებელთა მიმოსვლა ქუთაისსა და ბათუმს შორის. დაბა ჩოხატაურში გლეხთა რაზმმა ტყვედ ჩაიგდო პოლიციის ბოქაული და 18 სტრაჟნიკი. ნასაკირალზე გლეხთა რაზმები თავს დაესხნენ ჯაზახთა რაზმს და მოსპეს იგი.

§ 86. რევოლუციური მოძრაობის ზრდა არმიაში

ბოლშევიკების მუშაობისა და რევოლუციის საერთო აღმავლობის მეოხებით, რევოლუციური მოძრაობა მეფის ჯარებშიაც შეიჭრა. უკვე 1905 წლის ზაფხულში ამიერ-კავკასიის მრავალ ქალაქში მოეწყო „ჯარისკაცთა კავშირები", რომელთაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ. ხშირდება შემთხვევები, როცა ჯარისკაცები უარს ამბობენ მუშათა და გლეხთა რევოლუციური გამოსვლების ჩაქრობაზე. ხშირად ტარდებოდა ჯარისკაცთა მიტინგები, სადაც გამოდიოდნენ პოლიტიკური სიტყვებით. ჯარისკაცები მოითხოვდნენ დამფუძნებელი კრების მოწვევას, „სალდათობის" გაუქმებას და მის სახალხო მილიციით შეცვლას. სიტყვის, კრების თავისუფლებას, პოლიტიკურ ამნისტიას და სხვა.

ასე, მაგალითად, 21 ნოემბერს თბილისში შესდგა ჯარისკაცთა დიდი მიტინგი, რომელსაც 3000-მდე კაცი დაესწრო. რევოლუციური სულისკვეთება იჭრებოდა ისეთ სამხედრო ნაწილებშიაც, რომლებიც უველაზე საიმედოდ ითვლებოდნენ და ახლახან იყვნენ გადმოყვანილი ამიერ-კავკასიაში კიევის ოლქიდან.

16 ნოემბერს ქალაქ ბათუმის სამხედრო გუბერნატორი გენერალი ფონ-პარკაუ სწერდა მეფის ნაცვალს ვორონცოვ-დაშკოვს: რევოლუციური პროპაგანდის მეოხებით დისციპლინა ჯარებში დაეცა და მათზე იმედის დამყარება შეუძლებელია, ყოველ წუთს მოსალოდნელია, რომ ჯარისკაცები აჯანყდნენ, ოფიცრები ამოწყვიტონ და ბათუმის ციხე ხელში ჩაიგდონო.

§ 87. დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება

ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვამ, რომელმაც გამოაჩინა პროლეტარული მოძრაობის ძალა, აიძულა დამფრთხალი მეფე გამოეცა 17 ოქტომბრის მანიფესტი. ეს მანიფესტი შეიცავდა ყოველგვარი თავისუფლების დაპირებას ხალხის მასების მოსატყუებლად. მეფეს სურდა მიეძინებინა გულუბრყვილონი, მოეკრიბა ძალონე და შემდეგ დაერტყა რევოლუციისათვის. ბოლშევიკები ურჩევდნენ მასებს ყური არ დაეგდოთ მატყუა-

რა მეფისათვის და შეიარაღებული აჯანყებისათვის მომზადებულიყვნენ, რათა „გადაეწყვიტათ რუსეთის ხალხის მუდმივი დავა მეფის თვითმპყრობელობასთან და თავი გაეჭექყათ ამ საზიზღარი ურჩხულისათვის".

თბილისში 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცხადების დღეს მუშათა მიტინგზე გამოვიდა სტალინი, რომელიც ამბობდა:

„რა გვესაჭიროება ჩვენ, რომ მართლა გავიმარჯვოთ? ამისათვის გვესაჭიროება სამი რამ: პირველი — შეიარაღება, მეორე — შეიარაღება, მესამე — კიდევ და კიდევ შეიარაღება".

1905 წლის ნოემბერს თბილისში სტალინის ხელმძღვანელობით შესდგა IV ბოლშევიკური კონფერენცია, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და ჩატარების შესახებ.

1905 წლის 30 ნოემბერს ბათუმში დაიწყო შეიარაღებული აჯანყება. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ვაგზალი, ქალაქის გამგეობის შენობა. ქალაქის ქუჩები სწრაფად მოიფინა ბარიკადებით. აჯანყება ჩააქრეს იმის მეოხებით, რომ ხელისუფლებამ მოახერხა ყაზახთა მსხვილი ნაწილების გადმოსროლაართვინიდან. ნოემბრის დამლევს ყაზახებმა ქუთაისში მოჰკლეს რამდენიმე მოქალაქე. ეს საკმარისი იყო იმისათვის, რომ ქალაქი სწრაფად მოფენილიყო ბარიკადებით. ქუთაისში არ მომხდარა ცარიზმის აშკარა შეტაკება აჯანყებულ ხალხთან, ვინაიდან გუბერნატორმა შეასრულა რევოლუციონერთა მოთხოვნა და ყაზახები ქალაქიდან გაიყვანა.

რსდმპ კავკასიის კავშირის ხელმძღვანელობით, მოსკოვის შეიარაღებული აჯანყებისათვის ზურგის გასამაგრებლად, აჯანყების ალი მთელს საქართველოს მოედო. თბილისის მუშათა შეიარაღებული ბრძოლა გაიმართა დიდუბეში და სალდათის ბაზრის რაიონში. აჯანყებულთა ხელში იყო მუშური რაიონი ნაძალადევი. რევოლუციურმა კომიტეტმა ხელთ იგდო ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამართველოს შენობა, ტელეგრაფი და ტელეფონი.

რევოლუციური აჯანყება მოედო მთელს დასავლეთ საქართველოს. სახელმწიფო დაწესებულებებმა შეწყვიტეს მუშაობა. პოლიცია, ჟანდარმები და სტრაჟნიკები ხალხმა განიარაღა.

მაგრამ მიუხედავად საქართველოს მუშათა და გლეხთა გმირული ბრძოლისა, მიუხედავად რსდმპ კავკასიის კავშირის შეუსუსტებელი ხელმძღვანელობისა, მოსკოვის შეიარაღებული აჯანყების დამარცხებამ და მენშევიკების, სოციალ-ფედერალისტების, დაშნაკების და სხვა ნაციონალისტური პარტიების მოღალატურმა ტაქტიკამ გადაწყვიტა ბრძოლის ბედი საქართველოშიც. მოსკოვში გამარჯვების შემდეგ ცარიზმი შეტევაზე გადავიდა განაპირა მხარეებშიაც: კავკასიაში, პოლონეთში და სხვაგან. დაიწყო რევოლუციის განადგურება საქართველოშიც. თბილისში ნაძალადევის რაიონი სისხლით მოირწყო. ყველგან გაიგზავნა სადამსჯელო ექსპედიციები, რომელთა გზა ალიბექდა ცეცხლით, სისხლით და ძალადობით. ათობით ქალაქები და სოფლები ნანგრევებად და ფერფლად აქციეს. მეფის ოპრიჩნიკები გაუსამართლებლად და გამოუძიებლად ხვრეტ-

დნენ ყოველ პროლეტარსა და გლეხს, რომელზედაც ეჩვენ მიიტანდნენ. რევოლუციაში მონაწილეობას ღებულობდა.

რევოლუციის დამარცხების შემდეგ, 1906 წელს, ე. ი. ლენინი პარტიის ყურადღებას მიაპყრობდა კავკასიის რევოლუციურ მონაპოვრებზე.

„ჩვენ გაგვისწრეს ამ მხრივ, — სწერდა ე. ი. ლენინი, — კავკასიამაც, პოლონეთმაც და ბალტიის მხარემაც. ე. ი. სწორედ ისეთმა ცენტრებმა, სადაც მოძრაობა ყველაზე მეტად გასცილდა ძველ ტერორს, სადაც აჯანყება ყველაზე უკეთესად არის მომზადებული. სადაც პროლეტარული ბრძოლის მასობრივი ხასიათი ყველაზე ძლიერ და მკაფიოდ არის გამოხატული".

§ 37. რევოლუციური ბრძოლა 1906 წლის შემდეგ

მიუხედავად აჯანყებულ ხალხთან სასტიკი ანგარიშის გასწორებისა, რევოლუცია გრძელდებოდა. მუშები კვლავ მონაწილეობას ღებულობდნენ საგაფიცვო ბრძოლაში. 1906 წელს საქართველოს მუშებმა განსაკუთრებით ფართო მონაწილეობა მიიღეს საპირველმაისო დღესასწაულის ჩატარებაში. შეიარაღებული ძალის ზეგავლენით გლეხები აწარმოებდნენ გადამწვარი სასოფლო კანცელარიების შენობათა აღდგენას. შეჰქონდათ გაღასახადები, მაგრამ გადაჭრით უარს ამბობდნენ რეაქციური მოხელეების ხელმძღვანელთა გაცემაზე და იარაღის ჩაბარებაზე.

ქალაქებში და ტყეებში გადამალული გლეხთა პარტიზანული რაზმები კვლავ თავს ესხმოდნენ დამსჯელ რაზმებს. ჯარის ნაწილებში გრძელდებოდა მღელვარება 1905 წლის შემდეგაც. თბილისში და სხვა ქალაქებში ეწყობოდა ჯარისკაცთა მიტინგები, სადაც ადგენდნენ პოლიტიკურ და ეკონომიურ მოთხოვნებს. 1906 წელს, მარტში, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აჯანყებას სამეგრელოს პოლკში. ხელისუფლებამ ძლივს ჩააქრო ეს აჯანყება. 27 ჯარისკაცი გადასცეს სამხედრო სასამართლოს. გასამართლების დღეს, 22 ივნისს, თბილისში და საქართველოს სხვა ადგილებში ჩატარდა საყოველთაო გაფიცვა. ნავთლუღში დაბანაკებული მე-4 სარკინიგზო ბატალიონი გამოვიდა იარაღით ხელში. მუშათა და ჯარისკაცთა გამოსვლების ზეგავლენით მეფის სასამართლო იძულებული იყო არ გამოეტანა სასიკვდილო განაჩენი.

§ 38. სტალინის მუშაობა ბაქოში

1905 წლის დეკემბერს ფინეთში, ბოლშევიკთა ტამერფორსის კონფერენციაზე პირველად შეხვდნენ ერთმანეთს ლენინი და სტალინი. ლენინთან შეხვედრამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა სტალინზე. ტამერფორსის კონფერენციის გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება ბოლშევიკური და მენშევიკური ორგანიზაციების გაერთიანება. მენშევიკებთან გაერთიანებაში ბოლშევიკები ხედავდნენ მენშევიკების მხილებისა და უკეთ კიდევ მათი მიმდევარი მუშათა ერთი ნაწილის მიმხრობის საშუალებას. შეწყვიტა არსებობა რსდმპ კავკასიის კავშირმა, რომელმაც სტალინის ხელმძღვანელობით უდიდესი როლი ითამაშა ბოლშევიკური პარტიის ისტო-

რაში. შეიქმნა რსდმპ გაერთიანებული თბილისისა და ბაქოს კომიტეტები და ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი. მაგრამ რსდმპ „გაერთიანებული" ამიერ-კავკასიის კომიტეტის გვერდით არსებობდა ბოლშევიკთა საოლქო ბიურო, რომელშიც შედიოდნენ სტალინი, ს. შაუმიანი, ა. ჯაფარიძე, მ. ცხაკაია. ფ. მახარაძე, მ. დავითაშვილი და სხვ.

პარტიის ნება-სურვილით. 1907 წელს, სტალინი, გაემგზავრება საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობას, გადადის ბაქოში, რომელიც ამიერ-კავკასიის უმსხვილესი სამრეწველო რაიონი და რუსეთის მუშათა მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ცენტრი იყო. სტალინმა შემოიკრიბა ნაკადი ბოლშევიკ-ლენინელები: ს. ორჯონიკიძე, ა. ჯაფარიძე, კ. ეორგაშილოვი, ს. სპანდარიანი. ვაკეკი და სხვ. და სრული გამარჯვება მოუპოვა ბოლშევიკებს ბაქოს ორგანიზაციის რიგებში. ბაქო ამიერ-კავკასიაში ბოლშევიზმის ციხე-სიმაგრე გახდა. ცარიზმი განუწყვეტლივ სდევნიდა სტალინს. 1902 წლიდან 1913 წლამდე სტალინი რვაჯერ დააპატიმრეს, შვიდჯერ გადაასახლეს, გადასახლებიდან ის ექვსჯერ გამოიქცა. მხოლოდ უკანასკნელი გადასახლებიდან სტალინი გაათავისუფლა 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ. სტალინი, ლენინთან ერთად, როგორც მისი უერთგულესი თანამებრძოლი, აშენებს და ჭედს მძლავრ ბოლშევიკურ პარტიას, მათ პარტია და მუშათა კლასი მიჰყავთ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისაკენ.

§ 89. მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება მე-20 საუკუნის დამდეგს

ა) ბრძოლა მარქსიზმი მეცნიერებისათვის

მარქსისა და ენგელსის გენიალური ნაშრომები „კაპიტალი", „კომუნისტური მანიფესტი", „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა" და სხვ. საქართველოში ცნობილი ხდება ჯერ კიდევ 1890-ანი წლების პირველ ნახევარში. მე-19 საუკუნის დამლევიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატებისათვის ცნობილი იყო და წრეებში ისწავლებოდა ლენინის ნაშრომები: „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში", „რანი არიან „ხალხის მეგობრები" და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?". „რა ვაკეთოთ?" და სხვ.

ლენინური „ისკრის" რედაქცია კავშირს ამყარებს საქართველოს რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციასთან და ბეჭდავს „ისკრის" ფურცლებზე კორესპონდენციებს ამიერ-კავკასიის და საქართველოს რევოლუციური მოძრაობაზე. 1901 წელს „ისკრის" რედაქციამ გამოსცა სპეციალური ბროშურა „თბილისის მუშათა მოძრაობიდან (ნუშის ნაამბობი)."

სტალინის თანამებრძოლი ა. წულუკიძე ერთერთი განათლებული მარქსისტი იყო. მის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი ნაშრომები და სტატიები.

სტალინი, რომელმაც შესანიშნავი როლი ითამაშა მენშევიზმის იდე-

ურ განადგურებაში და მარქსისტული პარტიის იდეოლოგიურ, ორგანიზაციულ და ტაქტიკურ საფუძველთა დაცვაში, მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს ნაშრომთა ავტორია. ამიერ-კავკასიის ბოლშევიკურ პრესაში გამოქვეყნებული სტატიების უმრავლესობა, პროკლამაციები, ბროშურები დაწერილია სტალინის მიერ. სტალინს ეკუთვნის ისეთი ნაშრომები, როგორიცაა: „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე", „პასუხად სოციალ-დემოკრატს", „ანარქიზმი და სოციალიზმი", „ორი შეკახება", „შეიარაღებული აჯანყება და ჩვენი ტაქტიკა" და სხვ.

სტალინის რედაქტორობით გამოდის კავკასიის კავშირის ორგანო „პროლეტარიატის ბრძოლა". 1905 წლის შემდეგ სტალინის წელმძღვანელობით და უახლოესი მონაწილეობით გამოდის გაზეთები: „ახალი დროება", „დრო", „ახალი ცხოვრება", „ჩვენი ცხოვრება" და სხვ.

ბ) ქართული ლიტერატურა

მუშათა მოძრაობის განვითარება და რევოლუციის ზრდა დაეტყო მხატვრულ ლიტერატურასაც.

საქართველოში გაჩნდა პროლეტარიატისა და ულარიბესი გლეხობის რევოლუციური სულისკვეთების გამომხატველი მწერლებისა და პოეტების მთელი ჯგუფი. ლიტერატურაში ამ რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენლებია ირაკლი ეფდოშვილი (1873-1915 წწ.), ჰოლა ლომთათიძე (1878-1915 წწ.) და სხვ. დიდი ენტუზიაზმით და თანაგრძნობით შეხვდა რევოლუციას დიდი ქართველი მწერალი აკაკი წერეთელი. მან ქართულად სთარგმნა პროლეტარული ჰიმნი „ინტერნაციონალი", დასწერა რევოლუციისადმი მიძღვნილი მთელი რიგი ბრწყინვალე ლექსები: „სერვილი", „ძირს", „ხანჯალს" და სხვ.

გ) მ. გორკი, ვ. ვ. მაიაკოვსკი და ქართველი ხალხი

რუსეთის დიდი პროლეტარული მწერალი ა. მ. გორკი პირველად ჩამოვიდის თბილისში 1891 წელს. აქ მან დასწერა თავისი პირველი მოთხრობა „მაკარ ჩუდრა", რომელიც 1892 წელს დაიბეჭდა გაზეთ „კავკაზში". ა. მ. გორკი ახლო იცნობდა მწერალ ე. ნინოშვილს და რევოლუციონერ მუშას შიო ჩიტაძეს.

შემდეგ ა. მ. გორკი ჩამოვიდა 1903 წელს.

ქართველი ხალხი უდიდესი სიყვარულით ეპყრობოდა რუს მწერლებსა და პოეტებს. ქართულად ითარგმნა ბელინსკის, პუშკინის, ლერმონტოვის ლ. ტოლსტოის, ნეკრასოვის, ჩერნიშევსკის, სალტიკოვ-შჩედრინის, ჩეხოვის ნაწარმოებები. განსაკუთრებული სიყვარულით და სახელით სარგებლობდა „რევოლუციის გრიგალი" ა. მ. გორკის, რომლის ნაწარმოებები რუსულ პრესაში გამოქვეყნებისთანავე დაუყოვნებლივ ითარგმნებოდა ქართულად.

ახალგაზრდობისას საქართველოსთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული საბჭოთა ეპოქის საუკეთესო პოეტი ვ. ვ. მაიაკოვსკი, რომელიც დაიბადა

1893 წელს სოფელ ბაღდათში, ქუთაისის ახლო. ვ. ვ. მაიაკოვსკი ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა და 1905 წლის რევოლუციური დემონსტრაციების მონაწილე იყო.

დიდ პოეტად ქცეულ ვ. ვ. მაიაკოვსკის არასოდეს არ გამოუთიშავს თავისი ცხოვრება ქართველი ხალხის ცხოვრებისაგან, რომლის წრეშიც გაატარა მან თავისი ბავშვობა. ვ. ვ. მაიაკოვსკიმ საქართველოსა და ქართველ ხალხს მიუძღვნა მთელი რიგი ბრწყინვალე ლექსები. ვ. ვ. მაიაკოვსკი ბევრჯერ ჩამოსულა საბჭოთა საქართველოში.

დ) თეატრი და მუშათა კლუბები

რევოლუციის პერიოდში ხდება ქართული სათეატრო ხელოვნების შემდგომი განვითარება. ფართოდ ცნობილი ხდებიან ქართული სცენის მსახიობნი: ლ. მესხიშვილი, ტ. აბაშიძე, ნ. გოცირიძე, შ. დადიანი, ა. იმედაშვილი, ნ. ჩხეიძე, ა. წუწუნავა, მ. ქორელი, ი. ზარდალიშვილი, კ. ანდრონიკაშვილი, ნ. გაბუნია. 1906 წელს ოპერის თეატრში პირველად გამოვიდა ახალგაზრდა მსახიობი ვ. სარაჯიშვილი, რომელმაც თავისი ბრწყინვალე ნიჭით ერთბაშად მოიპოვა წარმატება.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დამლევს კაპიკობით მოგროვილი სახსრებით რკინიგზის მთავარი სახელოსნოების და თბილისის დეპოს მუშებმა შექმნეს მუშათა კლუბი, რომელიც მასობრივი რევოლუციური აგიტაციისა და პროპაგანდის ადგილად იქცა. კლუბთან მოეწყო პირველი მუშათა ბიბლიოთეკა და მუშათა თეატრი, რომლის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ნ. გოცირიძე, შ. დადიანი და სხვ. მუშათა წრიდან გამოდიან საკუთარი დრამატურგები ტ. რამიშვილი და სხვ.

კლუბში გამართულ წარმოდგენებს და კონცერტებს იყენებდნენ არალეგალური რევოლუციური ლიტერატურის გასავრცელებლად, მიტინგების მოსაწყობად და სხვ. მეფის ხელისუფლებამ დახურა კლუბი და დაანგრია მისი შენობა.

მაგრამ 1905 წელს რკინიგზელმა მუშებმა შექმნეს ახალი „ნაძალადევის კლუბი". კლუბთან აღადგინეს მუშათა თეატრიც.

რევოლუციის პერიოდში მუშათა თეატრები შეიქმნა თბილისის სხვა მუშურ რაიონებშიც: ვერაზე, ავლაბარში, აგრეთვე ქალაქებში: ბათუმში, ფოთში, ჭიათურაში.

დრამატურგისა და მსახიობის შ. დადიანის ხელმძღვანელობით შეიქმნა მოძრავი თეატრი, რომელიც სახალხო წარმოდგენებს აწყობდა საქართველოს ყველა რაიონში.

თავი მეხუთე

რეაქციის და მუშათა მოძრაობის ახალი აღმავლობის პერიოდი

§ 40. ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის გაძლიერება

რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ დადგა სასტიკი რეაქციის წლები. მეფის მინისტრმა სტოლიპინმა გამოსცა კანონი რევო-

ლუციონერთა დაუზოგავად მოსპობის შესახებ. კავკასიის მეფისნაცვალი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი სასტიკად უსწორდებოდა რევოლუციონერ მუშებსა და გლეხებს. 1908 წლის მეორე ნახევრამდე სამხედრო-საველე სასამართლოზე გადაცემული იყო 192 კაცი. მათ შორის სიკვდილით დასაჯეს 73, კატორღა მიუსაჯეს 62 კაცს. სამხედრო-საველე სასამართლოები 1911 წლამდე განაგრძობდნენ მუშაობას და კვლავ სასტიკი განაჩენები გამოჰქონდათ. დაპატიმრებულ რევოლუციონერებს ყოველნაირად აბუჩად იგდებდნენ, აწამებდნენ, ამშევდნენ. საპყრობილეებში ხალხი არ ეტეოდა. ასე მაგალითად, სოხუმის საპყრობილეში, რომელიც განკუთვნილი იყო 30 პატიმრისათვის, 1907 წლის ივნისში პატიმართა რიცხვი 225 კაცამდე აღწევდა. საპყრობილეში ისეთი სივიწროვე იყო, რომ მწოლიარედ ძილი შეეძლო პატიმართა მხოლოდ ერთ მესამედს, დანარჩენებს უნდა სძინებოდათ მსხდომიარეთ ან ზეზეულად კედელზე მიყრდნობით. საპყრობილეში მძვინვარებდა ტიფი, ლაზარეთში კი თითო საწოლზე მოთავსებული იყო ორ-ორი პატიმარი. ავადმყოფთა ერთი ნაწილი პირდაპირ იატაკზე იწვა. ადმინისტრაციული წესით გადასახლებულ რევოლუციონერთა რიცხვი 1907 წელს 3.700 კაცს უდრიდა. საქართველოს ბევრ საშუალო სასწავლებელში დახურეს უფროსი კლასები, ამ კლასების მოწაფეები დაითხოვეს სხვა სკოლებში შესვლის აკრძალვით.

1907 წელს ცარიზმმა დაქირავებულ პირებს საზიზღრად მოაკვლევინა დიდი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძე, როცა ის თბილისიდან შინ, საგურამოში მიემგზავრებოდა.

მეფის კონსტიტუციის საფუძველზე 1906 წელს მოწვეული იქნა სახელმწიფო სათათბირო. სათათბიროს არჩევნების კანონის მიხედვით, ერთ მუჭა მემამულეებსა და კაპიტალისტებს უფლება ჰქონდათ სათათბიროში გაეგზავნათ დეპუტატთა მეტი რიცხვი, ვიდრე ათეული მილიონობით მუშებსა და გლეხებს. ქალები საარჩევნო უფლებებს მოკლებულნი იყვნენ. მეფემ გარეკა I და II სახელმწიფო სათათბირო, ვინაიდან ისინი ყოველთვის არ იყვნენ მეფისა და მისი მინისტრების გამგონე და მორჩილნი. 1907 წლის 3 ივნისს გამოიცა ახალი კანონი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების შესახებ. მუშათა და გლეხთა უფლებები უფრო მეტად შეკვეცეს. III სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა რიცხვი შემცირდა. ნაცვლად შვიდ-შვიდი დეპუტატისა, რაც საქართველოდან I და II სათათბიროში გაიგზავნა, III სათათბიროში გაიგზავნა მხოლოდ სამი დეპუტატი.

§ 41. კაპიტალის შეტევა და მუშათა კლასის მდგომარეობა

რევოლუციის დამარცხების შემდეგ, ცარიზმის პირდაპირი დახმარებით, ბურჟუაზიამ დაიწყო გაძლიერებული შეტევა მუშათა კლასზე. ის ცდილობდა მუშათა კლასისათვის წაერთმია 1905 წლის ყველა მონაპოვარი. კაპიტალისტებმა სამუშაო დღე კვლავ გაადიდეს 10-12 საათამდე. შრომის ხელფასი შეამცირეს, აღადგინეს ჯარიმების სისტემა. მუშებს ითხოვ-

დნენ ოდნავი საბაბით, ამასთან მოწინავე და შეგნებული მუშები დათხოვნისას შეჰქონდათ ეგრეთწოდებულ „შავ სიებში“. ერთ საწარმოდან დათხოვნილ მუშებს მეორე საწარმოში უკვე არ ღებულობდნენ.

1905 წლის რევოლუციაში ავანგარდულ როლს თამაშობდნენ რკინიგზელი მუშები, ამიტომ ცარიზმი განსაკუთრებული ძალით მათ ეძგერა. ამიერკავკასიის რკინიგზა დაუქვემდებარეს განსაკუთრებულ გენერალგუბერნატორს, რკინიგზის რაიონში მოქმედებდა ომიანობის დროის კანონები. მუშათა წინააღმდეგ ბრძოლაში კაპიტალისტები ერთიანდებოდნენ კავშირებში. მუშათა გაფიცვის საპასუხოდ ისინი არ ჩერდებოდნენ საწარმოთა დახურვის წინაშეც. ასე მოიქცნენ კაპიტალისტები ბათუმში, სადაც 1906 წელს დაიხურა როტშილდის და მანთაშევის დიდი ქარხნები. ამის მეოხებით საბრუნველო მუშათა რიცხვი თითქმის ერთიორად შემცირდა (5142-დან 2730-მდე).

1905 წლის შემდეგ საქართველოს მრეწველობა პირველ ხანებში კრიზისს განიცდიდა. საბრუნველო საწარმოთა რიცხვი თითქმის სანახევროდ შემცირდა. ხოლო მუშათა რიცხვი ოდნავ სჭარბობდა 18 ათას კაცს. თუ 1906 წელს ამოიღეს 836 ათასი ტონა შავი ქვა, 1908 წელს ამოიღეს მხოლოდ 180 ათასი ტონა. ასევე შემცირდა ჭიათურის ამოღებაც.

§ 42. სოფლის მეურნეობა

რეაქციის წლებმა მძიმე შედეგები მოუტანა სოფელსაც.

ამიერკავკასიაში ერთბა არ შემოიღეს იმ საბაბით, რომ ამან ცალკეულ ხალხებს შეიძლება რუსეთიდან გამოყოფის მისწრაფება გაუძლიერესო. 1905 წლის 3 ნოემბრის მანიფესტით, 1907 წლის იანვრიდან ცენტრალური რუსეთის გლეხები განთავისუფლებულ იქნენ საგლეხო რეფორმის შემდეგ მათ მიერ მიღებული მიწების გამოსასყიდი თანხის შემდგომი გადახდისაგან. საქართველოზე ეს კანონი არ გავრცელებულა. საქართველოში სოფლად კვლავ არსებობდა ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთები, რაც გლეხებს გაჭირვებაში აგდებდა და უფრო მეტად ატანჯებდა. სოფლად ალაგდნენ ყველა რევოლუციამდელი წესი. ხელისუფლების დახმარებით მემამულენი გლეხებს ახდევინებდნენ გადასახადების ნარჩენებს.

ცარიზმი კვლავ აძლიერებდა საქართველოს კოლონიზაციას, აქ რუსების გადმოსახლებას. საქართველოს გლეხებს წლითი-წლობით სულ უფრო მეტად უნდა განეცადათ მიწის ნაკლებობა. ბევრი გლეხი, რომ სიმშილით არ ამოწყდარიყო, ახალ დასახლებულ ადგილებს ეძებდა. ასე, მაგალითად, მარტო 1912 წელს რაჭის მაზრიდან ყოფილ თერგის ოლქში გადასახლდა 302 გლეხის ოჯახი.

1912 წლის 20 დეკემბერს გამოიცა კანონი ამიერკავკასიაში დროებით ვალდებულ გლეხთა მიწების სავალდებულო გამოსყიდვის შესახებ (რუსეთში კანონი მიწების სავალდებულო გამოსყიდვის შესახებ 1818 წელს გამოიცა).

გლეხებს შემამულეთათვის ფაქტიურად დიდი ხანია გადახდილი ჰქონდათ მიღებული მიწების ღირებულება, მაგრამ 1912 წლის კანონით

ამიერ-კავკასიის გლეხებს დაეკისრათ კიდევ 5.894.000 მანეთის გადახდა. 1912 წლის კანონი მაინც არ შეხებია ხიზნებს, რომელთა რიცხვი საქართველოში მაშინ 6.200 მეკომურს შეადგენდა. მიწის გამოსყიდვის აქტებს ისე ნელა ადგენდნენ, რომ ამიერ-კავკასიაში 1917 წლის 1-ლი იანვრისათვის გლეხთა 55 პროცენტი ფაქტიურად კვლავ მემამულეთაგან დამოკიდებული რჩებოდა.

§ 43. ბოლშევიკების მცირეული ბრძოლა

რევოლუციის დამარცხების შემდეგ ცარიზმმა განსაკუთრებით გააძლიერა ბოლშევიკების დევნა. ბევრი პარტიული ორგანიზაცია დაარბიეს, დახურეს ბოლშევიკური პრესკავშირები და გაზეთები.

მაშინ, როცა მენშევიკებმა სამარცხვინოდ და გამცემლურად ხერგი შეაქციეს რევოლუციას და ცარიზმს უთანხმდებოდნენ, ბოლშევიკები, მიუხედავად მრავალი სიკვდილით დასჯისა და დაპატიმრებისა, კვლავ განაგრძობდნენ რევოლუციურ ბრძოლას. ბოლშევიკები ეწყობოდნენ ფურცლებს, ბროშურებს, იყენებდნენ სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კრებებს, რათა ამ კრებებზე აშკარად წამოეყენებინათ თავისი რევოლუციური მოთხოვნები.

ლენინი საზღვარგარეთიდან ხელმძღვანელობას უწევდა რევოლუციურ ბრძოლას. ლენინის თანამებრძოლი და თანაშემწე — სტალინი ამიერ-კავკასიაში რჩებოდა. სტალინი, რომელიც სათავეში ედგა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს, იცავდა ლენინურ სტრატეგიასა და ტაქტიკას. ბოლშევიკები ანხორციელებდნენ ლეგალური და არალეგალური მუშაობის შეხამებას, დაუკავშირდნენ მუშაობას ეწეოდნენ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა შორის. ბოლშევიკები განაგრძობდნენ სოციალიზმისათვის ბრძოლის დიად საქმეს, ებრძოდნენ მუშათა კლასს გლეხობასთან კავშირის გაწყვეტილებით გადაეცნა რევოლუციის დამარცხების შემდე დროება და კვლავ ფეხზე დამდგარიყო რევოლუციური ბრძოლისათვის თვითმყოფადი წყობილების წინააღმდეგ.

§ 44. ახალი რევოლუციური აღმავლობა

1911 წლის ზაფხულში სტალინმა, სერგო ორჯონიკიძესთან ერთად, ლენინის დავალებით, დიდი მუშაობა ჩაატარა პრაღის კონფერენციის მოწვევისათვის.

1912 წელს ქალაქ პრაღაში, ჩეხოსლოვაკიაში, შედგა ბოლშევიკური კონფერენცია, რომელმაც დაადგინა პარტიიდან გაეძევებინა ყველა მენშევიკი და მერყევი. შეიქმნა ბოლშევიკთა ერთიანი მებრძოლი პარტია.

რევოლუციის ახალი ხრიდა წინასწარ გენიალურად განჭვრიტეს ლენინმა და სტალინმა. რიდმე თბილისის კომიტეტის პროკლამაციაში, რომელიც სტალინმა დაწერა და 1911 წელს გამოიცა, ნათქვამი იყო:

„საშინელი რეაქციის შავი სიბნელიანი ღრუბლები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაზე ჩამოწვა, უკვე იფანტება და მათ ხალხის გულისწყრომისა და

აღშფოთების ჰექა-ჰექის მომასწავებელი ღრუბლები სცვლიან. ჩვენი ცხოვრების შავ ფონს ელვა ჰკვეთს და შორს უკვე მოჩანს ციალი, ახლოვდება ქარიშხალი, რომელიც დედამიწის პირიდან აღგვის ძალადობისა და ჩაგვრის საუკუნოებრივ ბუდეს — ჯალათი მეფის, ხალხის მკვლელის, რუსეთის თვითმპყრობელის ნიკოლოზ-ნაბოლარას ტახტს!"

მუშათა მოძრაობის ახალ აღმავლობას დასაბამი მისცა ცარიზმის სისხლიანმა ბოროტმოქმედებამ, როცა 1912 წლის აპრილს, ციმბირში, ლენის ოლქის სარეწაოებზე, დახვრიტეს რამდენიმე ასეული გაფიცული მუშა. მდინარე ლენაზე მომხდარი დახვრეტის ამბავი მთელ რუსეთს მოედო. ასეული ათასობით მუშები გამოვიდნენ მხურვალე პროტესტით ცარიზმის ბოროტმოქმედების წინააღმდეგ. პოლიტიკური გაფიცვების ტალღამ საქართველოსაც გადაუარა. 1912 წლის 1-ლ მაისს რუსეთში გაფიცული იყო ნახევარი მილიონი მუშა. რევოლუციური ბრძოლა დაიწყო სოფლადაც. 1910-1914 წლების მანძილზე რუსეთში მოხდა გლეხთა 13 ათასზე მეტი რევოლუციური გამოსვლა.

1913 წელს ჭიათურაში მოხდა მუშათა დიდი გაფიცვა. იმავე წელს რამდენიმე გაფიცვა მოხდა ბათუმშიაც. აფასებდა რა ამ პერიოდში მომხდარი გაფიცვების მნიშვნელობას, სტალინი სწერდა: „ეს იყო დაწყებული მძლავრი მოძრაობის პირველი მერცხლები"

თავი მეექვსე

მეორე რევოლუცია რუსეთში

§ 46. მსოფლიო იმპერიალისტური ომი

1914 წლის ივლისში დაიწყო მსოფლიო იმპერიალისტური ომი. ომში თურქეთის მონაწილეობამ გერმანიის მხარეზე ის შედეგი მოჰყვა, რომ ამიერ-კავკასია 1914 წლის შემოდგომიდან ფრონტისპირა ზოლად იქცა.

ომმა ძლიერ დააქვეითა საქართველოს სახალხო მეურნეობა; შემცირდა მოპოვება შავი ქვისა, რომელიც უმთავრესად საზღვარგარეთ გაჰქონდათ. დაიხურა ღვინო-კონიაკის ქარხნები. თავისი წარმოება შეჰკვეცა მსუბუქმა მრეწველობამ. დარდანელის დაკეტვასთან ერთად შემცირდა მთელი საზღვარგარეთული ვაჭრობა.

რკინიგზა ომის პერიოდში, უმთავრესად, სამხედრო საჭიროებებს ემსახურებოდა. ომის დროს რკინიგზის ტრანსპორტი თვიდან თვემდე სულ უფრო მეტად იშლებოდა. მკვეთრად გაუარესდა ქალაქების სურსათით მომარაგება.

გაჭიანურებულმა ომმა სოფელს განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოუტანა. გლეხებს არმიის საჭიროებისათვის წაართვეს უამრავი ცხენი და რქიანი საქონელი. ყველაზე შრომისუნარიანი გლეხები მობილიზაციით ჯარში გაიწვიეს. სოფლად დარჩნენ მხოლოდ მოხუცები, ქალები და ბავ-

შევები. მუშა-ხელისა და მუშა-საქონელის უყოლობით ნათესების ფართობი საქართველოს ცალკეულ რაიონებში, 1914 წელთან შედარებით, 75 პროცენტით შემცირდა.

ხალხი ჩაცმული და ფეხშიშველი იყო. მოსახლეობა შიმშილობდა. გაჭიანურებული ომის სიმძიმე თავს დაატყდა მუშებსა და გლეხებს.

ნაციონალური ბურჟუაზია, რომელიც უზომოდ მდიდრდებოდა სამხედრო მოგებითა და სპეკულაციით, ფრთხილ მემამულენი ცარიზმს სრულ დახმარებას უწევდნენ ომის წარმოებაში.

1915 წელს კავკასიის მეფისნაცვლად, სამსახურიდან განთავისუფლებულ გრაფ ილარიონოვ-დაშკოვის მაგიერ, დაინიშნა მეფე ნიკოლოზ მეორის ბიძა ნ. ნ. რომანოვი. ახალმა მეფისნაცვალმა, რომელიც ბურჟუაზიას და მემამულეებს ელაქტებოდა, 1916 წლის აპრილს მოიწვია თათბირი ამიერ-კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ.

თუმცა ბურჟუაზია და მემამულენი კიდევგვარ შეკეთილ რეფორმაზე თანხმდებოდნენ, მაგრამ ცარიზმის დროს ამიერ-კავკასიაში საერობო რეფორმა მაინც ვერ განხორციელდა.

§ 46. ბოლშევიკები ომიანობის წლებში

ლენინ-სტალინის მიერ ალბრდილმა საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ ომის პირველ დღეებიდანვე სწორი პოზიცია დაიკავა ომისადმი დამოკიდებულების საკითხში. საჭირო იყო ბოლშევიკების მუშაობა ომიანობის წლებში. რევოლუციურ მუშაობაში მონაწილეობისათვის მათ საბჭოდრო გასამართლება და დახვრეტა მოელოდათ.

ბოლშევიკები ამხილებდნენ მენშევიკებისა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების სისაძაგლეს. ბოლშევიკები ცდილობდნენ თავისი მთავრობის დამარცხებისა და „იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის“ ლენინურ-სტალინური ლოზუნგს. ბოლშევიკები მოუწოდებდნენ მუშებსა და გლეხებს იარაღი აესხათ მეფის, მემამულეთა და კაპიტალისტთა წინააღმდეგ. პროლეტარიატის სტიქიურად ზრდადი ბრძოლა ბოლშევიკებს გადაჰყავდათ შეგნებული პოლიტიკური ბრძოლის ლიანდაგზე. ისინი დაუცხრომელ მუშაობას ეწეოდნენ ფაბრიკა-ქარხნებში მუშათა შორის, აწყობდნენ არალეგალურ კრებებს. მონაწილეობას ღებულობდნენ პროფკავშირებში. კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებში, ეწეოდნენ ბოლშევიკური ლოზუნგების პროპაგანდა-აგიტაციას.

ბოლშევიკები მუშაობას ეწეოდნენ ჯარისკაცთა შორის ფრონტზე და ზურგში, აწყობდნენ პარტიულ უჯრედებს და მათ ბოლშევიკურ ლიტერატურას აწვდიდნენ. ბოლშევიკები მუშაობას ეწეოდნენ გლეხთა შორისაც.

1915 წლის შემოდგომაზე ბაქოში ს. შაუმიანის ხელმძღვანელობით ჩატარდა კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების თათბირი. თათბირმა მიიღო გადაწყვეტილებანი პარტიის მიმდინარე პოლიტიკის ყველა უმნიშ-

ნელოვანეს საკითხზე და აირჩია ხელმძღვანელი პარტიული ორგანო — „ბოლშევიკთა კავკასიის ბიურო.“

1915 წლის 1-ლ დეკემბერს ლენინისათვის გაგზავნილ წერილში ს. შაუმიანი ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობის შესახებ სწერდა: „საერთოდ, ნებას მივცემ ჩემს თავს ვიფიქრო, რომ მთელ ჩვენს ნათესავობასაც მადლა ეჭირა ჩვენი ოპორტუნური დროება და თქვენ შეგიძლიათ დამშვიდებული იყოთ ჩვენი რეპუტაციისათვის.“

§ 47. რევოლუციური მოძრაობა ომიანობის წლებში

მალე თურქეთის ფრონტზე საომარი მოქმედების დაწყების შემდეგ, აქარაში დაიწყო აკანყება ცარიზმის წინააღმდეგ. ეს აკანყება განსაკუთრებული სისასტიკით ჩაახშეს. საქართველოში, ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, დაიწყო მასობრივი გაფიცვები. უკვე 1915 წელს გაფიცული იყვნენ ადელხანოვის, ბოზარჯიანცის, ალიხანოვის, თაიროვის და სხვ. ფაბრიკა-ქარხნების მუშები. ტყიბულში გაფიცული იყვნენ ჭიანახშირის მაღაროთა მუშები.

1916 წელს უფრო მეტად იზრდება საგაფიცვო ბრძოლა. თბილისში გაფიცული იყვნენ ტრამვაის, თამბაქოს ფაბრიკების, ტყავის ქარხნების და სხვ. მუშები. გაიფიცნენ აგრეთვე ბათუმის, ფოთის, ჭიათურის, ტყიბულის და სხვ. მუშები. გაფიცვები რაზმავდა მუშებს, აძლიერებდა მათს პოლიტიკურ აქტივობას და გადადიოდა ბრძოლაში ომის და მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ქალაქებსა და მუშათა ცენტრებში რევოლუციური მოძრაობის ზრდის გავლენა მალე სოფელსაც დაეტყო. გლეხები მხარს უჭერდნენ მუშებს და იწყებდნენ ბრძოლას ომის, მეფისა და მემამულეთა წინააღმდეგ.

ბოლშევიკების მუშაობის გაელვებით დაიწყო ომის წინააღმდეგ კარისკაცთა გამოსვლებიც.

კავკასიის ფრონტზე იყო 700 ათასზე მეტი კარისკაცი. არასრული ცნობებით, მარტო 1916 წელს ირიცხებოდა 80 ათასზე მეტი მოკლული და დაჭრილი. არმიის მომარაგება საძაგლად იყო დაყენებული. კარისკაცები შიშხილობდნენ, ცუდად იყვნენ ჩაცმულნი, მათ შორის მძვინვარებდა მალარია, ტიფი და სხვა სნეულებანი, რაც ათასობით ადამიანთა სიცოცხლეს იწირავდა. კარისკაცები მასობრივად დეზერტირობდნენ, უარს ამბობდნენ შეტევაზე, ჰკლავდნენ უფროსებს. კარისკაცები მოითხოვდნენ ხოცვა-ჟლეტის შეწყვეტას, მათ დაიწყეს დაძმობილება მოწინააღმდეგის კარისკაცებთან.

ამიერ-კავკასიაში, ისე როგორც დანარჩენ რუსეთში, ახლოვდებოდა რევოლუცია. რევოლუციურ მოძრაობას სათავეში ედგა და მას წინ უძღოდა მუშათა კლასი—რუსეთის გმირი პროლეტარიატის ერთ-ერთი რაზმი.

§ 48. განათლება და კულტურა რევოლუციის წინ

(1907 — 1917 წ. წ.)

1908 წელს კავკასიაში მთლიანად სახალხო განათლების საქმეზე გამოყოფილი იყო საერთაო ხარჯთაღრიცხვის 6 პროცენტი. მთელი სასკოლო ბიუჯეტი საშუალოდ თითო მცხოვრებზე 80 კაპიკს შეადგენდა.

1916 წელს სკოლებში ირიცხებოდა 138.613 მოწაფე, მაგრამ ეს უმნიშვნელო ციფრი იყო ხალხის ნამდვილი მოთხოვნილების თვალსაზრისით. საკლავ მდგომარეობაში იყო სასკოლო შენობები. მასწავლებლებს გროშებს აძლევდნენ. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ ამიერ-კავკასიის და საქართველოს მოწინავე საზოგადოებრიობა ცდილობდა ამიერ-კავკასიის ხალხებისათვის უმაღლესი სკოლის გახსნას, მაგრამ მეფის მთავრობა ამის ნებართვას არ იძლეოდა.

მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლების და დევნისა, საქართველოში ვითარდება საზოგადოებრივი და კერძო ინიციატივა სახალხო განათლების საქმეში. ასე, მაგალითად, 1907 წელს თბილისში, კერაზე, კერძო სახ. სრებით, შთავრდება ქართული გიმნაზიის შენობის აგება. ამ შენობაში ამჟამად მოთავსებულია თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ფართოდ გაშალა თავისი მუშაობა „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ".

1907 წელს თავის მუშაობას იწყებს „საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოება". ამ საზოგადოებამ შეკრიბა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. ის აგრეთვე აქვეყნებდა სამეცნიერო ნაშრომთა კრებულებს: „ძველი საქართველო" და „საქართველოს სიძველენი".

დიდი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის სახალხო უნივერსიტეტის მოწყობას, სადაც იკითხებოდა სამეცნიერო-პოპულარული ლექციები მეცნიერების ყველა დარგში.

რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში მუშაობით განაგრძობდნენ ზრდას საქართველოს მეცნიერთა კადრები. ამ პერიოდს ეკუთვნის აბალგაზრდა მეცნიერ-ისტორიკოსის, პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტის, ამჟამად აკადემიკოსი ი. ა. ჯავახიშვილის მოღვაწეობა.

1908 წლის ნოემბერს ქართველმა ხალხმა დიდი ზეიმით და განსაკუთრებული სიყვარულით აღნიშნა იუბილე დიდი ქართველი პოეტის, მოქალაქისა და პატრიოტის აკაკი წერეთლის დაბადებიდან 50 წლის შესრულების გამო.

მიუხედავად ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის გაძლიერებისა, კვლავ ცოცხლობს და ვითარდება შთატრული ლიტერატურა. გამოქვეყნებიან ახალი მწერლები და პოეტები: ლ. ქიაჩელი, ა. შანშიაშვილი, შ. არაგვისპირელი, ი. გრიშაშვილი, გ. ტაბიძე, ვ. რუხაძე, ნ. ჩხიკვაძე, ხ. ვარდოშვილი, გ. ქუჩიშვილი, ა. აბაშელი, ს. ეკალი და სხ.

საბავშვო ლიტერატურის განვითარებას დიდად უწყობენ ხელს ჟურნალები „ჯეჯილი" და „ნაკადული". საბავშვო მწერალთა შორის ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობს შ. მღვიმელი.

§ 49. თებერვლის რევოლუცია

1917 წლის თებერვალში ცარიზმის დამხობის შემდეგ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ გაიმარჯვა ამიერ-კავკასიაშიც.

ბურჟუაზიულმა დროებითმა მთავრობამ მხარის მართვა-გამგეობისათვის შეჰქმნა უკრეთწოდებული ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტი. მის შემადგენლობაში შევიდა IV სახელმწიფო სათათბიროს ხუთი წევრი კადეტ ხარლამოვის მეთაურობით. ხელმძღვანელ როლს ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტში თამაშობდა მენშევიკი ა. ჩხენკელი, რომელმაც ხელთ აიღო ამიერ-კავკასიის შინაგანი მმართველობის საქმე. თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებიდანვე ამიერ-კავკასიაში, როგორც დანარჩენ რუსეთშიაც, შეიქმნა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები.

რევოლუციის შემდეგ უველაზე ადრე შეკავშირება მოახერხეს ქართველმა მენშევიკებმა, რომელთაც ომიანობის დროს ცარიზმის მხრით არაეითარი დევნა არ განუცდიათ.

ისარგებლეს რა მუშათა და ჯარისკაცთა ზედმეტი მიმნდობლობით, მენშევიკებმა ესერებთან ერთად უმრავლესობა მოიპოვეს საბჭოებში. ქართველი მენშევიკები, რომლებიც ამიერ-კავკასიაში ხელმძღვანელ როლს თამაშობდნენ, იცავდნენ ნაციონალური ბურჟუაზიის და მემამულეთა ინტერესებს. მენშევიკები იბრძოდნენ რევოლუციის შემდგომი განვითარების და სოციალისტურ რევოლუციად მისი გადაზრდის წინააღმდეგ. ისინი არც კი ფიქრობდნენ ომის ლიკვიდაციაზე, ზავის მოპოვებაზე. მენშევიკები ილაშქრებდნენ მუშათა გაიარაღებისა და მუშათა კონტროლის წინააღმდეგ. ისინი მუშებსა და გლეხებს წინადადებას აძლევდნენ დამფუძნებელ კრებამდე გადაედოთ 8-საათიანი სამუშაო დღის, მიწის, ნაციონალური და სხვა საკითხების გადაწყვეტა.

ამიერ-კავკასიაში მთლიანად შენარჩუნებულ იქნა ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის ძველი აპარატი. მთელი ძალაუფლება კვლავ შეძლებული კლასების ხელში რჩებოდა. მენშევიკები ბურჟუაზიასთან და მემამულეებთან ერთად ცდილობდნენ ბურჟუაზიული წყობილების შენარჩუნებას. ამრიგად, თებერვლის რევოლუციამ ვერ გაანეიტრალა ამიერ-კავკასიის მშრომელი კლასების მდგომარეობა.

§ 80. ბოლშევიკები ამზადებენ სოციალისტურ რევოლუციას

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები იატაკქვეშეთიდან ამოვიდნენ და გააჩაღეს აშკარა პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა. მათ წინაშე იდგა უმნიშვნელოვანესი ამოცანა—მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებში უმრავლესობის მოპოვება, იქიდან მენშევიკების, ესერებისა და სხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების განძევება.

რუსეთში მთელი ბოლშევიკური პარტიისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ლენინის საზღვარგარეთიდან რუსეთში ჩამობრუნებას და ბოლშევიკთა VII (აპრილის) კონფერენციას, რომელიც 1917 წლის 24 აპრილს გაიხსნა. კონფერენციას დაესწრნენ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების დელეგატებიც. აპრილის კონფერენციამ პარტიას გეზი მისცა ბურ-

ჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლისათვის საბრძოლველად.

ამიერკავკასიის და საქართველოს ბოლშევიკებმა დიდი მუშაობა გააჩაღეს მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა მასებში. მათ ამხილეს მენშევიკებისა და ესერების გამცემლობა, ისინი ხალხს მოუწოდებდნენ დროებითი მთავრობის წინააღმდეგ, ომის შეწყვეტისათვის, მთელი მიწის გლეხებისათვის დაუყოვნებლივ გადაცემისათვის საბრძოლველად.

ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტთა ნება-სურვილის აღმსრულებელი დროებითი მთავრობის მიერ ივნისში ფრონტზე დაწყებული შეტევის დამარცხების შემდეგ, პეტროგრადში ივლისის დემონსტრაციის დახვრეტის შემდეგ, ამიერ-კავკასიაში ძლიერ გაიზარდა ბოლშევიკური გავლენა. საქართველოში ბოლშევიკები სარგებლობენ უპირატესი გავლენით მთელ რიგ პროფკავშირებში: მელითონეთა, ელექტრიკოსთა, მეტყავეთა, მეთამბაქოეთა შორის და სხვ. ბოლშევიკური გავლენა განსაკუთრებით ძლიერ გაიზარდა პროლეტარულ ბაქოში. აქ დაუცხრომელ მუშაობას ეწეოდნენ და ლენინ-სტალინის პოლიტიკის თანმიმდევარი გამტარებელნი იყვნენ სტეფანე შაუმიანი, ა. ჯაფარიძე, ა. მიქოიანი, მ. აზიზბეკოვი, ი. ფიოლეტოვი, მ. ბასინი და სხვ.

ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ბაქოს პროლეტარიატმა 1917 წლის სექტემბერში გამოაცხადა გაფიცვა, რომელიც ძლევამოსილად დამთავრდა. ამ გაფიცვის გამო რსდმპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოუგზავნა შემდეგი დეპეშა: „მივესალმებით ქალაქ ბაქოს პროლეტარიატს, რომელმაც აშკარა ბრძოლაში დაამარცხა ორგანიზებული კაპიტალი."

ბოლშევიკური აგიტაციის გავლენით მასებში ძლიერდება ბოლშევიკების გავლენა. გლეხები რევოლუციური გზით ხელთ იგდებენ მემამულეთა მიწებს. გლეხები რწმუნდებიან, რომ მათი ინტერესების ნამდვილი დამცველები ბოლშევიკები არიან.

ბოლშევიზაციის პროცესი ძლიერდება ჯარისკაცთა შორისაც. არმიაში ფართოდ ვრცელდებოდა ბოლშევიკური გაზეთები. თავის რეზოლუციებსა და დადგენილებებში ჯარისკაცთა მასები ჰგმობდნენ კონტრრევოლუციურ დროებით მთავრობას და მენშევიკებისა და ესერების პარტიებს.

12 ივნისს თბილისში შედგა 10 ათასი ჯარისკაცის მიტინგი, რომელმაც გამოიტანა ბოლშევიკური რეზოლუცია. 25 ივნისს თბილისშივე შედგა ჯარისკაცთა მასობრივი დემონსტრაცია, რომელიც მოეწყო ფრონტზე ივლისის შეტევის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

ძლიერ გაიზარდა ბოლშევიკების გავლენა მუშა ახალგაზრდობაზეც. თბილისში, ბაქოში, ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში, სამხრეთ-ოსეთში მოეწყო ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირები, რომლებიც მუშაობდნენ ბოლშევიკური ორგანიზაციათა უშუალო ხელმძღვანელობით.

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუცია რუსეთსა და ამიერ-კავკასიაში

§ 61. კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ყრილობა

1917 წლის აგვისტოს პეტროგრადში არალეგალურად შეიკრიბა ბოლშევიკური პარტიის VI ყრილობა. ყრილობა გაერთიანდა სტალინის გარშემო, რომელიც იცავდა ლენინის მოძღვრებას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ. პარტიის VI ყრილობის ყველა გადაწყვეტილება მიმართული იყო შეიარაღებული აჯანყებისათვის პროლეტარიატის და უღარიბესი გლეხობის მომზადებისაკენ. VI ყრილობა იქცა აჯანყების მომზადების ყრილობად, მან პარტიას მისცა გეზი სოციალისტური რევოლუციისაკენ.

1917 წლის 2 ოქტომბერს თბილისში გაიხსნა კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ყრილობა, რომელსაც 52 დელეგატი დაესწრო. ადგილობრივი დელეგატების მოხსენებები ცხადჰყოფდა, რომ კავკასიაში ისევე, როგორც მთელს რუსეთში, გიგანტურად იზრდებოდა რევოლუცია.

პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ყრილობა მტკიცედ დაადგა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობის პოზიციას. VI ყრილობის დადგენილებათა შესაბამისად გამოტანილ იქნა გადაწყვეტილებანი აგრეთვე ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, როგორიც იყო ნაციონალური საკითხი, აგრარული საკითხი, საკითხი დამფუძნებელი კრებისადმი დამოკიდებულების შესახებ.

ყრილობამ მისალმება გაუგზავნა „რუსეთის რევოლუციის სახელოვან ბელადს" ლენინს და გამოსთქვა მტკიცე რწმენა, რომ მალე შეიქმნება ისეთი პირობები, როცა ლენინი შესძლებს თავი დააღწიოს იატაკქვეშეთს და „დაიკავოს ჩვენი პარტიის ბელადის, რუსეთის დიდი რევოლუციის ბელადის პოსტი."

§ 62. ამიერ-კავკასიის შეძლებულ კლასთა კონტრრევოლუციური ბლოკი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში

1917 წლის ოქტომბერში, ბოლშევიკთა პარტიის მეთაურობით, მუშათა კლასმა, ღარიბ გლეხობასთან კავშირის მქონემ, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა დახმარებით, დაამხო ბურჟუაზიის ძალაუფლება და დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება.

ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ მსოფლიო გაითიშა ორ სისტემად — სოციალიზმის სისტემად და კაპიტალიზმის სისტემად.

ქართველი მენშევიკები და ამიერ-კავკასიის სხვა ნაციონალისტური პარტიები მთლიანი რუსეთის მომხრენი იყვნენ და დროებითი მთავრობის განკარგულებებს ემორჩილებოდნენ. მაგრამ ყველა ნაციონალისტური

პარტია მტრულად შეხვდა სოციალისტური საბჭოთა მთავრობის შექმნას ლენინის მეთაურობით, მათ უარი სთქვეს მისადმი დამორჩილებაზე და დაიწყეს აშკარა მზადება საბჭოთა რუსეთიდან ამიერ-კავკასიის ჩამოშორებისათვის.

1917 წლის 11 ნოემბერს თბილისში შეიქმნა ამიერ-კავკასიის განსაკუთრებული მთავრობა, ეგრეთწოდებული ამიერ-კავკასიის კომისარიატი, რომლის სათავეში დააყენეს მენშევიკი ე. გეგეჭკორი.

ამიერ-კავკასიაში ჩამოყალიბდა საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და სხვ. ბურჟუაზიულ-მემამულური ნაციონალური საბჭოები. მთელს ამიერ-კავკასიაში დაიწყო განსაკუთრებული ნაციონალური სამხედრო ნაწილების შექმნა, აგრეთვე სპეციალური ბურჟუაზიულ-მემამულური ბანდების შეიარაღება რევოლუციონერი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამიერ-კავკასიის კონტრრევოლუციურმა ხელისუფლებამ ფაქტიური კავშირი შეკრა რუსეთის თეთრგვარდიელებთან საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლის მისაწყობად.

მაგრამ არავითარ ძალას არ შეეძლო ამიერ-კავკასიაში ოქტომბრის დიდი რევოლუციის გავლენის შეჩერება. მან მძლავრი ბიძგი მისცა რევოლუციის შემდგომ განვითარებას. იმ ბრძოლაში, რომელიც სწარმოებდა ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის, მოწინავე რაზმს ბაქოს პროლეტარიატი წარმოადგენდა. ბაქოს საბჭომ აირჩია ახლადარჩეული კომიტეტის ახალი შემადგენლობა ბაქოს პროლეტარიატის საყვარელი ხელმძღვანელის სტეფანე შაუმიანის მეთაურობით. ბაქოს საბჭომ მოაწყო წითელი გვარდია და ინტერნაციონალური პოლკები როგორც კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში აუცილებელი შეიარაღებული ძალა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კავკასიის ფრონტის არმიაში გაბატონებული იყო ბოლშევიკური გავლენა. 1917 წლის დეკემბერს თბილისში ჩატარდა კავკასიის არმიის II ყრილობა. არმიის სამხარეო საბჭო, რომელიც ამ ყრილობამ აირჩია, მტკიცედ ბოლშევიკური აღმოჩნდა. საბჭომ მთელს არმიას მიმართა მოწოდებით ეცნო საბჭოთა ხელისუფლება.

ფრონტიდან და ქალაქებიდან დაბრუნებულ ჯარისკაცთა საშუალებით საქართველოს სოფლებში ცნობილი გახდა ლენინურ-სტალინური დეკრეტები მიწაზე, ზავზე, რუსეთის ხალხების უფლებათა დეკლარაცია და სხვ. სოფლად იზრდებოდა აგრარული რევოლუცია.

§ 68. ამიერ-კავკასიაში სამოქალაქო ომის დაწყება

1917 წლის დამლევს და 1918 წლის დამდეგს ამიერ-კავკასიაში შექმნილი იყო რევოლუციური ვითარება საბჭოთა ხელისუფლებისათვის გადამწყვეტი ბრძოლის გასაჩაღებლად.

მაგრამ ბოლშევიკთა თბილისის კომიტეტში შემავალმა მ. ტოროშელიძემ, ს. ქავთარაძემ, მ. ოკუჯავამ, ლ. დუმბაძემ, კ. ცინცაძემ და სხვებმა, რომლებიც ამჟამად მხილებული არიან როგორც ხალხის მტრები, ლენინ-

სტალინის მითითებათა წინააღმდეგ, ხელი აიღეს საბჭოთა ხელისუფლებისათვის შეთარაღებული ბრძოლის მომზადებასა და ჩატარებაზე.

1917 წლის 12 დეკემბერს მენშევიკებმა ხელთ იგდეს თბილისის არსენალი, რომელსაც ბოლშევიკური ყარაული იცავდა.

რევოლუციის განვითარების შესაჩერებლად, ამიერ-კავკასიის კონტრრევოლუციონერები, ქართველი მენშევიკების მეთაურობით, სდევნიან ბოლშევიკებს, ჰგზავნიან სოფლად დამსჯელ ექსპედიციებს, იარაღსა ჰკრიან ბოლშევიკურ სამხედრო ნაწილებს. ასე, მაგალითად, ამიერ-კავკასიის რკინიგზის შამქორის სადგურზე ყარისკაცთა ეშელონების განიარაღებისას მოკლეს 2 ათასამდე რუსი ყარისკაცი.

თებერვალს თბილისში დაიხურეს ბოლშევიკური გაზეთები: „ბრძოლა", „კავკაზსკი რაბოჩი", „ბანვორი ქრიე".

10 თებერვალს თბილისში გაიხსნა ეგრეთწოდებული „ამიერ-კავკასიის სეიმი". მუშათა და გლეხთა უბოროტეს მტრებს — მენშევიკებს, ესერებს, დაშნაკებს, მუსავატელებს და სეიმში შემავალ სხვა კონტრრევოლუციურ პარტიებს უნდოდათ იურიდიულად გაეფორმებინათ საბჭოთა რუსეთიდან ამიერ-კავკასიის გამოყოფა, აგრეთვე დაესახათ შემდგომი ღონისძიებანი ბოლშევიზმთან ბრძოლის გასაძლიერებლად. 1918 წლის 10 თებერვალს ალექსანდრეს ბაღში (ამჟამად კომუნართა ბაღი) შეიკრიბა ხალხმრავალი ბოლშევიკური მიტინგი ნიშნად პროტესტისა ამიერ-კავკასიის კონტრრევოლუციონერთა პოლიტიკისა და ამიერ-კავკასიის სეიმის გახსნის წინააღმდეგ. ქართველმა მენშევიკებმა ამ დღეს ჩაიდინეს ახალი ავაზაკობა. მენშევიკურმა რაზმმა სროლა აუტეხა ბოლშევიკურ მიტინგს. ბევრი მოკლეს და დასჭრეს.

შამქორის სადგურზე რუს ყარისკაცთა დახვრეტამ და ალექსანდრეს ბაღში ბოლშევიკური მიტინგის დახვრეტამ სოციალიზმის ნიღაბი საბოლოოდ ჩამოგლიჯა მენშევიკ კონტრრევოლუციონერებს.

ამიერ-კავკასიის სეიმმა უარი სთქვა ენგო ბრესტის ზავი და დაიწყო ომი თურქეთთან. მაგრამ მენშევიკები და დაშნაკები უძლური აღმოჩნდნენ წინააღმდეგობა გაეწიათ თურქეთის ჯარებისათვის, ხოლო მუსავატელებმა საერთოდ უარი სთქვეს თურქეთთან ბრძოლაზე. თურქებმა მენშევიკებსა და დაშნაკებს თავს მოახვიეს კაბალური და სამარცხვინო ზავი.

1918 წლის 22 აპრილს (ახალი სტილით) ამიერ-კავკასიის სეიმმა ამიერ-კავკასია „დამოუკიდებელ" ფედერატიულ დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოაცხადა. შეიქმნა ახალი მთავრობა მენშევიკ ა. ჩხენკელის მეთაურობით.

§ 64. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება ბაქოში და საქართველოს ცალკეულ რაიონებში

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლას ამიერ-კავკასიაში ხელმძღვანელობდა სტეფანე შაუმიანი. რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დავალებით ის დანიშნა კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისრად საბჭოთა ხელისუფლების შექმნამდე.

ბაქოს ბოლშევიკებმა, რომელნიც ლენინისა და სტალინის მითითებებს ისდევდნენ, ამოცანად დაისახეს ბაქოს გადაქცევა ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის დასაწყებად პუნქტად, დაიწყეს შეიარაღებული ბრძოლა მუსავატური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ და სრული გამარჯვება მოიპოვეს. 1918 წლის 12 (25) აპრილს ბაქოს მუშათა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე ჩამოყალიბებულ იქნა ბაქოს სახალხო კომისართა საბჭო. თავჯდომარედ არჩეულ იქნა სტეფანე შაუმიანი. საბჭოთა ხელისუფლებამ ბაქოში დიდი მუშაობა გაშალა სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში. ნავთის სარეწაოები, ქარხნები და კაპიტალი გამოცხადებულ იქნა სახელმწიფოს საკუთრებად. მიწა მემამულეებს ჩამოერთვა და გლეხებს გადაეცა. ბაქოს ბოლშევიკები ნავთს აგზავნიდნენ საბჭოთა რუსეთში ასტრახანითა და ვოლგით. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს წითელი არმიის შექმნას, რაც აუცილებელი იყო იმპერიალისტებისა და შინაგანი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობა დიდ გავლენას ახდენდა საქართველოს პროლეტარიატსა და გლეხობის მასებზე. გლეხთა აჯანყებანი, ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, მოეწყო გორის, დუშეთის, ბორჩალოს, სენაკის, ზუგდიდის, ლეჩხუმის და სხვ. მაზრებში. ბოლშევიკური აჯანყება მოხდა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში. 6 აპრილს წითელმა აჯანყებულებმა აიღეს სუხუმი. საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადებულ იქნა მთელს აფხაზეთში, სადაც მან 42 დღეს იარსება.

ამიერ-კავკასიაში მეტად გაწაწეავებული იყო ნაციონალური წინააღმდეგობანი. ამიტომ ამიერ-კავკასიის ფედერაცია დაიშალა. 1918 წლის მაისში საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა თავის თავი „დამოუკიდებელ" რესპუბლიკებად გამოაცხადეს. მენშევიკებს, დაშნაკებს და მუსავატელებს ყველაზე მეტად ეშინოდათ ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა, ამიტომ ბოლშევიკების გასანადგურებლად მათ მოწვიეს გერმანიის და თურქეთის ჯარები.

თავი მეოთხე

მენშევიკური ხელისუფლება საქართველოში და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის

§ 66. მენშევიკების საშინაო და საგარეო პოლიტიკა და მშრომელი მასების მდგომარეობა

მენშევიკების მიერ საქართველოს „დამოუკიდებლობის" გამოცხადებისთანავე იწყება გერმანელი ოკუპანტების ჩამოსვლა. 1918 წლის ნოემბერს გერმანიაში მომხდარი რევოლუციის შემდეგ ისინი იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ საქართველო. მათ ადგილზე მოვიდნენ ინგლისელი იმპერიალისტები. მათ საქართველოში თავი ისე ეჭირათ, როგორც ქვეყნის ნამდვილ ბატონ-პატრონთ. მენშევიკები ფაქტიურად იმპერიალისტ-მპყრობელთა ნებასურვილის აღმსრულებელნი იყვნენ.

მენშევიკურმა მთავრობამ კავშირი შეკრა რუსეთის კონტრრევოლუციასთანაც, რომელიც უკანელი ინტერვენტების დაბმარებით პირველს აწარმოებდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. საბჭოთა მთავრობა წინადადებას აძლევდა მენშევიკებს გამოსულიყვნენ ყოფილი მეფის რუსეთის ტერიტორიაზე დასახლებული უველა ეროვნული უმცირესობის მტრის— გენერალ დენიკინის წინააღმდეგ. რომელიც ანტანტის დახმარებით ისწრაფოდა აღედგინა რუსეთში კაპიტალისტთა და მემამულეთა ბატონობა.

მენშევიკებმა უკუაგდეს ეს წინადადება და უარი სთქვეს რუსეთის კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ფრონტის შექმნაზე. ამიერ-კავკასიაში მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატელების ბატონობის პერიოდი იყო ნაციონალურ გართულებათა და ძმათამკელეტი ომების ხანა. ასე, მაგალითად, 1918 წლის დეკემბერს საქართველოს და სომხეთის შორის დაიწყო სამარცხვინო ძმათამკელეტი ომი, რომლის საბაბად გადაიქცა სადავო ტერიტორია ყოფილ ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრებში. ძმური ნდობის ძველი კავშირი, რომელიც ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის არსებობდა, ძლიერ შესუსტდა ნაციონალისტურ მთავრობათა დანაშაულებრივი პოლიტიკის მეოხებით.

მენშევიკები სჩაგრავდნენ და ძლიერ სდევნიდნენ საქართველოს ნაციონალურ უმცირესობათ — აფხაზებს, ოსებს, სომხებს და სხვ. არაერთხელ აჯანყებულან სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთისა და აჭარის მშრომელები. ამ აჯანყებებს განსაკუთრებული სისასტიკით ახრობდნენ.

ეკრძნობოდნენ რა დასავლეთის იმპერიალისტებს და ფაქტიური კავშირი ჰქონდათ რუს თეთრგვარდიელებთან, ქართველი მენშევიკები ამხანაგებდნენ კაპიტალიზმს. ხალხთა მასები მათ განწირული ჰყავდათ დასაჩაგრავად და საექსპლოატაციოდ.

მენშევიკები თავის რესპუბლიკას „დემოკრატიულს“ და სახალხო რესპუბლიკას უწოდებდნენ. ნამდვილად კი მენშევიკურ რესპუბლიკაში ხალხს არავითარი ძალა-უფლება არ მოეპოვებოდა. მთავრობაში არ იყო არც ერთი მუშა, არც ერთი გლეხი.

ფაბრიკა-ქარხნები კვლავ კაპიტალისტთა ხელში რჩებოდა. კანონი 8 საათიანი სამუშაო დღის შესახებ ფაქტიურად არ სრულდებოდა. ბევრ წარმოებაში მუშები კვლავ 12-14 საათს მუშაობდნენ. არ სწარმოებდა მუშა-მოსამსახურეთა დაზღვევა ავადმყოფობისა და ინვალიდობის შემთხვევისათვის. სასტიკად სდევნიდნენ მუშათა გაფიცვებს. მენშევიკები იცავდნენ მემამულეთა და კულაკთა ინტერესებს. საადგილმამულო რეფორმა მათ ისე გაატარეს, რომ საუკეთესო მიწები მემამულეებსა და კულაკებს შერჩათ.

§ 68. ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის

საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს ბოლშევიკებს მუშაობა უხდებოდათ განსაკუთრებით მძიმე პირობებში. საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაცია შექმნილია სტალინის მიერ. სტალინის ხელმძღვა-

ნელობით. საქართველოს მუშები და გლეხები ურღვევი მეგობრობით იყვნენ შეკრულებული დიდი რუს ხალხთან ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1917-1920 წლებში ქართველი ბოლშევიკები მეთაურობდნენ ქართველ ხალხს მის ბრძოლაში მენშევიკური ხელისუფლებისა და უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ. 1918 წელს ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ მუშათა გაფიცვებს, რომელთა შორის უდიდესი და შეუპოვარი იყო ტყიბულის ქვანახშირის მალაროების მუშათა გაფიცვა. 1918 წლის ზაფხულში, ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, მოხდა გლეხთა დიდი აჯანყებანი დუშეთის მაზრაში, იმერეთში და სამეგრელოში.

საგაფიცვო მოძრაობამ განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი მიიღო 1919 წელს. ამ პერიოდში უველაზე დიდი იყო თბილისის ქალაქის გაშგეობის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვა.

1919 წლის გაზაფხულზე ჩრდილო კავკასიიდან თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა რუსეთში მიმავალი სერგო ორჯონიკიძე, რომლის მონაწილეობით საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ გამოიტანა გადაწყვეტილება საყოველთაო აჯანყების მომზადებისა და ჩატარების შესახებ. აჯანყება მოხდა 1919 წლის შემოდგომაზე. მენშევიკურმა მთავრობამ ინტერვენტების დახმარებით ჩააქრო ეს აჯანყება. მიუხედავად დამარცხებისა და მძიმე მსხვერპლებისა, ბოლშევიკებმა უფრო მეტი ენერგიით დაიწყეს მზადება ახალი შეიარაღებული აჯანყებისათვის.

1920 წლის დასაწყისში რუსეთში ალინიშნა საბჭოთა ხელისუფლების გადამწყვეტი გამარჯვებით სამოქალაქო ომის ფრონტებზე. ძლევამოსილი წითელი არმია სულ უფრო უახლოვდებოდა ამიერ-კავკასიის საზღვრებს.

1920 წლის მარტში კავკასიის ხალხთა შრომელმა მასებმა საბჭოთა მთავრობას და წითელ არმიას მიმართეს მოწოდებით — კონტრრევოლუციასთან ბრძოლაში დაგვეხმარეთო.

„ჩვენ არ გვინდა მონებად დავრჩეთ, — ეწერა ამ მიმართვაში. — განსაკუთრებით ახლა, როცა ჩვენს გვერდით დგას რუსეთის განთავისუფლებული პროლეტარიატი, რომელთან ერთად ჩვენ გვსურს შევიდეთ ერთიან პროლეტარულ ინტერნაციონალურ ოჯახში."

1920 წლის აპრილს აზერბაიჯანის მუშებმა და გლეხებმა, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ სტალინის თანამებრძოლნი — ს. ორჯონიკიძე, ს. კიროვი და ა. მიქოიანი, რუსეთის გმირი პროლეტარიატისა და მისი მამაცი წითელი არმიის დახმარებით, დაიწყეს შეიარაღებული აჯანყება მშრალგერელი ინტერვენტებისა და მათი დამქაშების — მუსავატელების წინააღმდეგ. 1920 წლის 28 აპრილს აზერბაიჯანში გამოცხადებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლება.

ქართველ მენშევიკებს ეშინოდათ წითელი არმიის მოახლოებისა და საბჭოთა რუსეთის შესთავაზეს სამშვიდობო ხელშეკრულება. 1920 წლის 7 მაისს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა სამშვიდობო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით მენშევიკებს უნდა გაეწმინდათ საქართველო ინტერვენტებისა და რუსი თეთრგვარდიელებისაგან და თავისუფალი არსებობის ნება

დაერთოთ საქართველოს კომუნისტური პარტიისათვის (ბოლშევიკებისათვის).

საბჭოთა მთავრობის სრულუფლებიან წარმომადგენლად საქართველოში დაინიშნა სერგეი მირონის-ძე კიროვი. ის იყო საბჭოთა ქვეყნის ნამდვილი წარმომადგენელი, ლენინ-სტალინის წარმომადგენელი, ეხმარებოდა და ფაქტიურად ხელმძღვანელობდა საქართველოს კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას).

მაგრამ მალე გამოირკვა, რომ მენშევიკური მთავრობა არ აპირებდა საბჭოთა რუსეთთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების კეთილსინდისიერად შესრულებას.

საქართველოში წინანდებურად თარეშობდნენ თეთრგვარდიელები და ინტერვენტები. მენშევიკებმა დახურეს ბოლშევიკური გაზეთები, ისინი აპატიმრებდნენ და სდევნიდნენ კომუნისტებს. მაგრამ მენშევიკების თვითნებობა და უხეში ძალადობა მუშათა და გლეხთა წინააღმდეგ უკვე ვეღარ შეაჩერებდა რუსეთის პროლეტარული რევოლუციის ზრდას.

§ 57. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში

1920 წლის შემოდგომისათვის მენშევიკური საქართველოს მთელი საბალხო მეურნეობა საბოლოოდ დანგრეული იქნა. ფაბრიკა-ქარხნების უმრავლესობა არ მუშაობდა. შეწყდა მატარებელთა ნორმალური მიმოსვლა რკინიგზაზე. ქალაქისა და სოფლის მშრომელი მოსახლეობა უდიდეს გაჭირვებას განიცდიდა, ომი გალატაკებული და დამშეული იყო.

ამ დროისათვის მოხდა მნიშვნელოვანი საგარეო-პოლიტიკური ამბები. საბჭოთა რუსეთმა დაამთავრა ომი პოლონეთთან, საბოლოოდ გაანადგურა ვრანგელი ყირიმში, ეს მოასწავებდა საბჭოთა ხელისუფლების სრულ გამარჯვებას სამოქალაქო ომის ყველა ძირითად ფრონტზე.

ნოემბრის დამლევს საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა სომხეთში.

ასეთ პირობებში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში გარდუვალი ხდება.

1921 წლის 11 თებერვალს ლამით, კომპარტიის დირექტივის მიხედვით, საქართველოში დაიწყო აჯანყება კონტრრევოლუციური მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. მან იფეთქა ბორჩალოს მაზრაში და სოგანლად იჭრა საქართველოს სხვა რაიონებისათვის.

16 თებერვალს აჯანყებულებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად შეიქმნა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც გამოაცხადა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

საქართველოს აჯანყებულ მუშათა და გლეხთა დასახმარებლად მოვიდა XI წითელი არმია, რომელსაც ს. ორჯონიკიძე ხელმძღვანელობდა. წითელი არმიის მხარეზე მასობრივად გადმოდიოდნენ ქართველი მუშები, გლეხები და ჯარისკაცები.

1921 წლის 25 თებერვალს რევკომის სამხედრო ძალებმა დაიკავეს თბილისი. სერგო ორჯონიკიძემ ლენინსა და სტალინს შემდეგი დეპეშა

გაეგზავნა: „თბილისის თავზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“

აფხაზეთშიაც აჯანყდნენ მეშვები და გლეხები. მათ დასახმარებლად დაიძრა მე-31 დივიზიის ნაწილები. 1921 წლის 4 მარტს აფხაზეთის რევკომმა ლენინსა და სტალინს რადიოთი შეატყობინა: „მშრომელთა სურვილით იშვა ახალი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა — აფხაზეთი. პატარა ხალხის საბჭოთა რესპუბლიკა წითელი არმიის დიდი გარმათავისუფლებელი როლის თვალსაჩინო მაგალითია.“

მენშევიკურმა მთავრობამ თავი შეაფარა ჭუთაისს. მაგრამ ოსეთიდან თოვლით დაფარული და ზამთრობით გაუვალი მამისონის ულელტეხილით ჩამოვიდა XI წითელი არმიის მე-96 ბრიგადა ს. მ. კიროვის ხელმძღვანელობით. მენშევიკურმა მთავრობამ მოკურცხლა ბათუმისაკენ. მენშევიკებმა მოლაპარაკება დაიწყეს საბჭოთა მთავრობასთან და ამავე დროს ბათუმი თურქეთს გადასცეს. მშრომელი მასები აღაშფოთა ახალმა გამცემლობამ. წითელი არმიის ნაწილების დახმარებით ბათუმი გაიწმინდა თურქებისა და მენშევიკებისაგან. იტალიის გემმა საზღვარგარეთ წაასხა საქართველოს გაქცეული მენშევიკური მთავრობა. 1921 წლის 18 მარტს ქალაქ ბათუმსა და მთელს აჭარაში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

თავი მეცხრე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა

§ 88. ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკა

ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად, ნაციონალური მშვიდობიანობისა და თანამეგობრობის ნიადაგის შესაქმნელად, ლენინსა და სტალინს არაერთხელ მოუსთათ ბოლშევიკებისათვის დირექტივები ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან და მჭიდრო კავშირში გაერთიანების შესახებ.

ამ დირექტივების, აგრეთვე რკპ (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის 1921 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილების შესასრულებლად, 1922 წელს ბოლშევიკებმა, სერგო ორჯონიკიძის უშუალო ხელმძღვანელობით, შეაქმნევს ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკა.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა გაადვილებულ წინააღმდეგობას წააწყდა საქართველოში განადგურებული კონტრრევოლუციური პარტიების — მენშევიკების, ეროვნალისტების, ნაციონალ-დემოკრატების და სხვ., აგრეთვე ჭართველ კომუნისტთა მემარჯვენე-ოპორტუნისტული ნაწილის მხრით. კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკებისამ) გაანადგურა ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფე-

დერატული სოციალისტური რესპუბლიკის ყველა მტერი. ნაციონალ-უკლონისტთა ერთი ნაწილი შემდგომ კონტრრევოლუციური ტროცკისტის ბანაკში გადაიდა.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერატიულმა სოციალისტურმა რესპუბლიკამ დიდი როლი ითამაშა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სოციალისტური მშენებლობის უდიდეს წარმატებათა მოპოვების საქმეში.

საბჭოთა ხელისუფლებამ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში შეჰქმნა მძლავრი მრეწველობა. უდიდესი გამარჯვება იქნა მოპოვებული სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე გაიზარდა ამიერ-კავკასიის ხალხთა კულტურა.

ამიერ-კავკასიის მრავალრიცხოვან ხალხთა შორის დამყარდა მტკიცე მშვიდობიანობა და ურთიერთ მეგობრობა. ამიერ-კავკასიის ხალხთა მეგობრობის შესახებ ამხანაგმა მოლოტოვმა 1935 წელს თქვა: „ჩვენ მოვალენი ვიყოთ იმას, რომ მრავალრიცხოვან ამიერ-კავკასიაში, სადაც დიდი ხნის განმავლობაში სწარმოებდა გაოფთრებული ბრძოლა სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა შორის, ბრძოლა, რომელსაც ყოველნაირად აღვივებდნენ კაპიტალისტები და მეფის მსახურნი, რომ ახლა ეს ბრძოლა საბოლოოდ ლიკვიდირებულია და რომ ამ ბრძოლის ადგილზე იფურჩქნება ამიერ-კავკასიის ყველა მშრომელის მეგობრული ცხოვრება".

15 წლის მანძილზე ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერატიულმა სოციალისტურმა რესპუბლიკამ საესებით გადასჭრა მის წინაშე მდგარი ამოცანები.

1936 წლის დამლევს, დიადი სტალინური კონსტიტუციის მიღების შემდეგ, ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკა, ლიკვიდირებულ იქნა. მასში შემავალი: საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა, სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკა, აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკა, თერთმეტი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რიცხვში, უშუალოდ შევიდნენ სსრ კავშირში.

§ 69. საქართველოს მრეწველობა

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით ახალი ხანა დადგა ქართველი ხალხის ისტორიაში. ჩამორჩენილი, გაპატრონებული და შემდგომ ჭარბთველი ხალხის უმთავრესი მტრების—მენშევიკების და მათ ბატონ-პატრონთა — ინგლისელ-ფრანგი იმპერიალისტების მიერ გაძარცული კოლონიიდან საქართველო აყვავებულ რესპუბლიკად, სსრ კავშირის მართალიტად გადაიქცა.

მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების უზრუნველსაყოფად საქართველოში შეიქმნა ჰიდროელექტროსადგურები, რომელთა სიმძლავრე 100 ათას კილოვატს აღემატება.

თბილისში აგებულია დიდი დაზგათმშენებელი ქარხანა, ფოლად-თუჯ სამსხმელო ქარხანა, ავტოსარემონტო ქარხანა, ფეხსაცმელის ფაბრიკა და სხვ.

შავი ქვის სამრეწველო მარაგით საქართველოს მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია. შავი ქვის მრეწველობა, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლების დროს სრული რეკონსტრუქცია განიცადა, წლითი-წლობით ეითარდება. ჰიათურის შავი ქვისა და იაფი ელექტროენერგიის ბაზაზე ქალაქ ზესტაფონში შეიქმნა ფეროშენადნობთა ქარხანა, რომელიც ერთ-ერთი უმსხვილესი ქარხანა სსრ კავშირში.

საესებით რეკონსტრუირებულია ტყიბულის ქვანახშირის ძველი მადნები. შეიქმნა მადნალბარისხოვანი ქვანახშირის ახალი ბაზა ტყვარჩელში. საბჭოთა საქართველოში მოპოვებული ქვანახშირი საესებით აკმაყოფილებს ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას.

საქართველოს სახალხო მეურნეობის ნორჩ დარგს წარმოადგენს ნავთის მრეწველობა. ამჟამად ნავთის ძიება-მოპოვება სწარმოებს შორაპნში, ნორიოში (თბილისის ახლო), სუფსაში, შავი ზღვის პირად, სამხრეთ-ოსეთში და სხვ. საბჭოთა ხელისუფლებამ ბათუმში ააგო ნავთსახდელი, უდიდესი ქარხნები, სადაც ყოველწლიურად სწარმოებს ბაქოს 3 მილიონ ტონაზე მეტი ნედლი ნავთის გადამუშავება. საქართველოში აგებულია აგარის შაქრის ქარხანა, ჩაის 34 ფაბრიკა. თბილისში შენდება შამპანური ღვინოების ქარხანა, რომელიც უდიდესია სსრ კავშირში, ფართოდ განვითარდა მსუბუქი მრეწველობა, კულის მრეწველობა.

იზრდება და კეთილეწყობა საბჭოთა საქართველოს ქალაქები. სრულიად შეიცვალა საქართველოს სსრ დედა-ქალაქის — თბილისის სახე. ის გახდა სანიმუშო, კეთილმოწყობილი, სსრ კავშირის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი. ვერას იტყვით ახლა საბჭოთა აჭარის დედა-ქალაქს—ბათუმს, საბჭოთა აფხაზეთის დედა-ქალაქს — სუხუმს, სამხრეთ-ოსეთის საოლქო ცენტრს — სტალინირს და საქართველოს სხვა ქალაქებს.

§ 60. სოციალისტური სოფლის მეურნეობა

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკებისამ), რომელმაც შექმნა მძლავრი სოციალისტური ინდუსტრია, მოკლე ხანში განახორციელა სოფლის სოციალისტური გარდაქმნის გენიალური სტალინური გეგმა. საბჭოთა საქართველოს სოფლის მეურნეობა მრავალფეროვანი და მდიდარია. საქართველო, უწინარეს ყოვლისა, სუბტროპიკულ კულტურათა აყვავებული ბალია. აქ სამრეწველო მასშტაბით მოჰყავთ ჩაი, ციტრუსები, ტუნგო, მაღალხარისხოვანი თამბაქო, რასაც საქართველო თწელის მთელ სსრ კავშირს.

სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგებია მეცენახეობა, მეხილეობა, მეაბრეშუმეობა, მეკხოველეობა, მარცვლეული მეურნეობა. სოფლის მეურნეობა უხვად არის აღჭურვილი ახალი ტექნიკით, რასაც იგი წინათ არ იცნობდა. საქართველოს რაიონებში შექმნილია მანქანა-ტრაქტორთა სადგურები. მის სოციალისტურ მიწდურებზე მუშაობენ ათასობით ტრაქტორები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები: კომბაინები, სალეწი, სათესი და სამკალი მანქანები.

საქართველოში ათობით მოიპოვება მსხვილი საბჭოთა მეურნეობანი, მათ შორის სანიმუშო მეურნეობანი. საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს მშრომელი გლეხობა იხსნა სიღატაკისა და დამშევისაგან.

ბოლშევიკურმა პარტიამ მიაღწია საკოლმეურნეო წყობილების საბოლოოდ გამარჯვებას და სოფლის მეურნეობის სოციალისტური სისტემის განუყოფელ ბატონობას.

§ 61. ორდენოსანი საქართველოს კულტურის აყვავება

საბჭოთა ხელისუფლების დროს ქართველი ხალხის კულტურა განსაკუთრებით გაიფურჩქნა. მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინრობა ძირითადად აღმოფხვრილია. სასკოლო ქსელი რამდენჯერმე გაიზარდა, მოსწავლეთა რიცხვმა 1914 წელთან შედარებით 375 პროცენტით იმატა. დაწყებითი და საშუალო სკოლაში სწავლობს 750 ათასამდე მოწაფე. საბავშვო ბაღებსა და კერებში იზრდება 40 ათასზე მეტი ბავშვი.

რევოლუციამდე საქართველოში არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ იყო. ამჟამად არის 18 უმაღლესი სასწავლებელი, სადაც სწავლობს 22 ათასი სტუდენტი.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიიღო ფართო გაქანება და განვითარება ჭეშმარიტად მოწინავე მეცნიერებამ.

საქართველოში ირიცხება ბევრი პროფესორი და მეცნიერი მუშაკი, რომელთა სახელი ცნობილია მთელს საბჭოთა კავშირში.

კულტურის უდიდესი განვითარების მკაფიო მაჩვენებელია პრესა. საქართველოში გამოდის 120 გაზეთი და 58 ჟურნალი. ასეული ათასი ცალობით გამოცემულია მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის ნაწარმოებნი. 1935 წელს გამოიცა 130 სახელწოდების სახელმძღვანელოები 3 მილიონი ტირაჟით.

ჩვენს ქვეყანაში უდიდეს განვითარებას მიაღწია ფიზკულტურამ და სპორტმა. დიდი ყურადღება ეთმობა ხალხის ჯანმრთელობის დაცვას. მარტო მალარიასთან საბრძოლველად, რომელიც წინათ ათასობით ადამიანთა სიცოცხლეს იწირავდა, 1937 წ. გაიცა 10 მილიონი მანეთი.

მთელს საბჭოთა კავშირში ცნობილია საქართველოს კურორტები: ბორჯომი, წყალტუბო, მენჯი, აბასთუმანი, სოხუმი და სხვ. ამ კურორტებმა სამართლიანად მოუხვეჭეს საქართველოს სრულიად-საკავშირო სანატორიუმის სახელი.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად გატარებამ ნიადაგი შეუმზადა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების უმაგალითო აყვავებას. ქართულმა ლიტერატურამ ერთერთი პირველი ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის მოწინავე მოძმე ლიტერატურათა რიგებში. საუკეთესო ქართველმა მწერლებმა და პოეტებმა თავიანთი ბედი სოციალისტურ რევოლუციას დაუკავშირეს, მათი ბრწყინვალე მხატვრული ნაწარმოებნი მიძღვნილია ქართველი ხალხის გმირული წარსულისადმი, პროლეტარული რევოლუციისადმი, სტალინური ცხოვრებისა და მოღვა-

წეობისადმი, წითელი არმიისადმი, სოციალისტური ინდუსტრიისა და საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებისადმი.

1937 წლის დეკემბერში საყოველთაო-სახალხო ზეიმით აღინიშნა ქართველი ხალხის დიდებული შვილის, გენიალური პოეტის შოთა რუსთაველის დაბადებიდან 750 წლისათვის შესრულება. ის ახლობელი და ღვიძლი გახდა სსრ კავშირის ყველა ხალხისათვის.

ფართოდ გამოეხმაურნენ საბჭოთა კავშირის ძმური ხალხები აგრეთვე მე-19 საუკუნის დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის იუბილეს, ქართველი ხალხის უსაყვარლესი პოეტის აკაკი წერეთლის დაბადების 100 წლისთავს. უკანასკნელ წლებში ქართველმა ხალხმა აღნიშნა თავისი დიდი კლასიკოსების — ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა ფშაველას, ალ. ყაზბეგის, ე. ნინოშვილის და სხვათა საიუბილეო დღეები.

ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებები დიდი ტირაჟით გამოდის და ხელმისაწვდომია ხალხის უფართოესი მასებისათვის.

ქართველ კლასიკოსთა საუკეთესო ნაწარმოებები ითარგმნება სსრ კავშირის ყველა ხალხის ენაზე. ფართოდ გავრცელებულია აგრეთვე რუსი და სხვა მოძმე ხალხების, აგრეთვე უცხოეთის ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების ქართული თარგმანები.

დიდი წარმატებანი მოიპოვა სათეატრო ხელოვნებამაც. რევოლუციამდე საქართველოში იყო მხოლოდ 5 თეატრი, სადაც მუშაობდა 150-მდე მსახიობი. 1939 წელს საქართველოში უკვე 48 თეატრი ირიცხებოდა. ამ თეატრებში მუშაობს 1650 მსახიობი, 200 სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორი. ქართული სათეატრო ხელოვნების სიამაყეა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატიული თეატრი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო საოპერო თეატრი, რომლებიც დაჯილდოებულია ლენინის ორდენით. ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო ადგილი უკავია აგრეთვე კ. მარჯანიშვილის სახელობის დრამატიულ თეატრს. საბჭოთა საქართველოში წარმატებით ვითარდება აგრეთვე რესული, აზერბაიჯანული, სომხური სათეატრო კულტურა. საუკეთო თეატრები აქვთ აფხაზ, ოს და სხვა ხალხებს.

გაიფურჩქნა ქართული ხალხური შემოქმედება. თბილისში და საქართველოს ყველა რაიონში შეკრებილია სახალხო გუნდები.

დიდი მიღწევები მოიპოვება ქართულ კინემატოგრაფიულ ხელოვნებას. შეკრებილია მთელი რიგი შესანიშნავი კინოფილმები, რომლებსაც დიდი წარმატებით უჩვენებენ სსრ კავშირის კინოთეატრებში.

აღორძინდა და გაიფურჩქნა ქართული სახვითი ხელოვნება.

ქართველმა მხატვრებმა შეკრიბეს შესანიშნავი სურათები სტალინის ცხოვრება-მოღვაწეობაზე, რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან, ძლევამოსილი სოციალისტური შენებლობის თემებზე.

ბევრი მსახიობი, რეჟისორი, მხატვარი, მოქანდაკე, კომპოზიტორი, კინოს და ხალხური შემოქმედების მოღვაწე დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებით.

ქართული თეატრის გამოჩენილ მოღვაწეებს ა. ვასაძეს და ა. ხორავას მიენიჭათ სსრ კავშირის სახალხო არტისტთა სახელწოდება. ქართული ხელოვნების საუკეთესო ადამიანები არჩეული არიან სსრ კავშირის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატებად.

§ 22. დიადი სტალინური კონსტიტუციის ზეზის ქვეშ

სოციალისტური მშენებლობის წარმატებათათვის საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

საბჭოთა საქართველო გადაიქცა ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად, გაწვითარებული მრეწველობით, აყვავებული სოფლის მეურნეობით და მოწინავე სოციალისტური კულტურით. სოციალისტური საქართველოს გამარჯვება მოპოვებულია ულმობელ ბრძოლაში ყოველგვარ მტრებთან, რომელნიც ცდილობდნენ ქართველი ხალხისათვის წაერთმიათ ბედნიერი და საამური ცხოვრება.

დიადი სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე, 1938 წლის 12 ივნისს ქართველმა ხალხმა აირჩია თავისი უმაღლესი საბჭო.

საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა ერთსულოვნად ხმა მისცეს კომუნისტთა და უპარტიოთა მძლავრი ბლოკის კანდიდატებს, ხალხთა დიდ და საყვარელ ბელადს — მშობიერ სტალინს, ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკას.

ჩვენი პარტიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდი ბელადი სტალინი, რომლის სახელი სოციალიზმის გამარჯვებათა სიმბოლოდ იქცა, არჩეულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველ დეპუტატად.

უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში არჩეულია დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი — სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავჯდომარე ვ. მ. მოლოტოვი, არჩეულია ერთგული სტალინელი, ქართველი ხალხის ერთერთი საუკეთესო შვილი ლ. პ. ბერია, რომლის სახელთან დაკავშირებულია სოციალიზმის გამარჯვებანი საქართველოში.

თავის გამარჯვებებს ქართველი ხალხი უნდა უმადლოდეს ლენინ-სტალინის დიად პარტიას, უნდა უმადლოდეს მოძმე დიდი რუსი ხალხის უდიდეს დახმარებას.

დიდი სტალინის სახელით ბედნიერი ქართველი ხალხი, მძლავრი და უძლეველი საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად, ამჟამად მიიწევს საკაცობრიო ბედნიერების მწვერვალისაკენ — კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

ს ა რ ჩ ე ვ ი

საქართველო და ქართველი ტომები ძველეს ხანაში 5
საქართველო მონათმფლობელობის ხანაში 23
საქართველო ადრინდელ-ფეოდალურ ხანაში 56
ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისთვის 102
საქართველოს საგეფოს პოლიტიკური და კულტურული ბაძ-
ლიერების ხანა 116
საქართველო, ვითარცა მახლობელი აღმოს. ვლეთის მოწინავე
და ძლიერესი სახელმწიფო . . 136
საქართველოს კულტურული ვითარება მესხოთმეტე საუკუნეში 165
სრულიად საქართველოს მთლიანობის აღდგენა . 218
ერანის მონღოლთა ხელისუფლების დასუსტება, მათი დამხობა
და საქართველოს მთლიანობისა და დამოუკიდებლობის
აღდგენა 231
ბრძოლა საქართველოს მთლიანობის დარღვევის წინააღმდეგ 263
საქართველოს პოლიტიკური მეზობლები 285
საქართველოს პოლიტიკური დაშლილობა 287
ქართლი მე-16 საუკუნეში 289
კახეთი . . 295
დასავლეთ-საქართველო 299
მესხეთი 302
ერან-ოსმალეთის მეორე ომი და საქართველო . 304
შაჰაბაზი და ქართველთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის
— XVII საუკუნის პირველს ნახევარში 311
ერანის ბატონობის ხანა კართლ-კახეთში და ბრძოლა მის
წინააღმდეგ 332
ქართლი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში
XVII — XVIII საუკუნეთა მიჯნაზე 338
დასავლეთ-საქართველო XVII საუკუნეში 339
ვახტანგის მოღვაწეობა . . . 341
კახეთი XVII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში . 346
ერანის, ოსმალეთის და რუსეთის ურთიერთშორის ბრძოლა და
საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში . 347
ბრძოლა საქართველოს „გამოხსნისა და აღდგომისათვის" 352
ერეკლეს სოციალური ღონისძიებანი 356
დასავლეთ საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. 370
რუსეთ-ოსმალეთის ომი 1774 წლებში და საქართველო 373
ერეკლეს საგარეო პოლიტიკა XVIII საუკუნეში 80-ან წლებში. 384
საქართველოს განვითარების ახალ გზაზედ გამოსვლისათვის
ბრძოლა . . . 385
ერეკლეს პოლიტიკური აქტივობა ამიერკავკასიაში 390
რუსეთ-ოსმალეთის მეტოქეობა XVIII საუკუნეში 395
რუსეთ-ოსმალეთის მეტოქეობა . XVIII საუკუნეში 395

რუსეთის მთავრობის აღმოსავლეთის პოლიტიკა XVIII საუკუნის 80-ან წლებში და საქართველო 397
ტრაქტატიდან ანექსიამდის . . 401
საქართველო მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში 415
კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში . 429
დასაწყისი მუშათა კლასის ბრძოლისა ცარიზმის წინააღმდეგ 445
რუსეთის პირველი რევოლუცია (1905—1907 წლები) . . 453
რეაქციის და მუშათა მოძრაობის ახალი აღმავლობის პერიოდი 466
მეორე რევოლუცია რუსეთში 470
ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუცია რუსეთსა და ამიერ-კავკასიაში 476
მენშევიკური ხელისუფლება საქართველოში და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის 479
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა 483

გადაეცა წარმოებას 12/VII-40 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 31/VII-40 წ. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 30½. ანაწყობის ზომა 6½ × 11. ჭალალდის ზომა 60 × 92. შეკვეთის № 1285. მთავლიტის რწმუნებული № 2462. ტირაჟი 105.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, ეორეესის ქ. № 5.